ლაშა-გიორგი კუტალია

ბრალი სისხლის სამართალში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2000

To Adina, with love

უაკ (UDC) 67.99(2)8
347
კ 956

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას სისხლისსამართლებრივ ბრალზე. ქართულ სისხლის სამართალში ეს პირველი მონოგრაფიაა, რომელშიც საფუძვლიანად შეისწავლება ბრალის ცნების წარმოქმნისა და განვითარების პროცესი და მისი თანამედროვე მდგომარეობა, რის შემდგომაც ჩამოყალიბებულია ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების ახლებური დეფინიცია.

მონოგრაფია შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრასა და ვენის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ინსტიტუტში.

განკუთვნილია მეცნიერ-იურისტებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტებისა და სტუდენტებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების სპეციალისტებისთვის, აგრეთვე სისხლის სამართლის თეორიით დაინტერესებული სხვა მკითხველებისთვის.

რედაქტორები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გ. ტყეშელიაძე
სამართლის დოქტორი, დოცენტი
მ. ტურავა

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გ. ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ნ. გვენეტაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000
© ლაშა-გიორგი კუტალია, 2000

კ 1203021100
608(06)-2000

ISBN 99928-31-99-5

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

არც ქმედება, როგორც ეს წარმოუდგენია ფონ ლისტს,1 ან დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ამაში გვარწმუნებს ბელინგი,2 არც მართლწინააღმდეგობა (ბინდინგი3) და არც სასჯელი (კელზენი4) არ არის დანაშაულის ერთიანი სისტემის ჭრილში პრიორიტეტული მნიშვნელობით დატვირთული. მათ წინაშე ბრალის აბსოლუტური პრიმატის აღიარება, თანახმად მერკელის მართებული თვალთახედვისა,5 უცილობელია. ქმედება ან მისი მართლწინააღმდეგობა მხოლოდ იმდენად წარმოადგენს სისხლის სამართლის ინტერესის ობიექტს, რამდენადაც მათში მოიძიება ბრალის ინდიცირების საფუძველი. ცალკე აღებული მართლწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ცნების ინტეგრალური ელემენტი ან სასჯელი, როგორც დანაშაულის იურიდიული შედეგი, მოკლებულია არსებით სისხლისსამართლებრივ ღირებულებას, იქცევა რა სისხლისსამართლებრივი ტექნიკის უშინაარსო სუბსტრატად და იძენს მას მხოლოდ ბრალთან მიმართებაში. სწორედ ეს მიმართება არის სისხლის სამართლის მოქმედებაში მოყვანის გენერალური ორიენტირი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალი განასახიერებს იმ სპეციალურ იურიდიულ ფენომენს, რომელიც გვევლინება სისხლის სამართლის ობიექტივირების პირველწყაროდ და რომელიც გარდასახავს მას პასიური აბსტრაქციიდან აქტიურ რეალობად.

ამავე დროს, სისტემატიკის სფეროში ბრალის მნიშვნელობის გარკვევა მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა მისი ჯეროვანი აღქმისა, უშუალოდ ასოცირებული დოგმატურ (ბრალის პრინციპი, არსი, სტრუქტურა) და ისტორიულ-სამართლებრივ ასპექტთან (ბრალის გენეზისი — წარმოქმნა და განვითარება). ასე მაგალითად, აქტუალურია განსახილველ კონტექსტში სისხლისსამართლებრივი ბრალისა და ზნეობრივი ბრალის ცნებათა ურთიერთშედარება, რათა გაირკვეს, არის თუ არა ეს უკანასკნელი ამ პირველის აპრიორული წინამძღვარი (მ. უგრეხელიძე6) ან ასევე აქტუალურია იმის ცხადყოფაც, წარმოადგენს თუ არა სისხლისსამართლებრივი ბრალი ზნეობრივი ბრალისაგან სრულიად დამოუკიდებელ ცნებას (ჰ. მორისი7).

ამ და სხვა მომიჯნავე საკითხთა ანალიზის გარეშე შეუძლებელია ბრალის სრულყოფილი დეფინიციის ჩამოყალიბება — დეფინიციისა, რომელიც მისაღები სახით არ მოეპოვება ამჟამინდელ სისხლის სამართლის მეცნიერებას. მიუხედავად მრავალი თანამედროვე თუ თანადროული კრიმინალისტის ფრიად საგულისხმო მეცადინეობისა, მათი განმარტებები ვერ შესწვდა საყოველთაო აქცეპტაბელურობის სამანს.

რა არის სისხლისსამართლებრივი ბრალი? მდგომარეობა (სიმპტომატისტები) თუ პროცესი (რ. დუფი8), ჰიპოთეზა (ვ. ჰარდვიგი9) თუ ფაქტი (ე. მეცგერი10); საკუთარი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება (მეოცე საუკუნემდე თითქმის ყველა მეცნიერი) თუ ეთიკურად ან ზნეობრივ-პოლიტიკურად გასაკიცხი ფსიქიკური

დამოკიდებულება (თ. წერეთელი11), გასაკიცხობა (რ. ფრანკი12), გაკიცხვა (ჰ. ველცელი13) თუ ორმაგი შეფასება (ი. ბაუმანი14)?

ანალოგიური კონტროვერზების სპექტრი მით უფრო ვრცლად წარმოგვიდგება იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ გამოვიწვლილავთ ბრალის ე. წ. ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ თეორიებსა და მათი დაპირისპირების შედეგად აღმოცენებულ სხვა მოძღვრებებს.

დასანანია, რომ ჩვენში დღესაც არ არის დაძლეული ბრალის ფსიქოლოგიური სწავლება, თუმც მასზე დასავლეთ ევროპის სისხლისსამართლებრივმა აზრმა ჯერ კიდევ ოციან წლებში მოიპოვა საბოლოო გამარჯვება. რ. ფრანკის მიერ წარმოდგენილი ნორმატივიზმის სასარგებლოდ კლასიკურმა სისხლისსამართლებრივმა დოგმატიკამ გადაჭრით უარყო ბრალის ფსიქოლოგიური მოდელი. აქედან მოკიდებული, ბრალის პრობლემა თვისებრივად სხვა თეორიულ სიბრტყეზე განიხილება.

ე. ა. ვოლფი აღნიშნავდა: „ბრალი არის არა ფსიქოლოგიური, არამედ ნორმატიული კატეგორია. ის წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შეფასებას“15. სწორედ მსგავს მტკიცებას დაეფუძნა რ. ფრანკთანაც „გასაკიცხობის“ ცნება, რომელიც ბრალთან მიმართებაში გამოიყენებოდა და გამოიყენება ყველა შესაძლო ლექსიკურ-გრამატიკული ვარიაციით.

ნორმატივიზმის პროგრესულობა უცილოა, მაგრამ, ამასთანავე, მის წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული ბრალის ცნების ყველა განსაზღვრება ფუნქციონალური განსაზღვრებაა, რომელიც უშუალო წარმოდგენას არ გვიქმნის იმაზე, თუ რა არის საკუთრივ ბრალი. ამას თავად ზოგიერთი ნორმატივისტიც აღიარებს16.

ზემოაღნიშნული შენიშვნა ქართულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ფსიქოლოგიზმის პრევალირების შესახებ როდი ნიშნავს, რომ ქართული სისხლის სამართლისათვის შეუმჩნეველი დარჩა ბრალის ნორმატიული თეორიის ფორმირება. პირიქით, სადღეისოდ ჩვენში დომინირებს თ. წერეთლის მიერ ჩამოყალიბებული ბრალის ახალი მოძღვრება, მიღებული ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის ერთგვარი კომბინირებით.

მოცემული სწავლების ამოსავალი დებულება შემდეგში მდგომარეობს: ბრალის შინაარსი არ ამოიწურება დამნაშავის მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულებით თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგებისადმი, ამ წმინდად ფსიქოლოგიურ ასპექტს თან უნდა ახლდეს სოციალურ-ეთიკური, ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხობის მომენტიც. თ. წერეთელი ამ აზრს ასე გადმოგვცემს: „ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ“.17 ძირითადი განსხვავება ფრანკისეულ ნორმატივიზმსა და თ. წერეთლის სწავლებას შორის გამოიხატება იმაში, რომ თ. წერეთელი ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და გასაკიცხობას განიხილავს როგორც ბრალის ცნების დამოუკიდებელ ნიშნებს, რა დროსაც რ. ფრანკთან ფსიქიკური დამოკიდებულება, გაიგივებულია რა

სისხლისსამართლებრივ განზრახვასთან, წარმოადგენს გასაკიცხობით მოცულ ელემენტს.

მაგრამ შეიძლება კი თ. წერეთლის მოძღვრების ორიგინალურად მიჩნევა, მაშინ როდესაც ქართველ კრიმინალისტზე ბევრად უფრო ადრე გ. რადბრუხიც ამგვარი დებულებიდან ამოდიოდა; ან ხომ არ ხელყოფს მის სიახლეს ჰ. ველცელის „ზნეობრივი ბრალის თეორიაც“18? ერთი შეხედვით, ამ მსგავსებათა კარდინალურობის გამო თითქოს არაფერია ახლებური თ. წერეთლის ხედვაში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, მხოლოდ იმ პირობით, თუ არ შევეცდებით მის მიერ პოსტულირებული შეხედულების სათანადო ლოგიკურ ინტერპრეტირებას.

გ. რადბრუხის პოზიცია არამც და არამც არ სცილდება ფსიქოლოგიზმის ფარგლებს, ჰ. ველცელისა — მკაცრად არის მოქცეული ნორმატივიზმის კალაპოტში. რაც შეეხება თ. წერეთლის შეხედულებებს, ისინი უდავოდ წარმოადგენს ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის ფუნდამენტურ ასპექტთა იმგვარ სინთეზს, რომელიც აფუძნებს მათ ბრალის ახალ, მანამდე უცნობ *ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიად,* განსხვავებით გ. რადბრუხისა და ჰ. ველცელის თეორიებისაგან, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს შესაბამისად მხოლოდ ფსიქოლოგიური და მხოლოდ ნორმატივისტული მიმდინარეობა.

ამდენად, სისხლის სამართლის ქართულმა სკოლამ ბრალის განვითარების სრულიად ორიგინალური, პრინციპულად ახლებური ტენდენცია დასახა.

ამა თუ იმ სახით ბრალი დღესაც განაგრძობს განვითარებას ქართულ სისხლის სამართალში. ამ მიმართებით განსაკუთრებით რელევანტურია ბრალისადმი, როგორც დანაშაულის ცნების კონსტიტუციური ნიშნისადმი, მიდგომის რადიკალური ტრანსფორმირება (ო. გამყრელიძე19), ბრალისა და სასჯელის ურთიერთობის კვლევა (გ. ტყეშელიაძე20), ბრალის ფსიქოლოგიური მხარის შესწავლა (ბ. ხორნაბუჯელი21) და სხვ.

რადგან „მეცნიერების ცნებები მკაცრ ლოგიკურ წესრიგს ექვემდებარებიან და ქმნიან გარკვეულ სისტემას“ (გ. ნაჭყებია22), ბრალის, როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ცენტრალური ცნების, დეფინირებისას გვმართებს ყოვლისმომცველი სიზუსტე. უთუოდ მისი წინააღმდეგობრივი შინაარსის შედეგია, რომ სისხლისსამართლებრივ ცნებათა ზემოხსენებული „მკაცრი ლოგიკური წესრიგისადმი“ სუბორდინირება ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული. ამის საილუსტრაციოდ ბრალისა და დანაშაულის ცნებათა კორელაციის მოტანაც კმარა. როდესაც, ერთი მხრივ, ბრალი გამოცხადებულია შეფასების შედეგად მიღებულ ფენომენად, ხოლო, სხვა მხრივ, დანაშაულის ცნების კლასიკურ სქემას იცავენ (დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი)23, სახეზეა დაუძლეველი წინააღმდეგობა, რამეთუ კლასიკური სქემის მიხედვით ბრალს, როგორც დანაშაულის ცნების ნიშანს, ვღებულობთ *დადგენის წესით*24, მსგავსად დანარჩენი ორი ნიშნისა. იმის გამო, რომ ბრალი ერთდროულად ვერ იქნება დადგენის

ობიექტიც და შეფასების შედეგად მიღებული ფენომენიც, ჩვენს წინაშეა დილემა: დავთმოთ დანაშულის გაბატონებული სამნიშნა ცნება ან უარვყოთ ბრალი როგორც შეფასების შედეგად მიღებული ფენომენი. ამ მხრივ, სრულიად უმნიშვნელოა, წარმოვიდგენთ თუ არა ბრალს როგორც შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთობლიობას (ადრეული ნორმატივიზმი) ან უბრალოდ როგორც შეფასებას (ფინალიზმი), რადგან ბრალი დადგენის ობიექტის სახით ამ ცნებათაგან ვერც ერთთან მოიყვანება შესაბამისობაში. თუ სისტემატიკურად ბრალი განისაზღვრება როგორც დადგენის ობიექტი, ის დოგმატურადაც დადგენის ობიექტად უნდა განვიხილოთ და პირიქით, თუ დოგმატიკაში ბრალი მიიჩნევა შეფასების შედეგად მიღებულ ფენომენად (შეფასებად ან შეფასებისა და შეფასების ობიექტის განუყოფელ მთლიანობად), სისტემატიკაში მას უკვე ვერ განვმარტავთ როგორც დადგენის ობიექტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი ბრალის დოგმატური და სისტემატიკური ცნებები არ უნდა გამორიცხავდეს ერთიმეორეს (მოცემულ საკითხს ზოგადად გერმანელი კრიმინალისტი ვ. ჰარდვიგიც ეხებოდა, მაგრამ მისმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი განვითარება ვერ პოვა).

მსგავსი წარმატებით შეიძლება გამოვყოთ ბრალის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება სისხლის სამართლის სხვა ცნებებთან (მაგალითად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, შერაცხვასთან25 და ა. შ.), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს ბრალის ფენომენის შესაცნობად ყოველმხრივი სიზუსტის საჭიროებაზე. ასევე მიუღებელია ზოგადსამართლებრივ თუ მეტასამართლებრივ საკითხთა მთელი რიგისაგან აბსტრაჰირება. მათ რიცხვშია, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანული ეთიკის პრინციპები, რის უპირობო აქცეპტირებას ასე სამართლიანად და ასე დაჟინებით მოითხოვენ თანამედროვე კრიმინალისტები.26 ცხადია, აქ საუბარი არ არის რელიგიურ ბრალთან ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების გაიგივებაზე.

მაშასადამე, ბრალი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ასეთი, არა მხოლოდ თავის თავთან მიმართებაში, არამედ სხვა სათანადო ინტრაიურიდიულ თუ ექსტრაიურიდიულ ცნებებთან და მოვლენებთან კავშირში, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო დასკვნების ლოგიკური დედუცირება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ დაწვრილებით მიმოვიხილავთ ბრალის ცნების განვითარებასა და ამ განვითარების დინამიკას სისხლის სამართლის თეორიაში. ჩვენი აზრით, თუ სათანადოდ არ იქნა შესწავლილი პრობლემის გენეზისი, რაც ამ პრობლემის წარმოქმნისა და განვითარების შესწავლასთან ერთად მისი თანამედროვე მდგომარეობის ანალიზსაც გულისხმობს, არც მოცემული პრობლემის (ამ შემთხვევაში ბრალის ცნების) სრულყოფის პრეტენზია შეიძლება გაგვაჩნდეს, რადგან სრულყოფა შემდგომ განვითარებას ნიშნავს და შემდგომი განვითარება კი განვითარების კანონზომიერების გაუთვალისწინებლად გამართლებული ვერ იქნება, რა დროსაც ამ უკანასკნელის დადგენა შესაძლებელია

მხოლოდ განვითარების თითოეული ეტაპის საფუძვლიანი კვლევის შედეგად.

როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ბრალის ცნება სისხლის სამართლის თეორიაში ყოველთვის განიცდიდა და კვლავაც განიცდის უმნიშვნელოვანეს დოგმატურ თუ სისტემატიკურ ცვლილებებს. რათა გარკვევით წარმოვიდგინოთ მისი განვითარების მასშტაბურობა, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ბრალი, თავდაპირველად წარმოადგენდა რა პასუხისმგებლობის მხოლოდ ფორმალურ, ობიექტური ელემენტებიდან მექანიკურად წარმოებად საფუძველს, დღეს უკვე ურთულესი შინაარსის მომცველი ცნებაა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ფუნდამენტურ თეორიულ დატვირთვას ატარებს.

როგორც ამას მეცნიერული კვლევის ლოგიკა მოითხოვს, ვიდრე შევეხებოდეთ თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებულ სამ ძირითად თეორიას, შევეცდებით ობიექტურად წარმოვაჩინოთ სისხლისსამართლებრივი ბრალის თავისებურებანი რომაულ სამართლებრივ დოქტრინაში, შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში, სისხლის სამართლის ფილოსოფიაში და ა.შ. ხოლო უშუალოდ თანამედროვე სისხლის სამართლის მოძღვრებათა ანალიზის დროს ჩვენ თანაბრად გავამახვილებთ ყურადღებას თითოეული მათგანის როგორც ნეგატიურ მხარეებზე, ისე მიღწევებსა და ორიგინალურობაზე. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ აგრეთვე ამ თეორიათა ურთიერთშედარებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სათანადოდ გავერკვეთ იმაში, თუ რომელი მათგანი შეიძლება იყოს უფრო მეტად მისაღები ამა თუ იმ კონკრეტულ ასპექტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი თავისი მოცულობით არ შეიძლება იყოს მცირე. სტრუქტურულად ის მოიცავს რვა თავს, სადაც თანამიმდევრულად იქნება წარმოდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალის უმთავრესი ასპექტები.

ვფიქრობთ, ზემოწარმოდგენილ გარემოებათა და ზოგიერთი სხვა ასევე აქტუალური მომენტის გათვალისწინებით წარმატებით მიიღწევა წინამდებარე გამოკვლევის თავიდათავი მიზანი — იმის განსაზღვრა, თუ რას შეიძლება ეწოდოს ბრალი სისხლის სამართალში.

თავი პირველი
ბრალის იდეის წინარე- და ადრეულმეცნიერული განვითარების ძირითადი ეტაპები

§1. ბრალი როგორც თეორიული აზროვნების ნაყოფი

სისხლისსამართლებრივი ბრალი — თანდაყოლილი იდეა?

სისხლისსამართლებრივი ბრალი სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებაა და ის ვერ მოისაზრება მოცემული მეცნიერების ფარგლებს მიღმა. ბრალისა და სისხლის სამართლის ურთიერთობა გამონაკლისი როდია; ყოველი მეცნიერება უნივერსალურად პირველადი კატეგორიაა და მეცნიერების ცნება მასთან დამოკიდებულებაში ყოველთვის და ყველა სფეროში მეორადობით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ ბრალს სისხლის სამართლის მეცნიერება თავისი პირველადობის სხვა სფეროებთან ერთად დროშიც უსწრებს, ე. ი. ამ პირველის სოციალურ-ისტორიული ჩამოყალიბების პირობათაგანი თვით ამ უკანასკნელის არსებობაა. განსახილველი თეზისის ობიექტურობა მცირედაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რაგვარად გავიგებთ ბრალს. თუ ბრალი წარმოვიდგინეთ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებად თავისი ქმედებისადმი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაგულისხმევია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება. ხოლო როდესაც ბრალის არსი ნორმატიულ შეფასებასთან ასოცირდება, თავისდათავად ვასკვნით, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი ბრალის დამაფუძნებელი ფაქტორი სისხლის სამართლის ნორმასთან სუბიექტის ფსიქოლოგიური ქცევის მიმართებაა.

ამის ყველაზე თვალსაჩინო ანალოგიად ინდივიდისა და სისხლის სამართლის სუბიექტის ცნებათა თანაფარდობა გამოდგებოდა. სამართალი საერთოდ, და, სისხლის სამართალი კერძოდ, წარმოიქმნება ზოგადევოლუციური პროცესების გარკვეულ არასაწყის ეტაპზე, რაც შემდეგს მოასწავებს: სისხლის სამართალი თვით ინდივიდთა შემოქმედების ნაყოფია და ინდივიდის ცნება ყოველთვის არ მოიცავდა სისხლის სამართლის სუბიექტის ცნებას. ამრიგად, სისხლისსამართლებრივი ბრალი, მსგავსად სისხლის სამართლის სუბიექტის ცნებისა, სულაც არ არის თანდაყოლილი იდეა, ეს *ხელოვნური, მიზნობრივ-რაციონალურად აგებული კატეგორიაა*, რომელიც არ მოგვეპოვება სისხლის სამართლის არარსებობის პირობებში.

მაგრამ თუ წინარესისხლისსამართლებრივ საფეხურზე სისხლისსამართლებრივი ბრალი ფორმალურად არ ვლინდება, რით არის პირობადებული ამ ეტაპზე კვლევის აუცილებლობა? გ. ნასი წერს: „ბრალი წარმოადგენს ურთიერთობის ლოგიკურ, ე. ი. ფორმალურ და შინაარსობრივ კანონებთან შერწყმულ ცნებას. მისი მეორე კომპონენტი, შინაარსობრივი, მეტად რელატიური კომპონენტია, ვინაიდან დღესდღეობით არავის დაუსაბუთებია, ვთქვათ, აბსოლუტური ეთიკის არსებობა. სწორედ ეთიკური მხარე აქცევს ბრალის ცნებას ასე საცილოდ, რადგან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ და მსოფლმხედველობით საკითხებთან.“27 როგორც ვხედავთ, ფორმალურთან ერთად შინაარსობრივი მხარეც და აქედან გამომდინარე თავისებურებებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ეს გარემოება კი თვალნათლივ მეტყველებს ბრალის წინარესამართლებრივ მატერიალურ ჩა-

ნასახზე თუნდაც ზოგადი, ნაკლებად სიღრმისეული წარმოდგენის შექმნის აუცილებლობაზე.

იგივე გ. ნასი, სისხლის სამართალში ერთ-ერთი პირველი მონუმენტური ნაშრომის ავტორი ბრალზე, წინააღმდეგობრივად შენიშნავს: „ბრალი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ეთიკური, რელიგიური ან იურიდიული პრობლემა, ერთი მხრივ, და რაციონალურად განსასაზღვრავი, სხვა მხრივ, არამედ როგორც ანთროპოლოგიური და ეს განაპირობებს ბრალისადმი როგორც კონდიციისადმი, ჩამოყალიბებული ერთეულისადმი დამოკიდებულებას.“28 ჯერ ერთი, თუ ბრალს განვიხილავთ ანთროპოლოგიური პრობლემის სახით, მაშინ კვლევის საგანი უნდა იყოს ბრალი ზოგადად და არა ბრალი სისხლის სამართალში (თუმც ამის წარმატებულობაც სათუოა, ვინათგან ფილოსოფიური ანთროპოლოგიზმის მიხედვით, რომელსაც გ. ნასი ეყრდნობა, პიროვნება განისაზღვრება როგორც ყოველმხრივ არაისტორიული, ნატურით ნიადაგ სახეუცვლელი მოვლენა). მეორეც, არაფრით არის ნაკარნახევი, რომ ვესწრაფოდეთ ბრალის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ცნებას: ბრალი ვერასოდეს მიაღწევს სრულყოფილების სტაგნაციურ მდგომარეობას სისხლის სამართლის უწყვეტი განვითარების გამო. დაბოლოს, გ. ნასი, წარმოიდგენს რა სისხლისსამართლებრივ ბრალს მხოლოდ ანთროპოლოგიურ პრობლემად, აღიქვამს კვლევის მეთოდს როგორც ცალკე აღებულ წესს და არა წესების სისტემას, რაც მეთოდოლოგიურად დაუშვებელია.

ამავე დროს, ციტირებულ თვალთახედვაში სასურველი კვალიტატური ცვლილების მისაღებად სავსებით საკმარისია ძირითადი აქცენტის ანთროპოლოგიური მომენტიდან სამართლებრივ მომენტზე გადატანა. კვანტიტატურად დებულება გამართულია, რამდენადაც სრულად მოიცავს ყველა საჭირო ასპექტს: კულტურულ-ისტორიულს, რელიგიურ-სოციოლოგიურს და სამართლებრივ-ფილოსოფიურს.

საგულისხმოა აგრეთვე ის, თუ რაგვარად უკავშირებს გ. ნასი ბრალის გენეზისს ზოგადსაკაცობრიო აზროვნების განვითარების პროცესს. აქ ბრალი მიმოიხილება აზროვნების განვითარების სამი სხვადასხვა სტადიის შესაბამისად შემდეგი თანამიმდევრობით: მაგიური, პრელოგიკური და ლოგიკური.

ბრალის იდეის განვითარების პირველ საფეხურზე ბრალი ჯერ კიდევ არ მოიპოვება არც ზნეობრივი და არც რელიგიური გაგებით, რადგან ერთადერთი გარემოება, რომელსაც განსახილველ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, არის სუბიექტის მაგიური კავშირი ხშირად მისგან დამოუკიდებლად განხორციელებულ საზიანო შედეგთან (მაგალითად, ტომის ბელადისა — უამინდობასთან, მწირ მოსავლიანობასთან, სხვა ტომთან წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დამარცხებასთან და ა. შ.).

მაგიურ და პრელოგიკურ საფეხურებს შორის არსებულ გარდამავალ ეტაპად გ. ნასი შუმერულ და ბაბილონურ მითოსს ასახელებს, სადაც სუბიექტის მიმართება საზიანო შედეგთან შედარებით უფრო

კონკრეტიზებულია, მაგრამ ეს ჯერ სულაც არ უწყობს ხელს „კაუზალური აზროვნების“ დამკვიდრებას.

მომდევნო ეტაპის ამოსავალ მომენტად კი გ. ნასი ბრალის იდეის ეგვიპტეში წარმოდგენილ სახეს მიიჩნევს. ის პრელოგიკური აზროვნების გამოვლინებად წარმოგვიდგენს იმას, რომ აქ არ არსებობს უშუალო კავშირი ქმედებასა და მოქმედს შორის. მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ ამ ლოგიკით, მივიღებთ, რომ პრელოგიკური აზროვნების საწყის ეტაპსა და მაგიურ აზროვნებას შორის არანაირი პრინციპული განსხვავება არ უნდა არსებობდეს.

განავრცობს რა თავის მოსაზრებას, გ. ნასი ასკვნის, რომ ეგვიპტეში თანდათანობით გარკვევით იკვეთება სუბიექტის პიროვნებასთან ქმედების მიმართების მნიშვნელობა (ამ დასკვნამდე ის ეგვიპტური რელიგიის კვლევისას მიდის).

ხოლო პრელოგიკური საფეხურის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად გ. ნასი, იკვლევს რა უკვე ბაბილონის სამართლებრივ დოქტრინას, გამოყოფს იმას, რომ უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავის სუბიექტური განწყობის დადგენა კი არ შეადგენს ინტერესის ობიექტს, არამედ განსაზღვრული განწყობა განსაზღვრულ ტიპობრივ გარემოებათა არსებობისას მოცემულად ითვლება, ე. ი. „ბრალს აქ საფუძვლად ედება ტიპობრივი და არა სუბიექტური მასშტაბი”.

ლოგიკური აზროვნების დასაბამს კი გ. ნასი მხოლოდ რომაულ სამართალში ხედავს და ამის მთავარ არგუმენტად მოაქვს ის, რომ სწორედ რომაულმა სამართალმა ცნო პირველად სუბიექტის (ზიანის გამომწვევი) ფსიქოლოგიური ქცევისადმი დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება, რის თანახმადაც მოცემული ქცევა უნდა აღიარებულიყო როგორც განზრახი, გაუფრთხილებლობითი ან სრულიად არაბრალეული.

უდავოა, რომ გ. ნასის ეს პოზიცია მეტად ორიგინალურია, მაგრამ იმავდროულად ვერ ვიტყვით, რომ ის თავის დასკვნებში ბოლომდე თანამიმდევრული რჩება. ასე მაგალითად, ზოგან გ. ნასი მითოლოგიურ აზროვნებას წარმოგვიდგენს როგორც მაგიურ და პრელოგიკურ საფეხურებს შორის არსებულ არა გარდამავალ, არამედ მეორე დამოუკიდებელ საფეხურს და, შესაბამისად, აზროვნებასაც გვიხასიათებს უკვე როგორც ოთხნიშნა ცნებას. მაგრამ ეს დაუძლეველ წინააღმდეგობად ნამდვილად ვერ მიიჩნევა.

ამავე დროს, უმთავრესად ჩვენს ყურადღებას პრინციპულად სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მომენტი იპყრობს. საქმე ის არის, რომ გ. ნასი აწარმოებს აზროვნების გრადირებას არა ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით (ასე რომ ყოფილიყო, მის თვალთახედვაში არაფერი იქნებოდა მიუღებელი), არამედ პირიქით, ბრალის ცნების განვითარებას უსადაგებს ანთროპოლოგიური განვითარების ზოგადი ასპექტის მომცველი კრიტერიუმის შესაბამისად გრადირებულ აზროვნების ფსიქოლოგიას. ამის შედეგად კი გამოდის, რომ ისეთი ურთულესი სოციალური ფენომენის ჩამოყალიბება, როგორიც არის

სამართალი, პრელოგიკური აზროვნების საფეხურს ემთხვევა! ეს, ცხადია, გვაიძულებს გ. ნასის პოზიციის ფუძისეულ სიმცდარეზე მივუთითოთ. თუმცა აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის აქტუალურ ასპექტში მისი ზემოწარმოდგენილი თვალსაზრისის მნიშვნელობა ნაკლებად მცირდება.

როდესაც ვეძიებთ სამართლებრივი ბრალის იდეას წინარეისტორიულ ხანაში, თვალშისაცემია ბრალის, პირობითად რომ ვთქვათ, სამოქალაქო-სამართლებრივი და არა სისხლისსამართლებრივი გაგებით არსებობა. პასუხისმგებლობის მთავარი კრიტერიუმი აქ ზიანია, რომელიც „ვნებს საერთო დინებას“.29 როგორც გ. ნასის შეხედულებათა ანალიზმა ცხადყო, პასუხისმგებლობის ხარისხს წინარეისტორიულ ხანაში საბოლოო ჯამში არ განსაზღვრავს ის, ჩადენილია ქმედება განზრახ, გაუფრთხილებლობით თუ სრულიად არაბრალეულად ან მოიპოვება თუ არა ქმედება საერთოდ. თავიდათავი დამდგარ საზიანო შედეგსა და ამ შედეგის გამომწვევი სუბიექტის პიროვნებას შორის *ყოვლად აბსტრაქტული კავშირის* დადგენაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალურ კაუზალობასთან. ბუნებრივია, მკაცრი პარალელი სამოქალაქოსამართლებრივ ბრალსა და ბრალის არქაულ კონცეფციას შორის ვერ გაივლება, მაგრამ გარკვეულ მსგავსებაზე უთუმცაოდ მიგვანიშნებს სამოქალაქო სამართალში ბრალის ფორმის ნულოვანი მნიშვნელობა პასუხისმგებლობის ზომასთან დამოკიდებულებაში.

ტალიონის პრინციპი

პერსონალური, ქმედების სუბიექტურ მხარეზე რამდენადმე ორიენტირებული ბრალეულობა არც ტალიონის პრინციპის შემოღებით მკვიდრდება, მაგრამ ეს უკვე მიზეზობრივი კავშირის საბოლოო და შედარებით სრულყოფილი სახით აღიარებაა. თუ ბრალის თვალსაზრისით, აღნიშნული პრინციპის განვრცობა არავის უცდია, ი. კანტმა ის სასჯელთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცლად განავითარა და მიემხრო კიდევაც მას. კანტი შენიშნავს: „... რა ზიანსაც აყენებ საზოგადოების სხვა წევრს, ისევე ზიანდები თავადაც. როდესაც ხელყოფ მის სიცოცხლის უფლებას, ხელიყოფა შენი სიცოცხლის უფლებაც; თუ დააპირებ სხვისი ღირსების შელახვას, უთუოდ შეილახება შენივე ღირსება... მხოლოდ ეს, მხოლოდ *ius talionis* თუ განსაზღვრავს სასჯელს მისაღებად“.30 უნდა შეინიშნოს, რომ კანტი აბსოლუტურად არ ცდილობს განასხვავოს ერთმანეთისაგან შურისგებისა და ტალიონის პრინციპები, მაშინ როდესაც ეს ორი ძირეულად ურთიერთგანსხვავებული ცნებაა. პირველ შემთხვევაში დანაშაულებრივად მიჩნეულ ქმედებას შეიძლება დაუკავშირდეს ისეთი სამართლებრივი შედეგებიც, რომლებიც ცნობენ დანაშაულის სუბიექტს როგორც პიროვნებას, როგორც გარკვეულ ინდივიდუალურ თვისებათა მატარებელს, ხოლო, ტალიონის პრინციპის შესაბამისად, ის განიხილება „უფრო სხეულებრივ, ფიზიკურ, ვიდრე გონებრივ არსებად“.31

ჰეგელი წერდა: „ბრალის გარეშე დასჯა ნიშნავს, რომ მსჯავრდებულს მოვეპყროთ არა როგორც გონიერ ქმნილებას, არა როგორც ადამიანს, არამედ მივიჩნიოთ ის ქვეადამიანად, მავნე ცხოველად, რომელიც უნდა უვნებელვყოთ მის მიმართ დაშინების თუ გამოსწორების ზომათა მიღებით“.32 ტალიონის პრინციპი ჰეგელის ამ შეუმცდარ გამონათქვამთან დიამეტრულად არის დაპირისპირებული, მისი აღმოცენებით ბრალი როგორც „სუბიექტური” შინაარსის მომცველი ცნება სასჯელის არამცთუ აუცილებელ, ფაკულტატიურ საფუძვლადაც კი არ განვითარებულა, აქ კვლავაც განაგრძობს თავის უპირობო დომინირებას ქმედების ობიექტური მხარე. ამის კვალობაზე, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ტალიონის შინაარსი უკიდურესი პრიმიტივიზმით გამოირჩევა. მისი ერთადერთი თეორიული ღირსება კი კაუზალური კავშირის პრიორიტირებაა.

ამავე დროს, ყოველივე ეს არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს კანტი, ემხრობა რა ტალიონის პრინციპს, დასაშვებად მიიჩნევდეს სასჯელს ბრალის გარეშე. რა თქმა უნდა, კანტი ობიექტური შერაცხვის კატეგორიული წინააღმდეგია და ტალიონის პრინციპსაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან განუყოფელ კავშირში მიმოიხილავს. სხვა საკითხია ის, თუ რატომ არის მიუღებელი ტალიონის პრინციპი ამ შემთხვევაშიც. კანტის პოზიციიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება თანამედროვე სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური ცნების უარყოფა, როგორიც არის სასჯელის ინდივიდუალიზაცია. სასჯელის ინდივიდუალიზაციის უარყოფა კი, თავის მხრივ, ნიშნავს ბრალის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ცნების უარყოფას, ბრალეულად მოქმედი სუბიექტის პიროვნების სრულ გაუთვალისწინებლობასა და დანაშაულში მისი კონკრეტული როლის იგნორირებას (ე. ი. იმის უგულებელყოფას, მოცემული სუბიექტი მხოლოდ წამქეზებელი ან დამხმარე, თუ ორგანიზატორი ან ამსრულებელი იყო); გარდა ამისა, არც ის მიიღება მხედველობაში, თუ რა მიზანი ამოძრავებდა დამნაშავეს (იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც მოცემულია მიზნით დაფუძნებული დელიქტი) და რა მოტივით იყო ჩადენილი დანაშაული. ამასთანავე, უმთავრესი განსახილველ ასპექტში არის ის, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის უარყოფის შემთხვევაში გაურკვეველი ხდება, თუ რა აზრს იძენს ბრალის ცნების ცალკეულ სახეებად და ქვესახეებად დაყოფა, უფრო ზუსტად, ბრალი ასეთ შემთხვევაში არ უნდა განიყოფოდეს განზრახვად და გაუფრთხილებლობად.

შესაბამისად, კანტის შეხედულებას მივყავართ არა მხოლოდ სასჯელის უკიდურესად პრიმიტივისტულ ცნებამდე, არამედ აგრეთვე ბრალის ცნების უკიდურეს პრიმიტივიზირებამდეც. შებრუნებით რომ ვთქვათ, აქ ბრალის ზოგადი მნიშვნელობით დადგენას სასჯელის ამა თუ იმ სახის თვითგანსაზღვრა მოსდევს.

მართალია, თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, ყოვლად წარმოუდგენელია ბრალის დასაბუთება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის უარყოფის შემთხვევაში (თვით

ფინალური მოძღვრების ფარგლებშიც კი, რომელსაც განზრახვა და გაუფრთხილებლობა საერთოდ გააქვს ბრალის სფეროდან, პირის ბრალეულობაზე საუბარი არ დაიშვება ამ სუბიექტურ ელემენტთა დაუდგენლად), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბრალის დასაბუთების შესაძლებლობა აქ თეორიულად გამორიცხულია. ამიტომ, კანტის კონცეფციიდან გამომდინარე უკანასკნელ დასკვნას სისხლისსამართლებრივად ირეალურს ვერ ვუწოდებთ. მისი მიუღებლობის მიზეზი არსებითად სხვა გარემოებაში მდგომარეობს, რაც თავისდათავად აშკარავდება, თუ კანტის პოზიციის შემდგომ კონკრეტიზებას შევეცდებით.

უარიყოფა რა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები, გამოდის, რომ პირი ერთნაირად დაისჯება იმისდა მიუხედავად, მოქმედებდა ის პირდაპირი განზრახვით თუ მხოლოდ დაუდევრობით, ე. ი., ტრადიციული გაგებით, წარმოდგენილი იყო ბრალის უმაღლესი თუ უდაბლესი ხარისხი. ამდენად, კანტთან ბრალის სისტემატიკური როლი სასჯელის დაფუძნებით ამოიწურება, რა დროსაც საზიანო შედეგზე მასთან თანაბრად არის დამოკიდებული პასუხისმგებლობის დაფუძნებაც და პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრაც. ლოგიკურად გაუგებარი კი სწორედ ის არის, თუ რით შეიძლება აიხსნას ერთსა და იმავე დროს სუბიექტურ და ობიქტურ ასპექტთა აბსოლუტური ეკვივალენტურობა სასჯელის დაფუძნებასთან მიმართებაში და სუბიექტური ასპექტის სრული იგნორირება ობიექტურის აბსოლუტირების შედეგად სასჯელის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრალი და ტალიონის პრინციპი სისხლის სამართალში ფორმალურ-ლოგიკურად ურთიერთშეუთავსებელი კატეგორიებია. ის, რომ სამოქალაქო სამართალში ბრალი, საზიანო შედეგთან ერთად, აფუძნებს რა პასუხისმგებლობას, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, არავითარ ზეგავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობის ზომაზე, გასაგებიცაა, რამეთუ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზანს კრედიტორის დარღვეულ ქონებრივ უფლებათა აღდგენა შეადგენს.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ჰეგელის შეხედულებებსაც სასჯელზე საბოლოო ჯამში ტალიონის პრინციპის აღიარებამდე მივყავართ. ასე მაგალითად, თანამედროვე რუსი კრიმინალისტი ა. ი. ჩუჩაევი აღნიშნავს: „ჰეგელის მიხედვით, სასჯელი არის განაჩენი, რომელიც დამნაშავეს თავად გამოაქვს თავისთვის... ჰეგელთან ეს თეორია წარმოადგენს არქაული *ius talionis*-ის სპეკულაციურ საფარველს, რომელიც კანტმა განავითარა როგორც სასჯელის შესახებ ერთადერთი სამართლებრივი თეორია.”33 მაგრამ როგორ დაიშვება ჰეგელის აღნიშნული კონცეფციის კანტის სასჯელის თეორიის სპეკულაციურ საფარველად მიჩნევა, როდესაც ჰეგელისა და კანტის თვალთახედვათა არსი პრინციპულად ურთიერთგანსხვავებულ გარემოებებში მდგომარეობს? ჰეგელის პოზიციის მიხედვით, სუბიექტი, სჩადის რა განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ბრალეულად, თავად ქმნის სასჯელის

გამოყენების საფუძველს, რაც უდავოდ ასეც არის. მაგრამ აქედან ჯერ არამც და არამც არ გამომდინარეობს ის, რომ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში არ უნდა მიიღებოდეს ქმედების სუბიექტური მახასიათებლები ანუ ერთადერთ კრიტერიუმად განიხილებოდეს საზიანო შედეგი, როგორც ამას ტალიონის პრინციპის შემთხვევაში აქვს ადგილი. ამიტომაც აშკარაა თვით ა. ი. ჩუჩაევის მიერ მოტანილი შედარების სპეკულაციურობა.

როგორც ცნობილია, სწორედ ტალიონის პრინციპის დამკვიდრებას მოჰყვა ჯალათის ინსტიტუტის წარმოქმნა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას თვით მოწინავე სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაშიც კი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართალი, გარდა სიკვდილით დასჯისა, სხეულებრივი სასჯელის მრავალ სხვა სახესაც აღიარებს. რასაკვირველია, თანამედროვე საზოგადოებაში მკვლელობა და სხეულის დასახიჩრება არ შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიას, ლეგალურ საქმიანობას და ამიტომაც უკვე შეუქცევადად იკვეთება ხსენებული ინსტიტუტის გაუქმების ტენდენცია, მაგრამ იმჟამად მისი წარმოქმნა, როგორც ტალიონის პრინციპის ჩამოყალიბების შედეგი, უდავოდ გარკვეულ პროგრესს ასახავდა, ზოგადად პასუხისმგებლობის იდეის განვითარების თვალსაზრისით.

ტალიონის პრინციპის ჩამოყალიბებამდეც და ამ პრინციპის მოქმედების მთელ მანძილზეც პასუხისმგებლობის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს დამდგარი საზიანო შედეგი განასახიერებს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ თუ პირველ შემთხვევაში ამოსავალ მომენტად მიჩნეულია *ზოგადად* სუბიექტსა და მავნე შედეგს შორის ყოვლად *აბსტრაქტული* მიზეზობრივი კავშირის არსებობა, უკანასკნელ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას *კონკრეტულად* ქმედებასა და საზიანო შედეგს შორის *რეალური* მიზეზობრივი კავშირის მოცემულობა იძენს. ერთი შეხედვით, ტალიონის პრინციპის შესაბამისად, საუბარი უნდა იყოს (თუმც ობიექტურად გაგებული) ქმედების სისტემატიკურ პრიორიტეტულობაზე, რადგან, როგორც ვიხილეთ, პასუხისმგებლობა აქ შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ პირობით, თუ საზიანო შედეგი გამომდინარეა სუბიექტის განსაზღვრული გარეგანი ქცევიდან. მაგრამ რეალურად ქმედებას მოცემულ შემთხვევაში არ მოეპოვება შედეგისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაც გარკვევით აისახება იმაში, რომ ქმედებას შედეგის გარეშე არ ძალუძს პასუხისმგებლობის გამოწვევა. და ამის მიზეზად უმთავრესად წარმოგვიდგება არა ის, რომ პასუხისმგებლობა შედეგის გარეშე ვერ უთავსდება ტალიონის პრინციპს, არამედ ის, რომ ქმედების ცნება წარმოდგენილია ცალსახად ობიექტური გაგებით ანუ მარტოოდენ როგორც გარეგანი ქცევა. *ქმედების პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძვლად მოაზრება შესაძლებელი გახადა მხოლოდ სუბიექტურ ელემენტთა მნიშვნელობის აღიარებამ*. ასე მაგალითად, თანამედროვე სისხლის სამართალში პირი ვერ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის

(ე. ი. საკუთრივ ქმედებისათვის), როდესაც გაურკვეველია, თუ რა მიზანი ახლდა მის მიერ ობიექტურად განხორციელებულ ქცევას. აქედანვე თვალნათლივ გამომდინარეობს ისიც, რომ ქმედების მკაცრად ობიექტური მნიშვნელობით აღქმა გვაიძულებს ვცნოთ ქმედების ტოტალური ქვემდებარეობა შედეგის ცნებისადმი.

ინდივიდუალური ბრალის იდეა

მართალია, ტალიონის პრინციპის დამკვიდრებამდე არ გამოიყოფოდა რეალური მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მხოლოდ ამის შემდგომ ყოფილიყო შესაძლებელი ინდივიდუალური ბრალის იდეის წარმოქმნა. ერთი მხრივ, ბრალის იდეა ამ სახით აქტიურად ვითარდებოდა ტალიონის პრინციპის ჩამოყალიბებამდეც, ხოლო, მეორე მხრივ, ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც, მიუხედავად კაუზალობის მართებული გაგებისა, პასუხისმგებლობის საფუძველს ინდივიდუალური ბრალი არ წარმოადგენდა.

ძველ საბერძნეთში ინდივიდუალური ბრალის იდეა შესაძლო ორი ფორმიდან ვერც ერთში პოვებს თავის გამოვლინებას.34 ამ მიმართებით ხაზი უნდა გაესვას ძველი ეგვიპტის სამართლებრივი აზრის დაწინაურებას. მაგრამ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა არა ეგზისტენციალური ინდივიდუალური ბრალი, არამედ მხოლოდ რელიგიური. ეგზისტენციალურ და რელიგიურ მხარეთა უნიფიცირებას ადგილი აქვს მხოლოდ შუმერებთან. ამასთანავე, არ უნდა იყოს საკვირველი, რომ მოგვიანებით ბაბილონელთა ჰამურაბის კოდექსი ვერ ავითარებს ბრალს თვითკმარ სოციალურ ფენომენად. საერთო-საზოგადოებრივ ცნობიერებაში მითოლოგიური აზროვნების ბატონობა არ ქმნიდა ამის განხორციელების სათანადო პირობებს.

გარდა ამისა, არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს ინდივიდუალური ბრალი თავს მხოლოდ ადრეულსამართლებრივ ეტაპზე იჩენს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური ბრალის იდეა არც ბრალის ცნების განვითარების წინარესამართლებრივი ეტაპისთვის არის უცხო, თუმც ის აქ მარტოოდენ ეპიზოდურად ვლინდება.

ამავე დროს, მოცემული თვალსაზრისით, უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში იმ გარემოებას, რომ წინარესამართლებრივ ხანაში ინდივიდუალური ბრალის ჯეროვანი განვითარების მოუცემლობა სრულ კანონზომიერებას შეადგენს. გვაროვნული წყობილების პირობებში ინდივიდი განუყოფლად ერწყმოდა თავის გვარს და, ამდენად, მის მიერ განხორციელებული საზიანო ქმედებაც ვერ აღიქმებოდა როგორც საკუთრივ მისი, არამედ ის უნდა შერაცხოდა შესაბამის გვარს ზოგადად. რასაკვირველია, ხშირად სუბიექტს თავისი ქმედებით შეეძლო ზიანი მიეყენებინა აგრეთვე იმავე გვარის წარმომადგენლის ინტერესებისთვის, რომელსაც ის თავადვე განეკუთვნებოდა, და ამჯერად ინდივიდს

უშუალოდ უნდა ეგო პასუხი მის მიერ გამოწვეული შედეგისათვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში აქ ბრალი საერთოდ არ შეადგენდა განხილვის საგანს, რადგან გვარი ნათესავთა ჯგუფს წარმოადგენდა.

პრინციპულად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ადრეულ-სამართლებრივ ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაცია — სახელმწიფო, რომელიც არსებული კანონების ფარგლებში იცავს თითოეულს ყველასაგან და ყველას თითოეულისაგან (თუმცაღა აქვე უნდა გაესვას ხაზი ადრეულსამართლებრივი საზოგადოების იმ თავისებურებას, რომ მის წევრთა უმეტესობა, იმყოფებოდა რა შედარებით მცირერიცხოვანი გაბატონებული სოცილური ფენის აბსოლუტურ მორჩილებაში, სრულიად იყო მოკლებული სამართლის სუბიექტის სტატუსს, ამ პირველთ ფაქტობრივად არც კი აღიარებდნენ როგორც საზოგადოების წევრებს, როგორც ინდივიდებს). ხსენებული პრინციპის შედეგად უკვე გარკვევით ისახება ინდივიდის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბების ტენდენცია, რაც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ბრალის მასშტაბური განვითარების აუცილებელ წინაპირობად გვევლინება. მაგრამ, ამასთანავე, ვერ ვიტყვით, რომ მოცემული გარემოება საკმარისი იყო ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტირებისათვის, რამეთუ სუბიექტის, მკაცრად რომ ვთქვათ, ინდივიდად აღიარება ჯერ კიდევ აუცილებლობით როდი მოასწავებდა ძირითადი აქცენტის მის პიროვნულობაზე გადატანას და ეს განსახილველ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. კონკრეტულად კი, პირველი მომენტი, განსხვავებით უკანასკნელისაგან, ჯერ სულაც არ ქმნის დაუშვებელს ობიექტურ შერაცხვას როგორც ასეთს. მართალია, სუბიექტის პიროვნულობაზე ძირითადი აქცენტის გადატანის შემდეგაც ხშირი იყო ობიექტური შერაცხვის შემთხვევები, მაგრამ ეს არ უნდა გვაიძულებდეს უკანასკნელი მტკიცების უარყოფას, რადგან დაუშვებელი ნიშნავს მხოლოდ ალოგიკურს, არათანამიმდევრულს, მიუღებელს და არა რეალურად არარსებულს, ობიექტურად განუხორციელებადს და ა. შ. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, შუა საუკუნეების კანონიკურმა სამართალმაც კი, სადაც სუბიექტურ მხარეს უკვე არამცთუ სათანადო, არამედ გადაჭარბებული მნიშვნელობაც ენიჭებოდა, საბოლოოდ ვერ დააღწია თავი ობიექტურ შერაცხვას.

მაგრამ რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს უშუალოდ წინარესამართლებრივ ეტაპთან მიმართებაში? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გ. ნასი მცდარად არ მიიჩნევს მაგიურ წარმოდგენებს რელიგიური წარმოდგენების ნაირსახეობად მისი ზემოწარმოდგენილი შეხედულებიდან იმის შესახებ, რომ ბრალის იდეა თავის დასაბამს მაგიურ საფეხურზე პოვებს, ხოლო შემდგომი განვითარების ეტაპს მითოლოგია შეადგენს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს, ერთი მხრივ, ბრალის იდეის აღმოცენება რელიგიის წარმოქმნის შედეგია და, მეორე მხრივ, მისი

საწყისი განვითარებაც ზედმიწევნით ემთხვევა რელიგიური აზრის განვითარებას.

სინამდვილეში კი ყოველივე არსებითად სხვაგვარად გამოიყურება. ბრალის იდეის წარმოქმნას საფუძვლად დაედო არა რელიგიის, არამედ ზოგადად თეორიული აზროვნების ჩამოყალიბება. და თუ ბრალის იდეის აღმოცენება მართლაც ემთხვევა რელიგიის წარმოქმნას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს ემთხვევა, თავის მხრივ, რელიგიისა და თეორიული აზროვნების ჩამოყალიბება. ამავე დროს, მოცემული მტკიცება არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს რელიგიის წარმოქმნა და თეორიული აზროვნების ჩამოყალიბება ორ ურთიერთდამოუკიდებელ პროცესს განასახიერებდეს. ვგონებთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ რელიგიის წარმოქმნა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ინდივიდის ინტერესის სფეროში ობიექტური სინამდვილის საგნებსა და პროცესებში ზოგადის, არსებითისა და კანონზომიერის კვლევა-ძიება მოექცა. აქედან გამომდინარე, რელიგია ლოგიკურად მოუსაზრებელია თეორიული აზროვნების გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ რელიგია თეორიული აზროვნების ნაყოფია.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, რომ თეორიული აზროვნების ფორმირებას მხოლოდ რელიგიის წარმოქმნა მოსდევს. ამ პირველს ასევე განუყოფლად უკავშირდება ზნეობისა და მასთან ერთად ზნეობრივი ბრალის აღმოცენებაც. იქ, სადაც მოიპოვება თეორიული აზროვნება, დაუშვებელია, რომ არ მოიპოვებოდეს აგრეთვე ზნეობა, ვინაიდან თეორიული აზროვნებით აღჭურვილი საზოგადოება კატეგორიულად ვერ შეურიგდებოდა ინდივიდთაშორისი ურთიერთობების სპონტანურობას, ამ ურთიერთობათა გარკვეული მომწესრიგებელი მასშტაბის განუსაზღვრელობას და თავდაპირველად ამის შედეგი, ბუნებრივია, შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნულ ურთიერთობათა რეგულირების მხოლოდ ისეთი პრიმიტიული მექანიზმი, როგორიც არის ზნეობა. ეს კი რელიგიური ბრალისა და ზნეობრივი ბრალის ჩამოყალიბების პარალელურობაზე მიგვითითებს.

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ *ბრალის იდეის პირველწყაროს შეადგენს არა რელიგიის ან ზნეობის წარმოქმნა, არამედ ის ზოგადი, რასაც რელიგიისა და ზნეობის წარმოქმნა ეფუძნება, ანუ თეორიული აზროვნება.*

სხვა საკითხია ის, რომ ბრალის იდეა ვერ იქნებოდა თეორიული აზროვნების უშუალო ნაყოფი. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ფენომენს, ბრალის იდეასაც აქვს გამოვლინების სფერო. ამიტომაც თეორიული აზროვნების შედეგად ბრალის იდეა შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმ სფეროს (სფეროთა) ფარგლებში, რომელშიც ბრალი მოიცავდა განსაზღვრულ ფუნქციას, სპეციფიკურ სოციალურ დატვირთვას, და არა თავისდათავად, არა ნებისმიერ სფეროსთან მექანიკურ კავშირში.

ასე მაგალითად, ბრალის იდეა ვერასოდეს ჩამოყალიბდებოდა ხელოვნების, ტექნიკის ან სხვა გარკვეული დარგის ფარგლებში, სადაც სუბიექტური ქცევა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს საერთოდ არ წარმოადგენს. რელიგიასა და ზნეობაში კი სუბიექტური ქცევა სწორედ რომ განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია, რადგან ზნეობაც და საბოლოო ჯამში რელიგიაც ინდივიდთა შორის ურთიერთობათა (შეგნებული) რეგულირების მექანიზმია და ინდივიდთაშორისი ურთიერთობების (შეგნებული) რეგულირება მხოლოდ ინდივიდთა ქმედებებზე (ანუ, თუ ვიტყვით ზოგადად, სუბიექტურ ქცევაზე) ზემოქმედების შედეგად არის შესაძლებელი.

<u>თეორიული აზროვნება:</u> მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება არ დავაზუსტოთ, რომ რელიგიის წარმოქმნა, ზნეობის წარმოქმნისაგან განსხვავებით, ხსენებულ ურთიერთობათა მოწესრიგების საჭიროებით არ ყოფილა პირობადებული (ხოლო იმაზე, თუ რა განაპირობებდა რელიგიის წარმოქმნას, ჩვენ ზემოთ გარკვევით მივუთითეთ); ამიტომ ინდივიდთაშორის ურთიერთობათა მოწესრიგება ადრეულ რელიგიათა მხოლოდ ირიბ დანიშნულებად უნდა აღვიქვათ.

გარდა ამისა, რელიგიური აზრის განვითარების საწყის ეტაპზე, ე. ი. როდესაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაბატონებული იყო მაგიური აზროვნება, რელიგიით რეგულირებად ურთიერთობათა წრე უაღრესი სიმცირით გამოირჩეოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უდიდეს ნაწილზე რელიგია არანაირ მომწესრიგებელ ზეგავლენას არ ახდენდა. აღნიშნულ ურთიერთობათა მასშტაბურ მოწესრიგებულობას მხოლოდ ზნეობის შემთხვევაში აქვს ადგილი.

მაგრამ განსახილველ კონტექსტში უმთავრესი არის ის, რომ რელიგიაც ზნეობასთან ერთად განასახიერებდა სწორედ იმ სპეციფიკურ სფეროს, რომელშიც შესაძლებელი ხდებოდა ბრალის იდეის ჩამოყალიბება. ამასთანავე, როგორც აქედანვე გამომდინარეობს, რელიგიაც და ზნეობაც შეადგენდა ბრალის იდეის ჩამოყალიბების მარტოოდენ პირობას, რისგან მოცემულ შემთხვევაში არსებითად განსხვავდებოდა თეორიული აზროვნება როგორც ბრალის იდეის ჩამოყალიბების მიზეზი.

მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადად, ხოლო თუ შევეცდებით ბრალის იდეის ჩამოყალიბების პროცესის დეტალიზებას, მრავალ სხვა მნიშვნელოვან გარემოებასაც აღმოვაჩენთ. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბრალის იდეის აღმოცენება უშუალოდ უკავშირდება ინდივიდთაშორის ურთიერთობათა შეგნებული, არაინსტინქტური რეგულირების დამკვიდრებას. უფრო ზუსტად, ბრალის იდეის წარმოქმნა მხოლოდ იმის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ ინდივიდუუმებს გაუჩნდათ მათ შორის არსებულ ურთიერთობათა შეგნებული რეგულირების მოთხოვნილება.

ინდივიდთაშორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სუბიექტურ ქმედებათა გარეგანი მართვისა და ამ მიზნით მათი შეფასების აუცილებლობას, რის

კვალობაზეც ყალიბდება ამ უკანასკნელთა შემდეგი სახეები: პოზიტიური (გენერალურად სასარგებლო), ნეგატიური (გენერალურად საზიანო) და ორდინარული (გენერალურად ნეიტრალური). ხოლო აქ თავისდათავად წარმოიშობა პირველი სახის ქმედებათა სტიმულირებისა და ნეგატიურ ქმედებათა პრევენტირების მექანიზმის არსებობის საჭიროება, რისი უშუალო შედეგიც, ერთი მხრივ, წახალისების და, მეორე მხრივ, ბრალეული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაა.

მაგრამ რატომ არის შეუძლებელი (ინდივიდთაშორის ურთიერთობათა) შეგნებული რეგულირება ბრალეული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების გარეშე და პირიქით, რა განაპირობებს ბრალეული პასუხისმგებლობის წარმოქმნას მხოლოდ შეგნებული რეგულირების პირობებში?

შეგნებული რეგულირება ბრალეული პასუხისმგებლობის გარეშე გულისხმობს შეგნებულ რეგულირებას ობიექტურ შერაცხვასთან კავშირში. ობიექტური შერაცხვის დროს კი სუბიექტს შესაძლებელია პასუხი მოეთხოვოს ამა თუ იმ საზიანო შედეგის დადგომისათვის, მაშინ როდესაც ეს შედეგი გამოწვეულია სუბიექტის ისეთი ქცევით, რომელსაც ის ფსიქოლოგიურად ვერ აკონტროლებდა საერთოდ. ხოლო აქედან გამომდინარე, ობიექტური შერაცხვა ითვალისწინებს ინდივიდის დასჯას ისეთ ვითარებაშიც, როდესაც საზიანო შედეგის განხორციელება ოდნავაც არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებაზე. მაგრამ თუ სუბიექტს არ ძალუძს ზეიმოქმედოს საზიანო შედეგის დადგომის პროცესზე, ე. ი. თუ ის არ იმყოფება საზიანო შედეგთან „ნებელობით კავშირში", რა აზრს იძენს მოცემული პირის დასჯა სუბიექტურ ქმედებათა გარეგანი მართვისა და, შესაბამისად, ინდივიდთა შორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირების თვალსაზრისით? ცხადია, აქ საქმე გვაქვს სრულ უსაგნობასთან, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფრთხეს (სისხლის სამართლის ენაზე რომ ვთქვათ, სასჯელით დამუქრებადობას) არ შეუძლია რაიმე ზეგავლენა მოახდინოს სუბიექტური ქცევის ხასიათზე. სუბიექტური ქცევა, რომელიც არ ექვემდებარება შინაგან მართვას, არ შეიძლება იყოს გარეგანად მართვადი. და იქ, სადაც ვერ მიიღწევა სუბიექტურ ქმედებათა გარეგანი მართვა, ადგილი ვერ ექნება ინდივიდთა შორის ურთიერთობათა შეგნებულ რეგულირებას.

აქედან გამომდინარე, ობიექტური შერაცხვა ინდივიდთაშორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირების მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ამის საპირისპიროდ, ბრალეული პასუხისმგებლობის დროს პრინციპულად სხვა სახის ტენდენცია იკვეთება. ბრალი მიგვითითებს იმაზე, რომ სუბიექტს შეეძლო ემოქმედა სხვაგვარად, რომ ის ფლობდა თავისი ქცევის საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართვის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში კი, სუბიექტური ქცევა სავსებით შეიძლება ექვემდებარებოდეს გარეგან მართვას, ვინაიდან პასუხისმგებლობის საფრთხე აქ რეალურად იძენს თავის პრევენციულ ფუნქციას.

მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, ინდივიდთაშორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირების აუცილებელი წინაპირობაა.*

ამავე დროს, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ შეგნებული რეგულირების შემთხვევაში ხშირად იჩენდა თავს ობიექტური შერაცხვა. მაგრამ ეს, ბუნებრივია, სულაც არ მოწმობს შეგნებულ რეგულირებასთან ობიექტური შერაცხვის შეთავსებადობას. შეგნებული რეგულირების პირობებში ობიექტური შერაცხვის გამოვლინება შეიძლება აიხსნას მხოლოდ როგორც ამ პირველის ამოსავალი პრინციპის უხეში ხელყოფა, რომელიც (საუბარია ხსენებულ პრინციპზე) მდგომარეობს იმაში, რომ პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უმთავრეს დანიშნულებას უნდა შეადგენდეს არა საკუთრივ საზიანო შედეგისთვის დასჯა, არამედ საზიანო შედეგის თავიდან აცილება. იმის თვალსაჩინო დასტურად, რომ ობიექტური შერაცხვა სრულიად შეუთავსებელია მოცემულ პრინციპთან, ჩვენ ზემოაღნიშნულ მომენტებთან ერთად გამოვყოფდით აგრეთვე იმასაც, რომ ობიექტური შერაცხვის დროს პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობათაგანს სუბიექტური ქცევის, როგორც ასეთის, მოცემულობა არ წარმოადგენს! ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ ისეთ ვითარებაში, სადაც სუბიექტური ქცევა არანაირ დაინტერესებას არ იწვევს, პრევენციულობა, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, არ შეიძლება განიხილებოდეს არამც თუ უმთავრეს, არამედ საერთოდ რამდენადმე მნიშვნელოვან მომენტად. აქ პასუხისმგებლობის ერთადერთ მიზანს რეპრესია განასახიერებს ანუ ობიექტური შერაცხვისას „დამნაშავის" დასჯა თვითმიზანია.

ამავე დროს, მოცემული ანალიზი იმის შესახებ, თუ რატომ არის შეუძლებელი ინდივიდთაშორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირება ბრალეული პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში, უკვე თვითონვე შეიცავს მნიშვნელოვან მითითებებს იმაზეც, თუ რა მიზეზით ვერ მოიაზრება ბრალეული პასუხისმგებლობა შეგნებული რეგულირების ფარგლებს მიღმა ანუ იმაზე, თუ რა აფერხებდა ბრალის იდეის ჩამოყალიბებას შეგნებული რეგულირების აღმოცენებამდე ბევრად უფრო ადრე. როგორც ზემოთ ვიხილეთ, მხოლოდ შეგნებული რეგულირების დროს გადაიტანება ძირითადი აქცენტი სუბიექტური ქცევით გამოწვეული საზიანო შედეგიდან საზიანო შედეგის გამომწვევ სუბიექტურ ქცევაზე. ხოლო რადგან ბრალეულობის შესახებ მსჯელობა შესაძლოა უკავშირდებოდეს მარტოოდენ სუბიექტური ქცევის სფეროს, გასაგებია, რომ სუბიექტურ ქცევაზე ძირითადი აქცენტის გადატანამდე, ე. ი. შეგნებული რეგულირების წარმოქმნამდე, არ მოიპოვებოდა ბრალეული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ლოგიკური საფუძველი. ამიტომაც, ბრალეული პასუხისმგებლობისა და შეგნებული რეგულირების ურთიერთგანუყოფლობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თეორიული აზროვნება აუცილებელს ქმნიდა ბრალის

იდეის ჩამოყალიბებას. უფრო მეტიც, თუ ბოლომდე გავყვებით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ლოგიკას, აღმოჩნდება, რომ ამჟამადაც ბრალისა და ბრალეული პასუხისმგებლობის არსებობა წარმოადგენს არა უბრალოდ სამართლიანობის მოთხოვნას, არამედ სისხლისსამართლებრივი პრევენციის ქვაკუთხედს, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობათა შეგნებული მართვის აუცილებელ წინაპირობას.

§2. არისტოტელეს მოძღვრება შერაცხვისა და ბრალის იდეის შესახებ

როგორც რ. ლოენინგი აღნიშნავს, არისტოტელე პირველია, ვინც პირდაპირ აყენებს საკითხს იმის თაობაზე, თუ რატომ და რა პირობებში უნდა შეერაცხოს ინდივიდს თავისი საზიანო ქცევა, მაგრამ, რ. ლოენინგის თქმითვე, არისტოტელე შერაცხვის პრობლემას განიხილავს უფრო ეთიკის, ვიდრე სამართლის პოზიციიდან35.

აღსანიშნავია, რომ არისტოტელეს შეხედელუბები შერაცხვაზე საკმაოდ ღრმად არის გამოკვლეული ამ გერმანელი კრიმინალისტის ზემომითითებულ ნაშრომში, სადაც ამ თვალსაზრისით სხვა არაერთი საგულისხმო მტკიცებაც მოიპოვება. მაგალითად, რ. ლოენინგის დასკვნის თანახმად, არისტოტელეს შერაცხვის შესახებ მოძღვრების ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ის შესარაცხად განიხილავს მხოლოდ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად უკავშირდება სუბიექტის „ზნეობრივ განწყობას“ (der sittliche Habitus).

„ზნეობრივი განწყობის პრინციპი, – შენიშნავს არისტოტელე, – ძევს თვით ინდივიდის შინაგან სამყაროში. დადებით ან უარყოფით შეფასებას იმსახურებს სუბიექტური მოქმედება მაშინ, თუ ის მომდინარეობს ინდივიდუალური ნატურის სიღრმიდან და უშუალოდ არის დაკავშირებული სუბიექტის ნებასთან, რა დროსაც არანებაყოფლობითი მოქმედებანი, რომელთა პრინციპიც ინდივიდის მიღმა თავსდება, იმსახურებენ ზოგჯერ მხოლოდ მიტევებას, ზოგჯერ კი თანაგრძნობასაც, მაგრამ არა უარყოფით თუ დადებით შეფასებას“36.

ამდენად, არისტოტელე „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპზე დაყრდნობით ასკვნის, რომ არანებაყოფლობითი მოქმედება საერთოდ არ შეიძლება შეფასდეს არც უარყოფითად და არც დადებითად, რადგან ამ შემთხვევაში არ არის მოცემული არავითარი კავშირი სუბიექტის გარეგან ქცევასა და მის „ზნეობრივ განწყობას“ შორის.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ „ზნეობრივი განწყობა“ და სუბიექტური ნება აქ განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართალში ამჟამად მიღებული შესაბამისი შეხედულება დიდად არ განსხვავდება არისტოტელეს ზემოციტირებული მოსაზრებისაგან.

მაგრამ დიფერენცირების საფუძველი მაინც არსებობს. სისხლის სამართალში სუბიექტური ქცევა ტრადიციულად იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებად და ამიტომ, ვიდრე ის შეფასდებოდეს ერთიანად როგორც დანაშაულებრივი, უცილობლად უნდა შეიქმნას ორი სხვადასხვა სახის შეფასების ობიექტი თავის ამ ცალკეულ მხარეთა მიხედვით.

უკეთ რომ ვთქვათ, ქმედების დანაშაულებრივად შეფასებას წინ უსწრებს მისი როგორც მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად შეფასება. თუ მართლწინააღმდეგობის საფეხურზე ნორმატიული შეფასება ეფუძნება ქმედების ობიექტურ მხარეს, ბრალის შემთხვევაში შეფასებას ქმედების სუბიექტური ელემენტები ექვემდებარება. ყოველი არანებაყოფლობითი ქმედება კი (რეფლექსური მოძრაობა თუ ქცევა, განხორციელებული გარეგანი იძულების შედეგად) მართლწინააღმდეგობის სფეროს არ სცილდება, ე. ი. ის, ვერ იგუებს სუბიექტურ შეფასებას და შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ობიექტურად.

ასე რომ, არანებაყოფლობითი ქცევის დროსაც შეფასება, როგორც ასეთი, მოცემულია, მაგრამ, სხვა მხრივ, ეს სუბიექტური შეფასება არ არის, რაც ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან ამის შედეგად ქმედების ზემოწარმოდგენილი სახე ერთიანად ვერ შეფასდება ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად. ის, რომ კონკრეტული არანებაყოფლობითი ქცევა მართლსაწინააღმდეგოა, ნიშნავს მის არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ ობიექტურად უარყოფით შეფასებას. ამიტომაც ქცევის არანებაყოფლობითობა თანამედროვე სისხლის სამართალშიც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს ქცევის, როგორც მთლიანის, უარყოფითად ან დადებითად შეფასებას.

შესაბამისად, სხვაობა არისტოტელეს აღნიშნულ თეზისსა და ამჟამინდელ დოგმატიკაში არსებულ სათანადო თვალთახედვას შორის წმინდად ფორმალური ხასიათისაა.

მაგრამ „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპი სხვა მრავალ ყურადსაღებ მომენტზე მიგვითითებს და არა მხოლოდ ქცევის არანებაყოფლობითობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპის მიმართება უმოქმედობასა და გაუფრთხილებლობით ბრალთან.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ შეინიშნება ერთსულოვნება იმ საკითხში, გამორიცხავს თუ არა არისტოტელეს „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპი ნეგატიურ ქცევას (უმოქმედობას). რ. ლოენინგის აზრით, უმოქმედობა აქ უარყოფილად უნდა ჩავთვალოთ; ვ. ჰარდვიგის თანახმად კი, არისტოტელე სულაც არ უარყოფს ნეგატიურ ქცევას, იგი მხოლოდ აწყდება ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობებს მისი დასაბუთების პროცესში.

„რამდენდაც არისტოტელე ქმედითი ქცევიდან (das tätige Verhalten) ამოდის, – წერს რ. ლოენინგი, – „მასთან ძირითადი აქცენტი მიმართულია აქტუალურ ნებასა და მოქმედების ცნებაზე. უკვე ამიტომ უმოქმედობა

სრულ უმნიშვნელობად იქცევა. მაგრამ ამას სხვა მიზეზიც განაპირობებს, კერძოდ ის, რომ ამოსავალ დებულებაში არ არის დაშვებული ზნეობრივი ვალდებულების ცნება, – არისტოტელეს მიხედვით, არავინ არის ვალდებული სჩადიოდეს სიკეთეს“37. ჩვენ რ. ლოენინგის დასკვნა სავსებით ლოგიკური გვეჩვენება. საქმე ის არის, რომ უმოქმედობის დროს გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილება ვერც მის „ზნეობრივ განწყობასთან“ მოიყვანება კავშირში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ზნეობრივი განწყობის პრინციპი ძევს თვით ინდივიდის შინაგან სამყაროში“.

ამასთანავე, სუბიექტური ქცევა, თუ ის არ უკავშირდება სუბიექტის „ზნეობრივ განწყობას“, არისტოტელესთან ყოვლად გამორიცხავს ნებისმიერი სახის შეფასებით მსჯელობას და, ამდენად, ვერც ნორმატიული განხილვის საგნად გამოდგება. ამიტომაც არისტოტელეს მოძღვრებაში ნეგატიური ქცევა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არანებაყოფლობითი ქცევის კატეგორიალურ ეკვივალენტად წარმოგვიდგება. და ეს იმავდროულად რ. ლოენინგის პოზიციის მართებულობასაც მოწმობს.

პრინციპულად სხვაგვარ თვალთახედვას განავითარებს ვ. ჰარდვიგი. „ქცევის შესარაცხ სახეებს არისტოტელე პოზიტიურ ქცევასთან ერთად უმოქმედობასაც განაკუთვნებს, – ამტკიცებს ის, – რადგან უმოქმედობაც ისევე შეიძლება წარმოადგენდეს მასთან სუბიექტური ნების გამოხატულებას, როგორც მოქმედება. თუმც პოზიტიური ქცევა, როგორც ნების გარეგანი გამოვლინება, ყოველთვის მოიცავს კაუზალობას, მაგრამ შერაცხვის უშუალო საფუძველია არა ეს კაუზალობა, არამედ აქტუალური ნება, ნების განხორციელება, რომელიც განასახიერებს ზნეობრივი განწყობის დადებით ან უარყოფით თვისებათა მანიფესტირებას... ამავე დროს, რადგანაც არისტოტელესთვის უცხოა ვალდებულების ცნება, ვერ ვიტყვით, რომ ის სრულყოფილად აღიქვამს უმოქმედობის არსს სამართლებრივ ასპექტში“.38 ამგვარად, ვ. ჰარდვიგი მიუთითებს არა იმაზე, რომ არისტოტელე მცირედაც ვერ ასაბუთებს უმოქმედობას სამართლებრივი გაგებით, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ის არასრულყოფილად გადმოგვცემს უმოქმედობის სამართლებრივი ცნების არსს (ვ. ჰარდვიგი შემდგომ გვიკონკრეტებს, რომ არისტოტელე უარყოფს მხოლოდ გაუფრთხილებელობით უმოქმედობას და არა უმოქმედობას ზოგადად).

რაში მდგომარეობს ვ. ჰარდვიგის მიერ დაშვებული უზუსტობა? ის სავსებით მართალია, როცა ამტკიცებს, რომ არისტოტელესთან უმოქმედობაც შეიძლება წარმოადგენდეს სუბიექტური ნების გამოხატულებას, მაგრამ უთუოდ ცდება, როდესაც ამის საფუძველზე ინტეგრირებულად მიიჩნევს უმოქმედობას ქცევის შესარაცხ სახეებში. არისტოტელესთან, შერაცხვის თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა ნებელობა, არამედ „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპი. „ზნეობრივი განწყობა“, მართალია, მოიცავს სუბიექტურ ნებას, მაგრამ ამ უკანასკნელით ის არ ამოიწურება. ამიტომ თვით ის ფაქტი, რომ სუბიექტური ნება შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობაშიც, არისტოტელეს მოძღვრებაში ჯერ კიდევ არ უდრის უმოქმედობის შესარაცხ ქცევად გამოცხადებას.

ხოლო, სხვა მხრივ, „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპიდან, როგორც ამას თავად ვ. ჰარდვიგიც აღიარებს, მოვალეობის ცნების უარყოფა გამომდინარეობს. და აქ ვ. ჰარდვიგი მორიგ უზუსტობასაც უშვებს. თუ მოვალეობის ცნება გამორიცხულია, რას უნდა დაეფუძნოს სისხლისსამართლებრივად უმოქმედობის შინაარსი? ვფიქრობთ, ეს უდავოდ უნდა განიმარტოს როგორც სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის უარყოფა და არა როგორც სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის არსის არასრულყოფილი აღქმა.

როდესაც ვამბობთ, რომ სუბიექტი არ შეიძლება იყოს ვალდებული ზეიმოქმედოს გარეგანად მიმდინარე კაუზალურ პროცესზე, არც იმის მტკიცების პრეტენზია უნდა გვქონდეს, რომ უმოქმედობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად ბრალეული და დასჯადი, ვინაიდან მოვალეობის დარღვევა ბრალეულობის აუცილებელი წინამძღვარია, ბრალეულობა კი – დასჯადობისა.

ამრიგად, არისტოტელეს შერახცვის შესახებ კონცეფციას მართლაც მივყავართ უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის უარყოფამდე და ეს დადებითად ვერ შეფასდება. უმოქმედობით შესაძლებელია მრავალი ისეთი სუბიექტური აქტის განხორციელება, რომელიც სრულიად შეუწყნარებელია ყოველი ცალკე აღებული საზოგადოებისათვის, უხეშად ხელყოფს მის ფუძისეულ ზნეობრივ წარმოდგენებსა და რელიგიურ-ეთიკურ იდეალებს. მაგალითად, შეუძლია სისხლის სამართალს დაუცველად დატოვოს სუბიექტის სიცოცხლის უფლება ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის განსაცდელში მიტოვება (მუხ. 129-ე) ან დახმარების აღმოუჩენლობა (მუხ. 130-ე)? მსგავსი რამ დაიშვება მხოლოდ სისხლის სამართლის საზოგადოებრივი აზრისაგან აბსოლუტური მოწყვეტის შედეგად.

ეს რაც შეეხება საკითხის ნორმატიულ-ეთიკურ ასპექტს. ლოგიკურად კი უმოქმედობის უარყოფა მით უფრო მიუღებელია. ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონში ჩვენ ვხვდებით დანაშაულთა არა მარტო ისეთ სახეებს, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით ან მხოლოდ უმოქმედობით, არამედ არაერთ ისეთ სახესაც, რომელიც შესაძლოა ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც და მათ შორის არის როგორც მძიმე, ისე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა მთელი რიგი, – მაგალითად, განზრახ მკვლელობა. მაგრამ რის საფუძველზე ცხადდება იგივე განზრახ მკვლელობა დასჯადად? იმ მიზეზით, რომ ის ჩაიდინება მოქმედებით ან უმოქმედობით, თუ იმის გამო, რომ აქ მხედველობაში მიიღება შემდეგი სამი მომენტი: 1. სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, 2. არამართლზომიერება და 3. ქმედების ბრალეული ხასიათი.39 ცხადია, პირველადი მნიშვნელობის უკანასკნელ მომენტთა ერთობლიობაა, რადგან სწორედ ისინი გამოხატავენ მკვლელობის შინაარსს, ხოლო მკვლელობის ჩადენა მოქმედებით ან უმოქმედობით განსაზღვრავს მოცემული დელიქტური ქცევის მხოლოდ ფორმას და არაფერი აქვს საერთო მის შინაარსთან. ამავე დროს, თუ უმოქმედობის შემთხვე-

ვაში უარვყოფთ განზრახი მკვლელობის დასჯადობას, იძულებული ვხდებით ვაღიაროთ, რომ კანონმდებელი სუბიექტური ქცევის დასჯადობას უპირატესად უკავშირებს მის არა შინაარსს, არამედ ფორმას, ე. ი. ერთი და იმავე შინაარსის მომცველი სუბიექტური ქცევა ერთდროულად შეიძლება იყოს დასჯადიც და არადასჯადიც!

„ზნეობრივი განწყობის“ პრინციპი არისტოტელეს არც გაუფრთხილებლობის მართებულ აღქმას უადვილებს. „გაუფრთხილებლობაშიც, – აღნიშნავს ვ. ჰარდვიგი, – მუდამ მოიცემა უმოქმედობის ელემენტი, სახელდობრ წინდახედულობისა და მზრუნველობის ვალდებულების განუხორციელებლობის თვალსაზრისით. აქაც ისეთივე სიმწვავით იჩენს თავს ვალდებულების ცნების მოუცემლობა, მაგრამ, ამასთანავე, საგულისხმოა სხვა ნეგატიური გარემოებაც. არისტოტელესთან შესარაცხი შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი მოქმედებები, ნებაყოფლობითს კი არისტოტელე უწოდებს მხოლოდ ისეთ ქცევას, რომლის პრინციპიც თვით მოქმედებაშივეა მოქცეული (მთლიანად ან უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ). როდესაც მოქმედება უცოდინარობის შედეგად ხორციელდება, ის ყველა შემთხვევაში როდია ნებაყოფლობითი... ვინც უცოდინარობით იწვევს განსაზღვრულ საზიანო შედეგს, მაგრამ არ გმობს, არ ინანიებს თავის საქციელს, არანებაყოფლობითად არ მოქმედებს, თუმც მისი ქცევა არც ნებაყოფლობითია იმასთან დამოკიდებულებაში, რასაც სუბიექტი არ უწყიდა. ამის საპირისპიროდ არანებაყოფლობითად მიიჩნევა სუბიექტური მოქმედება, რომლის დროსაც სუბიექტი – თუნდაც ქმედების ჩადენის შემდგომ – შინაგანად განიცდის, სწუხს თავისი ქცევის გამო“.40 ამგვარად, თუ პირი (გულწრფელად) ინანიებს თავის მართლსააწინააღმდეგო ქმედებას, ეს უკანასკნელი ვერ განიხილება როგორც ნებაყოფლობითი და, მაშასადამე, ვერც როგორც ბრალეული. მაგრამ გაუფრთხილებლობისას სუბიექტი შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არ „სწუხდეს თავისი ქცევის გამო“, რაც იმის მომასწავებელია, რომ გაუფრთხილებლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს ბრალეულ და დასჯად ქმედებას.

ამისდა კვალად, არისტოტელე, მსგავსად უმოქმედობისა, ვერც გაუფრთხილებლობით ბრალს ასაბუთებს.

თუმც ის დაუდევრობის ანალიზის დროს ცდილობს გამონახოს გარკვეული გამოსავალი, რასაც იგივე ვ. ჰარდვიგი ასე აგვიწერს: „არისტოტელე განასხვავებს ნებაყოფლობითს, არანებაყოფლობითსა (unfreiwillig) და შუალედურად არანებაყოფლობითს (nicht freiwillig). მას კარგად ესმის, რომ უცოდინარობით ჩადენილი მოქმედება ნებაყოფლობითობაზე მსჯელობას დაუშვებელს ქმნის. მაგრამ რადგანაც არანებაყოფლობითობა გამორიცხავს შერაცხვას, ხოლო უცოდინარობა ყოველთვის არ გვევლინება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, არისტოტელე ასკვნის, რომ უცოდინარობით ჩადენილი მოქმედება არც ნებაყოფლობითია და არც არანებაყოფლობითი, არამედ განეკუთვნება მესამე განსხვავებულ კატეგორიას, კერძოდ შუალედურად არანებაყოფლობითს“.41

შუალედური არანებაყოფლობითობის დაშვებით არისტოტელე მხოლოდ აფიქსირებს იმას, რომ მისთვის შეუმჩნეველი არ რჩება გაუფრთხილებლობისადმი თავისი მოძღვრების მისადაგების სირთულე, მაგრამ ხსენებული წინააღმდეგობის არსებით გადაწყვეტას ეს ჯერ სულაც არ ნიშნავს.

თუ ძალაში დავტოვებთ მტკიცებას იმის შესახებ, რომ სუბიექტური ქცევის ნებაყოფლობითობა შერაცხვის აუცილებელი წინაპირობაა, მაშინ რა აზრი აქვს გაუფრთხიბელობისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთების ასპექტში იმის დეკლარირებას, რომ გაუფრთხილებლობა წარმოადგენს ქცევის არა არანებაყოფლობით, არამედ შუალედურად არანებაყოფლობით სახეს? ვინაიდან შუალედური არანებაყოფლობითობა ისევე არ არის ნებაყოფლობითის ეკვივალენტური ცნება, როგორც არანებაყოფლობითობა, გასაგები უნდა იყოს, რომ გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად მისი არანებაყოფლობითიდან შუალედურ არანებაყოფლობითად გარდაქმნა პრინციპულად არაფერს ცვლის.

არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული ლოგიკა შემდეგი სახისაა: შერაცხვას აფუძნებს ნებაყოფლობითობა – არანებაყოფლობითობა შერაცხვას გამორიცხავს – შუალედური არანებაყოფლობითობა არ გამორიცხავს შერაცხვას, რადგან ის არანებაყოფლობითობას არ წარმოადგენს და, მაშასადამე, აფუძნებს შერაცხვას, მიუხედავად იმისა, რომ ის არც ნებაყოფლობითობასთან შეიძლება გაიგივდეს!

ამდენად, არისტოტელესთან უმთავრესია ის, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა განსხვავდება არანებაყოფლობითობისაგან როგორც შერაცხვის გამომრიცხველი ფაქტორისაგან და არა ის, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა არ ემთხვევა ნებაყოფლობითობას როგორც შერაცხვის დამაფუძნებელ ფაქტორს.

ის, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა განსხვავდება არანებაყოფლობითობისაგან როგორც შერაცხვის გამომრიცხველი ფაქტორისაგან, როდი ნიშნავს იმას, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა არ შეიძლება იყოს შერაცხვის გამომრიცხველი სხვა, დამოუკიდებელი ფაქტორი.

გვეთქმის თუ არა იგივე შუალედური არანებაყოფლობითობისა და ნებაყოფლობითობის ურთიერთობის შესახებაც ანუ ის, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა არ ემთხვევა ნებაყოფლობითობას როგორც შერაცხვის დამაფუძნებელ ფაქტორს, ნიშნავს თუ არა იმას, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შერაცხვის დამაფუძნებელი სხვა, დამოუკიდებელი ფაქტორი?

ეს ორმაგად დაუშვებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არისტოტელეს თავდაპირველი, ამოსავალი მტკიცების თანახმად, ნებაყოფლობითობა შერაცხვის აუცილებელი და, ამრიგად, ყოველგვარი ალტერნატივის გამომრიცხველი წინაპირობაა. მეორეც, იმიტომ, რომ ერთი და იგივე მომენტი არ შეიძლება ერთდროულად აფუძნებდეს და გამორიცხავდეს ერთსა

და იმავე მოვლენას (ე. ი. თუ ვამბობთ, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა, განსხვავდება რა შერაცხვის გამომრიცხველი ფაქტორისაგან, თვითონვე შეიძლება წარმოადგენდეს შერაცხვის გამომრიცხველ მორიგ ფაქტორს, უკვე ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ შუალედური არანებაყოფლობითობა, არ ემთხვევა რა შერაცხვის დამაფუძნებელ ფაქტორს, თვითონვე შეიძლება წარმოადგენდეს შერაცხვის დამაფუძნებელ მორიგ ფაქტორს).

და ეს მაშინ, როდესაც წინააღმდეგობის კანონის ფორმულა ანუ წინააღმდეგობის აქსიომა, რომელიც დღესაც გაბატონებულად ითვლება ლოგიკაში, არისტოტელეს აღმოჩენაა! მოცემული ფორმულის შესაბამისად, „ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ერთსა და იმავე საგანთან (მოვლენასთან) მიმართებაში, ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე გაგებით“.42

ამიტომაც უნდა უარვყოთ ან ის, რომ ნებაყოფლობითობა შერაცხვის აუცილებელი და ერთადერთი წინამძღვარია, ან კიდევ ის, რომ პასუხისმგებლობა შეიძლება დაეფუძნოს უცოდინარობას (=შედეგის გაუთვალისწინებლობას) როგორც ნებაყოფლობითსა და არანებაყოფლობითს შორის მდებარე შუალედურ არანებაყოფლობითობას.

აქედან გამომდინარე, არისტოტელე უდავოდ ცდება, როდესაც თვლის, რომ ნებაყოფლობითობის როგორც შერაცხვის უნივერსალური ორიენტირის შენარჩუნება ხელს არ უშლის გაუფრთხილებლობითი ბრალის დასაბუთებას.

როგორც ვხედავთ, არისტოტელეს შერაცხვის შესახებ მოძღვრების მიხედვით, სუბიექტს ბრალად ვერც უმოქმედობა და ვერც გაუფრთხილებლობითი მოქმედება შეერაცხება. ამგვარად, „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპს იქამდე მივყავართ, რომ შერაცხვა არსებითად მხოლოდ განზრახვისა და მოქმედების ცნებებით შემოისაზღვრება, რაც სისხლისსამართლებრივად, ბუნებრივია, ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე არისტოტელეს მიდგომა ნებაყოფლობითობისა და თავისუფალი არჩევანის ურთიერთობის პრობლემისადმი, რომელიც არასათანადოდ არის გაშუქებული რ. ლოენინგთანაც და ვ. ჰარდვიგთანაც.

„ნებაყოფლობითობა და გადაწყვეტილების თავისუფალი არჩევანი, – მიუთითებს არისტოტელე, – მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან. ნებაყოფლობითობა ნიშნავს სპონტანურობას, ე. ი. მოძრაობას, რომლის პრინციპიც თვით მოძრავშივე მდებარეობს. ამ გაგებით ნებაყოფლობითია მოზარდთა და სულით ავადმყოფთა მოძრაობანიც, აგრეთვე მოძრაობანი, გამოწვეული განრისხების ან სხვა აფექტების შედეგად, რომელთა დროსაც მამოძრავებელი პრინციპი თუმც მხოლოდ ნაწილობრივ მოიპოვება თვით მოძრავში, ნაწილობრივ კი – მოძრავის გარეთ, მაგრამ, რაც გადამწყვეტია, მოძრაობის პრინციპი აქ ერთიანად არ არის მოძრავის მიღმა მოქცეული. ამიტომ ნებაყოფლობითი იქნება მოქმედება მაშინაც, თუ ინდივიდი გადაწყვეტილებას იღებს გარეგანი იძულების შედე-

გად. მაგრამ იძულებით განხორციელებული მოქმედებებიც, ამავე დროს, შეიძლება იყოს არანებაყოფლობითიც, თუ იძულება დაუძლეველია“.43 ამით არისტოტელეს ნებაყოფლობითობის ცნებაში იძულების ელემენტი შეაქვს, რის შედეგადაც იძულება (თუ ის არ არის დაუძლეველი) გამორიცხავს მხოლოდ არჩევანის თავისუფლებას და არა ნებაყოფლობითობას. შესაბამისად, როდესაც მისი იმავე ნაშრომის იმავე გვერდზე (1110a) აღინიშნება, რომ „არანებაყოფლობითია ყოველი მოქმედება, რომელიც ჩაიდინება იძულების ან უცოდინარობის შედეგად“, იძულებასა და უცოდინარობაში დაუძლეველი იძულება და დაუძლეველი უცოდინარობა უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ რამდენად ლოგიკურია აქედან გამომდინარე შედეგები? თუ იძულება დაუძლეველი არ არის, არისტოტელე სუბიექტურ ქცევას ნებაყოფლობითს უწოდებს, ხოლო თუ არ არის დაუძლეველი უცოდინარობა, ე. ი. შედეგის გაუთვალისწინებლობა, მასთან სუბიექტური ქცევა, როგორც გაუფრთხილებლობის ანალიზისას ვიხილეთ, არის უკვე არა ნებაყოფლობითი, არამედ შუალედურად არანებაყოფლობითი. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში (იძულების დროს) არისტოტელე მოქმედების ნებაყოფლობითად აღიარებისათვის სავსებით კმარობს იმას, რომ „მამოძრავებელი პრინციპი“ მხოლოდ ნაწილობრივ არის მოცემული თვით „მოძრავში“, მეორე შემთხვევაში კი (უცოდინარობის დროს) ის მიიჩნევს, რომ რადგან „მამოძრავებელი პრინციპი“ მხოლდ ნაწილობრივ არის მოცემული თვით „მოძრავში“, სუბიექტური ქცევა ნებაყოფლობითად ვერ გამოცხადდება და ამის ნიადაგზე მას შუალედური არანებაყოფლობითობის ცნება შემოაქვს. მაგრამ თუ იძულების დროს ქცევის ნებაყოფლობითობისათვის საკმარისია „მოძრავში“ „მამოძრავებელი პრინციპის“ ნაწილობრივი მოცემულობაც, უცოდინარობის შემთხვევაშიც სუბიექტური ქცევა უთუოდ უნდა მივიჩნიოთ ნებაყოფლობითად, რამეთუ „მოძრავში“ აქაც მოიცემა ნაწილობრივ „მამოძრავებელი პრინციპი“; და პირიქით: თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ უცოდინარობისას ქცევა ნებაყოფლობითად ვერ განიხილება „მოძრავში“, „მამოძრავებელი პრინციპის“ არასრულყოფილად მოცემულობის გამო, მაშინ სუბიექტური მოქმედების ნებაყოფლობითობას ვერც იძულების დროს ვაღიარებთ, ვინაიდან სრულყოფილად „მამოძრავებელი პრინციპი“ არც აქ მოიპოვება თვით „მოძრავში“. ამგვარად, არისტოტელეს აღნიშნული მოსაზრებებიდან წარმომდგარი წინააღმდეგობა შესაძლოა განვიხილოთ როგორც დაუძლეველი.

მაგრამ იგივე საკითხი სხვა მეტად საგულისხმო ასპექტსაც მოიცავს.

როგორც არისტოტელეს განსახილველი ნაშრომის გერმანული და რუსული თარგმანებიდან ჩანს, ის, რაც გერმანულენოვან წყაროებში მოიხსენიება როგორც ნებაყოფლობითობა (Freiwilligkeit), რუსულენოვან წყაროებში ნებისმიერობის (произвольность) სახით არის წარმოდგენილი. ნებაყოფლობითისა (freiwillig=добровольный) და ნებისმიერის (willkürlich=произвольный) ერთმანეთთან გაიგივება კი გამართლებული ვერ იქნება. სუბიექტური ქცევა შეიძლება იყოს ნებისმიერი, ე. ი. შეესაბა-

მებოდეს სუბიექტის ნებას, მაგრამ არ იყოს ნებაყოფლობითი. და ამის თვალსაჩინო მაგალითია არისტოტელეს მიერ მიმოხილული იძულების პრობლემა. როდესაც იძულება არ არის დაუძლეველი, ჩვენ ვერ შევძლებთ ვამტკიცოთ, რომ სუბიექტი მოკლებული იყო ნების საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართვის შესაძლებლობას, რაც ნათლად მოწმობს მისი ქცევის ნებისმიერობას. მაგრამ არის თუ არა ეს ქცევა ნებაყოფლობითიც? ცხადია, არა, ვინაიდან ნებაყოფლობითობამ შესაძლოა მოიცვას მხოლოდ ფსიქოლოგიური თვითიძულების ელემენტი და არავითარ შემთხვევაში – გარეგანი იძულების ესა თუ ის ფორმა.

ვნახოთ, თუ რას ნიშნავს სისხლისსამართლებრივად ნებაყოფლობითობის ცნებაში (გარეგანი) იძულების მომენტის შეტანა.

როგორც მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მას სათანადო ნებართვის გარეშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ მოცემული სუბიექტის მიმართ იარაღის უკანონო შენახვის (ან ტარების) გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან ნებაყოფლობითობის ელემენტი გამორიცხულად მიიჩნევა და შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველიც ქარწყლდება. ნებაყოფლობითობის არისტოტელესეულ შინაარსთან კი მსგავსი რამ სრულიად შეუთავსებელია, ანუ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნებაყოფლობითობისა და მასთან ერთად დასჯადობის თვალსაზრისით არაფერი იცვლება, რაც კატეგორიულად მიუღებელია, რამეთუ ამგვარი ქმედების არადასჯადად გამოცხადება არ შეიძლება იყოს გამართლებული არც ეთიკურად და არც ნორმატიულ-ლოგიკურად.

ამიტომაც სისხლის სამართალში ნებაყოფლობითობის ცნების ესოდენ ვრცელი შინაარსით აღჭურვა მოასწავებს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებსა და სისხლისსამართლებრივ პრაქტიკას შორის.

არისტოტელე შემდეგი სახით განავითარებს თავის ზემომოყვანილ მოსაზრებას: „მსგავსი ქცევები განასახიერებენ ქცევის შერეულ ფორმას, მაგრამ მეტწილად ისინი მაინც ნებაყოფლობითობის ელემენტზეა დაფუძნებული: ინდივიდი არჩევს (ამჯობინებს) მოიქცეს სწორედ ამგვარად, როდესაც ის ამ ქცევას სჩადის, მაგრამ ქცევის მიზანი დამოკიდებულია განსაზღვრულ პირობებზე (*kata ton kairon*). შესაბამისად, ქცევა უნდა იწოდებოდეს ნებაყოფლობითად და არანებაყოფლობითად იმისდა მიხედვით, თუ როდის ჩაიდინება ეს უკანასკნელი. მოცემულ შერეულ შემთხვევაში, განახორციელებენ რა ქცევას, *მოქმედებენ საკუთარი ნების შესაბამისად* (ხაზგასმა ჩვენია – ავტორი), რადგან ამგვარი ქცევის დროს სხეულებრივ მოძრაობათა სათავე მოქცეულია თვით მოქმედში, ხოლო თუ სათავე მასშივე მდგომარეობს, მისგანვეა დამოკიდებული, ჩაიდენს ის ამ ქცევას თუ არა. მაშასადამე, განსახილველი ქცევები ნებაყოფლობი-

თია, მაგრამ ისინივე, აღებული შედარების გარეშე, წარმოგვიდგება როგორც არანებაყოფლობითი, ვინაიდან არავინ გააკეთებდა მოცემულ არჩევანს თავისთავად“.44 ამდენად, არისტოტელე საბოლოოდ სავსებით გარკვევით ასკვნის, რომ დაუძლეველი გარეგანი იძულება, როგორც ასეთი, არჩევანის თავისუფლებას უპირობოდ არ გამორიცხავს, ვინაიდან თუ სუბიექტი მოქმედებს ნების შესაბამისად, ის, ამავე დროს, არ შეიძლება იყოს მოკლებული არჩევანის თავისუფლებას. ხოლო რადგან დაუძლეველი გარეგანი იძულება ყოველთვის არ წარმოადგენს არჩევანის თავისუფლების გამორიცხვის საფუძველს, ბრალეული პასუხისმგებლობის სფერომ ეს პირველიც უნდა მოიცვას თავის შემადგენელ ელემენტად!

გასაგებია, რომ ისევე, როგორც თანამედროვე ფილოსოფია დაუძლეველ იძულებას არჩევანის თავისუფლებას ვერ დაუკავშირებს, თანამედროვე სისხლის სამართალში ის (დაუძლეველი იძულება) ბრალეულ პასუხისმგებლობას ვერ დააფუძნებს. მაგრამ არისტოტელეს ეს დებულება, სხვა მხრივ, ფრიად საგულისხმო მომენტის შემცველიც არის.

ტერმინი „თავისუფალი არჩევანი“ წინააღმდეგობრივი ტერმინია და, აქედან გამომდინარე, არც „არჩევანის თავისუფლება“ შეიძლება იყოს მისაღები, რადგან არჩევანის ცნება თავისუფლების ელემენტს გარეგანად კი არ დაირთავს, არამედ შინაგანად მოიცავს, რის გამოც ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია გადაწყვეტილების და არა არჩევანის თავისუფლებაზე საუბარი.

როდესაც გადაწყვეტილება თავისუფალია, სუბიექტი ირჩევს ერთ-ერთ (განსახორციელებელ) შესაძლებლობას რეალურად მოცემულ შესაძლებლობათა განსაზღვრული სპექტრიდან, ხოლო თუ პირი მოკლებულია გადაწყვეტილების თავისუფლებას, ის უკვე კი არ ირჩევს (განსახორციელებელ) შესაძლებლობას ორი ან რამდენიმე რეალურად მოცემული შესაძლებლობიდან, არამედ მექანიკურად ისახავს მიზნად ამ პირველის განხორციელებას, არჩევანს კი აკეთებს ის სუბიექტი ან იმ სუბიექტთა ჯგუფი, რომელთაგანაც გარეგანი იძულება მომდინარეობს, ანაც არჩევანი არ მოიცემა საერთოდ, თუ იძულების წყარო მდგომარეობს ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობაში.

და სწორედ აქ იჩენს თავს არისტოტელეს პოზიციის განვრცობის საჭიროება.

არისტოტელეს მოსაზრების თანახმად, ინდივიდი დაუძლეველი იძულების დროსაც ფლობს გადაწყვეტილების თავისუფლებას, ე. ი. მას ამ შემთხვევაშიც შესწევს იმის უნარი, რომ გააკეთოს არჩევანი მართლსაწინააღმდეგოსა და მართლზომიერს შორის.

ვფიქრობთ, არისტოტელეს ამ თეზისის უარყოფა არსებული რეალობის უარყოფის ტოლფასი იქნებოდა, რამეთუ სუბიექტს დაუძლეველი იძულების დროსაც უთუოდ მოეპოვება არჩევანის შესაძლებლობა. უკეთ რომ ვთქვათ, მას ძალუძს იმოქმედოს რეალურად მოცემული ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის შესაბამისად: დაჰყვეს გარეგან იძულებას და ამით გამოიწვიოს მართლსაწინააღმდეგო ეფექტი ან შეურიგდეს იძულე-

ბის მისთვის საზიანო შედეგებს და, ამგვარად, არ გასცილდეს „წმინდა“ მართლზომიერების ფარგლებს. სუბიექტი აქ თავად აკეთებს არჩევანს, მასზევეა დამოკიდებული, გამოიწვევს ის მართლსაწინააღმდეგო შედეგს თუ იმოქმედებს „წმინდად“ მართლზომიერად, ანუ, თუ ვიტყვით არისტოტელეს ენაზე, სუბიექტური მოქმედება ამ შემთხვევაშიც თვით მოქმედშივე იღებს თავის დასაბამს.

ამდენად, რაოდენ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამას თანამედროვე ფილოსოფია, დაუძლეველი გარეგანი იძულება ფილოსოფიურად სულაც არ გამორიცხავს გადაწყვეტილების თავისუფლებას, თუმც ის, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს გადაწყვეტილების ხარისხზე (მაქსიმალურად ამცირებს რეალურად მოცემულ შესაძლებლობათა რაოდენობას).

მაგრამ ის, რომ დაუძლეველი გარეგანი იძულება ფაქტობრივად არ გამორიცხავს გადაწყვეტილების თავისუფლებას, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეს პირველი ამ უკანასკნელს არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივადაც? ზოგჯერ შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა მეცნიერებაში სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდეს (ასეთია, მაგალითად, კაუზალობის ცნების სისხლისსამართლებრივი და ფილოსოფიური მნიშვნელობანი), მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ და არა ყოველთვის, არა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. გადაწყვეტილების თავისუფლების ცნების დუალიზება განსახილველ კონტექსტში ყოვლად დაუშვებელია. რამდენადაც გადაწყვეტილების ცნება სისხლის სამართალსა და ფილოსოფიაში ერთგვაროვნად არის გაგებული, გადაწყვეტილების თავისუფლების სისხლისსამართლებრივი და ფილოსოფიური ცნების დიფერენცირებული მნიშვნელობით გაგება ჩვენ წარმოუდგენლად გვესახება. ცნებათა სიწმინდის დაცვის გარეშე კი, – როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, – მეცნიერება შეუძლებელია, რადგან მეცნიერება საზოგადოდ ცნებითი აზროვნების დონეზეა შესაძლებელი.45

ამის კვალობაზე ჩვენ როდი ვხდებით იძულებული, დავასკვნათ, რომ დაუძლეველი გარეგანი იძულება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. როდესაც ადგილი აქვს დაუძლეველ გარეგან იძულებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება სწორედ დაუძლეველი გარეგანი იძულების მოცემულობის და არა გადაწყვეტილების თავისუფლების მოუცემლობის გამო, ე. ი. სუბიექტს თავისი ქცევა არ ერაცხება ბრალად იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა გარეგანი იძულების არასაზიანო ხერხებით დაძლევის შესაძლებლობა და არა იმ მოტივით, რომ ის ზოგადად არ ფლობდა გადაწყვეტილების თავისუფლებას.

ჩვენს მიერ გამოტანილი დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებული ზოგიერთი პრეცედენტიც. ასე მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართალი, განსხვავებით უცხოეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისაგან, თვითგადარჩენის ინსტინქტს ბრალის გამომრიცხველ გარემოებად არ მიიჩნევდა,

ვინაიდან უდანაშაულო პირისათვის სიცოცხლის მოსპობა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით განიხილებოდა როგორც სოციალისტურ ზნეობასთან პრინციპულად შეუთავსებელი ქცევა. ხოლო რადგან საბჭოთა კანონმდებელი, ერთი მხრივ, თვითგადარჩენის ინსტინქტს (დაუძლეველი გარეგანი იძულების პირობებში) არ უკავშირებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვას და, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების თავისუფლების არარსებობას აცხადებდა როგორც ბრალეულობის შესახებ მსჯელობის უარყოფის საფუძველს, ადვილად მისახვედრი უნდა იყოს, რომ საბჭოთა სისხლისსამართლებრივი დოქტრინა ფაქტობრივად ცნობდა გადაწყვეტილების თავისუფლებას დაუძლეველი გარეგანი იძულების პირობებშიც. სხვაგვარად იძულების შედეგად წარმომდგარი თვითგადარჩენის ინსტინქტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება სრულიად შეუძლებელი გახდებოდა.

ამასთანავე, არისტოტელეს მოსაზრებიდან გამომდინარე დასკვნას აქვს არა მხოლოდ თეორიული ღირებულება. სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა იმდენად რთული და მრავალმხრივი სფეროა, რომ თუ ზუსტად არ განისაზღვრა ბრალეული პასუხისმგებლობის გამორიცხვის კრიტერიუმი და გარკვევით არ დადგინდა, თუ კონკრეტულად რა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ შემთხვევაში, მართლმსაჯულება შესაძლოა არაერთგზის აღმოჩნდეს ფრიად არასასურველი გაუთვალისწინებელი შედეგების წინაშე. ამიტომაც პრაქტიკულად არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ დაუძლეველი გარეგანი იძულებისა და გადაწყვეტილების თავისუფლების ცნებათა ურთიერთმიმართება მართებულად იქნეს გაგებული.როგორც ვხედავთ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის შემოქმედება შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან მითითებას ბრალის იდეისა და შერაცხვის შესახებ, რომელთა უმეტესობა, მართალია, დღეს უკვე ძნელად თუ პოვებს აქტიურ მხარდაჭერას, მაგრამ რომლებმაც უთუოდ დადებითად ზეიმოქმედა სისხლისსამართლებრივი აზრის პროგრესულ განვითარებაზე. არისტოტელე პირველია, ვინც მიუღებლად მიიჩნევს პასუხისმგებლობის მხოლოდ კაუზალობაზე დაფუძნებას. მის შეხედულებაში ქცევის ნებაყოფლობითობის შესახებ ან თუნდაც მის „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპში უკვე მეტად თუ ნაკლებად იკვეთება აქტუალური ნების როლი ბრალეული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რამაც პირდაპირი გამოძახილი პოვა რომაულ სამართალში „დანაშაულებრივი ნების“ *(dolus)* აღმოჩენის სახით.

§3. რომაული სამართალი

ადრეული რომაული სამართალი

საზოგადოების სამართლებრივად ორგანიზებასა და რელიგიური და ზნეობრივი ბრალის გვერდით სამოქალაქოსამართლებრივი თუ სისხლის-სამართლებრივი ბრალის ჩამოყალიბებას მექანიკურად არ გამოუწვევია ამ ცნების (ზოგადად ბრალის) მნიშვნელოვანი შინაარსობრივი გარდასახვა. უმეტეს შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი ბრალი აქ ერთმნიშვნელოვნად პირობითი ცნებაა. მართალია, ბრალეულობასა და დასჯადობას შორის უკვე აშკარაა გარკვეული ლოგიკური კავშირის დამყარების ცდები, მაგრამ თავად ბრალეულობისა და დასჯადობის არსი და დანიშნულება კვლავაც ალოგიკურად განიმარტება. „საჯარო რეპრესიის განხორციელებისას ხელისუფლის უფლებამოსილებას არანაირი წესი არ ზღუდავს, როგორც ქმედების ბრალეულობა-დასჯადობის, ისე სასჯელის ზომის დადგენის მხრივ“.45 ბრალის სისხლისსამართლებრივი რეგლამენტირების ნომინალური, არაპრაგმატული ხასიათი ერთობ აბრკოლებდა ამ ცნების რესტრუქტურიზების მსვლელობას. რაციონალური მხარე უწინდებურად წინააღმდეგობაშია რელიგიურ-ეთიკურ ელემენტთან და მთლიანად არის მას დაქვემდებარებული, რაც უმთავრესად იმჟამინდელი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ფორმიდან გამომდინარეობს.

პ. ფ. ჟირარდი შენიშნავს: „ადრეულ რომაულ სამართალში ტრადიციების სამართლებრივ ნორმებად სანქციონირების დროს არასოდეს დამდგარა საკითხი მათი მართებულობის შესახებ. ამიტომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმათა დიდი ნაწილი ეს იგივე ადრე არსებული რელიგიური ტრადიციები იყო.“47 არსებითად იმავეს შენიშნავს გ. შერშენევიჩიც. „რომაულმა იურისპრუდენციამ, — წერს ის, — ვერ შეძლო ზღვარი გაევლო სამართალსა და ზნეობას შორის. და ეს კვლავაც რომაული სამართალშემოქმედების თავისებურებებით აიხსნება. რომაელი იურისტები იმდენად იყვნენ შეჩვეული თავიანთი ზნეობრივი წარმოდგენების პოზიტიური სამართლის ნორმებად გარდასახვას, რომ ვერც დაუშვებდნენ მათ მნიშვნელოვან ურთიერთგამიჯნულობას. ყოველივე იმას, რაც მიიჩნეოდა მისაღებად და სამართლიანად, უნდა მიეღო სამართლის სახე.”48

ადრეულ რომაულ სამართალში არ შეიმჩნევა ბრალის სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით არსებითი დიფერენცირება. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაცხოველებას სამართლის სფეროში სამოქალოქო სამართლის უპირატესი განვითარება მოსდევს (თუმც აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, იგივე გ. შერშენევიჩი, სამოქალაქო სამართლის უპირატესი განვითარების მიზეზად ასახელებს იმას, რომ „რომაელ იურისტთა მსოფლმხედველობა მოკლებული იყო ფილოსოფიურ მომენტს”). ჩვენი აზრით, სწორედ ამან (სამოქალაქო სამართლის უპირატესმა განვითარებულობამ) განაპირობა სისხლისსამართლებრივ ბრალში სამოქალაქოსამართლებრივი ბრალის პრინციპთა შეჭრა. ამ ზეგავლენის საუკეთესო დემონსტრირებაა გ. კორნილის შემდეგი მითითება: „დასაწყისში რომის სამართალი პასუხისმგებლობას მარტოოდენ კაუზალობის პრინცი-

პზე ამყარებდა, ბრალეულობის პრინციპის ერთიანი იგნორირებით: მიყენებულ ზიანს ყველა შემთხვევაში ანაზღაურებს ამ ზიანის გამომწვევი პირი, — მაშინაც, თუ ეს მისი ბრალეული ქმედების შედეგი არ არის".49 მაგრამ საკითხისადმი ესოდენ უტილიტარული მიდგომა მხოლოდ ვნებდა სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურ განვითარებას. გარდა ამისა, რომაელი სახელმწიფო მოღვაწენი ბერძნული ეთიკის საგრძნობ გავლენას განიცდიდნენ, რომლის ფუძემდებლური პრინციპები სამართლიანობა და რაციონალურობა იყო. არისტოტელე, განასხვავებდა რა ერთმანეთისაგან უმართლობას, როგორც განხორციელებულ აქტსა, და უმართლობას, როგორც ნორმატიულ ცნებას, თვლიდა, რომ ამის შედეგად წარმომდგარი დისონანსი სამართლიანობის მოთხოვნასა და სამართლის ნორმატიულ ცნებას შორის უნდა წარხოცილიყო.50 როგორც წინა პარაგრაფში ვიხილეთ, მანვე წამოჭრა ბრალის აქტუალურ ნებასთან დაკავშირების პრობლემა. ამის გათვალისწინებით, შემთხვევითად ვერ მივიჩნევთ რომაელ სამართლისმცოდნეთა მიერ დანაშაულებრივი ნების *(dolus)* აღმოჩენას, რომელიც კლასიკური რომაული სამართლის სიმბოლოდ არის ცნობილი. *Dolus*-ის დამკვიდრებით სრულდება სისხლისსამართლებრივი ბრალის დამოუკიდებელ ცნებად ფორმირების პროცესი.

ვეხებით რა სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარებას რომაულ სამართალში, უთუოდ უნდა გამოიყოს კიდევ ერთი სპეციფიკური მომენტი, რომელიც ზემომითითებული თავისებურების ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებადაც წარმოგვიდგება. „მრავალ საზოგადოებაში, — წერს გ. ჰიუგესი, — მათ შორის ძველი რომის სოფისტიკურ სამართლებრივ სამყაროში, მნიშვნელოვნად ფერხდებოდა ბუნებრივ უმართლობათა (natural wrongs) დიდი ნაწილისათვის სისხლის-სამართლებრივი სასჯელის აღმოცენება; განსაკუთრებით ქურდობა ხანგრძლივად ექვემდებარებოდა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ანაზღაურებას. ამის საპირისპიროდ, ანგლოსაქსურმა სამართალმა ბევრად ადრე განავითარა სამეფო მოხელეების მიერ სასჯელის გამოყენების მძლავრი სექტორი. თუმც აღსანიშნავია, რომ აქ ადგილი არ ჰქონია პროცესის აღძვრას საჯარო მოხელეთა მიერ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია. უახლოეს წარსულამდე სისხლისსამართლებრივი დევნა ინგლისში უპირატესად ხორციელდებოდა კერძო საჩივრების საფუძველზე. ის, რაც განასხვავებს სისხლის სამართალს, არის პროცესის საჯარო გაგება ანუ საჯარო ინტერესის დაცვა დასჯითი სანქციის (punitive sanction) შეფარდებით."51 იმთავითვე უნდა შეინიშნოს, რომ ჰიუგესის მიერ მოტანილ შედარებაში მხოლოდ ადრეული რომაული სამართალი იგულისხმება. მაგრამ რა დასკვნამდე მივყავართ მის ამ შედარებას? თუ პირველ შემთხვევაში გაირკვა, რომ, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, მთავარი იყო კაუზალობა და არა ბრალი, ე. ი. ქმედების ობიექტური და არა სუბიექტური მონაცემები, ამჯერად ირკვევა, რომ მრავალ „ბუნებრივ უმართლობას" შეფასების მასშტაბად ედება არა საჯარო (სახელმწიფოებრივი), არამედ კერძო (ინდივიდუალური)

ინტერესი. ეს კი კვლავაც იმაზე მიგვითითებს, რომ ადრეულ რომაულ სამართალში ცხადად იყო გამოკვეთილი სამოქალაქო სამართლის პრინციპთა იდეალიზირების ტენდენცია, რითაც მნიშვნელოვნად ფერხდებოდა სპეციფიკურად სისხლისსამართლებრივი ხედვის ჩამოყალიბება. მოკლედ რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი აზრი სამოქალაქოსამართლებრივ დოგმათა ტოტალურ ზეგავლენას განიცდიდა. ამის გათვალისწინებით, ხაზი უნდა გაესვას ანგლოსაქსური სამართლის შედარებით პროგრესულობას, სადაც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, უკვე მიღწეულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სათანადო სპეციფიცირება. მაგრამ ასევე აშკარაა, რომ ამით საჯარო ინტერესის რეალური სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა მხოლოდ ნაწილობრივ ჰპოვებდა თავის აღიარებას.

ნიშანდობლივია იერინგის შეხედულებები, რომელიც გამოყოფს რომაული სამართლებრივი აზრის სამ ძირითად მიღწევას ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით. პირველი მდგომარეობს ბრალეული პასუხისმგებლობის გამოცხადებაში, რასაც ადგილი აქვს იუსტინიანეს სამართლის დროს.52 ამით უმთავრესი მნიშვნელობა, მისივე მტკიცებით, ნაცვლად ქმედების გარეგანი კაუზალობისა, ენიჭება შინაგან, დანაშაულის სუბიექტურ მხარეში ანუ „ინდივიდის ნებაში“ მიმდინარე მიზეზობრიობას. როდესაც იერინგი დანაშაულის სუბიექტური მხარის აქცენტირებას რომაული სამართლის დიდ დამსახურებად რაცხს, მას ამაში უსათუოდ უნდა დავეთანხმოთ (აქცენტირებაში ჩვენ მოცემულ შემთხვევაში ვგულისხმობთ უბრალოდ გამოყოფას და არა პრიორიტირებას). მაგრამ მცდარია მისი დასკვნა, თითქოს ამისდა კვალად რომაელმა კანონმდებელმა ბრალი პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძვლად წარმოგვიდგინა. პასუხისმგებლობის ერთიან საფუძველს აქ წარმოადგენს არა დანაშაულის რომელიმე განსაკუთრებული მხარე (სუბიექტური ან ობიექტური) ან ელემენტი (ბრალი, მიზეზობრიობა), არამედ მათი კომპლექსური მთლიანობა, ე. ი. თვით დანაშაულებრივი ქმედება, რადგან სხვაგვარად რომ ყოფილიყო, საერთოდ გაუგებარი იქნებოდა დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების არსებობა. ხოლო იმის მტკიცება, რომ რომაული სამართლისთვის დანაშაულის ცნება უცხო არ იყო, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია.

ამასთანავე, ყველა ავტორი როდი იზიარებს იერინგის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ რომაულ სისხლის სამართალში უმთავრესი მნიშვნელობა, ნაცვლად ქმედების გარეგანი კაუზალობისა, ენიჭებოდა „ინდივიდის ნებაში” მიმდინარე მიზეზობრიობას. ასე მაგალითად, ვ. რაინი შენიშნავს: „მიუხედავად ძველ რომაულ კრიმინალურ სამართალში ობიექტივისტური თვალთახედვის მოცემულობისა, რომლის მიხედვითაც გარეგანად ხილვადი სამართალდარღვევა (die äusserlich sichtbare Rechtsverletzung) უპირატესი მნიშვნელობისაა, ვიდრე მასში გამოვლენილი დანაშაულებრივი ნება, *dolus*-ის ცნება უკვე თავიდანვე ყალიბდება, თუმც მოცემული ცნება თავდაპირველად ნაკლებად განვითარებულია და

დაქვემდებარებულ გამოყენებას პოვებს, რა დროსაც მხოლოდ დამთავრებული და სახელმწიფოსათვის საშიში დანაშაულის შემთხვევაში ირკვევა, გამომდინარეობს თუ არა ქმედება დანაშაულებრივი ნებიდან."53 როგორც გარკვევით ჩანს, ვ. რაინის მოსაზრების პირველ ნაწილში საუბარია არა ადრეულ, არამედ განვითარებულ რომაულ სამართალზე. ამიტომაც აშკარაა, რომ იერინგისა და რაინის შეხედულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთან არ ვხვდებით თავისი შეხედულების სათანადო არგუმენტაციას. ის, რომ *dolus*-ის „ნაკლებ განვითარებულობასა და დაქვემდებარებულ გამოყენებას" რომაული სამართლის განვითარების მთელ მანძილზე არა აქვს ადგილი, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა (და ეს თვით რაინისთვისაც კარგად არის ცნობილი). ამიტომაც მოცემულ გარემოებას ძნელად თუ დაეფუძნება რაინის შეხედულების დამამჯერებელი არგუმენტაცია.

ამასთანავე, როგორც რომაული სამართლის ანალიზი გვიჩვენებს, მით უმეტეს მცდარია იერინგის საპირსპირო შეხედულებაც: რომაული სისხლის სამართალი არასოდეს ანიჭებდა „ინდივიდის ნებაში" მიმდინარე მიზეზობრიობას ქმედების გარეგან კაუზალობაზე უპირატეს თეორიულ მნიშვნელობას. სუბიექტივიზმი მხოლოდ შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში ყალიბდება, რასაც ჩვენ ქვემოთ გარკვევით ვიხილავთ. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო განსახილველ კონტექსტში თავად ვ. რაინის შემდეგი მტკიცებაა, რომლითაც ის დიამეტრულად უპირისპირდება თავისსავე თავდაპირველ თვალთახედვას: „მართალია, *dolus* ქმედების გარეშე, რომელშიც ის ვლინდება, დასჯადი ვერ იქნება..., მაგრამ განწყობა გამოირჩევა პრიორიტეტული მნიშვნელობით და ამიტომ მაშინაც კი ცხადდება დასჯადად, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება არასრული იყო და არავინ დაზიანებულა (ეს სამოქალაქო სამართალში იყო აუცილებელი). კრიმინალურ სამართალში, მაშასადამე, სამოქალაქო სამრთლისაგან განსხვავებით, მთავარია არა ქმედებით გამოწვეული საზიანო შედეგი, არამედ დანაშაულებრივი განწყობა და ქმედების დანიშნულებას უფრო მეტად შეადგენს იმის ინდიცირება, რომ სუბიექტს მოეპოვებოდა *dolus*..."54 ამრიგად, მცდელობის მაგალითზე რაინი თავადვე უარყოფს თავის მტკიცებას „რომაულ კრიმინალურ სამართალში ობიექტივისტური თვალთახედვის მოცემულობის" შესახებ. იმავდროულად მცდელობის შემთხვევა ვერც იერინგის შეხედულების დასასაბუთებლად გამოდგება, ვინაიდან აქ მოცემულია სუბიექტური ნების პრიორიტეტულობა მხოლოდ საზიანო შედეგთან, მაგრამ არა ობიექტურ ქცევასთან ანუ ზოგადად დანაშაულის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში, ე. ი. მცდელობის მაგალითზე სულაც არა აქვს ადგილი დანაშაულის სუბიექტური მხარის დანაშაულის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში პრიორიტირებას.

მეორე მიღწევად იერინგი „ბრალის მასშტაბს" ასახელებს, რომელიც ბრალის სხვადასხვა ფორმიდან არის წარმოებადი. ეს პირველი აღმოჩენის ლოგიკური გაგრძელებაა და იმავდროულად მისგან დამოუკიდებელ, სა-

კუთარ ნიშნადობასაც იძენს. დანაშაულის სუბიექტში უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა ნებელობითი და ინტელექტუალური თვისებები, რაზედაც ჯერ კიდევ ი. ბრუშოტი ამახვილებდა ყურადღებას. 55

ზემოაღნიშნულ ნიშანთა შორის უკანასკნელი ბრალისა და სასჯელის პროპორციულობაა. ამ შემთხვევაში ბრალის ორიენტირად ზიანი, როგორც ასეთი, საკმარისი არ არის, უმთავრესი „მიყენებული ზიანის ხარისხია“.

იერინგი ამ მოსაზრებათა საფუძველზე ამგვარ დასკვნას გვთავაზობს: „რომის სამართლის ისტორია სრულდება იმ აზრის ტრიუმფალური განხორციელებით, რომელიც რომაული იურისპრუდენციის ბრწყინვალე დამსახურებათა შორის უბრწყინვალესია: დასჯადობის დაფუძნება ბრალეულობაზე“.56

მაგრამ, როგორც ზემოთ ვიხილეთ, რომაული სამართალი არ კმაყოფილდება მხოლოდ ბრალის სასჯელის საფუძვლად (არა ერთიან, არა ობიექტური ქცევის გარეშე) გამოცხადებით და შემოაქვს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები *(dolus, culpa)*. განზრახი ბრალი, რომაელ იურისტთა თანახმად, ეს ბრალის ისეთი სახეა, რომლის დროსაც დამნაშავეს შეგნებული აქვს და ნებავს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. იმის მიხედვით, სურს თუ არა სუბიექტს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, რომაული სამართალი, თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოქტრინისაგან განსხვავებით, არ აწარმოებს განზრახი ბრალის დიფერენცირებას. განზრახვის შინაარსი მხოლოდ შემდგომში იყოფა ცალკეულ სახეებად. ასე მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპული (კანონიკური) სამართალი განზრახვის უკვე ხუთ სხვადასხვა სახეს იცნობს.

Culpa-ს რომაელი იურისტები განგვიმარტავენ როგორც მართლსაწინააღმდეგო შედეგის „გაუფრთხილებლობით ან უყურადღებობით“ გამოწვევას. ეს იგივე ამჟამად არსებული გაუფრთხილებლობითი ბრალია, ოღონდაც ოდნავ უფრო რაფინირებული. რომაული სამართლის მიხედვით დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა შესაძლებელია სამი შემდეგი ფორმით:

1) *Culpa lata* ანუ „უხეში ბრალი“. ე. წ. პოსტგლოსატორთა გარკვეული წარმომადგენლები და მოგვიანებით ცაზიუსიც მიიჩნევდნენ, რომ გაუფრთხილებლობითი ბრალის ეს სახე შემდგომ დეტალიზებას მოითხოვდა. ამ უკანასკნელის თანახმად, ის უნდა დაყოფილიყო ორ ელემენტად: *culpa lata ignaviae* — დაუდევრობისა და დასჯადი შეცდომის უმაღლესი ხარისხი და *culpa lata versutiae* — გაუფრთხილებლობის ქვეშ შენიღბული ბოროტი ნება ანუ „დაუდევრობას, უყურადღებობას ამოფარებული განზრახვა“.57 უნდა შეინიშნოს, რომ ცაზიუსს ამით *culpa lata*-ში განზრახი ბრალისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები შემოაქვს და საბოლოო ჯამში გაუფრთხილებლობის ეს ფორმა სხვა არაფერია, თუ არა განზრახი ბრალის დამოუკიდებელი სახე. მსგავსი გადახრები ჩვენ დროშიც ხშირია, ვინაიდან განზრახვის უდაბლეს და გაუფრთხილებლობის უმაღლეს საფეხურებს

შორის მკვეთრი განმასხვავებელი შტრიხის გავლება არცთუ მარტივი პრობლემაა.

2) *Culpa in concreto* ანუ წინდახედულობის მოვალეობის დარღვევა არასოციალური, ინდივიდუალური საქმიანობის დროს (*diligentia, quam in suis*).

3) *Culpa levis* ანუ წინდახედულობის მოვალეობის დარღვევა სოციალური ურთიერთობის დროს.58

ბოლო ორი ფორმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა სისხლისსამართლებრივად, ბუნებრივია, არ არის გამართლებული. მაგრამ რომაული სამართალი ამ საკითხთან დაკავშირებით უმთავრეს მნიშვნელობას საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს ანიჭებს, ე. ი. გადამწყვეტი ფაქტორი კრიმინალურ-პოლიტიკური მიზნებია. ამასთან, პირობითად რომ ვთქვათ, ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ რომაელი იურისტები ბრალს განიხილავენ არა როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი ქმედების და მისი შედეგისადმი, არამედ როგორც ამ ფსიქიკური დამოკიდებულების *ნორმატიულ შეფასებას*. მართლაც, მიუხედავად ორივე შემთხვევაში დამნაშავის ერთგვაროვანი დამოკიდებულებისა თავისი დანაშაულებრივი ქმედებისა და აქედან გამომდინარე მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი, მისი ეს დამოკიდებულება ნორმატიულად სხვადასხვაგვარად არის შეფასებული იმისდა მიხედვით, თუ რომელ მათგანში უფრო მაღალია საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი: წინდახედულობის მოვალეობის კერძო საქმიანობაში თუ სოციალურ, ინდივიდთაშორის ურთიერთობაში დარღვევისას.

რომაული სისხლის სამართლისთვის უცხოა დანაშაულის ცნების ცალკეულ ელემენტებად დაყოფა იმ გაგებით, რა გაგებითაც ამას თანამედროვე დოგმატიკაში ვხვდებით. დანაშაულის დასადგენად ძიების ერთადერთი და უშუალო ობიექტია ბრალი, დანაშაულის შემადგენლობის თუ მართლწინააღმდეგობის ეტაპის ფორმალური გავლის გარეშე. ამიტომ მთელი უფლებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა რომის სამართალში გამორიცხავს *არა მართლწინააღმდეგობას, არამედ ბრალს.* რაოდენ უჩვეულოდაც არ უნდა ჟღერდეს თანამედროვე სისხლის სამართლისათვის მოცემულ გარემოებათა საკუთრივ ბრალის და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებად დასახელება, ეს ისტორიულ-სამართლებრივი სინამდვილეა. ამავე დროს, აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის რომაული შინაარსი დიდად არ განსხვავდება დღეს არსებულისაგან.

<u>აუცილებელი მოგერიება:</u> ა. კულოვი შენიშნავს: „რომის სამართლის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების პირობებში ჩადენილ ქმედებას სამოქალაქოსამართლებრივად არ მოსდევს არავითარი მოვალეობა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო სისხლისსამართლებრივად ის დასჯად ქმედებათა რიცხვს არ განეკუთვნება, ექსცესის დროსაც კი, იმ პირობით, რომ ის ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში“.59

აღსანიშნავია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება (ანუ ექსცესი) სულიერი აღელვების პირობებში ზოგჯერ თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალშიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას. „იმ

საკითხის გადაჭრისას, — აღინიშნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში, — მიუძღოდა თუ არა მომგერიებელს ბრალი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ „...სულიერი აღელვების შემთხვევაში, რაც გამოწვეული იყო თავდასხმით, მისი მოულოდნელობით, მომგერიებელს ყოველთვის არ ძალუძს ზუსტად შეაფასოს საშიშროების ხასიათი და შეარჩიოს დაცვის შესატყვისი საშუალებანი, რამაც, ბუნებრივია, შეიძლება ზოგჯერ გამოიწვიოს უფრო მძიმე შედეგი, რომლისთვისაც მან არ შეიძლება პასუხი აგოს...””60

მაგრამ საზოგადოდ (ფიზიოლოგიური) აფექტი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისას თანამედროვე სისხლის სამართალში პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, რისი ნათელი მაგალითია იმავე კომენტარებში მოცემული შემდეგი შენიშვნა: „აუცილებელი მოგერიების გადამეტებით ჩადენილი დანაშაული იმით განსხვავდება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისაგან, რომ პირველ შემთხვევაში ზიანის მიყენება ხდება თავდამსხმელისაგან დაცვის მიზნით, რასაც მეორე შემთხვევაში ადგილი არა აქვს. გარდა ამისა, აუცილებელი მოგერიების გადამეტებით დანაშაულის ჩადენისას პირი შეიძლება სრულიადაც არ იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში”.61 როგორც აქედან ჩანს, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება დანაშაულად კვალიფიცირდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი არა აქვს მომგერიებლის ძლიერ სულიერ აღელვებას, არამედ ამ უკანასკნელი გარემოების მოცემულობის დროსაც (თუმც, ცხადია, აფექტი აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად წარმოგვიდგება, ვინაიდან ის გამოწვეულია თავდამსხმელის უკანონო მოქმედებებით). ეს კი ნიშნავს, რომ განსახილველ პრობლემასთან მიმართებაში თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება რომაელ იურისტთა ზემოხსენებული მიდგომისაგან. მაგრამ რომელი მათგანი შეიძლება იყოს უპირატესად მისაღები?

აფექტი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისას, რომელიც გამოწვეული იყო თვით უკანონო თავდასხმით და რომლის გამოხატულებაც უმთავრესად შიშია, ბოლომდე როდი უქვეითებს მომგერიებელს მართლზომიერი ქცევის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას, ე. ი. სუბიექტს, მიუხედავად ნების მნიშვნელობის შეზღუდულობისა, ერთი მხრივ, მაინც შესაძლოა მოეპოვებოდეს იმის შეგნება, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედებები არ არის აუცილებელი თავდასხმის მოსაგერიებლად, ხოლო, მეორე მხრივ, მას კვლავაც ძალუძს აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელებისაგან თავის შეკავება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტს აქ სავსებით შეუძლია საკუთარი ინტერესი დაუქვემდებაროს სისხლის სამართლის კანონში გამოხატულ საჯარო ინტერესს. და მთავარი მოცემულ შემთხვევაში სწორედ ეს არის. ამიტომაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აფექტის

მდგომარეობაში განხორციელებული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისას, როგორც წესი, ნეგატიურად არ უნდა წყდებოდეს.

ამავე დროს, ვეხებით რა აუცილებელი მოგერიების პრობლემას, უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენს გაბატონებულ მოძღვრებაში ადგილი აქვს განსახილველი ტერმინის სახელწოდებისა და შინაარსის მნიშვნელოვან ურთიერთშეუსაბამობას. საქმე ის არის, რომ სუბიექტს აუცილებელი მოგერიების უფლება მოეპოვება იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს თავდასხმის საფრთხე (მიიმალოს თავდასხმის ადგილიდან, დახმარებისთვის მიმართოს ხელისუფლების წარმომადგენელს და სხვ.), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხსენებული უფლების საფუძველზე განხორციელებული მოგერიება ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს სავსებით „აცილებადი". მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ განსახილველი ტერმინის სახელწოდებით („აუცილებელი მოგერიება"), მივიღებთ, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტს გააჩნია მოსალოდნელი უკანონო თავდასხმის თავიდან აცდენის შესაძლებლობა, ის მოკლებულია ამ უკანასკნელის მოგერიების სისხლისსამართლებრივ უფლებას!

როგორც ვხედავთ, სახელწოდება „აუცილებელი მოგერიება" რეალურად ვერ ასახავს აქ წარმოდგენილი ცნებით მოცულ შინაარსს. ამის გამო, ბუნებრივია, აუცილებელი ხდება აღნიშნული სახელწოდების შეცვლა.

ამასთანავე, უნდა შეინიშნოს, რომ ზედმიწევნით იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე რუსულ სისხლის სამართალშიც, სადაც მოცემული ცნება ასევე მოიხსენიება როგორც აუცილებელი მოგერიება (нерхрлмстж рхрпрнт).

ერთგვარ განსხვავებასთან გვაქვს საქმე გერმანულ სისხლის სამართალში, სადაც ჩვენთვის აქტუალური ცნება იძულებით მოგერიებად (Notwehr) არის წოდებული. მაგრამ ზემომითითებული მიზეზის გამო ვერც ეს მიიჩნევა მისაღებ ალტერნატივად. მართლაც, ვერ ვიტყვით, რომ სუბიექტი იძულებულია მოიგერიოს უკანონო თავდასხმა, თუ ის ფლობს მის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

პრინციპულად სხვაგვარი ვითარებაა წარმოდგენილი ინგლისურ სისხლის სამართალში. აქ მოცემული ცნება იწოდება უბრალოდ როგორც მოგერიება ანუ თავდაცვა (self defence). ჩვენი აზრით, მსგავსი მიდგომა არანაკლებ მიუღებელია, რადგან ამის შედეგად გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივად ერთნაირად უნდა იწოდებოდეს საკუთრივ აუცილებელი მოგერიებაც და კანონიერი დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლისათვის გაწეული წინააღმდეგობაც! გარდა ამისა, აუცილებელი მოგერიების შინაარსი უკანონო თავდასხმისაგან მხოლოდ საკუთარი თავის დაცვას როდი მოიცავს, არამედ აუცილებელი მოგერიება გვექნება მაშინაც, თუ სუბიექტი აღნიშნული თავდასხმისაგან სხვა პირის დაცვას შეეცდება.

ვფიქრობთ, გაცილებით უკეთეს ფორმულირებას ვხვდებით ფრანგულ სისხლის სამართალში. ფრანგი კრიმინალისტები აუცილებელ მოგერიებას ლეგიტიმურ ანუ კანონიერ მოგერიებას (légitime défense) უწოდებენ. იმთავითვე ცხადია, რომ უკანასკნელი ფორმულირების რეცეფცია ერთიანად აგვარიდებდა ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილ წინააღმდეგობრიობას.

ამავე დროს, არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს უკანასკნელ შემთხვევაში ყოველგვარი შენიშვნა დაუშვებელია. სულაც არა. ტრადიციულ დოგმატიკაში, ისევე როგორც ზემოჩამოთვლილი ქვეყნების სისხლის სამართალში, აუცილებელი მოგერიება შესაძლებელია წარმოადგენდეს არა მხოლოდ უფლებას, არამედ აგრეთვე მოვალეობასაც (მაგალითად, თუ მომგერიებელი პოლიციელი ან დარაჯია). რასაკვირველია, ჩვენ არ გვსურს ვამტკიცოთ, რომ ლეგიტიმური და სავალდებულო ურთიერთშეუთავსებელი მომენტებია, მაგრამ არ უნდა იყოს სადავო, რომ ლეგიტიმური ჩვეულებრივ ასოცირდება ნებადართულთან, ე. ი. მოცემული სახელწოდება აუცილებელი მოგერიების ცნებას უპირატესად გვიხასიათებს როგორც უფლებას და, ამდენად, ნაკლებად პასუხობს მისი როგორც მოვალეობის მოთხოვნებს. მაგრამ ეს, როგორც ადვილად მისახვედრია, ოდნავაც არ ამცირებს „ლეგიტიმური მოგერიების" უპირატესობას ჩვენ მიერ ჩამოთვლილ დანარჩენ სახელწოდებებთან მიმართებაში.

რაც შეეხება განსახილველი პრობლემის მდგომარეობას რომაულ სამართალში, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების დონე იმჟამად შეუძლებელს ქმნიდა მსგავს სიღრმეებში ჩაწვდომას და ამიტომ ანალოგიური კუთხით კვლევის წარმოება აქ მართებული ვერ იქნება. აუცილებელი მოგერიების პრობლემის ანალიზის ფარგლებში რომაულ სამართალთან მიმართებაში უმთავრესი არის ის, რომ რომაელი იურისტების მიერ ჩამოყალიბებული აუცილებელი მოგერიების ცნება არსებითად ემთხვევა მოცემული ცნების შინაარსს თანამედროვე სისხლის სამართალში.

<u>უკიდურესი აუცილებლობა:</u> ხოლო თუ საკუთარ ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს ემუქრება ისეთი საფრთხე, რომლის თავიდან აცილება მხოლოდ სხვათა ქონების დაზიანებით (ან განადგურებით) არის შესაძლებელი, რომაული სამართალი ამ მდგომარეობას უკიდურეს აუცილებლობას უწოდებს. პიროვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობა აქ დამდგარი ზიანის სიმცირეა აცდენილ საფრთხესთან შედარებით.

მიუხედავად ეგზომ მნიშვნელოვანი ანალოგიურობისა, ამ ცნებას ერთიანად მაინც არ ემთხვევა ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში მიღებული უკიდურესი აუცილებლობის ცნება. ასე მაგალითად, გფრ-ის სისხლისსამართლებრივი კოდექსი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით) მხოლოდ იმ შემთხვევაში უარყოფს უკიდურესი აუცილებლობის პირობებში ჩადენილი

ქმედების დასჯადობას, თუ ამ ქმედებით აცდენილი საფრთხე ემუქრებოდა თავად მოქმედი პირის ან მისი ახლობლის სისხლისსამართლებრივად დაცულ ინტერესს. ამისდა კვალად, გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში უკიდურესი აუცილებლობის დროს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების განმსაზღვრელი კრიტერიუმი არ არის ზოგადად უფრო მნიშვნელოვანი მართლზომიერი ინტერესის დაცვა, როგორც ეს იყო რომის სამართალში.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, რომაულ სისხლის სამართალში, ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ გამოვყოფდით აგრეთვე შემდგომ ორ მომენტსაც: სისხლის სამართლის ნორმის უცოდინარობისა და კოლექტიური ბრალის პრობლემას.

<u>ნორმის უცოდინრობა:</u> პირველ მომენტთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას თ. მომსენის შემდეგ მტკიცებაზე შევაჩერებდით: „სისხლის სამართლის კანონის მიმართ, რომლის ცოდნაც თავისდათავად არ ხერხდება, რომაული სამართალი სამოქალაქო სამართლისთვის დამახასიათებელ წესს იყენებს: სოციალურ ცხოვრებაში ჩართული სუბიექტი ვალდებულია იცნობდეს სახელმწიფო კანონებს და, მაშასადამე, ყოველი გადაცდომა (Übertretung), მათ შორის უცოდინაროზით, თავის თავშივე მოიცავს ბრალეულობას...”62 ამრიგად, სისხლის სამართლის ნორმის უცოდინარობა ბრალის ცნებასთან მიმართებაში აქ ნეიტრალურ გარემოებად არის აღიარებული ანუ ნორმის უცოდინარობა მოცემულ შემთხვევაში არც ამსუბუქებს და არც, მით უმეტეს, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ ბრალს. აღსანიშნავია, რომ აქ საუბარია ნორმის უცოდინარობაზე ნორმის ცოდნის შესაძლებლობის არსებობისას, მაგრამ აშკარაა, რომ რომაელ იურისტებს ნორმის ცოდნის შესაძლებლობა ზედმეტად ვრცლად გაეგებოდათ. სუბიექტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ვალდებული იცნობდეს სისხლის სამართლის ნორმას, თუ ის ფლობს მისი ცოდნის რეალურ, ადვილად განხორციელებად შესაძლებლობას. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ კანონმდებელი მაქსიმალურად უნდა ზრუნავდეს სისხლის სამართლის კანონში ყოველი ცვლილების გამო სუბიექტის სრულყოფილ ინფორმირებაზე. ხოლო როდესაც საუბარია იმაზე, რომ „სოციალურ ცხოვრებაში ჩართული სუბიექტი” თავისთავად უნდა იტყობდეს ყოველი ახალი სისლისსამართლებრივი ნორმის შესახებ, ცხადია, ის საზოგადოდ არ შეიძლება ფლობდეს ნორმის ცოდნის რეალურ შესაძლებლობას. და თუ სუბიექტი მოკლებულია ნორმის ცოდნის რეალურ შესაძლებლობას, ნორმის უცოდინაროზით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისას ბრალი უპირობოდ უნდა გამოირიცხოს, მიუხედავად იმისა, მსუბუქი თუ მძიმე სასჯელით დამუქრებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

ზემოციტირებული ავტორის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში გამართლებულად ვერ მიიჩნევა, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც სასჯელის ხარისხი მძიმეა. „მცირემნიშვნელოვან დასჯად ქმედებათა

შემთხვევაში, — აღნიშნავს თ. მომსენი, — კერძო სისხლის სამართალში ეს სავსებით შეიძლება იყოს დასაშვები... მაგრამ როდესაც საჯარო კრიმინალურ სამართალში გამოიყენება მძიმე სასჯელები (მაგალითად, ანდერძის შემდგენლის დასჯა დოკუმენტის გაყალბებისათვის, თუ ის მოანდერძის ნებით თავად ასრულებს ლეგატის ფუნქციას, რის აკრძალულობის შესახებ არაფერს უწყის ან სუბიექტის... დასჯა ნათესაური კავშირის არსებობისას ქორწინების გამო, რა დროსაც ის მცდარად ვარაუდობს, რომ ნათესაური კავშირის არსებობისას ქორწინება დასაშვებია), ეს არ შეიძლება იყოს გამართლებული."63

ამასთანავე, თ. მომსენი იქვე ავითარებს მორიგ, ასევე ძნელად მისაღებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო კანონთა უცოდინარობით დარღვევა იმიტომ არ შეიძლება იყოს სრულიად ამოღებული დასჯად ქმედებათა წრიდან, რომ კანონის ცოდნის დამტკიცება როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად უდიდეს სირთულეს წარმოადგენს..."64 სინამდვილეში კი, ყოველივე მარტივად გამოიყურება, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა აქ დამოკიდებული უნდა იყოს არა იმის დადგენაზე, იცნობდა თუ არა სუბიექტი სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნას, არამედ მხოლოდ იმაზე, ფლობდა თუ არა ის ასეთი ცოდნის შესაძლებლობას.

<u>კოლექტიური ბრალი:</u> იკვლევს რა კოლექტიური ბრალის პრობლემას რომაულ სისხლის სამართალში, ვ. რაინი აღნიშნავს: „აქ მიღებული პრინციპის შესაბამისად, იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არ სჩადის დანაშაულს (თუმც შუა საუკუნეების სამართალში უკვე სხვაგვარად იყო), არამედ დელიქტური ქცევის უნარს ფლობენ მხოლოდ მისი ცალკეული წევრები... და ყოველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმისათვის, რაც თავად განახორციელა."65 აქედან გამომდინარე, რომაულ სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აბსოლუტურობაა აღიარებული, რაც კიდევ უფრო გარკვევით დასტურდება იმავე ვ. რაინთან წარმოდგენილ შემდეგ თეზისში: „...ის, რომ სასჯელი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ დამნაშავეს და არა სხვა ანუ არაბრალეულ პირს, კრიმინალური სამართლის ზოგადი პრინციპია."66 ამასთანავე, მეტად საგულისხმოა უშუალოდ ის, თუ რას წარმოგვიდგენენ რომაელი იურისტები კოლექტიური ბრალის უარყოფის მთავარ არგუმენტად: „კორპორაციას, რადგანაც ის ფლობს განსაზღვრულ ქონებას, შესაძლოა მიაყენონ ზიანი, მაგრამ თავად კორპორაცია დანაშაულს ვერ ჩაიდენს, რადგან ის მოკლებულია *dolus*-ით მოქმედებით უნარს და *dolus*-ის ან *culpa*-ს გარეშე დელიქტის განხორციელება წარმოუდგენელია".67 სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ ბრალეული ნებით, ხოლო ვინაიდან კორპორაცია არ ფლობს ნებას საერთოდ, მას არც ბრალეული ნება შეიძლება გააჩნდეს.

იმავდროულად ვ. რაინს მრავლად მოაქვს აგრეთვე იმის თვალსაჩინო მაგალითები, თუ როგორ ხორციელდება მოცემული პრინციპი სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში (ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით,

განსაზღვრულ ქალაქთან მიმართებაში ულპინიანე პირდაპირ აცხადებს, რომ „კორპორაცია არ ფლობს *dolus*-ით მოქმედების უნარს და, მაშასადამე, ვერც თაღლითობას განახორციელებს, რის გამოც უნდა გასამართლებულიყვნენ უშუალოდ ისინი, ვინც ეს დანაშაული განახორციელა...").68

ამისდა კვალად, თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ კოლექტიური ბრალი პრინციპულად უარიყოფოდა რომაული სისხლის სამართლის როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიც.

ის, რომ რომაელ სამართლისმცოდნეთა მიერ შემუშავებულ ცნებათა უმეტესობა დღესაც უცვლელად ან თითქმის უცვლელად მოქმედებს, დასტურია მათი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სრულყოფილებისა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბრალი რომაულ სამართალში ლიტონი თეორიული ცნება არ იყო. მის პირდაპირ და ქმედით კავშირს სამართლებრივ პრაქტიკასთან მოქნილი პროცესუალური აპარატის არსებობაც მოწმობს. ძველ რომში განასხვავებდნენ აკუზაციურ (ბრალდებით ან საბრალდებო) და ინკვიზიციურ (გამოძიებით) პროცესს. აკუზაციური პრინციპი გულისხმობს სასამართლო ორგანოების წინაშე ბრალდებულისა და ბრალმდებლის თანასწორუფლებიან მხარეებად წარდგომას, რა დროსაც მოსამართლე მხოლოდ ხელმძღვანელობს პროცესს და ღებულობს გადაწყვეტილებას. ინკვიზიციური პრინციპის თანახმად კი, ერთ პიროვნებაში გაერთიანებულია დამცველის, ბრალმდებლისა და მოსამართლის ფუნქციები. გასაგებია, რომ სასამართლო პროცესის ეს ორი ფორმა ერთნაირად არ პასუხობს სამართლიანობის მოთხოვნებს, მაგრამ ასევე გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ ორთავე ფორმის საერთო დანიშნულება ბრალის კვლევაში, მის დადგენასა და ობიექტურ შეფასებაში მდგომარეობდა, რაც მოცემულ შემთხვევაში უმთავრესია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომაულ სამართალში უკვე დაუშვებელია ქმედების დანაშაულებრივად და დასჯადად გამოცხადება ბრალის პრობლემის იგნორირებით. დანაშაულის სუბიექტური მხარე ფორმირებისთანავე იძენს საკმაოდ საგულისხმო მნიშვნელობას. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ბრალის არსის უცდომლად აღქმას? ჩვენი აზრით, ეს კითხვა უარყოფით პასუხს იმსახურებს. ძველმა რომაელმა იურისტებმა ზუსტად განსაზღვრეს ბრალის *დანიშნულება,* მაგრამ ისინი შორს იყვნენ მისი *არსის* მართებული გაგებისაგან. ბრალის დანიშნულების განსაზღვრის სიზუსტე მდგომარეობს იმაში, რომ რომაული სამართალი სისხლსსამართლებრივ პასუხისმგებლობას უპირატესად უკავშირებდა თვით ბრალს და არა ბრალის შედეგებს, თვით განზრახვას ან გაუფრთხილებლობას და არა ამ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ზიანს. პ. გარო წერს: „ძველ ფრანგულ სამართალში, რომაული სამართლის საპირისპიროდ, დელიქტური განზრახვა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რის შედეგადაც საჯარო რეპრესიის მიზანი უფრო დაშინებაა, ვიდრე დასჯა (plutôt l›intimidation que la punition)".69 უნდა აღინიშნოს, რომ, ამ მხრივ, რომის სამართალი არა მხოლოდ ძველ ფრანგულ სამართალთან,

არამედ ასევე იმ დროისთვის და მანამდე არსებულ ყველა სხვა სამართლებრივ სისტემასთან შედარებით დიდად იყო დაწინაურებული.

§4. შუა საუკუნეების სამართალი

აქტუალური და დანაშაულებრივი ნება

თუ შევეცდებით შუა საუკუნეებში გაბატონებული სისხლისსამართლებრივი კონცეფციების შედარებას არისტოტელეს შეხედულებებთან, აღმოჩნდება, რომ შუა საუკუნეების სისხლის სამართალში შერაცხვისა და ბრალის იდეის პრობლემა თვისებრივად ახლებურ იერს იძენს, თუმც მას კვლავაც ბევრი რამ აქვს საერთო არისტოტელეს ზემოგანხილულ მოძღვრებასთან (მაგალითად, ის, რომ აქაც ამოსავალ მომენტს სუბიექტური ნების თავისუფლება წარმოადგენს). შუა საუკუნეების დოგმატიკისათვის, განსხვავებით არისტოტელეს მოძღვრებისაგან, უცხო არ არის მოვალეობის ცნება. და ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უმოქმედობის დასაბუთებას, რომელიც არისტოტელესთან გადაულახავ ბარიერად იყო ქცეული.

ს. კუტნერი აღწერს რა უმოქმედობის პრობლემას შუა საუკუნეების სისხლის სამართალში, შენიშნავს: „ის, ვინც არ ახორციელებს სავალდებულო ქცევას, ერთმნიშვნელოვნად გათანაბრებულია იმასთან, ვინც უგულებელყოფს აკრძალვას; მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სუბიექტს მოქმედების უნარი შესწევს და მისი უმოქმედობა ნებელობით აქტს განასახიერებს“.70 მაგრამ შუა საუკუნეების სისხლის სამართალი უმოქმედობას ასაბუთებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ განზრახვასთან, გაუფრთხილებლობითი უმოქმედობა კი აქ ისევ და ისევ დაუსაბუთებელი რჩება.

ვ. ჰარდვიგი ამის მიზეზს შემდეგში ხედავს: „პოზიტიური გამოწვევისა (=განპირობებისა — Verursachung) და პოზიტიური ნების შესაძლებლობას სავსებით მოკლებულია გაუფრთხილებლობითი ქცევა, რომელიც გამოიხატება უმოქმედობაში... თუმც შუა საუკუნეების კრიმინალისტები იცნობდნენ ისეთ ცნებას, როგორიც არის *negligentia*, და ის გაუფრთხილებლობით უმოქმედობასაც მოიცავდა, მაგრამ არ იყო მოცემული უმოქმედობის ამ სახის არსებითი თეორიული დასაბუთება და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მოცემული შერაცხვის შესახებ იმგვარი მოძღვრების ფარგლებში, რომელიც აქტუალური ნებიდან ამოდიოდა“.71

ანალოგიურ ვითარებას ვღებულობთ ნასვამ მდგომარეობაში, აცილებადი შეცდომისა და სხვა მსგავს შემთხვევებში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქცევასთან დამოკიდებულებაშიც. შუა საუკუნეების კანონმდებელი არც აქ გვთავაზობს „არსებით თეორიულ დასაბუთებას“, მაგრამ მას

ამჯერადაც მოეპოვება სუბიექტური ქცევისა და აქტუალური ნების ურთიერთგადაბმის ინსტრუმენტი — *culpa praecedens*.

რ. ლოენინგი ამის თაობაზე აღნიშნავს: „*culpa praecedens*-ს შუა საუკუნეების სისხლის სამართალი ხშირად იყენებდა იმისათვის, რომ გარკვეული ქცევის შერაცხვა დაეკავშირებინა სუბიექტის აქტუალურ ნებასთან (მაგალითად, სიმთვრალის, არასაპატიო შეცდომის, თვით სუბიექტის მიერ პროვოცირებული უკიდურესი აუცილებლობის ან აუცილებელი მოგერიების დროს). *Culpa praecedens*-ის ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ არისტოტელესაც ჰქონდა შეცნობილი, რომლის საფუძველზეც ის პასუხისმგებლობას გამორიცხულად არ მიიჩნევდა, თუ უცოდინარობა და ა.შ. იყო აცილებადი ან თუ პირმა, როგორც *actio libera in causa*-ს დროს, თვითონვე ბრალეულად ჩააყენა საკუთარი თავი შეურაცხადობის მდგომარეობაში“.72

ამის შედეგად თავისთავად ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ იყო შეუძლებელი ქცევის მოცემულ სახეებში ბრალის თეორიული დასაბუთება. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე კრიმინალისტების მიერ ამ კუთხით გამოთქმული საყვედური სავსებით სამართლიანია. თუ სუბიექტი შეგნებულად აყენებს თავს შეურაცხადობის მდგომარეობაში და შემდგომ (თავისდა უნებურად) იწვევს მძიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ნათელია, რომ ეს შედეგი მჭიდრო კავშირშია მის აქტუალურ ნებასთან, მაგრამ ასევე თვალსაჩინოა ისიც, რომ ეს აქტუალური ნება სუბიექტის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევისაკენ არ მიიმართება.

მაგრამ თუ ვიტყვით, რომ აქტუალური ნება მართლაც მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, მაშინ შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის ჩაყენება კი არ უნდა შეადგენდეს სუბიექტის მიზანს, არამედ სუბიექტი იმ მიზნით უნდა აყენებდეს თავს შეურაცხადობის მდგომარეობაში, რომ აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიოს. ხოლო აქ სუბიექტური ქცევის ორ სხვადასხვა სახესთან გვაქვს საქმე.

სირთულეს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ჩვენთვის საინტერესო მაგალითში სუბიექტი დელიქტურ შედეგს მიზნად არ ისახავდა. ამიტომ უკანასკნელ შემთხვევაში ზემოხსენებული კავშირი აქტუალურ ნებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის იქნება არა უშუალო, არამედ სუბიექტის მიერ შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის შეგნებული ჩაყენებით გაშუალებული, რაც საბოლოო ჯამში იმას ნიშნავს, რომ აქტუალური ნების ობიექტს წარმოადგენს შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის შეგნებული ჩაყენება და არა შეურაცხადობის მდგომარეობაში დელიქტური ეფექტის გამოწვევა. შესაბამისად, თუ ბრალის დამაფუძნებელი უმთავრესი ფაქტორი აქტუალური სუბიექტური ნებაა, ბრალი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულად ვერ ჩაითვლება.

აქედან გამომდინარე, ვ. ჰარდვიგის ზემოწარმოდგენილი კრიტიკული შენიშვნის საფუძვლიანობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მაგრამ აქედანვე გამომდინარეობს მის ამ შენიშვნაში გარკვეული კორექტივის შეტანის საჭიროებაც, რადგან ის, რასაც ქცევის მოცემულ სახეში შუა საუკუნეების სისხლის სამართალი თეორიულად ვერ ასაბუთებს, არის არა აქტუალურ

ნებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის ზოგადი კავშირი, არამედ ამ ზოგადი კავშირის საკმარისობა ბრალთან მიმართებაში აქტუალური ნების გადამწყვეტი მნიშვნელობის გამოსაყოფად.

იმავე სირთულეებთან არის დაკავშირებული ევენტუალური განზრახვის პრობლემაც, ვინაიდან აქტუალური ნება აქაც მხოლოდ ინდირექტულად უკავშირდება მართლსაწინააღმდეგო შედეგს. მაგრამ ამ უკანასკნელ საკითხთან დამოკიდებულებაში ადგილი აქვს გაცილებით უფრო ღრმა და მით უფრო დაუძლეველ წინააღმდეგობრიობას.

საქმე ის არის, რომ შერაცხვის საფუძველს აქ კვლავ ხედავენ სუბიექტურ ნებაში, რომელიც ზოგადად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, გამოყოფენ ევენტუალური განზრახვის ალტერნატიულ სახელწოდებას *dolus indirectus*-ის, ანუ ირიბი განზრახვის სახით.

ჯერ ერთი, როდესაც აღინიშნება, რომ ევენტუალური განზრახვის დროს სუბიექტური ნება გენერალურად არის მიმართული არამართლზომიერი შედეგისაკენ, ეს უკვე ნიშნავს ამოსავალი პრინციპის უარყოფას, ანუ იმას, რომ აქტუალური ნება კარგავს თავის მადეფინირებელ მნიშვნელობას.

მეორეც, თუ ევენტუალური განზრახვის შინაარსი განისაზღვრება სუბიექტური ნების ზოგადი ორიენტირებულობით მართლსაწინააღმდეგო შედეგზე (და არა აქტუალური ნების ირიბი, არაპირდაპირი კავშირი ამ უკანასკნელთან), რით შეიძლება დასაბუთდეს ევენტუალური განზრახვის ალტერნატიულ სახელწოდებად *dolus indirectus*-ის გამოცხადება?

ამის შედეგად საერთოდ გაურკვეველი ხდება, თუ რეალურად რაში მდგომარეობს განზრახვის მოცემული სახის განმსაზღვრელი პრინციპი.

გარდა ამისა, თუ ევენტუალური განზრახვისას შერაცხვის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სუბიექტური ნება ზოგადად მიმართულია დელიქტური შედეგისაკენ, ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის ყოველგვარი განსხვავება წარხოცილად შეიძლება ჩავთვალოთ, რითაც სისხლისსამართლებრივი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სტრუქტურული მოცულობა ერთიანად კარგავს თავის კონკრეტულობას.

თვითიმედოვნების დროსაც სუბიექტის აქტუალური ნება მიმართულია სხვა, გარკვეული პოზიტიური ქცევისა და შედეგისაკენ, მაგრამ არც აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ სუბიექტის ნება ზოგადად არ მოიცავს თანამდევ დელიქტურ შედეგს, რადგან დელიქტური ვერ ეწოდება ვერც სუბიექტურ ქცევასა და ვერც საზიანო შედეგს, თუ მოცემული ქცევა ან შედეგი არ წარმოადგენს სუბიექტური ნების გარეგან გამოვლინებას.

თვითიმედოვნების შემთხვევაშიც, ისევე როგორც ბრალეული ქცევის სხვა დანარჩენ შემთხვევებში, სუბიექტს მოეპოვება იმის (ფსიქოფიზიკური) უნარიც და (ობიექტური) შესაძლებლობაც, რომ სხვაგვარად, ანუ მართლზომიერად წარმართოს საკუთარი ნება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ობიექტურ შერაცხვასთან. და რადგან სუბიექტს შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, დაუშვებელია, რომ ამ სხვაგვარი მოქმედების განუხორციელებლობა არ წარმოადგენდეს სუბიექტური ნების გამოხატუ-

ლებას. ამიტომ თვითიმედოვნების მაგალითზეც აქტუალური ნება თუმც არ მიიმართება დელიქტური შედეგისაკენ, მაგრამ სუბიექტის ნება ზოგადად მაინც მოიცავს ამ უკანასკნელს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება, ინტელექტუალური მხრივ, მდგომარეობს შედეგის შესაძლებლობის გათვალისწინებაში, ე.ი. ერთსა და იმავე ინტელექტუალურ ნიშანში, უსათუოდ დავასკვნით, რომ ეს ორი ცნება ფაქტობრივად აღწერს ბრალეული ქცევის ორ აბსოლუტურად იდენტურ ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგანსხვავება თანამედროვე დოგმატიკაშიც მეტად პრობლემატური საკითხია, მსგავს ალოგიკურობას აქ არ ვაწყდებით, ვინაიდან თანამედროვე სისხლის სამართალი, გვიხასიათებს რა ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ნებელობით ასპექტს, მხოლოდ იმით როდი იფარგლება, რომ სუბიექტური ნება ამ შემთხვევებში „ზოგადად მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ“. როგორც ცნობილია, გაბატონებული მოძღვრების თანახმად, ევენტუალური განზრახვის ნებელობითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი შეგნებულად უშვებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგს, თვითიმედოვნების ნებელობით მხარეს კი, ამის საპირისპიროდ, განსაზღვრავს ის, რომ პირი კი არ ურიგდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას (როგორც ამას შედეგის შეგნებულად დაშვების დროს ჰქონდა ადგილი), არამედ (ქარაფშუტულად) ვარაუდობს მის თავიდან აცილებას, ე.ი. ცდილობს, ისწრაფვის, რომ მოცემული საზიანო შედეგი არ დადგეს. ამიტომ სხვაობა თანამედროვე დოქტრინასა და შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივ ხედვას შორის ამ მხრივ ერთობ მნიშვნელოვანია.

ამასთანავე, თუ პირველ შემთხვევაში გამართლებულად ვერ მიიჩნეოდა ევენტუალური განზრახვის ალტერნატიულ სახელწოდებად *dolus indirectus*-ის შემოღება, თანამედროვე სისხლის სამართლის ფარგლებში ეს განსახილველ კონტექსტში მტკიცედ არის მოქცეული ლოგიკური აზროვნების ჩარჩოებში.

გაბატონებულ მოძღვრებაში საკითხი დაისმება არა იმგვარად, რომ ევენტუალური განზრახვის დროს ქცევის ძირითადი (როგორც წესი, არამართლსაწინააღმდეგო) შედეგისაკენ მიმართულია აქტუალური ნება, ხოლო თანამდევ დელიქტურ შედეგს მოიცავს სუბიექტური ნება ზოგადად, არამედ იმგვარად, რომ ორივე შემთხვევაში ერთგვაროვნად გაგებული სუბიექტური ნება ძირითადი არადელიქტური შედეგისაკენ მიიმართება პირდაპირ, თანამდევი დელიქტური შედეგისაკენ კი — მხოლოდ ირიბად.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ტერმინებს „ევენტუალური განზრახვა“ და „ირიბი (ინდირექტული) განზრახვა“ ერთი და იგივე პრინციპი როდი უდევს საფუძვლად. ის, რასაც განზრახვის მოცემულ სახეში აგვიწერს ევენტუალურობის ნიშანი, სულაც არ ემთხვევა იმას, რაც აღიწერება მასში ირიბობის, ანუ ინდირექტულობის ნიშნით.

ევენტუალურობა ნიშნავს შესაძლებლობას და, ამდენად, ის შეეხება განზრახვის განსახილველი სახის ინტელექტუალურ მხარეს (სუბიექტის მიერ საზიანო შედეგის შესაძლებლობის გათვალისწინება), ხოლო ირიბობა, ანუ ინდირექტულობა, როგორც უკვე ვიხილეთ, ნებელობითი ასპექტის გამომხატველი ნიშანია (სუბიექტური ნება მხოლოდ ირიბად არის მიმართული მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ). და, რამდენადაც *ევენტუალურობა მხოლოდ ინტელექტუალური მომენტის ამსახველი ნიშანია, ირიბობა (ინდირექტულობა) კი — მხოლოდნებელობითი მომენტისა*, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვის ამ სახით წარმოდგენილია „ევენტუალურ-ირიბი განზრახვა“ და არა „ევენტუალური, ანუ ირიბი განზრახვა“.

როდესაც განზრახვის მოცემული სახე იწოდება „ევენტუალურად ანუ ირიბად“, ეს იმის მომასწავებელია, რომ დეფინირების ორიენტირად წარმოგვიდგება ბრალის ძირითადი ასპექტები (ინტელექტუალური და ნებელობითი) არა ერთდროულად, არამედ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ხოლო თუ განვსაზღვრავთ მას როგორც „ევენტუალურ-ირიბ განზრახვას“, ამით ზემოხსენებული ასპექტები უნიფიცირებულად შეიძლება ჩავთვალოთ.

ეს რაც შეეხება საკითხის წმინდა დოგმატურ-ლოგიკურ მხარეს, თეორიულად კი სრულიად გაუმართლებლად ვერ მიიჩნევა ის პირობითობა, რომლითაც განზრახვის აქ წარმოდგენილი სახის სახელწოდება განიყოფა ევენტუალურად და ირიბად, რადგან იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი განვასხვავოთ პირდაპირი განზრახვისაგან, სავსებით საკმარისია ერთ-ერთი ნიშნის მოტანაც: არც ევენტუალურობა და არც, მით უმეტეს, ირიბობა პირდაპირ განზრახვას არ ახასიათებს.

შუა საუკუნეების სისხლის სამართალი თავისებურად უდგება მცდელობის საკითხსაც, რომლისთვისაც ის საკმარისად მიიჩნევს „დანაშაულებრივი ნების“ ყოველგვარ გამოვლინებას. ამის თანახმად, ისეთი ცნება, როგორიც არის დაუმთავრებელი მცდელობა, შუა საუკუნეების სისახლის სამართლისთვის უცხოა.

მაგრამ თუ არ დავყოფთ მცდელობას დამთავრებულსა და დაუმთავრებელზე, მაშინ რა მნიშვნელობა ენიჭება სისხლისსამართლებრივად დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას?

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მცდელობა აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დასჯადია, თვალსაჩინო ხდება ზემოაღნიშნული პრობლემის სრულყოფილი სახე. რადგან, ერთი მხრივ, „დანაშაულებრივი ნების“ „ყოველგვარ“ გამოვლინებას წარმოადგენს მდგომარეობაც, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა ბოლომდე არ არის მიყვანილი, მაგრამ პირი დარწმუნებულია, რომ ის ფლობს დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობას, და ამით სახეზეა მცდელობა, ხოლო, მეორე მხრივ, მცდელობის ყოველი კონკრეტული შემთხვევა, როგორც წესი, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, უნდა დავასკვნათ, რომ ის, რასაც თანამედროვე სისხლის სამართლის ენაზე ეწოდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი

მცდელობის (აგრეთვე მომზადების) დროს, შუა საუკუნეების სისხლის სამართალში სულაც არ გამორიცხავს ბრალსა და ბრალეულ პასუხისმგებლობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა, ე.ი. ის სამართლებრივი შედეგი, რომელსაც თანამედროვე კანონმდებელი დამთავრებული მცდელობის შემთხვევაში (ქმედითი მონანიების დროს) ითვალისწინებს.

ამასთანავე, აშკარაა, რომ შუა საუკუნეების სისხლის სამართალში ადგილი აქვს არა მხოლოდ დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის ურთიერთგანუსხვავებლობას, არამედ აგრეთვე მცდელობის ცნების განუსხვავებლობას მომზადების ცნებისაგან.

მომზადება, მართალია, არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას და იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა, მაგრამ ამითაც „დანაშაულებრივი ნება“ უკვე შესაძლოა მივიჩნიოთ გამოვლენილად და ეს, ამავე დროს, ზემომოტანილი პრინციპიდან გამომდინარე, მცდელობის მოცემულობასაც ნიშნავს.

იმის ლოგიკური საფუძველი, თუ რატომ მიიჩნევა „დანაშაულებრივი ნების“ ყოველგვარი გამოვლინება მცდელობის არსებობის საკმარის წინამძღვრად და მცდელობის ყოველი ცალკეული შემთხვევა დასჯადად, ადვილად გასარკვევია: შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განიცდის რელიგიური მსოფლმხედველობის ზეგავლენას.

მაგრამ, ამასთანავე, გარკვევას მოითხოვს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც, სახელდობრ ის, თუ რაში მდგომარეობს უმთავრესად იმჟამინდელი მიდგომის განსხვავება თანამედროვე დოგმატიკაში მიღებული შესაბამისი პოზიციისაგან. უფრო ზუსტად კი, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, თუ კონკრეტულად რით ხელმძღვანელობენ შუა საუკუნეებისა და თანამედროვე თეორეტიკოსები, როდესაც პირველნი, უკანასკნელთაგან განსხვავებით, არ აწარმოებენ მცდელობის ცნების გრადაციას და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არც ერთ შემთხვევაში არ სცნობენ ბრალის გამომრიცხველ გარემოებად.

ჩვენი აზრით, აქ ერთმანეთს უპირისპირდება სისხლისსამართლებრივი რეგულირების ორი ძირითადი ელემენტი: რეპრესიული და პრევენციული.

როდესაც მცდელობის ცნება დაყოფილია დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობებად, ხოლო დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა, ეს იმის მომასწავებელია, რომ კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს არა სუბიექტის დასჯას, რომელიც უკვე შეუდგა დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას, არამედ იმ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დაცვას, რომლის ხელყოფაც დაწყებულია. ამრიგად, თანამედროვე სისხლის სამართალში პრევენციულობა რეპრესიულობაზე ბევრად უფრო მაღლა დგას.

მაგრამ თუ სისხლისსამართლებრივ მცდელობას წარმოვიდგენთ ერთნიშნა ცნებად და განუყოფლად დავუკავშირებთ მას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მივიღებთ, რომ ზემოაღნიშნული ურთიერთობის დაცვა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სუბიექტის დასჯა, რომელიც მოცემულ ურთიერთობას საფრთხეში აყენებს. შესაბამისად, შუა საუკუნეების სისხლის სამართალში უკვე პრევენციული ელემენტი კი არ დომინირებს რეპრესიულ ელემენტზე, არამედ პირიქით, პრევენციულობა ერთმნიშვნელოვნად არის დაქვემდებარებული რეპრესიულობას.

უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების სისხლის სამართალი სრულ იგნორირებას უწევს ელემენტარულ სისხლისსამართლებრივ კანონზომიერებას. არ უნდა იყოს საცილო ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კანონის უპირველეს და ყოვლისგანმსაზღვრელ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ხოლო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, განა დაიშვება, რომ დამნაშავის დასჯა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დანაშაულის თავიდან აცილება? ცხადია, არა. აქედან გამომდინარე, *რეპრესიულობას სისხლის სამართალში წარმოშობს სწორედ პრევენციის საჭიროება* და რადგან პრევენციული ელემენტი წინ უსწრებს რეპრესიულ ელემენტს, უცილობლად გვმართებს იმის კონსტატირება, რომ სისხლისსამართლებრივად რეპრესია ემსახურება პრევენციის მიზნებს და არა პირიქით. ეს კი, თავის მხრივ, დამაჯერებლად მეტყველებს პრევენციული ელემენტის პრიმატზე რეპრესიული ელემენტის წინაშე.

ამასთანავე, სისხლის სამართალში რეპრესიულობისა და პრევენციულობის ურთიერთმიმართება როდი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის რა სახეა წარმოდგენილი ან სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების რომელი კონკრეტული ეტაპი გვაქვს მხედველობაში. უმკაცრესი დესპოტიის პირობებშიც კი სისხლისსამართლებრივ ნორმათა თავიდათავ ამოცანას არსებული სოციალური წესრიგის დაცვა შეადგენს და, მაშასადამე, დანაშაულის თავიდან აცილება კვლავაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით დამნაშავის დასჯა.

ყოველივე ამის კვალობაზე, აშკარაა მცდელობის პრობლემასთან დამოკიდებულებაში შუა საუკუნეების კრიმინალისტთა მიერ დაშვებული თეორიული სიმცდარე. უკეთ რომ ვთქვათ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია როგორც მცდელობის ცნების განუყოფლობა, ისე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობის დაკნინება, რამეთუ ამას მექანიკურად მოსდევს პრევენციული ელემენტის მიმართ რეპრესიულობის პრიორიტირება და ეს არსებული სინამდვილის მოთხოვნებს არამც და არამც არ პასუხობს.

შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი

ბრალის არსებით, მის ძირითად მხარეზე ყურადღება მხოლოდ შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალს გადააქვს. თუმც იმთავითვე უნდა

შეინიშნოს ისიც, როგორც აღიარებულია თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში, რომ ვერც კანონიკურ სამართალში მიიღწევა სრულყოფილად ბრალის მართებული გაგება. და ამის მიზეზს აქ წარმოდგენილი უკიდურესი სუბიექტივიზმი შეადგენს.

როგორც ადვილად მისახვედრია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის სათანადო თეორიული კავშირის გაწყვეტას, რაც შესაძლებელს ქმნის დანაშაულის სუბიექტური მხარის პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძვლად გამოყოფას. ასეთ შემთხვევაში კი ბრალი ყალიბდება ობიექტურ ელემენტებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. მაგრამ თუ სისხლის სამართალი მოწოდებულია აწესრიგოს ინდივიდთაშორისი განსაზღვრული სოციალური ურთიერთობები და არა ინდივიდთა გარეგანად გამოუვლენელი ფსიქოლოგიური საქმიანობა, მაშინ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ შეიძლება ყალიბდებოდეს ობიექტური ელემენტების მოუცემლობის პირობებში ან ქმედების ობიექტური მხარისაგან მოწყვეტით. უკეთ რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი ბრალი უნდა ვეძიოთ მხოლოდ გარეგანად გამოვლენილ „ბოროტ ნებაში" და არა ზოგადად „ბოროტ ნებაში".

მაშასადამე, როდესაც შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში სუბიექტის ფსიქოლოგიური საქმიანობა პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დაიშვებოდა, ეს ნაკლებად უწყობდა ხელს ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების პოზიტიურ განვითარებას. მაგრამ სუბიექტის ფსიქოლოგიურ საქმიანობაზე ძირითადი აქცენტის გადატანა (მისი ზემოხსენებული სახით აბსოლუტირების გარეშე) უდავოდ წარმოადგენს ბრალის არსის მართებული განსაზღვრის აუცილებელ წინამძღვარს. შებრუნებით რომ ვთქვათ, ბრალის არსის მართებული განსაზღვრა თეორიულად შეუძლებელია სუბიექტის შინაგან ქცევაზე ძირითადი აქცენტის გადატანის გარეშე.

ამრიგად, შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი უკანასკნელ მომენტზე ყურადღების ინტენსივირებით მნიშვნელოვნად უახლოვდება ბრალის ჭეშმარიტი ბუნების ჯეროვან აღქმას. სხვა საკითხია ის, რომ კანონიკური სამართლის ფარგლებში აქ მოქმედი სპეციფიკური დოგმების გამო ვერასოდეს მიიღწეოდა აღნიშნული თვალსაზრისის ბოლომდე თანამიმდევრული განვითარება, ანუ მისი რადიკალიზებისაგან თავის შეკავება. ამასთანავე, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, შუა საუკუნეების კანონიკური სამართლისთვის არც საპირისპირო უკიდურესობის, ობიექტივიზმის, გამოვლინებაა ზოგჯერ უცხო.

შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში დამნაშავის შინაგანი ქცევის თეორიული მნიშვნელობის ზრდაზე ბრალის ცნების განვითარების კვლევისას არაერთი სხვა კრიმინალისტიც ამახვილებს ყურადღებას. ასე, მაგალითად, ფრანგი მეცნიერი რ. სალეილესი ამის თაობაზე შენიშნავს: „ეს კანონიკური სამართალია, სადაც ბრალთან მიმართებაში პირველად წამოიჭრა დამნაშავის შინაგანი განცდების, მისი სუბიექტურობის საკი-

თხი. თანამედროვე სუბიექტივისტური სისხლის სამართლის ძირეული იდეა უკვე კანონიკურ სამართალში პოვებს თავის გამოხატულებას არა ჩანასახის სახით, არამედ მთელი თავისი სრულყოფილებით“.73 უდავოა, რომ დამნაშავის შინაგან განცდებზე, მის შინაგან ქცევაზე მახვილის გადატანა უსათუოდ სძენს ბრალის კანონიკურ ცნებას უფრო ვრცელ და ღრმა შინაარსს, ვიდრე ეს ბრალის რომაულ ცნებაში შეინიშნება. ამას გარკვევით მოწმობს განზრახი ბრალის ცალკეულ სახეებად დაყოფაც. აქ განზრახი ბრალის შემდეგი ხუთი სახეა წარმოდგენილი:

„1) *Dolus praemeditatus* — მოფიქრებით მიღებული გადაწყვეტილება;

2) *Dolus impetus* — მოფიქრების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება;

3) *Dolus directus* — დამნაშავის მიერ თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგების შეგნებული დაშვება (თანამედროვე ირიბი, ანუ ევენტუალური განზრახვის ეკვივალენტი);

4) *Dolus indirectus* — დამნაშავის მიერ გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე უფრო მძიმე შედეგის დადგომა;

5) *Dolus generalis*— მართლსაწინააღმდეგო შედეგის მისაღწევად რამდენიმე ქმედების განხორციელება, როდესაც მართლსაწინააღმდეგო, საზიანო შედეგი გამოწვეულია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით“.74 ცხადია, რომ განზრახი ბრალი ამგვარად დღეს ვერ დაიყოფა, ვინაიდან ზემოჩამოთვლილ ქვესახეთა ერთმანეთისაგან განსხვავება ნებელობითი და ინტელექტუალური ნიშნების მიხედვით შეუძლებელია.

მაგრამ ზემოხსენებული ღირსების მიუხედავად, შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი რომაულზე ნაკლებად პრაქტიკაბელურია, რადგან ის ხშირად სავსებით არ ასახავს სოციალურ სინამდვილეს და ვერ ესადაგება მისი ცალკეული სფეროებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. მაგალითად, მას, ვინც სჩადიოდა დანაშაულებრივ ქმედებას, პასუხი უნდა ეგო ყველა აქედან გამომდინარე შედეგისათვის, თუნდაც მას არ ჰქონოდა ამ ყოველი ცალკეული შედეგის გათვალისწინების რამეგვარი შესაძლებლობა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მსგავს ობიექტივიზმს ჩვენთვის თანამედროვე სისხლის სამართალშიც ვხვდებით, როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში.

ასე, მაგალითად, გფრ-ის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „თუ პირს ბრალი მიუძღვის საფრთხის შექმნაში, იგი უნდა დაისაჯოს არა მარტო იმ მავნე შედეგისათვის, რომელსაც ითვალისწინებდა ან შეეძლო გაეთვალისწინებინა, არამედ იმ შედეგისთვისაც, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ვინც ბრალეულად გააღო კარი, საიდანაც მრავალი სხვადასხვა ბოროტება შეიძლება შემოიპაროს, იგი პასუხს აგებს ყოველი ფაქტობრივად განხორციელებული მავნე შედეგისათვის, თუნდაც მისი გათვალისწინება შეუძლებელი იყოს.“75

რაც შეეხება სისხლის სამართლის თეორიას, აქ ჩვენს ყურადღებას ბრიტანული სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება ***mens rea*** იპყრობს. ამ ცნების მიხედვით, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს სუბიექტურ ქმედებასა და საზიანო

შედეგს შორის ყოვლად აბსტრაქტული მიზეზობრივი კავშირის შედეგადაც: თუ სუბიექტი, რომლის ცხოვრების წესიც განიხილება როგორც ეთიკურად დასაგმობი (გასაკიცხი), თვით ამ მდგომარეობის ძალით, თუნდაც სრულიად უნებურად, ახორციელებს დელიქტურ შედეგს, მისი ქცევა კვალიფიცირდება როგორც დანაშაული.”76 ამასთანავე, *mens reas*-ს მსგავსება ზოგადად კანონიკური სამართლის წინააღმდეგობრივ შინაარსთან ერთობ სიმბოლურია, ვინაიდან ორთავე მათგანი ეფუძნება შუა საუკუნეების სუბიექტივიზმს და თანაბრად მოიცავს აშკარად ობიექტივისტურ ელემენტებსაც.

კანონიკური სამართლის მცირედ ექსტრავაგანტური ხასიათი აიხსნება იმით, რომ ეს საეკლესიო სამართალია და მისი გავლენის ქვეშ შუა საუკუნეების ქართული სამართალიც არის მოქცეული.77 ალ. ვაჩეიშვილი ამგვარად აღწერს შუა საუკუნეებში საეკლესიო სამართლის გაძლიერებას: „ეკლესიის ძლიერი პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად მისი იურისდიქციაც ფეოდალურ პერიოდში მეტად ფართო იყო. უკვე XII საუკუნის საფრანგეთში მან მოიპოვა მეტად ვრცელი კომპეტენცია და მას ექვემდებარებოდა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეები ხან განსაკუთრებული კომპეტენციის სახით, ხან კი პარალელურად საერო ხელისუფლების ორგანოებთან. ეკლესიის ასეთ აღმავლობას ხსნიან სხვადასხვა მიზეზით; მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, იყო სახელმწიფო ხელისუფლების დაკნინება, თვით სახელმწიფოს იდეის დასუსტება, ხოლო მეორე მიზეზად თვლიან იმას, რომ საზოგადოებრივი აზრი ეკლესიის სასამართლოთა მხარეზე იყო, ვინაიდან უკანასკნელნი, რომის სამართლის პრინციპებით გამსჭვალულნი, უდავოდ უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე საერო ხასიათის სასამართლოები... და, ცხადია, რომ იმავე მოვლენას საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი.“78 ეს კი ნათელყოფს, თუ რატომ იყო ზედმეტად ეთიზირებული იმჟამინდელი ევროპული და მათ შორის ქართული სამართლის ყველა დარგი. რელიგიურ-ეთიკური პრინციპები განუწყვეტლივ დევნიდნენ სისხლის სამართლის მეცნიერებიდან, მის ცალკეულ ცნებათა შინაარსიდან რაციონალურ-სამართლებრივ პრინციპებს.

სწორედ ამან განაპირობა მოცემული მიმდინარეობის წიაღში სისხლის-სამართლებრივი და ზნეობრივი ბრალის ურთიერთშერწყმის საშიშროება. კანონიკური სამართალი ბრალს განიხილავდა როგორც სუბიექტურ ნებას, მიუხედავად იმისა, განხორციელდა ის დასჯად ქმედებაში თუ მხოლოდ მიმართული იყო ასეთი განხორციელებისაკენ. ამას ლოგიკურად სხვა საპირისპირო უკიდურესობაც მოსდევს: აფექტის დროს ჩადენილი ყველა ქმედება არაბრალეულია, იმისდა გაუთვალისწინებლად, ეს აფექტი პათოლოგიურია თუ ფიზიოლოგიური ან გამოწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო თუ მართლზომიერი ქმედებით. ამის შესაბამისად, პასუხისმგებლობის დადგენისას ნება წარმოდგენილია ურყევ, ფსიქოლოგიურად იზოლირებულ ერთეულად, რომლის ჩამოყალიბების პროცესი, ის, თუ რამ განაპირობა მისი წარმოქმნა, ყურადღების მიღმაა მიტოვებული.

და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ფსიქოლოგია და ლოგიკა შუა საუკუნეების ძირითადი ტენდენციებია.

თ. აქვინელტის ონტოლოგია: შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს თ. აქვინელისა და მის მიმდევართა ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. დღეს ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ აქვინელის შემოქმედებაში შერაცხვისა და ბრალის იდეის შესახებ მოძღვრებამ თავისი განვითარების აპოგეას მიაღწია. თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც ამას ზოგიერთი კრიმინალისტი მიიჩნევს, არამცთუ არ გასცილებია მის შემეცნებებს, არამედ ბევრადაც ჩამორჩება მათ.

ჩვენი აზრით, აქვინელის ფილოსოფია, მართალია, შორს არის ყოველმხრივი სრულყოფილებისაგან, მაგრამ მისთვის თანამედროვე ეპოქისა და იმჟამად გაბატონებულ კონცეფციათა გათვალისწინებით მის მიღწევებს უდავოდ შეიძლება ეწოდოს ფენომენალური.

როგორც აქვინელის შეხედულებათა ანალიზი გვიჩვენებს, ის თავის შერაცხვის შესახებ თეორიას საფუძვლად უდებს თავისავე მოძღვრებას ყოფიერების იერარქიის შესახებ, სადაც საგანგებოდ გამოიყოფა ინდივიდთა ფინალური აზროვნებისა და განსაკუთრებული ნებელობითი საქმიანობის უნარი. აქ წარმოდგენილ ონტოლოგიურ სქემაში ყოველი ძირითადი კომპონენტი (ბუნებრივი მოვლენა, სუბინდივიდუალური არსება და ინდივიდი) განუყოფლად უკავშირდება მიზნის ცნებას, თუმც ამ კომპონენტთა ურთიერთგანსხვავების უმთავრესი კრიტერიუმი სწორედ მიზნის ცნებასთან მათი მიმართების ფორმაა.79

აქვინელის თელეოლოგიური თვალთახედვის თანახმად, ბუნებრივი მოვლენა თუ პროცესი, აუცილებლობით დაკავშირებულია რა მთავარი საწყისების მოქმედებასთან წინასწარ დადგენილი მიზნების განსახორციელებლად, მხოლოდ გარეგანად დაირთავს მიზნის ცნებას, რამეთუ მას არაფერი აქვს საერთო არც მიზნის დასახვასთან და არც მისგან დამოუკიდებლად დასახული მიზნის შეცნობასთან. მიზნის დასახვის უნარი, განსახილველი თეორიის მიხედვით, არც სუბინდივიდუალურ არსებას მოეპოვება, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მიზნის შეცნობილობას, რაც უცხო იყო ბუნებრივი მოვლენისა თუ პროცესისათვის. უკანასკნელ ონტოლოგიურ საფეხურს კი განეკუთვნება ინდივიდი, რომლის ფსიქოფიზიკური საქმიანობა უკვე წარმართულია არა გარეგანად, მისგან დამოუკიდებლად დასახული პირველმიზეზით, არამედ ის თავად განსაზღვრავს თავისავე ქმედების შინაარსსაც და მიმართულებასაც (ეს, ამავე დროს, ნების თავისუფლების პრინციპის აღიარებასაც ნიშნავს).

სისხლისსამართლებრივი შერაცხვის თვალსაზრისით, მოცემულ ონტოლოგიურ იერარქიაში საზოგადოდ მიუღებელი არაფერია, მაგრამ მასში აშკარად არის გამოკვეთილი ფრიად საგულისხმო ლოგიკური წინააღმდეგობა. თუ აქვინელის ონტოლოგიაში ამა თუ იმ ფენომენის ადგილი განისაზღვრება მიზნის ცნებასთან მისი მიმართების ფორმის შესაბამისად (გარეგანად დასახული მიზნის მექანიკური განხორციელება — გარეგანად

დასახული მიზნის შეცნობილი განხორციელება — მიზნის ავტონომიურად დასახვა), მაშინ სულით ავადმყოფთა ის კატეგორია, რომელსაც არ შესწევს მიზნის დასახვის, ანუ ფინალურად აზროვნების უნარი, უნდა მივაკუთვნოთ იმავე საფეხურს, რომელსაც განეკუთვნება სუბინდივიდუალური არსება, რა დროსაც აქვინელი გარკვევით აღნიშნავს, რომ ყოველი ინდივიდი (ე.ი. ყოველი შეურაცხადი პირიც) ონტოლოგიურად უფრო მაღლა დგას, ვიდრე სუბინდივიდუალური არსება.

ვინაიდან ეს უკანასკნელი დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება ზემოწარმოდგენილ ძირითად კრიტერიუმს, აქვინელის შეხედულებათა ლოგიკური აზროვნების ფარგლებში მოქცევა უცილობლად მოითხოვს შემდეგი დილემის გადაჭრას: უნდა დავუშვათ აქ წარმოდგენილი ონტოლოგიური სქემის რესტრუქტურირება გენერალურ კრიტერიუმთან მისი შესაბამისი მიზნით ანაც უარვყოთ (შევცვალოთ) თვით ეს გენერალური კრიტერიუმი.

პირველ შემთხვევაში, როგორც უკვე ვიხილეთ, იძულებული ვხდებით შეურაცხად პირთა განსაზღვრული კატეგორია და სუბინდივიდუალური არსებანი მოვაქციოთ ერთსა და იმავე ონტოლოგიურ საფეხურზე, რაც ერთნაირად შეუთავსებელია კლასიციზმთანაც და კათოლიციზმთანაც, რომელთა კომბინირების შედეგსაც წარმოადგენს აქვინელის მთელი შემოქმედება. გარდა ამისა, ეს ვერც თანამედროვე ფილოსოფიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მოიყვანება შესაბამისობაში და, ამდენად, თვალნათლივ იკვეთება აქვინელის მიერ შერჩეული ამოსავალი დებულების გამოუსწორებელი სიმცდარე. ხოლო როდესაც მცდარია კრიტერიუმი, არ შეიძლება არ იყოს მცდარი სისტემა, რომელიც ამ კრიტერიუმის შესაბამისად აიგება.

მაშასადამე, საუბარი უნდა იყოს არა აქვინელის ონტოლოგიის აღნიშნულ კრიტერიუმთან შესაბამისობაში მოყვანაზე, არამედ ამ კრიტერიუმის აბსოლუტურ უარყოფაზე. მაგრამ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ დაშვებული წინააღმდეგობრიობა ამით არ ამოიწურება.

განაგრძობს რა ინდივიდისა და სუბინდივიდუალური არსების ონტოლოგიური კორელაციის კვლევას, აქვინელი ცდილობს განსაზღვროს, თუ რა დამოკიდებულებაშია თითოეულ მათგანთან მის მიერ ჩამოყალიბებულ კანონთა ესა თუ ის სახე. ასე, მაგალითად, ერთი მხრივ, ბუნებით კანონს (*lex naturalis*) ის წარმოგვიდგენს როგორც გონიერ ქმნილებებში მუდმივი კანონის (*lex aeterna*) უშუალო ანარეკლს, მეორე მხრივ კი, ბუნებითი კანონის რეგულირების სფეროში მას სუბინდივიდუალურ არსებათა ქცევაც შეაქვს. გ.ფ. შერშენევიჩის მართებული შენიშვნისამებრ, ამით გონიერება უნებურად უარიყოფა როგორც მხოლოდ სუბიექტური ფსიქიკისათვის იმანენტური ნიშან-თვისება.80

ამასთანავე, აქვინელი წინააღმდეგობრივად განგვიმარტავს ბუნებითი კანონის პოზიტიურ კანონთან *(lex humana)* მიმართებასაც. მისი მტკიცებით, ბუნებითი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ყოველი პოზიტიური კანონმდებლობის შინაარსს და ამის დამადასტურებელ არგუმენტად მოიშველიება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივი სის-

ტემები მუდამ გამოირჩევა მეტნაკლები ანალოგიურობით. მაგრამ სინამდვილეში აქვინელის დებულების დასაბუთება მხოლოდ იმას როდი მოითხოვს, რომ ერთი და იმავე ეპოქის სხვადასხვა სახელმწიფოს კანონები ერთმანეთს ემსგავსებოდეს, არამედ საამისოდ მეტისმეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ სხვადასხვა ეპოქის ერთი და იმავე სახელმწიფოს კანონებიც ასევე ავლენდეს განსაზღვრულ ანალოგიურობას. ეს კი რეალურად ასე არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ და ზოგი სხვა მომიჯნავე პოსტულატიდან მოცემულ შემთხვევაში უმთავრესია ის, რომელიც მოწმობს აქვინელის ონტოლოგიის ფუნდამენტურ კონტრადიქტორულობას. როდესაც აქვინელი ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან სუბინდივიდუალურ არსებასა და შეურაცხადთა ზემოხსენებულ კატეგორიას, ეს ნიშნავს იმას, რომ *მისი ონტოლოგია საბოლოო ჯამში ვერც ზოგადად ინდივიდსა და სუბინდივიდუალურ არსებას განასხვავებს ერთმანეთისაგან.*

„ფინალური აზროვნება“ და „განსაკუთრებული ნებელობითი საქმიანობა“, მართალია, მხოლოდ ინდივიდისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ნიშნებია, მაგრამ თუ შევეცდებით იმის კონსტატირებას, რომ საკუთრივ ამ ნიშნებში მდგომარეობს ინდივიდის სუბინდივიდუალური არსებისაგან განსხვავების საფუძველი, უთუოდ უნდა დავასკვნათ, რომ აზროვნების „ფინალურობასა“ და ნებელობითი საქმიანობის „განსაკუთრებულობას“ მოკლებული ყოველი პირი სუბინდივიდუალური არსებაა და არა ინდივიდი. ხოლო რადგან აქვინელის ონტოლოგიას სწორედ ამგვარ დასკვნამდე მივყავართ, ის შეიძლება განისაზღვროს არა უბრალოდ როგორც ალოგიკური, არამედ აგრეთვე როგორც რეაქციული.

ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, აქვინელის შერაცხვის შესახებ მოძღვრებას მისი ონტოლოგია უდევს საფუძვლად. და თუ ასეა, მაშინ რაოდენ შეიძლება იყოს გამართლებული ჩვენ მიერ ზემოგამოთქმული შეფასება, რომელიც შერაცხვის სფეროში აქვინელის შეხედულებათა ფენომენალურობას შეეხებოდა?

საქმე ის არის, რომ აქ სახეზეა აქვინელის ონტოლოგიის შინაგანი, ამ უკანასკნელის სტრუქტურაშივე ლოკალიზებული წინააღმდეგობრიობა, რომელიც არავითარ გამოვლინებას არ პოვებს მის შერაცხვის შესახებ მოძღვრებაში. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ონტოლოგიურად აქვინელი ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან ინდივიდისა და სუბინდივიდუალური არსების ცნებებს, მას ეს ოდნავაც არ აფერხებს მართებულად განსაზღვროს სისხლისსამართლებრივი შერაცხვის არსი, ე.ი. დაასაბუთოს, თუ რით არის პირობადებული სისხლისსამართლებრივი შერაცხვის მხოლოდ ინდივიდის ცნებასთან ასოცირება.

ეს რაც შეეხება შერაცხვის ზოგად ასპექტს, კონკრეტულად კი არანაკლებ საგულისხმოა აქვინელის მიერ წარმოებული კვლევა ნორმის უცოდინარობისა და იძულების დროს ბრალის დასაბუთების მხრივაც.

აქვინელი იძულების ორ ძირითად სახეს განასხვავებს: შინაგანს (ინდივიდის გრძნობებით, ინსტინქტებით, მისწრაფებებითა და ა.შ. გამოწვე-

ულს) და გარეგანს (ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ იძულებასაც). არც ერთი მათგანი თავისთავად ქცევის ნებისმიერობასა და მასთან ერთად ქცევის ბრალეულობას არ გამორიცხავს.

გარეგანი იძულებისას, აქვინელის მიხედვით, სუბიექტს თავისი ქცევა სურს იმდენად, რამდენადაც ის ესწრაფვის იძულების მისთვის არასასურველი შესაძლო შედეგების თავიდან აცილებას. მისივე მტკიცებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს გარეგანი იძულების შედეგად განხორციელებულ ქცევას არანებისმიერი, თუ ის, რაც სუბიექტს სურს იძულების გამო, შევადარეთ იმას, რაც მას სურს იძულების ფარგლებს მიღმა.

მაგრამ შეიძლება კი ეს შედარება იყოს მართებული, ანუ დაიშვება თუ არა, რომ სუბიექტს სურდეს ის, რაც მას, ამავე დროს, არ სურს?

ორი სხვადასხვა ობიექტის მიმართ სურვილი ერთდროულად სავსებით შესაძლებელია იყოს პოზიტიურიც და ნეგატიურიც, მაგრამ თუ ობიექტი ერთია, სურვილი შესაძლოა იყოს ან მხოლოდ პოზიტიური, ან მხოლოდ ნეგატიური, ე.ი. ერთი და იგივე ობიექტი ერთსა და იმავე დროს სუბიექტს შესაძლოა მხოლოდ სურდეს ან მხოლოდ არ სურდეს.

ამიტომ როდესაც ვაცხადებთ, რომ იძულების გამო სუბიექტს სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქცევა, ეს უკვე იმპერატიულად მიგვითითებს იმაზე, რომ მას მოცემული ქცევა მოცემულ დროსა და ვითარებაში (ე.ი. პარალელურად) არ შეიძლება არ სურდეს.

აქვინელის მიერ დაშვებული თავიდათავი სიმცდარე მდგომარეობს იმაში, რომ თუ სუბიექტი იმყოფება იძულების პირობებში, ის იმავდროულად ვერ მოიაზრება იძულების ფარგლებს მიღმაც, რამეთუ იძულება მოიცავს სუბიექტურ ფსიქიკას ერთიანად და არა მხოლოდ მის განსაზღვრულ ნაწილს. ანაც პირიქით: იმისათვის, რომ სუბიექტი მოვიაზროთ იძულების ფარგლებს მიღმა, აუცილებელია, რომ ის არ იმყოფებოდეს იძულების პირობებში. ამიტომაც ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთი და იმავე ქცევის ფარგლებში ერთმანეთს შევადაროთ ის, რაც „სუბიექტს სურს იძულების გამო“ და ის, რაც „მას სურს იძულების ფარგლებს მიღმა“.

ამრიგად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ის რელატიური არანებისმიერობაც, რომელზედაც აქვინელი გარეგანი იძულების შემთხვევაში საუბრობს.

ამის გათვალისწინებით კი, თუ მივუბრუნდებით მის თავდაპირველ ლოგიკას, მივიღებთ, რომ გარეგანი იძულება არც ერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს ქცევის ნებისმიერობასა და ბრალეულობას, რადგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (მათ შორის და ყველაზე მეტადაც კი დაუძლეველი გარეგანი იძულების დროს) სუბიექტს სურს თავი დააღწიოს იძულების შეუსრულებლობით გამოწვეულ მისთვის საზიანო შედეგს, ე.ი. სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქცევა. ხოლო ამას (გარეგანი იძულებისას ბრალის აბსოლუტირებას) თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან ძნელად თუ მოეძებნება რამეგვარი გამართლება.

ჩვენ, ცხადია, სავსებით ვიზიარებთ აქვინელის თეზისს იმ მხრივ, რომ თუ გარეგანი იძულება არ იყო დაუძლეველი, სუბიექტური ქცევა უნდა გა-

ნიხილებოდეს როგორც ბრალეული. უფრო მეტიც, ჩვენ ეს აქვინელის მოძღვრების მნიშვნელოვან დამსახურებადაც მიგვაჩნია. მაგრამ რას ნიშნავს ბრალის აღიარება დაუძლეველი გარეგანი იძულების შემთხვევაში? ეს, უწინარეს ყოვლისა, მოასწავებს თვითგადარჩენის ინსტინქტით მოქმედი სუბიექტის ბრალეულობაზე საუბარს.

ამისდა კვალად, თანამედროვე სისხლის სამართლისთვის ამ მიმართებით ჩვენ ვერაფერს ვხედავთ მისაბაძს აქვინელის კონცეფციაში.

პრინციპულად სხვაგვარ შეფასებამდე მივყავართ აქვინელის შეხედულებებს შინაგანი იძულების საკითხთან დამოკიდებულებაში.

მისი მტკიცებით, სუბიექტური მისწრაფებანი და სხვა მსგავსი ფსიქიკური ფაქტორები ნებისმიერობას არ გამორიცხავს, ვინაიდან სუბიექტი აქ ინარჩუნებს შემეცნების უნარს და, „მაშასადამე“, არჩევანის თავისუფლების შესაძლებლობასაც. აქედან აქვინელი ასკვნის, რომ შინაგანი იძულების დროს სუბიექტური ნება ურიგდება იმას, რომ ის წარიმართება მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ძალუძს წინააღმდეგობის გაწევა.

თვით დასკვნა უთუოდ მისაღებია, რაშიც ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, მაგრამ ჩვენს ყურადღებას ამ დასკვნის წინამძღვართა შეუსაბამობა იპყრობს.

შემეცნების უნარი ჯერ კიდევ როდი წარმოშობს არჩევანის შესაძლებლობას (ანუ არჩევანის თავისუფლების შესაძლებლობას, როგორც ამას აქვინელი აღნიშნავს). შემეცნება მიგვანიშნებს მხოლოდ იმაზე, რომ დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის ადგილი აქვს სუბიექტის ფსიქიკაში ობიექტური სინამდვილის (გრძნობით ან რაციონალურ) ასახვას. უფრო ზუსტად კი, შემეცნების პროცესი შემოიფარგლება ანალიტიკურ-სინთეზური ნერვული საქმიანობის შედეგად ობიექტთა იდეური ანარეკლის ჩამოყალიბებით, რაც შეიძლება გამოიხატოს ორგვარად: გრძნობით-პრაქტიკული ფორმით (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა) და აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით (მსჯელობა, დასკვნა, ცნებები).

როგორც აქედან გარკვევით ჩანს, აქვინელისეულ შინაგან იძულებაზე მხოლოდ მას შემდეგ დაიშვება საუბარი, თუ სუბიექტმა უკვე შეიმეცნა განსაზღვრული, კონკრეტულ ვითარებაში მნიშვნელოვანი ობიექტი. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ შემეცნება ლოგიკურად წინ უსწრებს შინაგან იძულებას, საიდანაც გამომდინარე დასკვნის თანახმად არჩევანის შესაძლებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს შემეცნების უნარიდან უშუალოდ რეზულტირებად ფენომენს: ამას დაუშვებელს ქმნის შინაგანი იძულება როგორც შემეცნებასა და არჩევანის შესაძლებლობას შორის მდებარე დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური კონდიცია.

ამის თანახმად, შემეცნების უნარი და თვით შემეცნება მოცემულია იმისდა მიუხედავად, დაუძლეველია თუ არა შინაგანი იძულება. ხოლო თუ შიგაგანი იძულება დაუძლეველია, არ შეიძლება იყოს მოცემული არჩევანის შესაძლებლობა, — ის, რომ შემეცნების უნარი მოცემული გვაქვს ორთავე შემთხვევაში, არჩევანის შესაძლებლობა კი — მხოლოდ ერთ-ერთ

მათგანში, ფორმალურადაც ნათელყოფს არჩევანის შესაძლებლობასა და შემეცნების უნარს შორის არაუშუალო, ინდირექტული ურთიერთობის არსებობას.

მაგრამ უთუოდ უნდა დავეთანხმოთ აქვინელის დასკვნას იმის თაობაზე, რომ შინაგანი იძულება ბრალის გამომრიცხველ გარემოებად ვერ მიიჩნევა. თუ დაუძლეველ შინაგან იძულებასთან გვაქვს საქმე (საუბარია მხოლოდ შერაცხად ინდივიდებზე), სუბიექტს, მართალია, არ მოეპოვება არჩევანის შესაძლებლობა, მაგრამ მოცემული მდგომარეობა მიიღება იმის შედეგად, რომ „სუბიექტური ნება შეურიგდა თავის მართლსაწინააღმდეგო წარმართულობას, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა“. ასე, მაგალითად, ნარკომანი იმზომ არის შინაგანად იძულებული მიიღოს ნარკოტიკული ნივთიერება, რომ ის აშკარად არ ფლობს მართლსაწინააღმდეგოსა და მართლზომიერს შორის არჩევანის შესაძლებლობას, მაგრამ განა სუბიექტურ ნებას აქ იმთავითვე არ ჰქონდა თავისი მართლსაწინააღმდეგო წარმართულობისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა? და სწორედ ამ გარემოებაზე აფუძნებს თანამედროვე სისხლის სამართალიც ბრალს ანალოგიურ შემთხვევებში.

მაშასადამე, აქვინელი, უარყოფს რა დაუძლეველ შინაგან იძულებასაც როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, დამაჯერებლად ასაბუთებს ბრალეულ პასუხისმგებლობას ისეთ ვითარებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეურაცხადობის მდგომარეობაში თავის შეგნებულად ჩაყენებას, რაც, უდავოდ, მისი მოძღვრების მნიშვნელოვანი ღირსებაა. აქედან გამომდინარე, შინაგანი იძულების პრობლემა, განსხვავებით გარეგანი იძულების საკითხისაგან, აქვინელის თეორიაში უსათუო პროგრესულობით გამოირჩევა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აქვინელის მიდგომა ნორმის უცოდინარობისა და საერთოდ შეცდომის პრობლემისადმი.

ის მოცემულ შემთხვევაში ოპერირებს ისეთი ცნებებით, როგორიც არის ცოდნის შესაძლებლობა და ცოდნის ვალდებულება. აქვინელის მიხედვით, არცოდნა ბრალსა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ შეიძლება გამორიცხავდეს, თუ სუბიექტი ვალდებული იყო და შეეძლო სცოდნოდა თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ აქვინელი აქ კონკრეტულ შესაძლებლობას გულისხმობს და არა შესაძლებლობას ზოგადად, მისი მტკიცება მაინც შეიცავს ერთგვარ წინააღმდეგობას. თუ სუბიექტი ვალდებულია, მას უნდა შეეძლოს კიდეც, რამეთუ ვალდებულებას ნორმატიულ-ლოგიკურად წინ უსწრებს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული შესაძლებლობა. ამის კვალობაზე, ვალდებულების ცნება თავის თავშივე მოიცავს შესაძლებლობის ცნებას და ეს თვალნათლივ მოწმობს აქვინელის თეზისის ჰეტეროგენულობას, რომელშიც შესაძლებლობა ერთმნიშვნელოვნად გაიტანება მოვალეობის ფარგლებიდან.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე დოგმატიკაში დამკვიდრებული შესაბამისი პოზიცია ნიშანდობლივ ემთხ-

ვევა აქვინელისას, ამ უკანასკნელს ხსენებული ალოგიკურობისათვის დიდად ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

ამასთანავე, უმთავრესია თვით ფაქტი აქვინელის მიერ შესაძლებლობისა და მოვალეობის ცნებათა მოშველიებისა, ანუ ის, რომ მას მართებულად გაეგება ნორმის უცოდინარობის აცილებადობის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქვინელი გვისაბუთებს ბრალს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი შეგნებულად აყენებს თავს შეურაცხადობის მდგომარეობაში, ე.ი. შეგნებულად იქვეითებს მართლზომიერი ქცევის უნარს, არამედ მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს მართლზომიერი ქცევის კონკრეტული შესაძლებლობის არაგანზრახ, ანუ გაუფრთხილებლობით შეზღუდვას. და ეს უცილოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქვინელის მოძღვრებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული ბრალის იდეის პოზიტიური განვითარების ერთ-ერთი კარდინალური ეტაპი, რაც, თავის მხრივ, ნებელობის ცნების მეტად სპეციფიკური სტრუქტურირების უშუალო შედეგია.

იკვლევს რა ნებელობის პრობლემას, აქვინელი გამოყოფს ნებელობითი ქცევის ოთხ ძირითად სახეს: 1) როდესაც სუბიექტური ქცევა შინაგანადაც (სუბიექტურადაც) და გარეგანადაც (ობიექტურადაც) დეტერმინირებულია; 2) როდესაც სუბიექტური ქცევა შინაგანად დეტერმინირებულია, მაგრამ გარეგანად დეტერმინირებული არ არის (ნებელობითი ქცევის ამ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი შემთხვევები, რომელთა დროსაც სუბიექტს თავისი ქცევა სურს არა თავისდათავად, არამედ მხოლოდ გარეგანი იძულებისაგან თავის დაღწევის მიზნით); 3) როდესაც სუბიექტური ქცევა შინაგანად დეტერმინირებული არ არის, მაგრამ გარეგანად დეტერმინირებულია (ქცევის ნებელობითობის აუცილებელ წინაპირობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ სუბიექტი უნდა ფლობდეს დელიქტური შედეგის ცოდნის „შესაძლებლობასა და მოვალეობას“); 4) როდესაც სუბიექტური ქცევა არც შინაგანად არის დეტერმინირებული და არც გარეგანად (თუ სუბიექტს „შეუძლია და ვალდებულია“ თავიდან აიცდინოს დელიქტური შედეგის დადგომა). ცხადია, შინაგანი და გარეგანი დეტერმინაცია აქ ტრადიციული მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. პირველ მათგანში იგულისხმება სუბიექტის „შინაგანი ნდომა“ ფართო გაგებით, რა დროსაც გარეგან დეტერმინაციაში ნაგულისხმევია დელიქტური ქცევის თანამდევ ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა.

ვ. ჰარდვიგი, აანალიზებს რა ნებელობის საკითხისადმი აქვინელისა და მის მიმდევართა მიდგომას, აღნიშნავს: „ნებელობითად აქვინელის ფილოსოფიაში განიხილება სუბიექტური ქცევის დადგენა და შეფასება ინდივიდის მიერ თავის მოძრაობათა (მოძრაობა = გარეგანი განხორციელება და = სულიერი მოძრაობა ან = ნდომა) განსაზღვრული წარმოდგენილი ან წარმოდგენადი (vorstellbar) მიზნისაკენ წარმართვის უნარის თვალსაზრისით და მავალებელ კანონზე (ein verpflichtendes Gesetz) დაყრდნობით... მისი სისტემა ერთნაირად მოიცავს როგორც სურვილით განსაზღვრულ

უმოქმედობასა და სურვილით განუსაზღვრელ (გაუფრთხილებლობით) უმოქმედობას, ისე სურვილით განუსაზღვრელ (გაუფრთხილებლობით) მოქმედებასაც. ამასთან სრულყოფილად არის შეცნობილი მოვალეობის ცნების მნიშვნელობაც. ქმედება აქვინელის მოძღვრებაში მიმოიხილება „კანონის“ შესაბამისად.81

ის, რომ ნებელობის საკითხის რაციონალური გაშუქება არსებითად განაპირობებს სუბიექტური ქმედებისა და მის ცალკეულ სახეთა მართებულ თეორიულ აღქმას, ჩვენ მიერაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული. მაგრამ, ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ნებელობა ქმედების ცნებით მოცული მხოლოდ ერთ-ერთი მომენტია და, ამდენად, ამ უკანასკნელის მართებული განსაზღვრისათვის მხოლოდ ამ პირველის მართებული განსაზღვრა როდია საკმარისი.

მოცემული თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად სუბიექტური მხარის, ისე ობიექტური მხარისა და მის ცალკეულ შემადგენელ ელემენტთა ჯეროვანი ინტერპრეტირებაც. მხოლოდ ამგვარად შეიძლება გაირკვეს სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა ადეკვატური ურთიერთმიმართება, რის გარეშეც სუბიექტურ ქმედებაზე სასურველი წარმოდგენის შექმნა ყოვლად შეუძლებელია.

აქვინელი კი სწორედ რომ არასათანადოდ გადმოგვცემს ხსენებულ ასპექტთა მნიშვნელობას და, შესაბამისად, მათ ურთიერთდამოკიდებულებასაც. ის, იცავს რა იმჟამად გაბატონებული კანონიკური სამართლის პოზიციას, აშკარად აკნინებს ობიექტური მხარის სისტემატიკურ როლს. აქვინელისათვის, რასაკვირველია, უცხოა იმის უარყოფა, რომ ქმედების ბრალეულობასა და დანაშაულებრიობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება საუბარი, თუ სუბიექტის დელიქტური ნება გარეგანად არის გამოვლენილი და ეს უკვე ნიშნავს ობიექტური მხარის დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის აღიარებას, მაგრამ, სხვა მხრივ, ბრალეულობის შესახებ მსჯელობის საკმარის საფუძვლად ის დელიქტური ნების ყოველგვარ (გარეგან) გამოვლინებას მიიჩნევს. ხოლო როდესაც დელიქტური ნების განხორციელების ხარისხს, ქმედების ბრალეულად (დანაშაულებრივად) განსაზღვრის თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება, გასაგები უნდა იყოს, რომ დანაშაულის სისტემაში ობიექტური და სუბიექტური ასპექტები იდენტური რელევანტურობით არ გამოირჩევა.

შეიძლება ითქვას, რომ აქვინელის მთელი შემოქმედება იმის სიმბოლური გამოხატულებაა, თუ როგორ იხრება ობიექტივისტურ პრინციპებზე აგებული შუა საუკუნეების სისხლის სამართალი სუბიექტივიზმისაკენ.

მაგრამ მოცემული შენიშვნა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ამის შედეგად ობიექტივიზმი საბოლოოდ იქნა ელიმინირებული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკიდან. სულაც არა, XV საუკუნე (შუა საუკუნეების უკანასკნელი ასწლეული) ობიექტური შერაცხვის ისეთ მაგალითებს გვთავაზობს, რომლებიც ობიექტივიზმის ყველაზე უფრო რადიკალურ გამოვლინებად არის აღიარებული. როგორც ამას ნ.ს. ტაგანცევი შენიშნავს, ინდივიდი ერთადერთი ქმნილება არ იყო, ვისაც აღნიშნულ ეპოქაში სისხლის

სამართლის წესით (!) პასუხი უნდა ეგო თავისი ბრალეული (!!) ქცევისათვის, ე.ი. სასამართლო პროცესები აქ იმართებოდა არა მხოლოდ ინდივიდთა წინააღმდეგ (!!!).82 ამიტომ ნათელია, რომ შუა საუკუნეების დამლევს გაბატონებული დოქტრინა ერთდროულად მოიცავს სუბიექტივისტურ თვალთახედვასაც და ობიექტივიზმის ელემენტებსაც.

მაგრამ რას ნიშნავს ეს თეორიულ-ლოგიკურად?

სუბიექტივიზმის დროს პრიორიტეტული მნიშვნელობისაა *დანაშაულის სუბიექტი*, მის ფსიქიკაში არსებული მართლსაწინააღმდეგო განწყობა და ანტისამართლებრივი მისწრაფებები, რის საპირისპიროდაც ობიექტივიზმს ძირითადი აქცენტი გადააქვს *დანაშაულის ობიექტ ზე*, მის ხასიათსა და მისი ხელყოფის სიმძიმეზე.

პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობის უმთავრეს საფუძვლად წარმოგვიდგება ბრალი, რომელიც მოწყვეტილია დანაშაულის ობიექტურ მხარეს, ანუ არ არის დამოკიდებული ამ უკანასკნელზე, ობიექტივიზმის შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა უპირატესად ეყრდნობა შიშველ კაუზალობას (ეს შეიძლება იყოს როგორც რეალური, ისე აბსტრაქტულად გაგებული მიზეზობრიობაც).

ამრიგად, ეს ორი მიმდინარეობა აიგება ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ პრინციპებზე და მათ არ შეიძლება ჰქონდეს რამე საერთო არც თეორიულად და არც, მით უმეტეს, ლოგიკურად. ეს თეორიულ-ლოგიკური ურთიერთშეუთავსებლობა კი, როგორც ადვილად მისახვედრია, დაუშვებელს ქმნის სისხლის სამართლის თეორიაში მათ თანამოცემულობას.

მიუხედავად თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრის მაღალგანვითარებულობისა, ზოგჯერ აქაც ვხვდებით განსახილველ უკიდურესობათა ერთდროულ გამოვლინებას (თეორიაშიც და კანონმდებლობაშიც). მაგრამ, ამასთანავე, უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე კრიმინალისტები თითქმის არასოდეს აყოვნებენ მსგავს ანომალიათა უმკაცრეს კრიტიკას. ასე, მაგალითად, ჯ.ე. სტენარდი ლეგისლატიურ უპრინციპობად მიიჩნევს კანონმდებლობის სფეროში მოცემული კონტრასტულობის ყველაზე უმნიშვნელო ასახვასაც კი.83

ხოლო თუ სისხლის სამართალი საერთოდ არ ერიდება ობიექტივისტური და სუბიექტივისტური დოგმებით სინქრონულ მანიპულირებას, როგორც ეს შუა საუკუნეების მაგალითზე ვიხილეთ, მას ძნელად თუ შეიძლება ეწოდოს მეცნიერება, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ცნებათა და დებულებათა არა ქაოსურ კომბინაციას, არამედ მკაცრად მოწესრიგებულ, საგანგებოდ სტრუქტურირებულ მთლიანობას.

ამავე დროს, სისტემურობა და იერარქიული განსაზღვრულობა მხოლოდ იმისათვის როდია აუცილებელი, რომ მეცნიერების ფორმალურ-ლოგიკური მდგრადობა მივიღოთ. ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია აგრეთვე მეცნიერების, როგორც ასეთის, ყოველგვარი განვითარება.

მაშასადამე, შუა საუკუნეების სისხლის სამართალში წარმოდგენილი პოზიციის სიმცდარე უფრო ღრმა და მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს.

მაგრამ შეუძლებელია თავი ავარიდოთ ამ უშინაარსო დუალიზმის შედეგად პროვოცირებულ კითხვას იმის თაობაზე, თუ რა არის უფრო მეტად მისაღები: აქვინელის სუბიექტივისტური კონცეფცია თუ ობიექტივიზმი, რომლის წინააღმდეგაც ეს პირველი მიიმართება?

საკმარისია ამ მიმართულებათა ზედაპირული ანალიზიც, რათა გაირკვეს, რომ საუბარი უნდა იყოს მათ თანაბარ მიუღებლობაზე.

ობიექტური შერაცხვისას სუბიექტი ისჯება თავისი ქმედებით მხოლოდ გარეგანი (ობიექტური) მხარის გამო და მიხედვით, სუბიექტივიზმი კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს ქმედების შინაგან (სუბიექტურ) მხარეზე (თუ არაზომიერ სუბიექტივიზმთან გვაქვს საქმე, ობიექტური მხარე სრულიად კარგავს თავის სუბსტრატულ მნიშვნელობასაც).

რადგან ობიექტივიზმის უმთავრეს დაინტერესებას სუბიექტური ქცევის გარეგანი მხარე იწვევს, გამოდის, რომ ის პრინციპულად არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ინდივიდსა და სუბინდივიდუალურ არსებას, ვინაიდან ამ უკანასკნელთა მიერ გარე სამყაროში გამოწვეული ცვლილება შესაძლებელია ზედმიწევნით ემთხვეოდეს ერთიმეორეს. სუბიექტი მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს დამდგარი ზიანის კაუზალურ პირველწყაროს, ხოლო სუბიექტი, როგორც გონიერი ქმნილება, როგორც განსაკუთრებული და ინტელექტუალური თვისებებით აღჭურვილი არსება, აქ სრული უმნიშვნელობაა. ეს, ცხადია, უკიდურეს პრიმიტივიზმს ნიშნავს.

სუბიექტური თეორია, კატეგორიულად არ ურიგდება რა დანაშაულის სუბიექტის პიროვნებისადმი მსგავს მიდგომას, ძირითადი აქცენტირების საგნად სწორედ სუბიექტური ფსიქიკის სპეციფიკურობას მიიჩნევს. ამით სუბიექტივიზმი ცდილობს რადიკალურად გარდაქმნას სისხლისსამართლებრივი შერაცხვის სფერო და დაუკავშიროს ის (სისხლისსამართლებრივი შერაცხვა) მხოლოდ ინდივიდს, უფრო ზუსტად კი, ინდივიდის ნებელობით საქმიანობას, რაც უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

უფრო მეტიც, სუბიექტივისტური მოძღვრება ყოველ ინდივიდს კი არ განიხილავს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის პოტენციურ ადრესატად, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელსაც მოეპოვება საკუთარი ქცევის ნორმის შესაბამისად მოტივირების ფსიქოლოგიური უნარი. ხოლო ამ უკანასკნელ ნიშანში შემდეგი სამი მომენტი იგულისხმება: 1) სისხლის სამართლის კანონის ჯეროვანი აღქმის უნარი, 2) ნების ჩამოყალიბების უნარი და 3) ჩამოყალიბებული ნების შესაბამისად მოქმედების, ანუ საკუთარი ქცევის წარმოდგენებით განსაზღვრის უნარი.

ამ მიმართებით სუბიექტივისტური თეორია, ვფიქრობთ, არამც და არამც არ არის მოკლებული ლოგიკურ აქცეპტაბელურობას. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხრივ კი, სუბიექტივიზმი ისევე ვერ

ითავისებს ობიექტური მხარის ჭეშმარიტ მნიშვნელობას, როგორც ობიექტივიზმი — სუბიექტური მხარისას.

ის, რომ აქვინელი დაუშვებლად აცხადებს პასუხისმგებლობას დელიქტური ნების გარეგანი გამოვლინების გარეშე, როგორც უკვე აღინიშნა, უსათუოდ მოასწავებს ობიექტური მხარის დამოუკიდებელი მნიშვნელობის აღიარებას, მაგრამ ეს მეტად შედარებითი დამოუკიდებლობაა, საბოლოო ჯამში, მას ფორმალურიც შეიძლება ეწოდოს, რადგან რასაც მოცემულ კონტექსტში ყოველივე ობიექტური ემსახურება, არის დელიქტური ნების ინდიცირება. უკეთ რომ ვთქვათ, დასჯადობის საფუძველს, სუბიექტივიზმის მიხედვით, ქმნის არა სისხლისსამართლებრივად დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ზიანის მიყენება (დელიქტური ნების განხორციელება) ან ამ ურთიერთობისათვის მიყენებული ზიანი (განხორციელებული დელიქტური ნება), არამედ *მხოლოდ* ასეთი ზიანის მიყენების გადაწყვეტილება. ხოლო ამაში ნაკლებად იგრძნობა სპეციფიკურად სამართლებრივი მიდგომა.

განსხვავებით ზნეობისა და ზოგიერთი სხვა სოციალურ სინამდვილეში არსებული ნორმატიული სისტემისაგან, სამართლის, როგორც ნორმატიული კატეგორიის, ორიგინალურობას შეადგენს ის, რომ სამართლებრივად ინდივიდი ვერ განიყოფა ობიექტური სინამდვილისაგან, ისევე, როგორც ობიექტური სინამდვილე — ინდივიდისაგან. სამართლის ინტერესის ობიექტს არ წარმოადგენს *არც გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი სუბიექტური ფსიქიკა და არც სუბიექტური ფსიქიკისაგან მოწყვეტილი გარე სამყარო.*

რაც შეეხება არაბრალეულ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ეს მხოლოდ გამონაკლისია მოცემული წესიდან. ამიტომ სისხლის სამართალში სუბიექტური ქცევის კვლევისას უცილოდ უნდა ვცნოთ მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ასპექტთა თანაბარმნიშვნელოვნება.

შესაბამისად, სისხლისსამართლებრივად სუბიექტი პასუხს უნდა აგებდეს არა იმის გამო, რაც მან მოიმოქმედა მხოლოდ ფსიქოლოგიურად ან მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მხოლოდ იმისათვის, რაც მისი ფსიქოფიზიკური საქმიანობის შედეგია.

მსგავსი ბიპოლარულობა, რა თქმა უნდა, ერთიანად გამორიცხავს ქმედების სუბიექტური მხარისადმი მისი საპირისპირო, ობიექტური მხარის სუბორდინირებულ მიმართებას და, პირიქით, ვერც დელიქტური ნება და გადაწყვეტილება მიიჩნევა ობიექტური მხარისადმი დაქვემდებარებულ ელემენტებად.

ამრიგად, აქვინელის სუბიექტივისტური სწავლება სწორედ იმდენადვეა მიუღებელი, რამდენადაც მის მიერვე უარყოფილი ობიექტივიზმი.

ამასთანავე, თუ სათანადოდ მიმოვიხილავთ აქვინელის ჩვენ მიერ ზემიერად წოდებულ სუბიექტივიზმს, ირკვევა, რომ მისი ეს ზომიერება ყოვლად ეჭვშეუვალი როდია: თუ, ერთი მხრივ, ობიექტური მხარის ძირითად ფუნქციას სუბიექტურ ელემენტთა ინდიცირება შეადგენს, მაშინ, მეორე მხრივ, რა აზრს იძენს აქვინელის მომდევნო მტკიცება იმის შესახებ, რომ

დელიქტური ნების გარეგანი გამოვლინება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა?!

ასეთ შემთხვევაში ხომ უმთავრესია დელიქტური ნების არსებობის დადგენა, ხოლო დელიქტური ნების არსებობა ზოგჯერ შესაძლოა დადგინდეს დელიქტური ნების განხორციელების დაწყებამდეც, ე.ი. როდესაც არც დანაშაულის ჩადენის მცდელობა გვაქვს მოცემული და არც დანაშაულისათვის მზადება (მაგალითად, სუბიექტმა შესაძლებელია შეგნებულად გაანდოს სხვა პირს ან შემთხვევით გაამჟღავნოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა მანამ, სანამ ის ამ განზრახვის განხორციელებას შეუდგებოდეს). ყოველი ასეთი შემთხვევის დროს დელიქტური ნება გამოვლენილია დანაშაულის ობიექტურ მხარესთან ყოველგვარი კავშირის გარეშე და, რადგან ზომიერი სუბიექტივიზმის მიხედვით, ობიექტური მხარის ძირითადი ფუნქცია დელიქტური ნების ინდიცირებაში გამოიხატება, უნდა დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად აქ ობიექტური მხარის როლი სრულიად გაურკვეველი ხდება.

აქედან გამომდინარე, აქვინელის სუბიექტივისტური კონცეფცია მხოლოდ ფორმალურად განსხვავდება უკიდურესი სუბიექტივიზმისაგან, შინაარსობრივად კი მის სტერეოტიპულ ანასახს წარმოადგენს.

თვით ფაქტი, რომ აქვინელი შეურიგებლად ებრძვის ობიექტივიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და თავგამოდებით ესწრაფვის დანაშაულის სისტემაში სუბიექტურ ელემენტთა მნიშვნელობის გამოკვეთას, უეჭველად მოწმობს იმას, რომ აქვინელიც ობიექტივისტურ მიმდინარეობას აღიქვამს როგორც უკიდურეს პრიმიტივიზმს, ე.ი. როგორც ამას ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილ შეფასებაში ჰქონდა ადგილი. არასწორი დებულების უარყოფა ლოგიკურად არ შეიძლება არ იყოს სწორი, მაგრამ ლოგიკურადვე ამას სავსებით შეიძლება მოჰყვეს მორიგი სიმცდარის აღმოცენება, რაც, ვფიქრობთ, ნათლად წარმოაჩინა აქვინელისეული სუბიექტივიზმის აქ წარმოდგენილმა ანალიზმა.

თუ ობიექტივისტური მიმდინარეობა, არ ითვალისწინებს რა ინდივიდისათვის ონტოლოგიურად სპეციფიკურს, ეყრდნობა მხოლოდ ინდივიდისათვის ონტოლოგიურად ზოგადს, სუბიექტივიზმთან მიმართებაში მოცემულ ასპექტთა ურთიერთმიმართება დიამეტრულად საპირისპიროა: (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით) ობიექტივისტურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდის მხოლოდ სხეულებრივობას, სუბიექტივისტურად კი გადამწყვეტია ინდივიდი მხოლოდ როგორც გონიერი არსება.

ყოველივე ამაზე დაყრდნობით დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს, რომ *ობიექტივიზმის უკიდურეს პრიმიტივიზმს სუბიექტივისტური მოძღვრების უკიდურესი რაციონალიზმი უპირისპირდება*, რაც იმას ნიშნავს, რომ ორთავე მიმდინარეობა თანაბრად არის მოწყვეტილი არსებულ რეალობას. რამდენადაც მთავარია ის, თუ რაოდენ სცილდება და არა ის, თუ რა მიმართულებით სცილდება მსჯელობა არსებული რეალობის ფარგლებს, ადვილად დავასკვნით, რომ სუბიექტივიზმიც სწორედ იმავე ზომით

და კატეგორიულობით არის მიუღებელი, რა ზომით და კატეგორიულობითაც აქვინელი ობიექტივისტური თვალთახედვის მიუღებლობაზე საუბრობდა.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების სისხლის სამართალი ერთდროულად მოიცავს ორ უაღრესად ნეგატიურ უკიდურესობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელია დავეთანხმოთ იმ კრიმინალისტებს (მაგალითად, რ. სალეილესს ან ჰ. ბრუშოტს), რომლებიც თვლიან, რომ შუა საუკუნეების სისხლის სამართალში ობიექტივიზმი თავის გამოვლინებას პოვებს მხოლოდ გადმონაშთის სახით.

ობიექტივიზმის რუდიმენტული სახით გამოვლინებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა საუბარი, ეს გამოვლინება რომ ყოფილიყო უმნიშვნელო, ნაკლებად ინტენსიური და არა იმგვარი, რომლის დროსაც სუბინდივიდუალურ არსებათა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა ტრივიალურ მოვლენას წარმოადგენდა.

ამავე დროს, როდესაც მიუთითებენ შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ბრალეული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ამაში უნდა ვიგულისხმოთ არა ის, რომ ერთი მეტად რეაქციული მიმდინარეობის გვერდით თავს იჩენს მეორე ასევე რეაქციული მიმდინარეობა, არამედ ამ უკანასკნელთა შორის წარმართული დავა ზოგადად და იმ არაერთი უთუოდ პროგრესული დებულების დამკვიდრება თუ საბოლოო განმტკიცება, რაც წარმოგვიდგება როგორც მოცემული დავის შედეგი. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება უცოდინაროზისა (*ignorantia*) და შეცდომის (*error*) ცნებებს, კერძოდ კი ამ ცნებათა სისხლისსამართლებრივი კვლევის წარმატებულ ცდებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის სისხლისსამართლებრივი განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც. რადგან დამნაშავის „სუბიექტურობა“ თანდათანობით იმკვიდრებს თავის დამოუკიდებელ ადგილს შუა საუკუნეების სისხლის სამართალში, აუცილებელი ხდება ბრალის ცნების არა უბრალოდ განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე დაყოფა, არამედ აგრეთვე მისი შემდგომი სპეციფირება.

როგორც ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა, შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი დოქტრინა განზრახვას ხუთ დამოუკიდებელ სახედ ჰყოფს *(dolus praemeditatus, dolus impetus, dolus directus, dolus indirectus, dolus generalis*), ხოლო გაუფრთხილებლობით ბრალს განაკუთვნებს ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობებს, როგორიც არის უზრუნველობა (*incuria*), მოუფიქრებლობა *(inconsiderantia*), წინდაუხედაობა (*præcipitantia)*, არაკეთილგონიერება (*imprudentia*), დაუდევრობა (*neglEgentia*).84

თუმც ბრალის ცნებაში რომის სამართალიც გულისხმობს ცალკეულ ქვესახეებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოლომდე თანამიმდევრული არ არის მოცემული თვალსაზრისით, რამეთუ აქ დიფერენცირების ობიექტია ბრალის მხოლოდ ერთ-ერთი სახე — გაუფრთხილებლობა, განზრახ ბრალს კი რომის სამართალი ერთნიშნა ცნებად წარმოგვიდგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ განზრახვის (ისევე, როგორც გაუფრთხილებლობის) დიფერენცირებას შუა საუკუნეების სისხლის სამართალი აწარმოებს სპონტანურად, ყოველგვარი კრიტერიუმის მოუშველიებლად, რომაული სისხლის სამართლის ერთნიშნა განზრახი ბრალი, წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით, უფრო დამაჯერებელ კონსტრუქციად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში დიდად არაფერს ცვლის. შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა, აუცილებლად მიიჩნევს რა ბრალის ორთავე სახის ცალკეულ ქვესახეებად დიფერენცირებას, უკვე საბოლოოდ აღიარებს ბრალის ცნების მნიშვნელობას არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის როგორც ასეთის, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით — *ბრალი ისევე განაპირობებს სასჯელს, როგორც ბრალის ქვესახე სასჯელის ზომას.*

რასაკვირველია, დელიქტური შედეგის სიმძიმის პროპორციულად კვლავაც მძიმდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ამჯერად გარკვევით არის გამოკვეთილი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხის განსასაზღვრავად დელიქტური შედეგის სიმძიმე მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ორიენტირია.

მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც შუა საუკუნეების სისხლის სამართალი არ კმაყოფილდება არც ბრალის ცალკეულ სახეებად (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) დაყოფით და არც ამ ცალკეულ სახეთაგან მხოლოდ ერთ-ერთის შემდგომი დიფერენცირებით, ის მნიშვნელოვნად უახლოვდება ბრალისა და სასჯელის ურთიერთობის მართებულ განსაზღვრას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ის, რასაც თანამედროვე სისხლის სამართალი სასჯელის ინდივიდუალიზაციას უწოდებს, მთელი თავისი სრულყოფილებით ჯერ კიდევ როდი იყო გათავისებული იმჟამინდელი სისხლისსამართლებრივი აზრის მიერ, რადგან საამისოდ, გარდა საგულდაგულოდ სტრუქტურირებული ბრალის ცნებისა, არაერთი სხვა ფუნდამენტური ფაქტორის მოცემულობაც არის აუცილებელი, — ასე, მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედების დაყოფა ცალკეულ კატეგორიებად მისი ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით ან კიდევ, დანაშაულის სტადიების რეალური სისტემატიკური დანიშნულების შეცნობა, რაც უცხო იყო შუა საუკუნეების სისხლის სამართლისათვის.

შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი დოქტრინის ზემოაღნიშნულ თეორიულ მიღწევებთან ერთად უცილობლად უნდა გამოვყოთ მოვალეობის ცნების დოგმატური მნიშვნელობის განმტკიცება და მისი შემდგომი განვრცობა. მოვალეობა უკვე საბოლოოდ იმკვიდრებს ადგილს როგორც სუბიექტური ქცევის სისხლისსამართლებრივი შეფასების გენერალური მასშტაბი. და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად სისხლისსამართლებრივი აზრის, ისე ბრალის იდეის განვითარების თვალსაზრისითაც.

სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, გამოხატავს რა აბსტრაქტულ კავშირს სისხლის სამართლის ნორმასა და სისხლის სამართლის ნორმის

ადრესატს შორის, წმინდა სუბიექტური კატეგორიაა, მაგრამ აღნიშნულ ასპექტში მისი თავიდათავ ორიენტირად გამოცხადება სულაც არ მოასწავებს სუბიექტივიზმს. მოცემული მომენტის სუბიექტივისტურ დოგმად აღიარება დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც მოვალეობა თუმც არ მოიცავს, მაგრამ განუყოფლად უკავშირდება დანაშაულის ცალკეულ ობიექტურ ნიშნებს. მართლაც, სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევაზე მხოლოდ მას შემდეგ დაიშვება საუბარი, თუ დადგინდა, რომ სუბიექტმა იმოქმედა ობიექტურად, გარეგანად. ეს ობიექტური (გარეგანი) მოქმედება შესაძლოა გამოვლინდეს როგორც გარე სამყაროზე ქმედით (საკუთრივ ქმედება) ან წარუმატებელ (მცდელობა, მზადება) ზემოქმედებაში, ისე გარე სამყაროს შეცვლისაგან თავის შეკავებაში (უმოქმედობა). ხოლო რადგან მოვალეობის ცნება ამა თუ იმ სახით ყოველთვის გულისხმობს ინდივიდის ფსიქოლოგიური ქცევის მიმართებას გარე სამყაროსთან, ის სათანადო ობიექტური წინამძღვრების გარეშე ლოგიკურად ვერ მოიაზრება, საიდანაც გამომდინარე დასკვნის თანახმად, ბრალეულობის შესახებ მსჯელობის დროს მოვალეობის (უფრო ზუსტად კი, მოვალეობის დარღვევის) ამოსავალ მომენტად გამოცხადება სუბიექტივიზმის გამოხატულებად ვერ მიიჩნევა.

მოვალეობის დარღვევა, როგორც ბრალეული პასუხისმგებლობის მადეფინირებელი ელემენტი, და ბრალის ცალკეულ სახეებად და ქვესახეებად დიფერენცირება, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გრადირების ორიენტირი, ამჟამადაც მრავალი დისკუტაბელური ასპექტის მომცველი საკითხებია. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას მხოლოდ ამ უკანასკნელ პრობლემაზე შევაჩერებთ, რადგან, ჩვენი აზრით, აუცილებელია მისი ახლებური თეორიული გააზრება. ვნახოთ, თუ რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართებით საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მაგალითზე, ანუ რას ანიჭებს ქართველი კანონმდებელი უპირატესობას პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით — დანაშაულებრივი შედეგის სიმძიმეს თუ ბრალის სახეს (ქვესახეს).

ის, რომ მისი დაინტერესების ობიექტს ზოგადად ორთავე მომენტი წარმოადგენს, მარტივად დასადგენია.

ერთი მხრივ, როდესაც ორ სხვადასხვა შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის სიმძიმე იდენტურია, ხოლო ბრალის ფორმები — სხვადასხვა, პასუხისმგებლობის ხარისხი შესაძლოა იყოს არაერთგვაროვანი (105-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა, რომლისთვისაც დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე და 108-ე მუხლში წარმოდგენილი გაუფრთხილებლობით მკვლელობა, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს თავისუფლების აღკვეთას ვადით მხოლოდ სამ წლამდე), რაც გარკვევით მიუთითებს ბრალის ფორმის კვანტიტატურ ზეგავლენაზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

მეორე მხრივ კი, ასევე შესაძლებელია მივიღოთ სასჯელის ორი ურთიერთგანსხვავებული ზომა, როდესაც ბრალის სახე (ქვესახე) თუმც ერთი და იგივეა, მაგრამ სხვადასხვაგვარია დელიქტური შედეგის სიმძიმე (მუხლები, სადაც საუბარია სხეულის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქ დაზიანებაზე). ადვილად მისახვედრია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ნათლად იკვეთება დანაშაულებრივი შედეგის სიმძიმე როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მორიგი განმსაზღვრელი ფაქტორი.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრას საფუძვლად უდებს როგორც ბრალის ცნების მკაცრ სტრუქტურირებას, ისე დელიქტური შედეგის სიმძიმესაც (უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ასეთი შედეგის გამოწვევის საფრთხის შექმნაც). ხოლო უშუალოდ იმის შესაცნობად, თუ რომელი მათგანი განიხილება როგორც პრიორიტეტული, უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის ხარისხთა თანაფარდობა ორ შემდეგ შემთხვევაში: 1) როდესაც ბრალის უმაღლესი საფეხურის (ე.ი. პირდაპირი განზრახვის) გვერდით წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი მინიმალურად საზიანო შედეგი (მაგალითად, რომლის დასჯადობაც განისაზღვრება მოქმედი კოდექსის მუხლით) და 2) როდესაც ბრალის უდაბლეს საფეხურს (ე.ი. დაუდევრობას) თან სდევს განსაკუთრებით მძიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი (მაგალითად, რამდენიმე პირის დაუდევრობით მკვლელობა, რაც დაკვალიფიცირდება ჩვენ მიერ ზემომოყვანილი 108-ე მუხლის შესაბამისად).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირველ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონი აწესებს პასუხისმგებლობას გამასწორებელი სამუშაოების სახით ვადით ექვს თვემდე, მეორეში კი — თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, გასაგები უნდა იყოს, რომ პასუხისმგებლობის ხარისხზე უფრო ინტენსიურად ზემოქმედებს სწორედ დანაშაულებრივი შედეგის სიმძიმე, ვიდრე ბრალის ფორმა.

ხოლო თუ ვიტყვით, რომ პასუხისმგებლობის ხარისხი უფრო მეტად დამოკიდებული უნდა იყოს სწორედ ბრალის ფორმაზე და არა საზიანო შედეგის სიმძიმეზე, 95-ე მუხლით გათვალისწინებული ქონების წვრილმანი გატაცება უნდა იწვევდეს სასჯელის უფრო მკაცრ ზომას, ვიდრე გაუფრთხილებლობით მკვლელობა, თუნდაც რამდენიმე პირისა, რომელსაც მოქმედი კოდექსის 108-ე მუხლი შეეხება. მაგრამ ხომ არ მოასწავებს ეს სისხლისსამართლებრივად დაცულ ობიექტთა იერარქიული წყობის ხელყოფას, ე.ი. საკუთრების უფლების მიმართ სიცოცხლის უფლების მნიშვნელობის დაკნინებას? რასაკვირველია, არა. ამა თუ იმ ობიექტის სისხლისსამართლებრივი ღირებულების კორელაცია სხვა რომელიმე ობიექტის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობასთან შესაძლოა გაირკვეს მხოლოდ მაშინ, თუ მათი ურთიერთშეპირისპირების ყველა ობიექტური თუ სუბიექტური წინამძღვარი იდენტურია. ამიტომ, მოცემული თვალსაზრისით, ზემოხსენებულ ობიექტთა ურთიერთობის გარკვევა საქმის დანარჩენ გარემოებათა თანხვდომასთან ერთად ბრალის ფორმის იდენტურობასაც მო-

ითხოვს. ხოლო რადგან რამდენიმე პირის პირდაპირი განზრახვით მკვლელობა თეორიულად ვერასოდეს იქნება უფრო მსუბუქად დასჯადი, ვიდრე ქონების წვრილმანი გატაცება განსახილველ ობიექტთა იერარქიული კუთვნილება, ვფიქრობთ, არ შეიძლება გაგებულ იქნეს არასათანადოდ. ამდენად, აღნიშნული მომენტი წმინდად ლოგიკურად არ აფერხებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით, ბრალის ფორმის პრიმატის აღიარებას დელიქტური შედეგის სიმძიმის წინაშე.

მაგრამ თუ რამდენად მისაღებია უკანასკნელი თვალსაზრისი ზოგადად, ცალკე საკითხია. ყოველ შემთხვევაში, საპირისპირო პოზიციის აღიარება ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ზიანი სისხლის სამართალში თავისი მნიშვნელობით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ბრალი. ამის გასარკვევად აუცილებელია არსებითად სხვა სახის გარემოებათა ანალიზი, ვიდრე ეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის პრობლემაა.

ამასთანავე, აქ წარმოდგენილ რაკურსში ეს ერთადერთი საგულისხმო ნიუანსი არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კოდექსის თანახმად, პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის დროს ბრალის ფორმის მნიშვნელობა დაქვემდებარებულია საზიანო შედეგის სიმძიმის მნიშვნელობას და რამდენადაც ეს პირველი წმინდა სუბიექტური კატეგორიაა, ეს უკანასკნელი კი დანაშაულის ობიექტური მხარით მოცულ ელემენტს წარმოადგენს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისტემატიკის ზემოხსენებულ მონაკვეთში ყოველივე ობიექტური დომინირებს ყოველივე სუბიექტურზე? მაგრამ მაშინ რაგვარად აიხსნება 110-ე და ზოგიერთი სხვა, სისხლისსამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ანალოგიური მუხლის კონსტრუქცია?

110-ე მუხლის მეორე ნაწილი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს ისეთი სიმძიმის დელიქტურ შედეგს, როგორიც არის ადამიანის სიკვდილი და აწესებს პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით სამიდან ათ წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილში აღიწერება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ და რომლის გამოც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, ე.ი. ხსენებული მუხლის მესამე ნაწილში, თუ შევადარებთ მას იმავე მუხლის მეორე ნაწილს, ერთდროულად გაზრდილია სასჯელის როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური ზღვარი.

ამრიგად, თუ თავდაპირველად ციტირებულ მაგალითში მართლსაწინააღმდეგო შედეგის სიმძიმე უფრო მეტად ზემოქმედებდა პასუხისმგებლობის ხარისხზე, ვიდრე ბრალის ფორმა, ამჯერად შედეგის საზიანოობაზე დიდად უფრო მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის სუბიექტის პიროვნებას ენიჭება. ამიტომ, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, გაურკვეველია, თუ რა არის მოცემულ ასპექტში ზოგადად უფრო რელევანტური: ობიექტური თუ სუბიექტური მახასიათებლები.

მაშინაც კი, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ პრინციპით, რომ ზოგიერთი სუბიექტური ნიშანი ჩვენთვის აქტუალურ ჭრილში შესაძლოა იყოს უფრო

მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა გარკვეული ობიექტური ელემენტი და პირიქით, უმალვე აღმოვჩნდებით შემდეგი წინააღმდეგობის წინაშე: თუ, ერთი მხრივ, დელიქტური შედეგის სიმძიმის მნიშვნელობა აღემატება ბრალის ფორმის მნიშვნელობას და, მეორე მხრივ, დელიქტური შედეგის სიმძიმე დანაშაულის სუბიექტის პიროვნებასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, გამოდის, რომ დანაშაულის სუბიექტის პიროვნების მნიშვნელობა ასევე უნდა აღემატებოდეს ბრალის ფორმის მნიშვნელობას, რაც სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში წარმოდგენილ სინამდვილეს არ შეესაბამება. ასე, მაგალითად, ამ ლოგიკით გაუფრთხილებლობით მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე განზრახ მკვლელობა (დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე), მაშინ როდესაც გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის (მუხ. 108-ე) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ხოლო დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე განზრახ მკვლელობა (მუხ.105-ე) ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, ანუ პირველ შემთხვევაში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მაქსიმალური ხარისხი მნიშვნელოვნად უფრო მცირეა უკანასკნელ შემთხვევაში წარმოდგენილ პასუხისმგებლობის მინიმალურ ხარისხზეც კი.

როგორც ვხედავთ, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლებს შორის ამ თვალსაზრისით ძნელად თუ დამყარდება ფორმალურ-ლოგიკური კავშირი.

აქვე უნდა გამოიყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებასთან ზემოგანხილულ მომენტთა არაადეკვატური მიმართებაც.

როგორც მე-8 მუხლის მეორე ნაწილში აღინიშნება, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურად, შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“. ვინაიდან ქმედების ცნებაში აქ იგულისხმება ზოგადად დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულის სხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ ნიშნებთან ერთად დელიქტურ შედეგსაც მოიცავს, ქმედების ზემომოტანილი მცირემნიშვნელოვნობა იმავდროულად ამ ქმედებით მოცულ საზიანოობაზეც უნდა გავრცელდეს. ამისდა კვალად, საზიანო შედეგი, რომელიც მცირემნიშვნელოვანია, წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებას და ამით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც გამორიცხავს, რადგან საზოგადოებრივი საშიშროება ქართულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში დღესდღეობითაც განიხილება როგორც დანაშაულის კონსტიტუციური ელემენტი.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად რაოდენ მისაღებია მე-8 მუხლის ზემოწარმოდგენილი ნაწილი? როდესაც „მოქმედება ან უმოქმედობა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედების ნიშნებს“, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახეზეა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა; ამავე დროს, საზოგადოებრივად საშიში შედეგი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტთაგანია; და თუ ასეა, მაშინ რაგვარად დაიშვება, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა არ იყოს დამოკიდებული საზოგადოებრივად საშიში შედეგის სიმძიმეზე, ანუ იყოს მოცემული ამ უკანასკნელის სიმძიმის ხარისხის მიუხედავად?! თუ საზოგადოებრივად საშიში შედეგი დანაშაულის შემადგენლობით მოცული კომპონენტია, განა დანაშაულის შემადგენლობაშივე არ უნდა აღიწერებოდეს, სიმძიმის როგორი ხარისხი აფუძნებს კონკრეტულ საზიანო შედეგს როგორც საზოგადოებრივად საშიშს?

რადგანაც დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებას სწორედ საზოგადოებრივად საშიშ შედეგზე და არა საზიანო შედეგზე ზოგადად, ხოლო საზიანო შედეგის საზოგადოებრივი საშიშროება ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია მოცემული შედეგის საზიანოობის ხარისხზე, გასაგები უნდა იყოს, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ შეიძლება არ აღგვიწერდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის სიმძიმესა და ამ სიმძიმის ხარისხს. აქედან გამომდინარე კი, ყოვლად დაუშვებელია, რომ მცირემნიშვნელოვანი, ანუ საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებული შედეგის პარალელურად მოიცემოდეს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა.

მაგრამ მოცემულ კონტექსტში უმთავრესია არა იმდენად განსახილველი მუხლის ეს შინაგანი წინააღმდეგობრიობა, რამდენადაც თვით ამ წინააღმდეგობრიობიდან თავისთავად გამომდინარე ზოგიერთი ირაციონალური დასკვნა.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, საზიანო შედეგის მცირემნიშვნელოვნობა გამორიცხავს მხოლოდ საზოგადოებრივ საშიშროებას, რა დროსაც ბრალი როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის (კონსტიტუციური) ელემენტი და მართლწინააღმდეგობა როგორც დანაშაულებრივი ქმედების მორიგი (კონსტიტუციური) ნიშანი მოცემულად უნდა ვიგულისხმოთ, თუ გავითვალისწინებთ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წარმოდგენილ დანაშაულის ორნიშნა ცნებას, ანუ მის ფორმალურ-ლოგიკურ თავისებურებებს.

მართლსაწინააღმდეგო (სისხლის სამართალში) ნიშნავს სისხლისსამართლებრივად აკრძალულს[0]*, ხოლო, გაბატონებული მოძღვრების თანახმადვე, კანონმდებელი სისხლისსამართლებრივად კრძალავს მხოლოდ ისეთ ქმედებას (და მასთან ერთად შედეგს), რომელიც საზოგადოებრივად საშიშია, ე.ი. ქმედება (მასთან ერთად შედეგი) არამც და არამც არ შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, თუ ის, ამავე დროს, არ წარმოადგენს სა-

*მაგალითად, გერმანულ სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგო გაიგება როგორც ზოგადად კულტურის ნორმებით აკრძალული.

ზოგადოებრივ საშიშროებას. მაგალითად, მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული თუ აშკარა გატაცება მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრძალება სისხლისსამართლებრივად, თუ გატაცების საგანი მატერიალურად მცირედ ღირებული არ არის და ამით საზოგადოებრივი საშიშროებაც გამოირიცხება, დანარჩენ შემთხვევებს კი (როდესაც სუბიექტი თვითნებურად ეუფლება მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებულ მატერიალურად მცირედ ღირებულ ნივთს) სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფერო საერთოდ არ მოიცავს, რის გამოც აქ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ზნეობრივ, რელიგიურ და ა.შ., მაგრამ არა სისხლისსამართლებრივ აკრძალულობაზე.

ამიტომაც საზიანოობის ხარისხისა და მართლწინააღმდეგობის იმგვარი ურთიერთმიმართება, რომელიც მე-8 მუხლის მეორე ნაწილის წინააღმდეგობრივი შინაარსიდან გამომდინარეობს, ორმაგად მცდარია: ლოგიკურადაც და დოქტრინალურადაც.

არსებითად იგივე ითქმის ბრალთან მიმართებაშიც.

აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, საზიანო შედეგის სიმძიმე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ზემოქმედებს ბრალთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, რადგან საზიანო შედეგის მცირემნიშვნელოვნობის დროს, როგორც ვიხილეთ, ბრალი, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა, „ფორმალურად“ მოცემული რჩება. მაგრამ შეიძლება კი, რომ სუბიექტს ბრალი მიუძღოდეს სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო შედეგის გამოწვევაში?

ან იქნებ სუბიექტს ბრალი შესაძლოა მიუძღოდეს მხოლოდ მის მიერ განხორციელებულ ქცევაში და არა (იმავდროულად) ამ ქცევით გამოწვეულ შედეგში?

უკანასკნელ კითხვაზე პოზიტიური პასუხის შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ალოგიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება, რამეთუ ამის შედეგად სრულიად გაუგებარი ხდება, თუ რატომ ედება სუბიექტს ბრალი ქურდობის მცდელობაში და არა საკუთრივ ქურდობაში ყოველთვის, როდესაც მან ვერ მოახერხა რეალურად დაუფლებოდა გასატაცებლად გამიზნულ ნივთს ან მკვლელობის მცდელობაში და არა საკუთრივ მკვლელობაში მაშინ, როდესაც დაზარალებული დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო გადარჩა, ე.ი. ბრალეულობასთან მიმართებაში საზიანო შედეგის მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელს ქმნის მატერიალური დანაშაულის დასაბუთებას.

ამიტომაც თვით გაბატონებული დოგმატიკის გადასახედიდანაც გაუმართლებლად უნდა ჩავთვალოთ ბრალის „ფორმალური მოცემულობა“ საზიანო შედეგის მცირემნიშვნელოვნობის დროს, რაც თეორიულად საზიანო შედეგის სიმძიმისაგან ბრალის სისტემატიკური დამოუკიდებლობის უარყოფას ნიშნავს.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, ზიანისა და ბრალის ურთიერთმიმართება პასუხისმგებლობასთან, როგორც ასეთთან, დამოკიდებულებაში შემდეგი სახისაა: ზია-

ნი, რაოდენ განსაკუთრებულიც არ უნდა იყოს მისი სიმძიმის ხარისხი, მართალია, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ არ არის მოცემული ბრალი, მაგრამ ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ (რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს მისი ხარისხი), სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს, თუ მიყენებული ზიანი არასათანადო სიმძიმისაა.

მაშასადამე, საზიანო შედეგი და ბრალი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საბოლოო ჯამში ზემოქმედებენ ყოველგვარი ინტერაქციის, ურთიერთკავშირის გარეშე, რადგან ზემოქმედების პროცესში მათ გააჩნიათ ურთიერთდამოუკიდებელი მნიშვნელობა, ანუ მოცემული მომენტები თუმც ინტეგრალურად უკავშირდება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ზემოქმედებს მასზე ცალ-ცალკე, ურთიერთგარდამავლობისა თუ ლინეარული სუბორდინირებულობის გარეშე. ეს კი ნიშნავს გამოვაცალოთ დანაშაულის სისტემას ყოველგვარი სისტემურობა და წარმოვიდგინოთ ის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მექანიკურ, უშინაარსო ერთობლიობად.

გარდა ამისა, ზემომოტანილი შედარება ლოგიკის ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს.

ის, რომ პირველ შემთხვევაში ზიანი, მიუხედავად მისი სიმძიმის განსაკუთრებულობისა, ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს, მოწმობს იმას, რომ ზიანსა და პასუხისმგებლობას შორის სისხლის სამართალი არ ცნობს უშუალო, პირდაპირ ურთიერთობას და ეს ურთიერთობა, როგორც ზემოაღნიშნულიდანვე ირკვევა, გაშუალებულია სწორედ ბრალის ცნებით.

მაგრამ რას ვღებულობთ მეორე შემთხვევაში? აქ ამ არაუშუალო, ინდირექტული ურთიერთობის პრინციპი სრულიად ირღვევა და საზიანო შედეგის მცირემნიშვნელოვნობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს უკვე არა ბრალის გამორიცხვის შედეგად, არამედ უშუალოდ, ბრალის ცნების გვერდის ავლით.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, რომ თუ, პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, ზიანსა და პასუხისმგებლობას შორის პირდაპირი ლოგიკური კავშირი უარყოფილია, დაუშვებელია, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის დროს მოცემული კავშირი იყოს უშუალო.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელსაც მტკიცედ ეყრდნობა თანამედროვე სისხლის სამართალი, ბრალს წარმოგვიდგენს პასუხისმგებლობის არა უბრალოდ როგორც აუცილებელ, არამედ აგრეთვე როგორც ცენტრალურ, საკვანძო ორიენტირს, რაც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ვერც ერთი სხვა სუბიექტური თუ ობიექტური ნიშანი უშუალოდ (ე.ი. ბრალის ცნების გვერდის ავლით) ვერ ზეიმოქმედებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ვერც პოზიტიურად და ვერც ნეგატიურად (ე.ი. ვერც დაფუძნებისა და ვერც გამორიცხვის თვალსაზრისით).

ჩვენთვის საინტერესო ასპექტში შუა საუკუნეების სისხლის სამართალსა და თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დოგმატიკას შორის სხვა მხრივაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი პარალელების გავლება. ასეთია, მაგალითად, ქცევის მართლწინააღმდეგობისა და შედეგის მართლწინააღმდეგობის ურთიერთმიმართების პრობლემა. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ეს საკითხი, საერთოდ არ პოვებს არანაირ გაშუქებას, რის შედეგადაც გაურკვეველი რჩება მოცემულ ცნებათა ურთიერთობის როგორც სახე, ისე შინაარსი.

ამის გამო, ჩვენ სავსებით მოკლებული ვართ არსებით წარმოდგენას იმაზე, დაიშვება თუ არა ქცევის მართლზომიერების პირობებში მართლსაწინააღმდეგო შედეგის მოცემულობა და, პირიქით, შესაძლებელია თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქცევას თან სდევდეს მართლზომიერი შედეგი, რისი მკაფიო გარკვეულობა თანაბრად აქტუალურია პრაქტიკულადაც და წმინდა თეორიული თვალსაზრისითაც.

სისხლისსამართლებრივი შერაცხვის პროცესში ამ და სხვა მსგავსი პრობლემების უგულებელყოფა ვერაფერს, გარდა წინააღმდეგობებისა, ცხადია, ვერ წარმოშობს. ამიტომაც აქ უთუოდ გვმართებს საკითხის განსაზღვრული გააზრება.

უწინარეს ყოვლისა, ვნახოთ, თუ რაოდენ არის მისაღები პირველი თეორიული კონსტრუქცია, ე.ი. ისეთი სისტემატიკური ვითარება, რომლის დროსაც სახეზეა ქცევის მართლზომიერებისა და შედეგის მართლწინააღმდეგობის თანამოცემულობა.

ვთქვათ, სუბიექტი მკვლელობის მიზნით უკანონოდ ესხმის თავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მყოფ მოქალაქეს, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად შემთხვევით, მისდა უნებურად, მძიმედ ჭრის მესამე პირს, რომელიც ასევე მკვლელობის მიზნით თავს ესხმოდა იქვე მდგარ სხვა მოქალაქეს, და ამით უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის გადარჩენას.

სუბიექტური ქცევის განსახილველი სახე აშკარად მართლსაწინააღმდეგოა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ მოიპოვება რა არავითარი გამამართლებელი გარემოება, ადგილი აქვს სხვა პირის სამართლებრივად დაცული ისეთი რელევანტური ინტერესის ხელყოფის მცდელობას, როგორიც არის სიცოცხლის უფლება.

ითქმება თუ არა იგივე ამ ქცევით გამოწვეულ შედეგზეც? ბუნებრივია, არა, რამეთუ სისხლის სამართალი ამჟამადაც და შუა საუკუნეებშიც უკანონო თავდასხმის აღკვეთის ფაქტს (თუ, რასაკვირველია, არ იყო გადაცილებული აუცილებელი მოგერიების ფარგლები, რის საპირისპიროსაც ვერ ვიტყვით ზემომოტანილ მაგალითზე) განიხილავდა და განიხილავს როგორც სისხლისსამართლებრივად ნებადართულს და არა აკრძალულს, ე.ი. როგორც მართლზომიერს და არა მართლსაწინააღმდეგოს.

ის, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოჩენა განსახილველი მართლსაწინააღმდეგო ქცევის მხოლოდ შემთხვევით შედეგს წარმოადგენდა და, რომ სუბიექტს სულაც არ

სურდა მისთვის ასეთი დახმარების აღმოჩენა, რა თქმა უნდა, მოცემული შედეგის მართლზომიერებაზე ვერავითარ უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს.

ამდენად, *ქცევის მართლწინააღმდეგობის პირობებში შედეგის მართლზომიერებაზე საუბარი სისხლისსამართლებრივად სავსებით დასაშვებია.*

ადვილად შესაძლებელია დავრწმუნდეთ, რომ ქცევის მართლზომიერების დროსაც ასევე დაიშვება მართლსაწინააღმდეგო შედეგის მოცემულობა. ასე, მაგალითად, სუბიექტმა, იგერიებს რა უკანონო თავდასხმას, შესაძლოა უნებურად ჩაიდინოს მესამე პირის მკვლელობა, რომელიც აღნიშნულ თავდასხმასთან არავითარ კავშირში არ იმყოფება. ვფიქრობთ, შედეგის მართლწინააღმდეგობა აქ უდავოა, ვინაიდან შედეგს მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებულმა ქცევამ გამოიწვია არა იმ პირის დაღუპვა, რომელიც უკანონო საფრთხის წყაროდ გვევლინება, არამედ იმისა, რომელსაც უკანონო საფრთხის შექმნაში მცირეოდენი წვლილიც კი არ მიუძღვის.

რაც შეეხება მსგავსი სუბიექტური ქცევის მართლზომიერების საკითხს, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პოლემიკის საგანს წარმოადგენს.

კრიმინალისტთა ერთი ჯგუფის თანახმად, ამგვარი ქცევა არ შეიძლება გამოცხადდეს მართლზომიერად, რადგან, როგორც ისინი მიიჩნევენ, დაზარალებული ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივად სრულიად დაუცველი დარჩებოდა. ხოლო რამდენადაც სისხლის სამართალი, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, თანაბრად უნდა იცავდეს დაზარალებულსაც და აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში აღმოჩენილ სუბიექტსაც, მათივე მტკიცებით, სისხლის სამართლის კანონი ვერც ერთ მათგანს ვერ მიანიჭებს ერთმანეთის სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფის უფლებას. ამ პოზიციას ძირითადად საბჭოური დოქტრინის წარმომადგენლები იცავდნენ.

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, რომლებშიც ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე გერმანელ კრიმინალისტებს ვგულისხმობთ, დავეთანხმოთ ზემომოტანილ თვალთახედვას, ნიშნავს, ჩამოვართვათ სუბიექტს ამ კონკრეტულ ვითარებაში აუცილებელი მოგერიების უფლება, რასაც ისინი სრულიად საფუძვლიანად განიხილავენ როგორც თეორიულად მიუღებელს.

უკანასკნელი შეხედულების მართებულობაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ აუცილებელი მოგერიების ცნება უფრო ვრცელი შინაარსის მომცველია, ვიდრე ეს მხოლოდ მომგერიებლის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვაა, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების ერთ-ერთ ფუნდამენტური კრიმინალურ-პოლიტიკური მიზანია ის, რომ დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს დაზარალებულის მხრიდან აქტიური წინააღმდეგობის გაწევის რეალური მოსალოდნელობა, რაც ხშირად აფერხებს კიდეც მას თავისი დელიქტური განზრახვის განხორციელებაში. და თუ ზემოაღწერილ მაგალითში სუბიექტს ჩამოერთვა აუცილებელი მოგერიების უფლება, დამნაშავეს უკვე არ ექნება იმის მყარი შეგნე-

ბა, რომ უკანონო თავდასხმის შედეგად ის თავადვე შეიძლება დაზიანდეს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც მართლსაწინააღმდეგო საფრთხის ხარისხს, ისე მართლსაწინააღმდეგო აგრესიის სიმძიმესაც.

ამიტომ გამართლებულად უნდა ვცნოთ თანამედროვე გერმანელ კრიმინალისტთა პოზიცია და ვაღიაროთ, რომ სუბიექტური ქმედების ხსენებული სახე საზოგადოებრივად საზიანოა მხოლოდ შედეგის მიხედვით, ქცევის მიხედვით კი საზოგადოებრივად სასარგებლოა.

მაშასადამე, *დოგმატურად მართლზომიერ ქცევას ისევე უთავსდება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, როგორც მართლზომიერ შედეგს — მართლსაწინააღმდეგო ქცევა.*

როგორ ზემოქმედებს ყოველივე ეს ბრალსა და ბრალეულ პასუხისმგებლობაზე ზოგადად?

პირველ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც მოცემული გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ქცევისა და მართლზომიერი შედეგის კომბინაცია, სუბიექტი შესაძლოა მოქმედებდეს ბრალეულად (თუ, რასაკვირველია, არ მოიპოვება სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად დადგენილი ბრალის გამომრიცხველი ესა თუ ის გარემოება). ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითში პირი პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის.

მეორე შემთხვევაში კი, მიუხედავად შედეგის მართლწინააღმდეგობისა, ბრალეული პასუხისმგებლობის საკითხი არც კი შეიძლება წამოიჭრას, რამეთუ ქცევის მართლზომიერება უკვე არის ბრალის გამორიცხვის საკმარისი საფუძველი. გასაგებია, რომ როდესაც სუბიექტი მოქმედებს მართლზომიერად, მის მიერ გამოწვეული შედეგის მართლწინააღმდეგობა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოდგება ბრალის დამაფუძნებელ გარემოებად. შესაბამისად, ბრალის დაუშვებლობა ქცევის მართლზომიერებისა და შედეგის მართლწინააღმდეგობის თანამოცემულობის დროს ნორმატიულ-ლოგიკურ თავისთავადობად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ ქცევის მართლწინააღმდეგობისა და შედეგის მართლზომიერების ურთიერთობა ბრალეულობის თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, უნდა გადაწყდეს არა იმგვარად, რაგვარადაც ამას ადგილი აქვს შუა საუკუნეებისა თუ ამჟამინდელ გაბატონებულ დოგმატიკაში.

ძნელია შუა საუკუნეების სისხლის სამართალი, ამ მხრივ, გარკვეულ წინააღმდეგობრიობაში „ვამხილოთ“, ვინაიდან მისთვის, როგორც უკვე ვიხილეთ, ბრალის დასასაბუთებლად ყოველთვის როდი იყო აუცილებელი სუბიექტის ანტისამართლებრივი მისწრაფებების, მისი დელიქტური ზრახვის ობიექტური (გარეგანი) გამოვლინება: იქ, სადაც ბრალეული სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეფუძნოს სუბიექტის მხოლოდ შინაგან, გარე სამყაროსაგან ფაქტობრივად იზოლირებულ ქცევას, შედეგის მართლზომიერება, როგორც ასეთი, ადვილად გასაგები მიზეზის გამო ბრალს ვერასოდეს გამორიცხავს.

პრინციპულად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე თანამედროვე სისხლის სამართალთან მიმართებაში.

ჯერ ერთი, აქ ქმედების ობიექტური მხარე თავისი მნიშვნელობით სრულიად უტოლდება მის სუბიექტურ მახასიათებლებს და შედეგიც, როგორც ობიექტური მხარის ელემენტთაგანი, მნიშვნელოვან თეორიულ დატვირთვას იძენს.

მეორეც, თანამედროვე სისხლის სამართალში მრავლად მოიძიება ისეთი ცნება თუ დებულება, რომელიც შეიცავს პირდაპირ წინააღმდეგობას ზემოხსენებულ პოზიციასთან, ე.ი. იმასთან, რომ შედეგის მართლზომიერებას არ ძალუძს ბრალის გამორიცხვა, თუ თვით სუბიექტური ქცევა განიხილება როგორც მართლსაწინააღმდეგო. ავიღოთ თუნდაც გაუფრთხილებლობით მკვლელობისას დამნაშავის მიერ მკვლელობის ჩადენის ფაქტობრივი სურვილის მაგალითი. როდესაც სუბიექტი თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით (ავტოსატრანსპორტო შემთხვევის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების და ა.შ. დროს) სჩადის იმ პირის მკვლელობას, რომლის მოკვლაც მას სინამდვილეში სურს, მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტში სათანადოდ არ არის გარკვეული დაზარალებულის პიროვნებაში, სისხლისსამართლებრივად მიიჩნევა, რომ დამნაშავეს დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფა არ სურდა. როგორც აქედან ჩანს, სისხლის სამართალი ამ კონკრეტულ შემთხვევაში აბსოლუტურად იგნორირებას უწევს დამნაშავის ფაქტობრივ სურვილს და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მისი ფაქტობრივი სურვილი არავითარ კავშირში არ არის იმასთან, რაც მან ობიექტურად მოიმოქმედა.

მაგრამ საქმეც სწორედ რომ ეს არის. ვინაიდან ამჯერად პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს აქცენტირების ობიექტს წარმოადგენს არა ის, თუ რა სურდა პირს სუბიექტურად, არამედ ის, თუ რა კავშირშია მისი კონკრეტული შინაგანი ქცევა გარე სამყაროში გამოწვეულ ცვლილებასთან, ქცევის მართლწინააღმდეგობისა და შედეგის მართლზომიერების თანამოცემულობის შემთხვევაში სუბიექტის ფაქტობრივი სურვილის აბსოლუტური იგნორირების კიდევ უფრო მტკიცე ლოგიკური საფუძველი გვაქვს: თუ თავს უფლებას ვაძლევთ უგულებელვყოთ სუბიექტის აშკარად მართლსაწინააღმდეგო სურვილი მის მიერ გამოწვეულ ასევე მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებაში, რითაც საგრძნობლად ვამცირებთ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხს, რატომ არ შეიძლება ან, უფრო ზუსტად, რატომ არ უნდა ვისაუბროთ დელიქტური სურვილის უგულებელყოფასა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე ან თუნდაც შემსუბუქებაზე მაშინ, როდესაც სახეზეა მართლზომიერი, საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგი?

გაბატონებული სწავლების მიხედვით კი, ჩვენ მიერ ზემომოტანილ მაგალითში სუბიექტი მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს მკვლელობის მცდელობისათვის, რა დროსაც მის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგი საერთოდ არ მიიღება მხედველობაში, რადგან მიიჩნევა, რომ მოცემული შედეგი დადგა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად და, ამდენად, მას არ ძალუძს არსებითი ზეგავლენის მოხდენა პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესზე, ე.ი. თანამედროვე დოგმატიკა განსახილ-

ველ შემთხვევაში მაქსიმალურად იგნორირებას უწევს ხსენებულ მართლზომიერ შედეგს და პირიქით, მაქსიმალურად უწევს ანგარიშს სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქცევაში გამოხატულ დელიქტურ სურვილს.

მაგრამ შეიძლება კი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სისხლის სამართლის ფარგლებში იმის დაშვება, რომ სუბიექტური ქმედებიდან გავითვალისწინოთ ის, რაც მეტყველებს სუბიექტის საწინააღმდეგოდ, და უგულებელვყოთ მის სასარგებლოდ მეტყველი ესა თუ ის ელემენტი?!

საკმარისია შევცვალოთ განსაზღვრული დეტალი აქ წარმოდგენილ კაზუსში, რათა მოცემული თვალსაზრისით მით უფრო გაღრმავდეს წინააღმდეგობა თანამედროვე სისხლის სამართლის ამოსავალ პრინციპებთან. ვთქვათ, ზემოციტირებულ მაგალითში „დამნაშავისათვის“ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ უკანონო თავდასხმის აღკვეთა წარმოადგენს მის უკვე არა სისხლისსამართლებრივ უფლებას, არამედ სისხლისსამართლებრივ მოვალეობას. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება სუბიექტის მიერ აკრძალული ქცევით სავალდებულო შედეგის გამოწვევას!

ჩვენ კვლავაც გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კანონიკურ სამართალში მსგავსი რამ ტრივიალურ მოვლენად ჩაითვლებოდა, მაგრამ თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრი, რომლის მიხედვითაც კარგად არის ცნობილი როგორც სუბიექტივიზმის, ისე ობიექტივიზმის ყოველი ნეგატიური ასპექტი, ამგვარ მიდგომას კატეგორიულად ვერ შეიგუებს.

უფრო მეტიც, სწორედ ამაში პოვებს თავის გამოხატულებას ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლის შესაბამისადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი და ამჟამად გაბატონებული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა. კანონიკური სამართალი, ეყრდნობა რა რელიგიურ-ეთიკურ საწყისებს, უმთავრესად მიიჩნევს სუბიექტის ანტისამართლებრივი განწყობის გამოვლენას, მაშინ როდესაც თანამედროვე სისხლის სამართალი წმინდა რაციონალურ საფუძვლებზე აიგება და უპირატეს მნიშვნელობას მოქალაქეთა სამართლებრივი სიკეთის დაცვას ანიჭებს.

ამის გათვალისწინებით კი ყოველივე ელემენტარული ლოგიკის სიბრტყეზე გადადის: თუ ამოსავალია დებულება, რომლის თანახმადაც თავიდათავი მნიშვნელობა სუბიექტის ანტისამართლებრივი განწყობის ინდიცირებას ენიჭება, მაშინ აკრძალული ქცევით განხორციელებული სავალდებულო შედეგი უსათუოდ უნდა იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და, პირიქით, მართლსაწინააღმდეგო ქცევით სავალდებულო შედეგის გამოწვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ვერ დააფუძნებს, თუ ფუძემდებლურ სისხლისსამართლებრივ ღირებულებად აღიარებულია მოქალაქეთა სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ამიტომ როდესაც ზემოწარმოდგენილი ქმედების გამო სუბიექტი დღესაც ისჯება სისხლის სამართლის წესით, ეს ნიშნავს მოცემულ რაკურსში სისხლის სამართ-

ლის მეცნიერების, სულ მცირე, ექვსი-შვიდი საუკუნით უკან წაწევას და შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალთან მის ერთგვარ ანალოგირებას.

მაგრამ, სხვა მხრივ, არც ის იქნებოდა მართებული, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცემულობა ამ ცალკეულ შემთხვევაში განგვეხილა როგორც კანონიკური სამართლის გადმონაშთი. ეს, როგორც ზემოთქმულიდანვე გამომდინარეობს, თანამედროვე დოგმატიკის ფარგლებში ლოკალიზებული წინააღმდეგობრიობის, ანუ ძირითადი სისხლისსამართლებრივი პრინციპების არათანამიმდევრული აღქმის შედეგია. ამავე დროს, თუ გვსურს კანონიკური სამართლის *მეტისმეტ აბსტრაქტულობას* დავუპირისპიროთ თანამედროვე სისხლის სამართლის *ჭეშმარიტად პრაგმატული ხასიათი*, უცილობლად უნდა აღმოიფხვრას მსგავსი არათანამიმდევრულობის ყოველი კონკრეტული გამოვლინება.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, რომ ბრალის იდეის განვითარება განუყოფლად უკავშირდება სხვა სისხლისსამართლებრივი პრობლემების განვითარების პროცესს. ზოგჯერ ეს პირველი პირდაპირაც გამომდინარეობს ამ უკანასკნელიდან. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან სისხლის სამართლის მეცნიერებას ზუსტად ისევე, როგორც მეცნიერების სხვა ნებისმიერ სახეს, მკაცრი სტრუქტურული კანონზომიერებები ახასიათებს და ერთი რომელიმე ცნების შინაარსობრივი სახეცვლა აუცილებლობით ახდენს გარდამსახველ ზეგავლენას სისხლის სამართლის სხვა განსაზღვრულ ცნებაზე ან სულაც ცნებათა მთელ რიგზე. ამის თვალსაჩინო დემონსტრირებაა ბრალისა და აფექტის ცნებათა ურთიერთობა შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში.

„აფექტი კანონიკურ სამართალში,— წერს გ. ნასი, — ***dolus***-ის გამომრიცხველი გარემოებაა, ის სრულიად გამორიცხავს თვით ბრალსაც (მაგალითად, სიმთვრალეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქცევის ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში). მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ბრალის კანონიკური ცნება მაინც ბევრად უფრო ვრცელი შინაარსის მომცველია, ვიდრე ბრალის რომაული მოდელი. ბრალის ცნების ეს შინაარსობრივი განვრცობა ვლინდება იმაში, რომ კანონიკურ სამართალს ძირითადი აქცენტი სუბიექტის შინაგან განცდებზე, მის შინაგან ქცევაზე გადააქვს. საერო სასამართლოებისათვის ძნელად თუ იქნებოდა მისაღები სუბიექტის შინაგანი ქცევის დასჯადად დეკლარირება, ასეთად სუბიექტურ ზრახვას საერო კანონმდებლობა განიხილავდა მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელი იყო მისი, როგორც გარეგანი ნებელობითი აქტის, მოტივის დასაბუთება. კანონიკურ სამართალში კი, რომელიც ეკლესიის სამსახურში იდგა და, ამრიგად, რელიგიურ მისიას ასრულებდა, სისხლისსამართლებრივი ბრალი მოცემულად მიიჩნეოდა იქაც, სადაც სუბიექტს განიხილავდნენ როგორც დელიქტური განწყობის გავლენის ქვეშ მყოფს. მაშასადამე, ბრალი კანონიკურ სამართალში ეფუძნებოდა პირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და არა განსაზღვრულ შემთხვევას, ე.ი. არა კონკრეტულად ამა თუ იმ სუბიექტურ ქმედებას, არამედ ზოგადად არამართლზომიერ განწყობას“.85 როგორც თვით გ. ნასის ამ ციტატიდან

ჩანს, აქ იგულისხმება როგორც ფიზიოლოგიური, ისე პათოლოგიური აფექტი, რადგან კანონიკური სამართლისთვის აფექტის ცნების ცალკეულ ნაირსახეობებად დიფერენცირება უცხოა. შესაბამისად, ყოველივე ის, რაც ზემოთ აფექტის კანონიკური ცნების შესახებ აღინიშნა, თანაბრად შეეხება თანამედროვე სისხლის სამართალში მიღებულ ფიზიოლოგიური აფექტის ცნებასაც. ხოლო ფიზიოლოგიური აფექტი გაბატონებულ მოძღვრებაში, განსხვავებით კანონიკური სამართლისაგან, წარმოადგენს არა ბრალის გამომრიცხველ, არამედ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას (თუ ის, ბუნებრივია, გამოწვეული იყო დაზარალებულის უკანონო მოქმედებით, რაც გამოიხატა ძალადობაში, დამნაშავის ან მისი ახლობლის მძიმე შეურაცხყოფაში და ა.შ.).

თანამედროვე დოქტრინა, უარყოფს რა ფიზიოლოგიურ აფექტს როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, ხელმძღვანელობს იმით, რომ ფიზიოლოგიური აფექტი თუმც ძლიერ ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, მაგრამ სრულიად არ უკარგავს მას ფსიქიკურ შესაძლებლობას ანგარიში გაუწიოს თავის თავს საკუთარ ქმედებაში, ანუ იყოს პასუხისმგებელი ამ ქმედებისათვის. ეს უდავოდ ასეც არის. და აქ თავს იჩენს კანონიკური სამართლისა და თანამედროვე სისხლის სამართლის მკვეთრი კონტრასტულობის კიდევ ერთი აპოდიქტური გამოვლინება. თუ გაბატონებული მოძღვრება ფიზიოლოგიური აფექტის დროს პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად იმ გარემოებას მოიშველიებს, რომ სუბიექტი ჯერაც ფლობდა თვითკონტროლის გარკვეულ ფსიქიკურ შესაძლებლობას, კანონიკური სამართალი პასუხისმგებლობის უარყოფის მოტივად ასახელებს იმას, რომ სუბიექტი მოკლებული იყო საკუთარი ქცევის სრულყოფილი ფსიქოლოგიური მართვის უნარს.

უკანასკნელი პოზიციის დეტალური არგუმენტაცია მდგომარეობს შემდეგში: ჯერ ერთი, პირი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო და, მეორეც, აფექტის არარსებობის პირობებში, ე.ი. როდესაც მოცემულია თვითკონტროლის თავისუფალი ფსიქიკური შესაძლებლობა, ის უთუოდ შეიკავებდა თავს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქცევისაგან.

არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ამ ორი ელემენტის ერთობლიობა შეუძლებელს ქმნიდა კანონიკურ სამართალში აფექტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას. როგორც ჩვენ მიერ ზემოთ აღინიშნა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს, კანონიკური სამართლის მიხედვით, უმთავრესია სუბიექტის ანტისამართლებრივი განწყობის დადგენა. ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში კი სუბიექტი, როგორც ცნობილია, არც თავისი ქცევის სამართლებრივ შედეგებზე ფიქრობს და არც იმას აანალიზებს, მართლზომიერია თავისი ქცევა თუ მართლსაწინააღმდეგო. ამიტომაც ის, რასაც პირი აფექტის პირობებში სჩადის, ძნელად თუ შეიძლება დახასიათდეს როგორც ანტისამართლებრივი განწყობის შედეგი.

ამას თვალნათლივ მოწმობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. როდესაც სუბიექტი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას არ იმყოფება ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, ის აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, როგორც წესი, სცილდება დაზარალებულისათვის სამაგიეროს მიზღვის, მისი თვითნებური დასჯის მიზნით და ამაში ადვილად შევძლებთ ზემოხსენებული ანტისამართლებრივი განწყობის მოძიებას. მაგრამ თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება (ფიზიოლოგიური) აფექტის შედეგია, ვერ ვიტყვით, რომ სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი ქცევის თვითნებური ხასიათი. სხვა საკითხია ის, რომ მას შეიძლება გააჩნდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება, რადგან ჯერ კიდევ სრულიად არ დაუკარგავს თავისი გარეგანი ქცევისათვის ზედამხედველობის გაწევის ფსიქოლოგიური შესაძლებლობა.

რაც მთავარია, მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის უარყოფა სავსებით უთავსდება კანონიკურ სამართალში გაბატონებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის წესით პირმა მხოლოდ მაშინ შეიძლება აგოს პასუხი მის მიერ ობიექტურად (გარეგანად) განხორციელებული ქცევისათვის, თუ ის ამ ქცევის განხორციელების მომენტში ფსიქოლოგიურად თავისუფალია.

ამასთანავე, ზემოწარმოდგენილი მაგალითის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნის ჩამოყალიბება. საქმე ის არის, რომ კანონიკური სამართლის მიერ ძირითადი აქცენტის შინაგან ქცევაზე გადატანა ცალსახად განიხილება როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, როგორც ასეთის, რადიკალური გამკაცრება. აფექტის მაგალითზე კი გარკვევით ჩანს, რომ ამ პრობლემისადმი ერთმნიშვნელოვანი მიდგომა გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, ასევე გაუმართლებელია იმის მტკიცებაც, თითქოს კანონიკური სამართალი, უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა რა სუბიექტის შინაგან ქცევას, მიზნად ისახავდა დასჯად ქმედებათა რიცხვის მაქსიმალურ გაზრდას.

მოკლედ რომ ვთქვათ, *კანონიკური დოქტრინის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი რეპრესია არ წარმოადგენდა თვითმიზანს*, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

მაგრამ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას გ. ნასის მაგალითში მოტანილი აფექტის მეორე შემთხვევა იპყრობს. აქ უდავოდ საჭიროებს გარკვევას ის, თუ რაოდენ შეესაბამება კანონიკური სამართლის ამოსავალ დებულებებს ბრალისა და ბრალეული პასუხისმგებლობის გამორიცხვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი ერთდროულად იმყოფება ნასვამ და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

უნდა გამორიცხავდეს თუ არა (ფიზიოლოგიური) აფექტი სიმთვრალეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქცევის ბრალეულობას, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აღიქმება თვით სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის პრობლემა.

ამ მხრივ, კანონიკური სამართალი არსებითად იმავე დასკვნამდე მიდის, რაც არისტოტელე. ეს უკანასკნელი მოცემულ საკითხთან დამოკიდებულებაში აღნიშნავს: „სიმთვრალეში მყოფ პირს სასჯელის ზომა უნდა გაუორკეცდეს, ვინაიდან მამოძრავებელი პრინციპი (das bewegende Prinzip) მასშივეა მოთავსებული: ის შეგნებულად იქვეითებს ჯეროვანი მოქმედების უნარს. იგივე შეეხება კანონის მოთხოვნათა უცოდინარობასაც. ბრალეულ პირს სავსებით შეეძლო ეს უცოდინარობა თავიდან აეცილებინა, რადგან მასზევე იყო დამოკიდებული საკუთარი ყურადღების დაძაბვა“.86

ის, რომ ნორმის უცოდინარობა უნდა ამძიმებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, აბსოლუტურად ემთხვევა ჩვენს თვალთახედვას. მაგრამ წინააღმდეგობრივი ჩანს არისტოტელეს ზემოციტირებულ მოსაზრებაში წარმოდგენილი არგუმენტაცია.

თუ პასუხისმგებლობის გაორკეცების საფუძველია ის, რომ სუბიექტი შეგნებულად იქვეითებს მართლზომიერი ქცევის უნარს, მაშინ ნორმის უცოდინარობის დროს პასუხისმგებლობა ვერ გაორკეცდება იმდენად, რამდენადაც ამჯერად სუბიექტი მართლზომიერი ქცევის უნარს იქვეითებს არა შეგნებულად, არა განზრახ, არამედ უყურადღებობის, წინდაუხედაობის შედეგად, ე.ი. გაუფრთხილებლობით.

უშუალოდ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით კი არისტოტელე სრულიად თანამიმდევრულია თავის დასკვნებში. ამ შემთხვევაში პირს მართლაც მოეპოვება იმის აქტუალური შეგნება, რომ ის მნიშვნელოვნად იქვეითებს მართლზომიერი ქცევის უნარს. ნასვამ მდგომარეობაში თავის გაუფრთხილებლობით ჩაყენება შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც გამონაკლისი და ამიტომ ეს გარემოება არისტოტელეს მოსაზრების თანამიმდევრულობაზე არსებით ნეგატიურ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

მაგრამ თეორიული დავის საფუძველი აქ მაინც მოიპოვება. როდესაც სუბიექტი თავს ნასვამ მდგომარეობაში აყენებს, ის სულაც არ არის დარწმუნებული, რომ ეს აუცილებლობით გახდება მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩამდენის მიზეზი.[0]* პირიქით, ის დარწმუნებულია (თუმც არასაკმარისად საფუძვლიანად) იმაში, რომ შეძლებს თავი შეიკავოს ყოველგვარი არამართლზომიერებისაგან, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მისთვის კარგად არის ცნობილი, მას უცილობლად დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც ერთნაირად არასასურველია ყოველი სუბიექტისათვის.

ამდენად, თუ შევეცდებით დავიცვათ სისხლის სამართლის თეორიის ძირითადი კანონები, სიმთვრალეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქცე-

---

* რა თქმა უნდა, ზოგჯერ სუბიექტი ნასვამ მდგომარეობაში თავს სწორედ განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მიზნით აყენებს, მაგრამ ამჯერად ეს სპეციალური შემთხვევები ჩვენი დაინტერესების საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევებთან მიმართებაში განსახილველ კონტექსტში სადავო არაფერია.

ვის დროს პირმა საზოგადოდ პასუხი უნდა აგოს სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობისათვის, მიუხედავად იმისა, მოცემული ქცევა (ანუ უშუალოდ სიმთვრალეში განხორციელებული ქცევა) გაუფრთხილებლობითია თუ განზრახი.

თუ სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქცევა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ იმ სუბიექტურ ქმედებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ (მაგალითად, ქურდობა, შეურაცხყოფა), მაშინ შესაძლოა უბრალოდ შემცირდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი სათანადოდ შემუშავებული კრიტერიუმის შესაბამისად ან სულაც დავუშვათ სისხლისსამართლებრივი პირობითობა და ამ კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით შესაძლებლად მივიჩნიოთ ხსენებულ ქმედებათა გაუფრთხილებლობით ჩადენა. ეს უკვე სისხლისსამართლებრივი ტექნიკის საკითხია.

მაგრამ ხომ არ ვუშვებთ ლოგიკურ წინააღმდეგობას, როდესაც ნორმის უცოდინარობას ვაცხადებთ ბრალის დამამძიმებელ გარემოებად, ნასვამ მდგომარეობაში თავის შეგნებულ ჩაყენებას კი, პირიქით — განვიხილავთ როგორც სისხლისსამართლებრივი განზრახვის გამომრიცხველ გარემოებას? ცხადია, არა, რადგან სისხლის სამართალი არსებული სოციალური სინამდვილის პირობებში ვერ აუკრძალავს სუბიექტს თავის ნასვამ მდგომარეობაში ჩაყენებას (გარდა სპეციალური შემთხვევებისა), მაშინ როდესაც ნორმის უცოდინარობა უეჭველად შეიძლება და უნდა იყოს კიდევაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგანი. ხოლო ის, რაც სისხლისსამართლებრივ აკრძალვას არ ექვემდებარება, ვერც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გამოდგება.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ არისტოტელე მსგავს სიღრმეებს ვერ ჩასწვდებოდა, რამეთუ იმჟამინდელი სამართლებრივი აზრის განვითარების დონე აშკარად არ ქმნიდა საამისოდ ხელსაყრელ პირობებს. მით უმეტეს, რომ მოცემულ პრობლემასთან მიმართებაში თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაც ვერ მისულა საბოლოო დასკვნამდე.

რაც შეეხება განსახილველ ასპექტში არისტოტელეს პოზიციისა და კანონიკურ სამართალში წარმოდგენილი თვალსაზრისის ურთიერთმიმართებას, მათ შორის მსგავსება უფრო მეტი და მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება.

კანონიკურ სამართალშიც ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა ბრალის დამამძიმებელი გარემოებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბრალის დამძიმების ხარისხი აქ შედარებით ნაკლებია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე და შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი ერთგვაროვნად უდგებიან სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქცევის ბრალეულობის საკითხს, პრინციპულად არაერთგვაროვანია მათი მიდგომა აფექტის სისხლისსამართლებრივი როლისადმი ამავე პრობლემის ფარგლებში.

არისტოტელეს თანახმად, აფექტი ზოგადად წარმოადგენს მარტოოდენ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას, რადგან, მისი აზრით, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფი სუბიექტი არ არის მოკლებული თავისუფლად მოქმედების უნარს, არამედ მას ეს უნარი მხოლოდ შეზღუდული აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმმართველი საწყისი, ანუ მამოძრავებელი პრინციპი თვით სუბიექტშივე მდებარეობს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფი პირი იმავდროულად ნასვამ მდგომარეობაშიც იმყოფება, არისტოტელეს ნათლად გაეგება, რომ გარეგან ქცევაზე საერთოდ არ შეიძლება გავრცელდეს სუბიექტური ნება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ის თვლის, რომ მამოძრავებელი პრინციპი კვლავაც მოქმედშია ლოკალიზებული, ვინაიდან სუბიექტმა ნასვამ მდგომარეობაში თავის შეგნებულად ჩაყენებით თავად შეუწყო ხელი თავისუფლად მოქმედების უნარის სრულ დაქვეითებას.

ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ შეინიშნა, კანონიკური სამართალი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს იმ ფაქტზე, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩადენის მომენტში სუბიექტი იმყოფებოდა ტოტალური შეურაცხადობის პირობებში.

ის, თუ რომელი პოზიცია უფროა მისაღები, შესაძლოა ხანგრძლივი ცილობის მიზეზი გახდეს. მაგრამ მცირე რამ არის საცილო იმაში, რომ აღნიშნულ ჭრილში კანონიკურ სამართალში, არისტოტელეს თვალთახედვისაგან განსხვავებით, თითქმის არც შეინიშნება ზრუნვა შესაბამისი დასკვნების კონსეკვენტურობაზე.

ერთი მხრივ, გ. ნასის ჩვენ მიერ ციტირებული კომენტარიდან ნათლად ჩანს, რომ კანონიკურ სამართალში აფექტი ბრალს მთლიანად გამორიცხავს მხოლოდ ისეთი შემთხვევის დროს, როგორიც არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა და ა.შ., ზოგადად კი ძლიერი სულიერი აღელვება კანონიკურ დოქტრინაში მოისაზრება როგორც არა ბრალის, არამედ მარტოოდენ *dolus*-ის გამომრიცხველი გარემოება. მეორე მხრივ, კანონიკური სამართალი ნასვამ მდგომარეობაში ყოფნას ბრალის დამამძიმებელ გარემოებათა რიცხვს მიაკუთვნებს.

მაგრამ რას ვღებულობთ ამის შედეგად?

გამოდის, რომ აფექტი, რომელიც ზოგადად გამორიცხავს მხოლოდ *dolus*-ს და არა ბრალს, საკმარისია მოვიყვანოთ ნასვამ მდგომარეობასთან, ანუ ბრალის დამამძიმებელ გარემოებასთან ლოგიკურ კავშირში, რათა ის უეცრად ბრალის გამორიცხვის საფუძვლად წარმოგვიდგეს! თუ ამ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, გაუგებარი ხდება, თუ რა საჭიროა ლოგიკა საერთოდ.

გერმანული სამართალი

როგორც ამ და ზემოწარმოდგენილი სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, კანონიკური აზროვნების პრინციპები უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს შუა საუკუნეების სისხლის სამართალზე. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს კანონიკური სამართალი შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი აზრის გამომხატველი ერთადერთი მნიშვნელოვანი წყაროა. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მას ტრადიციულად უპირისპირდება იმჟამინდელი გერმანული სისხლის სამართალი.

გერმანული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა არა მხოლოდ პრინციპულად განსხვავდება ჩვენ მიერ ზემოგანხილული კანონიკური სამართლისაგან, არამედ თავისი არსით მკვეთრადაც უპირისპირდება მის ძირითად დებულებებს. ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებზედაც ეს ორი სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობა აიგება, იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ ერთი და იმავე ეპოქის კუთვნილებად მათი წარმოდგენა ლოგიკურად შეუძლებელია. ეს ფაქტი გარკვეულწილად აფერხებს კიდეც სისხლისსამართლებრივი აზრის კანონზომიერი განვითარების მართებულ აღქმას. სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების კანონზომიერება გულისხმობს იმას, რომ პრიმიტივისტული ობიექტივიზმი, რომელიც ახასიათებდა შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალს, არ შეიძლება მოიცემოდეს ბრალის იდეის ისეთი მაღალგანვითარებულობის პირობებში, როგორსაც ადგილი ჰქონდა კანონიკურ სამართალში, რაც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მოცემული კანონზომიერების ფარგლებში საერთოდ არ დაიშვება ურთიერთსაპირისპირო სისხლისსამართლებრივ მიმდინარეობათა პარალელური განვითარება.

როგორც ცნობილია, ჩვენში არცთუ შორეულ წარსულში გაბატონებული დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, წინააღმდეგობა პროგრესული განვითარების აუცილებელ წინაპირობადაც კი მიიჩნეოდა. მაგრამ, თუ ვიტყვით თანამედროვე ლოგიკის ენაზე, სირთულეს შეადგენს ის, რომ აქ სახეზეა არა მხოლოდ მძაფრი კონტრადიქტორულობა, არამედ აგრეთვე კონტრასტულობის მიუღებლად მაღალი ხარისხი. თუ კანონიკურ სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უპირატესად სუბიექტის შინაგან ქცევას უკავშირდება, რომელიც გარეგანად შეიძლება არც კი იყოს გამოვლენილი, შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართლის ინტერესი უმთავრესად სწორედ გარეგანი ქცევითა და მისი საზიანო შედეგებით იფარგლება.

თუმც ჩვენ მიერ ზემოწარმოებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ კანონიკური სამართლის მიხედვითაც პირს შეიძლებოდა სისხლის სამართლის წესით პასუხი ეგო თავისი ქცევით გამოწვეული ყველა მავნე შედეგისათვის, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა თითოეული მათგანის გათვალისწინება, მაგრამ, როგორც იმავე ანალიზიდან ჩანს, ეს აშკარად ეწინააღმდეგებოდა თვით კანონიკური სამართლის ამოსავალ პრინციპებს, მაშინ როდესაც შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალში მსგავსი რამ სწორედ რომ ამოსავალი პრინციპი იყო.

უნდა შეინიშნოს, რომ ამგვარი დისონანსის პრობლემატური ხასიათი თანამედროვე სისხლის სამართალში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მოკიდებული არაერთი გამოჩენილი კრიმინალისტი ცდილობდა და ცდილობს მოუძებნოს მას გარკვეული მეცნიერული ახსნა, მაგრამ ჩვენ თავს უფლებას მივცემთ არ დავეთანხმოთ მათ მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნებს. მაგალითად, ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს ცნობილი გერმანელი მეცნიერი ე. შმიდტი: „რა დროსაც კანონიკური სამართალი ამოდიოდა სუბიექტის შინაგანი განწყობიდან (innere Einstellung des Täters), რაც სავსებით გასაგებია, გერმანული სისხლისსამართლებრივი კონცეფცია ამოსავალ მომენტად ქმედების გარეგან ეფექტს (äußere Wirkung der Tat) თვლიდა. ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს შემდეგი ორი ფაქტორი: ჯერ ერთი, გერმანული სამართალი იმ დროისთვის თავის განვითარებას განაგრძობს კვლავაც როგორც შურისძიების სამართალი (das Racherecht) და, მეორეც, იმჟამად, როგორც წესი, რთული ან სულაც შეუძლებელი იყო სუბიექტის შინაგანი განწყობის დადგენა“.87 ე.წ. შურისძიების სამართლის უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებას განასახიერებს ის, რომ ყველა ერთპიროვნულად ახორციელებს სამართალს. ეს, უწინარეს ყოვლისა, სისხლის სამართლის, როგორც საჯარო სამართლის, სრულ უარყოფას ნიშნავს.

ამავე დროს, საკმარისია თვალი გადავავლოთ სხვა კრიმინალისტთა გამოკვლევებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ შუა საუკუნეების გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში შურისძიების სამართალი მართლაც პოვებს თავის გამოხატულებას, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული რუდიმენტის სახით და არა ისე მასშტაბურად, როგორც ე. შმიდტის მტკიცებიდან გამომდინარეობს. ამიტომ შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ის, უდავოდ განიცდის რა შურისძიების სამართლის მნიშვნელოვან ზეგავლენას, ამ უკანასკნელთან, როგორც ასეთთან, პრინციპულად ვერ გაიგივდება ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი შურისძიების სამართალს არ წარმოადგენს.

ყოველ შემთხვევაში, მოცემული კუთხით ზემოხსენებული პრობლემის გადაჭრა ჩვენ წარმოუდგენლად გვესახება, რადგან განსახილველ ასპექტში მთავარია არა ის, თუ რასთან გვაქვს საქმე: შურისძიების სამართალთან თუ შურისძიების სამართლის მნიშვნელოვან ზეგავლენასთან (ეს პრობლემის დაფიქსირება უფროა, ვიდრე პრობლემის გადაჭრის მცდელობა), არამედ ის, თუ რამ განაპირობა გერმანული სისხლის სამართლის იმჟამად არსებული ცალსახად ობიექტივისტური ბუნება.

ე. შმიდტის მომდევნო დებულებაში, სადაც საუბარია სუბიექტის შინაგანი განწყობის გამოვლენის სირთულეებზე, ეს ამოცანა სრულყოფილად არის ასახული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მის მტკიცებას არაფერი აქვს საერთო ობიექტურ ჭეშმარიტებასთან. თუ კანონიკურ სამართალს შესწევდა გარეგან მართლსაწინააღმდეგო ქცევაში გამოუვლენელი სუბიექტური განწყობის დადგენის უნარი, გერმანულ სისხლის სამართალს მით უფრო

უნდა შეძლებოდა სუბიექტის შინაგან ქცევაზე სათანადო წარმოდგენის შექმნა, ვინაიდან ის აშკარად „არ აკნინებდა“ დანაშაულის ობიექტური მხარის მნიშვნელობას, რაც ასე რელევანტურია სუბიექტური ელემენტების ინდიცირების თვალსაზრისით.

ეს შედარება იმდენად მარტივი და თავისთავადია, რომ ის არც ე.შმიდტისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო ჩაუწვდომელი. ამიტომაც ის, როგორც ჩანს, უბრალოდ ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ გერმანული სამართალი, მართალია, ეფუძნებოდა რაციონალურ საწყისებს, მაგრამ არასათანადო სოციალური გარემოს გამო არ ხერხდებოდა მათი პრაქტიკული რეალიზება.

სინამდვილეში კი ასეთ პოზიციას მხოლოდ ყოვლად უშინაარსო დასკვნამდე მივყავართ. წარმოვიდგინოთ, რომ გამოძიებით ვერ იქნა დადგენილი, თუ რა მიზანი ამოძრავებდა სუბიექტს ყალბი ფულის დამზადების დროს: უბრალოდ შენახვის, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის, თუ გასაღების, რაც სისხლისსამართლებრივად აკრძალულია. ე. შმიდტის მიერ წარმოდგენილი ლოგიკის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევაში პოზიტიურად უნდა გადაწყდეს, რამეთუ დაუდგენელი დარჩა სუბიექტის რეალურად არსებული შინაგანი ქცევა(!!).

თუ სისხლის სამართალი რაციონალურობას აღიარებს როგორც გენერალურ კრიტერიუმს, აქ და ყველა დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც შინაგანი ქცევის სრულყოფილი გამოვლენა სისხლისსამართლებრივი ხერხებითა და მეთოდებით შეუძლებელია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უპირობოდ უნდა გამოირიცხებოდეს, როგორც ამას თანამედროვე სისხლის სამართალში ვხვდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში რაციონალურობაზე საუბარი უდიდესი ირაციონალურობა იქნებოდა.

აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების სისხლის სამართალი სრულიად მოკლებული იყო რაციონალურობის პრინციპს, მიუხედავად ე. შმიდტის ესოდენ თავდაჯერებული მტკიცებისა. მისი ზემომოტანილი თეზისები რომ ვერავითარ დადებით შედეგს ვერ გამოიღებდა, ეს ისედაც ადვილად მისახვედრი უნდა ყოფილიყო, რადგან ე. შმიდტი ესწრაფვოდა შეეთავსებინა ერთმანეთთან ორი ყოვლად ურთიერთშეუთავსებელი ფენომენი: რაციონალურობა და ობიექტური შერაცხვა.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შმიდტი საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული მკაცრი ობიექტივიზმის არა ახსნას, არამედ ამ ობიექტივისტური ხედვის გამართლებას, — რამდენადაც, „იმჟამად სუბიექტის შინაგანი განწყობის გამოვლენა, როგორც წესი, რთული ან სულაც შეუძლებელი იყო“, გამოდის, რომ ობიექტივიზმს გერმანულ სისხლის სამართალში არ შეიძლებოდა ჰქონოდა არავითარი ალტერნატივა. ჩვენი აზრით კი, ყოველივე ეს დიამეტრულად საპირისპირო სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს.

ერთი მხრივ, თვით ის ფაქტი, რომ კანონიკურმა სამართალმა შექმნა სუბიექტის შინაგან ქცევაზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პრეცედენტი, გაუმართლებელს ქმნის ყოველგვარ მსჯელობას იმაზე, თითქოს გერმანულ სისხლის სამართალს არ შეეძლო დანაშაულის სუბიექტური ელემენტების სისტემატიკური როლის შეცნობა და, შესაბამისად, მისი გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარება, მაგრამ, მეორე მხრივ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გერმანული სისხლის სამართალი პრინციპულად უპირისპირდებოდა კანონიკურ სამართალს, ზუსტად ისევე, როგორც ყოველივე საერო კატეგორიულად არ ურიგდებოდა საეკლესიო საწყისების გაბატონებას.

ამ უკანასკნელი შენიშვნიდან გამომდინარე, გერმანული სისხლის სამართალი იმ მიზეზით იგნორირებდა კანონიკური სამართლის მიერ სუბიექტური ელემენტების წინ წამოწევას, რომ ის (გერმანული სისხლის სამართალი) ცდილობდა საერო სამართლის ტრადიციების შენარჩუნებას და მასში საეკლესიო მსოფლმხედველობის შემოჭრის აღკვეთას.

ამასთანავე, მოცემული შედარებითი ანალიზი ჩვენთვის მეტად საინტერესო დასკვნის ჩამოყალიბების საფუძველს იძლევა, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, თუ როგორია ბრალის იდეის განვითარების ინტენსიურობა საერო და საეკლესიო სამართალში.

ზემოწარმოებული მიმოხილვა ნათელყოფს, რომ ბრალის იდეა ბევრად უფრო ინტენსიურად ვითარდებოდა კანონიკურ სამართალში, ვიდრე საერო სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში. რადგანაც საეკლესიო სამართალი თავიდათავ მნიშვნელობას ანიჭებდა სულიერი ფასეულობების და არა სოციალური ურთიერთობების დაცვას, ბრალი მასთან მუდამჟამს წარმოადგენდა პრიორიტეტული აქცენტირების ობიექტს, რის საპირისპიროდაც საერო სამართლის ზედმეტად უტილიტარული მიდგომა მნიშვნელოვნად ზღუდავდა დანაშაულის სუბიექტური მხარისა და მათ შორის ბრალის, როგორც სუბიექტური მხარის კარდინალური კომპონენტის, პროგრესულ განვითარებას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ საერო სამართალი, კერძოდ კი შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი, საერთოდ არ ქმნიდა ბრალის ცნების პოზიტიური განვითარების პირობებს. თვით ის გარემოება, რომ გერმანული სამართალი ცნობდა ბრალს როგორც დამოუკიდებელ ცნებას, თვალნათლივ მოწმობს მასში ბრალის პრობლემის არსებობას და, ამდენად, მისი (ბრალის) მეცნიერული დამუშავების საჭიროებასაც. ვინაიდან მეცნიერება ზოგადად არ შეიძლება ხასიათდებოდეს სტატიკურობით, ვერც მისი ცალკეული ცნებები იქნება მოკლებული დინამიკურ ხასიათს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გარკვევით ჩანს ორთავე მომენტის მოცემულობა, ე.ი. ის, რომ შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი აღიარებდა ბრალის ცნებას და ისიც, რომ ამ უკანასკნელისთვის არ იყო უცხო თანდათანობითი სტრუქტურული სახეცვლა.

პირველ მათგანთან დაკავშირებით ვ. ჰარდვიგი აღნიშნავს შემდეგს: „შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი შედეგით განსაზღვრული სისხლის სამართალია (Erfolgsstrafrecht). მაგრამ მისი შედეგით განსაზღვრულობა ჯერ კიდევ როდი მეტყველებს იმაზე, რომ გერმანული სამართლისთვის უცნობი რჩებოდა ისეთი ცნება, როგორიცაა ბრალი. გერმანულ სისხლის სამართალშიც ჰქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც აუცილებელი იყო მიზეზობრიობის პრინციპის შეზღუდვა“.88 მიზეზობრიობის პრინციპის შეზღუდვაში იგულისხმება ის, რომ სუბიექტის მიერ გარეგანად განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქცევასა და საზიანო შედეგს შორის კაუზალური კავშირის დადგენა საკმარისი არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად. ასეთ შემთხვევაში განსაზღვრული ინტერესის ობიექტად იქცევა დანაშაულის სუბიექტური მხარე.

ამასთანავე, აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ბრალის მნიშვნელობა გერმანულ სისხლის სამართალში, მართალია, დანაშაულის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში მცდარად არის გაგებული, მაგრამ თვით სუბიექტური მხარის ფარგლებში, ანუ სუბიექტური მხარის დანარჩენ ელემენტებთან დამოკიდებულებაში ის უსათუოდ მისაღები სახით განისაზღვრება: ბრალი აქ არც სუბიექტური მხარის ცნებასთან არის გათანაბრებული და არც სუბიექტური მხარის რიგით ელემენტამდე დაიყვანება. ერთი მხრივ, ბრალის მოცემულობა საზოგადოდ არ არის დამოკიდებული მიზანზე, მოტივზე და ა.შ., რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს უკანასკნელი ცნებები ბრალის ცნებით კი არ არის მოცული, არამედ მოიაზრება ბრალის ცნების მიღმა, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის დამოუკიდებელი ელემენტები. მეორე მხრივ, მიზეზობრივ კავშირს, პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, თან ერთვის არა ეს ელემენტები ცალ-ცალკე, არამედ მხოლოდ ბრალი, საიდანაც გამომდინარე დასკვნის თანახმად სუბიექტური მხარის შემადგენელი ნაწილები ერთმნიშვნელოვნად არის სუბორდინირებული ბრალის ცნებისადმი.

მაგრამ ამ მნიშვნელოვან ძვრებს მხოლოდ ბრალის შინაარსი განიცდის, ბრალის არსი კი, ზუსტად ისევე, როგორც ბრალის ფუნქცია, შუა საუკუნეების სისხლის სამართალში ჯერაც არაადეკვატურად აღიქმება.

თუ ბრალი ფუნქციონალურად წარმოდგენილია როგორც მიზეზობრივი კავშირის სისტემატიკური დანამატი, მის არსს გერმანული სამართალი ხედავდა კონკრეტულ შერაცხუნარიანობაში, ანუ იმაში, რომ სუბიექტს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეეძლო მართლზომიერად ემოქმედა.

კონკრეტული შერაცხუნარიანობის (=ბრალუნარიანობის) გარეშე სისხლისსამართლებრივი ბრალი მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ მოცემული მომენტი ბრალს უკავშირდება მხოლოდ როგორც წინამძღვარი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ის ბრალის ცნებით მოცული არ არის. ხოლო დასაშვებია კი, ვეძიოთ ბრალის არსი იმაში, რაც მდებარეობს ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა? საამისოდ, სულ მცირე, აუცილებელია პრედიკატუ-

ლი ლოგიკის საწყისების გადასინჯვა, რის უფლებასაც სისხლის სამართალი თავს ვერ მისცემს.

ამავე დროს, თუ დავუბრუნდებით გერმანულ სისხლის სამართალში ბრალის სტრუქტურული განვითარების პრობლემას, შესაძლებელია სხვა საგულისხმო მომენტის გამოყოფაც. სახელდობრ, სისხლის სამართლის ლიტერატურაში თვალნათლივ არის გამოკვეთილი ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი არა მხოლოდ ბრალის ცნებას ყოფდა ცალკეულ სახეებად, არამედ აგრეთვე ამ უკანასკნელთა შემდგომ დიფერენცირებასაც ახდენდა. ამ მხრივ, ერთობ აქტუალურია შემდეგი მოსაზრება, რომელიც ირიბი განზრახვის ფორმალურ მხარეს შეეხება: „ბრალის შესახებ მოძღვრების განვითარებაზე დიდად იმოქმედა ბიომერის შეხედულებებმა. ბიომერი ***dolus indirectus***-ის ალტერნატიულ სახელწოდებად ***dolus eventualis***-ს გვთავაზობს, რაშიც გულისხმობს სუბიექტის ევენტუალურ თანხმობას დელიქტურ შედეგთან მიმართებაში, რომლის განხორციელებასაც ის მიზნად არ ისახავდა. ბიომერის აზრით, სუბიექტს სურს მის მიერ გათვალისწინებული შედეგი, თუმც ყოველთვის არა უშუალოდ, მაგრამ ევენტუალურად“.89

სანამ ბიომერის შეხედულების ანალიზს შევუდგებოდეთ, უცილობლად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ირიბი განზრახვის მნიშვნელობა გერმანულ სამართალში ძლიერ განსხვავდება ირიბი განზრახვის კანონიკური მოდელისაგან. ***Dolus indirectus*** კანონიკურ სამართალში ნიშნავს დამნაშავის მიერ გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე უფრო მძიმე შედეგის დადგომას, მაშინ როდესაც გერმანული სისხლისსამართლებრივი დოქტრინა მას განსაზღვრავს დაახლოებით ისევე, როგორც თანამედროვე სისხლის სამართალი.

კანონიკურ სამართალში წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, ირიბი განზრახვა აშკარად გაუფრთხილებლობითი ბრალისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მოიცავს. როდესაც რეალურად განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი უფრო მძიმეა, ვიდრე ამას სუბიექტის განზრახვა მოიცავდა, ეს მოწმობს იმას, რომ პირი ფაქტობრივად ითვალისწინებდა სხვა, რეალურად განუხორციელებელ და არა ამ კონკრეტულ შედეგს, რომელიც მოჰყვა მის არამართლზომიერ ქცევას.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო ის, რომ ხარისხობრივი განსხვავება მათ შორის (დამდგარ საზიანო შედეგსა და სუბიექტის წარმოდგენაში არსებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის) იმავდროულად თვისებრივი განსხვავების მომცველიცაა. ასე, მაგალითად, სუბიექტმა, რომელიც მიზნად ისახავს პირისთვის მცირე მნიშვნელობის ზარალის მიყენებას, შესაძლოა თავისდა უნებურად მნიშვნელოვნად დააზარალოს ეს უკანასკნელი ან მიაყენოს მას სხეულის მძიმე დაზიანება. პირველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავისი მცირე მნიშვნელობის გამო დასჯადობის საფუძველს არ ქმნის, მეორეში კი — პირიქით, რაც თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ სუბიექტის მიერ გარე სამყაროში გამოწვეული სა-

ზიანო ცვლილება შესაძლებელია პრინციპულადაც კი განსხვავდებოდეს მის მიერ წარმოსახული საზიანო შედეგისაგან.

მაშასადამე, თუ საქმე გვაქვს დამნაშავის მიერ გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე უფრო მძიმე შედეგის დადგომასთან, სახეზეა ორი სხვადასხვა შედეგი, რომელთაგან ერთ-ერთს, ე.ი. იმას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად განხორციელდა, სუბიექტი არ ითვალისწინებდა საერთოდ. მაგრამ როდესაც პირი არ ითვალისწინებს კონკრეტული საზიანო შედეგის დადგომის არც აუცილებლობას და არც შესაძლებლობას, რაოდენ შეიძლება იყოს გამართლებული საუბარი სისხლისსამართლებრივ განზრახვაზე?

მსგავსი თეზისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განზრახვის სისხლისსამართლებრივ და ეტიმოლოგიურ მნიშვნელობათა წინააღმდეგობრივი ურთიერთობის ხარჯზე, რადგან ეტიმოლოგიურად სუბიექტის მიერ გამოწვეული შედეგი ვერ იქნება მისი განზრახი საქმიანობის ნაყოფი, თუ მას ამ შედეგზე არავითარი წარმოდგენა არ მოეპოვებოდა.

უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში სუბიექტის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინების გარეშე არც გაუფრთხილებლობითი ბრალის დასაბუთება ხერხდება. მაგალითად, თანამედროვე სისხლის სამართალი თვითიმედოვნებას მოცემულად არ თვლის, თუ სუბიექტი არ ითვალისწინებდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. სწორედ ამის გამო გერმანელი კრიმინალისტები გაუფრთხილებლობის ამ სახეს შეგნებულ გაუფრთხილებლობას (bewußte Fahrlässigkeit) უწოდებენ.

ამდენად, თუ ვიმსჯელებთ თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის პოზიციიდან, ის, რასაც კანონიკური სამართალი განმარტავს როგორც ირიბ განზრახვას, მხოლოდ დაუდევრობის ცნებასთან თუ მოიყვანება გარკვეულ შესაბამისობაში. ამიტომაც, მოცემული თვალსაზრისით, შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი ბევრად უფრო მისაღებად განგვისაზღვრავს ირიბი განზრახვის ცნებას, ვიდრე კანონიკური დოქტრინა.

მაგრამ რა შეიძლება აღინიშნოს საკუთრივ ბიომერის თვალთახედვასთან დაკავშირებით? უწინარეს ყოვლისა, ის, რომ აქ ჩვენს წინაშეა საკმაოდ საინტერესო თეორიული პრობლემა. ჩვენ ზემოთ გამოწვლილვით განვიხილეთ, თუ რატომ არის დასაშვები განზრახვის განსახილველ სახეს ერთდროულად ვუწოდოთ ირიბიც და ევენტუალურიც, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ირიბობა ბრალის ამ ქვესახის ნებელობითი მხარის განმსაზღვრელი ნიშანია, ევენტუალურობა კი მის ინტელექტუალურ მხარეს განსაზღვრავს. ამავე დროს, ბიომერის მოსაზრების თანახმად, ევენტუალურობაც და ირიბობაც უნდა განიხილებოდეს განზრახვის ამ სახის ნებელობით მახასიათებლებთან კავშირში. „სუბიექტის ევენტუალური თანხმობა დელიქტურ შედეგთან მიმართებაში“, ანუ ის, რომ „სუბიექტს სურს მის მიერ გათვალისწინებული შედეგი ევენტუალურად“, არაორაზროვნად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბიომერთან ევენტუალურობაც ნებელობითი ნიშნების სპეციფიკიდან გამომდინარე ცნებაა.

მაგრამ ეს როდი უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს ირიბ განზრახვასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ზემოჩამოყალიბებული მტკიცებები ლოგიკურად ეწინააღმდეგებოდეს ბიომერის მსგავს თვალსაზრისს. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი, განსხვავებით თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრისაგან, ინტელექტს ნებისაგან არ განაცალკევებდა და ამიტომაც ნებელობითი კატეგორია იმავდროულად ყოველივე ინტელექტუალურის მომცველიც იყო. აქედან გამომდინარე, ბიომერი და მასთან ერთად შუა საუკუნეების სხვა სამართლისმცოდნენიც ყველა იმ მომენტს, რომელსაც ამჟამად ირიბი განზრახვის ინტელექტუალური მხარე შეიცავს, მოიხსენიებდნენ როგორც ირიბი განზრახვის ნებელობით ნიშნებს.

ამავე მიზეზის გამო (ე.ი. იმის გამო, რომ ამ ორ ზემოხსენებულ ასპექტს ჯეროვნად არ განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან) ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ინტელექტუალური ელემენტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები სრულიად უსაფუძვლოდ ვრცელდებოდა ბრალის განსაზღვრული ქვესახის მთელს „ნებელობით შემადგენლობაზე“. ანალოგიურ ალოგიზმს ვაწყდებით ბიომერის მოსაზრებაშიც, სადაც საუბარია სუბიექტის „ევენტუალურ თანხმობასა“ და „ევენტუალურ სურვილზე“. სხვაგვარად მისი შეხედულება ყოვლად გაუგებარი გახდებოდა.

რას ნიშნავს „სუბიექტის ევენტუალური თანხმობა დელიქტურ შედეგთან მიმართებაში“? ეს მოასწავებს იმას, რომ პირი კი არ ეთანხმება, არამედ შეიძლება ეთანხმებოდეს საზიანო შედეგის დადგომას, ე.ი. (თუ გადმოვიტანთ ამას თანამედროვე სისხლის სამართლის ენაზე) ირიბი განზრახვის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება არა იმას, რომ სუბიექტი შეგნებულად უშვებს საზიანო შედეგს, არამედ იმას, რომ ის *შეიძლება* შეგნებულად უშვებდეს ასეთი შედეგის დადგომას! მაგრამ იმთავითვე ცხადია, რომ ამ ზედმეტად აბსტრაქტულ, მეტისმეტად ჰიპოთეზურ მიდგომას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერასოდეს დაეფუძნებოდა.

ის, რომ სუბიექტი შესაძლოა შეგნებულად უშვებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ სრულიად გაურკვეველია, სინამდვილეში აქვს თუ არა ადგილი სუბიექტის მიერ საზიანო შედეგის დადგომის შეგნებულ დაშვებას. ვარაუდი, ალბათობა (რაოდენ მაღალი ხარისხითაც არ უნდა გამოირჩეოდეს ის) და ა.შ. ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში სისხლისსამართლებრივად დაუშვებელია. თვით კანონიკური სამართლის მიხედვითაც კი, სადაც გაბატონებული იყო უკიდურესი სუბიექტივიზმი, პირს ვერ დაეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მარტოოდენ იმის გამო, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო ბოროტი ნების (მართლსაწინააღმდეგო განწყობის) მატარებელი.

არსებითად იგივე ითქმის „ევენტუალურ სურვილზეც“. როდესაც ბიომერი ამტკიცებს, რომ ირიბი განზრახვით მოქმედს აქვს დელიქტური შედეგის არა „აქტუალური სურვილი“, როგორც ამას პირდაპირი განზრახ-

ვის დროს ვხვდებით, არამედ მას მოცემული შედეგი სურს მხოლოდ ევენტუალურად, ეს, ერთი შეხედვით, ერთგვარად აადვილებს კიდეც ირიბი განზრახვის პირდაპირი განზრახვისაგან დიფერენცირებას და უფრო თვალსაჩინოსაც ქმნის მათ შორის არსებულ განსხვავებას, მაგრამ სინამდვილეში ბიომერის მიერ წარმოდგენილ მტკიცებაში მცირე რამ არის მომსყიდველი. „შესაძლო (ევენტუალური) სურვილი“, მსგავსად „ევენტუალური თანხმობისა“, თავისი ბუნებით არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი ტერმინი, ვინაიდან მისი ასევე უაღრესად აბსტრაქტული შინაარსი ერთიანად სცილდება სისხლის სამართლის ინტერესის სფეროს. ამიტომ სუბიექტს (დელიქტური შედეგის) ვერც „ევენტუალური თანხმობა“ და ვერც „ევენტუალური სურვილი“ ბრალად ვერ შეერაცხება.

მაგრამ უკანასკნელი ცნება უთუოდ მოითხოვს გარკვეულ განვრცობას. ბიომერის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ირიბი განზრახვის დროს სუბიექტს მართლსაწინააღმდეგო შედეგი სურს ევენტუალურად, შეიძლება გავიგოთ არა მხოლოდ ისე, რომ სუბიექტს „შესაძლოა სურდეს“ მოცემული შედეგი, არამედ იმგვარადაც, რომ მას საზიანო შედეგი „სურს როგორც შესაძლო“. და ამის შედეგად ჩვენ უკვე ვღებულობთ მნიშვნელოვანი დავის საფუძველს.

ამჟამადაც სისხლის სამართალში საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დაიშვება ისეთი ინტელექტუალურ-ნებელობითი კონსტრუქციის, როგორიც არის საზიანო შედეგის სურვილი და მისი დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, სისხლისსამართლებრივი განზრახვის ცალკეულ სახეში ინტეგრირება ან სულაც განზრახი ბრალის დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა. მაგალითად, რუსეთში მოცემულმა პრობლემამ თავისი ასახვა პოვა არა მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში. ნ.ფ. კუზნეცოვა მის მიერ შედგენილ რუსეთის სსკ-ის პროექტის 25-ე მუხლში, რომელიც უცვლელად იქნა მიღებული, აღნიშნავს: „...დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩადენილად მიიჩნევა მაშინ, თუ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) საზოგადოებრივი საშიშროება, ითვალისწინებდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის *შესაძლებლობას* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი) ან აუცილებლობას და სურდა მისი დადგომა“.90 აქ, როგორც ვხედავთ, ბიომერის მიერ ირიბ განზრახვაში წარმოდგენილი ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების ერთობლიობა პირდაპირი განზრახვის ფარგლებშია მოთავსებული. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში არის არა ის, თუ ბრალის რომელ ქვესახეში შეიტანება ქცევის განსახილველი სახე, არამედ ის, რომ თანამედროვე სისხლის სამართალიც სცნობს მას როგორც დოგმატურად მისაღებს.

ჩვენ ამავე ნაშრომის მეშვიდე თავში, მართალია, ვიხილავთ, რომ პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშნისა (საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება) და ირიბი განზრახვის ნებელობითი ნიშნის (საზიანო შედეგის შეგნებული დაშვება) კომბინაციას ბრალეული ქცევის ახალ ფორმამდე მივყავართ, მაგრამ იქვე გარკვევით იქნება

წარმოდგენილი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტის (მართლსაწინააღმდეგო შედეგის სურვილი) ირიბი განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტთან (მართლსაწინააღმდეგო შედეგის შესაძლო განხორციელების გათვალისწინება) კომბინირებაც ვერ წარმოშობს ბრალეული ქცევის ნაირსახეობას.

დაუშვებელია იმის უარყოფა, რომ სუბიექტს ფაქტობრივად მართლაც შეიძლება სურდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რა დროსაც ის ამ უკანასკნელის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგრამ სისხლისსამართლებრივად ყოველივე ეს გაცილებით უფრო რთულად გამოიყურება.

ის, რომ სუბიექტს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სუბიექტს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობა, მაგრამ რამდენადაც აქ წარმოდგენილ მაგალითში ის ითვალისწინებს საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, უნდა ვაღიაროთ, რომ *მოცემული ქმედების ფარგლებში* სუბიექტს დელიქტური შედეგი სურს არა როგორც აუცილებელი, არამედ როგორც შესაძლო.

სუბიექტმა არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად აგოს პასუხი იმისათვის, რომ მას სურს საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობა, თუ ის, ამავე დროს, საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობაში დარწმუნებული არ არის. ასეთ პირობებში დელიქტური შედეგის განხორციელების აუცილებლობის სურვილი საერთოდ ვერ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ დაინტერესებას, რამეთუ ის ფორმალურ-ლოგიკურად ვერ უთანხმდება ინტელექტუალური მხარით მოცულ შინაარსს.

აქედან გამომდინარე, როდესაც ბრალეული ქცევა ნებელობითი მხრივ გამოიხატება სუბიექტის სურვილში, გამოიწვიოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ხოლო ინტელექტუალური მხრივ მდგომარეობს მისი (მართლსაწინააღმდეგო შედეგის) განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებაში, უნდა დავასკვნათ, რომ სუბიექტს, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული დელიქტური შედეგი სურს როგორც შესაძლო.

ეს, თავის მხრივ, აბსოლუტურად ემთხვევა ბიომერისეული ირიბი განზრახვის ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილ ინტერპრეტაციას. მაგრამ თუ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული დასკვნა ერთმანეთს დაემთხვა, ეს ჯერ კიდევ როდი უტყუარქმნის მათ სისწორეს.

სისხლის სამართლის მეცნიერება თუმც საკუთარ კანონებსა და პრინციპებზე აიგება, მსგავსად სხვა ნებისმიერი მეცნიერებისა, მაგრამ სისხლის სამართლის მეცნიერების თითოეული კანონი თუ პრინციპი მკაცრ შესაბამისობაში უნდა იყოს ლოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ზოგიერთი სხვა მეცნიერების ფუძემდებლურ მოთხოვნებთან.

სწორედ ასეთი მოთხოვნის დარღვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ირიბი განზრახვის (ბიომერი) ან პირდაპირი განზრახვის

(თანამედროვე დოგმატიკა) დროს სუბიექტს საზიანო შედეგი „სურს როგორც შესაძლო“.

საკმარისია ზედაპირულადაც გავერკვეთ შესაძლებლობის, როგორც ფილოსოფიური ცნების, არსში, რათა გასაგები გახდეს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი, როგორც ასეთი, და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, როგორც შესაძლო, განსახილველ კონტექსტში ანტონიმური მნიშვნელობის ცნებებია.

ამიტომ თუ ძალაში დავტოვებთ ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების უკანასკნელად ჩამოყალიბებულ თანაფარდობას, მივიღებთ, რომ დასჯადობის საფუძველი (ამ შემთხვევაში) იქნება სუბიექტის ნებელობითი საქმიანობის მიმართება არა საკუთრივ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, არამედ მართლსაწინააღმდეგო შედეგისაგან პრინციპულად განსხვავებულ ფენომენთან, ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების შესაძლებლობასთან, რაც თეორიულად დაუშვებელია.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ სუბიექტს სურს საზიანო შედეგი როგორც შესაძლო, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი სურვილის ობიექტად წარმოგვიდგება არა თვით საზიანო შედეგი, არამედ საზიანო შედეგის არსებობა, ვინაიდან საზიანო შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, რისკენაც სუბიექტის ნებელობითი საქმიანობა მიიმართება, სწორედ საზიანო შედეგის არარსებობას უდრის. ხოლო იმაზე, თუ რა სახის ნებელობით დამოკიდებულებაშია პირი კონკრეტულად საზიანო შედეგთან, ბრალეული ქცევის ამგვარად აგებული ქვესახე ვერავითარ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

სხვა საკითხია, როდესაც ნებელობითი საქმიანობა გამოიხატება საზიანო შედეგის შეგნებულ დაშვებაში. თუ სუბიექტი შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, გასაგებია, რომ ის ურიგდება, ეთანხმება აღნიშნული შედეგის რეალურ განხორციელებას და ამით თვალნათლივ იკვეთება მისი ნებელობითი აქტის პირდაპირი ლოგიკური კავშირი დელიქტურ შედეგთან. მაგრამ თუ პირი შეგნებულად კი არ უშვებს, არამედ სურს მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა, გამოდის, რომ მთელი ყურადღება კონცენტრირებულია ამ უკანასკნელ მომენტზე, ხოლო ყოველივე იმის დოგმატური მნიშვნელობა, რაც ხსენებული შესაძლებლობის მიღმაა მოქცეული, ე.ი. რაც უშუალოდ დელიქტურ შედეგს, როგორც ასეთს, შეეხება, ტოტალურად იჩრდილება და, შესაბამისად, ვერც სუბიექტურ ნებასთან მოიყვანება სათანადო კავშირში.

ჩვენი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძიოთ სუბიექტის ფაქტობრივი სურვილის უგულებელყოფაში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ზემოწარმოდგენილი ქცევის ირიბი განზრახვის ცნებასთან შერწყმა (ცხადია, იგულისხმება ირიბი განზრახვის თანამედროვე მოდელი). მაგრამ ეს უკვე დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

ამჯერად კი, ბოიმერის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში, იმასღა შევნიშნავთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში სუბიექტის ფაქტობრივი სურვილის იგნორირების არაერთი მეცნიერულად სავსებით და-

საბუთებული პრეცედენტი მოიპოვება. ასე, მაგალითად, თ. წერეთელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში აღნიშნავს: „ნებელობითი გადაწყვეტილების წარმმართველი საწყისი როგორც განზრახვის აუცილებელი ელემენტი, გულისხმობს, რომ ეს გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს პირის მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სამართლით დაცულ ობიექტს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. განზრახვა მუდამ მომავლისკენაა მიმართული. ამიტომ, თუ ქმედების ჩადენის მომენტში პირი არ ითვალისწინებდა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას, განზრახვას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუნდაც პირს, როცა იგი შეიტყობს თავისი მოქმედების შედეგის შესახებ, ესიამოვნოს კიდევაც, რომ მის მოქმედებას ეს შედეგი მოყვა“.91 ან იქვე: „რა ინტენსიურადაც არ უნდა სურდეს პირს დანაშაულებრივი შედეგი, მხოლოდ ლიტონი იმედი გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევისა გამორიცხავს განზრახვას“.92

ასე რომ, თვით ფაქტი ფაქტობრივი სურვილის იგნორირებისა ვერ გაიხილება როგორც სისხლისსამართლებრივი ტრადიციების, სისხლის სამართლის მეთოდოლოგიური საწყისების ხელყოფა.

ამასთანავე, ჩვენ კვლავაც უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ბიომერისთვის თანამედროვე სისხლის სამართალი ბრალის ამა თუ იმ ქვესახის ინტელექტუალურ ელემენტებს არ განაცალკევებდა მისი ნებელობითი ნიშნებისაგან, რის გამოც ბიომერის მოსაზრება ირიბი განზრახვის დროს სუბიექტური სურვილის ევენტუალურობის შესახებ პირდაპირი მნიშვნელობით ვერ აღიქმება.[0]*

ვერ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეების გერმანული სამართლებრივი დოქტრინა დიდად ზრუნავდა საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის ურთიერთგანსხვავების თვალსაზრისით (რაც ჩვენ მიერ ზემოთაც საგანგებოდ იქნა გამოყოფილი). ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ურთიერთობის მაგალითზე.

---

* ვეხებით რა შედეგის განხორციელების შესაძლებლობის პრობლემას ირიბი განზრახვის დროს, არ შეიძლება არ გამოვყოთ ის უზუსტობა, რომლითაც ხასიათდება ამ მხრივ თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა. როგორც ცნობილია, შეუძლებლობიდან სინამდვილემდე ფილოსოფიაში შესაძლებლობის სამ ძირითად სახეს განასხვავებენ: ფორმალურს, აბსტრაქტულსა და რეალურს, ანუ კონკრეტულს. რასაკვირველია, ძნელად თუ ვინმე შეძლებს იმის ბოროტად გამოყენებას, რომ ირიბი განზრახვის ცნებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ შესაძლებლობის რომელი სახეა ნაგულისხმევი, ვინაიდან როდესაც პირი ითვალისწინებს დელიქტური შედეგის განხორციელების ფორმალურ ან თუნდაც აბსტრაქტულ შესაძლებლობას, მის ბრალეულობაზე საუბარი თვით კანონიკურ სამართალშიც კი მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ დაიშვებოდა. მაგრამ მეცნიერული პრეციზულობა მოითხოვს, რომ ევენტუალური განზრახვის ცნებაში მოიხსენიებოდეს არა ზოგადად შესაძლებლობა, არამედ შესაძლებლობის სათანადო ფორმა. ამისდა კვალად, ირიბი განზრახვის შინაარსი უნდა განისაზღვროს როგორც საზიანო შედეგის განხორციელების რეალური (კონკრეტული) შესაძლებლობის შეგნებული დაშვება.

საჯაროსამართლებრივ და კერძოსამართლებრივ პრინციპებს შორის სტაბილური განმასხვავებელი კრიტერიუმის არარსებობა ხშირად განაპირობებდა სისხლის სამართალში სამოქალაქოსამართლებრივი წარმოდგენების შემოჭრას, რაშიც ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ თუნდაც შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართლის მაგალითზე, ვიდრე პრობლემის თანამედროვე მდგომარეობას შევეხებოდეთ.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ გარემოებას არც გერმანელი კრიმინალისტები ტოვებენ შეუმჩნევლად, თუმც ზოგჯერ მათ მოსაზრებებში აშკარა შეუსაბამობასაც ვხვდებით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვ. ე. ვილდას შემდეგი შენიშვნა: „მკვეთრი განუსხვავებულობის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ სრულყოფილად არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული ქმედების სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი შედეგები. გამოსასყიდი (das Wergeld) ნიშნავდა ქმედების არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ შედეგს, არამედ აგრეთვე ზარალის ანაზღაურებას ჩადენილი მკვლელობისათვის“.93 ვ.ე. ვილდას მტკიცებიდან გამომდინარე, საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის პრინციპთა ურთიერთგანუსხვავებლობა კი არ იწვევს სუბიექტური ქმედების სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების არაადეკვატურ დიფერენცირებას, არამედ პირიქით, სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი უდევს საფუძვლად საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი პრინციპების ქაოსურ ურთიერთმიმართებას, რაც იმთავითვე მცდარია, რადგან სამართლის სისტემის საჯარო და კერძო დარგებად დაყოფა პირველადია თავისი მნიშვნელობით და, ამრიგად, საჯაროსამართლებრივ და კერძოსამართლებრივ საწყისებს შორის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება გვევლინებოდეს მხოლოდ როგორც მიზეზი.

სამართალი საჯარო და კერძო დარგებად იყოფა იმისდა მიხედვით, თუ ინტერესთა რომელ სახეს – სახელმწიფოს თუ ინდივიდუალურს – შეეხება შესაბამისი დარგით რეგულირებადი ურთიერთობები. რომაელი სამართალმცოდნე ულპიანე, რომელმაც დაუდო სათავე საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის ცნებებს, მიიჩნევდა, რომ სამართლის სისტემაში შემავალ ნორმათა ის ნაწილი, რომელიც ემსახურებოდა სახელმწიფო ინტერესებს, უნდა განსაზღვრულიყო როგორც საჯარო სამართლის ნორმები, ხოლო ცალკეულ პირთა ინტერესების დამცველ სამართლებრივ ნორმებს ის განიხილავდა როგორც კერძო სამართლის ელემენტებს.

ამის კვალობაზე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თუ სამართლის სისტემა მკაცრად არის დაყოფილი საჯარო და კერძო დარგებად, სუბიექტური ქმედების სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების დიფუზიური ურთიერთდამოკიდებულება თეორიულად შეუძლებელი ხდება.

პრაქტიკულად ეს დებულება მოასწავებს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში (ე.ი. როდესაც სამართლის ცალკეულ დარგებად დიფერენცირების ერთ-ერთ კრიტერიუმს მასში გამოხატული ინტერესის ფორმა წარმოადგენს) არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი საჯარო ინტერესის დარღვევაზე კერძოსამართლებრივი პრინციპების არანაირ ორიენტირებას.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ამ მხრივ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა მეტად დელიკატური ამოცანაა და ეს ვ.ე. ვილდას მიერ მოტანილი მაგალითიდანაც გარკვევით ჩანს. მკვლელობა, რომელზედაც საუბარია ვ.ე. ვილდას მოსაზრებაში, წარმოადგენს კი მხოლოდ საჯარო ინტერესის დარღვევას? უდავოა, რომ მკვლელობის დროს ხელიყოფა აგრეთვე თვით დაზარალებულისა და დაზარალებულის ახლობელთა კერძო ინტერესი. მაგრამ თუ სისხლის სამართალი საჯარო სამართლის დარგია, მოცემული ქმედება მის ინტერესს უნდა იწვევდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არღვევს საჯარო ინტერესს, ხოლო ინდივიდუალური ინტერესის დარღვევა იმავე მიზეზის გამო არ შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის-სამართლებრივი განხილვის საგანს (თანამედროვე სისხლის სამართალში არსებული ე.წ. კერძო ბრალდების დელიქტური ქმედებები მხოლოდ გამონაკლისია აღნიშნული წესიდან; თუ რაოდენ შეიძლება იყოს მისაღები სისხლის სამართალში მსგავსი გამონაკლისების დაშვება, ეს ცალკე პრობლემაა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით).

ამის საპირისპიროდ, ვ.ე. ვილდას შენიშვნაში მოტანილი გამოსასყიდის ინსტიტუტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ შუა საუკუნეების გერმანული სისხლის სამართალი არ კმაყოფილდებოდა საჯარო ინტერესების დაცვით და აქტიურად იჭრებოდა ინდივიდუალური ინტერესების სფეროში, რაც სრულიად შეუთავსებელია საჯარო სამართლის პრინციპებთან.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ მართებულად დავინახოთ პრობლემის არსი. კერძოდ, არ იქნებოდა სწორი მტკიცება, თითქოს გერმანული სამართალი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა საჯარო და ინდივიდუალური ინტერესების დარღვევას. დაზარალებულის (დაზარალებულის ახლობელთა) ნებაზე დამოკიდებული იყო მხოლოდ ის, აგებდა თუ არა სუბიექტი პასუხს სისხლის სამართლის წესით ინდივიდუალური ინტერესის დარღვევის სისხლისსამართლებრივ შედეგებზე), მაგრამ თუ, ამავე დროს, საქმე შეეხებოდა სისხლისსამართლებრივად დაცული საჯარო ინტერესის ხელყოფასაც, დაზარალებული სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე მოცემულ ასპექტში ვერანაირ ქმედით ზეგავლენას ვერ მოახდენდა. შესაბამისად, სუბიექტს სისხლის-სამართლებრივად პასუხი უნდა ეგო საჯარო ინტერესის დარღვევისათვის, იმისდა მიუხედავად, მიაჩნდა თუ არა დაზარალებულს თავისი ინდივიდუალური ინტერესი დარღვეულად ან სურდა თუ არა ამ უკანას-კნელს ინდივიდუალური ინტერესის დარღვევის გამო დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

მაშასადამე, შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს საჯარო ინტერესის დარღვევა თუმც არა ერთადერთი, მაგრამ პრიორიტეტული მნიშვნელობის ორიენტირია.

სხვა მხრივ, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საჯარო ინტერესი და კერძო (ინდივიდუალური) ინტერესი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ცნებებია. არაფერი აქვს საერთო არსებულ რეალობასთან მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ეს პირველი ცნება თავის თავშივე მოიცავს ამ უკანასკნელს და ამიტომ საჯარო ინტერესის დარღვევისას ინდივიდუალური ინტერესის ხელყოფის ცალკე გამოყოფა თითქოსდა არ არის მიზანშეწონილი.

საჯარო ინტერესები ნიშნავს სახელმწიფო და არა საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებს, რომლებიც შეიძლებოდა წარმოგვედგინა ინდივიდუალურ ინტერესთა ერთობლიობად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჯარო ინტერესებს გავაიგივებდით საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებთან, საჯარო კერძოს სრულყოფილად მაინც ვერ მოიცავდა, ვინაიდან საერთო-საზოგადოებრივი ინტერესებით, როგორც კერძო ინტერესების ერთობლიობა, მიიღება ამ უკანასკნელთა არა სპონტანური შეჯამებით, არამედ მათი ურთიერთშეზღუდვის, ნაწილობრივი ურთიერთგამორიცხვის შედეგად. სხვაგვარად რომ იყოს, გაუგებარი გახდებოდა ის ფაქტი, თუ რატომ მოდის ასე ხშირად წინააღმდეგობაში ინდივიდუალური ინტერესი საერთო ინტერესთან.

ეს რაც შეეხება საკითხის წმინდა თეორიულ ასპექტს. პრაქტიკულად კი საჯარო და კერძო ინტერესის ერთმანეთისაგან განსხვავება მით უფრო მარტივი ამოცანაა. ვთქვათ, პირი, რომელმაც დაზარალებულს სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, მისივე ახლო ნათესავია. საჯარო ინტერესის მიხედვით სუბიექტმა მთელის სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის (რადგანაც საჯარო ინტერესი, როგორც ასეთი, დაირღვა), რა დროსაც თვით დაზარალებულს გასაგები მიზეზის გამო შესაძლოა კატეგორიულად არ სურდეს მისთვის თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო სასჯელის შეფარდებაც.

ამრიგად, განსხვავება საჯარო და კერძო ინტერესს შორის არავითარ ეჭვს არ უნდა ჰბადებდეს. შესაბამისად, არც ის შეიძლება იყოს მიუღებელი, რომ საჯარო და კერძო ინტერესის დარღვევაზე ვისაუბროთ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

უფრო მეტიც, ეს სამართლიანობის პრინციპის ელემენტარული მოთხოვნაცაა. წარმოვიდგინოთ, რომ სუბიექტს ბრალი ედება სხვა პირის პირადი ქონების განადგურებაში (განზრახ ან გაუფრთხილებლობით), რამაც ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თუ სამართლებრივი რეაგირების სფეროს შემოვფარგლავთ მხოლოდ საჯარო ინტერესის დარღვევით, მივიღებთ, რომ დაზარალებულის მდგომარეობა, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად წარმოიშვა, სამართლებრივად სრული უმნიშვნელობაა. მართალია, ის, რომ მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, ე.ი.

სასჯელით დამუქრებული ქმედებაა, უკვე ნიშნავს იმას, რომ სამართალი ზოგადად იცავს თითოეული მოქალაქის პირად ქონებას ამგვარი ქმედებისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადად. ხოლო იმისათვის, რომ ხსენებული სამართლებრივი სიკეთე კონკრეტულადაც იქნეს დაცული, აუცილებელია სამართლებრივი რეაგირების საგნად, გარდა საჯარო ინტერესის დარღვევისა, წარმოვიდგინოთ აგრეთვე ინდივიდუალური ინტერესის ხელყოფაც.

ამის თანახმად, საჯარო ინტერესისაგან ინდივიდუალური ინტერესის განცალკევება და მათი დარღვევისადმი დიფერენცირებული მიდგომა უნდა ვაღიაროთ შუა საუკუნეების გერმანული სამართლებრივი აზრის მიღწევად და არა მისი დაბალგანვითარებულობის გამოვლინებად.

გერმანულ დოგმატიკაში ამ მიმართებით დაშვებული ერთადერთი სიმცდარე იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური ინტერესის დარღვევასაც ის სისხლის სამართლის ფარგლებშივე მიმოიხილავს. და აქ არ შეიძლება არ წამოიჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად დასაბუთებულია ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული გამონაკლისი, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართალში ე.წ. კერძო ბრალდების სუბიექტურ ქმედებათა გამოყოფას შეეხება.

ცხადია, გამონაკლისი წესი არ არის და მათ ერთსა და იმავე მოთხოვნებს ვერ წავუყენებთ, მაგრამ ეს პირველი მხოლოდ მაშინ შეიძლება ვცნოთ მისაღებად, თუ მისი აღმოცენება განპირობებულია ამა თუ იმ განსაკუთრებული გარემოების არსებობით.

უწინარეს ყოვლისა, ვნახოთ, თუ როგორ მიმართებაშია მოცემული გამონაკლისი საჯარო ინტერესის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობასთან.

როგორც საკითხის პროცესუალური მხარე გვიჩვენებს, აღნიშნული კატეგორიის აღძვრაც და შეწყვეტაც დაზარალებულის ნებაზეა დამოკიდებული, რადგან სისხლის სამართლის საქმე ამ შემთხვევაში შეიძლება აღიძრას მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა დაზარალებულის საჩივარი და უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, როგორც კი სასამართლო პროცესის განმავლობაში დაზარალებული შეურიგდება ბრალდებულს. აშკარაა, რომ საჯარო ინტერესი აქ საერთოდ არ ფიგურირებს.

თუმც როდესაც დაზარალებულს გარკვეული მიზეზის გამო არ ძალუძს დაიცვას თავისი უფლებები ან მის მიმართ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხასიათდება „განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობით“, საქმე აღიძვრება დაზარალებულის საჩივრის მოუცემლადაც, მაგრამ ამას განსახილველი პრობლემის ზემოწარმოდგენილ ნაწილში არავითარი არსებითი ცვლილება არ შეაქვს.

ეს უკანასკნელი მომენტი მხოლოდ იმის ხაზგასმაა, რომ მოცემული ქმედებით ხელიყოფა აგრეთვე საჯარო ინტერესიც, მაგრამ პირველ შემთხვევაში, ე.ი. როცა საქმის აღძვრაც და შეწყვეტაც ხორციელდება დაზარალებულის შეხედულებისამებრ, საჯარო ინტერესის დარღვევა სრულიად იგნორირებული რჩება.

ამდენად, დასჯად ქმედებათა ამ კონკრეტულ კატეგორიასთან დამოკიდებულებაში სისხლის სამართალი საჯარო ინტერესზე მაღლა დაზარალებულის ინდივიდუალურ ინტერესს აყენებს.

ერთი შეხედვით, კერძო-საჯარო ბრალდების დროს ინდივიდუალური ინტერესის პრიმატი საჯარო ინტერესის წინაშე ქარწყლდება. კერძო-საჯარო ბრალდება, კერძო ბრალდების მსგავსად, გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, მაგრამ კერძო ბრალდებისაგან განსხვავებით, აქ დაზარალებულის ნება უკვე არ ზემოქმედებს საქმის შეწყვეტაზე: არც ბრალდებულთან შერიგებას და არც საჩივარზე უარის განცხადებას საქმის წარმოებისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

თუ დავეყრდნობით მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ინდივიდუალურ ინტერესს არ ძალუძს იმოქმედოს საქმის შეწყვეტაზე, მაშინ საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობაში არაფერი შეიძლება იყოს სათუო.

მაგრამ საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთმიმართებას, საქმის შეწყვეტის თვალსაზრისით, ლოგიკურად წინ უძღვის მათი ურთიერთობა საქმის აღძვრის ეტაპზე. ხოლო რომ განვსაზღვროთ, თუ საბოლოო ჯამში როგორ უთრთიერთდამოკიდებულებაშია ინტერესთა ეს ორი სახე კერძო-საჯარო ბრალდების დროს, უმთავრესია სწორედ საქმის აღძვრის ეტაპზე მათი ურთიერთობის ფორმა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური და არა საჯარო ინტერესის დარღვევას.

მართლაც, როდესაც თვით დაზარალებულზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა საერთოდ განსაზღვრული ქმედება სისხლისსამართლებრივი განხილვის საგანი, ყოვლად გაუმართლებელია ვისაუბროთ ინდივიდუალური ინტერესის წინაშე საჯარო ინტერესის პრიმატზე.

განსხვავება კერძო და კერძო–საჯარო ბრალდებას შორის, საჯარო და კერძო ინტერესის კორელაციის თვალსაზრისით, გამოიხატება იმაში, რომ კერძო ბრალდებისას სრულიად უარყოფილია საჯარო ინტერესის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც კერძო–საჯარო ბრალდება ნაწილობრივ მაინც აღიარებს საჯარო ინტერესის დოგმატურ როლს.

ამასთანავე, თავისდათავად ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება იყოს მისაღები სისხლის სამართალში საჯარო ინტერესის ნორმატიული მნიშვნელობის უარყოფა (კერძო ბრალდების შემთხვევაში) ან დაკნინება (კერძო-საჯარო ბრალდების დროს), ანუ რაში პოვებს თავის გამოვლინებას ჩვენ მიერ ზემოხსენებული ის განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც მოცემული გამონაკლისის გამოყოფას განაპირობებს?

უმთავრესი, რაც ამ რაკურსში ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის ბრალის ფორმა.

იმ შემთხვევაში, რომ კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების წესით სისხლის სამართლის პროცესი განიხილავდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს, საჯარო ინტერესის სის-

ხლისსამართლებრივი მნიშვნელობის დეგრადირება გარკვეულწილად მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო დასაბუთებული.

მაგრამ საქმე სწორედ რომ პირიქით არის. კერძო ბრალდების სუბიექტურ ქმედებებად კანონმდებელი აცხადებს სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას, ცილისწამებას (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე), შეურაცხყოფას და ა.შ., ხოლო კერძო-საჯარო ბრალდება მოიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ისეთ ქმედებებს, როგორიც არის გაუპატიურება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) და საავტორო და საგამომგონებლო უფლებების დარღვევა.

ჩვენს წინაშე, როგორც ვხედავთ, განზრახ დანაშაულთა ჩამონათვალია (ეს, რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს კერძო და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა საერთოდ არ ვრცელდება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დელიქტურ ქმედებებზე).

ვფიქრობთ, საკმარისია რამდენიმე შედარების მოტანაც, რათა მთელის სიცხადით გამოიკვეთოს იმ პრინციპთა სიმცდარე, უფრო ზუსტად, ის აბსოლუტური უპრინციპობა, რომელსაც კერძო და მასთან ერთად კერძო-საჯარო ბრალდება ეფუძნება.

თუ სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანებისას საჯარო ინტერესის მნიშვნელობა ერთიანად უარიყოფა დაზარალებულის ინდივიდუალური ინტერესის სასარგებლოდ, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პირადი ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანების განხილვა საჯარო ბრალდების წესით წარმოებს? ერთი მხრივ, სისხლისსამართლებრივად დაცულ ინტერესთა შორის სუბიექტის ჯანმრთელობა იერარქიულად პრევალირებს მის პირად საკუთრებასთან მიმართებაში და ამიტომ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება სისხლისსამართლებრივად ბევრად უფრო შეუწყნარებელია, ვიდრე ქონების დაზიანება. ხოლო მეორე მხრივ, ასევე თვალსაჩინოა განზრახი ბრალის უპირატესი სიმძიმე სისხლისსამრთლებრივ გაუფრთხილებლობასთან შედარებით.

მაშასადამე, თუ მეორე შემთხვევაში (პირადი ქონების დაზიანება გაუფრთხილებლობით) საუბარია საჯარო ინტერესის უპირობო დომინირებაზე დაზარალებულის ინდივიდუალურ ინტერესთან დამოკიდებულებაში, ლოგიკურად დაუშვებელია, რომ სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების დროს ინდივიდუალური ინტერესი უპირობოდ დომინირებდეს საჯარო ინტერესზე.

ან კიდევ, მაშინ როდესაც პირადი ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანებას ყოველგვარი კონცესიების გარეშე ვუპირისპირებთ დარღვეულ საჯარო ინტერესს, გაუპატიურების შემთხვევაში კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ძნელად თუ მოეძებნება რამეგვარი გამართლება, ვინაიდან სუბიექტური ქცევის უკანასკნელი სახის ამორალური ხასიათი განუზომლად უფრო დიდია, რის უგულებელყოფაც მოცემულ ასპექტში სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სოციალური სინამდვილისაგან მოწყვეტას ნიშნავს.

ყოველი ეს თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ სინამდვილეში არავითარი განსაკუთრებული გარემოება, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართალში საჯარო ინტერესის აბსოლუტურობის ესოდენ მასშტაბურ უარყოფას შევძლებდით, არ მოიპოვება.

თუმც აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კერძო და კერძო-საჯარო ბრალდებით მოცულ საკმაოდ მრავალრიცხოვან ქმედებათა შორის ზოგიერთი მართლაც იმსახურებს პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას. მაგრამ მთავარი ამ მიმართებით არის ის, რომ კრიტიკულად განვიხილავთ რა შუა საუკუნეების სისხლის სამართალში საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთმიმართებას, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან მისი აქტუალურობა თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაშიც: საჯარო ინტერესის ჭეშმარიტი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის შეცნობა ერთობ რელევანტურია როგორც ბრალის იდეის, ისე მთლიანად სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისითაც.

ვერც ერთი კრიმინალისტი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ სუბიექტს ბრალად შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ საჯარო ინტერესის დარღვევა. მაგრამ რას ვხვდებით კერძო (კერძო-საჯარო) ბრალდების შემთხვევაში? აქაც ბრალეული პასუხისმგებლობა, მართალია, ეფუძნება არა დაზარალებულის ინდივიდუალური, არამედ საჯარო ინტერესის დარღვევას (პირი ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის, ხოლო სისხლის სამართლის კანონში ნებისმიერი ქმედების მოცემულობა საჯარო ინტერესის გამოხატულებაა), მაგრამ ის, დაისჯება თუ არა სუბიექტი საჯარო ინტერესის დარღვევისათვის, თვით დაზარალებულის ნებაზეა დამოკიდებული. ამით კერძო (კერძო-საჯარო) სისხლისსამართლებრივი დევნის დროს ცალსახად უარიყოფა საჯარო ინტერესის პირდაპირი, უშუალო დაცვის საჭიროება, რის შედეგადაც შესაძლებელია საერთოდ უცნობი დარჩეს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება. უფრო ზუსტად, გახდება თუ არა კონკრეტული ქცევა სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი, დაზარალებულის სუბიეტური შეხედულებების შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

ამრიგად, გამოდის, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება აუცილებელი არ არის!

ის, თუ რა განაპირობებს ამ დებულების ყოველმხრივ მიუღებლობას, გარკვევით ჩანს ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასების შინაარსიდან. ამ უკანასკნელში იგულისხმება სუბიექტური ქცევის კვალიფიცირება არა მხოლოდ ბრალეულად (დანაშაულებრივად), არამედ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისადაც და მართლსაწინააღმდეგოდაც. ამიტომ დავტოვოთ ქმედება სისხლისსამართლებრივი შეფასების გარეშე ნიშნავს არ დავინტერესდეთ დანაშაულის ზემომითითებული არც ერთი ნიშნით, რის შედეგადაც გაურკვეველი რჩება, თუ რასთან გვაქვს

რეალურად საქმე: სუბიექტის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის, მართლსაწინააღმდეგო თუ ბრალეულ ქცევასთან.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა კავშირშია მოცემული ქმედება სისხლის სამართალთან, ანუ რაში გამოიხატება მისი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, სისხლის სამართალთან ყოველგვარ კავშირზე აქ საუბარი ზედმეტია. ხოლო, სხვა მხრივ, გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება არ შეიძლება იყოს მოკლებული სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.

გამოსავალი ამ უაღრესად წინააღმდეგობრივი ვითარებიდან შეიძლება ვეძებოთ მხოლოდ იმის აღიარებაში, რომ უგამონაკლისოდ ყველა ქმედება, რომელსაც კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში აფიქსირებს, უნდა განიხილებოდეს სათანადო ორგანოთა მიერ ორდინარული პროცესუალური პროცედურის დაცვით, ე.ი. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული არც ერთი ქმედება პროცესუალურად არ შეიძლება წარმოადგენდეს დაზარალებულის მსჯელობის საგანს. დაზარალებულს შესაძლებელია დარჩეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვის უფლება, ანუ საჯარო ინტერესის მიმართ ინდივიდუალური ინტერესის პრიორიტირების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაისვას, რაც გამოძიებით სრულყოფილად იქნება განვლილი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საფეხურები. თუმც ამას კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების ტრადიციული შინაარსის შესაბამისად სრულ (კერძო-საჯარო ბრალდების დროს) და ნაწილობრივ (კერძო ბრალდებისას) უარყოფამდე მივყავართ, მაგრამ არაფერია იმაში ახალი, რომ სისხლის სამართალი გარდამსახველად ზემოქმედებს სისხლის საპროცესო სამართლის ცალკეულ პრინციპებსა თუ დებულებებზე.

გარდა ამისა, ზემოშემოთავაზებულ ცვლილებას (სხვაგვარი) პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. როგორც ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა, როდესაც დაზარალებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და იყენებს კიდეც ამ უფლებას, მის მიმართ ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივი შინაარსი სრულიად უცნობი რჩება, რადგან ბრალი ან თუნდაც მართლწინააღმდეგობა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ გამოძიებით. ხოლო სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის თვალსაზრისით, უმნიშვნელო როდია, დადგინდება თუ არა სუბიექტის ქმედებაში ბრალი, ე.ი. შეფასდება თუ არა სუბიექტური ქცევა სრულყოფილად სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

ამავე დროს, თვით მოქმედის ფსიქიკაზეც არაერთგვაროვნად ზემოქმედებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვა საქმის აღუძვრელად და საქმის ყოველი გარემოების დეტალური განხილვის შემდეგ, რის შედეგადაც ირკვევა მის მიერ ჩადენილი ქმედების ბრალეულობა. მხოლოდ ამგვარად (ანუ ბრალის კონსტატირების საშუალებით) შეიძლება სუბიექტმა *გაითავისოს, ჭეშმარიტად შეიგნოს ის,*

რომ მან თავისი ქცევით დაარღვია არა მხოლოდ დაზარალებულის ინდივიდუალური ინტერესი, არამედ აგრეთვე ხელყო სისხლისსამართლებრივად დაცული საჯარო ინტერესი.

კარგად არის ცნობილი ის ფაქტიც, რომ მართლმსაჯულების მიზნები მხოლოდ ბრალის დადგენითა და სასჯელის შეფარდებით არ შემოიფარგლება. მის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენს ასევე მოქალაქეთა, მათ შორის განსასჯელის მართლშეგნებაზე აღმზრდელობითი ზემოქმედება. მაგრამ როდესაც სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, ნათელია, რომ სუბიექტი, რომელიც მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, უსათუოდ საჭიროებს მართლშეგნების დონის ამაღლებას, ფაქტობრივად მოკლებულია ხსენებული აღმზრდელობითი ზემოქმედების რეალურ შესაძლებლობას.

ამდენად, საჯარო და კერძო ინტერესის სისხლისსამართლებრივი ურთიერთმიმართების ზემოწარმოებული კვლევა გვარწმუნებს, რომ კერძო და კერძო-საჯარო ბრალდებამ უნდა განიცადოს რადიკალური ცვლილებები არა მხოლოდ მოცულობის, არამედ აგრეთვე არსისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, ბრალდების ამ უკანასკნელი სახის აბსოლუტური უარყოფის ჩათვლით.

ჩვენს მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს აგრეთვე თანამონაწილეობისა და მცდელობის პრობლემა. ვ. ჰარდვიგის თანახმად, სწორედ მოცემულ პრობლემებთან მიმართებაში იკვეთება ყველაზე ნათლად შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში ბრალის პრინციპის მნიშვნელობის დაკნინების თეორიული შედეგები. „თუ კანონიკური სამართლისთვის, — აღნიშნავს ვ. ჰარდვიგი, — უკვე მხოლოდ წმინდა შეთანხმებაც (der bloße *Consensus*) საკმარისი იყო თანამონაწილეობის დასაფუძნებლად, გერმანული სამართლისთვის წმინდა ფსიქიკური ქცევა აღუქმელისა და უმნიშვნელოს სიბრტყეზე მდებარეობდა... ხოლო თუ, კანონიკური სამართლის მიხედვით, მცდელობა უკვე ნების გამოვლინების საწყისი მომენტიდანვე დაფუძნებულად მიიჩნეოდა, გერმანული სამართალი თითქმის არც კი იცნობდა მცდელობის ცნებას. მცდელობა როგორც მცდელობა, ყოველ შემთხვევაში, დასჯადი არ იყო. მაგრამ თუ მცდელობის ფარგლებში უშუალო ხელყოფა შეინიშნებოდა, მაშინ ის განიხილებოდა როგორც განსაკუთრებული, თავის თავშივე დასრულებული ქმედება“.94 როგორც ვხედავთ, ვ. ჰარდვიგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ გერმანულ სამართალში ბრალის პრინციპის მნიშვნელობის არასათანადო აღქმას ფაქტობრივად მცდელობის ცნების უარყოფამდე მივყავართ. აშკარაა აგრეთვე, თანამონაწილეობის დასაბუთების თვალსაზრისით, შუა საუკუნეების კანონიკურ და გერმანულ სამართალში მიღებულ თვალსაზრისთა არსებითი სხვაობა. ჩვენ ამ საკითხთა ანალიზს თანამონაწილეობის პრობლემის განხილვით შევუდგებით.

უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ სულაც არ გვსურს ვამტკიცოთ, თითქოს თანამონაწილეობის მაგალითზეც,

ისევე როგორც მცდელობის მაგალითზე, შუა საუკუნეების გერმანულ სისხლის სამართალში ბრალის პრინციპის მნიშვნელობის დაკნინება უარყოფით თეორიულ გამოვლინებას პოვებდეს. პირიქით, აქ უარყოფით თეორიულ გამოვლინებას სწორედ კანონიკურ სამართალში გაბატონებული უკიდურესი სუბიექტივიზმი პოვებს.

მხოლოდ „წმინდა შეთანხმება“ სისხლისსამართლებრივ თანამონაწილეობას ვერ დააფუძნებს. რაში თანამონაწილეობენ სუბიექტები „წმინდა შეთანხმების“ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის დანაშაულის განხორციელების სისხლისსამართლებრივად რელევანტური არც ერთი ეტაპი? დანაშაულში თანამონაწილეობის დასაბუთება დანაშაულის ცნების გვერდის ავლით ყოვლად წარმოუდგენელია. ანუ თუ არ არის მოცემული დანაშაული, ვერც დანაშაულში თანამონაწილეობა შეიძლება იყოს მოცემული. ცხადია, პირი შეიძლება აგრეთვე დანაშაულის მცდელობაში ან მომზადებაში თანამონაწილეობისათვის აგებდეს პასუხს, მაგრამ მცდელობაც და მომზადებაც დანაშაულის განხორციელების ეტაპებია, რასაც ვერ ვიტყვით „წმინდა შეთანხმებაზე“.

რა თქმა უნდა, თუ სუბიექტები არ შეთანხმდნენ განზრახი დანაშაულის განხორციელებაში, ვერც დანაშაულის განხორციელებაში თანამონაწილეობას მივიღებთ. მაგრამ სწორედ ის, რომ ამ შეთანხმების მიზანს დანაშაულის განხორციელება შეადგენს, ნიშნავს იმას, რომ დანაშაული განსახილველ მომენტში უკვე კი არ ხორციელდება, არამედ მხოლოდ განსახორციელებლად არის გამიზნული, რაც არსებითად სხვადასხვა რამ არის. მაგრამ შეიძლება კი დანაშაულის განხორციელებაში თანამონაწილეობაზე ვისაუბროთ, თუ დანაშაულის განხორციელება ფაქტობრივად არც კი დაწყებულა? ცხადია, არა. და თუ ასეა, მხოლოდ „წმინდა შეთანხმება“ თანამონაწილეობას, სისხლისსამართლებრივი ლოგიკით, ვერასოდეს დააფუძნებს.

ის, რომ კანონიკური სამართლის ფარგლებში მსგავსი რამ შესაძლებელი იყო, ადვილად გასაგებია. უკიდურესი სუბიექტივიზმის პრინციპებზე აგებული კანონიკური დოქტრინა თანამონაწილეობის სხვაგვარ ცნებას ვერც შემოგვთავაზებდა, აქ ხომ „ბოროტი განზრახვა“ როგორც ასეთი, ანუ ამ განზრახვის განხორციელების ასპექტის უგულებელყოფითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სრულიად საკმარისი საფუძველია. ჩვენ ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ მსგავსი თვალთახედვა, ანუ სისხლის სამართლის თეორიაში საეკლესიო დოგმების ბატონობა სისხლის სამართლის ჭეშმარიტ ბუნებასთან კატეგორიულად შეუთავსებელია. ამავე დროს, საკითხავია ისიც, თუ რამდენად შეიძლება იყოს გამართლებული თვით რელიგიურად ის, რომ სისხლის სამართალი რელიგიის[0]* სამსახურში იდგეს.

---

* იგულისხმება ქრისტიანული რელიგია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გასაგებია, რომ შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში მიღებული შესაბამისი თვალსაზრისი, რომელიც დიამეტრულად უპირისპირდება ზემოწარმოდგენილ კანონიკურ კონცეფციას, არაფრით არის მიუღებელი და, მაშასადამე, იმჟამინდელ გერმანულ სამართალში ბრალის პრინციპის მნიშვნელობის დაკნინებაც აქ არავითარ უარყოფით გამოვლინებას არ პოვებს.

რა თქმა უნდა, განზრახვის გამჟღავნების მომენტი სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო არ არის და მან შესაძლოა ე.წ. სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენება გამოიწვიოს, მაგრამ აქ ჩვენთვის აქტუალურ ჭრილში არსებითად არაფერი იცვლება. ზოგჯერ, დელიქტური განზრახვის განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, მართლაც შეიძლება თანამედროვე სისხლის სამართლის პირობებშიც კი ვისაუბროთ განსახილველ შემთხვევათა სასჯელით დამუქრებადობის შესახებ. ასეთია ტრადიციულად შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით. მაგრამ ამჯერად, განსხვავებით კანონიკურ დოქტრინაში გაბატონებული თვალთახედვისაგან, მხოლოდ გამონაკლისზეა საუბარი.

თანამონაწილეობის პრობლემასთან მიმართებაში, ვ. ჰარდვიგთან წარმოდგენილი თვალსაზრისითვე, ჩვენს ყურადღებას წამქეზებლობის თეორიული დასაბუთების პრობლემა იპყრობს. ცხადია, კანონიკური სამართალი, ამ მხრივ, არავითარ სირთულეს არ ქმნიდა. მაგრამ გერმანულ სამართალში დამკვიდრებული ლოგიკის ფარგლებში წამქეზებლობის დასჯადობის დასაბუთება ძნელად თუ მიიღწეოდა, ვინაიდან წამქეზებელი, შუა საუკუნეების გერმანული სამართლის გაგებით, „მხოლოდ ფსიქიკურად საქმიანობს“.

ჩვენს განსაკუთრებულ დაინტერესებას მოცემული საკითხი უმთავრესად იმის გამო იპყრობს, რომ არც თანამედროვე დოგმატიკაში მოიპოვება მისი სათანადო დასაბუთების თეორიული საფუძვლები.

წამქეზებელი, როგორც ცნობილია, ისჯება სხვა შერაცხადი პირის[0]* განზრახი დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებისათვის. მაგრამ, სხვა მხრივ, აღიარებულია, რომ შერაცხადი პირი ფლობს დამოუკიდებელი ქცევის უნარს. უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივად მხოლოდ შერაცხად სუბიექტებს სწორედ იმიტომ მოეთხოვებათ პასუხი, რომ ისინი დამოუკიდებელი ქცევის, ანუ გადაწყვეტილებათა ავტონომიურად მიღების უნარს ფლობენ. სხვაგვარად რომ იყოს, მაშინ არსებითად შესაძლებელი გახდებოდა არა მხოლოდ შეურაცხად პირთა და ცხოველთა, არამედ აგ-

* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წამქეზებლად ითვლება „ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად“ (იგივე ვითარებაა მოქმედი კოდექსის მიხედვითაც), რაც უზუსტობაა, ვინაიდან აქ საუბარი უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად არა ზოგადად სხვა პირის, არამედ სხვა შერაცხადი პირის დაყოლიებაზე. შეურაცხადი პირის (იგულისხმება შეურაცხადობა როგორც ასაკის, ისე ფსიქიკური დაავადების გამო) დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების შემთხვევაში სუბიექტი ისჯება არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც ამსრულებელი (იხ. ხსენებული პროექტის 22-ე მუხლი).

რეთვე მექანიზმებისა და სტიქიური ბუნებრივი მოვლენების სისხლისსამართლებრივი „დასჯაც“. ამიტომაც შერაცხადი პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიება სისხლისსამართლებრივად წარმოუდგენელია. სისხლისსამართლებრივად შერაცხადი სუბიექტი შეიძლება აიძულონ ან შეცდომაში შეიყვანონ, რათა მან განახორციელოს განსაზღვრული ქმედება, მაგრამ არა შეგნებულად დაიყოლიონ ამ ქმედების განსახორციელებლად. თუ ვაღიარებთ, რომ სუბიექტი შესაძლოა დაისაჯოს სხვა შერაცხადი სუბიექტის დაყოლიებისათვის (დანაშაულის ჩასადენად), მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შერაცხადი სუბიექტი მოკლებულია დამოუკიდებელი ქცევის უნარს. ხოლო თუ პირი მოკლებულია დამოუკიდებელი ქცევის უნარს, სისხლის სამართალი მას ვერც ვერაფერს მოსთხოვს და ვერც ვერავითარი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის დასჯის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს წინაშე შემდეგი სახის დილემაა: თუ გავიზიარებთ ტრადიციულ დოგმატიკაში მიღებულ თვალთახედვას და ვაღიარებთ, რომ პირი შეიძლება დაისაჯოს სხვა (შერაცხადი) პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებისათვის, ანუ წამქეზებლობისათვის, შეუძლებელი ხდება ზოგადად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, ვინაიდან აქ უარიყოფა ის, რის გარეშეც თანამედროვე სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია — დამოუკიდებელი ქცევის უნარი; ხოლო თუ ვიხელმძღვანელებთ იმავე ტრადიციულ დოგმატიკაში მიღებული მორიგი თვალთახედვით და შევეცდებით ვამტკიცოთ, რომ შერაცხადი სუბიექტი საზოგადოდ ფლობს დამოუკიდებელი ქცევის უნარს, მაშინ ლოგიკურად დაუშვებელი ხდება სუბიექტის დასჯა სხვა შერაცხადი სუბიექტის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების გამო.

ვფიქრობთ, აქ მართებული არჩევანის გაკეთება სავსებით მარტივია. მართლაც, თუ უარვყავით დამოუკიდებელი ქცევის უნარი როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოსავალი მომენტი, მექანიკურად მივიღებთ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ფარგლების უსასრულო თეორიულ გაფართოებას, უფრო ზუსტად კი, უკიდურეს ობიექტივიზმზე დაფუძნებულ დოგმატიკას. ხოლო წამქეზებლობის უარყოფა არამცთუ რამდენადმე საზიანოა თანამედროვე დოგმატიკისათვის, არამედ პირიქით, თანამედროვე დოგმატიკის არსიდან გამომდინარე, განსახილველი ცნება ერთმნიშვნელოვნად მოძველებული და არამეცნიერულია.

აქვე შევნიშნავთ, რომ კანონპროექტში წარმოდგენილი დანაშაულის პროვოკაციაც (მუხ. 145-ე) ზედმიწევნით ისევეა შეუთავსებელი თანამედროვე სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან. ზემომითითებული მუხლის მიხედვით, დანაშაულის პროვოკაციად მიჩნეულია „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“. აქაც სწორედ ისევე უარიყოფა შერაცხადი სუბიექტის დამოუკიდებელი ქცევის უნარი და გაუგებარი ხდება, თუ რით განისაზღვრება საზოგადოდ მისი (შერაცხადი სუბიექტის) შერაცხადობა.

წამქეზებლობაც, როგორც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტი და დანაშაულის პროვოკაციაც, როგორც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა, ნიშნავს ადამიანის ღირსებისა და პატივის უხეშ ხელყოფას, ვინაიდან მოცემული მომენტები შეიცავს იმის პირდაპირ აღიარებას, რომ ყოველი ცალკეული ინდივიდი მოკლებულია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, რითაც სისხლისსამართლებრივად შეუძლებელი ხდება შერაცხად პირთა განსხვავება შეურაცხადი სუბიექტებისაგან.

დავუბრუნდეთ უშუალოდ თანამონაწილეობის პრობლემას. ჩვენი აზრით, თანამონაწილეობის პრობლემა ზოგადად არამცთუ შუა საუკუნეების სამართალში, არამედ დღესაც ვერ პოვებს ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ, საბოლოოდ სრულყოფილ გადაწყვეტას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ე.წ. აქცესორული თეორია, რომლის მიხედვითაც დანაშაულში თანამონაწილე სუბიექტები პასუხს აგებენ ერთი და იმავე უმართლობისათვის, მაგრამ ინდივიდუალური ბრალის ფარგლებში.

სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიხედვით, პასუხისმგებლობის ზოგად საფუძვლად განისაზღვრება არა ბრალი, არამედ დანაშაული (მუხ. მე-7). მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს აქ ზოგადად ბრალთან ერთად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობის სახით უმართლობაც წარმოადგენს. მაგრამ შეიძლება კი ასეთ პირობებში ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება მხოლოდ ინდივიდუალურ ბრალზე დაყრდნობით? „კოლექტიური“ უმართლობა და ინდივიდუალური ბრალი ლოგიკურად ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ დააფუძნებს. რადგანაც პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში თანაბრად ეფუძნება როგორც უმართლობას, ისე ბრალს, შეუძლებელია მისი (ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის) სათანადო თეორიული დასაბუთება, თუ განსახილველი ელემენტები (ინდივიდუალურობისა და კოლექტიურობის თვალსაზრისით) ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიალურ ხასიათს ატარებს.

არანაკლებ სირთულეებთან გვაქვს საქმე მცდელობის პრობლემასთან მიმართებაშიც. მცდელობას, თანამედროვე გაგებით, შუა საუკუნეების ვერც კანონიკური და ვერც გერმანული სამართალი ვერ ასაბუთებს. პირველ შემთხვევაში ამას უკიდურესი სუბიექტივიზმი აფერხებს, მეორეში კი — აშკარად ობიექტივისტური პრინციპები, რომლებიც შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში სრულ თავისთავადობად აღიქმებოდა.

მართალია, სისხლის სამართალში საზოგადოდ, განსხვავებით ზნეობისა თუ სოციალური ქცევის წესთა ზოგიერთი სხვა სისტემისაგან, ამოსავალი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული საზიანო შედეგი, მაგრამ იმისათვის, რომ შევძლოთ მცდელობის თეორიული დასაბუთება, უკიდურესი სუბიექტივიზმი საჭირო სულაც არ არის. მოცემული პრობლემის პოზიტიური გადაჭრა მარტივად მიიღწევა აგრეთვე

ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა თანაბარმნიშვნელოვნების პირობებში. როდესაც სუბიექტი ცდილობს დანაშაულის ჩადენას, ამით ის საფრთხეში აყენებს სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთეს, რაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის სფეროს ვერ გასცილდება სწორედ იმავე მიზეზის გამო, რომ სისხლისსამართლებრივად ამოსავალი მნიშვნელობა საზიანო შედეგის თავიდან აცილებას ენიჭება.

ვ. ჰარდვიგის ზემომოტანილი შედარებებიდან გარკვევით ჩანს, რომ შუა საუკუნეების კანონიკური სამართლისთვის ისევე უცხო იყო დანაშაულის მომზადების ცნება, როგორც გერმანული სამართლისთვის დანაშაულის მცდელობის ცნება (მომზადების ცნება შუა საუკუნეების გერმანული სამართლისთვის, ცხადია, მით უმეტეს, უცხო უნდა ყოფილიყო). თუ კანონიკურ სამართალში მცდელობის ცნება „ნების პირველივე გამოვლინებით“ დაფუძნებულად ითვლებოდა, გასაგებია, რომ აქ მომზადების ცნება შინაარსობრივად აბსოლუტურად ერწყმის მცდელობის ცნებას და მისი (დანაშაულის მომზადების), როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების, არსებობა თეორიულად წარმოუდგენელია.

მაშასადამე, კანონიკური სამართალი, მართალია, არ ქმნიდა არავითარ სირთულეს მცდელობის, როგორც ასეთის, დასჯადობის დასაბუთების თვალსაზრისით, მაგრამ მცდელობა აქ, როგორც ვიხილეთ, არატრადიციული სახით არის წარმოდგენილი, ანუ განსახილველ შემთხვევაში, განსხვავებით თანამედროვე დოგმატიკისაგან, არ მოიპოვება დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის მომზადების დიფერენცირების სათანადო თეორიული და ფორმალურ-ლოგიკური შესაძლებლობა. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის თანამედროვე სისტემატიკაში ადგილი აქვს არა მხოლოდ მცდელობისა და მომზადების ურთიერთგანსხვავებას, არამედ აქ ასევე მესამე ელემენტის დამოუკიდებელი მნიშვნელობაც გამოიყოფა. მხედველობაში გვაქვს განზრახვის გამჟღავნება, რომელიც სისტემატიკურად დანაშაულის მომზადების წინამდებარე ეტაპია. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მცდელობის კანონიკურ სამართალში წარმოდგენილი ცნება მოცემულ საფეხურსაც მოიცავდა. რასაკვირველია, თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან ან თუნდაც წმინდად ეტიმოლოგიურად სრულიად წარმოუდგენელია, რომ დანაშაულებრივი განზრახვის გამჟღავნება დანაშაულის მცდელობად განიხილებოდეს, მაგრამ, კანონიკური სამართლისათვის იმანენტური სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ალოგიკური არაფერია.

რაც შეეხება უშუალოდ გერმანულ სამართალში წარმოდგენილ ვითარებას, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალის პრინციპისა და ზოგადად დანაშაულის სუბიექტური მხარის მნიშვნელობის დაკნინება უდავოდ ნეგატიურ ასახვას პოვებს. მცდელობის დასაბუთება მაშინ, როდესაც დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეები თანაბარმნიშვნელოვნებით კი არ გამოირჩევა, არამედ სუბიექტური მხარის მნიშვნელობა ცალსახად არის დაქვემდებარებული ობიექტური მხარის მნიშვნელობას, ყოვლად მიუღწეველია, რაც ადვილად გასაგები

ხდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საზიანო შედეგი აქ დანაშაულის ობიექტური მხარის კონსტიტუციური ელემენტია, ანუ საზიანო შედეგის გარეშე შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში დანაშაულის ობიექტური მხარე არ არსებობს.

მაგრამ, ამასთანავე, არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ, გერმანული სამართლის მიხედვით, სუბიექტი ისჯებოდა მცდელობის ფარგლებში აღმოჩენილი „უშუალო ხელყოფისათვის“, მხოლოდ როგორც „განსაკუთრებული, თავის თავშივე დასრულებული ქმედებისათვის“. და სწორედ აქ იჩენს თავს ფრიად საგულისხმო მომენტი, რომელიც ეჭვს ქვეშ აყენებს თანამედროვე დოგმატიკაში მიღებულ ბრალის, დანაშაულისა და დანაშაულის მცდელობის ცნებათა ურთიერთმიმართების ფორმალურ-ლოგიკურ გამართულობას.

თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა ნაკლებად ინტერესდება იმის გარკვევით, თუ რამდენად დაიშვება ბრალეულ პასუხისმგებლობაზე საუბარი „თავის თავშივე დაუსრულებელი ხელყოფის“, ანუ მცდელობის შემთხვევაში, თუ ბრალი განისაზღვრება როგორც დანაშაულის ელემენტი და არავინ მოიხსენიებს მას იმავდროულად როგორც დანაშაულის მცდელობის ელემენტს.

ერთი რამ სრულიად გასაგებია: დანაშაულის მცდელობის დროს სახეზე არ არის დანაშაულის ცნება და თუ ვამტკიცებთ, რომ მცდელობის შემთხვევაშიც წარმოდგენილია ბრალი, გამოდის, რომ ბრალი შეიძლება მოიცემოდეს ისე, რომ არ არის მოცემული დანაშაული.

მაგრამ, როგორც კარგად არის ცნობილი, თანამედროვე დოგმატიკაში ბრალს მხოლოდ ერთადერთი სისტემატიკური ადგილი აქვს განკუთვნილი – ის განიხილება მხოლოდ როგორც დანაშაულის ცნების მესამე დამოუკიდებელი საფეხური. ამის თანახმად, თუ არ არსებობს დანაშაული, არ შეიძლება აგრეთვე არსებობდეს ბრალი. და რადგან დანაშაულის მცდელობის დროს დანაშაული მოცემული არ არის, აქ განსახილველი ლოგიკით არც ბრალი შეიძლება იყოს მოცემული.

ვფიქრობთ, პრობლემის შინაარსი ნათელია. ამავე დროს, აქ წარმოდგენილი უზუსტობა მხოლოდ თეორიაში როდი პოვებს გამოხატულებას ზემოხსენებულ ცნებათა არაადეკვატური ურთიერთობის სახით. განსახილველი უზუსტობა პირდაპირ აისახება აგრეთვე მიმდინარე სისხლისსამართლებრივი რეფორმის ფაგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში აღინიშნება: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. ხოლო ამავე პროექტის მე-19 მუხლი შემდეგგვარად არის ფორმულირებული: „1. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით“. მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი ამ ორი მუხლის ფორმალურ-ლოგიკური ურთიერშეთავსება? არსებითად იგივე შეეხება მე-7 და მე-18 მუხლების ფორმალურ-ლოგიკურ ურთიერთობასაც. უკანასკნელ მუხლში განისაზღვრება დანაშაულის მომზადების სიხლისსამართლებრივი შინაარსი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის განსახილველი სტადიის ფარგლებში.

როდესაც მე-7 მუხლში დანაშაული განისაზღვრება როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ამით უწინარეს ყოვლისა, უხეშად უგულებელიყოფა თვით გაბატონებულ მოძღვრებაში წარმოდგენილი თეორიული ვითარება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად განიხილება არა მხოლოდ დანაშაული, არამედ აგრეთვე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. მხოლოდ დანაშაული აქ წარმოდგენილია როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველი, განსხვავებით დანარჩენი ხსენებული ცნებებისაგან, რომლებიც წარმოგვიდგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არა ზოგად, არამედ უბრალოდ აუცილებელ საფუძვლად. კანონპროექტის წარმოდგენილი ლოგიკით კი, არც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, არც მართლწინააღმდეგობა და არც ბრალი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად არ გვევლინება. ამიტომაც მე-7 მუხლში საუბარი უნდა იყოს დანაშაულზე არა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის საფუძველზე, არამედ როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველზე.

რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, აღსანიშნავია, რომ თუ კანონპროექტის მე-7 მუხლში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ზოგად) საფუძვლად ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება დანაშაული, მე-19 მუხლის ფარგლებში, ანუ დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში (ისევე როგორც მე-18 მუხლში, დანაშაულის მომზადების დროს) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საუბარი პირდაპირ ეწინააღმდეგება მე-7 მუხლის შინაარსს, ვინაიდან უკანასკნელი მუხლის შინაარსიდან გარკვევით გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც არ არსებობს დანაშაული, არ შეიძლება არსებობდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. *მე-19 მუხლის მიხედვით, სუბიექტი ისჯება არა დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულის მცდელობისათვის*, რაც, გარდა იმისა, რომ ქმნის აშკარა წინააღმდეგობას მე-7 მუხლთან, გვაიძულებს აგრეთვე არსებითად გადავსინჯოთ დანაშაულზე, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნიკალურ ზოგად საფუძველზე, უშუალოდ გაბატონებულ მოძღვრებაში მიღებული კონცეფცია.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი რეფორმის ფარგლებში შექმნილი ეს წინააღმდეგობრიობა გამოწვეულია

არა რეფორმატორთა ნების წინააღმდეგობრივი ხასიათით, არამედ ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში განსახილველ ცნებათა კორელაციის პრობლემის მცდარი გადაწყვეტით. რასაკვირველია, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როდესაც სისხლის სამართლის თეორია კანონმდებელს ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის ცნებებს აწვდის და ამას მხოლოდ ქართულ სისხლის სამართალში როდი აქვს ადგილი, მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევაში სწორედ სისხლის სამართლის თეორიამ უნდა იზრუნოს არსებული კონტრადიქტორულობის დასაძლევად, რათა თავიდან იქნეს აცილებული კანონმდებლობის მიერ ამ კონტრადიქტორულობის მექანიკური, სპონტანური გადაჭრა.

მოცემული პრობლემის გადაჭრის დროს ამოსავალ მომენტს უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის (ასევე მომზადების) დასჯადობის უარყოფა თეორიულად გამართლებული ვერ იქნება (სხვა საკითხია, შესაძლოა თუ არა საზოგადოდ იყოს დასაშვები დანაშაულის მცდელობისა და მომზადების დასჯადობის უარყოფა). ამიტომაც, ერთი შეხედვით, აქ წარმომდგარი დილემის გადასაწყვეტად აუცილებელია დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნიკალური ზოგადი საფუძვლის, კონცეფციის უარყოფა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის თვისებრივად ახლებურ თეორიულ-ლოგიკურ სიბრტყეზე გადატანა.

თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგელობას შესაძლოა აფუძნებდეს არა მხოლოდ დანაშაული, არამედ აგრეთვე დანაშაულის მცდელობა (და ზოგჯერ დანაშაულის მომზადებაც), უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველია არა მხოლოდ დანაშაული, არამედ დანაშაულის მცდელობაც (და ზოგჯერ დანაშაულის მომზადებაც), მაგრამ თუ დანაშაულის მცდელობაზეც (მომზადებზეც), მსგავსად თვით დანაშაულის ცნებისა, ვისაუბრებთ როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველზე, ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა მიმართება დანაშაულის მცდელობის და (დანაშაულის მომზადების) ცნებასთან იგივე უნდა იყოს, როგორც თვით დანაშაულის ცნებასთან, ვინაიდან სწორედ მოცემული მიმართება (ანუ ის, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის ელემენტებად წარმოგვიდგება) განსაზღვრავს დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის, ზოგადობას.

დანაშაულის მცდელობისა (და შესაბამის შემთხვევებში დანაშაულის მომზადების) დროსაც რომ სახეზეა როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, ისე მართლწინააღმდეგობაც და ბრალიც, ამაში სადავო არაფერია. გარკვევას საჭიროებს მხოლოდ ის, დაიშვება თუ არა ამჯერადაც მოცემულ ცნებათა იმავე სახით განსაზღვრა, როგორც ამას დანაშაულის ცნებასთან მიმართების შემთხვევაში აქვს ადგილი, ანუ

რამდენად მისაღებია ვისაუბროთ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობაზე, მართლწინააღმდეგობასა და ბრალზე როგორც დანაშაულის მცდელობის (დანაშაულის მომზადების) ელემენტებზე?

დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის ელემენტებია, მცდელობა კი დანაშაულის განხორციელების სტადია. თუ დავუშვებთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი მცდელობის (მომზადების) ელემენტებიც შეიძლება იყოს, მივიღებთ, რომ დანაშაული და დანაშაულის განხორციელების სტადია ერთი და იმავე ელემენტებისაგან შედგება, რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი ცნებები შინაარსობრივი იდენტურობით გამოირჩევა (მცდელობის შემთხვევაში საუბარია, შესაბამისად, სისტემატურ, მომზადების დროს კი პერიოდულ იდენტურობაზე, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში განსახილველი ელემენტები შესაძლოა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ზოგჯერ). მაგრამ დაიშვება კი შინაარსობრივად იდენტურ ცნებათა ფუნქციონალურ დიფერენცირებულობაზე საუბარი? უკეთ რომ ვთქვათ, სისტემატიკაში ორი შინაარსობრივად იდენტური ცნება თეორიულად ზედმეტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დანაშაულის მცდელობის (მომზადების) ელემენტებად აღიარება ფორმალურ-ლოგიკურად დაუშვებელია.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, რომ უშუალოდ მცდელობის პრობლემასთან მიმართებაში მხოლოდ ამ ფორმალური სირთულეებით ამოიწურება ყოველივე. თუ მცდელობის დროს ყოველთვის სახეზეა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით განვსაზღვრავთ მოცემულ ელემენტთა მიმართებას მცდელობის ცნებასთან, მაშინ რა თეორიული დატვირთვა შეიძლება, საერთოდ, ჰქონდეს მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ცნებას? საქმე ის არის, რომ დანაშაული მართლაც განიმარტება როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (ასევე სასჯელით დამუქრებული) *ქმედება*, მაგრამ სინამდვილეში გაბატონებული მოძღვრება დანაშაულს მხოლოდ ქმედებად როდი განიხილავს. დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის მცდელობის ცნების შედარებიდან ვარკვევთ, რომ „მხოლოდ ქმედებას“ წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა, თვით დანაშაული კი წარმოგვიდგება უკვე არა როგორც ქმედება, არამედ როგორც ქმდებისა და შედეგის ერთობლიობა.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში მიღებული დანაშაულის ცნების ეს დუალისტური ფორმულა, ანუ როდესაც დანაშაული ერთგან წარმოდგენილია როგორც „მხოლოდ ქმედება“, მეორეგან კი „მხოლოდ ქმედება“ განიხილება როგორც მარტოოდენ დანაშაულის განხორციელების სტადია და თვით

დანაშაული კი განსაზღვრულია როგორც ქმედებისა და შედეგის ერთობლიობა, აშკარად მცდარია.

თუ როგორ შეიძლება მოცემული პრობლემის გადაჭრა, ეს დამოუკიდებელი კვლევის საგანია და მას ჩვენ ქვემოთ უთუოდ შევეხებით. ამჯერად კი ვნახოთ, თუ რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს უშუალოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის ცნებასთან დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის ცნებათა მიმართების თვალსაზრისით.

რადგანაც დანაშაულის მცდელობა საზოგადოდ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოცემული ცნება უნდა განიხილებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის საკმარისი საფუძველი. მაგრამ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად საკმარისია უკვე თვით სუბიექტური ქმედებაც (ანუ მცდელობა), მაშინ რამდენად გამართლებულია ვისაუბროთ ამ შემთხვევაში ქმედებისა და შედეგის ერთობლიობაზე (ანუ დანაშაულზე) როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მორიგ ე.წ. ზოგად საფუძველზე? რა თქმა უნდა, აქ სრულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად საკმარისია უკვე ქმედებაც, საზიანო შედეგი, როგორც ასეთი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, თეორიულად ზედმეტი ცნებაა. მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრავს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, დანაშაული^{0*} აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილითაც ის (დანაშაულის ცნება) მცდელობის ცნებას ემთხვევა. ეს კი ნიშნავს, რომ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, დანაშაულისა და დანაშაულის მცდელობის ცნებათა დიფერენცირების თეორიული საფუძველი არ არსებობს.

თავის მხრივ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: იქ, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაფუძნდეს უკვე დანაშაულის მცდელობითაც, ანუ მხოლოდ სუბიექტური ქმედებითაც, დანაშაულზე როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ე. წ. ზოგად საფუძველზე საუბარი თეორიულლოგიკურად მცდარია. ასე, მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა განზრახ მკვლელობისა (მუხ. 108) და ამავე დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში. რასაკვირველია, მკვლელობის მცდელობის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი უფრო დაბალია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმ

---

*ცხადია, აქ საუბარია მხოლოდ იმ სახის დანაშაულზე, რომლის ფარგლებშიც მცდელობის ცნება დოგმატურად მოიაზრება. ტრადიციულ ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ასეთად მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებადი დანაშაული მიიჩნეოდა. მაგრამ თანამედროვე თეორიაში დანაშაულის მცდელობაზე საუბარი ევენტუალური განზრახვის შემთხვევაშიც დაიშვება.

თვალსაზრისით, რომ აქ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ ქმედება აფუძნებს. ხოლო როდესაც საქმე გვაქვს განზრახ მკლელობასთან, როგორც დამთავრებულ დანაშაულთან, ვცდილობთ ვამტკიცოთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამჯერად უკვე მხოლოდ სუბიექტურ ქმედებას კი არ ეფუძნება, არამედ ამ ქმედებით გამოწვეულ საზიანო შედეგსაც, მაგრამ როგორ დაიშვება, რომ პასუხისმგებლობას ქმედებასთან ერთად აფუძნებდეს შედეგიც, თუ მოცემული პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად სრულიად საკმარისია უკვე საკუთრივ სუბიექტური ქმედებაც? გამოდის, რომ აქ საზიანო შედეგი უკვე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას კი არ უნდა ამძიმებდეს, არამედ სუბიექტურ ქმედებასთან, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველთან, ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „ზედმეტი საფუძვლის“ ფუნქციასაც უნდა ფლობდეს!

რა თეორიული გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს არსებული ვითარებიდან? ჩვენის აზრით, შესაძლებლობათა სპექტრი მეტად ვიწროა, უფრო ზუსტად, ჩვენს წინაშე შემდეგი დილემა იკვეთება: დანაშაული აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ სუბიექტური ქმედება და საზიანო შედეგი კი მოვიაზროთ როგორც დანაშაულის ცნების მიღმა მდებარე პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, რაც, უწინარეს ყოვლისა, დანაშაულის მცდელობის ცნების უარყოფას ნიშნავს ან აუცილებელია უარვყოთ დებულება, რომლის მიხედვითაც განსახილველ შემთხვევაში დანაშაული, როგორც ქმედებისა და შედეგის ერთობლიობა, შესაძლოა წარმოგვიდგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ზოგად, საკმარის, დამოუკიდებელ და ა. შ.) საფუძვლად.

ზემოწარმოებული ანალიზიდან გამომდინარე, უპირატესობა სწორედ უკანასკნელ შესაძლებლობას უნდა მიენიჭოს. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკვე მცდელობის მომენტიდან დაფუძნებულად მიიჩნევა და დანაშაულის ცნების ფარგლებში (აქ) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის საკითხი ირკვევა.

მაგრამ პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოსავალსაც ძნელად თუ შეიგუებს თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა. მოცემული დოგმატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზემოწარმოდგენილი თვალთახედვა არაერთ დაუძლეველ თეორიულ სირთულეს წარმოქმნის. ასე, მაგალითად, რაც ამ თეორიულ სირთულეთა შორის უმთავრესია, თანამედროვე სისხლის სამართალში დანაშაულის არსი სწორედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების მომენტთან კავშირში გაიგება. და რადგან დანაშაულის ცნება განმსაზღვრელად ზემოქმედებს ზოგადად მთელს დოგმატიკაზე, ადვილად მისახვედრი უნდა იყოს, რომ დანაშაულის არსზე ახლებური წარმოდგენა იმთავითვე ნიშნავს არსებული დოგმატიკის უარყოფას ზოგადად.

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებული დოგმატიკის ფარგლებში განსახილველი პრობლემის სათანადო გადაჭრა საერთოდ ვერ მიიღწევა.

ამავე დროს, დანაშაულის ბუნების მართებული, ანუ ლოგიკურად თანამიმდევრული, არაწინააღმდეგობრივი განსაზღვრა უთუოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს და, ამ მხრივ, არც პრინციპული ხასიათის ცვლილებებს უნდა მოვერიდოთ. როგორც დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთშედარების შედეგად ვიხილეთ, დანაშაული აქ წარმოგვიდგება არა როგორც სუბიექტური ქმედება, არამედ როგორც სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის ერთობლიობა, მაშინ როდესაც, სხვა მხრივ, დანაშაული განისაზღვრება სწორედ როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და დასჯადი ქმედება. აღსანიშნავია, რომ ამით ეს წინააღმდეგობა არ შემოიფარგლება.

მართლაც, თუ დანაშაული სუბიექტური ქმედებაა, მაშინ დანაშაულის ცნებაში ვერავითარი ადგილი ვერ მოეძებნება არამცთუ საზიანო შედეგს, არამედ აგრეთვე დანაშაულით (კონკრეტულად კი დანაშაულის შემადგენლობით) მოცულ გარემოებათა მთელ რიგს. შეიძლება დანაშაული, როგორც სუბიექტური ქმედება, მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, როგორიც არის დანაშაულის სუბიექტის პიროვნება, დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის განხორციელების დრო, ვითარება, მიზანი, მოტივი და სხვა?

ჩვენ, რა თქმა უნდა, ეჭვს ქვეშ არ ვაყენებთ ხსენებულ გარემოებათა მნიშვნელობას სუბიექტური ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების თვალსაზრისით, მაგრამ იმავდროულად სრულიად აშკარაა, რომ სუბიექტური ქმედების ელემენტებად აღნიშნული გარემოებები ვერ წარმოგვიდგება. ქმედება თავის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ იმას, რაც წარმოდგენილია უშუალოდ სუბიექტის ობიექტური (გარეგანი, ფიზიკური) და სუბიექტური (შინაგანი, ფსიქიკური) საქმიანობის ფარგლებში.

ობიექტური მხრივ, ქმედების შესახებ შესაძლოა ვისაუბროთ საკუთრივ დანაშაულის განხორციელების ფორმაზე (მოქმედება, უმოქმედობა), ხერხზე (მოტყუება, ძალადობა...), სუბიექტური მხრივ კი, ფსიქოლოგიური ქცევის სახეზე (განზრახვა, გაუფრთხილებლობა).

მაგრამ ამის საპირისპიროდ, ვთქვათ, შერაცხადობა ვერასოდეს იქნება დანაშაულის ცნებით მოცული გარემოება, თუ დანაშაულის ცნებას გავიგებთ როგორც სუბიექტურ ქმედებას, ვინაიდან მოცემული გარემოება ვერც სუბიექტური და ვერც ობიექტური საქმიანობის ფარგლებში ვერ შეიტანება. თუ სუბიექტი შერაცხადი არ არის, მისი ქმედება დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება, მაგრამ აქედან იმას კი არ უნდა ვასკვნიდეთ, რომ შერაცხადობა დანაშაულის, როგორც სუბიექტური ქმედების, ელემენტია, არამედ იმას, რომ შერაცხადობა ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების ერთ-ერთი წინაპირობაა, რაც თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ შერაცხადობა სუბიექტური ქმედების ცნების მიღმა მდებარე ელემენტია.

ანალოგიურია, მაგალითად, მიზნისა და სუბიექტური ქმედების ურთიერთობაც. ის, რომ სუბიექტური ქმედება შეიძლება ხორციელდებოდეს გარკვეული მიზნით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიზანი სუბიექტური ქმდების კომპონენტი კი არ არის, არამედ სუბიექტური ქმედების ცნების მიღმა მდებარე ცნებაა და ამ პირველის ორიენტირად გვევლინება.

ყოველივე ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ არავითარ მტკიცებასაც არ უნდა საჭიროებდეს, თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში მიღებული დოგმებისა და ტრადიციების ბრმა, არაკრიტიკული გააზრება რომ არა, სისხლის სამართალს ძნელად თუ შეიძლება ეწოდოს მეცნიერება, თუ განსახილველი სისტემატიკური ქაოსი სათანადოდ არ იქნა დაძლეული.

ზემოწარმოდენილი ანალიზიდან გარკვევით ჩანს, რომ დანაშაული თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში ფაქტობრივად წარმოადგენს არა სუბიექტურ ქმედებას, არამედ სუბიექტური ქმედების, საზიანო შედეგის (ზოგიერთი შემადგენლობის დროს კი საზიანო შედეგის განხორციელების საფრთხის) და სხვა ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობას, რომლებიც სუბიექტური ქმედების ცნებაში ლოგიკურად ვერ შეიტანება. რასაკვირველია, დანაშაულის ამგვარად კონსტრუირებული მოდელი უთუოდ იწვევს დავას მისი აქცეპტაბელურობის შესახებ, მაგრამ სრულიად უდავოა ის მომენტი, რომ დანაშაულის მოცემული მოდელი იმთავითვე კატეგორიულად დაუშვებელს ქმნის ისეთ ვითარებას, როგორიც წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში, სადაც დანაშაული, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ზოგადი) საფუძველი, განისაზღვრება როგორც „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული *ქმედება*“ (ხაზგასმა ჩვენია – ავტორი).

თავის მხრივ, როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, ამავე ლოგიკით მხოლოდ სუბიექტურ ქმედებას არც დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს, არამედ მოცემული ცნება თვით სუბიექტურ ქმედებასთან ერთად ზემომითითებულ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებსაც მოიცავს (ცხადია, გარდა საზიანო შედეგისა).

მაგრამ მოცემული მომენტის დაფიქსირება ჯერ არ გვაძლევს დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთობის პრობლემის პოზიტიური გადაჭრის შესაძლებლობას, რაც ჩვენთვის განსახილველ შემთხვევაში უმთავრესია.

რამდენად მოიპოვება დანაშაულის მცდელობის თეორიული დასაბუთების შესაძლებლობა საერთოდ, თუ ვაღიარებთ, რომ აქაც წარმოდგენილია დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი? იქ, სადაც მოცემულია უკანასკნელ ელემენტთა ერთობლიობა, მოცემულად უნდა ჩავთვალოთ დანაშაულის ცნებაც. მაგრამ თუ დანაშაულის მცდელობის დროსაც სახეზეა დანაშაული, გამოდის, რომ განსაზღვრული დანაშაულის მცდელობა ქმნის სხვა დამოუკიდებელ დანაშაულს და ასეთ შემთხვევაში სუბიექტი საკუთრივ ამ პირველი განსაზღვრული დანაშაულის მცდელობისათვის კი არ უნდა

აგებდეს სისხლისსამართლებრივად პასუხს, არამედ უნდა ისჯებოდეს ამ განსაზღვრული დანაშაულის მცდელობის როგორც სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის გამო.

პირველ შემთხვევაში (ანუ როდესაც მოცემული გვაქვს ამჟამად დანაშაულის მცდელობად წოდებული ვითარება) სუბიექტი სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებს სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის განხორციელების რეალური საფრთხის შექმნისათვის (სხვა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებთან ერთად), მეორე შემთხვევაში კი სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის განხორციელებისათვის (სხვა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებთან ერთად.).

ეს კი მხოლოდ მცდელობის ცნების უარყოფის ხარჯზე მიიღწევა და ამის შედეგად ჩვენ არსებითად იმავე ვითარებას ვღებულობთ, როგორსაც ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში, ე. ი. როდესაც სუბიექტი დანაშაულის მცდელობისათვის შეიძლებოდა დასჯილიყო არა როგორც საკუთრივ დანაშაულის მცდელობისათვის, არამედ როგორც დამოუკიდებელი „თავის თავშივე დასრულებული“ დანაშაულისათვის.

ამასთანავე, იბადება კითხვა იმის თაობაზე, რომ თუ სუბიექტი დანაშაულის მცდელობის დროს ისჯება საკუთრივ დანაშაულის მცდელობისათვის და არა სხვა დამოუკიდებელი „თავის თავშივე დასრულებული“ დანაშაულისათვის, ხომ არ ნიშნავს ეს სუბიექტივიზმისკენ გადახრას? ჩვენის აზრით, სუბიექტის დასჯა იმის გამო, რომ მან სცადა დანაშაულის განხორციელება (რეალურად კი მისი განხორციელება ვერ შესძლო), უთუოდ ქმნის იმის მტკიცების გარკვეულ საფუძველს, რომ თანამედროვე დოგმატიკა ჯერ არ არის სუბიექტივიზმის ზეგავლენისაგან სრულიად განთავისუფლებული. როდესაც განსაზღვრულ დასჯად ქმედებას არ ენიჭება „თავის თავშივე დასრულებული“ დანაშაულის მნიშვნელობა, არამედ განიხილება როგორც დანაშაულის განხორციელების მცდელობა, ქმედების სუბიექტური მხარე უნებურად იქცევა პრიორიტეტული აქცენტირების საგნად და ეს თავისთავად სუბიექტივიზმის გამოვლინებაა.

როგორც ვხედავთ, განსახილველად შერჩეული პრობლემის ირგვლივ არაერთი დოგმატური თუ სისტემატიკური სირთულე იკვეთება, რომლის დაძლევაც არცთუ მარტივი თეორიული ამოცანაა. მაგრამ გაბატონებული სისხლისსამართლებრივი დოქტრინის ფარლგებში ზემოწარმოებული ანალიზი უთუოდ იძლევა შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

ჯერ ერთი, დანაშაული არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის *უნიკალურ აუცილებელ* საფუძველს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად წარმოგვიდგება ასევე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი;

მეორეც, დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არც *უნიკალური საკმარისი* საფუძველია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის საკმარის საფუძვლად ასევე გვევლინება დანაშაულის მცდელობაც და (ზოგჯერ[0]*) მომზადებაც;

მესამეც, დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის *უნიკალური ზოგადი* საფუძველია, ვინაიდან დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძვლები, მხოლოდ დანაშაულის ცნების ელემენტებად მოიაზრება, რა დროსაც მოცემულ ელემენტთა მიმართების პრობლემა დანაშაულის მცდელობის და მომზადების ცნებებთან საერთოდ გადაუჭრელი ხასიათისაა.

თავი მეორე

სისხლისსამართლებრივი ბრალის მეცნიერული კვლევის სათავეები

§1. ბეკარიას მოძღვრება

ინდივიდუალური ბრალის პრინციპი

შუა საუკუნეების ზემოთწარმოდგენილი დოგმატიკის შემდგომ სისხლისსამართლებრივი აზრი და მასთან ერთად ბრალის იდეაც მათთვის მანამდე უცხო ტემპებით განაგრძობს განვითარებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამის უპირველესი მიზეზი ბეკარიას შემოქმედებაა. მის მიერ 1765 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ" ძირეულად უცვალა სახე მისთვის თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დოქტრინისა და ზოგადად სისხლის სამართლის თეორიის განვითარების პროცესს. ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის უაღრესად პროგრესულ პრინციპთა სისტემა.

მაგრამ არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს ბეკარიას რეფორმატორულ სულისკვეთებას არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ შეუმზადა ნიადაგი. პირიქით, ეს უკანასკნელი ფაქტორი მნიშვნელოვნად აფერხებდა მას თავისი მოძღვრების განვითარებაში. „წამება, — წერს პ. ი. ლევენსონი, — რომელიც ყველა სასამართლოს, საეროსა და სასულიეროს, განუყოფელი ნაწილი იყო, მიიჩნეოდა ურყევ ინსტიტუტად, მართლმსაჯულების მართებული განხორციელების საფუძვლად. წარმოუდგენელი იყო ყოველგვარი პროტესტი ამ საუკუნეობრივი ტრადიციის წინააღმდეგ, ეს ითვლებოდა

* იგულისხმება კანონპროექტის მიხედვით წარმოდგენილი ვითარება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კი, დანაშაულის მზადება, მსგავსად დანაშაულის მცდელობისა, ზოგადად დასჯადია.

სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მთლიანობის ხელყოფად... მცირედ მინიშნებას სახელმწიფოს სადამსჯელო სისტემის (კთპთიეოტნთჭ ყმყიესთ) შესახებ აიგივებდნენ დანაშაულთა დაუსჯელობის გამოცხადებასთან... უმკაცრეს სასჯელთა რეპრესიული ხასიათი არ საჭიროებდა თავისი უტილიტარული ამოცანის გამართლებას. დაშინება იყო მიზანი და არა ხერხი დამნაშავის გამოსწორებისა."95 აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგები ხდება, თუ რატომ მიმართავდა ბეკარია როგორც კვლევის მასშტაბს არა სამართლიანობას, რომელსაც სინამდვილეში ემსახურებოდა მთელი მისი შემოქმედება, არამედ პრაგმატულობას, პრაქტიკულ მიზანშეწონილობას. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ბეკარია პირდაპირაც მოიხსენიებს სამართლიანობას როგორც ამოსავალ პრინციპს და გაბედულად მოითხოვს ამა თუ იმ აშკარად მიუღებელი მეთოდისა თუ ინსტიტუტის აღმოფხვრას სწორედ მოცემულ თვალსაზრისზე დაყრდნობით.

ყოველივე ამის შედეგს კი შეადგენდა ის, რომ სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარება მნიშვნელოვნად დაწინაურდა ზოგადად სოციალურ-პოლიტიკური აზრის განვითარებასთან მიმართებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სისხლის სამართლის დამოუკიდებელი (ანუ დეპოლიტირებული, დეიდეოლოგირებული) განვითარების პირველი საგულისხმო ეტაპია.

უშუალოდ ბეკარიას შეხედულებათა ანალიზის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა, თვითმკვლელობის პრობლემა იპყრობს, სადაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ შეუპოვრად ცდილობს ბეკარია კანონიკური სამართლის ბატონობის რუდიმენტთა საბოლოო უარყოფას. „თვითმკვლელობა, — აღნიშნავს ის, — არის დანაშაული, რომლის მიმართაც, სისხლისსამართლებრივი გაგებით, შეუძლებელია სასჯელის გამოყენება, რადგან სასჯელი აქ შესაძლოა მიიმართოს მხოლოდ არაბრალეულ პირებზე ან სრულიად უგრძნობელ გვამზე. თუ ამ ორ შემთხვევათაგან უკანასკნელში სასჯელი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს ცოცხალ ადამიანებზე, ისევე როგორც ვერანაირანად ზეიმოქმედებდა მათზე ქანდაკების გაშოლტვა, პირველ მათგანში ის უსამართლო და ტირანული იქნებოდა, ვინაიდან ადამიანთა პოლიტიკური თავისუფლება გულისხმობს, რომ სასჯელი შეიძლება იყოს მხოლოდ პირადი (meramente personali)".96 თუ შევეცდებით ბეკარიას ამ მოსაზრების პირდაპირ ლოგიკურ გააზრებას, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქმე ის არის, რომ ბეკარია, მართალია, სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს თვითმკვლელობის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის გამოყენების დაუშვებლობას, მაგრამ მის ზემოწარმოდგენილ თვალთახედვაში მოტანილი არგუმენტების ეფექტურობა იმთავითვე ქარწყლდება, თუ განვიხილავთ მათ თვითმკვლელობის მცდელობასთან მიმართებაში. უკეთ რომ ვთქვათ, ბეკარიას მიერ შემოთავაზებული არგუმენტაცია საკმარისია მხოლოდ თვითმკვლელობის, როგორც ასეთის, დასჯადობის უარსაყოფად

და, პირიქით, არაფერს მიგვითითებს იმაზე, თუ რატომ არ შეიძლება იყოს დასჯადი თვითმკვლელობის მცდელობა, რაც, ცხადია, პრობლემის სრულყოფილ გადაჭრად ვერ მიიჩნევა.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, რისი გამოყოფაც შეიძლებოდა ბეკარიას ზემოციტირებულ შეხედულებაში. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მოცემული შეხედულების პრინციპულად სხვა კუთხით გაშუქება.

ჯერ ერთი, ბეკარია არ ერიდება სასჯელის ცნებაში რეპრესიული ელემენტის პრიორიტეტული მნიშვნელობის ნეგირებას, როდესაც ის თვლის, რომ სასჯელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ რეპრესიას, არამედ აუცილებლობით უნდა მოიცავდეს აგრეთვე პრევენციულ ელემენტსაც.

მეორეც, ბეკარია აქ არც იმ პრინციპის დეკლარირებას ერიდება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ ბრალეული, რაც გარკვევით ჩანს, როდესაც ის დაუშვებლად მიიჩნევს თვითმკვლელობის სისხლისსამართლებრივი შედეგების არაბრალეულ პირებზე გადატანას.

გარდა ამისა, ბეკარია იქვე გვთავაზობს პერსონალური პასუხის-მგებლობის პრინციპსაც. თუმცაღა ეს ორი პრინციპი შინაარსობრივად ახლოს დგას ერთმანეთთან, არამც და არამც არ დაიშვება მათი გაიგივება.

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მოცემული პრიცნიპი გამორიცხავს ობიექტურ შერაცხვას, მაგრამ ბრალი, ამავე დროს, შეიძლება იყოს კოლექტიურიც და, ამდენად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ჯერ კიდევ არავითარ მითითებას არ შეიცავს პასუხისმგებლობის პერსონალურობაზე. და პირიქით, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის გამორიცხავს პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ განხორციელებული განსაზღვრული ქმედებისათვის, მაგრამ პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი, თავის მხრივ, სულაც არ გამორიცხავს ობიექტურ შერაცხვას ანუ პასუხისმგებლობას ბრალის გარეშე. ხოლო ამ პრინციპთა კომბინირებას, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მივყავართ, ერთი მხრივ, ობიექტური შერაცხვის, მეორე მხრივ კი, კოლექ-ტიური ბრალის უარყოფამდე. ამასთანავე, ობიექტური შერაცხვისა და კოლექტიური ბრალის უარყოფის შედეგად მიიღება *ინდივიდუალური ბრალი* როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის *აუცილებელი* საფუძველი.

სწორედ ამიტომ ბეკარიას მიერ ამ ორთავე პრინციპის ერთდროული აღიარება უმნიშვნელოვანეს თეორიულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. დაბოლოს, ბეკარიას განსახილველი პოზიციის თავიდათავ მომენტად, როგორც ადვილად მისახვედრია, წარმოგვიდგება ის, რომ ბეკარიასათვის პრინციპულად მიუღებელია სისხლის სამართალში რელიგიურ-ეთიკური საწყისის დომინირება, ამ დომინირების ყოველგვარი გამოვლინება.

მაგრამ თუ აქ მოცემული თვალსაზრისი მხოლოდ ირიბად არის წარმოდგენილი, სხვაგან, ემიგრაციისა და თვითმკვლელობის პრობლემათა ურიერთშედარებისას ბეკარია მას უკვე ცხადად გამოკვეთს. „ამგვარად, — წერს ის, — დამტკიცებულია, რომ კანონი, რომელიც ამწყვდევს ქვეშევრდომთ თავიანთ ქვეყანაში, როგორც საპყრობილეში, გამოუსადეგარი და უსამართლოა; იგივე ეხება თვითმკვლელობის დასჯადობასაც, რადგან ეს უკანასკნელი თუმც მოიცავს ბრალს, რომელიც ისჯება ღმერთის მიერ, ვისაც ერთადერთს ძალუძს სიკვდილის შემდგომ დასჯა, მაგრამ ის სულაც არ შეადგენს დანაშაულს ადამიანთა წინაშე, რამდენადაც სასჯელი ამ ქმედებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ შეეფარდოს თვით ბრალეულ პირს, მიმართულია მისი ოჯახისაკენ”97

როგორც ვხედავთ, ბეკარია სრულიად არაორაზროვნად აცხადებს, რომ აუცილებელია დანაშაულის რელიგიურ და სისხლისსამართლებრივ ცნებათა ურთიერთგამიჯვნა. ვინაიდან თვითმკვლელობა არანაირ საფრთხეს არ უქმნის გარშემო მყოფ სუბიექტებს და საფრთხის ერთადერთ ობიექტს აქ წარმოადგენს მხოლოდ ის, ვინც ამ ქმედებასვე ახორციელებს, გასაგებია, რომ დასჯადობის ერთადერთ საფუძველს მსგავს შემთხვევებში შეადგენს განყენებული რელიგიური იდეალების ხელყოფა. რა თქმა უნდა, წმინდად თეორიულად ამაში არაფერია დაუშვებელი. სისხლის სამართალს სავსებით შეუძლია მოსთხოვოს სუბიექტს რელიგიური იმპერატივების მკაცრი დაცვაც. საქმე კი მხოლოდ პრინციპის პოზიტიურობას შეეხება, უფრო ზუსტად იმას, თუ რაოდენ სასურველია, რომ სისხლის სამართალი მსგავს მიზნებსაც ემსახურებოდეს. თუ თანამედროვე სისხლის სამართალში საკითხი ამგვარად საერთოდ ვერ დაისმება, ბეკარიასათვის თანამედროვე დოგმატიკაში ეს მეტად აქტუალურ თვალსაზრისს განასახიერებდა.

ერთი მხრივ, უეჭველია, რომ ბეკარიას მიერ ამ მიმართებით დასახული ტენდენცია სინდისის თავისუფლების აღიარებისაკენ გადადგმული ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯია: სახელმწიფო, სჯიდა რა სუბიექტს სისხლის სამართლის წესით რელიგიის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, ამყოფებდა მას ამ რელიგიის იძულებით მორჩილებაში, და პირიქით, რელიგიურ მოთხოვნათა დარღვევის დეკრიმინალირება სუბიექტს რეალურად უქმნიდა „არჩევანის თავისუფლებას” განსახილველ სფეროში.

მეორე მხრივ, ბეკარია მჭიდროდ მიუახლოვდა სამართლის იდეის მართებულ აღქმას, როდესაც განუმარტა კანონმდებელს, რომ ის, რაც სცილდებოდა სუბიექტთა შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობათა ფარგლებს, არ შეიძლებოდა ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი განხილვის საგანი.

განვავრცობთ რა ბეკარიას მოსაზრებას, უნდა შევნიშნოთ, *რომ სისხლის სამართალი თანაბრად უნდა იცავდეს საზოგადოებას ინდივიდისაგან და ინდივიდს საზოგადოებისაგან, ე. ი. ზრუნავდეს არა მხოლოდ მოვალეობათა ფართო სპექტრის დაწესებისათვის, არამედ*

უფლებათა და თავისუფლებათა ასეთივე ვრცელი სისტემის უზრუნველ-ყოფისთვისაც, რის ნათელ გამოხატულებასაც ჩვენ სწორედ თანამედროვე სისხლის სამართალში ვხვდებით.

რასაკვირველია, ერთობ სასურველია, რომ ინდივიდი ერთნაირად იცავდეს ყოველ მაღალ იდეალს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, იქნება ეს რელიგიური, ზნეობრივი თუ სხვა სახის იდეალები, მაგრამ თუ ამ უკანასკნელთა ხელყოფა რეალურ საფრთხეს არ უქმნის სხვათა კონკრეტულ ინტერესებს, მათი დაცვა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ავტორიტეტის ძალაზე დაყრდნობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავს მოთხოვნებს არაფერი შეიძლება აკავშირებდეს სისხლის სამართალთან, რომლის ნორმათა შესრულების უზრუნველყოფას ძალის ავტორიტეტი უდევს საფუძვლად. ეს სამართლიანობის ელემენტარული მოთხოვნაა.

ამდენად, თვალსაჩინოა, რომ ბეკარიამ ამ შემთხვევაშიც აშკარა უსამართლობის, აბსოლუტური ირაციონალურობის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ამავე დროს, არ შეიძლება არ შევაჩეროთ ყურადღება მის ზემოციტირებულ მოსაზრებებში წარმოდგენილ სხვა რელევანტურ მომენტზეც, რომელიც დანაშაულისა და დასჯადობის პრობლემათა ურთიერთმიმართებას შეეხება. როგორც ვიხილეთ, ბეკარია თავის თავდაპირველ მოსაზრებაში, გვთავაზობს რა თვითმკვლელობის სისხლისსამართლებრივ დახასიათებას, ცდილობს უარყოს მოცემული ქმედების *მხოლოდ* დასჯადობა, ხოლო მომდევნო მოსაზრების შედეგად უარიყოფა უკვე თვითმკვლელობის დანაშაულებრივი ხასიათიც (სისხლისსამართლებრივი გაგებით). თითქოსდა ერთადერთი, რისი დანახვაც აქ შეიძლება, ლოგიკური თანამიმდევრობაა. სინამდვილეში კი ყოველივე ასე მარტივად როდი გამოიყურება. როდესაც ქმედების არადასჯადად გამოცხადებას მისი დანაშაულებრივი ხასიათის უპირობო უარყოფა არ მოსდევს, ეს დასჯადობის როგორც დანაშაულის კონსტიტუციური ნიშნის უარყოფას მოასწავებს.

ამასთანავე, იმთავითვე უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ სასჯელისა და დასჯადობის ცნებათა მიმართება დანაშაულის ცნებასთან არსებითად სხვადასხვა თეორიული დატვირთვის მომცველი მომენტებია. კონკრეტულ ვითარებაში, ამა თუ იმ სპეციალური გარემოების გამო დანაშაულებრივად აღიარებულ ქმედებას შესაძლებელია სულაც არ მოჰყვეს სასჯელის გამოყენება, მაგრამ ამით, როგორც ცნობილია, არ ხდება მოცემული ქმედების როგორც დანაშაულის, უარყოფა. ამიტომ თუ ვიტყვით, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიცირება მცირედაც არ არის დამოკიდებული სასჯელის შეფარდების ფაქტზე, ამით მხოლოდ ანბანური სისხლისსამართლებრივი ჭეშმარიტების დეკლარირებას მოვახდენთ.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს, რომ სასჯელი ვერ იწოდება დანაშაულის ცნების კონსტიტუციურ ნიშნად, როგორც ამას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი არაერთ ავტორიტეტულ სისხლის-

სამართლებრივ გამოკვლევაში, და უფრო მეტიც, შეიძლება კი სასჯელი საერთოდ იწოდებოდეს დანაშაულის ნიშნად, ე. ი. მოეძებნოს ადგილი დანაშაულის სისტემაში, თუ დანაშაული მიიღება სასჯელისაგან დამოუკიდებლად და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოქცეულია დანაშაულის სისტემის მიღმა?

როგორც აღინიშნა, სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე დასჯადობის პრობლემასთან მიმართებაში. თუ უარიყოფა ქმედების დასჯადობა, მექანიკურად უნდა უარვყოთ ის როგორც დანაშაული და ამაში მცირე რამ შეიძლება იყოს სადავო, ვინაიდან იქ, სადაც არ არსებობს დასჯადობის შესაძლებლობა, შეუძლებელი ხდება ქმედების თავიდან აცილება სახელმწიფოებრივ იძულებაზე დაყრდნობით. ხოლო თუ ქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია სახელმწიფოებრივი იძულების გარეშე, მაშინ ის უკვე ამ გარემოების ძალით ვერ განეკუთვნება სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფეროს. ამრიგად, უეჭველია, რომ დასჯადობა, განსხვავებით სასჯელისაგან, დანაშაულის ცნების კონსტიტუციური ნიშანია.

მოცემულ გარემოებაზე კი ჩვენი ყურადღება სწორედ იმიტომ შეჩერდა, რომ ბეკარიას ზემომოტანილ მოსაზრებებს იმავე დასკვნამდე არ მივყავართ. კონკრეტულად რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც უარიყოფა ქმედების დასჯადობა, სისხლისსამართლებრივად უკვე არ არსებობს მისი როგორც დანაშაულის უარყოფის საჭიროების ლოგიკური საფუძველი. ავიღოთ, მაგალითად, იგივე თვითმკვლელობა, მხოლოდ ჩადენილი ჯარისკაცის მიერ საომარი მოქმედებების დროს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ტყვედ ჩავარდნის საფრთხე). რით განსხვავდება, საზიანოობის თვალსაზრისით, მოცემული ქმედება, ვთქვათ, დეზერტირობისაგან, რომელიც ასევე ჩადენილია ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში და რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან ათ წლამდე? ცხადია, არაფრით, ორივე ქმედება ერთნაირად მიუღებელია, მაგრამ თვითმკვლელობის მცდელობის ჩამდენი ჯარისკაცის მიმართ ვერ გამოიყენება სასჯელის ისეთი სახე, რომელიც მოკლებული არ იქნებოდა როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენციის ელემენტს, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ აქ არ არსებობს სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივი გაგებით, რადგან სასჯელი სისხლის სამართალში აუცილებლობით უნდა პასუხობდეს როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენციის მიზნებს. და ეს ერთადერთი მიზეზია, რომლის გამოც არ ხერხედება აღნიშნული ქმედების დანაშაულად აღიარება.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ბეკარიას მიერ შემუშავებულ პრინციპთა ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ბეკარია არ კმაყოფილდება მხოლოდ იმის დეკლარირებით, რომ სისხლის სამართლის დაინტერესების საგანს არ უნდა შეადგენდეს აბსტრაქტული შინაარსის მომცველი რელიგიური

დანაშაულები. ის ამ მიმართებით გაცილებით უფრო შორს მიდის. განაგრძობს რა ემიგრაციის დასჯადობის პრობლემის მიმოხილვას, ბეკარია წერს: „ის, ვინც ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, გაიტანა სახელმწიფოდან, რახან მან მოახერხა ამის განხორციელება, უკვე ვერ იქნება დასჯილი. ამგვარად, ეს დანაშაული, თუკი ის უკვე ჩადენილია, სასჯელის გამოყენებას ვერ გამოიწვევს, ხოლო დავსაჯოთ პირი ამ დანაშაულისათვის მანამ, სანამ მას ჩაიდენდეს, ნიშნავს, დავსაჯოთ ადამიანის ნება და არა მისი ქმედებები, ე. ი. შევიჭრათ ზრახვის სფეროში, ადამიანთა კანონებისაგან ამ ყველაზე უფრო თავისუფალ მონაკვეთში... ხოლო ემიგრაციისათვის დასჯა ბრალეულის სამშობლოში დაბრუნების შემდგომ შეგვაფერხებდა საზოგადოებისათვის მიყენებული ბოროტების გამოსწორებაში, რამდენადაც ამით სამუდამოს გავხდიდით ყოველგვარ ემიგრაციას”98 სრულიად აშკარაა, რომ ბეკარია აქ დაუფარავად და მასშტაბურად უპირისპირდება კანონიკური სამართლის დომინირების შედეგად დამკვიდრებულ უკიდურესად რეაქციულ დებულებას, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სულაც არ არის აუცილებელი სუბიექტის არამართლზომიერი ფსიქოლოგიური ქცევის გარეგანი გამოვლინება. ბუნებრივია, ეს ბეკარიას ზემოგანხილული პრინციპების პირდაპირი გაგრძელებაა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ ამჯერად პოსტულირებული იდეა სისხლის სამართალში თეორიული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწვერვალია, ვინაიდან მან მთელი სიცხადით შეძლო სუბქიეტივიზმის ჭეშმარიტი სახის წარმოჩენა და შეუმცდარადაც მიუთითა იმ ფუნდამენტურ მომენტზე, რომელიც ასე მიუღებელს ქმნის სუბიექტივისტურ დოგმებს.

შეძლო თუ არა ბეკარიამ ამ მიმართულებით, ე. ი. დანაშაულებრივ ქმედებაში ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა თანაფარდობის თვალსაზრისით, თავისი პოზიციის ბოლომდე თანამიმდევრული განვითარება, ეს ცალკე საკითხია და მას ჩვენ ოდნავ მოგვიანებით შევეხებით. მთავარი კი ამჯერად არის ის, რომ ბეკარიამ წარმატებით დასძლია სუბიექტივიზმის ბატონობა სისხლის სამართალში. მას, როგორც ვიხილეთ, სავსებით გარკვევით გადააქვს ძირითადი აქცენტი სუბიექტური ნებიდან სუბიექტურ ქმედებაზე.

მაგრამ ხომ არ წარმოქმნა სუბიექტური მხარის მნიშვნელობის დეგრადირებამ ბრალის იდეის რეგრესული განვითარების საშიშროება? რასაკვირველია, არა. უფრო მეტიც, ბრალი ამგვარად სპეციფიკურად სისხლისსამართლებრივ იერს იძენს, რადგან ის, რაც სუბიექტს აქ ბრალად უნდა შეერაცხოს, არის უკვე არა აბსტრაქტული ფსიქიკური პროცესი, რომელიც მოკლებულია რეალურ კავშირს სოციალურ სინამდვილესთან, არამედ სწორედ სოციალურ სინამდვილეში გამოვლენილი კონკრეტული ფსიქიკური პროცესები. როგორც ბეკარიას შეხედულებებიდანაც თვალნათლივ ჩანს, სუბიექტივიზმი ცალსახად უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სუბიექტი დაისაჯოს საზიანო

ქმედებისათვის, რომელიც მას ჯერ არ ჩაუდენია, მაგრამ არსებობს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ ის ამ ქმედებას განახორციელებს. საზოგადოებისათვის მსგავსი საფრთხის აცილებაში მართლაც არაფერი იქნებოდა მიუღებელი, რომ არა, სულ მცირე, შემდეგი მომენტი, რომელიც დოგმატურად ერთობ მნიშვნელოვანია: საქმე ის არის, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთიანად უგულებელიყოფა ის ფაქტი, რომ სუბიექტს ნებისმიერ დროს შეუძლია აიღოს ხელი თავისი არამართლზომიერი განზრახვის განხორციელებაზე და დაუშვებელია, რომ მას ეს შესაძლებლობა ჩამოერთვას. ის, რომ სუბიექტს ჯერ კიდევ აქვს თავისი მართლსაწინააღმდეგო განზრახვის განხორციელებისაგან თავის შეკავების შესაძლებლობა, მიგვითითებს იმაზე, რომ სუბიექტთა განსაზღვრულმა ნაწილმა, თუნდაც უმნიშვნელომ, თუნდაც მხოლოდ ერთეულთა მომცველმა, შესაძლოა მართლაც შეიკავოს თავი დანაშაულის ჩადენისაგან და აქ უკვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სისხლისსამართლებრივად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ერთი არაბრალეული პირის დაუსჯელობა, ვიდრე მრავალი სავარაუდოდ ბრალეულის დასჯა, რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს ამასთან მათი ბრალეულობის ალბათობის ხარისხი.

სწორედ მსგავს თეორიულ სიღრმეებს შეიცავს ბეკარიას მიერ განსახილველ შემთხვევაში გამოტანილი დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ ბეკარია მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის კრიმინალისტია. ამასთანავე, ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი პრობლემა გარკვეულ განზოგადებასაც მოითხოვს. როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, დანაშაულის ცნებაში სუბიექტურ და ობიექტურ მხარეთა თანაფარდობის განვითარება მეტად რთული, ცვალებადობით აღსავსე პროცესია, თუმც იმავდროულად არც იმ კანონზომიერების დანახვაა ძნელი, რომელიც თანდათანობით, მაგრამ სულ უფრო და უფრო გარკვევით იკვეთება ამ განვითარების პროცესში — ეს სრულყოფის შეუქცევადობაა.

ადრეულსამართლებრივ ეტაპზე, მათ შორის ადრეულ რომაულ სამართალშიც, ჩვენს წინაშეა სუბიექტური ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებისადმი მკაცრად ობიექტივისტური მიდგომა, რაც გარკვეულწილად იცვლება განვითარებულ რომაულ სამართალში სუბიექტურ ელემენტთა მნიშვნელობის აღიარების სასარგებლოდ. ხოლო შუა საუკუნეების კანონიკური სამართალი საბოლოოდ ცნობს სუბიექტური მხარის რეალურ მნიშვნელობას, მაგრამ ზედმეტად შორს მიდის ამ მიმართულებით და სუბიექტივიზმის სახით მორიგ უკიდურესობას ამკვიდრებს.

ბეკარია კი, თავის მხრივ, წარმოგვიდგენს რა სუბიექტივიზმის ნეგატიურ შედეგთა საფუძვლიან კრიტიკას, დანაშაულის ცნებაში ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა თანაბარი აქცენტირების მიღწევას ცდილობს. რა ქმნის უკანასკნელი მტკიცების საფუძველს?

ვიკვლევთ რა დანაშაულის სისტემაში ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტთა კორელაციას, ჩვენი დაინტერესების უშუალო საგანს უნდა

შეადგენდეს შემდეგი დოგმატური სამკუთხედი: ნება — ქმედება — შედეგი.

სუბიექტივიზმთან გვექნება საქმე, თუ სუბიექტური ქცევის დანაშაულად კვალიფიცირების დროს თავიდათავი აქცენტი მოქცეულია პირველ კომპონენტზე (აქცენტის თავიდათავადობაში იგულისხმება ის, რომ აქცენტირებულ კომპონენტს, მოცემულ შემთხვევაში ნებას, დანარჩენი ორი კომპონენტისაგან დამოუკიდებლადაც ძალუძს გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა) და, პირიქით, თუ პრიორიტეტული აქცენტირების ობიექტად წარმოგვიდგება შედეგი, საქმე უთუოდ ობიექტივიზმთან გვექნება.

ხოლო როდესაც განსახილველი ინტერესის ფოკუსირება შუალედურ ელემენტზე, ე. ი. ქმედებაზე, ხდება, ეს ორივე უკიდურესობისაგან თავის დაღწევას ნიშნავს.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ქმედებაში ჩვენ ვგულისხმობთ სუბიექტის არა ყოველ ფიზიკურ ქცევას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც წარმოადგენს მისი ნებელობითი საქმიანობის გარეგან გამოვლინებას. ამიტომაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება აღინიშნოს, რომ ქმედების ცნება თანაბრად მოიცავს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ საწყისებს. ამავე დროს, თავის მხრივ, ვერ ვიტყვით, რომ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება მხოლოდ ქმედებას (საუბარია პასუხისმგებლობაზე დანაშაულისათვის მზადებისა და დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის), ადგილი აქვს სუბიექტივისტური მასშტაბით ხელმძღვანელობას.

ის კი, თუ რომელი თვალთახედვა შეიძლება იყოს უპირატესად აქცეპტაბელური, ვფიქრობთ, თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან არავითარ მტკიცებას არ საჭიროებს.

იმავდროულად, გასაგები ხდება ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილი მტკიცების საფუძველიც ანუ ის, თუ რაში გამოიხატებოდა ბეკარიას სწრაფვა დანაშაულის ცნებაში ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა თანაბარი აქცენტირების მიღწევის თვალსაზრისით — როგორც ვიხილეთ, მან ცენტრალური მნიშვნელობა სუბიექტურ ქმედებას მიანიჭა.

რაც შეეხება ბეკარიას უკანასკნელ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ემიგრანტის დასჯა სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში უკვე ეწინააღმდეგება თვით სახელმწიფოს ინტერესებს, შესაძლოა ეს, ერთი შეხედვით, საკითხისადმი ზედმეტად უტილიტარულ მიდგომად მოგვეჩვენოს. ბეკარიას ამოსავალ დებულებას შეადგენს ის, რომ სახელმწიფო ინტერესები ბევრად უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ბრალეული სუბიექტის დასჯა (ცხადია, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ზოგადად სახელმწიფოსათვის და არა უშუალოდ რომელიმე სხვა პირის ან პირთათვის მიყენებული ზიანი). თუ გადავავლებთ თვალს თანამედროვე სისხლის სამართალს, აღმოჩნდება, რომ ანალოგიურ შემთხვევაში საკითხის იმგვარად დასმა, როგორც ამას ბეკარიასთან აქვს ადგილი, არც ამ პირველისთვის არის უცხო.

ბეკარიას მიერ მოტანილ მაგალითში აშკარაა, რომ სუბიექტმა ბოლომდე განახორციელა თავისი არამართლზომიერი განზრახვა, ე. ი. განვლო როგორც დანაშაულისთვის მზადების, ისე დანაშაულის მცდელობის ეტაპი და ის, რასაც მისი მომდევნო ქმედება ემსახურება, არის მხოლოდ ამ დანაშაულით გამოწვეული საზიანო შედეგის ნეიტრალიზება. ამრიგად, მოცემულ სუბიექტურ ქცევაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრინციპი და აქედან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს, რის გამოც პასუხისმგებლობის გამორიცხვა აქ საზოგადოდ არ დაიშვება.

მაგრამ თანამედროვე სისხლის სამართალი ითვალისწინებს არაერთ ისეთ გამონაკლისს, რომლის დროსაც მსგავს პირობებში კანონმდებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს სუბიექტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლში აღინიშნება, რომ ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ; იმავე პოზიციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ მუხლები 238-ე, სადაც საუბარია იმაზე, რომ პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გარეშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, და 252-ე, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებებს, ასევე თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ჩაბარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენის, აგრეთვე მათი შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის; არსებითად იგივე მდგომარეობაა 65-ე მუხლთან მიმართებაშიც, რომელიც შეეხება სამშობლოს ღალატს. და ამაში, ჩვენი აზრით, მიუღებელი არაფერია, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოცემული პოზიცია წარმოდგენილია გამონაკლისის და არა წესის სახით. მაშასადამე, არც ბეკარიას თვალთახედვა შეიძლება იყოს მიუღებელი, რამდენადაც აქაც ზედმიწევნით იგივე აზრია განვითარებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადებითად უნდა შეფასდეს ბეკარიას მიერ სუბიექტივიზმის უარყოფის შედეგად ძირითადი აქცენტის სუბიექტურ ქმედებაზე გადატანა, რადგანაც ეს იმავდროულად ობიექტივიზმის უარყოფასაც ნიშნავს. მაგრამ ჩვენ იმთავითვე დავსვით საკითხი იმის შესახებ, რჩება თუ არა ბეკარია ბოლომდე თანამიმდევრული ამ შეხედულების განვითარების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ მის შეხედულებათა შემდგომი ანალიზის შედეგად განსახილველ პოზიციასთან შეუთავსებელ არაერთ მტკიცებას ვხვდებით. ამჯერად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევჩერდებით, რომელიც, ჩვენი აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს ხსენებულ წინააღმდეგობას.

ბეკარია თავისი ზემოაღნიშნული ნაშრომის მეშვიდე პარაგრაფში, რომელსაც ეწოდება „შეცდომები სასჯელთა განსაზღვრის დროს”,

აღნიშნავს: „დანაშაულთა ერთადერთი და ჭეშმარიტი მასშტაბი არის ზიანი, რომელიც ადგება საზოგადოებას მათი ჩადენით (il danno fatto alle nazione); აქედან გამომდინარე, ცდებიან ისინი, ვინც დანაშაულის ჭეშმარიტ მასშტაბად დანაშაულის ჩამდენ პირთა ზრახვებს (intenzione) განიხილავენ... ზოგჯერ ადამიანები საუკეთესო განზრახვით აყენებენ საზოგადოებას უდიდეს ზიანს, ხოლო სხვებს ყველაზე უფრო ბოროტი განზრახვით მისთვის უდიდესი სარგებლობა მოაქვთ".99 ამასვე იმეორებს ბეკარია მომდევნო თავში, რომელიც დანაშაულთა კლასიფიკაციას ეძღვნება: „ჩვენ უკვე ვიხილეთ, თუ რა შეადგენს დანაშაულთა ჭეშმარიტ მასშტაბს; *ეს ზიანია, რომელიც მიადგა საზოგადოებას დანაშაულის ჩადენით*".100 მოცემული მტკიცებიდან გამომდინარე, უკვე ვერ გვეთქმის, რომ ბეკარიამ, უარყო რა სუბიექტივიზმი, შეძლო არ მოქცეულიყო საპირისპირო უკიდურესობის ანუ ობიექტივისტური ხედვის ზეგავლენის ქვეშ. ბეკარია უთუოდ მართალია, როდესაც თვლის, რომ ცდებიან ისინი, ვინც დანაშაულის ჭეშმარიტ მასშტაბად ასახელებენ დამნაშავეთა განზრახვას, რადგან ეს მკაფიოდ გამოკვეთილი სუბიექტივიზმია. მაგრამ განა ასეთივე სიცხადით არ ვაღიარებთ ობიექტივისტურ მიმდინარეობას, როდესაც დანაშაულის ჭეშმარიტ მასშტაბად საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს წარმოვიდგენთ? რასაკვირველია, ეს ასეც არის. ამიტომაც მცდარია არა მხოლოდ იმის მტკიცება, რომ დანაშაულის ერთადერთი და ჭეშმარიტი მასშტაბი დამნაშავის განზრახვაა, არამედ აგრეთვე იმისა, რომ მოცემული მასშტაბი მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულით გამოწვეულ ზიანში უნდა ვეძიოთ. თუ გავიზიარებთ ბეკარიას მოსაზრებას და ზიანს მართლაც ვაღიარებთ დანაშაულის ერთადერთ მასშტაბად, მივიღებთ, რომ ორი სუბიექტის დაუდევრობით მკვლელობა ორჯერ უფრო მკაცრ სასჯელს უნდა იწვევდეს, ვიდრე ერთი პირის პირდაპირი განზრახვით მოკვლა დამამძიმებელ გარემოებებში! ან კიდევ, თუ ბოლომდე ვიხელმძღვანელებთ ამავე ლოგიკით, გაურკვეველი იქნება, თუ რატომ უნდა დაისაჯოს სუბიექტი დანაშაულის მცდელობისათვის (თუნდაც დამთავრებული მცდელობისათვის) — აქ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო განზრახვასთან გვაქვს საქმე და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი საერთოდ არ მოგვეპოვება!

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ბეკარია ცდება, როდესაც ამტკიცებს, რომ ადამიანებმა საუკეთესო განზრახვით შესაძლოა უდიდესი ზიანი მიაყენონ საზოგადოებას და, პირიქით, ყველაზე უფრო ბოროტი განზრახვით უდიდესი სარგებლობა მოუტანონ მას. ეს, რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა. საქმე მხოლოდ ამ ჭეშმარიტების არასწორ, შეიძლება ითქვას, სპეკულაციურ გამოყენებას შეეხება. სინამდვილეში კი სუბიექტი არც მაშინ უნდა ისჯებოდეს, როდესაც მართლზომიერი განზრახვით საზიანო შედეგს ახორციელებს და არც მაშინ, როდესაც საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგის დადგომას თან მართლსაწინააღმდეგო, თუნდაც უაღრესად ბოროტი განზრახვა ახლდა.

ვნახოთ, თუ რას ნიშნავს ეს კონკრეტულ მაგალითებზე. ვთქვათ, სუბიექტი განზრახ მკვლელობის მიზნით აწარმოებს გასროლას ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც სისოცხლეს უსპობს მესამე პირს, რომელიც მოცემულ მომენტში ასევე უკანონოდ ესხმოდა თავს სხვა პირს და ამით უნებურად ახორციელებს აუცილებელ მოგერიებას, ე. ი. იწვევს საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგის დადგომას. და თუ თანამედროვე სისხლის სამართალში მოცემული ქმედება დასჯადად არ ითვლება, ეს იმიტომ კი არა, რომ თანამედროვე კანონმდებელი დანაშაულის ერთადერთ მასშტაბად შედეგის საზიანოობას მიიჩნევს, არამედ იმიტომ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარე ეკვივალენტური მნიშვნელობის მქონე კატეგორიებია და მოცემულ შემთხვევაში შედეგის პოზიტიურობამ თავისი მნიშვნელობით განზრახვის უკუღირებულების ნეიტრალიზება მოახდინა.

ასევე არ შეიძლება დაისაჯოს სუბიექტი მაშინაც, როდესაც, მაგალითად, ცდილობს რა გადაარჩინოს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში აღმოჩენილი სუბიექტის სიცოცხლე, შემთხვევით კლავს ამ უკანასკნელს და არა იმას, ვინც უკანონო თავდასხმას ახორციელებს (თუ, ცხადია, ადგილი არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას; თუმც ეს გარემოება თავისთავად გამოირიცხება, რადგან ასეთ შემთხვევაში სუბიექტის განზრახვა მართლზომიერი ვერ იქნება და მოცემულ მაგალითში ხომ სწორედ საზიანო შედეგის გამომწვევ მართლზომიერ განზრახვაზე უნდა ყოფილიყო საუბარი). თუ პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვა გამოიწვია იმან, რომ შედეგის პოზიტიურობამ თავისი მნიშვნელობით განზრახვის უკუღირებულების ნეიტრალიზება მოახდინა, ამჯერად პასუხისმგებლობის გამორიცხვას იწვევს ის, რომ განზრახვის პოზიტიურობა თავისი მნიშვნელობით შედეგის უკუღირებულების ნეიტრალიზებას ახდენს, რაც, თავის მხრივ, მიგვითითებს არა იმაზე, რომ განზრახვაა (— სუბიექტური მხარე) დანაშაულის ერთადერთი მასშტაბი, არამედ იმაზე, რომ დანაშაულის მასშტაბად შერჩეულია ორთავე სახის ელემენტები (ობიექტური, სუბიექტური) თანაბრად.

ამავე დროს, ცხადია, არ იქნებოდა სწორი გვევარაუდა, თითქოს თანამედროვე სისხლის სამართალში დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა მნიშვნელობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ერთიმეორეს. ამ მხრივაც მოიპოვება განსაზღვრული გამონაკლისები და ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (რაზედაც ჩვენ წინათავშიც გავამახვილეთ ყურადღება). კანონმდებელი აქ, პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით, ზოგჯერ უპირატეს მნიშვნელობას ქმედების ობიექტურ მახასიათებლებს ანიჭებს, ზოგჯერ კი პირიქით, პრიორიტირების საგანს სუბიექტური მხარე წარმოადგენს. ასე მაგალითად, 115-ე მუხლისა და 150-ე მუხლის პირველი პუნქტის შედარებითი

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრა უპირატესად დამოკიდებულია ბრალის ფორმაზე, ვიდრე საზიანო შედეგის სიმძიმეზე.

150-ე მუხლის პირველ ნაწილში აღიწერება ქურდობის შემადგენლობა, რისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით, ხოლო 115-ე მუხლში, რომელიც შეეხება სხეულის მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით, სასჯელის სახით წარმოდგენილია თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქურდობის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მივიღებთ, რომ ბრალის ხარისხი მოცემულ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე 115-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის დროს, სადაც ბრალი შესაძლოა გამოიხატოს თვითიმედოვნებაში ან სულაც დაუდევრობაში. რაც შეეხება შედეგის სიმძიმეს, სხეულის მძიმე დაზიანება ბევრად უფრო საზიანო ქმედბად უნდა ვაღიაროთ, ვიდრე ის, რაც 150-ე მუხლის პირველ ნაწილშია აღწერილი.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საზიანოობის ხარისხი 115-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დროს გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემთხვევაში, კანონმდებელი უკანასკნელ ქმედებას პასუხისმგებლობის ორჯერ უფრო მაღალ ხარისხს უკავშირებს, ე. ი. უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოცემულ ქმედებათა სუბიექტურ მხარეებს შორის არსებულ განსხვავებას, თუმც თვალსაჩინოა, რომ ამ ქმედებათა სუბიექტურ მხარეებს შორის არსებული სხვაობის მნიშვნელობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათ ობიექტურ მხარეებს შორის არსებული სხვაობის მნიშვნელობას. ამრიგად, აქ მოცემული გვაქვს ზემომოტანილი პრინციპიდან ან შეგნებული გამონაკლისი, ან კიდევ სპონტანური გადახრა.

საპირისპირო სახის გამონაკლისთან ან კვლავაც სპონტანურ გადახრასთან გვაქვს საქმე 75-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 77-ე მუხლის პირველი ნაწილის შედარებითი ანალიზის მაგალითზე. 77-ე მუხლის პირველი ნაწილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვას შეეხება და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე. ხოლო 75-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილია „განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა ეროვნული ან რასობრივი კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება", რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, ე. ი. აქ სასჯელის მინიმალური ზღვარი უფრო დაბალია, ვიდრე პირველ შემთხვევაში, რაც ნიშნავს იმას, რომ პირველ

შემთხვევაში აღწერილი ქმედება უფრო მკაცრად დასჯადია, რამეთუ, მეორე მხრივ, სასჯელის მაქსიმალური ზღვარი ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად იდენტურია. სუბიექტური მხრივ, აქ ერთმანეთს უპირისპირდება პირდაპირი განზრახვა (75-ე მუხლის პირველი ნაწილი) და დაუდევრობა (77-ე მუხლის პირველი ნაწილი); შედეგის სიმძიმის თვალსაზრისით კი, 77-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი ქმედება უდავოდ უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რომ ეს საკმარისი იყოს სუბიექტური მხრივ არსებული სხვაობის გასაბათილებლად. შესაბამისად, თუ ვიხელმძღვანელებთ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტთა ეკვივალენტურობის პრინციპით, დაუშვებელია, რომ 77-ე მუხლის პირველ ნაწილში წარმოდგენილი სანქცია 75-ე მუხლის პირველ ნაწილში წარმოდგენილ სანქციაზე უფრო მკაცრი იყოს.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამჯერად უპირატესობას შედეგის საზიანოობას ანიჭებს, მაგრამ რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ იმაში, რომ თანამედროვე სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არსებითად არ აკნინებს არც სუბიექტურ და არც ობიექტურ ელემენტთა მნიშვნელობას, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებდით აგრეთვე იმ გარემოებაზეც, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის ხარისხის ზრდა დამოკიდებულია არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო შედეგის საზიანოობის ხარისხის ზრდაზე, არამედ ასევე ბრალის ხარისხის პროგრესირებაზეც. ყოველთვის, როდესაც იზრდება ბრალის ხარისხი, აუცილებლად მკაცრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც, თუნდაც ამასთან სრულიად უცვლელი რჩებოდეს შედეგის საზიანოობის ხარისხი, რაც ძნელად თუ მიიღწეოდა იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის „ერთადერთ და ჭეშმარიტ მასშტაბად" საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს გამოვაცხადებდით, როგორც ამას, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ბეკარიასთან ჰქონდა ადგილი.

<u>არაბრალეულობის პრეზუმფცია</u>

ბეკარიას შეხედულებათა შემდგომი ანალიზი თვალნათლივ გვარწმუნებს იმაში, რომ უკანასკნელი შეხედულება მას ოდნავაც არ აფერხებს წარმატებით განაგრძოს ზემოხსენებულ პრინციპთა სისტემის კონსტრუირება. თავისი ნაშრომის მე-16 პარაგრაფში ბეკარია აყალიბებს დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომელიც თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში აღიარებულია როგორც სისხლისსამართლებრივი აზრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევა. ეს არაბრალეულობის პრეზუმფციაა. „ადამიანი, — წერს ბეკარია, — არ შეიძლება იწოდებოდეს დამნაშავედ მის მიმართ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, ვერც საზოგადოება განაცხადებს უარს ამ პიროვნების მიმართ თავის მფარველობაზე, ვიდრე არ დადგინდება, რომ მან დაარღვია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მისთვის ამ მფარველობას".101

უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ არაბრალეულობის პრეზუმციის პრინციპის დასაბუთება არც თუ მარტივი თეორიული ამოცანაა. სულაც არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევები, როდესაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სუბიექტის მიერ განხორციელებული განსაზღვრული ქმედება კონკრეტული დანაშაულის ყველა სათანადო ნიშანს მოიცავს. ასე მაგალითად, პირმა, რომელიც გახდა ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი, შესაძლოა შესაბამის გარემოებათა არსებობის პირობებში გარკვევით იცოდეს, რომ მის მიმართ კონკრეტულმა პირმა განახორციელა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მაგრამ, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, მოცემული ქმედება ვერ იწოდება დანაშაულად მანამ, სანამ სასამართლო მას ასეთად არ დააკვალიფიცირებს და მისი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში, ან ვერ იწოდება დანაშაულად საერთოდ, თუ საქმის გარშემო ვერ შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებები და სასამართლომაც თავი შეიკავა ამ ქმედების დანაშაულად აღიარებისაგან.

აქედან კი სრულიად აშკარად გამომდინარეობს ის, რომ დანაშაული უბრალოდ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება კი არ ყოფილა, არამედ სასამართლოს მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად დაკვალიფიცირებული ქმედება.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორ შეიძლება დანაშაულის ცნება მოვიაზროთ სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებში, ის ხომ ამგვარად მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის კუთვნილებად იქცევა!

მართლაც, განსახილველი პოზიციიდან გამომდინარე, სისხლის სამართალში მხოლოდ დანაშაულის ცნების ცალკეული ელემენტები რჩება, თვით დანაშაულის ცნება კი მკაცრად პროცესუალურ ხასიათს იძენს და, ამდენად, სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმა იმკვიდრებს ადგილს.

ამასთანავე, ყოველივე ზემოაღნიშნული სხვა მნიშვნელოვან დასკვნასაც შეიცავს, კერძოდ იმას, რომ პროცესუალური აღიარება დანაშაულის ცნების მორიგი კონსტიტუციური ნიშანია, ისეთივე, როგორც მართლწინააღმდეგობა ან ბრალეულობა. მაგრამ თეორიულად რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს პროცესუალური აღიარების როგორც დანაშაულის ცნების კონსტიტუციური ნიშნის უარყოფას? უწინარეს ყოვლისა, ამით დანაშაულის ცნება კვლავ დაუბრუნდება სისხლის სამართლის თეორიულ ორბიტას, მაგრამ, სხვა მხრივ, ამას სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს შორის ფორმალურ-ლოგიკური კავშირის განყვეტამდე მივყავართ და ამის დანახვა სულაც არ არის ძნელი. ვთქვათ, ჩვენ მიერ ზემომოტანილ კაზუსში აღმოჩნდა ისე, რომ გამოძიებით ვერ შეგროვდა სათანადო მტკიცებულებები სრულყოფილი სახით, ე. ი. იმ სახით, რომელიც აუცილებელია იმისათვის,

რომ სასამართლომ თავდამსხმელი სუბიექტის ქმედება აღიაროს დანაშაულად. ამის ერთადერთი შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ სასამართლო მოცემულ ქმედებას დანაშაულად არ დააკვალიფიცირებს.

შესაბამისად, გამოდის, რომ ერთი მხრივ, სუბიექტმა, განახორციელა რა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, სისხლისსამართლებრივი გაგებით, ჩაიდინა დანაშაული, მეორე მხრივ კი, რადგანაც სასამართლოს ვერ გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, პროცესუალურად ეს ქმედება დანაშაულად არ ითვლება ანუ ვასკვნით, რომ ის, რაც, სისხლისსამართლებრივი გაგებით, დანაშაულია, სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით, შესაძლოა დანაშაულს არ წარმოადგენდეს.

როგორც ვხედავთ, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი ფრიად საგულისხმო დოგმატურ სირთულეს წარმოქმნის. ის, თუ რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს ზემოწარმოდგენილი ანალიზის თეორიული შედეგები, დამოუკიდებელი კვლევის საგანია, რადგან მოკლედ ამის გარკვევა შეუძლებელია.

ამავე დროს, უცილობელი ფაქტია, რომ არაბრალეულობის პრეზუმფცია მეტად პროგრესული შინაარსის მომცველი პრინციპია და, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესის განუყოფელ ელემენტადაც გვევლინება. მოცემული პრინციპი უშუალო აღიარებას პოვებს არაერთი ქვეყნის კონსტიტუციაში. მაგრამ რაში გამოიხატება კონკრეტულად განსახილველი პრინციპის პროგრესულობა ანუ რა ქმნის არაბრალეულობის პრეზუმფციას განვითარებული სისხლის სამართლის პროცესუალური დოქტრინის ატრიბუტად?

არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის შესაბამისად, იგულისხმება, რომ პირი, რომლის ქმედებით დაფუძნებული ფაქტის მიმართაც აღიძრება სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ არაბრალეულია. წმინდად ლოგიკურ ახსნას ეს, რასაკვირველია, არ ექვემდებარება, რადგან ლოგიკურად წარმოუდგენელია, რომ სუბიექტის ეჭვმიტანილად გამოცხადების საფუძველს ქმნიდეს ის, რომ მოცემული სუბიექტი მიიჩნევა არაბრალეულად.

ამასთანავე, ის, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტში სუბიექტი მიიჩნევა არაბრალეულად, მხოლოდ განსაზღვრული პირობითობაა, რომელიც ნაკარნახევია იმით, რომ თავად სუბიექტს კი არ უნდა უწევდეს თავისი არაბრალეულობის მტკიცება, რასაც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ბრალეულობის პრეზუმფციის შემთხვევაში, არამედ პირიქით, სახელმწიფომ უნდა იტვირთოს მისი ბრალეულობის დამტკიცება. სხვაგვარად რომ იყოს, ბუნდოვანი იქნებოდა ისეთი სახელმწიფო ორგანოს არსებობის მიზანი, როგორიც არის პროკურატურა, რომლის უმთავრეს ფუნქციასაც სწორედ ეჭვმიტანილის (შემდგომ კი ბრალდებულის, განსასჯელის) სისხლისსამართლებრივი დევნა შეადგენს. ამასთან, სასამართლო, ვიდრე აღიარებს სუბიექტის ბრალეულობას, სათანადოდ უნდა გაერკვეს იმაში, არის თუ არა

გამორიცხული ყოველი ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც შესაძლოა მეტყველებდეს ბრალდებულის არაბრალეულობაზე; ყოველგვარი ეჭვი, მოცემული თვალსაზრისით, განსასჯელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ხოლო მთელი ეს პროცედურა მიმართულია იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ გამოირიცხოს არაბრალეულ პირთა დასჯა, თუმც ამის შედეგად გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ფაქტობრივად ბრალეულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ თავი აარიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მაგრამ ამ არჩევანის სისწორეში მხოლოდ უკიდურესად ტოტალიტარული მმართველობის პირობებში თუ მოხერხდება რაიმე ეჭვის შეტანა. თანაც ძნელი არ არის იმის განსაზღვრა, თუ რაოდენ უფრო არასასურველ ვითარებასთან გვექნებოდა საქმე ბრალეულობის პრეზუმფციის შემთხვევაში: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ სუბიექტთა მნიშვნელოვანი ნაწილი უძლური აღმოჩნდებოდა დაესაბუთებია თავისი ბრალეულობა, თუმცაღა ბრალეულ სუბიექტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ამჯერად უდავოდ გაუძნელდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევა. ამრიგად, რათა გაკეთდეს არჩევანი ბრალეულობის პრეზუმფციასა და არაბრალეულობის პრეზუმფციას შორის, უნდა განისაზღვროს, თუ რა არის თანამედროვე დოქტრინისათვის უფრო მეტად მიუღებელი — დიდი რაოდენობის ფაქტობრივად ბრალეულ პირთა დაუსჯელობა თუ თითქმის იმავე რაოდენობის არაბრალეულ სუბიექტთა დასჯა. ვფიქრობთ, აქ ყველაფერი ნათელია.

მაგრამ რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ კანონმდებელი არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას უკავშირებს, სამოქალაქო სამართლის პროცესში კი ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპს მიმართავს.

ამის თაობაზე პროფ. გ. ნაჭყებია აღნიშნავს: „დავაკვირდეთ სამოქალაქო სამართალში მოვლენათა განვითარების ლოგიკას: სამართალდარღვევა, როგორც წესი, შეუქცევადია, მაშასადამე, აზრი აქვს მისი სრული გაბათილების მოთხოვნას. ამ ფაქტს კი ლოგიკურად უკავშირდება დასკვნა, რომ ზიანის მიმყენებელი, როგორც წესი, ბრალეულია იქამდე, სანამ არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. სისხლის სამართალში შებრუნებული ვითარებაა, რის გამოც, ამ მხრივ, სამართლის ამ ორ დარგს შორის ანალოგია შეუძლებელია. თუ ამ ანალოგიას დავუშვებთ, მაშინ სისხლის სამართალში უნდა მოქმედებდეს ბრალეულობის პრეზუმფცია. მაგრამ მაშინ სისხლის სამართალი ძირეულად დაუპირისპირდებოდა სისხლის სამართლის პროცესს და მათ შორის უწინააღმდეგო ურთიერთობა შეუძლებელი იქნებოდა”.102

ამ შედარებიდან გარკვევით ჩანს, რომ არ არსებობს მოცემულ კონტექსტში სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალს შორის პარალელების ძიების ლოგიკური შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად მიზანს

შეადგენს მოვალის იძულება, შეასრულოს სამოქალაქო სამართლის ნორმით ან ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება, რაც კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენას გულისხმობს. ხოლო რამდენადაც აქ მთავარი კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენაა, გასაგებია, რომ სამოქალაქო სამართლის ინტერესებს სწორედ ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი პასუხობს, რამეთუ ამ შემთხვევაში კრედიტორის დარღვეული უფლებების აღდგენის გაცილებით უფრო ვრცელი შესაძლებლობა მოიპოვება, ვიდრე არაბრალეულობის პრეზუმფციის შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს თავად მოუწევდა ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის დამტკიცება.

მაგრამ ასევე გასაგებია ისიც, რომ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა, თუ არაბრალეულობის პრეზუმფციის შემოღების შემთხვევაში სამოქალაქოსამართლებრივ დევნას დავაკისრებდით არა თვით დაზარალებულს, არამედ საამისოდ სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო ორგანოს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არც ერთი ქვეყნის სამართლებრივ პრაქტიკაში მსგავს პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია. როგორც ჩანს, ეს დასაცავი ინტერესის სახეობით არის პირობადებული — სისხლის სამართლის ამოცანას, როგორც წესი, საჯარო ინტერესის დაცვა შეადგენს, სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ობიექტი კი ცალკეული მოქალაქის კერძო ინტერესია (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დარღვევა იწვევს).

ბუნებრივია, მოცემულ თვალთახედვაში ბევრი რამ შესაძლოა იყოს სადავო. მაგრამ, სხვა მხრივ, არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს ის, რომ როდესაც ჩვენს წინაშეა დილემა იმის შესახებ, თუ რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა — იმას, რომ ზიანის მიმყენებელ პირს დაევალოს თავისი არაბრალეულობის დასაბუთება თუ დაზარალებულს დაეკისროს ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის დამტკიცება, არჩევანი ამ პირველი შესაძლებლობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. ეს ერთნაირად წარმოადგენს როგორც სამართლიანობის, ისე რაციონალურობის ელემენტარულ მოთხოვნას. ამიტომაც ის ფაქტი, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესში, განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესისაგან, დამკვიდრებულია ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, არამც და არამც არ მიგვითითებს სამართლის ამ ორი დარგის არათანაბარ განვითარებულობაზე.

ვეხებით რა არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპს, უთუოდ უნდა გამოვყოთ სხვა ფრიად საგულისხმო მომენტიც, რომელიც შეეხება მოცემული პრინციპის მიმართებას ე. წ. დანაშაულის კლასიკურ სქემასთან ანუ გერმანულ სისხლის სამართალში მიღებულ დანაშაულის სისტემასთან. ჩვენთვის ამ პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ დანაშაულის კლასიკური სქემა ბოლო რამდენიმე

წლის განმავლობაში სწრაფი ტემპებით იმკვიდრებს ადგილს ქართულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში. მაგრამ რაში მდგომარეობს თვით პრობლემის არსი? იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბრალეულობის პრეზუმფცია და დანაშაულის კლასიკური სქემა ორი ურთიერთშეუთავსებელი ცნებაა, რასაც აქამდე არც ერთი კრიმინალისტის არანაირი დაინტერესება არ გამოუწვევია.

როგორც ჩვენ მიერ ზემოთ აღინიშნებოდა, დანაშაულის კლასიკურ სქემაში ანუ დანაშაულის სამნიშნა ცნებაში სუბიექტური ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების შემდეგი ძირითადი ეტაპები გამოიყოფა: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

მაგრამ ეს, როგორც შევნიშნეთ, დანაშაულის კლასიკური სისტემის მხოლოდ ძირითადი ეტაპებია, ხოლო თუ შევეცდებით მის დაწვრილებით ანალიზს, აღმოჩნდება, რომ განსახილველი სისტემა ხუთი სისტემატიკური საფეხურისაგან არის შემდგარი, სადაც, გარდა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისა, წარმოდგენილია აგრეთვე ორი შუალედური ეტაპიც — მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა, რომელიც მოსდევს პირველ ძირითად საფეხურს, და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არ არსებობა, რომელიც მოქცეულია მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საფეხურებს შორის. რაც მთავარია, მოცემულ თეორიას საფუძვლად უდევს ე. წ. წესისა და გამორიცხვის პრინციპი, რომლის თანახმადაც, ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ აღიარებისათვის აუცილებელია გამოირიცხოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, მართლსაწინააღმდეგოდ დაკვალიფიცირებული ქმედების ბრალეულად აღიარება ასევე მოითხოვს ბრალის გამომრიცხველი ამა თუ იმ გარემოების არსებობის გამორიცხვას.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ, უშუალოდ დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ეს მეტად ხელსაყრელი, უაღრესად მოხერხებული სისტემაა, რაც ადვილად დასტურდება ნებისმიერი დანაშაულის მაგალითზე. ვთქვათ, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია იმ რომელიმე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სხეულის განზრახ დაზიანებას. მას შემდგომ, რაც დადგენილ იქნება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, გამოძიების ამოცანად წარმოგვიდგება იმის გარკვევა, იმყოფებოდა თუ არა ეჭვმიტანილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. თუ გამოძიებით დადგინდა, რომ ეჭვმიტანილის მიმართ არ განხორციელებულა უკანონო თავდასხმა, მისი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება მექანიკურად დაკვალიფიცირდება როგორც მართლსაწინააღმდეგო. ხოლო რათა ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება მიჩნეულ იქნეს ბრალეულად, გამოძიებით ასევე უნდა დადგინდეს ის, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში

ეჭვმიტანილი არ იყო არც შეურაცხადი და არც სათანადო ასაკს მიუღწეველი[0]*, აგრეთვე ადგილი არ ჰქონია შეცდომას, ე. ი. ამჯერად უნდა გმოირიცხოს ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა.

მაგრამ ზემოაღნიშნულის თანახმად, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა აქ მართლწინააღმდეგობის ინდიცირების საფუძველია, ისევე როგორც მართლწინააღმდეგობა — ბრალისა. და ეს მხოლოდ ჩვენი ლოგიკური ანალიზის შედეგი როდია. ამას პირდაპირ აღიარებენ ნორმატივისტული მოძღვრების წარმომადგენლებიც. ასე მაგალითად, იხილავს რა ბრალისა და უმართლობის სისტემატიკურ ურთიერთობას, ჰ.-ი. რუდოლფი აღნიშნავს: „ბრალის ცნებით მოცული გაკიცხვა მუდამ უნდა შემოიფარგლებოდეს კონკრეტული, სუბიექტის მიერ განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობით. ამიტომ *უმართლობა* წარმოადგენს *ბრალის ცნებით მოცული გაკიცხვის აუცილებელ წინამძღვარს*. რადგან, ჩვენი სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობის მოცემულობისას ბრალის ცნებით მოცული გაკიცხვა არ მოიცემა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (ბრალუუნარობის, დაუძლეველი იურიდიული შეცდომის ან მისატევებელი მიზეზის (Entschuldigungsgrund) არსებობისას), ის ბრალის ინდიცირების საფუძვლადაც კი წარმოგვიდგება".103

ეს კი ნიშნავს, რომ განსახილველი თეორიისათვის იმანენტურია დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად პრეზუმირება.

როდესაც ვამბობთ, რომ სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალეულია, თუ არ დადგინდა ბრალის გამომრიცხველი განსაზღვრული გარემოების არსებობა, სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, გამოძიების დროს თანაბარი ყურადღება უნდა ექცეოდეს საქმის ირგვლივ როგორც ბრალის გამომრიცხველი, ისე ბრალის დამაფუძნებელი გარემოებების ძიებას, მაგრამ იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ საგამოძიებო ორგანოები იქმნება არა იმ მიზნით, რომ მათ სუბიექტის არაბრალეულობა ამტკიცონ (არაბრალეულობის პრეზუმფციის გამო სისხლისსამართლებრივად ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობს), არამედ მათი თავიდათავი ამოცანა სწორედ ბრალის დადგენაა, რაც თავის გამოხატულებას პოვებს იმაში, რომ აღნიშნული ორგანოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესუალურ ფუნქციას სისხლისსამართლებრივი დევნა შეადგენს. და ამაში არაფერი შეიძლება იყოს სადავო. მაგრამ თუ ვაღიარებთ არაბრალეულობის პრეზუმფციას, აუცილებელია ასევე ერთმნიშვნელოვნად ვცნოთ ისიც, რომ ბრალის

---

* აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კრიმინალისტი სათანადო ასაკის მიუღწევლობას შეურაცხადობის ნაირსახეობად განიხილავს — მაგალითად, პროფ. ო. გამყრელიძე, (იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, „პარლამენტის უწყებები", თბილისი, 1996, №11).

დადგენა უნდა ხორციელდებოდეს ხსენებული პრინციპის ხელყოფის გარეშე.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ წესისა და გამორიცხვის მეთოდი, ბრალის დადგენის თვალსაზრისით, უაღრესი პოზიტიურობით გამოირჩევა, ის საბოლოო ჯამში მაინც კატეგორიულად მიუღებელია, რადგან თავისი ბუნებით აშკარად ეწინააღმდეგება არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპს, რაც, თავის მხრივ, მიუღებელს ქმნის აგრეთვე ზოგადად დანაშაულის კლასიკურ სქემასაც და, მაშასადამე, მიგვითითებს ამ უკანასკნელის სრულყოფის საჭიროებაზე.

ამასთანავე, დანაშაულის ნორმატივისტული მოდელის ორთოდოქსმა მომხრეებმა ზემოწარმოდგენილ თვალთახედვას შესაძლოა შემდეგი არგუმენტაცია დაუპირისპირონ: ერთი მხრივ, წესისა და გამორიცხვის მეთოდის არაადეკვატური მიმართება არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპთან წარმოგვიდგინონ როგორც წმინდად ფორმალური წინააღმდეგობა, მეორე მხრივ კი, განაცხადონ, რომ შეუძლებელია სისხლის სამართალმა სისხლის სამართლის პროცესს მიაწოდოს დანაშაულის ისეთი სისტემა, რომელიც თანაბრად უპასუხებდა როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე არაბრალეულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს და სრულიად გამორიცხავდა ამ ორი მომენტის თანამოცემულობის პირობებში ყოველგვარი კონტრადიქტორულობის აღმოცენებას.

იმის დასაბუთება, რომ კლასიკური სქემის ფარგლებში განსახილველი თვალსაზრისით არსებული წინააღმდეგობრიობა წმინდად ფორმალური არ არის, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, თუ შევეცდებით კლასიკური სქემის უფრო საფუძვლიანად მიმოხილვას, აღმოჩნდება, რომ აღნიშნული წინააღმდეგობრიობა გაცილებით უფრო ღრმა და მასშტაბურია, ვიდრე ჩვენ ამაზე ზემოთ მივუთითებდით. ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ აღიარების შემდგომ აქ, როგორც ვიხილეთ, დგინდება ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა, რასაც მექანიკურად მოსდევს სუბიექტური ქმედების ბრალეულად აღიარება, ე. ი. დანაშაულის ნორმატიულ სისტემაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა უკვე ნიშნავს ბრალის არსებობას.

მაშასადამე, გამოდის, რომ მას შემდეგ, რაც დავადგენთ შეცდომის, შეურაცხადობის და სათანადო ასაკის მიუღწევლობის არარსებობას, თავისთავად, ყოველგვარი დამატებითი ანალიზის გარეშე უნდა ვიგულისხმოთ სისხლისსამართლებრივი განზრახვის (ან გაუფრთხილებლობის) მოცემულობა, მიზნის, მოტივისა და ბრალის სფეროში შემავალი სხვა სუბიექტური ელემენტების გარკვეულობა!

სინამდვილეში კი ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა მოწმობს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ არ არის გამორიცხული კონკრეტული სუბიექტური ქცევის ბრალეულად აღიარების შესაძლებ-

ლობა, რის შედეგადაც წარმოიშობა უშუალოდ ბრალისა და ბრალის დამაფუძნებელი გარემოებების კვლევის საფუძველი.

ხოლო იქ, სადაც საუბარია ბრალის არსებობაზე მაშინ, როდესაც მოცემულია მხოლოდ ბრალის არსებობის შესაძლებლობა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს არაბრალეულობის პრეზუმფციის არა უბრალოდ უხეშ ან, მით უფრო, ფორმალურ დარღვევას, არამედ სახეზეა მისი აბსოლუტური უარყოფა და ბრალეულობის პრეზუმფციის აღიარება.

რაც შეეხება პრობლემის მორიგ ასპექტს, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და არაბრალეულობის პრეზუმფციის ურთიერთშეთავსება მართლაც წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს. როდესაც ერთდროულად მოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვის ვალდებულება, ამას, ერთი შეხედვით, შემდეგი სახის ალოგიკურ დასკვნებამდე მივყავართ: საგამოძიებო ორგანო ცდილობს დაადგინოს ეჭვმიტანილის ბრალეულობა იმდენად, რამდენადაც მას ეს უკანასკნელი მიაჩნია არაბრალეულად (!) ან, უკეთეს შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანო ცდილობს დაადგინოს ეჭვმიტანილის ბრალეულობა, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილი მას მიაჩნია არაბრალეულად (?!).

მაგრამ მსგავსი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაბრალეულობის პრეზუმფციას აღვიქვამთ პირდაპირი მნიშვნელობით, უბრალოდ როგორც სუბიექტის არაბრალეულად უპირობო პრეზუმირებას და არა იმგვარად, როგორც ეს მოცემული ცნების რეალური სისხლისსამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომლის შესაბამისადაც არაბრალეულობის პრეზუმფცია განსაზღვრული პირობითობის მომცველი პროცესუალური პრინციპია.

ხსენებული პირობითობა კი იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტი არაბრალეულად მიიჩნევა მანამ, სანამ არ დადგინდება მისი ბრალეულობა და მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში. ხოლო ამის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა და მთლიანად ბრალის დადგენის პროცესი არამცთუ არ არის ლოგიკურად შეუთავსებელი არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპთან, არამედ უშუალო ასახვას პოვებს თვით ამ უკანასკნელი ცნების ფარგლებში.

უკეთ რომ ვთქვათ, არაბრალეულობის პრეზუმფცია, მისი ჭეშმარიტი დოგმატური შინაარსის მიხედვით, ერთდროულად გულისხმობს სუბიექტის არაბრალეულად მიჩნევასა და მისი ბრალეულობის შესაძლებლობის დაშვებას, რასაც განსახილველი პრინციპი სრულ ლოგიკურ შესაბამისობაში მოჰყავს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასთან.

იმის გარკვევა, წარმოშობს თუ არა თვით სუბიექტის არაბრალეულად მიჩნევა და მისი ბრალეულობის შესაძლებლობის დაშვება ლოგიკურ წინააღმდეგობას, საკმაოდ მარტივი ამოცანაა. როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის შინაარსიდან ჩანს, აქ საუბარია (სუბიექტის არაბრალეულად) არა რამეგვარად დასაბუთებულ, არამედ

მხოლოდ პირობით მიჩნევაზე, ამიტომაც სუბიექტის არაბრალეულად პრეზუმირების პარალელურად მისი ბრალეულობის შესაძლებლობის დაშვება ლოგიკურად მიუღებელი ვერ იქნება. სხვაგვარად რომ იყოს, ე. ი. სუბიექტის არაბრალეულად მიჩნევასთან ერთად მისი ბრალეულობის შესაძლებლობაც რომ გამოირიცხებოდეს, მაშინ მივიღებდით არაბრალეულობის არა პრეზუმფციას (ანუ ვარაუდს), არამედ მტკიცებას და ამით უბრალოდ კი არ გავცილდებოდით არაბრალეულობის პრეზუმფციის ცნებასაც, არამედ სრული შეუსაბამობის წინაშეც აღმოვჩნდებოდით.

ამრიგად, ირკვევა, რომ სისხლის სამართალს საზოგადოდ სავსებით ძალუძს ჩამოაყალიბოს დანაშაულის ისეთი სისტემა, რომელიც თანაბრად მოიყვანება შესაბამისობაში ორივე ზემოწარმოდგენილ პროცესუალურ ცნებასთან. მაგრამ შესაძლებელია კი დანაშაულის კლასიკური სქემის იმგვარად ტრანსფორმირება, რომ მოცემული სისტემის ძირითად თავისებურებათა ხელყოფის გარეშე დაძლეულ იქნეს მისი წინააღმდეგობრივი მიმართება არაბრალეულობის პრეზუმციის პრინციპთან?

ვფიქრობთ, ეს სავსებით შესაძლებელია. რაოდენ უჩვეულოდაც არ უნდა ჟღერდეს, ზემოწარმოებული ანალიზიდან თვალნათლივ იკვეთება, რომ მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის ნორმატივისტულ ცნებაში მოკლებულია დამოუკიდებელ სისტემატიკურ მნიშვნელობას და, ამდენად, ისინი სრულიად გაუმართლებლად არის გამოყოფილი როგორც ძირითადი სისტემატიკური საფეხურები.

მართლაც, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის შემდგომ აქ ძირითადი აქცენტი მოქცეულია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობის ეტაპებზე, ხოლო საკუთრივ მართლწინააღმდეგობა და ბრალი წარმოდგენილია როგორც ამ უკანასკნელი ეტაპებიდან თვითგამომდინარე, სისტემატიკურად უშინაარსო საფეხურები.

საკითხის პოზიტიური გადაჭრა კი დამოკიდებულია სწორედ იმაზე, რომ დანაშაულის კლასიკურ სქემაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ძირითად საფეხურებად აღიარება უნდა ატარებდეს რეალურ და არა დეკლარაციულ, არა ნომინალურ ხასიათს, რისთვისაც აუცილებელია ორთავე ცნების მატერიალური ასპექტის სათანადო წარმოჩენა დანაშაულის სისტემაში და მათი სისტემატიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

ეს, თავის მხრივ, გულისხმობს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის, როგორც სისტემატიკური საფეხურების, დამოუკიდებელი კვლევის ობიექტებად გამოყოფას. და ყოველივე ამის შემდგომ უკვე შორს ვიქნებით ისეთი ვითარებისაგან, რომლის დროსაც არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის საწინააღმდეგოდ მოგვიწევდა ბრალის ცნების ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობასთან გაიგივება.

როგორც ვხედავთ, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის აღიარება სისხლის სამართლის პროცესში განმსაზღვრელად ზემოქმედებს სისტემატიკაში ბრალის როგორც შინაარსზე, ისე ადგილსა და მნიშვნელობაზე. ხოლო ის, რომ ბეკარია სათანადო ყურადღებას არ უთმობს მოცემული პრობლემის გაშუქებას, არც არის გაუგებარი. მისთვის თანამედროვე სისხლის სამართლის დანაშაულის სისტემა ჯერ კვლავაც მოკლებულია მკაცრ თეორიულ მოწესრიგებულობას: აქ ჯერ არც სისტემატიკური თანამიმდევრულობის პრინციპია აღიარებული და არც დანაშაულის ცალკეულ ელემენტთა ჯეროვან დიფერენცირებას აქვს ადგილი.

ასეთ პირობებში კი, ცხადია, ბრალისა და არაბრალეულობის პრეზუმფციის ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთობის კვლევას ძნელად თუ მოეძებნებოდა რაიმე პერსპექტივა.

დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტი იმდენად მყარად არის დამკვიდრებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, რომ არც კი არავინ ფიქრობს იმის თაობაზე, თუ რამდენად მოიყვანება შესაბამისობაში მოცემულ ინსტიტუტთა არსებობა იმ სახით, რა სახითაც ის წარმოდგენილია თეორიასა თუ პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის ძირითად პრინციპებთან და, კერძოდ კი, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპთან. ეს თანაბრად შეეხება როგორც საქართველოს, ისე ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესს.

იმთავითვე შევნიშნავთ, რომ დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტი აშკარად ეწინააღმდეგება არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის არსს.

არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის მიხედვით, სუბიექტი ითვლება არაბრალეულად მანამ, სანამ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში. მაგრამ თუ სუბიექტი აღნიშნულ მომენტამდე მიიჩნევა არაბრალეულად, შეიძლება ის ამ მომენტის დადგომამდე იმდენად შევზღუდოთ თავის უფლებებში, რომ მისთვის თავისუფლების აღკვეთასაც კი არ მოვერიდოთ?

როდესაც სახელმწიფო სუბიექტის მიმართ ახორციელებს დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის უფლებას, იმის პრეზუმირება ხდება, რომ სუბიექტი თავს აარიდებს მართლმსაჯულებას და ამით ხელი შეეშლება მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას.

მართალია, როდესაც სასამართლო იხილავს წინასწარი პატიმრობის საკითხს, ის ვალდებულია სრულყოფილად შეისწავლოს საქმის ირგვლივ არსებული როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მონაცემები, ჯეროვნად შეაფასოს თვით სუბიექტის პიროვნება და მხოლოდ ამის შედეგად წყვეტს პოზიტიურად წინასწარი პატიმრობის საკითხს. მაგრამ სწორედ აქედანვე გამომდინარეობს ისიც, რომ სოაბოლოო ჯამში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსახილველი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საკითხი წყდება მხოლოდ საშიშროების სიბრტყეზე ანუ იმ ვარაუდის საფუძველზე,

რომ სუბიექტმა შეიძლება თავი აარიდოს მართლმსაჯულების ორგანოებს საქმის გამოძიების პროცესში.

მაგრამ თუ სუბიექტი მიიჩნევა არაბრალეულად, მას იმის უფლებაც უნდა ჰქონდეს, რომ მის მიმართ არ ექნება ადგილი იმის პრეზუმირებას, რომ ის თავს აარიდებს მართლმსაჯულებას. დაუშვებელია, რომ, ერთი მხრივ, ხდებოდეს სუბიექტის არაბრალეულად პრეზუმირება, ხოლო, მეორე მხრივ, მიიჩნეოდეს, რომ ის თავს არიდებს მართლმსაჯულებას და ამ მოტივით შესაძლებელი ხდებოდეს მისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდება. პირიქით, როდესაც პირის მიმართ გამოიყენება წინასწარი პატიმრობა, ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ფაქტობრივად ადგილი აქვს ამ პირის ბრალეულად პრეზუმირებას. არსებითად იგივე შეეხება დაკავების ინსტიტუტსაც.

მაგრამ სხვაგვარადაც რომ იყოს, სახელმწიფო მაინც ვერ დაიტოვებს განსახილველ ინსტიტუტთა გამოყენების უფლებას. სუბიექტი, თუ ის ბრალეულად ანუ ნებისმიერად არ ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, უნდა ფლობდეს იმის აბსოლუტურ, ყოვლად ხელშეუვალ გარანტიას, რომ სოახელმწიფო მას არ აღუკვეთს თავისუფლებას, თუნდაც ყველაზე მცირე ვადით! არაბრალეული პირის დაკავება, მის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება მნიშვნელოვნად სცემს დაბლა მისი მართლშეგნების დონეს, განაწყობს მას აშკარად აგრესიულად სახელმწიფოს მიმართ, რაც ვერანაირ გამართლებას ვერ პოვებს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით.

და აქ უკვე პირდაპირ უნდა გამოვყოთ ის ორი ძირითადი მომენტი, რომელიც უპირისპირდება ერთმანეთს განსახილველი პრობლემის ფარგლებში: ერთი მხრივ, სახელმწიფო, ცდილობს რა შეუფერხებლად განახორციელოს მართლმსაჯულება, იყენებს წინასწარ პატიმრობას (ან შესაბამის შემთხვევაში დაკავებას) მაშინ, როდესაც მოიცემა საქმის განხილვის პროცესში სუბიექტის არაადეკვატური საქციელის ალბათობა, ხოლო, მეორე მხრივ, სუბიექტს ამის შედეგად ჩამოერთმევა მართლზომიერი ქცევის შესაძლებლობა.

რომ არა დოგმატიზმი, გაბატონებული სამართლებრივი ტრადიციების ბრმა, ინერციული მხარდაჭერა, თითოეული კრიმინალისტი უყოყმანოდ უნდა აღიარებდეს, რომ პირველი მომენტისათვის უპირატესობის მინიჭება თეორიულად დაუშვებელია.

თუ თანამედროვე სისხლის სამართალი განვითარებული დემოკრატიისა და ამის შედეგად ჩამოყალიბებული იდეალების სამსახურში დგას, არ შეიძლება ის ასე უპირობოდ ანუ სუბიექტის მხრიდან რეალური წინააღმდეგობის გაუწევლობისას აღუკვეთდეს მას თავისუფლებას.

თუ ვაღიარებთ, რომ ერთი არაბრალეული პირის დაუსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალი ბრალეული პირის დასჯა, მაშინ დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის დროს რატომ არ მივიჩნევთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია იმ ნაკლები რაოდენობის პირთა დაუკავებლობა ან წინასწარ პატიმრობაში მიუცემლობა, რომლებიც ფაქტობრივად თავს არ აა-

რიდებდნენ მართლმსაჯულებას, ვიდრე იმ უმეტესობის დაკავება ან წინასწარ პატიმრობაში მიცემა, რომელიც მართლაც უხეშად შეეწინააღმდეგებოდა მართლმსაჯულების განხორციელებას? განა ამ ორი პრინციპის არსი ძირეულად არ ეწინააღმდეგება ერთიმეორეს?

შეიძლება თანამედროვე საზოგადოებისათვის იყოს მისაღები ისეთი სისხლის სამართალი, რომელიც მოქალაქეს, რომლის არაბრალეულობა შემდგომში თვით სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენში ირკვევა, თვეობით ამყოფებდეს წინასწარ პატიმრობაში? ეს მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენებაა!

რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს იმის ალბათობის ხარისხი, რომ სუბიექტი თავს აარიდებს მართლმსაჯულების ორგანოებს, მას არ შეიძლება არ დავუტოვოთ მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობა. დროა თანამედროვე სისახლისსამართლებრივმა აზრმა აღიაროს ამ მომენტის თავისთავადობა.

რასაკვირველია, არასწორი იქნებოდა უკანასკნელი მომენტის პრიმატის აღიარების შედეგად წარმომდგარ პროცესუალურ სირთულეთა უგულებელყოფა.

დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტთა გაუქმების შედეგად, ფაქტობრივად, ბრალეულ სუბიექტთა დიდი ნაწილი მართლაც შეეცდებოდა მართლმსაჯულების დროული განხორციელების შეფერხებას. მაგრამ განა ნებისმიერი კეთილსინდისიერი მოაქალაქე, რომელიც მართლშეგნების მაღალი დონის მატარებელია და რომლის მიზანსაც კანონის აბსოლუტური მორჩილება შეადგენს, არ არჩევს, რომ გაეზარდოს გადასახადების ოდენობა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში ხელი შეეწყოს მართლმსაჯულების დროულ განხორციელებას, ვიდრე გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა სპონტანური თანხვედრის შედეგად თავადვე მოუწიოს დაკავებულის ან წინასწარ პატიმრობაში მყოფის მდგომარეობაში აღმოჩენა, რაც უმეტეს შემთხვევაში, ნიშნავს მისთვის არა უბრალოდ განსაზღვრული უფლებების შეზღუდვას, არამედ აგრეთვე მის ფსიქიკაზე დამამცირებელ, უხეშად შეურაცხმყოფელ ზემოქმედებასაც?

მაგრამ რა თეორიული შედეგები შეიძლება მოსდევდეს ჩვენ მიერ ყოველივე ზემოაღნიშნულს?

აქ უმთავრესად უნდა გამოიყოს ის, რომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია არა ზოგადად დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ინსტიტუტის, არამედ მხოლოდ მისი ამჟამად არსებული სახის გაუქმება.

ხოლო დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ახალი სახე უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ ამ ინსტიტუტთა გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი რეალურად ცდილობს ან უკვე სცადა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თავის არიდება.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო უკვე კი არ ჩამოართმევს სუბიექტს მართლზომიერი ქცევის შესაძლებლობას, როგორც ამას დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის თანამედროვე სახის შემთხვევაში აქვს ადგილი, არამედ აკავებს ან აპატიმრებს მას სწორედ მართლზომიერი ქცევის შე-

საძლებლობის პირობებში არამართლზომიერად მოქმედებისათვის. ამიტომ აქ სახელმწიფოს უფლება დაკავებასა და წინასწარ პატიმრობაზე უკვე სავსებით მყარ თეორიულ საფუძველს იძენს.

სასჯელის მიზნები

ბეკარია უშუალოდ სასჯელის შესახებ თეორიასაც აყალიბებს და, ამ მხრივაც, შემოაქვს სისხლის სამართლის თეორიაში მრავალი საგულისხმო სიახლე. თავისი ნაშრომის მეთორმეტე პარაგრაფში, რომლის სათაურია „სასჯელთა მიზანი", ბეკარია მიუთითებს: „სასჯელის მიზანი... სხვა არაფერია, თუ არა დამნაშავისათვის ხელის შეშლა ჩაიდინოს ახალი მის თანამოქალაქეთათვის მავნე ქმედებები და მსგავსი ქმედებების ჩადენისაგან სხვათა მიერ თავის შეკავების უზრუნველყოფა. ამიტომ გამოყენება უნდა /პოვოს ისეთმა სასჯელებმა და მათი აღსრულების ისეთმა ხერხებმა, რომლებიც იქნებოდა ჩადენილ დანაშაულთა პროპორციული, მოახდენდა მაქსიმალურად ძლიერ და ხანგრძლივ შთაბეჭდილებას ადამიანთა გონებაზე და მიაყენებდა დამნაშავეს მინიმალურ ფიზიკურ ტანჯვას (la meno tormentosa sul corpo del reo)".104 აქედან გამომდინარე, ბეკარია უარყოფს რეპრესიას როგორც სასჯელის დამოუკიდებელ მიზანს და აფუძნებს მას (სასჯელს) მხოლოდ ზოგად და სპეციალურ პრევენციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პოზიცია მეტ-ნაკლები პრინციპულობით სხვა კრიმინალისტებთანაც პოვებდა განვითარებას. ასე მაგალითად, ოდნავ მოგვიანებით კ. გროლმანი, მსგავსად ბეკარიასი, საერთოდ უარყოფს რეპრესიის პრინციპზე სასჯელის ცნების დაფუძნებას, ა. ფოიერბახი კი, მართალია, ამგვარ უკიდურესობას თავს არიდებს და დამნაშავისათვის სამაგიეროს მიზღვას არ უარყოფს როგორც სასჯელის ცნებით მოცულ ერთ-ერთ კომპონენტს, მაგრამ სასჯელის ძირითად, თავიდათავ დანიშნულებას ის გენერალურ (ზოგად) პრევენციაში ხედავს.

ამავე დროს, ბეკარიასათვის თანამედროვე ეპოქაში სასჯელის ცნება ძირითადად საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა, რომლის ყველაზე აქტიურ მხარდამჭერადაც წარმოგვიდგება კანტი.

ამის შესახებ პროფ. გ. ტყეშელიაძე აღნიშნავს: „სასჯელი, კანტის აზრით, უნდა გამოიყენებოდეს დამნაშავის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ის არ ცნობს სასჯელის უტილიტარულ მიზნებს... კანტი ამტკიცებს, რომ სასჯელს საფუძვლად უნდა დაედოს სამაგიეროს მიზღვის იდეა (идея возмздия), სასჯელი უნდა ეფუძნებოდეს ტალიონის პრინციპს".105

ჩვენი აზრით, კანტის მოცემული მოსაზრება პრინციპულად მიუღებელია როგორც სისხლის სამართლის ბუნებასთან, მის ჭეშმარიტ დანიშნულებასთან სრულიად შეუთავსებელი მტკიცება.

თუ გავიზიარებთ კანტის შეხედულებას და ამის შედეგად მივიჩნევთ, რომ სისხლის სამართლის ძირითად დანიშნულებას დამნაშავის დასჯა

შეადგენს, *აღმოჩნდება, რომ დანაშაულის ჩადენა სისხლის-სამართლებრივად სასურველია*, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის შესაძლებლობა და, ამდენად, სისხლის სამართლის ძირითადი დანიშნულებაც სრულ უსაგნობად, რეალობისაგან მოწყვეტილ უშინაარსო იდეად გადაიქცეოდა.

სინამდვილეში კი ყოველივე, ცხადია, პირიქით არის: დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად სასურველი იმიტომ, რომ სისხლის სამართლის ძირითად დანიშნულებას დანაშაულის თავიდან აცილება ანუ დანაშაულის პრევენცია შეადგენს და არა დანაშაულისათვის დასჯა ანუ რეპრესია. მაგრამ მოწმობს თუ არა ეს იმავდროულად ბეკარიას თვალთახედვის მართებულობას?

თუ შევეცდებით საკითხის გაშუქებას თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან, მივიღებთ, რომ ბეკარიას თვალთახედვაც ასევე მიუღებელია, თუმც ეს როდი მიგვითითებს იმაზე, რომ თანამედროვე დოგმატიკაში პრევენციას უფრო მეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, ვიდრე რეპრესიას.

საქმე კი ის არის, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი სასჯელის მიზნად არ განიხილავს არც მხოლოდ პრევენციას და არც მხოლოდ რეპრესიას, არამედ ასეთად ამ ორივე მომენტის ერთობლიობას ასახელებს; უფრო მეტიც, სასჯელს აქ მესამე დამოუკიდებელი მიზანიც აქვს — დამნაშავის გამოსწორება (ხელახალი აღზრდა). და, რაც მთავარია, თანამედროვე კრიმინალისტთაგან ეჭვი თითქმის არავის შეაქვს მოცემული თვალსაზრისის სისწორეში. მაგრამ რეალურად ამ პოზიციის სისწორე ეჭვშეუვალი როდია.

იმაში, რომ პრევენციაც, რეპრესიაც და დამნაშავის გამოსწორებაც აუცილებლობით უნდა უკავშირდებოდეს სასჯელის თანამედროვე ცნებას, ჩვენთვის არაფერია მიუღებელი, მაგრამ როდესაც საუბარია იმაზე, რომ სასჯელის ცნება მოცემულ კომპონენტებს უნდა მოიცავდეს როგორც სასჯელის მიზნებს, იმთავითვე ისმის საკითხი მათი ამგვარი სახით ლოგიკური ურთიერთშეთავსებადობის შესახებ. ჩვენს ყურადღებას, მოცემული თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, სისხლისსამართლებრივი პრევენცია და თვით სისხლისსამართლებრივი პრევენციის არაერთგვაროვანი მნიშვნელობით გამოყენება იპყრობს, რასაც ადგილი აქვს თითქმის ყველა თანამედროვე ქვეყნის სისხლის სამართლის თეორიაში. ზოგან პრევენცია გამოიყენება დანაშაულის თავიდან აცილების მნიშვნელობით, ზოგან კი პრევენციაში იგულისხმება სისხლის სამართლის ნორმის ადრესატის დაშინება დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

ის, რომ დანაშაულის თავიდან აცილება და დაშინება დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, არსებითად სხვადასხვა სახის კატეგორიებია, მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს. ამიტომ მათი პარალელური მნიშვნელობით მოხსენიება გამართლებული ვერ იქნება. ხოლო თუ რომელიმე მნიშვნელობით უფროა მიზანშეწონილი მოცემული ცნების

გამოყენება, ამაზე თვით ამ ცნების სახელწოდება მიგვითითებს: პრევენცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (*praeventio*) და სწორედ თავიდან აცილებას ნიშნავს.

აქ კი მორიგი დასკვნის საჭიროება წარმოიქმნება, რომლის თანახმადაც დაშინება ანუ ფსიქოლოგიური იძულება, როგორც ეს იწოდება ა. ფოიერბახთან, და პრევენცია ვერ იქნება ერთსა და იმავე დროს სასჯელის ორი დამოუკიდებელი მიზანი, ვინაიდან ამას ლოგიკურად დაუშვებელს ქმნის ფსიქოლოგიურ იძულებასა და პრევენციას შორის ხერხისა და მიზნის ურთიერთობის არსებობა. ამის გამო აუცილებელია სათანადო არჩევანის გაკეთება.

თუ სასჯელის მიზნად მივიჩნევთ ფსიქოლოგიურ იძულებას, მაშინ ფსიქოლოგიური იძულებისა და სისხლისსამართლებრივი პრევენციის ურთიერთობა უდავოდ უნდა გასცილდეს სასჯელის სფეროს ფარგლებს. ამის შედეგად კი შემდეგი თეორიული შესაძლებლობა ისახება: დანაშაულის თავიდან აცილება უნდა შეადგენდეს სისხლის სამართლის არა რომელიმე ცალკეული ინსტიტუტის, არამედ ზოგადად სისხლის სამართლის მიზანს, რა დროსაც სასჯელი როგორც სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტი, მოიცავდა რა თავის ერთ-ერთ ძირითად მიზნად ფსიქოლოგიურ იძულებას, წარმოგვიდგებოდა როგორც ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელების ხერხი. მაგრამ ამგვარი მიდგომა საბოლოო ჯამში აუცილებლად მიგვიყვანდა ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობრიობამდე. თუ სასჯელს განვიხილავთ როგორც სისხლისსამართლებრივი პრევენციის განხორციელების ხერხს, ის ვერ მოიცავს თავის მიზნად ფსიქოლოგიურ იძულებას უკვე იმიტომ, რომ ეს უკანასკნელიც სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის თავიდან აცილების ხერხი. მაშასადამე, თეორიულად გაუმართლებელია ფსიქოლოგიური იძულების სასჯელის მიზნად გამოცხადება.

იცვლება თუ არა ვითარება სასჯელის მიზნად პრევენციის აღიარების შემთხვევაში? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ამჯერად სავსებით შესაძლებელი იქნება ფსიქოლოგიური იძულებისა და პრევენციის ლოგიკური ურთიერთობა სასჯელის სფეროს ფარგლებში. უფრო მეტიც, ეს უკვე თეორიულ აუცილებლობასაც წარმოადგენს. რამდენადაც პრევენცია აქ განიხილება როგორც სასჯელის მიზანი, ფსიქოლოგიური იძულება, როგორც პრევენციის განხორციელების აუცილებელი ხერხი, სასჯელის ცნების კონსტიტუციურ ნიშნად უნდა ვაღიაროთ. აქედან გამომდინარე კი, საგრძნობლად იზრდება ფსიქოლოგიური იძულების მნიშვნელობა სასჯელის ცნებასთან მიმართებაში. მართლაც, იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოლოგიურ იძულებას სასჯელის მიზნად მივიჩნევდით, აღმოჩნდებოდა, რომ სასჯელის მოცემულობა არ იქნებოდა დამოკიდებული ფსიქოლოგიური იძულების განხორციელებაზე, რამეთუ მიზნის მიუღწევლობა არ გამორიცხავს მოვლენის მოცემულობას, რომლითაც ეს მიზანი უნდა მიღწეულიყო, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური იძულება, როგორც სასჯელის ცნების

კონსტიტუციური ნიშანი, სასჯელის მოცემულობის აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელის მომდევნო მიზნად აღიარებულ ელემენტს, რეპრესიას, აქ თავდაპირველად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რეპრესია სისხლის სამართალში არ უნდა განიმარტებოდეს როგორც სამაგიეროს მიზღვა, როგორც ამას ბეკარიასათვის თანამედროვე ეპოქაში ჰქონდა ადგილი. რეპრესია ნიშნავს საკუთრივ დასჯას, ხოლო სამაგიეროს მიზღვა, თავის მხრივ, შესაძლოა წარმოგვიდგეს როგორც რეპრესიის მიზანი.

მაგრამ არც ეს შეიძლება იყოს მისაღები თანამედროვე სისხლის სამართლისთვის. სისხლის სამართალში დაცვის უშუალო ობიექტია არა (დაზარალებულის) კერძო, არამედ საჯარო ინტერესი. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ დაზარალებულს შესაძლოა სულაც არ სურს დამნაშავის დასჯა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისათვის (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს ე. წ. კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიასთან). ამასთანავე, იძულებით ღონისძიებას სასჯელის სახით ახორციელებს არა თავად დაზარალებული, არამედ სახელმწიფო.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ითვალის-წინებს დამნაშავის დასჯას სახელმწიფოს მიერ საჯარო ინტერესის დარღვევისათვის და არა დაზარალებულის მიერ თავისი ინდივიდუალური ინტერესის ხელყოფის გამო. ეს კი პრინციპულად სხვადასხვა რამ არის.

თუ უკანასკნელ შემთხვევაში რეპრესია სავსებით შესაძლებელია ემსახურებოდეს სამაგიეროს მიზღვის მიზანს, პირველ შემთხვევასთან მიმართებაში ეს სრულიად გამორიცხულია. ასე მაგალითად, სხეულის განზრახ დაზიანების დროს კერძო ინტერესის დარღვევა გამოიხატება საკუთრივ სხეულის დაზიანებაში, რა დროსაც საჯარო ინტერესი დარღვეულად ითვლება იმდენად, რამდენადაც მოცემული ქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნებს, ე. ი. არღვევს სისხლის სამართლის ნორმას და თუ დაზარალებულს უჩნდება დამნაშავისთვის სამაგიეროს მიზღვის სურვილი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას აღეძვრება შურისგების ინსტინქტი, მაგრამ, ჯერ ერთი, სახელმწიფოსათვის ხომ უცხოა ყოველგვარი ინსტინქტი და, მეორეც, ის არც დაზარალებულის ფსიქიკაში აღმოცენებული ინსტინქტებით შეიძლება ხელმძღვანელობდეს, რადგან სახელმწიფო, როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, სჯის დამნაშავეს არა დაზარალებულის ინდივიდუალური ინტერესის დარღვევისათვის, რაც განსახილველ შემთხვევაში ამ უკანასკნელის სხეულის დაზიანებაში აისახა, არამედ საჯარო ინტერესის ხელყოფისათვის, რაც სისხლის სამართლის ნორმის დარღვევაში გამოიხატება.

ამავე დროს, აქვე თვალნათლივ ირკვევა ისიც, თუ რატომ არ არსებობს სისხლის სამართალში ტალიონის პრინციპის დამკვიდრების ლოგიკური საფუძველი (სამაგიეროს მიზღვის პრინციპის აღიარებას ხშირად სწორედ

ტალიონის პრინციპის აღიარებამდე მივყავართ და ამის თვალსაჩინო მაგალითი კანტის შემოქმედებაა). რადგან სისხლის სამართალში დამნაშავე პასუხს უნდა აგებდეს სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის ნორმის დარღვევაში გამოხატული საჯარო ინტერესის დარღვევისათვის და არა დაზარალებულის წინაშე მისი ინდივიდუალური ინტერესის ხელყოფის გამო, წარმოუდგენელია არა მხოლოდ ის, თუ რაში შეიძლება გამოიხატოს სისხლის სამართალში ტალიონის პრინციპის მიზანშეწონილობა, არამედ ისიც, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ტალიონის პრინციპი სისხლის სამართალში.

მაგრამ მთავარი მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, არის ის, რომ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისიდან გამომდინარე, სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება შეადგენდეს სისხლისსამართლებრივი რესპრესიის მიზანს. ამასთანავე, ჩვენ ასევე გარკვევით მივუთითეთ იმაზეც, რომ დაუშვებელია რეპრესიის ცნების სამაგიეროს მიზღვის ცნებასთან გაიგივება. მაგრამ უშუალოდ იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა წარმოადგენდეს რეპრესია სასჯელის მიზანს, ჯერ არაფერი აღგვინიშნავს. თუმც ზემოწარმოებული ანალიზის ფარგლებში არც იმის დანახვაა ძნელი, რომ მოცემული პოზიციის დასაბუთება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.

ვთქვათ, გაბატონებულ მოძღვრებაში დამკვიდრებული მოსაზრება მართებულია და რეპრესია მართლაც უნდა განიხილებოდეს როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, მაგრამ მაშინ რა ქმნის სასჯელის შინაარსს ანუ რა არის თვით სასჯელი? სრულიად აშკარაა, რომ რესპრესიის აღიარება სასჯელის მიზნად ამ უკანასკნელის შინაარსის უკიდურეს დამახინჯებას ნიშნავს. ასე მაგალითად, თუ ვიხელმძღვანელებთ ზემოწარმოდგენილი ლოგიკით, მივიღებთ, რომ სასჯელის ისეთი სახეც კი, როგორიც სიკვდილით დასჯაა, რესპრესიას არ მოიცავს და მხოლოდ რეპრესიის განხორციელების წინაპირობას, საფუძველს შეადგენს! და თუ მოცემული ლოგიკის შეუსაბამობის დასაბუთება მაინც წარმოქმნის გარკვეულ სირთულეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია ახსნა ის, რაც ახსნას არ საჭიროებს.

ამავე დროს, არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ მოიპოვება ზემოგანხილული თვალთახედვის საპირისპირო შეხედულება. ზოგიერთი რუსი კრიმინალისტისათვის უკვე ნათელია გაბატონებულ მოძღვრებაში დამკვიდრებული პოზიციის სიმცდარე, რის გამოც ისინი რეპრესიაში ეძიებენ უკვე სასჯელის არა მიზანს, არამედ არსს, თვისებას. ასე მაგალითად, ს. ვ. პოლუბინსკაია წერს: „...ჩვენ არ განვიხილავთ რეპრესიას (კთპთ) როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანს და ვუერთდებით იმ ავტორთა აზრს, რომლებიც მიიჩნევენ რეპრესიას სასჯელის არსად, განუყოფელ თვისებად (მაგალითად, ნ. ა. სტრუჩკოვი). რეპრესია ამ გაგებით მდგომარეობს მსჯავრდებულისთვის გარკვეული სიკეთის — მატერიალური ან სხვა სახის — ჩამორთმევაში (გადაადგილების ან

საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლების, განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის, ხელფასის ნაწილის და ა. შ. ჩამორთმევა). ამ სახით რეპრესია არის იმის აუცილებელი წინამძღვარი, რომ სასჯელით მიღწეულ იქნეს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნები".106

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს დასკვნა თანამიმდევრული კვლევის შედეგია, რადგან ავტორი იქვე აღნიშნავს: „როგორც ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რეპრესიის როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნის აღიარების ან უარყოფის საკითხი ძნელად თუ გადაწყდება ლოგიკურ-სამართლებრივ დონეზე... როგორც ჩანს, პასუხი უნდა ვეძიოთ სოციალურ- და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ სიბრტყეზე".107 ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ს. ვ. პოლუბინსკაიას მიერ განსახილველი საკითხი მცდარად დაისმის და თუ ის, მიუხედავად ამისა, მაინც აღწევს პრობლემის მართებულ გადაჭრას, ეს მხოლოდ თეორიული შემთხვევითობაა.

როგორც ჩვენ მიერ ზემოჩამოყალიბებული პოზიციიდან ჩანს, მოცემული საკითხი, ლოგიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არამცთუ გადაუჭრელი ან უბრალოდ რთული პრობლემაა, არამედ პირიქით, მისი ლოგიკურ-სამართლებრივი ანალიზიდან თვალნათლივ ირკვევა,რომ ის საერთოდ არ შეიძლება წარმოადგენდეს სერიოზული კვლევის საგანს, რამეთუ რეპრესიის აღიარება სასჯელის მიზნად სასჯელის შინაარსისაგან რეპრესიის განცალკევებას ნიშნავს და ამით სასჯელი იმთავითვე იქცევა შინაარსობრივად ამორფულ, პრაქტიკულად განუხორციელებელ ფენომენად. მართლაც, როგორ წარმოუდგენიათ ტრადიციული თეორიის წარმომადგენლებს თავისუფლების აღკვეთის ან თუნდაც თანამდებობიდან დათხოვნის განხორციელება რეპრესიის გარეშე ანუ ამ ღონისძიებათა მიერ რეპრესიის მოუცველად?

რა თქმა უნდა, სისხლის სამართლისთვის არ არის უცხო ისეთი სახის იძულებითი ღონისძიებებიც, რომლებიც მოკლებულია რეპრესიის ელემენტს, მაგრამ მოცემულ ღონისძიებას არც არავინ მოიხსენიებს სასჯელის სახეებს შორის. ასეთია, მაგალითად, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ (მუხ. 63-ე) ან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ (მუხ. 64-ე). და თუ მოცემული იძულებითი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რომ უკავშირდება დანაშაულის ჩადენას და გამოიყენება სახელმწიფოს მიერ, თვისებრივად განსხვავდება სასჯელისაგან, ამას საფუძვლად უდევს სწორედ ის, რომ ამ სახის იძულებითი ღონისძიებებისათვის უცხოა რეპრესია როგორც კონსტიტუციური თვისება და ამის გამო ისინი ვერ იწოდებიან სახელმწიფოებრივი იძულების *განსაკუთრებულ ღონისძიებად*, როგორადაც განიმარტება სასჯელი თანამედროვე დოგმატიკაში. უკეთ რომ ვთქვათ, სასჯელის როგორც დანაშაულის

ჩადენისათვის გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი იძულების განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ხასიათს მისი რეპრესიულობა განსაზღვრავს.

მაგრამ, უარვყოფთ რა რეპრესიას როგორც სასჯელის მიზანს, გვერდი ვერ აექცევა სხვა მნიშვნელოვან გარემოებასაც. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის თეორიაში უკვე დიდი ხანია ვითარდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასჯელის ძირითად მიზანს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს მხოლოდ ზოგადი პრევენცია უნდა შეადგენდეს, რის საპირისპიროდაც სავსებით სამართლიანად მიიჩნევა, რომ მსგავსი მიდგომა ნაკლებად პასუხობს ეთიკის მოთხოვნებს, ვინაიდან, როგორც ამავე პოზიციის მოწინააღმდეგენი თვლიან, ეთიკურად ვერ იქნება გამართლებული კონკრეტული პირის დასჯა მხოლოდ იმისათვის, რომ სხვებმა უკეთ შეძლონ თავიანთი ნებისყოფის დაძაბვა. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის აქტუალურ შემთხვევაში თავისდათავად ისმის კითხვა: ხომ არ არის ეთიკურად ასევე გაუმართლებელი ის, რომ რეპრესიის როგორც სასჯელის მიზნის უარყოფის შედეგად დამნაშავე უნდა დაისაჯოს მხოლოდ პრევენციისა (მართალია, ამჯერად იგულისხმება როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენცია) და გამოსწორების მიზნით?

საქმე ის არის, რომ როდესაც რეპრესია არ წარმოადგენს სასჯელის მიზანს, ვასკვნით, რომ ერთადერთი, რასაც ემსახურება სასჯელის ინსტიტუტი სისხლის სამართალში მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებაა და სუბიექტი საერთოდ არ ისჯება საკუთრივ იმისათვის, რაც მან დანაშაულებრივი ქმედების სახით ჩაიდინა, ე. ი. სისხლის სამართალი არ განიხილავს დანაშაულის სუბიექტს როგორც პიროვნებას, როგორც განსაკუთრებულ არსებას, რომელსაც შეიძლება და უნდა მოეთხოვოს პასუხი იმისათვის, რომ მან იმოქმედა უპასუხისმგებლოდ. რასაკვირველია, ეს დამნაშავის პიროვნების მნიშვნელოვან დამცირებას ნიშნავს და ამიტომაც ეთიკურად სრულიად მიუღებელია (ჩვენ ქვემოთ გარკვევით ვიხილვათ, თუ რაოდენ თანამიმდევრულად ავითარებს ანალოგიურ მოსაზრებას ჰეგელიც, მხოლოდ სხვაგვარ კონტექსტში).

გარდა ამისა, კრიმინალისტთა ის ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგია რეპრესიის როგორც სასჯელის მიზნის უარყოფისა, უსათუოდ გვისაყვედურებს, რომ სისხლის სამართლის პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც, პრევენციისა და გამოსწორების თვალსაზრისით, სუბიექტის დასჯას შესაძლოა არ გააჩნდეს არსებითი ეფექტი ანუ არ არსებობდეს ამის რეალური საჭიროება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ სისხლისსამართლებრივად ის მაინც უნდა აგებდეს პასუხს ჩადენილი დანაშაულისათვის.

ასე მაგალითად, თუ სუბიექტი სჩადის ახლო ნათესავის დაუდევრობით მკვლელობას, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აქ ჩვეულებრივ სასჯელის, როგორც სისხლისსამართლებრივი პრევენციის (როგორც ზოგადი, ისე სპეციალური) ან დამნაშავის გამოსწორების

განსაკუთრებული საშუალების, გამოყენების არანაირი საჭიროება არ არსებობს, რადგან უკვე თვით ფაქტს მსგავსი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისა გაცილებით უფრო ქმედითი შედეგი მოსდევს განსახილველი თვალსაზრისით, ვიდრე ამ სახის დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის თუნდაც ყველაზე მაღალი ზომის გამოყენებას. მაგრამ იმავდროულად ის, რომ დაზარალებული დამნაშავის ახლო ნათესავია, არამც თუ არ გამორიცხავს, არამედ არც კი ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ეს სწორედ სასჯელის ცნებაში რეპრესიის დამოუკიდებელ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ უარვყოფთ რეპრესიას როგორც სასჯელის მიზანს, მივიღებთ, რომ სუბიექტი უნდა ისჯებოდეს არა იმისათვის, რომ აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ (დანარჩენ სუბიექტებთან ერთად) არ ჩაიდინოს დანაშაული მომავალში, საიდანაც გამომდინარე დასკვნის თანახმად დანაშაული წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არა გენერალურ საფუძველს, არა ცენტრალურ მასშტაბს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ საბაბს და პასუხისმგებლობის ხარისხიც ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს დამოკიდებული არა ბრალის ხარისხზე, არამედ მარტოოდენ იმაზე, თუ რაოდენ ეფექტურია ესა თუ ის ღონისძიება პრევენციისა და გამოსწორების თვალსაზრისით.

მაგრამ ამგვარ დასკვნებამდე ჩვენ მხოლოდ ტრადიციულ დოგმატიკაში მიღებულ ლოგიკას მივყავართ, სინამდვილეში კი რეპრესიის როგორც სასჯელის მიზნის უარყოფა მსგავს რადიკალიზმს როდი მოასწავებს. როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ჩვენ რეპრესიის მნიშვნელობას კი არ უარვყოფთ ზოგადად სასჯელის ცნებასთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ უარვყოფთ რეპრესიას როგორც სასჯელის მიზანს და განვაკუთვნებთ მას სასჯელის შინაარსს.

მოცემული თვალთახედვის ფარგლებში კი უკვე თავისდათავად ვერ დავასკვნით, რომ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია მხოლოდ მომავალში დანაშაულის თავიდან აცილება და ყოვლად უმნიშვნელო — სუბიექტის დასჯა უკვე განხორციელებული კონკრეტული დანაშაულისათვის. თუმც პრობლემის მართებული გაგებისათვის აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ ამ ორი მომენტის მიმართება სასჯელის ცნებასთან ერთგვაროვანი ვერ იქნება, რადგან სისხლისსამართლებრივად სუბიექტი ისჯება *იმის გამო (მიზეზი)*, რომ ჩაიდინა განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედება და *იმისათვის (მიზანი)*, რომ შემდგომში თავიდან იქნეს აცდენილი მორიგი დანაშაულის ჩადენა ამავე სუბიექტისა და სხვა დანარჩენ სუბიექტთა მიერ (აგრეთვე მიღწეულ იქნეს დამნაშავის გამოსწორება, თუ გავიზიარებთ ტრადიციულ დოგმატიკაში დამკვიდრებულ შესაბამის თვალსაზრისს).

მაშასადამე, მოცემული გვაქვს ხსენებულ მომენტთა კატეგორიალური სხვაობა.

ამავე დროს, როდესაც განვასხვავებთ ერთმანეთისაგან დანაშაულის ჩადენას როგორც პასუხისმგებლობის საფუძველს და მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებას როგორც პასუხისმგებლობის მიზანს, გასაგები ხდება ასევე ისიც, თუ რატომ შეიძლება დაისაჯოს სუბიექტი გარკვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად განხორციელებისათვის მაშინ, როდესაც სრულიად ზედმეტია სასჯელის გამოყენება როგორც გამოსწორების, ისე პრევენციის თვალსაზრისით.

რასაკვირველია, ეს არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს დანაშაულის ჩადენას აუცილებლად უნდა მოსდევდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ერთიანად უარიყოფოდეს სასჯელის გამომრიცხველი გარემოების ცნება; აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ დანაშაული წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძველს და სასჯელის გამორიცხვა მარტოოდენ იმის გამო, რომ არ არსებობს დანაშაულის თავიდან აცილების საჭიროება, საკითხისადმი უტილიტარული, რადიკალურად ნორმატივისტული (ანუ კელზენისეული) მიდგომის შედეგი იქნებოდა. პრევენციისა და გამოსწორების საჭიროების არარსებობამ შესაძლებელია მხოლოდ შეამსუბუქოს პასუხისმგებლობის ხარისხი. სხვაგვარად რომ იყოს, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი გულწრფელად ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, პასუხისმგებლობის ხარისხი კი არ უნდა მცირდებოდეს, როგორც ამას მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ვხვდებით, არამედ საერთოდ უნდა გამოირიცხებოდეს სასჯელის გამოყენება (ის, რომ გულწრფელი მონანიება ზოგადი პრევენციის თვალსაზრისით დიდად არაფერს ცვლის, აქ ვერაფერი არგუმენტია, რამეთუ პასუხისმგებლობის დაფუძნება მხოლოდ ზოგად პრევენციაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთიკურად გაუმართლებელია), მაგრამ ძნელად თუ ვინმე აღიარებს გულწრფელ მონანიებას როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, თანამედროვე სისხლის სამართალში ზოგიერთი ცნობილი კრიმინალისტის მიერ ვითარდება ბრალისა და პასუხისმგებლობის ისეთი თეორია, რომელშიც სისხლისსამართლებრივ პრევენციას აშკარად გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ეხება იაკობსის კონცეფციას ბრალის ზოგადპრევენციული ფუნქციის შესახებ და როქსინის შეხედულებებს, რომელიც მართალია, უშუალოდ არ ემხრობა იაკობსის მიერ წარმოდგენილ „ბრალის ფუნქციონალურ ცნებას", მაგრამ პრევენციისა და პასუხისმგებლობის ურთიერთობის თვალსაზრისით არსებითად იმავე პოზიციას აყალიბებს. როქსინი ამგვარად გვიხასიათებს იაკობსის ბრალის თეორიას: „(ლუმანის) სისტემურ-თეორიული კონცეფციების კვალობაზე იაკობსმა „ბრალის ფუნქციონალური ცნება" განავითარა, რომლის მიხედვითაც ბრალი ზოგადპრევენციული ფუნქციის მომცველი ცნებაა. იაკობსისათვის „ბრალი მიზნით განსაზღვრული ელემენტია": „მხოლოდ მიზანი სძენს

ბრალის ცნებას შინაარსს". ხედავს რა ამ მიზანს ზოგად პრევენციაში, იაკობსთან უკანასკნელი ცნება მოიტანება არა დაშინების, არამედ სამართლისადმი მორჩილების მოქცევის მნიშვნელობით".108 ამასთანავე, როქსინი იქვე შენიშნავს: „ამ მოძღვრების საწინააღმდეგოდ, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებს ის, რომ აქ ბრალის პრინციპის დასჯადობის შემზღუდველი ფუნქცია (Die strafbarkeitseinschränkende Funktion) სრულიად ეწირება ზოგად პრევენციას".109 მაშასადამე, იაკობსთან ბრალი უშუალოდ არის დაქვემდებარებული ზოგად პრევენციას. მაგრამ ვნახოთ, თუ რა თვალთახედვას გვთავაზობს თავად როქსინი. „პასუხისმგებლობა, — წერს ის, — დამოკიდებულია ორ გარემოებაზე, რომელიც თან უნდა ერთვოდეს უმართლობას: სუბიექტის *ბრალზე* და სისხლის სამართლის კანონიდან გამომდინარე *პრევენციულ აუცილებლობაზე*".110

განავრცობს რა თავის მოსაზრებებს, როქსინი დასძენს: „მოთხოვნა სასჯელის პრევენციული საჭიროების როგორც დასჯადობის მორიგი წინამძღვრის აღიარების შესახებ ნიშნავს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი რეპრესიისაგან სუბიექტის დაცვის შემდგომ სრულყოფას, რადგან ამჯერად მხოლოდ პრევენციის საჭიროება კი არ იზღუდება ბრალის პრინციპით, არამედ აგრეთვე ბრალეული ქცევის დასჯის შესაძლებლობაც შეზღუდულია პრევენციული აუცილებლობის (präventive Unerläßlichkeit) მოთხოვნით."111

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის აქტუალურ კონტექსტში როქსინისა და იაკობსის შეხედულებათა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იაკობსთან (ზოგადი) პრევენციის საჭიროების არარსებობა გამორიცხავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობას, არამედ აგრეთვე ბრალსაც, მაშინ როდესაც როქსინთან პრევენციის საჭიროების არარსებობა მხოლოდ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებაა.

მაგრამ ამჯერად მთავარია სწორედ ის, რომ პრევენციის საჭიროების არარსებობა ორივე შემთხვევაში გამორიცხავს პასუხისმგებლობას, რაც, რასაკვირველია, კატეგორიულად მიუღებელია.

აქ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, სუბიექტი ნებისმიერად განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის არ ისჯება იმიტომ, რომ არ არსებობს მისი დასჯის საჭიროება მომავალში დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქ ვერავითარ თანამიმდევრობას ვერ ვხედავთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის მომენტიც, რომ ორთავე კრიმინალისტთან პრევენცია პასუხისმგებლობის მიზნიდან პასუხისმგებლობის საფუძვლად იქცევა. იაკობსთან ამას ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც ის პრევენციას ბრალის სფეროს განაკუთვნებს, ე. ი. ათავსებს მას დანაშაულის სისტემაში; როქსინთან კი, „პრევენციული აუცილებლობა", მართალია, დანაშაულის სისტემის მიღმა მდებარე ელემენტია, მაგრამ, როგორც მისივე ზემოციტირებული მოსაზრებიდან ჩანს, დანაშაული მასთან, როგორც უმართლობისა და ბრალის ერთობლიობა,

პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი, ისევე, როგორც თვით „პრევენციული აუცილებლობა". ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი სისხლისსამართლებრივად ისჯება არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნებისმიერად განხორციელების გამო, არამედ აგრეთვე იმის გამოც, რომ მომავალში მან და მასთან ერთად ყველა დანარჩენმა სუბიექტმა თავი შეიკავოს მორიგი დანაშაულის ჩადენისგან. მაგრამ შეიძლება კი სუბიექტი ისჯებოდეს იმის გამო, რომ მან და მისმა თანამოქალაქეებმა მომავალში შესაძლოა ჩაიდინონ დანაშაული?!

ამავე დროს, უდავოა, რომ უშუალოდ პრობლემის ლოგიკური მხარე შემდგომ კონკრეტიზებასაც მოითხოვს. სასჯელის მიზნის არარსებობა წმინდად ლოგიკურად თითქოს სასჯელის გამოყენების საჭიროების არარსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, სასჯელის ცნება წინააღმდეგობაში მოიყვანება სასჯელის დოგმატურ დანიშნულებასთან. მაგრამ განსახილველ შემთხვევაში მიზნის არარსებობას მსგავს წინააღმდეგობამდე არ მივყავართ. პრევენციისა და გამოსწორების თვალსაზრისით, განსაზღვრული იძულებითი ღონისძიების გამოყენების საჭიროება შესაძლოა არსებობდეს დანაშაულის არარასებობის პირობებშიც, მაგრამ პრევენციისა და გამოსწორების მიზნით სასჯელის როგორც იძულებითი ღონისძიების გამოყენება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა დანაშაული, ე. ი. სასჯელის მიზნებად წარმოგვიდგება არა ზოგადად პრევენცია და გამოსწორება, არამედ პრევენცია და გამოსწორება კონკრეტული დანაშაულის განხორციელების შემთხვევაში და ამის შედეგად წარმომდგარი ვითარების ფარგლებში. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ სასჯელის მიზანთა მოქმედების სფეროს შეზღუდულობაზე მიგვითითებს, მთავარი კი ჩვენთვის აღნიშნულ სფეროში მათი მოქმედების ხასიათია, რაც, თავის მხრივ, დანაშაულთან (დანაშაულის განხორციელებასთან), როგორც პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძველთან, ამ ელემენტთა ფორმალურ-ლოგიკური მიმართების დეტალიზებას მოითხოვს.

ერთი მხრივ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალეულად განმხორციელებელი სუბიექტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივად ისჯება იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მეორე მხრივ კი, დანაშაულის სუბიექტი უნდა დაისაჯოს იმგვარად, რომ მისთვის შეფარდებული სასჯელი პასუხობდეს პრევენციისა და გამოსწორების მოთხოვნებს — ასე მაგალითად, დაუშვებელია, რომ პირი, რომელიც სჩადის ბანდიტიზმს (მუხ. 78-ე) ან ტერორისტულ აქტს (მუხ. 67-ე), ისჯებოდეს ჯარიმით, ვინაიდან სასჯელის ეს სახე ამ შემთხვევაში სრულიად არაეფექტურია სისხლისსამართლებრივი პრევენციის თვალსაზრისით. აქედან ადვილად დავასკვნით, რომ პრევენციასაც და გამოსწორებასაც კარდინალური მნიშვნელობა ენიჭება არა საკუთრივ სასჯელის დაფუძნების კონტექსტში, არამედ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის მხრივ. ამიტომაც პრევენციისა და გამოსწორების

საჭიროების არარსებობამ შესაძლებელია ზეიმოქმედოს არა სასჯელის, როგორც ასეთის, დაფუძნებაზე, არამედ მხოლოდ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრაზე ანუ, უფრო ზუსტად, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს პრევენციისა და გამოსწორების საჭიროება, უბრალოდ ქარწყლდება პრევენციისა და გამოსწორების მოთხოვნებისადმი სასჯელის მისადაგების საჭიროებაც, რასაც არაფერი აქვს საერთო სასჯელის გამორიცხვასთან. მაშასადამე, მოცემული გვაქვს სასჯელის განსახილველ მიზანთა არააბსოლუტური, რელატიური ხასიათი, რის გამოც ვითარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს სასჯელის გამოყენებას, მიუხედავად სასჯელის მიზნის მოუცემლობისა, ალოგიკურად ვერ იწოდება.

ამავე დროს, ხომ არ ნიშნავს ეს კანტის ჩვენ მიერ ზემომოტანილი მოსაზრებისაკენ მიბრუნებას? ცხადია, არა, რადგან აქ პრევენციის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა სულაც არ უარიყოფა, როგორც ეს კანტის მიერ წარმოდგენილი თვალთახედვიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, ჩვენ ამით არც პრევენციის მნიშვნელობას ვუქვემდებარებთ რეპრესიის მნიშვნელობას. ის, რომ პირი, რომელიც სჩადის დანაშაულს, უნდა დაისაჯოს პრევენციის საჭიროების არარსებობის დროსაც, ერთგვარად მეტყველებს რეპრესიის პრიორიტეტულობაზე, მაგრამ, სხვა მხრივ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ სუბიექტმა, როგორც წესი, იმგვარად უნდა აგოს პასუხი მის მიერ განხორციელებული დანაშაულისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სისხლისსამართლებრივი პრევენციის უზრუნველყოფა, ე. ი. რეპრესიასთან მიმართებაში პრევენცია საზოგადოდ წარმოგვიდგება როგორც შესაბამების მასშტაბი, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს უკანასკნელი ახდენს ამ პირველზე მადეფინირებელ ზეგავლენას და, ამდენად, განსაკუთრებულ თეორიულ მნიშვნელობასაც იძენს.

არსებითად იმავე სირთულეებს ვაწყდებით მესამე ელემენტთან მიმართებაშიც. მართალია, არც ბეკარია და არც ბეკარიასათვის თანა-მედროვე სისხლის სამართალი არ ასახელებს დამნაშავის გამოსწორებას, მის ხელახალ აღზრდას სასჯელის ერთ-ერთ ძირითად მიზნად, მაგრამ სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების მომდევნო ეტაპებზე (განსაკუთრებით რუსულ და შემდგომ კი ზოგადად საბჭოთა სისხლის სამართალში) დამნაშავის გამოსწორება თანდათან სასჯელის ცნების განუყოფელ კომპონენტად იქცევა. ამჟამად გამოსწორება როგორც სასჯელის მიზანი თეორიული თავისთავადობაა და თითქმის არც არავინ ცდილობს ამის მართებულობაში ეჭვის შეტანას.

ჯერ კიდევ გერმანელი კრიმინალისტი ფ. ლისტი სასჯელის მიზნებს შემდეგში ხედავდა: 1) მიდრეკილთა დაშინება (იგულისხმება დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების მქონე სუბიექტები) და მართლზომიერად განწყობილთა სტიმულირება, 2) დაზარალებულთა მორალური დაკმაყოფილება და 3) თვით დამნაშავეზე ზემოქმედება, რაც უნდა

გამოხატულიყო მის იურიდიულ გამოსწორებაში, დაშინებასა და უვნებელყოფაში.112

რაც შეეხება საბჭოთა სისხლის სამართალს, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საბჭოთა კრიმინალისტთა აბსოლუტური უმეტესობაც დამნაშავის გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდას უპირობოდ აღიარებს როგორც სასჯელის მიზანს. ასე მაგალითად, ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი ა. ა. პიონტკოვსკი სასჯელის სამ ძირითად მიზნად პრევენციასა და მართლწესრიგის დაცვასთან ერთად მსჯავრდებულის გამოსწორებასაც განიხილავს, ისევე, როგორც ა. ა. ჟიჟილენკო სასჯელის თავიდათავ დანიშნულებას დამნაშავის გამოსწორებასა და მისი პიროვნების სოციალურ რეფორმირებაში ხედავს.

თუმც, ამასთანავე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა ჯგუფიც, რომელთათვის დამნაშავის გამოსწორება სულაც არ წარმოადგენს სასჯელის მიზანს. მათ შორის ჩვენ ძირითადად მ. დ. შარგოროდსკისა და ს. ვ. პოზნიშევს გამოვყოფდით. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, სასჯელის ერთადერთ მიზნად დანაშაულის თავიდან აცილება უნდა განიხილებოდეს, როგორც ამას ბეკარიასთან აქვს ადგილი.

ქართულ სისხლის სამართალში ეს პოზიცია ამგვარად არის გამოხატული: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო ცხოვრების წესისადმი პატივისცემის სულისკვეთებით...”113 უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სასჯელის ცნებასთან რეპრესიის ელემენტის მიმართების თვალსაზრისით, სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი ეს თვალთახედვა პრინციპულად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის თეორიაში დამკვიდრებულ სათანადო პოზიციას, რამეთუ ზემოციტირებული შეხედულების ფარგლებში რეპრესია ფაქტობრივად აღიარებულია როგორც სასჯელის მატერიალური გამოხატულება, როგორც სასჯელის თვისება (ე. ი. როგორც ეს სინამდვილეში უნდა იყოს) და არა როგორც სასჯელის მიზანი.

თვით მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის თვალსაზრისით კი, იმთავითვე უნდა შეინიშნოს, რომ ეს ელემენტები აქ თეორიულად მიუღებელ, სისხლის სამართლის ბუნებასთან შეუთავსებელ შინაარსს მოიცავს.

საქმე ის არის, რომ სისხლისსამართლებრივად სრულიად უმნიშვნელოა, არის თუ არა სუბიექტი შრომისადმი პატიოსნად დამოკიდებული და სცემს თუ არა ის პატივს საერთო ცხოვრების წესებს ზოგადად. ამიტომაც სისხლისსამართლებრივი გამოსწორების შინაარსი არც ერთ ამ მომენტთაგანს არ უნდა მოიცავდეს. დამნაშავის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შინაარსს უნდა ავსებდეს მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის ზუსტად შესრულების სულისკვეთების

ჩამოყალიბება, უკიდურეს შემთხვევაში კი — ზოგადად „კანონთა ზუსტად შესრულების სულისკვეთების" ფორმირება.

ამისდა კვალად, მსჯავრდებულის გამოსწორებაში უკეთეს შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ *მსჯავრდებულის მართლშეგნების დონის იძულებითი ამაღლება.*

ის, რომ სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების შედეგად მსჯავრდებულის მართლშეგნების დონის იძულებითი ამაღლება სისხლისსამართლებრივი დაინტერესების საგანი გახდა, უდავოდ მნიშვნელოვან პროგრესს ნიშნავს, მაგრამ სხვა საკითხია, თუ თეორიულად რამდენად არის მისაღები მსჯავრდებულის გამოსწორების სასჯელის მიზნად დეკლარირება. ჩვენი აზრი, აქ მნიშვნელოვან შეუსაბამობას აქვს ადგილი.

ჯერ ერთი, მსჯავრდებულის გამოსწორება და მისი ხელახალი აღზრდა სისხლისსამართლებრივად შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამით მიიღწევა მსჯავრდებულის მიერ მომავალში მორიგი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება ანუ განხორციელდება სპეციალური პრევენცია. მაგრამ როდესაც პრევენცია (მათ შორის სპეციალური პრევენციაც) თავად განიხილება როგორც სასჯელის მიზანი, გამოსწორებასა და პრევენციას შორის შესაძლოა მოიცემოდეს მხოლოდ ისეთი კორელაცია, როგორიც მოიცემოდა დაშინებასა და პრევენციას შორის ჩვენ მიერ ზემოწარმოებული ანალიზის ფარგლებში, ე. ი. პრევენციის პარალელურად გამოსწორების სასჯელის მიზნად აღიარება ლოგიკურად დაუშვებელია.

მეორეც, ლოგიკურად ასევე დაუშვებელია ისიც, რომ უარვყოფთ რა გამოსწორებას როგორც სასჯელის მიზანს, შევეცადოთ სასჯელის ცნებაში (რეპრესიასა და პრევენციას შორის) მისთვის იმავე დოგმატური ადგილის მიკუთვნებას, როგორც დაშინებისათვის, რადგან, განსხვავებით ამ უკანასკნელისაგან, გამოსწორება რეპრესიას ვერ დაეფუძნება — რეპრესიის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ ის, რომ სუბიექტს ნაკლებად ამოძრავებდეს დანაშაულის ჩადენის სურვილი მის მიერ უკვე განცდილი, მისთვის მეტად არასასურველი რეპრესიული ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით და, პირიქით, რეპრესია ვერასოდეს დაედება საფუძვლად იმას, რომ მსჯავრდებული ნაკლებად იყოს მიდრეკილი დანაშაულის ჩადენისაკენ სამართლებრივი კულტურის, მართლშეგნების დონის ამაღლების გამო, რაც ელემენტარული ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებაა და ამიტომაც არავითარ მტკიცებასაც არ საჭიროებს.

მესამეც, გამოსწორებას ვერც რეპრესიის პარალელურ, ეკვივალენტურ ელემენტად მოვისაზრებთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მივიღებთ, რომ სასჯელი არის არა მხოლოდ რეპრესია, არამედ აგრეთვე გამოსწორებაც, მაგრამ გამოსწორება, როგორც მსჯავრდებულის მართლშეგნების დონის იძულებითი ამაღლება, ისევე არ შეიძლება წარმოადგენდეს სასჯელს, როგორც აღმზრდელობითი ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი

ღონისძიებანი; თუმც გამონაკლისის სახით ეს, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია და ჩვენს კანონმდებლობაში ადრე არსებული სასჯელის ისეთი სახე, როგორიც საზოგადოებრივი გაკიცხვაა, სწორედ ასეთ გამონაკლისად შესაძლოა წარმოვიდგინოთ.

მაშასადამე, აქ დამნაშავის გამოსწორება უარიყოფა არა მხოლოდ როგორც სასჯელის მიზანი, არამედ ირკვევა ისიც, რომ მოცემულ მომენტს საერთოდ არ შეიძლება მოეძებნოს ადგილი სასჯელის ცნებაში.

ამავე დროს, სრულიად აშკარაა, რომ დამნაშავის გამოსწორება სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო ფაქტორი ვერ იქნება და, შესაბამისად, სასჯელის ცნებიდან მის ელიმინირებას არ შეიძლება მოჰყვეს ზოგადად მისი დოგმატური მნიშვნელობის უარყოფა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში კონკრეტულად რა ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ გამოსწორებას სისხლის სამართლის დოგმატიკაში?

ჩვენი აზრით, მსჯავრდებულის გამოსწორება და ხელახალი აღზრდა უნდა განიხილებოდეს როგორც *სასჯელის პარალელური იძულებითი ღონისძიება*, რაც იმის მომასწავებელია, რომ გამოსწორება და სასჯელი ერთსა და იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს — დანაშაულის თავიდან აცილებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სასჯელის შემთხვევაში მოცემულია როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პრევენცია, გამოსწორებასთან მიმართებაში კი — მარტოოდენ სპეციალური.

თუმცაღა ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ გამოსწორების თეორიული მნიშვნელობა თავისი მასშტაბით ბევრად ჩამორჩება სასჯელისას და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოსწორების დროს, განსხვავებით სასჯელისაგან, საუბარია სისხლისსამართლებრივი პრევენციის მხოლოდ ერთ სახეზე, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ გამოსწროება როგორც სასჯელის თანამდევი ღონისძიება, ფაქტობრივად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში. სასჯელის დანარჩენი სახეები, იქნება ეს ჯარიმა, გასახლება თუ თანამდებობიდან დათხოვნა, გამოსწორების პარალელური გამოყენების რეალურ, თეორიულად მისაღებ შესაძლებლობას არ შეიცავს. რაც შეეხება საზოგადოებრივ გაკიცხვას, ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ სასჯელის ეს სახე თვითვე მოიცავს გამოსწორების ელემენტს. ერთი შეხედვით, იგივე უნდა ითქვას გამასწორებელ სამუშაოებზე თავისუფლების აღუკვეთლად, მაგრამ სასჯელის მოცემული სახის ფარგლებში სულაც არ ხორციელდება ის, რასაც შეიძლება ეწოდოს მსჯავრდებულის მართლშეგნების დონის იძულებითი ამაღლება, არამედ ეს ისეთივე წმინდად რეპრესიული ღონისძიებაა, როგორც ვთქვათ ჯარიმა. ამიტომაც უმჯობესი იქნებოდა სასჯელის განსახილველი სახე განგვესაზღვრა არა როგორც გამასწორებელი, არამედ უბრალოდ როგორც იძულებითი სამუშაოები.

ხოლო ის, რომ ტრადიციულ დოგმატიკაში გამოსწორებას განიხილავენ როგორც სასჯელის მიზანს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სასჯელთან გვაქვს საქმე, უნდა აიხსნას იმით, რომ აქ გამოსწორება ეფუძნება

რეპრესიას, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოგიკურად წარმოუდგენელია. მართლაც, რეპრესია არამცთუ არ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს კიდევაც ინდივიდის სამართლებრივ და ზოგადად სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას. რეპრესიის შედეგად ის, როგორც წესი, შინაგანად უფრო აგრესიული ხდება საზოგადოებისა და ამ საზოგადოებაში მიღებული კანონების მიმართ, ვიდრე იყო დასჯამდე, რაც, ბუნებრივია, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს რეპრესიით ვერც მსჯავრდებულის დაშინება მიიღწევა.

სასჯელისა და გამოსწორების ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთობის თვალსაზრისით კი, გამოსაყოფია ის, რომ რადგანაც სპეციალური პრევენციის სახით მოცემული გვაქვს ამ ელემენტთა ერთობლივი მიზანი, ისინი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, არამედ როგორც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი იძულებითი ღონისძიებანი ანუ სასჯელისა და გამოსწორების თეორიულ კორელაციას საფუძვლად უნდა ედოს ურთიერზემოქმედების პრინციპი. ამის მიხედვით, თეორიულად დაუშვებელია, რომ დაშინების ხარისხის ზრდას (რაც რეპრესიის ხარისხობრივი ზრდის შედეგია) არ მოჰყვეს სუბიექტზე გამასწორებელი ზემოქმედების ინტენსივირება და, პირიქით, სასჯელისა და მასთან ერთად დაშინების ხარისხი ყოველთვის უნდა პროგრესირებდეს გამოსწორების ინტენსივირების პროპორციულად. ასე მაგალითად, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი რეციდივისტია, მის მიმართ ადგილი უნდა ჰქონდეს არც მხოლოდ სასჯელის და არც მხოლოდ გამასწორებელი ზემოქმედების გამკაცრებას, არამედ ორთავეს ერთად. მოკლედ რომ ვთქვათ, სუბიექტი იმდენად საჭიროებს დაშინებას, რამდენადაც გამოსწორებას და პირიქით.

სასჯელის ზემოგანხილულ ტრადიციულ მიზნებთან ერთად თანამედროვე დოგმატიკაში სულ უფრო და უფრო აქტიურად იმკვიდრებს ადგილს სასჯელის მიზნის ზოგიერთი სხვა სახეც. მაგალითად, ნ. ა. ბელიაევის თანახმად, სასჯელის მიზანს უნდა შეადგენდეს აგრეთვე სამართლიანობის აღდგენა, ხოლო ვ. ვ. პოხმელკინის აზრით, სასჯელის მიზნად, გარდა ტრადიციული სახეებისა, უნდა ვაღიაროთ ასევე დანაშაულით დეზორგანიზებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა აღდგენა.

ზოგიერთი ავტორი კი ამ მომენტთა კომბინირებასა და სასჯელის ერთიან მიზნად წარმოდგენასაც ცდილობს. ეს გარკვევით ჩანს ჩვენ მიერ ზემოციტირებული რუსი კრიმინალისტის ს. ვ. პოლუბინსკაიას შემდეგ გამონათქვამში: „ვეხებით რა სიკვდილით დასჯის საკითხს, არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ სისხლის სამართალსა და სისხლისსამართლებრივ სასჯელს, გარდა სისხლის სამართლის კანონში მითითებული მიზნებისა, სხვა სოციალური მიზნებიც აქვს. ასე მაგალითად, ბ. ს. ნიკიფოროვი მიუთითებდა საზოგადოებაში დანაშაულით დარღვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური წესრიგის აღდგენის მიზანზე (როგორც ინტეგრატიულ მიზანზე) და სამართლიანობის გრძნობის

დაკმაყოფილებაზე როგორც ამ ინტეგრატიული მიზნის მხარეზე. ვფიქრობთ, ეს სასჯელის საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური მიზნებია, რომლებსაც ძალუძთ ნაწილობრივ გაამართლონ სიკვდილით დასჯის გამოყენება. ამ გარემოებას არ ითვალისწინებს ს. ი. დემენტიევი, რომელიც სწორედ რეპრესიას მიიჩნევს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 10-15 წლით მსჯავრდებული პირის გამოსწორების საფუძვლად".114 როგორც ვხედავთ, ბ. ს. ნიკიფოროვთან განსახილველი მომენტები ერთიანი მიზნის სახითაა წარმოდგენილი. ის, თუ რამდენად არის გამართლებული მათი უნიფიცირება, ჩვენთვის ნაკლებად აქტუალურია, რადგან, ჩვენი აზრით, არც ერთი ამ მომენტთაგანი არ უნდა განიხილებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანი.

რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენის სასჯელის მიზნად აღიარება? სხვა თეორიულ სირთულეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ხშირ შემთხვევაში უდავოდ მიგვიყვანდა ტალიონის პრინციპის აღიარებამდე. ამის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებად წარმოგვიდგება თვით ს. ვ. პოლუბინსკაიას უკანასკნელი მოსაზრება, სადაც ორივე განსახილველი ელემენტის დადებით მხარედ მიიჩნევა ის, რომ მათ საფუძველზე გარკვეულწილად შესაძლებელი ხდება სიკვდილით დასჯის დასაბუთება!

სასჯელის მიზნის აქ წარმოდგენილ მორიგ სახესთან მიმართებაში კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ლოგიკურად გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, თუ განხილვის საგნად წარმოგვიდგებოდა დანაშაულით დარღვეული არა ზოგადად საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური წესრიგის, არამედ კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და სისხლისსამართლებრივი წესრიგის აღდგენა. ის, რომ დანაშაული, გარდა კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა, შესაძლებელია არღვევდეს აგრეთვე სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობასაც (მაგალითად, ზნეობრივ ან რელიგიურ ურთიერთობას), სისხლისსამართლებრივად არაფერს ნიშნავს და ამიტომაც ვერც ამ უკანასკნელთა აღდგენა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი; იგივე შეეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურ წესრიგსაც, რომელშიც, გარდა სისხლისსამართლებრივი წესრიგისა, სხვა, სისხლისსამართლებრივად სრულიად უმნიშვნელო მომენტებიც იგულისხმება.

მაგრამ ვნახოთ, თუ რამდენად ქმნის დანაშაულით დეზორგანიზებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობისა და სისხლისსამართლებრივი წესრიგის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, სიკვდილით დასჯის დასაბუთების საფუძველს. იმთავითვე ცხადია, რომ ეს არამცთუ არ ქმნის სიკვდილით დასჯის დასაბუთებისათვის ხელსაყრელ პირობებს, არამედ, პირიქით, აბსოლუტურად გამორიცხავს ამის ყოველგვარ შესაძლებლობას.

მართალია, ჩვენ აქ არ ვხელმძღვანელობთ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ ტრადიციულ დოგმატიკაში მიღებული კონცეფციით, რომლის თანახმადაც დანაშაულის ჩადენა კი არ არღვევს, არამედ წარმოშობს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას.

თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შედეგად წარმოიშობა, მაშინ დელიქტუნარიან სუბიექტს დანაშაულის ჩადენამდე სისხლისსამართლებრივად არანაირი ვალდებულება არ შეიძლება ეკისრებოდეს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ დანაშაულის ჩადენა სისხლისსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის გარეშე ყოფილა შესაძლებელი, რაც, რასაკვირველია, სრული შეუსაბამობაა.

სინამდვილეში ყოველი დელიქტუნარიანი პირი სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ვალდებულია ზუსტად იცავდეს მის მოთხოვნებს (როდესაც ის არ არის მოკლებული ამ მოთხოვნათა ცოდნის შესაძლებლობას) და ყოველთვის, როდესაც არღვევს მათ (ანუ სჩადის დანაშაულს), ის იმავდროულად სისხლისსამართლებრივ ურთიერთობასაც არღვევს.

დარღვეული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას კი სწორედ სასჯელის გამოყენება წარმოშობს. მაგრამ თუ სასჯელის სახით გამოიყენება სიკვდილით დასჯა, დანაშაულის ჩადენით დეზორგანიზებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არამც თუ არ შეიძლება აღდგეს, არამედ საბოლოოდ, შეუქცევადად წყდება, რადგან ურთიერთობა, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, მხოლოდ ერთ სუბიექტს (ამ შემთხვევაში სახელმწიფოს) ვერ დაეფუძნება.

არსებითად იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე დანაშაულით დარღვეული სისხლისსამართლებრივი წესრიგის აღდგენასთან მიმართებაშიც.

სისხლისსამართლებრივი წესრიგი სისხლისსამართლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული მდგომარეობის გამომხატველი ცნებაა და ეს პირველი დანაშაულის ჩადენით ირღვევა იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დარღვევას. ხოლო რადგან, ერთი მხრივ, სისხლისსამართლებრივი წესრიგის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის აღდგენის შედეგად, მეორე მხრივ კი, სიკვდილით დასჯა შეუძლებელს ქმნის დანაშაულით დარღვეული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის აღდგენას, თავისდათავად ვასკვნით, რომ საბოლოო ჯამში სიკვდილით დასჯა ასევე გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი წესრიგის აღდგენასაც.

ამავე დროს, არც ის არის სადავო, რომ სასჯელის ცნებასთან განსახილველ მომენტთა მიმართების თეორიული მნიშვნელობა მართლაც დიდია. მაგრამ რა განაპირობებს ასეთ შემთხვევაში მათ სასჯელის მიზნად აღიარების მიზანშეუწონლობას? საქმე ის არის, რომ როდესაც დანაშაულის ჩადენას განვიხილავთ როგორც პასუხისმგებლობის საფუძ-

ველს, ვგულისხმობთ, რომ სუბიექტი ისჯება დანაშაულის ჩადენის გამო, ხოლო ის გარემოება, რომ სუბიექტი ისჯება დანაშაულის ჩადენის გამო, უკვე თვითონვე მოიცავს დანაშაულით დარღვეული სის-ხლისსამართლებრივი ურთიერთობის (წესრიგის) აღდგენის ფაქტს და, შესაბამისად, ამ უკანასკნელი ელემენტის სასჯელის მიზნად გამოყოფა თეორიულად ზედმეტი, ლოგიკურად გაუმართლებელი იქნებოდა.

მაშასადამე, როდესაც ბეკარია სასჯელის ერთადერთ მიზნად სისხლისსამართლებრივ პრევენციას აღიარებს, ვერ ვიტყვით, რომ ეს საკითხისადმი პრიმიტივისტული მიდგომის შედეგია. ამასთანავე, მოცემული პრობლემის ზემოწარმოებული ანალიზიდან ჯერ სულაც არ გამომდინარეობს ის, თითქოს თანამედროვე სისხლის სამართალში პრევენციას როგორც სასჯელის ერთადერთ მიზანს მხოლოდ ჩვენ განვიხილავდეთ. აღსანიშნავია, რომ ამ თვალთახედვას არაერთი ცნობილი თანამედროვე კრიმინალისტი იზიარებს, მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოხსენებული მ. დ. შარგოროდსკი ან ს. ვ. პოზნიშევი. თუმც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი მეტად არატრადიციულად განმარტავს სპეციალური პრევენციის შინაარსს.

ს. ვ. პოზნიშევის თანახმად, დანაშაულთა თავიდან აცილება შესაძ-ლებელია განხორციელდეს ფიზიკური შეკავების (დამნაშავესთან მიმართებაში) ან დანაშაულისათვის ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გაწევის (საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებაში) ფორმით. მაგრამ თუ სპეციალური პრევენცია დამნაშავის მხოლოდ ფიზიკურ შეკავებას უნდა ნიშნავდეს, მაშინ მივიღებთ, რომ სისხლისსამართლებრივი პრევენციის ეს სახე ვერანაირად იქნება ზოგადად სასჯელის მიზანი, რამდენადაც თავისუფლების აღკვეთა სასჯელის ერთადერთი სახეა, რომლის ფარგლებშიც დამნაშავის ფიზიკურ შეკავებას აქვს ადგილი. სპეციალურ პრევენციაში თანაბრად უნდა იგულისხმებოდეს დამნაშავის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური შეკავება. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეიძლება ვისაუბროთ თვით ზოგად პრევენციაზე ანუ საზოგადოების სხვა წევრთა ფსიქოლოგიურ შეკავებაზე, რომლებსაც, დამნაშავისაგან განსხვავებით, თავად არ განუცდიათ სასჯელით გამოწვეული შეზღუდულობა? უფრო მეტიც, სწორედ უკანასკნელი გარემოების გამო სპეციალურ პრევენციაში გამოხატული ფსიქოლოგუირი შეკავების ხარისხი ბევრად უფრო მაღალი უნდა იყოს ზოგად პრევენციაში გამოხატულ ფსიქოლოგიური შეკავების ხარისხზე, ე. ი. ფსიქოლოგიური შეკავების თვალსაზრისით, სასჯელის ეფექტურობა ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად უფრო მაღალია თვით დამნაშავესთან მიმართებაში, ვიდრე საზოგადოების სხვა წევრებთან დამოკიდებულებაში. ამავე დროს, ჩვენ კვლავაც ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში მართლაც არსებობს დამნაშავის ფიზიკური შეკავების საჭიროება და ამიტომაც სპეციალური პრევენციის ცნებაში ეს მომენტიც მნიშვნელოვან ასახვას უნდა პოვებდეს.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, პრევენციის გამოცხადებას სასჯელის ერთადერთ მიზნად, არ უნდა მოჰყვეს იმის იგნორირება, რომ სისხლის-სამართლებრივად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულის ჩადენა, არამედ აგრეთვე ისიც, რომ სუბიექტმა სათანადოდ აგოს პასუხი თავისი ნებისყოფის მართლსაწინააღმდეგოდ წარმართვისათვის. ბეკარია, მართალია, გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ სუბიექტი უნდა ისჯებოდეს მის მიერ განხორციელებული დანაშაულის პროპორციულად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავარი აქცენტი გადააქვს რა პრევენციაზე როგორც სასჯელის მიზანზე, საგრძნობლად აკნინებს დანაშაულის როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის თეორიულ მნიშვნელობას, რის შედეგადაც მასთან პრევენციის საჭიროების არარსებობა პასუხისმგებლობის გამორიცხვას იწვევს.

გარდა ამისა, ეს ტენდენცია ბეკარიას აიძულებს უარყოს თვით ზემომოტანილი დებულებაც იმის შესახებ, რომ სუბიექტი უნდა ისჯებოდეს მის მიერ განხორციელებული დანაშაულის პროპორციულად, რაც ნათლად ჩანს მის შემდეგ მოსაზრებაში: „რათა სასჯელი იყოს სამართლიანი, ის უნდა მოიცავდეს სიმძიმის (intensione) მხოლოდ იმ საფეხურს, რომელიც საკმარისია დანაშაულის ჩადენისაგან ინდივიდთა შესაკავებლად".115 ამდენად, დანაშაულის სიმძიმე, როგორც პასუხისმგებლობის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, აქ ერთიანად უგულებელიყოფა. ეს კი იმავდროულად გულისხმობს აგრეთვე ბრალის ხარისხის უმნიშვნელობას სასჯელის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა აზრი შეიძლება ჰქონდეს ბრალის ცალკეულ სახეებად და ქვესახეებად დაყოფას?

ამასთანავე, პრევენციის მნიშვნელობის აბსოლუტირებას სხვა, უფრო საგულისხმო უკიდურესობამდეც მივყავართ. დანაშაული და მასთან ერთად ბრალი აქ უკვე რეალურად იქცევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმალურ საბაბად, ვინაიდან მათი მნიშვნელობა ტოტალურად არის დაქვემდებარებული პრევენციის როგორც პასუხისმგებლობის გენერალური მასშტაბის, ფუნდამენტური ორიენტირის მნიშვნელობას. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ, ბრალის იდეის განვითარების თვალსაზრისით, ეს ერთობ უარყოფითი თვალთახედვაა. მაგრამ იმავდროულად უთუოდ საჭიროებს ხაზგასმას ისიც, რომ ეს უკიდურესობა შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში არსებული საპირისპირო უკიდურესობის დაძლევის შედეგად წარმოიქმნა. შუა საუკუნეების კანონიკური სამართლისათვის ფაქტობრივად უცხოა სასჯელის გამომრიცხველი გარემოების ცნება. ბრალი კანონიკურ სამართალში უბრალოდ პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძველი კი არ არის, არამედ, ამასთანავე, პასუხისმგებლობა ბრალის აუცილებელი შედეგიცაა (სხვა საკითხია ის, რომ მსგავსი პოზიცია ძირეულად ეწინააღმდეგებოდა თვით გაბატონებულ რელიგიურ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმადაც ბრალს არამც და არამც არ

შეეძლო სასჯელის უპირობო გამოწვევა). აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის აბსოლუტირებასა და სასჯელის ცნების სრულ თეორიულ განუვითარებლობას. ის, რომ ბეკარიას მოძღვრება შესაძლებელს ქმნის სასჯელის გამომრიცხველ გარემოებათა ცნების ფორმირებას, ამ მოძღვრების უდავო პროგრესულობაზე მეტყველებს, მაგრამ ეს, ცხადია, ოდნავაც არ ამართლებს მის თვალთახედვაში წარმოდგენილ რადიკალიზმს, რომელიც ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის მიუღებელ დეგრადირებას განაპირობებს.

თუმც აქვე უნდა გამოიყოს ის გარემოებაც, რომ ბეკარიას საბოლოო პოზიციაში, რომელსაც ის დასკვნით თეორემას უწოდებს, უკვე არ არის საუბარი იმაზე, რომ სასჯელის ხარისხის შესაბამების ერთადერთ კრიტერიუმს პრევენციის მოთხოვნები უნდა შეადგენდეს. დასკვნით თეორემაში ბეკარია კვლავ უბრუნდება თავის თავდაპირველ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სასჯელი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს. და რადგან აქ საქმე გვაქვს ბეკარიას მოძღვრების საბოლოო დასკვნასთან, ზემოგანხილული წინააღმდეგობაც დაძლეულად უნდა ჩავთვალოთ.

მაგრამ დასკვნით თეორემაში მხოლოდ აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის ფაქტი როდია გამოსაყოფი. ბეკარიას დასკვნითი თეორემა იმის ყველაზე უფრო ნათელი დემონსტრირებაა, თუ რაოდენ ინტენსიურად განვითარდა სისხლისსამართლებრივი აზრი ამ იტალიელი კრიმინალისტის შემოქმედებაში. „...იმისათვის, რომ სასჯელი, — აღნიშნავს ბეკარია თავის დასკვნით თეორემაში, — არ იყოს ერთი ან მრავალი პირის ძალადობა მოქალაქის პიროვნების წინააღმდეგ, ის უსათუოდ უნდა იყოს საჯარო, სწრაფი, აუცილებელი, მსუბუქი რამდენადაც შესაძლებელია არსებულ პირობებში, დანაშაულის პროპორციული და კანონით ზუსტად განსაზღვრული (dettata dalle leggi)".116 როგორც ვხედავთ, ბეკარიას მოცემულ დებულებაში ასახულია თითქმის ყოველივე ის, რასაც სასჯელის თანამედროვე მოდელი ეფუძნება.

ჩვენთვის განსახილველ შემთხვევაში ყველაზე უფრო აქტუალურია ბეკარიას შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სასჯელი უნდა იყოს აუცილებელი, რადგან თავის ამ შენიშვნაში ის, უწინარეს ყოვლისა, სიკვდილით დასჯის მიუღებლობას გულისხმობს. სიკვდილით დასჯის პრობლემას ბეკარია მთელ პარაგრაფსაც უძღვნის და სწორედ აქ მიუთითებს იმაზე, რომ სასჯელის ეს სახე არც სასარგებლოა და არც აუცილებელი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ამასთანავე, ის, ერთი მხრივ, სიკვდილით დასჯის წინაშე უვადო პატიმრობის უპირატესობის დასაბუთებას ცდილობს, მეორე მხრივ კი, სიკვდილით დასჯასთან ერთად სხეულებრივი სასჯელის ყველა დანარჩენ სახესაც უარყოფს. საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯა მხოლოდ ამჟამად გაუქმდა და ის სწორედ უვადო პატიმრობით იქნა შეცვლილი,

რაც მნიშვნელოვან პროგრესად მიიჩნევა, რადგან არაერთი სამართლებრივად მაღალგანვითარებული სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში სიკვდილით დასჯა ჯერ კვლავაც გამოიყენება (თუმცაღა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში ეს სიკვდილით დასჯის გაუქმების პირველი პრეცედენტი არ ყოფილა, ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში სასჯელის ამ სახის გამოყენება იკრძალებოდა ერთიანი ქართული სამეფოს მთელ ტერიტორიაზე).

მაგრამ შესაძლებელია კი სინამდვილეში ვამტკიცოთ უვადო პატიმრობის უპირატესობა სიკვდილით დასჯის წინაშე? ჩვენი აზრით, ხსენებული უპირატესობა უეჭველია, რამეთუ სიკვდილით დასჯა გულისხმობს სუბიექტისათვის ყველა უფლებისა და თავისუფლების სამუდამო ჩამორთმევას, მაშინ როდესაც უვადო პატიმრობის შემთხვევაში სუბიექტს სამუდამოდ ჩამოერთმევა თავის უფლებათა და თავისუფლებათა მხოლოდ ნაწილი.

მაგრამ უვადო პატიმრობის უპირატესობა სიკვდილით დასჯის წინაშე ჯერ სულაც არ ნიშნავს ამ პირველის უპირობო აქცეპტაბელურობას. უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს მისაღები, რამდენადაც ის მოიცავს მსჯავრდებულის განთავისუფლების შესაძლებლობას. უკეთ რომ ვთქვათ, უვადო პატიმრობა ფაქტობრივად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს უვადო, კერძოდ კი მაშინ, როდესაც საერთოდ ვერ მიიღწევა მსჯავრდებულის გამოსწორება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მომენტი სათანადოდ არის გათვალის-წინებული თანამედროვე სისხლის სამართალში (როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე სისხლის სამართლის პრაქტიკაში). მაგრამ წმინდად თეორიულად, ვფიქრობთ, უვადო თავისუფლების აღკვეთა მაინც არ შეიძლება იყოს ბოლომდე მისაღები, ვინაიდან აქაც, ისევე, როგორც სიკვდილით დასჯის შემთხვევაში, სპეციალურ პრევენციას გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ ვიხელმძღვანელებთ ამ ლოგიკით, აღმოჩნდება, რომ სუბიექტს შესაძლოა ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუ ვადიანი პატიმრობის ფარგლებში ვერ მიიღწევა მისი უვნებელყოფა (გამოსწორება). ამიტომაც თეორიულად გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, თუ განსახილველი პრობლემა თვით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ფარგლებშივე გადაწყდებოდა.

ხოლო რაც შეეხება ზოგადად სხეულებრივ სასჯელთა უარყოფის საკითხს, რაზედაც ჩვენ ზემოთ მივუთითებდით, ბეკარიას თვალთახედვა უპირობოდ უნდა გავიზიაროთ. მაგრამ ჩვენ აბსოლუტურად ვერ დავეთანხმებით ამ თვალთახედვის ბეკარიასეულ არგუმენტაციას. „არა სასჯელის სიმძიმე, — წერს ბეკარია, — არა მისი ინტენსიურობა (intensione), არამედ სასჯელის ხანგრძლივობა, სასჯელის ექსტენსიურობა (extensione) ახდენს ადამიანის გონებაზე უდიდეს ზეგავლენას, რადგან ჩვენს გრძნობებზე უპირატესად ზემოქმედებს შთაბეჭდილებები

ნაკლებად ძლიერი, მაგრამ ხანგრძლივი, ვიდრე შთაბეჭდილებები ძლიერი, მაგრამ სწრაფად წარმავალი".117 გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა, სხეულებრივი სასჯელი საზოგადოდ უფრო ეფექტური პრევენციული საშუალებაა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. რაც უფრო მეტია სხეულებრივი სასჯელის სიმძიმე, ერთი მხრივ, და თავისუფლების აღკვეთის ხარისხი, მეორე მხრივ, მით უფრო თვალსაჩინოა სასჯელის პირველი სახის უპირატესობა სასჯელის უკანასკნელ სახესთან მიმართებაში დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. შესაბამისად, სხეულებრივი სასჯელის მიუღებლობა პრინციპულად სხვა მიმართულებით უნდა ვეძიოთ. კერძოდ კი, სასჯელის ამ სახის სისხლისსამართლებრივ დაუშვებლობას განაპირობებს მისი სრული შეუთავსებლობა ეთიკის ელემენტარულ მოთხოვნებთან. სხეულებრივი სასჯელი, როგორც წესი, დაკავშირებულია დამნაშავისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენებასა და მისი ღირსების დამცირებასთან, რაც ეთიკურად ერთნაირად შეუწყნარებელია. აღსანიშნავია, რომ ამჟამად უკვე თითქმის ყველა ქვეყნის სამართლებრივ პრაქტიკაში სრულიად გამოირიცხება სხეულებრივი სასჯელის ყოველგვარი გამოვლინება, ვინაიდან თანამედროვე სისხლის სამართალში პირდაპირ ასახვას პოვებს ჰუმანიზმის პრინციპი.

მართალია, ბეკარიას დასკვნით თეორემაში არაფერია მითითებული პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპზე, მაგრამ ის უშუალოდ აღიარებს ამ პრინციპის მნიშვნელობას შეწყალების საკითხის განხილვისას. „უჩვენო საზოგადოებას, — აღნიშნავს ბეკარია, — რომ დანაშაულის მიტევება შესაძლებელია და რომ სასჯელი არ არის მისი გარდაუვალი შედეგი, ნიშნავს, დაუშვა დაუსჯელობის იმედი და იმის ფიქრის საფუძველი, რომ სასჯელის აღსრულება მათ მიმართ, ვინც შეწყალების გარეშე რჩება, უფრო ძალის ბოროტად გამოყენებაა, ვიდრე მართლმსაჯულების შედეგი."118 მაშასადამე, ბეკარია იმდენად თანამიმდევრულად იცავს პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრიცნიპს, რომ არც შეწყალების ინსტიტუტის უარყოფას ერიდება. თუ რას ნიშნავს, სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების თვალ-საზირსით, შეწყალების უარყოფა მეთვრამეტე საუკუნის მონარქიული წყობილების პირობებში, ვფიქრობთ, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს — ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბეკარიასთან სისხლის სამართალი იძენს ჭეშმარიტი მეცნიერების სახეს, რომელიც უკვე არ წარმოადგენს ლოგიკურად ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა სპონტანურ ერთობას, არამედ აიგება მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზე და ექვემდებარება სპეციფიკურ თეორიულ კანონებს.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ თვით შეწყალების პრობლემა დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას.

ბეკარია, გარდა იმისა, რომ შეწყალებას განიხილავს როგორც პასუხის-მგებლობის გარდაუვალობის პრინციპთან შეუთავსებელ ცნებას, მიიჩნევს

აგრეთვე, რომ ამ შემთხვევაში საერთო უსაფრთხოება ერთიანად ეწირება კერძოს, რაც ასევე უდავოდ მნიშვნელოვანი არგუმეტია.

მაგრამ შეწყალების მიუღებლობა, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო ღრმა და მასშტაბური ხასიათისაა, ვიდრე ეს ბეკარიას მტკიცებებიდან გამომდინარეობს. შეწყალების ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ წარსულში სახელმწიფოში მოქმედი ყველა კანონის შესაბამების მთავარ მასშტაბს მონარქის სუბიექტური ნება შეადგენდა, ე. ი. იმჟამად აღიარებდნენ „მონარქის ნების უზენაესობას" (ისევე, როგორც თანამედროვე სამართლებრივ დოქტრინაში აღიარებულია კონსტიტუციის უზენაესობა), რაც ნიშნავს იმას, რომ მონარქი თავის სახელმწიფოში მოქმედ ნებისიმერ კანონზე მაღლა უნდა მდგარიყო. დღეს კი არც ერთ სახელმწიფოში, თუნდაც ყველაზე არადემოკრატიული სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში, არავინ არის აღჭურვილი პრივილეგიით, იდგეს ამ სახელმწიფოში მოქმედ კანონებზე მაღლა. აქედან გამომდინარე, შეწყალების ინსტიტუტი უნდა განიხილებოდეს როგორც უაღრესად რეაქციული რუდიმენტი, რომელიც დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გაუქმდეს.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბეკარიას მოძღვრებაში ინტენსიურ განვითარებას პოვებს არა მხოლოდ საკუთრივ ბრალის ცნება, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის სხვა ასევე მნიშვნელოვანი ცნებები და ზოგადად სისხლისსამართლებრივი აზრი. ბრალის იდეის განვითარების თვალსაზრისით, ბეკარიას მოძღვრებაში ჩვენ უმთავრესად გამოვყოფდით იმას, რომ აქ დამაჯერებლად არის დაძლეული შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში გაბატონებული უკიდურესი სუბიექტივიზმი. ბეკარიასათვის ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ სისხლის-სამართლებრივად ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული ობიექტური ქცევის თანამდევი ფსიქიკური პროცესი და არა ესა თუ ის ფსიქიკური პროცესი თავისდათავად, გარეგანი გამოვლინების გარეშე. რაც მთავარია, ამის შედეგად სისხლისსამართლებრივი ბრალი საბოლოოდ იმიჯნება როგორც რელიგიური, ისე ზნეობრივი ბრალისაგან, რომელთა დასაფუძნებლად სრულიად უმნიშვნელოა ფსიქოლოგიური ქცევის მიმართება გარე სამყაროსთან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კანონიკური სუბიექტივიზმის უარყოფით ბეკარია არსებითად გამოკვეთს სისხლისსამართლებრივი ბრალის განსაკუთრებულ ბუნებას.

§2. ფოიერბახისა და შტიუბელის შეხედულებები

გაუფრთხილებლობითი ბრალი

ფოიერბახის ბრალის თეორიის მთავარი ღირსება არის ის, რომ მან თუმც მცდარად, მაგრამ პირველმა სცადა ბრალის სტრუქტურაში ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა მნიშვნელობის გარკვევა. ზოგიერთი მისი შეხედულება მოგვიანებით ბრალის ნორმატიულ თეორიაშიც პოვებს თავის განვრცობას.

ფოიერბახის მიერ ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური იძულების თეორიის მიხედვით, სუბიექტი მუდამ შეგნებულად აკეთებს არჩევანს მართლზომიერ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის. მის თანახმად, დამნაშავე დასჯადი ქმედების ჩადენამდე ერთმანეთს უპირისპირებს თავის საზოგადოებრივად საშიშ მისწრაფებებსა და სასჯელს როგორც ფსიქოლოგიური იძულების ხერხს. ამის გამო, ფოიერბახის მტკიცებით, „სასჯელის ზომა ყოველთვის უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ შეძლოს ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო განზრახვის ფსიქოლოგიური პარალიზება.”119 მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ფოიერბახთან სასჯელი მხოლოდ პრევენციული ღონისძიების სახითაა წარმოდგენილი. ზოგად ანუ გენერალურ პრევენციასთან ერთად სასჯელს აქ წმინდად რეპრესიული დანიშნულებაც გააჩნია. ფოიერბახის თქმით, კანონმდებელი იმიტომ აცხადებს ქმედებას დასჯადად, რომ ის ბრალეულია, ხოლო ამის უკუპროპორციულობა მისთვის სეკუნდარული მნიშვნელობისაა. ეს კი ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის სისტემატიკაში პრიორიტეტულ ელემენტად გამოყოფილია სწორედ ბრალი და არა სასჯელი.

ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით, ფოიერბახის შემოქმედებაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გაუფრთხილებლობის პრობლემა. ფოიერბახი ცდილობს მკაცრად განასხვავოს ერთმანეთისაგან განზრახი და გაუფრთხილებლობითი ბრალი. მის მიხედვით, მოქალაქე ვალდებულია არა მხოლოდ არ სურდეს გარკვეული „კანონსაწინააღმდეგო ეფექტი”, არამედ ის ყოველთვის უნდა მოქმედებდეს ან უმოქმედობდეს იმისათვის, რომ ეს ეფექტი არ დადგეს მისი სურვილის საწინააღდმეგოდაც, ე. ი. სამართალი არ უნდა დაირღვეს არანაირი სახით, არც განზრახ და არც გაუფრთხილებლობით.

მაგრამ იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული თვალსაზრისით, ფოიერბახი ვერამც თუ ვერ აღწევს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებათა მკაცრ დიფერენცირებას, არამედ პირიქით, ცალსახად უარყოფს რა გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ ბუნებას, შეაქვს მოცემულ ცნებაში განზრახი ბრალისთვის იმანენტური ელემენტი.

„*Culpa*-ს როგორც გონებრივი შეცდომის (ein Verstandesfehler) შესახებ მოძღვრების უარყოფით, — შენიშნავს ვ. ჰარდვიგი, — ფოიერბახი უკავშირებს როგორც ზნეობრივ, ისე სამართლებრივ გაუფრთხილებლობით ბრალს აქტუალურ მოვალეობის საწინააღმდეგო სურვილს. რადგანაც გაუფრხილებლობითი ქცევის მომენტში ნება ან, სულ მცირე, ბრალეული ნება მართლაც არ მოიცემა, ბრალი უნდა ვეძიოთ ***actus***

voluntatis remotus-ში ანუ თავდაპირველ აქტუალურ ბოროტ ნებაში".120 თავდაპირველ აქტუალურ ნებაში იგულისხმება სუბიექტური ნება, რომელიც წინ უძღოდა სუბიექტის ფსიქოლოგიურ საქმიანობას უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას და რომლითაც გამოიხატება სათანადო სისხლისსამართლებრივი მოთხოვნის *შეგნებული* დარღვევა.

მაგრამ როგორ შეიძლება იყოს შეთავსებადი სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნის შეგნებული დარღვევა გაუფრთხილებლობის სპეციფიკურ დოგმატურ ბუნებასთან? ყოველივე ამას ფოიერბახი შემდეგნაირად განგვიმარტავს: „როდესაც *culpa*-ს დასჯადად წარმოიდგენენ, ამოსავალ მომენტს წინდახედულობის მოვალეობა შეადგენს. მაგრამ რა სახით ირღვევა ეს წინახედულობის მოვალეობა? ხომ არ შეიძლება, რომ ის დაირღვეს კვლავ უყურადღებობით (ein Versehen) და ა. შ. უსასრულობამდე? მოცემული მოვალეობის დარღვევა უფრო მეტად... მართლსაწინააღმდეგო განზრახვაში, კერძოდ სურვილის კანონსაწინააღმდეგობის შეგნებით განხორციელებულ განსაზღვრაში მდგომარეობს. ამდენად, მართლსაწინააღმდეგო განზრახვა შეადგენს დასჯადობის საფუძველს როგორც *dolus*-ის, ისე *culpa*-ს შემთხვევაში".121 როგორც ვხედავთ, აქ ფაქტობრივად ადგილი აქვს გაუფრთხილებლობითი ბრალის, როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის დამოუკიდებელი სახის უარყოფასა და განზრახი ბრალის ცნებასთან შერწყმას.

ამავე დროს, მეტად დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ფოიერბახი ორივე შემთხვევაში (ე. ი. განზრახი და გაუფრთხილებლობითი ბრალის შემთხვევაში) სისხლისსამართლებრივი ბრალის ცნებას (სისხლისსამართლებრივი) ვალდებულების დარღვევას უკავშირებს. მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, თუ რატომ მიაჩნია ფოიერბახს შეუძლებლად წინდახედულობის ვალდებულების „უყურადღებობით" დარღვევა. ჩვენი აზრით, წინდახედულობის ვალდებულება თანაბრად შესაძლოა დაირღვეს როგორც შეგნებულად, ისე უყურადღებობითაც. იმისდა მიხედვით, წინდახედულობის ვალდებულება ირღვევა შეგნებულად თუ უყურადღებობით, ბრალი შესაძლებელია იყოს განზრახი ან გაუფრთხილებლობითი. უფრო მეტიც, წინდახედულობის ვალდებულება ჩვეულებრივ სწორედ უყურადღებობით ირღვევა: შეიძლება კი ვისაუბროთ წინდახედულობის ვალდებულების შეგნებულ დარღვევაზე მაშინ, როდესაც სუბიექტისათვის კატეგორიულად არასასურველია დამდგარი საზიანო შედეგი?

გაუფრთხილებლობით ბრალთან მიმართებაში შტიუბელთანაც ვხვდებით ორიგინალურ თვალთახედვას. ბრალზე შტიუბელის მოძღვრების ამოსავალ პრინციპს ნების თავისუფლება შეადგენს. მისი თვალთახედვის ზემოხსენებული ორიგინალურობა კი მდგომარეობს იმაში, რომ თავისუფალ ნებას გერმანელი კრიმინალისტი საკმაოდ მკაცრ, ზოგ შემთხვევაში კი ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. ამავე დროს, მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ბრალზე

ფოიერბახისა და შტიუბელის შეხედულებათა ერთობლივი ანალიზი, მართალია, პირდაპირ უკავშირდება მათ მიერ გაუფრთხილებლობითი ბრალის სპეციფიკურ აღქმას, მაგრამ არსებითად მდგომარეობს არა საუკთრივ ამ პრობლემის, არამედ ბრალის ცნებასთან ნორმის უცოდინარობის მიმართების კვლევის აუცილებლობაში. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, განსახილველ კონტექსტში ფოიერბახისა და შტიუბელის შეხედულებათა სპეციფიკურობა მათ მიერ სწორედ გაუფრიხილებლობითი ბრალის სტრუქტურირებისას იჩენს თავს.

შტიუბელთან გაუფრთხილებლობითი ბრალის შინაარსი შემდეგგვარად არის წარმოდგენილი:

„1) დარღვეული სისხლისსამართლებრივი ნორმის უცოდინაროობა, თუ არსებობდა მისი ცოდნის შესაძლებლობა;

2) წინდაუხედაობა, მოუფიქრებლობა ნორმის სათანადო მოთხოვნაზე ბუნდოვანი წარმოდგენის შემთხვევაში;

3) წინდაუხედაობა ქმედების ყველა გარემოებაში არასაკმარისი გარკვეულობის დროს;

4) ქმედების სისხლის სამართლის კანონისადმი ნაჩქარევად მცდარი მისადაგება".122 აქვე დავძენთ, რომ შტიუბელი დასჯადობის საფუძვლად განიხილავს არა ქმედებით გამოწვეულ შედეგს, არამედ სამართლებრივი სიკეთისადმი ცნობიერად დამუქრებულ საფრთხეს. ეს კი *culpa*-ì *dolus*-თან გათანაბრების მომასწავებელია, რადგან სამართლებირვი სიკეთის წინასწარი შეცნობით საფრთხეში ჩაყენება აშკარად და მარტოოდენ *dolus*-ისთვის იმანენტური თვისებაა.

ფოიერბახთან კი სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობის სტრუქტურა ამგვარად გამოიყურება:

„1) გარეგანი ქმედების ჩადენა, როდესაც სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი ქმედების კაუზალური კავშირი შესაძლო ან ადვილად შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შედეგთან;

2) სისხლის სამართლის კანონის უცოდინარობით გამოწვეული გაუფრთხილებლობითი ქმედება;

3) გაუფრთხილებლობა წინდაუხედაობით (Ubereilung), როდესაც დამნაშავე სათანადოდ არ იკვლევს თავის ქმედებას, რათა შეძლოს მისი სუბსუმირება სისხლის სამართლის კანონისადმი;

4) გაუფრთხილებლობა მოუფიქრებლობით (Unbedachtsamkeit), როდესაც სუბიექტს არ უფიქრია თავის ქმედებასა და სამართალდარღვევას შორის შესაძლო კაუზალურ კავშირზე".123 პირველ შემთხვევაში ფოიერბახს, მიუთითებს რა ქმედებასა და შესაძლო ან ადვილად შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შედეგს შორის კაუზალური კავშირის შეგნებაზე, მხედველობაში აქვს თანამედროვე სისხლის სამართალში პირდაპირი და ევენტუალური განზრახვისთვის დამახასიათებელი ინტელექტუალური მომენტი, კერძოდ კი მართლწინააღმდეგობის შეგნება. მისი ეს მცდელობა აშკარად უპერსპექტივოა, რადგან მართლწინააღმდეგობის შეგნება და გაუფრთხილებლობა სრულიად ურთიერშეუთავსებელი კატეგორიებია,

სამართლებრივადაც და ეთიმოლოგიურადაც (მართალია, როდესაც ქმედების მიმართ მოცემულია განზრახვა, შედეგის მიმართ კი — გაუფრთხილებლობა, მართლწინააღმდეგობის შეგნება სახეზეა, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ აქ მოცემულია შერეული ბრალი და არა მხოლოდ საკუთრივ გაუფრთხილებლობა). მაგრამ ფოიერბახი თავისებურად განმარტავს გაუფრთხილებლობის ცნებას. მას მიაჩნია, რომ განზრახი და გაუფრთხილებლობითი ბრალის გასამიჯნავად საკმარისია ნებელობითი ნიშანიც და განასხვავებს მათ იმისდა მიხედვით, სურს სუბიექტს მართლსაწინააღმდეგო შედეგი თუ არა.

ნორმის უცოდინარობა

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილ პრობლემას ნორმის უცოდინარობისა და ბრალის ცნების ურთიერთმიმართების შესახებ, გარკვევით ჩანს, რომ ფოიერბახისა და შტიუბელის მიდგომა მოცემული საკითხისადმი მკაფიოდ არატრადიციულია. აღსანიშნავია, რომ ნორმის უცოდინარობის პრობლემა გამუდმებით შეადგენდა სისხლის სამართლის თეორეტიკოსთა დაინტერესების საგანს. ამას თვალნათლივ მოწმობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის თეორიაში დამკვიდრებულ აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა. ნორმის უცოდინარობა (ცოდნის შესაძლებლობის არსებობისას), ფოიერბახისა და შტიუბელის თვალთახედვის ჩათვლით, ხუთგვარად გაიგება: 1) როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება, 2) როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, 3) როგორც ბრალთან მიმართებაში ნეიტრალური გარემოება, 4) როგორც განზრახი ბრალის გაუფრთხილებლობად განმსაზღვრელი გარემოება და 5) როგორც გაუფრთხილებლობითი ბრალის ნაირსახეობა.124

გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს პირველი შეხედულება, ვინაიდან თანამედროვე კრიმინალისტთა უდიდესი ნაწილი ნორმის უცოდინარობას სწორედ პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან შემსუბუქებას უკავშირებს. ნორმის უცოდინარობის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად აღიარების ერთ-ერთ დოგმატურ წინამძღვარს შეადგენს ის, რომ ეს პირველი (ე. ი. ნორმის უცოდინარობა = მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა) არ უნდა ზემოქმედებდეს ბრალის ფორმაზე ანუ არ უნდა გამორიცხავდეს განზრახვას. „ზოგჯერ, — აღინიშნება გაბატონებულ დოქტრინაში, — პირი დანაშაულად და დასჯადად არ თვლის თავის ქმედებას, როდესაც იგი სისხლის სამართლის კანონით საზოგადოებრივად საშიშად, დანაშაულად ითვლება. ასეთი შეცდომა არ ახდენს გავლენას პირის ბრალის ფორმაზე, რადგან იგულისხმება, რომ... სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ამა თუ იმ ქმედების აკრძალვა ცნობილია ყველასათვის"125 .აქედან იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ტრადიციულ დოგმატიკაში შეცდომა (განსახილველ

შემთხვევაში შეცდომის ჩვენთვის აქტუალური სახე) „არ ახდენს გავლენას პირის ბრალის ფორმაზე".

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, აქ არავითარ გაუგებრობას ადგილი არა აქვს. საქმე ის არის, რომ განზრახვისა და შეცდომის ტრადიციულ ცნებათა კვლევასაც ზედმიწევნით იმავე დასკვნამდე მივყავართ. მართალია, განზრახვის ცნების დეფინიციაში გარკვევით აღინიშნება, რომ სისხლისსამართლებრივი განზრახვით მოქმედ სუბიექტს მოეპოვება მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა (აუცილებლობის ან შესაძლებლობის გათვალისწინება) და ნდომა (სურვილი ან შეგნებული დაშვება), მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და ნდომა სხვა რამ არის, ვიდრე შედეგის მართლწინააღმდეგობის ცოდნა და ნდომა. სავსებით შესაძლებელია, რომ პირი იმგვარად ითვალისწინებდეს და სურდეს ან შეგნებულად უშვებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომ არც ითვალისწინებდეს და არც სურდეს ან შეგნებულად უშვებდეს ამ შედეგის მართლწინააღდეგობას, რაც იმის მეტყველია, რომ მართლწინაღამდეგობის შეგნება არანაირ ასახვას არ პოვებს განზრახვის სფეროში. მაშასადამე, განზრახვის ზემოწარმოდგენილი ცნების შინაარსიდან ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ იურიდიული შეცდომა, როგორც პირის არასწორი წარმოდგენა თავისი ქმედების აკრძალულობის შესახებ, ვერც მაშინ გამორიცხავს ამ პირველს, როდესაც ეს უკანასკნელი წარმოქმნილია სისხლისსამართლებრივად მისატევებელ მიზეზთა გამო.

ხოლო ამის შედეგად, თავის მხრივ, გამოდის, რომ იურიდიულმა შეცდომამ შესაძლებელია გამორიცხოს ბრალი განზრახვის გამორიცხვის გარეშე. მართლაც, როდესაც შეცდომა საპატიოა (ე. ი. როდესაც სუბიექტს არ შეეძლო დაეძლია მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა), ბრალის მოუცემლობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაშინ როდესაც განზრახვა, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, აქ სულაც არ გამოირიცხება. აქედან კი მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: განზრახვისა და შეცდომის ტრადიციულ ცნებათა ურთიერთობიდან გამომდინარე, გაბატონებულ მოძღვრებაში განზრახვის არსებობა საკმარისი არ არის სუბიექტური ქმედების ბრალეულად აღიარებისათვის.

მოწმობს თუ არა ეს გაბატონებული მოძღვრების წინააღმდეგობრიობას? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაბატონებულ მოძღვრებაში განზრახვა ბრალის ფორმაა, არ უნდა საჭიროებდეს არავითარ მტკიცებას ის, რომ ჩვენს წინაშეა სრული ალოგიკურობა, რადგან თუ მოიცემა განზრახვა როგორც ბრალის ფორმა, ლოგიკურად დაუშვებელია, რომ არ მოიცემოდეს ასევე თვით ბრალიც: ფორმა ხომ გარკვეული სისტემის (მოცემულ შემთხვევაში ბრალის ცნების) ორგანიზაციისა და სტრუქტურის აღწერილობას ნიშნავს.

ამრიგად, გაბატონებულ მოძღვრებაში ნორმის უცოდინარობის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად აღიარებას გარდუვალად მივყავართ

იურიდიული შეცდომის, განზრახვისა და ბრალის ცნებათა აშკარად წინააღმდეგობრივ კორელაციამდე.

მაგრამ ვნახოთ, თუ რაში მდგომარეობს განსახილველი პოზიციის მიმდევართა არგუმენტაცია. როდესაც ნორმის უცოდინარობას ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად წარმოიდგენენ, თვლიან, რომ სუბიექტი მისი ცოდნის შემთხვევაში, როგორც წესი, სხვაგვარად მოიქცეოდა და ამიტომ ნორმის უცოდინარობით ჩადენილი დანაშაული დამნაშავის პიროვნების უფრო ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მეტყველებს.

ერთი შეხედვით, არც არაფერია მიუღებელი იმაში, რომ პირი, რომელსაც ზუსტი წარმოდგენა აქვს სისხლის სამართლის ნორმაზე და რომელიც შეგნებულად არღვევს მასში გამოხატულ მოთხოვნას, უფრო მკაცრად დაისაჯოს იმასთან შედარებით, ვისთვისაც ეს ნორმა უცნობია და, ვისაც არ ამოძრავებს „ბოროტი ზრახვა", ანტისამართლებრივი განწყობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში მოცემული გვაქვს განზრახვა და ნორმის ცოდნის მხოლოდ შესაძლებლობა, პირველში კი — სუბიექტს განზრახვასთან ერთად მართლწინააღმდეგობის შეგნება ანუ ნორმის აქტუალური ცოდნა მოეპოვება, პასუხისმგებლობის ხარისხი ნორმის უცოდინარობის დროს უთუოდ უნდა შემცირდეს, ვინაიდან ნორმის ცოდნის შესაძლებლობა თავისი მნიშვნელობით დიდად ჩამორჩება ნორმის აქტუალურ ცოდნას. ამასთანავე, როგორც ცნობილია, იმას, რომ კანონმდებელი გაუფრთხილებლობას განზრახვასთან შედარებით პასუხისმგებლობის შემცირებულ ხარისხს უკავშირებს, სწორედ ანალოგიური პრინციპი უდევს საფუძვლად და ეს არ შეიძლება არ მეტყველებდეს აღნიშნული კონცეფციის სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ისეთი ცნების შემოღების აუცილებლობის გამო, როგორიც სისხლისსამართლებრივი ნორმის ცოდნის ვალდებულებაა, მცირე რამ თუ შეიძლება დარჩეს ხელშესახები ამ პოზიციის მეთოდოლოგიური გამართულობიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად უნდა შეინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ, ნორმის უცოდინარობის პრობლემას განვიხილავთ რა მხოლოდ ნორმის ცოდნის ვალდებულებასთან განუყოფელ კავშირში, არც სხვა რომელიმე ზემომოტანილ თვალთახედვას ვიზიარებთ.

მაგრამ შევეხოთ უშუალოდ ფოიერბახისა და შტიუბელის პოზიციას. ცხადია, თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან გაუფრთხილებლობის ამგვარი სტრუქტურირება საერთოდ ვერ იქნება გამართლებული. მაგრამ შტიუბელისა და ფოიერბახის ზემომოტანილი შეხედულებიდან მოცემულ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს მართოოდენ ის, თუ რაგვარად შეიძლება დასაბუთდეს ნორმის (აცილებადი) უცოდინარობა როგორც გაუფრთხილებლობის ნაირსახეობა.

ის, რომ სუბიექტმა არ იცის გარკვეული რამ და იმავდროულად მოეპოვება ცოდნის შესაძლებლობა, სავსებით ესადაგება სისხლისსამართლებ-

რივი გაურფხილებლობის ბუნებას. ამიტომაც, ამ მხრივ, შტიუბელისა და ფოიერბახის შეხედულება სრულიად უნიადაგოდ ვერ იწოდება.

ამასთანავე, როგორც ვიხილეთ, შტიუბელი საუბრობს „დარღვეული სისხლისსამართლებრივი ნორმის უცოდინაროზაზე", საიდანაც გამომდინარე, ნორმის უცოდინაროზა სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია არა როგორც ასეთი, არა უშუალოდ თავის თავთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ ნორმის დარღვევასთან მჭიდრო კავშირში. იგივე ითქმის ფოიერბახის შეხედულებაზეც.

უკეთ რომ ვთქვათ, ნორმის უცოდინაროზა შტიუბელისა და ფოიერბახის მიხედვით პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველი კი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ მხოლოდ მაშინ ქმნის დასჯადობის საფუძველს, თუ სუბიექტმა თავისი უცოდინაროზით უკვე დაარღვია განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი ნორმა. და პირიქით: როდესაც პირი უცოდინაროზით არღვევს სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნას, ის შტიუბელისა და ფოიერბახის თანახმად, ისჯება არა საკუთრივ ნორმის დარღვევისათვის (ე. ი. განზრახვისათვის), არამედ მხოლოდ ნორმის უცოდინაროზისათვის (ე. ი. გაუფრთხილებლობისათვის); იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა სუბიექტის მიერ დარღვეული მოთხოვნა, პასუხისმგებლობის ხარისხი, რასაკვირველია, იზრდება, მაგრამ არ უნდა იყოს სადავო, რომ გაუფრთხილებლობა სისხლისსამართლებრივად ყოველთვის უფრო ნაკლებად შეუწყნარებელია, ვიდრე განზრახვა.

მაშასადამე, ნორმის უცოდინაროზას ამ შემთხვევაშიც სუბიექტისათვის სისხლისსამართლებრივად სასარგებლო შედეგები უკავშირდება. სხვაგვარ დასკვნამდე შტიუბელისა და ფოიერბახის პოზიციის ანალიზი ვერ მიგვიყვანდა, ვინაიდან, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, შტიუბელიც და ფოიერბახიც, ოპერირებენ რა მხოლოდ ნორმის ცოდნის შესაძლებლობით, საერთოდ არ იცნობენ ნორმის ცოდნის ვალდებულების ცნებას.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, განსახილველ პრობლემასთან მიმართებაში სისხლის სამართლის თეორიაში ძირეულად ურთიერთგამომრიცხავი კონცეფციებია შემოთავაზებული. მაგრამ კვლევის შედეგად ასევე ნათლად იკვეთება, რომ არც ერთი კრიმინალისტისათვის არაფერია იმაში მიუღებელი, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმის ცოდნა სისხლისსამართლებრივად სავალდებულო არ არის. ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი პრობლემის მართებული გადაჭრა პრინციპულად ახლებურ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს.

ჩვენ აღნიშნულ ასპექტში შემდეგ ძირითად მომენტებს გამოვყოფდით:

ჯერ ერთი, ობიექტური მხრივ, თუ სუბიექტი არ იცნობს სისხლის სამართლის ამა თუ იმ ნორმას, ის პოტენციური დამნაშავეა, რადგან ადრე თუ გვიან მოცემული პირი აუცილებლად მოექცევა ამ ნორმით რეგულირებად სოციალურ ურთიერთობებში და ადვილად შესაძლებელია დაარღვიოს ის მასზე მცირედი წარმოდგენის უქონლობის გამო. ამდენად,

ნორმის უცოდინარობა მოწმობს ამ ნორმის ადრესატის არა შემცირებულ, არამედ გაორკეცებულ საზოგადოებრივ საშიშიროებას;

მეორეც, სუბიექტური მხრივ, საზოგადოებრივი საშიშროების ამგვარი გაორკეცება გამოწვეულია თვით სუბიექტის მიერ და არა მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, რამეთუ მას შეეძლო სცოდნოდა სათანადო ნორმის შესახებ. გარდა ამისა, ის ამ უცოდინარობის ფაქტით გამოხატავს სამართლისადმი აშკარა უპატივცემლობას, რაც შეიძლება ვლინდებოდეს როგორც ინერტულ, ისე მტრულ დამოკიდებულებაში. ამრიგად, გაუმართლებელია მტკიცება, თითქოს ნორმის უცოდინარობით მოქმედს, განსხვავებით სუბიექტსაგან, რომელსაც მოეპოვება მართლწინააღმდეგობის შეგნება, გააჩნდეს „კეთილსინდისიერი მოქალაქის მართლზომიერი განწყობა".

მესამეც, რაც უმთავრესია, სისხლის სამართლის ნორმა ყალიბდება იმ განზრახვით, რომ ის მიაღწევს თავის ადრესატის გონებამდე, რომ ეს უკანასკნელი მას ცნობად იღებს. თუ სისხლისსამართლებრივი ნორმები სუბიექტთა მხედველობამდე, მათ ცნობიერებამდე ვერ ატანენ, ისინი თავიანთ დანიშნულებას ვერანაირად შეასრულებენ და ამით რეალურ იურიდიულ ძალასაც დაკარგავენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რათა სისხლის სამართალმა მიაღწიოს თავის მთავარ მიზანს — უმნიშვნელოვანეს სოციალურ ურთიერთობათა მკაცრ მოწესრიგებას, სუბიექტი ნორმის შინაარსს უცილობლად უნდა იცნობდეს. ძნელად თუ ვინმე არ დაგვეთანხმება იმაში, რომ სისხლის სამართლის კანონის პრევენციული ფუნქცია დიდად უფრო მნიშვნელოვანია მის რეპრესიულ ფუნქციასთან შედარებით ანუ კანონმდებლისათვის უპირატესად საჭირბოროტოა არა დანაშაულისათვის დასჯა, არამედ სწორედ დანაშაულის თავიდან აცილება. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონი „უფრო მეტად" იქმნება მოქალაქისათვის, რომელმაც ყოველი ღონე უნდა იხმაროს მისი თითოეული ნორმის დასაცავად, ვიდრე მოსამართლისათვის, რომელიც არკვევს უკვე განხორციელებული ქმედების დასჯადობის საკითხს. ეს კი აუცილებელს ქმნის *ნორმის ცოდნის ვალდებულების* არსებობას.

მაგრამ რას მივიღებთ, თუ ჩავთვლით, რომ ნორმის ცოდნა შესაძლოა არ წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი დავალდებულების საგანს? ნორმის ცოდნის ვალდებულების არარსებობა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმის უცოდინარობა სისხლისსამართლებრივად აკრძალული არ არის. ხოლო თუ სისხლისსამართლებრივი ნორმის უცოდინარობა სისხლისსამართლებრივად აკრძალული არ არის, ის სისხლისსამართლებრივად ნებადართულად უნდა მივიჩნიოთ და რადგანაც სისხლის სამართალი სუბიექტს ნებას რთავს არ იცნობდეს სისხლისსამართლებრივ ნორმას, გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივად აბსოლუტურად უმნიშვნელოა, იცნობს თუ არა სუბიექტი ნორმის მოთხოვნას და გააჩნია თუ არა მას მართლზომიერი ქცევის შესაძლებლობა ნორმის უცოდინარობის შემთხვევაში. აქედან,

თავის მხრივ, ვასკვნით, რომ სისხლის სამართალი, ნაკლებად ზრუნავს რა დანაშაულის თავიდან აცდენაზე, პრიორიტეტულ ამოცანად დამნაშავის დასჯას ისახავს, რაც კატეგორიულად მიუღებელია, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება თანამედროვე სისხლის სამართალს. ამისდა კვალად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნორმის ცოდნის ვალდებულების არსებობა სისხლისსამართლებრივი ლოგიკის ელემენტარული მოთხოვნაა.

რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს არსებულ დოგმატიკაში ზემოხსენებული ცნების შემოღებას? იმისდა მიხედვით, დარღვეულია თუ არა ნორმა, რომლის მოთხოვნასაც სუბიექტი არ იცნობს, ნორმის უცოდინარობა ერთ შემთხვევაში იქცევა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ, მეორეში კი — პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. თუ მოცემული დასკვნის პირველი ნახევარი თავისდათავად გამომდინარეობს ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული პოზიციიდან, უკანასკნელი უთუოდ მოითხოვს გარკვეულ განვრცობას. როგორც ზემოთ განზრახვისა და შეცდომის ტრადიციულ ცნებათა ურთიერთობის კვლევისას ვიხილეთ, ნორმის უცოდინარობა განზრახვას არ გამორიცხავს. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი განზრახვა, ტრადიციული გაგებით, მოცემული გვაქვს როგორც ნორმის ცოდნის, ისე ნორმის უცოდინარობის შემთხვევაში და, შესაბამისად, ამ მხრივ, ჩვენს წინაშე სრული ეკვივალენტურობაა. ხოლო რაც შეეხება დამატებით კომპონენტებს, თუ თავდაპირველად მართლწინააღმდეგობის შეგნებას უპირისპირდებოდა ნორმის ცოდნის შესაძლებლობა და აშკარადაც ჩამორჩებოდა მას თავისი მნიშვნელობით, ამჯერად მართლწინააღმდეგობის შეგნების კონტრელემენტი ნორმის ცოდნის ვალდებულების დარღვევაა. პრობლემის საბოლოო გადაჭრაც სწორედ რომ ამ უკანასკნელ ელემენტთა ურთიერთმიმართების გარკვევაზეა დამოკიდებული.

მართლწინააღმდეგობის შეგნება, მართალია, წმინდად ინტელექტუალური კატეგორიაა, მაგრამ ის თავის თავშივე გულისხმობს ისეთ ნებელობით მომენტსაც, როგორიც სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო განწყობაა. ამავე დროს, ეს ვერაფერი არგუმენტია, ვინაიდან როგორც ჩვენ მიერ უკვე ხაზგასმით აღინიშნა, არც უცოდინარობით მოქმედი პირის სახით მოგვეპოვება „მართლზომიერად განწყობილი კეთილსინდისიერი მოქალაქე". მისი განწყობის მოჩვენებით მართლზომიერებას ძირშივე აქარწყლებს ნორმის ცოდნის ვალდებულების დარღვეულობა. მაგრამ ხსენებული ფაქტორის ნეიტრალიზება ჯერ კიდევ არაფერს მიგვითითებს უკანასკნელი გარემოების უპირატეს მნიშვნელობაზე მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან მიმართებაში. ეს მხოლოდ შემოდგომი კონკრეტიზების შედეგად ირკვევა.

მართლწინააღმდეგობის შეგნების შემთხვევაში სუბიექტი იცნობს ნორმას და სურს კიდევაც მისი დარღვევა, ხოლო ნორმის ცოდნის ვალდებულების დარღვევის დროს პირი არ იცნობს და *არც სურს, რომ*

იცნობდეს ნორმის მოთხოვნას. გასაგებია, რომ პასუხისმგებლობის სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის გასაკიცხობის ხარისხი უფრო მაღალი. ეთიკურად ან თუნდაც ზნეობრივ-პოლიტიკურად, ნორმის ცოდნის ვალდებულების დარღვევისას პირი არამცთუ უფრო მეტად, არამედ იმდენადაც კი ვერ გაიკიცხება, როგორც მართლწინააღმდეგობის შეგნების მოცემულობისას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბრალი თანამედროვე სისხლის სამართალში, განსხვავებით კლასიკურ ნორმატივიზმში წარმოდგენილი ბრალის ცნებისაგან, ეფუძნება არა ეთიკურ ან ზნეობრივ-პოლიტიკურ, არამედ სამართლებრივ, ნორმატიულ გასაკიცხობას. და აქ ყოველივე კარდინალურად იცვლება. როდესაც სუბიექტს გააჩნია მართლწინააღმდეგობის შეგნება, ის არღვევს სისხლისსამართლებრივ ნორმას იმის გამო, რომ მისი ინდივიდუალური ინტერესი მოსულია ფსიქოლოგიურად ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობაში ამ ნორმაში გამოხატულ საჯარო ინტერესთან, მაშინ როდესაც ნორმის უცოდინარობით ჩადენილი დანაშაულის დროს სუბიექტი ხელყოფს მოცემულ ნორმაში გამოხატულ საჯარო ინტერესს აღნიშნული ფსიქოლოგიური ბარიერის არარსებობის პირობებში. ამდენად, უკანასკნელ შემთხვევაში სამართლებრივი (ნორმატიული) გასაკიცხობის ხარისხი შედარებით უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე პირველში, რაც გარკვევით მეტყველებს მართლწინააღმდეგობის შეგნების წინაშე ნორმის ცოდნის ვალდებულების დარღვევის პრიმატზე. აქედან გამომდინარე, *ნორმის უცოდინაროპით ბრალი უნდა დამძიმდეს.*

ასეთია ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცნების შემოღების თეორიული შედეგები. რაც შეეხება პრობლემის პრაქტიკულ თვალსაზრისს, აქ მნიშვნელოვნად იზრდება ნორმის ცოდნის პირობათა გაუმჯობესების საჭიროება. დაუშვებელია, რომ სუბიექტს პასუხი მოეთხოვოს ნორმის უცოდინარობისათვის, თუ არ არის შექმნილი მისი რეალური ცოდნის არა უბრალოდ ეფექტური, არამედ მაქსიმალურად ეფექტური მექანიზმი. უკეთ რომ ვთქვთ, სისხლის სამართლის კანონი ზოგადად და მასში განხორციელებული თითოეული ცვლილება ისეოდენ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომ მას სისხლისსამართლებრივი იმპერატივების გასაცნობად საკუთარი ნებისყოფის მხოლოდ მინიმალური დაძაბვა დასჭირდეს.

§3. ტაგანცევის სწავლება (ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტურობა)

XIX საუკუნის დოგმატიკა

XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი კრიმინალისტის ნ. ს. ტაგანცევის შეხედულებებიდან ბრალზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი პოზიცია

კოლექტიური ბრალის შესახებ, რომელსაც ის პრინციპულად უარყოფს. ჩვენი აზრით, ბრალის იდეის განვითარების თვალსაზრისით, მოცემული თვალთახედვის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქ მრავლად ვხვდებით იმის დამასაბუთებელ საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტებს, თუ რატომ უნდა წარმოგვიდგებოდეს სისხლისსამართლებრივი ბრალი მხოლოდ ინდივიდუალური ბრალის სახით.

აღსანიშნავია, რომ უკვე მაშინაც კოლექტიური ბრალის შესახებ თეორიას მრავალი მეცნიერი უჭერდა მხარს. ასე მაგალითად, კ. კენი, რომლის შეხედულებათა ანალიზს ჩვენ მომდევნო ქვეთავს დავუთ-მობთ, წერდა: „კომერციული ბრუნვის განვითარების პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კორპორაციათა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათთვის უწინდებური იმუნიტეტით სარგებლობის უფლების დათმობა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებას. ამიტომაც თეორიული სირთუ-ლეები გვერდზე იქნა გადადებული და ამჟამად კორპორაცია სათა-ნადო სასამართლოს წინაშე საბრალდებო აქტის შესაბამისად შესაძლოა სისხლისსამართლებრივად იდევნებოდეს... კორპორაციის წინა-აღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა ხორციელდებოდეს მხოლოდ ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი ჯარიმის სახით.”126 მაგრამ თუ, ერთი მხრივ, სახეზეა სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის აღიარების „თეორიული სირთულეები”, ხოლო, მეორე მხრივ, კორპორაციათა გაზრდილი რიცხვის პირობებში მათი პასუხისმგებლობის სათანადო მექანიზმის არარსებობა საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებას, აქედან როდი უნდა ვასკვნიდეთ იმას, რომ ხსენებული პასუხისმგებლობის მექანიზმი სისხლის სამართლის ფარგლებშია ჩამოსაყალიბებელი, არამედ პირიქით, უნდა ვაღიარებდეთ მსგავსი მექანიზმის ჩამოყალიბების აუცილებლობას სისხლის სამართლის ფარგლებს მიღმა.

ასევე ვერ მიიჩნევა ლოგიკური აზროვნების ნიმუშად ვინდშაიდის შეხედულებაც, რომლის შესახებ ტაგანცევი მიუთითებს: „ის შემდეგ-გვარად აგებს თავის თეორიას: უფლების ცნება არ მდგომარეობს რეალურ ნდომაში, არამედ მხოლოდ ნდომის შესაძლებლობაში; ამიტომ არასუბიექტურ უფლებათა არსებობა არ ეწინააღმდეგება სამართლის იდეას; თუმც უფლების ფაქტობრივი განხორციელებისას ნავარაუდევია რეალური ნდომა, მაგრამ უფლების ეს გამოვლინება შესაძლოა განხორციელდეს წარმომადგენელთა მეშვეობითაც, როგორც ეს ხდება ქმედუუნარო ფიზიკურ პირთა მიმართ”.127 სრულიად აშკარაა, რომ მსგავსი არგუმენტაციით ვინდშაიდი კოლექტიური ბრალის დასაბუთებას კი არ უწყობს ხელს, არამედ პირიქით, თავისდა უნებურად სწორედ კოლექტიური ბრალის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჯერ ერთი, უფლებაუნარიანობის დასაბუთებას არაფერი შეიძლება აკავშირებდეს არსებითად ბრალუნარიანობისა და დასჯადუნარიანობის დასაბუთებასთან, რამეთუ, ერთი მხრივ, უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალი და სასჯელი პრინციპულად სხვადასხვა სახის ცნებებია. მეორეც,

თუ შედარების ობიექტს წარმოადგენს ქმედუუნარო ფიზიკური პირი, როგორ შეიძლება გამოგვრჩეს ის, რომ ეს უკანასკნელი ბრალუუნაროცაა და, მაშასადამე, სასჯელუუნაროც, რასაც განსახილველ შემთხვევაში, თუ ვიქნებით ბოლომდე თანამიმდევრული, კოლექტიური ბრალის უარყოფამდე უნდა მივყავდეთ.

„ახალი გერმანული თეორია“

ტაგანცევის ძირითადი კრიტიკა კოლექტიური ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით მიმართულია ე. წ. ახალი გერმანული თეორიის წინააღმდეგ, რომლის მთავარ წარმომადგენლებად ის ბეზელერსა და ბლიუნჩლის ასახელებს. ამ უკანასკნელთა მიხედვით, იურიდიული პირი როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი ატარებს რეალურ და არა ფიქტიურ ხასიათს. მათი აზრით, „იურიდიული პირები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ქონებრივ უფლებათა თვალსაზრისით, არამედ მხედველობაში უნდა მიიღებოდეს აგრეთვე მათი საქმიანობის პოლიტიკური მხარეც.., ისინი უნდა წარმოგვიდგებოდეს არა მხოლოდ კერძო, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტებად”, რაზედაც ტაგანცევი შენიშნავს: „ამ მხრივ, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ამ პირთა არსებობა მხოლოდ ფიქტიური, სახელმწიფოს გამოგონილია. არამედ უნდა ვცნოთ ის (იურიდიულ პირთა არსებობა — ავტორი) ბუნებრივად... მაგრამ შემდგომ ამ თეორიის მომხრეები, განსაკუთრებით ბლიუნჩლი, იმდენად გაერთნენ ანალოგიური მოვლენებით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წარმოქმნისა და არსებობის ელემენტებში, რომ გამორჩათ, რომ აქ საუბარია მხოლოდ მსგავსებაზე და არა იგივეობაზე, რომ ცნებები სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზმი — პირობითი გამოთქმებია. ამიტომაც ცნებას „სამართლის ბუნებრივი სუბიექტი” ისინი იყენებდნენ ფიზიკური, თითქმის სხეულებრივი მნიშვნელობითაც კი”.128

ვფიქრობთ, ტაგანცევის მიერ წარმოდგენილი კრიტიკა ბევრად უფრო მკაცრი შეიძლებოდა ყოფილიყო, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, რომ იურიდიული პირი საერთოდ არ შეიძლება მოისაზრებოდეს სისხლის სამართლის რეალურ სუბიექტად. სისხლის სამართლის სუბიექტის რეალური თუ, შესაბამისად, ფიქტიური ხასიათი პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, შეიძლება თუ არა იყოს მისთვის იმანენტური ბრალუნარიანობა და დასჯადუნარიანობა. ჩვენ, ბუნებრივია, არ უარვყოფთ იმას, რომ იურიდიულ პირსაც, ისევე, როგორც ფიზიკურ პირს, შესაძლოა გააჩნდეს სისხლისსამართლებრივად დაცული ინტერესები. მაგრამ ეს საკმარისად რომ ვცნოთ იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის სუბიექტებად აღიარებისთვის, მაშინ იძულებული გავხდებით ვაღიაროთ სისხლის სამართლის სუბიექტებად ცხოველებიც, ვინაიდან არაერთი თანამედროვე ქვეყნის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში მოიძებნება ისეთი მუხლი, რომელიც იცავს

ცხოველებს წამებისაგან (ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2502-ე მუხლი „ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა"). ამდენად, სისხლისსამართლებრივად დაცულ ინტერესთა მფლობელობა ჯერ არაფერს შეიძლება მეტყველებდეს იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის სუბიექტებად აღიარების სასარგებლოდ.

იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობა და დასჯადუნარიანობა

ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ბრალუნარიანობისა და დასჯადუნარიანობის საკითხს, აღსანიშნავია, რომ ლოგიკური აზროვნების ფარგლებში იურიდიულ პირთან მიმართებაში მსგავსი თვისებების თეორიული დასაბუთება შეუძლებელია. იურიდიული პირის მოქმედებაში იგულისხმება მისი წარმომადგენლის განსაზღვრული მოქმედება, რომელსაც ის, მართალია, იურიდიული პირის სახელით სჩადის, მაგრამს ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მოცემული მოქმედება ამ იურიდიული პირის სხვა წევრებთან შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ამიტომ როდესაც ვამტკიცებთ, რომ განსაზღვრული მოქმედების განხორციელებაში ბრალი მიუძღვის არა იურიდიული პირის კონკრეტულ წარმომადგენელს, რომელმაც ეს მოქმედება ფაქტობრივად განახორციელა, არამედ ზოგადად იურიდიულ პირს, ვღებულობთ, რომ ხსენებული მოქმედება ბრალად ერაცხება იურიდუილი პირის ყველა წევრს, რამეთუ იურიდიული პირი სხვა არაფერია, თუ არა მასში შემავალ წევრთა ერთობლიობა. მაგრამ რაოდენ შეიძლება იყოს გამართლეუბლი პირთა ჯგუფის ბრალეულობაზე საუბარი იმ ქმედებისათვის, რომელიც განახორციელა ამ ჯგუფის მხოლოდ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა და რომელთანაც არავითარი შეხება არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ აღნიშნული პირთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს? ასეთ შემთხვევაში დასაშვებია საუბარი მხოლოდ ობიექტურ შერაცხვაზე, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივ ბრალზე.

არსებითად იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე დასჯადუნარიანობის პრობლემასთან მიმართებაშიც. სისხლისსამართლებრივი სასჯელი რომ ატარებდეს მხოლოდ ანაზღაურებით ხასიათს და მოკლებული იყოს რეპრესიულ მომენტს, მაშინ კოლექტიური ბრალის მომხრეთა არგუმენტების აბსოლუტურ უსუსურობაზე საუბარი საკმაოდ ძნელი იქნებოდა. მაგრამ რამდენადაც რეპრესიულობა სისხლისსამართლებრივი სასჯელის განუყოფელი ნიშან-თვისებაა, ჩვენ სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია იურიდიული პირისთვის მისი ბრალუუნარობის პირობებში სასჯელის შეფარდება, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი რეპრესიის ობიექტი ხდება იურიდიული პირის არა მხოლოდ ბრალეულად მოქმედი წარმომადგენელი, არამედ აგრეთვე ის დანარჩენი სუბიექტებიც, რომელთაც არ განუ-ხორციელებიათ არამცთუ ბრალეული, არამედ აგრეთვე მართლსაწინააღმდეგო ან თუნდაც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედება. ის, რომ ამ შემთხვევაში

სისხლისსამართლებრივი რეპრესია ხსენებულ სუბიექტებს ეხება არა პირდაპირ, არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ ირიბად, დიდად არაფერს ცვლის თანამედროვე სისხლის სამართალში აღიარებული პრინციპების გადასახედიდან. საქმე ის არის, რომ თუ სუბიექტი არ ახორციელებს არანაირ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, მას არ უნდა შეეხებოდეს სისხლისსამართლებრივი რეპრესია არც პირდაპირ და არც ირიბად. ყოველი დემოკრატიულად ორგანიზებული საზოგადოების ნებისმიერ წევრს უნდა გააჩნდეს იმის აბსოლუტური გარანტია, რომ ის *სრულიად იქნება დაზღვეული სისხლისსამართლებრივი რეპრესიისაგან, თუ ბრალეულად არ ჩაიდენს განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.* ხოლო რადგან იურიდიული პირის დასჯადუნარიანობის აღიარება მხოლოდ ამ პრინციპის უხეში ხელყოფის შედეგად არის შესაძლებელი, ერთმნიშვნელოვნად უნდა დავასკვნათ, რომ იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვერ მოიყვანება შესაბამისობაში თანამედროვე სისხლის სამართალში აღიარებულ ძირითად პრინციპებთან და, ამრიგად, თეორიულად დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ტაგანცევისთვის თანამედროვე სისხლის სამართალში ჯერ კიდევ არ იყო გაბატონებული ამჟამინდელი სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლური პრინციპები, ისიც თავის დასკვნებში გარკვევით უარყოფს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი დასჯის შესაძლებლობის დაშვებას. „საკითხის მართებული დასმის შემთხვევაში, — აღნიშნავს ტაგანცევი, — ამ თეორიის მიხედვითაც უნდა დაშვებულიყო შემდეგი დედუქცია: იურიდიული პირები, ისევე, როგროც ფიზიკური პირები, ფლობენ ნების გამოვლინებისა და, მაშასადამე, მოქმედების უნარს, მაგრამ ამ გამოვლინებებს ადგილი აქვს სამართლებრივ ურთიერთობათა მხოლოდ განსაზღვრულ სფეროში და ისიც განსაკუთრებულ ორგანოთა — მის წარმომადგენელთა — მეშვეობით, ხოლო იურიდიული პირისადმი მსგავსი მიდგომის პირობებში საუბარიც კი ზედმეტია დანაშაულისათვის მის პასუხისმგებლობაზე.”129 როგორც ვხედავთ, ტაგანცევი არ ცნობს იურიდიულ პირთა დასჯადუნარიანობას, მაგრამ ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილი მოსაზრებისაგან განსხვავებით, ის არ განიხილავს მოცემულ მომენტს როგორც იურიდიულ პირთა სისხლის სამართლის „რეალურ სუბიექტებად” აღიარების მიუღებლობის საფუძველს.

ტაგანცევი ამგვარად განაგრძობს ბრალუნარიანობისა და დასჯადუნარიანობის უარყოფის პირობებში იურიდიულ პირთა რეალურ ხასიათზე მსჯელობას: „განსახილველ საკითხს ყველაზე უფრო მართებულად მიმოიხილავს ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი კუნცე, რომელიც იხილავს რა იურიდიულ პირთა რეალურ ხასიათს, შენიშნავს, რომ მხოლოდ მსგავს პირთა სხეულებრიობის წარმოდგენა შეადგენს ფიქციას, ამის ქვეშ ნაგულისხმევი გაერთიანების დამოუკიდებელი არსებობა კი — სინამდვილეს, ე. ი. ის, რომ იურიდიული პირები წარმოიქმნებიან,

არსებობენ და მოქმედებენ საზოგადოებაში ამ საზოგადოების ორგანული არსებობის კანონთა ძალით, მსგავსად ფიზიკური პირებისა, რის გამოც სამართალს კი არ უხდება ამ პიროვნებათა (ომჩნრყიმ) შექმნა და გამოგონება, არამედ ის მხოლოდ პოულობს მათ ანუ სამართალი კი არ აღჭურავს იურიდიულ პირებს პიროვნებით, არამედ მხოლოდ ცნობს ასეთს (აპმზნთეი ითკრვუბ).”130 ყოველივე ამის შემდეგ კი, ე. ი. იურიდიულ პირთა „რეალური ხასიათის” აღიარების შემდეგ, ტაგანცევი სრულიად გამართლებულად მიიჩნევს კუნცეს შემდგომ მოსაზრებებს, რომელთა შესაბამისადაც უარიყოფა იურიდიულ პირთა პირდაპირი ქმედუნარიანობა და პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის.

ჩვენი აზრით, პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა ანუ ვითარება, როდესაც იურიდიული პირის როგორც სისხლის სამართალის სუბიექტის ხასიათის რეალურობა არ არის დამოკიდებული მის ბრალუნარიანობასა და დასჯადუნარიანობაზე, იმთავითვე მცდარია, რაც კიდევ უფრო გარკვევით შეიძლება დასაბუთდეს, ვიდრე ეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ზემომოტანილი არგუმენტიდან ჩანს. როდესაც უარვყოფთ იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობას, ამით ვაღიარებთ, რომ იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არ შეიძ-ლება იყოს სისხლისსამართლებრივ ვალდებულებათა მატარებელი, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი ბრალი შესაძლოა მივიღოთ მხოლოდ სისხლის-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევის შედეგად. ხოლო თუ პირი (თუნდაც ფიზიკური) არ ფლობს თვისებას იყოს სისხლისსამართლებრივ ვალდებულებათა მატარებელი,ის ვერანაირად იქნება სისხლის-სამართლებრივ ურთიერთობათა „რეა-ლური სუბიექტი”, რამეთუ ასეთ შემთხვევაში უარიყოფა თვით სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იმდენად, რამდენადაც გაურკვეველია, თუ რას შეიძლება დაეფუძნოს ეს უკანასკნელი.

მეტად საგულისხმოა ტაგანცევის მიერ წარმოებული ანალიზი, რო-მელიც შეეხება კოლექტიურ ბრალს მისთვის თანამედროვე სისხლის-სამართლებრივ კანონმდებლობაში. იკვლევს რა კოლექტიური ბრალის ლეგისლატიურ ასპექტს, ტაგანცევი ეხება რუსეთის, გერმანიის, ავსტრიისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსებს. განსახილველი თვალსაზრისით, ის აღნიშნავს: „იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი უპასუხისმგებლობის პრინციპი უპირობოდაა აღიარებული ყველა უახლეს კოდექსში. ის ზოგიერთი გამონაკლისი, რომელსაც ჩვენს კანონმდებლობაში ვხვდებით, არ შეიძლება იქნეს გამართლებული არანაირი რაციონალური მოსაზრებით. ამასთანავე, ამჟამად ეს წესი იურიდიულ პირთა სისხლისსამარ-თლებრივი უპასუხის-მგებლობის შესახებ თავისდათავად იგულისხმება, მაშინ როდესაც უწინ აუცილებლად მიიჩნევდნენ კანონში ამის სპეციალური მითითებით გამოყოფას (ამის თვალსაჩინო მაგალითია 1813 წლის ბავარიის კოდექსის 49-ე პარაგრაფი...; იმავეს იმეორებს ჰანოვერის კოდექსის 56-ე პარაგრაფიც, ჰესენ-დარმშტატის კოდექ-სის 44-ე მუხლიც და ავსტრიის

კოდექსის 48-ე პარაგრაფიც). ფრანგულ სამართალში კი ამჟამადაც არის შენარჩუნებული სახალხო გაერთიანებათა (რქწმნძ) პასუხისმგებლობის ერთი შემთხვევა გადაცდომისათვის, რომელიც ჩადენილია მათ ტერიტორიაზე სახალხო ყრილობების მიერ...”131

მაშასადამე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლექტიურ ბრალს ვხვდებით როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში. ამასთანავე, გამოსაყოფია ის გარემოება, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია კოლექტიური ბრალის ერთადერთი პრეცედენტი, რა დროსაც რუსეთის კოდექსთან მიმართებაში საუბარია „ზოგიერთ გამონაკლისზე” ანუ კოლექტიური ბრალის რამდენიმე შემთხვევაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად დიამეტრულად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: თანამედროვე რუსულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში კოლექტიური ბრალი არამცთუ არ პოვებს იმაზე უფრო მასშტაბურ აღიარებას, ვიდრე ამას თანამედროვე ფრანგულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში აქვს ადგალი, არამედ პირიქით, რუსეთის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში კოლექტიური ბრალის მცირედ გამოვლინებასაც კი ვერსად ვხვდებით, მაშინ როდესაც საფრანგეთის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი გამონაკლისის სახით კი არ უშვებს კოლექტიურ ბრალს, არამედ პირდაპირაც აღიარებს მას.

ტაგანცევის არგუმენტთა სისტემა

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უშუალოდ ის კოლექტიური ბრალის უარსაყოფად წარმოდგენილი არგუმენტთა სისტემა, რომელსაც აყალიბებს ტაგანცევი თავის ზემომითითებულ ნაშრომში. მოცემული სისტემიდან ჩვენ მხოლოდ იმ არგუმენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც, ჩვენი აზრით, უმთავრესი მნიშვნელობისაა.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გამოვყოფდით ტაგანცევის იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ის უარყოფს იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობას იმის საფუძველზე, რომ ამ უკანასკნელთ არ ძალუძთ სისხლის სამართლის კანონში აღწერილ შემადგენლობათა უმეტესობის განხორციელება. „...ხომ არ შეიძლება, — წერს ტაგანცევი, — ბრალი დავდოთ ამა თუ იმ მუნიციპალურ ორგანოს სისხლის აღრევაში ან გაუპატიურებაში, თავადაზნაურთა კრებას კი (дворянское собрание) — მამათმავლობაში ან ნაყოფის მოსპობაში. რომც დავუშვათ, რომ იურიდიული პირები შესაძლოა წარმოგვიდგეს დამნაშავეებად მხოლოდ ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში, არც ეს დებულება იქნება მართებული, რადგან აქაც ასევე ვხვდებით ისეთ სამართალდარღვევებს, რომელთა ჩადენა იურიდიულ პირთა მიერ ლოგიკურად მოუაზრებელია”.132 ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილი თვალთახედვიდან, ვფიქრობთ, გარკვევით გამომდინარეობს ჩვენთვის ტაგანცევის მოცემული შეხედულების

პრინციპული მიუღებლობა: ჩვენი აზრით, იურიდიული პირი იმიტომ კი არ არის ბრალ-უუნარო, რომ მას არ ძალუძს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება, არამედ პირიქით, იურიდიულ პირს სწორედ იმიტომ არ ძალუძს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება, რომ ის ბრალუუნაროა. აქედან გამომდინარე კი, იურიდიული პირი სისხლის სამართლის კანონში წარმოდგენილ დანაშაულთა მხოლოდ უმეტესობის ჩადენის უნარს კი არ არის მოკლებული, არამედ მას საერთოდ არ ძალუძს დანაშაულის ჩადენა.

მაგრამ განვიხილოთ ტაგანცევის მოსაზრება თვით ტაგანცევის მიერ წარმოდგენილი ლოგიკის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ არც აქ გვაქვს საქმე სრულ აქცეპტაბელურობასთან.

ჯერ ერთი, თუ იურიდიულ პირს არ ძალუძს სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ყველა შემადგენლობის განხორციელება, ამას უნდა მივყავდეთ არა ზოგადად მისი ბრალუნარიანობის უარყოფამდე, არამედ მისი ბრალუნარიანობის უარყოფამდე მხოლოდ იმ დანაშაულთა სფეროში, რომელთა განხორციელებაც მას არ ძალუძს. უკეთ რომ ვთქვათ, ამ ლოგიკით სულაც არ უნდა უარიყოფოდეს იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობა, არამედ უნდა ყალიბდებოდეს „შეზღუდული ბრალუნარიანობის" ცნება (=ბრალუნარიანობა მხოლოდ იმ დანაშაულთა ფარგლებში, რომელთა ჩადენაც იურიდიულ პირთა მიერ არ არის „ლოგიკურად მოუაზრებელი").

მეორეც, თუ იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობის უარყოფას საფუძვლად ედება ის გარემოება, რომ მათ არ ძალუძთ სისხლის სამართლის კანონში წარმოდგენილი ყველა შემადგენლობის განხორციელება, მაშინ იმთავითვე უნდა ვაღიაროთ ყოველი ფიზიკური პირის აბსოლუტური ბრალუუნარობაც, ვინაიდან სისხლი სამართლის კოდექსში მოცემულ დანაშაულის შემადგენლობათა სპეციფიკის გამო არც ერთ ფიზიკურ პირს არ ძალუძს ყოველი მათგანის ჩადენა, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ისეთი სისხლისსამართლებრივი ცნების არსებობა, როგორიც არის სპეციალური სუბიექტი (ანაც, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, როგორ მოხერხდებოდა 14 წელს მიღწეულ პირთა პასუხისმგებლობის დასაბუთება სათანადო დანაშაულთა შემთხვევაში: მათაც ხომ არ ძალუძთ სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილ შემადგენლობათა მთელი რიგის განხორციელება). ამდენად, თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ ტაგანცევის განსახილველი მოსაზრება თვით მის მიერ წარმოდგენილი ლოგიკის ფარგლებშიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ტაგანცევის მორიგი არგუმენტი უშუალოდ იურიდიულ პირთა დასჯადუნარიანობას შეეხება. „რომც დავუშვათ კორპორაციათა მიერ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობა, — აღნიშნავს ტაგანცევი, — როგორ გამოვიყენოთ მათ მიმართ კანონში გათვალისწინებული სასჯელები? როგორ მოხერხდება, ვთქვათ, სააქციო საზოგადოებისათვის თავისუფლების აღკვეთა ან მისი გადასახლება? ამასთანავე, არ შეიძლება

არ დავძინოთ, რომ აქ სახეზეა სასჯელთა გამოყენების არა მხოლოდ წმინდად ფაქტობრივი, არამედ აგრეთვე იურიდიული შეუძლებლობაც, რამეთუ ის (სასჯელი — ავტორი) თანამედროვე თეორიაში, ნაწილობრივ კი კანონმდებლობაშიც, გულისხმობს არა მხოლოდ ტანჯვის მიყენებას..., არამედ აგრეთვე დამნაშავის ნებაზე ზემოქმედებასაც. ამ სახის დამნაშავეთა მიმართ გამოყენებადი სასჯელები შესაძლოა იყოს მხოლოდ შემდეგი სახის: კორპორაციის დათხოვნა, მოსპობა, ფიზიკური პირისათვის სიკვდილით დასჯის ანალოგიურად, და ჯარიმა".133

ტაგანცევი სავსებით მართებულად მიუთითებს სასჯელის პრევენციული ფუნქციის არარსებობაზე იურიდიულ პირთა დასჯის შემთხვევაში. მართლაც, სასჯელი ვერანაირად ზეიმოქმედებს იურიდიული პირის ნებაზე პრევენციულად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იურიდიულ პირს ნება, როგორც ასეთი, არ შეიძლება გააჩნდეს, რაც სათანადოდ გამოიყოფოდა ჯერ კიდევ რომაულ სამართალში კოლექტიური ბრალის კრიტიკისას. რასაკვირველია, პირობითად იურიდიული პირიც შესაძლოა ფლობდეს „კოლექტიურ" ნებას, რომელიც მიიღებოდა მის წევრთა ინდივიდუალურ ნებათა კომბინირების შედეგად, მაგრამ სისხილსსამართლებრივი პრევენციის ობიექტად ძნელად თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს პირობითი ანუ ფიქტიური ნება. და საერთოდ, რა აზრი აქვს ამ პირობით კოლექტიურ ნებაზე პრევენციულ ზემოქმედებას, თუ დანაშაული ჩაიდინება არა ამ უკანასკნელის, არამედ იურიდიული პირის ამ თუ იმ წარმომადგენლის ინდივიდუალური ნების შესაბამისად?

გარდა ამისა, იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ვერც დანარჩენი კონსტიტუციური ნიშნები პოვებს გამოვლინებას. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ იურიდიული პირის მიმართ რეპრესიული მომენტის გამოყენება ანუ მისთვის ტანჯვის მიყენება? სისხლისსამართლებრივი რეპრესია შესაძლოა გავრცელდეს იურიდიული პირის თითოეულ წევრზე ცალკე აღებულზე, მაგრამ იურიდიული პირისთვის როგორც მის წევრთა ერთობლიობისათვის ტანჯვის მიყენება ლოგიკურად წარმოუდგენელია.

არსებითად იგივე უნდა აღინიშნოს დამნაშავის გამოსწორების როგორც სასჯელის მორიგი ფუნქციის შესახებაც. აქაც შესაძლოა ვისაუბროთ მხოლოდ იურიდიული პირის ცალკეულ წევრთა, მაგრამ არა ზოგადად იურიდიული პირის გამოსწორებაზე, რადგან გამოსწორება გულისხმობს მართლშეგნების დონის ამაღლებას, ხოლო მართლშეგნების მოცემულობა, თავის მხრივ, მოითხოვს ფსიქოლოგიური საქმიანობის უნარის მოცემულობას, რასაც იურიდუილი პირი, ცხადია, მოკლებულია.

სასჯელის იმ ორ სახესთან მიმართებაში, რომელსაც ტაგანცევი ასახელებს როგორც იურიდიულ პირთა მიმართ გამოყენებად სასჯელის სახეებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენება ფაქტობრივად მართლაც შესაძლებელია, მაგრამ ამას არ შეიძლება თან ახლდეს სათანადო თეორიული დასაბუთება, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს თვით ტაგანცევიც: „რაც შეეხება პირველს..., დანაშაულის ჩადენა, თუნდაც

ყველაზე უფრო მძიმე სახისა, ვერ გაამართლებს საზოგადოების დახურვას, თუ ამ საზოგადოების საქმიანობის მიზანი კვლავაც რჩება სახელმწიფოსათვის სასარგებლო და აუცილებელი. ასევე ვერ მიიჩნევა რაციონალურად ფულადი ჯარიმების გამოყენებაც... შეიძლება კი იყოს გონივრული სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმის ამოღება, ვთქვათ, საზოგადოებისაგან, რომლის საქმიანობასაც საზღვაო კატასტროფებისას დახმარების აღმოჩენა შეადგენს, მისი გამგეობის მიერ განსაზღვრული დარღვევის ჩადენის გამო, რა დრსოაც თვით სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს გაუწიოს მას დახმარება გარკვეული სუბსიდიებით?"134 ვფიქრობთ, ძნელია მოცემულ შემთხვევაში ამაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტების მოტანა. „სახელმწიფოსათვის სასარგებლო და აუცილებელი" ნებისმიერი საზოგადოების წარმომადგენელმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომლისთვისაც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ამ საზოგადოების დახურვა, რის შედეგადაც მივიღებდით, „სახელმწიფოსათვის სასარგებლო და აუცილებელი" ყველა საზოგადოების დახურვის შესაძლებლობის დაშვებას! უკვე ამ მომენტიდან სრულყოფილად იკვეთება კოლექტიური ბრალის სრული კრიმინალურ-პოლიტიკური შეუსაბამობა. და პირიქით, აქედანვე გარკვევით ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტურობის აღიარება.

ასეთივე სიცხადით არის წარმოდგენილი კოლექტიური ბრალის მიუღებლობა ტაგანცევის მიერ მოტანილ მეორე მაგალითშიც, სადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ფულადი ჯარიმის ობიექტად გვევლინება საზოგადოება, რომელსაც ეს პირველი თავად გამოუყოფს სუბსიდიებს. პრობლემის მთელი სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტიური ბრალის დაშვებისას მსგავსი შემთხვევები შესაძლოა მოგვევლინოს არა იშვიათი გამონაკლისების სახით, არამედ საკმაოდ ხშირად.

კოლექტიური ბრალის საწინააღმდეგოდ მორიგი არგუმენტის წარმოდგენისას ტაგანცევი უშუალოდ გამოკვეთს ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტურობის მნიშვნელობას. „სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპი მოითხოვს, — აღნიშნავს ის, — რომ თითოეულმა აგოს პასუხი მხოლოდ იმ გადაცდომისათვის (აპრყიუარკ), რომელიც მის მიერ არის ჩადენილი; თუ მოცემული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა კორპორაციის შემადგენლობაში შემავალი ყველა ფიზიკური პირი, მაშინ გარკვეულწილად შეიძლებოდა გვესაუბრა ამ მოთხოვნის მიახლოებით შესრულებაზე; მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ის იქ, სადაც დანაშაული ჩადენილია მხოლოდ იურიდიულ პირთა ცალკეული წარმომადგენლების მიერ, მაგალითად, კომპანიის გამგეობის მიერ?"135 როგორც ჩვენ მიერაც ზემოთ აღინიშნებოდა, კოლექტიური ბრალის შემთხვევაში სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს სხვა პირის მიერ განხორციელებული დანაშაულისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს პირველი სწორედ იმ სახითა და ზომით აგებს პასუხს, რა სახისა და ზომის სასჯელიც შეეფარდება ამ

უკანასკნელს! აქვე თავისდათავად ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რის გამო შეიძლება იყოს კანონმდებელი დაინტერესებული მრავალი უდანაშაულო პირის დასჯაში? ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოცემულ შემთხვევებში სასჯელი ძირითადად გამოხატულია ჯარიმაში და როდესაც პასუხისმგებელი სუბიექტის სახით წარმოდგენილია ზოგადად იურიდიული პირი და არა დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული სუბიექტი, ჯარიმის მასშტაბებიც თავისდათავად მნიშვნელოვნად იზრდება. მაგრამ არაბრალეული სუბიექტის შეზღუდვა თავის უფლებებსა და თავისუფლებებში ეკონომიკური მოსაზრებების გამო ყოვლად დაუშვებელია, რამეთუ არაბრალეული პირის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა აბსოლუტური ხელშეუხებლობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებზე. უფრო მეტიც, ხსენებული ღირებულება უზენაესი ხასიათით უნდა გამოირჩეოდეს და მისი ხელყოფა არც სხვა, არაეკონომიკური სახის მოსაზრებებზე დაყრდნობით უნდა იყოს შესაძლებელი.

ხოლო თუ მაინც დავუშვებთ კოლექტიური ბრალის შემთხვევაში ეკონომიკური ინტერესების პრიმატს და იურიდიული პირის კონკრეტული წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დავსჯით იურიდიულ პირს მთლიანად ანუ მის ყველა სხვა დანარჩენ წევრსაც, ეს ზედმიწევნით იგივე ფენომენი იქნებოდა, რომ სისხლის სამართლის ერთი კონკრეტული სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო თანაბრად დაგვესაჯა სისხლის სამართლის ყველა დანარჩენი სუბიექტი! ამდენად, ლოგიკა, რომელიც საფუძვლად უდევს კოლექტიურ ბრალს, მცირეოდენ განვითარებასღა საჭიროებს, რათა გარკვევით ვიხილოთ მთელი მისი უსაფუძვლობა.

ჩვენ ასევე გამოვყოფდით ტაგანცევის მიერ მოტანილ მორიგ არგუმენტსაც, სადაც ყურადღება გამახვილებულია კოლექტიურ ბრალთან დაკავშირებულ წმინდად პროცესუალურ სირთულეებზე, რომლებიც სავსებით სამართლიანად არის წარმოდგენილი როგორც დაუძლეველი. ამ მიმართებით, ტაგანცევი აღნიშნავს: „საქმის წარმოებისას თვით ბრალდებულის დასწრება ჩვენი პროცესის ძირითადი პრინციპია; მაგრამ რაგვარად უნდა შესრულდეს მოცემული პირობა იურიდიულ პირთა გადაცდომებისას? თუ კორპორაციას განვიხილავთ როგორც ფიქტიურ პირს, მსგავსი მოთხოვნა საერთოდ შეუსრულებადია, ვინაიდან წარმომადგენლები შესაძლოა დაშვებულ იქნენ მხოლოდ მცირემნიშვნელოვან საქმეებზე. ხოლო თუ კორპორაციის სუბსტრატად განვიხილავთ მასში შემავალი ყველა იურიდიული პირის ერთობლიობას, როგორ მოხერხდება, მაგალითად, პროცესის მოწყობა თუნდაც რუსეთის რკინიგზების მთავარი საზოგადოების წინააღმდეგ?”136

მაშინაც კი, სასამართლო პროცესზე იურიდიული პირის დასწრება რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იყოს შესაძლებელი, ვერ შევძლებდით მრავალი სხვა თეორიული სირთულის დაძლევას. ასე მაგალითად, რა უნდა შეერაცხოს ბრალად იურიდიულ პირს — ქმედება, რომელიც ჩადენილია

არა მის, როგორც მასში შემავალ ფიზიკურ პირთა ერთობლიობის, არამედ მისი ცალკეული წარმომადგენლის მიერ? ამიტომაც თუ ვიხელმძღვანელებთ ტაგანცევის მიერაც აქცენტირებული პრინციპით, რომლის შესაბამისადაც სუბიექტს მხოლოდ მის მიერ განხორციელებული ქმედება შეიძლება შეერაცხოს ბრალად, მივიღებთ, რომ იურიდიული პირი სასამართლო პროცესზე საერთოდ არ შეიძლება გვევლინებოდეს ბრალდებულის სახით, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია იურიდიული პირით მოცული ყველა ფიზიკური პირის მიერ ერთობლივად. მაგრამ თუ ვიქნებით ბოლომდე თანმიმდევრულნი, უნდა ვაღიაროთ, რომ იურიდიული პირი ვერც უკანასკნელ შემთხვევაში წარმოგვიდგება ბრალდებულის სახით, ვინაიდან კოლექტიური ბრალი (წმინდად ფორმალურად) შესაძლოა მივიღოთ მხოლოდ ინდივიდუალურ ბრალთა შეჯამების შედეგად, ხოლო ინდივიდუალურ ბრალთა შეჯამება, თავის მხრივ, თეორიულად შეუძლებელია. ამას განაპირობებს სისხლისსამართლებრივი ბრალისთვის სპეციფიკური ფსიქოლოგიური მომენტის იმანენტურობა. ინდივიდუალურ ბრალში სისხლისსამართლებრივად გაიგება სუბიექტის (გასაკიცხი) ფსიქიკური დამოკიდებულება საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი. ფორმალურად შესაძლოა ვისაუბროთ აგრეთვე სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე საერთო ანუ სხვა პირებთან ერთობლივად განხორციელებული ქმედებისადმი. მაგრამ განსახილველ შემთხვევაში ამით არაფერი შეიცვლება. მთავარ სირთულეს შეადგენს ის, რომ ინდივიდუალურ ფსიქიკურ დამოკიდებულებათა შეჯამებით ვერასოდეს მივიღებთ კოლექტიურ ანუ საერთო-ფსიქიკურ დამოკიდებულებას ხსენებული საერთო-მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი, ვინაიდან რეალურად მოიცემა მხოლოდ ინდივიდუალური, მაგრამ არა „კოლექტიური" ფსიქიკა, რის გარეშეც კოლექტიურ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე საუბარი დასაშვებია მხოლოდ მკაცრი პირობითობის ფარგლებში.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ტაგანცევის შეხედულებები კოლექტიურ ბრალზე ქმნის იმის გათავისების მნიშვნელოვან საფუძველს, რომ კოლექტიური ბრალი სისხლის სამართალში მიუღებელია არა მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მისი აშკარა შეუთავსებლობის გამო, არამედ აგრეთვე მრავალ რელევანტურ ასპექტში მისი სრული განუხორციელებადობის გამოც. აღსანიშნავია, რომ კოლექტიური ბრალის პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა უნდა გამოიყოს როგორც არა მხოლოდ ტაგანცევის შემოქმედების, არამედ ზოგადად იმჟამინდელი რუსული სისხლისსამართლებრივი აზრის უაღრესად პოზიტიურად მახასიათებელი მომენტი. ეს ძირითადად შესაძლებელი გახადა იმ გარემოებამ, რომ ტაგანცევისთვის თანამედროვე რუსულ სისხლის სამართალში უკვე სათანადოდ გაიგებოდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჭეშმარიტი თეორიული მნიშვნელობა.

§ 4. კენის თეორია დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ

ბრალი როგორც დანაშაულის ელემენტი

კენის თეორიაში დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად ბრიტანულ სისხლის სამართალში, ბრალის ცნება მეტად სპეციფიკური მიმართულებით ვითარდება. ეს არ არის ზემოგანხილულ კრიმინალისტთა შეხედულებების თეორიული გაგრძელება, არამედ ამ შეხედულებებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული და მათგან მკვეთრად განსხვავებული სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობაა. ბრიტანულ სისხლის სამართალში ბრალის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი ყალიბდება: ***mens rea***, რომლის შინაარსსა და ძირითად თავისებურებებს ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ. ცხადია, კენი ხსენებული მიმდინარეობის ფუძემდებლად არ წარმოგვიდგება, რადგან ეს მიმდინარეობა არსებითად ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ბრიტანულ სისხლის სამართალში იღებს თავის დასაბამს, მაგრამ ის ერთერთი პირველთაგანია, ვისი შემოქმედებაც მოცემული მიმდინარეობის მეცნიერულ დასაბუთებას შეიცავს. ამას თვალნათლივ ადასტურებს მის მიერ 1902 წელს გამოცემული ნაშრომი „სისხლის სამართლის საფუძვლები", სადაც მნიშვნელოვან მეცნიერულ დამუშავებას პოვებს არა მხოლოდ ბრალის პრობლემა, არამედ მთლიანად ბრიტანული სისხლის სამართლის სისტემა.

დანაშაულის სუბიექტური მხარის კვლევას კენი შემდეგი თეზისის პოსტულირებით იწყებს: „დანაშაულის შესადგენად და დამნაშავის მიმართ სასჯელის გამოყენების საფუძველთა შესაქმნელად, ე. ი. სისხლისსამართლებრივი „ბრალის" მოცემულობისათვის, აუცილებელია როგორც სუბიექტური (ფსიქიკური), ისე ობიექტური (ფიზიკური) მომენტები".137 თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნების გარეგანი გამოვლინების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა უკვე ბეკარიასთანაც პოვებს სათანადო ასახვას, კენის ეს დებულება, ერთი შეხედვით, არავითარ თეორიულ სიახლეს არ უნდა შეიცავდეს. მაგრამ სინამდვილეში აქ უკვე მთელი სიცხადით იჩენს თავის ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც არის, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთგამიჯვნა. ბეკარიასათვის თანამედროვე სისხლის სამართალში ამ პრობლემის აქტუალურობა შეუმჩნეველი რჩებოდა იმდენად, რამდენადაც იმჟამად სისხლის სამართლის თეორია ჯერ კიდევ შორს იყო განვითარების იმ დონისაგან, როდესაც ცნებათა წმინდად ფორმალურ-ლოგიკურ კორელაციას შეიძლებოდა ჰქონოდა დამოუკიდებელი, მკვეთრად გამოკვეთილი

მნიშვნელობა. კენისთან კი, როგორც მისი ზემოციტირებული შეხედულებიდან ჩანს, უკვე აშკარად შეიმჩნევა ბრალისა და დანაშაულის ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთმიმართების განსაზღვრის მცდელობა. მაგრამ თუ რამდენად წარმატებულ მცდელობასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

უდავოა, რომ კენის მიერ აქ წარმოდგენილი თვალთახედვის შესა-ბამისად, ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ადეკვატური დიფერენცირება ვერ მიიღწევა. თუ ობიექტურ და სუბიექტურ მომენტთა მიმართება ბრალის ცნებისადმი ისეთივეა, როგორც დანაშაულის ცნებისადმი, მაშინ რაში შეიძლება მდგომარეობდეს დანაშაულის სპეციფიკური თეორიული როლი ანუ რა ადგილი შეიძლება განეკუთვნოს მას სისხლის სამართლის სისტემაში? მეორე მხრივ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ბრალს როგორც სისხლისსამართლებრივ ცნებას აფუძნებს არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ აგრეთვე ობიექტური მომენტები, რის საფუძველზე განვიხილავთ მას როგორც დანაშაულის მხოლოდ სუბიექტური მხარის შემადგენელ ნაწილს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნება, რომლის დაფუძნება თანაბრად არის დამოკიდებული ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებზე, ცალსახად სუბიექტური ბუნების მატარებელი ვერ იქნება და, შესაბამისად, ვერც სუბიექტურ ელემენტად იწოდება.

ზნეობრივი და რელიგიური ბრალი

რა თქმა უნდა, ზნეობრივი და რელიგიური ბრალისაგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი ბრალი შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ გარეგანად გამოვლენილ სუბიექტურ ნებას, მაგრამ, ვიხილავთ რა გარეგანად გამოვლენილი სუბიექტური ნების მიმართებას ბრალის ცნებისადმი, არ უნდა გავაიგივოთ ის სუბიექტური ნების გარეგან გამოვლინებასთან. პირველ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური ელემენტი, მეორე შემთხვევაში კი — მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური: გარეგანად გამოვლენილ ნებაში განსახილველ კონტექსტში იგულისხმება არა ის, რაც ნების ობიექტივირების შედეგად მიიღება, არამედ მხოლოდ საკუთრივ სუბიექტური ნება, რომელიც „მიზეზობრივ" კავშირშია სუბიექტის განსაზღვრულ გარეგან ქცევასა და ამ ქცევით გამოწვეულ შედეგთან. შესაბამისად, ვსაუბრობთ რა სისხლის-სამართლებრივი ბრალის განსხვავებაზე ზნეობრივი და რელიგიური ბრალისაგან, არ უნდა იქმნებოდეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს პირველი იმით განსხვავდება ამ უკანასკნელთაგან, რომ ის ობიექტურ მახასიათებლებსაც მოიცავს.

ამავე მიმართებით, ჩვენ გამოვყოფდით კენის შემდეგ (მისი ზემო-მოტანილი შეხედულების ანალოგიურ) მოსაზრებას: „ზნეობის თვალ-საზრისით, ბრალის მოცემულობისათვის საკმარისია მხოლოდ ბრალეული განწყობაც... მაგრამ სამართლებრივი ნორმები მსგავსი სიმკაცრით არ გამოირჩევა. როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის ნორმებიც

კი არასოდეს მიიმართება სუბიექტის მხოლოდ შინაგანი განწყობილებებისა და გრძნობებისაკენ, თუ ეს განწყობილებები და გრძნობები არანაირად არ გამოვლენილა მის გარეგან ქცე-ვაში".138 თითქოს ყველაფერი ძალზე მარტივად გამოიყურება და, ამდენად, არც არაფერი შეიძლება იყოს გაუგებარი. მაგრამ რეალუ-რად აქ ჩვენ მნიშვნელოვან სირთულეებს ვაწყდებით. რას კრძალავს ზნეობა (და მასთან ერთად რელიგია) და რა შეადგენს სისხლისსა-მართლებრივი აკრძალვის საგანს? ზნეობრივად ინდივიდს ეკრძალება არა მხოლოდ მის ფსიქიკაში ჩამოყალიბებული „ბოროტი ნების" შესაბამისად მოქმედება, არამედ აგრეთვე ამ „ბოროტი ნების" ჩამოყალიბებაც, ე. ი. ზნეობრივი აკრძალვის საგნად შესაძლებელია წარმოგვიდგეს მარტოოდენ სუბიექტური ანუ ფსიქოლოგიური ქცევაც. რაც შეეხება სისხლის სამართალს, გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, ეს უკანასკნელი არასოდეს არ კრძალავს სუბიექტის მხოლოდ ფსიქოლოგიურ ან მხოლოდ ფიზიკურ ქცევას, არამედ ყოველთვის განიხილავს აკრძალვის საგნად ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ქცევას ერთდროულად, მთლიანობაში. იმავე დასკვნამდე მივყავართ კენის შეხედულებასაც.

მაგრამ ვნახოთ, თუ რამდენად ესატყვისება ეს სხვა სისხლისსამარ-თლებრივ დოგმებს. ზემოწარმოდგენილი პოზიციის თანახმად, სუბიექტს სისხლისსამართლებრივად უნდა ეკრძალებოდეს საზიანო შედეგის (ქცევის) ნებისმიერი (ნების შესაბამისი) განხორციელება. აქედან გამომდინარე კი, ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ვერ დაკვალიფიცირდება მანამ, სანამ არ დადგინდება არა მხოლოდ ქმედების სათანადო ობიექტურ მაჩვენებელთა მოცემულობა, არამედ აგრეთვე სუბიექტის „ბოროტი ნებაც". მართლაც, თუ სისხლისსამართლებრივი აკრძალვა მოიცავს ქმედების როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ასპექტს, მაშინ ვერანაირად მიიღწევა მართლწინააღმდეგობის მოცემულობა ქმედების მხოლოდ ობიექტურ ან მხოლოდ სუბიექტურ მხარეზე დაყრდნობით. ხოლო ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სუბიექტური ნება და სუბიექტური ნებით მოცული ყველა ფსიქოლოგიური ელემენტი მართლწინააღმდეგობის სფეროში უნდა მოექცეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლწინააღმდეგობა აბსოლუტურად ითავსებს ბრალის ფუნქციასაც და ეს უკანასკნელი, როგორც სისხლისსამართლებრივი ცნება, სრულიად კარგავს ყოველგვარ თეორიულ ღირებულებას.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ კომპონენტთა ერთდროულ აღიარებას სისხლის სამართალში ბრალის ცნების უარყოფამდე მივყავართ. მაგრამ რას ვღებულობთ იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად მხოლოდ ობიექტურ (ფიზიკურ) ქცევას წარმოვიდგენთ? ამჯერად ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ დაკვა-ლიფიცირება არ მოითხოვს იმის დადგენას, მოიცემა თუ არა სუბიექტის ანტისამართლებრივი ნება და მასში შემავალი ქმედების სხვა სუბიექტური (ფსიქოლოგიური) მახასიათებლები. ხოლო მოქმედებდა თუ არა სუბიექტი

ანტისამართლებრივი ნების შესაბამისად, ეს ამ შემთხვევაში ბრალის სფეროში უნდა გაირკვეს ანუ მოცემულ შემთხვევაში უკვე საუბარია აკრძალული ქმედების ბრალეულად განხორციელებაზე. მაგრამ, სხვა მხრივ, თანამედროვე დოგმატიკაში მიღებული მორიგი პრინციპის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა უკავშირდებოდეს ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში ვღებულობთ, რომ სისხლის სამართალი, მართალია, კრძალავს მხოლოდ ობიექტურ ქცევას, მაგრამ სჯის მხოლოდ ობიექტური და სუბიექტური ქცევის თანამოცემულობისათვის, რაც სრული შეუსაბამობაა. ამავე დროს, სრულიად აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ არც ამ უკანასკნელი პრინციპის უარყოფა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხოლოდ ობიექტურ მხარეზე დაფუძნება დაიშვება, რადგან ეს საბოლოო ჯამში კვლავაც ბრალის თეორიული მნიშვნელობის (მართალია, ამჯერად უკვე არა აბსოლუტურ, მაგრამ მნიშვნელოვან) დეგრადირებამდე მიგვიყვანდა.

ამრიგად, როდესაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად ვაღიარებთ ინდივიდის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ქცევას, იძულებული ვხდებით უარვყოთ ბრალის თეორიული მნიშვნელობა, ხოლო თუ სისხლისსამართლებრივ აკრძალვას ვუკავშირებთ მხოლოდ ფიზიკურ ქცევას, ერთიანად კარგავს ლოგიკურ საფუძველს ისეთი ერთობ რელევანტური სისხლისსამართლებრივი პრინციპი, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს თანაბრად ქმნის ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეები. ცხადია, ორივე დასკვნა ერთნაირად მიუღებელია და ეს, ამ მხრივ, გაბატონებულ დოქტრინაში არსებულ დაუძლეველ წინააღმდეგობრიობაზე მეტყველებს.

მაგრამ მთავარი ჩვენთვის განსახილველ შემთხვევაში არის ის, რომ თანამედროვე დოგმატიკაში მიღებული ბრალის თეორიის ფარგლებში წარმოდგენილია პოზიცია, რომლის შესაბამისადაც ქმედების ნებისმიერობა ირკვევა ბრალის სფეროში, ე. ი. მიიჩნევა, რომ უმართლობა უნდა მოიცავდეს მხოლოდ ქმედების საზიანოობას და არა ქმედების საზიანოობასა და ნებისმიერობას ერთდროულად. ამისდა კვალად, სისხლისსამართლებრივი ბრალი, ისევე, როგორც ზნეობრივი თუ რელიგიური ბრალი, წარმოადგენს რა წმინდად სუბიექტურ კატეგორიას, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მიიღება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი უმართლობის მოცემულობის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს აკრძალული ობიექტური ქცევის განხორციელების ფაქტს.

რაც შეეხება, თავის მხრივ, ზნეობრივი და რელიგიური ბრალის სპეციფიკას, აქ უმთავრესად უნდა აღინიშნოს შემდეგი: იმ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი ზნეობრივად ან რელიგიურად იკიცხება განსაზღვრული გარეგანად გამოუვლენელი ფსიქოლოგიური ქცევი-სათვის, ადგილი აქვს აკრძალვის განხორციელებისა და ბრალის თან-ხვედრას. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ობიექტური ქცევა, ერთად-

ერთი, რაც შესაძლოა შეადგენდეს აკრძალვის საგანს, სუბიექ-ტის ფსიქოლოგიური ქცევაა. ამდენად, ის, რაც სისხლის სამართალში იწოდება მართლწინააღმდეგობად და ინდივიდის ობიექტურ ქცევას ეფუძნება, ზნეობაში (რელიგიაში) შესაძლოა მკაცრად სუბიექტური მომენტებისაგან შემდგარი ფენომენი იყოს. მაგრამ თუ „ბოროტი ნების (განწყობის)" ჩამოყალიბება ნიშნავს ზნეობრივი აკრძალვის განხორციელებას, რაში შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივი (რელიგიური) ბრალი? რასაკვირველია, ბრალის გამოხატულების სხვაგვარი შესაძლებლობა აქ არ არსებობს და ამიტომაც ზნეობრივი (რელიგიური) ბრალის ცნება ამ შემთხვევაში არსებითად ერწყმის ზნეობრივი (რელიგიური) აკრძალვის განხორციელების ცნებას. თუმც აქვე უნდა გამოვყოთ ის თავისებურებაც, რომ, მართალია, ზნეობრივი (რელიგიური) აკრძალვის განხორციელება და ზნეობრივი (რელიგიური) ბრალი ერთსა და იმავე გარემოებაში პოვებს გამოხატულებას, მაგრამ ეს ჯერ სულაც არ გამორიცხავს ბრალის არარსებობას აკრძალვის განხორციელების მოცემულობისას. ასე მაგალითად, შეურაცხადი არ შეიძლება გაიკიცხოს „ბოროტი ნებისათვის (განწყობისათვის)" არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივად, არამედ აგრეთვე და უფრო მეტადაც ზნეობრივად ან რელიგიურად.

აქ შესაძლოა გავავლოთ პარალელი დანაშაულის ნორმატივისტულ სისტემასთან და აღვნიშნოთ, რომ აკრძალვის განხორციელება ზნეობაში უშუალოდ კი არ უდრის ბრალს, არამედ მხოლოდ ბრალის ინდიცირების საფუძველია ანუ დავიდეთ დანაშაულის ნორმატივისტულ სისტემაში მიღებულ ფორმულამდე, რომლის შესაბამისადაც ბრალი წარმოგვიდგება მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის ერთობლიობად. მაგრამ ამის შედეგად მივიღებდით მხოლოდ იმას, რომ ზნეობრივი (რელიგიური) აკრძალვის განხორციელების მიმართება ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისადმი და მართლწინააღმდეგობის მიმართება ბრალის ცნები-სადმი სისხლის სამართალში მარტოოდენ ფორმალური იდენტურობით გამოირჩევა. თვისებრივად კი აქ უდავოდ სხვადასხვა სახის ურთიერთობასთან გვაქვს საქმე: ბრალი და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში პრინციპულად ურთიერთგანსხვავებული შინაარსის მომცველი ცნებებია, რაც იმავდროულად მათ კატეგორიალურ განსხვავებულობასაც გულისხმობს, მაშინ როდესაც აკრ-ძალვის განხორციელება და ბრალი ზნეობასა და რელიგიაში შეიძლება ხასიათდებოდეს არა მხოლოდ კატეგორიალური იგივეობით, არამედ აგრეთვე აბსოლუტური შინაარსობრივი იდენტურობითაც. აქედან გამომდინარე, ბრალის მკაცრად სუბიექტური ბუნება არამც-თუ არ ხელიყოფა სისხლის სამართალში, არამედ პირიქით, სუბიექტურობა სწორედ აქ იქცევა ბრალის განმასხვავებელ, მხოლოდ მისთვის იმანენტურ თვისებად.

მაგრამ, ამასთანავე, თავისდათავად იბადება კითხვა: შეიძლება კი ზნეობრივი (რელიგიური) და სისხლისსამართლებრივი ბრალის არსებით განსხვავებაზე საუბარი მხოლოდ იმის ნიადაგზე, რომ ადგილი აქვს

აკრძალვის განხორციელების ცნებასთან მათი მიმართების სხვადასხვაობას? აკრძალვის განხორციელების ცნებისადმი (სისხლის სამართალში — მართლწინააღმდეგობის ცნებისადმი) ბრალის მიმართება შესაძლოა გამოხატავდეს ბრალის ცნების მხოლოდ გარეგან თვისებას ანუ არაფერს მიგვითითებდეს საკუთრივ ბრალის არსზე, მის მატერიალურ სპეციფიკაზე. ეს კი, ბუნებრივია, მართლაც სათუოს ქმნის ბრალის ზნეობრივ (რელიგიურ) და სისხლისსამარ-თლებრივ ცნებათა პრინციპულ დიფერენცირებულობას, როგორც ამას კენისთან ვხვდებით და როგორც ეს მიღებულია ამჟამად გაბატონებულ მოძღვრებაშიც. რა თქმა უნდა, როგორც აღნიშნავს კენი, ზნეობის თვალსაზრისით, ბრალის მოცემულობისათვის საკმარისია უკვე სუბიექტის „ბრალეული განწყობის" არსებობა, რა დროსაც სისხლისსამართლებრივად ბრალი არ შეიძლება მოიცემოდეს მანამ, სანამ გარდა „ბრალეული განწყობისა", არ დადგინდება აგრეთვე სათანადო ობიექტურ მომენტთა მოცემულობაც. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ობიექტური მომენტები ინდივიდს სუბი-ექტურ მომენტებთან ერთად ბრალად კი არ ერაცხება, არამედ მხოლოდ უმართლობის სფეროში შემავალი კომპონენტებია, გაუგებარი ხდება, თუ რატომ წარიმართება საერთოდ, ამ მიმართებით, შედარება ბრალის და არა უმართლობის სიბრტყეზე. უკეთ რომ ვთქვათ, *განსხვავება ბრალის სისხლისსამართლებრივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებებს შორის არ უნდა ვეძიოთ იმაში, რაშიც მდგომარეობს უმართლობის სისხლისსამართლებ-რივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებათა ურთიერთგანსხვავება.* აქედან გამომდინარე დასკვნის თანახმად, სისხლის სამართალში ობიექტურ მომენტთა სათანადო მნიშვნელობის აღია-რება არანაირ თვისებრივ ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს ბრალის ცნებაზე.

სინამდვილეში კი უკანასკნელი დასკვნა მხოლოდ ბრალის ნორმა-ტივისტული მოძღვრების ფარგლებშია შესაძლებელი, სადაც სისხლის-სამართლებრივი ბრალი განიხილება როგორც ზოგადად გასაკიცხობა. საქმე ის არის, რომ ბრალი როგორც გასაკიცხობა სავსებით მისაღები ცნებაა როგორც ზნეობაში, ისე რელიგიაში ანუ, განვიხილავთ რა ბრალს როგორც გასაკიცხობას, წარმოიშობა ბრალის სისხლისსამართლებრივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებათა უნიფიცირების თეორიული შესაძლებლობა. ის, რომ სისხლის სამართალში და ზნეობაში (რელიგიაში) გაკიცხვის წინამძღვრები არ არის იდენტური, აქ სრული უმნიშვნელობაა, რადგან ამით ოდნავაც არ ირღვევა ბრალის სისხლისსამართლებრივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებათა მატერიალური იგივეობა.

მაგრამ რა ვითარებასთან გვაქვს საქმე ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებასთან მიმართებაში? ბრალი აქ, როგორც ცნობილია, განი-მარტება როგორც სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ობიექტური ქცევისადმი, რაც სრულიად გამორიცხავს სისხლის-სამართლებრივი ბრალის ზნეობრივ (რელიგიურ) ბრალთან გაიგივების შესაძლებლობას, ვინაიდან ბრალი როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება

გარეგანი ქცევისადმი იმთავითვე ნიშნავს ბრალის არარსებობას გარეგანი ქცევის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, ფსიქოლოგიზმი, განსხვავებით ნორმატიული თეორიისაგან, რეალურად ქმნის ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისაგან სისხლისსამართლებრივი ბრალის არა მხოლოდ ფორმალური, არამედ აგრეთვე მატერიალური დიფერენცირების საფუძველს.

მაგრამ, ჩვენი აზრით, არასწორი იქნებოდა, მოცემული თვალსაზრისით, ფსიქოლოგიური მოდელის აპრიორულ აქცეპტაბელურობაზე საუბარი და, შესაბამისად, იმის მტკიცება, თითქოს ბრალის ნომრატივისტული ცნება, ამ მხრივ, სრულიად მოკლებულია ყოველგვარ რაციონალურობას, ე. ი. ჩვენს წინაშეა არა უპირობოდ მცდარი (ნორმატივისტული მოდელი) და უპირობოდ მართებული (ფსიქოლოგიური მოდელი) თვალსაზრისი, არამედ ორი თეორიული შესაძლებლობა, რომელთაგან ერთი შესაძლოა იყოს ნაკლებად მისაღები, მეორე კი — უპირატესად.

ეს ადვილად გასაგები ხდება, თუ ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე: არის კი, ერთი მხრივ, დანაშაულის სისტემაში ბრალის ადგილისა და მნიშვნელობის გარკვევის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, ზოგადად სისხლის სამართლის სისტემაში ბრალის დოგმატური სპეციფიკის განსაზღვრის თვალსაზრისით აუცილებელი ის, რომ ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში პირდაპირ ასახვას პოვებდეს ამ უკანასკნელის ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისაგან განმასხვავებელი ნიშან-თვისება? რადგანაც სისხლისსამართლებრივი უმართლობა გარეგანად გამოვლენილი ქცევის გარეშე არ შეიძლება მოიცემოდეს, ხოლო ბრალი — უმართლობის გარეშე, ობიექტურ მომენტებზე ბრალის დამოკიდებულება თავისდათავად იგულისხმება და ამიტომ, სისხლისსამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ბრალის ცნებაში საგანგებოდ გამოიყოფოდეს მოცემული ელემენტის მიმართება სუბიექტის ფიზიკური ქცევისადმი. ამასთანავე, ამას არც ზოგადად სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან ზნეობრივი (რელიგიური) ბრალი სისხლის სამართლის სისტემის მიღმა მდებარე ცნებაა და მოცემული ცნებისადმი სისხლისსამართლებრივი ბრალის მიმართებაც, შესაბამისად, უნდა სცილდებოდეს სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებს.

ამგვარი შეიძლება იყოს ნორმატიული თეორიიდან გამომდინარე პოზიციის არგუმენტაცია. რაც შეეხება საპირისპირო თვალთახედვას, აქ ყოველივე გაცილებით უფრო მარტივად გამოიყურება. მოცემულ შემთხვევაში სრულ თავისთავადობად მიიჩნევა ის, რომ ბრალი სისხლის სამართალში უნდა წარმოგვიდგებოდეს არა როგორც ყოველივე ობიექტურისაგან იზოლირებული სუბიექტური კატეგორია, არამედ როგორც ნება, რომელიც, განეკუთვნება რა მხოლოდ სუბიექტურ კატეგორიას, მოიცავს აგრეთვე „სუბიექტურის მიმართებას

ობიექტურთან" ანუ განსახილველი თვალთახედვა შესაძლოა ეფუძნებოდეს შემდეგ არგუმენტს: თუ სისხლისსამართლებრივი ბრალი არასოდეს არ შეიძლება მოიცავდეს სუბიექტის ისეთ ფსიქოლოგიურ ქცევას, რომელიც გარეგან გამოვლინებას არ პოვებს, არამედ ყოველთვის ეყრდნობა ობიექტურ ქცევასთან განუყოფელ კავშირში მყოფ ფსიქოლოგიურ ქცევას, რატომ არ უნდა აისახებოდეს მოცემული კავშირი ბრალის ცნებაში? ამდენად, აქ ბრალის სისხლისსამართლებრივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებათა დიფერენცირება იმგვარად მიიღწევა, რომ არც კი ისმის მათი ურთიერგანსხვავების საჭიროების საკითხი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკანასკნელი პოზიციის შესაბამისად, სისხლის სამართალი ბრალის ცნების ფორმირებისას იმას კი არ უნდა ისახავდეს მიზნად, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი განასხვავოს ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისაგან, არამედ მხოლოდ იმას, რომ მასში (ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში) სრულყოფილად ასახოს მოცემული ცნებისათვის იმანენტური ყველა ძირითადი თავისებურება, რაც, ცხადია, პრინციპულად სხვადასხვა რამ არის.

როგორც ვხედავთ, საკითხი იმის შესახებ, განსხვავდება თუ არა თვისებრივად და, საერთოდ, უნდა განსხვავდებოდეს თუ არა თვისებ-რივად სისხლისსამართლებრივი ბრალი ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისაგან, საკმაოდ სადავო ხასიათისაა და ის დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. თუმც აქვე შევნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი ბრალი არსებითად განსხვავდება როგორც ზნეობრივი, ისე რელიგიური ბრალისაგან და ეს არსებითი განსხვა-ვება პირდაპირ უნდა აისახებოდეს ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში, რამდენადაც, ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების განვითარების თვალსაზრისით, სულაც არ არის უმნიშვნელო, განსხვავდება თუ არა ის ზნეობრივი (რელიგიური) ბრალისაგან და თუ განსხვავდება, რაში მდგომარეობს კონკრეტულად ზნეობრივი (რელი-გიური) ბრალისაგან მისი განმასხვავებელი ძირითადი თავისებურება. ამავე დროს, სრულიად აშკარაა, რომ სისხლის სამართლის თეორიაში თავიდანვე დაისახა მოცემული პრობლემის განვითარების მცდარი ტენდენცია. საქმე ის არის, რომ სისხლისსამართლებრივი და ზნეობრივი (რელიგიური) აზრის განვითარების ურთიერთშედარებისას კვლევის ობიექტს, როგორც წესი, მხოლოდ ბრალი შეადგენს და ამის გამო ბრალის სისხლისსამართლებრივ და ზნეობრივ (რელიგიურ) ცნებებზე უნებურად ვრცელდება არა მხოლოდ საკუთრივ ამ ცნებებს შორის არსებული განსხვავება, არამედ აგრეთვე ზოგადად დანაშაულსა და ზნეობრივ (რელიგიურ) დელიქტს შორის მოცემული განსხვავებაც.

რასაკვირველია, ბეკარიასათვის თანამედროვე სისხლის სამართლის ფარგლებში სათანადო დიფერენცირების საჭიროების „შეუმჩნევლობა" სავსებით გასაგებია, მაგრამ კენის თეორიაში აღნიშნული უზუსტობა უკვე ნამდვილად არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაუძ-ლეველი. მით უმეტეს, გაუმართლებელია მსგავსი ტენდენცია თანამედროვე დოგმატიკაში; აქაც,

ნაცვლად იმისა, რომ კვლევა წარიმართოს, ერთი მხრივ, სისხლისსამართლებრივი უმართლობისა და ზნეობრივი (რელიგიური) უმართლობის ურთიერგანსხვავებისა და, მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივი ბრალისა და ზნეობრივი (რელიგიური) ბრალის დიფერენცირების მიმართულებით, კვლავაც მხოლოდ უკანასკნელი მომენტი გამოიყოფა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ დანაშაულისა და ბრალის ცნებათა ურთიერთგანსხვავების პრობლემას. როგორც ზემოთ ვიხილეთ, კენისთან მოცემული პრობლემა, მართალია, უკვე იძენს განსაზღვრულ თეორიულ მნიშვნელობას, მაგრამ ჯერაც შორს არის მართებული გადაჭრისაგან. უფრო ზუსტად, კენი პირდაპირ არც ცდილობს ამ პრობლემის მეცნიერულ დამუშავებას. ამასთანავე, მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე დოგმატიკაში განსახილველი პრობლემის ანალიზმა შესაძლებელია მიგვიყვანოს სრულიად მოულოდნელ დასკვნამდეც. როგორც ცნობილია, ტრადიციულად სისხლის სამართლის თეორიაში პასუხისმგებლობის ცნებასთან ბრალის მიმართების შესახებ ძირითადად ორი ურთიერსაპირისპირო თვალსაზრისი ვითარდება.

პირველის თანახმად, ბრალი სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობის ერთადერთი საფუძველია, თუმც შემდეგი პირობით: დანაშაულის სისტემა უნდა აიგებოდეს იმგვარად, რომ სრულიად გამოირიცხოს ბრალის მოცემულობა უმართლობის არარსებობის პირობებში. მაგრამ თუ ბრალი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია, მაშინ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის ცნებას სისხლის სამართლის სისტემატიკისათვის? ცხადია, ამ თვალსაზრისს დანაშაულის ცნების თეორიული მნიშვნელობის სრულ უარყოფამდე მივყავართ, რადგან დანაშაული ამ შემთხვევაში კარგავს თავის ძირითად დანიშნულებას და, ამდენად, სისტემატიკურად ზედმეტ, ორნამენტულ ცნებად იქცევა. უმართლობისა და ბრალის გაერთიანებას ერთიან ცნებაში ანუ დანაშაულის ცნებაში მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს სათანადო აზრი, როდესაც თითოეულ ამ მომენტს (უმართლობასა და ბრალს) წარმოვიდგენთ როგორც პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს, დანაშაულის ცნებას კი — შესაბამისად, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძველს. ამიტომაც დანაშაულის ცნების შენარჩუნება პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად ბრალის გამოცხადების შემთხვევაში შესაძლოა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც თვითმიზანი. ამავე დროს, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული შეხედულება, ე. ი. შეხედულება, რომლის მიხედვითაც ბრალი მიჩნეულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად, არასოდეს ყოფილა

გაბატონებული სისხლის სამართალში, განსხვავებით მორიგი ზემოხსენებული პოზიციისაგან.

უკანასკნელი თვალთახედვის შესაბამისად, ბრალი პასუხისმგებლობის აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი საფუძველია. პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, იდენტური მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ობიექტურ მხარესაც და საბოლოო ჯამში პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძვლად წარმოდგენილია ზოგადად დანაშაულის ცნება.

მაგრამ ვნახოთ, თუ ლოგიკურად რამდენად გამართლებულია მოცემული თვალთახედვა. თუ ჩვენს წინაშეა დანაშაულის ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც უმართლობისა და ბრალის დადგენა ორ ურთიერთდამოუკიდებელ, ურთიეთრგანცალკევებულ პროცესს წარმოადგენს (ე. ი. როდესაც ბრალის დადგენა არ არის სისტემატიკურად დამოკიდებული უმართლობის მოცემულობაზე), მაშინ განსახილველი პოზიციის სისწორეში ძნელად თუ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის მსგავსი მოდელები სისხლის სამართლისთვის უცხო არ ყოფილა. მაგრამ ამჟამად გაბატონებულ მოძღვრებაში დაუშვებლად მიიჩნევა ქმედების ბრალეულობაზე საუბარი მისი მართლწინააღმდეგობის გაურკვევლობის პირობებში. უფრო ზუსტად, დანაშაულის თანამედროვე ცნება აიგება იმგვარად, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების ამოსავალ წერტილს ობიექტურ მომენტთა ანალიზი შეადგენს და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება შესაძლებელი ზოგადად სუბიექტური მხარისა და ბრალის როგორც სუბიექტური მხარის შემადგენელი ნაწილის ანალიზი. უფრო მეტიც, მსგავს დიფერენცირებას თვით ობიექტურ მომენტებს შორისაც აქვს ადგილი, როდესაც მიიჩნევა, რომ დაუშვებელია საუბარი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, თუ არ არის დადგენილი მისი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა. ამისდა კვალად, დანაშაულის ცნება შედგება *სამი აღმავალი საფეხურისაგან* და არა სამი ურთიერთიზოლირებული ელემენტისაგან, რაც ჩვენთვის აქტუალურ კონტექსტში პრინციპულ განსხვავებას შეადგენს.

თვისებრივად არაფერი არ იცვლება ამ მიმართებით, როდესაც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობასა და მართლწინააღმდეგობას ვაერთიანებთ უმართლობის ცნებაში; განსხვავება მდგომარეობს მარტოოდენ იმაში, რომ ამჯერად, ნაცვლად სამი აღმავალი საფეხურისა, ვღებულობთ ორს: უმართლობასა და ბრალს.

უკვე იმ ფაქტის ძალით, რომ უმართლობისა და ბრალის სახით მოცემული გვაქს არა ურთიერთდამოუკიდებელი ელემენტები, არამედ ორი აღმავალი საფეხური, ამ ცნებათა დამოკიდებულება პასუხისმგებლობის ცნებასთან ერთნაირი ვერ იქნება (იგივე შეეხება პასუხისმგებლობის ცნებისადმი დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა მიმართებასაც, ვინაიდან ბრალიც ისევეა სუბიექტური მხარის

არსის გამომხატველი ცნება, როგორც უმართლობა — ობიექტური მხარისას).

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ბრალი უმართლობასა და პასუხისმგებლობას შორის მდებარე ცნებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ უმართლობასა და პასუხისმგებლობას შორის უშუალო, პირდაპირი ლოგიკური კავშირი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებულ მოძღვრებაში ამის საპირისპირო აზრია განვითარებული.

მაგრამ დანაშაულის ცნების მოცემულობის პირობებში არც ბრალი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უშუალო საფუძველი. და ძირითადი პრობლემაც სწორედ აქ იჩენს თავს: რა განაპირობებს ანუ რით არის ნაკარნახევი ბრალისა და პასუხისმგებლობის ცნებათა დანაშაულის ცნებით გაშუალება? უკეთ რომ ვთქვათ, როდესაც უმართლობა და ბრალი წარმოგვიდგება როგორც დანაშაულის საფეხურები და არა ურთიერთგანცალკევებული ელემენტები, არსებობს კი, საერთოდ, დანაშაულის ცნებაში მათი გაერთიანების საჭიროება? ან უმჯობესი იქნებოდა პირდაპირ შემდეგ კითხვაზე გაგვეცა პასუხი: რატომ უნდა გადავტვირთოთ სისხლის სამართლის სისტემატიკა დანაშაულის ცნებით, როდესაც უკვე ბრალიც შესაძლოა წარმოგვიდგეს როგორც პასუხისმგებლობის უშუალო საფუძველი?

მაგრამ ამ კითხვების პირდაპირი მნიშვნელობით აღქმა და მათზე დაყრდნობით განსახილველი პრობლემის გადაჭრა თეორიულად მცდარი იქნებოდა. საქმე ის არის, რომ დანაშაულის ცნება თანამედროვე სისხლის სამართალში დუალისტურად გაიგება. ერთი მხრივ, დანაშაული აქ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ერთობლიობაა, მეორე მხრივ კი, დანაშაული თანამედროვე დოგმატიკაში განიხილება როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (აგრეთვე დასჯადი) ქმედება.

პირველ შემთხვევაში, თუ ბოლომდე თანამიმდევრული ვიქნებით, უნდა უარვყოთ არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ აგრეთვე უმართლობის ცნებაც, რამეთუ, დანაშაულის ცნების დაფუძნების თვალსაზრისით, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს შორის მოცემული ურთიერთობა ზედმიწევნით ისეთივეა, როგორც, უმართლობის ცნების დაფუძნების თვალსაზრისით, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობასა და მართლწინააღმდეგობას შორის არსებული კორელაცია.

მეორე შემთხვევაში კი ვითარება კარდინალურად იცვლება. აქ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი უკვე არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი ცნებები, ვინაიდან ისინი ერთიანად ერწყმის ქმედების ცნებას და მოისაზრება მხოლოდ ამ უკანასკნელი ცნების ფარგლებში. შესაბამისად, სამივე ზემოაღნიშნული ცნებიდან ამჯერად დანაშაულის სისტემის აგებისას არც ერთი არ ფიგურირებს და ძირითადი აქცენტი გადაიტანება ქმედების ცნებაზე. რაც

შეეხება ხსენებულ ცნებათა სისტემატიკურ გამოვლინებას, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ვლინდება მხოლოდ ატრიბუტულად (ქმედების ცნებასთან კავშირში) — „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი", „მართლსაწინააღმდეგო", „ბრალეული". ხოლო როდესაც ბრალი მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ცხადია, სრულიად უნდა გამოირიცხოს მასზე როგორც პასუხისმგებლობის საკმარის (უშუალო) საფუძველზე საუბარი. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების, მნიშვნელობა პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, მისი, როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების მოცემულობის აუცილებლობა, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ამ თვალთახედვის მიხედვით, ასევე არ დაიშვება უმართლობის ცნების უარყოფაც, ვინაიდან, ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა დამოუ-კიდებელი მნიშვნელობის არარსებობის ვითარებაში უმართლობის ცნების ზემოხსენებული უფუნქციობა ქარწყლდება ანუ ამჯერად უკვე მოიცემა მისი ლოგიკური დასაბუთების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, უმართლობის ცნების თანამოცემულობა დანაშაულის ცნების გვერდიგვერდ გამოკვეთს ამ უკანასკნელის სპეციფიკურ ბუნებას თანამედროვე დოგმატიკაში, კერძოდ იმ თვალსაზრისით, რომ დანაშაული თანამედროვე სისხლის სამართალში ყოველთვის უფრო ვრცელი შინაარსის მომცველი ცნებაა, ვიდრე ეს მხოლოდ ქმედების ობიექტური მხარეა. რა თქმა უნდა, იმის შესახებ, დანაშაულის ცნება უნდა მოიცავდეს უმართლობის ცნებას თუ მოცემული ცნებები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შესაძლოა ვიდავოთ. გარდა ამისა, არც დანაშაულის ზემოწარმოდგენილი დუალისტური გაგების აქცეპტაბელურობა შეიძლება იყოს უდავო.

მაგრამ მთავარი განსახილველ კონტექსტში არის ზემომოტანილი შედარებებიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნა: იქ, სადაც მოიცემოდა ბრალი, უარყოფილ იქნა დანაშაულის ცნება, ხოლო მეორე შემთხვევაში, სადაც საუბარი იყო დანაშაულის ცნების მოცემულობის აუცილებლობაზე, უკვე საერთოდ არ ფიგურირებდა ბრალის ცნება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დანაშაული და ბრალი ურთიერთ-შეუთავსებელი ცნებებია? ცხადია, კენის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში ამ პრობლემის გადაჭრა ვერ მიიღწევა, მაგრამ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გარკვეულია ის, რომ ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთობა ჯერაც მოიცავს მნიშვნელოვან წინააღმდეგობრიობას და, მაშასადამე, არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული.

ამრიგად, საკითხს იმის შესახებ, თუ რა უნდა აფუძნებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ბრალი თუ ზოგადად დანა-შაული, გაცილებით უფრო შორს მიმავალ დასკვნებამდე მივყა-ვართ,

ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. კენის შეხედულებებთან მიმართებაში კი ძირითად სირთულეს წარმოშობს სწორედ ის, რომ კენი, როგორც მისი ზემოციტირებული მოსაზრებიდან ჩანს, ერთდროულად განიხილავს ბრალსაც და დანაშაულსაც პასუხისმგებლობის უშუალო (საკმარის) საფუძვლად, ე. ი. ბრალისა და დანაშაულის ცნებათა მიმართება პასუხისმგებლობის ცნებასთან ამ შემთხვევაში აბსოლუტური იდენტურობით გამოირჩევა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აქ უკვე ბრალსაც შეუძლია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება, კენის ოდნავადაც არ შეაქვს ეჭვი დანაშაულის ცნების არსებობის საჭიროებაში, არამედ პირიქით, სავსებით ბუნებრივადაც მიიჩნევს მოცემული თვალსაზრისით ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ფუნქციონალურ იგივეობას.

სხვა მხრივ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კენი, მართალია, ბრალს გვიხასიათებს როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარით მოცულ კომპონენტს და, ამდენად, წარმოგვიდგენს მას როგორც დანაშაულის ელემენტს, მაგრამ იმავდროულად ვერ აღწევს ბრალისა და დანაშაულის დამაფუძნებელ ფაქტორთა დიფერენცირებას.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კენისთან ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთობა ზოგადად და ამ ცნებათა ურთიერთობა პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით თუმც იძენს გამოკვეთილ თეორიულ მნიშვნელობას, მაგრამ ჯერაც შორს არის რაციონალური გაშუქებისაგან.

<u>სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგანი</u>

ერთგვარ გაურკვევლობამდე მივყავართ აგრეთვე კენის პოზიციას დანაშაულისა და სუბიექტური ქმედების ცნებათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისითაც. კენის მიხედვით, „ბრალდებულის ქცევა უნდა შეაგენდეს იმ დანაშაულის *მიზეზს* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი), რომლის თავიდან აცილებასაც ესწრაფვის სისხლის სამართლის კანონი".139 მაგრამ რატომ მიზეზს? თუ სუბიექტურ ქმედებას დანაშაულის მიზეზად გამოვაცხადებთ, მაშინ მივიღებთ, რომ დანაშაული არ შეიძლება წარმოადგენდეს სუბიექტურ ქმედებას. მაგრამ, სხვა მხრივ, რა, თუ არა სუბიექტური ქმედება, შეიძლება შეადგენდეს სისხლის სამართალში დანაშაულის ცნების მატერიალურ გამოხატულებას? მართალია, წმინდად ლოგიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია, რომ მოვლენის მიზეზი იმავდროულად მოვლენის მატერიალურ გამოხატულებასაც წარმოადგენდეს, მაგრამ როდესაც მიიჩნევა, რომ დანაშაული სუბიექტური ქმედებაა, საზოგადოდ, არა ვიწროდ ლოგიკური, ვიწროდ თეორიული გაგებით შესაძლოა ვიგულისხმოთ, რომ სუბიექტური ქმედება „წარმოშობს" დანაშაულს და, ამდენად, წარმოვიდგინოთ ის დანაშაულის „მიზეზად". სინამდვილეში კი ანუ პირდაპირი გაგებით სუბიექტური ქმედება სისხლის სამართალში შესაძლოა განიხილებოდეს მხოლოდ

როგორც პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზი. შესაბამისად, „ბრალდებულის ქცევა უნდა შეადგენდეს იმ პასუხისმგებლობის მიზეზს, რომლის გამოყენებითაც სისხლის სამართლის კანონი ესწრაფვის დანაშაულის თავიდან აცილებას".

ეხება რა უმოქმედობის პრობლემას, კენი შეუმცდარად განგვისაზღვრავს მოცემული ცნების სისხლისსამართლებრივ ბუნებას. ამ მიმართებით ის აღნიშნავს: „*ფიზიკური მხრივ* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი), ბრალდებულის ქცევა შეიძლება იყოს აქტიური ან შეიძლება მდგომარეობდეს უმოქმედობაში იმ შემთხვევებში, როდესაც მას ეკისრება მოქმედების იურიდიული ვალდებულება".140 როგორც ვხედავთ, კენი საუბრობს მოქმედებისაგან უმოქმედობის მხოლოდ ფიზიკურ განსხვავებაზე. მაშასადამე, კენის მიხედვით, უმოქმედობა განსხვავდება მოქმედებისაგან მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტში და არა ორთავეში ერთად (იგულისხმება ფიზიკური ანუ ობიექტური და ფსიქიკური ანუ სუბიექტური ასპექტები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, კენისთან უმოქმედობა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მოქმედებაა.

ჩვენი აზრით, ეს პრობლემისადმი ერთადერთი მართებული მიდგომაა. მაგრამ რა შედეგები უკავშირდება მოცემულ პოზიციას ბრალის თვალსაზრისით? თუ მოქმედება და უმოქმედობა განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ობიექტური მხრივ, ხოლო სუბიექტურად იდენტურია, უნდა დავასკვნათ, რომ ბრალს როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარით მოცულ ელემენტს უმოქმედობასა და მოქმედებას შორის არსებული განსხვავება არ უნდა შეეხოს, ე. ი., თუ ვიტყვით შებრუნებით, უმოქმედობასა და მოქმედებას შორის ბრალის სფეროში არანაირი განსხვავება არ უნდა არსებობდეს. არის თუ არა ეს სინამდვილეში ამგვარად? „ აქაც, — აღნიშნავს მოცემულ კონტექსტში გ. სტრატენვერტი, — არსებითად იგივე წესები მოქმედებს, როგორც აქტიური ქცევისას, ყოველ შემთხვევაში ბრალუნარიანობისა და აკრძალვის ან *დავალდებულების* (ვირტუალური) *ცოდნის* თვალსაზრისით... *პრეზუმირების* (Zumutbarkeit) მხრივ კი, სასამართლო პრაქტიკასა და თეორიაში უმოქმედობისათვის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მასშტაბებს ვხვდებით: ირღვევა კანონით გათვალისწინებულ ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა აბსოლუტურობა, ადგილი აქვს უკუპრეზუმირების (Unzumutbarkeit) უფრო ვრცელი მოცულობის აღიარებას, ვიდრე ეს მოქმედებით ჩადენილი დელიქტის შემთხვევაშია".141 მართალია, გ. სტრატენვერტის მოცემული შეხედულებიდან ვასკვნით მხოლოდ იმას, რომ მოქმედებასა და უმოქმედობას შორის ბრალის სფეროში არაარსებითი, ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავება მოიცემა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამ განსხვავებიდან გამომდინარე თეორიული შედეგები მეტად რელევანტურია: თუ უმოქმედობასა და მოქმედებას შორის ბრალის სფეროშიც არსებობს (თუნდაც უმნიშვნელო) დიფერენცირების საფუძველი, ზემოწარმოდგენილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ უმოქმედობა

განსხვავდება მოქმედებისაგან მხოლოდ ობიექტური მხრივ, მცდარად უნდა ვაღიაროთ.

ამიტომ კენის ზემოციტირებული შეხედულებიდან გამომდინარე დასკვნები გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს — ის, რომ უმოქმედობა მხოლოდ, ფიზიკური თვალსაზრისით, გულისხმობს პასიურ ქცევას, ხოლო ფსიქოლოგიურად, მსგავსად მოქმედებისა, აქტიური ქცევაა, ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის მტკიცების უფლებას, რომ უმოქმედობა განსხვავდება მოქმედებისაგან მხოლოდ ობიექტურ ასპექტში. ამავე დროს, არც იმის დანახვაა ძნელი, რომ სუბიექტურ ასპექტში მოცემულ ცნებებს შორის არსებული განსხვავება ფორმალური ხასიათისაა და ის არ ქმნის ამ ცნებათა არსებითი დიფერენცირების საფუძველს. მთავარი განსახილველ კონტექსტში არის ის, რომ სუბიექტი ორთავე შემთხვევაში ფსიქოლოგიურად მოქმედებს (არსებითი მსგავსება), მიუხედავად იმისა, თუ რას არღვევს ის, სისხლისსამართლებრივი დავალდებულების თუ აკრძალვის მოთხოვნებს (ფორმალური განსხვავება).

ამავე თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს სხვა უაღრესად საგულისხმო მომენტიც, სახელდობრ ის, შეიძლება თუ არა უმოქმედობის ცნების შესახებ ყოველივე ზემოაღნიშნული გავრცელდეს აგრეთვე დაუდევრობით განხორციელებულ უმოქმედობაზე ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს თუ არა ზემოწარმოდგენილი პოზიციის განზოგადების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრობლემა ჯერ არასოდეს გამხდარა სისხლის სამართლის თეორიაში დაინტერესების საგანი. თუ სუბიექტი დაუდევრობის დროსაც ფსიქოლოგიურად ისევე მოქმედებს, როგორც პირდაპირი და ირიბი განზრახვისა და თვითიმედოვნების დროს, მაშინ რაში გამოიხატება კონკრეტულად მისი ეს აქტიური ფსიქოლოგიური ქცევა? უკანასკნელი ცნება ყოველთვის გულისხმობს განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებას. ასე მაგალითად, თვითიმედოვნების შემთხვევაში სუბიექტის აქტიური ფსიქოლოგიური ქცევა უკავშირდება იმ გარემოებას, რომ დამნაშავე, ითვალისწინებს რა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მისი თავიდან აცილების ქარაფშუტული ვარაუდის ნიადაგზე *იღებს გადაწყვეტილებას,* განახორციელოს მოცემული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგრამ რა ვითარებაა დაუდევრობასთან მიმართებაში? იმას, რომ სუბიექტს შეეძლო სცოდნოდა და, ამდენად, ევალებოდა სცოდნოდა თავისი ქმედებიდან გამომდინარე საზიანო შედეგის შესახებ, არაფერი აქვს საერთო აქტიურ ფსიქოლოგიურ ქცევასთან. სუბიექტი აქ არ იღებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელებასთან დაკავშირებულ არანაირ გადაწყვეტილებას და ეს გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

შედარებისათვის განვიხილოთ შემდეგი ორი მაგალითი: პირველ შემთხვევაში პირი არ ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს სათანადო ადგილას იმის ქარაფშუტული ვარაუდით, რომ მოცემული ქცევა არ გამოიწვევს საზიანო შედეგის დადგომას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მართლსაწინააღმდეგო შედეგი მაინც ხორციელდება; მეორე შემთხვევაში

კი, რომელსაც იმავე შედეგის დადგომამდე მივყავართ, სუბიექტს უბრალოდ ავიწყდება ცეცხლსასროლი იარაღის სათანადო ადგილას შენახვა.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ პირველ მაგალითში პირის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა აქტიური ფსიქოლოგიური ქცევის შედეგია: სუბიექტი ითვალისწინებს საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ იღებს გადაწყვეტილებას, არ იმოქმედოს (ნორმის შესაბამისად), ვინაიდან ქარაფშუტული ვარაუდის ნიადაგზე იმედოვნებს მოცემული შედეგის თავიდან აცილებას.

ამავე დროს, ასევე ნათელია, რომ დაუდევრობის შემთხვევაში მოტანილი კაზუსი სრულიად გამორიცხავს ანალოგიური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას: განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულების დავიწყება და, საერთოდ, დავიწყება, როგორც ასეთი, არ შეიძლება ატარებდეს აქტიური ფსიქოლოგიური ქცევის ხასიათს, ეს ერთმნიშვნელოვნად პასიური, ნეგატიური ფსიქოლოგიური ქცევაა.

ამისდა კვალად, სუბიექტს პირველი მაგალითის ფარგლებში ბრალად ერაცხება ის, რომ მან, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, იმოქმედა არასათანადოდ ანუ იმოქმედა სხვაგვარად, მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად მართლზომიერი მოქმედების შესაძლებლობის არსებობისა, რის საპირისპიროდაც მორიგ კაზუსში ბრალი ეფუძნება იმას, რომ სუბიექტმა ფსიქოლოგიურად *არ იმოქმედა საერთოდ* (მიუხედავად მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობის არსებობისა). აქედან გამომდინარე დასკვნის თანახმად კი, პირველ შემთხვევაში სუბიექტი უმოქმედობს მხოლოდ ფიზიკურად (ობიექტურად), ხოლო ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად) მოქმედებს, მაშინ როდესაც დაუდევრობის შემთხვევაში მოტანილ მაგალითში სუბიექტი უმოქმედობს როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურადაც. შესაბამისად, თუ სახეზეა დაუდევრობა მოქმედებით განხორციელებული დელიქტის დროს, ვასკვნით, რომ სუბიექტი მოქმედებს მხოლოდ ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად კი უმოქმედობს.

ხოლო თუ შევეცდებით ყოველივე ამის განზოგადებას, მივიღებთ, რომ, განსახილველი თვალსაზრისით, მოცემული გვაქვს სუბიექტური ქცევის ოთხი პრინციპულად ურთიერთგანსხვავებული სახე: 1) როდესაც პირი მოქმედებს როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურადაც (მოქმედებით განხორციელებული დელიქტები პირდაპირი და ირიბი განზრახვისა და თვითიმედოვნების შემთხვევაში); 2) როდესაც პირი მოქმედებს მხოლოდ ობიექტურად, სუბიექტურად კი უმოქმედობს (მოქმედებით განხორციელებული დელიქტები დაუდევრობის შემთხვევაში); 3) როდესაც პირი მოქმედებს სუბიექტურად, მაგრამ უმოქმედობს ობიექტურად (უმოქმედობით განხორციელებული დელიქტები პირდაპირი და ირიბი განზრახვისა და თვითიმედოვნების შემთხვევაში); 4) როდესაც პირი უმოქმედობს როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად

(უმოქმედობით განხორციელებული დელიქტები დაუდევრობის შემთხვევაში).

მას შემდეგ, რაც კენი დამაჯერებლად გვისაბუთებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მხოლოდ შინაგან ქცევაზე დაფუძნების დაუშვებლობას, ის აღნიშნავს: „ზნეობისაგან კიდევ უფრო მკვეთრ გადახრას ვაწყდებით სამართლის არასისხლისსამართლებრივ დარგებთან მიმართებაში. სამართლის მოცემული დარგები ხშირად უკავშირებენ პასუხისმგებლობას სუბიექტის მხოლოდ გარეგან ქცევას, რომელიც არ წარმოადგენს გონების გასაკიცხი მდგომარეობის შედეგს".142 მაშასადამე, სუბიექტი არ შეიძლება დაისაჯოს არც მხოლოდ გარეგანად გამოუვლენელი შინაგანი ქცევისათვის და არც მხოლოდ გარეგანი ქცევისათვის, რომელიც არ უკავშირდება გასაკიცხ შინაგან ქცევას.

მაგრამ რას გულისხმობს კენი გარეგან ქცევაში? თუ გავითვა-ლისწინებთ უმოქმედობასთან მიმართებაში მის ზემომოტანილ შეხედულებას, უნდა დავასკვნათ, რომ კენისთან გარეგან ქცევაში მხოლოდ გარე სამყაროში ცვლილების შეტანა არ იგულისხმება, არამედ მოცემული ცნება ასევე მოიცავს სუბიექტის პასიურ ფიზიკურ ქცევასაც. ამიტომ უკანასკნელი დებულება თანაბრად ვრცელდება როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის ცნებაზე და, შესაბამისად, „გონების გასაკიცხი მდგომარეობის" მნიშვნელობა პასუხისმგებლობასთან მიმართებაში აბსოლუტურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

მაგრამ ხასიათდება თუ არა სინამდვილეში (კენის მიხედვით) მოცე-მული მომენტი აბსოლუტურობით, ამას ჩვენ ქვემოთ გარკვევით ვიხილავთ. ამჯერად კი ჩვენს ყურადღებას არსებითად სხვა სახის გარემოებები იპყრობს. ერთი მხრივ, უთუოდ მოითხოვს განვრცობას ის, თუ რას ნიშნავს თეორიულად შინაგანი და გარეგანი ქცევის სხვადა-სხვაგვარი აღქმა ზნეობაში, სისხლის სამართალსა და „სამართლის არასისხლისსამართლებრივ დარგებში". ხოლო მეორე მხრივ, საგანგებოდ უნდა გამოიყოს კენის მიერ დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან კავშირში გასაკიცხობის მომენტის მოხსენიება.

ის, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეფუძნოს მხოლოდ შინაგან ქცევას და, ამდენად, არ მოითხოვს თავის აუცილებელ წინამძღვრად გარეგანი ქცევის მოცემულობას, მეტყველებს იმაზე, რომ ზნეობაში ძირითადი ორიენტირების საგანს სწორედ სუბიექტის შინაგანი ქცევა წარმოადგენს. შესაბამისად, „სამართლის არასისხლის-სამართლებრივ დარგებში", სადაც პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეფუძნოს მხოლოდ გარეგან ქცევას, ძირითადი ორიენტირის სახით უკვე სუბიექტის გარეგანი ქცევა წარმოგვიდგება (თუმც უმეტეს შემთხვევაში არა თავისდათავად, არამედ მხოლოდ საზიანო შედეგთან კავშირში). მაგრამ თუ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა თანაბრად არის დამოკიდებული როგორც შინაგან, ისე გარეგან ქცევაზე, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სისხლისსამართლებრივად არც შინაგანი და არც

გარეგანი ქცევა ცალკე აღებული არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ამოსავალი მომენტი, როგორც მთავარი თეორიული საწყისი? რა თქმა უნდა, პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური უნდა იყოს. მაგრამ იმავდროულად მოცემული პრობლემა შეიცავს არაერთ ისეთ სირთულეს, რომელიც ხშირად გვაიძულებს გამოვყოთ ხან ერთი, ხან კიდევ მეორე მომენტის უპირატესი მნიშვნელობა.

ჩვენთვის განსახილველი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ მის სათანადო გაშუქებაზე პირდაპირ არის დამოკიდებული (სისხლისსამართლებრივი) ბრალის ჭეშმარიტი ბუნებისა და სისტემატიკური მნიშვნელობის ადეკვატური განსაზღვრა. საქმე ის არის, რომ, შინაგანი ქცევის მნიშვნელობის პრიორიტირება თუ დეგრადირება მექანიკურად იწვევს ბრალის მნიშვნელობის, შესაბამისად, პრიორიტირებას ან დეგრადირებას, ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის თეორიული მნიშვნელობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია გარეგანი ქცევის მნიშვნელობის ზრდასა თუ შემცირებაზე.

ამავე დროს, არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს შინაგანი და გარეგანი ქცევის ეკვივალენტურობა ყოველთვის თავისდათავად მოწმობს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა დოგმატურ-სისტემატიკურ თანაბარმნიშვნელოვნებას. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სისტემატიკური ასპექტის მაგალითზე. როდესაც ვამტკიცებთ, რომ სისხლისსამართლებრივად სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს, სულ მცირე, სათანადო შინაგანი და გარეგანი ქცევის თანამოცემულობისას („სულ მცირე" იმდენად, რამდენადაც ხშირად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად, გარდა შინაგანი და გარეგანი ქცევის მოცემულობისა, აუცილებელია აგრეთვე საზიანო შედეგის მოცემულობაც), როგორც წესი, ვგულისხმობთ, რომ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგანს შეადგენს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ქცევა. მაგრამ ეს, ცხადია, არ შეიძლება იყოს გამართლებული იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობისა და ზოგადად უმართლობის ცნება გავრცელდებოდა არა მხოლოდ ქმედების ობიექტურ, არამედ აგრეთვე სუბიექტურ მხარეზეც და, ამრიგად, შეუძლებელი შეიქნებოდა დანაშაულის სისტემაში ბრალის დამოუკიდებელი მნიშვნელობის დასაბუთება ან კიდევ ეს საერთოდ გვაიძულებდა ბრალის ცნების უარყოფასაც კი, რისი დანახვაც სულაც არ არის ძნელი. სუბიექტური ქცევა განსახილველ კონტექსტში გულისხმობს სისხლისსამართლებრივად მიუღებელი ნების ჩამოყალიბებასა და გარეგანი ქცევის მოცემული ნების შესაბამისად წარმართვას. ხოლო თუ სუბიექტურ ქცევას წარმოვიდგენთ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად, ხსენებული გარემოებები (სისხლისსამართლებრივად მიუღებელი ნების ჩამოყალიბება და გარეგანი ქცევის მოცემული ნების შესაბამისად წარმართვა) იმთავითვე ბრალის სფეროდან მართლწინააღმდეგობის სფეროში გადაინაცვლებს. ამის შედეგად კი უკვე ბრალის ცნების არსებობა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რამეთუ

მართლწინააღმდეგობის (ანუ ზოგადად უმართლობის) ცნება ამ შემთხვევაში ამომწურავად მოიცავს სასჯელის დასაფუძნებლად აუცილებელ ყველა სათანადო გარემოებას. ან უკიდურეს შემთხვევაში ბრალის ცნებამაც ზემოხსენებულ მომენტებთან ერთად შესაძლოა გადაინაცვლოს მართლწინააღმდეგობის (უმართლობის) სფეროში და, ამდენად, წარმოგვიდგეს მართლწინააღმდეგობის (უმართლობის) ცნებით მოცულ კომპონენტად, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ბრალის თეორიული სპეციფიკის ტრანსფორმირების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს.

მაგრამ გაბატონებულ მოძღვრებაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით ყოველვე პირიქით გამოიყურება. რადგანაც აქ, ერთი მხრივ, აკრძალვის ცნება არ მოიცავს შესაძლებლობის ცნებას, მეორე მხრივ კი, ბრალის სფეროში უნდა გაირკვეს მხოლოდ ის, ფლობდა თუ არა სუბიექტი სხვაგვარად ანუ მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობას, გასაგებია, რომ ბრალის ცნების დასაბუთება მოცე-მულ შემთხვევაში არანაირ სირთულეს არ წარმოქმნის. აღნიშნული პოზიციის არგუმენტაცია შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს: სისხლისსამართლებრივად მიუღებელი ნების ჩამოყალიბებისა და მოცემული ნების შესაბამისად გარეგანი ქცევის წარმართვის ფაქტი შესაძლოა მოიცემოდეს მაშინაც, როდესაც პირი მცირეწლოვანი ან სულით ავადმყოფია ან მოქმედებს იძულებით, ე. ი. სისხლისსამარ-თლებრივი აკრძალვის მოთხოვნათა დარღვევა ჯერ არაფერს მიგვი-თითებს იმის შესახებ, შეეძლო თუ არა სუბიექტს ამ აკრძალვის მოთ-ხოვნათა განხორციელება, რის გამოც წარმოიშობა ბრალის როგორც სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის დამოუკიდებელ სისტემატიკურ ეტაპად გამოყოფის აუცილებლობა. მაგრამ რის მომასწავებელია პრაქტიკულად აკრძალვის თეორიული ორბიტიდან შესაძლებლობის ცნების გატანა და სისტემატიკურად ამ უკანასკნელის სრულიად დამოუკიდებელ კატეგორიად დეკლარირება? ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივად სუბიექტს განსაზღვრული ფსიქოფიზიკური ქცევა ეკრძალება იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას მოცემული ქცევის განხორციელებისაგან თავის შეკავება. ამის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი აკრძალვა მიმართულია არა მხოლოდ იმ ბრალუნარიან პირთა მიმართ, რომელ-თაც გააჩნიათ კონკრეტულ ვითარებაში ნორმის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა, არამედ აგრეთვე იმ ბრალუნარიან პირთა მიმართაც, რომლებიც ამგვარ შესაძლებლობას არ ფლობენ, ისევე, როგორც მცირეწლოვან და სულით ავადმყოფ პირთა მიმართაც.

მაგრამ რით შეიძლება ხელმძღვანელობდეს კანონმდებელი, როდესაც იძულებით მოქმედ, მცირეწლოვან და სულით ავადმყოფ პირს სისხლისსამართლებრივად უკრძალავს გარკვეული საზოგადოებრივად საშიში ქმედების განხორციელებას? ცხადია, ეს სრული შეუსაბამობაა. თუ ვიხელმძღვანელებთ ამ ლოგიკით, მივიღებთ, რომ სის-

ხლისსამართლებრივი აკრძალვა ასევე შეიძლება შეეხებოდეს ცხოველებსაც, მექანიზმებსაც, ბუნების სტიქიურ მოვლენებსაც და ა. შ.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად შინაგანი და გარეგანი ქცევის ერთობლივ აღიარებას დანაშაულის არსებული სისტემის ძირეულ უარყო-ფამდე მივყავართ. ის, თუ რა სახით შეიძლება გადაწყდეს ზემოწარმოდგენილი წინააღმდეგობრიობა, დამოუკიდებელი კვლევის საგანია და მნიშვნელონად სცილდება ბრალზე კენის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებს.

ამასთანავე, ერთობ საგულისხმოა ის გარემოება, თუ რატომ არ იჩენს თავს მსგავსი წინააღმდეგობრიობა ტრადიციულ დოგმატიკაში. აქ, მართალია, სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად განიხილება ზოგადად სუბიექტური ქმედება, ე. ი. როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ქცევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორც წესი, დადგენილად ითვლება უკვე გარეგანი ქცევის გარკვეულობის პირობებში! თეორიულად ამის ახსნა, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია. ასე მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად საკმარისია, ერთი მხრივ, სუბიექტის მიერ გარეგანი (აქტიური ან პასიური) ქცევით სხვა პირისთვის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის მოცემულობა და, მეორე მხრივ, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა. სად პოვებს აქ გამოხატულებას სუბიექტის შინაგანი ქცევა? როგორც გარკვევით ჩანს, მოცემულ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის ცნებასთან მიმართებაში შინაგანი ქცევა აბსოლუტურად იგნორირებული რჩება, საიდანაც გამომდინარე დასკვნის თანახმად ტრადიციულ დოგმატიკაში აკრძალვის საგნად *ფაქტობრივად* მხოლოდ გარეგანი ქცევა განიხილება (იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მოცემული გვაქვს მიზნით დაფუძნებული დელიქტი, აკრძალვის საგნად ობიექტურ ქცევასთან ერთად სათანადო მიზანიც გვევლინება, რადგან ამჯერად უკვე დელიქტური მიზნის დადგენის გარეშე ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ კვალიფიცირდება).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მრავლად შეიძლება სხვა მსგავსი სირთულეების გამოყოფა. მაგრამ ეს ჯერ სულაც არ მიგვითითებს იმაზე, თითქოს გარეგანი და შინაგანი ქცევის რეალური სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა თეორიულად შეუცნობელი უნდა დარჩეს. სრულიად აშკარაა, რომ არც შინაგან და არც გარეგან ქცევას ცალკე აღებულს სისხლისსამართლებრივად არანაირი მნიშვნელობა არ უკავშირდება; სისხლისსამართლებრივად შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მხოლოდ ამ ორი მომენტის ერთობლიობა. ის, რომ სისხლის სამართალი, განსხვავებით ზნეობისაგან, მიზნად ისახავს არა ინდივიდის შინაგანი სამყაროს მოწესრიგებას, არამედ თითოეული სუბიექტის დანარჩენ სუბიექტთა საზიანო გარეგანი ქცევისაგან დაცვას, მართალია, ნათლად

გამოკვეთს ზნეობასთან მიმართებაში სისხლის სამართლის სპეციფიკურ ბუნებას, მაგრამ ჯერ კიდევ არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სისხლისსამართლებრივად ამოსავალ მომენტად უნდა განიხილებოდეს სუბიექტის გარეგანი ქცევა, ვინაიდან გარეგან ქცევას სისხლის სამართალში, განსხვავებით შინაგანი ქცევისაგან ზნეობაში, არ ძალუძს პასუხისმგებლობის დაფუძნება და ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოხსენებული ფაქტორი.

ანალოგიური მიზეზის გამო არ შეიძლება იყოს მისაღები საპირისპირო უკიდურესობაც, სადაც მთავარი აქცენტი გადაიტანება უკვე სუბიექტის შინაგან ქცევაზე იმ მოტივით, რომ სისხლის სამართალში, სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, სწორედ ინდივიდის „სუბიექტურობა" იძენს სპეციფიკურ თეორიულ დატვირთვას.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ სუბიექტურ და ობიექტურ ქცევას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ ძალუძს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხზე ზემოქმედებაც. ამიტომაც საერთოდ გაუმართლებელია სისხლის სამართალში ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ქცევის რაიმე პრიორიტეტულობაზე საუბარი. აქ მოცემული მომენტები არსებითად მნიშვნელოვანია მარტოოდენ როგორც განუყოფელი მთლიანობა.

მართალია, ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრადიციულ დოგმატიკაში მართლწინააღმდეგობის ცნებას, როგორც წესი, მხოლოდ ობიექტური ქცევა აფუძნებს და, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობის განსაზღვრულ შემთხვევებში ე. წ. პრევენციული ღონისძიებების გამოყენება უკავშირდება, მაგრამ ქმედების მართლწინააღმდეგობასთან ერთად პრევენციული ღონისძიებების გამოყენების წინაპირობას ყოველთვის შეადგენს აგრეთვე სუბიექტის შინაგანი ქცევის გარკვეულობა. ამასთანავე, თუ აქცენტს გადავიტანთ თვით იმ გარემოებაზე, რომ გარეგან ქცევას შინაგანი ქცევის გაურკვევლობის პირობებში ძალუძს დააფუძნოს ისეთი სისხლისსამართლებრივი ცნებები, როგორიცაა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა (ანუ ზოგადად უმართლობა), მაშინ როდესაც შინაგანი ქცევა გარეგანი ქცევის გაურკვევლობის პირობებში სისხლისსამართლებრივად ვერაფერს აფუძნებს, უნდა შეინიშნოს, რომ ეს წმინდად ფორმალური მომენტია, მთავარი კი აქ წარმოდგენილ კონტექსტში არის ის, რომ არც ერთ ამ ცნებათაგანს შინაგანი ქცევის გაურკვევლობის პირობებში სისხლისსამართლებრივად არანაირი სახის ღონისძიება არ უკავშირდება.

ანალიზი იმის შესახებ, თუ რაში შეიძლება მდგომარეობდეს სისხლისსამართლებრივად ძირითადი ორიენტირების საგანი, პრინციპულად სხვა სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს. აქ შედარების ობიექტებად უნდა გამოიყოფოდეს სუბიექტური ქმედება (ანუ შინაგანი და გარეგანი ქცევის ერთობლიობა) და სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის

მთლიანობა. ამის შედეგად კი ირკვევა, რომ არამცთუ არც შინაგან და არც გარეგან ქცევას ცალკე აღებულს არ ენიჭება სისხლისსამართლებრივად იგივე მნიშვნელობა, რაც შინაგან ქცევას ზნეობაში, არამედ თვით შინაგანი და გარეგანი ქცევის ერთობლიობაც კი არ არის სისხლისსამართლებრივად იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც შინაგანი ქცევა — ზნეობრივად. ამას, როგორც ადვილად მისახვედრია, განაპირობებს ის, რომ სუბიექტური ქმედებისათვის სისხლის სამართალში, მართალია, იმანენტურია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვისება, მაგრამ, სხვა მხრივ, მოცემული თვისება არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ე. ი. სუბიექტური ქმედება, როგორც ასეთი, ყოველთვის ვერ აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (საამისოდ ხშირად, როგორც უკვე აღინიშნებოდა, აუცილებელია აგრეთვე საზიანო შედეგის მოცემულობაც), მაშინ როდესაც ზნეობრივი პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება დაეფუძნოს მარტოოდენ შესაბამის შინაგან ქცევას.

ამასთან ერთად, იბადება კითხვა, თუ საერთოდ რამდენად შეთავსებადია სისხლის სამართლის ჭეშმარიტ ბუნებასთან პასუხისმგებლობის მხოლოდ სუბიექტურ ქმედებაზე დაფუძნება. საზიანო შედეგის მოუცემლობის პირობებში ხომ ადგილი არა აქვს სუბიექტის სისხლისსამართლებრივად დაცული უფლებისა თუ თავისუფლების დარღვევას. მაგრამ საქმე ის არის, რომ სისხლის სამართალი იმთავითვე მოწოდებულია იცავდეს თითოეული ინდივიდის სათანადო უფლებებსა და თავისუფლებებს არა მხოლოდ დარღვევისაგან, არამედ აგრეთვე *დარღვევის საფრთხისაგანაც*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის ბუნებასთან არაფერია შეუთავსებელი იმაში, რომ სუბიექტი ისჯებოდეს სხვა პირის სისხლისსამართლებრივად დაცული ინტერესის არა მხოლოდ დარღვევისათვის, არამედ აგრეთვე მოცემული ინტერესისათვის საფრთხის შექმნის გამოც, რაც თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში სრული თავისთავადობაა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ აცხადებს კანონმდებელი დასჯადად მხოლოდ განსაზღვრული სახის დანაშაულთა და არა ყოველი ცალკეული სახის დანაშაულის მცდელობას? ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ სისხლის სამართალი თუმც აღიარებს სუბიექტის სისხლისსამართლებრივად დაცული ინტერესის საფრთხეში ჩაყენების მნიშვნელობას, მაგრამ არ ათანაბრებს მას თვით მოცემული ინტერესის დარღვევის მნიშვნელობასთან. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ სისხლის სამართალში ძირითადი მახვილი სწორედ სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის ერთობლიობაზეა მოქცეული.

მაგრამ ქმნის თუ არა ეს მორიგი დასკვნის ჩამოყალიბების საფუძველს იმის თაობაზე, რომ სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის ერთობლიობის მნიშვნელობა სისხლის სამართალში იგივეა, რაც შინაგანი ქცევისა — ზნეობაში? სულაც არა. მართალია, სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის ერთობლიობა სისხლის სამართალში, მსგავსად შინაგანი

ქცევისა ზნეობაში, „ყოველთვის" იწვევს პასუხისმგებლობას, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს აგრეთვე სუბიექტური ქმედებისა და საზიანო შედეგის ერთობლიობის გარეშეც ანუ მხოლოდ სუბიექტურ ქმედებაზე დაყრნდნობით, მაშინ როდესაც შინაგანი ქცევის გარეშე ზნეობრივი პასუხისმგებლობა ყოვლად წარმოუდგენელია. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად ამოსავალი მომენტი იმ გაგებით, რა გაგებითაც წარმოდგენილია შინაგანი ქცევა ზნეობაში, საერთოდ არ მოიპოვება.

რაც შეეხება მომდევნო ზემოგამოყოფილ გარემოებას (კენის მიერ დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან კავშირში გასაკიცხობის მომენ-ტის მოხსენიებას), უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული გარემოების განსა-კუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ კენის ზემოციტი-რებული ნაშრომი გამოქვეყნდა უფრო ადრე (1903 წელი), ვიდრე გერ-მანულ სისხლის სამართალში ფრანკის მიერ საფუძველი დაედო ბრალის ნორმატივისტულ თეორიას (1907 წელი). რა თქმა უნდა, თვით გერმანულ დოგმატიკაშიც ფრანკის მიერ ნორმატიული მოძღვრების ჩამოყალიბებამდე გასაკიცხობის მომენტი დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან მიმართებაში სავსებით გარკვევით მოიხსენიება (მაგალითად, ბელინგის მიერ), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გამორიცხავს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ ინგლისურმა სისხლის სამართალმაც დამოუკიდებლად შეძლო ბრალის ცნებასთან გასაკიცხობის მომენტის ასოცირება (როდესაც კენი გასაკიცხობის მომენტს მოიხსენიებს დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან მიმართებაში, უდავოა, რომ მოცემული შენიშვნა იმთავითვე ვრცელდება ბრალის ცნებაზეც, თუმც არა იმავე მიზეზის გამო, როგორც ამას ბელინგთან შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, სადაც ბრალისა და დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნებები ფაქტობრივად გაიგივებულია ერთმანეთთან, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ კენისთან ბრალი დანაშაულის სუბიექტური მხარის ცენტრალური ელემენტია და ამაში ჩვენ ქვემოთ ადვილად დავრწმუნდებით).

ამავე დროს, კენიც და მასთან ერთად ზოგადად ინგლისური სისხლის სამართალიც მეტად სპეკულაციურად იყენებს გასაკიცხობის მომენტს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალ-საზრისით. როგორც ზემოთ ვიხილეთ, კენი, საუბრობს რა „გონების გასაკიცხი მდგომარეობის" მიმართებაზე დანაშაულის ობიექტურ მხარესთან, გამოყოფს მხოლოდ გარეგან ქცევას და არაფერს მიუთითებს ხსენებული გარემოების („გონების გასაკიცხი მდგომარეობის") უშუალო კავშირზე საზიანო შედეგთან. სპეკულირების შესაძლებლობასაც კი სწორედ ეს წარმოშობს. როდესაც გამოიყოფა „გონების გასაკიცხი მდგომარეობის" მიმართება მხოლოდ გარეგან ქცევასთან და უგულებელიყოფა მისი უშუალო დამოკიდებულება საზიანო შედეგთან, სუბიექტი შეიძლება დაისაჯოს „გონების გასაკიცხი მდგომარეობის" შედეგად წარმომდგარი გარეგანი ქცევიდან გამომდინარე არა მხოლოდ იმ (საზიანო) შედეგისათვის, რომელსაც ითვალისწინებდა ან შეეძლო

გაეთვალისწინებია, არამედ აგრეთვე იმ შედეგისთვისაც, რომელსაც არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებია. და, რაც მთავარია, ინგლისური სისხლის სამართალი სჯის კიდევაც სუბიექტს უკანასკნელი სახის შედეგისთვისაც!

კენი, ცდილობს რა განაზოგადოს დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ თავისი ზემოციტირებული შეხედულებები, აღნიშნავს: „როგორც ვიხილეთ, დანაშაული მოითხოვს როგორც სუბიექ-ტურ, ისე ობიექტურ ელემენტთა მოცემულობას. სუბიექტური მხარის ბუნება სხვადასხვა სახის დანაშაულთათვის შეიძლება იყოს სხვადა-სხვაგვარი. მაგრამ ყველა შემთხვევაში არსებითია ის, რომ დამნა-შავის მოქმედება უნდა იყოს ნებისმიერი. დამნაშავეს უნდა შეძლებოდა მის მიერ ჩადენილი მოქმედების არჩადენა... ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობა წარმოქმნის იმუნიტეტს სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებასთან მიმართებაში".143 კენის უკანასკნელი დასკვნის შედეგად ფაქტობრივად ვღებულობთ, რომ ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობა სასჯელის გამომრიცხველი გარემოებაა. მაგრამ ის, რომ ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობა წარმოდგენილია როგორც სასჯელის გამომრიცხველი გარემოება, ნიშნავს იმას, რომ ის უკვე არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ბრალის გამომრიცხველი გარე-მოება და, ამრიგად, ბრალის დადგენა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ფლობდა თუ არა სუბიექტი ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობას!

Mens rea

კენი, ეხება რა უშუალოდ ბრალის პრობლემას, იქვე აღნიშნავს: „გარდა ორი გამონაკლისისა, საერთო სამართლის დანაშაულთა და სტატუტებით გათვალისწინებული მრავალი დანაშაულისათვის ყოველთვის აუცილებელი იყო შემდგომი სუბიექტური ნიშანი — *mens rea* — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბრალდებულს უნდა ჰქონოდა შეგნებული, რომ მის ქმედებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა განსაზღვრული შედეგები".144 მაშასადამე, დანაშაულის სუბიექტური მხარის დასაფუძნებლად აუცილებელია არა მხოლოდ ის, რომ სუბიექტი ფლობდეს ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობას, არამედ აგრეთვე ისიც, რომ სუბიექტი ითვალისწინებდეს მისი ქცევიდან „განსაზღვრული შედეგების" გამომდინარეობის შესაძლებლობას, რაც თითქოსდა გარკვევით მოწმობს ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობასა და სასჯელს შორის პირდაპირი (უშუალო) თეორიული კავშირის მოუცემლობას. მაგრამ მთავარი არის ის, მიიღება თუ არა კენის მიერ ზემოხსენებული „შემდგომი სუბიექტური ნიშანი" ანუ *mens rea* ანუ ბრალი ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობის პირობებშიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამორიცხავს თუ არა კენისთან

რეალურად ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობა ბრალს?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრალი აქ გაიგება როგორც „საკუთარი ქცევის შედეგთა გათვალისწინება", დავასკვნით, რომ ბრალის მოცემულობა ზოგჯერ მართლაც შესაძლებელია არ იყოს დამოკიდებული ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არსებობაზე. ასე მაგალითად, პირი, რომელიც მოქმედებს იძულებით, მოკლებულია ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვევით ითვალისწინებს თავისი ქმედებიდან გამომდინარე საზიანო შედეგებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, ვღებულობთ, რომ ნებისმიერად მოქმედების შესაძლებლობის არარსებობა გამორიცხავს სასჯელს და არა ბრალს, ბრალი აქ ზემოწარმოდგენილი გაგებით სახეზეა. ვფიქრობთ, საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება იყოს მისაღები მსგავსი კონცეფცია, სრულიად ზედმეტია.

ამასთანავე, კენის შეხედულებათა შემდგომი ანალიზი ცხადყოფს, რომ მასთან ბრალის ცნება მხოლოდ ზემოხსენებულ ინტელექტუალურ მომენტზე როდი აიგება. „სუბიექტს, — წერს კენი, — შეიძლება სურდეს ამ შედეგთა დადგომა ან იყოს მათდამი ქარაფშუტულად (be merely reckless) ან გულგრილად დამოკიდებული. უბრალო დაუდევრობა (mere inadvertence) ალბათ არასოდეს შეიძლება იყოს საკმარისი ბრალის კონსტატაციისთვის საერთო სამართლის დანაშაულებში (გარდა „ქომონ ნიუსენსის" საქმეებისა). უნდა მოიცემოდეს შედეგთა დადგომის სურვილი ან მათი დადგომისადმი ქარაფშუტული დამოკიდებულება".145 როგორც ვხედავთ, კენი წინააღმდეგობრივად წარმოგვიდგენს ბრალის ცნებაში შემავალ ნებელობით მომენტებს, რამდენადაც ჯერ საუბრობს საზიანო შედეგის როგორც სურვილზე, ისე საზიანო შედეგის დადგომისადმი ქარაფშუტულ ან გულგრილ დამოკიდებულებაზე, შემდგომ კი გამოყოფს მხოლოდ საზიანო შედეგის სურვილს ან საზიანო შედეგის დადგომისადმი ქარაფშუტულ დამოკიდებულებას.

სხვა მხრივ, იმთავითვე იპყრობს ყურადღებას ის გარემოებაც, რომ კენისთან ბრალის ცნებაში არც ინტელექტუალური მხრივ და არც ნებელობითი მხრივ არ მოიძებნება ადგილი დაუდევრობისათვის, ვინაიდან, ინტელექტუალური მხრივ, ბრალის კენისეულ ცნებასთან საზიანო შედეგის გაუთვალისწინებლობა პრინციპულად შეუთავსებელია, ხოლო ნებელობითი მხრივ, აქ არაფერია მითითებული საზიანო შედეგის გაუთვალისწინებლობის დაძლევის შესაძლებლობაზე და არც შეიძლება იყოს რაიმე მითითებული, რადგან ამას დაუშვებელს ქმნის უკვე ინტელექტუალური ასპექტის ამოსავალი დებულება.

კენი, მართალია, ცდილობს დაასაბუთოს დაუდევრობაც, მაგრამ მოცემული პოზიციის გათვალისწინებით აქ, ცხადია, სრულ უპერსპექ-ტივობასთან გვაქვს საქმე. იმავდროულად, თუ მხედველობაში მივიღებთ მის თავდაპირველ მტკიცებას იმის შესახებ, რომ სუბიექტი სისხლისსამართლებრივად პასუხს უნდა აგებდეს თავისი მართლსა-

წინააღმდეგო ქცევიდან გამომდინარე არა მხოლოდ იმ საზიანო შედეგებისათვის, რომელთაც ითვალისწინებდა ან შეეძლო გაეთვალისწინებია, არამედ აგრეთვე იმ საზიანო შედეგებისთვისაც, რომელთაც არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, გასაგებია, რომ ჩვენს წინაშე მეტად მნიშვნელოვანი არათანმიმდევრულობაა.

კენი, მიმოიხილავს რა ბრალის ცნების ანალიზის ფარგლებში სუბიექტის მიერ გათვალისწინებული და ფაქტობრივი საზიანო შედეგის ურთიერთობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, აღნიშნავს: „სხვაობა გათვალისწინებულ და რეალურ შედეგებს შორის ზოგჯერ ამცირებს პასუხისმგებლობის ხარისხს (მაგალითად, თუ პირი უმიზნებს სხვა პირს, მაგრამ კლავს ცხოველს), ზოგჯერ კი ამძიმებს მას (მაგალითად, პირს სურს მიაყენოს სხვა პირს მხოლოდ სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც სჩადის მკვლელობას).”146 დებულება, რომლის თანახმადაც პასუხისმგებლობის ხარისხი უნდა შემცირდეს, როდესაც ფაქტობრივად განხორციელებული შედეგი ნაკლებად მძიმეა სუბიექტის მიერ გათვალისწინებულ საზიანო შედეგთან შედარებით, უდავოდ მისაღებია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტივიზმის წინაშე აღმოვჩნდებოდით. მაგრამ რა დროსაც საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებაზე მაშინ, როდესაც ფაქტობრივად განხორციელებული შედეგის სიმძიმე აღემატება სუბიექტის მიერ გათვალისწინებული შედეგის სიმძიმეს, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მას ამ პირველი შედეგის გაუთვალისწინებლობის დაძლევა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დებულება მიუღებელია იმდენად, რამდენადაც ამჯერად უკვე სახეზეა ობიექტივიზმის საფრთხე. და აქ სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების მთელი პროცესის გათვალისწინებით ჭეშმარიტად უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

საქმე კი ის არის, რომ კენი ხსენებული შედეგის ბრალეულ გამოწვევაზე საუბრობს ანუ მსგავს შემთხვევებში სუბიექტური ქცევით დაფუძნებული ბრალი შეეხება არა მხოლოდ იმ შედეგს, რომელსაც სუბიექტი ითვალისწინებდა, არამედ აგრეთვე იმ შედეგსაც, რომელსაც სუბიექტი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებია. ხოლო სხვა მხრივ, რადგანაც აქ საუბარია პასუხისმგებლობაზე შედეგისთვის, რომლის გათვალისწინებაც სუბიექტს არ შეეძლო, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ობიექტური შერაცხვის მოცემულობა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იმავე ქმედების ფარგლებში და ერთსა და იმავე შედეგთან მიმართებაში ბრალისა და ობიექტური შერაცხვის თანამოცემულობას! აქედან გამომდინარე, კენისა და ზოგადად ინგლისური სისხლის სამართლის მიერ კონსტრუირებული ბრალის ცნება ეჭვს ქვეშ აყენებს თანამედროვე სისხლის სამართალში საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც ობიექტური შერაცხვა ნიშნავს შერაცხვას ბრალის გარეშე.

განაგრძობს რა *mens rea*-ს პრობლემის ანალიზს, კენი აღნიშნავს: „ჩვენ ვთვლით, რომ საკითხი *mens rea*-ს შესახებ ყოველთვის უნდა წყდებოდეს

კონკრეტულ დანაშაულთან კავშირში, რომლის ჩადენაც შეერაცხება ბრალდებულს, და არა ზოგადად დანაშაულებრიობის, მართლწინააღმდეგობისა თუ არაზნეობრიობის თვალსაზრისით.”147 იმის გააზრება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კენის მოცემული თვალთახედვა ანგლოსაქსურ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით, ოდნავაც არ არის ძნელი, თუ გავითვალისწინებთ განსახილველი პრობლემის კენისთვის თანამედროვე მდგომარეობას. იმჟამად ბრიტანულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ შორს იყო გაბატონებისაგან იდეა იმის შესახებ, რომ *mens rea*-ს დასაფუძნებლად აუცილებელია საკუთრივ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის განზრახვა (აქვე იგულისხმება სისხლისსამართლებრივი უმართლობის შეგნების შესაძლებლობაც). კენის აქ წარმოდგენილი ნაშრომიდან გარკვევით ჩანს, რომ მოცემული პრობლემა არანაკლებ აქტიურად ვითარდებოდა სხვა მიმართულებებითაც. კერძოდ, ერთი მხრივ, *mens rea*-ს დასაფუძნებლად საკმარისად მიიჩნევა ზოგადად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის განზრახვა, „თუნდაც ის შეადგენდეს მხოლოდ სამოქალაქო სამართლის დარღვევას და საერთოდ მოკლებული იყოს სისხლისსამართლებრივ ხასიათს”, მეორე მხრივ კი, *mens rea*-ს სისხლისსამართლებრივად აქტუალური ხარისხი მოცემულად ითვლება უკვე მაშინაც, როდესაც სუბიექტი მიზნად ისახავს უბრალოდ ზნეობის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, აქ არც ისეთი შემთხვევები გამოირიცხება, როდესაც *mens rea* არ მოიცავს არც სამოქალაქოსამართლებრივი (უფრო ზუსტად, ზოგადად სამართლებრივი) და არც ზნეობრივი უმართლობის განხორციელების განზრახვასაც კი.

ვფიქრობთ, აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ შეიძლება დაეფუძნოს არც სამოქალაქოსამართლებრივ და არც ზნეობრივ უმართლობას, არამედ მოისაზრება მხოლოდ სისხლისსამართლებრივ უმართლობასთან კავშირში, საკითხისადმი ზედმეტად ფორმალური მიდგომა იქნებოდა.

მართლაც, თუ მთავარ სირთულეს წარმოშობს ის, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამოქალაქო-სამართლებრივ ან ზნეობრივ უმართლობას, მაშინ რატომ არ შეიძლება დასაბუთდეს ბრალი ზემომოტანილ შემთხვევაში, სადაც სუბიექტს ბრალად ერაცხება თავისი სისხლისსამართლებრივი უმართლობის შემცველი ქცევიდან გამომდინარე არა მხოლოდ ის შედეგები, რომელთაც ის ითვალისწინებდა ან შეეძლო გაეთვალისწინებია, არამედ ის შედეგებიც, რომელთა გათვალისწინებაც მას არ შეეძლო?

როგორც ვხედავთ, პრობლემა გაცილებით უფრო ღრმა და მასშტაბური ხასიათისაა. მაგრამ, სხვა მხრივ, არც ხსენებულ მომენტთა მხოლოდ ერთსა და იმავე სიბრტყეზე განხილვა შეიძლება იყოს გამართლებული, რის შედეგადაც პირველი პრობლემის გადაჭრა (სისხლისსამართლებრივი

უმართლობის შემთხვევა) მექანიკურად მოასწავებდა მომდევნო პრობლემათა ანალოგიურ გადაჭრას.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ შემთხვევები, რომელთა დროსაც სისხლისსამართლებრივი ბრალი, ერთი მხრივ, უკავშირდება სუბიექტის განსაზღვრულ სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ქცევას, ხოლო, მეორე მხრივ, ეფუძნება სისხლისსამართლებრივი სინამდვილის მიღმა მდებარე სუბიექტურ ქმედებას, მნიშვნელოვან დიფერენცირებას მოითხოვს.

როდესაც სუბიექტი, რომელიც ნებისმიერად ახორციელებს ზნეობრივ, სამოქალაქოსამართლებრივ ან სხვა „არასისხლისსამართლებრივი" სახის უმართლობას, ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით მოცემული ქცევით გამოწვეული სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი შედეგის გამო, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო, ვღებულობთ, რომ სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფერო უსასრულოდ ფართოვდება. ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც წესი, სუბიექტისთვის ბევრად უფრო არასასურველია, ვიდრე ზნეობრივი, სამოქალაქოსამართლებრივი ან სხვა ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა, ცხადია, ის აქ წარმოდგენილი კონცეფციის ფარგლებში ყოველთვის უფრო მეტად შეიკავებს თავს ზემოხსენებული სახის უმართლობათა განხორციელებისაგან, რაშიც ვლინდება სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფეროს გაფართოება.

თუმცა გასაგებია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალურ ურთიერთობათა მხოლოდ *ირიბ, არაუშუალო* სისხლისსამართლებრივ რეგულირებასთან.

მაგრამ რაგვარად შეიძლება დასაბუთდეს ზემოწარმოდგენილ სფეროებში სისხლის სამართლის ესოდენ უხეში შეჭრა? უეჭველია, რომ თვით ფაქტი სისხლისსამართლებრივად მიუღებელ შედეგთა თავიდან აცილებისათვის დამატებითი მექანიზმის შექმნისა არამც და არამც არ შეიძლება იყოს ნეგატიური. პირიქით, კრიმინალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. ამასთანავე, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აქ ეფუძნება ნებისმიერ (ნებელობით) სუბიექტურ ქცევას, ე. ი. ვერ ვიტყვით, რომ სუბიექტი ისჯება ისეთი შედეგის გამოწვევისათვის, რომლის თავიდან აცილებაც მას არ შეეძლო.

წმინდად დოგმატური თვალსაზრისით, მართალია, გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება გააჩნდეს სუბიექტს საზიანო შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა, თუ ის მოცემულ შედეგს ახორციელებს იმგვარად, რომ არც ითვალისწინებს მას და არც შეუძლია მისი გათვალისწინება, მაგრამ ის გარემოება, რომ სუბიექტი მოცემულ შემთხვევაში ფლობს ზნეობრივი, სამოქალაქოსამართლებრივი ან სხვა სახის უმართლობის განხორციელებისაგან თავის შეკავების

ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობას, იმთავითვე მოიცავს აგრეთვე ჩვენთვის აქტუალური საზიანო შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობასაც.

ამდენად, გამოდის, რომ *mens rea*-ს განსახილველი კონცეფცია არა უბრალოდ ემსახურება კრიმინალური პოლიტიკის მიზნებს, არამედ ემსახურება იმგვარად, რომ არც სისხლის სამართლის თეორიის ამოსავალ დებულებას ხელყოფს, რომლის მიხედვითაც სუბიექტმა სისხლისსამართლებრივად არ შეიძლება აგოს პასუხი ისეთი საზიანო შედეგის განხორციელებისათვის, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობასაც ის არ ფლობდა.

მაგრამ რეალურად ეს არგუმენტაცია ნაკლებად დამაჯერებელია.

ჯერ ერთი, რაში მდგომარეობს განსახილველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ანუ რას უკრძალავს სისხლის სამართალი სუბიექტს, როდესაც სჯის მას ზემომოტანილი სახის საზიანო შედეგის განხორციელებისათვის? როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საკუთრივ ქცევა, რომლითაც ხსენებული შედეგი გამოწვეულია, სისხლისსამართლებრივად აკრძალული არ არის, რის შესაბამისადაც ვასკვნით, რომ სისხლის სამართალი აღნიშნული შედეგის მოცემული სახით გამოწვევას არ კრძალავს. აქედან გამომდინარე, სახეზეა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველგვარი სისხლისსამართლებრივი აკრძალვის დარღვევის გარეშე! უკეთ რომ ვთქვათ, სუბიექტი ისჯება *სისხლისსამართლებრივად ნებადართული ქცევით* საზიანო შედეგის განხორციელებისათვის, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო!

მეორეც, მოცემული თვალსაზრისი მიუღებელია არა მხოლოდ წმინდად თეორიულად, არამედ აგრეთვე ეთიკურადაც. სუბიექტმა ისევე არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად აგოს პასუხი ზნეობ-რივი ან სხვა ნებისმიერი „არასისხლისსამართლებრივი" ნორმის მოთხოვნათა დარღვევისათვის, როგორც სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნათა დარღვევას ვერ დაეფუძნება ზნეობრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობა, გარდა სისხლისსამართლებრივისა (თუ, ცხადია, სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნები არ არის იდენტური ხსენებული სახის ნორმათა მოთხოვნებთან).

განსახილველი თეზისის უკანასკნელ ნაწილში გამონაკლისად შესაძლოა ვიგულისხმოთ მხოლოდ სამოქალაქო სამართალი, რასაც სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირების საგნისა და მეთოდის სპეციფიკურობა განაპირობებს.

მაგრამ, პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, ძირითადი განსხვავება სამოქალაქო და სისხლის სამართალს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში ბრალი პასუხისმგებლობის აუცილებელ წინამძღვარს სულაც არ წარმოადგენს, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მუდამ ბრალეული პასუხისმგებლობის სახით უნდა წარმოგვიდგებოდეს. და უმთავრესი არის ის, მოიპოვება თუ არა განსახილველ შემთხვევაში ბრალის დასაბუთების

შესაძლებლობა. გასაგებია, რომ აქ იგულისხმება არა ზოგადად ბრალი, არამედ საკუთრივ სისხლისსამართლებრივი ბრალი.

ხოლო სისხლისსამართლებრივი ბრალი შეიძლება მოიცემოდეს მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა სუბიექტური ქმედების სისხლისსამართლებრივი გასაკიცხობა. მაგრამ, თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივ გასაკიცხობაზე საუბარი დაიშვება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი უმართლობის მოცემულობის პირობებში. ამის შესაბამისად, თუ პირი ახორციელებს, მაგალითად, ზნეობრივ უმართლობას, რასაც არაფერი აქვს საერთო სისხლისსამართლებრივ უმართლობასთან, სისხლისსამართლებრივი ბრალის დასაბუთების ყოველგვარი შესაძლებლობა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს. აქ შესაძლოა მოიცემოდეს მარტოოდენ ზნეობრივი ბრალი. კენისთვის თანამედროვე სისხლის სამართალში წარმოდგენილი პოზიციის თანახმად კი, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებლად მიიჩნევა არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ აგრეთვე სამოქალაქოსამართლებრივი და ზნეობრივი უმართლობის პირობებში, ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალის გაიგივებას, შესაბამისად, ზნეობრივ და სამოქალაქოსამართლებრივ ბრალთან, რაც სრული შეუსაბამობაა. ამის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთ შემთხვევაში ფაქტობრივად ეფუძნება ზნეობრივ ბრალს, მეორე შემთხვევაში კი — სამოქალაქოსამართლებრივს ანუ რეალურად მოცემული გვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლისსამარ-თლებრივი ბრალის გარეშე. ვაგებინოთ სუბიექტს პასუხი სისხლის-სამართლებრივად ზნეობრივი (სამოქალაქოსამართლებრივი და ა. შ.) ბრალის გამო ნიშნავს დავსაჯოთ ის მცდარად, უნიადაგოდ.

განსახილველი პოზიციის უსუსურობა სხვაგვარადაც ადვილად შეიძლება დადგინდეს. როგორც ცნობილია, ზნეობა და სისხლის სამართალი არც თუ იშვიათად მოითხოვს სუბიექტისაგან ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას. ასე მაგალითად, მომაკვდავი პაციენტის თხოვნისას ექიმი ზნეობრივად ვალდებულია დაუჩქაროს მას სიკვდილი, რათა შეუმსუბუქოს სიკვდილისწინა ტანჯვა, მაშინ როდესაც ევთანაზია თითქმის ყოველთვის განეკუთვნებოდა სისხლის-სამართლებრივად დასჯად ქმედებათა რიცხვს. მაგრამ მსგავს შემთხვევებშიც შესაძლოა მივიღოთ ისეთი ვითარება, როდესაც სუბიექტი, ცდილობს რა განახორციელოს ზნეობრივად მიუღებელი ქმედება (ე. ი. არ ჩაიდანოს ევთანაზია), ფაქტობრივად ახორციელებს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან საზიანო შედეგს (იგულისხმება პაციენტის სიკვდილი), რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. და რა დასკვნამდე მივყავართ კენისთვის თანამედროვე სისხლის სამართალში წარმოდგენილ თვალთახედვას? უკანასკნელი პოზიციის შესაბამისად, *mens rea*-ს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ხარისხი მოცემულად უნდა ჩათვალოთ, ვინაიდან (სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი) საზიანო შედეგი გამოწვეულია ზნეობრივად გასაკიცხი სუბიექტური

ქცევით, რის საფუძველზეც სუბიექტმა აქ თავისი ქმედებისათვის პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ ზნეობრივად, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივადაც, მიუხედავად იმისა, რომ მან საკუთარი ნებისყოფა წარმართა იმგვარად, რომ ემოქმედა სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად!

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბრალის სისხლის-სამართლებრივი ცნების სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო ელემენტებისაგან კონსტრუირება არა მხოლოდ დოგმატურად მიუღებელია, არამედ პრაქტიკულადაც სრულიად გამოუსადეგარია, რამეთუ ასეთ შემთხვევაში იძულებული გავხდებით სუბიექტი სისხლისსამართლებრივად დავსაჯოთ არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივად ნეიტრალური, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივად უმწიკვლო ქცევისთვისაც. მიუხედავად ამისა, სწორედ შეხე-დულება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი საზიანო შედეგი მექანიკურად გარდასახავს ზნეობის საწინააღმდეგო ქცევას სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად, პრიორიტეტულ განვითარებას პოვებდა კენისთვის თანამედროვე სისხლის სამართალში. „ეს... თვალსაზრისი, — აღნიშნავს კენი ხსე-ნებულ შეხედულებასთან დაკავშირებით, — მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის გამოითქვა მოსამართლეთა ესოდენ დიდი რიცხვის მიერ და მოწინავე თეორეტიკოს-იურისტთა აღიარებაც პოვა".148 აქ შეიძლება შეინიშნოს მარტოოდენ ის, რომ კენისთვის თანამედროვე ანგლოსაქსური სისხლისსამართლებრივი აზრი აშკარად მცდარი მიმართულებით ვითარდება.

უკანასკნელი მტკიცების თვალსაჩინო ხაზგასმას წარმოადგენს იმჟამინდელ ბრიტანულ სისხლის სამართალში განვითარებული მორიგი თვალთახედვა, რომლის თანახმადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაფუძნდეს უკვე არა მხოლოდ შინაარ-სობრივად მეტისმეტად განვრცობილ *mens rea*-ზე დაყრდნობით, არამედ აგრეთვე *mens rea*-ზე ყოველგვარი მითითების გარე-შეც (აღსანიშნავია, რომ განსახილველი თვალთახედვა სხვადასხვა სახით თანამედროვე ანგლო-ამერიკულ დოგმატიკაშიც პოვებს თავის გამოვლინებას, რასაც ჩვენ ქვემოთ მოკლედ შევეხებით).

მოცემულ საკითხთან მიმართებაში, უწინარეს ყოვლისა, გამოსაყოფია კენის შემდეგი შენიშვნა: „...სასტატუტო სამართლის დანა-შაულთა შემთხვევაში ხშირად საკმარისია ბრალდებულის მიერ სტატუტით აკრძალული მოქმედების განხორციელების დადგენა... სასტატუტო სამართლის დანაშაულთა რაოდენობა და მნიშვნელობა, რომელთათვის *mens rea* არ არის აუცილებელი ნიშანი, განუხრელად იზრდება".149 ამასთანავე, კენი იქვე გარკვევით განმარტავს, თუ რა შემთხვევებში მიმართავს კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას *mens rea*-ს გარეშე: „...1) როდესაც სასჯელის ხარისხი შედარებით მცირეა, მაგრამ 2) საზოგადოებისათვის დანაშაულით მიყენებული ზიანი მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელთან

შედარებით საკმაოდ მნიშვნელოვანია და 3) დანაშაული თავისი ბუნებით იმგვარია, რომ *mens rea*-ს სათანადო დადგენა, ეს რომ ყოფილიყო აუცილებელი, წარმოშობდა ძნელად დასაძლევ სირთულეებს".150 გარდა ამისა, კენი, ერთი მხრივ, გამოყოფს იმ მომენტსაც, რომ *mens rea*-ს მოუცემლობა მსგავს შემთხვე-ვებში ყოველთვის შეადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს აგრეთვე იმაზეც, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აქ უმეტესწილად წმინდად ნომინალური ხასიათისაა.

ზემოწარმოდგენილ პრობლემასთან დამოკიდებულებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეინიშნოს ის, რომ განსახილველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნომინალურობა ანუ სას-ჯელის სიმსუბუქე აშკარად სპეკულაციურ აქცენტირებას ექვემდებარება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაოდენ მსუბუქიც არ უნდა იყოს ის, მუდამ იწვევს ნასამართლეობას, რაც უაღრესად არასასურველია ნებისმიერი სუბიექტისათვის. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სახისა და სიმძიმის სისხილს-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება სუბიექტის მიმართ იმის გაუთვალისწინებლად, შეეძლო მას საზიანო შედეგის თავიდან აცილება თუ არა, ნიშნავს სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმის ბოროტად გამოყენებას. უფრო მეტიც, მსგავს თეორიულ თვითნებობას არც კრიმინალური პოლიტიკის თვალსაზრისით შეიძლება მოეძებნოს რაიმე გამართლება, ვინაიდან სუბიექტის დასჯამ შედე-გისათვის, რომლის გათვალისწინებაც (თავიდან აცილებაც) მას არ ძალუძდა, არამც და არამც არ შეიძლება შეუწყოს ხელი მომავალში ამ ან სხვა სუბიექტის მიერ ამ ან სხვა საზიანო შედეგის განხორციელებისაგან თავის შეკავებას. პირიქით, როდესაც სუბიექტს ვსჯით შედეგისათვის, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისთვის კონკრეტულ ვითარებაში აცილებადი, მნიშვნელოვნად ვუბიძგებთ მას აგრესიულად განეწყოს სისხლის სამართლის სისტემისადმი ზოგადად ანუ ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად ვზემოქმედებთ მის მართლ-შეგნებაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, თავისდათავად ირკვევა, რომ ზემომოტანილ გარემოებათაგან პირველი, რომელთა პირობებშიც გამოიყენებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა *mens rea*-ს გარეშე, სინამდვილეში არაბრალეული პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად არავითარ რეალურ საფუძველს არ ქმნის.

არსებითად იგივე უნდა დავასკვნათ მორიგ ზემომოტანილ მომენტთან მიმართებაშიც. თუ სუბიექტი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებია განსაზღვრული საზიანო შედეგი, ამ უკანასკნელის სიმძიმემ, რაოდენ განსაკუთრებულიც არ უნდა იყოს ის, არამცთუ არ შეიძლება დააფუძნოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ ვერც ბრალეული ქმედების ფარგლებში წარმოგვიდგება როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარე-მოება. და პირიქით, საზიანო შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, როდესაც სუბიექტი ფლობს მის თავიდან აცილების რეალურ ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობას. მაგრამ რას ეფუძნება თეორიულად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც სუბიექტი ისჯება შედეგისათვის, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო? შეიძლება აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალი მოითხოვს სუბიექტისაგან ისეთი საზიანო შედეგის განუხორციელებლობასაც, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო? ცხადია, მსგავსი რამ ლოგიკურად წარმოუდგენელია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს არანაირი სისხლისსამართლებრივი ვალდებულება. მაგრამ თუ სუბიექტი მაინც ისჯება, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ არავითარ სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას არ არღვევს, გამოდის, რომ (აქ) სისხლის სამართალი სჯის სუბიექტს იმისათვის, რის განუხორციელებლობასაც მისგან საერთოდ არ მოითხოვს!? როგორც ვხედავთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიული დასაბუთება ამჯერადაც სრულიად შეუძლებელია.

რაც შეეხება მესამე, უკანასკნელ შემთხვევას, რომლის დროსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის დამოკიდებული ***mens rea***-ს დადგენაზე, აქ კიდევ უფრო გარკვევით იკვეთება ბრიტანულ სისხლის სამართალში დასახული ტენდენციის პრინციპული მიუღებლობა. სუბიექტის დასჯა ბრალის დადგენის გარეშე იმის გამო, რომ ბრალის დადგენა დაკავშირებულია „ძნელად დასაძლევ სირთულეებთან", ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ *ბრიტანულ და ზოგადად ანგლოსაქსურ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ბრალეული პირის დასჯა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არაბრალეულის დაუსჯელობა.* ამის საწინააღმდეგოდ კონტინენტურ სისხლის სამართალში უკვე იმჟამადაც არჩევანი უკანასკნელი მომენტის სასარგებლოდ კეთდებოდა, მაშინ როდესაც თანამედროვე ანგლოამერიკული დოგმატიკა ჯერ კიდევ შორს არის იმის საბოლოო გათავისებისაგან, თუ რატომ არ შეიძლება იყოს გამართლებული (ფაქტობრივად) ბრალეულ სუბიექტთა დასჯა არაბრალეული პირის დასჯის ხარჯზე.

არაბრალეული პირის დასჯის შესაძლებლობის დაშვება მოასწავებს იმას, რომ, საკუთარი ნებისყოფის მართლზომიერად წარმართვის მიუხედავად, არც ერთი სუბიექტი არ შეიძლება იყოს დაზღვეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუ ვიმსჯელებთ წმინდად ლოგიკურად, განვითარებული დემოკრატიის პირობებში მსგავსი სისხლის სამართალი არ უნდა არსებობდეს. და თუ ეს უკანასკნელი თანამედროვე ანგლოამერიკული სისხლისსამართლებრივი დოქტრინის სახით მაინც მოიცემა, ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ როგორც დოგმატიზმი, როგორც ხანგრძლივი სისხლისსამართლებრივი ტრადიციების ინერციული განგრძობა, რასაც, ცხადია, არ უნდა გააჩნდეს მნიშვნელოვანი პერსპექტივა.

Actus reus

განსაკუთრებულ აქცენტირებას მოითხოვს ის გარემოება, რომ *mens rea*-ს მოუცემლობის სამივე ზემომოტანილ შემთხვევაში სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება ე. წ. *actus reus*-ს. მოცემული ტერმინი მკაცრად სპეციფიკური ხასიათისაა და ანალოგიური შინაარსის მომცეველი ცნება რომანულ-გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში საერთოდ არ მოიძებნება. კენისთან განსახილველი ცნება შემდეგგვარად არის წარმოდგენილი: „ბუნებრივია, რომ *actus reus* უნდა იყოს სრულიად ნებისმიერი; მაგალითად, თუ გამყიდველი, რომელმაც გასაყიდად უვარგისი ხორცი გამოიტანა, იმყოფებოდა სომნამბულატორიულ მდგომარეობაში, მიიჩნევა, რომ მას ეს საქონელი გასაყიდად არ გამოუტანია. პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად უნდა დადგინდეს, რომ გამყიდველს შეგნებული ჰქონდა, რომ გასაყიდად გამოჰქონდა ხორცი, ხოლო საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა ან შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო მისთვის ცნობილი ის, რომ ხორცი უვარგისია, საქმისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება. დადგენას ექვემდებარება *mens* ან *animus rea*-ს სავალდებულო დადგენის გარეშე".151 უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმას მოითხოვს ის გარემოება, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ბრალი ტრადიციული გაგებით უარიყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის საფუძვლად წარმოდგენილია *actus reus* ანუ ბრალეული ქმედება. მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, ბრალი, როგორცა ასეთი *actus reus*-ის ცნებაში მოცემულად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა ქმნის ბრალის აქ წარმოდგენილი ცნების შინაარსს? გასაგებია, რომ სუბიექტს განსახილველ ვითარებაში „ბრალად" ერაცხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების უბრალოდ ცნობიერი განხორციელება, რა დროსაც მართლწინააღმდეგობის შეგნებისა თუ მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობის თეორიული მნიშვნელობა აბსოლუტურად იგნორირებული რჩება. საქმე კი ის არის, რომ, სულ მცირე, მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობის გარეშე ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების აგება თეორიულად წარმოუდგენელია. მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობის არარსებობისას სისხლის სამართლის ნორმასა და სუბიექტს, როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატს, შორის ფსიქოლოგიურად არავითარ შეხებას ადგილი არა აქვს. უკეთ რომ ვთქვათ, არ არის მოცემული ნებელობითი საქმიანობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოიყვანებოდა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნასთან მოცემული საქმიანობის ნებელობითობის თვალსაზრისით. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში ბრალის მოცემულობის მტკიცება ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო გარემოებაზე დაფუძნებას ნიშნავს. ამიტომაც ბრალზე *actus reus*-ის ცნების ფარგლებში შესაძლოა ვისაუბროთ მხოლოდ წმინდად ფორმალურად.

თვით ის ფაქტი, რომ *actus reus*-ის ცნების ფარგლებში ბრალზე საუბარი შესაძლოა მხოლოდ წმინდად ფორმალურად, თანამედროვე სისხლის სამართალში აღიარებულ პრინციპთა გადასახედიდან უკვე საკმარისად მეტყველებს *actus reus*-ზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების მიუღებლობას. მაგრამ შევეხოთ *actus reus*-ის ცნებასთან კონკრეტულად სისხლისსამართლებრივი ვალდებულების ცნების მიმართებას. *actus reus*-ის ზემოწარმოდგენილი შინაარსიდან გამომდინარე, მოცემული თვალსაზრისით, სახეზეა ორი შემდეგი დასკვნის შესაძლებლობა: პირველის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი ვალდებულების ცნება არ უნდა მოიცავდეს მართლზომიერად მოქმედების კონკრეტულ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას, მეორეს შესაბამისად კი, ვალდებულების ცნება, მართალია, სრულყოფილად მოიცავს შესაძლებლობის კატეგორიას, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დასაშვებად მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის გარეშეც.

სისხლისსამართლებრივი ვალდებულება მართლზომიერად მოქმედების კონკრეტული ფსიქოლოგიური შესაძლებლობის გარეშე ნიშნავს სისხლის სამართლის როგორც მეცნიერების უარყოფას, რამეთუ ვალდებულების მსგავსი მოდელი მეცნიერულ დასაბუთებას არ ექვემდებარება, რა დროსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის გარეშე ლოგიკურად შეუძლებელია — სუბიექტი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად ისჯებოდეს იმის განხორციელებისათვის (განუხორციელებლობისათვის), რის განხორციელებაც (განუხორციელებლობაც) მას კონკრეტულ ვითარებაში სისხლისსამართლებრივად არ მოეთხოვება (არ ევალება).

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ხაზგასმას მოითხოვს აგრეთვე ის გარემოება, რომ ხსენებული პრინციპი *actus reus*-ის ნებისმიერობის შესახებ სულაც არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. განსახილველ კონტექსტში, ერთი მხრივ, უნდა გამოიყოს ის, რომ ზოგიერთ (გამონაკლის) შემთხვევაში *actus reus*-ზე საუბარი დაიშვებოდა ზიანის შემთხვევით მიყენების დროსაც, ხოლო, მეორე მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზედმეტად ვრცლად განიმარტებოდა თვით ნებისმიერობის შინაარსი, ვინაიდან *actus reus*-ის ნებისმიერობის საკითხი ირკვევოდა არა მხოლოდ საკუთრივ „დამნაშავის" მიერ განხორციელებული ქმედების ფარგლებში, არამედ გადაიტანებოდა აგრეთვე სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქცევაზეც! „ზოგიერთ უახლეს სტატუტში, — მიუთითებს კენი, — შემადგენლობა აიგება იმგვარად, რომ სუბიექტმა შესაძლოა პასუხი აგოს თავისი მსახურის ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილ იქნა არა მხოლოდ მისგან ფარულად, არამედ აგრეთვე მისი პირდაპირი მითითებების საწინააღმდეგოდ. ეს შეეხება ზოგჯერ იმ შემთხვევებსაც, როდესაც შემადგენლობის კონსტიტუციურ ნიშანს განზრახვის რომელიმე განსაკუთრებული სახე შეადგენს".152 კენისთან

მრავლად ვხვდებით მსგავსი პასუხისმგებლობის ამსახველ მაგალითებსაც. ერთ-ერთი მათგანის შესაბამისად, „როდესაც კერძო გასართობი დაწესებულების მფლობელის მსახურები წინასწარი შეცნობით უშვებდნენ მოცემულ დაწესებულებაში მეძავთა ყოფნას დედაქალაქის პოლიციის შესახებ 1839 წლის კანონის დარღვევით, ეს პირველი დასჯილ იქნა თავის დაწესებულებაში წინასწრი შეცნობით მეძავთა ყოფნის დაშვების გამო, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ქმედება განხორციელებულ იქნა მის მსახურთა მიერ მისი პირდაპირი მითითებების საწინააღმდეგოდ".153 მაგრამ რით შეიძლება დასაბუთდეს ინტელექტუალურ და მათთან ერთად ნებელობით მომენტთა თეორიული საზღვრების ამგვარი უპრეცედენტოდ მასშტაბური განვრცობა? მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით კენისთან წარმოდგენილი არგუმენტაცია შემდეგი სახისაა: „ხსენებული წესის მოუცემლობის პირობებში ვერც ერთი გასართობი დაწესებულების მფლობელი ვერ დაისჯებოდა, ის ყოველთვის მიიღებდა სათანადო ზომებს, რათა დაზღვეულიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან".154 ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მივიღოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაფუძნების შემთხვევაში.

რაც შეეხება უშუალოდ ნებისმიერობის საკითხს, უნდა შეინიშნოს, რომ ის ერთმნიშვნელოვნად რეალობისაგან მოწყვეტით განიხილება. ნებისმიერობის ელემენტის სუბიექტური ქცევის ფარგლებს მიღმა გატანა ლოგიკურად დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გაუგებარი ხდება, თუ რის, კონკრეტულად რა მოვლენის ნებისმიერობაზეა საუბარი. უფრო მეტიც, თვით სუბიექტური ქცევის ფარგლებში ნებისმიერობის მომენტი მოისაზრება მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტი ფლობდა სხვაგვარად მოქმედების რეალურ ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობას, რადგან ვერ ვიტყვით, რომ სახეზეა ნებისმიერი (=საკუთარი ნების შესაბამისი) ქმედება, როდესაც სუბიექტი (მოქმედების ვალდებულების არსებობისას) უმოქმედობს თავის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედ ქვეშევრდომთა მიმართ, მაგრამ არ ძალუძს საკუთარი ქცევის (ფსიქოფიზიკურად, ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად) ნორმის შესაბამისად წარმართვა.

ხოლო იმის დანახვა, თუ რაოდენ წინააღმდეგობრივია საკუთრივ კენისთან წარმოდგენილი შემთხვევა ანუ საუბარი ნებისმიერობაზე განსასჯელი პირის კონკრეტულ ქმედებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელი. თუ, ერთი მხრივ, განსაზღვრული ქმედება განხორციელებულია სუბიექტის „პირდაპირი მითითებების საწინააღმდეგოდ", ხოლო, მეორე მხრივ, „ნებისმიერობის ელემენტი მოცემულად მიიჩნევა", მაშინ ეს უკანასკნელი განსახილველ შემთხვევაში სისხლისამართლებრივად უნდა გაიგებოდეს არა როგორც ნების შესაბამისობა, არამედ პირიქით, როგორც ნების საწინააღმდეგობა. მაშასადამე, თუ ვიხელმძღვანელებთ ნებისმიერობის აქ წარმოდგენილი

მოდელით, სისხლისსამართლებრივი ცნებები ერთსა და იმავე დროს შესაძლოა მოიცავდეს ორ ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობას!

აბსოლუტური და ირიბი პასუხისმგებლობა

როგორც ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა, მსგავსი ტენდენციები არც თანამედროვე ანგლო-ამერიკულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაშია ბოლომდე დაძლეული. ამის თვალსაჩინო დასტურს ე. წ. აბსოლუტური ანუ მკაცრი (strict) და ირიბი (vicarious) პასუხისმგებლობა წარმოადგენს.

პირველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მართალია, უკავშირდება სუბიექტის საკუთარ ქმედებას, მაგრამ ეფუძნება არა *mens rea*-ს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ *actus reus*-ს. ამასთანავე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ზოგიერთი ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ინგლისურ სისხლის სამართალში მოცემული ცნების ჩამოყალიბება და რა მიზეზით პოვა მან შემდგომი განვითარება. ასე მაგალითად, თანამედროვე გერმანელი კრიმინალისტი ნ. შმიდი ამის თაობაზე აღნიშნავს: „ანგლოამერიკულ სამართალში მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან სათავეს იღებს პასუხისმგებლობა ბრალის (*mens rea*-ს) გარეშე, ე. წ. აბსოლუტური ანუ მკაცრი პასუხისმგებლობა. ეს უნდა ვიგულისხმოთ როგორც ინდუსტრიული რევოლუციის ნაყოფი იმდენად, რამდენადაც სწორედ მოცემული მოვლენის შედეგად მრავლად შეიქმნა კანონები დასჯადი შემადგენლობებით, რომელთა შესაბამისადაც ადგილი ჰქონდა სუბიექტური ქცევის არა ისეთი სახეების პენალიზირებას, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც *malum in se*, არამედ ისეთი სახეებისა, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული კანონების რეალიზებისათვის აღიჭურვებოდა სასჯელით... ისე, რომ მწვავე მიუღებლობასთან საზოგადოების მხრიდან... არანაირ კავშირში არ მოიყვანებოდა".155)

ამავე დროს, როგორც იგივე ავტორი იქვე მიუთითებს, აშშ-ის სისხლის სამართალში აშკარად შეინიშნება პასუხისმგებლობის მოცემული სახის საბოლოო უარყოფის ტენდეცნია, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე ინგლისურ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაზე, სადაც საუბარია განსახილველი ცნების კიდევ უფრო ინტენსიურ განვითარებაზე. უკანასკნელი პოზიცია კი ძირითადად შემდეგ არგუმენტაციას ემყარება: „მრავალი მსუბუქი სასჯელით დამუქრებადი დანაშაული არ მოითხოვს... ბრალის დადგენას. მოცემული შეხედულება თავის გამართლებას უმთავრესად ეკონომიკური თვალსაზრისით პოვებს: მსგავსი ტრივიალური დანაშაულებრივი ქმედებები არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ აქ ბრალის დასადგენად სისხლისსამართლებრივი დევნისათვის გამოიყოფოდეს საზოგადოებრივი სახსრები და სასამართლო დრო".156 ობიექტური შერაცხვის დაშვება (სასჯელის მცირე ხარისხის მოცემულობისას) იმის გამო, რომ ეს გამართლებულია ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, არამც და არამც არ შეიძლება იყოს მისაღები,

რადგან, ერთი მხრივ, აქ აშკარად მცდარად გაიგება თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებათა თანაფარდობა: არაბრალეულად მოქმედი პირის შეზღუდვა თავის სამართლებრივ უფლებებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად უნდა მიიჩნეოდეს, ვიდრე „საზოგადოებრივი სახსრები და სასამართლო დრო", რომელიც მოცემული პირის მიერ განხორციელებული ქმედების ბრალეულობის დასადგენად შესაძლოა დაიხარჯოს, ხოლო მეორე მხრივ, რაოდენ შეიძლება შეუწყოს ხელი მოქალაქეთა მართლშეგნების განმტკიცებას სისხლის სამართლის ისეთმა სისტემამ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი პირი შესაძლოა დაისაჯოს არა მხოლოდ სუბიექტურად აბსოლუტურად მართვადი, არამედ აგრეთვე სუბიექტურად აბსოლუტურად უმართავი ქმედებისთვისაც?!

ირიბი პასუხისმგებლობის შემთხვევაში სუბიექტი პასუხს აგებს სხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედებისა და ამ ქმედებაში მოცემული *mens rea*-ს გამო. თანამედროვე ანგლოამერიკულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში განსახილველ ცნებასაც მეტად საგულისხმო დოგმატური მნიშვნელობა ენიჭება. ჯ. ჰ. გორდონი, მიმოიხილავს რა შოტლანდიის სისხლის სამართალში აქ წარმოდგენილ ორთავე პრობლემას, შენიშნავს: „*Mens rea*-ს გამორიცხვა წარმოდგენილია ორი სახით — მან შეიძლება მოიცვას აბსოლუტური პასუხისმგებლობა, სადაც A ისჯება მის მიერ *mens rea*-ს გარეშე განხორციელებული ქმედებისათვის, ან ირიბი პასუხისმგებლობა, სადაც A ისჯება უკვე B-ს მიერ განხორციელებული ქმედებისათვის, ვინაიდან A პასუხისმგებელია B-ს ქცევისათვის *qui facit per alium facit per se* პრინციპის საფუძველზე: ირიბი პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ აბსოლუტური პასუხისმგებლობის გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი, მაგრამ შესაძლებელია მივიღოთ ირიბი პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, რომელიც მოითხოვს *mens rea*-ს საკუთრივ აქტუალური დამნაშავის (the actual offender) მხრივ, რა დროსაც B-ს *mens rea* შეერაცხება A-ს".157 როგორც აქედან გარკვევით ჩანს, კენისთვის თანამედროვე ინგლისურ სისხლის სამართალში წარმოდგენილი პოზიცია საკუთარი ქმედების გარეშე ანუ სხვა პირის მიერ განხორციელებული სუბიექტური ქცევის გამო პასუხისმგებლობის შესახებ თანამედროვე ანგლოამერიკულ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაშიც პირდაპირ ასახვას პოვებს. ცხადია, ისევე, როგორც არაბრალეული პასუხისმგებლობის პირველი ზემოწარმოდგენილი შემთხვევა, ეს უკანასკნელიც მხოლოდ წმინდად უტილიტარული არგუმენტებით თუ შეიძლება დასაბუთდეს.

„არაბრალეულობის" პრეზუმფცია

თუ ბეკარიასთან, როგორც ზემოთ ვიხილეთ, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი სრულყოფილ აღიარებას პოვებს, კენისთან და ზოგადად (როგორც თანამედროვე, ისე მე-19-ე საუკუნის) ინგლისურ

სისხლის სამართალში წარმოდგენილი სათანადო პოზიცია აქაც შორს არის მსგავსი სრულყოფილებისაგან. „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელ სუბიექტურ ელემენტთა მოცემულობის დადგენა, — აღნიშნავს კენი, — უფრო ადვილია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შესაძლოა წარმოგვიდგეს, რადგან თუმც ამ ელემენტთა მოცემულობის დადგენის ვალდებულება ბრალმდებელს ეკისრება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კანონი დანაშაულებრივ ქმედებას როგორც ასეთს (დანაშაულებრივ ქმედებაში კენი მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას; ის, რომ მსგავსი რამ თეორიულად არ შეიძლება იყოს მისაღები, სხვა საკითხია — ავტორი) განიხილავს როგორც *mens rea*-ს მოცემულობისთათვის საკმარის *prima facie* მტკიცებულებას. ყოველი სუბიექტი (თუ ის მიღწეულია სათანადო ასაკს და არ არის სულით ავადმყოფი) უნდა ითვალისწინებდეს თავისი ქცევის ბუნებრივ შედეგებს".158 რასაკვირველია, თუ „მართლსაწინააღმდეგო ქმედება როგორც ასეთი განიხილება როგორც *mens rea*-ს მოცემულობისათვის საკმარისი *prima facie* მტკიცებულება", ძნელად თუ მოიძებნება რამე იმაზე ადვილი, ვიდრე დანაშაულის სუბიექტურ ელემენტთა მოცემულობის დადგენა. უფრო ზუსტად კი, სუბიექტური ელემენტები აქ არც არავითარ დადგენას არ საჭიროებენ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი ხდება სახელმწიფო ბრალდების დანიშნულება. აქ წარმოდგენილი ლოგიკის მიხედვით სუბიექტი თავად უნდა ამტკიცებდეს თავის არაბრალეულობას. და მართლაც, კენისთან მრავლად მოიძებნება ამის დამადასტურებელი მაგალითი. ასე მაგალითად, მიმოიხილავს რა გაზეთის მფლობელის სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოცემულ გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გამო, კენი აღნიშნავს: „ამჟამად... პასკვილის შესახებ 1843 წლის კანონის შესაბამისად, მას შეუძლია ამტკიცოს, რომ პასკვილი გამოქვეყნდა მისი ნებართვის გარეშე და რომ, ამასთან, მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სათანადო მზრუნველობის გამოუვლენლობას".159 მოცემული მაგალითის მიხედვით, აშკარაა, რომ სუბიექტი თავად უნდა ამტკიცებდეს თავის არაბრალეულობას არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი, არამედ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში.

იქვე ვხვდებით განსახილველი პოზიციის ამსახველ კიდევ უფრო ნათელ მაგალითს: „...გაყიდვა ან გასაყიდად გამოტანა საკვებისა, რომელიც შეიცავს მავნე მინარევებს, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას, თუ ბრალდებული არ დაამტკიცებს, რომ არ იცოდა და არც შეეძლო საშუალო მზრუნველობის ფარგლებში გაეთვალისწინებია, რომ საკვები შეიცავდა მსგავს მინარევს. ამგვარ შემთხვევებში ბრალდების ამოცანა შემოიფარგლება იმის დამტკიცებით, რომ ჩადენილ იქნა კანონით აკრძალული მოქმედება, რის შემდგომაც ბრალდებულმა უნდა გამოიყენოს დაცვის მისთვის კანონით გათვალისწინებული ხერხი".160 მაშასადამე, სახელმწიფო ბრალდების ამოცანა აქ მდგომარეობს მხოლოდ

იმის დადგენაში, რომ სუბიექტმა განახორციელა ობიექტურად საზიანო ანუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მექანიკურად მოსდევს სისხლისსაამრთლებრივი პასუხისმგებლობა, თუ პირი თავად არ დაამტკიცებს თავის არაბრალეულობას! ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ყოველთვის ვერ ახერხებენ ფაქტობრივად ბრალეული სუბიექტის ბრალის დასაბუთებას, ფაქტობრივად არაბრალეულმა პირმაც შესაძლოა ყოველთვის ვერ დაასაბუთოს თავისი არაბრალეულობა.

პირველ შემთხვევაში (ანუ როდესაც მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი) სუბიექტი, რომელმაც ფაქტობრივად ჩაიდინა დანაშაული, დაუსჯელი რჩება, რა დროსაც მეორე შემთხვევაში (ანუ როდესაც მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი) სუბიექტი ისჯება სისხლისსამართლებრივად, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არ განუხორციელებია ბრალეული ანუ დანაშაულებრივი ქმედება. ამიტომაც ყოველთვის, როდესაც აღიარებას პოვებს ბრალეულობის და არა არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, არაბრალეული სუბიექტის დასჯა უპირატესად აქცეპტაბელურად მიიჩნევა, ვიდრე (სავარაუდოდ) ბრალეული პირის დაუსჯელობა.

რა თქმა უნდა, ეკონომიკური თვალსაზრისით, სისხლის სამართლის პროცესში ბრალეულობის პრეზუმფციის დაშვება ისევე გამართლებულია, როგორც ზემოგანხილული პირდაპირი ანუ აბსოლუტური პასუხისმგებლობის დაშვება სისხლის სამართალში. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ სამართალწარმოებისთვის გამოყოფილი „საზოგადოებრივი სახსრები" უნდა გამოიყენებოდეს მოქალაქეთა ანუ ამ „საზოგადოებრივი სახსრების" მესაკუთრეთა ნების არა საწინააღმდეგოდ, არამედ მკაცრად შესაბამისად. და მართლაც, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი სუბიექტი, რომლისთვისაც სისხლის სამართლის პროცესში ბრალეულობის პრეზუმფციის დაშვება შეიძლებოდა ყოფილიყო მისაღები, რადგან ასეთ შემთხვევაში საკუთარი ნების მართლზომიერად წარმართვა არ ქმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის დაზღვევის აბსოლუტურ გარანტიას.

არაბრალეულობის პრეზუმფციასთან მიმართებაში ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ კენისთან წარმოდგენილ სათანადო შეხედულებას აქტიურად განავითარებდნენ აგრეთვე მისთვის თანამედროვე სხვა კრიმინალისტებიც. ამის ნათელი მაგალითია. ა. ჰუპერის შემდეგი მოსაზრება: „თუ A ესვრის B-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან იარდის მანძილიდან და კლავს მას, დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ A ითვალისწინებდა B-ს სიკვდილს როგორც თავისი ქმედების შედეგს. ამდენად, თუ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო დაადგენს გასროლის ფაქტს აღნიშნულ პირობებში, ***mens rea*** მოცემულად უნდა ვივარაუდოთ და თუ არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება (ბრალდებულის მხრიდან ან სხვაგვარად), ბრალდებული შესაძლოა გასამართლდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

ფაქტებს მიმატებული ვარაუდი საკმარისია ბრალდებულის გასასამართლებლად".161 ამრიგად, კენისთვის თანამედროვე ეს ზემოციტირებული კრიმინალისტიც არსებითად იმავე თვალთახედვას ავითარებს. აქაც, როგორც გარკვევით ჩანს, სახელმწიფო ბრალდების ამოცანა დანაშაულის ობიექტური მხარის დადგენით შემოიფარგლება.

ის, რომ ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში შესაძლო გახდა ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის დამკვიდრება, ჩვენი აზრით, პირდაპირ უკავშირდება ინგლისელ კრიმინალისტთა მიერ ბრალის ჭეშმარიტი თეორიული მნიშვნელობის მცდარ განსაზღვრას. უკეთ რომ ვთქვათ, არაფერია გასაოცარი იმაში, რომ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი მაშინ, როდესაც დასაშვებად მიიჩნევა არაბრალეული პასუხისმგებლობა.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბრალის ცნება კენის მოძღვრებაში და ზოგადად ინგლისურ სისხლის სამართალში პრინციპულად სხვაგვარი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე ამას ბეკარიასა თუ ფოიერბახის შემოქმედებაში ჰქონდა ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში აშკარად იგრძნობა კონტინენტური სისხლისსამართლებრივი დოქტრინის ზეგავლენა (განსახილველ შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ ფუძემდებლური ნორმატივისტული დებულებების აღიარება), მაგრამ იმავდროულად ანგლოამერიკული სის-ხლისსამართლებრივი დოგმატიკა და მოცემულ დოგმატიკაში წარმოდგენილი ბრალის ცნება კვლავაც განაგრძობს განვითარებას მკვეთრად სპეციფიკური მიმართულებით.

§5. სისხლის სამართლის ფილოსოფია

კანტი

ბრალის ცნება სისხლის სამართლის ფილოსოფიაში ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას და ამას გარკვევით მოწმობს არაერთი გამოჩენილი მეცნიერის შემოქმედებაც. ჩვენ წინამდებარე ქვეთავში მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილავთ კანტის, ჰეგელისა და რიკერტის შეხედულებებს, ასევე ზოგადად შევეხებით ე. ვოლფის შესაბამის კონცეფციასაც, რომელსაც ის რიკერტის ღირებულებათა ფილოსოფიისა და კანტის შემეცნების თეორიის ნიადაგზე აყალიბებს.

კანტი თვლის, რომ ჩვენი ცნებები კი არ უნდა იყოს ორიენტირებული ნივთებსა და მოვლენებზე, არამედ პირიქით, ნივთები და მოვლენები — ჩვენს ცნებებზე. შესაბამისად, ნება და ნების თავისუფლება მხოლოდ იმდენადაა საინტერესო ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენადაც ის ამ პრობლემას უკავშირდება, რამდენადაც მოცემული გვაქვს მათი დიფუზიის გარკვეული ხარისხი. ყველა კრიმინალისტი, ვინც ბრალის

პრობლემას ნების თავისუფლების პრობლემას უქვემდებარებს, აშკარად არასწორად აღიქვამს კანტის ამ თვალთახედვას. კანტის შეხედულებებზე ნების თავისუფლების თეორიის აგება და დანაშაულის მოძღვრებაში მისი შემდგომი ინტერვენირება უშუალო მიზეზია იმისა, რომ დღესაც მცდარად არის წარმოდგენილი ბრალისა და ნების თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. თუ ვიხელმძღვანელებთ ტრადიციულ დოგმატიკაში მიღებული ლოგიკით, აღმოჩნდება, რომ ბრალის პრობლემის გადაჭრა სისხლის სამართალში შეუძლებელია ფილოსოფიაში ნების თავისუფლების პრობლემის გადაუჭრელად! ამიტომაც საკითხის იმგვარად დაყენება, როგორც ამას თანამედროვე სისხლის სამართალში აქვს ადგილი, არ შეიძლება იყოს გამართლებული, ვინაიდან დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის მიმდინარე დავის დაუსრულებლობა საერთოდ დაუშვებელს შექმნიდა ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების არსებობას, საიდანაც გამომდინარე დასკვნებს ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ.

ეხება რა სუბიექტური ნების პრობლემას, კანტი ინდივიდში გამოყოფს გრძნობას და აზროვნების უნარს ანუ გონებას (sensible und intelligible Welt).162 მაშინ როცა ნება ორივე მათგანის მომცველია, სურვილი პირველის საზღვრებს არ სცილდება, რის შესაბამისადაც ნება მოიცავს სურვილს, მაგრამ ამით ის არ ამოიწურება. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ნებისა და სურვილის ცნებათა აქ წარმოდგენილი ურთიერთობა სისხლისსამართლებრივად სრულყოფილია, მაგრამ თვით ფაქტს, კანტის მიერ ნებისა და სურვილის ურთიერთგამიჯვნისა, უნდა მოეხდინა ბრალის შინაარსზე უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა, რაც დღემდე არ შეიმჩნევა. სისხლისსამართლებრივი ბრალის თანამედროვე კონცეფციათა თვალსაწიერიდან ყოვლად წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება ქმედება ერთდროულად იყოს ნების შესაბამისი და სურვილის საწინააღმდეგო. ამ საკითხის დიდმნიშვნელოვნობა თვალსაჩინოდ აისახება განზრახვაშიც და გაუფრთხილებლობაშიც. ბრალის ნორმატივისტული თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გაუფრთხილებლობა სისხილისსამართლებრივი ბრალის არაძირითადი, პირობითი (!) ფორმაა, რადგან მასში, მათივე მტკიცებით, „არ არის გამოვლენილი სუბიექტური ნება“.163 სინამდვილეში კი საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ გაუფრთხილებლობითი ქმედების დროს სუბიექტს კატეგორიულად *არ სურდა,* მაგრამ *ენება* საზოგადოებრივად საშიში შედეგი (ისევე, როგორც ევენტუალური განზრახვის დროს, სადაც პირს, მართალია, არა კატეგორიულად, მაგრამ მაინც არ სურდა საზიანო შედეგი). კონკრეტულად კი, თუ პირდაპირი განზრახვის დროს სუბიექტური ნება მდგომარეობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის სურვილში, დანარჩენ შემთხვევებში ის ვლინდება, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო შედეგის შეგნებულ დაშვებაში (ირიბი განზრახვა), ქარაფშუტული ვარაუდით ხელმძღვანელობაში (თვითიმედოვნება) და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობის გამოუყენებლობაში (დაუდევრობა).

მაშასადამე, ბრალის ბოლო სამივე ქვესახეში სუბიექტის ქმედება, ეწინააღმდეგება რა მის სურვილს, სავსებით შეესაბამება მისსავე ნებას. მოცემული პოზიცია, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განსხვავდება კანტის ზემოწარმოდგენილი თვალთახედვისაგანაც, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში შეუძლებელია უარვყოთ ის ფორმალური მსგავსება, რომელიც ნებისა და სურვილის ცნებათა ურთიერთგამიჯნულობაში გამოიხატება. ეს კი, ე. ი. კანტის მიერ ნებისა და სურვილის ცნებათა იდენტურების უარყოფა, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელოდ ვერ მიიჩნევა.

დიდ ყურადღებას იმსახურებს კანტის მიერ წარმოებული კვლევა ზნეობისა და სამართლის ურთიერთობის თვალსაზრისით. მისი მტკიცებიდან საბოლოოდ ცხადიყოფა, თუ რაში მდგომარეობს ზნეობრივი და სისხლისსამართლებრივი ბრალის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი. სისხლისსამართლებრივად დადგენილ ან სანქციონირებულ ქცევის ყოველ წესს შედეგად მოსდევს წახალისების ან სასჯელის გარკვეული სახე, რაც ინდივიდზე ზემოქმედებს მიმზიდველად ან პრევენციულად. გარეგანი ზეგავლენის ფაქტორი, თავის მხრივ, სავსებით აცლის ქმედებას ყოველგვარ მორალურ ხასიათს, რადგან, კანტის მიხედვით, პოზიტიური ზნეობრივი ნება მხოლოდ იმიტომ არის პოზიტიური, რომ სუბიექტს ის სურს როგორც ასეთი, რომ სუბიექტი ესწრაფვის მას შინაგანად და არა ნორმით დადგენილი სასჯელისა თუ წახალისების გამო. ამდენად, სამართლებრივად პოზიტიური და ზნეობრივად პოზიტიური ნება პრინციპულად სხვადასხვა ცნებებია. იმისათვის, რომ გაირკვეს სისხლისსამართლებრივი ბრალის არსებობა, სრულიად კმარა იმის დადგენაც, თუ რა სახისაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ნება, მიუხედავად იმისა, თუ რაგვარი ფსიქიკური პროცესები უძღოდა წინ მის ჩამოყალიბებას. ხოლო ზნეობრივი ბრალი მოიძიება არა სუბიექტურ ნებაში, არამედ სწორედ მის წარმომშობ ფსიქიკურ განცდებში. აქედან კანტი პირდაპირ არ დაასკვნის, მაგრამ მარტივად მისახვდომია, რომ მისთვის მორალური ბრალი განასახიერებს საკუთარი ნებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, სისხლისსამართლებრივი ბრალი კი მოიცავს ამ დამოკიდებულების მიღმა მდებარე სუბიექტურ ნებასა და მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. აღსანიშნავია, რომ კანტს მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში აქვს არა ინდივიდუალური ან სოციალური ეთიკა ცალკე აღებული, არამედ ეთიკა ზოგადად. ეს თვალთახედვა ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიღებული მოსაზრებისაგან, რომლის თანახმადაც ბრალის საფუძველს სისხლის სამართალშიც და ზნეობაშიც წარმოადგენს სუბიექტური ნება — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველთან მიმართებაში ეს ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში გამოვლენილი ნებაა.164

როგორც ვხედავთ, კანტის პოსტულატები მნიშვნელოვნად უკავშირდება ბრალის იდეის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ მის ფილოსოფიაში სისხლისსამართლებრივი ბრალი არასოდეს ყოფილა განსაკუთრებუ-

ლი კვლევის საგანი. იგივე ითქმის სისხლის სამართლის მთელ რიგ სხვა ცნებებზეც: სასჯელზე, პასუხისმგებლობაზე, სუბიექტზე165 და ა. შ.

ჰეგელი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სამართლის ფილოსოფია და მასთან ერთად სისხლისსამართლებრივი სწავლება ბრალზე ჰეგელის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ მოექცა. ეს ბრალის, როგორც სისხლის სამართლის ცნების, განვითარების მომდევნო, დიდად პროგრესული ეტაპია.

თავის „გონის ფილოსოფიაში“ ჰეგელი წერს: „რამდენადაც აქტი უშუალოდ აქარსს ეხება, მასში ჩემი აქარსობა იმ ზომითაა ფორმალური, რა ზომითაც გარეგანი აქარსი თავისთავადია სუბიექტის მიმართ. ამ მისმა გარეგანმა ვითარებამ შეიძლება მიმართულება უცვალოს სუბიექტის აქტს და იგი სხვად გამოაჩინოს, ვიდრე ისაა, რადაც მას სუბიექტი გულისხმობდა. თუმცა ყოველი ცვლილება, როგორც ასეთი, რაც კი სუბიექტში მოქმედების შედეგად ხდება, მისი ქმნილია, სუბიექტი მაინც ყველა ამ ცვლილებას ვერ აღიარებს თავის აქტად, არამედ თავის მიერ ქმნილში მხოლოდ იმას სცნობს თავისად — *თავის ბრალად* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი), — რაც მის ცოდნასა და ნებაში იყო წინდაწინვე მოცემული, რაც მისი განზრახვა იყო.“166 გარეგანი აქარსის თავისთავადობა ანუ დამოუკიდებლობა სუბიექტის მიმართ ნიშნავს, რომ ქმედება (აქტი), როგორც ნების გარეგანი გამოვლინება, მუდამ ამ ნებას არ ემთხვევა. ქმედებაში გარეგანი აქარსის დომინირება სუბიექტურ ნებაზე შესაძლოა გამოვლინდეს იმგვარადაც, როდესაც ეს ორი მხარე უკიდურესად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, ე. ი. როდესაც „დანაშაული ჩადენილია კეთილი ზრახვით“. ამის თანახმად, ჰეგელი თვლის, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაეფუძნოს არა ქმედებას ერთიანად, ვინაიდან ის, როგორც ვიხილეთ, შეიძლება იყოს უბრალო ობიექტური მიზეზობრიობის შედეგი, არამედ ქმედებას იმდენად და იმ ნაწილში, რამდენადაც და რა ნაწილშიც ის სუბიექტურ ნებას განასხეულებს. რათა ვიყოთ ლოგიკურად ბოლომდე თანამიმდევრულნი, ნებას ცოდნაც უნდა დავძინოთ, რადგანაც ჰეგელი ვოლუნტატურობას და ინტელექტუალურობას სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კატეგორიებად განიხილავს, მისთვის ნება ცოდნას არ მოიცავს. ამის ნიადაგზე ჩამოყალიბებულ ჰეგელისეულ ბრალს ბრმა კაუზალობის სრულ ნეიტრალიზებამდე მივყავართ პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან დამოკიდებულებაში, ანუ დანაშაულის სუბიექტური მხარე ჰეგელთან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არა უბრალოდ აუცილებელი, არამედ ერთადერთი, ამომწურავი წინაპირობაა. სხვაგვარი დასკვნის გამოტანა ზემოხსენებული ნააზრევიდან შეუძლებელია.

ამის ლოგიკური გაგრძელებაა თ. წერეთლის მიერ მოტანილი ჰეგელის შემდეგი მოსაზრება: „ჰეგელის აზრით, დასჯადი უმართლობა წარმოადგენს ცალკეული ნების შეგნებულ დაპირისპირებას საერთო ნებისადმი.

აქედან გამომდინარეობდა, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც განზრახ მოქმედებდა, რადგან მხოლოდ განზრახვის დროს არსებობს შეგნებული ნებელობითი დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო შედეგთან".167

მაგრამ ასეთ შემთხვევაში რარიგად შეიძლება განიმარტოს ჰეგელის შემდეგი სიტყვები: „ცხადია, ეს ჩემი საკუთარი ქმედება არ არის, როდესაც საგნები, რომელთა მესაკუთრეც ვარ მე, და რომლებიც, როგორც გარეგანნი, ნაირფეროვან ურთიერთკავშირში იმყოფებიან და მოქმედებენ (ანაც მე თავადვე, როგორც მექანიკური ან ცოცხალი სხეული), იწვევენ სხვათა მიმართ გარკვეულ ზიანს, მაგრამ ეს მეტად თუ ნაკლებად მაინც უნდა შეადგენდეს ჩემთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის საფუძველს, რამეთუ ეს ნივთები ჩემი საკუთრებაა და ისინი, მათი ამ კუთვნილებითი ნატურიდან გამომდინარე, ჩემს მფარველობას, ყურადღებას და ა. შ. არიან დაქვემდებარებული".168 სამართლისთვის ზოგადად უცხო არ არის შემთხვევები, რომელთა დროსაც არაბრალეულ ქმედებას პასუხისმგებლობის გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, მომეტებული საშიშროების წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მაგრამ აქ უპირობოდ იგულისხმება თვით სუბიექტის უშუალო მონაწილეობა. ზიანს აყენებს არა მომეტებული საშიშროების წყარო, არამედ სუბიექტი მომეტებული საშიშროების წყაროს საშუალებით და ზიანი განიხილება არა როგორც მატერიალურ-ობიექტური, არამედ როგორც სუბიექტურ-იდეური კატეგორია. ამიტომ არც ინდივიდი შეიძლება წარმოვიდგინოთ (პასუხისმგებლობის თვალსაზრისით) მხოლოდ მექანიკური ან ცოცხალი სხეულის სახით. ამასთანავე, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგჯერ მართლაც წარმოდგენილია სუბიექტური ქცევის მოუცემლადაც. სხვა მხრივ, კონკრეტულად სისხლის სამართალშიც მრავლად მოგვეპოვება ისეთი შემთხვევები, როცა მართლსაწინააღმდეგო შედეგი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოწვეულია საგნის სპონტანური მოძრაობით და არა ინდივიდის უშუალო ქმედებით. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კერძო სახლის მოძველებული სახურავიდან ნაწილების თვითჩამომსხვრევა, რასაც შედეგად გამვლელთა დაზიანება მოჰყვა. მაგრამ აქ უდავოდ მოცემული გვაქვს მესაკუთრის ქმედება, რომელიც დანაშაულებრივ უმოქმედობაშია გამოხატული, ე. ი. საქმე გვაქვს ნების მოცემულობასთან.და ეს უკანასკნელი მომენტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა, რის გამოც ჰეგელის ზემოხსენებული მოსაზრება ძნელად თუ მოიყვანება შესაბამისობაში საკუთრივ სისხლისსამართლებრივ ხედვასთან.

საგულისხმოა ჰეგელის შემდეგი თვალსაზრისიც: „აქტს 1) თავისი ემპირიულ-კონკრეტული შინაარსის მიხედვით, კერძო მხარეთა და კავშირთა მრავალსახა სიმრავლე აქვს; ფორმის მხრივ, სუბიექტმა უსათუოდ წინასწარ იცის ეს აქტი და სურს იგი (ეს აქტი) მისი არსებითი, ამ ერთეულ მახასიათებელთა თავისთავში მომცველი განსაზღვრულობების მიხედვით. ესაა ჩანაფიქრის უფლება. განზრახვა მხოლოდ უშუალო აქარსს ეხება, ჩა-

ნაფიქრი კი მის (აქარსის) სუბიექტურ მხარესა და მიზანს. 2) სუბიექტს იმის უფლებაც აქვს, რომ შინაარსის კერძო გარკვეულობა მის აქტში მისთვის გარეგანი კი არ იყოს თავისი მატერიით, არამედ თვით სუბიექტის საკუთარ კერძო გარკვეულობასაც მოიცავდეს — მის მოთხოვნილებებს, ინტერესებს და მიზნებს...“169 ეს უთუოდ გვაგონებს კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მიერ (ბინდინგი, ბირკმაიერი და სხვ.) წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ სუბიექტს საზოგადოებრივად საშიში შედეგი ყველა შემთხვევაში სურს, მაშინაც კი, როდესაც ის ამ შედეგისადმი დაუდევრად არის დამოკიდებული. მაგრამ, მათგან განსხვავებით, ჰეგელი ასეთ კონდიციას მხოლოდ ჩანაფიქრის, როგორც აქარსის სუბსტანციური მხარის, სტადიით შემოსაზღვრავს და დაუყოვნებლივ უპირისპირებს ამ „განყენებულად“ გაგებულ სურვილს სურვილის რეალურ შინაარსს, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, მიზნებს, მოტივებს. რადგანაც სუბიექტის აქტში შინაარსის კერძო გარკვეულობა მისთვის გარეგანი არ არის თავისი მატერიით და მის საკუთარ კერძო გარკვეულობაზეც მიგვანიშნებს, შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტს თავისი აქტი მართლაც სურს მთლიანობაში, მაგრამ მისი სურვილის ობიექტია მთლიანი აქტი როგორც საკუთარი კერძო გარკვეულობის ანუ მოთხოვნილებების, მიზნების გამოხატულება და არა აქტი როგორც „თავისთავადდა-თავისთვის-მყოფი“. სუბიექტური აქტისადმი ჰეგელის მსგავსი მიდგომა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალშიც პოვებს თავის გამოძახილს, კერძოდ, ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ „დანაშაული არის მხოლოდ ხერხი (საშუალება) ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელებისა და არა საკუთრივ ქცევა“.170

მიუხედავად ჰეგელის შეხედულებათა, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, გარკვეული წინააღმდეგობრიობისა, მას შემოაქვს არაერთი ახალი ცნება, რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერება დღემდე ურყევად ეყრდნობა. „ეს ცნებებია ნებელობითი ბრალი (Willensschuld), სუბიექტური ნება, გარეგანი აქარსი, გარემოების პირობა, საფუძველი და მიზეზი, წარმოდგენა, მიზანი, შემთხვევითი და აუცილებელი შედეგები...“171 უმთავრესი მათგან ნებისა და ბრალის ჰეგელისეული კონსტრუქციაა, ურომლისოდაც თანამედროვე სისხლისსამართლებრივი ბრალი უკვე ძნელად წარმოსადგენია.

ღირებულებათა ფილოსოფია

ბრალის ცნება მნიშვნელოვნად განვითარდა ღირებულებათა (ფასეულობათა) მოძღვრების ზეგავლენის შედეგადაც. ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ბრალთან დაკავშირება თავდაპირველად გერმანელი მეცნიერის რიკერტის მცდელობა იყო. რიკერტი უარყოფს ნორმატიული ეთიკის აბსოლუტურობას, რადგან მიიჩნევს, რომ ქცევის გარკვეული წესის სავალდებულოდ დეკლარირება სულაც არ ამკვიდრებს მის აბსოლუტურ ხასიათს. ასეთად ის აღიარებს თავად ინდივიდუალურ წარმოდგენაში ჩამოყა-

ლიბებულ ნორმათა სისტემას, რომლებიც ობიექტურ ერთეულს წარმოადგენენ და ინდივიდის წარმოდგენაშივე უნდა განხორციელდნენ. ჩვენი აზრით, ამ მტკიცების საფუძველზე ბრალის მართებული აღქმა ვერ მიიღწევა. და ეს მიზეზთა მთელი რიგის გამო.

უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალურ წარმოდგენაში ჩამოყალიბებული ესა თუ ის ღირებულება უკვე იმიტომ ვერ იქნება აბსოლუტური, რომ ის ღირებულებაა და ამით სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს.

მეორეც, აბსოლუტურობა არ შეიძლება გავიგოთ ლინეარულად, ცალსახად. ამიტომაც საკმარისი არ არის კონკრეტული ინდივიდის წარმოდგენაში კონკრეტული ღირებულების შედარებითი მდგრადობა, ამას თან უნდა ახლდეს ინდივიდთაშორის ღირებულებათა თანხვედრაც, რომელიც, თავის მხრივ, სტატიკური, არადინამიკური ხასიათისა იქნებოდა.

დაბოლოს, სუბიექტურ ღირებულებათა აბსოლუტირება, მათი არსებული სინამდვილისაგან, სოციალური გარემოსაგან მოწყვეტა სისხლისსამართლებრივი ბრალის, მისი იდეის პირდაპირი უარყოფაც არის: ბრალის ცნებაში სავსებით შესაძლებელია ინდივიდუალური თუ მეტაინდივიდუალური მომენტის გამოყოფა, მაგრამ რომელიმე მათგანის სრული გამორიცხვა არ დაიშვება (ამ შემთხვევაში ნორმატიული ანუ გარეგანი მხარისა).

„სასამართლო ბრალი“

რიკერტის ღირებულებათა ფილოსოფიისა და კანტის შემეცნების თეორიის ნიადაგზე ე. ვოლფი აყალიბებს ბრალის საკმაოდ ორიგინალურ თეორიას. სისხლისსამართლებრივი ბრალის ცნება, ე. ვოლფის მიხედვით, ორგვარია: ბრალი როგორც მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა (richterliches Werturteil) და ბრალი როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ცნება.172

„სასამართლო ბრალი“ წარმოდგენილია მოსამართლის როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ გამოხატული შეფასება, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური ვალდებულების კონკრეტულ შეუსრულებლობას.

ხოლო ბრალის მეორე სახე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ეთიკურ გასაკიცხობას.

რაში მდგომარეობს განსხვავება? „სასამართლო ბრალი“ დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალურ-პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და არა სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებში არსებული შეფასებაა. თუ სისხლის სამართლის მეცნიერებას ძირითადი აქცენტი ქმედების ეთიკურ გასაკიცხობაზე გადააქვს, სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევა, ე. ი. აქ გამოკვეთილია არა ეთიკური, არამედ სამართლებრივ-ნორმატიული გასაკიცხობა.

ე. ვოლფი არ იზიარებს მეიერისა და გრაფ ცუ დონას მტკიცებებს იმის თაობაზე, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი ხასიათია,

როგორც ინდივიდუალურობის ცენტრალური კომპონენტი. ის მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის ანუ ბრალეულობისა და დასჯადობის არსებობა სრულიადაა დამოკიდებული ნების თავისუფლების ცნობასა თუ უარყოფაზე. ამასთან ერთად ე. ვოლფი აღნიშნავს: „ყველასათვის ცხადია, რომ ნების თავისუფლების პრობლემა იურიდიული ხერხებით ვერ გადაწყდება. მაგრამ ჩვენ უკვე იმასაც ვუწყით, რომ მეთოდოლოგიურად იურისპრუდენციის ფარგლებში მას არც შეუძლია თავი იჩინოს. ემპირიულ-ფსიქოლოგიური ნება ყოველთვის დეტერმინირებულია, მაგრამ მხოლოდ როგორც განზრახვის განმხორციელებელი. ამ განზრახვის შეფასებას, გასაკიცხობის დადგენას კი ოდნავაც არ ეხება ნებელობითი აქტის მიზეზობრივი განპირობებულობა, რის გამოც სისტემატიკური (?! — ავტორი) სიმცდარეა ნების თავისუფლებაში ბრალის თეორიული პრობლემის დანახვა“.173 ე. ა. ვოლფი ამით ნაწილობრივ დეტერმინიზმს აღიარებს და თავის ზემოხსენებულ ინდეტერმინისტულ პოზიციას აშკარად ეწინააღმდეგება. მაგრამ სწორედ მისი ეს უკანასკნელი შეხედულება გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს.

თუმც სავსებით უნდა დავეთანხმოთ ვოლფს იმაში, რომ ის, რასაც ფილოსოფიაში ნების თავისუფლება ეწოდება, არ შეიძლება მადეფინირებლად ზემოქმედებდეს ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების შინაარსზე, მისი მტკიცების მეორე ნახევარში ნაკლებად იგრძნობა მსგავსი კონსეკვენტურობა. შეცდომა კი მდგომარეობს იმის გაუთვალისწინებლობაში, რომ ნების თავისუფლების ფილოსოფიური ცნების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის უარყოფა არ ნიშნავს იმას, რომ ნების თავისუფლება ნებისმიერ თავის გამოვლინებაში სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელოა. განა შეიძლება სუბიექტი დაისაჯოს იმის გაურკვევლად, შეზღუდულია თუ არა მისი ნება განსაკუთრებული შინაგანი ან გარეგანი ფაქტორებით და თუ შეზღუდულია — რამდენად? ცხადია, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სულით ავადმყოფსაც და იძულებით მოქმედ პირსაც, მიუხედავად იმისა, დაუძლეველი იყო ეს იძულება თუ არა. მაგრამ როდესაც საუბარია სუბიექტური ნების შეზღუდულობისა და ამ შეზღუდულობის ხარისხის სისხლისსამართლებრივ რელევანტურობაზე, გასაგებია, რომ ვერც ნების თავისუფლებისა და ნების თავისუფლების ხარისხის, როგორც ამ პირველ ცნებათა უკუპროპორციული ცნებების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, უარიყოფა.

აქედან გამომდინარე, თვალნათლივ იკვეთება *ნების თავისუფ-ლების სისხლისსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბების აუცილებლობა*. ანალოგიის სახით შესაძლებელია მოვიტანოთ მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიურ და სისხლისსამართლებრივ ცნებათა ურთიერთობა. ფილოსოფიური თვალსაზრისით, დაზარალებულის გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან მიზეზობრივ კავშირში იმყოფება არა მხოლოდ თვით მძღოლი, რომელიც მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას, არამედ

გამყიდველიც, რომელმაც ეს ავტომანქანა გაყიდა, საავტომობილო ქარხნის პერსონალიც, რომელმაც მოცემული სატრანსპორტო საშუალება დაამზადა და ა. შ., მაშინ როდესაც მიზეზობრივი კავშირის სისხლისსამართლებრივი ცნება ამ უკანასკნელთა ქმედებებს არ მოიცავს. როგორც აქედან ჩანს, მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიური ცნება სისხლისსამართლებრივად გამოუსადეგარია, მაგრამ თუ ამის შედეგად მივიჩნევთ, რომ მიზეზობრივი კავშირი სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო ცნებაა, მივიღებთ, რომ ზემომოტანილ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივად სულ ერთია, დაზარალებულის სიკვდილი შეჯახებამდე სხვა დამოუკიდებელი მიზეზის გამო თუ შეჯახების შედეგად დადგა. სწორედ ამიტომ არის, რომ სისხლის სამართალი, არ ცნობს რა მიზე-ზობრივ კავშირს ფილოსოფიური გაგებით, აყალიბებს მიზეზობრივი კავშირის საკუთარ ცნებას. და რადგანაც ნების თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაშიც ზედმიწევნით იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, უდავოდ უნდა ვაღიაროთ ნების თავისუფლების სისხლისსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბების საჭიროება, რისგანაც სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორსაა.

იმავე ფილოსოფიური მიმდინარეობის ზოგი სხვა წარმომადგენელი თვლის, რომ ღირებულებას პიროვნებისათვის შეადგენს ყველაფერი ის, რაც მის მისწრაფებებსა და ინტერესებს შეესაბამება, ხოლო უკუღირებულებას (Unwert) — ყოველივე ის, რაც ამ მისწრაფებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოა.174 მაგრამ თუ, ერთი მხრივ, თავისუფალი არჩევანის ორიენტირად გამოცხადებულია ინდივიდუალური ღირებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალურ ღირებულებას სუბიექტური მისწრაფებებისა და ინტერესების მექანიკურ კოლექციად წარმოვიდგენთ, იძულებული გავხდებით დავასკვნათ, რომ თავისუფალი არჩევანის საბოლოო კრიტერიუმი სწორედ ინდივიდის ინტერესები და მისწრაფებებია. ეს თავისდათავად აქარწყლებს თავისუფლების მომენტს და, საერთოდ, „თავისუფალი არჩევანი“ არ შეიძლება მივიჩნიოთ მარჯვე ტერმინად, ვინაიდან არჩევანში უკვე მოცემულია თავისუფლებაც. როდესაც სუბიექტს აიძულებენ იმოქმედოს მრავალი შესაძლებლობიდან რომელიმე კონკრეტულის შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ სუბიექტმა ეს შესაძლებლობა შეარჩია: ირჩევს ის, ვინც აიძულებს, და არა ის, ვისაც აიძულებენ.

ბრალის სოციოლოგიური მოძღვრება

ღირებულებათა თეორიის მიერ ინდივიდუალური ღირებულებისათვის სოციალური ეთიკის მიმართ გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება სხვა მრავალ წინააღმდეგობასაც მოასწავებს. მიუხედავად ამისა, მოცემულმა სწავლებამ ბევრად უფრო დადებითად ზეიმოქმედა ბრალის ცნების სრულყოფაზე, ვიდრე ჰოლდ ფონ ფერნეკის მიერ შემუშავებულმა ბრალის სოციოლოგიურმა მოძღვრებამ, რომელიც სავსებით საპირისპირო პრინციპებზეა დამყარებული. ინდივიდუალური ეთიკა აქ, განსხვავებით ღირე-

ბულებათა ფილოსოფიისაგან, სრულიად იგნორირებულია და ბრალის ცნება ეფუძნება არა ნორმატიულ შეფასებას, არამედ ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ შემეცნებას. სოციოლოგიურ მოძღვრებას აინტერესებს მხოლოდ არსი. ჯერარსობა და აქედან მიღებული ბრალი, როგორც ვალდებულების დარღვევა, არამცთუ უაქცენტოდ, გაკვრითაც არსად მოიხსენიება. დარღვეული სამართლებრივი სიკეთე და სამართლებრივი სიკეთისადმი სუბიექტური ქმედების მიზეზობრივ-შედეგობრივი მიმართება — ეს იმ ორ თეორიულ შესაძლებლობად არის აღიარებული, რომელზედაც სოციოლოგიური მოძღვრება აფუძნებს ბრალს.

თუმცა სოციოლოგიური სწავლებისათვის მთავარია დარღვეული სამართლებრივი სიკეთე და არა სამართლებრივი სიკეთის დარღვევა, დანაშაულებრივი ქმედება აქ მხოლოდ იმდენადაა სისხლისსამართლებრივად ღირებული, რამდენადაც ის განიხილება როგორც ინდივიდის სოციალური საშიშროების სიმპტომი. უკეთ რომ ვთქვათ, სოციოლოგიზმის ყოველგვარი ცდა მიმართულია დამნაშავის პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების გამოყოფისაკენ ზოგადად და ამის გვერდიგვერდ უგულებელიყოფა ქმედების სოციალური საშიშროება. ბრალეულობა-დასჯადობის საკითხი მოცემულ სწავლებაში განისაზღვრება არა ცალკეული ქმედების, არამედ დამნაშავის პიროვნული თვისებების კვალობაზე, რომლებიც აპირობებენ სოციალურ საშიშროებას, ე. ი. ბრალს. ამით ჰოლდ ფონ ფერნეკთან ერთად სხვა სოციოლოგისტებიც (გროსმანი, ნაგლერი) სისხლისსამართლებრივ ბრალს დანაშაულის ნიშნიდან აქცევენ დანაშაულის სუბიექტის ნიშნად.

მსგავსი მიდგომის შედეგად სხვაგვარი დასკვნა ვერც მიიღწეოდა, რამეთუ სისხლისსამართლებრივი ბრალი სისხლის სამართლის პრობლემაა და არა სოციოლოგიისა.

თავი მესამე

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია

§1. ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის ფორმალურ-ლოგიკური ასპექტი

<u>სისტემატიკური თვალსაზრისი</u>

თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ბრალის ფსიქოლოგიური თეორია განიხილება როგორც საბჭოური სისხლისსამართლებრივი დოქტრინის გადმონაშთი და ხშირად მიიჩნევა როგორც სპეციფიკურად საბჭოთა სისხლისსამართლებრივი აზროვნების გამოხატულება.

ამასთანავე, როგორც ბ. ს. უტევსკის შეხედულებათა ანალიზის დროს ვიხილეთ, ეს უკანასკნელი და მასთან ერთად არაერთი სხვა საბჭოთა კრიმინალისტიც ფსიქოლოგიზმის მიუღებლობის ძირითად არგუმენტად სწორედ იმას ასახელებდა, რომ მოცემული თეორია ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და რომ ამის შედეგად ის სწორედ სპეციფიკურად ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ მიმდინარეობად უნდა მიჩნეულიყო.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში უნდა გამოიყოს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში მხოლოდ მას შემდეგ შეინიშნებოდა ფსიქო-ლოგიზმის დაძლევის ცდები, რაც ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში ის საბოლოოდ იქნა დაძლეული.

ამავე დროს, იმთავითვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში მცდარად გადმოიცემა არა მხოლოდ საკუთრივ ბრალის დოგმატური ასპექტი, არამედ აქ ასევე მცდარად არის განსაზღვრული ბრალის ადგილიც სისტემატიკაში და ზოგადად ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობაც.

ბრალი ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში დანაშაულის ცნების დამოუ-კიდებელი ელემენტი კი არ არის, არამედ განეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობას, სადაც ის ზოგიერთი ავტორის მიერ განიხილება როგორც ზოგადად დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე, ზოგიერთი კრიმინალისტი კი მას განიხილავს როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის კომპონენტს.

სისტემატიკაში ბრალის ადგილის ამგვარ განსაზღვრას, უპირველეს ყოვლისა, მივყავართ ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთობის აშკარა მოუწესრი-გებლობამდე. საქმე ის არის, რომ, ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში წარმოდგენილი დანაშაულის სისტემის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა, განსხვავებით ბრალისაგან, დანაშაულის შემადგენლობის ცნებით კი არ არის მოცული, არამედ გაიტანება მის ფარგლებს მიღმა და განიხილება როგორც დანაშაულის მეორე დამოუკიდებელი ელემენტი. აქ წარმოდგენილი ლოგიკის მიხედვით კი, ბრალის დადგენა კი არ უნდა იყოს დამოკიდებული მართლწინააღმდეგობის მოცემულობაზე, არამედ პირიქით, მართლწინააღმდეგობა, როგორც სისტემატიკურად ბრალზე უფრო მაღალი საფეხური, უნდა დგინდებოდეს მხოლოდ ბრალის გარკვეულობის პირობებში, რაც სრული შეუსაბამობაა.

მართლაც, რაში შეიძლება მიუძღოდეს სუბიექტს ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაურკვევლობის შემთხვევაში? შეიძლება კი ვისაუბროთ სისხლის სამართალში მართლზომიერი ქმედების ბრალეულ განხორციელებაზე?!

გასაგებია, რომ დანაშაულის სათანადოდ სტრუქტურირებული ცნება მსგავსი დასკვნების შესაძლებლობას არ უნდა გვიტოვებდეს. და, რაც მთავარია, როგორც ზემოთ ვიხილეთ, ამის უმთავრეს მიზეზად სწორედ ბრალის სისტემატიკური დამოუკიდებლობის არარსებობა გვევლინება.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბრალის ტრადიციული ფსიქოლოგიური მოდელი ზოგიერთი ქვეყნის სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში დღესაც პოვებს აქტიურ განვითარებას. და აქ იგულისხმება ბრალის როგორც დოგმატური, ისე სისტემატიკური ასპექტი. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის სისხლის სამართალში გაბატონებული მოძღვრება. მაგრამ ეს როდი შეადგენს რუსული სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების კანონზომიერ შედეგს: როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ბ. ს. უტევსკი, ნ. ვ. ლიასი და სხვა არაერთი რუსი კრიმინალისტი დიდი ხნის წინ საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებდა ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიუღებლობას. თუმც აქვე უნდა გამოიყოს ისიც, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კრიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბრალის დოგმატური ასპექტით და არსებითად არაფერს შეიცავდა ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის აშკარად მცდარი განსაზღვრულობის თვალსაზრისით. უკეთ რომ ვთქვათ, რუსულ სისხლის სამართალში არასოდეს დასახულა ბრალის ფსიქოლოგიური ცნების აბსოლუტური უარყოფის ტენდენცია.

სისტემატიკური თვალსაზრისით, არსებითად იგივე ითქმის ქართულ საბჭოთა სისხლის სამართალზეც. ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ თეორიაშიც, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ როგორც ქართულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებული ბრალის დამოუკიდებელი თეორია, საერთოდ არ შეინიშნებოდა ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში გაბატონებული დანაშაულის ორნიშნა ცნებისა და ამით ბრალის როგორც დანაშაულის შემადგენლობით მოცული ელემენტის უარყოფის ცდები. ამასთანავე, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე უკვე პრინციპულად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში უკვე თვალთანთლივ იკვეთება დანაშაულის სამნიშნა ნორმატივისტული ცნების აღიარების ტენდენცია.

დოგმატური თვალსაზრისი

მაგრამ შევეხოთ უშუალოდ ბრალის ფსიქოლოგიური ცნების დოგმატურ ასპექტს ანუ საკუთრივ იმას, თუ რაში გამოიხატებოდა ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში წარმოდგენილი ბრალის სისხლის-სამართლებრივი ცნების განმარტება.

ქართული საბჭოთა სისხლის სამართალი, თ. წერეთლის მიერ ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული თეორიის ჩამოყალიბებამდე, ბრალს განსაზღვრავდა როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი საზოგადოებრივად საშიში, მავნე ქმედებისა (მოქმედების ან უმოქმედობის) და მისი შედეგისადმი, გამოხატულს განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში.

მოცემული განმარტებიდან იმთავითვე გამომდინარეობს ბრალის შეუსაბამო დამოკიდებულება დანაშაულის ცნებასთან. თუ ბრალი დანაშაულის ცნების ნიშანია და იმავდროულად ბრალს განვმარტავთ როგორც

ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულებრივი ქმდებისადმი მთლიანად, მაშინ ვღებულობთ შემდეგ სილოგიზმს:

ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა დანაშაულებრივი ქმედებისადმი.
ბრალი დანაშაულის ელემენტია.
ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ბრალისადმი.

როგორც ვხედავთ, ბრალი არ შეიძლება იყოს ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედებისადმი ერთიანად. ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა გვესაუბრა მასზე როგორც ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე დანაშაულის მხოლოდ გარეგანი ანუ ობიექტური მხარისადმი. მაგრამ დანაშაულის გარეგანი ანუ ობიექტური მხარე ერთნიშნა ცნებას არ წარმოადგენს. მისი შემადგენელი ნაწილებია ქმედებისა და შედეგის საზოგადოებრივი საშიშროება, მათ შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი, დანაშაულის განხორციელების ფორმა (მოქმედება ან უმოქმედობა), დრო, ადგილი და ვითარება. ამრიგად, ასევე მცდარია ბრალის წარმოდგენა ქმედების გარეგანი მხარისადმი როგორც განუყოფელი ერთეულისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებად. მხოლოდ მის ცალკეულ კომპონენტებთან ურთიერთობის კვლევას ძალუძს წარმოაჩინოს მთელი სიზუსტით, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის ობიექტური მხარისადმი.

§2. ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი

ტრადიციული თვალთახედვა

ა. ა. პიონტკოვსკი საზოგადოებრივ საშიშროებად, როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშნად, მიიჩნევდა საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მთლიანად ან ცალკეულ მოქალაქეთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთისადმი ზიანის მიყენებას ან ზიანის მიყენების საშიშროებას.175 მაგრამ არსებობს კი ისეთი სამართლებრივი უფლება, რომელსაც არ გააჩნია საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობა? რასაკვირველია, არა. ამასთანავე, გარკვეული უფლების დანაშაულებრივი დარღვევისას ეს უფლება ირღვევა არა როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი ზოგადად, არამედ მხოლოდ როგორც ცალკეული მოქალაქის განსაზღვრული იურიდიული შესაძლებლობა. ხოლო ასეთ შემთხვევაში ქმედება სულაც არ არის საზოგადოებრივად საშიში,[0]* რაზე-

* მართალია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სისხლისსამართლებრივად დაცული უფლების დარღვევა იმთავითვე საჯარო ინტერესების ხელყოფად მიიჩნევა, მაგრამ, ჯერ ერთი, „საჯარო" ნიშნავს „სახელმწიფოებრივს" და არა „საზოგადოებრივს" და, მეორეც, თუ გვსურს ვამტკიცოთ, რომ დანაშაული, აყენებს რა ვნებას საჯარო ინტერესებს, ამავე დროს, საჯაროდ საშიშია, მივიღებთ, რომ სუბიექტური ქმედება ერთი და იმავე ობიექტის მიმართ ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს საზიანოც და საშიშიც, რაც ლოგიკურად წარმოუდგენელია.

დაც მართებულად შენიშნავდა თ. წერეთელი: „დანაშაული, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, როგორც წესი, არ ჰქმნის უშუალო საფრთხეს საზოგადოების არსებობისათვის. ასეთი უშუალო საფრთხე შეიძლება შექმნას მხოლოდ ზოგიერთმა მძიმე სახელმწიფო დანაშაულმა, და თანაც გარკვეულ პირობებში. დანაშაული ჰქმნის უშუალო საფრთხეს იმ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ე. ი. იმ ობიექტისათვის, რომლის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული. იმის მტკიცება, თითქოს ყოველი დანაშაული უშუალო საშიშროებას ჰქმნის საზოგადოების არსებობის პირობებისათვის, მაშასადამე მთელი მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისათვის, ფაქტიურად მოასწავებს ინდივიდუალური დანაშაულებრივი აქტის გაიგივებას დანაშაულობასთან როგორც ასეთთან“.176 აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თ. წერეთლის შეხედულებით, დანაშაული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიში, თუ ის მიმართულია მთლიანად საზოგადების და არა მის ცალკეულ წევრთა წინააღმდეგ. ამის თანახმად, განზრახ მკვლელობა, თუ ეს ჩადენილი არ იყო ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, საზიანოა თვით ამ ქმედების შედეგად დაზარალებული პირისათვის და არა საზოგადოებისათვის მთლიანად. მართალია, მკვლელობა გულისხმობს საზოგადოების წევრის ფიზიკურ მოსპობას და ამიტომ სახეზეა საზოგადოებისთვისაც მიყენებული უშუალო ზიანი (მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულებრივი ქმედება არ იყო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული), მაგრამ ამით ოდნავაც არ შემცირდება თ. წერეთლის კონცეფციის პროგრესულობა სხვა საბჭოთა კრიმინალისტების შეხედულებებთან შედარებით, თუ მკვლელობას განსახილველ კონტექსტში გამონაკლისად გამოვაცხადებთ. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მოკიდებული კერძო ქონების ქურდობიდან და დასრულებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებით, ქართველი კრიმინალისტის პოზიცია ადვილად გასაგებია.

თ. წერეთელი ამგვარად განავრცობს თავის მოსაზრებას: „მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგან თითოეული დანაშაულებრივი ქმედობა უშუალოდ მიმართულია გარკვეული ობიექტის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ჰქმნის საფრთხეს გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, იგი ამავე დროს არ წარმოადგენს არაუშუალო საშიშროებას საზოგადოების არსებობის პირობებისათვის. უშუალოდ აზიანებს რა კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც საზოგადოებრივი წყობილების კომპლექსში შედის როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, ვნებს რა მართლწესრიგის ერთ მხარეს, რომელიც ამ მართლწესრიგის შემადგენელი ელემენტია, დანაშაული ამით საშიშროებას ჰქმნის მთელი საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის.

ე. ი. ცალკეული დანაშაული არღვევს უშუალოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მხოლოდ არაპირდაპირ — საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას“.177 ჩვენ შემთხვევით არ ვახსენებთ თ.

წერეთლის მოსაზრებებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ზემომოტანილი პოზიცია ლოგიკურად ბევრად უფრო მისაღებია ყველა იმ პოზიციასთან შედარებით, რომელსაც მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით გამოთქვამდნენ სხვა საბჭოთა კრიმინალისტები. მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართალი გარკვეულწილად ზღუდავდა ამ საკითხის სრულყოფილ შესწავლას, რაც ცხადად აისახა თ. წერეთლის შეხედულებებშიც.

ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჯერ კიდევ ბეკარია ცდილობდა განსახილველი პრობლემის ანალოგიური სახით გადაჭრას. „ნებისმიერი დანაშაული, — წერს ბეკარია, — თუნდაც ის ჩადენილი იყოს მხოლოდ კერძო პირის მიმართ, შეურაცხყოფს მთელ საზოგადოებას; მაგრამ ყოველი დანაშაული უშუალოდ საზოგადოების საზიანოდ არ მიიმართება. ქმედებებს, რომლებიც შეეხება ზნეობრივ სფეროს, ისევე, როგორც ფიზიკურ სფეროში შემავალ შედეგებს, აქვს შედეგთა შეზღუდული წრე და ისინი, მსგავსად ნებისმიერი სხვა ფენომენისა, დამოკიდებულია დროსა და სივრცეზე. ამიტომ მხოლოდ სოფისტურ (cavillosa) ინტერპრეტაციას, რომელიც ტირანიის დროს ჩვეულებრივ მთელ ფილოსოფიას შეადგენს, ძალუძს ერთმანეთთან იმის გაიგივება, რასაც მკაცრად ჰყოფს ერთიმეორისაგან ელემენტარული ჭეშმარიტება."178 ბეკარია სრულიად სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სუბიექტურ ქმედებას საზოგადოდ „აქვს შედეგთა შეზღუდული წრე", რაც, თავის მხრივ, იმის აქცენტირებას ნიშნავს, რომ მსჯელობა სუბიექტური ქმედების შესახებ არ უნდა სცილდებოდეს შედეგთა აღნიშნულ წრეს. ამასთანავე, როგორც ზემოციტირებული მტკიცების მეორე ნახევრიდან ვასკვნით, იმის დეკლარირება, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედება საფრთხეს უქმნის მთელ საზოგადოებას, თავისი არსით უკიდურესად არადემოკრატიული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისთვის არის დამახასიათებელი. ის, თუ რატომ ენიჭება აქ უპირატესობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოებრივ საშიშროებაზე საუბარს, ვფიქრობთ, ადვილად მისახვდომია, მაგრამ იმავდროულად აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რა მიზეზით განაგრძობს ბატონობას განსახილველი თვალსაზრისი თანამედროვე სისხლის სამართალში, სადაც უკვე ფართოდ არის აღიარებული ყველა სათანადო დემოკრატიული პრინციპი, ანუ რა გვაიძულებს ამჟამად უგულებელვყოთ ბეკარიას მიერ ნახსენები „ელემენტარული ჭეშმარიტება"?

სინამდვილეში კი, არსებული რეალობის იგნორირებას თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე გამართლება, ვინაიდან ამჯერად პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მომენტებს, როგორიცაა ლოგიკური მოწესრიგებულობა, სიზუსტე, თეორიული მიუკერძოებლობა და არა კანონმდებლის პოლიტიკურ ნებას ან უტილიტარულობას, რაც დაუშვებელს ქმნის სისხლისსამართლებრივ ცნებათა არსებული რეალობისაგან მოწყვეტას.

ამის გათვალისწინებით, ბეკარია მნიშვნელოვნად უსწრებს წინ მისთვის თანამედროვე სისხლისსამართლებრივ აზრს, როდესაც თვლის, რომ კონკრეტული დანაშაული იშვიათად თუ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას მთლიანად და, მაშასადამე, დანაშაულებრივი ქმედება უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიშად ვერ მიიჩნევა. ამ კონცფციის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება დანაშაულებრივი ქმედებით მოცული საშიშროების არა მხოლოდ ხარისხის, არამედ აგრეთვე სახის (ფორმის) მიხედვით დიფერენცირებაც, რაც თეორიულად უაღრესად საგულისხმოა.

ამავე დროს, აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ბეკარია განსა-ხილველ საკითხთან მიმართებაში ბოლომდე თანამიმდევრული არ რჩება, რადგან დანაშაულთა თავიდათავ მასშტაბად ის „საზოგადოებისათვის დანაშაულით მიყენებულ ზიანს" განიხილავს. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ ბეკარიასთან ამგვარად ორი პრინციპულად ურთიერთშეუთავსებელი თვალსაზრისია წარმოდგენილი: თუ დანაშაული ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმის გამო ვერ იწოდება საზოგადოებრივად საშიშად, რომ ის ჩვეულებრივ საფრთხეს უქმნის არა უშუალოდ საზოგადოებას, არამედ მისი ცალკეული წევრის (ან შეზღუდული რაოდენობის ცალკეულ წევრთა) სიცოცხლეს, ქონებას, და ა. შ., დაუშვებელი ხდება იმის მტკიცება, თითქოს თითოეული დანაშაული ზიანს აყენებდეს საზოგადოებას ზოგადად. ხოლო სხვაგვარად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი პოზიციის შედეგად ბეკარია თავადვე უარყოფს იმ პრინციპს, რომლის გაუთვალისწინებლობასაც ის გაბატონებულ მოძღვრებას საყვედურობდა. ამასთანავე, თუ ვიხელმძღვანელებთ ბეკარიას თავდაპირველი ლოგიკით, მივიღებთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ იშვიათად შეიცავს საზოგადოებრივ საზიანოობას, უმეტესწილად კი დანაშაული ვნებს კონკრეტულ ინდივიდს ან ინდივიდთა მკაცრად განსაზღვრულ ჯგუფს, — იმას, ვისაც სისხლის სამართალში დაზარალებული ეწოდება. და ეს უკვე უთუოდ ასეც არის. მაგრამ თუ ამასთან ერთად შევეცდებით ვამტკიცოთ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, უშუალოდ ვნებს რა გარკვეულ სუბიექტს როგორც საზოგადოების წევრს, არაუშუალოდ საზიანოა საზოგადოებისათვის მთლიანად, იმთავითვე აღმოვჩნდებით არაერთი დაუძლეველი წინააღმდეგობის წინაშე. ასე მაგალითად, თავდაცვითი მოქმედებები, რომლებიც განხორციელებულია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თანამედროვე კრიმინალისტების მიერ ერთხმად არის აღიარებული როგორც *საზოგადოებრივად სასარგებლო*. ამის ძირითად საფუძვლად მიიჩნევა ის, რომ აღნიშნული მოქმედებები მიმართულია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან სისხლისსამართლებრივად აღიარებულ ინტერესთა დასაცავად, რაც ხელს უწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას. ამის თანახმად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში სხვა პირისათვის სიცოცხლის მოსპობაც და სხეულის დაზიანებაც, თუ, ცხადია, ადგილი არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას, საზოგადოებრივად სასარგებლო ქმედებად უნდა განვიხილოთ. ამავე

დროს, აქ სახეზეა თავდამსხმელისათვის მიყენებული ზიანი და თუ ვაღიარებთ, რომ ქმედება, რომელიც „უშუალოდ ვნებს გარკვეულ სუბიექტს როგორც საზოგადოების წევრს, არაუშუალოდ საზიანოა საზოგადოებიათვის მთლიანად", იძულებული ვხვდებით დავასკვნათ, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში განხორციელებული ქმედება ერთსა და იმავე დროს საზოგადოებისათვის სასარგებლოცაა და არაუშუალოდ საზიანოც! ჩვენი აზრით, დებულება, რომელსაც მსგავს წინააღმდეგობრიობამდე მივყავართ, კატეგორიულად მიუღებელია.

<u>პრობლემის ახლებური გაგებისათვის</u>

ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და შედეგის საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთმიმართება, საშიშროებისა და ზიანის ცნებათა ურთიერთგამიჯვნა — ეს ის ძირითადი ასპექტებია, რომელთა მცდარი განსაზღვრა დღემდე აფერხებს მოცემული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას. ამიტომაც აუცილებელია მისი რადიკალურად ახლებური გააზრების საჭიროება.

ჩვენი თვალთახედვა მდგომარეობს შემდეგში: დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება წყდება საზიანო შედეგის დადგომით, ხოლო შედეგი, მისთვის იმანენტურ თვისებათა გამო, არასოდეს შეიძლება იყოს საშიში, ის მხოლოდ საზიანოა (უკეთ რომ ვთქვათ, საშიშროების ცნებას მოიცავს მხოლოდ სუბიექტური ქმედება როგორც საზიანო შედეგის დეტერმინანტი). როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას მისი დანაშაულად ცნობის შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიშად აცხადებს, ეს ნიშნავს, რომ ხსენებული ქმედების ადრესატი მომავალში გაურკვეველია — ის შეიძლება იყოს საზოგადოების ნებისმიერი წევრი, ე. ი. ქმედება წარმოადგენს საფრთხეს მთელი საზოგადოებისათვის მხოლოდ იმის გამო და მხოლოდ იმდენად, რის გამოც და რამდენადაც აწმყოში გაურკვეველია, თუ კონკრეტულად ვინ დაზარალდება მისი განხორციელებით. ეს არის საზოგადოებრივი საშიშროების დედაარსი! მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან მოცემული დანაშაულებრივი ქმედება უმეტეს შემთხვევაში კარგავს საზოგადოებრივ საშიშროებას. თუ მას უშუალოდ მოჰყვა მავნე შედეგი, და ეს უმთავრესად ასეც ხდება, მაშინ ის იმთავითვე გადაიქცევა *საზოგადოებრივად საშიშიდან ინდივიდუალურად საზიანო* ქმედებად; ხოლო თუ ქმედების ჩადენასა და შედეგის დადგომას შორის გარკვეული შუალედი მოგვეპოვება, საქმე გვაქვს ქმედების კონკრეტულ-ინდივიდუალურ საშიშროებასთან ან კვლავ აბსტრაქტულ საზოგადოებრივ საშიშროებასთან იმისდა მიხედვით, ჩადენილი ქმედებით გაირკვა თუ არა *მავნე შედეგის ზუსტი ადრესატი* (მაგალითად, პირველ შემთხვევაში მოწმის ცრუ ჩვენება კონკრეტული პირის მისამართით ან მეორე შემთხვევაში — საავტომობილო ხიდის დანაღმვა მომავალ მსხვერპლთა გაურკვევლად).

ამდენად, საზოგადოებრივი საშიშროება უნდა განვასხვავოთ როგორც კონკრეტული, ინდივიდუალურად გარკვეული საშიშროებისაგან, ისე კონ-

კრეტული, ინდივიდუალურად გარკვეული ზიანისაგან; ამასთანავე, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი და კონკრეტული ზიანის ცნებები.

ზემოწარმოდგენილი ანალიზიდან არ გამომდინარეობს, თითქოს დანაშაული საზოგადოებრივად საზიანო საერთოდ არ შეიძლება იყოს. ჩვენი მტკიცების საგანს შეადგენს ის, რომ ყველა დანაშაული, მომავალში მისი კონკრეტულად განსაზღვრული ადრესატის გაურკვევლობის გამო, საზოგადოებრივად საშიშია და, *როგორც წესი,* საზოგადოებრივად საზიანო არ არის. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებათა დროს საერთო-საზოგადოებრივი ზიანის დადგომის შესაძლებლობას (მაგალითად, სამშობლოს ღალატი), საიდანაც შეიძლება დავასკვნათ: 1) დანაშაულებრივი ქმედება მავნე შედეგის დადგომისთანავე კარგავს თავის საზოგადოებრივ საშიშროებას, გადაიქცევა რა საზიანოდ და 2) ზიანი არის უკვე, როგორც წესი, არა საერთო-საზოგადოებრივი, არამედ ინდივიდუალურად განსაზღვრული, კონკრეტულ სოციალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში ლოკალიზებული ზიანი. პირველი დასკვნის თანახმად, საზიანოა ქმედება, რომლის შედეგიც დადგა, საშიშია ქმედება, რომლის შედეგიც შეიძლება დადგეს. მთავარ მომენტს აქ საშიშროებასა და ზიანს შორის არსებული კატეგორიალური სხვაობა წარმოადგენს: საშიშროება აბსტრაქტული კატეგორიაა, ზიანი — რეალური.

აქედან უკვე ნათლად ჩანს, თუ რაგვარ მიმართებაშია დანაშაულებრივი ქმედება და შედეგი საზოგადოებრივი საშიშროების ცნებასთან — ეს მიმართება პოლარულად ურთიერთსაწინააღმდეგოა. გარდა ამისა, ძირეულად ეცვლება სახე ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსსაც. კანონმდებლისაგან განსხვავებით, რომელმაც არ უწყის, თუ კონკრეტულად ვის შეეხება სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევა, დანაშაულის სუბიექტს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, გარკვევით აქვს წარმოდგენილი, თუ რომელი მოქალაქის ან რომელ მოქალაქეთა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგალითად, როდესაც სუბიექტი გეგმავს ქალის მოტაცებას მასთან ქორწინების მიზნით, ძნელი მისახვდომი არ უნდა იყოს, რომ მისთვის ზუსტად არის გარკვეული დაზარალებულის ვინაობა. ამიტომაც *ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება მხოლოდ კანონმდებლის წარმოდგენაში არსებული ცნებაა,* რომელიც დამნაშავის შეგნებაში არასოდეს მოგვეპოვება იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა ის გარკვევით ვერ ითვალისწინებს მისი ქმედებიდან გამომდინარე მართლსაწინააღმდეგო შედეგთა ადრესატს. მაგრამ ის, რომ სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი ქმედების კონკრეტულად საშიში ხასიათი და სათანადო საზიანო შედეგები, ჯერ კიდევ უპირობოდ არ მეტყველებს მათდამი ფსიქიკური დამოკიდებულების არსებობაზე. ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრება იყოფა ორ თითქმის ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობად, ნებელობით და წარმოსახვით თეორიებად. ნებელობითი თეორიის (Willenstheorie) მიხედვით, ფსიქიკურ დამოკიდებულებას აფუძნებს შედეგის ნდომა (das Wollen des

Erfolges), წარმოსახვითი თეორიისათვის (Vorstellungstheorie) საამისოდ საკმარისია შედეგის გათვალისწინებაც (die Voraussicht des Erfolges). ფრანკი, აანალიზებს რა ფსიქოლოგიურ მოძღვრებას, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მესამე მომენტსაც გამოყოფს — რეფლექსიას.

მაშ, რა ქმნის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედების საშიშროებისა და შედეგის მავნეობისადმი: დანაშაულის ჩადენის მომენტში საზიანო შედეგზე ფიქრი, მისი ცოდნა თუ ნდომა (სურვილი)? ჩვენი აზრით, არც ერთი მათგანი აუცილებელი შემადგენლი ნაწილი არ არის. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედების საშიშროებისა და მისი შედეგის მავნეობისადმი სავსებით ამოიწურება ამ შედეგის წარმოდგენის შესაძლებლობითაც, მიუხედავად იმისა, ჩამოუყალიბდა მას ეს წარმოდგენა თუ არა. დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს სუბიექტს თუმც არც უფიქრია საზიანო შედეგზე, არც წარმოუდგენია და არც სურდა ეს უკანასკნელი, მაგრამ ჰქონდა მისი წარმოდგენის რეალური შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა თვალსაჩინო დასტურია ჩვენთვის საინტერესო ფსიქიკური დამოკიდებულების არსებობისა. ამის დანახვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუკავშირდება გარკვეულ სირთულეებს, თუ გავაიგივებთ ფსიქიკური დამოკიდებულების პრობლემასა და მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას. ეს ორი არსებითად სხვადასხვა საკითხია — როგორც ფორმალურად, ისე მატერიალურადაც.

სწორედ თვით ფსიქიკური დამოკიდებულების მცდარმა ინტერპრეტირებამ განაპირობა ნორმატივისტთა რიგებში იმ აზრის დამკვიდრება, რომლის შესაბამისადაც მოცემულ ნიშანს მხოლოდ განზრახი ბრალი მოიცავს. რ. ბუში ასე მიმოიხილავს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას: „დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედებისადმი წარმოდგენილია განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმები ანუ სახეებია, შერაცხადობა — მათი წინაპირობა. მაგრამ ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებას რეალურად არ ძალუძდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან განზრახვა და გაუფრთხილებლობა როგორც დანაშაულის ალტერნატიული ნიშნები (alternative Verbrechensmerkmale), რადგან ფსიქიკური დამოკიდებულება მოიპოვება მხოლოდ განზრახვაში, გაუფრთხილებლობა კი შეიცავს არა ფსიქიკურ დამოკიდებულებას, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობას“.179 ეს ტიპური მაგალითია ფსიქიკური დამოკიდებულების ხელოვნურად რედუცირებული შინაარსით გადმოცემისა, როდესაც საზიანო შედეგის წარმოდგენის შესაძლებლობა საკმარის პირობად არ განიხილება. ცხადია, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიშნის მიხედვითაც დაიშვება განზრახვისას არსებული ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გაუფრთხილებლობისას არსებული ფსიქიკური დამოკიდებულების დიფერენცირება, მაგრამ არა როგორც ამ დამოკიდებულების მოცემულობისა და მისი მოცემულობის შესაძლებლობის, არამედ მხოლოდ როგორც პირდაპირი და ირიბი ფსიქიკური დამოკიდებულების სახით. ეს მნიშვნელოვნად არაფერს

ცვლის, რადგან ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც ასეთი, კვლავაც მოცემულია.

ამგვარად, დანაშაულის ობიექტური მხარის ზემოგანხილული ელემენტებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება სინამდვილეა, თუ გავითვალისწინებთ ამ ელემენტთა შინაარსზე გამოთქმულ შენიშვნებსაც, კერძოდ იმას, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება ვრცელდება არა ქმედებისა და შედეგის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, არამედ ქმედების კონკრეტულ (ინდივიდუალურად გარკვეულ) საფრთხესა და შედეგის კონკრეტულ (ინდივიდუალურად გარკვეულ) მავნეობაზე.

§3. კაუზალობა როგორც ფსიქიკური დამოკიდებულების ფაკულტატიური ობიექტი

ზოგადი ასპექტი

ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების კვლევას მით უფრო არ შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური პერსპექტივა. ეს განპირობებულია იმით, რომ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ წარმოადგენს დანაშაულის ობიექტური მხარის კონსტიტუციურ ელემენტს, რის დასაბუთებასაც საგრძნობლივ აადვილებს უცხოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დაგროვილი გამოცდილება.

რა დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ბრალსა და ქმედება-შედეგის მიზეზობრივ კავშირს შორის? „კაუზალური კავშირის დადგენა, — მიუთითებს ამის თაობაზე რ. მაურახი, — არ ეხება დამნაშავის ქმედების შეფასებას მართლზომიერად ან მართლსაწინააღმდეგოდ, ბრალეულად ან არაბრალეულად; რადგან კაუზალობა და მართლწინააღმდეგობა ან ბრალი ერთი და იმავე თეორიული ორბიტის საკითხები არ არის, ისინი მკაცრად უნდა გაიმიჯნონ ერთმანეთისაგან, როგორც ამას თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი სისხლის სამართლის პრაქტიკასა თუ ლიტერატურაში“.180 ამის შედეგად რ. მაურახი დაასკვნის, რომ კაუზალობის პრობლემა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის (objektiver Tatbestand) ფარგლებს არ სცილდება. სისტემატიკურად ბრალისა და მიზეზობრიობის ერთმანეთისაგან განსხვავება ე. შპენდელსაც აუცილებლად მიაჩნია: „კაუზალური კავშირი თავის სტრუქტურულ თვისებათა გამო ვერასოდეს იქნება შეფასებითი მსჯელობის ობიექტი. ამიტომ მიზეზობრიობის საკითხი მნიშვნელოვანია მხოლოდ ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივ კავშირთან მიმართებაში, რომლის დროს არ ვლინდება და არც შეიძლება გამოვლინდეს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის თვალსაზრისი“.181 უნდა შეინიშნოს, რომ მაურახიც და შპენდელიც სრულიად მისაღებად განგვიმარტავენ ბრალის როგორც დანაშაულის ცნების ნიშნის დამოკიდებულებას კაუზალობის პრობლემასთან. მიუხედავად იმისა, თუ სად მოვათავსებთ

ბრალს — დანაშაულის შემადგენლობის სფეროში თუ მის მიღმა — ბრალი და კაუზალობა მუდამ მოითხოვენ განცალკევებას, ვინაიდან სისხლის სამართლის მეცნიერებას არ მოეპოვება მათი ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთგადაბმის არანაირი ხერხი. ეს ორი საკითხი სისტემატიკურად არც ურთიერთგამომდინარეა და არც ერთმანეთზე ტენდირებული, ორიენტირებული. ამისგან არაფრით განსხვავდება კ. ულზენჰაიმერის მოსაზრებაც, რომელსაც ის გაუფრთხილებლობითი ბრალისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გამოთქვამს: „გაბატონებული სწავლების მიერ წარმოდგენილი თეზისის — „გაუფრთხილებლობის კაუზალობა“ წინააღმდეგ სამართლიანი იქნებოდა შემდეგი საყვედური: როდესაც მიზეზობრივი კავშირის ანალიზის ფარგლებში ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის საფეხურზე თავს იჩენენ „მოვალეობის საწინააღმდეგო ნების“, „ბრალეული უმოქმედობისა“ და სხვა მსგავსი ცნებები, ეს მომასწავებელია დანაშაულის შემადგენლობის საკითხის მართლწინააღმდეგობის ან ბრალის, ე. ი. შეფასების საკითხთან დაუშვებელი გაიგივებისა“.182 თუ ამ მხრივ კრიმინალისტთა ერთსულოვნება შეიმჩნევა, ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური კავშირის დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად აღიარება აზრთა შეურიგებელ კოლიდირებას აწყდება.

უმოქმედობის მიზეზობრიობა

კაუზალობის აბსოლუტირება, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ქმედების ცნებაში მხოლოდ დანაშაულებრივ მოქმედებას ვიგულისხმებთ. მაგრამ ამის დაუშვებლობაზე ხომ ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან გვაფრთხილებდა რ. ლოენინგი.183 უთუოდ ყურადღების ღირსია ამ მიმართებით გ. რადბრუხის კაპიტალური ნაშრომი მოქმედებაზე, სადაც ის აღნიშნავს: „მოქმედების სამი პოზიტიური ნიშანი — ნება, ქმნილი და მათ შორის კაუზალური ურთიერთობა — უცხოა უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისათვის ან ნებასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს უცხო. ნების საწინააღმდეგო უმოქმედობა (ungewollte Unterlassung), როდესაც ეს უკანასკნელი მომენტიც ერთიანად უარყოფილია, განასახიერებს დანაშაულებრივი მოქმედების საპირისპირო, გამომრიცხველ ცნებას... როგორც ცნება და მისი კონტრადიქტორული დაპირისპირებულობა, როგორც პოზიცია და ნეგაცია, a და non-a ვერ გაერთიანდება ერთ ცნებაში, ისევე შეუძლებელია უმოქმედობისა და მოქმედების ერთიანი ცნების, ქმედების ქვეშ გაერთიანება“.184 რამდენადაც გ. რადბრუხი უარყოფს ქმედების ცნებას, მისთვის არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს ქმედებას, როგორც ირეალურ ცნებასა, და შედეგს შორის. მაგრამ ამაზე დიდად უფრო მნიშვნელოვანია მის მიერ ჩამოყალიბებული კაუზალობის ახალი სახე, სახელდობრ, ნებისა და ქმნილის მიზეზობრივი ურთიერთობა მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში. გ. რადბრუხს აქ აშკარად გამორჩა, რომ კაუზალობა არის *ობიექტური სინამდვილის* საგნებს, პროცესებს, სისტემებსა და სხვ. შორის არსებული მიზეზობრივ-შედეგობრივი ურთიერ-

თობის ფორმა, როდესაც ობიექტური რეალობის ერთი რომელიმე, მიზეზად წოდებული მოვლენა აუცილებლობით აპირობებს ობიექტური რეალობის სხვა, შედეგად წოდებულ მოვლენას. ნების კომპონენტთაგან კი (გრძნობა და ინტელექტი) არც ერთი არ არის ობიექტური სინამდვილის მოვლენა და, ამრიგად, ვერც ნებას ვაღიარებთ ასეთად, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელი კაუზალობის დროს ვერ იქნება ვერც მიზეზი და ვერც შედეგი. ეს გარკვევით მოწმობს გ. რადბრუხის მიერ დაშვებული შეცდომის მიუტევებლობას. მიუხედავად ამისა, მისი პოზიციის რელევანტურობა ჩვენთვის ოდნავადაც არ მცირდება, რამეთუ გ. რადბრუხი უმოქმედობის განხილვისას გადაჭრით უარყოფს ყოველგვარი კაუზალობის გამოვლინებას.

ამავე დროს, მიუღებელია მოცემულ საკითხზე არმ. კაუფმანის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „ცილობა უმოქმედობის მიზეზობრიობის თაობაზე დიდი ხანია მოძველდა, ამჟამად გარკვევას უმოქმედობის ფინალურობა საჭიროებს... სისხლისსამართლებრივ ნორმას შეუძლია მოსთხოვოს ინდივიდს შემდეგი რამ: საკუთარი შესაძლებლობების, იმ სპეციფიკურად ადამიანური მონაცემების, გამოყენება, რომელთა ძალით მას შესწევს უნარი ამოცანების თვითდასახვისა, მათ განსახორციელებლად ხერხების შერჩევისა და ნების როგორც განმსაზღვრელი ფაქტორის დაძაბვისა. ამგვარად, ნორმა სუბიექტისაგან მხოლოდ ფინალურ ქმედებებს მოითხოვს: „მიზეზად გახდომა“ (Ursächlichwerden) კი არ შეადგენს მოქმედების ვალდებულების შინაარსს, არამედ ნების შეგნებული წარმართვა, მიზეზთა შექმნა დასახული მიზნის მისაღწევად.“185 იმავე აზრს გამოხატავს არმ. კაუფმანი თავის სხვა ნაშრომშიც.186 ამის თანახმად, ავტორი თუმც არატრადიციული შეფერილობით, მაგრამ არაორაზროვნად მიგვანიშნებს უმოქმედობაში გამოხატულ ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალობის არსებობაზე. „ნების შეგნებული წარმართვა“ და „მიზეზთა შექმნა დასახული მიზნის მისაღწევად“ იდენტური მომენტები არ არის. როდესაც სუბიექტი უმოქმედობისას შეგნებულად წარმართავს თავის ნებას, ეს მოასწავებს სწორედ იმას, რომ სუბიექტი იკავებს თავს მიმდინარე კაუზალურ პროცესში მოვალეობის შესაბამისი ჩარევისაგან. თუ მას სურს მავნე შედეგი, მაშინ მის მიზანს მავნე შედეგის დადგომა შეადგენს, ხოლო თუ სუბიექტი უმოქმედობს სურვილის წინააღმდეგ, ასეთ შემთხვევაში მიზანი განსახიერებულია უმოქმედობაში როგორც თვითმიზანში. აშკარაა, რომ სუბიექტური ნება ორივე შესაძლო კაზუსში დასახული მიზნისაკენ მიიმართება, მაგრამ ინდივიდი ფიზიკურად პასიურობს, ის მცირედაც არ საჭიროებს არავითარი მიზეზობრივი ჯაჭვის გარღვევას, მასზე გარდამსახველ ზემოქმედებას, ე. ი. ეს მიზნები ხორციელდება თავისდათავად და მის მიერ „მიზეზთა შექმნის“ გარეშე. თუ სუბიექტი, მაგალითად, უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისას მართლაც შექმნის თუნდაც მცირე, თუნდაც უმნიშვნელო მიზეზს მსხვერპლის მკვლელობის მიზნით, ეს უკვე იქნება არა უმოქმედობით, არამედ მოქმედებით ჩადენილი დანაშაული.

მაგრამ ა. კაუფმანი ასე არ ფიქრობს. მას მოაქვს მრავალი მაგალითი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ოთხს მოვიხსენიებთ, და გამოაქვს ფრიად საინტერესო, ჩვენ მიერ წამოყენებული შეხედულების საპირისპირო დასკვნა.1) B ნაპირიდან აკავებს ნავს, რომელიც დინებას წყალწაღებული X-ის მიმართულებით მიაქვს; 2) C აფერხებს ნაგაზს, რომელსაც თავისი პატრონის მცირეწლოვანი ქალიშვილის წყლიდან ამოყვანა „უნდა“; 3) უბედური შემთხვევის კვალობაზე R ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულს, მაგრამ G მას სთავაზობს გარკვეულ თანხას და ამით მგზავრობის განგრძობისაკენ უბიძგებს; დაბოლოს, 4) R უბედური შემთხვევის ადგილას დახმარების აღმოსაჩენად აჩერებს თავის ავტომანქანას, მაგრამ F ხელის შეშლის მიზნით ცრუდ ეუბნება, რომ დაზარალებული მგზავრი უკვე ტრანსპორტირებულია. ამის საფუძველზე ა. კაუფმანი წერს: „ყველა ეს შემთხვევა იმრიგადაა აგებული, რომ დაზარალებულის სიკვდილი დამნაშავის ჩარევის გარეშე არ დადგებოდა“.187 მაგრამ სწორედ ეს „დამნაშავის ჩარევა“ ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ დანაშაული ჩადენილია მოქმედებით და არა უმოქმედობით. სუბიექტმა ოთხივე კაზუსში უშუალოდ შექმნა მართლსაწინააღმდეგო შედეგთა დადგომის მიზეზები, რითაც აქტიურად იმოქმედა და გასცილდა უმოქმედობის ფარგლებს. დანაშაულებრივი უმოქმედობით ინდივიდი ქმნის მავნე შედეგის დადგომის *პირობას,* მიზეზი კი მისი დადგომისა შეიძლება შეიქმნას მოქმედებით და მხოლოდ მოქმედებით. პირობა და მიზეზი მოცემულ შემთხვევაში ანტონიმური მნიშვნელობის ცნებებია (ამ ცნებათა მსგავს კორელაციაზე პლატონიც მიუთითებს, მაგრამ მიზეზად ის აცხადებს იმას, რაც ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს პირობად და პირიქით). მიზეზი არის ის, რისგანაც შედეგი აუცილებლობით გამომდინარეობს, პირობა კი ამ მიზეზის შეუფერხებელი მოქმედების შესაძლებლობაა. ნათელია, რომ უმოქმედობით სუბიექტი ქმნის არა მოვლენას, საიდანაც აუცილებლობით გამომდინარეობს მავნე შედეგი, ე. ი. მიზეზს, არამედ მხოლოდ ამ მოვლენის შეუფერხებელი მოქმედების შესაძლებლობას, ე. ი. პირობას. ა. კაუფმანის პირველ მაგალითში X-ის დაღუპვის მიზეზი არ არსებობს, რადგანაც დინებას მისკენ მოაქვს ნავი. მაგრამ როგორც კი B ნაპირიდან ნავს შეაკავებს, ამით ის შექმნის X-ის დაღუპვის მიზეზსაც. ხოლო თუ ნავი შეჩერდა თავისთავად ანუ მიზეზი ჩამოყალიბდა დამოუკიდებლად, სპონტანურად, B თავისი უმოქმედობით უკვე ქმნის მხოლოდ შესაძლებლობას ამ ბუნებრივად, მისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული მიზეზის მოქმედებისა. უკანასკნელ შემთხვევაში, განსხვავებით პირველისაგან, მავნე შედეგი არანაირ მიზეზობრივ კავშირში არ არის და არც შეიძლება იყოს სუბიექტის ქმედებასთან. ამიტომ პასუხისმგებლობის საფუძველთაგანს უმოქმედობისას წარმოადგენს გარეშე მოვლენასა და საზიანო შედეგს შორის კაუზალობის არგაწყვეტა და არა საკუთარ ქმედებასა და საზიანო შედეგს შორის ამგვარი კაუზალობის წარმოქმნა.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი არის ის, რომ ა. კაუფმანიც უმოქმედობის კაუზალობისა და ფინალურობის შედარებითი კვლევისას თავის

ზემოხსენებულ მოსაზრებათა სრულიად საწინააღმდეგოდ იმავეს დაასკვნის: „უმოქმედობასა და შედეგს შორის კაუზალური ურთიერთობა არ ვლინდება, აქ მარტოოდენ „პოტენციური კაუზალობის“ ურთიერთობა მოიპოვება...უმოქმედობა აქტს არ წარმოადგენს, ფინალური მოძღვრების ზუსტი გაგებით; ის ხასიათდება მხოლოდ „პოტენციური ფინალურობით“. უმოქმედობის დროს ეფექტური ფინალურობა არც არსებითია და არც შესაძლებელი. ამას განაპირობებს ის, რომ უმოქმედობისათვის ადამიანური კაუზალობა უცხო თვისებაა. სადაც არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, იქ არ შეიძლება არსებობდეს ფინალურობა. ფინალური სტრუქტურა კაუზალობას არის დამყარებული; პირველი ონტიკური კატეგორია წარმოუდგენელია მეორის გარეშე. განხორციელების ფინალური ნების მოქმედების ფორმა მდგომარეობს სწორედ კაუზალურ ფაქტორთა ფლობაში, სახეცვლასა და მართვაში“.188 თავის დასკვნაში ა. კაუფმანი სწორია. აქედანვე ჩანს, რომ ფინალური მოძღვრება მთლიანად ერთობ ხელსაყრელ პირობებს ქმნის უმოქმედობაში კაუზალობის უარსაყოფად.

ინტერესს მოკლებული არ არის ჰ. კელზენის შემდეგი დებულება: „სისხლის სამართლის ნორმას პრინციპულად ყველაფრის მოთხოვნა შეუძლია, აგრეთვე ისეთი მოვლენებისა, რომლებიც მხოლოდ შორეულ კაუზალურ კავშირში იმყოფებიან ნორმის სუბიექტის ფიზიკურ მოძრაობებთან ან საერთოდ არაფრით უკავშირდებიან მას.“189 და ამის თვალნათლივ მაგალითად ჰ. კელზენი უმოქმედობას ასახელებს. ნორმას რომ პრინციპულად ყველაფრის მოთხოვნა ძალუძს, უდავოა. ამასთან, უმოქმედობის დასასაბუთებლად ნორმის მსგავსი სპეციფიკურობის მოტანა, ჩვენი აზრით, მხოლოდ გადამეტებული გულმოდგინებით თუ აიხსნება. უმოქმედობა ამგვარ დათმობებს არ მოითხოვს, ვინაიდან მისი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია სუბიექტის ინდივიდუალურ თვისებებთან, ობიექტურად ასახავს მის ინტელექტუალურ თუ ნებელობით შესაძლებლობებს. კანონმდებელი უმოქმედობის დასჯადად გამოცხადებით ადამიანს განიხილავს არა უბრალოდ როგორც *Homo sapiens*-ს, არამედ როგორც *Homo moralis*-ს, რომელსაც ბოროტების ჩაუდენლობასთან ერთად ბოროტების აღკვეთაც უნდა ევალებოდეს.

ამავე დროს, მცდარია ჰ. კელზენის მოცემული დებულების ჰარდვიგისეული კრიტიკა: „სისხლისსამართლებრივი ნორმა ყველაფერს ვერ მოითხოვს. ამის საპირისპიროს მტკიცება, როგორც ამას კელზენთან ვხვდებით, ნიშნავს სამართლის მიმართ სამართლის იდეის მნიშვნელობის დაკნინებას. თუ გარდასულ ეპოქებში ჯადოსნობა დასჯად ქმედებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, ეს არა იმიტომ, რომ კანონს პრინციპულად ყველაფრის მოთხოვნა შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ იმხანად სამართალი საერთოსაზოგადოებრივ აზრთან ერთად ჯადოსნობას შესაძლოდ მიიჩნევდა. იმარჯვა თუ არა აზრმა იმის შესახებ, რომ გრძნეულება სინამდვილეს არ ესატყვისება, იმიერიდან მან შეწყვიტა არსებობა როგორც კაუზალური დელიქტის (Verursachungsdelikt) დასჯადმა შემადგენლობამ. სადღეისოდ დანაშაულის ასეთი შემადგენლობა პრინციპულად შეუძლებელია, რითაც არ

გვეთქმის, რომ ის მომავალშიც შეუძლებელი იქნება“.190 ვ. ჰარდვიგის კრიტიკის სიმცდარე ჰ. კელზენის მიერ ნახმარი სიტყვა „პრინციპულის“ დამახინჯებული გაგებითაა გამოწვეული. „პრინციპულში“ ჰ. კელზენი გულისხმობს ჰიპოთეზურს, თეორიულად შესაძლოს და არა პრაქტიკულ სინამდვილეში განხორციელებადს. გარდა ამისა, ვ. ჰარდვიგის შენიშვნიდან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ის, კვლავაც ჰ. კელზენის საწინააღმდეგოდ, კაუზალობას ქმედების დანაშაულებრივად აღიარების აუცილებელ პირობად თვლიდეს. მაგრამ სხვაგან ვ. ჰარდვიგი ერთიანად ფანტავს ამ გაურკვევლობას: „კაუზალობის დოგმა სრული უსაფუძვლობაა. ამისდა კვალად, უსაფუძვლოა მტკიცებაც: პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს საზიანო შედეგისათვის პასუხისმგებელი, თუ ეს მის მიერ არის გამოწვეული. უმოქმედობით ჩადენილი დელიქტებისას ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური კავშირი არ არსებობს, თუმც პასუხისმგებლობის ხარისხი აქაც ისევე მაღალია, როგორც მოქმედებით ჩადენილი შესაბამისი დელიქტებისას.“191

<u>აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი</u>

მართალია, უმოქმედობის მაგალითზეც საკმარისად ცხადიყოფა, რომ დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის გამოცხადება ფუჭი მცდელობაა, მაგრამ ეს მოცემული ნიშნის ფაკულტატიურობის ერთადერთი მიზეზი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ფაქტობრივ შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში ნათქვამია: „სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება: ა) ე. წ. შედეგიანი დანაშაული, ე. ი. დანაშაული, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურად დაზიანებას. ასეთია, მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების დაზიანება და ა. შ.; ბ) ე. წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელშიც დანაშაულის დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, სახელდობრ იმ საფეხურზე, როდესაც შექმნილია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა. ასეთია, მაგალითად, ბანდიტიზმი, ყაჩაღობა და ა. შ.; გ) ე. წ. აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალური დანაშაული, ე. ი. ისეთი დანაშაული, რომელიც დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე ან — უმოქმედობის დროს — იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო.“192 განსახილველი პრობლემის თვალსაზრისით, არსებითად იმავეს აღნიშნავს ა. ა. პიონტკოვსკიც: „დანაშაულთა იმ შემადგენლობებს, რომლებშიც შემადგენლობის ობიექტურ მხარედ კანონი მიიჩნევს საკუთრივ მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენის ფაქტს, მათ მიერ გარესამყაროში გამოწვეული შემდგომი შედეგების მიუხედავად, დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობებს უწოდებენ (მაგალი-

თად, განსაცდელში მიტოვება), ხოლო შესაბამის დანაშაულს — ფორმალურ დანაშაულს. დანაშაულთა ის შემადგენლობანი, რომლებშიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის კანონი მოითხოვს მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული იყოს გარკვეული დანაშაულებრივი შედეგი, ეწოდება დანაშაულის მატერიალური შემადგენლობანი (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქურდობა, ქონების განადგურება და სხვ.), ხოლო შესაბამის დანაშაულს — მატერიალური დანაშაული“.193 ამდენად, თუ შედეგიანი ანუ მატერიალური დანაშაულის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა (იგულისხმება პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის), ფორმალურ დანაშაულში პასუხისმგებლობის ერთადერთ ორიენტირს ქმედება განასხეულებს. ფორმალური დანაშაული სისხლისსამართლებრივად „უშედეგო“ დანაშაულია. აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალურ დელიქტებსაც სავსებით შესაძლოა გარე სამყაროში საზიანო შედეგის დადგომა მოჰყვეს, მაგრამ ეს უკვე პასუხისმგებლობის ხარისხის და არა პასუხისმგებლობის როგორც ასეთის განსაზღვრას დაუკავშირდება. მაშინ როდესაც მატერიალური დანაშაულის *causa materialis* ქმედებაა, ხოლო *causa formalis* — შედეგი, ფორმალურ შემადგენლობებში ამ ორივე მომენტს სრულყოფილად მოიცავს მხოლოდ ქმედება. ამიტომ უკანასკნელთან მიმართებაში შედეგი ყოვლად უმნიშვნელოა. მაგრამ, თუ უმნიშვნელოა შედეგი, არ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. უფრო მეტიც, ყველა იმ შემთხვევაში, როცა ფორმალური დანაშაული გარე სამყაროში არანაირ შემდგომ ცვლილებას არ იწვევს, შედეგი არ არსებობს არც სისხლისსამართლებრივად და არც რეალურად, ე. ი. კაუზალური კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის არამცთუ სრული უმნიშვნელობა, სრული ირეალურობაცაა.

მაშასადამე, ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური კავშირი დანაშაულის გარეგანი მხარის კონსტიტუციური ელემენტი ვერ იქნება, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: უმოქმედობის დროს თუმც მოიცემა ქმედებაც და შედეგიც, მაგრამ მიზეზობრივი ურთიერთობის გარეშე და, მეორეც, ფორმალური დელიქტი არც ერთ შემთხვევაში შედეგით დაფუძნებული დელიქტი არ არის. ეს გარემოება კი შეუძლებელს ქმნის კაუზალობის ხსენებული სახისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ზოგადობას; პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირისადმი კერძო შემთხვევაა და არა ზოგადი.

§4. ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის განხორციელების ფორმისადმი

ნორმატიული ასპექტი

დანაშაულის განხორციელების ფორმებად ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრება, ისევე როგორც ამას საყოველთაოდ აქვს ადგილი, განიხილავს მოქმედებას და უმოქმედობას. ჩვენი აზრით, ანალიზის წარმართვა უკანასკნელი მიმართულებით მეთოდოლოგიურად გაცილებით უმჯობესია, ვინაიდან წინამდებარე პრობლემის არსი უფრო ვრცლად და უფრო მკვეთრად სწორედ უმოქმედობაში აისახება.

ფორმალურად მოქმედებისა და უმოქმედობის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმ ნორმის შინაარსში, რომლის რეგულირების ობიექტიცაა სათანადო ქმედება. ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით, მავალებელი ნორმისა — მხოლოდ უმოქმედობით ანუ გარკვეული დადებითი მოქმედების შეუსრულებლობით. მაგრამ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ამ შედარების სისწორე ერთხმად არ არის გაზიარებული. კ. ენგიშის აზრით, „არა ნორმის შინაარსი განსაზღვრავს, თუ რა არის მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ პირიქით, ნორმის ხასიათი როგორც მავალებელი ან ამკრძალავი ქცევის წესისა თვითონვე დგინდება იმისდა მიხედვით, თუ რა შეადგენს მის შინაარსს — მოქმედება თუ უმოქმედობა“.194 ეს მიუღებელია. ნორმის შექმნის პროცესში თავდაპირველად ირკვევა განსაზღვრული ქმედების აკრძალვის ან დავალდებულების აუცილებლობა და მხოლოდ აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ქმედება აკრძალვისა და დავალდებულების მიხედვით უნდა დაიყოს მოქმედებად და უმოქმედობად. მოქმედება იკრძალება არა იმიტომ, რომ ის მოქმედებაა, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სისხლისსამართლებრივად დაუშვებელია, ე. ი. პირველადი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეუწყნარებლობაა, ხოლო ქმედების ფორმა (მოქმედება და უმოქმედობა) მეორადია. ამიტომ არა ქმედების ცალკეული სახე განსაზღვრავს ნორმის შინაარსს, არამედ თვით ნორმის ამკრძალავი და მავალებელი ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მოქმედება და უმოქმედობა.

კ. ვოლფი თვლის, რომ მსგავსი დიფერენციაცია, რომელი მხარეც არ უნდა დაედოს მას სათავედ, მეტად პირობითი და, ამასთან, ყოვლად არაპრაქტიკაბელური დიფერენციაციაა, რადგან, მისივე თქმით, მავალებელ და ამკრძალავ ნორმებს მარტივად ძალუძთ ერთმანეთის ფუნქციათა შეთავსება. აკრძალვა „ნუ დაფარავ გადასახადს!“ და მავალებელი ნორმის დისპოზიცია „გადაიხადე გადასახადი!“ კ. ვოლფის თანახმად, შინაარსობრივი იგივეობით უნდა გამოირჩეოდეს.195 მაგრამ თუ ეს ორი მოთხოვნა გავაერთიანეთ ბოლოში: „გადაიხადე გადასახადი!“, უნდა მივიღოთ, რომ გადასახადის ყოველგვარი გადაუხდელობა ამავე დროს მისი დაფარვაც ანუ კონკრეტული დანაშაულებრივი უმოქმედობაც არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. გადასახადის გადაუხდელობა გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა გადამხდელი თუმც არ ფარავს, მაგრამ ურჩად არიდებს თავს მის გადახდას. ამსახად, აკრძალვა „ნუ დაფარავ გადასახადს!“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დატვირთვის მქონეა და მისი ინტეგრირება სხვა სამართლებრივ ნორმაში გაუმართლებელია.

არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ გ. ჰუსერლის მიდგომაც, რომელიც ამტკიცებს: „მავალებელი და ამკრძალავი ნორმები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა უდევს საფუძვლად გარკვეულ ქცევას (ქმედებას): მართლწესრიგის თანხმობა თუ უარყოფა, „პოზიტიური“ თუ „ნეგატიური“ სამართლებრივი ნება. და ვალდებულების ამ პოზიტიურობისა თუ ნეგატიურობისათვის უმნიშვნელოა, ნაგულისხმევი ქცევა, მეტასამართლებრივი შეხედულებით, პოზიტიურია (მოქმედება) თუ ნეგატიური (უმოქმედობა)“.196 ეს ზემოგანხილული უკიდურესობის საპირისპირო, მოქმედებისა და უმოქმედობის სამართლებრივი მნიშვნელობის უარმყოფელი უკიდურესობაა. ის, რომ გ. ჰუსერლი, კ. ენგიშისაგან განსხვავებით, სამართლის ნორმის შინაარსის განსაზღვრას ქმედების ფორმის პირველადობას არ უქვემდებარებს, მისი მოსაზრების უცილოდ დადებითი მხარეა. მაგრამ ამ უკანასკნელი მომენტის (ქმედების ფორმის) სრული ნეგირების არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება. სამართლებრივი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის მოვლენა, მუდამჟამს ერწყმის ინერციულად მომიჯნავე მოვლენათა მთელ რიგს, როგორც შინაარსის, ისე ფორმისა და რეალიზების თვალსაზრისით. ფენომენთაშორისი ლოგიკური კავშირის აუცილებლობას ს. ჯევონსი ასე გადმოგვცემს: „... იშვიათად თუ შევძლებთ მოვლენის ერთიან იზოლაციასა და აბსოლუტურ მხოლოობაში დანახვას. ასე მაგალითად, თუ ექსპერიმენტატორს სითბოსაგან სითხის დილატაციის გაზომვა სურს, ის ათავსებს მას მინის თერმომეტრულ მილაკში და თვალყურს ადევნებს სითხის სვეტის ამაღლებას. მაგრამ სითხის გახურება ობიექტურად შეუძლებელია მინის სინქრონულად გახურების გარეშე, საიდანაც ირკვევა, რომ სასრული ცვლილება სითხისა და მინის პარალელურ დილატაციათა შორის მიღებული სხვაობაა. უფრო დაწვრილებითი ანალიზი სხვა მოქმედების გათვალისწინებასაც გვაიძულებს, კერძოდ, სითხის შეკუმშვისა და ბირთვის გაფართოების, რაც სვეტის გადიდებით მიღებული წნევის პროგრესირების შედეგია“.197 იმავე განუყოფელ კავშირშია ნორმის ამკრძალავი და მავალებელი შინაარსი მოქმედებასა და უმოქმედობასთან. უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა. ამის უმნიშვნელობის აღიარება ნიშნავს ვაღიაროთ, რომ სისხლის სამართლისთვის სისხლის სამართლის ნორმის რეალიზება-მოქმედებაც კატეგორიულად უმნიშვნელოა. სხვა საკითხია, თუ რაოდენ იმსახურებს სისხლის სამართლის ინტერესს მოქმედებისა და უმოქმედობისადმი, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხებისადმი, სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება. ქმედების ფორმათა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ცნობა ჯერ სულაც არ მოწმობს, რომ მათდამი ფსიქიკური დამოკიდებულებაც სისხლისსამართლებრივად ასევე მნიშვნელოვანია.

ქმედების ფორმისა და ნორმის შინაარსის ურთიერთობას საკმაოდ საინტერესოდ აღგვიწერს ფინალისტი ა. კაუფმანი: „ვალდებულების ლოგიკით, რომელსაც ჩვენი კვლევა ემყარება, დგინდება, რომ „თითოეული ვალდებულია შეასრულოს მოქმედება b“ იგივეა, რაც „მოქმედება b საყოვე-

ლთაოდ სავალდებულოა“. ხოლო „მოქმედება a არ უნდა შესრულდეს“ გულისხმობს იმას, რომ სუბიექტი „ვალდებულია შეასრულოს არა მოქმედება a“ და არა იმას, რომ მოქმედება a-ს შესრულება სავალდებულო არ არის“.198 ე. ი. დანაშაულებრივი უმოქმედობა ა. კაუფმანისათვის არის არა საკუთრად „უმოქმედობა“, არამედ „სხვაგვარი მოქმედება“; სუბიექტი ისჯება არა იმის გამო, რომ მან არ იმოქმედა, არამედ იმის გამო, რომ მან იმოქმედა არასათანადოდ ანუ იმოქმედა სხვაგვარად. ამ თეზისის უსუსურობის დასადგენად საკმარისია განვიხილოთ ნებისმიერი დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ უმოქმედობით. მაგალითად, განსაცდელში მიტოვება. საქართველოს სისხლის სამართლის 129-ე მუხლის მიხედვით, ეს არის შეგნებულად მიტოვება დახმარების აღმოუჩენლად პირისა, რომელიც იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა ამ პირზე ზრუნვა და შესაძლებლობა ჰქონდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. როდესაც სუბიექტი შეუფერხებლად განაგრძობს თავის საქმიანობას და ამით სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს ყურადღებას არ აქცევს, გასაგებია, რომ ის მოქმედებს. ამასთანავე, არავისთვის არის უცხო, რომ სხვადასხვა ობიექტის მიმართ ინდივიდი ერთდროულად შეიძლება მოქმედებდეს და უმოქმედობდეს კიდეც. მოცემულ შემთხვევაში თავისი საქმიანობის მიმართ სუბიექტი მოქმედებს, განსაცდელში მყოფი პირის მიმართ კი უმოქმედობს. ამრიგად, სუბიექტი აქ მართლაც მოქმედებს სხვაგვარად, ვიდრე უნდა ემოქმედა, მაგრამ დასჯადობის საფუძველი ამ სხვაგვარი მოქმედებით გამოწვეული უმოქმედობაა და არა თვით ეს სხვაგვარი მოქმედება. ხოლო თუ პირი საერთოდ არ მოქმედებს (გაუნძრევლად შეჰყურებს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილ სხვა პირს), მაშინ მოქმედების მომენტი ერთიანად გამოირიცხება. სუბიექტი შესაძლებელია მოქმედებდეს რეალურად, ფაქტობრივად და, ამავე დროს, არ მოქმედებდეს სისხლისსამართლებრივად (საკუთარი აქტიური საქმიანობის განგრძობა განსაცდელში მიტოვებისას), მაგრამ დაუშვებელია, რომ სუბიექტი მოქმედებდეს *სისხლისსამართლებრივად,* თუ ის არ მოქმედებს *ფაქტობრივად.* თავის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობასთან სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის წინააღმდეგობაში მოყვანა არამც და არამც არ იქნება მისი წარმატებული დეფინირების საწინდარი. გერმანელი კრიმინალისტის ზიგვარტის ჭეშმარიტი მტკიცებით, „სისხლის სამართალში ცნებათა განსაზღვრის ყოველგვარი ცდა მყარად და განუხრელად უნდა ეფუძნებოდეს ჩვეული ცხოვრების ლექსიკას, რათა ეს ცნებები ხელმისაწვდომი შეიქმნას წარმოსახვისა და კვლევისათვის“.199 შესაბამისად, დანაშაულებრივი უმოქმედობის სხვაგვარ ანუ არასათანადო მოქმედებად დეკლარირება, როგორც ამას ა. კაუფმანი გვთავაზობს, უნიადაგო მცდელობაა.

მაგრამ ერთობ საგულისხმოა ა. კაუფმანის მორიგი მოსაზრება: „მავალებელი და ამკრძალავი ნორმები განსხვავდება ერთიმეორისაგან ვალდებულების საგნით, რაც ნათელყოფს, თუ რაოდენ მცდარია დავალდებულე-

ბის დარღვევის (Gebotsverstoß) აკრძალვის დარღვევაზე (Verbotsverstoß) სისხლის სამართლის დოგმატიკაში გავრცელებული გადატანა: თითქოს სასიკვდილო შედეგის აცდენის მოვალეობის დარღვევით დამნაშავე არღვევს მკვლელობის აკრძალვასაც. აგრეთვე: თუ დამნაშავე არღვევს წინდახედულობის მოვალეობას, მისი ქმედება, აკრძალვის თვალსაზრისით, უკვე ამიტომ არის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო; ანაც იგივე აზრის შებრუნებული გაგებით: როდესაც გაუფრთხილებლობით ირღვევა სხეულის დაზიანების აკრძალვა, სუბიექტს ეს ქმედება ერაცხება ბრალად იმიტომ, რომ მან დაარღვია წინდახედულობის მოვალეობა. — ეს დასკვნები რომ ნორმატიულ-ლოგიკურად წუნდაუდებელი არ არის, ახსნას არ საჭიროებს".200 მაგრამ ა. კაუფმანი ამის ახსნას მოგვიანებით მაინც იძლევა. ის აღნიშნავს, რომ თუ ქმედება ერთდროულად ქვემდებარეა მავალებელი და ამკრძალავი ნორმისა, ეს მოასწავებს ორმაგ უარყოფას, ორმაგი უარყოფა კი — ნებადართულობას. რა თქმა უნდა, ეს ასეც არის. მოვალეობისა და აკრძალვის მნიშვნელობათა თანხვედრა დაიშვება მხოლოდ ვალდებულების საგანთა იგივეობის შემთხვევაში, მაგრამ მოქმედებისა და უმოქმედობის სახით ვალდებულების საგანთა სხვადასხვაობა წარმოუდგენელს ქმნის ამ ორი ცნების ურთიერთგარდამავლობას. უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისას სუბიექტი უკვე იმიტომ ვერ დაარღვევს მკვლელობის აკრძალვას, რომ უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის *ვალდებულების საგანია,* ე. ი. ამგვარი ნორმის ადრესატისათვის უმოქმედობა მოვალეობაა და ყოველთვის, როცა სუბიექტი უმოქმედობს, ის ასრულებს და არა არღვევს ამკრძალავი ნორმის მოთხოვნას.

რაც შეეხება აკრძალვაში ნეგატიურობის მომენტს, ა. კაუფმანი მიიჩნევს, რომ აკრძალვა არის არა „ნეგატიური ნორმა", არამედ ნეგატიური შინაარსის ნორმა, საიდანაც უმოქმედობის მოვალეობა წარმოდგება. ნეგატიურ აქცენტს ატარებს არა „ვალდებულობა" (das Sollen), არამედ ვალდებულება (das Gesollte). ვფიქრობთ, ეს არ არის მართებული. შინაარსობრივად მავალებელი და ამკრძალავი ნორმები ერთსა და იმავეს მოითხოვენ, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ამკრძალავი ნორმის „ნუ მოკლავ!" შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართალი იცავს თავის სუბიექტთა სიცოცხლის უფლებას. მაგრამ შესაბამისი მავალებელი ნორმის შინაარსიდანაც ხომ იგივე დასკვნას ვღებულობთ: როდესაც კანონმდებელი განსაცდელში ანუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვებას დასჯადად აცხადებს, განა ეს სიცოცხლის უფლების დაცვა არ არის? განსხვავება ვლინდება მხოლოდ იმაში, რომ პირველი მოთხოვნა სრულდება პოზიტიურად (მოქმედებით), უკანასკნელი კი — ნეგატიურად (უმოქმედობით). ამიტომაც ნეგატიურობა არის აკრძალვის არა შინაარსის, არამედ ფორმის ნიშანი.

მაგრამ რა პირობებში ეკისრება სუბიექტს მოქმედების ვალდებულება? „სამართლებრივი მოვალეობა, — წერს ფ. ალფელდი, — არ უნდა სცილდებოდეს მოქმედების შესაძლებლობის ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში მოვალეობა დაკარგავს რეალურ იურიდიულ ძალას: *ultra posse nemo obligatur*!“201 ამის მაგალითებად მოტანილია სამი სხვადასხვა შემთხვევა: A-ს არ შეიძლება ევალებოდეს დახმარების აღმოჩენა, თუ ის უბედური შემთხვევის ადგილიდან მიუწვდომლად შორს იმყოფება, არც B-ს, რომელიც თუმც შორიახლოსაა, მაგრამ არაფერი უწყის მომხდარის შესახებ და არც სრულიად პარალიზებულ C-ს, რომელიც ყოველივე მომხდარის თვითმხილველია. ამის გამო სამივე სუბიექტს, ავტორის აზრით, უბედური შემთხვევისას დახმარების აღმოჩენის ვალდებულება ეხება მხოლოდ *in abstractio*; მავალებელი ნორმის კონკრეტიზების ანუ სამართლებრივი მოვალეობის აქ და ამჟამად მოქმედების პირობა სუბიექტის „კონკრეტული ქმედუნარიანობაა“, რაც სავსებით ბუნებრივი და მისაღებია. ამასთან, გაუმართლებელია კ. ბინდინგის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, როდესაც ის ქმედუნარიანობას განმარტავს როგორც ნორმის ცოდნასა და მისი შესრულების შესაძლებლობას.202 კრიტიკის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ კ. ბინდინგის ამ განმარტებით ქმედუნარიანობისა და მოქმედების ვალდებულების ცნებები ერთმანეთს არ გადაკვეთს, რომ ისინი პარალელურია. მაგრამ ცნებათა პარალელურობა სხვა რამ არის, ვიდრე ეს ფ. ალფელდსა და ზოგიერთ სხვა კრიმინალისტს აქვს წარმოდგენილი. მოქმედების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეა მავალებელ ნორმაში აბსტრაქტულად აღწერილი ქმედების კონკრეტულად განხორციელების შესაძლებლობიდან, შეიძლება ნიადაგ თან არ სდევდეს ქმედუნარიანობას ისე, რომ ამით მოცემულ ცნებათა პარალელურობა არ დაგვერღვეს. ცნებათა პარალელურობა ნიშნავს არა იმას, რომ ისინი ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა განაპირობებდნენ ერთმანეთს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ერთი ცნების დადგომამ არ უნდა გამორიცხოს მეორე ცნების დადგომა. მაშასადამე, კ. ბინდინგის მტკიცებაში არაფერია ალოგიკური, როცა ის ქმედუნარიანობისა და მოქმედების ვალდებულების ცნებებს პარალელურ ცნებებად წარმოგვიდგენს.

მაგრამ, სხვა მხრივ, ზემოხსენებულ განმარტებას გარკვეული რეაქციულობის ელფერიც დაჰკრავს: კ. ბინდინგი ქმედუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად ნორმის ცოდნას აცხადებს, ე. ი. თუ სუბიექტი არ იცნობს სისხლის სამართლის ნორმას, ის ქმედუუნაროა და ამით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ ხელშეუვალი იმუნიტეტითაც სარგებლობს. დავეთანხმოთ კ. ბინდინგს ნიშნავს, ვერ დავსაჯოთ დამნაშავეთა უმეტესობა, ვინაიდან ბინდინგისეული ქმედუუნარობის ხელოვნური შექმნა იშვიათად წარმოადგენს რაიმე სირთულეს.

ფონ ლისტი, მსგავსად ა. კაუფმანისა, აღნიშნავს: „უმოქმედობა გარდამავალი ზმნაა (ein transitives Zeitwort), რომელიც არა „არაფრის კეთების“, არამედ „განსაზღვრული რამის არგაკეთების“ ტოლია. ის არ არის „არაფრის მიმდინარეობის“, „გარე სამყაროს შეუცვლელობის“ ან „ფიზიკური სიმშვიდის“ ეკვივალენტი“.203 მაგრამ იქვე წინააღმდეგობრივად დასძენს: „უმოქმედობის ცნებით გამოიხატება, რომ სუბიექტს თავისი მოქმედებით, რომლის შესრულება მას შეეძლო და ევალებოდა, მაგრამ არ შეასრულა,

უნდა აეცდინა დამდგარი შედეგი; ამრიგად, უმოქმედობის ცნებაში მოცემულია მოქმედების კაუზალობის ანალოგიური ნიშანი, მაგრამ არა თვით კაუზალობა“.204 მაშ, ფონ ლისტის თანახმად, კაუზალობა გარე სამყაროში ცვლილების გამოწვევის აუცილებელი წინამძღვარი არ არის!

უმოქმედობის ობიექტური და სუბიექტური ასპექტები

ვგონებთ, გ. რადბრუხის პოზიცია, ფონ ლისტის შეხედულების საპირისპიროდ, თითქმის ზუსტად ასახავს არსებულ სინამდვილეს. გ. რადბრუხის მიხედვით, „უმოქმედობა არის მოქმედების შეუსრულებლობა, მიუხედავად ფიზიკური შესაძლებლობის არსებობისა“.205 ამ აზრს იზიარებს ლ. ტრაეგერიც: „უმოქმედობა წარმოადგენს ნორმის სუბიექტის მიერ მისგან სისხლისსამართლებრივად მოსალოდნელი მოქმედების შეუსრულებლობას, თუ მისი შესრულება სუბიექტის ნებელობით უნარს (die Willensmacht) არ აღემატებოდა. ანაც მოკლედ: ეს მოსალოდნელი შესაძლო მოქმედების შეუსრულებლობაა“.206 გარდა იმისა, რომ უმოქმედობა როგორც დანაშაულებრივი ქმედების სახე შეუმცდარად გადმოიცემა, აქ მოქმედების შესაძლებლობის ობიექტური და სუბიექტური ასპექტებიც თანაგვარად არის გათვალისწინებული (რასაც გ. რადბრუხის ზემომოყვანილ პოზიციაზე ვერ ვიტყვით). მოქმედების „ფიზიკური შესაძლებლობა“ უმრავლეს შემთხვევაში შეურაცხადსაც გააჩნია, მაგრამ მისი „ნებელობითი უნარი“ იმზომ დაბალია, რომ მას საკუთარი ნების შესაბამისად მუდამ როდი შეუძლია იმოქმედოს.

მკაფიოდ გამოყოფს სუბიექტურ მხარეს ვ. ზაუერიც: „ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებისა და ნების თავისუფლება უმოქმედობის დასჯადობის უმთავრესი წინაპირობებია... ცურვის უცოდინარი, როდესაც ის დახმარების აღმოჩენისაგან თავს იკავებს, ბრალეულად არ უმოქმედობს; უმოქმედობის სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად განსაზღვრა არ დაიშვება, თუ სუბიექტს არ შესწევდა უნარი ემოქმედა. მოქმედების თავისუფლება არ განეკუთვნება არც მიზეზობრიობის, არც ბრალეულობისა და არც სამართლებრივი მოვალეობის საკითხს, ის უშუალოდ ქმედების, როგორც ასეთის, სფეროთი შემოისამნება და წინ უსწრებს ყველა დანარჩენ პრობლემას“.207 ქმედების თავისუფლებისა და ნების თავისუფლების ანუ ბრალეულობის საკითხთა ურთიერთგანცალკევებას მივყავართ ერთადერთ სწორ დასკვნამდე: ინდივიდუალური აქტის გარეგანი (ობიექტური) და შინაგანი (სუბიექტური) მხარეების თანაფარდობა უმოქმედობის დროსაც იგივეა, რაც მოქმედებისას. გარეგნულად აქტის განხორციელება, ე. ი. ფაქტობრივი უმოქმედობა, მსგავსად ფაქტობრივი მოქმედებისა, ჯერ არ აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამეთუ უმოქმედობა ისევე, როგორც მოქმედება, შესაძლოა ჩადენილ იქნეს იძულებით ან „ნებელობითი უნარის“ უქონლობით (შეურაცხადობით).

ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის ვ. ზაუერის მიდგომა ნორმისა და მოვალეობის ურთიერთობისადმი. სისხლისსამართლებრივი ნორმისა და სისხლისსამართლებრივი მოვალეობის სხვაობის დასტურია თუნდაც ის, რომ ნორმის მიხედვით სუბიექტს შეიძლება ევალებოდეს გარკვეული მოქმედების ჩადენა, მაგრამ გამამართლებელ გარემოებათა არსებობით ეს მოვალეობა ქარწყლდება. ამგვარად, ვ. ზაუერი მოვალეობას არ განიხილავს როგორც ინტრანორმატიულ კატეგორიას, რაც არ უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს მოვალეობა, ამავე დროს, კატეგორიალურად ზენორმატიული ცნებაა. მოვალეობის ინტრანორმატიულობის უარყოფა რომ მის ზენორმატიულობას არ ამკვიდრებს, გამომდინარეა გამამართლებელ გარემოებათა რაგვარობიდან. ისინი არსებობენ არა თავისდათავად, არა ნორმათა სისტემის მიღმა, არამედ წარმოსდგებიან სათანადო ნორმისადმი სხვა დაპირისპირებული ნორმის ანუ კონტრნორმის შინაარსიდან. სუბიექტს მხოლოდ ნორმათა ოპერირებით შეუძლია დაადგინოს, რომ კონკრეტულ ვითარებაში მას მოქმედების ვალდებულება არ ეკისრება.

„ობიექტური შეუძლებლობისას, — წერს ე. შმიდტი, — ნების შესაბამისი ქმედება (das willkürliche Verhalten) გამოირიცხება და ამიტომ არ არსებობს უმოქმედობაც: ისიც იძულებისაგან თავისუფალი, წარმოდგენებით განსაზღვრული ქმედებაა“.208 პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ჩვენ მთლიანად ვემხრობით ვ. შმიდტის თვალთახედვას და ვთვლით, რომ უმოქმედობა, თუ ის ნების თავისუფლებასთან ერთად წარმოსახვითი განსაზღვრულობითაც არ ხასიათდება, არ შეიძლება იყოს დასჯადი ქმედება. როდესაც სუბიექტი სრულყოფილად იცნობს ნორმის შინაარსს, მაგრამ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესს ნორმაში აღწერილი ვითარების შესატყვისად არ წარმოიდგენს, მისი უმოქმედობა ბრალეული არ არის. ის შესაძლოა ხედავდეს, მაგრამ იმავდროულად არ წარმოიდგენდეს, რომ სხვა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია და რომ მისი ჩარევის გარეშე ვერ გადარჩება. თვითმხილველობა და წარმოდგენა ასეთ შემთხვევაში გაშუალებულია ბრალის გამომრიცხველი გარემოებით, რომელსაც სისხლის სამართალში ფაქტობრივი შეცდომა ეწოდება.

უმოქმედობის ნებელობით მხარეს თავისებურად გადმოგვცემს კ. ენგიში: „უმოქმედობა, მოქმედების მსგავსად, ნების შესაბამისობას მოითხოვს, რომელშიც სხვაგვარად მოქმედების ფსიქოფიზიკური შესაძლებლობა იგულისხმება. რკინიგზის შებოჭილი მეისრე დასჯადად არ უმოქმედობს, რადგანაც მას ეს ქმედების თავისუფლება არ მოეპოვება.209 ჩვენი აზრით, კ. ენგიში უსაფუძვლოდ აიგივებს ქმედების თავისუფლებასა და ნების შესაბამისობას ანუ ნების თავისუფლებას. ქმედებაში ნების გამოხატულებით ეს უკანასკნელი იქცევა ამ პირველის მხოლოდ კომპონენტად. ამიტომ ნება მოიცავს მხოლოდ ნაწილს იმისას, რისი მომცველიც ქმედების შინაარსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნება ფსიქიკური, ხოლო ქმედება ფსიქოფიზიკური კატეგორიაა. რკინიგზის შებოჭილი მეისრე ფსიქიკურად თავისუფალია, ე. ი. მას აქვს ნების თავისუფლება, მაგრამ, ფიზიკური

იძულების გამო, ის მოკლებულია ქმედების თავისუფლებას როგორც ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობას.

ჰ. მეიერი ასერიგად განმარტავს უმოქმედობას: „უმოქმედობა ზუსტად ისევე, როგორც მოქმედება, ნების განხორციელებაა. უმოქმედობის დროსაც დამნაშავის ქმედება უნდა იყოს ნებით დაუფლებული ან დაუფლებადი აქტი (vom Willen beherrscht oder beherrschbar). განუცხადებლობა არ არის ქმედება და, მაშასადამე, არც უმოქმედობაა, თუ სუბიექტმა უკიდურესი დაბნეულობის გამო დრო ვერ იხელთა შეთქმულთა წრიდან გასაღწევად".210 ზემოციტირებულ ავტორებთან შედარებით ჰ. მეიერის მოსაზრებაში არაფერია ახლებური, მაგრამ მისი მოტანით ცხადად იკვეთება შემდეგი ტენდენცია: როდესაც პირი მოქმედებს იძულებით, ვამბობთ, რომ ის მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად; ხოლო როდესაც სუბიექტი იძულებით უმოქმედობს, ვაცხადებთ, რომ სისხლისსამართლებრივად ის არ უმოქმედობს საერთოდ. არის თუ არა ეს ლოგიკურად სწორი? დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ანალიზი მიმდინარეობს არა სუბიექტური ქმედებიდან დანაშაულის ფაქტამდე, არამედ პირიქით, დანაშაულის ფაქტიდან სუბიექტურ ქმედებამდე. თუ ამ შებრუნებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარე სამყაროში მომხდარი მავნე ცვლილება განსაზღვრულ კავშირშია სუბიექტის ქმედებასთან (არა უცილობლად კაუზალურ კავშირში), მაშინ მოცემული ქმედება, მიუხედავად იმისა, მოქმედებაშია ის გამოხატული თუ უმოქმედობაში, დაუყოვნებლივ იქმნება კვლევის მორიგ საგნად, მაგრამ უკვე არა როგორც ზოგადი ცნება, არამედ ცალკეული შემადგენელი ელემენტის სახით. ვერც მოქმედებისა და ვერც უმოქმედობისას გაირკვევა, რომ სუბიექტური აქტი იძულების შედეგია, თუ გამოძიებით დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპები განვლილი არ არის. ამ მხრივ, უმოქმედობისათვის განსხვავებული პროცედურის დაწესება აბსოლუტური უსაგნობა იქნებოდა, რადგან საამისოდ არავითარი არგუმენტი არ მოგვეპოვება. ამასთანავე, იმ მიზეზით, რომ დანაშაულის შემადგენლობისა თუ მართლწინააღმდეგობის სფეროები სისხლის სამართლის სფეროებია, ფაქტობრივი უმოქმედობა ამ სივრცეებში შეღწევით სისხლისსამართლებრივ რეალობას უერთდება და მექანიკურად იქცევა სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად. ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება ყველა იმ ავტორის მტკიცება, ვინც იძულებით უმოქმედობას სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად არ განიხილავს.

მათ რიცხვშია ე. მეცგერიც. ის წერს: „როგორც აქტიური მოქმედების დროს ნებელობა ქმედების ცნებას განეკუთვნება, ისევე უნდა მოვითხოვოთ ეს მომენტი უმოქმედობის დროსაც. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად სუბიექტი არ უმოქმედობს, თუ ნორმატიული მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო დროს ის ცნობამიხდილად იმყოფებოდა".211 ე. მეცგერის მიერ დაშვებულ უზუსტობას ლოგიკის მეცნიერების ენაზე ნაჩქარევი გენერალიზაცია ეწოდება. ნებელობა ჭეშმარიტად არის დანაშაულებრივი ქმედების ცნების ნიშანი, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება სისხ-

ლისსამართლებრივი ქმედების ერთადერთი სახე არაა. სისხლისსამართლებრივი ქმედება შეიძლება იყოს: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ანუ დანაშაულებრივი. ვინაიდან პირველ ორ საფეხურზე ნებელობის საკითხი არ ირკვევა, ე. მეცგერის შეხედულება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება სისხლისსამართლებრივ ხასიათს არ ატარებს, რისი შეუძლებლობაც ჩვენ ზემოთ ნათელვყავით. ამის კვალობაზე და ე. მეცგერის პოზიციის საპირისპიროდ, უგონო მდგომარეობაში მყოფი პირიც სისხლისსამართლებრივად უმოქმედობს, თუმცაღა ეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და არა ბრალეული ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობაა.

დასახული მიმართულებით თითქმის გადაულახავ სირთულეებს ქმნის ქმედების ფინალური მოძღვრება. ფინალისტი რ. ჰონიგი აღნიშნავს: „ფაქტობრივ უმოქმედობას არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის მნიშვნელობა, თუ ის ჩადენილია სულიერი ავადმყოფობის ან ფიზიკური იძულების შედეგად. ანაც თუ სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო მოქმედების შესაძლებლობა არ არსებობდა. შედეგის დადგომასთან მიმართებაში ჩვენ მხოლოდ მაშინ ვსაუბრობთ სისხლისსამართლებრივ უმოქმედობაზე (იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც დამნაშავემ შედეგი განზრახ არ აიცილა), თუ სუბიექტს შეეძლო მისი გათვალისწინება და დაუფლება (მართვა), ე. ი. აცდენა და თუ შედეგის მიმართ უმოქმედოდ დარჩენა ფინალურად მოისაზრება“.212 სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ფინალური მოძღვრების თანახმად, ისეთი სუბიექტური მომენტი, როგორიც განზრახვაა, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვლევის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე პოვებს თავის ასახვას; თუ განზრახვა ქმედებაში იმთავითვე არ მოიცემა, ქმედება ვერ იქნება ვერც მართლსაწინააღმდეგო და ვერც ბრალეული. როგორც აშკარაა, ტრადიციული ანუ ბელინგისეული დანაშაულის შემადგენლობის ამგვარი „სუბიექტივირება“ ძირეულად უცვლის სახეს სისხლისსამართლებრივი ქმედების შინაარსს. მისი სამივე სახის ერთნაირად აუცილებელ ნიშანს ფინალურობა შეადგენს, სამივე სახის ქმედება ფინალური ქმედებაა. ამიტომაც აქ უკვე არ გვეთქმის, რომ ცნობამიხდილად ან სხვა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირი სისხლისსამართლებრივად უმოქმედობს.

ფინალური მოძღვრების ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი ჰ. ველცელი აცხადებს: „მხოლოდ სუბიექტური აქტის კონკრეტულად შესაძლო ან პოტენციურ-ფინალური დაუფლება გარდაქმნის უმოქმედობის ფაქტობრივ სახეს სისხლისსამართლებრივად... რადგან უმოქმედობის კონსტიტუციური ნიშანი ქმედების პოტენციური ფინალური დაუფლებაა, ის (უმოქმედობა) მოითხოვს არა აქტუალურ, არამედ მხოლოდ პიროვნებისათვის შესაძლო ნებელობით აქტს“.213 იმავეს შენიშნავს რ. მაურახიც: „უმოქმედობის სისხლისსამართლებრივ შინაარსს აფუძნებს არა ფინალურად მოქმედების უნარი, არამედ მხოლოდ სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა... სისხლის-

სამართლებრივ უმოქმედობაზე ვერ ვისაუბრებთ მარტოოდენ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ მოეპოვებოდა მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა“.214 რ. მაურახის შეხედულება თავის თავშივე მოიცავს წინააღმდეგობას: სუბიექტს შეიძლება მოეპოვებოდეს მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, მაგრამ არ გააჩნდეს ფინალურად მოქმედების უნარი, ურომლისოდაც, თვით ფინალისტების მტკიცებით, დაუშვებელია ქმედების სისხლისსამართლებრივად აღიარება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რ. მაურახის მიერ ნახსენები „სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა“ და ამ მოქმედების შესრულების ობიექტური შესაძლებლობა იდენტური ცნებები არ არის, ვინაიდან ეს პირველი ამ უკანასკნელთან ერთად თავად ფინალური მოქმედების უნარსაც მოიცავს. ჰ. ველცელი, რომელიც შედარებით უფრო შორს მიდის თავის შეხედულებებში, გაცილებით უკეთ გამოხატავს თავის პოზიციას. მაგრამ ეს მით უფრო ცხადქმნის, თუ რაზომ რთულია ფინალური მოძღვრების პრინციპთა უმოქმედობისათვის მისადაგება. ჰ. ველცელის „პოტენციური ფინალურობა“ რომ განზრახვას არ უდრის, ეს თვით ველცელისთვისაც ეჭვს არ ბადებს. „პოტენციური ფინალურობა“ ანუ „პოტენციური განზრახვა“ აქ პირობითად გაგებული გაუფრთხილებელი ბრალია. ამავე დროს, შეიძლება კი დავუშვათ გაუფრთხილებლობის გამოვლინება, რა სახითაც უნდა იყოს იგი, რა ჟამსაც ვამტკიცებთ, რომ უმოქმედობის ინტელექტუალური მხარისათვის ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის? ცხადია, მსგავსი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებით უმოქმედობისას ბრალის სრულყოფილად გრადირება, მისი შინაარსობრივ-სტრუქტურულად ზუსტი გადმოცემა ვერ მიიღწევა.

შვეიცარიელი კრიმინალისტები უმოქმედობის განმსაზღვრელ ორიენტირად სისხლისსამართლებრივი მოვალეობის გამოყოფას ცდილობენ. ე. ჰაფტერი მიიჩნევს: „უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი შეფასება უნდა დაემყაროს იმას, რომ დამდგარი საზიანო შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო სუბიექტის მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედების მეოხებით“.215 ო. ა. გერმანის თანახმადაც, უმოქმედობა მხოლოდ მაშინ გაუტოლდება აქტიურ მოქმედებას, თუ სუბიექტს მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით შეეძლო მავნე შედეგის აცდენა.216 მართალია, შვეიცარიელი კრიმინალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი ამგვარად ვალდებულების მომენტს უსვამენ ხაზს, მაგრამ სინამდვილეში, რის აქცენტირებასაც ისინი ახდენენ, არის არა სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, არამედ სწორედ შედეგი. თუ უმოქმედობასთან მიმართებაში ვალდებულებას განვმარტავთ როგორც პრიორიტეტულ ფაქტორს, მისი დარღვევა უნდა იყოს ბრალეული იმისდა მიუხედავად, შეეძლო თუ არა სუბიექტს მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით საზიანო შედეგის თავიდან აცილება. უფრო მეტიც, ე. ჰაფტერისა და ო. გერმანის დებულებებს ე. წ. ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის ყოველმხრივ დეკრიმინალიზაციამდეც მივყავართ (ყოველმხრივობაში ნაგულისხმევია განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალის ოთხივე ქვესახე). ჰიპოთეზურ შედეგიან

დელიქტად სისხლის სამართალში ცნობილია ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული საზიანო შედეგი დადგებოდა სუბიექტის მართლზომიერი ქმედების შემთხვევაშიც. ე. ჰაფტერისა და ო. ა. გერმანის მიხედვით, მოცემული დელიქტი ვერ იქნება დასჯადი სწორედ იმის გამო, რომ მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით ან უმოქმედობით საზიანო შედეგის აცდენა არ მოხერხდებოდა, რითაც ვალდებულების დარღვევა, როგორც ასეთი, პასუხისმგებლობის მიმართ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ხაზი გაესმის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის პრიმატულობას!

ავსტრიელი კრიმინალისტი ფ. ნოვაკოვსკი მიუთითებს: „უმოქმედობა არ არის წმინდად ნეგატიური ცნება, მის შინაარსს თვით შეუსრულებელი მოქმედება ავსებს.... ნების შესაბამისობა უმოქმედობისას (ისევე, როგორც მოქმედებისას) ბრალეულობის წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს“.217 ფ. ნოვაკოვსკის მიერ მოტანილი „ნების შესაბამისობა“ უცილობლად სურვილის შესაბამისობის მცდარი ეკვივალენტია, სხვაგვარად სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რა აზრის გადმოცემა სურს ავტორს. როგორც წესი, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისას სუბიექტს მართლაც არ სურს მავნე შედეგი, რადგან ჩვეულებრივ ის არის არა ამ შედეგის მიზეზთა შექმნის, მისი დაგეგმვის უშუალო ინიციატორი, არამედ მხოლოდ მისგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესების შემთხვევითი თვითმხილველი. როგორც მარტივად მისახვედრია, უმეტეს შემთხვევაში იმავე მიზეზთა გამო ვერც ქმედება შეიძლება შეადგენდეს მისი სურვილის ობიექტს. ამიტომ არის, რომ ავტორთა უმეტესობა „უმოქმედობის განზრახვას“ წარმოუდგენელ ცნებად მიიჩნევს.

ყურადღების ღირსია ფონ ვებერის შეხედულებები, რომელიც ერთგან აღნიშნავს: „მოქმედების შესაძლებლობა უმოქმედობის ცნების ნიშანი არ არის... უმოქმედობით ჩადენილი დელიქტების დროსაც ფიზიკური შეუძლებლობა მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა“.218 ხოლო სხვაგან ის ასე განმარტავს მოცემული დებულების პრინციპს: „... უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ჯერარსობისა და შესაძლებლობის კატეგორიები. შესაძლებლობა ბრალის თავიდათავი პრინციპია. ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა... სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობაც ამგვარი ბრალის პრინციპის ქვეშემთხვევაა და ამიტომ მას მხოლოდ ბრალის საფეხურზე ვითვალისწინებთ“.219 თვალნათლივ ჩანს, რომ ფონ ვებერის დებულება პრინციპულად ესატყვისება ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილ პოზიციას. ბრალი უცილოდ შესაძლებლობის კატეგორიას განეკუთვნება და არა ჯერარსობისას. მაგრამ ხერხები, რომლებითაც ფონ ვებერი ამის დასაბუთებას ესწრაფვის, ჩვენთვის მიუღებელია. ის ცდება, როდესაც ბრალს უკავშირებს სისხლისსამართლებრივი მოვალეობის არა ყოველგვარ დარღვევას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომლის დროსაც სუბიექტს

„შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა“. *ნორმის ადრესატს ევალება არა მართლსაწინააღმდეგო, არამედ ბრალეული ქმედების ჩაუდენლობა.* მართლსაწინააღმდეგოა შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობა, სუბიექტური შეცდომის პირობებში მყოფი შერაცხადი პირის მიერ ჩადენილი სხეულის განზრახ დაზიანება და ა. შ. მსგავს შემთხვევებში ინდივიდს არ შეიძლება დაევალოს სხვაგვარად მოქმედება, რადგან მას არ შესწევს ამის უნარი. მაგრამ თუ პირველ მაგალითში შეურაცხად პირს შევცვლით შერაცხადით, ხოლო მეორეში — გამოვრიცხავთ სუბიექტურ შეცდომას, ნაცვლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, მივიღებთ, ბრალეულ ქმედებას, სადაც სუბიექტს სავსებით შეიძლება დაევალოს და ევალება კიდევაც სხვაგვარად მოქმედება, ე. ი. სისხლისსამართლებრივი მოვალეობა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას თავის თავშივე შეიცავს. ამრიგად, პირი არღვევს მოვალეობას არა მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის ამ შესაძლებლობას ფლობს. აქედან გამომდინარე, ფონ ვებერს ბრალი უნდა განესაზღვრა როგორც სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ყოველგვარი და არა სპეციალური დარღვევა. მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს შესაძლებლობის სფეროდან ჯერარსობის სფეროში გადანაცვლებას? რასაკვირველია, არა, ვინაიდან შესაძლებლობა კვლავაც გადამწყვეტ პრინციპად რჩება, თუმც უკვე არა როგორც ვალდებულების მიღმა, არამედ მის ფარგლებში მდებარე ამოსავალი მომენტი.

დასასრულ, შევეხოთ ჰ. ველცელის თვალთახედვას, რომელიც ჩვენ მაღლა გაკვრით ვახსენეთ. ის უმოქმედობისთვის დანაშაულის შემადგენლობის შემდეგ ფორმულას გვთავაზობს:

„1) დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა:

ა) განსაზღვრული ვითარების მოცემულობა: დანაშაულის გეგმის არსებობა, უბედური შემთხვევისას თვითმხილველობა და სხვ.;

ბ) განსაზღვრული მოქმედების შეუსრულებლობა: დანაშაულის განუცხადებლობა, დახმარების აღმოუჩენლობა და სხვ.;

გ) დამნაშავის მიერ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.

2) დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი სიტუაციის ცოდნა (ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის. უმოქმედობა შეიძლება მივიღოთ როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლადაც)“.220 ჩვენ, ბუნებრივია, არ ვეთანხმებით ჰ. ველცელის მიერ წარმოდგენილ დანაშაულის შემადგენლობის სქემას, რამეთუ დანაშაულის შემადგენლობის შინაარსი არ უნდა იყოს ისე ვრცელი, რომ მან სუბიექტური ელემენტებიც მოიცვას. მაგრამ უშუალოდ ინტელექტუალური მომენტის სისწორეს ეს არ შეეხება. ჰ. ველცელს უცდომლად ესმის, რომ მოქმედებისა და უმოქმედობის გაიგივება ამ მხრივ დაუშვებელია. მაგალითად, განუცხადებლობის დროს დამნაშავეს უნდა სცოდნოდა არსებული დანაშაულებრივი გეგმის შესახებ და არა მხოლოდ ჰქონოდა ასეთი ცოდნის შესაძლებლობა. ამის მიზეზს შეადგენს ის, რომ ცოდნის შესაძლებლობასთან სისხლისსამართლებრივად პირდაპირ არის ასოცირებული წი-

ნდახედულობის ვალდებულება. მოქმედებისას სუბიექტი განმსაზღვრელად ზემოქმედებს გარე სამყაროზე, მოძრაობაში მოჰყავს გარეგან პროცესთა მთელი რიგი და ამიტომ მკაცრად უნდა წარმოიდგენდეს თავისი ქმედების, მის ძირითად თუ თანამდევ შედეგთა მართვადობის ხარისხს, ე. ი. ყოველი მოქმედების დროს მას სავსებით საფუძვლიანად ევალება წინდახედულობა. მაგრამ რის მომასწავებელია წინდახედულობის ვალდებულება ყოველი უმოქმედობის დროს? პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ხიდზე მიმავალი გამვლელი იმდენგზის უნდა გადაეშვას მდინარეში, რამდენ მობანავესაც თვალს მოკრავს, რათა მყარად დარწმუნდეს ამ უკანასკნელთა უსაფრთხოებაში, ან სახლის მეპატრონემ ქარის ყოველ ამოვარდნაზე საშურად უნდა შეამოწმოს სახურავის მდგომარეობა, რათა შეუცდომლად გაარკვიოს, რომ გამვლელებს არაფერი ემუქრება, ე. ი. სუბიექტი წინდახედული უნდა იყოს ყოველ წამს და ყველა ვითარებაში, რასაც სისხლის სამართალი მას ვერ მოსთხოვს.

როდესაც ჰ. ველცელი უმოქმედობის როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლად ჩადენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მისთვის მართლწინააღმდეგობის შეგნება უმოქმედობის დასჯადობის პირობათაგანი არაა. ეს უდავოდ ასეც უნდა იყოს, რადგან აღნიშნულ რაკურსში მოქმედებასა და უმოქმედობას შორის არავითარი განსხვავება არ მოგვეპოვება მართლწინააღმდეგობის შეგნების პასუხისმგებლობის წინაპირობად აღიარება უმოქმედობის დროსაც იგივე ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს ქმნის, როგორც ამას მოქმედების დროს ვხვდებით. ამდენად, დანაშაულებრივი უმოქმედობის სპეციფიცირება აქ ვერაფრით იქნება ნაკარნახევი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის ჩადენის ხერხისადმი ერთიანად უმნიშვნელოა ბრალეულობის თვალსაზრისით. რადგანაც განსახილველი სუბიექტური ელემენტის აუცილებლობა კვლევის არც ერთ ეტაპზე არ წარმომდგარა.

ჩვენ უარვყოფთ არა იმას, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის ჩადენის ხერხისადმი რეალობაა, არამედ მხოლოდ იმას, რომ ეს სისხლისსამართლებრივი ბრალის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეალობაა. შეუძლებელია სუბიექტი არ იმყოფებოდეს ფსიქიკურ დამოკიდებულებაში თავისი ქცევის სახის განსაზღვრასთან, როდესაც მას გარკვევით აქვს გააზრებული მისი შინაარსი. მაგრამ ეს არ პოვებს არსებით ასახვას ბრალის არც ნებელობით და არც ინტელექტუალურ მომენტთა ფარგლებში და არც, მით უმეტეს, თვითკმარი მესამე კატეგორიის სახით, რაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ქმედებისა და შედეგის საზოგადოებრივი საშიშროების, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირისა და დანაშაულის ჩადენის ხერხის ზემოწარმოებული სპეციალირებული კვლევა ზედმეტს ქმნის დანაშაულის

ობიექტური მხარის მომდევნო კომპონენტთა მიმოხილვას. უკვე უამისოდაც თვალსაჩინოა, რომ სისხლის სამართალში ბრალი ვერ განიხილება პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებად თავისი დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარისადმი.

სხვა მხრივ, ის, რომ ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში ბრალი საბოლოო ჯამში წარმოადგენს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულის ობიექტური მხარისადმი, გამოხატულს განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, ანუ, თუ ვიტყვით შებრუნებით, რომ ის განასახიერებს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას როგორც დანაშაულის ობიექტური მხარისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების გამოხატულებას, მიუთითებს ფსიქოლოგიურ სწავლებაში ბრალის ცნების აგნოსცირებულობაზე განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ *ფსიქოლოგიურ სწავლებას ბრალის დამოუკიდებელი ცნება არ მოეპოვება.*

თავი მეოთხე

ფსიქოლოგიზმის კრიტიკა

§1. ჰ. კელზენი

<u>ფსიქოლოგიზმის ზოგადსამართლებრივი კრიტიკა</u>

XIX საუკუნის სისხლის სამართალს ბრალის სისხლისსამართლებრივი განმარტება არ მოეპოვება. ეს ფსიქოლოგიიდან ნასესხები არასამართლებრივი, უფრო ზუსტად კი, ანტისამართლებრივი ცნებაა, რომლის ანალიზი მხოლოდ ფსიქოლოგიური ხერხებითა და მეთოდებით წარმოებს. თანამედროვე კრიმინალისტები, ახასიათებენ რა ბრალის განვითარებას, აღნიშნავენ: „არსად და არც ერთ მეცნიერებაში ფსიქოლოგიის შემეცნებანი ისე ინტენსიურად და გლობალურად არ ასახულა, როგორც XIX საუკუნის იურისპრუდენციაში... გასაოცარიც არის ის სიღრმისეული სიზუსტე, რომლითაც ურთულესი ფსიქოლოგიური ცნებები და მიღწევები გამოიყენება. ხშირია შემთხვევა, როცა ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილ იურიდიულ ნაწარმოებში უფრო სპეციალური ფსიქოლოგიური, ვიდრე სამართლებრივი ლიტერატურაა ციტირებული. ამიტომაც არაფერი იყო საკვირველი იმაში, რომ ობიექტურად განწყობილი ზოგიერთი კრიმინალისტი სამართლის მეცნიერების სრულ ფსიქოლოგირებაზე წერდა“.221

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც წარმატებით სცადა სამართალში ზოგადად და სისხლის სამართალში კერძოდ ფსიქოლოგიზმის დომინირების გადასინჯვა, იყო ჰ. კელზენი. სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებათა უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიურად შესაბამისი ნების არარსებობის

წარმოჩენით მას ეჭვი შეაქვს სამართლებრივ ცნებათა ფსიქოლოგიურ დეფინიციებზე დაყრდნობის მართებულობაში. ჰ. კელზენი შენიშნავს: „არა სამართლებრივი გარიგება არის ნამდვილი (იურიდიული ძალის მქონე), რამდენადაც ის (ფსიქოლოგიურად) სასურველია, არამედ პირიქით: გარიგება სასურველია, რამდენადაც ის კანონიერია, რის შესაბამისადაც კანონიერების ხარისხი შემეცნების საფუძველია ნებელობის ხარისხისათვის. ამ ურთიერთობაში ნება უკვე პირველსავე შეხედვაზე წარმოგვიდგება არა როგორც ე. წ. ფსიქიკური ფაქტი“.222 სამოქალაქოსამართლებრივი და ფსიქოლოგიური ნების მსგავსი დაპირისპირება ამ ორი ცნების მკვეთრი კონტრასტულობის დემონსტრირებაა. ეს ორი სხვადასხვა პრინციპზე აგებული და სხვადასხვა შინაარსის მომცველი ცნებაა, რის პრაქტიკულ გამოვლინებას მათი ხშირი შეუთავსებლობა წარმოადგენს. ჰ. კელზენს ეს შედარება სისხლის სამართალზეც გადააქვს და ამტკიცებს, რომ დანაშაულის სისხლისსამართლებრივად დასჯადი გარეგანი შემადგენლობები (die äußeren Tatbestände) უნდა განიხილებოდეს როგორც სუბიექტური ნების შესაბამისი, ნებელობის ფსიქოლოგიურ მომენტს კი შეიცავს მხოლოდ ნაწილი უმართლობის შემადგენლობისა (der Unrechtstatbestand).

ნებასთან ერთად არსებითად იმავეს მოითხოვს ჰ. კელზენი ინტელექტუალური მხარისა და ქმედების ცნებისათვის, რომლებსაც ის ბრალის მომდევნო ელემენტებად განიხილავს. სისხლისსამართლებრივი ქმედების სისხლისსამართლებრივი თვისება-თავისებურებებით აღჭურვა უთუოდ დადებითი წამოწყებაა, მაგრამ გაურკვეველია, თუ რატომ ვხვდებით მას ჰ. კელზენთან როგორც ბრალის ელემენტს. თუ ქმედება წარმოვიდგინეთ განუყოფელი დანაშაულებრივი ქმედების სახით, მაშინ ის ვერ იქნება ბრალის ელემენტი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრალი თავადვეა ამ პირველის შემადგენელი ნაწილი; ხოლო თუ მას გავიგებთ როგორც კლასიკური სქემის პირველი საფეხურის შესაბამის ქმედებას, ბრალი მას ვერც ამჯერად შეიგუებს თავის ელემენტად, რადგან ერთი მხოლოდ ობიექტური კატეგორიაა და მეორე — მხოლოდ სუბიექტური.

დოგმატური თვალსაზრისი

ჰ. კელზენი გადაჭრით უარყოფს ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში მიღებულ ბრალის ორ სახედ — განზრახვად და გაუფრთხილებლობად — დაყოფის პრინციპს, რომლის თანახმადაც ინტელექტუალურ და ნებელობით მხარეთა კავშირი ყველა შემთხვევაში ურყევია. ჰ. კელზენი განასხვავებს ბრალის შემდეგ სახეებს:

„1) განზრახვით ჩადენილი დელიქტები, როდესაც სუბიექტს სურს საზიანო შედეგი;

2) განზრახვით ჩადენილი დელიქტები, როდესაც სუბიექტს თუმც არ სურს საზიანო შედეგი, მაგრამ ითვალისწინებს მის დადგომას (ბრალი აქ მდგომარეობს არა ნებელობით, არამედ ინტელექტუალურ მხარეში);

3) გაუფრთხილებლობა: სუბიექტს არ სურს მავნე შედეგის დადგომა და არც ითვალისწინებს მას, მაგრამ შეუძლია და სისხლისსამართლებრივად ევალება მისი გათვალისწინება-აცდენა“.223 განზრახვის მეორე დამოუკიდებელ სახეში ბრალი მდგომარეობს მხოლოდ ინტელექტუალურ მხარეში! მაგრამ თუ სუბიექტს ბრალად ერაცხება მარტოოდენ შედეგის გათვალისწინება, ბრალეულად უმოქმედობს ჩვენ მიერ ზემოხსენებული რკინიგზის შებოჭილი მეისრეც ან ბრალეულად მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობისა თუ აუცილებელი მოგერიების პირობებში მყოფი პირიც, რადგან საზიანო შედეგის დადგომა არც მათთვის შეიძლებოდა ყოფილიყო გაუთვალისწინებელი. ასევე დაუშვებელია, რომ ბრალი მდგომარეობდეს მხოლოდ ნებელობით მხარეში. სუბიექტს შესაძლოა იმგვარად ენებოს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და აქედან გამომდინარე შედეგები, რომ ის არაფერს უწყოდეს და არც შეეძლოს რამის ცოდნა მოცემული მართლწინააღმდეგობის შესახებ. თუ მიმდინარე საუკუნის დამდეგს ინტელექტუალურ და ნებელობით მხარეთა მთლიანობის, მათი განუყოფლობის ხელყოფა სირთულეს არ წარმოადგენდა, დღეს ამ კავშირის ურღვევობა მდგრადი სისხლისსამართლებრივი აქსიომაა. ჩვენ შემდგომ ვიხილავთ, რომ ჰ. კელზენი ერთადერთი მეცნიერი არ იყო, ვინც უსამართლოდ უგულებელყოფდა ფსიქოლოგიური მოძღვრების ხსენებულ აღმოჩენას.

მაგრამ თვით ინტელექტუალური მომენტის შინაარსი, როგორადაც მას ჰ. კელზენი განზრახვის სახეებში წარმოგვიდგენს, ვფიქრობთ, ფრიად საგულისხმოა. განზრახვის მეორე შემთხვევაში, „როდესაც სუბიექტს თუმც არ სურს საზიანო შედეგი, მაგრამ ითვალისწინებს მის დადგომას“, ავტორი არ აკონკრეტებს, თუ დადგომის რომელი ფორმა აქვს მხედველობაში: შესაძლო თუ აუცილებელი.

თანამედროვე სისხლის სამართალში, მსაგვსად იმჟამინდელი ფსიქოლოგიური მოძღვრებისა, აღიარებულია არა მხოლოდ ინტელექტუალურ და ნებელობით მხარეთა ურთიერთკავშირის აუცილებლობა, არამედ აუცილებელია აგრეთვე ისიც, რომ ორივე მხარე ბრალის ერთი ქვესახიდან სხვაზე გარდამავლობისას შინაარსობრივ ცვლილებას უნდა განიცდიდეს, ე. ი. თუ პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშანი მავნე შედეგის აუცილებელი დადგომის გათვალისწინებაა, ევენტუალურ განზრახვაში ეს აუცილებლობა შესაძლებლობით უნდა შევცვალოთ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მრავალგზის არის მოყვანილი ირიბი განზრახვის შემდეგი კაზუსი: სადაზღვევო თანხის დანაშაულებრივად მიღების მიზნით სახლის მეპატრონემ ცეცხლი წაუკიდა თავის ახლად დაზღვეულ სახლს, სადაც ამ დროისთვის მძიმედ ავადმყოფი მოხუცი იმყოფებოდა.

სუბიექტს არ სურს სასიკვდილო შედეგის დადგომა, ე. ი. მკვლელობის მიმართ პირდაპირი განზრახვა გამორიცხულია. ამავე დროს, დამნაშავე მტკიცედ არის იმაში დარწმუნებული, რომ ავადმყოფი გარეთ ვერ გამოაღწევს, ე. ი. ითვალისწინებს სასიკვდილო შედეგის აუცილებლობას, რაც, თავის მხრივ, ირიბ განზრახვასაც გამორიცხავს.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბრალის რომელი ქვესახეა მოცემული? როდესაც სუბიექტს არ სურს გარკვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს მისი დადგომის აუცილებლობას (არა შესაძლებლობას), ის, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მოქმედებს არაბრალეულად, ვინაიდან ბრალის არც ერთი ქვესახე აღნიშნულ ორივე ნიშანს თავის თავში არ აერთიანებს. და ეს როგორც ბრალის ფსიქოლოგიური, ისე ნორმატივისტული თეორიის მიხედვითაც.

სინამდვილეში კი ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა მსგავსი კონსტელაციით სახეზეა *განზრახი ბრალის ახალი, დღემდე აღმოუჩენელი ფორმა,* რომელსაც არსებობის ზუსტად ისეთივე უფლება აქვს, როგორც პირდაპირ თუ ევენტუალურ განზრახვას.

ამის გამოწვლილვით ინტერპრეტირებას ჩვენ მხოლოდ მოცემული ნაშრომის ბოლო თავში შევუდგებით. ამჯერად კი ნათელია, რომ ჰ. კელზენს განზრახი ბრალის მეორე ქვესახეში ინტელექტუალური მხარის დეტალიზება შემთხვევით არ გამორჩენია. მის მიერ ფსიქოლოგიზმის მიმართ გამოთქმული ეს იმპლიციტური კრიტიკული შენიშვნა უეჭველად პოზიტიურ გამოყოფას იმსახურებს.

არ ესატყვისება ჰ. კელზენის გაუფრთხილებლობაც ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში აქცეპტირებულ ბრალის სათანადო სახეს. მართალია, ჰ. კელზენიც აღიარებს, რომ სუბიექტს, „შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა საზიანო შედეგები, რათა აეცდინა მათი დადგომა“, მაგრამ შესაძლებლობისა და ვალდებულების თანაფარდობა მასთან ორდინარულად არ არის გაგებული. ფსიქოლოგიზმის შესაბამისად სუბიექტს მავნე შედეგის გათვალისწინება ევალება იმის გამო, რომ მას ეს ძალუძს. ჰ. კელზენთან კი პირიქით — შეუძლია, რადგან ევალება. პირველ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია შესაძლებლობაზე, ე. ი. ფსიქოლოგიურ ასპექტზე, ხოლო მეორეში — ვალდებულებაზე, ე. ი. ნორმატიულ ანუ სამართლებრივ ასპექტზე.

ჰ. კელზენი აღნიშნავს: „ის, რომ გარკვეული რამ რეალურად ვერ იქნა გათვალისწინებული და აცდენილი, საკმარისად მეტყველებს ამის გათვალისწინებისა და აცდენის შეუძლებლობაზე. ყოველივე, რაც ხდება, უნდა მოხდეს, როგორადაც ეს ხდება, და ამიტომ სხვაგვარი რამის მოხდენა შეუძლებელია“.224 ეს მტკიცე დასტურია იმისა, რომ უნივერსალური დეტერმინიზმის გადასახედიდან, რომელსაც ჰ. კელზენი წარმოგვიდგენს, გაუფრთხილებლობაში ფსიქოლოგიური მომენტის პრევალირება მიუღწეველია. ჰ. კელზენი, განიხილავს რა გაუფრთხილებელ ბრალს როგორც წინდახედულობის, ყურადღების ნაკლულობას (Mangel an Aufmerksamkeit), იქვე დასძენს, რომ ეს მხოლოდ ნორმატიული, ფსიქოლოგიზმის ყოველგვარი მაჟორულობის უარმყოფელი თვალსაზრისია, რამდენადაც „მის უმთავრეს მოთხოვნას წინდახედულობის ვალდებულება შეადგენს; ამ პოზიტიური პროცესის (ყურადღების დაძაბვის) ვალდებულების გარეშე სუბიექტის წარმოდგენაში მისი აუცილებლობის შეგნება ვერ შეაღწევს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტს მაშინღა შეუძლია ყურადღების დაძაბვა, თუ მას ეს სისხლისსამართლებრივად ევალება, რის კვალობაზეც „ნორ-

მატიული ვალდებულება“ წინ უსწრებს „ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას“. და ამიტომაც გაუფრთხილებლობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის სახე, არის არა ფსიქოლოგიური, არამედ იურიდიული შინაარსისა და ფორმის ცნება.

ამის შესახებ ჰ. კელზენი პირდაპირ მიგვითითებს: „ფსიქოლოგი ვერასოდეს შეძლებს ბრალის ცნების ჩამოყალიბებას. ქმედება ბრალეულია იმიტომ, რომ სუბიექტს *ევალებოდა* განსაზღვრული რამის ჩადენა ან ჩაუდენლობა, გაკეთება ან აღკვეთა. ნება — ის, თუ რა სურს ან არ სურს ინდივიდს — ბრალის პრობლემასთან დამოკიდებულებაში ნაკლებად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება სისხლის სამართლის კანონის სოციალურ-პრევენციულ ანუ ზოგადპრევენციულ ფუნქციას, ეს უთუოდ აძლიერებს ბრალის ნორმატიულ ხასიათს, ვინაიდან სწორედ სასჯელით დამუქრება აიძულებს სუბიექტს მით უფრო დაძაბოს თავისი წინდახედულობის უნარი, როდესაც მისთვის მართლსაწინააღმდეგო შედეგები არასასურველი და გაუთვალისწინებელია“.225 ჰ. კელზენი როდი ცდება, როდესაც ამტკიცებს, რომ ფსიქოლოგია ბრალის მოდელს ვერ ჩამოაყალიბებს. ავტორი არ უარყოფს და არც ობიექტურად შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბრალში ნებისა და წარმოდგენის სახით მოცემული გვაქვს ფსიქოლოგიური ცნებები. ჰ. კელზენი ცდილობს მათთვის მხოლოდ არაძირითადი, ვალდებულებისაგან წარმოებადი ფუნქციის მიკუთვნებას და არა ბრალიდან მათ სრულ ელიმინირებას. მაგრამ თუ ბრალი მომცველია აშკარად ფსიქოლოგიური მომენტებისა, მაშინ, ერთი შეხედვით, გაუგებარია, თუ რატომ ვერ მივიღებთ მათზე მახვილის გადატანით ბრალის ფსიქოლოგიურ მოდელს. საქმე კი ის არის, რომ ბრალი, თანახმად ნორმატივისტთა მართებული მტკიცებისა, ვერ მიიღება სუბიექტის ფსიქოლოგიური ქცევის გარეგანი შეფასების გარეშე, რაც აშკარად სცილდება ფსიქოლოგიის, როგორც მკაცრად დესკრიფციული ბუნების მეცნიერების, ფარგლებს.

<u>სისტემატიკური თვალსაზრისი</u>

ჰ. კელზენის უკანასკნელი ციტატიდან ჩანს, რომ სასჯელის ინსტიტუტში ის ხედავს ბრალის ნორმატიულობის გამაძლიერებელ მომდევნო რგოლს. ჰ. კელზენი შემდგომში მნიშვნელოვნად აღრმავებს თავის კვლევას ამ მიმართულებით და საბოლოოდ დაასკვნის, რომ არა ვალდებულება, როგორც ამას თავდაპირველად აღნიშნავდა, არამედ სასჯელი წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ელემენტს, რომელიც აფუძნებს სისხლისსამართლებრივ ბრალს როგორც ზეფსიქოლოგიურ, სამართლებრივ-ნორმატიულ ცნებას. სასჯელის ძირითად მომენტად გამოყოფის არგუმენტაცია შემდეგია: „უმართლობის შემადგენლობა შეიცავს ისეთ ფსიქიკურ ნიშნებს, როგორიც ნებელობა და წარმოსახვის უნარია. მაგრამ ბრალი არც ნებელობაა და არც წარმოსახვა, ის თვით ამ უმართლობის, ე. ი. დარღვეული სისხლისსამართლებრივი ნორმის არსებობაა... *რატომ და რამდენად სასჯელი, იმიტომ და იმდენად ბრალი*“.226 ეს არის ბრალის არსის უკიდურესი დამა-

ხინჯება, რომელიც ისევე მიუღებელია, როგორც ბრალის ფსიქოლოგიური კონცეფცია. შეიძლება ითქვას, რომ ამით ჰ. კელზენი ნორმატივიზმის საზღვრებსაც გასცილდა და სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა.

ნორმა უკუღმა არც მოქალაქის მიერ იკითხება და არც კანონმდებლის მიერ იქმნება. ნორმატიულად სასჯელს წინ უსწრებს ყოველივე, მისგან კი არაფერი გამომდინარეობს — ის ნორმის დასასრულია, რაც საკითხის ფორმალურ-ლოგიკურ მხარეს წარმოადგენს. ხოლო მატერიალურად ამის სიმცდარე ორკეცად უფრო თვალსაჩინოა: თუ ბრალს განაპირობებს სასჯელი, მაშინ სასჯელი ამავე დროს უნდა იყოს ბრალის სისხლისსამართლებრივი რეაგირების საგანი და არა პირიქით; მაგრამ ბრალი ინდივიდის ნიშანია, სასჯელი — სახელმწიფოსი, სისხლისსამართლებრივი რეაგირების მექანიზმი კი, როგორც ცნობილია, აქვს სწორედ რომ სახელმწიფოს და არა ინდივიდს, რაც დამაკმაყოფილებლად მოწმობს ჰ. კელზენის დებულების მატერიალურ უკუღმართობასაც.

მიზეზი იმისა, თუ რამ გამოიწვია ჰ. კელზენის ამგვარი დასკვნა, ადვილად მისახვედრია. მას მიაჩნდა, რომ ბრალის რადიკალური ფსიქოლოგიზმისაგან განთავისუფლება მიიღწეოდა მხოლოდ მაქსიმალისტური მიდგომის ანუ რადიკალური ნორმატივიზმის მეოხებით, რისი საფუძველიც შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ნებისა და წარმოდგენისადმი სასჯელის, როგორც ნორმატიულობის უკიდურესი გამოვლინების, დაპირისპირება.

მაგრამ ჰ. კელზენთან ეს ბრალის ცნების განვითარების ბოლო ეტაპი როდია. ფსიქოლოგიზმის კრიტიკის ფარგლებს მიღმა ჰ. კელზენი საგრძნობლად განავრცობს თავის შეხედულებებს და ბრალს წარმოგვიდგენს უკვე არა უბრალოდ როგორც იურიდიული, არამედ როგორც იურიდიულ-ეთიკური ბუნების ცნებას, სადაც მისთვის, მსგავსად ნორმატივისტთა უმეტესობისა, ბრალი ნორმატიულ-ეთიკურ გასაკიცხობას უკავშირდება. მიუხედავად არაერთი დაუძლეველი წინააღმდეგობისა, ჰ. კელზენის ჭიდილი ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებასთან წარმატებულად უნდა ვცნოთ და ამაში, როგორც ვიხილეთ, უკანასკნელი მნიშვნელობა არ ენიჭება მის პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას.

§2. რ. ფრანკი

ფსიქოლოგიზმის დოგმატურ-ლოგიკური მიუღებლობა

რ. ფრანკის მიერ წარმოებულმა ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების კრიტიკულმა ანალიზმა შეუქცევადი გახადა მისი რღვევისა და ნორმატივისტული ხედვის დამკვიდრების პროცესი. რ. ფრანკი გადაწყვეტით უარყოფს ფსიქოლოგიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს და აყალიბებს მათ სანაცვლოდ დღეს ნორმატივისტულად წოდებულ, იმხანად რევოლუციურ დებულებებს. თანამედროვე ნორმატივისტთა აზრით, შეუძლებელია უა-

რვყოთ, რომ ბრალის ნორმატიული თეორიის დაარსება მისი დამსახურებაა, მაგრამ, ამასთანავე, რ. ფრანკი ნაწილობრივ მაინც განიცდიდა ფსიქოლოგიზმის გავლენას და სისხლისსამართლებრივი ბრალის გარკვეულ მხარეებს კვლავაც ფსიქოლოგიზმის ჩარჩოებში განიხილავდა. ამის უმთავრეს არგუმენტად მოიხსენიება ის ფაქტი, რომ მასთან „გასაკიცხობა“ და „ფსიქიკური დამოკიდებულება“ გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი.

დღეს უკვე ფართოდაა ცნობილი რ. ფრანკის შემდეგი მოსაზრება: როდესაც სუბიექტი ფიზიკური თუ ფსიქიკური იძულებით სჩადის დასჯად ქმედებას, მოცემული ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების არსებობა უეჭველია; სუბიექტს სურდა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ჩადენა, რათა ამგვარად თავი დაეღწია იძულებით გამოწვეული შეზღუდულობისაგან. მიუხედავად ამისა, — განაგრძობს რ. ფრანკი, — სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი ნორმა მსგავს ქმედებას ბრალეულად არ აცხადებს. აქედან ის დაასკვნის, რომ ბრალს, *გარდა* ფსიქოლოგიურისა, შეფასებითი, ნორმატიული ელემენტიც უნდა განვაკუთვნოთ.

რ. ფრანკი, უწინარეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება იმჟამად გაბატონებულ ფონ ლისტის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ბრალი წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. თუ ფონ ლისტის განსაზღვრებას ვაღიარებთ მართებულად, — აღნიშნავდა რ. ფრანკი, — მაშინ პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე წარმოუდგენელი ცნება იქნება და სავსებით უნდა წარიხოცოს ყოველგვარი განსხვავება ე. წ. ბრალეული პასუხისმგებლობისა და ე. წ. შედეგობრივი პასუხისმგებლობის (die Erfolgshaftung) პრინციპებს შორის.227 ჩვენი აზრით, ფონ ლისტის მოსაზრება უფრო ღრმაა, ვიდრე ამას რ. ფრანკი განგვისაზღვრავს. პასუხისმგებლობის საფუძველი *ყოველთვის* ბრალი არ არის, მაგრამ *ბრალი* ყოველთვის პასუხისმგებლობის საფუძველია, ე. ი. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ბრალის გარეშეც ანუ შედეგისათვის, მაგრამ პასუხისმგებლობა არ შეიძლება არ დადგეს, თუ მოგვეპოვება ბრალი. ამრიგად, ბრალის პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოცხადება არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა ნიადაგ უნდა ყოფილიყო და ნიადაგ უნდა იყოს მხოლოდ ბრალეული. ეს რ. ფრანკის შეცდომის ერთი მხარეა.

სხვა მხრივ, მისი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ფონ ლისტი გულისხმობს არა სამართლებრივ პასუხისმგებლობას ზოგადად, არამედ მართოოდენ სისხლისსამართლებრივს. სისხლის სამართალში კი პასუხისმგებლობა არასოდეს ითვალისწინებდა და არც ამჯერად ითვალისწინებს სასჯელს ბრალის გარეშე (სხვა საკითხია ის, რომ ბრალის ცნება ყოველთვის ერთგვაროვნად არ გაიგებოდა). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნებისმიერ თავის გამოვლინებაში ბრალეული პასუხისმგებლობაა. თუ სუბიექტის არაბრალეულ ქმედებას მოჰყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რასაც თან მომეტებული საშიშროების წყაროს გამოყენება ან სარგებლობა ახლდა, პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის ასანაზღაურე-

ბლად ატარებს არა სისხლისსამართლებრივ, არამედ სამოქალაქოსამართლებრივ ხასიათს და არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგება სისხლისსამართლებრივად რეგულირებადი ურთიერთობისაგან.

მაგრამ თუ რ. ფრანკს მხედველობაში აქვს პასუხისმგებლობა მატერიალური დანაშაულისათვის, არც ეს არის მისაღები. თუმც მატერიალური ანუ შედეგიანი დელიქტების დროს პასუხისმგებლობა ზოგჯერ მართლაც არ დგება მავნე შედეგის დადგომის გარეშე (იგულისხმება ქმედითი მონანიების შემთხვევა, როდესაც სუბიექტი დამთავრებული მცდელობის შემდგომ ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილებს საზიანო შედეგს), ეს ჯერ კიდევ არ იძლევა იმის უფლებას, რომ შედეგი მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოვაცხადოთ. მართალია, სისხლის სამართლის ლიტერატურაში დღემდე არ განელებულა ცილობა იმის შესახებ, თუ რას მიენიჭოს უპირატესობა, ბრალეულ თუ „შედეგობრივ“ პასუხისმგებლობას, მაგრამ ამას განსახილველ საკითხთან არაფერი აქვს საერთო: ხსენებული დავის საგანს შეადგენს ის, დაიშვება თუ არა ცალკეულ შემთხვევაში ბრალეულობის ნიშნად შედეგის აღიარება ანუ გამართლებული არის თუ არა ის, რომ ასეთ შემთხვევებში ქმედება ბრალეულად არ ითვლება მანამ, სანამ არ დამდგარა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. როგორც ვხედავთ, პასუხისმგებლობისათვის ბრალეულობის აპრიორულობას არავინ ხელყოფს, რადგან დავა ბრალეულობის ფარგლებშია წარმართული და შედეგის მნიშვნელობა პასუხისმგებლობისათვის ირკვევა იმისდა მიხედვით, შევიტანთ თუ არა მას მოცემულ ფარგლებში. ამგვარად, სისხლის სამართლის ლიტერატურაში პასუხისმგებლობა შედეგისათვის გაიგება პირობითად, გადატანითი მნიშვნელობით და არც რ. ფრანკს გააჩნია მისი პირდაპირ აღქმის რაიმე საფუძველი, რაც მის მიერ ფონ ლისტის კრიტიკის უსაფუძვლობაზეც მეტყველებს.

ბრალის სტრუქტურა

მსგავსად ჰ. კელზენისა, რ. ფრანკიც თვლის, რომ ბრალი სტრუქტურულად უნდა მოიცავდეს მეტს, ვიდრე მხოლოდ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ორ დამატებით ელემენტად ის ასახელებს შერაცხადობასა და თანამდევ გარემოებებს (die begleitenden Umstände). თავად რ. ფრანკი განსაკუთრებით გამოყოფს „თანამდევ გარემოებებს“, მაგრამ ჩვენ თავდაპირველად ყურადღებას შევაჩერებთ მეორე ელემენტზე, რადგან შერაცხადობის მაგალითზე უმჯობესად ცხადიყოფა რ. ფრანკის მიერ დაშვებული უზუსტობა.

თუ ბრალს განვიხილავთ მხოლოდ ფსიქიკურ დამოკიდებულებად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისი ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების უნარი ხშირად მცირეწლოვანსაც აქვს და ზოგჯერ სულით ავადმყოფსაც, რის გამო ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში შეურაცხადობა კი

არ უნდა იყოს ბრალის გამომრიცხველი გარემოება როგორც მის მიღმა მდებარე ელემენტი, არამედ შერაცხადობა უნდა წარმოადგენდეს ბრალის ნიშანს, ბრალის ცნებით მოცულ კომპონენტს, რათა შეუარაცხადთა ფსიქიკური დამოკიდებულებაც ბრალად არ აღვიქვათ.

რადგან ნორმატივიზმში ბრალი გასაკიცხობაა და არა ფსიქიკური დამოკიდებულება, აქ უწინდებურად ვერ დავასკვნით, რომ შეურაცხადის ფსიქიკური დამოკიდებულებაც ბრალია, ვინაიდან მას არაფერი აკავშირებს გასაკიცხობასთან. გასაკიცხობა თვითვე მოიცავს შერაცხადობას, ხოლო ფსიქიკური დამოკიდებულება — არა; თუ ეს უკანასკნელი ლოგიკურად მოითხოვს შერაცხადობის ნიშნის დართვას, პირველთან მიმართებაში მსგავსი რამ სრული შეუსაბამობაა: დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე ნიშანი ცნების შემადგენელი ნაწილიც იყოს და მის მიღმაც მდებარეობდეს.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შერაცხადობა ამა თუ იმ ფორმით ბრალის ორბიტას არ სცილდება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საპირისპიროს მოწმობს ბრალის არსი. როდესაც ბრალში განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ვგულისხმობთ, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დანაშაული განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა; მაგრამ თუ მათ გვერდით შერაცხადობაც წარმოვიდგინეთ, ჩვენდა უნებურად მივიღებთ, რომ დანაშაული შერაცხადობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაც არის. შერაცხადობა ბუნებრივი ფსიქიკური კონდიციაა და არა ფსიქიკური საქმიანობის ნაყოფი, როგორც განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. რამდენადაც სუბიექტს ბრალად შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ ის, რაც მან მოიმოქმედა ან არ მოიმოქმედა, და არავითარ შემთხვევაში ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს პიროვნულად, ნათელია, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა და სუბიექტური ფსიქიკა ვერ გადაკვეთენ ერთმანეთს, თუ სუბიექტი ფსიქიკურად არ შეეხო სათანადო ნორმას, თუ მან საამისოდ პოზიტიურ ან ნეგატიურ მოქმედებაში არ მოიყვანა თავისი ფსიქიკა. ამდენად, ბრალის ცნება კატეგორიულად ვერ მოიცავს შერაცხადობას თავის სტრუქტურულ ელემენტად.

იგივე ითქმის რ. ფრანკის მიერ შემოთავაზებულ მეორე დამატებით ელემენტზეც. რა თქმა უნდა, დანაშაულის თანამდევ გარემოებათა გათვალისწინების გარეშე გასაკიცხობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ რ. ფრანკს, როგორც ჩანს, გამორჩა, რომ ბრალი განეკუთვნება დანაშაულის არა ორთავე, არამედ მხოლოდ სუბიექტურ მხარეს. ამიტომ თუ პირველ შემთხვევაში მისი შეცდომა ნიშნისა და ელემენტის განუსხვავებლობაში მდგომარეობდა, ამჯერად ის ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან ელემენტსა და წინაპირობას. ამის მორიგი დასტურია მისი შემდეგი დასკვნა: „მართლსაწინააღმდეგო ქმედების *გაკიცხვის წინამძღვრებია* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი): 1) დამნაშავის გონებრივ თვისებათა ნორმალურობა (normale geistige Beschaffenheit); 2) მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი დამნაშავის კონკრეტული ფსიქიკური დამოკიდებულება ან ასეთი დამოკი-

დებულების შესაძლებლობა (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა); 3) გარემოებათა ნორმალური მიმდინარეობა, რომელთა პირობებშიც მოქმედებს დამნაშავე“.228 შეიძლება კი ეს მომენტები ერთდროულად განისაზღვროს როგორც გაკიცხვის წინამძღვრები და გასაკიცხობის ელემენტები? გასაკიცხობა, როგორც ამ ფაქტორთა ერთობლიობა, უცილოდ წარმოადგენს გაკიცხვის წინაპირობას, მაგრამ არა ყოველთვის, რამეთუ სუბიექტი შეიძლება გაიკიცხოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის გასაკიცხი არ არის, ე. ი. ზოგჯერ გასაკიცხობის შინაარსი და გაკიცხვის წინაპირობები ურთიერთგამოირიცხებიან.

ფსიქოლოგიზმის ფრანკისეული კრიტიკული ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მხარე გამოსახულია მის მიერ ფსიქიკური დამოკიდებულების ცნების რევიზიონირებაში. გაკიცხვის მეორე პირობად ის აღიარებს განზრახვას, როგორც ფსიქიკურ დამოკიდებულებას, და გაუფრთხილებლობას, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობას ანუ არა როგორც ფსიქიკურ დამოკიდებულებას. რ. ფრანკი პირველია, მაგრამ არა ერთადერთი, ვინც გაუფრთხილებელ ბრალში ფსიქიკური დამოკიდებულების არარსებობაზე მიგვითითებს. ნორმატივიზმის წარმომადგენელთა უმეტესობა მარჯვედ მოიშველიებს ამ არგუმენტს ფსიქოლოგიზმთან ბრძოლაში, რაც, ჩვენი აზრით, ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებასთან ბრმა პოლემირების შედეგია.

მაგალითად, თვითმედოვნების დროს სუბიექტს არ სურს მავნე შედეგი, ითვალისწინებს მისი დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობს (ქარაფშუტულად) მის თავიდან აცილებას. „ითვალისწინებს“, „ვარაუდობს“ — განა ეს ფსიქიკური დამოკიდებულების გამოვლინება არ არის?

დაუდევრობის დროს კი სუბიექტი თავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედების გარეგანი მხარისა და საზიანო შედეგისადმი გამოხატავს ცოდნის შესაძლებლობის გამოუყენებლობით, წინდახედულობის მოვალეობის შეუსრულებლობით. რასაკვირველია, არის გამონაკლისებიც: სიმთვრალეში დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისადმი პირს არ შეიძლება ჰქონდეს რამეგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება. მაგრამ ეს და მსგავსი გამონაკლისები უნიადაგოა, რადგანაც არსებობს სხვა მართივი გამოსავალი. ზოგიერთი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს არა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული (ამან შეიძლება იქონიოს ზეგავლენა მხოლოდ პასუხისმგებლობის ხარისხზე), არამედ ნასვამ მდგომარეობაში თავის შეგნებულად ჩაყენება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რ. ფრანკის პოზიციის სიმცდარე სიმპტომატურადაც იოლად დგინდება. თუ ფსიქიკური დამოკიდებულება, მისივე მიხედვით, გასაკიცხობის ერთ-ერთი ელემენტია, მაშინ ამ ცნების საპირისპირო ნეგატიური ცნება გასაკიცხობას უნდა გამორიცხავდეს, რაც ლოგიკის ელემენტარული მოთხოვნაა. შესაძლებლობა თავისთან მიმართებაში პოზიტიური ცნებაა, რადგან ის მოასწავებს გარკვეული მოვლენის დამკვიდრებას, მის რეალიზებას მომავლის განსაზღვრულ მონაკ-

ვეთში. მაგრამ თვით ამ მოვლენის მიმართ შესაძლებლობა იძენს ნეგატიურ ხასიათს, რამდენადაც ის თავისი არსებობით მისი (მოვლენის) არარსებობის გამომხატველია: მოვლენა სინამდვილეა და შესაძლებლობა — აბსტრაქცია, ხოლო სინამდვილე და აბსტრაქცია საპირისპირო ანუ კონტრარული ცნებებია. ასევე „ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობა“ „ფსიქიკური დამოკიდებულის“ მიმართ ნეგატიურ ხასიათს ატარებს, რამეთუ მისი მოცემულობაც ამ უკანასკნელის არარსებობის მეტყველია. ამრიგად, რ. ფრანკთან გაუფრთხილებლობის სახით ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობა უნდა იყოს გასაკიცხობის გამომრიცხველი და არა დამაფუძნებელი ელემენტი, რაც რ. ფრანკის პრინციპულ დებულებას ძირეულად ეწინააღმდეგება.

საგულისხმოა რ. ფრანკის კვლევა ბრალის როგორც მთლიანის და განზრახვისა და გაუფრთხილებლობის როგორც მის ცალკეულ სახეთა ურთიერთობასთან მიმართებით. რ. ფრანკი ამაში ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს შეცდომას ხედავს. ის მიიჩნევს, რომ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ბრალის სახეებად გამოცხადებით ფსიქოლოგიზმმა გადაულახავი ბარიერი წარმოქმნა, ვინაიდან „განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე ყოველთვის ვერ ითქმის ის, რაც ითქმის ბრალზე“. ამიტომ რ. ფრანკი უარყოფს მათ ბრალის სახეებად და, როგორც ზემოთ ვიხილეთ, შემოაქვს ბრალის ელემენტის ცნება.

ამ საკითხში მას მრავალი მიმდევარი აღმოუჩნდა. თანამედროვე ნორმატივისტებიც ბრალის როგორც გასაკიცხობის კონსტრუირებას შეუძლებლად წარმოიდგენენ, თუ მასში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ელემენტებად არ იქნა გამოყოფილი. ყველაზე ახლოს რ. ფრანკის პოზიციასთან არის ი. ბაუმანი, რომელიც ამგვარად განგვიმარტავს ბრალის ცნების შინაარსს: „ბრალის ცნება შედგება სამი ელემენტისაგან: 1) დამნაშავის დამოკიდებულება თავისი ქმედებისადმი ანუ ის, რის გამოც დამნაშავე იკიცხება (ქმედების გათვალისწინება და სურვილი — განზრახვა ან გაუფრთხილებლობა გათვალისწინების შესაძლებლობისას); 2) ბრალუნარიანობა ანუ შერაცხადობა (დამნაშავის მიერ ქმედების შეფასების შესაძლებლობა); 3) ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა (დამნაშავის შესაძლებლობა იმოქმედოს თავისი შეფასებისამებრ).

ბრალის ცნების ამ კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ელემენტებია და არა ბრალის ფორმები (როგორც ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში), რომლებიც ბრალს მოიცავენ მთლიანად. ფსიქოლოგიური მოძღვრება ბრალის ცნებას უკვე განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში ამოწურულად მიიჩნევდა“.229

ჩვენი აზრით, რ. ფრანკის მიერ დასახული და თანამედროვე ნორმატივიზმში თითქმის ერთხმად აღიარებული ეს ტენდენცია სწორია იმ მხრივ, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ შეიძლება იყოს ბრალის სახეები, მაგრამ მცდარია იმ თვალსაზრისით, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ვერც ბრალის ელემენტები იქნება.

როდესაც ვამბობთ, რომ სითბო ენერგიის ფორმაა, ვგულისხმობთ, რომ სითბო ენერგიაა; ასევე უნდა წარმოვიდგინოთ განზრახვა ბრალად, თუ ვიტყვით, რომ განზრახვა ბრალის ფორმაა. მაგრამ ბრალი განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობაში სრულყოფილად არ ვლინდება, იმისდა მიუხედავად, რომ ის, ნორმატივისტთა მტკიცების საწინააღმდეგოდ, ორივე შემთხვევაში ფსიქიკური დამოკიდებულებაა. ფორმა არის სისტემათა ორგანიზაციის, სტრუქტურის გამომხატველი ფილოსოფიური კატეგორია, ე. ი. იმ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული სისტემის ელემენტებს შორის არსებობს, საიდანაც ვღებულობთ შემდეგ დასკვნას: მოვლენა შესაძლოა გამოვლინდეს ორ ან მეტ ფორმაში, მხოლოდ შესაკრებ ელემენტთა რაოდენობრივი და თვისებრივი იგივეობის პირობით. შესაბამისად, მოვლენათა ფორმალური სახეცვლა დაკავშირებულია არა მათ შემადგენელ ნაწილთა თვისებრივ თუ რაოდენობრივ სხვადასხვაობასთან, არამედ მათ იდენტურ ელემენტთა შორის ურთიერთობათა არაიდენტურობასთან. რადგან განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ელემენტები თვისებრივი სხვადასხვაობით ხასიათდება, განზრახი და გაუფრთხილებლობითი ბრალი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არის ორი სხვადასხვა მოვლენა (სისტემა) და არა ერთი და იმავე მოვლენის ანუ სისხლისსამართლებრივი ბრალის ორი სხვადასხვა ფორმა. ამიტომ რ. ფრანკის და მასთან ერთად ი. ბაუმანის დასკვნები ამ ჭრილში მართებულია.

მაგრამ, როცა ნორმატივისტები განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ელემენტებად წარმოგვიდგენენ, აუცილებელი ხდება მათთვის იმის შეხსენება, თუ რას ნიშნავს ელემენტი. ელემენტი არის ობიექტთა სისტემის მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტი. სისტემას ვერ მივიღებთ მანამ, სანამ მოცემული არ იქნება ამ ცალკეულ ობიექტთა სრული ერთობლიობა. ამისდა კვალად, ბრალი მოგვეპოვება მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა ყველა მისი ელემენტი, თუ ერთდროულად მოცემულია განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც, ე. ი. ქმედების ბრალეულად ჩადენა დაიშვება მხოლოდ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ერთობლიობით და არა მხოლოდ განზრახვით ან მხოლოდ გაუფრთხილებლობით. სწორედ ასეთი დასკვნის საშიშროებამ განაპირობა, რომ რ. ფრანკმა კვლევის დასაწყისში ბრალის ოთხი ელემენტი გამოყო და დასასრულს, მსგავსად ი. ბაუმანისა, სამსღა დასჯერდა, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ალტერნატიულ ელემენტებად კომბინირების საშუალებით. მაგრამ ეს პრობლემის წაყრუება უფროა, ვიდრე მისი გადაჭრის მცდელობა. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის *ალტერნატიულ* ელემენტებად გამოცხადება მოასწავებს იმას, რომ ერთ შემთხვევაში ბრალის ცნება შედგება შერაცხადობის, განზრახვისა და თანამდევი გარემოებებისაგან, ხოლო მეორეში — შერაცხადობის, გაუფრთხილებლობისა და თანამდევი გარემოებებისაგან; ელემენტთა სხვადასხვაობა კი ცნებათა სხვადასხვაობას ნიშნავს. და ამ მიზეზით ვერც აქ ყალიბდება სისხლისსამართლებრივი ბრალის ერთიანი, მონოლითური ცნება.

ამაოა ი. ბაუმანის მიერ გადადგმული მომდევნო ნაბიჯიც, როდესაც ის განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის საფეხურებს (die Schuldstufen) ანუ ხარისხებს უწოდებს. ამით ი. ბაუმანი იმასვე დაუბრუნდა, რასაც თავდაპირველად უარყოფდა. მის მიერ ბრალის ფორმებად დაყოფისადმი გამოთქმული შენიშვნები უგამონაკლისოდ შეეხება თავისსავე უკანასკნელ დებულებასაც.

მაგრამ რა არის განზრახვა და გაუფრთხილებლობა, თუ ისინი ბრალის არც ფორმები, არც ელემენტები და არც საფეხურები ანუ ხარისხებია? ჩვენ ამ საკითხის გარკვევა რ. ფრანკის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ეს დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

განაგრძობს რა ფსიქოლოგიზმის კრიტიკულ განხილვას, რ. ფრანკი შენიშნავს, რომ სისხლის სამართალში ბრალი დამოუკიდებელ ცნებად არ უნდა განიმარტებოდეს. რ. ფრანკთან ბრალის ცნება მტკიცედ არის შერწყმული სისხლისსამართლებრივი ქმედების, ქცევის ცნებასთან (შემდგომში ამ მოსაზრებას განავითარებს სხვა გერმანელი კრიმინალისტიც, მ. ე. მაიერი). რამდენადაც მისთვის ბრალის არსი გასაკიცხობაში მდგომარეობს, ბრალეულ ქმედებას რ. ფრანკი განგვისაზღვრავს როგორც „გასაკიცხ ქმედებას“. ვგონებთ, მსგავსი პოზიცია არაკორექტულია.

თუმც სისხლის სამართალში ბრალი არ შეიძლება არსებობდეს, თუ არ არსებობს ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ბრალი სისხლის სამართალში არ არსებობს საერთოდ. რ. ფრანკის დეფინიცია სწორედ ბრალის როგორც სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ცნების უარყოფაა, რადგან „გასაკიცხი ქმედების“ სახით ის იძლევა ქმედების და არა ბრალის სისხლისსამართლებრივ განმარტებას.

თუ სისხლის სამართალი შემოიფარგლა მხოლოდ „ბრალეულის“, „ბრალეულობის“, „არაბრალეულობის“ და სხვა ბრალის ირგვლივ მდებარე და ბრალიდან გამომდინარე ცნებებით, ხოლო საკუთრივ ბრალის ცნება განუმარტავი დატოვა, მივიღებთ დაუძლეველ ლოგიკურ წინააღმდეგობას: თვით ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ცნებები თავიანთი შინაარსით ბრალის ცნებიდან გამომდინარეობენ, შეუძლებელს ქმნის მათზე სრულყოფილი წარმოდგენის ჩამოყალიბებას ბრალის ცნების იგნორირებით.

ასე მაგალითად, ბრალეული ნიშნავს ბრალის შემცველს და თუ არ განვმარტავთ ბრალის ცნებას, რაოდენ შეიძლება იყოს ზუსტი ჩვენი მტკიცებები იმის შესახებ, რაც ამ განუმარტავად დარჩენილ ცნებას შეიცავს?

ასე რომ, ბრალი, როგორც დამოუკიდებელი ცნება, სულ მცირე, იმისთვის მაინც არის საჭირო, რომ შესაძლებელი გახდეს ზემოაღნიშნული კატეგორიის ცნებათა ადეკვატური გაგება.

გარდა ამისა, თუ ვიხელმძღვანელებთ რ. ფრანკის ლოგიკით, უნდა უარვყოთ არა მხოლოდ ბრალის ცნების, არამედ აგრეთვე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის, მართლწინააღმდეგობისა და თვით დანაშაულის ცნების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, რათა

შევცვალოთ ისინი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედების ცნებებით.

ნებელობისა და წარმოსახვის თეორიები

რ. ფრანკი გამოწვლილვით ეხება ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში არსებულ მიმდინარეობებსაც, ნებელობის და წარმოსახვის თეორიებს და ცდილობს მათ ნაკლოვანებათა დასაბუთებას. მისი შეხედულებით, დოლუსის (განზრახვის) *conditio sine qua non* არ არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხოლოდ გათვალისწინება ან მხოლოდ სურვილი. რ. ფრანკი დოლუსს განიხილავს როგორც „დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ან დასჯადობის დამამძიმებელ გარემოებათა ცოდნას, რომელსაც თან ახლავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში გამოვლენილი ნება“.

ჩვენი აზრით, ცოდნისა და ნების პარიტეტირება საკითხის დადებითად გადაწყვეტის ერთადერთი ხერხია. *განზრახვაში შედეგის გათვალისწინების აბსოლუტიზაციით ვერ განვასხვავებთ მას თვითიმედოვნებისაგან, რამეთუ ეს ნიშანი ამ უკანასკნელისთვისაც იმანენტურია.* გარდა ამისა, წარმოსახვა ნების გვერდის ავლით ვერასოდეს იქნება ქმედების მიზეზი.

მაგრამ წარმოსახვის თეორიასაც ამის საწინააღმდეგო არაერთი არგუმენტი მოეპოვება. მის თანახმად, შედეგის წარმოსახვას ძალუძს იქონიოს სუბიექტზე ისეოდენ ძლიერი ზეგავლენა, რომ ყოველგვარმა საპირისპირო წარმოსახვამ დაკარგოს თავისი ეფექტურობა. საპირისპირო წარმოდგენების შეგნება, იმავე თეორიის მიხედვით, აუცილებელი არ არის; თუმცაღა ისინი არსებობენ და „პოტენციურმა დამნაშავემ იცის მათ შესახებ“, მაგრამ საპირისპირო წარმოდგენები კონკრეტულ პირობებში მის შეგნებაში არ იჭრებიან და, ამდენად, წარმოსახული შედეგის შეგნებულ კონტრძალებად (bewußte Gegenkräfte) მათ ვერ ვცნობთ. ამის მოშველიებით წარმოსახვის თეორია დაასკვნის, რომ სისხლისსამართლებრივი განზრახვა თავისდათავად კეთილი ნების (an sich guter Wille) უმოქმედობისა და წარმოსახვის დომინირების შედეგია.

დღეს უკვე არავინ გამოგვედავება, თუ აღვნიშნავთ, რომ წარმოსახვის თეორიას ნება მცდარად აქვს გაგებული. მაგრამ საკვირველი არის ის, რომ რ. ფრანკმაც მოცემული სწავლება სწორედ ნების არასწორი გაგებით დასძლია.

ნებას რ. ფრანკი განსაზღვრავს სხეულებრივ, ფიზიკურ მოძრაობებად (უმოქმედობისას ასეთი მოძრაობებისაგან თავის შეკავებად) და ამიტომ წარმოსახვა მაშინვე დაირთავს ნებელობით მომენტს, როგორც კი გარდაიქმნება ქმედებად ან პირიქით, მართლსაწინააღმდეგო შედეგის წარმოდგენა ვერ იქცევა ბრალეულ ქმედებად, თუ ეს ორი ცნება ნებით არ არის გაშუალებული.

რ. ფრანკის თვალთახედვის სიმცდარე მდგომარეობს იმაში, რომ ნება არის წარმოდგენის არა მექანიკური, არა მეტაფსიქიკური, არამედ შეგნე-

ბული მართვისა და ქმედებაში მისი მიზანმიმართული პროეცირების მექანიზმი.

მაგრამ ეს არ აკნინებს რ. ფრანკის კრიტიკის საფუძვლიანობასა თუ მის მიერ გამოტანილი დასკვნის დიდმნიშვნელოვნობას, ვინაიდან ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების ორთავე განშტოება მართლაც მიუღებლად ვიწროდ, ცალსახად განმარტავდა სისხლისსამართლებრივი განზრახვის შინაარსს.

რ. ფრანკი შემდგომაც განავრცობს თავის შეხედულებას და საბოლოოდ ასკვნის, რომ დამნაშავემ განზრახვის დროს არა უბრალოდ უნდა იცოდეს და წარმოიდგენდეს საზიანო შედეგს, არამედ უნდა ფიქრობდეს კიდეც მასზე ცნობიერად ან ქვეცნობიერად (აღსანიშნავია, რომ მსგავსს ის დანაშაულის სხვა გარემოებებისათვის არ მოითხოვს). და, ამგვარად, ე. ი. წარმოდგენასა და ნებას შორის რეფლექსიის დამკვიდრებით, რ. ფრანკი ნების ობიექტურ აღქმასაც უახლოვდება.

ნორმის უცოდინარობის ფრანკისეული კონცეფცია

ორიგინალურობით გამოირჩევა რ. ფრანკის შეხედულება ნორმის უცოდინარობის შესახებაც. ის წერს: „სისხლისსამართლებრივი ნორმის უცოდინარობა არ გამორიცხავს შერაცხვას: სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ყოველი ქმედება აუცილებლობით ემთხვევა რელიგიისა და ზნეობის ძირითად პრინციპებს. მაგრამ თუ სუბიექტისათვის სინამდვილეში უცხოა სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნა, ეს იმის მეტყველია, რომ ამ კონკრეტულ ნორმაში აღწერილი დანაშაული ზნეობისა და რელიგიის საწინააღმდეგოა, რაც აცლის მას ქმედით იურიდიულ ეფექტს. ნორმის ძალადაკარგულობა კი დაუშვებელს ხდის ქმედების ბრალეულობაზე საუბარს“.230 რ. ფრანკის გამონათქვამი ვერავითარ შესაბამისობაში ვერ მოდის სამართლის იდეასა თუ სისხლისსამართლებრივი ნორმის დანიშნულებასთან. საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სახელმწიფო რელიგია ან ყოველი სოციალური ფენა შეიძლება ხელმძღვანელობდეს საკუთარი ზნეობრივი კონცეფციით, მაგრამ თუ სახეზეა ერთზე მეტი სამართლებრივი სისტემა, სახეზეა ერთზე მეტი სამართლებრივად ორგანიზებული საზოგადოებაც. ურთულესი ფედერალური მოწყობის პირობებშიც ფედერალური კონსტიტუცია სამართლის განუყოფლობის ურყევი გარანტია. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ სისხლის სამართლის კანონი ერთდროულად და თანაბრად ესატყვისებოდეს ყველა რელიგიურ თუ ზნეობრივ მიმდინარეობას, რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთს გამორიცხავენ.

რ. ფრანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა თავისი დებულების ჯეროვან დასაბუთებას, ერთიანი სამართლის გვერდიგვერდ რომ არსებობდეს ერთიანი ზნეობაც და რელიგიაც. ამავე დროს, მის პოზიციასთან სრულიად შეუთავსებელია ისეთი ცნება, როგორიც ნორმის ცოდნის ვალდებულებაა.

როდესაც ჩვენ ზემოთ ნორმის უცოდინარობა ბრალის დამამძიმებელ გარემოებად ვაღიარეთ, ამას სწორედ ამგვარი ვალდებულების დარღვევა უძღოდა წინ. რადგანაც რ. ფრანკთან სუბიექტი არის არა ვალდებული იცნობდეს სისხლის სამართლის კანონს, არამედ ის თანდაყოლილად, ბუნებრივად იცნობს მის ცალკეულ ნორმებს, ცხადია, რომ ნორმის უცოდინარობით სუბიექტი ვერანაირ ვალდებულებას ვერ დაარღვევს და, შესაბამისად, ვერც მისი პასუხისმგებლობა დამძიმდება. ამის გამო ჩვენ პრინციპულად არ ვიზიარებთ რ. ფრანკის მოსაზრებას.

მიუღებელია ამ მოსაზრების გარშემო გამოტანილი დასკვნაც, რომლის შესაბამისადაც ნორმის უცოდინარობა ფსიქიკური დამოკიდებულების უარყოფაა, რადგან, როგორც ადრე აღინიშნა, ფსიქიკური დამოკიდებულება აქ გამოხატულია არა ნორმის ცოდნაში, არამედ ცოდნის ვალდებულების დარღვევაში (შეუსრულებლობაში).

რ. ფრანკის ზემოწარმოდგენილი შეხედულებებიდან ნათელია, რომ მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი კრიმინალისტი ყოველი მხრიდან შეურიგებლად ესხმის თავს იმჟამად გაბატონებულ ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებას. თუმცა ზოგჯერ დაუსაბუთებლად, მაგრამ ყოველთვის დიდი მეცნიერული ინტუიციით, სისხლის სამართალში ფსიქოლოგიზმის დამხობის იდეით გამსჭვალული.

მაგრამ რ. ფრანკის უმთავრესი დამსახურება არის არა ბრალის ფსიქოლოგიური სწავლების კრიტიკა, არამედ ამ კრიტიკის საფუძველზე ბრალის ახალი, ნორმატივისტული თეორიის დაარსება, რომელშიც ბრალი წარმოგვიდგება გასაკიცხობად და არა ფსიქიკურ დამოკიდებულებად.

ამასთან, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ რ. ფრანკი გმობს სისხლის სამართალში ფსიქოლოგიზმის ბატონობას და არა ფსიქოლოგიის მეცნიერების ყოველგვარ გამოვლინებას. მეტიც, ის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ან ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობას (გაუფრთხილებლობა) გასაკიცხობის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს. და ამიტომაც სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთ აზრსაც ვხვდებით: „მე-19-ე საუკუნის ფსიქოლოგიის, ღირებულებათა ფილოსოფიისა და სოციოლოგიის გავლენის ქვეშ ბრალის თეორია ოთხ მიმართულებად დაიყო: 1) ბრალის ფსიქოლოგიური ცნება — ბრალი როგორც დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულისადმი; 2) ბრალის ნორმატიული ცნება — ბრალი როგორც მოვალეობის საწინააღმდეგობა (die Pflichtwidrigkeit), დანაშაულებრივი ქმედების უკუღირებულება (der Unwert); აქ ბრალის ცნება შეფასებითი ცნებაა (ბელინგი); 3) პირველ ორს შორის მოთავსებული ბრალის მომდევნო, შუალედური ცნება — ბრალი როგორც გასაკიცხობა (ფრანკი); 4) ბრალის სოციოლოგიური ცნება — ბრალი ფორმალური გაგებით როგორც პასუხისმგებლობის გრძნობის უკმარისობა (Mangel an Verantwortlichkeit), მატერიალური გაგებით როგორც სოციალური რწმენის ნაკლულობა (Mangel an sozialer Gesinnung)“.231

ვფიქრობთ, რ. ფრანკის შეხედულებებისადმი ამგვარი მიდგომა ზედმეტი სიფრთხილის ნაყოფია, რაც თავის სათავეს რ. მაურახის მიერ

ნორმატივიზმის რადიკალირებაში იღებს. რ. ფრანკის თვალთახედვა ფსიქოლოგიზმთან სრული შეუთავსებლობისა და ნორმატივიზმთან სრული შეთავსებადობის გამო უნდა განვიხილოთ არა როგორც მათ შორის მდებარე შუალედური მოძღვრება, არამედ როგორც ნორმატივიზმის განვითარების საწყისი, ამოსავალი ეტაპი.

§3. თ. წერეთელი

ბრალი როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი

თ. წერეთლის პიროვნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ქართული სისხლისსამართლებრივი აზრის მძლავრი განვითარება. მის ვრცელ და უაღრესად ღრმა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბრალის პრობლემის შესწავლასაც. სისხლისსამართლებრივი ბრალის კვლევა თ. წერეთლის ნაწარმოებებში ძირითადად წარმართულია სამი შემდეგი მიმართულებით: ბრალის არსის, ბრალის როგორც დანაშაულის კონსტიტუციური ნიშნისა და ბრალის როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის თვალსაზრისით. პირველ ორთან მიმართებაში უარყოფითად არის შეფასებული ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრება, ხოლო უკანასკნელი საკითხის ანალიზი ერთიანად ემყარება სისხლის სამართალში გაბატონებული სუბიექტივიზმის კრიტიკას. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ბრალზე თ. წერეთლის შეხედულებათა სრულყოფილი გააზრება, თუ მცირედაც არ შევეხეთ მისი კვლევის მესამე ნახევარსაც, ე. ი. ბრალის მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს.

თ. წერეთელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ხედავს არა ბრალში როგორც დანაშაულის ელემენტში, არამედ დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა მთლიანობაში. ბრალი მისთვის პასუხისმგებლობის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი, არა ერთადერთი პირობაა. ამაზე მ. უგრეხელიძე შენიშნავს: „მისი (თ. წერეთლის) ზნეობრივი გრძნობისა და სამართლებრივი რწმენის მიხედვით სისხლის სამართლისათვის ძირგამომთხრელ ტენდენციებს შეიცავს თეორიები, რომლებიც აკნინებენ ქმედობის ობიექტური მხარის როლსა და მნიშვნელობას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად სუბიექტურ მხარეს აცხადებენ. ამდაგვარი სუბიექტური ტენდენციები, თ. წერეთლის აზრით, ძირშივე უნდა აღკვეთილიყო, რადგან მათ აუცილებლად მივყევართ ე. წ. „მტკიცე შემადგენლობათა“, სისხლის სამართლის კანონის სტაბილობისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითადი საფუძვლების უარყოფამდე“.232 შემდგომ ამას თ. წერეთელი სისხლის სამართლის უარყოფადაც აღიარებს. ამ მიზეზით ის პასუხისმგებლობის მორიგ აუცილებელ წინაპირობად დანაშაულის ობიექტურ მხარეს წარმოგვიდგენს და კვლევის შედეგად დაასკვნის, რომ

გადამწყვეტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სწორედ ეს მეორე ასპექტია.

თ. წერეთელი სავსებით თანამიმდევრულია თავის დასკვნებში, როდესაც ის პასუხისმგებლობის ერთადერთ პირობად „სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო სულიერ განწყობილებას როგორც ასეთს“ მიუღებლად აცხადებს.

მაგრამ გვეთქმის კი იგივე დანაშაულებრივ ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო სულიერ განწყობილებაზეც ანუ რა განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას: მართლსაწინააღმდეგო სულიერი განწყობა, რომელიც გამოხატულია დანაშაულებრივ ქმედებაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება, რომელშიც ეს მართლსაწინააღმდეგო სულიერი განწყობა გამოიხატება? ჩვენი აზრით, თ. წერეთელი დანაშაულებრივი ქმედებისადმი უპირატესობის მინიჭებით აქაც შეუმცდარ არჩევანს აკეთებს.

მართალია, დანაშაულს ვერ მივიღებთ, თუ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გვერდით ბრალეული ქმედებაც არ მოგვეპოვება, მაგრამ, ამასთანავე, ვერ ვიტყვით, თითქოს სუბიექტმა დანაშაულის ჩასადენად ცალ-ცალკე უნდა შეასრულოს სამივე მათგანი. *(სისტემატიკურად) დანაშაული არის ქმედება და არა ქმედებათა ერთობლიობა.* ამიტომ მისი დაყოფა ზემოხსენებულ ქმედებებად მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პირობითობაა, ისევე როგორც მისი დაყოფა ცალკეულ მხარეებად (სუბიექტური, ობიექტური).

აქედან გამომდინარე, (სისხლისსამართლებრივად) კონკრეტულია მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედება, მხოლოდ დანაშაული, მაშინ როდესაც ყველა სხვა მომენტი ამ კონკრეტულობით შემოსაზღვრული აბსტრაქციაა. ეს, თავის მხრივ, მოწმობს, რომ პასუხისმგებლობის, როგორც კონკრეტული კატეგორიის, ორიენტაციის საგანი დანაშაულებრივ ქმედებაში შეიძლება იყოს მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედება მთლიანად და არა მისი რომელიმე აბსტრაქტული ელემენტი თუ მხარე. მაშასადამე, პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს არა ბრალი, არამედ დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად ყოველი ბრალეული ქმედება, ამავე დროს, დანაშაულებრივი ქმედებაც არის.

მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ თ. წერეთლის კონცეფციის მომდევნო დებულებას, სახელდობრ, დანაშაულებრივ ქმედებაში, როგორც პასუხისმგებლობის უნივერსალურ საფუძველში, ობიექტური მხარის აქცენტირებას. რასაკვირველია, თ. წერეთელი შორს არის ობიექტივიზმისაგან, მაგრამ მისი უკანასკნელი მტკიცება ერთგვარად მაინც ჩრდილავს ბრალის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. უდავოა, რომ სისხლის სამართალი აწესრიგებს ინდივიდუალურ ქმედებებს და არა ინდივიდუალურ აზრებს. აზრთა, მისწრაფებათა თუ ინტერესთა წყობა ზნეობისა და რელიგიის რეგულირების ობიექტია. სისხლისსამართლებრივი ნორმისათვის მსგავსი სიღრმეები მიუწვდომელიც არის და უინტერესოც... თუ ყოველივე ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში არ აისახა. და აქ უკვე სისხლის სამართალი ისეთი სიმძ-

ლავრითა და ინტენსიურობით იჭრება სუბიექტის შინაგან სამყაროში, რომელშიც ვერასოდეს შეძლებს მასში შეღწევას ვერც რელიგია და ვერც ზნეობა. ინდივიდის გონებაში წამიერად გაელვებული სუბიექტური განწყობილების შესასწავლად მოქმედებაში მოდის უშველებელი პროცესუალური აპარატი და მისი ყოველმხრივი დადგენაღა წამოჭრის პასუხისმგებლობის საკითხს. სუბიექტმა შესაძლოა ჩაიდინოს მრავალი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ სისხლისსამართლებრივად არც ერთ მათგანზე აგოს პასუხი. მართლწინააღმდეგობასთან ერთად ბრალის დადგენით კი პასუხისმგებლობის დადგომა თითქმის ყოველთვის გარდუვალია. ამის შესაბამისად, ქმედების მართლწინააღმდეგობა ანუ ობიექტური მხარის გარკვეულობა პასუხისმგებლობის პასიურ ჩანასახად გვევლინება, რომლის აქტივირებას, პოტენციურიდან ქმედითად გარდაქმნას მხოლოდ ქმედების ბრალეულობა ანუ სუბიექტური მხარის გარკვეულობა ახდენს. ეს განსახილველ კონტექსტში უთუოდ ბრალის სასარგებლოდ მეტყველებს.

ამავე ასპექტში ჩვენ ყურადღებას იპყრობს მცდელობის პრობლემაც. გ. ტყეშელიაძე აღნიშნავს: „თ. წერეთელი ...ასაბუთებს, რომ მცდელობის შემთხვევაშიც აუცილებელია ობიექტური და სუბიექტური მომენტების არსებობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ დანაშაულის ცალკეული სტადიების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ქმედობის ობიექტურ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ სტადიების დიფერენციაცია“.233 ჩვენ თ. წერეთლის ამ არგუმენტს ვერ დავეთანხმებით, მაგრამ არა უპირობოდ, რადგან მას საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს.

იმაზე, რომ თ. წერეთლის ეს მოსაზრება ყოვლად უნიადაგო არ არის, გარკვევით მიგვანიშნებს ფ. კლერკის მიერ წარმოდგენილი სისხლისსამართლებრივი მონანიების გრადაცია. ფ. კლერკი წერს: „მონანიება სისხლისსამართლებრივად სხვადასხვა მნიშვნელობისაა, იმისდა მიხედვით, თუ დროის რომელ მონაკვეთში იჩენს თავს: 1) დელიქტის აღსრულების (განხორციელების) პროცესში ის ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა; 2) დელიქტის აღსრულების შემდგომ, მაგრამ შედეგის დადგომამდე მას ქმედითი მონანიება (tätige Reue) ეწოდება, რომელიც, მოსამართლის შეხედულებისამებრ, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება; და 3) დელიქტის დამთავრების, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის მიღმა მონანიება კვლავაც გამოიყენება, მოსამართლის შეხედულებისამებრ, ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად, თუ ის მიჩნეულია გულწრფელად“.234

პირველ შემთხვევაში, როდესაც დელიქტი განხორციელების პროცესშია და მცდელობის სტადიას გაცილებული არ არის, მონანიებით პასუხისმგებლობა სრულიად გამოირიცხება.

ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში, სადაც ჯერ უშედეგოდ დასრულებულ ქმედებას, შემდეგ კი თვით შედეგსაც ვღებულობთ, მონანიება მხოლოდ ამცირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხს და ისიც არა აუცილებლობით, არამედ მოსამართლის შეხედულებისამებრ.

ფ. კლერკის ამ თეზისიდან გამომდინარეობს, რომ ბრალისა და პასუხისმგებლობის საზომი ერთეული დანაშაულის ობიექტური მხარეა, რაც აბსოლუტურად ემთხვევა თ. წერეთლის ზემოაღნიშნულ მტკიცებას. იმავე დასკვნამდე მიდის ზოგიერთი სხვა ავტორიც.

მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მცდელობა გამოყენებულია სპეკულაციური გაგებით და ეს ჩვენ მიერ მოტანილ ორივე მაგალითშიც თვალსაჩინოდ იკვეთება: თ. წერეთლის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია მცდელობაში ობიექტური მომენტის შეტანა მისი შემდგომი დაწინაურებით სუბიექტური მომენტის მიმართ (!), ფ. კლერკი ობიექტური მხარის მთავარ მასშტაბად განსაზღვრისას იშველიებს სწორედ იმას, რომ მცდელობა მოკლებულია ობიექტურ მომენტს (!!).

ობიექტური მომენტის, როგორც ასეთის, მცდელობაში აღმოჩენა თ. წერეთლის დიდი დამსახურებაა. იმავდროულად დანაშაულებრივი ქმედების ეს სტადია, მსგავსად სხვა სტადიებისა, თვალნათლივ ადასტურებს, რომ ობიექტური მხარე არის პასუხისმგებლობის მხოლოდ და მხოლოდ *causa materialis*. და პირიქით: მცდელობის დროს ბრალი ასევე ცხადად იკვეთება როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის *causa formalis*, რომელთანაც უშუალო კავშირშია დანაშაული უკვე როგორც პასუხისმგებლობის *causa efficiens* და სასჯელი როგორც პასუხისმგებლობის *causa finalis*.

დანაშაულის მცდელობა უცილობლად მოითხოვს გარკვეული განზრახი მოქმედების ან მოქმედებების შესრულებას, რომლებიც, ამასთან, არასოდეს გამოიწვევენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ პოზიტიურად არ გადაწყდა ბრალეულობის საკითხი, რაზედაც ჩვენ ზემოთ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება. ამიტომ არც ამჯერად გაგვაჩნია ბრალის დეპრიმატირების რამეგვარად ხელჩასაჭიდი საბუთი. არსებითად იგივე ითქმის დანაშაულის მომზადებაზეც.

ბრალი როგორც დანაშაულის ცნების ნიშანი

თუ პასუხისმგებლობის საფუძვლის კვლევისას თ. წერეთელი ნორმატივისტული სუბიექტივიზმის კრიტიკითაა დაკავებული, ბრალის როგორც დანაშაულის ცნების ნიშნის განხილვა მასთან ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში მიღებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზია.

უპირველეს ყოვლისა, თ. წერეთელი არ ეთანხმება ნ. დურმანოვის აზრს, რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობა წარმოუდგენელია ბრალის გარეშე. შემდეგ იმავე მიზეზით უარყოფს ვ. კუდრიავცევის შეხედულებებს, რომელიც თვლის, რომ „ბრალი შეიძლება არ ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობის ცნების აუცილებელ ელემენტად მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი ცნობს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც“.

თ. წერეთელი ამგვარად ასაბუთებს თავის პოზიციას: „სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკი-

სრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეიძლება ჩადენილ იქნას განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, ე. ი. ბრალის გარეშე და ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას არ იწვევს... ქმედობა შეიძლება არ იყოს ბრალეული და, მიუხედავად ამისა, იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო“.235 ნათელია, რომ თ. წერეთელი ამით მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის საფუძველთან დაკავშირებით ადრე გამოთქმულ თავის მოსაზრებებს, მაგრამ ის სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბრალი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ცნების სპეციალურ, მართლწინააღმდეგობისაგან დამოუკიდებელ ნიშანს.

ჩვენი აზრით, მართლწინააღმდეგობის ზოგადსამართლებრივი და მათ შორის სისხლისსამართლებრივი ფორმულა უნდა განისაზღვროს როგორც *„(სხვისი) უფლების დარღვევა“,*[0]* ბრალისა, — როგორც *„(საკუთარი) მოვალეობის შეუსრულებლობა“.*

სისხლის სამართლის კანონი აწესებს ბრალის გამორიცხვის სამ პირობას: შეურაცხადობას კანონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო, შეურაცხადობას ფსიქიკური დაავადების საფუძველზე და სუბიექტურ შეცდომას.236

მაგრამ ყველა ეს შემთხვევა იმთავითვე ცხადყოფს, რომ ბრალის გამორიცხვით ვერ უარიყოფა სისხლისსამართლებრივად დაცული უფლების დარღვევის ფაქტი.

თუ გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა ჩადენილია ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ, ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს დაზარალებული სინამდვილეში მკვდარი არ არის. მას ვერ აღვუდგენთ დარღვეულ სიცოცხლის უფლებას ვერც სუბიექტური შეცდომის ან სუბიექტის მცირეწლოვანების დადგენით.

ამავე დროს, არც ერთი ამ სამივე სუბიექტთაგანი, სჩადის რა მკვლელობას, მკვლელობის ჩაუდენლობის სისხლისსამართლებრივ მოვალეობას არ არღვევს, რამეთუ პირველ ორს სისხლისსამართლებრივი მოვალეობები არ ეკისრება საერთოდ, ხოლო მესამეს თუმც ეკისრება, მაგრამ შეგნებული არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რომ მისი კონკრეტული ქმედება მოვალეობის საწინააღმდეგოა.

---

* სხვისი უფლების დარღვევა დგინდება სწორედ მართლწინააღმდეგობის და არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის საფეხურზე, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში ჯერ გაურკვეველია გამამართლებელი გარემოების არარსებობა. გამამართლებელი გარემოება ნიშნავს არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად მოქმედის აღჭურვას სხვისი უფლების დარღვევის სამართლებრივი შესაძლებლობით, არამედ იმას, რომ სისხლის სამართალი მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის უფლებას არ იცავს ანუ არ ცნობს; ეს გასაგებიც არის, რამეთუ შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი უფლების დარღვევა სისხლისსამართლებრივადვე იყოს ნებადართული. და რადგან დანაშაულის შემადგენლობის სფერო არაფერს მიგვითითებს დაზარალებულის უფლების არსებობაზე, აქ ვერც ამ უფლების დარღვეულობა გაირკვევა.

ამიტომ მართლწინააღმდეგობა, როგორც სხვისი უფლების დარღვევა, სავსებით შეიძლება არსებობდეს ბრალის როგორც საკუთარი მოვალეობის დარღვევის არარსებობის დროსაც.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვა არანაკლებ რელევანტური გარემოება. თუ სხვისი უფლების დარღვევა საკუთარი მოვალეობის დაურღვევლადაც დაიშვება, მოვალეობის დარღვევა სისხლისსამართლებრივად ყოველთვის გულისხმობს სხვათა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას.

ამრიგად, როდესაც თ. წერეთლის მიერ ციტირებული ავტორები ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ერთიან ნიშნად კომბინირებას მოითხოვენ, საუბარი უნდა იყოს მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ბრალის მატერიალურ დანამატზე და არა ბრალზე, როგორც მართლწინააღმდეგობის ფორმალურ დანამატზე, ე. ი. ამ ორი ნიშნის გაერთიანების სურვილით შეპყრობილ ფსიქოლოგიურ მოძღვრებას უკეთეს შემთხვევაში შეეძლო ბრალში მართლწინააღმდეგობის ინტეგრირება და არა პირიქით.

თ. წერეთელი გაუმართლებლად მიიჩნევს ბრალის შეტანას საზოგადოებრივ საშიშროებაშიც, რომელიც, ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების მიხედვით, დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანია. თ. წერეთლის მტკიცებით, ბრალი ერთდროულად ვერ იქნება საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტიც და მისდამი ფსიქიკური დამოკიდებულებაც იმდენად, რამდენადაც ბრალი, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი, თავადვე გახდებოდა ფსიქიკური დამოკიდებულების ობიექტი. ამის გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემომოტანილი სილოგიზმი, სადაც ბრალი უარიყოფა როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედებისადმი.

ვეთანხმებით რა თ. წერეთლის შეხედულებებს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობისაგან ბრალის გამიჯვნის შესახებ, ჩვენთვის მიუღებელია მისი პოზიცია დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის ურთიერთობის თვალსაზრისით. თ. წერეთელი აღნიშნავს: „დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს მითითებებს აგრეთვე ნიშნებზე, რომლებიც სუბიექტურ მხარეს ახასიათებენ. შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ბრალს და მის ფორმებს — ე. ი. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას“.237

დანაშაულის შემადგენლობაში სუბიექტური მომენტის შეტანა თავის დროზე ნორმატივიზმის წარმომადგენლებმაც სცადეს. კ. ბინდინგის დანაშაულის ორნიშნა ცნებაში დანაშაულის შემადგენლობა დაყოფილია ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებად, რომელთაგან პირველი ამომწურავად მოიცავს ბრალის ფარგლებიდან გატანილ ნებას (თვით ბრალი კ. ბინდინგთან მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ქმედუნარიანობაა — strafrechtliche Handlungsfähigkeit).

დანაშაულის შემადგენლობის ბინდინგისეულ სტრუქტურას უმნიშვნელო ცვლილებებით განავრცობენ ი. ნაგლერი და ფ. ალფელდი.

ფინალისტი რ. მაურახი კი კ. ბინდინგის „ობიექტური შემადგენლობისაგან“ დამოუკიდებლად აყალიბებს თავის ე. წ. „ნებით განსაზღვრულ დანაშაულის შემადგენლობას“ („willensgetragener Tatbestand“), რომელიც ბევრად უფრო ვრცელ განვითარებას პოვებს.

მაგრამ ეს მიმდინარეობები დანაშაულის შემადგენლობის მხოლოდ ზომიერი სუბიექტივირებაა იმასთან შედარებით, რასაც ა. პიონტკოვსკი და მასთან ერთად ბრალის ფსიქოლოგიური სწავლება გვთავაზობს. რა დროსაც კ. ბინდინგს და რ. მაურახს დანაშაულის შემადგენლობაში ბრალის თუმც მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ნაწილი შეაქვთ, ა. ა. პიონტკოვსკი საკითხს მაქსიმალისტურად უდგება და ბრალს ერთიანად განაკუთვნებს დანაშაულის შემადგენლობას.

ა. ა. პიონტკოვსკისთან დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურად წოდებული ნახევარი სრულყოფილად მოიცავს ბრალის ფორმას ანუ განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობას, მოტივებს, მიზნებს და ამგვარად უპირისპირდება დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, რომელიც საკუთრივ ქმედებისა და მისი შედეგებისაგან არის შემდგარი. თ. წერეთლის ზემოწარმოდგენილი მოსაზრებაც ამის ინერციული გაგრძელებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მოცემულ სფეროში არ ვემხრობით არა მხოლო ფსიქოლოგიზმის რადიკალურ ტენდენციას, არამედ მცდარად ვრაცხთ დანაშაულის შემადგენლობაში ბრალის ყველაზე უმნიშვნელო გამოვლინებასაც. ჩვენში უკვე მყარად იკიდებს ფეხს ე. ბელინგის მიერ შემუშავებული დანაშაულის სამნიშნა ცნება და აქედან გამომდინარე ბრალის სრული დამოუკიდებლობა დანაშაულის შემადგენლობისაგან. ამასთანავე, ჩვენ არასწორად გვესმის მისი წარმატების ძირითადი მიზეზი, როდესაც ასეთად ე. ბელინგის თეორიის განსაკუთრებულ პრაქტიკაბელურობას წარმოვიდგენთ. არტ. კაუფმანი (განსხვავებით ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები არმ. კაუფმანისაგან, ის ფინალისტი არ არის) მართებულად შენიშნავს: „თუ მოძღვრება ლოგიკურად გამართულია, მას შეუძლია არ იზრუნოს თავის ვარგისობაზე, რადგან, როგორც ამას ჯერ კიდევ არისტოტელე უწყოდა, არაფერია იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია“.238 ე. ბელინგს ჩინებულად გაეგება, რომ *ბრალი არ შეიძლება მოიცავდეს ურთიერთგამომრიცხავ შინაარსს სისტემატიკასა და დოგმატიკაში.* თუ დოგმატურად ნება ბრალის ნიშანია, ის სისტემატიკურადაც ბრალის ნიშნადვე უნდა დარჩეს, რისი აუცილებლობა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ნაკლებად არის გათავისებული.

ბრალის ცნების დოგმატურ და სისტემატიკურ ასპექტთა არაკოლიზიურობა, ბრალის სუბიექტური ბუნების აბსოლუტურობა ანუ შინაარსობრივად მისი დისტანცირება ყოველივე ობიექტურისაგან — ეს არის ე. ბელინგის თეორიის ქვაკუთხედი! მისი (დანაშაულის სამნიშნა ცნების) პრაგმატული ხასიათი კი ამ თეორიული სიზუსტის შემთხვევითი შედეგია. ე. ბელინგის კონცეფცია ზოგ ნაკლოვანებასაც შეიცავს, მაგრამ განსახილველ საკითხთან მათ მცირე რამ აქვთ საერთო.

ვგონებთ, კლასიკური სქემის დადებითად წარმოჩენა დამაკმაყოფილებლად მეტყველებს იმაზე, თუ რატომ არ ვეთანხმებით თ. წერეთლის შეხედულებას დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის კორელაციის თვალსაზრისით.

ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული ცნება

ბრალთან მიმართებაში მესამე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი თ. წერეთლის მიერ ბრალის ფსიქოლოგიური ცნების უარყოფაა. უფრო ზუსტად, ის ესწრაფვის ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატივისტულ ცნებათა უნიფიცირებას. მაგრამ ფსიქიკური დამოკიდებულებისადმი გასაკიცხობის დართვა თ. წერეთელთან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. ერთგან ბრალი განიხილება როგორც „ეთიკურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება“, ხოლო სხვაგან, სადაც განხილვის საგანია დანაშაულისა და ბრალის ცნებებისადმი გასაკიცხობის მიმართება, თ. წერეთელი წერს: „...დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში როგორც დამოუკიდებელი ნიშნის — ქმედობის მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის შეტანა ზედმეტია, ვინაიდან ეს მომენტი უკვე მოცემულია ბრალის ნიშანთან ერთად. ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ. ამიტომ დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობის ნიშნის შეტანა იქნებოდა იმის აღიარება, თითქოს დანაშაულის სხვა ნიშნებში ეს მომენტი მოცემული არ არის“.239 არის თუ არა ეთიკური, ზნეობრივი და ზნეობრივ-პოლიტიკური გაკიცხვა - ერთგვაროვანი შინაარსის მომცველი ცნებები?

ეთიკა ზოგადად შეიძლება განიმარტოს როგორც სწავლება ან მეცნიერება ზნეობრივზე, რომლის შესწავლის საგანსაც ინდივიდთა მორალური შეგნება და ქცევა შეადგენს. ამასთან, ეთიკა ფილოსოფიის ფარგლებში არსებული მეცნიერებაა, საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა: თუ ბრალი განისაზღვრა როგორც ეთიკურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება, ამით მივიღებთ ბრალის არა სამართლებრივ, არამედ ეთიკურ-ფსიქოლოგიურ ანუ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ცნებას. ფსიქოლოგიური და ეთიკური (ფილოსოფიური) მომენტებისაგან ერთობლივად შემდგარი ბრალის ცნება შესაძლოა უფრო ახლოს იყოს ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებასთან, ვიდრე ბრალის მხოლოდ ფსიქოლოგიური მოდელი, მაგრამ ეს ძნელად თუ მიგვიყვანს ჩვენთვის სასურველ შედეგამდე, რადგან სამართალი არც ფსიქოლოგიაა და არც ფსიქოლოგიისა და ეთიკის (ფილოსოფიის) სქოლასტიკური ერთობა.

ეთიკისა და ზნეობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიაში ის ორი ურთიერგამომრიცხავი მიმართულებით ვითარდებოდა.

საბჭოთა თეორეტიკოსები ზნეობისა და ეთიკის სრულ მატერიალურ იდენტურობაზე საუბრობდნენ, რის საპირისპიროდაც თანამედროვე

ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ეს ორი თვისებრივად სხვადასხვა სახის ცნებაა.

უკანასკნელი თვალთახედვის თანახმად, ზნეობას ახასიათებს შინაარსობრივი ნაირფეროვნება, წინააღმდეგობრიობა, განუწყვეტლივი ცვალებადობა, ინდივიდუალური და სუბიექტური განსაზღვრულობა, ხოლო ეთიკა წარმოდგენილია როგორც ერთიანი, ყოვლად სახეუცვლელი, თითოეულ ეპოქაში და ყოველი ცალკეული ინდივიდის მიმართ მოქმედი იმპერატივების სისტემა; მაშინ როდესაც აქ ეთიკა „შემოქმედი გონის" სფეროს განეკუთვნება, ზნეობა „ცალკეულთა" სუბიექტური ცნობიერებიდან გამომდინარე ცნებაა.

ნ. ჰარტმანი, ცდილობს რა მკაფიოდ გამოკვეთოს მოცემული სხვაობა, საუბრობს „ზნეობათა სიმრავლისა" („Vielheit der Moralen") და „ეთიკის ერთიანობის" („Einheit der Ethik") პრინციპზე.

თუ განვავრცობთ ზემოწარმოდგენილ პოზიციათაგან უკანასკნელს, მივიღებთ, რომ ზნეობის პრინციპები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ეთიკის პრინციპებს და მნიშვნელოვნადაც ეწინააღმდეგებოდს მათ (უფრო მეტიც, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, რადგან ზნეობის შემთხვევაში საქმე გვაქვს „განუწყვეტლივ ცვალებადობასთან", ეთიკა კი „ყოვლად სახეუცვლელ" ხასიათს ატარებს, ვასკვნით, რომ ეთიკისა და ზნეობის პრინციპები, *როგორც წესი*, უნდა გამორიცხავდნენ ერთმანეთს).

აქედან გამომდინარე, ის, რაც ეთიკურად გასაკიცხია, შესაძლებელია იმავდროულად სულაც არ იყოს ზნეობრივად გასაკიცხი და პირიქით. იმის გარკვევა, თუ რომელი პოზიცია შეიძლება იყოს უპირატესად მისაღები, უეჭველად რთული თეორიული ამოცანაა, რადგან ორივე შემთხვევაში სახეზეა საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტთა მთელი რიგი.

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს ჩვენი ყურადღების საგანს არ შეადგენს. ამჯერად მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ რა მიმართებაშია პრობლემის ამგვარი მდგომარეობა თ. წერეთლის განსახილველ შეხედულებასთან. ვინაიდან თ. წერეთელი ფსიქიკური დამოკიდებულების ეთიკურ გასაკიცხობას ფსიქიკური დამოკიდებულების ზნეობრივი გასაკიცხობის პარალელურ ცნებად მოიხსენიებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ერთიანად იზიარებს აქ წარმოდგენილ პირველ თვალთახედვას და ეს სავსებით გასაგებიც არის.

მაგრამ შეიძლება კი ასევე გასაგებად მივიჩნიოთ იმ ნორმატივისტთა პოზიციაც (მხედველობაში გვყავს კლასიკური ნორმატივიზმის წარმომადგენლები), რომლებიც, მსგავსად თ. წერეთლისა, არ ერიდებიან ეთიკური გასაკიცხობის გვერდიგვერდ ზნეობრივი გასაკიცხობის მოხსენიებას? ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ გერმანელი კრიმინალისტები, ეთიკისა და ზნეობის ურთიერთობის თვალსაზრისით, ხელმძღვანელობენ არა გერმანულ ფილოსოფიაში დამკვიდრებული შესაბამისი კონცეფციით, რომელსაც საფუძვლად კანტის შეხედულებები უდევს და რომელიც თავის განვითარებას მ. შელერთან და ნ. ჰარტმანთან პოვებს, არამედ საბჭოურ ფილოსოფიურ დოქტრინაში მიღებული

პრინციპებით! ეს სწორედ რომ ვერავითარ ლოგიკურ ახსნას ვერ ექვემდებარება, რამეთუ ნორმატივისტთა იდეალისტური მსოფლმხედველობა შეუძლებელს უნდა ხდიდეს ხსენებული პრინციპებით ხელმძღვანელობას.

რასაკვირველია, ჩვენ არ გვსურს ვამტკიცოთ, რომ გერმანელი კრიმინალისტები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ გერმანულ ფილოსოფიაში წარმოდგენილ თვალსაზრისს უნდა აღიარებდნენ, მაგრამ როდესაც საქმე შეეხება განსაზღვრული დებულების ამოსავალ პოზიციასთან წინააღმდეგობრივ მიმართებას, ცხადია, არჩევანი ამოსავალი პოზიციის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. ამდენად, ნორმატივიზმის წარომადგენელთა მიერ ეთიკური გასაკიცხობისა და ზნეობრივი გასაკიცხობის პარალელურობის დაშვება სრულ უპერსპექტივობას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ თ. წერეთელთან აქ არანაირ შეუსაბამობას ადგილი არა აქვს.

მაგრამ რა თავისებურებებით გამოირჩევა ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან უშუალოდ ზნეობრივი გასაკიცხობის კომბინირება? თუ ბრალი ზნეობრივად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა, მაშინ ქმედების ბრალეულად ცნობა შეიძლება დაევალოს ნებისმიერ სხვა პიროვნებას, გარდა მოსამართლისა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს და არა საზოგადოებას, ე. ი. სამართალს და არა ზნეობას. სხვა მხრივ, ამ დებულებით ხელოვნურად ვამცირებთ სისხლისსამართლებრივი და ზნეობრივი ბრალის ურთიერთგანსხვავების შესაძლებლობასაც. ზნეობრივ რეგულირებას ექვემდებარება არა მხოლოდ სუბიექტის შინაგანი სამყარო, არამედ, მსგავსად სამართლებრივი რეგულირებისა, ქმედებასა და შედეგში გამოხატული სუბიექტური ნებაც. ამის გამო სისხლისსამართლებრივი ბრალი, როგორც ქმედებისა და შედეგისადმი ზნეობრივად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება, მუდამ დაემთხვევა ზნეობრივი ბრალის უკანასკნელ მხარეს ანუ იქცევა ზნეობრივი ბრალის ელემენტად.

თ. წერეთელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისთვის თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებაში ზნეობისა და სამართლის პრინციპები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. და რადგან ყოველი ზნეობრივად გასაკიცხი ქმედება ამავე დროს სამართლებრივ-პოლიტიკურ გაკიცხვასაც იმსახურებს, თ. წერეთელი დაასკვნის, რომ ზნეობრივი გასაკიცხობის სინონიმურ ტერმინად შესაძლებელია ვიხმაროთ ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხობა. მაგრამ ყოველივე ამასთან, მას არ მოაქვს იმის არავითარი არგუმენტი, თუ რა აპირობებს სისხლისსამართლებრივი ბრალის ცნებაში სამართლებრივი ასპექტის მეორადობას. ამ უკანასკნელის მეორადობაში იგულისხმება შემდეგი: თ. წერეთელს სამართლებრივი (პოლიტიკური) გასაკიცხობა შემოაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის განიხილება ზნეობრივ გასაკიცხობასთან შეთავსებად ცნებად, ე. ი. ამოსავალი მომენტი კვლავაც ზნეობაა.

გარდა ამისა, თ. წერეთელი თავადვე უარყოფს ზნეობისა და სამართლის ზემოხსენებულ ტოტალურ მსგავსებას, როდესაც ის ერთმნიშვნე-

ლოვნად აღნიშნავს: „...ქმედობა შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს არავითარ სამართლებრივ ნორმას და მიუხედავად ამისა საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენდეს. ავიღოთ ისეთი ამორალური ქმედობანი, როგორიცაა სისხლის აღრევა, ცხოველთმავლობა, შეგულიანება ან ხელის შეწყობა სრულწლოვანი შერაცხადი პირის თვითმკვლელობისათვის. ეს მძიმე ამორალური ქმედობანი უეჭველად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ მორალს, მაგრამ სოციალისტური საზოგადოება საჭიროდ თვლის ებრძოლოს მათ არა სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიებების, არამედ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეშვეობით“.240 ეს საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ზნეობრივ და სამართლებრივ პრინციპთა სოციალისტურ სამართალში პროკლამირებული იგივეობა აშკარა უსაფუძვლობაა. ზნეობასა და სამართალს გააჩნიათ რიგი ისეთი თავისებურებებისა, რომლებიც ობიექტურად შეუძლებელს ქმნიან ამ ორი სოციალური ფენომენის ურთიერთშეთავსებას.

იმავდროულად უნდა შეინიშნოს, რომ ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხობის დაკავშირება ტრივიალურობა არ იყო. თ. წერეთლამდე ეს არავის უხსენებია, მის მეცნიერულ დამუშავებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მიუხედავად იმისა, თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეს დებულება და თუ რომელი კომპონენტია მასში უპირატესად გამოყოფილი, ფსიქიკური დამოკიდებულების ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხობა ნიშნავს, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შეტანილ იქნა *ნორმატიული* შეფასების აუცილებლობა.

სწორედ ეს განასხვავებს თ. წერეთლის თვალთახედვას გ. რადბრუხის შეხედულებებისაგან და სწორედ ამიტომ შეიძლება ეწოდოს მას ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია.

მსგავსად თ. წერეთლისა, გ. რადბრუხიც მიიჩნევს, რომ ბრალი არ შეიძლება იყოს მარტოოდენ ფსიქიკური დამოკიდებულება, მაგრამ ამის შედეგად ის ბრალს განიხილავს მხოლოდ როგორც ეთიკურად ან ზნეობრივად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ეთიკურად ან ზნეობრივად გაკიცხვა არის მისი ეთიკური ან ზნეობრივი და არა სამართლებრივ-ნორმატიული შეფასება. რამდენადაც ჭეშმარიტ ნორმატივიზმს გასაკიცხობაში გაეგება არა ყოველგვარი, არამედ სამართლებრივ-ნორმატიული გასაკიცხობა, ცხადია, რომ გ. რადბრუხის განმარტება არასაკმარისად პასუხობს ნორმატივისტული მოძღვრების უმთავრეს პრინციპს. ამსახად, მისი წარმოდგენა ფსიქოლოგიზმსა და ნორმატივიზმში მოცემულ ძირითად ნიშანთვისებათა კომპლექსურ მთლიანობად დაუშვებელია.

თ. წერეთლისა და გ. რადბრუხის პოზიციათა სხვაობა ბრალის ფორმებთან დამოკიდებულებაშიც თვალნათლივ იკვეთება. გ. რადბრუხთან გაუფრთხილებლობა ფსიქიკური დამოკიდებულების ნაირსახეობას არ შეადგენს და, ამდენად, ის არც გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა. მის თანახმად, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ განზრახი ბრალი, როდესაც სუბიექტს „სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი და იცის მის შესა-

ხებ“. მაშასადამე, აზრთა სხვაობა პირობადებულია იმით, რომ თ. წერეთელი და გ. რადბრუხი სხვადასხვაგვარად წარმოიდგენენ არა მხოლოდ გასაკიცხობის, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსსაც.

ჩვენი აზრით, გვერდი ვერ აექცევა იმ თავიდათავი პრობლემის გარკვევას, თუ რაოდენ ღირებულია სისხლისსამართლებრივად თვით ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და გასაკიცხობას შორის არსებული ურთიერთობა. დღეს საყოველთაოდ აღიარებენ, რომ ბრალის ფსიქოლოგიური ცნება შეფასებით მომენტს მოკლებული ცნებაა; მოცემული მომენტი მხოლოდ ნორმატივიზმის კუთვნილებად ითვლება და ეს უთუოდ მცდარია. ყოველი ინდივიდი მის მიერ ჩადენილი თუ ჩასადენად გამიზნული ქმედებისადმი ნიადაგ გამოხატავს კმაყოფილებას, უკმაყოფილებას ან ინერტულობას, ე. ი. აძლევს მას თავის სუბიექტურ შეფასებას. ინდივიდუალური ნატურიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, რომ პირი თითოეული ფსიქიკური დამოკიდებულების (განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის) დროს შინაგანად არ აფასებდეს თავის ქმედებას. ამიტომ ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველთვის შეფასებას გულისხმობს. ფსიქიკური დამოკიდებულების ეთიკური, ზნეობრივი თუ ზნეობრივ-პოლიტიკური გაკიცხვა სხვა არაფერია, თუ არა ამ შეფასების მორიგი შეფასება. მაგრამ პირველი ავტონომიური, ინდივიდუალური შეფასებაა, მეორე კი — გარეგანი, მეტაინდივიდუალური. მაშინ როდესაც გასაკიცხობა მიგვითითებს მუდამჟამს ნეგატიურ შეფასებაზე, ფსიქიკურ დამოკიდებულებას ის შეიძლება ახლდეს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ფორმით.

ამასთან, ბრალის, როგორც ასეთის, დასადგენად უმნიშვნელოა სუბიექტურ შეფასებათა დამთხვევა, რომლებიც ეხება ქმედებას ჩადენამდე და ჩადენის შემდეგ. უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების პროცესში სუბიექტი შესაძლოა კმაყოფილებით ეკიდებოდეს თავის ქმედებას ანუ დადებითად აფასებდეს მას, მაგრამ ამავე ქმედების ჩადენით გამოწვეულმა ეფექტმა დამნაშავე შესაძლებელია უარყოფითად განაწყოს მისდამი (ქმედებისადმი), რაც ძირითადად სისხლისსამართლებრივ მონანიებაში ვლინდება.

ამრიგად, სისხლის სამართლის ინტერესის სფერო შემოგარსულია სუბიექტური შეფასების იმ სახით, რომელიც თან სდევს და არა თან მოსდევს განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობას.

გასაკიცხობა, როგორც განუწყვეტლივ უარყოფითი შეფასება, მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ მოგვეპოვება დადებითი სუბიექტური შეფასება. მაგალითად, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ხვარაზმშას შვილის მკვლელობისას ტარიელი ამბობს: „კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარმაც თქმად ენით, უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“, მისი ფსიქიკური დამოკიდებულების გარეგან გასაკიცხობაზე საუბარი სავსებით მისაღებია, ვინაიდან ის პოზიტიურად აფასებს თავის ქმედებას.

ნეგატიური სუბიექტური შეფასება ვერასოდეს გამოიწვევს გასაკიცხობის ვერც ერთ ზემოხსენებულ ფორმას. და ეს ადვილად შესაძლოა დასაბუთდეს თვით პირდაპირი განზრახვის მაგალითზეც. იმისდა მიუხე-

დავად, რომ პირდაპირი განზრახვა ბრალის ყველაზე უფრო მკვეთრ, ყველაზე უფრო „აგრესიულ“ ხარისხს განასახიერებს, სუბიექტი აქაც შესაძლოა უარყოფითად აფასებდეს თავის ქმედებას. პირს შესაძლოა სურდეს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამოდინარე საზიანო შედეგი ისე, რომ ითვალისწინებდეს მისი დადგომის აუცილებლობას, მაგრამ იმავდროულად მკვეთრად უარყოფითად აფასებდეს თავის ამ სურვილს ანუ პირდაპირი განზრახვის თანამდევ მომენტადაც შესაძლებელია წარმოგვიდგეს მწვავე *თვითგაკიცხვა.* თვითგაკიცხვა კი სრულიად გამორიცხავს *გარეგანი გაკიცხვის* საჭიროებას, რაც ბრალის გამორიცხვასაც ნიშნავს. მაგრამ დაიშვება კი მსგავსი მოქმედების არაბრალეულობა რომელიმე ქვეყნის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით? ცხადია, არა. ამიტომაც ბრალი ვერ იქნება გარეგანად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება. თუ რა შეიძლება იყოს გარეგანი გაკიცხვის ობიექტი (უმართლობის შეგნება, ნება თუ სხვა), ეს დამოუკიდებელი განხილვის საგანია.

სქემატურად თ. წერეთლის ბრალის თეორიაში მის ძირითად მხარეთა, ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის, ურთიერთობა ამგვარად შეიძლება გამოისახოს:



როგორც მოცემული გამოსახულებიდან გარკვევით ჩანს, მივიღოთ ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული თეორია ნიშნავს უარვყოთ ბრალეულობა-დასჯადობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი თუმც შეგნებულად არღვევს სისხლისსამართლებრივ მოვალეობას, მაგრამ შინაგანად გმობს, კიცხავს საკუთარ ქმედებას.

თ. წერეთლის მოძღვრებაში ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის ზემოწარმოდგენილი თანაფარდობიდან ასევე ეკლატანტურად გამომდინარეობს ის ძირითადი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას კლასიკური ნორმატივიზმისაგან. სახელდობრ, თ. წერეთლის ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტულ სწავლებაში ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხობა ბრალის ცნების დამოუკიდებელი ნიშნებია, ხოლო ბრალის ნორმატიული თეორია ფსიქიკურ დამოკიდებულებას წარმოგვიდგენს როგორც გასაკიცხობის ერთ-ერთ კომპონენტს.

ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის ურთიერთობაში ხედავს ამ განსხვავებას მ. უგრეხელიძეც: „ამჟამად გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს აზრი, რომ ბრალი წმინდად ფსიქოლოგიური ცნება კი არ არის, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც თავის განუყოფელ ნიშნად გულისხმობს საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხობას. ამასთან, გასაკიცხობის მომენტი მეორადია და იგი რეალური ფსიქიკური დამოკიდებულებიდან წარმოდგება. ფსიქოლოგიურმა ფაქტებმა და მათ შინაარსმა უნდა განსაზღვრონ, ნამდვილად გასაკიცხია თუ არა რეალურად მოცემული ქცევა. უკეთ რომ ვთქვათ, ამოსავალია დებულება, რომ მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხობა გარედან კი არ შეიტანება ვინმეს მიერ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში, არამედ პირიქით, ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსიდან გამოიტანება შესაბამისი დასკვნა. ამით ბრალის საბჭოური თეორია პრინციპულად ემიჯნება ბრალის იდეალისტურ ნორმატივისტულ თეორიას“.241 მ. უგრეხელიძის შენიშვნა გასაკიცხობის, პირობითად რომ ვთქვათ, მეორადობის შესახებ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტულ დოქტრინაში გასაკიცხობა არ იყოს ბრალის ცნების დამოუკიდებელი ნიშანი. ის გარემოება, რომ მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ბრალის შინაარსს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება გასაკიცხობის გარეშე ბრალი არ არის, უკვე საკმარისად მეტყველებს გასაკიცხობის, როგორც ბრალის ცნების მორიგი ნიშნის, აბსოლუტურ დამოუკიდებლობაზე. ამიტომ ხსენებულ შენიშვნას, ვფიქრობთ, ოდნავადაც არ შეაქვს ეჭვი ჩვენ მიერ ზემომოტანილი სათანადო შედარების მართებულობაში.

დასასრულ, შეიძლება აღინიშნოს, რომ თ. წერეთლის მოძღვრება ბრალზე, რომლის მიმდევართა შორის არიან გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, ო. გამყრელიძე, მ. უგრეხელიძე და სხვა გამოჩენილი ქართველი კრიმინალისტები, მნიშვნელოვნად გასცილდა ვიწროფსიქოლოგიურ აზროვნებას. განსაკუთრებით გამოსაყოფია ვ. მაყაშვილის შემოქმედება, რომელიც სამართლიანად ითვლება ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული თეორიის თანადა-

მაარსებლად. მართალია, სადღეისოდ გაბატონებული ეს თეორია სრულყოფილად ვერ ასახავს ბრალს ყველა თავის გამოვლინებაში და ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ეს სისხლისსამართლებრივი ბრალის სისხლისსამართლებრივი შინაარსით დატვირთვის რეალური ტენდენციაა, მაგრამ მასში ნორმატივიზმის დოგმატურ მიღწევათა ასახვა უდავოდ უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან რაციონალურობად.

§4. ბ. ს. უტევსკი

ფსიქოლოგიზმი — ბურჟუაზიული დოგმატიკის რუდიმენტი

ვაანალიზებთ რა ბ. ს. უტევსკის შეხედულებებს ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების კრიტიკის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ის თ. წერეთელთან და ვ. მაყაშვილთან ერთად ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც საბჭოთა სისხლის სამართალში მწვავედ აკრიტიკებს აქ გაბატონებულ ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას. ამასთანავე, განსხვავებით თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილისაგან, უტევსკი ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის კრიტიკის შედეგად სულაც არ ცდილობს ბრალის ფსიქოლოგიური და ნორმატიული თეორიების ძირითად ასპექტთა იმგვარ კომბინირებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა გვეწოდებია მისი თვალთახედვისათვის ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული მოძღვრება. უტევსკი თავის შეხედულებებს პრინციპულად სხვა მიმართულებით ავითარებს. ამისთვის თანამედროვე სისხლის სამართალში ბრალის პრობლემის ანალიზს უტევსკი ბრალის დოგმატურ და სისტემატიკურ ასპექტთა ურთიერთობის მოუწესრიგებლობისა და ბრალის ცნების ინდეტერმინისტულ ხედვაზე დაფუძნების კრიტიკით იწყებს. „უპირველეს ყოვლისა, — აღნიშნავს ის, — არ მოიცემოდა ბრალის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლისა და ბრალის როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის დიფერენცირება, რასაც საბჭოთა კრიმინალისტები სრულ ურთიერთგაუგებრობამდე მიჰყავდა... ამასთან ერთად, გაბატონებული იყო არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბრალი შეუთავსებელია ნების შესახებ დეტერმინისტულ ხედვასთან. ამტკიცებდნენ, რომ ბრალი მოისაზრებოდა მხოლოდ ინდეტერმინიზმთან კავშირში”.242 ვფიქრობთ, იმთავითვე უნდა გამოიყოს პირველი ზემოწარმოდგენილი მომენტის ფარგლებში უტევსკის თვალთახედვის წინააღმდეგობრიობა: თუ, ერთი მხრივ, ბრალი წარმოდგენილია როგორც პასუხისმგებლობის ზოგადი (საერთო) საფუძველი, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალი განიხილება როგორც

დანაშაულის სუბიექტური მხარე, გაურკვეველი ხდება არა მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის თეორიული დანიშნულება, მისი ფუნქციონალური სახე, არამედ აგრეთვე ძნელად თუ შევძლებთ ასეთ შემთხვევაში თვით დანაშაულის ცნების დასაბუთებასაც. ამავე დროს, მთავარ სირთულეს წარმოადგენს არა ამ ორ დებულებას შორის წინააღმდეგობის არსებობა, არამედ ის, რომ უტევსკი ვერც თითოეული მათგანის, ცალკე აღებულის, სათანადო თეორიულ დასაბუთებას შეძლებდა.

განსხვავებით უტევსკისაგან, საბჭოთა კრიმინალისტთა უმეტესობა ბრალს განიხილავს არა როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ მხარეს, არამედ როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარით მოცულ ელემენტს. მაგრამ ამით ჩვენთვის აქტუალურ კონტექსტში არსებითად არაფერი იცვლება. საქმე ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოუწესრიგებელი რჩება ბრალისა და მართლწინააღმდეგობის სისტემატიკური ურთიერთმიმართება. თუ დანაშაულის ცნების ანალიზს ვიწყებთ დანაშაულის შემადგენლობით და ბრალი დანაშაულის შემადგენლობის სფეროს განეკუთვნება, მაშინ მართლწინააღმგეობის დადგენას სისტემატიკურად წინ უნდა უსწრებდეს ბრალის დადგენა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ბრალეულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მართლზომიერი ანუ არამართლსაწინააღმდეგო ქმედება!

რაც შეეხება მომდევნო დებულებას — ბრალს როგორც სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს, აქ არსებითად იმავე დასკვნამდე მივდივართ, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დებულებათა ურთიერთობის წინააღმდეგობრიობის კვლევისას (ე. ი. დანაშაულის ცნების უარყოფამდე).

პოლარულად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც უტევსკი უარყოფს იმ თეზისის მართებულობას, რომლის მიხედვითაც ბრალის ცნება შეუთავსებელია ნების თავისუფლების შესახებ დეტერმინისტულ კონცეფციასთან. აქ მას უთუოდ უნდა დავეთანხმოთ. რასაკვირველია, არსებობს დეტერმინიზმის უკიდურესად მკაცრი სახეებიც, რომელთა პირობებში ბრალის დასაბუთება თეორიულად შეუძლებელია. მაგრამ ზოგადად დეტერმინიზმის ბრალის იდეის უარყოფამდე სულაც არ მივყავართ, ე. ი. დეტერმინისტული ხედვით შესაბამისად ყოველი სუბიექტი შეურაცხადი როდია. თუმც აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ მოცემული პრობლემა მრავალ თეორიულ სირთულეს შეიცავს და უტევსკის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში მისი სათანადო გადაჭრა, ცხადია, ვერ მიიღწევა.

რაც შეეხება ხსენებულ პრობლემას ამჯერად აქტუალურ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული თვალსაზრისით უტევსკი სავსებით საფუძვლიანად აკრიტიკებს პიონტკოვსკისა და ტრაინინის შესაბამის შეხედულებებს.„ა. ა. პიონტკოვსკი, — მიუთითებს უტევსკი, — წერდა

კოდექსის სწრაფვაზე, თავი აერიდებინა გამოთქმებისათვის „ბრალი", „ბრალეულობა", რათა ეჭვი არავის შეჰპაროდა იმაში, რომ ის თუნდაც მცირედ იზიარებდა დამნაშავის ზნეობრივი პასუხისმგებლობის ინდეტერმინისტულ თვალსაზრისს... ამავე ნაშრომში ავტორი წერდა საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიერ „ზნეობრივი ბრალის" ცნების უარყოფის შესახებ".243 ხოლო ტრაინინის თვალთახედვასთან მიმართებაში უტევსკი გამოყოფს მის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ „ბრალეულობაზე საუბარი წარმოებდა იმის ფარგლებში, რომ სუბიექტმა არსებული მრავალი შესაძლებლობიდან თავისუფლად აირჩია დანაშაულის გზა".244 გასაგებია, რომ მსგავს ვითარებაში ბრალი იმჟამინდელ საბჭოთა სისხლის სამართალში ვერ პოვებდა სათანადო განვითარებას.

ამასთანავე, არ შეიძლება არ შეინიშნოს, რომ პიონტკოვსკიც და ტრაინინიც ზემოციტირებულ მოსაზრებებში უსაფუძვლოდ როდი აკრიტიკებენ ბრალის შესაბამის „ბურჟუაზიულ" კონცეფციებს.

ტრაინინთან, როგორც ადვილად შეიძლება მივხვდეთ, საუბარია ბრალის ანგლოსაქსურ მოდელზე, რომლის მიხედვითაც ბრალი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მომცველი ცნებაა და პასუხისმგებლობის საკითხი კი წმინდად ობიექტივისტურად წყდება.

ამის საპირისპიროდ პიონტკოვსკისთან „ზნეობრივი ბრალის" სახით გამოიყოფა იმჟამად რომანულ-გერმანულ დოგმატიკაში მიღებული ბრალის ზედმეტად ეთიზირებული მოდელი. ბრალის ცნების ზედმეტი ეთიზირება კი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ბრალის ცნებიდან სპეციფიკურად სისხლისსამართლებრივ მომენტთა გამორიცხვის შედეგად, რაც ვერანაირად იქნება მისაღები ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების მართებული განსაზღვრის თვალსაზრისით.

ამიტომაც განსახილველ ასპექტში პიონტკოვსკისა და ტრაინინის შეხედულებები სავსებით გასაგებია.

მაგრამ, ჯერ ერთი, თუ ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ბრალის ცნება არასწორად განიმარტებოდა, ეს ლოგიკურად უნდა გამხდარიყო ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში წარმოდგენილი ბრალის ცნების კრიტიკის და არა საბჭოთა სისხლის სამართალში ბრალის იდეის უარყოფის საფუძველი; ხოლო იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივად მარ-თლაც ბრალის იდეის უარყოფასთან გვაქვს საქმე, თავად უტევსკიც პირდაპირ მიუთითებს: „მიზეზებად, რომლებმაც უბიძგეს საბჭოთა კრიმინალისტებს უარეყოთ ბრალის იდეა საბჭოთა სისხლის სამართალში, გვევლინება „ზნეობის", „ზნეობრივი ბრალის" საშიშროება და მცდარი წარმოდგენა დეტერმინიზმისა და ზნეობრივი შეფასების ურთიერთშეუთავსებლობაზე".245

მეორეც, პრინციპულად სხვაგვარ ვითარებასთან გვექნებოდა საქმე, საბჭოთა კრიმინალისტები რომ ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში

მხოლოდ უარყოფითი მომენტების ძიებით არ ყოფილიყვნენ დაკავებული. საბჭოთა სისხლის სამართლის ჩამოყალიბებამდეც კი ბურჟუაზიულმა სისხლისსამართლებრივმა აზრმა უკვე მნიშვნელოვნად განავითარა ბრალის ცნება ბრალის ნორმატიული თეორიის დამკვიდრებით. რა თქმა უნდა, მცდარი იყო სისხლისსამართლებრივი ბრალის ეთიკურ გასაკიცხობასთან ასოცირება, მაგრამ თვით ფაქტი ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტის შეტანისა და ბრალის მხოლოდ აღწერილობით ასპექტზე აგებული ცნების უარყოფისა არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო პოზიტიური შეფასების საგანი.

ამასთანავე, ერთობ საგულისხმოა უტევსკის ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ის ცდილობს გამოყოს ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების სპეციფიკურად ბურჟუაზიული ხასიათი და ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტის შეტანას კი განიხილავს როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის დამსახურებას, რა დროსაც მიუთითებს ვ. მაყაშვილის შესაბამის შეხედულებებზე.

განიხილავს რა ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას როგორც ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი აზრის სპეციფიკის გამომხატველ მოძღვრებას, უტევსკი ძირითადად ეყრდნობა სხვა საბჭოთა კრიმინალისტის, ბ. ს. მანკოვსკის თვალთახედვას, რომლის შესაბამისადაც „ბრალის შესახებ ფსიქოლოგიური თეორიის არაკრიტიკული აღქმა უნდა შეადგენდეს უმკაცრესი კრიტიკის საგანს". „სრულიად შეუწყნარებელია ის, — განაგრძობს უტევსკი ბ. ს. მანკოვსკის მოსაზრების ციტირებას, — რომ სისხლის სამართლის საბჭოთა სახელმძღვანელოებში ეს შეუსაბამო თეორია ბრალის ფსიქოლოგიური ცნების შესახებ ჯერაც არ არის უარყოფილი. ბრალის ფორმალურ-დოგმატური განსაზღვრა, ე. წ. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის გაგებით, წარმოადგენს არა სოციალური კანონიერებისათვის ბრძოლაში მდიდარი საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების გამოხატულებას, არამედ იმის შედეგს, რომ ბურჟუაზიული დოგმატიზმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაძლეული საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ კი სისხლის სამართალში".246 ამის შედეგად ბ. ს. მანკოვსკი ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში ფსიქოლოგიურ მომენტთან ერთად „სოციალურ-შეფასებითი" მომენტის მოცემულობასაც მოითხოვს, მაგრამ რატომღაც არც მანკოვსკი და არც უტევსკი მოცემულ შემთხვევაში არაფერს მიგვითითებენ იმის შესახებ, რომ მათთვის თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში ბრალის ცნება უკვე მოიცავდა შეფასებით მომენტს. ხოლო თუ შევეცდებით აქ არსებული ვითარების სამართლიან შეფასებას, პირდაპირ უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ფაქტი, რომლის შესაბამისადაც საბჭოთა კრიმინალისტები ბურჟუაზიულ დოგმატიკაში ბრალის ნორმატიული თეორიის დამკვიდრებიდან მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ ალაპარაკდნენ ფსიქოლოგიზმის მიუღებლობაზე, უდავოდ მეტყველებს იმჟამინდელი საბჭოთა სისხლისსამართლებრივი აზრის დაბალგანვითარებულობაზე.

ვ. მაყაშვილის ციტირებისას კი (აღსანიშნავია, რომ მაყაშვილის თვალთახედვა წინ უსწრებდა მანკოვსკის ზემომოტანილ შეხედულებებს, რაც უტევსკისთანაც გარკვევით არის ნაჩვენები) უტევსკის მოაქვს ამ პირველთან წარმოდგენილი ბრალის ცნების განსაზღვრება, სადაც სისხლისსამართლებრივი ბრალი განიხილება როგორც „პირის გასაკიცხი, დაგმობადი დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქცევისადმი". აქედან უტევსკი ასკვნის, რომ მაყაშვილთან უარყოფითი შეფასების საგნად წარმოგვიდგება სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების ობიექტური მხარისადმი ანუ განზრახვა და გაუფრთხი-ლებლობა, რასაც ის არასწორად მიიჩნევს და იქვე საკუთარ პოზიციასაც აყალიბებს. უტევსკი წერს: „ბრალი არის მოვლენა საზოგადოებრივი, კლასობრივი. ბრალის ცნება განუყოფლად უკავშირდება საზოგადოებაში დადგენილ განსაზღვრულ წესთა მოცემულობასა და მოქმედებებს, რომლებითაც ეს წესები ირღვევა. საბჭოთა სისხლის სამართალი და საბჭოთა სასამართლო აძლევენ შეფასებას ამ მოქმედებებს სოციალისტური სახელმწიფო ინტერესებისა და ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული პოლიტიკის თვალსაზრისით. ბრალეული ქცევა ეს ისეთი ქცევაა, რომელიც იმსახურებს უარყოფით საზოგადოებრივ შეფასებას, ე. ი. ქცევა, რომელიც გასაკიცხია სოციალისტური ზნეობისა და სოციალისტური სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკის თვალსაზრისით. ბრალეული ქცევა ეს ისეთი ქცევაა, რომელიც იმსახურებს უარყოფით საზოგადოებრივ შეფასებას, ე. ი. ქცევა, რომელიც გასაკიცხია სოციალისტური ზნეობისა და სოციალისტური სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკის თვალსაზრისით".247 ერთი შეხედვით, აქ სრულიად გაუგებრად შეიძლება მოგვეჩვენოს ის, რომ უტევსკი ზემოთ საუბრობდა ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში ზნეობრივი მომენტის პრიორიტირებაზე როგორც განსახილველ ასპექტში ბურჟუაზიული სისხლისსამართლებრივი დოქტრინის ერთ-ერთ ძირითად უარყოფით მხარეზე, ამჯერად კი ის ბრალს წარმოიდგენს როგორც სოციალისტური ზნეობის თვალსაზრისით გასაკიცხ მართლსაწინააღმდეგო ქცევას. მაგრამ საქმე ის არის, რომ საბჭოთა კრიმინალისტთა თანახმად, სოციალისტური ზნეობისა და სოციალისტური სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნები, როგორც წესი, ემთხვეოდა ერთმანეთს (და ამის შესახებ ჩვენ თ. წერეთლის შეხედულებათა ანალიზის დროსაც მივუთითეთ). მაგრამ ეს, თავის მხრივ, არსებითად არაფერს ცვლის იმ თვალსაზრისით, რომ ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში ზნეობრივი მომენტი არ უნდა წარმოადგენდეს პრიორიტირების საგანს. უკეთ რომ ვთქვათ, უტევსკის, თავისი პირველი მტკიცების ლოგიკიდან გამომდინარე, ზნეობრივი მომენტი უკანასკნელ შემთხვევაში არ უნდა გამოეყო განსაკუთრებული აქცენტირების ობიექტად. როგორც ჩანს, აქ მის მიზანს შეადგენდა არა ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებაში ზნეობრივი მომენტის

ჭეშმარიტი თეორიული მნიშვნელობის გარკვევა, არამედ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ბრალის „ბურჟუაზიული" მოდელის ზედაპირული კრიტიკა.

მართალია, უტევსკის ზემოწარმოდგენილი შეხედულებიდან ჯერ არ ჩანს, თუ რაში ხედავს ის ბრალის შესახებ თავისი კონცეფციის პრინციპულ განსხვავებას ვ. მაყაშვილს თვალთახედვისაგან, სადაც შეფასების ობიექტებად წარმოდგენილია განზრახვა და გაუფრთხილებლობა, მაგრამ აქ სხვა საგულისხმო მომენტიც მოიცემა, რომელიც ასევე იმსახურებს განსაზღვრულ ყურადღებას. როგორც ვიხილეთ, უტევსკი ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებას უკავშირებს, ერთი მხრივ, „საზოგადოებაში განსაზღვრულ დადგენილ წესთა მოცემულობას", რაშიც ლოგიკურად სისხლის სამართლის კანონის მოცე-მულობა უნდა ვიგულისხმოთ, მეორე მხრივ კი, „მოქმედებებს, რომლებითაც ეს წესები ირღვევა". გასაგებია, რომ პირველ შემთხვე-ვაში უტევსკი ცდილობს ბრალის ცნებასთან მიმართებაში ნორმატიული ასპექტის მნიშვნელობის გამოკვეთას, მეორეში კი — აღიარებას პოვებს ფსიქოლოგიური ასპექტი. თუმც, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, უტევსკი აქ მხოლოდ ფსიქოლოგიურ ქცევას ანუ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას როდი გულისხმობს, არამედ აგრეთვე წმინდად ობიექტურ ნიშნებსაც, რაშიც მდგომარეობს მისი თვალთახედვის არსებითი განსხვავება ვ. მაყაშვილის (ისევე, როგორც თ. წერეთლის) პოზიციისაგან.

მას შემდეგ, რაც უტევსკი ცალ-ცალკე გამოყოფს ნორმატიულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ის იქვე ცდილობს ბრალის ცნებაში მათ ფორმალურ-ლოგიკურ ურთიერთდაკავშირებას, როდესაც აღნიშნავს, რომ (ქმედების ბრალეულად კვალიფიცირებისას) საბჭოთა სასამართლო აძლევს შეფასებას ხსენებულ მოქმედებებს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის თვალსაზრისით. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, უტევსკის რომ სასამართლოს მიერ განხორციელებულ შეფასებაში გამოეყო არა ზოგადად სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის, არამედ კონკრეტულად სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნათა თვალსაზრისი. მაგრამ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ბრალეულობის შესახებ მსჯელობისას უტევსკისთან წარმოდგენილია არა მხოლოდ საკუთრივ ფსიქოლოგიური ქცევა, რომლითაც ხელიყოფა „საზოგადოებაში დადგენილი განსაზღვრული წესი", არამედ აგრეთვე თვით ეს უკანასკნელი მომენტიც და მასთან ერთად ამ ორი მომენტის ურთიერთმიმართებაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უტევსკი ცდილობს სრულყოფილად მოიცვას სისხლისსამართლებრივი ბრალის თვალსაზრისით ყველა აქტუალური ასპექტი.

ბრალის უნივერსალური ბუნება

უკანასკნელი დასკვნის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება თვით უტევსკის შემდეგი მოსაზრება, სადაც აგრეთვე ნათლად ჩანს ბრალის შესახებ მისი თვალთახედვის ორიგინალურობა და, შესაბამისად, ქართულ სისხლის სამართალში მიღებული ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიისაგან განსხვავება: „სუბიექტური ქცევის ზნეობრივ-პოლიტიკური შეფასება მოიცავს არა მხოლოდ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი, ე. ი. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგებისადმი, არამედ აგრეთვე მისი ქცევისათვის დამახასიათებელ ყველა ობიექტურ გარემოებას: დანაშაულის ჩადენის ვითარებას, დანაშაულის შედეგს, დანაშაულის ობიექტის ხასიათსა და მნიშვნელობას, დამნაშავის პიროვნებას, დანაშაულის ჩადენის მოტივებს, მიზნებს და ა. შ.”248 მაშასადამე, ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში ნორმატიული შეფასების ობიექტად უტევსკი წარმოიდგენს ყოველივეს, რაც ახასიათებს დანაშაულს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხრივ! იმთავითვე უნდა შეინიშნოს, რომ მოცემული პოზიციის გაზიარება უთუოდ მიგვიყვანდა აბსოლუტურ ქაოსამდე როგორც დოგმატური, ისე სისტემატიკური თვალსაზრისით.

ვნახოთ, თუ რა შედეგებამდე მივყავართ, დოგმატური მხრივ, ბრალის ცნებაში შეფასების ობიექტის სახით დანაშაულის ობიექტურ ელემენტთა ინტეგრირებას. უტევსკის ზემოწარმოდგენილი შეხედულების თანახმად, ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში სუბიექტი შეიძლება გაიკიცხოს მხოლოდ ყველა ხსენებული სუბიექტური თუ ობიექტური ელემენტის მოცემულობისას (მცდელობის დროს, ცხადია, საზიანო შედეგის გამოკლებით). შეიძლება კი სუბიექტი გაიკიცხოს „ზნეობრივ-პოლიტიკურად” და მიჩნეულ იქნას ბრალეულად, თუ, ვთქვათ, დანაშაულის ობიექტი არასათანადო ხასიათისა და მნიშვნელობისაა? რა თქმა უნდა, არა. მაშინ რატომ არ შეიძლება ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში ნორმატიული შეფასება თავის ობიექტად ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან ერთად მოიცავდეს აგრეთვე დანაშაულის ობიექტის ხასიათსა და მნიშვნელობას? საქმე ის არის, რომ პირველ შემთხვევაში სუბიექტი ლოგიკურად შეიძლება გაიკიცხოს, მეორეში კი — არა. ხოლო ის, რომ დანაშაულის ობიექტის არასათანადო ხასიათისა და მნიშვნელობის შემთხვევაში პირი საერთოდ ვერ გაიკიცხება, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ უკანასკნელი მომენტი უნდა განიხილებოდეს როგორც ბრალეულობის შესახებ მსჯელობის წინამძღვარი, ე. ი. ბრალეულობის შესახებ მსჯელობა უნდა იწყებოდეს მხოლოდ აღნიშნული მომენტის დადგენილობის პირობებში ანუ როგორც ამას ტრადიციულად აქვს ადგილი. ამის შესაბამისად კი, დანაშაულის ობიექტის ხასიათი და მნიშვნელობა გვევლინება უკვე არა ბრალის

ცნებით მოცულ, არამედ ბრალის ცნების მიღმა მდებარე და ბრალის ცნებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ელემენტად. როგორც აქედან ჩანს, ბრალის ცნებაში ამ და სხვა მსგავს ობიექტურ ელემენტთა შეტანა ხელყოფს არა მხოლოდ ბრალის ცნების სტრუქტურულ მოწესრიგებულობას, არამედ აგრეთვე თვით ამ ელემენტთა (ბრალის ცნებისაგან) რეალურ დოგმატურ დამოუკიდებლობას, რაც ასევე არახელსაყრელია ამ ელემენტთა ჭეშმარიტი თეორიული ბუნების განსაზღვრის თვალსაზრისით.

არსებითად იგივე შეეხება დანაშაულის სუბიექტის პიროვნებას. სუბიექტი საერთოდ არ შეიძლება იკიცხებოდეს იმის გამო, რომ ის შერაცხადია. ხოლო თუ ის რეციდივისტია, ეს ზოგადად, ცხადია, შეადგენს „ზნეობრივ-პოლიტიკური" გაკიცხვის საგანს, მაგრამ კონკრეტული ქმედების ფარგლებში ეს ისევე ვერ იქნება აღნიშნული გაკიცხვის ობიექტი, როგორც ზემოგანხილული ობიექტური ელემენტი. ბრალის ცნებასთან მიმართებაში ამ ორი ელემენტის ფორმალური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თუ პირველის (დანაშაულის ობიექტის ხასიათისა და მნიშვნელობის) გარკვევა წინ უსწრებს ბრალეულობის შესახებ მსჯელობას, დანაშაულის სუბიექტის პიროვნებაზე საუბარი მხოლოდ ბრალეულობის შესახებ მსჯელობის შემდგომ წარმოებს. კონკრეტულად რომ ვთქვათ, შეურაცხადობა, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, სისტემატიკურად ბრალზე უფრო მაღლა მდებარე ელემენტია, რა დროსაც იმის გარკვევას, რეციდივისტია თუ არა დამნაშავე, საერთოდ არაფერი აკავშირებს ბრალის ცნებასთან და სასჯელის ხარისხზეც ეს მომენტი ბრალისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად ზემოქმედებს.

ამასთანავე, უთუოდ არსებობს დავის საფუძველი შეურაცხადობის პრობლემასთან მიმართებაში. მრავლად შეიძლება იმის სასარგებლოდ არგუმენტების მოტანა, რომ შეურაცხადობა, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება ბრალზე უფრო მაღალ სისტემატიკურ საფეხურად კი არ უნდა გვევლინებოდეს, არამედ პირიქით, ბრალეულობის შესახებ მსჯელობა საერთოდ არ უნდა წარმოებდეს, თუ პირი შეურაცხადია, ე. ი. აქ საუბარი უნდა იყოს არა შეურაცხადობაზე როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე, არამედ შერაცხადობაზე როგორც ბრალის წინამძღვარზე და, შესაბამისად, შეურაცხადობის საკითხის გარკვევა, ისევე, როგორც ზემოგანხილული დანაშაულის ობიექტის ხასიათისა და მნიშვნელობის გარკვევა, უნდა წარმოებდეს ბრალეულობის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე. მაგრამ ჩვენთვის აქტუალურ კონტექსტში ეს პრინციპულად არაფერს ცვლის, რამეთუ ორივე შემთხვევაში საუბარია განსახილველი მომენტის ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა მდებარეობაზე.

დანაშაულის სუბიექტურ ელემენტებთან მიმართებაში კი ყოველივე შედარებით უფრო რთულად გამოიყურება. უდავოა, რომ, მაგალითად, ისეთი სუბიექტური ელემენტი, როგორიც არის მიზანი, სავსებით

შესაძლოა მოგვევლინოს „ზნეობრივ-პოლიტიკური” გაკიცხვის საგნად. თუმც აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ ის, რაც შეიძლება იყოს პოლიტიკურად ანუ სამართლებრივად გასაკიცხი, ყოველთვის ვერ იქნება იმავდროულად ზნეობრივად გასაკიცხიც; ხოლო მიზანი, „ზნეობრივ-პოლიტიკურად” მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გასაკიცხი, თუ ის ერთდროულად ზნეობრივადაც და პოლიტიკურადაც გასაკიცხია. თვით საბჭოთა სისხლის სამართლის ფარგლებშიც, მიუხედავად საბჭოთა კრიმინალისტების მტკიცებისა, მრავლად შეიძლება ისეთი მართლსაწინააღმდეგო მიზნების გამოყოფა, რომლებიც გასაკიცხია რა სამართლებრივად (მართლსაწინააღმდეგო მიზანი სამართლებრივად უკვე იმის ძალით არის გასაკიცხი, რომ ის მართლსაწინააღმდეგოა), არ ექვემდებარება ზნეობრივ გაკიცხვას, რაზედაც ჩვენ თ. წერეთლის შეხედულებათა ანალიზის დროს უკვე ხაზგასმით მივუთითეთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო მიზანი სისხლის სამართალში ყოველთვის ვერ იქნება „ზნეობრივ-პოლიტიკურად” გასაკიცხი. მაგრამ მთავარი მოცემულ შემთხვევაში არის ის, რომ მიზნისთვის, როგორც დანაშაულის სუბიექტური ელემენტისთვის, შესაძლოა იყოს იმანენტური ნორმატიული გაკიცხვის ობიექტის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით, ის შესაძლოა მოვისაზროთ ბრალეულობის შესახებ მსჯელობით მოცულ კომპონენტად. მაგრამ ყოველთვის, როდესაც სახეზეა მართლსაწინააღმდეგო მიზანი (პირდაპირი და ირიბი განზრახვისა და თვითიმედოვნების დროს), განა ის არ არის თავისდათავად მოცული ბრალის ტრადიციულად გაგებული შესაბამისი ქვესახით? ასე მაგალითად, თუ პირდაპირი განზრახვის შინაარსს ვხედავთ იმაში, რომ სუბიექტს, ითვალისწინებს რა საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობას, სურს კიდევაც ასეთი შედეგის დადგომა, ვერ ვიტყვით, რომ განსახილველ შემთხვევაში აქტუალური მართლსაწინააღმდეგო მიზანი განზრახვის ცნების ფარგლებს მიღმა ექცევა. სრულიად აშკარაა, რომ ტრადიციულად გაგებული პირდაპირი განზრახვის ცნება თავის თავშივე მოიცავს სათანადო მართლსაწინააღმდეგო მიზანს. იგივე ითქმის ბრალის ტრადიციულად გაგებულ სხვა ზემოხსენებულ ქვესახეებზეც.

მაშასადამე, ფსიქიკური დამოკიდებულების პარალელურად მიზნის „ზნეობრივ-პოლიტიკური” გაკიცხვის ობიექტად გამოყოფა თეორიულად გაუმართლებელი იქნებოდა. უკეთ რომ ვთქვათ, ვ. მაყაშვილისა და ზოგადად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონეუბლი ზემოწარმოდგენილი კონცეფცია კვლავაც ძალაში უნდა დავტოვოთ.

რაც შეეხება დანარჩენ სუბიექტურ ელემენტებს, აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს დანაშაულის მოტივი. მოტივი, განსხვავებით მიზნისაგან, ფსიქიკური დამოკიდებულების მიღმა მდებარე ელემენტია. ამავე დროს, ის არც სუბიექტის შეგნებული ფსიქიკური საქმიანობის ნაყოფია, არამედ წარმოადგენს თვითწარმოებად ფსიქოლოგიურ ელემენტს, რაც გასაკიცხობის თვალსაზრისით გადამწყვეტი

მნიშვნელობისაა. სუბიექტი არ შეიძლება იკიცხებოდეს იმის გამო, რაც არ არის მოცული მისი ფსიქიკური საქმიანობით ან უშუალოდ არ გამომდინარეობს ამ უკანასკნელიდან, ანუ რის არსებობასთან მიმართებაში მას შინაგანად არ უმოქმედია. და აქ სრულიად უმნიშვნელოა, თუ კონკრეტულად რა სახის მოტივი იქნება წარმოდგენილი: შურისძიება, ანგარება თუ სხვა. მარტივად რომ ვთქვათ, გასაკიცხი შეიძლება იყოს ამა თუ იმ მოტივზე განსაზღვრული ფსიქოლოგიური ქცევის აგება, მაგრამ არა თვით ეს მოტივი.

ასევე ვერ წარმოგვიდგება „ზნეობრივ-პოლიტიკური" გაკიცხვის ობიექტად ისეთი სუბიექტური ელემენტიც, როგორიცაა მართლწინააღმდეგობის შეგნება. სუბიექტი შეიძლება გაიკიცხოს მართლწინააღმდეგობის შეგნების პირობებში საზიანო ობიექტური ქცევის ნებისმიერი განხორციელებისათვის, მაგრამ არა თვით მართლწინააღმდეგობის შეგნებისათვის.

ხოლო უტევსკის განსახილველი კონცეფციიდან გამომდინარე სისტემატიკურ სირთულეებზე უნდა აღინიშნოს ის, რომ აქ სრულიად გაურკვეველი რჩება (დანაშაულის საბჭოური სისტემის მიხედვით) დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარისა და მართლწინააღმდეგობის სისტემატიკური დანიშნულება. მართლაც, თუ ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში უნდა ირკვევოდეს საზიანო შედეგის, დანაშაულის ჩადენის ვითარებისა და ყველა დანარჩენი ობიექტური ელემენტის მნიშვნელობა, მაშინ რის მნიშვნელობის გარკვევა უნდა წარმოებდეს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარისა და მართლწინააღმდეგობის ფარგლებში? თვალსაჩინოა, რომ ყოველივე ამას ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის აბსოლუტირებამდე და დანაშაულის სისტემის, როგორც ასეთის, სრულ უარყოფამდე მივყავართ. ვფიქრობთ, თანამედროვე სისხლის სამართლის გადასახედიდან ეს ძნელად თუ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი აზრის პოზიტიური განვითარების ტენდენციად.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გარკვევით ჩანს, ფსიქოლოგიზმის კრიტიკის შედეგად სახეზეა ბრალის შესახებ კიდევ ერთი მეტად ორიგინალური თეორია, რომელიც ქართულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ მოძღვრებაზე ნაკლებად მისაღებია, მაგრამ ფსიქოლოგიზმის უარყოფის სახით ისიც უდავოდ შეიცავს მნიშვნელოვან რაციონალურობას.

თავი მეხუთე

ბრალის ნორმატიული თეორია

§1. ზოგადი დახასიათება

ბრალის შინაარსი

ნორმატივიზმი ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოქმნილა; ის, როგორც ჰ. კელზენისა თუ რ. ფრანკის შეხედულებათა ანალიზმა ცხადყო, ფსიქოლოგიზმის კრიტიკული გააზრების უშუალო შედეგია. ამიტომ ნორმატივიზმი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიზმის უარყოფაა და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ პირველი სწავლების ზოგად სახესაც.

როგორც უკვე ვიხილეთ, ნორმატივისტულ მოძღვრებას საფუძვლად დაედო ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში ორი ძირითადი მომენტის ნეგატიური გამოყოფა, რის შესახებაც გრაფ ცუ დონა შენიშნავს: „ფსიქოლოგიზმის პრედიკატი აუცილებლობით წარმოშობს შემდეგ გამოუსწორებელ ნაკლოვანებებს: ის არ ესატყვისება გაუფრთხილებლობის ბუნებას, რადგან გაუფრთხილებელი ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულების მომცველი სულაც არ არის; მეორეც, ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენა ჯერ კიდევ გადაჭრით არაფერს მეტყველებს ბრალთან დაკავშირებით, რამეთუ, მიუხედავად განზრახვის არსებობისა, ბრალი შესაძლოა არც იყოს მოცემული. საკმარისია მოვიგონოთ ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა ან აუცილებელი მოგერიება. სწორედ ამ მოსაზრებებმა გამოააშკარავა ხანგრძლივი პროცესის შედეგად ფსიქოლოგიური დოქტრინის მიუღებლობა და საბოლოოდ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბრალთან დამოკიდებულებაში ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენისას, სახეზეა შეფასების შედეგი (das Ergebnis einer Wertung). მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მართლწინააღმდეგობა გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის შეფასებას, ბრალი კი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის შეფასების ნაყოფია“.249 ჩვენ, მართალია, არ ვიზიარებთ გრაფ ცუ დონას პირველ შენიშვნას, რომელიც გაუფრთხილებელი ბრალისა და ფსიქიკური დამოკიდებულების ურთიერთობას შეეხება, მაგრამ მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება რომ ბრალის სრულქმნილ სისხლისსამართლებრივ ფორმულად ვერ გამოდგება, უცილოა. ასევე უდავოა ბრალის ცნებაში გარეგანი შეფასების შეტანის მართებულობა. ხოლო ყოველივე ეს განაპირობებს ბრალის ფსიქოლოგიური ცნების როგორც არსის, ისე შინაარსის თვისებრივ ტრანსფორმირებას.

შინაარსობრივი განვრცობის კვალობაზე ბრალმა, გარდა ფსიქიკური დამოკიდებულებისა, მოიცვა შერაცხუნარიანობა ანუ ბრალუნარიანობა და ბრალის გამომრიცხავი განსაკუთრებული გარემოებები. ამით განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებიდან ბრალის ელემენტებად გარდაისახა.

ბრალის არსს ნორმატივისტული თეორიის პიონერები ხედავდნენ გასაკიცხობაში, მოვალეობის შეუსაბამობაში, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნორმატიულ შეფასებაში (ბრალს როგორც გასაკიცხობასა და მოვა-

ლეობის შეუსაბამობას პირველად ვხვდებით ე. ბელინგთან და არა რ. ფრანკთან, როგორც ეს ჩვენში მცდარად არის წარმოდგენილი, თუმც მისი მეცნიერული დამუშავება უკანასკნელი კრიმინალისტის დამსახურებაა).

ამასთან, ნორმატივიზმის ზოგიერთი ფუძემდებელი (მაგალითად, ფროიდენტალი) თვლიდა, რომ ნორმატიული შეფასების ობიექტი უნდა გამხდარიყო არა ქმედება ან ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ სუბიექტის სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, რაც ბრალის ზემოხსენებულ ელემენტთა ერთიანი ნიშნის ქვეშ გამთლიანებას მოასწავებდა.

ჩვენი აზრით, სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, როგორც აქტიური და პასიური ფსიქიკური მომენტებისაგან შემდგარი კრებითი ცნება, ნორმატიულ შეფასებას ვერ შეიგუებს. თუ ფსიქიკური დამოკიდებულების სამართლებრივ-ნორმატიული შეფასება ლოგიკურად დასაშვებია, ბრალუნარიანობა ანუ დამნაშავის ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა ანუ დამნაშავის შესაძლებლობა, იმოქმედოს საკუთარი შეფასებისამებრ, ნორმატიულად ვერ შეფასდება; ეს ბოლო ორი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქოლოგიური დესკრიფციის საგანი. სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევა ბრალუნარიანობის ან ფსიქიკის სხვაგვარი თვისების შედეგად ყოვლად წარმოუდგენელია, ვინაიდან ნებისმიერი ფსიქოლოგიური თვისება თუ უნარი, როგორც ფსიქიკის პასიური გამოვლინება, თუმც სუბიექტური, მაგრამ ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებაა.

მსგავს და სხვა არანაკლებ პრინციპულ მოსაზრებათა გამო სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, ცხადია, ვერ დამკვიდრდებოდა ბრალის განმსაზღვრელ შეფასების ობიექტად.

მაგრამ ნორმატივიზმი სახეუცვლელ და მონოტონურ სწავლებად არ წარმოგვიდგება. აქ ბრალი ორთავე მიმართულებით (არსი, შინაარსი) მრავალ საგულისხმო მეტამორფოზას განიცდის.

ორთოდოქსი ნორმატივისტებისაგან განსხვავებით, გრაფ ცუ დონა კვლევის შედეგად დაასკვნის, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება არა მხოლოდ არ ამოწურავს ბრალის შინაარსს, არამედ ის ვერც ბრალის ელემენტად მოისაზრება.

მაგრამ შემდგომ, განიხილავს რა სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის დაუშვებლობას, გრაფ ცუ დონა თავისი დებულების საწინააღმდეგოდ აღნიშნავს: „რა დროსაც სამოქალაქო სამართალი გარკვევით აწესებს პასუხისმგებლობას იურიდიულ პირთა დელიქტებისათვის, ხოლო საერთაშორისო სამართალი აღიარებს სახელმწიფოთა დელიქტური ქცევის უნარს და ადმინისტრაციული სისხლის სამართალიც კი (das Verwaltungsstrafrecht) ცნობს ინდივიდთა გაერთიანების პასუხისმგებლობას, საკუთრივ სისხლის სამართალი უწინდებური კატეგორიულობით უარყოფს კოლექტიური ბრალის იდეას. ეს შეიძლება განიმარტოს მარტოოდენ იმით, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი ფსიქიკური ქცევის უარყოფით შეფასებას ეფუძნება, ე. ი. გამომდინარეა ისეთ მოვალეობათა დარღვევიდან, რომელთა ადრესატობა ძალუძს მხოლოდ ცალკეულ ინდივი-

დუუმს“.250 რადგანაც ბრალი ფსიქიკური ქცევის უარყოფით შეფასებას ეფუძნება, ჩვენთვის გაურკვეველია, თუ რარიგად შეიძლება დასაბუთდეს ფსიქიკური დამოკიდებულების ბრალის ელემენტად უარყოფა.

გასროლა მკვლელობის მიზნით, სხეულის განზრახ დაზიანება და ა. შ. განეკუთვნება ფიზიკური ქცევის კატეგორიას, ფსიქიკური ქცევა კი მოცემული ფიზიკური ქცევისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებაა. მაშასადამე, ბრალისა და ფსიქიკური დამოკიდებულების (როგორც ეს გაეგებათ ნორმატივისტებს — განზრახვის) სრული ურთიერთგანცალკევება ნიშნავს უარვყოთ ბრალის ცნების ყოველგვარი შეფასებითობა.

მაგრამ გრაფ ცუ დონასთან ერთად უკლებლივ ყველა ფინალისტი მიიჩნევს, რომ ბრალში ფსიქიკური დამოკიდებულების ინტეგრირება უმართებულოა სწორედ შეფასებითობის თვალსაზრისით.

მათი მტკიცებით, ბრალის ნორმატივისტული ცნება წარმოადგენს ერთმანეთთან შეუთავსებელი ასპექტების კომპლექსს, რამდენადაც ის ერთდროულად შეიცავს განზრახვასაც, როგორც შეფასების ობიექტს, და თვით შეფასებასაც (ein Gemisch von Wertung und Gewertetem). „ამიტომ, — წერს ი. ბაუმანი, — ფინალისტები, საბოლოოდ გამოაქვთ რა ბრალის ცნებიდან ფსიქიკური დამოკიდებულება, მიაკუთვნებენ მას მოქმედების ცნებას, რათა ამით სისხლისსამართლებრივ ბრალს შესძინონ წმინდად შეფასებითი, წმინდად ნორმატიული იერი; ამისდა კვალად, მიიღება ბრალის ძირეულად ახალი ცნება, რომელიც მოიცავს მხოლოდ ობიექტის შეფასებას და რომელიც მოკლებულია შეფასების ობიექტს“.251 ასეთ მიდგომას ი. ბაუმანი უწოდებს არა უბრალოდ რადიკალურ ნორმატივიზმს, არამედ განიხილავს მას როგორც ბრალის დამოუკიდებელი სწავლების აღმოცენებას.

ამდენად, ის გამოყოფს ბრალის სამ ძირითად თეორიას: ფსიქოლოგიზმს, სადაც ბრალის ცნებით მოცულია მარტოოდენ შეფასების ობიექტი; ნორმატივიზმს, რომელიც ბრალს განსაზღვრავს როგორც შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთობლიობას; დაბოლოს, ფინალიზმს, რომლის თანახმადაც ბრალი თვით შეფასებაა.

ბრალის შესახებ მოძღვრებათა ამგვარი ნიშნის მიხედვით კლასიფიცირების სიმცდარეს ჩვენ ქვემორე შევეხებით, ამჯერად კი უნდა შეინიშნოს, რომ გრაფ ცუ დონასა და ფინალისტების მიერ წამოწყებული კრიტიკა უსაფუძვლოა. მეტიც, ეს უსაფუძვლობა ამოსავალ დებულებაშივე პოვებს თავის გამოხატულებას, რის აპოდიქტურ საბუთად შესაბამის აქსიოლოგიურ აქსიომათა იგნორირება წარმოგვიდგება. აქსიოლოგია ერთმნიშვნელოვნად უშვებს ცნებაში შეფასებასთან ერთად შეფასების ობიექტის თანამოცემულობას.

გარდა ამისა, ფინალისტები თავადვე ეწინააღმდეგებიან თავიანთ ზემოწარმოდგენილ პოსტულატს, როდესაც დანაშაულს განმარტავენ როგორც მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას: „მართლსაწინააღმდეგო“ და „ბრალეული“ მოცემულ ცნებაში შეფასებას განასახიერებს, ხოლო „ქმედება“ — ამავე შეფასების ობიექტს. გავიტანოთ დანაშაულის ცნებიდან „ქმედება“ ნიშნავს გარდავქმნათ ხსენებული დეფინიცია აბსოლუტურ

უშინაარსობად. იგივე შეეხება ბრალის ცნებიდან განზრახვის როგორც ფსიქიკური დამოკიდებულების ელიმინირებასაც.

თუმცაღა ჩვენ ვერ დავეთანხმებით შრიოდლერის — კლასიკური ნორმატივიზმის წარმომადგენლის — მიერ მოტანილ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც შეფასების ობიექტი მუდამ განეკუთვნება შეფასების სფეროს, მაგრამ ბრალთან მიმართებაში მისი გამონათქვამის ადეკვატურობას ადასტურებს ის, რომ *ბრალი შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქიკისა და ფსიქიკური პროცესებიდან გამომდინარე და არა მათკენ მიმდინარე ნორმატიული შეფასება.*

გარეგანი შეფასების ფსიქიკიდან გამომდინარეობა გულისხმობს განზრახვისა და გასაკიცხობის, ე. ი. შეფასებისა და შეფასების ობიექტის განუყოფლობას, მაშინ როდესაც სამართლებრივ-ნორმატიული შეფასების ფსიქიკისაკენ ორიენტირებულობა ამ ორი კომპონენტის ურთიერთდამოუკიდებლობის მეტყველია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც შეფასების ობიექტი მოგვეპოვება თავისდათავად და არ არის შეფასების აუცილებლობით პირობადებული, საუბარი უნდა იყოს მათ სტრუქტურულ მთლიანობაზე.

გასაკიცხობის საჭიროებას წარმოშობს განზრახვა და არა პირიქით — განზრახვა არასოდეს წარმოიქმნება გასაკიცხობის საჭიროებით, რის შესაბამისადაც ირღვევა გასაკიცხობის განზრახვაზე დამოკიდებულებისა და მათი განუყოფლობის პრინციპი, თუ ბრალის ცნებიდან გამოვრიცხავთ შეფასების ობიექტს.

ამრიგად, ბრალის შინაარსის ყოველივე ფსიქიკურისაგან გამიჯვნა უნებლიე მიზეზია ბრალის უსაგნო შეფასებად აღიარებისა, რაც, ბუნებრივია, შეფასებითი მომენტის იძულებით უარყოფასაც ნიშნავს.

იურიდიულ პრაქტიკაში ამის რეაქციულ გამოვლინებაზე ვ. მაყაშვილი აღნიშნავს შემდეგს: „განსახილველ შეხედულებას საფუძვლად უდევს უკიდურესი სუბიექტივიზმი. ბრალის ცნება, რომელიც მოწყვიტეს თავის რეალურ საფუძველს — ფსიქოლოგიურ შინაარსს, გადაქცეულია ყოველგვარ იურიდიულ გარკვეულობას მოკლებულ შეფასებით მსჯელობად. ბრალის — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ უმნიშვნელოვანესი საფუძვლის — დადგენა დაკავშირებულია არა მოქმედის განსაზღვრულ ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან, არამედ მოსამართლეთა მსოფლმხედველობასთან, მათ პოლიტიკურ და „მორალურ“ რწმენასთან, ინტერესთან, გემოვნებასთან“.252

შეფასების ობიექტის ბაგათელირებასა და შეფასების მნიშვნელობის ჰიპერტროფირებას შეურიგებლად ეწინააღმდეგება რ. მეცგერიც. მაგრამ, შრიოდლერისაგან განსხვავებით, ის ბრალს წარმოგვიდგენს არა როგორც ნორმატიულ შეფასებას, რომელიც *მოიცავს* შეფასების ობიექტს, არამედ როგორც ნორმატიული შეფასებისა და ამ შეფასების ობიექტის ერთობლიობას. ამის თანახმად, ე. მეცგერი ბრალის ცნებაში გამოყოფს განზრახვის შემადგენლობას (der Vorsatzsachverhalt — ცოდნა და ნებელობა — ფსიქი-

კური დამოკიდებულება) და განზრახვის შესახებ შეფასებით მსჯელობას (das Vorsatzwerturteil — გასაკიცხობის დადგენა). აღსანიშნავია, რომ ზოგი ავტორი ე. მეცგერის მსგავს პოზიციას უწოდებს მცდელობას კლასიკურ ნორმატივიზმსა და ფინალიზმს შორის კომპრომისის გამონახვისა. ჩვენი აზრით, ეს მცდარი პარალელია, რადგან ფინალისტთა კრიტიკის საგანი შეფასებასთან შეფასების ობიექტის შეთავსებაა (ერთიანი ცნების ფარგლებში), იმისდა მიუხედავად, თუ რაგვარია ამ შეთავსების ფორმა; ე. მეცგერთან წარმოდგენილი კვლევა კი სწორედ რომ ფორმის რაკურსში წარმოებს.

ბუნდოვნად უდგება ბრალში სტრუქტურული ცვლილებების შეტანას რ. ბუში, რომელიც წერს: „ბრალის სივრციდან განზრახვის გატანით ხელახლა ისმის კითხვა, თუ რა არის ბრალი“. და იქვე დასძენს: „ბრალის ნორმატიული სწავლება გასაკიცხობას შემოსაზღვრავს ნების ჩამოყალიბებით, მოტივაციის პროცესით, ე. ი. ნებელობითი მხარის მხოლოდ ნაწილით, რა ჟამსაც მისი ობიექტია ქმედება როგორც მთლიანი“.253 ნათელია, რომ რ. ბუშის მოსაზრება მოასწავებს ბრალის ცნებაში ფსიქოლოგიური მომენტის არა მიუღებლობას, არამედ ექსტენდირების აუცილებლობას.

მაგრამ შემდგომ რ. ბუში მტკიცედ ემხრობა ბრალის განზრახვისაგან იზოლირებას. ამასთანავე, ნაკლებად საფუძვლიანია მისი შენიშვნა ნორმატივიზმში გასაკიცხობისა და ნების ჩამოყალიბების პროცესის აგნოსცირების შესახებ. განზრახვაში ნების ჩამოყალიბებისა და ნების განხორციელების პროცესი თანაბრად არის ასახული. თუ პირველი წარმოაჩენს სისხლისსამართლებრივი განზრახვის როგორც ასეთის ფორმირებას, უკანასკნელში მოცემულია მისი რეალიზაციის მიმდინარეობა. ნების განხორციელება — ეს განზრახვის განხორციელებაა. შესაბამისად, გასაკიცხობა, როგორც განზრახვის ნორმატიული შეფასება, სულაც არ შემოიფარგლება ნების ჩამოყალიბების სტადიით.

ბრალის შინაარსის თვალსაზრისით ნორმატივიზმის პირველად სახესთან ყველაზე ახლოს დგას გოლდშმიდტი. მის მიერ ჩამოყალიბებულ მავალებელ ნორმათა თეორიაში ბრალის სტრუქტურა, ბრალის შინაარსობრივი სპეციფიკა თითქმის ისევე გადმოიცემა, როგორც ეს რ. ფრანკის შეხედულებებშია წარმოდგენილი. თ. წერეთელი ასერიგად აღგვიწერს გოლდშმიდტის თეორიას: „გოლდშმიდტის აზრით, არსებობს ორი სახის ნორმები: ნორმები, რომლებიც მოითხოვენ ადამიანისაგან განსაზღვრულ მოქმედებას (შეფასებითი ნორმები) და რომელთა დარღვევაც ასაბუთებს ქმედობის ობიექტურ უმართლობას, და ნორმები, რომლებიც ავალდებულებენ ადამიანს ისე წარმართოს თავისი შინაგანი, ფსიქიკური საქმიანობა, რომ მიუსადაგოს იგი იმ მოთხოვნებს, რაც გარეგან საქციელს შეესაბამება. მეორე კატეგორიის ნორმებს გოლდშმიდტი *მავალებელ ნორმებს* უწოდებს (Pflichtnormen). ბრალი სწორედ ამ მავალებელი ნორმის დარღვევაში გამოიხატება. ყოველი განზრახი მოქმედება როდი წარმოადგენს მავალებელი ნორმის დარღვევას და, მაშასადამე, ბრალეულ ქმედობას. უკიდურე-

სი აუცილებლობის (ტრაგიკული კოლიზიის) შემთხვევაში ქმედობა მართლსაწინააღმდეგო და განზრახია, მაგრამ ბრალეული არ არის, ვინაიდან ამ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს ვერ მოვთხოვთ, რომ იგი სწორად, ე. ი. ნორმის შესაბამისად მოქმედებდეს. თუმცა პირი ამ დროს არღვევს შეფასებითი ხასიათის ნორმას, მაგრამ იგი არ არღვევს მავალებელ ნორმას, ვინაიდან ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში მოქმედება წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ გარემოებას".254 ამგვარად, გოლდშმიდტის მიხედვით ბრალი მდგომარეობს „მავალებელი ნორმის" დარღვევაში და როდესაც თანამდევი გარემოებები (die Begleitumstände) ზღუდავენ სუბიექტის შესაძლებლობას, შეუწყოს შინაგანი ქცევა ნორმის მოთხოვნას, მოვალეობაც ქარწყლდება.

რადგან ფსიქიკური დამოკიდებულების ხასიათი დიდად განისაზღვრება შერაცხუნარიანობით, გარეგანი ზეგავლენითა თუ შინაგანი არასრულფასოვნობით, გოლდშმიდტიც, მსგავსად რ. ფრანკისა, თვლის, რომ თითოეული ეს გარემოება უთუოდ უნდა დაერთოს განზრახვასაც და გაუფრთხილებლობასაც. ბრალის ცნებაში მათი გაუთვალისწინებლობა, გოლდშმიდტის მტკიცებით, ბრალეულობასა და არჩევანის თავისუფლებას შორის მკვეთრი დისპროპორციულობის წარმოქმნის ტოლფასია.

ამსახად, ბრალის შინაარსს გოლდშმიდტიც წარმოგვიდგენს როგორც ფსიქიკურ მომენტთა ნაირფეროვან სისტემას, რომლებსაც ის ბრალის კონსტანტურ (უცვლელ) ელემენტებს უწოდებს. რ. ფრანკის თვალთახედვისაგან მოცემული პოზიცია განსხვავდება მხოლოდ ფორმალურად: რ. ფრანკთან განმსაზღვრელი კრიტერიუმი გასაკიცხობაა, გოლდშმიდტთან — მავალებელი ნორმის დარღვევა.

მაშასადამე, ბრალის შინაარსი ნორმატივისტულ მოძღვრებაში არაერთგვაროვანია. ფრანკის, გოლდშმიდტის, ბაუმანის და სხვათა მიერ ბრალის სტრუქტურის ექსტრემალურ ფსიქოლოგირებას ფინალისტთა მხრიდან მისი ექსტრემალური ნორმატივირება უპირისპირდება. რ. მაურახი, ვ. გალასი და სხვა არაერთი ფინალისტი კლასიკურ ანუ ფრანკისეულ ნორმატივიზმს მიმოიხილავენ როგორც ბრალის პროფსიქოლოგიურ მოძღვრებას, ვინაიდან ის ბრალის ცნებაში არამცთუ არ უარყოფს ფსიქიკური დამოკიდებულების მნიშვნელობას, არამედ შესაგრძნობად ამდიდრებს მას ფსიქიკურ მომენტთა მთელი სპექტრით.

თ. წერეთელი აღნიშნავს: „... ბრალის შესახებ მოძღვრების განვითარება ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში იმ მიმართულებით წარიმართა, რომ ბრალის ფორმები — განზრახვა და გაუფრთხილებლობა თავდაპირველად ბრალის შესახებ ნორმატიული მსჯელობის საგნად გადაიქცნენ, შემდეგ კი სრულიად გაძევებულ იქნენ ბრალის ცნებიდან. ხოლო ბრალის ცნებაში მარტოოდენ წმინდად ნორმატიული მომენტი (გასაკიცხობა — Vorwerfbarkeit) დარჩა. თანაც თუ ნორმატიულ სკოლას განზრახვა და გაუფრთხილებლობა, სხვა მომენტებთან ერთად, შეფასებითი მსჯელობის ობიექტად მაინც მიაჩნდა, ფინალისტებისათვის ისინი უკვე შეფასების ობიექტსაც აღარ წარმოადგენენ".255 თუ არ გავითვალისწინებთ უკანა-

სკნელ მტკიცებას (ფინალისტების მიერ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შეფასების ობიექტად უარყოფას), თ. წერეთელი ზუსტად და მასშტაბურად გადმოგვცემს ბრალის ნორმატივისტული ცნების შინაარსობრივი განვითარების დინამიკას.

ბრალის არსი

ბევრად უფრო მრავალსახოვანია ნორმატივისტთა ცილობა ბრალის არსთან დამოკიდებულებაში. შიონკე-შრიოდერის მიერ შედგენილ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში ვკითხულობთ: „რა დროსაც ფსიქოლოგიური თეორიისათვის ბრალი „მხოლოდ სინამდვილის ფსიქიკურ ანარეკლს წარმოადგენდა“ (ბელინგი), თანამედროვე სისხლის-სამართლებრივი აზრი ამოდის დებულებიდან, რომლის შესაბამისადაც დანაშაულის სისტემა უნდა დაეყრდნოს ბრალის გასაკიცხობით განსაზღვრულ შეფასებით („ნორმატიულ“) ცნებას. მაგრამ დღემდე პოლემიკურია ბრალის ამ ნორმატიული კონცეფციის ზოგიერთი მხარე, განსაკუთრებით საკითხი, თუ რა აფუძნებს გაკიცხვას მატერიალურად და რა სახის ურთიერთობა უნდა აკავშირებდეს ერთიმეორესთან ცნებებს „ბრალი“ და „გასაკიცხობა““.256 უკანასკნელ შენიშვნაში ნაგულისხმევია ის ფორმალური სხვაობა, რომლითაც გამოიყენება გასაკიცხობის მნიშვნელობა.

ნორმატივისტთა უმეტესი ნაწილი ბრალს განმარტავს როგორც საკუთრივ გასაკიცხობას. მათ შორის, გარდა რ. ფრანკისა, არიან ი. ბაუმანი, ვ. ჰარდვიგი, ე. მეცგერი და სხვანი, „მაგრამ ბრალის გასაკიცხობასთან გაიგივება, — აღნიშნავს არტ. კაუფმანი, — სულ მცირე, უზუსტობაა, რადგან გასაკიცხობა შეიძლება იყოს მხოლოდ ბრალის შედეგი და არა თვით ბრალი. უფრო ზუსტად, ბრალი მდგომარეობს არა იმაში, რომ ბრალეული შეიძლება დავუქვემდებაროთ გაკიცხვას, არამედ პირიქით, სუბიექტი შეიძლება დავუქვემდებაროთ გაკიცხვას მაშინ, როდესაც და რამდენადაც ის ბრალეულია“.257 ამას უპირობოდ იზიარებს შმიდჰოიზერი. მისი აზრით, გასაკიცხობა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ დამნაშავე შეიძლება გაიკიცხოს თავისი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

ხოლო ლენქნერი და როქსინი, განავრცობენ რა ამ შეხედულებას, ასკვნიან, რომ გასაკიცხობა არის შეფასებითი მსჯელობა „გარკვეულ რამეზე“ და არა თვით ეს „გარკვეული რამ“.

გასაკიცხობა როგორც ბრალის შედეგი და გასაკიცხობა როგორც ბრალზე შეფასებითი მსჯელობა არსებითად იდენტური დასკვნებია, რომლებიც ცხადად ასახავენ განსახილველი დეფინიციის ნაკლოვანებებს. თავიდათავი ხარვეზი მოცემული განმარტებისა კი მისი ფუნქციონალური ხასიათია: გასაკიცხობა, როგორც სუბსტრატული ცნება, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბრალის ადგილზე დანაშაულის სისტემაში, მის სისხლისსამართლებრივ დანიშნულებაზე, მაგრამ არაფერს გვთავაზობს იმის შესაცნობად, თუ რა არის ბრალი.

ფუნქციონალური გარკვეულობა მატერიალურ გარკვეულობას არამც და არამც არ ნიშნავს; ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას ძალუძს შეასრულოს სხვა ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის ფუნქცია იმგვარად, რომ მატერიალურად უცვლელი დარჩეს.

ამავე რეალიის ხაზგასმად უნდა ვიგულისხმოთ შმიდჰოიზერის ზემოხსენებული განმარტება, სადაც ის გასაკიცხობას გაკიცხვის შესაძლებლობად მოიხსენიებს. როდესაც არსებობს ბრალი, უსათუოდ არსებობს გაკიცხვის შესაძლებლობაც. უფრო მეტიც, გაკიცხვის შესაძლებლობა მოგვევებება მხოლოდ მაშინ, თუ მოცემულია ბრალი (და არა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის ან მართლწინააღმდეგობის საფეხურზე), მაგრამ გავაიგივოთ ბრალი გაკიცხვის შესაძლებლობასთან ნიშნავს, აღვწეროთ ბრალის ფუნქცია და სრულიად უგულებელვყოთ მისი არსი, ე. ი. გასაკიცხობა ანუ გაკიცხვის შესაძლებლობა წარმოადგენს ბრალის მხოლოდ გარეგან აღწერილობას.

რასაკვირველია, რ. ფრანკსა და მის მიმდევართ აქვთ მსგავსი გარემოების საწინააღმდეგო არგუმენტი, რომლის თანახმადაც მატერიალური თვალსაზრისით უკვე ისიც საკმარისია, რომ ბრალის გასაკიცხობად განსაზღვრას წინ უძღვის ბრალის სტრუქტურის დეფინირება.

მაგრამ ეს ცრუ თანამიმდევრულობა მით უფრო ამძაფრებს პირველადი ნორმატივისტული დოგმის წინააღმდეგობრიობას. თუ, ერთი მხრივ, ბრალი გასაკიცხობაა, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალი შედგება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, შერაცხადობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობის ერთობლიობისაგან, მაშინ თითოეული ეს ელემენტი გასაკიცხობის სტრუქტურული ატრიბუტიც უნდა იყოს.

რ. ფრანკი თუმც ცდილობს ამის რამეგვარად დამაჯერებელ დასაბუთებას, მაგრამ ამაოდ: განზრახვა, შერაცხადობა და ა. შ. შეიძლება იყოს გასაკიცხობის მხოლოდ წინამძღვარი, მხოლოდ წინაპირობა და არავითარ შემთხვევაში შემადგენელი ელემენტი. დაუშვებელია, რომ შესაძლებლობის კატეგორია მოიცავდეს აქტუალურ, რეალურ მომენტებს.

როგორც აშკარაა, კლასიკური ნორმატივიზმისათვის დამახასიათებელია ბრალის მატერიალური მხარის არა საერთოდ გაუთვალისწინებლობა, არამედ არაჯეროვანი გათვალისწინება. მაგრამ ეს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმარისი საფუძველია, რათა ვაღიაროთ, რომ ბრალი როგორც გასაკიცხობა განასახიერებს მატერიალურ არარაობას.

რ. ფრანკის დეფინიციის წინააღმდეგ ილაშქრებს ვ. გალასიც. მისთვის გასაკიცხობა ფორმალურ-ლოგიკურად ბრალის ცნების ქვემდებარე ცნებაა (die „Vorwerfbarkeit“ bezeichnet das „Daß“, die Schuld dagegen das „Was“). ვ. გალასი ბრალს განმარტავს აღმატებითი უნარის მქონე ცნებად (ein steigerungsfähiger Begriff), გასაკიცხობაში კი ასეთ უნარს უარყოფს. ამის შესაბამისად ის მიიჩნევს, რომ უნდა განვასხვავოთ ბრალის შემადგენლობა როგორც შეფასების ობიექტი, გასაკიცხობა როგორც თვით შეფასება და ბრალი როგორც ობიექტი შეფასებით პრედიკატთან ერთად, სადაც ფა-

რთო გაგებით გასაკიცხობის საგანია ქმედება ერთიანად (უმართლობა ბრალის სპეციფიკური ნიშნების დართვით).258

ამასთანავე, ვ. გალასი წერს „ბრალის შემადგენლობის“ (der Schuldtatbestand) განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე გასაკიცხობისათვის.

ყოველივე ეს ძნელად თუ მიესადაგება ფინალური მოძღვრების პრინციპებს, რომელსაც ვ. გალასი წარმოადგენს, მაგრამ უმთავრესი მოცემულ კონტექსტში მის მიერ პრობლემის შეუმცდარი დაყენებაა.

ითავისებს რა გასაკიცხობაში ბრალის ელემენტთა აქცეპტირების ობიექტურ შეუძლებლობას, ის აყალიბებს ბრალის შემადგენლობის ცნებას და ბრალის ცნებაშივე უპირისპირებს მას გასაკიცხობას. ბრალის ცნების ასეთი პოლარიზება რ. ფრანკის წინაშე მდგარი დილემის სრულყოფილი გადაწყვეტაა, რამეთუ აქ ბრალისა და გასაკიცხობის შინაარსობრივი ეკვივალენტურობა უარიყოფა.

ამავე დროს, ვ. გალასი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გასაკიცხობის ცნების ფორმალურ თავისებურებებს. ისევე, როგორც რ. ფრანკთან, ვ. გალასთანაც გასაკიცხობა „ობიექტის შეფასებაა (მხოლოდ უკანასკნელი ობიექტში ვიწრო გაგებით გულისხმობს ბრალის შემადგენლობას, ზოგადად კი დანაშაულებრივ ქმედებას).

ჩვენი აზრით, გასაკიცხობის ცნების ფორმისადმი ამდაგვარი მიდგომა არაკორექტულია. *გასაკიცხობა ნიშნავს არა შეფასებას, არამედ შეფასებითობას, ხოლო შეფასებას წარმოადგენს გაკიცხვა. ამიტომ გასაკიცხობას, როგორც შეფასებითობას და არა შეფასებას, არ შეიძლება გააჩნდეს შეფასების ობიექტი,* ე. ი. ვ. გალასის ბრალის შემადგენლობაც გაკიცხვის და არა გასაკიცხობის ორიენტაციის საგანია.

გასაკიცხობის ცნების ერთგვარ (ირიბ) კრიტიკას შეიცავს ჰ. ველცელის ზოგიერთი მტკიცება. ერთგან ის მიუთითებს: „ბრალის კონსტიტუციურ ელემენტს მხოლოდ გასაკიცხობა წარმოადგენს. ეს გადამწყვეტი ახალი მომენტია, რომელიც უერთდება ქმედებას და მას ბრალეულობის თვისებას ანიჭებს“.259 ასე ჰ. ველცელი გასაკიცხობისა და ბრალის პარალელურობიდან გასაკიცხობისა და ბრალეულობის პარალელურობისაკენ იხრება, რაც სავსებით ლოგიკურია.

სხვაგან კი ის პირდაპირ აღნიშნავს: „ბრალი არის უარყოფითი მსჯელობა ნებისყოფის არასწორი წარმართვის შესახებ, *პერსონალური გაკიცხვა* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი), მიმართული პიროვნების წინააღმდეგ,[0]* რომელიც იმას გამოხატავს, რომ პიროვნება არასწორად მოქმედებდა, თუმცა შეეძლო ნორმის შესაბამისად ემოქმედა“.260 ბრალის გასაკიცხობად ნეგირება, როგორც ასეთი, ჰ. ველცელის თეორიის პოზიტიური მხარეა, მაგრამ მან ეს მხოლოდ მის მიერ უარყოფილი სიმცდარის გასაღრმავებლად გამოიყენა.

---

* აქ ჰ. ველცელი უზუსტობას უშვებს: გაკიცხვის პერსონალურობა თავისდათავად გულისხმობს გაკიცხვის პიროვნების წინააღმდეგ მიმართებას

თუ კლასიკოს ნორმატივისტთა ხედვა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ რაციონალურ მარცვლებს მაინც შეიცავდა, ჰ. ველცელი სრულიად სცილდება ყოველგვარი რაციონალურობის ზღვარს. სუბიექტის პერსონალური გაკიცხვა, ნეგატიური მსჯელობა ნებისყოფის არასწორი წარმართვის შესახებ — ეს არის არა დამნაშავის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესები, არამედ სასამართლო ორგანოთა საქმიანობის გამოხატულება. სამართლებრივ-ნორმატიული გაკიცხვა ასახავს იმას, რომ მოსამართლენი უარყოფითად არიან დამოკიდებულნი კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი. ამდენად, ჰ. ველცელი ბრალს ეძიებს არა დამნაშავის, არამედ მოსამართლეთა ფსიქიკაში. მას აინტერესებს მხოლოდ ის, თუ ფსიქიკურად რა აკავშირებს მოსამართლეს მის მიერ განსახილველ დანაშაულებრივ მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან, იმის სრული იგნორირებით, თუ რაში მდგომარეობს თვით დამნაშავის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა.

აქედან გამომდინარე, *ჰ. ველცელთან და საერთოდ ფინალურ დოქტრინაში ბრალი არის მოსამართლეთა უარყოფითი ფსიქიკური დამოკიდებულება განსასჯელის დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი!*

მაგრამ ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა: თუ ბრალი მოსამართლეთა უარყოფითი ფსიქიკური დამოკიდებულებაა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი, თუ ბრალი მოსამართლის ფსიქიკაში არსებული ცნებაა, მაშინ ვის უნდა მიუძღოდეს ბრალი მოცემული ქმედების ჩადენაში: მოსამართლეს თუ განსასჯელს? ცხადია, პირველს. და რადგან სინამდვილეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა მოსამართლეს, ბრალის ფინალური მოდელი სხვა ყოველივესთან ერთად ბრალის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძვლად უარყოფაცაა.

ახასიათებს რა ბრალის თანამედროვე ნორმატივისტულ ცნებას (თანამედროვე ნორმატივიზმში იგულისხმება ფინალიზმი), თ. წერეთელი შენიშნავს: „ბრალის ნორმატიული ცნება მიუღებელია... არა იმიტომ, რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შეიტანა, არამედ იმის გამო, რომ ბრალის ცნება მთლიანად შეფასებით მსჯელობამდე დაიყვანა და დამნაშავის ფსიქიკიდან მოსამართლის ფსიქიკაში გადაიტანა. ნორმატიულმა თეორიამ გაწყვიტა კავშირი დამნაშავის შინაგანი, ფსიქიკური ცხოვრების პროცესებსა და შეფასებით მსჯელობას შორის, რის გამოც შიშველი შეფასებითი მსჯელობა ჰაერში ჩამოეკიდა“.261

არსებითად იმასვე აღნიშნავს ვ. მაყაშვილიც: „...ბრალს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების რეალურ ფაქტებში აქვს თავისი საფუძველი და არა შიშველ შეფასებით მსჯელობაში. შეფასებითი მსჯელობა გასაკიცხობის შესახებ არ არის თვით ბრალი, არამედ ბრალის არსებობის შედეგია, დასკვნაა იმის თაობაზე, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისადმი დანაშაულის ჩადენის დროს ბრალეული იყო და იგი იმსახურებს მო-

რალურ გაკიცხვას, ხოლო პიროვნებამ პასუხი უნდა აგოს დანაშაულის ჩადენისათვის“.262

ამ მოსაზრებებში საუკეთესოდ არის გათვალისწინებული ფინალისტთა ფუძისეული პოსტულატის უნიადაგობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს თავად ჰ. ველცელი და სხვა მისი თანამოაზროვნე კრიმინალისტები უარგუმენტოდ რჩებიან.

ობიექტურ იდეალიზმსა და ნომინალიზმს შორის დღემდე არ ცხრება აზრთა ჭიდილი ცნების არსის შესახებ.

ობიექტური იდეალიზმი ცნებაში ხედავს აბსტრაქტულ გონებრივ ყოფიერებებს ანუ იდეებს (abstrakte geistige Wesenheiten), რომლებიც არსებობენ თავის-და-თავად და თავის-თავისთვის და რომელთა ურთიერთობა ცალკეულ, კონკრეტულ საგნებთან (მოვლენებთან) მდგომარეობს იმაში, რომ ეს საგნები (მოვლენები) თანამონაწილეობენ ცნებით წარმოდგენილ იდეებში.

ამის საპირისპიროდ ნომინალიზმი უარყოფს ცნების საყოველთაოობასა და თვითკმარობას.

ვგონებთ, ობიექტური იდეალიზმის მიდგომა, რომელზედაც აფუძნებენ თავიანთ განმარტებებს ფინალისტები, სამართლიანად არ არის გაზიარებული არც ერთ მეცნიერებაში. ცნება რომ აღვჭურვოთ განსასაზღვრავი საგნისა თუ მოვლენის მიმართ დამოუკიდებლობით, შეუძლებელი გახდებოდა ცალკეულ ცნებათა მყარი, ინვარიანტული ურთიერთგადაბმა და ცნებათა სისტემის კონსტრუირება. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია ყოველი ცალკე აღებული მეცნიერების არსებობა.

გარდა ამისა, ცნების მნიშვნელობა, როგორც ჩვენ მიერ ერთ-ერთ წინა ქვეთავში აღინიშნა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზოგადსამეტყველო ლექსიკაში მიღებულ მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას. ამიტომ ბრალის ფინალური კონცეფცია, როგორც უკიდურესი სემანტიკური ანომალიზმის გამოვლინება, ამ მხრივაც კატეგორიულად მიუღებელია.

ჰ. ველცელის შემდგომ ბრალში შეფასებითი მომენტის რადიკალირებას ყველაზე დემონსტრაციულად ესწრაფვის რ. მაურახი, რომელიც წერს: „დამნაშავის გაკიცხვის საფუძველი ტრადიციულად გაიგება როგორც ნებისყოფის არასწორი ჩამოყალიბება (fehlerhafte Willensbildung), რის მიხედვითაც ბრალი არის ფსიქიკური ზრახვის სიმცდარე (Fehlerhaftigkeit der psychischen Regung) და არა თვით ეს პირველი. ამასთანავე, ხსენებულ ასპექტს გაბატონებული სწავლება გამოხატავს დებულებაში „ბრალი გასაკიცხობაა“, რაც დაუშვებელია, ვინაიდან ბრალის მსგავსი ცნება კვლავაც შეიცავს თავის ძირითად მხარედ სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისადმი“.263 როგორც ნათლად ჩანს, ფინალისტებისათვის პირის ფსიქიკური დამოკიდებულების წინააღმდეგ პოლემირება თვითმიზანია. და ეს ფაქტორი საბოლოოდ ცხადყოფს, თუ რაში პოვებს სათავეს მათ მიერ წამოყენებული მტკიცების ალოგიკურობა.

ნორმატივისტულ მოძღვრებაში ბრალი განისაზღვრება არა მხოლოდ როგორც გასაკიცხობა ან გაკიცხვა. გერმანული სისხლისსამართლებრივი

აზრი რთული და ხანგრძლივი განვითარების შედეგად აყალიბებს ბრალის თვისებრივად ახლებურ ცნებას. ახენბახისა და ლაქნერის თეორიაში საუბარია „სასჯელის დამაფუძნებელ ბრალზე“ („Strafbegründungsschuld“).

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ნორმატივიზმის ეს განშტოება ამგვარად ხასიათდება: „ახენბახთან და ლაქნერთან საქმე ეხება არა პრიორიტეტულ ბრალის იდეას და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი სანქციის შინაგანი დასაბუთების საკითხს, არამედ ბრალს როგორც შერაცხვის სუბიექტურ წინამძღვართა ერთობლიობას, რომლებიც პოზიტიური სამართლის შესაბამისად აფუძნებენ ან გამორიცხავენ დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებას. ამრიგად, ბრალი ერთიანად წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივი სისტემატიკის ჭრილში“.264 იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ფუნქციონალიზმს ბრალის ვერც ამ ცნებამ დააღწია თავი, რადგან სასჯელის დაფუძნებაც ბრალის გარეგანი ნიშანთვისებაა, „ბრალის არსებობის შედეგია“. მაგრამ ეს სულაც არ ჩრდილავს ზემოწარმოდგენილი დებულების ორიგინალურობას.

ბრალის ცნების გენერალური ორიენტირი ახენბახთანაც და ლაქნერთანაც არც ფსიქიკური დამოკიდებულებაა და არც გაკიცხვა ან გასაკიცხობა, ბრალის არსის გარკვევა მოცემულ შემთხვევაში წარმოებს დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის მიხედვით.

ერთი შეხედვით, ამგვარი პოზიცია სხვა შეხედულებებთან შედარებით ბევრად უფრო ახლოსაა ბრალის ჭეშმარიტი სისხლისსამართლებრივი ბუნების დადგენასთან; ბრალისა და დანაშაულის ცნებათა ურთიერთობის აქცენტირება უთუოდ დადებითი გეზია ბრალის დოგმატურ-სისტემატიკურ სპეციფიკაში ჩასაწვდომად. მაგრამ არა ამ სახით! ბრალის ადგილი დანაშაულის სისტემაში ირკვევა ბრალის არსის შესატყვისად და არა პირიქით. შეუძლებელია გარკვეული ფენომენის მნიშვნელობისა თუ სისტემატიკური კუთვნილების წარმოდგენა, თუ განუსაზღვრელი რჩება ამ ფენომენის შინაგანი ნატურა.

კონკრეტულად ეს გამოისახება შემდეგ ასპექტში: ვინაიდან დანაშაული წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას, სახეზეა დანაშაულის ცნების მიმართ ბრალის ცნების პრიმერულობა, ე. ი. დანაშაულის სისტემა ბრალის ცნების განსაზღვრამდე შინაარსობრივი ირეალურობით ხასიათდება. მაშასადამე, ბრალის ადგილი სისტემატიკაში ბრალის არსის გამოხატულებაა და არა ბრალის არსის მადეფინირებელი კრიტერიუმი.

მორიგი მიუღებლობა, რომლითაც ახენბახისა და ლაქნერის თეორია გამოირჩევა, შერაცხვის სუბიექტური წინამძღვრებით მცდარი ოპერირებაა. მათთან ბრალი მოიცავს შერაცხვის ისეთ სუბიექტურ წინაპირობებს, რომლებიც აფუძნებენ ან გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მაგრამ ნათელია, რომ ბრალი არ შეიძლება მოიცავდეს სასჯელის გამომრიცხველ გარემოებებს.

ამასთან, ბრალი ვერც შერაცხვის სუბიექტურ წინამძღვართა ცვალებადი სისტემა იქნება (ცვალებადობა ნიშნავს იმას, რომ ზოგ შემთხვევაში

განზრახვის ან გაუფრთხილებლობის გვერდით მოცემულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი, ზოგჯერ კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი განსაკუთრებული გარემოებანი). ლაპიდარულად რომ გამოვთქვათ, ბრალი ვარიანტულ ცნებას არ უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის ურთიერთობა ბრალის იდეის განვითარების პროცესში შორს არის მონოტონურობისაგან. ზოგან ეს მთლიანსა და მის შემადგენელ ნაწილს შორის ურთიერთობაა, ზოგან — დამოუკიდებელ ცნებათა პარიტეტული კორელაცია. ამავე დროს, ფსიქოლოგიზმი არ იცნობს გასაკიცხობას და ფინალიზმი არ ცნობს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ბრალის სფეროში, რაც ორივე შემთხვევაში ამ ცნებათა ურთიერთშეუხებლობაზე მეტყველებს.

რათა გარკვევით წარმოვიდგინოთ ხსენებული ურთიერთობის ფორმალურ-ლოგიკური მხარე ან ასეთი ურთიერთობის არარსებობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივმართოთ პრედიკატულ ლოგიკაში აპრობირებულ გეომეტრიული ილუსტრირების მეთოდს. ამის შესაბამისად, ვღებულობთ შემდეგ ტოპოლოგიურ გამოსახულებას (სადაც P ფსიქოლოგიური მომენტი = ფსიქიკური დამოკიდებულებაა, N — ნორმატიული მომენტი = გასაკიცხობა):



პირველ და მეშვიდე შემთხვევებში ბრალის ცნება წარმოიქმნება განსახილველ ერთეულთა ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე.

თ. წერეთელთან ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხობა ბრალის დამოუკიდებელი ნიშნებია — დამოუკიდებელი და იდენტური მნიშვნელობის მქონე, რაც განაპირობებს მათ აბსოლუტურ ტოლობას.

რ. ფრანკის მიერ წარმოდგენილ ნორმატივიზმში ეს ურთიერთობა იცვლება როგორც თვისებრივად, ისე ხარისხობრივადაც. თვისებრივი ტრანსფორმაცია გამოხატულია ფსიქიკური დამოკიდებულების მნიშვნელობის დეგრადირებასა და ბრალის ალტერნატიულ ელემენტად რეფორმირებაში; ხარისხობრივი ცვლილება კი აისახება ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის მეორე შემთხვევაში არსებული თანაფარდობის დარღვევაში.

რ. ფრანკის თეორიაში ცნებათა ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას სუბორდინაციის ან სუბალტერნაციის ურთიერთობა ეწოდება: ტრადიციულ ლოგიკაში სუბორდინირებული ცნება (ფსიქიკური დამოკიდებულება) სახეობით ცნებად იხსენიება, ხოლო მასუბორდინირებელი ცნება (გასაკიცხობა) — გვარეობით ცნებად.

ე. მეცგერთან პირველი ცნების მიმართ უკანასკნელის გვარეობითი მიმართება წყდება; მაგრამ ეს არც თ. წერეთლის ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული თეორიისაკენ მიბრუნებაა, რადგანაც ე. მეცგერი ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და გასაკიცხობას ტოლნიშნა ცნებებად არ განიხილავს.

ვ. გალასის თეზისის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გასაკიცხობა მასთან გაიგება ორგვარად: ერთ შემთხვევაში გასაკიცხობის საგანს შეადგენს ე. წ. ბრალის შემადგენლობა, რომლითაც მოცულია ფსიქიკური დამოკიდებულებაც, სხვაგან კი გასაკიცხობის ობიექტია მთლიანად დანაშაულებრივი ქმედება.

ამდენად, ვ. გალასისთვის გასაკიცხობის ცნების ბრალის ცნებით შემოფარგვლა მიუღებელია, რის შედეგადაც გასაკიცხობისა და ფსიქიკური დამოკიდებულების ურთიერთობაც ბრალის სფეროთი ვერ შემოისამნება. და რამდენადაც მათთვის ექსტენსიონალურ (მოცულობით) სხვაობასთან ერთად სრული ინტენსიონალური (შინაარსობრივი) დიფერენცირებულობაც არის იმანენტური, ზემოწარმოდგენილი სათანადო გამოსახულება ამ ორივე უმთავრესი თავისებურების ზუსტი დემონსტრირებაა.

დაბოლოს, მეექვსე გამოსახულებიდან ნათელიყოფა, რომ არტ. კაუფმანთან ბრალის ცნება ყალიბდება ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის არა ერთობლიობის, არამედ ურთიერთგადაკვეთის შედეგად.

ამ შედარებათა განზოგადებით შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი ძირითადი ტენდენცია, რომელთა ლოგიკური ურთიერთობის საფუძვლად წარმოგვიდგება ფსიქიკური დამოკიდებულება (შებრუნებით კი — გასაკიცხობა). ეს არის ბრალის ფსიქოლოგიური, კლასიკურ-ნორმატივისტული, ფინალური და ფსიქოლოგიურ-ნორმატივისტული (ბრალის ქართული სკოლა) კონცეფციები. ფსიქოლოგიზმისა და ფინალიზმის მიერ ფსიქიკუ-

რი დამოკიდებულების შესაბამისად საყოველთაო აღიარებასა და საყოველთაო უარყოფას უპირისპირდება კლასიკური ნორმატივიზმისა და ნორმატივისტული ფსიქოლოგიზმის მიერ მისი შესაბამისად ნაწილობრივი აღიარება და ნაწილობრივი უარყოფა.

განზრახვისა და ბრალის თეორიები

ნორმატივიზმის ზოგადი დახასიათებისას, ზემოგანხილულ საკითხთა გარდა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სხვა ერთობ საგულისხმო პრობლემაც, სახელდობრ მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემა, რომლითაც ნორმატივისტული მოძღვრება ორ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ მიმდინარეობად განიყოფა. ეს განზრახვის თეორია და ბრალის თეორიაა.

ისინი გარკვეულწილად თუმც მოგვაგონებენ ფსიქოლოგიურ სწავლებაში არსებულ წარმოსახვის თეორიასა და ნებელობის თეორიას, მაგრამ მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან მათგან: უკანასკნელთა კვლევის საგანს შეადგენს არა მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი, არამედ განზრახვაში ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა თანაფარდობა (იმავდროულად აღსანიშნავია, რომ წარმოსახვის თეორიასა და ნებელობის თეორიას შორის დავა ფსიქოლოგიზმის ფარგლებში არ დასრულებულა, მან აქტიური განგრძობა პოვა ნორმატივიზმშიც); თუ წარმოსახვის თეორია და ნებელობის თეორია დოგმატიკაში განსახილველი თეორიებია, განზრახვის თეორია და ბრალის თეორია სისტემატიკაში განხილვას ექვემდებარებიან.

კ. ბინდინგი ამგვარად გადმოგვცემს განზრახვის თეორიის ზოგად სახეს: „განზრახვის თეორიისათვის ამოსავალია მტკიცება, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება განეკუთვნება სისხლისსამართლებრივ განზრახვას. ამის თანახმად, მართლწინააღმდეგობის — ან დანაშაულის სხვა გარემოებათა — შეუცნობლობის შემთხვევაში განზრახვა უარიყოფა. სუბიექტი უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან შესაძლოა დაისაჯოს დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენისათვის“.265 აქ წარმოდგენილია განზრახვის თეორიის მხოლოდ ერთი მიმართულება, რომელიც მკაცრ განზრახვის თეორიად არის ცნობილი. მას, გარდა ბინდინგისა, ემხრობიან ბაუმანი, შრიოდერი და ნაგლერი.

მკაცრი განზრახვის თეორია მოითხოვს, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის მომენტში უნდა ჰქონდეს მართლწინააღმდეგობის *აქტუალური* შეგნება, მას უნდა გაეგებოდეს, რომ „მისი ქმედება უმართლობაა“.

პრობლემის ამგვარ გადაჭრას მიუღებლად თვლის ფინალური მოძღვრება, რომლის მიმდევრები შენიშნავენ, რომ აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის დროს ან „რწმენით დამნაშავესთან“ (der

Überzeugungstäter)[0]* მართლწინააღმდეგობის აქტუალური შეგნების არარსებობა გვაიძულებს ამ შემთხვევაში უარყოფითად გადავწყვიტოთ დასჯადობის საკითხი, რაც, მათივე თქმით, ეთიკურად გაუმართლებელია.

ამაზე ი. ბაუმანი აღნიშნავს, რომ ფინალისტების მიერ მოტანილ მაგალითებშიც სუბიექტს ესმის თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ეს, ჩვენი აზრით, ასეც არის.

მნიშვნელოვნად სხვაგვარი შეფერილობისაა ეს ნიუანსი მოცემული თეორიის მეორე სახეში ანუ ზომიერ ან შეზღუდულ განზრახვის თეორიაში. ზომიერი განზრახვის თეორია განზრახვისათვის მოითხოვს მართლწინააღმდეგობის უკვე არა აქტუალურ, არამედ მხოლოდ *პოტენციურ* შეგნებას. ამ მიმდინარეობის თანახმად, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან მეცგერი და შიონკე, აფექტის მდგომარეობაში ან „რწმენითი დამნაშავის“ მიერ ჩადენილი დელიქტი დასჯადად ჩაითვლება იმის გამო, რომ სუბიექტი თუმც უშუალოდ არ აცნობიერებდა თავისი ქცევის აკრძალულობას, მაგრამ „პოტენციურად მაინც ფლობდა” ამ აკრძალულობის შეგნებას.

იგივე ი. ბაუმანი მოცემული პოზიციის საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ დამნაშავე ამრიგად ისჯება არა დანაშაულის ბრალეული ჩადენისათვის, არამედ ქცევისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონში დასჯადად გათვალისწინებული არ არის.

საერთო მკაცრ განზრახვის თეორიასა და ზომიერ ანუ შეზღუდულ განზრახვის თეორიას შორის არის ის, რომ *ორივე მათგანი მართლწინააღმდეგობის შეგნების პრობლემას განიხილავს განზრახვის ფარგლებში.*

ხოლო ბრალის თეორიას ასე წარმოგვიდგენს გ. შევე: „განზრახვის თეორიის საპირისპიროდ, ბრალის თეორია მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არის არა განზრახვის შემადგენელი კომპონენტი, არამედ ბრალის სუვერენული ელემენტი. ამ თეორიის მიხედვით, უმართლობის შესახებ შეცდომა, როგორც ასეთი, არ გამორიცხავს განზრახვას. თუ ამ შეცდომის თავიდან აცდენა შესაძლებელი იყო, განზრახი ბრალი სახეზეა; ამასთან, დასჯადობის საკითხის გარკვევის დროსაც საფუძვლად გამოიყენება განზრახი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი. მაგრამ აკრძალვის შესახებ აცილებადი შეცდომისას ბრალი შესაძლებელია ხარისხობრივად უფრო მცირე იყოს, ვიდრე აკრძალვის ცოდნის შემთხვევაში და შემსუბუქდეს მცდელობის დასჯადობის თაობაზე დებულებათა შესაბამისად“.266 გ. შევე პრეციზულად წარმოგვიდგენს ბრალის თეორიას ზოგად ასპექტში, მაგრამ არასრულყოფილად განმარტავს მის კერძო ასპექტს.

ბრალის თეორიისათვის ზოგადად მართლაც არის დამახასიათებელი მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობის გაფართოება, მისი ბრა-

---

* რწმენითი დამნაშავე — პირი, რომელიც სჩადის სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას იმიტომ, რომ თავისი რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა სახის რწმენის საფუძველზე თავს უფლებამოსილად ან ვალდებულად რაცხს მის ჩასადენად.

ლის ელემენტის, განზრახვის, ვიწრო სფეროდან ბრალის ერთიან სფეროში გადატანა (ამით აიხსნება მოცემული თეორიის სახელწოდებაც).

ამავე დროს, მსგავსი რეორიენტირების კონკრეტული შედეგი მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნების ბრალის ელემენტად აღიარებაში არ გამოისახება. ბრალის თეორია განზრახვის თეორიის ანალოგიურად ორი მიმართულებისაგან არის შემდგარი.

პირველში, როგორც უკვე ვიხილეთ, მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის გვერდიგვერდ არსებული ბრალის სუვერენული ელემენტია, რომლის მოუცემლობა შეცდომის აცილებადობის შემთხვევაში განზრახვას არ გამორიცხავს.

ხოლო მეორე კონცეფციაში, რომელსაც ფინალისტები გვთავაზობენ, ის კვლავაც რჩება ბრალის ელემენტად, მაგრამ უკვე არა განზრახვის გვერდიგვერდ (ბრალის ცნებიდან ამ უკანასკნელის გატანის გამო) და მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს განზრახვის დადგენაზე, იმისდა მიუხედავად, აცილებადია შეცდომა თუ არა.

მათ შორის არსებული კონტრასტულობა თვალსაჩინოდ იკვეთება გამამართლებელ გარემოებათა შესახებ მცდარი წარმოდგენის ირგვლივ წარმოებულ დავაში, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას. დავის საგანს შეადგენს ის, თუ რას უნდა წარმოადგენდეს გამამართლებელ გარემოებათა შესახებ მცდარი წარმოდგენა: მხოლოდ მართლწინააღმდეგობის თუ მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის შესახებ შეცდომას.

მაშინ როცა ბრალის თეორიის პირველი განშტოება ტოტალურად ინდიფერენტულია ამ პრობლემისადმი, ფინალისტები მას განსაკუთრებული გულმოდგინებით ეკიდებიან, რადგან „თუ აღნიშნული შეცდომა ვრცელდება მხოლოდ მართლწინააღმდეგობაზე, უნდა გამოირიცხოს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის შეგნება და უცვლელი დარჩეს განზრახვა; ამ უკანასკნელის უარსაყოფად უცილობელია დანაშაულის შემადგნელობის შესაბამისობის შესახებ შეცდომის მოცემულობა“.267

აქვე უნდა გამოიყოს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ მომენტთა გაუთვალისწინებლობა გ. შევეს არ აფერხებს ბრალის თეორიასა და განზრახვის თეორიას შორის ძირითადი განსხვავების დადგენაში. მისი ზემოციტირებული გამონათქვამიდან მარტივად ვასკვნით, რომ, ჯერ ერთი, ბრალის თეორია უშვებს მართლწინააღმდეგობის შეგნების გამორიცხვას განზრახვის გამორიცხვის გარეშე, რაც განზრახვის თეორიაში დაუშვებელია და, მეორეც, ბრალის თეორიაში, განზრახვის თეორიისაგან განსხვავებით, მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის მოცულობითი ეკვივალენტი არ არის.

თავისებურად განმარტავს განზრახვის თეორიასა და ბრალის თეორიას შორის დაპირისპირებულობას არტ. კაუფმანი: ამ თეორიათა დავის საგანს შეადგენს აშკარად მოჩვენებითი პრობლემა, რომელიც წარმოქმნილია უმართლობის შეგნების მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან ფორმალუ-

რი გაიგივების შედეგად. ბრალის თეორია მართებულად მიიჩნევს, რომ მართლწინააღმდეგობის შესახებ შეცდომა განზრახვას არ გამორიცხავს; მაგრამ მცდარია მისი მტკიცება, თითქოს განზრახვა უმართლობის ცოდნას საერთოდ არ საჭიროებდეს და წარმოადგენდეს „ბუნებრივ" განზრახვას, შეფასებას მოკლებულ მოქმედების ფინალურ ნებას. განზრახვის თეორიას ეს შეცდომა არ შეეხება, ვინაიდან მას სისხლისსამართლებრივი განზრახვა გაეგება ისე, როგორადაც ბრალის ამ ელემენტს ყოველთვის წარმოიდგენდნენ *(dolus malus)* და რომლისთვისაც დანაშაულის სპეციფიკური უკუღირებულების ცოდნა უმნიშვნელო არ არის".268

ამასთანავე, არტ. კაუფმანი თვლის, რომ თვით დანაშაულის სპეციფიკური უკუღირებულების უკუღმართ აღქმას განზრახვის თეორიაშიც შეაქვს გარკვეული დისონანსი: რადგან დანაშაულის ეს მატერიალური მნიშვნელობა მდგომარეობს არა ნების სისხლისსამართლებრივი აკრძალვის წინააღმდეგ მიმართულობაში, არამედ საერთო-საზოგადოებრივ ღირებულებათა უგულებელყოფაში, ეს თეორია მცდარად განსაზღვრავს განზრახვას, როდესაც მისთვის აკრძალვის ცოდნას, ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნებას მოითხოვს.

ჩვენ, მართალია, არ ვეთანხმებით არტ. კაუფმანის ამ შენიშვნას, მაგრამ თანამედროვე დოქტრინის ფონზე მას ვერაფერს ვუსაყვედურებთ. დღესდღეობით არ არსებობს სისხლისსამართლებრივ მოთხოვნათა უცოდინარობის ამკრძალავი ნორმა, *ე. ი. სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ცოდნა სისხლისსამართლებრივად სავალდებულო არ არის!*

რაც შეეხება ბრალის თეორიისა და განზრახვის თეორიის შინაარსს, მისი გადმოცემა აქაც, მსგავსად გ. შევესი, ცალმხრივია. არტ. კაუფმანი, მოაქვს რა ორივე თეორიის ერთი კონკრეტული მხარე, ცდილობს მათზე ზოგადი ანალოგიების აგებას. ამიტომაც ვასკვნით მისი შეხედულებიდან, რომ განზრახვის თეორიის განმსაზღვრელ პრინციპად გვევლინება სისხლისსამართლებრივი განზრახვის ტრადიციულად გაგებული ცნება, რა დროსაც ბრალის თეორია მთლიანად არის დაყრდნობილი „ბუნებრივი" განზრახვის პრინციპს.

ამ უზუსტობათა მიუხედავად, მეტად მნიშვნელოვანია არტ. კაუფმანის დებულება მართლწინააღმდეგობის შეგნების როგორც მოცემულ თეორიათა დავის საგნის შესახებ.

როგორც ცნობილია, ორივე თეორიის წარმომადგენლები ამოდიან იმ თეზისიდან, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არის უმართლობის შეგნების არა ქვემდებარე, არამედ პარალელური ცნება. ლიტერატურაში ამ პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. კრიმინალისტთა პირველი ჯგუფის თანახმად, უმართლობის შეგნება იყოფა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის შეგნებასა და მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე; სხვები მას განიხილავენ ამ ელემენტთა *„განუყოფელ"* ერთობად, სადაც უმართლობის შეგნება „მთლიანად მოიცავს ქმედების აკრძალვასა და აკრძალულ ქმედებას"; ხოლო დანარჩენ ავტორებთან უმართლობის შეგნება მართლწინააღმდეგობის შეგნებაა.

გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს მეორე თვალთახედვა, რომლის ნაწილობრივ დამცველადაც გვევლინება არტ. კაუფმანი. მისი არგუმენტაცია შემდეგი სახისაა: „მხოლოდ მართლწინააღმდეგობის სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ცოდნა რომ საკმარისი იყოს, მაშინ პირი, რომელიც აკრძალულ ადგილას ისვრის და ამის შედეგად გაუფრთხილებლობით სპობს სხვა პირის სიცოცხლეს, განზრახი მკვლელობისთვის უნდა დაგვესაჯა, რადგან სუბიექტმა იცოდა, რომ ამ კონკრეტულ ადგილას მას გასროლის უფლება აღარ გააჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, უმართლობის „განუყოფელი“ შეგნების საწინააღმდეგოდაც მეტყველებს. მაგრამ ამის ნიადაგზე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის შეგნება გამოვყოთ ცალკე ელემენტად ნიშნავს, უარვყოთ უმართლობის შეგნება როგორც მართლწინააღმდეგობის, აკრძალულობის (das Verbotensein) შეგნება: ქმედებაზე ერთდროულად ორი ურთიერთგანცალკევებული წარმოდგენის ფლობა ფსიქიკურად შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, განუყოფლობის იდეა მისაღებია“.269 რა თქმა უნდა, არტ. კაუფმანის ამ შეხედულებაში ბევრი რამ არის სადავო, მაგრამ საკითხის ასეთი გაშუქება შესაძლებლობას გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ ბრალის თეორიასა და განზრახვის თეორიას შორის მიმდინარე დავის ხასიათი. არტ. კაუფმანი საგრძნობლივ განავრცობს მსჯელობის დიაპაზონს, რამეთუ ის საცილოს ქმნის ორივე თეორიისათვის ერთნაირად პრინციპულ მომენტს.

ამგვარად, ბრალის ნორმატივისტულ მოძღვრებაში ამ მიმართებითაც მოცემული გვაქვს შეხედულებათა მრავალმხრივი და მკვეთრად პროგრესირებადი კონტრასტულობა.

ნორმატივიზმში შესაძლებელია სხვა არაერთი მნიშვნელოვანი მხარის გამოყოფა (მაგალითად, ბრალის ადგილი და მნიშვნელობა დანაშაულის სტრუქტურაში, გაუფრთხილებლობისადმი ნორმატივისტული მიდგომის თავისებურებანი და ა. შ.), რომელთაც ჩვენ წინამდებარე ტომებში გამოწვლილვით მიმოვიხილავთ. ამჯერად კი უცილობლად უნდა შევეხოთ ქმედების შესახებ მოძღვრებებად წოდებულ ხუთივე ნორმატიულ მიმდინარეობას, რამდენადაც სწორედ ისინი წარმოადგენს ბრალზე ნორმატივისტულ შეხედულებათა უმთავრესი კლასიფიცირების საფუძველს.

ეს მოძღვრებებია: კაუზალური ანუ „ბუნებითი“, „ნატურალისტური“ მოძღვრება, სიმპტომატური მოძღვრება ანუ ეპისტიმოლოგიური დუალიზმი, ფინალური ანუ „სუბიექტურ-ფინალური“ მოძღვრება, სოციალური ანუ „ობიექტურ-ფინალური“ მოძღვრება და არტ. კაუფმანის პერსონალური მოძღვრება. თითოეული ამ სწავლებისათვის დამახასიათებელია ბრალის არა რომელიმე ცალკეული ასპექტის თავისებური აღქმა, არამედ ბრალის ცნების დამოუკიდებელი კონცეპტუალური ანალიზი. ამასთან, ეს თეორიები მკაცრად და განუხრელად ეყრდნობიან ნორმატივიზმის გენერალურ პრინციპებს.

§2. კაუზალური მოძღვრება

თანამედროვე მდგომარეობა

თანამედროვე სისხლის სამართლის ლიტერატურაში ეს სწავლება ამგვარად არის წარმოდგენილი: „კაუზალური ანუ ნატურალისტური მოძღვრება აბსოლუტური უშინაარსობაა, რის გამოც ის ვერ გამოდგება დანაშაულის განსაკუთრებულ ნიშანთა — უმართლობისა და ბრალის — მასშტაბად. ნატურალისტური მოძღვრება ვერ ესადაგება ვერც განზრახ დანაშაულს, ვერც გაუფრთხილებელ დელიქტსა და ვერც მცდელობას, უმოქმედობასთან დაკავშირებულ სირთულეებზე რომ არაფერი ვთქვათ. ქმედების მსგავსი ცნება საერთოდ ვერ აღწერს სპეციფიკურ ინდივიდუალურ ყოფაქცევას, ადამიანისათვის ჩვეულ მოქმედების წესს“.270 ეგზომ უარყოფითი შეფასება გამოწვეულია იმით, რომ კაუზალური მოძღვრება ყოველ ნებელობით აქტს განიხილავს როგორც ობიექტურ განპირობებულობას, ე. ი. ნებას წარმოიდგენს რიგით კაუზალურ ელემენტად.

ამ სწავლების აქტიურ წარმომადგენელთა შორის გვევლინებიან ფონ ლისტი, ბელინგი, რადბრუხი, შიონკე და მეცგერი, მის „პასიურ“ მიმდევრებად კი შესაძლებელია მივიჩნიოთ შრიოდერი, ბლაი და ბაუმანი.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ნატურალისტურმა მოძღვრებამ სადღეისოდ შეწყვიტა განვითარება, რაც ვერ ითქმოდა მასზე რამდენიმე ათეული წლის წინათ.

ლისტი და ბელინგი

კაუზალიზმი თავის დასაბამს იღებს ფონ ლისტის შემოქმედებაში. მასთან დანაშაული ისევე, როგორც დელიქტი, არის მოქმედება, რომელსაც ის განსაზღვრავს როგორც ნებისმიერ (willkürlich), ე. ი. შეცნობილ (bewußt) და წარმოდგენებით განსაზღვრულ *სხეულებრივ მოძრაობას.* ამრიგად, დანაშაული, ფონ ლისტის მიხედვით, ნების განხორციელებაა, მხოლოდ, ნებად ის წარმოიდგენს არა გარკვეულ ფსიქიკურ პროცესს, არამედ „იმ ფიზიკურ აქტს, რომლითაც უშუალოდ აღიგზნება მოტორული ნერვები“. ფონ ლისტი წერს: „სადაც არ მოიპოვება მოქმედება ამ მნიშვნელობით, იქნება ეს სხეულებრივი მოძრაობის არარსებობა თუ მოცემული მოძრაობის ნებასთან ასოცირების შეუძლებლობა, იქ არც დელიქტი შეიძლება იყოს მოცემული და არც დანაშაული“.271

შეუძლებელია უარვყოთ, რომ ნება ემყარება სათანადო მატერიალურ, ფიზიკურ წინამძღვრებს, მაგრამ ნების ფიზიკურ აქტად გამოცხადება ნიშნავს წარვხოცოთ ყოველგვარი სხვაობა ფიზიკურ და ფსიქიკურ კატეგორიებს შორის.

ფსიქიკური საქმიანობა, როგორც ასეთი, სინამდვილეში ემთხვევა ფიზიკური საქმიანობის ცნებას, რადგან მახსოვრობაც და აფექტებიც, აზროვნებაც და ნებელობაც ცერებრალური აქტიურობის, ე.ი. ერთ-ერთი ფიზიკური ორგანოს აქტიურობის აღმნიშვნელი მოვლენები და პროცესებია.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ფსიქიკურ მოვლენებსა და პროცესებს მოიხსენიებენ როგორც „უმაღლეს ნერვულ საქმიანობას“ (პავლოვი, რუბინშტაინი),272 რაც პრინციპულად იმავეს მოასწავებს.

ამასთან, ეს ფორმალური მსგავსება როდი გვაძლევს იმის უფლებას, რომ ფსიქიკურ და ფიზიკურ აქტთა იდენტურობა ვამტკიცოთ, — *ფსიქიკური აქტი არის თუმც მატერიალურად წარმოებადი, მაგრამ არამატერიალური, აბსტრაქტული კატეგორია* და ეს კარდინალურად განასხვავებს მას ფიზიკური აქტის ობიექტურობისაგან.

ფონ ლისტი, ტოვებს რა ამ გარემოებას კვლევის გარეშე, ვერ ამჩნევს თავის შეხედულებიდან გამომდინარე ნონსენსურ დასკვნას, რომლის თანახმადაც ფსიქიკისა და სხეულის კატეგორიალურ იგივეობას ვღებულობთ.

ნების ამ „მატერიალურ-ფოტოგრაფიულ“ აღქმას წინ უსწრებდა ფონ ბურის ანალოგიური დეფინიცია. თუ ფონ ლისტთან ნება ფიზიკური აქტია, ბური მას განიხილავს როგორც „ბუნებრივ ძალას, რომლითაც სხეულებრივი ძალა მოიყვანება მოძრაობაში“. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელიც, მსგავსად ლისტისა, შორს არის ნების ფსიქიკური ბუნების ადეკვატური გაგებისაგან, მაგრამ მას არ დაყავს ნების შინაარსი სხეულებრივი ქცევის ცნებამდე.

ამიტომ უმართებულოა ამჟამად დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფონ ლისტის სწავლებაში უცვლელად აისახება სუბიექტურ ნებაზე ფონ ბურის შეხედულებები. ჩვენი აზრით, მათ პოზიციათა ანალოგიურობა ბევრად უფრო მჭიდროა დანაშაულებრივი ქმედების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ უმოქმედობისას კაუზალობის დასაბუთების ასპექტში.

ლისტის განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ნებელობა არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელსაც ის სინამდვილისაგან მოწყვეტით აანალიზებს. ქმედების შეცნობილობა (die Bewußtheit) და წარმოდგენებით განსაზღვრულობა არ შეიძლება იყოს ბრალეულობის წინაპირობა.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი შეგნებულად იქვეითებს უნარს იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, მას არც თავის ქმედებათა შეცნობისა და წარმოდგენებით განსაზღვრის უნარი გააჩნია.

ამის ტიპური მაგალითია ნასვამ მდგომარეობაში ან სიმთვრალეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის ბრალეულობასა და დასჯადობას არ უარყოფს ფონ ლისტი. მაგრამ თუ ყოველი დანაშაულებრივი ქმედების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ამ ქმედების შეცნობისა და მისი წარმოდგენებით განსაზღვრის აუცილებლობა, მაშინ ბრალეულობის საფუძველი უნდა იყოს არა სიმთვრალეში (ნასვამ მდგომარეობაში) ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ მოცემულ მდგომარეობაში თავის შეგნებული ჩაყენება.

გარდა ამისა, გაუფრთხილებელი ბრალის დროს მოგვეპოვება ქმედების წარმოდგენებით განსაზღვრის მხოლოდ შესაძლებლობა და არა თვით წარმოდგენებით განსაზღვრულობა, მისი ერთ-ერთი ქვესახე კი, დაუდევრო-

ბა, სულაც შეუცნობელ გაუფრთხილებლობად იწოდება (unbewußte Fahrlässigkeit).

დანაშაულის მოქმედებად და არა ქმედებად განსაზღვრისას ფონ ლისტი კი არ უერთებს უმოქმედობას დამოუკიდებელ კომპონენტად მოქმედების ცნებას, როგორც ამას კრიმინალისტთა უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, არამედ საერთოდ უარყოფს მის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. *ფონ ლისტთან ნეგატიური მოქმედება ნორმატიული ირეალურობაა.*

ამის დასტურად ის აღნიშნავს: „უმოქმედობა არ არის არაფრის გაუკეთებლობა, ეს გარკვეული რამის-არ-გაკეთებაა, ე.ი. „სხვაგვარად მოქმედებაა“ და არა საკუთრივ უმოქმედობა. ამით საბუთდება უმოქმედობათა როგორც პოზიტიურ მოქმედებათა შინაარსი და მათი კაუზალური ხასიათი“.273 უმოქმედობის შინაარსი რომ პოზიტიური მოქმედების შინაარსს არ ემთხვევა, ჩვენ უკვე ვცადეთ ამის ნათელყოფა ფსიქოლოგიზმის კრიტიკული განხილვის დროს.

აქ კი მოვიტანთ მხოლოდ ლისტის მოცემული დებულების წინააღმდეგ მიმართულ ვ. ჰარდვიგის შემდეგ შენიშვნას: „ფონ ლისტს არასწორად გაეგება მოქმედებისა და სხვაგვარად მოქმედების ცნებები, როდესაც ის მსგავსი „ლოგიკური“ დანასკვით ხელმძღვანელობას გვთავაზობს: ა-ნი ვალდებული იყო შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება; მან ეს მოქმედება არ შეასრულა; „მაშასადამე“, მან იმოქმედა(!). აქედან გამომდინარე, ყოველი სამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა არის შესაბამისი დასჯადი მოქმედების შესრულება. და ეს მაშინ, როდესაც მისივე განმარტებით ყოველი მოქმედება ნებისმიერი (willkürlich) სხეულებრივი მოძრაობაა“.274 ფონ ლისტის მიერ დაშვებული ესოდენ უხეში წინააღმდეგობა წარმოშობს იმის გარკვევის საჭიროებას, თუ რას ანიჭებს ის საბოლოო ჯამში უპირატესობას: დანაშაულს როგორც მოქმედებას თუ მოქმედებას როგორც სხეულებრივ მოძრაობას.

თუ დანაშაული მხოლოდ მოქმედებაა, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სხეულებრივ მოძრაობას და პირიქით: თუ მოქმედება მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობაა, მაშინ დანაშაული უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მოქმედებას.

რადგან ფონ ლისტი თავის ამ წინააღმდეგობას აშკარად არ აღიარებს და ზემოხსენებულ ურთიერთგამომრიცხავ დებულებათაგან პირდაპირ არც ერთს არ უარყოფს, საკმაოდ რთულია ამ დებულებათა მიმართ პრიორიტეტულობის საკითხის გადაჭრა.

არ ამარტივებს ამ გაურკვევლობას ფონ ლისტის მტკიცება კაუზალობის შესახებ. ის აღნიშნავს: „დანაშაულებრივი შედეგი სხეულებრივი მოძრაობის ნაყოფია, ე.ი. ეს უკანასკნელი მის მიზეზს წარმოადგენს; მოქმედება მუდამ უნდა იმყოფებოდეს შედეგთან მიზეზობრივ კავშირში.“275

შემდგომ კი ფონ ლისტი ესწრაფვის დაასაბუთოს მიზეზობრივი კავშირი ტრადიციულად გაგებულ უმოქმედობასა და შედეგს შორის. ამგვარად, ლისტი ირიბად ცნობს უმოქმედობასაც როგორც სხეულებრივ მოძრაობას.

ცხადია, ზოგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი უმოქმედობა შესაძლებელია გამოიხატოს სხეულებრივ მოძრაობაში (მაგალითად, სუბიექტი ნაჩქარევად სცილდება უბედური შემთხვევის ადგილს, რათა აარიდოს თავი დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას), მაგრამ ასეთ შემთხვევებში პირის სხეულებრივი მოძრაობანი მოკლებულია სისხლისსამართლებრივ ღირებულებას და ამის გამო ვერ წარმოდგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლადაც. სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ დამნაშავემ არ შეასრულა ნორმატიულად სავალდებულო სხეულებრივი მოძრაობა, და სრულიად უმნიშვნელოა ის, ჩაიდინა მან ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება სხვაგვარი სხეულებრივი მოძრაობის საშუალებით თუ უამისოდ.

ამასთანავე, სხვაგვარ სხეულებრივ მოძრაობას რომც გააჩნდეს გარკვეული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, ლისტის მოსაზრების უარსაყოფად საკმარისი იქნებოდა ისიც, რომ სისხლისსამართლებრივ უმოქმედობას ხშირ შემთხვევაში არც კი ახლავს სხეულებრივი მოძრაობა არანაირი სახით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფონ ლისტის მიერ უმოქმედობის სხეულებრივ მოძრაობად დაშვება ფუჭი მცდელობაა ორივე საწყისი თეზისის ერთდროული შენარჩუნებისა.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ეს არ შეესაბამება უმოქმედობის შესახებ თვით ლისტის პირველად პოზიციას, რომელიც ჩვენ ზემოთ წარმოვაჩინეთ, რადგან თავდაპირველად ფონ ლისტი უმოქმედობის საკითხს არსებითად სხვა სიბრტყეზე განიხილავს: უმოქმედობა გაიგივებული იყო პოზიტიურ მოქმედებასთან არა იმიტომ, რომ ეს პირველი განისაზღვრებოდა როგორც სხეულებრივი მოძრაობა, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უმოქმედობით სუბიექტი მოქმედებდა შინაგანად ნორმატიული მოვალეობის საწინააღმდეგოდ.

ამ ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულ უზუსტობათა ხასიათი დიამეტრულად ურთიერთსაპირისპიროა. პირველადი პოზიციით ირღვევა სისხლისსამართლებრივი მოქმედებისა და უმოქმედობის დიფერენცირების კრიტერიუმი, ხოლო შემდგომი არათანამიმდევრულობის შედეგად წარმოქმნილ თვალთახედვაში ლისტი უსადაგებს ამ კრიტერიუმს უმოქმედობის მცდარ შინაარსს.

პირველი შეცდომა კონკრეტულად ვლინდება იმაში, რომ ფონ ლისტი მოქმედებას გვიხასიათებს ფიზიკური (ობიექტური), უმოქმედობას კი ფსიქიკური (სუბიექტური) მაჩვენებლებით, რაც ნიშნავს არა ფიზიკური კრიტერიუმის ფსიქიკური კრიტერიუმით შეცვლას (საამისოდ მას ქმედების ორივე სახე უნდა გადმოეცა ფსიქიკური მახასიათებლებით), არამედ კრიტერიუმის როგორც ასეთის უარყოფას და ფიზიკურად განსაზღვრულ მოქმედებასთან ფსიქიკურად განსაზღვრული უმოქმედობის მექანიკურ შერწყმას.

იგივე შეეხება ყველა დანარჩენ კრიმინალისტს, რომელიც მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთშეთანხმება მათი დიფერენცირების ერთიანი კრიტერიუმის გვერდის ავლით.

ამის საპირისპიროდ ლისტის მომდევნო უზუსტობის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს უმოქმედობაში ობიექტური მხარის თვითნებური, სრულიად მიუღებელი სახით განსაზღვრა.

ამ და ზოგიერთ სხვა ასევე მცდარ დებულებათა კანონზომიერი შედეგია ფონ ლისტის მიერ კაუზალური კავშირისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება, რამაც არაერთგზის პოვა მკაცრი კრიტიკა თანამედროვე კრიმინალისტთა მხრიდან.

„ფონ ლისტი და მასთან ერთად გაბატონებული მოძღვრებაც, — ვკითხულობთ გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, — მოქმედების ცნებას, გარდა თვით მოქმედებისა, უმოქმედობასაც მიაკუთვნებენ. ამის კაუზალობის საკითხისადმი აკომოდირება ნიშნავს მიზეზობრივი კავშირის ცნებაში ვიგულისხმოთ როგორც თვით მიზეზობრივი კავშირი, ასევე არამიზეზობრივი კავშირიც. ადვილად მისახვდომია, თუ რა აფერხებს კაუზალურ სწავლებას, აღიაროს ამ დასკვნის ლოგიკური აუცილებლობა; ამით ის თავადვე გამოააშკარავებდა მოქმედების ცნებაში უმოქმედობის შეტანის დაუშვებლობას.“276

ფონ ლისტისა და ნატურალისტური მოძღვრების სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ იმჟამინდელ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში ერთხმად ცნობდნენ კაუზალური კავშირის აბსოლუტურობას.

ზემოწარმოჩენილ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ლისტის კაუზალურ-ნატურალისტურმა მოძღვრებამ შეძლო გარკვეული სიმბოლური ზეგავლენის მოხდენა ქმედების ცნების განვითარებაზე. ამხანადაც გერმანულ სისხლის სამართალში ქმედება იწოდება სამგვარად: 1) მოქმედება, რომელიც შედგება კეთების ანუ ჩადენისა და უმოქმედობისაგან (Handlung: Tun bzw. Begehung und Unterlassen); 2) ქცევა ანუ ქმედება, რომელიც მოიცავს მოქმედებასა და უმოქმედობას (Verhalten:Handlung und Unterlassung); დაბოლოს 3) მოქმედება ვრცელი გაგებით, რომელიც იყოფა მოქმედებად ვიწრო გაგებით და უმოქმედობად (Handlung i.w.S.: Handlung i.e.S. und Unterlassen). სისხლისსამართლებრივი ქმედების პირველი და მესამე ცნებები, მართალია, უშუალოდ არ არიან გამომდინარე ფონ ლისტის მოქმედების ცნებიდან, მაგრამ უთუოდ შეიცავენ მასზე განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ მითითებებს: მოცემულ მაგალითებში უმოქმედობა ამა თუ იმ სახით იჭრება მოქმედების ცნების შემადგენლობაში.

ამგვარია ფონ ლისტის მიდგომა გაუფრთხილებელი ბრალისადმი: „გაუფრთხილებლობა არის ნება როგორც მიზეზი მოქმედებისა მართლსაწინააღმდეგო შედეგით, რომელსაც თან არ ახლავს წარმოდგენა მისი მიზეზობრიობის შესახებ, თუ მოქმედი: ა)მოქმედების შესრულებისას არ ავლენს ნორმატიულად სავალდებულო და კონკრეტული გარემოებებით ნაკარნახევ მზრუნველობას (ობიექტური მასშტაბი) და თუ მას ბ) შეეძლო გაეთვა-

ლისწინებინა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ე.ი. ძალუძდა შეექმნა წარმოდგენა თავისი ქმედების მიზეზობრიობის შესახებ (სუბიექტური მასშტაბი)“.277

ნათელია, რომ ლისტი გაუფრთხილებლობასაც განიხილავს მხოლოდ მოქმედებასთან მიმართებაში, რა დროსაც უმოქმედობას კვლავ მიეწერება უწინდებური პოზიტიურობა და კაუზალობა.

ამასთან, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ფონ ლისტის მიერ გაუფრთხილებლობის როგორც სუბიექტური ნების განსაზღვრა. გაუფრთხილებლობასთან ერთად ლისტი ასეთად წარმოგვიდგენს განზრახ ბრალსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ განზრახვისას ნება მიზეზია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისა, რომლის მიზეზობრიობაზე სუბიექტს უკვე აქვს წარმოდგენა. ამდენად, ფონ ლისტის მიხედვით ბრალი *მხოლოდ* ნებაა, თუმც *არა ყოველგვარი,* არამედ ისეთი, რომელიც შეადგენს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (ქმედების) მიზეზს.

აქ ისმის კითხვა: რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ბრალს როგორც სუბიექტურ ნებასა და ბრალს როგორც ფსიქიკურ დამოკიდებულებას?

ფსიქოლოგიურ მოძღვრებაშიც ბრალი არის თუმც მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ ისეთი, რომელიც უკავშირდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და შედეგს.

ნორმატივისტული თვალსაზრისით, ორივე შემთხვევაში ბრალი წარმოადგენს აღწერილობით (დესკრიფციულ) ცნებას, რომელიც მოკლებულია შეფასებით მომენტს.

ლისტის განმარტებაში გარეგანი ანუ ნორმატიული შეფასება მართლაც არ მოიპოვება, მაგრამ სუბიექტური ნება გაცილებით მეტისა და ბევრად უფრო არსებითის მეტყველია სისხლისსამართლებრივ ბრალზე, ვიდრე ფსიქიკური დამოკიდებულება.

უკანასკნელი როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ინდივიდუალური შეფასება ყოვლად უმნიშვნელოა ამ ქმედების ბრალეულად კვალიფიცირების დროს (თუ არ გავიგებთ ფსიქიკურ დამოკიდებულებას ისე, როგორც ეს ესმით ნორმატივისტებს). ფსიქიკური დამოკიდებულების დადებითობა თუ უარყოფითობა უნდა იძენდეს თავის მნიშვნელობას მხოლოდ ბრალეულობის ხარისხის დადგენისას. როგორც ბრალის ქართული სკოლის ანალიზმა გვიჩვენა, სუბიექტის ქმედებაში ვერ უარიყოფა ბრალი მხოლოდ იმიტომ, რომ ის ნეგატიურად აფასებს მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა თუ უმოქმედობას. ფსიქიკური დამოკიდებულება არ „ქმნის“ დანაშაულებრივ ქმედებას, ეს მარტოოდენ მისი პასიური ფსიქიკური დანამატია, მაშინ როდესაც ბრალის შინაარსიდან ნების გამორიცხვა ობიექტურ შერაცხვას მოასწავებს.

ფონ ლისტი მრავალ თანამედროვე კრიმინალისტზე უკეთ ხედავს, რომ სუბიექტურ ნებას თანაბარი მნიშვნელობა აქვს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ ბრალთან დამოკიდებულებაში. ამჟამად თანდათანობით იკიდებს ფეხს მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაუფრთხილებელი დანაშაული ნების შესაბამისი ქმედება არ არის, რასაც საბოლოოდ ამ სახის დელი-

ქტური ქცევის სრულ დეკრიმინალიზაციამდე მივყავართ. ეს ტენდენცია სავსებით უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგება ლისტის შეხედულებასაც, რომელსაც საფუძვლად უდევს ნების კანტისეული აღქმა, და თანამედროვე ფსიქოლოგიასაც, სადაც სურვილი ნების მხოლოდ საწყისი საფეხურია.

ამავე დროს, ლისტი არ იხრება სისხლის სამართალში წარმოდგენილი არც საპირისპირო უკიდურესობისაკენ, რომლის დამკვიდრება კ. ბინდინგის სახელს უკავშირდება. ბინდინგი წერს: „სურვილი და ნება დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან — პირველი განეკუთვნება წარმოსახვის სფეროს, უკანასკნელის მომცველი კი სინამდვილის სფეროა. თუ სურვილის შემთხვევაში ბატონობს სუბიექტური წარმოდგენა, ნება რეალურ საგნებს მიეკუთვნება და ის არ იცვლება სუბიექტური შეცდომით, მის მიმართ წარმოდგენა უძლურია.“278 ეს პოზიცია ზუსტად შეესატყვისება ბინდინგისთვის თანამედროვე ვუნდტის ფსიქოლოგიას.

სუბიექტური ქცევის ყოველი კონკრეტული სახე რომ ნების შესაბამისი ვერ იქნება, ამაზე ჯერ კიდევ ჰაინემანი მიუთითებდა: „როდესაც ბინდინგი ამტკიცებს, რომ ნება ვრცელდება სუბიექტის მიერ გარე სამყაროში გამოწვეულ ყოველ ცვლილებაზე, ის ცდება, რადგან ნების ცნების ასეთი გაფართოება გამოუსადეგარს ქმნის ამ ცნებას ყველა პრაქტიკული მეცნიერებისათვის. მისი დასკვნის სიმცდარე გამომდინარეობს კაუზალობის ცნებასთან ნების ცნების დისპროპორციული შეჯერებიდან. ბინდინგისთვის შეუმჩნეველი რჩება, რომ ნება არის მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი რგოლი კაუზალობის ჯაჭვში. ჩემი მოქმედების მიერ გარკვეული ეფექტის წარმოქმნა თავისდათავად ნიშნავს არა იმას, რომ მე ეს ეფექტი მენება, არმედ მხოლოდ იმას, რომ ის განხორციელდა ჩემს მიერ. გარე სამყაროში გამოწვეულ ცვლილებას სუბიექტური ნება დაუკავშირდება მარტოოდენ მაშინ, თუ ეს ცვლილება შესაბამისობაში მოდის სუბიექტის წარმოდგენასთან“.279 უახლესი ფსიქოლოგიის გადასახედიდან ვერც ჰაინემანის კრიტიკა მიიჩნევა ბოლომდე საფუძვლიანად, მაგრამ მასში დამაკმაყოფილებლად გადმოიცემა ბინდინგის პოზიციის პრინციპული მიუღებლობა.

ამრიგად, სისხლის სამართალში სუბიექტური ნება აღიწერება არაერთგვაროვნად, რის გამოვლინებასაც წარმოადგენენ შემდეგი ნიშნები: 1) ნებისა და სურვილის ურთიერთგანუსხვავებლობა (გაბატონებული დოგმატიკა); 2) ნებაში სურვილისა და ფსიქოლოგიური თვითიძულების გაერთიანება (ფონ ლისტი) და 3) ნების წარმოდგენისაგან განცალკევება (კ. ბინდინგი).

მათ შორის დადებითად ვუსვამთ რა ხაზს ფონ ლისტის შეხედულებას, უნდა შევნიშნოთ, რომ ლისტი ზოგჯერ ეწინააღმდეგება თავისსავე დებულებას. მაგალითად, ერთგან ის განსაზღვრავს ნებას როგორც „წარმოდგენით განპირობებულ ლტოლვას“ (das durch Vorstellung hervorgerufene Begehren) და მის ობიექტად გვიხასიათებს არა შედეგსა და ქმედებას (მოქმედებას), არამედ მხოლოდ ქმედებას.

მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ლისტის დამოკიდებულება დანაშაულის სისტემის სტრუქტურული ელემენტებისა და მათი ურთიერთობის ფორმისადმი. ამით შეიცნობა კაუზალური მოძღვრების არსი. როგორც ცნობილია, დანაშაულის სისტემის კლასიკური სქემის იდეა ეკუთვნის სწორედ ფონ ლისტს, რომელიც შემდგომ მეცნიერულად განამტკიცა სხვა კაუზალისტმა ე. ბელინგმა. ლისტთან დანაშაულის ცნება აიგება მოქმედების (დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა), მართლწინააღმდეგობისა და ბრალისაგან, სადაც მოქმედება გაგებულია წმინდად ნატურალისტურად[0]*.

ჰ. შვაიკერტი აღნიშნავს: „ფონ ლისტმა და ბელინგმა მოქმედების ცნებიდან დანაშაულის შემადგენლობაში გადაიტანეს ნებელობითი ქცევის ყველა გარეგანი გარემოება: შედეგი, ხერხი, დანაშაულის ობიექტი, მოქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური ურთიერთობა, პიროვნული, სივრცისეული და დროებრივი ურთიერთობანი. ამსახად, მოქმედების ცნება იქცა როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ უშინაარსობადაც.“280

მაგრამ ამ თავდაპირველი შეხედულების საწინააღმდეგოდ თვით ე. ბელინგი მიგვითითებს: „იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს კაუზალურ ურთიერთობას (მაგალითად, ადამიანის სიკვდილის გამოწვევა), ის უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ შედეგში, არამედ შედეგსა და მოქმედებაში ერთობლივად. მოქმედება მსგავს შემთხვევებში როგორც შედეგის მიზეზი ერთმნიშვნელოვნად ექცევა დანაშაულის შემადგენლობაში.“281

იმავე წინააღმდეგობრიობას ვხვდებით ფონ ლისტთანაც, როდესაც ის დანაშაულის შემადგენლობას განმარტავს როგორც შედეგისა და შედეგის გამოწვევის (მოქმედების) დახასიათებას.

მაგრამ რაში გამოიხატება პრაქტიკულად დანაშაულის შემადგენლობისა და მოქმედების ურთიერთგამიჯვნა?

ფონ ლისტი და ე.ბელინგი თვლიან, რომ „მკვლელობა (die Tötung) მოცემულია მაშინაც, თუ ადამიანის სიკვდილს იწვევს ცხოველი, მექანიზმი ან ბუნებრივი მოვლენა; ხოლო დანაშაულის არარსებობას ამ პირობებში ვღებულობთ არა დანაშაულის შემადგენლობის, არამედ მოქმედების მოუცემლობით“.282 აქედან გარკვევით ჩანს, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ წარმოგვიდგენს არავითარ მითითებებს არამცთუ სუბიექტური მოქმედების ნებელობით მხარეზე, არამედ სუბიექტურ მოქმედებაზე საერთოდ. ამასთან, დანაშაულის შემადგენლობა შესაძლებელია არსებობდეს მოქმედების (ქმედების) არარსებობის დროსაც.

და თუ ასეა, რა აზრსა და მნიშვნელობას იძენს ტერმინი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა ანუ რას ვუსაბამებთ დანაშაულის შემადგენლობას, თუ არ არსებობს ქმედება?! მას ვერ შევუსაბამებთ ვერც უბრალოდ შედეგს ან ამ შედეგის გამომწვევ ბუნებრივ მოვლენას, ვინაიდან

---

* ე. ბელინგთან ერთად მოქმედების ამ ნატურალისტურ გაგებას მიემხრო გ. რადბრუხიც, მაგრამ მოგვიანებით თავადვე შეიტანა ეჭვი მის მართებულობაში.

ერთადერთი, რისკენაც არის მიმართული და რასაც აღწერს სისხლისსამართლებრივი ნორმა, არის სუბიექტური ქმედება.

ასე მაგალითად, მკვლელობის შესახებ ნორმაში კანონმდებელი აღგვიწერს სწორედ მკვლელობას, ე. ი. სხვა პირისათვის სიცოცხლის მოსპობას და არა სხვა პირის სიკვდილს, ქურდობის შესახებ ნორმაში — სწორედ ქურდობას, ე. ი. მესაკუთრისაგან ნივთის გატაცებას და არა მესაკუთრის მიერ ნივთის დაკარგვას.

ამიტომ *დანაშაულის შემადგენლობასთან შესაბამების საგანი არ შეიძლება იყოს არც შედეგი და არც ამ შედეგის გამოწვევა, თუ ეს არ არის სუბიექტური ქმედება,* რაც, თავის მხრივ, მოასწავებს დანაშაულის შემადგენლობისა და ქმედების ერთმანეთისაგან განცალკევების მიუღებლობას.

გარდა ამისა, მოგვიანებით ფონ ლისტისა და ე. ბელინგის მიერ დანაშაულის შემადგენლობაში მოქმედების კვლავ დაბრუნება მართებული სახით არ განხორციელებულა, რადგან მოქმედებას როგორც შედეგის გამოწვევას ისინი უწინდებურად უქვემდებარებდნენ თვით შედეგის მნიშვნელობას.

ფრიად საგულისხმოა, თუ პირველადი ლისტისეული დანაშაულის შემადგენლობის როგორ თეორიულ დასაბუთებას გვთავაზობს ე. ბელინგი. „დანაშაულის შემადგენლობა, — შენიშნავს ის, — არის დანაშაულის ტიპის მონახაზი ან, უფრო ზუსტად, იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ ტიპურად რომელ დანაშაულთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალირების მიზნით განსაზღვრულ სისხლისსამართლებრივი მუხლის ელემენტს“.283

და სხვაგან: „ტიპურობა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა როგორც მოქმედების თვისება შეადგენს დანაშაულის ცნების კონსტიტუციურ ნიშანს.“284

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს მეტყველებს სწორედ იმის საწინააღმდეგოდ, რის დასაბუთებასაც ცდილობს ე. ბელინგი: თუ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა როგორც მოქმედების თვისება გამომდინარეობს იქიდან, რომ დანაშაულის შემადგენლობა ტიპური დანაშაულებრივი მოქმედების აღწერილობაა, მაშინ რის საფუძველზე ვაცხადებთ ამ თვისების მატარებლად შედეგს ან შედეგის არასუბიექტურ გამოწვევას?

მაგრამ თანდათან მწვავე კრიტიკის შედეგად ე. ბელინგი მნიშვნელოვნად ცვლის თავის მოძღვრებას დანაშაულის შემადგენლობის შესახებ და აყალიბებს მას იმგვარად, რაგვარადაც ის დღესაც განაგრძობს თავის უპირობო დომინირებას.

ფონ ლისტისა და ე. ბელინგის ამ წინააღმდეგობებით აღსავსე დებულებებში ადვილად მოიძიება მათი განზოგადების საფუძველი: ეს დესკრიფციულობაა. „დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგანი მიმდინარეობის (das äußere Geschehen) გამოხატულება სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესთა გაუთვალისწინებლად,“285 — წერს ე. ბელინგი.

იმ დროისთვის დანაშაულის შემადგენლობას, როგორც დანაშაულის გარეგან ანუ ობიექტურ ნიშანთა შეფასებას მოკლებულ სისტემას, მრავალი კრიმინალისტი უარყოფდა ქმედების დანაშაულებრივად ცნობის დამოუკიდებელ ეტაპად. მაგრამ კაუზალისტთა მტკიცების დამაჯერებლობა ამით მცირედაც არ შერყეულა; ფონ ლისტი და ე. ბელინგი შეუმცდარად ასახავენ არსებულ რეალობას, როდესაც ესწრაფვიან დანაშაულის შემადგენლობის, ერთი მხრივ, ყოველივე სუბიექტურისა და, მეორე მხრივ, ყოველივე შეფასებითისაგან დისტანცირებას.

ლოგიკურად ასევე გამართლებულია ის თანამიმდევრობა, რომლითაც დანაშაულის შემადგენლობას მოსდევს მართლწინააღმდეგობა როგორც ობიექტური მხარის შეფასება და ბრალი როგორც დანაშაულის უმთავრესი სუბიექტური ნიშანი.

ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ უარყოფით შეფასებაზე, რომელსაც აძლევს ვ. ჰარდვიგი დანაშაულის სტრუქტურის ამ კაუზალისტურ დაყოფას. კლასიკური სქემის განსახილველად მის მიერ მოტანილი მაგალითი შემდეგია: ქვეითად მოსიარულე თვითმკვლელობის მიზნით წინ ეღობება ავტომობილისტს, რომლისთვისაც ლეტალური შედეგის თავიდან აცდენა ობიექტურად შეუძლებელია.

მოცემულ მაგალითზე დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ანალიზის შემდეგ ვ. ჰარდვიგი აღნიშნავს: „რათა გაუფრთხილებლად იმოქმედო, უნდა დაარღვიო გარკვეული სისხლისსამართლებრივი მოვალეობა. ასეთ მოვალეობად გვევლინება შესაბამისი მზრუნველობის, ყურადღებისა და წინდახედულობის გამოჩენის ვალდებულება. კვლევის შედეგად ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ერთ სისხლისსამართლებრივ მოვალეობას, რომელიც დარღვეულ იქნა ავტომობილისტის მიერ, მაგრამ როდესაც სუბიექტი არ არღვევს სისხლისსამართლებრივ მოვალეობას, არც ის შეიძლება დადგინდეს, რომ მან იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ! აქ ჩვენ ვერ ვიტყვით, თითქოს ავტომობილისტის ქმედებაში მოცემულია ობიექტური, მაგრამ არა სუბიექტური მართლწინააღმდეგობა. რა არის ამაში ნაგულისხმევი: განა არსებობს ორი მართლწინააღმდეგობა? შესაძლებელია, რომ ქმედება ერთდროულად იყოს მართლსაწინააღმდეგოც და არამართლსაწინააღმდეგოც? და რას ეწოდება „ობიექტური“ და „სუბიექტური“? მზრუნველობისა თუ წინდახედულობის შესახებ მოვალეობაც ხომ ობიექტური სისხლისსამართლებრივი მოვალეობაა.“286 უკანასკნელი შენიშვნა მიმართულია კრიმინალისტთა იმ ჯგუფისადმი, რომელიც მიიჩნევს, რომ სხეულის არაბრალეული დაზიანებისას ან არაბრალეული მკვლელობისას სუბიექტი მოქმედებს (ან უმოქმედობს) თუმცა მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არა მოვალეობის საწინააღმდეგოდ, საიდანაც გამომდინარეობს ისეთ მოვალეობათა არსებობა, რომლებიც შეეხება მხოლოდ ბრალს და არა მართლწინააღმდეგობას.

ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით ვ. ჰარდვიგს და ნაწილობრივ — ზემოხსენებულ კრიმინალისტთა ჯგუფს. ვ. ჰარდვიგი ცდება, როცა მართლწინა-

აღმდეგობის წინაპირობად სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევას აცხადებს.

ის, ვინც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, არღვევს მხოლოდ სხვის სამართლებრივად დაცულ სიკეთეს და არა საკუთარ მოვალეობას, ვინაიდან ასეთი მოვალეობა მას შესაძლებელია არ გააჩნდეს საერთოდ. მაგალითად, შეურაცხად პირს არ ეკისრება არანაირი სახის სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, მაგრამ მას სავსებით ძალუძს იმოქმედოს მართლსაწინააღმდეგოდ, ე. ი. მოკლას, გაქურდოს ან მიაყენოს სხეულის დაზიანება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობის პირობებში. ყოველთვის, როდესაც ხელიყოფა სისხლისსამართლებრივი უფლება, ირღვევა სისხლის სამართალიც, იმისდა მიუხედავად, სდევს თუ არა თან ამ უფლების ხელყოფას საპირისპირო ვალდებულების შეუსრულებლობა.

ჩვენ მიერ ერთ-ერთ წინა ქვეთავშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ მართლწინააღმდეგობა და ბრალი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან როგორც სხვისი უფლების დარღვევა (მართლწინააღმდეგობა) და საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობა (ბრალი).

მაშასადამე, ცდება არა მხოლოდ ვ. ჰარდვიგი, რომელიც ყოველ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას განიხილავს სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევად, არამედ ავტორთა ის ნაწილიც, რომელიც ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას განაკუთვნებს მართლწინააღმდეგობას, ხოლო ზოგიერთისას — ბრალს.

და რადგან ყოველგვარი სისხლისსამართლებრივი უფლების ყოველგვარი დარღვევა უკვე ნიშნავს მართლწინააღმდეგობას, უნდა შეინიშნოს, რომ ვ. ჰარდვიგის მაგალითში ავტომობილისტმა იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ, თუმც მას არ დაურღვევია წინდახედულების (მზრუნველობის, ყურადღების) ვალდებულება.

ამისდა კვალად, კლასიკურ სქემაში ბრალის გამორიცხვა სულაც არ გვაიძულებს გამოვრიცხოთ მართლწინააღმდეგობა და ამით ვაღიაროთ მოცემული სქემის დისონანსური ხასიათი, როგორც ამას ამტკიცებდა ვ. ჰარდვიგი.

განსაკუთრებული კვლევის საგანია ე. ბელინგთან დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის ურთიერთობა. ორ სხვადასხვა ნაშრომში „მოძღვრება დანაშაულზე“ და „არაბრალეულობა, ბრალი და ბრალის საფეხურები“ ის სხვადასხვაგვარად უდგება სისხლისსამართლებრივი ბრალის პრობლემას.

პირველ მათგანში ბრალს ანუ ბრალეულობას ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობას, ე. ბელინგი განიხილავს როგორც მოქმედების თვისებას და განსაზღვრავს მას როგორც მოქმედების ფსიქიკურ სიმცდარეს (die psychische Fehlerhaftigkeit der Handlung).287

ხოლო მეორე ნაშრომში უკვე წარმოდგენილია ე.წ. ბრალის შეზღუდული ნორმატიული ცნება, სადაც ბრალი განიმარტება როგორც „გასაკიცხობა ან დაგმობითობა ქმედების ფსიქიკური მხარის მიხედვით.“288

ბრალის ცნებისა და უშუალოდ ბრალის დანაშაულის შემადგენლობასთან ურთიერთობის თავისებურებანი შეისწავლება ე. ბელინგის მიერ თავის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწარმოებშიც — „მოძღვრება დანაშაულის შემადგენლობაზე.“

დანაშაულის შემადგენლობა როგორც „დანაშაულის ტიპის გარეგანი მოხაზულობა“ მკვეთრად განსხვავდება ბრალისაგან და ეს უკანასკნელი სავსებით გაიტანება მისი სტრუქტურიდან, ვინაიდან სუბიექტურ ანუ ფსიქიკური ნიშნებით განვრცობილ დანაშაულის შემადგენლობას ე. ბელინგი უწოდებს *contradictio in adjecto.*289

გარდა ნატურალისტურად გაგებული ნებისმიერობისა, რომელიც ეკუთვნის კაუზალისტური მოქმედების ცნებას, დანაშაულის ყველა ფსიქიკური ნიშანი როგორც „ნების განსაკუთრებული თვისება“ წარმოადგენს მასთან ბრალის ცნების კუთვნილებას.

ე. ბელინგი წერს: „უწინარეს ყოვლისა, ესაა ფსიქიკური ურთიერთობანი დანაშაულის შემადგენლობასთან (განზრახვა) და მართლწინააღმდეგობასთან (უმართლობის შეგნება). ამიტომაც ბრალი არის დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ფსიქიკური ანარეკლი.“290 დანაშაულის ფსიქიკურ ნიშნებში, რომლებიც წარმოდგენილია ბრალის შემადგენელ ნაწილებად, გარდა განზრახვისა და უმართლობის შეგნებისა, ე. ბელინგი გულისხმობს დამნაშავის ტენდენციებს (Tendenzen des Täters), მოტივებს და მიზნებს, თუ მოცემული გვაქვს მიზნით დაფუძნებული (გულზრახვითი) დელიქტი. უკანასკნელისთვის ის საკმარისად თვლის მის ობიექტურ არსებობას და არ მოითხოვს მისთვის გარკვეულ სუბიექტურ ურთიერთობათა აუცილებლობას, ე.ი. მიზანი ე. ბელინგისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ როგორც ფსიქიკური ელემენტი მისი განხორციელების საჭიროების გარეშე.

როგორც ფონ ლისტისა და ე. ბელინგის შეხედულებებიდან გარკვევით ჩანს, მიზანს ვერ მოიცავს დანაშაულის შემადგენლობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება (განზრახვა), რამეთუ ის მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის მიღმა მდებარე მომენტისაკენ (მაგალითად, ანგარებითი მკვლელობის დროს დამნაშავის მიზანს შეადგენს მატერიალური გამორჩენის მიღება, განზრახვით კი მოცულია მხოლოდ თვით მკვლელობა).

ამას ე. ბელინგი უწოდებს გამონაკლისს სხვა თავისი დებულებიდან, რომელშიც განზრახვა გამოცხადებულია ბრალის ინდივიდუალირების მთავარ საფუძვლად ისევე, როგორც დანაშაულის შემადგენლობა — მოქმედებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ცნების ყველა ფსიქიკური ნიშნის ბრალის ცნებაში თავმოყრა ე. ბელინგს უქმნის მრავალ სხვა სირთულეს და აიძულებს მას გამოყოს არაერთი მსგავსი გამონაკლისი. მათ შორის არის დანაშაულის მოტივისა და ბრალის ურთიერთმიმართებაც: მოტივის როგორც ბრალის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების კვლევისას ირკვევა, რომ ბრალი მოიპოვება მოტივისაგან დამოუკიდებლად

და რომ ეს უკანასკნელი ახდენს მასზე მხოლოდ გარეგან კვანტიტატურ ზეგავლენას.

ბრალის დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ფსიქიკურ ანარეკლად აღიარების ანუ ბრალის დანაშაულის შემადგენლობასა და მართლწინააღმდეგობაზე პირობითად სუბორდინირებული ორიენტირების მიზეზს ე. ბელინგი ამგვარად განმარტავს (განზრახვის მაგალითზე): „განზრახვის წარმოდგენა დანაშაულის შემადგენლობისაგან „რეფლექტირებულ“ სუბიექტურ ელემენტად განპირობებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპით. ბრალის ცნებაში უცილობლად უნდა პოვოს სრულყოფილი ინდირექტული ასახვა დანაშაულის თითოეულმა ობიექტურმა ნიშანმა. მოვწყვიტოთ ბრალი ყოველივე იმას, რისგანაც ობიექტურად შედგება დანაშაული, ნიშნავს დავუბრუნდეთ გარდასულ ხანათა ანტიჰუმანურ პრიმიტივიზმს. ამასთანავე, განზრახვა მოუსაზრებელია მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების — უმართლობის შეგნების — გარეშე.“291 ზემოხსენებულ ობიექტურ ნიშანთა რიგიდან ე. ბელინგი გამორიცხავს დანაშაულის ისეთ გარემოებებს, რომლებსაც კანონი აღჭურავს *მკაცრად* ობიექტური მნიშვნელობით.

აქვე შევნიშნავთ, რომ ე. ბელინგის დებულება ბრალისა და დანაშაულის ობიექტურ ნიშანთა ურთიერთობის შესახებ მაჩვენებელია მათი პრინციპული სისტემატიკური დიფერენცირებულობისა და არა მათ შორის კატეგორიალური სხვაობის დარღვევისა, როგორც ეს შესაძლოა მოგვეჩვენოს პირველი შეხედვით.

ე. ბელინგი ბრალს როგორც დანაშაულის ფსიქიკურ ნიშანთა ერთობას მხოლოდ უპირისპირებს მის ობიექტურ ნიშნებს და ახდენს იმ ჭეშმარიტების კონსტატირებას, რომ *დანაშაულის სუბიექტური მხარე გამომდინარეა დანაშაულის ობიექტური მხარიდან* და არა პირიქით.

კლასიკურ სქემაში ბრალის ობიექტური ნიშნებისაგან გამიჯნულობის დასტურია ლიტერატურაში წარმოდგენილი შემდეგი თვალსაზრისიც: „(შეფასებას მოკლებული) დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის (ფსიქოლოგიური) ცნების ნატურალისტურ გაგებას (სპეციფიკურად იურიდიულ ცნებათა „ბუნებრივ“ გადმოცემას) ბელინგი მიჰყავს დანაშაულის შემადგენლობის მართლწინააღმდეგობისა (დესკრიფცია — შეფასება) და ბრალისაგან (ობიექტურის დესკრიფცია — სუბიექტური = ფსიქიკური) ფორმალურ განცალკევებამდე.“292

ამრიგად, ბრალთან მიმართებაში ობიექტური მხარე არის მხოლოდ ორიენტაციის და არა ინტეგრაციის ობიექტი.

არ ცდება ე. ბელინგი მაშინაც, როდესაც მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას (უმართლობის შეგნებას) აუცილებლობით უკავშირებს დანაშაულის შემადგენლობისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას (განზრახვას).

მაგრამ ის მცდარად წარმოიდგენს ამ განუყოფლობის მიზეზს, რადგან ასეთად ასახელებს თავის ზემოგანხილულ პრინციპს: ობიექტურ ნიშნებზე ბრალის ტენდირების აუცილებლობას. მართლწინააღმდეგობა, როგორც

ამას თავად ე. ბელინგიც აღიარებს, ატარებს არა აღწერილობით, არამედ შეფასებით ხასიათს და, ამდენად, მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება ნიშნავს ბრალის ასოცირებას არა ობიექტურ ნიშნებთან, არამედ ამ ნიშანთა შესახებ შეფასებით მსჯელობასთან. მოცემული მეთოდოლოგიური უზუსტობა თვალნათლივ აისახება გაუფრთხილებელი ბრალისა და უმართლობის შეგნების ურთიერთშეუთავსებლობაში.

ე. მეცგერი

კაუზალური მოძღვრება მნიშვნელოვნად განავითარა ე. მეცგერმა. ისევე, როგორც ფონ ლისტთან და ე. ბელინგთან, ე. მეცგერთანაც დანაშაულის შემადგენლობის არსი მდგომარეობს გარე სამყაროში მომხდარი ცვლილების, ობიექტური პროცესის აღწერაში. მაგრამ მათ საპირისპიროდ ე. მეცგერს დანაშაულის შემადგენლობაში შეაქვს ასევე შეფასებითი მომენტი, რომელიც ლისტისა და ბელინგის მიხედვით დამახასიათებელი იყო მართლწინააღმდეგობისათვის, და ზოგიერთი სუბიექტური ელემენტი, რომელიც მათთან განიხილებოდა ბრალის ცნების ფარგლებში.

ე. მეცგერი წერს: „ის, რომ უმართლობა ინტერესთა ობიექტურ დარღვევას წარმოადგენს, ჯერ კიდევ როდი მეტყველებს იმაზე, თითქოს მისი დადგენა ყოველთვის შესაძლებელია ნების „სუბიექტური“ მიმართულების გაურკვევლად. ბელინგისეული დაყოფა: მართლწინააღმდეგობა — ობიექტური სფერო და ბრალი — სუბიექტური სფერო არ ესადაგება პოზიტიური კანონის ფაქტებს.... მოქმედების ყველა სუბიექტური ელემენტის ბრალის ცნებაში ლოკალიზება მიუღებელია, ვინაიდან მათი ნაწილი უმართლობის აუცილებელ ნიშნებად წარმოგვიდგება.... რამდენადაც ეს ელემენტები დელიქტის განსაკუთრებულ ბუნებას განსაზღვრავენ, მათი მდებარეობა დანაშაულის შემადგენლობაში უთუმცაოა.293

ყოფს რა დანაშაულის შემადგენლობას სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებად, ე. მეცგერი წარმოგვიდგენს მას როგორც სპეციალური, ტიპირებული უმართლობის გამოხატულებას ანუ როგორც „უმართლობის ტიპს“, სადაც უმართლობა ფორმალურად განიხილება როგორც აბსტრაქტული შეფასებითი ნორმისაკენ მიმართული წინააღმდეგობა, მატერიალურად კი — როგორც ინტერესთა დარღვევა. 294

სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ფსიქიკურ პროცესთა ბრალის ნიშნებად და დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტებად დაყოფის მიზნით ე. მეცგერი განასხვავებს დანაშაულის ორ ძირითად ჯგუფს ნებელობითი მხარის მიხედვით: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია დანაშაულთა ის სახე, რომლისთვისაც კანონმდებელი მოითხოვს „გარეგანი მოქმედების მარტივ ნდომას“; მეორე რიგის დანაშაული კი მიიღება „გარეგანი მოქმედების ინტელექტუალურად რთული ნდომით (sinnerfülltes Wollen)“.295

ე. მეცგერი თვლის, რომ „მარტივი ნდომა“ (მაგალითად, სხეულის დაზიანებისას) მიეკუთვნება ბრალს და არა უმართლობას, რის გამოც ის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტად ვერ განიხილება.

ხოლო „ინტელექტუალურად რთულ ნდომას“ ის შემდეგგვარად განგვისაზღვრავს: „მრავალ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონი არ კმარობს იმას, რომ დამნაშავემ ცნობიერად და ნების შესაბამისად განახორციელოს დანაშაულის გარეგანი (ობიექტური) შემადგენლობა; დასჯადობის უმთავრეს წინაპირობად აქ გვესახება სხვა თანამდევი ფსიქიკური პროცესები. გარეგანმა მიმდინარეობამ უნდა წარმოაჩინოს განსაზღვრული ფსიქიკური კოლორიტი, განსაზღვრული გონებრივი შინაარსი ანუ განსაკუთრებული სუბიექტური „აზრი.““296

ე. მეცგერი იქვე განასხვავებს ამ სახის დელიქტთა სამ ქვეჯგუფს: ა) მიზნით დაფუძნებული დელიქტები, რომელთა დროსაც დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედება სურს როგორც სუბიექტური ხერხი სხვა შემდგომი ქცევის განსახორციელებლად (ყალბი ფულის დამზადება გასაღების მიზნით); ბ) ტენდენციით დაფუძნებული დელიქტები, რომელთა დროსაც ქმედება გვევლინება როგორც სუბიექტური ტენდენციის რეალიზება (გარყვნილი მოქმედება სექსუალური ტენდენციით ან სამსახურებრივი დაფარვა გამორჩენის ტენდენციით) და გ) გამოვლინებით დაფუძნებული დელიქტები, რომელთა დროსაც ქმედება წარმოდგენილია როგორც დამნაშავეში მიმდინარე სულიერი პროცესის გამოვლინება (რწმენითი ფიცი (Überzeugungseid) ნამდვილი ფიცის საპირისპიროდ).

ხოლო ამის კვალობაზე „ინტელექტუალურად რთული ნდომის“ დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტად გამოცხადებას ე. მეცგერი ამით ხსნის: „გარეგან მოქმედებაში გამოხატული ინტერესთა (სამართლებრივ სიკეთეთა) ხელმყოფი ხასიათი სავსებით სხვაგვარია მაშინ, როდესაც მას საფუძვლად უდევს განსაკუთრებული ფსიქიკური შინაარსი, ტენდენცია, მიზანი, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ამ მომენტებისაგან დამოუკიდებელია.“297

ამსახად, ე. მეცგერი საბოლოოდ უარყოფს ე. ბელინგის კონცეფციას ბრალზე როგორც დანაშაულის ცნების ყველა ფსიქიკური ნიშნის ერთობლიობაზე და ამის შედეგად რადიკალურად გარდაქმნის ფონ ლისტისა და ე. ბელინგის „დესკრიფციულ, შეფასებას მოკლებულ დანაშაულის შემადგენლობას“.

მაგრამ ჩვენ კვლავაც ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ ე. მეცგერიც დანაშაულის შემადგენლობის არსს ხედავს მის დესკრიფციულ ელემენტებში, ე.ი. გარე სამყაროში მომხდარი ცვლილების ნატურალისტურ აღწერაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვერც წარმოვიდგენდით კაუზალური მოძღვრების მიმდევრად.

მოცემული მიმართულებით თავის დასკვნით არგუმენტად ე. მეცგერი ასახელებს შემდეგს: „ყალბი ფულის დამზადება, გარყვნილი მოქმედება, რწმენითი ფიცი და სხვა ატარებს თუ არა მართლსაწინააღმდეგო ხასიათს,

ეს უთუოდ არის დამოკიდებული არა მხოლოდ მოქმედების გარეგან სახეზე, არამედ დამნაშავის შინაგან განწყობაზეც.“298

განვიხილოთ ე.მეცგერის ეს მოსაზრება ყალბი ფულის დამზადების მაგალითზე. ყალბი ფულის დამზადება, როგორც ასეთი, ნებადართულია, რადგან სისხლის სამართლის კანონით არ იკრძალება; აკრძალულია მხოლოდ მისი დამზადება შემდგომი გასაღების მიზნით. რამდენადაც ამ მოქმედებათა გარეგანი გამოვლინება აბსოლუტურად ემთხვევა ერთიმეორეს, ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით მათი ურთიერთგანსხვავება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა, თუ მის წინამძღვრებად წარმოვიდგინეთ მხოლოდ ობიექტური ელემენტები, ერთდროულად ვერ იქნება ერთ-ერთი ზემოხსენებული ქმედებისთვის უცხო და მეორე მათგანისთვის დამახასიათებელი ნიშანი. ამიტომაც მეორე მაგალითში (ყალბი ფულის დამზადება გასაღების მიზნით) მართლწინააღმდეგობის აღიარება მხოლოდ ობიექტურ მხარეზე დაყრდნობით გვაიძულებს ვცნოთ მართლსაწინააღმდეგოდ პირველი მოქმედებაც, რაც დაუშვებელია: ნებადართულობა და მართლწინააღმდეგობა როგორც აკრძალულობა პრინციპულად ურთიერთგამოირიცხება.

ასე ან დაახლოებით ასე გააანალიზებდა მოცემულ დანაშაულებრივ ქმედებას ე. მეცგერი. მაგრამ ეს საკითხის ცალმხრივად გაშუქებაა. *თუ ქმედება დანაშაულებრივია, ის არ შეიძლება იყოს სუბიექტურად აკრძალული და ობიექტურად ნებადართული.*

როდესაც დამნაშავე ამზადებს ყალბ ფულს მისი გასაღების მიზნით, არამართლზომიერია არა მხოლოდ ეს მიზანი, არამედ თვით დამზადებაც, ვინაიდან სისხლის სამართლის ნორმა კრძალავს მათ კომპლექსურად, სისტემურად და არა სეპარატულად, არა პარტიკულარულად.

ამასთან, ქმედების დანაშაულად კვალიფიცირების დროს ყოველივე ობიექტური განაპირობებს ყოველივე სუბიექტურს და, ამდენად, არც ერთი ობიექტური ნიშანი არ არის გამომდინარე არც ერთი სუბიექტური ნიშნიდან. ეს ლოგიკის არც თუ ძნელად მისახვდომი მოთხოვნაა, რომელსაც სათანადოდ ითვალისწინებდა ფონ ლისტიც და ე. ბელინგიც.

შესაბამისად, მიზანი როგორც სუბიექტური ელემენტი უნდა აფუძნებდეს არა უმართლობას როგორც დანაშაულის ობიექტურ ეპიზოდს, არამედ უმართლობასთან ერთად და მის საფუძველზე — ბრალს.[0]*

გ. რადბრუხი

კაუზალური სწავლების ერთ-ერთ ძირითად წარმომადგენლად ითვლება გ. რადბრუხიც. ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ აღსანიშნავია მის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა „მოქმედების ცნების მნიშვნელობა სისხლის სამართლის სისტემისათვის“.

---

* ე. წ. „მოძღვრებას სუბიექტურ ელემენტთა შესახებ“, გარდა ე. მეცგერისა, წარმოადგენენ ჰეგლერი და მ.ე. მაიერი, რომლებმაც ეს მოძღვრება დააარსეს.

გ. რადბრუხი მტკიცედ იცავს დანაშაულის სამნიშნა ცნებას ა. ბაუმგარტენის მიერ წარმოდგენილი თეორიისაგან, რომელიც სისხლის სამართალში „დანაშაულის შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანთა შესახებ სწავლებად“ არის ცნობილი.

ა.ბაუმგარტენი „გამორიცხვით ნორმებს“ (die Ausnahmenormen) ანუ გამამართლებელ გარემოებებს დანაშაულის შემადგენლობაში ათავსებს,299 რაზედაც გ. რადბრუხი წერს: „დანაშაულის შემადგენლობის ნეგატიურ ნიშანთა შესახებ სწავლებას მოსდევს დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შერწყმა; დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის გვერდით მართლწინააღმდეგობა წყვეტს თავის არსებობას როგორც დანაშაულის განსაკუთრებული მოთხოვნა. ის იქცევა დანაშაულის შემადგენლობის არსის თვისებად და დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებშივე დგინდება.“300 ა. ბაუმგარტენი თვითონაც პირდაპირ მიგვანიშნებს დანაშაულის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის შეტანის აუცილებლობაზე, რის შედეგადაც დანაშაულს განგვიმარტავს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და ბრალის სტრუქტურულ მთლიანობად.

ამის უშუალო მიზეზად მას ესახება შემდეგი: „მართლწინააღმდეგობის დანაშაულის შემადგენლობაში შეტანა პირობადებულია მართლწინააღმდეგობის შეგნების სპეციფიკით. მართლწინააღმდეგობის შეგნება წარმოადგენს არა ბრალის განსაკუთრებულ ელემენტს, არამედ განზრახვის ნაწილს და, ამგვარად, მართლწინააღმდეგობა უნდა განიხილებოდეს როგორც განზრახვის ობიექტი, ე.ი. დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი“.301 რა თქმა უნდა, გ. რადბრუხისთვის ეს ძირეულად მიუღებელია, ვინაიდან ის მყარად დგას ე. ბელინგის პოზიციაზე მართლწინააღმდეგობის შეგნებისა და ბრალის ურთიერთობის შესახებ.

გ. რადბრუხი თავის კაუზალისტურ შეხედულებათა ფარგლებში ვრცლად ეხება სისხლის სამართალში ონტოლოგიის პრობლემას.[0]* ის ცდილობს გამოიკვლიოს, თუ რეალობის რომელ სახეს მიეკუთვნება სისხლის სამართალში, მის ცნებებსა და შეფასებებში ნაგულისხმევი სინამდვილე: ფიზიკოსისა და ფიზიოლოგის თვალით დანახულ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგის მიერ დანახულ ფსიქიკურ ბუნებით სინამდვილეს, ან იქნებ უფრო მეტად ის საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს უახლოვდება, რომელიც იძენს თავის სახეს სუბიექტთა პრაქტიკულ ყოფიერებასა და საქმიანობაში. იხრება რა უკანასკნელი მიმართულებისაკენ, გ. რადბრუხი აყალიბებს თავის მოსაზრებას ძირითადი ონტოლოგიური პოსტულატების მოშველიებით.

მაგრამ საკმარისია ონტოლოგიური მოძღვრების ზედაპირული გაცნობაც, რათა დავრწმუნდეთ, რომ მას მოცემული მოძღვრების არსი მცდარად აქვს წარმოდგენილი: გ. რადბრუხი ცდილობს ონტოლოგიაზე

---

* ონტოლოგია წარმოადგენს ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას ყოფიერებაზე როგორც ასეთზე და მის უზოგადეს განსაზღვრებებზე (ნ.ჰარტმანი); სხვაგვარად ის განისაზღვრება როგორც მოძღვრება „ყოფიერზე მისი ყოფიერების თვალსაზრისით“ (გ.იაკობი).

დაყრდნობით კაუზალური სწავლების დასაბუთებას მაშინ, როდესაც ონტოლოგიური თვალსაზრისით, კაუზალური სწავლება სრულიად ინაქცეპტაბელურია.

გაბატონებულ ონტოლოგიურ დოგმატიკას, რომელიც წარმოდგენილი იყო ნ. ჰარტმანის მიერ, ახასიათებდა ყოფიერების ორ ფორმად — რეალურ და იდეალურ ყოფიერებად დაყოფა, საიდანაც პირველი, თავის მხრივ, განიყოფოდა ოთხ ძირითად საფეხურად. ესენია ფიზიკურ-მატერიალური, ორგანული, სულიერი და გონებრივი საფეხურები.

ამ თვალთახედვას საფუძვლად უდევს მატერიის მოძრაობის ცალკეულ ფორმათა კვალიტატური სხვაობა, რომელთა ერთმანეთზე რედუცირება (დაყვანა) შეუძლებელია; ასე მაგალითად, ორგანული თუმც შეიცავს კვალიტატურად უფრო დაბალი საფეხურის, ანორგანულის, კანონზომიერებებს, მაგრამ ამასთან ერთად ავლენს ისეთ თვისებრივ სიახლესაც, რომელიც მხოლოდ ანორგანულისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებებით ვერ აიხსნება. ანაც პირიქით: მართალია, ყოველ საფეხურს აქვს საკუთარი კატეგორიები და საკუთარი კანონზომიერება, მაგრამ მოიპოვება ე.წ. ფუნდამენტურ კატეგორიათა რიგიც, რომელიც თანაბრად ახასიათებს ყოველ ცალკეულ საფეხურს.

ამ თეორიულ კონსტრუქციაში კატეგორიალური უნივერსალურობით გამოირჩევა ინდივიდუალური მოქმედება, ე.ი. ის მოიცავს ონტოლოგიური სქემის ოთხივე საფეხურს. კაუზალურ სწავლებაში კი ინდივიდუალური მოქმედება განიხილება მხოლოდ როგორც კაუზალობა და ამიტომ ფიზიკურ-მატერიალურ საფეხურს ის არ სცილდება.

მაშასადამე, კაუზალურ სწავლებაში სუბიექტური მოქმედების ონტოლოგიური სტრუქტურა ასახულია მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ როგორც მრავალმხრივობის ერთ-ერთი მხარე, რაც ონტოლოგიურ დოქტრინასთან კაუზალური მოძღვრების შეუთავსებლობაზე მეტყველებს. შესაბამისად, გ. რადბრუხის შეცდომას სავსებით შესაძლებელია ეწოდოს უხეში.

ი. ბაუმანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, კაუზალურ მოძღვრებას ჰყავს „პასიური“ მიმდევრებიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ი. ბაუმანის შეხედულებები. მიუხედავად იმისა, რომ ი. ბაუმანი მხოლოდ „შეზღუდულად“ იზიარებს ნატურალისტურ თეორიას, ზოგ შემთხვევაში ის უფრო პირდაპირი და კონკრეტულია თავის დასკვნებში, ვიდრე მკაცრი ნატურალისტები. ამის თვალსაჩინო დასტურია მის მიერ უმოქმედობის სხეულებრივ ქცევად აღიარება, რაზედაც ფონ ლისტი მხოლოდ ირიბად, მხოლოდ გაკვრით მიგვანიშნებდა.

მოქმედებას (ქმედებას) ი. ბაუმანი უწოდებს ნებით განსაზღვრულ ქცევას, რის შესაბამისადაც მოქმედების ცნების მიღმა ექცევა: ა) ბუნებრივი მოვლენები (მაგალითად, მეხის დაცემა); ბ) ცხოველური ქცევის სახეები

და გ) ნებით განუსაზღვრელი ინდივიდუალური ქცევა (მაგალითად, რეფლექსური მოძრაობანი ან მოძრაობანი, რომლებსაც ინდივიდი ახორციელებს ძილში).

უკანასკნელ მომენტზე, რომელშიც გარკვევით ჩანს ქმედებისა და სხეულებრივი ქცევის ნებით გაშუალების საჭიროება, ი. ბაუმანი წერს: „გარეგან სხეულებრივ ქცევას თან უნდა ერთვოდეს სუბიექტური ნებაც. უგონო მდგომარეობაში, *vis absoluta*-ს დროს ან სხვა მსგავს პირობებში შესრულებული მოძრაობა, როდესაც არ მოიცემა ნება, სისხლისსამართლებრივ მოქმედებას არ წარმოადგენს... სხეულებრივ ქცევას სისხლისსამართლებრივ მოქმედებად აქცევს სუბიექტური ნება.“302

როგორც ვხედავთ, ი. ბაუმანთან მოქმედების (ქმედების) განმსაზღვრელი სუბიექტური ფაქტორი მხოლოდ ნებაა და ის არ არის დამოკიდებული დამნაშავის შემდგომ ან საბოლოო მიზნებზე, რის მოცემულობასაც მოითხოვენ ფინალისტები. ამიტომ, თუ ფინალური მოძღვრება ვერ ასაბუთებს მკვლელობას სხვა პირის ან პირთა ჯგუფის გადარჩენის მიზნით როგორც დასჯად ქმედებას, ი. ბაუმანისთვის მისი დასჯადობა თავისთავადობაა.

თავისი განმარტების უპირატესობას ის ხსნის იმითაც, რომ მოქმედების ამგვარი ცნება ერთნაირად გამოსადეგია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლისთვისაც.

ამასთანავე, ი. ბაუმანი არ რჩება ბოლომდე კონსეკვენტური მოქმედებაში სუბიექტური ნების მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით. და ეს გარკვევით ვლინდება ქმედუნარიანობის საკითხის განხილვისას. „ქმედუნარიანად უნდა მივიჩნიოთ, — მიუთითებს ი. ბაუმანი, — 1) ყოველი ფიზიკური პირი (მათ შორის მცირეწლოვანიც და სულით ავადმყოფიც) იმდენად, რამდენადაც მათ გააჩნიათ სხეულებრივი ქცევის ნებისმიერად განხორციელების უნარი და 2) ყოველი იურიდიული პირი. რადგან ეს უკანასკნელი სამართლებრივად მნიშვნელოვან მოქმედებათა შერაცხვის ადრესატია, დაუშვებელია მისი ქმედუნარიანობის უარყოფაც. როგორც ამას უკვე ფონ ლისტიც აღნიშნავდა, თუ იურიდიულ პირს შეუძლია დადოს ხელშეკრულება, მას ასევე უნდა შეეძლოს თაღლითურ და მევახშურ ხელშეკრულებათა დადება“.303 ამაზე დაყრდნობით ი. ბაუმანი არ ასკვნის, რომ იურიდიულ პირებს მართლწინააღმდეგობისუნარიანობაც და ბრალუნარიანობაც ახასიათებთ, ე.ი. ქმედუნარიანობაში ის მხოლოდ ნატურალისტური მოქმედების უნარს გულისხმობს, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია თუ დაწესებულება თავის ცალკეულ ორგანოთა მეშვეობით. მაგრამ სწორედ ამაში გამოიხატება ი. ბაუმანის მიერ დაშვებული წინააღმდეგობა, რამეთუ სისხლისსამართლებრივი მოქმედების სუბიექტურ პრერეკვიზიტად ის განიხილავდა მხოლოდ ინდივიდუალურ ნებას და არა ნებას ზოგადად, რომელიც კოლექტიური ნების მომცველიც არის.

დასჯადობასთან დამოკიდებულებაში ქმედებისა და შედეგის ურთიერთობას ი. ბაუმანი ორდინარულად განსაზღვრავს: „სისხლისსამართლებრივად დასჯადია გარეგანად გამოვლენილი შედეგის გამომწვევი ქცევა ან გარეგანად გამოვლენილი უბრალო საქმიანობა.“304 უბრალო საქმიანო-

ბად უნდა გავიგოთ დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა, რომელშიც შედეგი კარგავს თავის გადამწყვეტ მნიშვნელობას. იმისდა მიუხედავად, რომ ი. ბაუმანი უარყოფს შედეგს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას, კაუზალური დოგმის უარყოფის მიზეზად მას ეს სულაც არ მიაჩნია! მის წინამორბედ კაუზალისტთა მსგავსად, ი. ბაუმანთან მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არავითარ კრიტიკულ განხილვას არ ექვემდებარება.

განაგრძობს რა მოქმედებისა და შედეგის ურთიერთობის კვლევას, ი. ბაუმანს მოაქვს შემდეგი პრობლემატური მაგალითი: უფსკრულის პირას ერთ მწკრივში მდგარ ოთხ სუბიექტთაგან პირველი მძლავრად უბიძგებს მეორეს და ამით მეოთხე სუბიექტის დაღუპვას განაპირობებს.

იმის დადგენა, რომ სისხლისსამართლებრივად იმოქმედა მხოლოდ პირველმა სუბიექტმა, ი. ბაუმანის შეხედულებათა გათვალისწინებით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს: მეორე და მესამე სუბიექტის სხეულებრივი ქცევა მათივე ნებით განსაზღვრული არ იყო.

მაგრამ ი. ბაუმანი ახლებურად აყენებს თვით კაუზალობის საკითხს. მისი მტკიცებით, თუ მოქმედება არის შედეგის არა მხოლოდ *უშუალო* მიზეზი, მაშინ მართლსაწინააღმდეგო შედეგის კაუზალური პირველწყარო არც დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს.

ხოლო, სხვა მხრივ, კლასიკური სქემის თანახმად, სისხლისსამართლებრივი კვლევის ობიექტია სამივე პირველი სუბიექტის სხეულებრივი ქცევა. უფრო მეტიც, ამ კვლევის სათავე მდგომარეობს არა დამნაშავის, არამედ იმ სუბიექტის სხეულებრივ ქცევაში, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის სუბიექტის ქცევაში დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის დადგენას წინ უძღვის იმავე საკითხის გარკვევა მეორე და მესამე სუბიექტის ქცევათა მიმართ, რასაც ი. ბაუმანი მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ეს კი ნიშნავს, რომ ი. ბაუმანთან შიშველი კაუზალობა სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო გარემოებაა და ამის საფუძველზე ის აუცილებლად აცხადებს ბელინგისეულ დანაშაულის შემადგენლობაში სუბიექტური მომენტის შეტანას.

მოცემული საკითხის უფრო დაწვრილებითი შესწავლა ი. ბაუმანს აიძულებს აღიაროს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების მართებულობა, როგორც ამას ე. მეცგერთან ჰქონდა ადგილი. „განსაკუთრებული ნაწილის დანაშაულის შემადგენლობაში, — წერს ი. ბაუმანი, — ობიექტურ ელემენტთა გვერდით მოიპოვება ზოგიერთი სუბიექტური ელემენტიც. ამ ორგანულ კომპონენტთა ორივე სახით ზუსტად აღიწერება სისხლისსამართლებრივად დასჯადი უმართლობა. სუბიექტურ ელემენტთა გამოყენების დროს ჩვენ ვუქვემდებარებთ უმართლობას დამნაშავის (სუბიექტურ) მიზნებს, ტენდენციებსა და ნებელობით გადაწყვეტილებებს (der Willensentschluß). ამრიგად, ეს სუბიექტური ელემენტები საბოლოოდ უნდა განვაცალკევოთ ბრალის ცნებისაგან.“305

მაგრამ იქვე დასძენს: „უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა მნიშვნელობა ხშირად გადაჭარბებით არის შეფასებული. ობიექტურ ნიშანთა გვერდით სუბიექტური ნიშნების განთავსება, რომლებიც მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენაში მოიძიება და რომელთა გარეგანად დადგენა შეუძლებელია, არ ზღუდავს კანონმდებლის თავისუფლებას, პრიორიტეტულად ცნოს სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა.... დადგენითი ნორმის შეფასებით ნორმასთან შედარებით პრევალირება ან სამართლებრივი სიკეთის დარღვევაზე ვალდებულების დარღვევის საყოველთაო დომინირება გაუმართლებელია“.306

ამდენად, ი. ბაუმანი უარყოფს კაუზალობას მხოლოდ როგორც ერთადერთ და არა პირველად ასპექტს დანაშაულის შემადგენლობისა; ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს მის მოსაზრებას არა მხოლოდ ე. ბელინგის, არამედ ე. მეცგერის პოზიციისაგანაც, რომლისთვისაც ობიექტური ნიშნები თუმც გამოხატავდნენ დანაშაულის შემადგენლობის არსს, მაგრამ დიდად ჩამორჩებოდნენ, სისხლისსამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, მომიჯნავე სუბიექტურ ელემენტთა მნიშვნელობას.

ამ პრობლემის განვითარების ძირითად ეტაპებსა და, ამასთან, თავისი თვალთახედვის ორიგინალურობას თავად ი. ბაუმანი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „ბელინგის ავტორიტეტის ზეგავლენით გაბატონებული სწავლება ხანგრძლივად თვლიდა, რომ დანაშაულის შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო შესრულება მარტოოდენ ობიექტურ მხარეს შეეხებოდა და უკვე ამიტომ ყოველი სუბიექტური ელემენტი მხოლოდ და მხოლოდ ბრალის სფეროში პოვებდა თავის ასახვას... მაგრამ ჰეგლერმა, მეცგერმა და ნაგლერმა თავიანთი „უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრებით“ შეძლეს უმართლობასა და ბრალს შორის, როგორც დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის, ამ დოგმატური განსხვავების წარხოცვა. დღეს უკვე თითქმის არავინ უარყოფს მართლწინააღმდეგობის სფეროში სუბიექტური მომენტების არსებობას. ამავე დროს, მრავალი კრიმინალისტისთვის ჯერაც გაუგებარია, რომ უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა აღიარება არ აბრკოლებს ამ ობიექტური და სუბიექტური ნიშნებისაგან შემდგარი კონსტელაციის გარეგან აღქმას ანუ მის ობიექტურ განხილვას. უკეთ რომ ვთქვათ, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობა არის დამნაშავის გარეგანად განსჯადი, მაგრამ შინაგანი დამოკიდებულება თავისი დანაშაულებრივი მოქმედებისადმი.“307 ვფიქრობთ, ი. ბაუმანის უკანასკნელ შენიშვნაში გაურკვეველი არაფერია.

იმავდროულად გამოსაყოფია ის, რომ ი. ბაუმანი ამით ვერ აღწევს თავს ე. მეცგერის ჩვენ მიერ ზემოგანხილულ შეცდომას.

უმართლობის გამოცხადება სუბიექტურ და ობიექტურ ელემენტთა ერთობად, მიუხედავად ამ ელემენტთა შორის ურთიერთობის სახისა, ნიშნავს ობიექტური მხარის მნიშვნელობის დაკნინებას, დანაშაულის სისტემაში მისი დამოუკიდებელი ფუნქციის უარყოფას. ობიექტური მხარე, როგორც ასეთი, ე. მეცგერთანაც და ი. ბაუმანთანაც არანაირ სისტემატიკურ დატ-

ვირთვას არ ატარებს, რადგან ცალკე აღებულ ობიექტურ ნიშანთა ერთობლიობა ზოგადად არ გვაძლევს არც მართლწინააღმდეგობას და არც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობას.

ამიტომაც ეს პოზიცია უნდა განვიხილოთ როგორც სისტემატიკური სუბიექტივიზმი ანუ როგორც სისხლისსამართლებრივი სუბიექტივიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის გამოვლინების სფეროა სისტემატიკა.

როგორც კაუზალური (ნატურალისტური) სწავლების ზემოწარმოებული ანალიზი გვიჩვენებს, მოცემულ სწავლებაში ბრალის პრობლემა აქტიურად ვითარდება ამა თუ იმ კუთხით, დირექტულად თუ ინდირექტულად. თუ ბრალის სისტემატიკურ ადგილსა და მნიშვნელობასთან დამოკიდებულებაში კაუზალისტთა ერთსულოვნება შეინიშნება, ბრალის შინაარსი მათთან გაცხოველებული დავის საგანია.

ფონ ლისტისა და ე. ბელინგის მიერ ჩამოყალიბებული დანაშაულის სამნიშნა ცნება უსათუოდ წარმოადგენს ბრალის პროგრესული განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურს. დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი — ეს ის მიმდევრობაა, რომელიც შეუმცდარად ასახავს ბრალის ადგილს დანაშაულის სისტემაში.

ვერ ითქმის იგივე კაუზალიზმის დამფუძნებელთა მიდგომაზე ბრალის შინაარსისადმი. ბრალის ცნებაში დანაშაულის ყოველი სუბიექტური ნიშნის შეტანა იმთავითვე ეწინააღმდეგება არსებულ სინამდვილეს, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი უმეტეს შემთხვევაში სულაც არ ახდენს ბრალზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალი ფონ ლისტისა და ე. ბელინგის მტკიცების საპირისპიროდ უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის სუბიექტური მხარის მხოლოდ ელემენტს და არა სუბიექტურ მხარეს მთლიანად.

§3. სიმპტომატური მოძღვრება

გერმანული სამართალი

სიმპტომატური სწავლება ჩამოყალიბებულ იქნა გერმანელი კრიმინალისტების კოლმანისა და თეზარის მიერ, მაგრამ გერმანულ სისხლის სამართალში მან ვერ პოვა ჯეროვანი განვითარება.

არტ. კაუფმანი, გვიხასიათებს რა განსახილველ მიმდინარეობას როგორც დავიწყებას მიცემულ თეორიას, შენიშნავს: „რასაკვირველია, ქმედება ვერ გაიგება მხოლოდ დამნაშავის წარმოდგენებსა და გრძნობებზე დაყრდნობით, თუ ყოველი გარეგანი აქტი არ წარმოვიდგინეთ ამ შინაგან პროცესთა სიმპტომად. მაგრამ ასევე დაუშვებელია ფსიქიკურ პროცესთა *მხოლოდ* სიმპტომატური აღქმა, რადგან ეს მოასწავებს ბრალის როგორც

არასუბიექტური კატეგორიის ფსიქოლოგიისაგან იზოლირებას და საბოლოო ჯამში მის მეტაფსიქიკურ პრობლემად გარდაქმნას“.308

არტ. კაუფმანის ეს კრიტიკული მოსაზრება ნაკლებად საფუძვლიანია, ვინაიდან ბრალეულობის დადგენისას ქმედების ობიექტური მაჩვენებლებით ოპერირება მცირედაც არ ხელყოფს ბრალის სუბიექტურობასა და მისთვის სპეციფიკურად ფსიქოლოგიურ მომენტთა იმანენტურობას.

სიმპტომატური სწავლების ამოსავალი დებულება სწორედ ბრალის ფსიქოლოგიური განსაზღვრულობაა (აქ, ცხადია, საუბარია არა ფსიქოლოგიზმზე, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ბრალეულობის შესახებ მსჯელობისას თავიდათავი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის ფსიქიკურ საქმიანობას, დანაშაულის ჩადენის მომენტში მის ფსიქიკაში მიმდინარე სისხლისსამართლებრივად რელევანტურ პროცესებს); ამდენად, სიმპტომატიზმი იკვლევს არა ბრალის კატეგორიალურ ხასიათს, არა მის ფსიქიკურობასა და სუბიექტურობას, არამედ მხოლოდ ბრალში ასახულ სუბიექტურ ნიშანთა დადგენის სისხლისსამართლებრივ ხერხებსა და მეთოდებს.

ნების, განზრახვის, მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინების ან გათვალისწინების შესაძლებლობის და სხვა ბრალით მოცულ ფსიქიკურ კომპონენტთა აბსტრაქტულობა შეუძლებელს ქმნის მათ უშუალო შესწავლას.

მაგრამ ამის შედეგად სიმპტომატური სწავლება იკვლევს არა მხოლოდ ობიექტურ მხარეს და არა იმდენად ობიექტურ მხარეს, რამდენადაც მასში გამოხატულ ამ სუბიექტურ მონაცემებს.

შესაბამისად, მოცემული თეორია ეძიებს ბრალს ობიექტური ნიშნებით ინდიცირებულ სუბიექტურ მხარეში და არა საკუთრივ ობიექტურ ნიშნებში, რაც პრინციპულად სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

ამიტომ არტ. კაუფმანის შენიშვნის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბრალის „მხოლოდ სიმპტომატური აღქმა“ არ მოასწავებს „ბრალის როგორც არასუბიექტური კატეგორიის ფსიქოლოგიისაგან იზოლირებას“ და მის ობიექტურ მხარესთან შერწყმას.

უფრო მეტიც, სიმპტომატიზმის პირველადი სახე, რომელსაც არტ. კაუფმანი გვიხასიათებს, საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ცხადად გამოკვეთილი სუბიექტივისტური მიმართულება.

სიმპტომატური სწავლების მართებულ გაგებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საქმე ის არის, რომ სიმპტომატიზმი მაქსიმალურად ზღუდავს პროცესუალური ვოლუნტარიზმის შესაძლებლობას: სუბიექტურ ელემენტთა დადგენა და მათი ნორმატიული შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს მოსამართლის არა თავისუფალ, არამედ ობიექტური ნიშნებით მკაცრად განსაზღვრულ პროფესიულ ინტუიციაზე.

ინგლისელი კრიმინალისტი ჰ. კიტინგი წერს: „სუბიექტის ქმედებაში დანაშაულებრივი განზრახვისა თუ მიზნის დადგენა უფრო ფაქტის საკითხია, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლეთა სუბიექტური შეხედულებისა. სუბიექტურ მხარეზე ჩამოყალიბებული შეფასებითი მსჯელობა მუდამ

ნაკარნახევია დანაშაულის ობიექტური სპეციფიკით და ამ უკანასკნელითვე შემოიფარგლება.“309

ბრიტანული სამართალი

თუ გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში სიმპტომატური თეორიისათვის ნიშნეული იყო ერთგვარი ზედაპირულობა და ცალსახოვნება, ბრიტანულ სისხლის სამართალში ის ერთობ ინტენსიურად განვითარდა. უკანასკნელის თანახმად, სიმპტომატიზმი არამცთუ არ იწოდება „დავიწყებას მიცემულ თეორიად“, არამედ მას კვლავაც მკვეთრად პროგრესირებადი აქტუალურობა ახასიათებს.

სიმპტომატური სწავლების მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დიდ ბრიტანეთში გასული ათწლეულის მეორე ნახევარში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი რეფორმის დროს, რომლის შედეგადაც მან მყარად დაიმკვიდრა ადგილი ოფიციალურ დოგმატიკაში.

აქ სიმპტომატიზმის ალტერნატიული სახელწოდებაა ეპისტემოლოგიური დუალიზმი. საიდან წარმოდგება სიმპტომატური თეორიის ეპისტემოლოგიურობა და დუალისტურობა?

დუალისტურია სიმპტომატიზმი იმდენად, რამდენადაც ის განაცალკევებს გონებას სხეულისაგან: სხეული და სხეულებრივი მოძრაობანი საჯარო, ექსტერნალური (ანუ გარეგანი), სხვათა მიერ ხილვადი ფენომენებია; გონება და გონებრივი პროცესები კი კერძო, ინტერნალურ (ანუ შინაგან), სხვათა მიერ უშუალოდ უხილავ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება.

ეპისტემოლოგიურია სიმპტომატიზმი იმდენად, რამდენადაც ის შეიცავს არა მეტაფიზიკურ მტკიცებას იმის შესახებ, თუ რა არსებობს, არამედ ეპისტემოლოგიურ მტკიცებას იმაზე, თუ რისი ცოდნა გვძალუძს და რაგვარად გვძალუძს ამ ცოდნის შეძენა.

„სიმპტომატიზმი“, აღნიშნავენ ინგლისელი კრიმინალისტები, „არ ესწრაფვის ტრადიციული კარტეზიანული[0]* მეტაფიზიკურობის პოსტულირებას, რომელშიც გონება განიხილება განსხვავებულ, არა-ფიზიკურ სუბსტანციად; ის ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ არ შეიძლება გაგვაჩნდეს პირდაპირი ცოდნა გონებასა და ყოველივე გონებრივზე, როგორც ეს გაგვაჩნია სხეულზე და სხეულით განხორციელებულ მოძრაობებზე. გონებრივ პროცესთა შესახებ არაუშუალო ცოდნა მიიღება მსჯელობით იმის გარშემო, რაც უშუალოდ არის ხილვადი — გარეგანი ქცევა და ამ ქცევის თანამდევი გარემოებები.“310 გარეგანი ქცევის თანამდევ გარემოებებში იგულისხმება ის ობიექტური ვითარება, რომელიც თან ახლდა შესაბამის სხეულებრივ მოძრაობებს. მაგალითად, სხვა პირის ჯანმრთელობისადმი თუ ქონებისადმი მიყენებული ზიანის სუბიექტური შინაარსი სხვადასხვაგვარი იქნება იმისდა მიხედვით, ეს ქმედება ჩადენილია გამამართლებელ

* კარტეზიანული — კარტეზიუსის, ფრანგი ფილოსოფოსის რ. დეკარტის ლათინიზირებული სახელის მიხედვით.

გარემოებათა არსებობის თუ არარსებობის პირობებში. მკვლელობა აუცილებელი მოგერიებისას და მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში შესაძლოა გამოიხატოს ერთი და იმავე სხეულებრივი ქცევით, მაგრამ მის ობიექტურ წინამძღვართა სხვადასხვაობა თავისთავად ცხადყოფს, რომ პირველ შემთხვევაში სუბიექტს ამოძრავებდა მართლზომიერი, მეორეში კი — არამართლზომიერი მიზნები.

ბრალი როგორც ფსიქიკური მდგომარეობა

სიმპტომატურ თეორიაში ასევე გამოიყოფა ატომისტური მომენტი: ისეთი „გონებრივი“ ცნებები („mental“ concepts), როგორიც განზრახვა ან მართლწინააღმდეგობის შეგნებაა, მიგვითითებენ „ფსიქიკის გარკვეულ მდგომარეობაზე“. ქმედებაში სისხლისსამართლებრივი განზრახვის დასადგენად აუცილებელია გაირკვეს, სათანადო დროს მოიპოვებოდა თუ არა სუბიექტის გონებაში შედეგის ნდომის ფსიქოლოგიური აქტი; რათა ვამტკიცოთ მართლწინააღმდეგობის შეგნების არსებობა, უნდა შევძლოთ იმის დასაბუთება, რომ დამნაშავე დროის მოცემულ მონაკვეთში იმყოფებოდა ნორმით აღწერილ შესაბამის „ფსიქიკურ მდგომარეობაში“.

სიმპტომატიზმის ამ ატომისტური კუთხით დანახვა შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ბრალის ფსიქოლოგიური სახე.

ბრალის შემადგენელ ნაწილთა და მის ირგვლივ მდებარე სხვა სუბიექტურ ელემენტთა ფსიქიკურ მდგომარეობად განსაზღვრას მივყავართ ამ უკანასკნელთან თვით ბრალის ცნების გაიგივებამდე.

სიმპტომატური სწავლების ცნობილი კრიტიკოსი რ.ა. დუფი აღნიშნავს: „დელიქტური ქმედება მოიცავს „გარეგან ელემენტებსა“ და „ბრალის ელემენტს“. რადგანაც სიმპტომატურ თეორიაში, ერთი მხრივ, ბრალის შინაარსი შედგება „ნორმატიულად სავალდებულო ქცევის შეუსრულებლობისაგან“ და, მეორე მხრივ, „ნორმატიულად სავალდებულო ქცევის შეუსრულებლობა“ განიმარტება როგორც „გონებრივი კონდიცია, რომელშიც იმყოფება დელიქტური ქცევის განმხორციელებელი სუბიექტი“, ბრალიც უნდა განისაზღვროს ამ სახის გონებრივ კონდიციად. ტექნიკურად ეს ამგვარად გამოიყურება: დასჯადი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის დადგენის საფუძველია იმის გარკვევა, რომ პირს „ენება“ მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან უბრალოდ შეცნობილი ჰქონდა მისი დადგომის საშიშროება; საამისოდ კი გამოსაკვლევია დანაშაულებრივი აქტის ჩადენისას არსებული ფსიქიკური მდგომარეობა; და ეს გამოკვლევა წარმოებს „გარეგან ელემენტებზე“ დაყრდნობით.“311

ბრალზე, როგორც გარეგანად დეფინირებად ფსიქიკურ მდგომარეობაზე, პირდაპირ მიუთითებენ სიმპტომატისტებიც ს. ბრაუნი და ჯ. სმიტი. „ბრალეულად ცნობა, — წერს ს. ბრაუნი, — ნიშნავს სუბიექტისთვის იმ ფსიქიკური მდგომარეობის შერაცხვას, რომლის გარეგანი გამოხატულებაც არის მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ფსიქიკური მოვლენები, მართალია, ობიექტურ დაკვირვებას არ ექვემდებარება,

მაგრამ ადვილად შესაძლებელია მათზე სრული წარმოდგენის შექმნა სიმპტომატური მეთოდის გამოყენებით: ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც დანაშაულის სუბიექტს მოეპოვებოდა დანაშაულის ჩადენის მომენტში, სრულყოფილად აისახება ყოველივე იმაში, რაც მან დანაშაულის ჩასადენად სხეულებრივად მოიმოქმედა, სიტყვიერად გამოხატა და ა. შ.“312

ხოლო ჯ. სმიტი ლაკონიურად შენიშნავს: „ბრალი როგორც განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ არაპირდაპირი სამხილის შემცველ მტკიცებულებათა (circumstantial evidence) საფუძველზე.“313

ამრიგად, სიმპტომატიზმის ანუ ეპისტემოლოგიური დუალიზმის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ბრალის ფსიქიკურ მდგომარეობად გამოცხადება (რასაკვირველია, ნორმატიულ-ეთიკურად გასაკიცხ ფსიქიკურ მდგომარეობად).

სიმპტომატისტთა მიერ ბრალსა და ფსიქიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის გამოყოფა უთუოდ იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას, მაგრამ სიმპტომატურ სწავლებაში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა ამ ურთიერთობის ფორმალურ მხარეს, ე. ი. იმას, თუ რა განაპირობებს ბრალის აღიარებას ფსიქიკურ მდგომარეობად და არა პროცესად (რ. დუფი ამ საკითხს მხოლოდ აყენებს, მაგრამ თავს იკავებს მისი გადაწყვეტისაგან).

იგივე შეეხება ბრალის შემადგენელ ნაწილთა და ბრალის ცნების მიმდებარე, სხვა სუბიექტურ ელემენტთა „ფსიქიკურ“ დახასიათებასაც.

მდგომარეობა ეწოდება სისტემის განსაზღვრული დროისათვის მოცემულ შინაგან პარამეტრთა ერთობლიობას. მდგომარეობა, რომელსაც აქვს გარდამავლობის ტენდენცია, იწოდება აგრეთვე ვექტორულ მდგომარეობად.

პროცესი კი წარმოადგენს სისტემის სხვადასხვა მდგომარეობათა დინამიკურ თანამიმდევრობას. ადრინდელი ფილოსოფია განასხვავებდა პროცესის ორ სახეს: დეტერმინირებულს და სტოქასტიკურს ანუ სტატისტიკურს. პირველ სახეს განეკუთვნება იმგვარი პროცესები, რომლებშიც თითოეული მდგომარეობა ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს უახლოესი წინამავალი მდგომარეობიდან; ხოლო მეორე სახის პროცესებში მდგომარეობები მოსდევს ერთიმეორეს არა ერთმნიშვნელოვნად, არამედ მხოლოდ გარკვეული ალბათობით, რაც შემთხვევითობის დაშვებას ნიშნავს. თანამედროვე ფილოსოფია, ეყრდნობა რა აუცილებლობისა და შემთხვევითობის დიალექტიკური ერთობის პრინციპს, თვლის, რომ ყოველი პროცესი საბოლოო ჯამში სტოქასტიკური ანუ შემთხვევითობით განსაზღვრული პროცესია.

პროცესისა და მდგომარეობის ზემოწარმოდგენილი თანაფარდობა და ცალკეული მათგანის ფილოსოფიური მნიშვნელობა გარკვევით მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ფსიქიკურ მდგომარეობად და რა განვმარტოთ როგორც ფსიქიკური პროცესი.

მკვლელობის, შეურაცხყოფის და დანაშაულის სხვა მსგავსი შემადგენლობის შემთხვევაში ბრალი უთუოდ უნდა განისაზღვროს ფსიქიკურ მდ-

გომარეობად, რომელიც გამოხატულია დანაშაულის ჩადენისას მოცემულ ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა ერთობლიობაში.

მაგრამ შეიძლება კი განვაცხადოთ ეს ასევე დაბეჯითებით განგრძობად და დენად დანაშაულთა მიმართაც?

დენადია დანაშაული, რომელსაც ახასიათებს დანაშაულებრივი ხელყოფის განუწყვეტლობა განსაზღვრული დროის განმავლობაში, სანამ სუბიექტი არ ასრულებს მასზე სისხლისსამართლებრივად დაკისრებულ მოვალეობას. ასეთ დანაშაულთა შორისაა იარაღის უკანონო შენახვა ან ტარება (მუხ. 238-ე), დანაშაულის განუცხადებლობა (მუხ. 206-ე), ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება (მუხ. 124-ე), თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა (მუხ. 133 -ე) და სხვა.

ვ.ს. პროხოროვი ამგვარად გადმოგვცემს დენადი დანაშაულის მიმდინარეობას: „დენადი დანაშაული იწყება გარკვეული მოქმედების შესრულების ან მოქმედების გარკვეული ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან (მაგალითად, იარაღის უკანონო შეძენა, რომლის შენახვაც აკრძალულია). ის გრძელდება მანამ, სანამ არ წყდება თვით დანაშაულის სუბიექტის მოქმედებით ან განსაზღვრულ მოვლენათა დადგომის შედეგად.“314

დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის შეწყვეტამდე სუბიექტის გონებაში პერმანენტულად მოიპოვება თავდაპირველი დანაშაულებრივი განზრახვაც; ამ სახის დანაშაული „დენადია“ არა მხოლოდ ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც. სუბიექტური მხარის უწყვეტი ხანგრძლივობა კი ქმნის ფსიქიკური პროცესის არსებობის მნიშვნელოვან იმიტაციას: დროში განფენილობა ბევრად უფრო იმანენტურია პროცესის, ვიდრე მდგომარეობის ცნებისათვის.

მაგრამ სინამდვილეში დენად დანაშაულებში ბრალის სახით მოცემული გვაქვს ფსიქიკური მდგომარეობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი, რაოდენ ხანგრძლივადაც არ უნდა გრძელდებოდეს ის, ვერ მიიღებს ფსიქიკური პროცესის სახეს მხოლოდ ამ გარემოების ნიადაგზე. უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული მდგომარეობის უწყვეტობას, მის სხვა, თუნდაც ანალოგიურ ან სულაც იდენტურ კონდიციაში გარდუვალობას.

თუ არ არსებობს ორი ან ორზე მეტი მდგომარეობა, არ შეიძლება არსებობდეს პროცესი, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ამ პირველთა თანამიმდევრობა.

ამგვარად, სიმპტომატური მოძღვრების ზემოხსენებული თეზისი დენადი დანაშაულის მაგალითზე არ უარიყოფა, თუმცაღა აქ თვალსაჩინოა ბრალის ფორმალური (გარეგნული) მსგავსება ფსიქიკურ პროცესთან.

არსებითად განსხვავდება ვითარება განგრძობად დანაშაულთან მიმართებაში.

განგრძობადი ეწოდება დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც შემდგარია ერთი და იმავე ობიექტის ხელმყოფი და ერთიანი განზრახვით მოცული თანამიმდევრული მოქმედებებისაგან. განგრძობად დანაშაულთა რიგს

მიეკუთვნება მავნებლობა (მუხ. 70-ე), პირადი და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა (მუხ. 150-ე, მუხ. 91-ე) და სხვა.

ბ. ფურცხვანიძე აღნიშნავს: „განგრძობადი დანაშაული დენადისაგან განსხვავებით უწყვეტლივ კი არ ხორციელდება, არამედ რამდენიმე სხვადასხვა დროს ჩადენილი იდენტური აქტებისაგან შედგება.

განგრძობადი დანაშაული იწყება ერთი დანაშაულის შემადგენელ ერთგვაროვან, მსგავსი დანაშაულებრივი მოქმედებებიდან, პირველი დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის მომენტიდან და დამთავრდება ანალოგიური დანაშაულებრივი მოქმედების უკანასკნელად შესრულებით. ერთი და იმავე ობიექტის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ამ აქტს ახასიათებს დამნაშავის ერთიანი საერთო მიზანი და ეს აქტები თავისი კრებადობით ერთ მთლიან დანაშაულს შეადგენს.“315

განზრახვის ერთიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის განუწყვეტლობას. მაგრამ განზრახვის განუწყვეტლობის უარყოფა არც იმის მომასწავებელია, თითქოს განგრძობად დანაშაულებრივ ქმედებაში ყოველი შემადგენელი მოქმედება ჩაიდინება ახლად წარმომდგარი განზრახვით (ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებდით განგრძობადი და განმეორებითი დანაშაულის ურთიერთგანსხვავებას).

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ზოგჯერ არასწორად არის გაგებული ერთიანი განზრახვის არსი, რის მაგალითადაც მოვიტანთ ზემოციტირებული რუსი კრიმინალისტის ვ.ს. პროხოროვის შემდეგ კომენტარს: „ა-ნი ბრალეულად ცნეს იმაში, რომ ის, მუშაობდა რა ყასაბად სახელმწიფო საწარმოში, სისტემატურად სჩადიოდა სახელმწიფო ქონების წვრილმან ქურდობას... რსფსრ-ს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მართებულად მიიჩნია მის მოქმედებათა კვალიფიცირება რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით (სახელმწიფო ქონების ქურდობა), რა დროსაც შენიშნა, რომ ა-ნის მიერ არაერთგზის ჩადენილი წვრილმანი გატაცება განსახილველია როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაული.“316 ვ.ს. პროხოროვი ღრმად ცდება, რამეთუ მის მიერ განხილული კაზუსი ერთიან განზრახვას არ შეიცავს და, ამდენად, არც განგრძობად დანაშაულს წარმოგვიდგენს.

ა-ნის განზრახვა შეიძლებოდა ყოფილიყო ერთიანი მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ჩადენილი წვრილმანი ქურდობები იქნებოდა მიმართული ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისაკენ. ა-ნი სჩადიოდა წვრილმან ქურდობებს არა იმის გამო, რომ მას არ შეეძლო ქურდობის განხორციელება განუყოფელი აქტით, არამედ იმ მიზეზით, რომ მას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წვრილმანი ქურდობა სურდა როგორც ასეთი; განგრძობად დანაშაულს კი სუბიექტი სჩადის მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სურვილის ობიექტია დანაშაულებრივი ქმედება მთლიანობაში და არა ამ ქმედებაში შემავალი მოქმედებანი ცალ-ცალკე, სათითაოდ. ვგონებთ, ეს დამაკმაყოფილებლად მეტყველებს ვ.ს. პროხოროვის მიერ დამოწმებული გადაწყვეტილების სიმცდარეზე.

ამ შეცდომის ხაზგასმა მიგვითითებს ერთიანი განზრახვის ზუსტი ინტერპრეტირების საჭიროებაზე, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, რომ განგრძობად დანაშაულში განზრახვის ჩვენ მიერ უარყოფილ განუწყვეტლობას არ უნდა მოჰყვეს მისი ერთიანობის ხელყოფა.

ეს საშიშროება ერთგვარად მცირდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წყვეტადობა განზრახვის ფორმის ნიშანია, ხოლო ერთიანობა — შინაარსის ნიშანი.

განგრძობადი დანაშაულის ობიექტურთან ერთად ფსიქოლოგიურ ეტაპობრიობას აპირობებს ის, რომ ყოველ შემადგენელ მოქმედებას გააჩნია არა მხოლოდ დასრულებული ობიექტური, არამედ დასრულებული ფსიქოლოგიური სახეც.

მაგრამ რა შეიძლება დავასკვნათ ამის შედეგად მიღებული ფორმალურად წყვეტადი და მატერიალურად ერთიანი განზრახვის მიხედვით? განგრძობად დანაშაულში განზრახვის ფორმალური წყვეტადობა და შინაარსობრივი ერთიანობა ფუნდამენტურად განასხვავებს მას დენადი დანაშაულისაგან, რომელშიც მოიპოვებოდა ერთიანი უწყვეტი განზრახვა. რა დროსაც დენადი დანაშაული შედგებოდა ხანგრძლივი, მაგრამ მხოლოობითი ფსიქიკური მდგომარეობისაგან, განგრძობად დანაშაულში მოიცემა შედარებით ხანმოკლე, მაგრამ არაერთი ფსიქიკური მდგომარეობა.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაულებრივი განზრახვა უნდა მოიძიებოდეს არა რომელიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში ან ყოველ მათგანში განცალკევებით, არამედ მხოლოდ არსებულ ფსიქიკურ მდგომარეობათა თანამიმდევრობაში (თუ განზრახვა მოიპოვება ყოველ მათგანში განცალკევებით, მაშინ სახეზეა განმეორებით დანაშაულთა მთელი რიგი და არა განგრძობადი დანაშაული). ამასთან, მდგომარეობათა თანამიმდევრობა პროცესის აღმნიშვნელი ცნებაა.

მაშასადამე, განგრძობად დანაშაულში ბრალი წარმოდგენილია არა როგორც ცალკეული ფსიქიკური მდგომარეობა ან ცალკეული ფსიქიკური მდგომარეობანი, არამედ როგორც ამ უკანასკნელთა თანამიმდევრობაში მდებარე ფსიქიკური პროცესი.

ამ დასკვნის თანახმად, *ბრალი ზოგადად შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ფსიქიკურ მდგომარეობას, ისე ფსიქიკურ პროცესსაც,* რითაც გადაჭრით უარიყოფა სიმპტომატიზმის ზემოგანხილული დებულება (ბრალი როგორც მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობა).

გარდა ამ პოზიციისა, გამოსაყოფია სიმპტომატისტთა შეუსაბამო მიდგომა ბრალის ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა ფსიქიკური ასპექტისადმი. ვერც ნება და ვერც ცოდნა ან ცოდნის შესაძლებლობა ფსიქიკურ მდგომარეობად ვერ განისაზღვრება, როგორც ეს მიღებულია სიმპტომატურ თეორიაში. ფსიქიკური მდგომარეობა აუცილებლობით მოიცავს ყველა იმ ფსიქიკურ ელემენტს, რომელიც შეიძლება იყოს მოცემული კონკრეტული დროისათვის. ბრალის ინტელექტუალური მხარეც და ნებელობითი მხარეც ასახავს სუბიექტური ფსიქიკის მხოლოდ ნაწილს,

ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ წარმოგვიდგენენ ფსიქიკის შინაგან პარამეტრთა ამომწურავ ერთობლიობას.

ყოველივე ამის საფუძველზე ბრალის ცალკეულ ნიშანთა ფსიქიკურ მდგომარეობად აღიარება, სულ მცირე, რაოდენობრივად გაუმართლებელია.

ამავე შეცდომას სიმპტომატიზმის მიმოხილვისას იმეორებს რ. დუფიც: „ბრალის განსაზღვრა კრიმინალური აქტის თანმხლებ ფსიქიკურ მდგომარეობად აუცილებელს ქმნის განზრახვის დაფუძნებას სურვილის ან მართლწინააღმდეგობის შეგნების ცნებაზე, ვინაიდან მხოლოდ ისინი განასხეულებენ ფსიქიკური მდგომარეობის იმ სახეს, რომელიც აქცევს გარეგან აქტს განზრახ ქმედებად; მაგრამ განზრახვა ამის შესაბამისად კვლავაც წარმოგვიდგება გარკვეული გარეგანი ეფექტისაკენ მიმართულ ფსიქიკურ ქცევად, რასაც მიმართულებისა და მდგომარეობის ურთიერთშეუთავსებლობის გამო პირველადი დებულების უარყოფამდე მივყავართ.“317 რ. დუფის ეს მოსაზრება სხვა უზუსტობის შემცველიც არის, სახელდობრ, მიმართულებისა და მდგომარეობის ურთიერთობის თვალსაზრისით. როგორც ჩვენ უკვე ვახსენეთ, თანამედროვე ფილოსოფიაში ტენდენცია აღიარებულია მდგომარეობის ფაკულტატიურ თვისებად და ამ თვისების მატარებელ ყოველ მდგომარეობას ეწოდება ვექტორული მდგომარეობა.

მიუხედავად ზემოგამოყოფილ ფრიად საგულისხმო ნაკლოვანებებისა, ჩვენ არ გაგვაჩნია სიმპტომატიზმის ყოველმხრივი უარყოფის რეალური საფუძველი. სიმპტომატური სწავლების ამოსავალი თეზისი, ჩვენი აზრით, შეუმცდარად განგვისაზღვრავს დანაშაულის „გარეგან ელემენტთა“ და „ბრალის ელემენტის“ ურთიერთობის სპეციფიკას. მაგრამ სისხლის სამართალში ეს თვალთახედვა საყოველთაოდ როდია აქცეპტირებული.

ლ. ვიტგენშტაინი

სიმპტომატიზმის მოწინააღმდეგენი ძირითადად მიუთითებენ ლ. ვიტგენშტაინის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, რომელიც წერს: „სიმპტომატიზმი განასხვავებს საჯაროდ ხილვადს (სხეული) კერძოსაგან ანუ სხვათა მიერ უშუალოდ უხილავისაგან (გონება), — ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს სხეული და სხეულებრივი მოძრაობანი, საიდანაც ვასკვნით გონების მოცემულობას, რომელიც, განეკუთვნება რა სხეულს, ზედამხედველობს მის მოძრაობათა უმეტესობას. ქცევის თეორია[0]* (სიმპტომატიზმის მიმართ ტრადიციულად ანტაგონისტური მოძღვრება) იზიარებს ამ თვალსაზრისს მხოლოდ ნაწილობრივ. ორივე სწავლების თანახმად, ის, რასაც ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით, არის სხეული და მისი „უფერული ქცევა“ — მოძრაობანი, რომელთა აღწერა შესაძლებელია განზრახვის „გონებრივ“ ცნებათა ყოველგვარი დამოწმების გარეშე. ქცევის თეორიასა და სიმპტომატიზმს შორის ძირითად უთანხმოებას წარმოშობს ის, თუ როგორ უნდა განიმარტოს ამ სხეულებრივ მოძრაობებთან კავშირში სათანადო

* ჯ.ბ. ვატსონის Behaviorism.

ფსიქოლოგიური ცნებები: ამ მოძრაობებით ინდიცირებულ და მათ მიღმა მდებარე ფსიქიკურ პროცესებზე მითითებით თუ მხოლოდ სხეულებრივ მოძრაობათა დახასიათებით. ვერც ერთი ამ მოძღვრებათაგანი ვერ გვიქმნის სასურველ წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, რადგან მცდარია მათი გენერალური პრინციპი: გარეგანი დაკვირვების საგანს შეადგენს არა ფიზიკურ სხეულთა უფერული მოძრაობანი, არამედ ადამიანურ არსებათა ქმედებანი (the actions of human beings).“318

სანამ შევეხებოდეთ სიმპტომატიზმის ლ. ვიტგენშტაინის მიერ შემოთავაზებულ ანალიზს, გარკვეულ დეტალიზებას საჭიროებს მის მიერ მოტანილი ანალოგია.

ქცევის თეორია განასახიერებს თანამედროვე ფსიქოლოგიის ფართოდ ცნობილ, მაგრამ, ამავე დროს, ნაკლებად აღიარებულ მიმართულებას, რომელიც ფილოსოფიურად ძლიერ არის დამოკიდებული პოზიტივიზმზე.

ამ დამოკიდებულების გამოვლინებად, უწინარეს ყოვლისა, შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ქცევის თეორია ყოველგვარ მტკიცებას, თუ ის სცილდება ინდივიდის გარეგანი ქცევის ფარგლებს, განიხილავს როგორც არამეცნიერულს. ამის კვალობაზე, ისეთ „ფსიქიკურ“ ცნებათა აღწერა, როგორიც არის განზრახვა ან ნება, ჯ. ბ. ვატსონის ქცევის თეორიაში არ დაიშვება.319

ეს უკიდურესად ანტიიდეალისტური მოძღვრება დაყოფილია ორ მთავარ მიმდინარეობად: პირველი, რომელიც იწოდება ზომიერად, წარმოდგენილია თვით ამ თეორიის დამაარსებლის ჯ.ბ. ვატსონის მიერ, ხოლო რადიკალურ ქცევის თეორიას წარმოადგენს კ.ს. ლაშლი.

„ინდივიდუალური ქცევა, — აცხადებს ეს უკანასკნელი, — სულაც არ მიგვანიშნებს ცნობიერების არსებობაზე და ამიტომ ქცევის განსასაზღვრავად ცნობიერების ცნების შემოღება მეცნიერულად მიუღებელია“.320

კ. ს. ლაშლისაგან განსხვავებით, ჯ. ბ. ვატსონისთვის ცნობიერების არარსებობის იდეა უცხოა, მაგრამ ის უარყოფს ცნობიერებას როგორც მეცნიერული კვლევის საგანს, ე. ი. შეუძლებლად მიიჩნევს მის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებათა ფორმულირებას.321

გასაგებია, რომ ქცევის თეორიის ორივე განშტოება პრინციპულად მცდარად პასუხობს ფილოსოფიის ძირეულ პრობლემას. თუ უარვყავით ცნობიერების არსებობა, მაშინ ეს პრობლემა იქცევა სრულ უსაგნობად; ხოლო თუ დავუშვებთ ცნობიერების არსებობას, მაგრამ უარვყოფთ მისი მეცნიერულად ახსნის შესაძლებლობას, მოცემული პრობლემა თუმც არ იქნება უსაგნო, მაგრამ ამით სრულიად გადავიხრებით აგნოსტიციზმისაკენ.[0]* უარყოფილი ან შეუცნობლად გამოცხადებული ცნობიერების ადგილს ფსიქოლოგიური კვლევის პროცესში იკავებს ქცევა, რომელიც განიხილება არა როგორც ფსიქოფიზიკური საქმიანობა, არამედ მხოლოდ როგორც გარე სამყაროზე ინდივიდუალური ორგანიზმის რეაქცია.

---

* აგნოსტიციზმი შეუცნობლად რაცხს ობიექტური რეალობის არსს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქცევის თეორიისა და სიმპტომატური სწავლების ერთ სიბრტყეზე განხილვა მიუღებელია. ქცევის თეორია, უარყოფს რა სუბიექტური ქმედებისათვის ფსიქიკისა და „ფსიქიკური“ ცნებების მნიშვნელობას, განსაზღვრავს მას მხოლოდ როგორც სხეულებრივ მოძრაობებს; ამავე დროს, სიმპტომატურ მოძღვრებაში სხეულებრივ მოძრაობათა თავიდათავი დანიშნულებაა ფსიქიკის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან მონაცემთა ასახვა.

მაგრამ აქვე ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რაოდენ საფუძვლიანია ლ. ვიტგენშტაინის ზემომოტანილი შენიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ ქცევის თეორიასა და სიმპტომატიზმში სხეულებრივ მოძრაობებს თვისებრივად სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, ლ. ვიტგენშტაინი თანაბრად აკრიტიკებს ორივე თეორიას ამ მოძრაობათა დაკვირვების ობიექტად გამოცხადებისათვის.

მისი პოზიციის თანახმად, ჩვენ ვაკვირდებით ინდივიდუალურ აქტს და არა სხეულებრივ მოძრაობას როგორც ასეთს ან სხეულებრივ მოძრაობას, რომელიც შეიცავს მითითებებს ქმედების სუბიექტურ ელემენტებზე.

ლ. ვიტგენშტაინის ამ კრიტიკას გამორჩევით ემხრობიან ჯ.ე. სტენარდი, გ. ვილიამსი, რ. დუფი და ზოგიერთი სხვა თანამედროვე კრიმინალისტი. მაგრამ მათ შეხედულებებში მცირე რამ არის რაციონალური.

თუ გავითვალისწინებთ ობიექტურ სინამდვილეს, დანაშაულებრივი ქმედება ვერასოდეს იქნება დაკვირვების ობიექტი, ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ მისი ობიექტური მხარე, როგორც ამას სიმპტომატისტები განგვიმარტავენ.

ასე მაგალითად, მკვლელობის როგორც დანაშაულებრივი ქმედების ხილვა ობიექტურად შეუძლებელია, ვინაიდან მასში ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულში, კანონმდებელი ობიექტურთან ერთად გარეგანად უჩინარ სუბიექტურ ნიშნებსაც აერთიანებს; რასაც ჩვენ რეალურად ვაკვირდებით, არის მხოლოდ ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა, რაც თავისთავად მკვლელობას არ წარმოადგენს. ჩახმახის დასხლეტა შესაძლოა ხორციელდებოდეს რეფლექსური მოძრაობით, რომელიც გამოწვეულია განსაზღვრული სისხლისსამართლებრივად მისატევებელი გარემოებით, და მაშინ ჩვენ მიერ ხილული ფიზიკური აქტი არ დაკვალიფიცირდება არამცთუ მკვლელობად ანუ დანაშაულებრივ ქმედებად, არამედ ქმედებად საერთოდ.

ცხადია, თვითმხილველს ზოგ შემთხვევაში შესწევს იმის დადგენის უნარი, თუ რას წარმოადგენს მოცემული სხეულებრივი მოძრაობა: დანაშაულს, მართლზომიერ ქმედებას თუ უბრალოდ რეფლექტორულ მოძრაობას ან მოძრაობას, განხორციელებულს უგონო მდგომარეობაში. მაგრამ ამ მომდევნო მომენტს სუბიექტი აღიქვამს უკვე არა ვიზუალურად, არამედ წარმოსახვითი უნარის საფუძველზე, გარკვეული შეფასებითი მსჯელობის შედეგად. რადგან მხედველობა განეკუთვნება გრძნობათა სფეროს, ხოლო წარმოსახვა და შეფასება „გონებრივი“ ელემენტებია, დანაშაულებრივი ქმედება და მისი ობიექტური მხარე შესაძლებელია განვსა-

ზღვროთ შესაბამისად აქტიური და პასიური დადგენის ობიექტად, ე.ი. დანაშაულის დადგენა, განსხვავებით მისი ობიექტური გამოხატულების დადგენისაგან, მუდამ უკავშირდება აქტიურ ფსიქიკურ საქმიანობას.

ამის საპირისპიროდ ლ.ვიტგენშტაინის მიმდევრები აღნიშნავენ: „სიმპტომატური თვალსაზრისით, ჩემი დაკვირვება შედგება იმ დასკვნებისაგან, რომლებსაც მე ვაყალიბებ ჩემს მიერ აღქმულ ფიზიკურ სხეულთა, მოძრაობათა და ბგერათა შესახებ. ვიტგენშტაინის მიხედვით კი, დაკვირვების ობიექტია არა სხეული, არამედ სუბიექტი, არა სხეულებრივი მოძრაობანი, არამედ სუბიექტური ქმედებანი. თავდასხმის აღწერისას ჩვენ არ ვსაჭიროებთ დანაშაულებრივი განზრახვის ამოკითხვას მოძრაობებიდან, რომლებსაც ასრულებს თავდამსხმელის სხეული, რათა ვცნოთ ეს მოძრაობანი უკანონო თავდასხმად; ჩვენ უშუალოდ ვაკვირდებით ამ დანაშაულს — თავდამსხმელის განზრახ ქმედებას. ბუნებრივია,ზოგჯერ შეუძლებელი ხდება სუბიექტური აქტის ზუსტი გარკვევა, ამიტომ ჩვენ შესაძლოა დავეჭვდეთ ან სულაც შევცდეთ ქმედების ხასიათთან მიმართებაში, მაგრამ აქაც საუბარია მხოლოდ ქმედების ხასიათზე, მის ცალკეულ ასპექტებზე და არა სხეულებრივი მოძრაობებისა და განზრახვის ურთიერთობაზე“.322 ქმედება ერთდროულად უნდა შეიცავდეს მართლწინააღმდეგობისა და მართლზომიერების, ბრალეულობისა და არაბრალეულობის ასპექტებს! ეს ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობაც და ბრალეულობაც წარმოადგენს ქმედების ცნების მხოლოდ ფორმალურ დანამატს ანუ ქმედება დადგენილად ითვლება იმის გაურკვევლადაც, თუ სუბიექტური განზრახვის რა სახეა მოცემული (მართლსაწინააღმდეგო თუ მართლზომიერი) ან მოცემულია თუ არა ის საერთოდ (ე.ი. აკონტროლებს თუ არა სუბიექტი გონებრივად თავის სხეულებრივ მოძრაობებს).

აქედან ასევე აშკარად გამომდინარეობს ქმედების ცნების განუსხვავებლობა რეფლექსური და უგონო მდგომარეობაში წარმოებული მოძრაობებისაგან; ამ სახის მოძრაობები, როგორც ცნობილია, მკაცრად არის მოქცეული ობიექტური კატეგორიის ფარგლებში და მოკლებულია ყოველგვარ სუბიექტურ მომენტს. ამრიგად, ქმედება ზოგ შემთხვევაში შესაძლოა არც კი მოიცავდეს სუბიექტურ მხარეს! ქმედების ცნების ამგვარი „პლასტიკურობა“ კი თანამედროვე სისხლის სამართალში ყოვლად დაუშვებელია.

ფიზიკური მოძრაობანი პირდაპირი გაგებით არ არის დანაშაულის რეალიზების ერთადერთი ხერხი: დანაშაულებრივი ქმედება ხშირად ხორციელდება წერილობითაც და ზეპირმეტყველების საშუალებითაც (მუქარა, მუხ.136-ე; ცილისწამება, მუხ.137-ე; შეურაცხყოფა, მუხ.138-ე).

ამ შემთხვევათა მიმართაც სიმპტომატიზმი წარმოგვიდგენს იმავე დუალისტურ ფორმულას, იმავე მოდელს ემპირიულ ფენომენთა მეცნიერული განმარტებისა: ვაკვირდებით რა გარკვეულ ეფექტს (შედეგს), ვცდილობთ დავასკვნათ იმ ლატენტურ პროცესთა არსებობა, რომლითაც გამოწვეულია ეს ეფექტი.

ასე მაგალითად, მეტყველების დროს უშუალო დაკვირვების ობიექტია ბგერები, რომელთა ანალიზის შედეგად დგინდება მათი წარმომშობი სუბიექტური ელემენტები და რომლებიც ამ სუბიექტურ ელემენტთა გარკვევით გარდაიქმნებიან „უშინაარსო ხმაურიდან შინაარსიან ფრაზებად“.

ისევე, როგორც სხეულებრივი მოძრაობანი, მეტყველებაც შემოიფარგლება დანაშაულის ობიექტური მხარით და მთლიანად დანაშაულებრივ ქმედებასთან ვერ გაიგივდება.

შეურაცხყოფას ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს როგორც პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებას, გამოხატულს უწესო ფორმით, მაგრამ ყოველი ასეთი დამცირება ბრალეულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან პირი შეიძლება იყოს შეურაცხადი ან მოქმედებდეს იძულებით.

ზუსტ მითითებას იმაზე, რომ ფრაზათა ნომინალური მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვევა მათ ფაქტობრივ მნიშვნელობას, შეიცავს მუხლი მუქარის შესახებ. ის ამგვარად არის ფორმულირებული: „მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების მუქარა პირის ან მისი ახლობლის მიმართ, *როდესაც საკმაოდ საფუძვლიანია მუქარის განხორციელების საფრთხე* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი)“.323 ამდენად, მუქარა შეიძლება იყოს რეალურიც (სისხლისსამართლებრივად დასჯადი) და არარეალურიც (სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელო), მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ამ მუქარის გამომხატველი წინადადება ერთი და იგივეა. ერთნაირად შეიძლება გამოიხატოს მუქარა (სიტყვიერად) ყაჩაღური თავდასხმისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის კანონიერი განიარაღების დროსაც.

ამიტომ, თუ გრამატიკულად ყოველ წინადადებაში აისახება მხოლოდ ერთი კონკრეტული აზრი, სისხლის სამართალში წინადადება მუდამ ორაზროვანი ან მრავალაზროვანია. რომ არ არსებობდეს მისი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობა, სავსებით მისაღები იქნებოდა სიმპტომატიზმის მოწინააღმდეგეთა მტკიცება მეტყველებისა და ქმედების პარალელიზმის თაობაზე.

სიმპტომატიზმის წინააღმდეგ მიმართულ ცენტრალურ არგუმენტად ითვლება სუბიექტის წერილობით აქტში ქმედების უპირობო ცნობის აუცილებლობა. ლიტერატურაში ეს არგუმენტი, როგორც წესი, შემდეგი სახითაა ილუსტრირებული: თუ წერილობითი აქტი, მსგავსად სხეულებრივი მოძრაობებისა და ზეპირმეტყველებისა, შემოისამნება ქმედების ობიექტური მხარით და იმთავითვე არ მოიცავს მის სუბიექტურ ელემენტებსაც, რას უნდა დაეფუძნოს ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ძალა, როგორიც არის ანდერძი?

ანდერძი, ცხადია, მართლაც უნდა გამოხატავდეს რეალურ და არა პოტენციურ სუბიექტურ ნებას, მაგრამ ამასთან მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ ანდერძი არის სუბიექტის მიერ თავისი ქონების არა ყოველგვარი წერილობითი განკარგვა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც შესრულებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მოცემული წესი ითვალი-

სწინებს ანდერძის დამოწმების განსაკუთრებულ პროცედურას, რის კვალობაზეც ის კარგავს თავის აბსოლუტურ ერთპიროვნულობას და იძენს რელატიურად ბილატერალურ ხასიათს.[0]* უფრო ზუსტად, ანდერძი არის არა მხოლოდ მოანდერძის, არამედ მოანდერძისა და სათანადო სახელმწიფო ორგანოს ერთობლივი წერილობითი აქტი. ამიტომაც მცდარია სიმპტომატიზმის წინააღმდეგ მოტანილი ეს არგუმენტიც.

ქართული დოგმატიკა

სიმპტომატურ სწავლებას გვერდს არ უვლის ქართული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკაც. აქ ჩვენ ვხვდებით სიმპტომატიზმის პირველადი ფორმის ანუ კოლმანისა და თეზარის კონცეფციის სავსებით დასაბუთებულ კრიტიკას. „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, — მიუთითებენ თ. წერეთელი და გ. ტყეშელიაძე, — არის პასუხისმგებლობა ქმედებისათვის და არა სუბიექტის პირადი საშიშროებისათვის. ამ დემოკრატიული დებულების საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე, რომლის თანახმად ქმედება, ადამიანის ნების გარეგანი გამოვლინება წარმოადგენს მხოლოდ სიმპტომს, მხოლოდ საბაბს მოქმედის პიროვნების შეფასებისათვის. ისჯება მოქმედის განწყობა, ქმედებაში გამოვლინებული, და არა თვით ქმედება.“324 ეს, როგორც მართებულად დაასკვნიან ქართველი კრიმინალისტები, განაპირობებს სისხლის სამართლის „მორალიზებას“.

მათივე მტკიცებით, სუბიექტური განწყობა სისხლის სამართლის ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების დეტერმინანტი. სუბიექტის შინაგანი აგრესიულობა, რომელიც არ პოვებს გარეგან გამოვლინებას, შეიძლება შეადგენდეს კრიმინოლოგიის, ფსიქოლოგიის ან სისხლის სამართლის მომიჯნავე ზოგიერთი სხვა მეცნიერების, მაგრამ არა თვით სისხლის სამართლის, კვლევის ობიექტს.

ამასთანავე, სიმპტომატიზმის ანალიზი მთელი აქტუალურობით წამოჭრის იმის გარკვევის საჭიროებას, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ აგრესიული ნების გარეგან გამოვლინებაში: მართლსაწინააღმდეგო შედეგი თუ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა.

თუ, ერთი მხრივ, დანაშაულს ზოგადად განვმარტავთ როგორც ნების გარეგან გამოვლინებას და, მეორე მხრივ, ნების გარეგან გამოვლინებაში ვიგულისხმებთ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, როგორც ეს მიღებულია გაბატონებულ დოქტრინაში, ვერ შევძლებთ მატერიალური დანაშაულის თეორიულ დასაბუთებას.

---

* ბილატერალურობა აქ ნაგულისხმევია არასამოქალაქოსამართლებრივი გაგებით.

მაგრამ თუ ნების გარეგან გამოვლინებად წარმოვიდგენთ გარე სამყაროში მომხდარ ცვლილებასაც და ეს ასეც უნდა იყოს, მაშინ შეუძლებელი ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება ფორმალური დანაშაულისათვის.

და რადგან ჩვენ დაუშვებლად მივიჩნევთ იმის უარყოფას, რომ დანაშაული წარმოადგენს სუბიექტური ნების გარეგან გამოვლინებას, გარდაუვალია ხსენებული დილემის მეორე კომპონენტის სტრუქტურული ტრანსფორმირება, კერძოდ, დანაშაული არ უნდა განიმარტოს უბრალოდ როგორც ნების გარეგანი გამოვლინება ანუ როგორც ნების ყოველგვარი გარეგანი გამოვლინება. ამ უკანასკნელში დიფერენცირებულად უნდა მოიცემოდეს მისი კონკრეტიზების ორივე შესაძლო შემთხვევა, რაც საბოლოოდ განგვარიდებდა პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებულ გაურკვევლობას.

ამის შედეგად ქურდობის ან ზოგიერთი სხვა მატერიალური დანაშაულის მცდელობა არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მიუხედავად მასში ანტისამართლებრივი ნების გარეგანი გამოვლინების მოცემულობისა. ანაც პირიქით, გამოძალვის (მუხ.154-ე) ან დეზერტირობის (მუხ.262-ე) როგორც ფორმალური დანაშაულის დასჯადობა ვერ უარიყოფა იმ მოტივით, რომ მოცემული კონსტრუქციის შემადგენლობებში ნება არ პოვებს სრულყოფილ გარეგან გამოვლინებას.

თ. წერეთლისა და გ. ტყეშელიაძის სხვა ნაშრომიდან გარკვევით ჩანს, რომ ისინი გმობენ არა სიმპტომატურ სწავლებას ზოგადად, არამედ მხოლოდ მის პირველად სახეს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მათ მიდგომაში ქმედების ცნებისადმი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ლ. ვიტგენშტაინის, რ. დუფის, ჯ.ე. სტენარდისა და სიმპტომატიზმის სხვა ოპონენტთა შესაბამისი პოზიციისაგან. „ქმედება, — აღნიშნავენ თ. წერეთელი და გ. ტყეშელიაძე, — როგორც ნებელობითი ქცევის აქტი გამორიცხულია რეფლექტორულ და ინსტინქტურ მოძრაობათა დროს, რადგან ასეთ შემთხვევებში თავის ტვინი კონტროლის ფუნქციას ვერ ასრულებს. ნებელობითი მოქმედება არ არსებობს აგრეთვე დაუძლეველი ძალისა და ფიზიკური ძალადობის დროს. ფსიქიკური ძალადობა (მუქარა) არ გამორიცხავს ნებელობით მოქმედებას. ადამიანი პასუხს აგებს მუქარის ზეგავლენით ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ არ არსებობს უკიდურესი აუცილებლობის პირობები. ადამიანი პასუხს აგებს აგრეთვე იმპულსური მოქმედებისათვის (მაგალითად, აფექტში ჩადენილი მოქმედებისათვის, თუ მას ჰქონდა ნებელობითი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა).“325

ამრიგად, სხეულებრივი მოძრაობანი და სუბიექტური ქმედება არ განიხილება თანაბარმნიშვნელოვან ცნებებად, ვინაიდან ყოველი ქმედება წარმოდგენილია როგორც „ნებელობითი ქცევის აქტი“, რა ჟამსაც სხეულებრივ მოძრაობებს შესაძლოა არ გააჩნდეს „ნებელობითი ქცევის აქტის“ სახე (რეფლექტორული და ინსტინქტური მოძრაობები; მოძრაობები, ჩადენილი დაუძლეველი ძალის ან ფიზიკური ძალადობის დროს; ზოგჯერ კი

იმპულსური მოძრაობებიც და მოძრაობებიც, რომლებიც განხორციელებულია ფსიქიკური ძალადობის პირობებში). ხოლო რამდენადაც სხეულებრივ მოძრაობებს არ მიეწერება ქმედების პირდაპირი ასახვის ფუნქცია, ქმედება, ამ პირველთაგან განსხვავებით, არ შეიძლება იყოს უშუალო დაკვირვების ობიექტი. ამას, როგორც მარტივად მისახვდომია, მოსდევს თანამედროვე სიმპტომატიზმის ძირითადი პრინციპის აღიარება.

მაგრამ, ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ თ. წერეთლისა და გ. ტყეშელიაძის ზემოხსენებული პოზიცია მხოლოდ ირიბად არის მიმართული სიმპტომატიზმის თანამედროვე სახის პოზიტიური შეფასებისაკენ. პირდაპირ სიმპტომატურ სწავლებას ქართული სისხლის სამართალი არ ცნობს.

ჯ.ე. სტენარდი

მიუხედავად კოლმანისა და თეზარის შეხედულებებისაგან ამჟამინდელი სიმპტომატიზმის მნიშვნელოვანი განსხვავებისა, არაერთი კრიმინალისტი მას კვლავაც მოიხსენიებს როგორც სუბიექტივისტურ მიმდინარეობას. ამის ნათელი მაგალითია ჯ.ე. სტენარდის შემდეგი მოსაზრება: „ბაზისური სუბიექტივისტური იდეა არის ის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა იყოს დამოკიდებული (უპირატესად) არა სუბიექტის ქცევის წმინდად „გარეგან“ ელემენტებსა და მის ეფექტებზე, არამედ ამ ელემენტებისადმი სუბიექტის დამოკიდებულებაზე, არა მომხდარის „ობიექტურ“ ხასიათზე, არამედ მისი გამომწვევი ქმედების „სუბიექტურობაზე.“ სუბიექტივიზმის ტიპური გამოვლინებაა სიმპტომატური სწავლება. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ის აფუძნებს შესაბამისი ფსიქიკური მდგომარეობისა და გარეგანი აქტის თანამოცემულობაზე, რომელთაგან უკანასკნელი ასრულებს მხოლოდ ამ ფსიქიკური მდგომარეობის ინდიცირების ფუნქციას.“326 ეს თანამედროვე სიმპტომატური სწავლების მხოლოდ და მხოლოდ დამახინჯებული გადმოცემაა, რამეთუ ის (სიმპტომატიზმი) თანაბრად უკავშირებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულის ორივე მხარეს.

თუ „გარეგან ელემენტებს“ გააჩნიათ მხოლოდ „შესაბამისი ფსიქიკური მდგომარეობის“ (ბრალის) ინდიცირების ფუნქცია და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე უშუალოდ არ ზემოქმედებენ, მაშინ სიმპტომატიზმი არ უნდა იძლეოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენცირების შესაძლებლობას დამდგარი მავნე შედეგების მიხედვით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმპტომატიზმი უქვემდებარებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არა მარტოოდენ დანაშაულებრივ განზრახვას, არამედ დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხსაც; ის ისევე განასხვავებს ფორმალურ და მატერიალურ დანაშაულს, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული. სიმპტომატურ სწავლებაში

შესაძლებელია მრავალი სხვა მომენტის გამოყოფაც, რომელიც სუბიექტივისტური თვალსაზრისით სრულიად დაუშვებელია.

ამასთან ერთად თავისთავად ისმის კითხვა, თუ რამდენად აქვს ჯ.ე. სტენარდს სიმპტომატური სწავლების სუბიექტივიზმში „მხილების“ უფლება მაშინ, როდესაც ის თავგამოდებით იცავს დასჯადობის საკითხის პოზიტიურ გადაწყვეტას უვარგისი მცდელობის ორივე შემთხვევაში (მცდელობა უვარგის საგანზე და მცდელობა უვარგისი საშუალებებით). ჩვენი აზრით, სუბიექტივიზმის ამაზე უფრო მკვეთრი გამოვლინება ძნელად თუ მოიძიება.

თუ შევადარებთ სიმპტომატურ თეორიას ნორმატივიზმის სხვა მიმდინარეობებს, რთულია მათ შორის განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით მკაფიო მსგავსებისა თუ განსხვავების დანახვა.

კაუზალიზმი და სიმპტომატიზმი ანალოგიურად განიხილავენ ბრალის დადგენის პროცესს, მაგრამ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ სუბიექტური ქმედების ცნებას.

ხოლო ფინალიზმისა და სიმპტომატიზმის ურთიერთობა აგებულია პოლარულად საპირისპირო პრინციპზე: ისინი, ერთგვაროვნად განმარტავენ რა სუბიექტური ქმედების ცნებას, არაერთგვაროვნად უდგებიან ბრალის პრობლემას სისტემატიკურ ასპექტში.

იმავდროულად სიმპტომატურ სწავლებაში ბრალის ფსიქიკურ მდგომარეობად გამოცხადება არ ნიშნავს საერთო-ნორმატივისტული გეზიდან გადახრას, რადგან ფსიქიკურ მდგომარეობად ბრალი განიხილება მხოლოდ ნორმატიულ შეფასებასთან განუყოფელ კავშირში.

§4. სოციალური მოძღვრება

<u>სოციალური აზრობრივობის ნიშანი</u>

მიმდინარე საუკუნის 60-70-იან წლებში სოციალურ სწავლებას წარმოადგენდა გერმანელ კრიმინალისტთა უმეტესობა. მის მრავალრიცხოვან მომხრეთა შორის იყვნენ ე. შმიდტი, ჰ. მაიერი, კ. ენგიში, რ. მაიჰოფერი, ვ. ზაუერი, ჰ. იეშეკი და ნაწილობრივ ე. ა. ვოლფი.

ამ თეორიის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს მის მიერ „სოციალური აზრობრივობის“ (soziale Sinnhaftigkeit) გამოყოფა ქმედების კონსტიტუციურ ელემენტად, რომელიც წარმოდგება არა კაუზალობის, ფინალურობის ან მოქმედის ნების შინაარსიდან, არამედ მათგან მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობით განისაზღვრება სოციალური ცხოვრების მასშტაბის შესაბამისად.

„ამით, — აღინიშნება მოცემულ მოძღვრებაში, — აშკარავდება, რომ სუბიექტური მოქმედებისა თუ უმოქმედობის სპეციფიკურობა მდგომარეობს გონებრივ და არა „ბუნებრივ“ სფეროში, ისევე როგორც ინდივიდი გამოირჩევა დანარჩენ ქმნილებათაგან თავისი გონებრივი პოტენციით. მა-

გრამ გონება და სუბიექტური ფსიქიკა *status purus* -ის სახით არ მოგვეპოვება და, ამდენად, ქმედების სოციალური გარკვეულობა უნდა მიესადაგოს ინდივიდუუმს როგორც ერთდროულად გონიერ და „ბუნებრივ“, სხეულებრივ არსებას.“327 ამის საფუძველზე სოციალური თეორია ცდილობს არ დააკნინოს დანაშაულის არც ერთი მხარის მნიშვნელობა.

მაგრამ ასახავს კი ის დანაშაულებრივ ქმედებაში სისხლისსამართლებრივისა და სოციალურის რეალურ თანაფარდობას? ანუ არის თუ არა გამართლებული ქმედების კონსტიტუციურ ელემენტად სოციალური გარკვეულობის დეკლარირება?

ე. შმიდტი

სოციალური სწავლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ე. შმიდტი ამ პოზიციის განსამტკიცებლად თვლის, რომ სისხლისსამართლებრივი ქმედება არის ნებისმიერი (willkürlich) ჩარევა სოციალურ ურთიერთობებში, „განსაზღვრული სოციალური მნიშვნელობით“; „ქმედება, — განაგრძობს ის თავის მოსაზრებას, — წარმოადგენს სოციალურ სამყაროში ცვლილების გამოწვევას ნებისმიერი ქცევის საშუალებით, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ამ ცვლილების გამომწვევ როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში.“328

ჯერ ერთი, შედეგი ქმედების აბსოლუტური, აუცილებელი თვისება არ არის, რაც შეუძლებელს ხდის ქმედების როგორც გარე (სოციალურ) სამყაროში ცვლილების გამოწვევის განსაზღვრას.

მეორეც, გარე (სოციალურ) სამყაროში ცვლილების გამოწვევა უმოქმედობით წარმოუდგენელია, ამ უკანასკნელის დასჯადობის საფუძვლად სწორედ ასეთი ცვლილების არგამოწვევა წარმოგვიდგება.

მაგრამ ბევრად უფრო გაურკვეველია ის, თუ რატომ უნდა განიხილებოდეს სისხლისსამართლებრივი ქმედება „სოციალურ ურთიერთობებში ჩარევად“. ყოველი სოციალური ურთიერთობა სამართლებრივ ურთიერთობას არ განასახიერებს, ხოლო ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა არ არის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ქვესახეა სოციალური ურთიერთობისა და ამ პირველისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება სოციალურ ურთიერთობაზე მითითებით ვერ გადმოიცემა.

ამასთან, თანამედროვე სისხლის სამართლის მიღწევები თვალნათლივ მოწმობს იმას, რომ დანაშაულებრივი ქმედება სულაც არ ნიშნავს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში ჩარევას ანუ ახალი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. გ. ნაჭყებია, რომელიც თავად არის ამ იდეის ავტორი, აღნიშნავს: „დანაშაულის ჩადენა ახალი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას კი არ იწვევს, არამედ პირიქით — სახელმწიფოსთან ურთიერთობის გარეთ გაიყვანს დანაშაულის ჩამდენ პირს, რადგან იგი, ამ დანაშაულის გამო და ფარგლებში, სისხლისსამართ-

ლებრივად არც ვალდებულია (იგი იურიდიულად ვალდებული არ არის გამოცხადდეს, მოინანიოს და ა.შ.) და არც უფლებამოსილი (მას მიმალვის უფლება არა აქვს, რადგან მიმალვას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის შეჩერება მოჰყვება). პირი, რომელიც იურიდიულად არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი, ცხადია, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არ არის. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომ ვითარებას სისხლის სამართალი არ აწესრიგებს".329 ამ ვითარებას, როგორც მოგვიანებით შენიშნავს ავტორი, არეგულირებს სისხლის სამართლის პროცესი.

ამგვარად, დანაშაულებრივი ქმედება თუმც წარმოშობს გარკვეულ სოციალურ ურთიერთობას და ეს, ამავე დროს, სამართლებრივი ურთიერთობაც არის, მაგრამ, რაც უმთავრესია, მოცემული სოციალური (სამართლებრივი) ურთიერთობა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას არ წარმოადგენს.

ამიტომაც: 1) დანაშაულებრივი ქმედების კავშირი ამ ქმედების ჩადენით გამოწვეულ სოციალურ ურთიერთობასთან არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი; 2) ე. შმიდტი, განსაზღვრავს რა სისხლისსამრთლებრივ ქმედებას როგორც ხსენებულ სოციალურ (არასისხლისსამართლებრივ) ურთიერთობებში ჩარევას, აღგვიწერს მას მხოლოდ პროცესუალური თვალსაზრისით და არაფერს ამბობს მის მატერიალურ მხარეზე.

ე. შმიდტი ძალზე ახლოს არის ფონ ლისტის მიერ ჩამოყალიბებულ ქმედების ნატურალისტურ ცნებასთან, ვინაიდან აქაც ქმედება განიხილება როგორც გარე სამყაროში ცვლილების გამოწვევა და პრიორიტეტული აქცენტირების ობიექტია მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ამ მსგავსების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება ე. შმიდტის „პრონატურალისტური" პოზიცია ბრალის ცნებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის აყალიბებს კაუზალისტ ე. მეცგერის შეხედულებებზე დაყრდნობით.

ე. მეცგერის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ბრალი არ არის არც თვისება, არც შეფასებითი მსჯელობა ან შეფასებითი მსჯელობისა და ფსიქიკური ფაქტების კონგლომერატი და არც „საგანი", რომელიც შედგება „შემადგენელი ნაწილების" ან „ელემენტებისაგან". ბრალად ის განიხილავს ფსიქოლოგიურ (შინაგან) და შეფასებით (გარეგან) მომენტებს შორის არსებულ ფაქტობრივ ურთიერთობას (tatsächliche Relation).330

ე. შმიდტი არსებითად იზიარებს ე. მეცგერის ამ დებულებას, მაგრამ, ამასთანავე, საუბრობს ბრალის ელემენტებზე და არა ბრალის მომენტებზე, როგორც ეს ე. მეცგერის მტკიცებიდან გამომდინარეობს. „ბრალი როგორც ფაქტობრივი ურთიერთობა, — წერს ე. შმიდტი, — მოიპოვება მაშინ, თუ ადგილი აქვს ფაქტობრივად მოცემული სუბიექტური ქცევის შედარებას გარკვეულ მასშტაბურ სისტემასთან (სისხლისსამართლებრივ ნორმასთან), იმ პირობით, რომ სუბიექტს გააჩნია უნარი განსაზღვროს სა-

კუთარი ქცევა სათანადო ნორმათა მიხედვით (კაუზალობის აუცილებლობისაგან დამოუკიდებლად).“331

ვ. ჰარდვიგი მიიჩნევს, რომ ე. შმიდტი თავის დასკვნებში ბოლომდე თანამიმდევრული არ არის. მისი აზრით, ე. შმიდტის მიერ წარმოდგენილი „ურთიერთობის კომპლექსი“ ე. მეცგერის დებულებას უფრო ეწინააღმდეგება, ვიდრე ესადაგება; ამითვე უნდა აიხსნას ე. შმიდტის მოსაზრებებში „ბრალის შემადგენელი ნაწილის“ ცნების დაშვება.

ვ. ჰარდვიგი ამტკიცებს: „თუ სისხლისსამართლებრივი ბრალი არის არა საგნის ანალოგია, არამედ ფაქტობრივი ურთიერთობა, მაშინ მას არ უნდა გააჩნდეს შემადგენელი ნაწილები. ამისდა კვალად, ე. შმიდტი ცდება, როდესაც ის მოიხსენიებს ბრალის „ფსიქოლოგიურ შემადგენელ ნაწილს“ და ბრალის „ნორმატიულ შემადგენელ ნაწილს.“ “332

ვ. ჰარდვიგი იქვე ცდილობს თავისებურად განმარტოს ე. მეცგერის შეხედულებები: „რათა ჯეროვნად წარმოვიდგინოთ ბრალი როგორც ფაქტობრივი ურთიერთობა, მიზანშეწონილი იქნებოდა მოგვეტანა გარკვეული პრაქტიკული შედარება; მაგალითად, მანძილთან, რომელიც მოცემული გვაქვს კონკრეტულ მატერიალურ პუნქტებს შორის. მანძილი არის სივრცობრივი მდგომარეობის ურთიერთობა (Raumlagebeziehung) განსაზღვრულ სხეულებრივ საგანთა შორის, დაფუძნებული გარკვეულ სივრცულ საზომ სისტემას. ამის ანალოგიურად ბრალი-არაბრალეულობა იქნება სამართლებრივი მდგომარეობის ურთიერთობა (Rechtslagebeziehung) მოცემული სუბიექტური ქცევისა თავისუფალ სუბიექტურ ნებასთან, დაფუძნებული სამართლებრივ ნორმათა სისტემას. ამდენად, ბრალი ე. მეცგერთან განასახიერებს სამართლებრივი მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულებას შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქცევასა და თავისუფლად წარმოდგენილ სუბიექტურ ნებას შორის, რომელიც შეადგენს ნორმატიული განსაზღვრის ობიექტს.“333

ამსახად, იკვეთება ე. მეცგერის კონცეფციის ორგვარი განვითარების ტენდენცია: ბრალი როგორც ფაქტობრივი ურთიერთობა სუბიექტურ ქცევასა და სისხლისსამართლებრივ ნორმას შორის (ე.შმიდტი) და ბრალი როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის ფაქტობრივი ურთიერთობა თავისუფალ სუბიექტურ ნებასთან (ვ.ჰარდვიგი).

ე. შმიდტის პოზიცია, ე.ი. პოზიცია, რომელიც აისახება სოციალურ სწავლებაში, მართებულად გადმოგვცემს ფაქტობრივი ურთიერთობის არსსა და მნიშვნელობას, რასაც ვერ ვიტყვით ვ. ჰარდვიგის პოზიციაზე.

ფაქტობრივი ურთიერთობა გულისხმობს ურთიერთობას იმ ფსიქიკურ ფენომენებსა თუ მეტაფსიქიკურ საგნებს შორის, რომლებიც მოიცემა ცალკეული ფაქტების სახით. ფაქტი კი შესაძლოა ეწოდოს ყოველივე იმას, რისი დადგენაც შესაძლებელია და პირიქით, ფაქტს არ წარმოადგენს არც ერთი ფენომენი თუ საგანი, რომელიც დადგენას არ ექვემდებარება.

თვით დადგენის პროცესი არაერთგვაროვანია, ის შეიძლება გამოიხატოს დაკვირვებაში, ექსპერიმენტში, ემპირიულ სოციალურ გამოკვლევაში ან ისტორიული წყაროების შესწავლაში.

ფაქტი, თავის მხრივ, ზუსტად ასახავს რეალობის იმ სფეროს, რომელსაც ის შეეხება. და სწორედ ამ გარემოებაში მდგომარეობს ფაქტობრივი და ჰიპოთეზური კატეგორიების ძირითადი ურთიერთგანმასხვავებელი კრიტერიუმი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ურთიერთობა მართლსაწინააღმდეგო ქცევასა და თავისუფალ სუბიექტურ ნებას შორის იქნება ჰიპოთეზური და არა ფაქტობრივი ურთიერთობა, ვინაიდან თავისუფალი ნება, განსხვავებით მართლსაწინააღმდეგო ქცევისაგან, ფაქტად ვერ განიხილება. ანუ ნების თავისუფლება არის მხოლოდ ვარაუდი, მხოლოდ ჰიპოთეზა, რომელიც ასახავს სინამდვილეს არა ზუსტად, არამედ ალბათობის გარკვეული ხარისხით.

თავად ე. მეცგერი, განიხილავს რა ბრალს როგორც ფაქტობრივ ურთიერთობას, უარყოფს ნების თავისუფლების მნიშვნელობას ბრალის ცნებისათვის, რითაც ხელოვნურად სპობს ამ ურთიერთობის ჰიპოთეზურად აღიარების აუცილებლობას.

ვერ უარვყოფთ ე. შმიდტის მიერ წარმოდგენილი ურთიერთობის ფაქტობრივ ხასიათსაც, რადგან სუბიექტური ქცევაც და სისხლისსამართლებრივი ნორმაც აშკარად „არაჰიპოთეზური“ ცნებებია.

ვგონებთ, ასევე უსათუოა თვით იმ პრინციპის სისწორე, რომლის თანახმადაც ბრალი მიეკუთვნება ფაქტობრივ კატეგორიას. უარვყოთ ბრალის ფაქტობრივი ხასიათი, ნიშნავს უარვყოთ მისი დადგენის შესაძლებლობა, რაც სრულ უშინაარსობად აქცევს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს.

სრულიად საპირისპირო აზრს ავითარებს ვ. ჰარდვიგი თავის შემდეგ გამონათქვამში: „რამდენადაც ბრალი დადგენის ობიექტია, შეიძლება ითქვას, რომ ბრალი წარმოადგენს ფაქტს. მაგრამ ეს დასკვნა არ არის სავსებით მართებული, თუმც ის არც სავსებით მცდარია. ბრალი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლოა ვაღიაროთ ფაქტად, თუ ასეთად განვსაზღვრავთ ნების თავისუფლებასაც. *იმის გამო, რომ დაუმტკიცარია ნების თავისუფლება, დაუმტკიცარია სისხლისსამართლებრივი ბრალიც* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი). ამდენად, ბრალი ისევე, როგორც ნების თავისუფლება, ჰიპოთეზაა.“[334] ჩვენთვის გაურკვეველია, თუ რა აზრი აქვს ბრალის დაუმტკიცარობის შემთხვევაში სისხლის სამართლის როგორც რამეგვარად ღირებული მეცნიერების არსებობას.

ვ. ჰარდვიგის მტკიცება კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ნების თავისუფლებისადმი ბრალის პრობლემის დაქვემდებარებას უცილობლად მივყავართ ამა თუ იმ სახის ალოგიზმამდე.

მაგრამ ზედმეტად რადიკალურია ამ საკითხთან დამოკიდებულებაში ე. მეცგერისა და ე. შმიდტის თვალთახედვაც, ვინაიდან ბრალსა და ნების თავისუფლებას შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაც პირდაპირი გზაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უარყოფისაკენ.

ბრალის ფაქტობრივი ხასიათის მიმოხილვით ჯერ არაფერი ირკვევა ზემოწარმოდგენილი დებულების მეორე ნახევარზე, კერძოდ ბრალზე რო-

გორც ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მომენტებს შორის არსებულ ურთიერთობაზე.

ე. შმიდტის შეხედულების თანახმად, რომელიც უმთავრესია მოცემულ შემთხვევაში, ეს მომენტები გამოიხატება შესაბამისად სუბიექტურ ქცევასა და სისხლისსამართლებრივ ნორმაში როგორც მასშტაბურ სისტემაში. ურთიერთობის ცნებას ე. შმიდტი (აგრეთვე ე. მეცგერი) იყენებს შედარების მნიშვნელობით, სადაც შედარების ობიექტად, ე. ი. საზომ ერთეულად წარმოგვიდგება ნორმა.

ამიტომ, ე. შმიდტის მიხედვით, ბრალი არის სუბიექტური ქცევის შედარება სისხლისსამრთლებრივ ნორმასთან, რაც არასწორია, რამეთუ ბრალი შეიძლება იყოს ამ შედარების შედეგი და არა თვით ეს შედარება.

მივემხროთ ე. შმიდტის პოზიციას ნიშნავს გავაიგივოთ ბრალის ცნება დანაშაულის კვალიფიკაციის ცნებასთან, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს არა ბრალს, არამედ მხოლოდ ბრალის როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტის დადგენის პროცესს.

ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ე. შმიდტი ბრალს ზოგან მოიხსენიებს როგორც ურთიერთობას სუბიექტურ ქცევასა და სისხლისსამართლებრივ ნორმას შორის, ზოგან კი როგორც სუბიექტური ქცევის ურთიერთობას სისხლისსამართლებრივ ნორმასთან. ეს ერთი და იმავე მნიშვნელობის დებულებები არ არის.

თანამედროვე ფილოსოფიაში აპრობირებული გ. ვ. ლაიბნიცის თეორიის შესაბამისად, ორ ობიექტს შორის ურთიერთობა შესაძლებელია გამოიხატოს სამგვარად: 1) როგორც ურთიერთობა A-დან B-მდე; 2) როგორც ურთიერთობა B-დან A-მდე და 3) როგორც ურთიერთობა A-სა და B-ს შორის.335

როდესაც საუბარია ერთი ობიექტის მეორესთან შედარებაზე, მოცემული უნდა იყოს პირველი ან მეორე სახის ურთიერთობა იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი შეადგენს შედარების ობიექტს. მესამე სახის ურთიერთობა შედარებას გამორიცხავს.

ე. შმიდტი მით უფრო აღრმავებს ამის გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ გაურკვევლობას, როდესაც ბრალს სუბიექტურ ქცევასა და ნორმას შორის წარმომდგარ ურთიერთკავშირსაც უწოდებს.336

ურთიერთობის ცნება („Relation“ = Beziehung, Verhältnis) და ურთიერთკავშირის ცნება („Zusammenhang“) პარალელურ ცნებებად ვერ განიხილება.

ურთიერთკავშირი არის ურთიერთობის სპეციალური სახე, რომელიც მოგვეპოვება ურთიერთობის იმგვარი აგებულების დროს, როდესაც ერთი ობიექტის ტრანსფორმირებას აუცილებლობით მოსდევს საპირისპირო ობიექტის შესაბამისი ტრანსფორმირება.

ამრიგად, ყოველი ურთიერთობა ურთიერთკავშირს არ ნიშნავს.

ობიექტები, რომელთა შორის არ არსებობს უშუალო ურთიერთკავშირი, შესაძლოა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან სხვაგვარ ურთიერთობაში მათი

სიდიდის, მდგომარეობის, არსებობის ხანგრძლივობის ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით.

მაგრამ მაშინაც, თუ ე. შმიდტი მოიტანდა ურთიერთკავშირის ცნებას როგორც ურთიერთობის ცნების არა პარალელურ, არამედ ქვემდებარე ცნებას, მის შეხედულებათა წინააღმდეგობრიობის დაძლევა ეს მაინც ვერ იქნებოდა: დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე ცნება ერთდროულად წარმოადგენდეს შედარებასაც და ურთიერთკავშირსაც, რა სახითაც არ უნდა გამოიხატებოდეს თითოეული მათგანი.

კ. ენგიში

სოციალური თეორიის სხვა წარმომადგენელი კ. ენგიში ე. შმიდტთან შედარებით ნაკლებად განიცდის კაუზალური მოძღვრების ზეგავლენას. მას ქმედების ცნებაში შემოაქვს მიზნობრიობის ანუ გათვლადობის ნიშანი (Bezweckbarkeit bzw. Berechenbarkeit) და ამკვიდრებს სოციალურ თეორიას როგორც ობიექტურ-ფინალურ მოძღვრებას.

კ. ენგიში წერს: „ქმედება არის სუბიექტის მიერ ობიექტურად გამიზნად (bezweckbar) შედეგთა ნებისმიერი გამოწვევა.“ ან იქვე: „ქმედება ეწოდება გათვლად სოციალურად მნიშვნელოვან შედეგთა ნებისმიერ გამოწვევას“.337

ერთი შეხედვით, ძალზე დიდია მსგავსება სოციალურ სწავლებასა და ფინალიზმს შორის, მაგრამ არ არის რთული მათ შორის პრინციპული სხვაობის დანახვაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ კ. ენგიში ავითარებს ობიექტური ფინალურობის იდეას, ხოლო ფინალური მოძღვრება ეყრდნობა სუბიექტური ფინალურობის პრინციპს.

ჩვენი აზრით, კ. ენგიშის მიერ წარმოდგენილი სოციალური სწავლების მსგავსება კაუზალურ (ნატურალისტურ) თეორიასთან ბევრად უფრო არსებითია, ვიდრე მისი ანალოგიურობა ფინალურ მოძღვრებასთან.

მართალია, კაუზალისტები ქმედებად განიხილავენ გარე სამყაროში ყოველგვარი ცვლილების გამოწვევას, მიუხედავად ამ ცვლილების „ობიექტური გათვლადობისა“, მაგრამ ორივე შემთხვევაში ქმედების ცნება დაიყვანება ფიზიკური ქცევის ცნებამდე, მაშინ როცა ფინალისტებთან ქმედება მკაცრად „ფსიქოფიზიკური“ ცნებაა.

ის ავტორები, რომლებიც ხაზს უსვამენ ქმედების სოციალური ცნებისა და ქმედების ფინალური ცნების უპირატეს მსგავსებას, თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ იმით, რომ ეს ორივე ცნება მდებარეობს უმართლობის სფეროში (ე.ი. უმართლობაში მთლიანად და არა მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობაში, როგორც ეს ახასიათებს ქმედების კაუზალურ ცნებას), რადგან ისინი თანაბრად შეიცავენ მიმართულების მომენტს.

უდავოა, რომ ქმედების მიმართულებაზე მიგვანიშნებს მისი ფინალურობა და არა ამ ფინალურობის სუბიექტური თუ ობიექტური სახე; ორივე თეორიის ფარგლებში ქმედება მართლაც განისაზღვრება როგორც სუბიექტური აქტი, *მიმართული* სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლე-

ბრივ სიკეთეთა დარღვევისაკენ. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ფორმალური, გარეგანი მხარეა; შინაგანად ანუ შინაარსობრივად ქმედების სოციალური ცნება დიდად უფრო ახლოს არის ქმედების კაუზალურ ცნებასთან ჩვენ მიერ ზემომოტანილი არგუმენტის გამო. ხოლო შინაარსობრივი მხარის პრიმატი ფორმალური მხარის წინაშე, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სოციალური სწავლების ფრიად მნიშვნელოვანი მსგავსება კაუზალურ და ფინალურ მოძღვრებებთან გვიქმნის იმის შთაბეჭდილებას, თითქოს განსახილველი სწავლება მიღებულია კაუზალიზმისა და ფინალიზმის პირდაპირი სინთეზირების შედეგად. რეალურად კი მას კაუზალურ- ფინალური თეორია ვერ ეწოდება, ვინაიდან „ქმედების სოციალური გარკვეულობა“, რაშიც მდგომარეობს მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი, უცხოა როგორც ფინალური, ისე კაუზალური მოძღვრებისთვისაც. გარდა ამისა, სოციალური სწავლების ყველა მიმდევარი როდი იზიარებს ქმედების ცნებისათვის ობიექტურ-ფინალური მომენტის დართვას (მაგალითად, ე. შმიდტი).

როგორც კ. ენგიშის ზემოციტირებული თეზისიდან ვიხილეთ, სოციალურ სწავლებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მართლსაწინააღმდეგო შედეგის სოციალურ ნიშნადობას. ზოგჯერ ქმედება ფორმალურად შეიცავს რომელიმე დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ, მის მიერ გამოწვეული შედეგის მცირე მნიშვნელობის გამო, დანაშაულად არ ითვლება. და ეს სავსებით გამართლებულია.

ამავე დროს, აქედან ჯერ კიდევ ვერ დავასკვნით, რომ ყოველ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელსაც ვაღიარებთ დანაშაულებრივად, უნდა ჰქონდეს სოციალური მნიშვნელობა. *შედეგი შეიძლება იყოს სოციალურად უმნიშვნელო და, ამასთანავე, არ იყოს მცირე მნიშვნელობისა.*

სოციალურ თეორიაში კი ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, თუ მას არ ცნობენ მცირემნიშვნელოვნად, მექანიკურად იქცევა სოციალური მნიშვნელობის მქონედ.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სისხლის სამართალიც სოციალური სწავლების გავლენით განასხვავებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხოლოდ ორ სახეს: მცირემნიშვნელოვანს (არადანაშაულებრივს) და სოციალურად მნიშვნელოვანს (დანაშაულებრივს), ე.ი. შედეგის სოციალური ნიშნადობა ქართულ სისხლის სამართალშიც ქმედების დანაშაულებრივად აღიარების აუცილებელი წინაპირობაა.

სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგი და შედეგის სოციალური მნიშვნელობა ქართულ წყაროებში ამგვარად აღიწერება: „ყოველი დანაშაული საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა (მოქმედება ან უმოქმედობა) და იწვევს ისეთ შედეგს, რაც ზიანს აყენებს (ან შეუძლია მიაყენოს) საზოგადოებრივ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებრივი შედეგი არის დანაშაულის ჩადენის შედეგად წარმოშობილი მავნე ცვლილება სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში“.338 ჩვენ მიერ წინა

ქვეთავებში არაერთგზის აღინიშნა, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; როგორც წესი, ის სოციალურად უმნიშვნელოა (პირადი ქონების ქურდობა) ან სოციალურად ნაკლებად მნიშვნელოვანია (ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღება).[0]*

ამიტომ უნდა განვასხვავოთ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არა ორი, არამედ, სულ მცირე, ოთხი სახე, რომელთაგან ყველა, გარდა პირველისა, წარმოადგენს დასჯადობის საფუძველს: *1) მცირემნიშვნელოვანი* (ანუ ინდივიდუალურადაც და სოციალურადაც უმნიშვნელო); 2) *სოციალურად უმნიშვნელო* (მაგრამ არა მცირემნიშვნელოვანი, ე.ი. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი); 3) *სოციალურად ნაკლებად მნიშვნელოვანი* და 4) *სოციალურად მნიშვნელოვანი.*

რათა ბოლომდე განვთავისუფლდეთ სოციალური სწავლების ნეგატიური გავლენისაგან, მოცემული შესწორების შედეგად უნდა გამოვყოთ მორიგი უზუსტობაც. მართლსაწინააღმდეგო შედეგთა დიფერენცირების საფუძვლად უნდა გვევლინებოდეს მათი არა სოციალური, არამედ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ხარისხი.

ზოგიერთი მართლსაწინააღმდეგო შედეგი შესაძლოა იყოს სოციალურად ერთობ მნიშვნელოვანი და სისხლისსამართლებრივად სრულიად უმნიშვნელო ანაც პირიქით, სოციალურად უმნიშვნელო და სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი.

ეს უკანასკნელი მომენტი ნათლად აისახა ზემოწარმოდგენილი ჩამონათვალის მეორე პუნქტში, სადაც სოციალურად უმნიშვნელო შედეგთა რიგი უკავშირდება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მტკიცების პირველ ნახევართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური კატეგორია, გარდა სისხლისსამართლებრივისა, მოიცავს სამოქალაქოსამართლებრივ, ზნეობრივ და სხვა მრავალ ასპექტს. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი სამოქალაქოსამართლებრივად ან ზნეობრივად მნიშვნელოვანია, მოცემული გვაქვს მისი სოციალური მნიშვნელობაც, მაგრამ ეს არამცთუ უპირობოდ, საერთოდ ვერაფერს მიგვითითებს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის არსებობაზე.

მაგალითად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ესა თუ ის ქმედება, თუ სუბიექტი ამ ქმედების ჩადენის მომენტში საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა; ამით გამოირიცხება დამდგარი მავნე შედეგის მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა და არა, ვთქვათ, სამოქალაქოსამართლებრივი, რადგან ამგვარ ქმედებებს ჩვეულებრივ თან

---

* არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ პირადი ქონების ქურდობაც და ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღებაც აქ მოიხსენიება არა ზოგადი მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ ცალკეული (კონკრეტული) სუბიექტური ქმედების სახით.

არ სდევს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვაც.

არც ერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ჩადენილია შეუგნებლობის მდგომარეობაში ან იურიდიული თუ ფაქტობრივი შეცდომის შედეგად, სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის და, ამრიგად, მოცემული ქმედებით გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რაც სავსებით არ ზემოქმედებს მის ფაქტობრივ სიმძიმესა და სოციალური მნიშვნელობის ხარისხზე.

ამდენად, სისხლის სამართალში საუბარი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგის სისხლისსამართლებრივ და არა სოციალურ მნიშვნელობაზე შემდეგი ორი მიზეზის გამო: პირველი თავისთავადი მიზეზის თანახმად, სისხლის სამართალი შეისწავლის არა ყოველივე სოციალურს, არამედ სოციალურის მხოლოდ იმ ასპექტს, რომელიც მოცულია სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფეროთი; ამასთან, სისხლის სამართალი იკვლევს სათანადო სოციალურ მომენტს არა როგორც ასეთს, არა ზოგადად, არამედ როგორც სპეციფიკურ ანუ როგორც სისხლისსამართლებრივ პრობლემას.

სოციალურის, როგორც ასეთის, შემსწავლელი ცალკე მეცნიერება არსებობს (სოციოლოგია), ე.ი. *სისხლის სამართლის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის სოციალური მნიშვნელობით დაინტერესება მოასწავებს ამ მეცნიერების (სოციოლოგიის) ფუნქციებში ჩარევას.*

მომდევნო მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის სოციალური მნიშვნელობა ხშირად არ ემთხვევა მის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.

ამიტომაც კ. ენგიშის დებულება და ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული აზრი მოცემული საკითხის თაობაზე მცდარია.

თუ ე. შმიდტი თვითდარწმუნებით ავითარებდა კაუზალისტ ე. მეცგერის პოზიციას ბრალზე როგორც ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მომენტებს შორის ფაქტობრივ ურთიერთობაზე, კ. ენგიში დამაჯერებლად ასაბუთებს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების უსაფუძვლობას, რომლის ყველაზე პრინციპულ მომხრედ სწორედ ე. მეცგერი წარმოგვიდგება. ჩვენ გაკვრით უკვე შევეხეთ მისი პოზიციის სიმცდარეს.

„სუბიექტური ქცევის შეფასება მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით, — აღნიშნავს ე. მეცგერი, — ერთიანად დამოკიდებულია სუბიექტის განწყობაზე, რომლისგანაც ეს ქცევა წარმოდგება, ან მიზნებზე, რომლებიც ამ ქცევას თან ახლავს. შესაბამისად, სხვისი მოძრავი ნივთის გატაცება ჩაითვლება ქურდობად მხოლოდ მაშინ, თუ ის ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით, ან ქონების განგებ დაზიანება დაკვალიფიცირდება თაღლითობად მხოლოდ იმ პირობით, თუ ის გამოირჩევა გამდიდრების მიზნით (სადაზღვევო თანხის მიღება)... წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტი ქალის პალპირება საპირისპირო სქესის ექიმის მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც გარყვნილი ქმედება.“339

ამაზე კ. ენგიში შენიშნავს: „როდესაც ე. მეცგერის საყოველთაოდ ცნობილ მაგალითში ექიმი აწარმოებს პაციენტი ქალის სამედიცინო გამოკვლევას, მისი მოქმედების მართლზომიერება და მართლწინააღმდეგობა დამოკიდებულია არა იმაზე, ახორციელებს ის ამ გამოკვლევას კეთილსინდისიერი პროფესიული მზრუნველობით თუ ასეთ მზრუნველობას ამოფარებული ქვენა გრძნობით, არამედ იმაზე და მხოლოდ იმაზე, არის თუ არა მოცემული მისი მოქმედების ობიექტური საჭიროება“.340 ეს ერთადერთი სწორი შეფასებაა ე. მეცგერის შეხედულებისა.

ჩვენ დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ქურდობისა და თაღლითობის მაგალითიც ანალოგიურად უნდა შეფასდეს.

დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა მარტოოდენ საფეხურებია ქმედების დანაშაულებრივად კვალიფიცირებისა და დანაშაულის სახეზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ მივიღებთ მანამ, სანამ გამოწვლილვით არ შევისწავლით თითოეულ ამ საფეხურს. ე. მეცგერისთვის ამის აუცილებლობა „შეუმჩნეველი“ რჩება, რის შედეგადაც ის მოითხოვს, რომ დანაშაულის კონკრეტული სახე გარკვეულ იქნეს უკვე მართლწინააღმდეგობის ეტაპზე.

ე. მეცგერის მიერ შემოთავაზებული ლოგიკით სხვისი მოძრავი ნივთის გატაცება მესაკუთრის უფლების დარღვევად არ მიიჩნევა, თუ გამტაცებელს არ გააჩნია მითვისების მიზანი! მაგრამ უცილოა, რომ ნივთის გატაცების მომენტიდან მესაკუთრე კარგავს რეალურ შესაძლებლობას ისარგებლოს ამ ნივთით ან განკარგოს ის, იმისდა სრულიად მიუხედავად, თუ რა მიზანი ამოძრავებდა გამტაცებელს: მითვისების თუ დროებითი სარგებლობის ან უბრალოდ დროებითი ფლობის.

ასევეა თაღლითობის დროსაც; როდესაც პირი განზრახ აზიანებს დაზღვეულ ქონებას, ის არღვევს სადაზღვევო კომპანიის სისხლისსამართლებრივად დაცულ უფლებას არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გააჩნია გამდიდრების მიზანი, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მიზანი სადაზღვევო ორგანიზაციისათვის ზარალის მიყენებაში მდგომარეობს. ამის განზოგადებას, ე.ი. სისხლისსამართლებრივი უფლების დარღვევასთან მართლწინააღმდეგობის გაიგივებას ოდნავაც არ აფერხებს ის, რომ სხვისი ნივთის გატაცება ან დაზღვეული ქონების განზრახ დაზიანება შეიძლება იყოს გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობით.

სისხლისსამართლებრივი უფლების დარღვევის ფაქტი დგინდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა გამამართლებელ გარემოებათა არარსებობა.

ყოველთვის, როდესაც სახეზეა უკიდურესი აუცილებლობა ან აუცილებელი მოგერიება, სუბიექტი არ არღვევს მოპირდაპირე მხარის სისხლისსამართლებრივად დაცულ უფლებას, ვინაიდან ამ უკანასკნელს მოცემულ პირობებში *ასეთი უფლება არ მოეპოვება*.მაგალითად, დაუშვებელია, რომ კანონმდებელი ერთდროულად იცავდეს თავდამსხმელის პირადი ხელშეუხებლობის უფლებასა და მომგერიებლის აუცილებელი მოგერიების უფლებას.

ამდენად, ყოველი სისხლისსამართლებრივი უფლების დარღვევა ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე მოწმობს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ამ დარღვევის ფაქტის დადგენა კი, როგორც უკვე ვიხილეთ, არ საჭიროებს კვლევის წარმოებას ობიექტური კატეგორიის ფარგლებს მიღმა.

კ. ენგიშის შენიშვნას მნიშვნელოვნად განავრცობს ჰ.-რ. ჰორნი და კიდევ უფრო გამოკვეთს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების მიუღებლობას. „სუბიექტურ გამამართლებელ ელემენტთა შემოღებით, — წერს ის, — გერმანული სისხლისსამართლებრივი აზრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სუბიექტი უნდა დაისაჯოს ქცევისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით დასჯადად არ ცხადდება, რამდენადაც მხოლოდ განწყობას ან მიზანს სისხლისსამართლებრივი შეფასება ვერ დაეყრდნობა; ობიექტურად ნებადართული ან სულაც სავალდებულო ქმედება არასოდეს შეიძლება იყოს აკრძალული მხოლოდ შინაგანად დარჩენილი ზრახვის გამო.“341 ეს უთუოდ ასეა. *ობიექტურად ნებადართული ქმედების სუბიექტური აკრძალულობა ნიშნავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის სუბიექტური მხარის გამოყოფას.*

ჯერ კიდევ ინგლისელ კრიმინალისტ კ.ს. კენისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ბოროტი განზრახვა, თუ ის გამოიხატებოდა ობიექტურად ნებადართულ ქცევაში, არ უნდა მიჩნეულიყო გარეგანად გამოვლენილ სუბიექტურ ნებად და ამის გამო ვერც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.

ამას კ. ს. კენი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „სამართლის ნორმები (როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი) არასდროს არ უკავშირებენ პასუხისმგებლობის საკითხს მხოლოდ გრძნობებსა და გონება-განწყობილებას, რომლებიც არანაირად გამოვლენილა სუბიექტის გარეგან ქცევაში. ასე, გარეგანად არ იქნება გამოვლენილი ნორმის საწინააღმდეგო სუბიექტური ნება, თუ პირი ფარულად იტაცებს სხვისად წარმოდგენილ მოძრავ ნივთს, რომელიც სინამდვილეში მასვე ეკუთვნის.“312

ამ მაგალითიდან ადვილად გაივლება პარალელი იურიდიული შეცდომის ერთ-ერთ სახესთანაც, როდესაც სუბიექტი, სჩადის რა განსაზღვრულ მოქმედებას, მიიჩნევს მას დანაშაულებრივად, თუმცა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ მოქმედებას არ განიხილავს როგორც დანაშაულებრივს. იურიდიული შეცდომის მოცემულ სახეს სხვაგვარად მოჩვენებითი დანაშაული ეწოდება, რომელიც, ბუნებრივია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს.

ამასთანავე, შესაძლებელია მოვიტანოთ სხვა არაერთი მაგალითიც, რომელიც ასევე ნათლად ადასტურებს დანაშაულებრივ ქმედებაში მისი ობიექტური მხარის ნებადართულობის დაუშვებლობას.

ჰ. მაიერი

სოციალური თეორიის განვითარების მორიგი ეტაპი დაკავშირებულია ჰ. მაიერის „ნებელობის თეორიასთან.“[0]* აქ სოციალური სწავლება არა საბოლოოდ, მაგრამ უკვე შედარებით პრინციპულად ემიჯნება ნატურალისტურ შეხედულებებს. „ქმედება, — მიუთითებს ჰ. მაიერი, —არის სუბიექტური ნების განხორციელება ანუ ობიექტივირებული სუბიექტური ნება და ამით საპასუხისმგებლო მონაწილეობა (verantwortliche Teilnahme) სოციალურ ცხოვრებაში.“313 თვალსაჩინოა რა ჰ. მაიერის მიერ ამ დებულებაში გამოხატული კაუზალიზმის საწინააღმდეგო ტენდენცია, საფუძვლიან გარკვევას მოითხოვს მისი ცალკეული შემადგენელი მომენტები.

ნების განხორციელება იგივეა, რაც ნების ობიექტივირება; ხოლო თუ ქმედება ნების ობიექტივირებაა, ის ამავე დროს ვერ იქნება ობიექტივირებული ნებაც.

ჰ. მაიერის მტკიცებიდან წარმომდგარი ძირითადი სირთულე სწორედ იმაში აისახება, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სუბიექტურ ქმედებად: ნების განხორციელება თუ განხორციელებული ნება?

ნების განხორციელება, მისი მატერიალიზების პროცესი გულისხმობს სუბიექტის არა მხოლოდ ფიზიკურ ქცევას (უშუალოდ სხეულებრივ მოძრაობებს ან სხეულებრივი მოძრაობებისაგან თავის შეკავებას), არამედ აგრეთვე პირდაპირ უკავშირდება მის ფსიქიკურ საქმიანობასაც და, მაშასადამე, ნების განხორციელების სახით ჩვენ მოცემული გვაქვს ფსიქოფიზიკური კატეგორია.

ამავე დროს, ეს ფსიქოფიზიკურობა ჯერ სულაც არ არის საკმარისი ქმედების სისხლისსამართლებრივი ცნების მართებული აგებისათვის, რადგან მასში საერთოდ არ არის წარმოდგენილი საკუთრივ სუბიექტური ნება.

ამიტომაც უეჭველია, რომ ქმედების წარმოდგენა ნების განხორციელებად, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ქმედების ცნებიდან ნებელობითი მომენტის გატანას. *ნების მოქცევა ქმედების ცნების ფარგლებს მიღმა კი არ დაიშვება,* ვინაიდან ქმედება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნივერსალური საფუძველია და ნებისა და ქმედების ცნებათა ურთიერთგანცალკევებით უნებურად უარიყოფა სუბიექტური ნების მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

ამგვარად, ქმედება უნდა განასახიერებდეს არა მხოლოდ ნების განხორციელებას, არამედ ნების განხორციელებისა და ნების ჩამოყალიბების ერთობლიობას. ჩვენი ეს მოსაზრება აშკარად ეწინააღმდეგება ფილოსო-

---

* როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ჰ. მაიერის ნებელობის თეორია არსებითად განსხვავდება ბრალის ფსიქოლოგიურ სწავლებაში წარმოქმნილი ნებელობის თეორიისაგან. ასევე განსხვავდება ის ფონ ბურის, ბირკმეიერისა და ბინდინგის ნებელობითი სწავლებისა და ველცელის იმავე სახელწოდების მოძღვრებისაგან.

ფიაში დამკვიდრებულ სათანადო პოზიციას, მაგრამ ეს უკანასკნელი მცდარია, რაშიც ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ.

ნების განხორციელების ალტერნატიული სახელწოდება თანამედროვე ფილოსოფიაში „ნებელობითი ქმედებაა“, რომელიც უკავშირდება შინაგან — თვით ცალკეულ ინდივიდუუმში მდებარე — და გარეგან — სოციალური და ბუნებრივი გარემოდან რეზულტირებულ — წინააღმდეგობათა დაძლევას.

ნებელობითი ქმედება დაყოფილია ორ დამოუკიდებელ სტადიად: ა) განზრახვის ჩამოყალიბება (აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არასისხლისსამართლებრივი განზრახვა) და გადაწყვეტილების მიღება; ბ) მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება.

ჯერ ერთი, ცნება „ნებელობითი ქმედება“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქმედება შეიძლება იყოს არანებელობითიც, რადგან თუ ქმედების ცნება მოიცავს სუბიექტური ნების ცნებას, მაშინ ქმედება დამატებით ვერ იწოდება ნებელობითად; შესაბამისად, „ნებელობითი ქმედება“ სისხლის სამართალში ისეთივე ალოგიკური ცნებაა, როგორც „სუვერენული სახელმწიფო“ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში ან „ქმედუნარიანი კონტრაგენტი“ სამოქალაქო სამართალში.

მეორეც, ნების განხორციელების ცნებაში საკუთრივ ნების განხორციელებისა („მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება“) და ნების ფორმირების („განზრახვის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება“) უნიფიცირებას არანაირი დასაბუთება არ მოსდევს და არც შეიძლება მოსდევდეს: ამ დეფინიციიდან გარკვევით არ გამომდინარეობს ნების ჩამოყალიბების როგორც ცალკეული სტადიის სრული დამოუკიდებლობა ნების განხორციელებისაგან, კერძოდ იმიტომ, რომ ნების ჩამოყალიბება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იწოდება ნების განხორციელებად, თუმც ამ უკანასკნელთან შესაძლოა არაფერი გააჩნდეს საერთო. უფრო ზუსტად, ნება ფართო გაგებით ხორციელდება უკვე მაშინაც, როდესაც ის სრულყოფილად ჯერ არც კი ჩამოყალიბებულა! ძნელად მისახვდომი არ უნდა იყოს, რომ მოცემული ცნება მსგავსი ორაზროვანი იერით სისხლის სამართალში ვერ გამოიყენება.

ბევრად უფრო შორს არის რეალობისაგან ქმედების პოსტულირება ობიექტივირებულ ნებად. არამართლზომიერი ნება, თუ ის უკვე ობიექტივირებულია, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო შედეგს და არა ქმედებას.

მიუხედავად ჰ. მაიერის მიერ დაშვებული ამ უზუსტობებისა, მისი ნებელობითი თეორია ცალსახად უარყოფით შეფასებას არ იმსახურებს. მართალია, სუბიექტური ნება, როგორც ასეთი, კვლავაც ქმედების ცნების მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ თვით ფაქტი ქმედების განმსაზღვრელ კრიტერიუმად სუბიექტური ნების გამოცხადებისა უსათუოდ პოზიტიური წამოწყებაა.

ჩვენთვის ეს მომენტი ინტერესის საგანს შეადგენს იმდენად, რამდენადაც ჰ. მაიერის დებულება თანაბრად შეეხება ბრალსაც, როგორც დანაშა-

ულებრივი ქმედების კონსტიტუციურ ელემენტს. იმას, თუ რაოდენ არის ასოცირებული ბრალის ცნება ნების ფორმირებასთან, ნების ობიექტივირებასა და ობიექტივირებულ ნებასთან, როგორც ნებელობითი საქმიანობის ცალკეულ სტადიებთან, ჩვენ ქვემოთ ვრცლად მიმოვიხილავთ.

<u>რ. მაიჰოფერი</u>

კაუზალიზმისაგან სრულიად განაცალკევებს სოციალურ თეორიას მისი ყველაზე რადიკალური წარმომადგენელი რ. მაიჰოფერი. მაგრამ ამის შედეგად სოციალურ სწავლებაში შემოიღება ნათლად გამოკვეთილი სუბიექტივისტური პრინციპები. „ქმედების ცნება, — წერს მაიჰოფერი, — აბსოლუტურად უნდა გავმიჯნოთ როგორც კაუზალური დოგმისაგან, ისე ნატურალისტური ხედვის ყველა დანარჩენი გადმონაშთისაგან, იქნება ეს ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური სახის რუდიმენტი: უმთავრესი მათ შორის „სხეულებრივობის“, „ნებისმიერობისა“ და „ნებელობის“ ნიშნებია. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ აღვიქვათ ქმედება არა უბრალოდ როგორც მართლსაწინააღმდეგო ეფექტის (შედეგის) გარეგანი ან შინაგანი გამოწვევა, არამედ როგორც გონებრივი საქმიანობის აქტი და ნაყოფი“.344 ამას მაიჰოფერი აღნიშნავს თავის ცნობილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ქმედების სოციალური ცნება“.

გასაგები მიზეზების გამო მსგავსი მოსაზრება სისხლის სამართლის ლიტერატურაში დადებით გამოძახილს ვერ პოვებდა; მაიჰოფერის წინააღმდეგ მიმართული მრავალი კრიტიკული შენიშვნისაგან ერთ-ერთი ყველაზე ტიპური შემდეგი სახისაა: „მაიჰოფერთან სოციალური მოძღვრება იძენს თავის რეალურ სახეს, მაგრამ ამით მხოლოდ გაესმის ხაზი იმ ზედაპირულობასა და ცალმხრივობას, რომელზედაც ეს მოძღვრება თავიდანვე აიგებოდა. სუბიექტური ქმედება უცილოდ წარმოადგენს გონებრივ საქმიანობას, მაგრამ განა ის ასევე არ წარმოადგენს სხეულებრივისა და სულიერის (das Seelische) სამყაროში მიმდინარე პროცესსაც? ან გამომდინარეობს კი კაუზალური დოგმის უარყოფიდან ის, რომ კაუზალობა საერთოდ შეიძლება უგულებელვყოთ როგორც quantité négligeable? არაფერს ვამბობთ ქმედების არსის შესაცნობად ნებელობის ელემენტის გამორიცხვაზე...“345

არანაკლები კატეგორიულობით გამოირჩევა ჰ. ველცელის მიერ წარმოდგენილი კრიტიკული შეფასება, რომელიც ამტკიცებს, რომ მაიჰოფერის ქმედების ცნება „გადამწყვეტად პერსონალური მომენტის“ (ნების) იგნორირების გამო იმთავითვე განწირულია იწოდებოდეს ქმედების „წინარე-ან ქვესუბიექტურ“ ცნებად“.346

ნებელობის საკითხთან დაკავშირებული ეს შენიშვნები ბოლომდე საფუძვლიანად ვერ მიიჩნევა, რადგან მაიჰოფერი თავადვე უარყოფს თავის პირველად პოზიციას, როდესაც წერს: „ქმედება არის ყოველი ობიექტურად დაუფლებადი ქცევა, მიმართული ობიექტურად განჭვრეტადი სოციალური შედეგისაკენ.“347 ქცევის „დაუფლებადობა“ უთუოდ მეტყველებს მაი-

ჰოფერის მიერ ნებელობის მნიშვნელობის აღიარებაზე. მაგრამ არა მხოლოდ „დაუფლებადობა“, ქცევის „მიმართვაც“ გარკვეული შედეგისაკენ შეუძლებელია ნებელობითი მომენტის გარეშე.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ მაიჰოფერიც და მისი შეხედულებებისადმი კრიტიკულად განწყობილი კრიმინალისტებიც კმაყოფილდებიან ნების ინტუიციური ანალიზით. ამის ლოგიკური შედეგია ნებელობითი კატეგორიის იზოლირება გონებრივი (ინტელექტუალური) და გრძნობითი კატეგორიისაგან.

ფაქტობრივად კი ნება უნდა განისაზღვროს როგორც ფსიქიკურ თვისებათა კომპლექსის ისეთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სუბიექტის ცნობიერ, განსაზღვრული მიზნების მიღწევისაკენ მიმართულ სწრაფვას. აქედან გამომდინარე, ნება სტრუქტურულად შედგება სწორედ ინტელექტუალური და გრძნობითი მომენტების ერთობლიობისაგან.

მართალია, ბრალთან მიმართებაში ჩვენ ცალ-ცალკე გამოვყოფთ მის (ბრალის) ნებელობით და ინტელექტუალურ მხარეს, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებებით გამოწვეული პირობითობაა. რადგან ნება მუდამ მოიცავს მიზანმიმართულების ფაქტორს, ის უცილობლად უნდა გულისხმობდეს მიზნის — თუნდაც მიახლოებით — ცოდნას, რაც ინტელექტუალურ მომენტზე მიგვითითებს როგორც ნების ინტეგრალურ კომპონენტზე.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არასათანადო ყურადღება ეთმობა მაიჰოფერის მტკიცების მეორე ასპექტს — ქმედების ცნებიდან „სხეულებრივობის“ ნიშნის გატანას. ამის შიშველი კონსტატირება, როგორც ეს არტ. კაუფმანთან და ჰ. ველცელთან მოიპოვება, შეუმჩნევლად ტოვებს მოცემული მტკიცებიდან გამომდინარე ფრიად საგულისხმო შედეგებს.

„სხეულებრივობის“ ნიშნის უარყოფით მიიღება არა უბრალოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტივისტური მოდელი, არამედ უარიყოფა დანაშაულის ობიექტური მხარე.

უარყოფს რა დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურ მხარეს, მაიჰოფერი არსებითად აიგივებს ერთმანეთთან ბრალისა და დანაშაულის ცნებებს (თუმც დანაშაულის ცნება სუბიექტურადაც უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ბრალის ცნება, ბრალზე სუბიექტურ მხარეში კონცენტრირებულია უმთავრესი დოგმატურ-სისტემატიკური დატვირთვა და ამიტომ, თუ დანაშაულის ცნებაში მხოლოდ სუბიექტურ მხარეს ვიგულისხმებთ, მივიღებთ ბრალის ცნებასთან დანაშაულის ცნების ფუნქციონალურ შერწყმას, რაც საბოლოო ჯამში მათ შორის პრინციპული ურთიერთგანსხვავების უარყოფას ნიშნავს).

ამას პირდაპირ მოწმობს დანაშაულებრივი ქმედების აღიარება „გონებრივი საქმიანობის აქტად და ნაყოფად.“

ასეთ შემთხვევაში, რათა განვასხვავოთ ბრალი დანაშაულისაგან, ბრალის ცნებას უნდა დაერთოს გარკვეული ობიექტური მომენტი, ე.ი. მომენტი, რომელიც სცილდება გონებრივი საქმიანობის ფარგლებს. მაგრამ მს-

გავსი რამის დაშვებას ბევრად სჯობს ბრალისა და დანაშაულის ურთიერთგანუსხვავებლობა, რამეთუ სწორედ ბრალის აბსოლუტური სუბიექტურობა განაპირობებს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეეხება მექანიზმებსა თუ ბუნების სტიქიურ მოვლენებს.

მაიჰოფერის მიერ ობიექტური მხარის ნეგირება სხვა მხრივაც პირდაპირ აისახება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა უარყოფაში; როგორც უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების ანალიზმა ცხადყო, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა მკაცრად „ობიექტური“ ცნებებია, რის გამოც არ დაიშვება მათი არამცთუ სრული, არამედ ნაწილობრივი სუბიექტივირებაც. და ამდენად, ამ მიმართებითაც შედეგი იგივეა: უარვყოფთ რა ბრალის წინამდებარე ორივე საფეხურს როგორც ობიექტურობის, სხეულებრივობის გამოხატულებას, ვღებულობთ დანაშაულის ერთნიშნა ცნებას ანუ ბრალისა და დანაშაულის იგივეობას.

მაგრამ აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ეს პარადოქსულობით აღსავსე დასკვნა მაიჰოფერის საბოლოო პოზიციას არ ასახავს. ზუსტად ისევე, როგორც ნებელობის საკითხთან დამოკიდებულებაში, მაიჰოფერის უკანასკნელად ციტირებული შეხედულება ფუნდამენტურად გარდასახავს მის საწყის მოსაზრებას, — ქმედება როგორც „ყოველი ობიექტურად დაუფლებადი ქცევა“ სრულყოფილად მოიცავს უკვე არა მხოლოდ სუბიექტურ ნებას, არამედ „სხეულებრივობის“ ნიშანსაც.

მაშასადამე, მაიჰოფერის თავდაპირველი დებულებიდან თავად მაიჰოფერის მეცადინეობითვე არაფერი გვრჩება ხელშესახები. შემდგომი კვლევის შედეგად ის მტკიცედ უბრუნდება ენგიშის მიერ წარმოდგენილ ობიექტური ფინალურობის იდეას და თვლის, რომ თვით „სოციალური შედეგის“ გამოწვევა უნდა განიხილებოდეს ქმედების ცნების შემადგენელ ნაწილად. უკანასკნელი ასპექტი, ამავე დროს, მეტყველებს ენგიშისა და მაიჰოფერის მოსაზრებათა დიფერენცირებულობაზეც, ვინაიდან ენგიში ქმედებას განიხილავს მხოლოდ როგორც „სოციალური შედეგის“ გამოწვევას.

თავისებურად ახასიათებს მაიჰოფერი ქმედების, უმართლობისა და ბრალის ცნებათა ურთიერთმიმართებას. მისი მტკიცებით, ქმედების ცნება იძლევა პასუხს იმაზე, თუ რისი უნარი შესწევს ინდივიდს ზოგადად *(გენერალური თავისუფლება),* უმართლობის ცნება — იმაზე, თუ რისი უნარი შესწევს მსგავს ინდივიდს მსგავს მდგომარეობაში *(სპეციალური [: სოციალური] თავისუფლება),* ხოლო ბრალის ცნებით ირკვევა ის, თუ რა სახისაა კონკრეტული ინდივიდის შესაძლებლობანი *(ინდივიდუალური თავისუფლება).*

ამგვარად, ქმედება, უმართლობა და ბრალი განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც შერაცხვის საფეხურები. თავისი მტკიცებიდან მაიჰოფერი ასკვნის, რომ შეურაცხად პირთა ქცევა „თავისუფალია“ ქმედების ცნების თვალსაზრისით, რამდენადაც ის შეესაბამება გენერალური თავისუფლების მოთხოვნებს, მაგრამ არ არის „თავისუფალი“ ბრალის ცნების თვალ-

საზრისით, რადგან ინდივიდუალური თავისუფლების გამოვლინებად ის ვერ ჩაითვლება.

მოცემული დებულების ჩამოყალიბებისას მაიჰოფერს, როგორც ჩანს, უბრალოდ გამორჩა მხედველობიდან, რომ თავისუფლების ცნება არჩევანის ფსიქიკური შესაძლებლობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაც, როგორც ამ პრინციპის შეუსაბამო, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მის მიერ შემოთავაზებული თავისუფლების პირველი ორი სახე (გენერალური და სოციალური), რაც იმას ნიშნავს, რომ მაიჰოფერის თეზისი, მიუხედავად ფორმალური მოხდენილობისა, შინაარსობრივად ალოგიკურია.

ვ. ზაუერი

სოციალური სწავლების ერთ-ერთ აქტიურ წარმომადგენლად ითვლება ვ. ზაუერიც, რომლისთვისაც ზემოხსენებულ ავტორებთან შედარებით ბრალის პრობლემა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ბრალი, ვ. ზაუერის მიხედვით, არის სოციალურ-ეთიკური დეფექტი (ein sozialethischer Mangel) და შეიცავს გაკიცხვას სოციალურად მნიშვნელოვან მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის. ბრალი აქ ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება და ამიტომ მასში სისხლისსამართლებრივ ბრალთან ერთად მოცემულია ზნეობრივი ბრალიც. მაგრამ სწორედ რომ ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების შეჯერება ბრალის ზნეობრივ ცნებასთან უშუალოდ ადასტურებს ვ. ზაუერის დეფინიციის სიმცდარეს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორ კონტრადიქტორულ მაგალითს: ევთანაზიასა და „არაღირებული“ სიცოცხლის მოსპობას (Vernichtung „lebensunwerten“ Lebens).[0*]

ევთანაზია მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი (როგორც წესი, ექიმი) უმტკივნეულოდ აჩქარებს მომაკვდავი დაზარალებულის სიკვდილს, რათა შეუმსუბუქოს მას სიკვდილისწინა ტანჯვა.

„არაღირებული“ სიცოცხლის მოსპობა კი გამოიხატება ფიზიკურად ჯანსაღი პირის მკვლელობაში, რომელიც უკურნებელი სულიერი დაავადების გამო მიიჩნევა სოციალურად არასრულფასოვან ინდივიდად.

უკანასკნელ მაგალითს რ. მაურახი ასე გვიხასიათებს: „ე.წ. „არაღირებული“ სიცოცხლის მოსპობის უპირობო დაუშვებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სიცოცხლე განიხილება როგორც დასრულებული (შეკრული) ბიოლოგიურ-სოციოლოგიური მთლიანობა ანუ სიცოცხლე წარმოადგენს დაცვის ობიექტს არა მხოლოდ როგორც სოციალური ფუნქციების მატარებელი, არამედ აგრეთვე როგორც ბუნებრივი ფაქტი. ამიტომ სოციალურად არაფასეული, საზოგადოებისათვის ტვირთად ქცეული სიცოცხლეც არანაირ პირობებში არ არის მოკლებული სრულყოფილ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას“.348 როგორც რ. მაურახის შეფასებიდან ჩანს,

*გერმანული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ ქმედებას არ ითვალისწინებს როგორც დანაშაულის დამოუკიდებელ სახეს.

ბრალეულობის საკითხისადმი სისხლისსამართლებრივი მიდგომა ამ შემთხვევაში სრულ შესაბამისობაშია ზოგადზნეობრივ იდეალებთან. ამრიგად, ბრალი, როგორც „სოციალურ-ეთიკური დეფექტი“, „არაღირებული“ სიცოცხლის მოსპობისას არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება.

მაგრამ ევთანაზიის შემთხვევაში ვითარება ძირეულად სხვაგვარია: თუ „არაღირებული“ სიცოცხლის მოსპობის დროს სუბიექტი მოქმედებს მსხვერპლის ნების გაუთვალისწინებლად, ე.ი. მისი ნების საწინააღმდეგოდ, ევთანაზიის დროს დამნაშავის ქმედება სრულიად შეესაბამება დაზარალებულის ნებას, რომელიც ჩვეულებრივ აქტიური ფორმით არის გამოხატული. და აქ სისხლისსამართლებრივ ბრალს უკვე მცირე რამ რჩება საერთო ზნეობრივ ბრალთან.

ის, რომ სუბიექტი მხოლოდ აღასრულებს დაზარალებულის ნებას, სისხლის სამართალში ბრალის შემამსუბუქებელი, ხოლო ზნეობაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ევთანაზიის მაგალითი ერთდროულად შეიცავს „სოციალურ-ეთიკურ დეფექტსაც“ (სისხლისსამართლებრივი ბრალის არსებობის სახით) და „სოციალურ-ეთიკური დეფექტის“ უარყოფასაც (ზნეობრივი ბრალის არარსებობის სახით). ეს აუცილებელს ქმნის ბრალის ერთ-ერთი სახის (ზნეობრივის ან სისხლისსამართლებრივის) განცალკევებას სოციალურ-ეთიკური მომენტისაგან.

სოციალურ-ეთიკური კატეგორია დიდად უფრო ახლოს დგას ზნეობრივ კატეგორიასთან, ვიდრე სისხლისსამართლებრივთან, რის დასტურადაც გამოდგებოდა თუნდაც ის, რომ ევთანაზიაში სოციალურ-ეთიკური თვალსაზრისით ბრალეულობის საფუძველი არ მოიძიება. ამდენად, სავსებით გასაგებია, თუ ბრალის რომელი სახე შეიძლება არ წარმოადგენდეს „სოციალურ-ეთიკურ დეფექტს“.

ბრალის მასშტაბად ვ. ზაუერი განიხილავს იმასვე, რაც მასთან მოიცემა დანაშაულის ობიექტურ მხარეში: *ფორმალურად* — უარყოფითი სამართლებრივი შეფასება; *მატერიალურად* — სოციალური საშიშროება და სოციალური მავნეობა; *სპეციალურად* ნებელობისათვის — სოციალურ-ეთიკური დაგმობითობა („შეუწყნარებლობა“), რაშიც გამოსახულია სამართლებრივი და მორალური გაკიცხვა.

„ფორმალურად, — წერს ვ. ზაუერი, — ბრალი არის არამართლზომიერი მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამომწვევი და მისი თანამდევი, სოციალურ-ეთიკურად დაგმობადი (sozialethisch verwerflich) თავისუფალი ნდომა (das freie Wollen), მიუხედავად უმართლობის ცოდნის ან ცოდნის ვალდებულებისა. მატერიალურად ბრალი წარმოადგენს თავისუფალი ნებელობითი საქმიანობის შედეგად განხორციელებულ კრიმინალურ არაზნეობრიობას, რომელიც საფუძვლად ედება დანაშაულის შემადგენლობის ცალკეულ ტიპებს, ანუ სოციალურ-ეთიკურ მოვალეობის საწინააღმდეგოობას (die sozialethische Pflichtwidrigkeit) უმართლობის ცოდნის ან ცოდნის ვალდებულების მიუხედავად.“349 უწინარეს ყოვლისა, გამოსაყოფია ის, რომ

ვ. ზაუერი გაკიცხვის (დაგმობის) ობიექტად ცნობს სუბიექტურ ნებას და არა ფსიქიკურ დამოკიდებულებას.

როგორც თ. წერეთლის შეხედულებათა მიმოხილვამ ნათელყო, ფსიქიკური დამოკიდებულება, თუ მას არ გავიგებთ ტრადიციულად ან არ გავაიგივებთ სისხლისსამართლებრივ განზრახვასთან, როგორც ეს სჩვევია ნორმატივისტთა უმეტესობას, არ შეიძლება იყოს ნორმატიული გაკიცხვის ობიექტი.

ნება თვით აყალიბებს ქმედებას და მოიპოვება მასში როგორც სუბიექტური მხარის ელემენტთაგანი, რა დროსაც ფსიქიკური დამოკიდებულება წარმოიქმნება ქმედების გამო და არსებობს ქმედების ცნების მიღმა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, საგულისხმოა მხოლოდ ის, რაც უშუალოდ „ქმნის“ დანაშაულებრივ ქმედებას; ყოველივე, რაც ვერ ახდენს მის ჩამოყალიბებაზე ქმედით ზეგავლენას (მათ შორის და უპირველესად ფსიქიკური დამოკიდებულება), სისხლისსამართლებრივად ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან სისხლის სამართალი სჯის დანაშაულის სუბიექტს და არა დანაშაულის სუბიექტის პიროვნებას (დამნაშავის პიროვნებამ შეიძლება ზეიმოქმედოს მარტოოდენ პასუხისმგებლობის სიმძიმეზე).

დანაშაულის სუბიექტის ცნება მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მოიცავს დანაშაულის სუბიექტის პიროვნების ცნება. ინდივიდი, როგორც დანაშაულის სუბიექტი, არსებობს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ამიტომ დანაშაულის სუბიექტის ცნებით არ არის მოცული არც ერთი ნიშანი, რომელიც არ შეადგენს დანაშაულებრივი ქმედების ელემენტს. ვათავსებთ რა ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულებრივი ქმედების ცნების მიღმა, ის გვევლინება არა დანაშაულის სუბიექტის, არამედ დანაშაულის სუბიექტის პიროვნების ნიშნად.

ამის ერთგვარ ანალოგიად შესაძლოა მივიჩნიოთ ბ. ხორნაბუჯელის შემდეგი მითითება: „ვინაიდან დანაშაული დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპთან (მომენტთან, პერიოდთან), დანაშაულებრივად არ უნდა განისაზღვროს „პიროვნება მთლიანად“. პიროვნების ცნება ბევრად უფრო ფართოა პიროვნების მიერ ჩადენილი ქმედების ცნებაზე. რა სიმძიმის დანაშაულიც არ უნდა იქნას ჩადენილი, ის ვერ გადაფარავს მთელ პიროვნებას, ვერ მოგვცემს სრულ და მკაფიო წარმოდგენას მის ინტელექტუალურ (იდეურ), ემოციონალურ და ნებელობით თვისებებზე.“350 თუმც ბ. ხორნაბუჯელი ამით არ განასხვავებს ნებას როგორც დანაშაულის სუბიექტის ნიშანს და ფსიქიკურ დამოკიდებულებას როგორც დანაშაულის სუბიექტის პიროვნების ნიშანს, ის ნათლად გამოკვეთს იმ სხვაობას, რომელსაც ვღებულობთ ინდივიდს როგორც დანაშაულის სუბიექტსა და ინდივიდს როგორც პიროვნებას შორის.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ფსიქიკური დამოკიდებულების გამოცხადებას დანაშაულის სუბიექტურ ელემენტად, ე. ი. მის აღიარებას დანაშაულის სუბიექტის ნიშნად? ამ გადანაცვლების ერთადერთი შედეგი შეიძლება იყოს დანაშაულის ცნებიდან სუბიექტური ნების გამორიცხვა.

იმის გარკვევა, თუ რა აფერხებს დანაშაულის ცნებაში ნებისა და ფსიქიკური დამოკიდებულების ერთდროულ მოცემულობას, მარტივი ამოცანაა.

ზოგიერთ განზრახ და ყოველ გაუფრთხილებელ დანაშაულს ახასიათებს სუბიექტის მიერ თავისი ქმედებისადმი ისეთივე ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორიც ამ ქმედების ნორმატიული შეფასებიდან არის გამომდინარე.

ასე მაგალითად, პირი, რომელიც სჩადის ნებისმიერი სახის გაუფრთხილებელ დანაშაულს, მოქმედებს თავისივე ინტერესების საზიანოდ: ვერ ვიტყვით, რომ მონადირე, რომლის მიერ წინდაუხედავად გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა მისივე შვილი, ძმა ან სხვა ახლო ნათესავი, მოქმედებდა საკუთარი ინტერესების სასიკეთოდ; ამიტომაც მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგებისადმი იქნება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი.

ეს კი ნიშნავს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება შესაძლოა ასახავდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სუბიექტის თვითგაკიცხვას და ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაკიცხვა, ვერ გამოდგება მორიგი (ნორმატიული) გაკიცხვის ობიექტად. ამის უშუალო მიზეზს შეადგენს ის, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება, როგორც თვითგაკიცხვა, უკვე გულისხმობს ქმედების უარყოფას, ხოლო გარეგანი გაკიცხვა მოასწავებს ამ უკვე უარყოფილი ქმედების მორიგ უარყოფას, მაშინ როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ორმაგი უარყოფით შეუძლებელი ხდება მის ბრალეულობაზე მსჯელობა.

ნება, ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, მსგავს სირთულეებს არ გვიქმნის.

სუბიექტს, რომელიც მოქმედებს გაუფრთხილებლად, მართალია, არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ შესწევს უნარი იქონიოს მასზე მიახლოებითი ან სულაც ზუსტი წარმოდგენა. და რადგანაც ნების ცნება გრძნობით მომენტთან ერთად (სურვილი) ინტელექტუალურ მომენტსაც მოიცავს, ის გაუფრთხილებლობის დროსაც ადვილად მოისაზრება გარეგანი გაკიცხვის საფუძვლად.

ამის შედეგად ყალიბდება ნებისა და ფსიქიკური დამოკიდებულების ზემოხსენებული კორელაცია: თუ ნებაც და ფსიქიკური დამოკიდებულებაც დანაშაულის ელემენტია, მაშინ ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ადგილი აქვს სუბიექტის თვითგაკიცხვას, დანაშაულებრივი ქმედება ერთდროულად უნდა იყოს ნორმატიულად გასაკიცხიც (სუბიექტური ნების გამო) და ნორმატიული გაკიცხვის გამომრიცხავიც (უარყოფითი ფსიქიკური დამოკიდებულების გამო).

შესაბამისად, დანაშაულის ცნებაში ფსიქიკური დამოკიდებულების შეტანა გვაიძულებს უარვყოთ ნორმატიული შეფასებისა და მასთან ერთად სუბიექტური ნების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. ამის კვალო-

ბაზე მიღებული ბრალის შინაარსი კი მხოლოდ უკიდურესი ირაციონალურობით თუ შეიძლება გამოირჩეოდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვ. ზაუერი მართებულად მიგვითითებს სუბიექტურ ნებაზე როგორც გარეგანი შეფასების ოპტიმალურ ობიექტზე. მაგრამ აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ამის ზაუერისეული არგუმენტაცია საგრძნობლად განსხვავდება ჩვენ მიერ წარმოდგენილისაგან, რასაც ქვემოთ გარკვევით ვიხილავთ.

მას შემდეგ, რაც ვ. ზაუერი ბრალს ფორმალურად განგვისაზღვრავს როგორც „სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ თავისუფალ ნებას“, ხოლო მატერიალურად — როგორც „კრიმინალურ არაზნეობრიობას“, ის გამოყოფს ბრალის სამ არსებით სისხლისსამართლებრივ ნიშანს: შერაცხადობას (ნების თავისუფლება), განზრახვას (უმართლობის ცოდნა) და გაუფრთხილებლობას (უმართლობის უცოდინარობა ცოდნის ვალდებულების განხორციელებადობისას).

ვ. ზაუერის მტკიცებით, ბრალის ნიშანთა განლაგების ეს თანამიმდევრობა ურყევია და თითოეულ მათგანს ბრალის არსის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც, ვ. ზაუერის თქმითვე, ავტორთა უმეტესობისათვის შეუმჩნეველია.

განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის ძირითად ნიშნებს, ვ. ზაუერი კონკრეტულად უწოდებს „ბრალის ელემენტებს ან ბრალის თანამდევ ფსიქიკურ გარემოებებს.“

„ამიტომ, — განაგრძობს ის თავის მოსაზრებას, — განზრახვა და გაუფრთხილებლობა მცდარად იწოდება ბრალის ფორმებად ან, მით უფრო, ბრალის სახეობებად; ისინი მხოლოდ ბრალის შემადგენელი ნაწილებია. ბრალი არის არა განზრახვა, ე.ი. არა უმართლობის ცოდნა; ბრალი წარმოადგენს სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ (და ა.შ.) ნდომას უმართლობის ცოდნის მიუხედავად.... განზრახვა როგორც ბრალის სახე შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ ატრიბუტულად, მხოლოდ როგორც განზრახი ქმედება ან განზრახი ნდომა და ქცევა.“351 ვ. ზაუერის დებულებიდან გამომდინარე, ტერმინები „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“ არასწორია, რადგან განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ელემენტები და არა ბრალის ფორმები (სახეები), ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

განზრახვის მოხსენიება ქმედების ცნებასთან ატრიბუტულ კავშირში, როგორც ეს უკანასკნელად ციტირებულ წინადადებაში მოიცემა, ხშირი მოვლენაა ზოგიერთი დასავლეთევროპული ქვეყნის სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია). მაგალითად, ინგლისელი კრიმინალისტები თვლიან, რომ განზრახვა იმაზე მეტად არ განსხვავდება სუბიექტური აქტისაგან, ვიდრე სიტყვა როგორც ლექსიკური ერთეული თავისი აზრობრივი მნიშვნელობისაგან. ამის საფუძველზე ბრიტანელი კანონმდებელი განზრახვას ცალკე ახსენებს მხოლოდ ადვერბიალურად („განზრახ“) და არა სუბსტანტივურად („განზრახვა“); მსგავსი პოზიცია, თანახმად ამავე ქვეყნის სისხლისსამართლებრივ ლიტე-

რატურაში გამოთქმული შეხედულებებისა, მიმართულია იმის ჯეროვნად გათავისებისაკენ, რომ საუბარი სუბიექტის განზრახვაზე წარმოადგენს საუბარს მისი აქტის აზრობრივ მნიშვნელობაზე და არა გარკვეულ „სეპარატულ გონებრივ პროცესზე.“

განავრცობს რა განზრახვის პრობლემას, ვ. ზაუერი წერს: „განზრახვის როგორც უმართლობის ცოდნის დეფინირებიდან ვასკვნით, რომ შეცდომა (იურიდიულიც და ფაქტობრივიც) განზრახვის ცნების უკუპროპორციული ცნებაა. შეცდომა არის არა ბრალის გამომრიცხველი გარემოება, არამედ მხოლოდ განზრახვის გამორიცხვა; შემდგომ შესაძლებელია დადგეს გაუფრთხილებლობის საკითხი ან ქმედება დარჩეს არაბრალეულად.“352 თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სისხლისსამართლებრივი შეცდომა ეწოდება სუბიექტის მცდარ წარმოდგენას ქმედების იურიდიული და ფაქტობრივი თვისებებისა და ამ ქმედების შედეგების შესახებ, ცხადიყოფა, რომ შეცდომით გამოირიცხება მხოლოდ განზრახვა და არა ბრალი, ვინაიდან „მცდარი წარმოდგენა“ სუბიექტს შეიძლება შეექმნას როგორც საპატიო, ისე არასაპატიო მიზეზთა გამო.

მხოლოდ იმიტომ, რომ მიზეზი არასაპატიოა, ჩვენ ვერ უარვყოფთ შეცდომის მოცემულობას, რამეთუ ამ შემთხვევაშიც სახეზეა „სუბიექტის მცდარი წარმოდგენა ქმედების იურიდიული და ფაქტობრივი თვისებებისა და ამ ქმედების შედეგების შესახებ,“ რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

იმისდა მიხედვით, შეცდომის მიზეზი საპატიოა თუ არა, ქმედება შესაძლოა დაკვალიფიცირდეს შესაბამისად როგორც გაუფრთხილებელი ან არაბრალეული.

მაგრამ ვ. ზაუერი ცდება, როდესაც მოცემულ დასკვნას განიხილავს როგორც განზრახვის „უმართლობის ცოდნად“ განსაზღვრის შედეგს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლ. 122-4) ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის პირი, რომელიც სჩადის ქმედებას, ნებადართულს ან სავალდებულოს ამა თუ იმ ნორმატიული აქტის ძალით; სისხლისსამართლებრივად დასჯადი არ არის პირი, რომელიც სჩადის ქმედებას, ნაბრძანებს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ, თუ ბრძანება არ ატარებს აშკარად უკანონო ხასიათს (manifestement illégal).“353 მსგავსი კონსტრუქციის მუხლები ხშირად წარმოადგენს შეცდომის საფუძველს. როგორც მოცემული მუხლის ბოლო პუნქტიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს კომპეტენტური ორგანოს არა ყოველი უკანონო განკარგულების შესრულება, არამედ მხოლოდ ისეთისა, რომლის არამართლზომიერებაც აშკარაა. ამრიგად, სუბიექტის ცოდნა განკარგულებისა თუ ბრძანების უკანონობის შესახებ არ კმარა, მან ისიც უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს უკანონობა აშკარა.

შეცდომა, რომელიც გამოიხატება ამ მომენტის არასათანადო დადგენაში, მიგვითითებს არა მხოლოდ სუბიექტის მცდარ წარმოდგენაზე თავისი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის შესახებ, არამედ იმაზეც, რომ მას არ სურს მოცემული შედეგი როგორც მართლსაწინააღმდე-

გო და არც შეგნებულად უშვებს მისი ამ სახით დადგომის შესაძლებლობას (სუბიექტს სურვილი, როგორც ასეთი, შესაძლებელია ჰქონდეს, მაგრამ სისხლისსამართლებრივად ეს უმნიშვნელოა, რადგანაც ინტელექტუალური გაურკვევლობის პირობებში ის გარეგან გამოვლინებას არ პოვებს).

ამასთანავე, აქაც, მიუხედავად იმისა, რომ განზრახვა წარმოდგენილია როგორც ორნიშნა ცნება (ე.ი. როგორც ნებელობითი და ინტელექტუალური ნიშნების მომცველი), მისი გამორიცხვით ბრალეულობის საკითხი საბოლოოდ გარკვეულად ვერ ჩაითვლება; შეცდომის ხასიათის — მისატევებლობისა თუ მიუტევებლობის — დადგენამდე ვერც აქ შეიტყობა, თუ რას ვღებულობთ განზრახვის უარყოფით: თვითიმედოვნებას, დაუდევრობას თუ კაზუსს (შემთხვევას).

ვ. ზაუერის მიერ დაშვებული უზუსტობა მდგომარეობს იმაში, რომ ის, მცდარად წარმოიდგენს რა ნებელობასთან ინტელექტუალური ელემენტის ურთიერთობას, შესაძლებლად მიიჩნევს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მხოლოდ ინტელექტუალური ნიშნის მიხედვით განსხვავებას.

იმავე მიზეზით ვ. ზაუერი არ ითვალისწინებს, რომ განზრახვის კლასიკურ ცნებაში ნეგატიური ინტელექტუალური გარკვეულობა უცილობლად იწვევს მის ნეგატიურ ნებელობით გარკვეულობას.

გარდა ამისა, თუ განზრახვაში მხოლოდ უმართლობის ცოდნას ვიგულისხმებთ, როგორც ამას ვ. ზაუერთან აქვს ადგილი, იძულებული ვხდებით განზრახვისა და უმართლობის შეგნების ცნებათა იგივეობა ვაღიაროთ.

მაგრამ უმთავრესი, რაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არის ის, რომ შეცდომა, როგორც განზრახვის და არა ბრალის გამომრიცხველი გარემოება, მიიღება მაშინაც, როდესაც განზრახვა განისაზღვრება როგორც უმართლობის ცოდნა და ნდომა (სურვილი ან შეგნებული დაშვება) ერთად აღებული.

ხოლო რაც შეეხება შეცდომის მიმართებას განზრახვის ტრადიციულ ცნებასთან, აქ ვითარება მკვეთრად საპირისპირო ხასიათისაა. მართალია, განზრახვის ცნების ტრადიციულ დეფინიციაში პირდაპირ აღინიშნება, რომ სისხლისსამართლებრივი განზრახვით მოქმედ სუბიექტს მოეპოვება მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და ნდომა, მაგრამ მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და ნდომა სხვა რამ არის, ვიდრე შედეგის მართლწინააღმდეგობის ცოდნა და ნდომა. სავსებით შესაძლებელია, რომ პირი იმგვარად ითვალისწინებდეს და სურდეს ან შეგნებულად უშვებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომ არც ითვალისწინებდეს და არც სურდეს ან შეგნებულად უშვებდეს ამ შედეგის მართლწინააღმდეგობას.

მაშასადამე, განზრახვის ტრადიციული შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ შეცდომა საერთოდ არ გამორიცხავს სისხილსსამარ-თლებრივ განზრახვას. ამის შედეგად კი გამოდის, რომ თუ ზაუერთან შეცდომა

გამორიცხავდა განზრახვას ბრალის გამორიცხვის გარეშე, აქ შეცდომამ შესაძლებელია გამორიცხოს ბრალი განზრახვის გამორიცხვის გარეშე.

მართლაც, როდესაც შეცდომა საპატიოა (ე. ი. როდესაც სუბიექტს არ შეეძლო დაეძლია მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა), ბრალის მოუცემლობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაშინ როდესაც განზრახვა, ტრადიციული გაგებით, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, აქ სულაც არ გამოირიცხება. აქედან კი მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: განზრახვისა და შეცდომის ტრადიციულ ცნებათა ურთიერთობიდან გამომდინარე, გაბატონებულ მოძღვრებაში განზრახვის არსებობა საკმარისი არ არის სუბიექტური ქმედების ბრალეულად აღიარებისათვის.

მოწმობს თუ არა ეს გაბატონებული მოძღვრების წინააღმდეგობრიობას? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაბატონებულ მოძღვრებაში განზრახვა ბრალის ფორმაა, არ უნდა საჭიროებდეს არავითარ მტკიცებას, ის, რომ სახეზეა სრული ალოგიკურობა, რადგან თუ მოიცემა განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, ლოგიკურად დაუშვებელია, რომ არ მოიცემოდეს ასევე თვით ბრალიც: ფორმა ხომ ამა თუ იმ სისტემის (მოცემულ შემთხვევაში ბრალის ცნების) ორგანიზაციისა და სტრუქტურის აღწერილობას ნიშნავს.

ვ. ზაუერი განასხვავებს „ბრალის წმინდა ტიპებსა“ და „ბრალის შერეულ ტიპებს.“ მისივე მტკიცებით, სისხლისსამართლებრივი ბრალი მუდამ პოვებს თავის გამოვლინებას თუნდაც ერთი რომელიმე ნიშნის სახით; ამიტომ(?), დაასკვნის ვ. ზაუერი, ეს ნიშნები არის ბრალის ცნების არა უბრალოდ ელემენტები (შემადგენელი ნაწილები), არამედ ტიპობრივი მახასიათებლები, ბრალის ტიპირების ასპექტები ისევე, როგორც ცალკეული დანაშაულის შემადგენლობანი და გამამართლებელი გარემოებანი უმართლობის ტიპობრივ გამოსახულებებად არის ცნობილი.

მაგრამ თუ უმართლობის ტიპის მხოლოდ ეს ორი სახე არსებობს, ბრალთან მიმართებაში ვ. ზაუერი გამოყოფს ხუთ შემდეგ სახეს (როგორც „ბრალის წმინდა ტიპებს“): 1) ბრალის წინამძღვრები (მაგ., შერაცხადობა); 2) ბრალის დამამძიმებელი გარემოებები (მაგ., დანაშაულის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობათა გამოყენებით); 3) ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებები (მაგ., ნათესაური კავშირი); 4) ბრალის გამომრიცხველი გარემოებები (მაგ., აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება კეთილსინდისიერი დაბნეულობით); 5) ბრალის გამაუქმებელი გარემოებები (Schuldaufhebungsgründe), მაგ., დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევაში ან ქმედითი მონანიება).

ამასთანავე, ვ. ზაუერს მოაქვს სამი შემდეგი „ბრალის შერეული ტიპი“: 1) ბრალის განვითარების ნიშანთა ტიპობრივი გამოხატულებანი: მიზნები, მოტივები; 2) ტიპები სუბიექტური საშიშროებისათვის (ბრალის ქრონიკული ტიპები): რეციდივი, დანაშაულებრივი საქმიანობა როგორც ჩვეულება;

3) პიროვნული თვისებები და ურთიერთობები (მაგ., სახელმწიფო მოხელე და ჯარისკაცი).

აღსანიშნავია, რომ ვ. ზაუერის ეს კონცეფცია მცირედაც არ ესატყვისება სინამდვილეს. მისი პოზიციის თანახმად, გარემოება, რომელიც გამორიცხავს ბრალს, უნდა წარმოადგენდეს ბრალის ნიშანს და განასახიერებდეს ბრალის ცალკეულ ტიპს! ბრალის გამომრიცხველი გარემოება თუნდაც იმიტომ ვერ იქნება ბრალის ცნების ნიშანი, რომ ეს პირველი თავისი არსებობით მიუთითებს ამ უკანასკნელის არარსებობაზე.

ორმაგად მცდარია უმართლობის ტიპებთან დაკავშირებით მოტანილი ანალოგია. კანონმდებელი ნორმატიულად აღგვიწერს უმართლობის იმდენ ტიპს, რამდენი სახის დანაშაულის შემადგენლობაც მოიპოვება სისხლის სამართლის კანონში, ხოლო ბრალი უმართლობის ამ ტიპების მიმართ ხასიათდება სახეობითი სტაბილურობით, ე.ი. ზოგადობით (გამონაკლისს შეადგენენ ისეთი სახის დანაშაულის შემცველი მუხლები, რომლის ჩადენაც შესაძლებელია მხოლოდ განზრახ ან მხოლოდ გაუფრთხილებლობით).

ამიტომაც ბრალის ტიპირების პროცესთან არაფერი შეიძლება აკავშირებდეს უმართლობის ტიპირების პრინციპს.

დადებითად უნდა შეფასდეს ვ. ზაუერის მცდელობა, რომელიც მიმართულია ბრალის ცნების როგორც უკიდურესი ფსიქოლოგირების, ისე უკიდურესი ნორმატივირების უარყოფისაკენ. ამის შესახებ ის შენიშნავს: „როდესაც ბრალი თავისი სპეციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, ქმედებასა და კაუზალობას, მეორე მხრივ კი, მართლწინააღმდეგობას, მას თავდაპირველად აღიქვამდნენ *წმინდად ფსიქოლოგიურად* როგორც დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას თავისი ქმედებისადმი ((ცოდნა და ნდომა), — ამას ამტკიცებდა ჯერ ფონ ლისტიც), ხოლო შემდგომ — ასევე ცალმხრივად — *წმინდად ნორმატიულად* როგორც ბრალეულობის შესახებ მსჯელობას, როგორც გაკიცხვას... სისხლისსამართლებრივი ბრალი თანაგვარად უნდა პასუხობდეს ფსიქოლოგიურ-ბუნებრივ და ნორმატიულ-ლოგიკურ მოთხოვნებს. ამ მხრივ ჭეშმარიტებას ყველაზე უფრო მეტად უახლოვდება მ.ე. მაიერის „მოტივაციის თეორია“, რომლის მიხედვითაც ბრალი წარმოადგენს შემცდარ მოტივაციას („fehlerhafte Motivation“); თუმც ეს თეორიაც თავისი არსით ფორმალურია და ვერ ესადაგება ვერც გაუფრთხილებლობას და ვერც ქრონიკულ კრიმინალურობას“.354 აქედან მოკიდებული, ვ. ზაუერი მთელი პრინციპულობით ავითარებს „ქრონიკული ბრალის“ იდეას, რომელსაც ის წარმოგვიდგენს როგორც „ცალკეული ქმედებით დაფუძნებულ ბრალთა“ (Einzeltatschuld) სიმრავლის სეკუნდარულ ფორმას.

კვლევის შედეგად ვ. ზაუერი ასკვნის, რომ ბრალის ახალი სახე უნდა იწოდებოდეს არა უბრალოდ ქრონიკულ, არამედ ქრონიკულ-ტენდენციურ ბრალად, რამეთუ მხოლოდ პოტენციებს ის საკმარისად არ მიიჩნევს და საჭიროდ თვლის მათთვის (აქტიური) ტენდენციების დართვას.

ჩვენი აზრით, ქრონიკულ-ტენდენციური ბრალის აღიარება ბრალის პრინციპის უხეში ხელყოფაა. სისხლის სამართალში ბრალეულობის საკითხი შესაძლოა ასოცირდებოდეს მხოლოდ კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევასთან და ისიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში. ამიტომ ბრალის „ქრონიკულობა“ და „ტენდენციურობა“ უფრო კრიმინოლოგიურად, ვიდრე სისხლისსამართლებრივად მისაღები ცნებებია.

ე.ა. ვოლფი

ნაწილობრივ სოციალურ სწავლებას წარმოგვიდგენს ე.ა. ვოლფი, რომელიც ამგვარად გამოხატავს თავის პოზიციას: „ქმედება არის *პიროვნების* გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული სინამდვილე. გადამწყვეტ ნიშნად, რომლითაც სუბიექტი გამოირჩევა ერთიანი სუბინდივიდუალური სამყაროსაგან, გვევლინება მისი *პიროვნულობა* (Personhaftigkeit). პიროვნულობა ნიშნავს გონებრივი თვითშეგნების უნარსა და აქედან პროდუცირებულ თვითგანკარგვას: უნარს, პოტენციას, ფარულ მიდრეკილებას გონებრივი თვითგანკარგვისა, არა აუცილებლად მის ფაქტობრივ მოცემულობას; მცირეწლოვანიც და სულით ავადმყოფიც პიროვნებაა... პიროვნულობა, უმთავრეს ყოვლისა, მოასწავებს იმას, რომ ინდივიდი წარმოადგენს პასუხისმგებელ არსებას. და მხოლოდ იმიტომ, რომ სუბიექტი პიროვნებაა, მას შესწევს უნარი იმოქმედოს.“355 ვგონებთ, ე. ა. ვოლფის ამ მტკიცების წინააღმდეგობრიობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

თუ ყოველი მცირეწლოვანი და სულით ავადმყოფი პიროვნებაა, ხოლო ყოველი პიროვნება — „პასუხისმგებელი არსება,“ მაშინ რა განაპირობებს მცირეწლოვანისა და სულით ავადმყოფის სისხლისსამართლებრივ შეურაცხადობას? ასეთ შემთხვევაში უნდა უარვყოთ პიროვნებისა და „პასუხისმგებელი არსების“ ცნებათა იგივეობა ან მცირეწლოვანთა და სულით ავადმყოფთა პიროვნულობა. საამისოდ კი აუცილებელია დადგინდეს, თუ რას ნიშნავს პიროვნება და განისაზღვრება თუ არა ეს ცნება მართებულად ე. ა. ვოლფის მიერ.

დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ე. ა. ვოლფი მცირეწლოვანთა და სულით ავადმყოფთა მაგალითზე თვითნებურად, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე აიგივებს ერთმანეთთან „პიროვნებისა“ და „ინდივიდუუმის“ ცნებებს.

მცირეწლოვანიც და სულით ავადმყოფიც ელემენტარული ფილოსოფიური კანონების შესაბამისად და ე.ა. ვოლფის დებულების საწინააღმდეგოდ არის *არა პიროვნება, არამედ სწორედ ინდივიდუუმი,* რომელიც გულისხმობს ყოველ პირს, მიუხედავად იმისა, აქვს მას „გონებრივი თვითგანკარგვის“ აქტუალური თუ პოტენციური უნარი.

პიროვნების ცნება, ინდივიდუუმის ცნებისაგან განსხვავებით, მიგვანიშნებს სუბიექტის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იმ სოციალური მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულ პოლიტიკურ, კულტურულ-გონებრივ და მორალურ თვისებებზე, რომელთაგანაც ეს როლი შედგება.

მაშასადამე, პიროვნების ფილოსოფიური ცნება ვრცელდება სუბიექტთა მხოლოდ იმ კატეგორიაზე, რომელიც თავისი პოლიტიკური, გონებრივ-კულტურული და ზნეობრივი საქმიანობით ქმედითად ზემოქმედებს საზოგადოებრივ განვითარებაზე ან რომელსაც მოეპოვება ასეთი საქმიანობის რეალური ფსიქოლოგიური შესაძლებლობა.

როგორც ვხედავთ, ე. ა. ვოლფის მიერ ნახსენები „გონებრივი თვითგანკარგვის ფარული მიდრეკილება“ საკმარისი არ არის სუბიექტის პიროვნებად აღიარებისათვის.

ამისდა კვალად, უარსაყოფია მცირეწლოვანთა და სულით ავადმყოფთა „პიროვნულობა“ და არა ის, რომ ყოველი პიროვნება წარმოადგენს „პასუხისმგებელ არსებას“.

გარდა ამისა, ე. ა. ვოლფი, მსგავსად სოციალური თეორიის სხვა წარმომადგენლებისა, პიროვნების ცნებას მიმოიხილავს მხოლოდ გონებრივ ასპექტში და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად წარმოიდგენს ქმედებას მხოლოდ როგორც ფსიქოლოგიურ აქტს.

ეს ცხადად არის გამოვლენილი ე. ა. ვოლფის ზემოციტირებული თვალთახედვის თავშიც, სადაც ქმედება განიმარტება როგორც „პიროვნების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული სინამდვილე“: ავტორი „თავს იკავებს“ იმის კონკრეტიზებისაგან, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ სინამდვილის ჩამოყალიბებაში სუბიექტს როგორც სხეულებრივ არსებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სოციალური სწავლება ინტენსიური განვითარების შედეგად არა მხოლოდ განთავისუფლდა ნატურალისტური მოძღვრების ზეგავლენისაგან, არამედ მკვეთრადაც დაუპირისპირდა მას როგორც ყოველგვარი სხეულებრივობის უარმყოფელი სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობა.

§5. ფინალური მოძღვრება

ნ. ჰარტმანის ონტოლოგია

ფინალური მოძღვრების თავიდათავ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს „ცნობიერი ნება“ (der bewußte Wille), რომელიც შესაძლებლობას აძლევს სუბიექტს, მიაღწიოს დასახულ მიზანს სათანადო კაუზალურ საშუალებათა (ხერხთა) გამოყენებით. ფინალურობა, — წერდა განსახილველი თეორიის დამაარსებელი ჰ. ველცელი, — არის მხოლოდ მიზანმიმართული სუბიექტური ნება.

ამასთანავე, ფინალიზმის სასურველ ჭრილში გასაშუქებლად მის ანალიზს უნდა შევუდგეთ არა ჰ. ველცელის, არამედ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის ნ. ჰარტმანის შეხედულებებიდან.

ამ პირველმა მხოლოდ ფორმალური განვრცობის შემდგომ გადმოიღო სისხლის სამართალში ის, რაც ფილოსოფიის სფეროში სუბიექტური ფინალურობის სახით დაამკვიდრა ონტოლოგისტმა ნ. ჰარტმანმა.

თავის ნაშრომში „თელეოლოგიური აზროვნება“ ნ. ჰარტმანი, ილაშქრებს რა „თითქოსდა არაცნობიერი მიზნობრივი საქმიანობის“ წინააღმდეგ, ფინალურობას აღგვიწერს როგორც ცნობიერების კატეგორიას და ქმედების ცნებაში გამოყოფს მის სამ შემადგენელ აქტს: 1) გონებაში მიზნის დასახვა დროის დინების დაძლევით, როგორც მომავლის ანტიციპაცია (განჭვრეტა); 2) გონებაში ხერხთა შერჩევა დასახული მიზნის მისაღწევად (შებრუნებული დეტერმინაცია); 3) დასახული მიზნის რეალიზება შერჩეულ ხერხთა გამოყენებით — გონების მიღმა მიმდინარე პროცესი.356

კაუზალური მოძღვრების საპირისპიროდ, ნ. ჰარტმანი ქმედებას განიხილავს როგორც ამ სამივე აქტის განუყოფელ ერთობლიობას და არა მხოლოდ როგორც მესამე აქტს.

მოცემულ დებულებას ზუსტად შეესაბამება ნ. ჰარტმანის მიერ თავის სხვა ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნაც: „ფინალურობა არის დეტერმინაციის ისეთი ფორმა, რომელიც მოიცავს მარტოოდენ ცნობიერი საქმიანობის სამყაროს, მათ შორის ზნეობრივ ნდომასა და ქცევას. ამდენად, ის წარმოადგენს ადამიანური ფსიქიკის პრივილეგიას.“357

როდესაც ნ. ჰარტმანს ქმედების ცნებაში შემოაქვს მიზნის ელემენტი, ის ეყრდნობა გერმანულ ფილოსოფიაში მიღებულ მიზნის არა ორივე სახეს (Zweck und Ziel), არამედ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს (Zweck). გერმანელი კრიმინალისტები (როგორც ფინალური მოძღვრების წარმომადგენლები, ისე ფინალიზმის კრიტიკოსები) ამ გარემოებას უგულისყუროდ ტოვებენ და არ ერიდებიან მიზნის ორივე სახის პარალელურ მოხსენიებას. ჩვენი აზრით, ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნ. ჰარტმანის კონცეფციის დამახინჯებულ აღქმას, რადგან იმისდა მიხედვით, თუ მიზნის რომელ სახეს ვანიჭებთ პრიორიტეტულ მნიშვნელობას ქმედების ცნებისათვის, ეს უკანასკნელი იძენს პრინციპულად სხვადასხვაგვარ ხასიათს.

ამიტომაც აუცილებელია მათი მკვეთრი დიფერენცირება (Zweck≠Ziel). განსხვავების სპეციფიკის გათვალისწინებით ერთ-ერთ მათგანს შეიძლება ეწოდოს მარტივი (das Ziel), ხოლო მეორეს — რთული (der Zweck) მიზანი.

მიზნის პირველი სახე წარმოგვიდგება როგორც მატერიალურ სისტემათა სასურველი და მომავალში რეალურად შესაძლო მდგომარეობის იდეური ანტიციპირება, რომელსაც ახასიათებს ორნიშნა ურთიერთობა „ინდივიდუუმი — მარტივი მიზანი“ („Individuum-Ziel“).

რთული მიზანი ამის საპირისპიროდ დამოკიდებულია სუბიექტის განზრახვაზე, გამოიყენოს განსაზღვრული ხერხები (საშუალებები) და შეასრულოს განსაზღვრული მოქმედებანი დასახული მიზნის განსახორციელებლად, ე.ი. აქ მოცემულია უკვე სამნიშნა ურთიერთობა „ინდივიდუუმი —

ხერხი, მოქმედება — რთული მიზანი“ („Individuum — Mittel bzw. Handlung — Zweck“).

საერთო რთულ და მარტივ მიზნებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი რთული მიზანი იმავე დროს მარტივი მიზანია, რომელიც უნდა განხორციელდეს, და ყოველი მარტივი მიზანი იქცევა რთულ მიზნად, როგორც კი ის გახდება ცნობიერი განზრახვისა და გარკვეულ ხერხთა გამოყენების ობიექტად.

ხოლო დიფერენცირების ძირითად საფუძველს შეადგენს ამავე მსგავსების ელემენტთა უკუფარდობა: რთული მიზანი მუდამ დამოკიდებულია ხერხზე, რომლის მეოხებითაც ის ხორციელდება, მაშინ როდესაც მარტივი მიზანი შეიძლება განისაზღვროს მისი რეალიზებისათვის აუცილებელ ხერხთაგან დამოუკიდებლად.

ამ შედარებებიდან, ვფიქრობთ, გარკვევით გამომდინარეობს ქმედების ფინალურ ცნებაში მიზნის მოცემულ სახეთა ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობა, თუმც ორივე მათგანი, წარმოადგენს რა სპეციფიკურად ადამიანურ ფენომენს, გონებრივი საქმიანობის ნაყოფია.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს ნ. ჰარტმანის მიერ ქმედების ცნებისათვის არა ზოგადად მიზნის, არამედ მისი ნაირსახეობის (der Zweck) მნიშვნელობის აღიარებას. ამიტომაც ცდება ყოველი კრიმინალისტი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ქმედების ფინალურ ცნებაში მიზნის ზემოგანხილულ სახეთა პარალელური მნიშვნელობით მოხსენიებას.

ნ. ჰარტმანის თეორიის დამკვიდრებას სისხლის სამართალში წინ დიდი წინააღმდეგობები უძღოდა. მაგალითად, ვ. ლეფერენცი, მიუღებლად თვლის რა სუბიექტურ-ფინალური დოგმის მეტისმეტ რაციონალურობასა და ინტელექტუალურობას, წერს: „ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს ქმედების ფსიქოლოგია, რომელიც შორს არის სინამდვილისაგან და რომლის შესაბამება ამჟამინდელ ფსიქოლოგიურ მიღწევებთან შეუძლებელია. თუ გავიზიარებთ ჰარტმანის შეხედულებებს, დანაშაულის სუბიექტი მხოლოდ მას შემდეგ იღებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას, რაც ის განჭვრეტს და წინასწარ გაიაზრებს ამ ქმედებას, მისგან გამომდინარე შედეგებსა და მისი განხორციელების ხერხებს. სწორედ ასე წარმოიდგენს ჰარტმანი ე.წ. გონიერ ინდივიდს, მაგრამ სინამდვილეში ის ყოველთვის როდი მოქმედებს „ფინალურად““.358

თავისი მოსაზრების სასარგებლოდ ლეფერენცს მოაქვს მაგალითი, რომელშიც სუბიექტი ერთდროულად ასრულებს განზრახ და თავისთავად, არაგანზრახ მოქმედებას (სხვა პირთან სეირნობა და მასთან საუბარი).

უდავოა, რომ ლეფერენცის შენიშვნა სამართლიანია, რადგან, თანამედროვე ფსიქოლოგიის თანახმად, ინდივიდს ძალუძს იმოქმედოს არა მხოლოდ ცნობიერად, არამედ ქვეცნობიერადაც (შესაბამისად საუბარი იქნება ცნობიერი, ხოლო სეირნობა ქვეცნობიერი მოქმედება).

ამიტომ, როგორც მართებულად განაგრძობს ლეფერენცი, კაუზალური მიმდინარეობის ფინალური ზედეტერმინირება (Überdetermination) მუდამ

როდი მოითხოვს თავის წინაპირობად „აქტიურ, ნათელ გონებრივ საქმიანობას“.

ის, ვინც მოქმედებს ქვეცნობიერად, არ შეიძლება მოქმედებდეს განზრახ, ვინაიდან ქვეცნობიერი მოქმედებისას სუბიექტს არ გააჩნია ცხადი, გააზრებული წარმოდგენა ქმედებასა და შედეგზე, რაც განზრახვის ცნებისაგან ვერ განიყოფა. ამის მიხედვით, ქმედების არსებობა ისევე დაიშვება განზრახვის გარეშე, როგორც განზრახვისა — ქმედების გარეშე.

მაგრამ ეს დასკვნა არც იმას მოასწავებს, თითქოს ინდივიდს საერთოდ არ ძალუძს ერთზე მეტი განზრახი მოქმედების ერთდროული განხორციელება.

მაგალითად, სუბიექტი ერთდროულად შესაძლებელია აყენებდეს ერთ პირს ფიზიკურ, ხოლო მეორეს — სიტყვიერ შეურაცხყოფას და, ამასთანავე, არ აღმოუჩენდეს სათანადო დახმარებას განსაცდელში მყოფ მესამე პირს. ამ შემთხვევაში სახეზეა ერთსა და იმავე დროს ჩადენილი სამი განზრახი დანაშაული.

გამოდის რა ნ. ჰარტმანის სუბიექტური ფინალიზმის წინააღმდეგ, რ. ჰალი ემხრობა ლეფერენცის შენიშვნებს. ამავე დროს, ჰალის მიერ შემოთავაზებულ კრიტიკას ჩვენ კონსტრუქციულს ვერ ვუწოდებთ.

თუ ლეფერენცი ასაბუთებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მნიშვნელობათა ეკვივალენტურობას, ჰალის აზრით, გაუფრთხილებლობა წარმოადგენს ქმედების ცნების პრიორიტეტულ სახეს.

თავის ნაშრომში „გაუფრთხილებლობა განზრახვაში“ ის აღნიშნავს: „არა განზრახვის სიცხადეში, არამედ გაუფრთხილებლობის ბუნდოვანებაში მდგომარეობს სუბიექტური ქცევის არსი, რამეთუ ადამიანი გაუფრთხილებელი არსებაა.“359 ადამიანის მხოლოდ გაუფრთხილებელ არსებად აღიარება ნიშნავს ვამტკიცოთ, რომ ის ნიადაგ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

თანამედროვე ინგლისურ სისხლის სამართალში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომლის თანახმადაც ყოველი სამართალდამრღვევი (უმთავრესად დამნაშავე) საჭიროებს გარკვეულ ფსიქიატრიულ მკურნალობას.

ამ აზრის მომხრენი დამნაშავის ფსიქიკურ გადახრებს ხედავენ იმაში, რომ პირი დანაშაულის ჩადენის წინ ვერ აკეთებს სათანადო არჩევანს მართლზომიერ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა შედეგებს შორის, სახელდობრ მას არ ესმის, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას მისთვის უფრო საზიანო, უფრო არასასურველი შედეგი მოჰყვება, ვიდრე ამ ქმედების ჩადენის სურვილის დაუკმაყოფილებლობას.

ეს არის განზრახვაში გაუფრთხილებლობის ელემენტის შეტანა და ჰალის პოზიციის მნიშვნელოვანი განმტკიცება.

სხვა მხრივ, როგორც ჯ. განის სამართლებრივ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, დამნაშავეთა უმეტესობა დანაშაულის ჩადენისას დარწმუნებულია, რომ შეძლებს აარიდოს თავი მართლმსაჯულებას, რის შედეგადაც ავტორი ასკვნის: „ჩვენ მიერ შესწავლილი მასალები თვალნა-

თლივ მოწმობს, რომ გენერალურად არაფერია საერთო არც ფსიქიკურ მოშლილობასა და დანაშაულს და არც ფსიქიკურ მოშლილობასა და რეციდივიზმს შორის. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ეპილეპტიკური დაავადება, რომლის დროსაც აშკარაა ანტისოციალურ ქცევასა და ცალკეულ ინდივიდთა მოშლილობას შორის კავშირი.“360 მაგრამ ის, რომ დამნაშავეთა უმეტესობა, არ განიცდის რა არავითარ ფსიქიკურ მოშლილობას, დარწმუნებულია (რეპრესიულ) იურიდიულ შედეგთა თავიდან აცილებაში, წარმოადგენს მხოლოდ მორიგ არგუმენტს ჰალის პოზიციის სასარგებლოდ. ამასთან, ჰალის შეხედულებათა სისწორე ამით ჯერ სულაც არ დასტურდება.

განზრახი ქმედება თუმც ხშირად შეიცავს გაუფრთხილებლობის ნიშნებს, მაგრამ არა ყოველთვის. ყოველ იმ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მზად არის დანაშაულის ჩადენისთანავე აღიაროს თავისი ბრალეულობა, ის შეგნებულად უშვებს სასჯელის გარდუვალობას, ე.ი. სურს დანაშაულებრივი ქმედება აუცილებლობით მოსალოდნელი სასჯელის მიუხედავად (ასეთი შეიძლება იყოს განზრახ მკვლელობა შურისძიების მოტივით ან სისხლის აღების ნიადაგზე). და რადგან დამნაშავეს შეგნებული, რეალურად წარმოდგენილი აქვს თავისი ქმედებიდან გამომდინარე ყოველგვარი შედეგი, განზრახვა ამჯერად სრულიად ემიჯნება გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ამდენად, განზრახ ქმედებას ყოველთვის არ ახლავს სუბიექტისათვის გაუთვალისწინებელი შედეგები და ეს უთუოდ საკმარისი საფუძველია, რათა უარვყოთ განზრახვის ცნებაში „გაუფრთხილებელ“ მომენტთა ზოგადობა.

მოცემული დასკვნის შესაბამისად, ჰალის შეხედულებებში მართებულია მარტოოდენ ის, რომ მათში უარიყოფა სუბიექტური ფინალურობა როგორც ქმედების აუცილებელი ნიშანი; ხოლო ამის შედეგად ჩამოყალიბებული დებულება („ადამიანი — გაუფრთხილებელი არსება“) ისევე ცალმხრივი და არარეალურია, როგორც თვით ჰალის მიერ ნეგირებული ნ. ჰარტმანის შეხედულება.

ა. დონა

ჰ. ველცელის მიერ ნ. ჰარტმანის თეორიის სისხლისსამართლებრივ დამუშავებას მნიშვნელოვნად შეუმზადა საფუძველი გრაფ ცუ დონას ორიგინალურმა თვალთახედვამ.

„ფინალური თეორიის წარმომადგენლებს, — აღნიშნავს თ. წერეთელი, — დონას დამსახურებად მიაჩნიათ ის, რომ მან მკვეთრად გამოჰყო განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეფასებითი მსჯელობისაგან, მაგრამ მისი მოძღვრების ნაკლად განიხილავენ იმის დაუსაბუთებლობას, თუ რა ადგილი უჭირავს ბრალის ცნებიდან გამოყოფილ ფსიქიკურ დამოკიდებულებას დანაშაულის სისტემაში“.361 და იქვე მოკლედ გადმოგვცემს მისი მოძღვრების ძირითად მომენტებს: „... დონა დანაშაულის ცნებას ორ მკაფიოდ

განსხვავებულ ნაწილად ჰყოფს: შეფასების ობიექტად და ობიექტის შეფასებად. შეფასების ობიექტს, ა. დონას აზრით, მიეკუთვნება ობიექტური შემადგენლობა (მოქმედება და უმოქმედობა) და სუბიექტური შემადგენლობა (განზრახვა და გაუფრთხილებლობა). ობიექტის შეფასებას კი, ერთი მხრივ, მართლწინააღმდეგობა, ხოლო, მეორე მხრივ — ბრალი. ბრალზე მსჯელობის, ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის დადგენის დროს, საქმე გვაქვს შეფასების შედეგთან, ოღონდ მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობის დროს ვაფასებთ ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ბრალის დადგენისას — სუბიექტურ შემადგენლობას.“362 ამავე პოზიციის ფარგლებში ა. დონა საუბრობს მართლწინააღმდეგობის ნიშნის პირველად მნიშვნელობაზე, რადგან ბრალეულობის საკითხი წამოიჭრება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის არსებობის შედეგად, ე.ი. ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ამასთანავე, ა. დონა აღიარებს ისეთ ქმედებათა ობიექტურ მართლწინააღმდეგობასაც, რომლებიც სუბიექტს ვერ შეერაცხება ბრალეულობის დაუდგენლობის გამო; გაკიცხვის საფუძვლიანობის გარკვევა მხოლოდ მას შემდეგ იძენს თავის მნიშვნელობას, რაც დადგინდება აკრძალვისა თუ ვალდებულების დარღვევა.

„მაშასადამე, — განაგრძობს გრაფ ცუ დონა, — მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დაპირისპირებულობა არ არის იდენტური ობიექტურ (= გარე სამყაროს კუთვნილ) და სუბიექტურ (= ფსიქიკურ) ფაქტორთა დაპირისპირებულობასთან... სხვისი სიცოცხლის მოსპობა მართლსაწინააღმდეგოა, თუ ის არ მოდის შესაბამისობაში სისხლისსამართლებრივ ნორმებთან; მისი ბრალეულად ცნობა კი დამოკიდებულია იმ ურთიერთობებით დაფუძნებულ გარემოებებზე, რომლებიც მოიპოვება დამნაშავესა და დანაშაულებრივ ქმედებას შორის.“363

ეხება რა კონკრეტულად მართლწინააღმდეგობას, ა. დონა აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივად სავალდებულო ქმედება არ შეიძლება იმავ დროს იყოს სისხლისსამართლებრივად აკრძალული ანუ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის შესრულება არასოდეს არის მართლსაწინააღმდეგო.

მაგალითის სახით ა. დონას მოაქვს უკანონო ბრძანების შესრულება: სავალდებულო ბრძანების სისრულეში მოყვანა, როგორც ნორმატიული მოვალეობის განხორციელება, მართლსაწინააღმდეგო არ არის, მაგრამ ბრძანება, რომლის შესრულებაც იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სავალდებულო.

იგივე აღინიშნება ნორმატიულად ნებადართულ ქმედებაზეც: თუ ქმედება სისხლისსამართლებრივად ნებადართულია, ის არ უნდა იყოს პარალელურად სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ობიექტი ანუ სისხლისსამართლებრივი უფლების რეალიზება ყოველგვარ პირობებში მართლზომიერი ქმედებაა. ამიტომ სუბიექტი პასუხს არ აგებს, როდესაც აუცილებელი მოგერიებისას თავდამსხმელის მიმართ გასროლილი ტყვიით იღუპება

მესამე პირი, რადგან მას არ შეიძლება აეკრძალოს აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელება.

აქედან ა. დონა გადადის უშუალოდ ბრალის პრობლემის განხილვაზე და შენიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონი იხსენიებს მხოლოდ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას (ისიც განმარტების, დეფინიციის გარეშე), ბრალზე კი არაფერს ამბობს, რაც მას მიუღებლად მიაჩნია.364

ბრალი გრაფ ცუ დონასთან განიმარტება როგორც ნების მოვალეობის საწინააღმდეგო განსაზღვრა (pflichtwidrige Willensbestimmung).

ბრალის ამგვარი ცნებისადმი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიმართება დონას შემდეგნაირად ესახება: „ბრალისათვის, ე.ი. ნების მოვალეობის საწინააღმდეგო განსაზღვრისათვის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ურთიერთობა იმავე მნიშვნელობისაა, რაც მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთობა მართლწინააღმდეგობის ცნებისათვის.“365 ეს გასაგებიც არის, რადგან, როგორც თ. წერეთლის ზემომოტანილი ციტატიდან ჩანს, ა. დონასთან ბრალი განზრახვისა და გაუფრთხილებლობისაგან შემდგარი სუბიექტური შემადგენლობის, ხოლო მართლწინააღმდეგობა მოქმედებისა და უმოქმედობისაგან შემდგარი ობიექტური შემადგენლობის შეფასებაა.

აქედან გამომდინარე, *ა. დონას მოძღვრებაში განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც (როგორც შეფასების ობიექტი) წარმოადგენს ბრალის (როგორც ობიექტის შეფასების) წინაპირობას, საფუძველს და არა ელემენტს ან, მით უმეტეს, ფორმასა თუ სახეობას.*

ა. დონას მიერ გადადგმული ეს ერთობ გაბედული ნაბიჯი უსათუოდ უნდა ჩაითვალოს ბრალის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად.

ამასთან, რათა ვიყოთ ბოლომდე თანამიმდევრულნი, უნდა შევნიშნოთ, რომ ბრალის ცნებასთან განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ა. დონას მიერ შემოთავაზებული თანაფარდობა არა მხოლოდ ქმნიდა ფინალიზმის ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობებს, არამედ მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა ფინალური მოძღვრების ან სხვა მსგავსი თეორიის აღმოცენებას, რამდენადაც, როგორც თავად ჰ. ველცელი მიუთითებს, ა. დონას მიერ „უთავშესაფროდ დატოვებული“ განზრახვა და გაუფრთხილებლობა საშურად საჭიროებდა დამატებით ანალიზს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრაფ ცუ დონას შეხედულებებმა შეუქცევადად აქცია ბრალის ე.წ. კომპლექსური ცნების (პირველადი ნორმატივისტული კონცეფციის) მსხვრევის პროცესი.

მას შემდეგ, რაც გარკვევით ვიხილეთ ბრალის დონას მიერ ჩამოყალიბებული ცნებისადმი, ერთი მხრივ, მართლწინააღმდეგობის, მეორე მხრივ კი, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დამოკიდებულება, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გრაფ ცუ დონა ნაკლებად ზრუნავდა თავის დებულებათა ლოგიკურ ურთიერთკავშირზე.

როდესაც ის აღნიშნავს, რომ ბრალეულობა დაუშვებელია მართლწინააღმდეგობის გარეშე, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მოცემული მტკიცების მართებულობას სულაც არ ადასტურებს მის მიერ აგებული დანაშაულის სისტემა, უფრო მეტიც, ძირეულად ეწინააღმდეგება მას.

თუ მართლწინააღმდეგობა (ფაქტობრივი) მოქმედებისა და უმოქმედობის, ხოლო ბრალი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შეფასებაა, მაშინ როგორ უნდა დასაბუთდეს ბრალის მართლწინააღმდეგობისაგან დამოკიდებულება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქმედებისა თუ უმოქმედობის დადგენას წინ უსწრებს განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის დადგენა?

შესაძლებელია ისიც, რომ საქმის გარემოებებით დადგინდეს მხოლოდ განზრახვა ან გაუფრთხილებლობა და ვერ იქნეს გარკვეული მოქმედებისა თუ უმოქმედობის არსებობა (მაგალითად, შესაძლოა სუბიექტი არ მალავდეს თავის დანაშაულებრივ განზრახვას, მაგრამ თვით დანაშაულებრივ მოქმედებას სჩადიოდეს ფარულად). ეს კი ნიშნავს სწორედ იმას, რომ ა. დონას მოძღვრების თანახმად, მოცემული ქმედება ბრალეულია, მიუხედავად მისი მართლწინააღმდეგობის დაუდგენლობისა.

Dolus generalis-ის განხილვისას ა. დონა თვითონვე გამოკვეთს ჩვენი შენიშვნის სისწორეს. ის წერს: „*Dolus generalis*-ის დროს გასარკვევია ის, დაიშვება თუ არა ერთიანი განზრახვით მოცულ ქცევად ორი სხვადასხვა მოქმედების გაერთიანება, რომელთაგან მართლსაწინააღმდეგო შედეგს იწვევს არა ის მოქმედება, რომელიც გამიზნული იყო ამ შედეგის გამოსაწვევად, არამედ ის, რომელსაც სუბიექტის დანაშაულებრივი განზრახვა რეალურად არ მოიცავდა. ჩვენ (თუმც არა გარკვეული ორჭოფობის გარეშე) ვიხრებით მოცემულ შემთხვევაში დამთავრებული განზრახი დელიქტის აღიარებისაკენ. აქ ხომ *aberratio ictus*-ის შემთხვევის საპირისპიროდ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლის დადგომასაც ელტვოდა სუბიექტი.“366 გაურკვეველი ჩვენთვის მხოლოდ ის არის, თუ რა განაპირობებს დონას ორჭოფობას, რადგან მისი თეორია ამის საფუძველს არ იძლევა.

პირველი მოქმედების შედეგად, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს დამთავრებულ მცდელობას, ვღებულობთ სუბიექტურ შემადგენლობას და ამით ბრალსაც როგორც სუბიექტური შემადგენლობის შეფასებას; მეორე მოქმედების შედეგად კი მიიღება ობიექტური შემადგენლობის სრულყოფილი სახე და აქედან გამომდინარე მართლწინააღმდეგობა როგორც ობიექტური შემადგენლობის შეფასება.

მაშასადამე, სუბიექტის ქცევაში მოცემულია მართლწინააღმდეგობაც და ბრალიც, რაც საბოლოო ჯამში ორი არადანაშაულებრივი მოქმედების ელემენტებისაგან მესამე დანაშაულებრივი ქმედების სინთეზირებას ნიშნავს, ე. ი. დანაშაულებრივად ვაღიარებთ ქმედებას, რომელიც რეალურად არ არსებობს!

მსგავსი რამ კლასიკური სქემის ფარგლებში დაუშვებელია, ვინაიდან ბრალი ამ შემთხვევაში განასახიერებს არა განზრახვის ან გაუფრთხილებ-

ლობის შეფასებას, არამედ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა მოუცემლობის კომბინაციას; შესაბამისად, ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

ამიტომაც *dolus generalis*-ის შემადგენელი პირველი მოქმედება, რომელიც არ არის მართლსაწინააღმდეგო (ე. ი. რომლითაც სუბიექტმა ვერ შეძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა), ბრალს თავის სტრუქტურულ ელემენტად ვერ მოიცავს.

ხოლო ორი მოქმედებისაგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია მართლსაწინააღმდეგო, მეორე კი არც მართლსაწინააღმდეგოა და არც ბრალეული, ცხადია, დანაშაულებრივ ქმედებას ვერავითარ პირობებში (ვერც აბსტრაქტულად და ვერც, მით უფრო, სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი სახით) ვერ მივიღებთ.

გარდა ყოველივე ამისა, ა. დონას მიერ ბრალის შესახებ გამოთქმული ორი კარდინალური დებულებაც — ბრალი როგორც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შეფასება და ბრალი როგორც ნების მოვალეობის საწინააღმდეგო განსაზღვრა — ურთიერთშეუთავსებელია. ნების მოვალეობის საწინააღმდეგო განსაზღვრა შეიძლება იყოს თვით განზრახვა და გაუფრთხილებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელთა შეფასებასთან ამ პირველს უკვე არაფერი აკავშირებს.

ეხება რა ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებას, ა. დონა ჩვეული ნორმატივისტული სულისკვეთებით შენიშნავს: „დანაშაულის ცნებისათვის დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედებისადმი არსებით ნიშანს არ წარმოადგენს, რადგან გაუფრთხილებელი დელიქტები მას სრულიად მოკლებულია... გაუფრთხილებლობის დროსაც დანაშაულებრივი ქმედებისადმი დამნაშავის რამეგვარად მოდელირებული ფსიქიკური დამოკიდებულების აღმოჩენისა და ამით ფსიქიკური დამოკიდებულების ბრალის ზოგად ნიშნად აღიარების ყოველგვარი მცდელობა უკვე საყოველთაოდ მიიჩნევა როგორც ამაო. ბრალის არსი მდგომარეობს დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის შეფასებაში (ისევე, როგორც მართლწინააღმდეგობის არსად უნდა განვიხილოთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის შეფასება).“367

ფსიქოლოგიზმის ორი ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობიდან კი ა. დონასათვის მიუღებელია ნებელობითი თეორია, რომელსაც ის ამგვარად ახასიათებს: „ნებელობითი თეორია ნებას განიხილავს როგორც დანაშაულებრივი ქმედებისადმი დამნაშავის განმსაზღვრელ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ, ამასთან, იძულებული ხდება ნების შესაბამისად აღიაროს ისეთი შედეგებიც, რომელთა დადგომაც სუბიექტს სინამდვილეში არ სურდა. ნებელობითი თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ისიც, რომ ნებით შეიძლება იყოს მოცული მხოლოდ შედეგი როგორც დამნაშავის მიერ განსახორციელებელი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, რა დროსაც დანაშაულის თანამდევ გარემოებებზე (ნივთის უცხოობა, გაუპატიურებულის ასაკი) ის არ ვრცელდება“.368 ა. დონა თავის ამ შენიშვნაში იმე-

ორებს სხვა არაერთი კრიმინალისტის მიერ დაშვებულ შეცდომას, რომელიც გამოხატულია სურვილის ცნებასთან ნების ცნების გაიგივებაში.

ხოლო ნებისა და დანაშაულის თანამდევ გარემოებათა ურთიერთობის თვალსაზრისით, გრაფ ცუ დონა ცდება იმდენად, რამდენადაც ყოველივე ნებელობითს განიხილავს ყოველივე ინტელექტუალურისაგან იზოლირებულად (ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ნებელობითი თეორია, როგორც ასეთი, არ უნდა წარმოადგენდეს კრიტიკული განხილვის ობიექტს).

ზოგიერთ შემთხვევაში ა. დონას შეხედულებები პრინციპულად ეწინააღმდეგება ფინალისტურ დოგმებს და ამის განსაკუთრებით ნათელ მაგალითად წარმოგვიდგება მიზეზობრიობის საკითხი. „შედეგისათვის პასუხს აგებს არა ყოველი, — მიუთითებს დონა, — არამედ მხოლოდ ის, ვინც ეს შედეგი გამოიწვია.

ამრიგად, ქცევის კაუზალობა შედეგიანი დელიქტებისას პასუხისმგებლობის უპირველესი და აბსოლუტური პირობაა; ამ დებულებიდან გამონაკლისი არ დაიშვება, ე. ი. ის თანასწორად შეეხება ძირითად დამნაშავესაც და თანამონაწილესაც.[0]*

კაუზალურად მოქმედებს მხოლოდ ის, ვინც ქმნის განსაზღვრულ პირობას, ურომლისოდაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ დადგებოდა (*conditio sine qua non*). მაგრამ კაუზალურად არ მოქმედებს ყოველი ცალკეული სუბიექტი, რომელმაც მსგავსი პირობა შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულის სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირში უნდა იმყოფებოდეს არა მხოლოდ ის, ვინც ეს იარაღი გამოიყენა, არამედ მესაჭურვლეც, რომელმაც ეს იარაღი დაამზადა, მესაჭურვლის წინაპრებიც და ასე უსასრულობამდე.“369

თუ თანამონაწილეს შეუძლია „იმოქმედოს კაუზალურად“, ეს იმის მომასწავებელია, რომ კაუზალობა მოიცავს ფინალურობას, ვინაიდან თანამონაწილესა და შედეგს შორის მთავარ შემაკავშირებელ რგოლად გვევლინება „ძირითადი დამნაშავე“ და მისი განზრახვის ფინალურობა.

ჰ. ველცელისთვის და ფინალური მოძღვრების სხვა დანარჩენი წარმომადგენლებისთვისაც მსგავსი რამ მიუღებელია, რადგანაც თითოეულ მათგანთან ფინალურობა კვალიტატურადაც და კვანტიტატურადაც კაუზალობაზე მაღლა მდგომი ცნებაა და ამიტომ კაუზალობა მუდამ განიხილება როგორც ფინალურობით მოცული ნიშანი; თანამონაწილის (წამქეზებლის ან დამხმარის) მოქმედებისაგან მომდინარე კაუზალობა კი არ მოიცავს „ძირითადი დამნაშავის“ განზრახვაში არსებულ ფინალურობას, არამედ წყდება ამ ფინალურობასთან შერწყმით და გზას უთმობს ამ უკანასკნელით მოცულ მორიგ, ახალ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზობრივ პროცესს. სხვაგვარად რომ იყოს, ყაჩაღის ან მკვლელის წამქეზებელი უნდა დაგვესაჯა შესაბამისად ყაჩაღობისათვის ან მკვლელობისათვის და არა ყაჩაღო-

*აქ დონა გულისხმობს რთულ თანამონაწილეობას.

ბისა თუ მკვლელობის ჩასადენად „ძირითადი დამნაშავის“ დაყოლიებისათვის.

ამავე დროს, ა. დონასა და ფინალისტების შეხედულებებს შორის გარკვეული მსგავსება ამ საკითხშიც შეინიშნება, სახელდობრ, უმოქმედობისა და კაუზალობის ურთიერთმიმართების ასპექტში. როდესაც გრაფ ცუ დონა მიზეზობრიობას განსაზღვრავს როგორც „შედეგის გამომწვევი პირობის შექმნას,“ ის პრაქტიკულად არ განასხვავებს ერთმანეთისაგან მიზეზისა და პირობის მნიშვნელობებს და ამის საფუძველზე უმოქმედობის ცნებაშიც შემოაქვს კაუზალობის მომენტი, რასაც უპირობოდ იზიარებს ფინალისტთა უმეტესობა.

ა. დონას შეხედულებების ეს ზოგადი მიმოხილვაც გარკვევით მიგვითითებს იმაზე, რომ მისი კონცეფცია, როგორც ფინალური მოძღვრების მომიჯნავე ეტაპი, მრავალგან არამცთუ არ ემთხვევა, არამედ აშკარადაც ეწინააღმდეგება ფინალიზმის მნიშვნელოვან პრინციპებს.

ამდენად, ფინალიზმი ა. დონას მოძღვრების ლინეარულ გაგრძელებად არ უნდა გაიგებოდეს; ა. დონას მოძღვრება, ქმნის რა ფინალური სწავლების აღმოცენების თეორიულად ხელსაყრელ პირობებს, წარმოადგენს ფრანკისეულ ნორმატივიზმსა და ფინალიზმს შორის არსებულ დამოუკიდებელ შუალედურ მიმდინარეობას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც ეს აზრი შეიძლება ჩაითვალოს გაბატონებულად (თუ გამოვრიცხავთ იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი კრიმინალისტი ა. დონას ასახელებს როგორც ფინალიზმის ნაწილობრივ წარმომადგენელს).

მაგრამ, ზემოხსენებული მოსაზრებებიდანვე გამომდინარე, ფინალური სწავლება სპონტანურად არ ჩამოყალიბებულა, რაც განსახილველ კონტექსტში უმთავრესი მნიშვნელობისაა: ნ. ჰარტმანის თეორიამ ფილოსოფიაში და გრაფ ცუ დონას მოძღვრებამ სისხლის სამართალში მკაცრად მოაქციეს მისი წარმოქმნის პროცესი კანონზომიერებისა და ლოგიკური თანამიმდევრობის ჩარჩოებში.

„ბუნებრივი“ განზრახვა

ფინალური სწავლების წარმომადგენელთა რიცხვს ჰ. ველცელთან ერთად განეკუთვნებიან ჰ. ფონ ვებერი, რ. მაურახი, რ. ნიზე, არმ. კაუფმანი, რ. ბუში და ვ. გალასი (მიუხედავად გარკვეული გადახრებისა). როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ფინალიზმის მიმდევართა სიმრავლე უზრუნველყოფს მოცემული თეორიის დინამიკურ და არაერთფეროვან განვითარებას.

ფინალური სწავლების ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად ითვლება ბრალის ცნებისაგან განცალკევებული „ბუნებრივი“ განზრახვა.

თ. წერეთელი ამის შესახებ აღნიშნავს: „განზრახვა, რომელიც ფინალური მოძღვრების წარმომადგენლებმა მთლიანად მოქმედების სფეროში გადაიტანეს და მართლწინააღმდეგობის პერსონალური ცნების ერთ-ერთ

აუცილებელ წინამძღვრად აღიარეს, მათი აზრით, მოკლებულია ყოველგვარ შეფასებით ელემენტს. იგი შედის „შეფასების ობიექტის“ და არა „ობიექტის შეფასების“ სფეროში. ასე გაგებული განზრახვა აღარ არის „ბოროტი განზრახვა“, „*dolus malus*“, როგორც იგი, ტრადიციული მოძღვრების თანახმად, მიიჩნევა, არამედ იგი არის „ბუნებრივი განზრახვა“, რომელიც არ შეიცავს გასაკიცხაობის მომენტს, რაც ბრალის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.“370

თ. წერეთელს იქვე მოაქვს რ.მაურახის შემდეგი შენიშვნა: „არაფინალურ მოძღვრებად ქმედების შესახებ უნდა ჩაითვალოს ყველა შეხედულება, რომელიც განზრახვას ბრალის შემადგენელ ელემენტად თვლის, — თანამიმდევრული ფინალისტი მხოლოდ ის არის, ვინც განზრახვას განიხილავს როგორც ბუნებრივ განზრახვას, ე.ი. როგორც ფენომენს, რომელიც მხოლოდ ქმედების შემადგენლობას ეკუთვნის, ხოლო არაფინალისტია ის, ვისაც განზრახვა ესმის ტრადიციულად როგორც *dolus malus*, შერაცხვის უნარი — როგორც განზრახვის წარმოშობის წინამძღვარი“.371 აქედან თ. წერეთელი ასკვნის: „თუ განზრახვა არ არის ბრალის ფორმა ან, თუნდაც, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, თუ განზრახვა არ არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, არამედ ყოველგვარ შეფასებით მომენტს მოკლებული ბუნებრივი ფსიქიკური პროცესი, რომელიც არსებითად ნიშნავს მხოლოდ სუბიექტის ნებას იმოქმედოს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მაშინ შერაცხვის უნარი არ შეიძლება წარმოადგენდეს მის აუცილებელ წინამძღვარს. თუ გაბატონებული მოძღვრების თანახმად, „განზრახ“ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით შეიძლება იმოქმედოს მხოლოდ შერაცხვის უნარის მქონე პირმა, ფინალური თეორიის მიხედვით განზრახ შეიძლება იმოქმედოს როგორც შერაცხადმა, ისე შეურაცხადმა პირმაც.“372 ამით თ. წერეთელი ცხადად წარმოგვიდგენს, თუ როგორი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ფინალისტების მიერ აღიარებულ ბუნებრივ განზრახვას.

მაგრამ, განვაგრძობთ რა თ. წერეთლის აზრს, უნდა გამოვყოთ, რომ ზემოწარმოდგენილი პოზიცია თეორიულადაც ასევე მიუღებელია. ფინალისტების მტკიცება, თითქოს ბოროტი განზრახვა მიეკუთვნებოდეს ობიექტის შეფასების სფეროს, ხოლო ბუნებრივი განზრახვა წარმოადგენდეს შეფასების ობიექტს, იმთავითვე მცდარია.

მართალია, არაფინალისტი ნორმატივისტები, ერთი მხრივ, ბოროტ განზრახვას განიხილავდნენ როგორც ბრალის ელემენტს და, მეორე მხრივ, ბრალს წარმოიდგენდნენ შეფასებით ცნებად, მაგრამ განზრახვა როგორც შეფასებითი ცნების ელემენტი ჯერ კიდევ როდი ნიშნავს განზრახვას როგორც შეფასებით კატეგორიას.

არაფინალისტ ნორმატივისტებთან ბრალი როგორც შეფასებითი ცნება მოიცავდა არა მხოლოდ თვით შეფასებას, არამედ შეფასების ობიექტსაც როგორც თავის სტრუქტურულ კომპონენტს. და სწორედ ამ კომპონენტს განასახიერებს განზრახვა.

მაშინ იბადება კითხვა: თუ ბუნებრივი განზრახვა ბოროტი განზრახვისაგან შეფასებითობის თვალსაზრისით არ განსხვავდება და არც შეიძლება განსხვავდებოდეს, რადგან განზრახვის ნებისმიერი სახე, როგორც შეფასებითი მომენტის შემცველი ცნება, ლოგიკურად წარმოუდგენელია, რაში უნდა ვეძიოთ ამ ორი ცნების გენერალური ურთიერთგანმასხვავებელი ნიშანი?

თუ ვაღიარებთ, რომ ბუნებრივი განზრახვის უნარი მოეპოვება ყოველ შეურაცხადსაც (და ეს ჭეშმარიტად ასეა, თუ არ გავითვალისწინებთ ზოგ უმნიშვნელო გამონაკლისს), მაშინ ბუნებრივი განზრახვა სრულიად უნდა გავმიჯნოთ სუბიექტური ნებისაგან, რამეთუ სულით ავადმყოფთა დიდ ნაწილს არა მხოლოდ არ შესწევს უნარი იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, არამედ არც ნების ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური შესაძლებლობა მოეპოვება.

მაშასადამე, ბუნებრივი განზრახვა შედგება მხოლოდ ინტელექტუალური მომენტისაგან, რის საპირისპიროდაც ბოროტი განზრახვა მოიცავს როგორც ინტელექტუალურ, ისე ნებელობით მხარესაც. და სწორედ რომ ამაში გამოიხატება ფინალისტების მიერ დაშვებული თეორიული უზუსტობაც: განზრახვა, როგორც მხოლოდ ინტელექტუალური მომენტისაგან შემდგარი ცნება, მოკლებულია ყოველგვარ სისხლისსამართლებრივ ღირებულებას.

ამრიგად, კრიტიკული ანალიზის უპირველეს საგანს უნდა შეადგენდეს არა თვით ფაქტი ბრალის ცნებიდან განზრახვის გამორიცხვისა, არამედ განზრახვის როგორც შეფასების ობიექტის სრული „ინტელექტუალირება“ და შესაბამისად მისი აბსოლუტური „დევოლუნტარირება“, რასაც არ ითვალისწინებს ან არასათანადოდ ითვალისწინებს ფინალიზმის თითქმის ყველა კრიტიკოსი.

ჰ.ველცელი

განზრახვის შინაარსზე რომ ნაკლებად ზემოქმედებს ბრალის ცნებიდან მისი გატანის ფაქტი, ამას თვალნათლივ მოწმობს ჰ. ველცელის შესაბამის მოსაზრებათა თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც.

ჰ. ველცელის (ისევე, როგორც ყოველი სხვა ფინალისტის) თანახმად, ბრალი წარმოადგენს არა უბრალოდ შეფასებით, უბრალოდ ნორმატიულ, არამედ „წმინდად შეფასებით“ და „წმინდად ნორმატიულ“ ცნებას. ფსიქოლოგიური ელემენტი, რომელიც სრულიად ავსებდა ბრალის ფსიქოლოგიური ცნების შინაარსს და ნაწილობრივ — ბრალის ადრეული ნორმატივისტული ცნებისა, ამჯერად მოთავსებულია (ფაქტობრივი) ქმედების ცნებაში, რომელსაც, თავის მხრივ, მიეწერება „სუბიექტური ფინალურობის“ თვისება. ბრალი ამის შედეგად განასახიერებს მხოლოდ შეფასებას და

არაფერს, გარდა შეფასებისა, — არსებულს არა დანაშაულის სუბიექტის, არამედ უცხო პირის ფსიქიკაში.

ჰ. ველცელი წერს: „თუ ბრალი არის მოქმედების ბრალეული ნება (der schuldhafte Handlungswille) ანუ შეფასების ობიექტისა და შეფასების ერთობლიობა, განზრახვა უნდა განვაკუთვნოთ ბრალის ცნებას. მაგრამ რამდენადაც ბრალს განვსაზღვრავთ როგორც მხოლოდ მოქმედების ნების შეფასებას ანუ როგორც შეფასებას შეფასების ობიექტის გარეშე, განზრახვის ადგილი ბრალის ცნებაში ვერასოდეს მოიძიება.“373 როგორც ვხედავთ, განზრახვის შინაარსს (მხოლოდ ინტელექტუალური თუ ინტელექტუალურ-ნებელობითი გარკვეულობა) განზრახვისა და ბრალის ცნებათა მატერიალურ-სტრუქტურული ურთიერთობის ტრანსფორმირება ოდნავაც არ შეეხება, რადგან ასეთი ტრანსფორმირების მიზეზად წარმოდგენილია არა განზრახვის შინაარსი, არამედ ბრალის ცნებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთდროული მოცემულობის დაუშვებლობა.

მეტად საგულისხმოა თ. წერეთლის შეხედულება იმის შესახებ, თუ რა მიზეზით გააქვს ჰ. ველცელს განზრახვა ბრალის ფარგლებიდან. „მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა, — შენიშნავს თ. წერეთელი, — ცხადია, ყოველგვარ ეთიკურ მომენტს მოკლებულ, ინდიფერენტულ ცნებად გადაიქცა. ველცელის მიხედვით, ეს არის წმინდა ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც ძევს კეთილისა და ბოროტის მიღმა... მაგრამ რამ აიძულა ველცელი, რომელმაც საერთოდ თავისი მოძღვრება ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიაზე ააგო, აქ, ბრალის საკითხში მიმხრობოდა უკიდურეს ნორმატიულ თეორიას, რომელიც ნეოკანტიანურ ფილოსოფიას ეფუძნება, და გაეძევებინა ბრალის ცნებიდან მისი ფსიქოლოგიური შინაარსი. ველცელი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, ვინაიდან თვით მოქმედება მას ესმის სუბიექტურ-ფინალური მნიშვნელობით, როგორც „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელება.“374 თ. წერეთლის მოცემული დასკვნის შედეგად ჩვენს წინაშეა ურთულესი მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლის გაურკვევლადაც ფინალიზმის არსში ჩაწვდომა ყოვლად შეუძლებელია.

გარკვევას კი საჭიროებს ის, თუ რის საფუძველზე განაცალკევებს ჰ. ველცელი ერთმანეთისაგან განზრახვასა და ბრალს: ბრალის ცნებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთშეუთავსებლობის თუ მოქმედების სუბიექტურ-ფინალური მნიშვნელობით გაგების გამო?

ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელ ასპექტს, ე.ი. მოქმედებას როგორც „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას“, ვინაიდან ჰ.ველცელი ჯერ განიხილავს მოქმედების (ქმედების) ცნებას და მხოლოდ ამის შემდგომ უდგება ბრალის ცნების განხილვას.

ამის შესაბამისად, ჰ. ველცელი, გამოყოფს რა ქმედების სუბიექტურ-ფინალურ ხასიათს, ბრალის ცნებიდან უკვე მანამ გამორიცხავს განზრახვას, სანამ ბრალის ცნების განხილვას შეუდგებოდეს.

მოცემული გარემოების ფონზე კი ფიქციონალურადაც ჟღერს მისი მომდევნო მტკიცება ბრალის ცნებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთშეუთავსებლობაზე. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ბრალიდან განზრახვის ელიმინირებას მოითხოვს ქმედების ცნებისათვის მისი დართვის აუცილებლობა და არა პირიქით — ქმედების ცნებისათვის განზრახვის დართვა არ არის განპირობებული ბრალის ცნებიდან მისი გამორიცხვის აუცილებლობით. ვგონებთ, ამაში თავად ველცელისთვისაც არაფერი იქნებოდა სათუო.

და ამიტომაც უეჭველად უნდა ვცნოთ ქმედების სუბიექტურ-ფინალური მნიშვნელობით გაგების პირველადობა ანუ განზრახვა ბრალის ცნებიდან გაიტანება იმის გამო, რომ ჰ. ველცელი ქმედებას განსაზღვრავს როგორც „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას," და არა იმიტომ, რომ ის დაუშვებლად მიიჩნევს ბრალის ცნებაში შეფასებასთან ერთად შეფასების ობიექტის მოცემულობას.

მას შემდეგ, რაც ჰ. ველცელი ბრალს წარმოიდგენს მხოლოდ როგორც ნორმატიულ შეფასებას, ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამგვარად განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი ბრალი წარმოადგენს არა „მოსამართლის ფსიქიკაში არსებულ ფენომენს", არამედ დანაშაულებრივი ქმედების „უკუღირებულებით თვისებას" (Unwerteigenschaft).

ნათელია, რომ ჰ. ველცელის ეს მცდელობა უქმია: როგორც მართებულად აღნიშნავენ ფინალური მოძღვრების კრიტიკოსები, დანაშაულებრივ ქმედებას მოცემული „თვისება" დაერთვის მხოლოდ ნორმატიული შეფასების შედეგად და ამიტომ ბრალი მაინც „სხვის" ფსიქიკაში მოცემულ ფენომენად რჩება.

ბრალის ცნების ნორმატიულ შეფასებამდე დაყვანას განსაკუთრებული სიმკაცრით აკრიტიკებს ი. ბაუმანი, რომელიც წერს: „ბრალი როგორც შიშველი შეფასებითი მსჯელობა სრული უსაფუძვლობაა. დამნაშავე ისჯება არა იმისათვის, რაც მიიღება სხვათა ფსიქიკაში ფორმირებული შეფასებით, არამედ იმის გამო, რაც მან თავად ბოროტული შეცნობით (bösartig-bewußt) ან დაუფიქრებლად (leichtsinnig) მოიმოქმედა. თუმც ბრალეულობის შესახებ მსჯელობა წმინდად შეფასებითი პროცესია, მაგრამ ბრალის ფსიქოლოგიური მომენტის გარეშე დატოვება ბრალის იდეის უარყოფას ნიშნავს. ის, ვინც აფასებს დანაშაულებრივ ქცევას, უცილობლად უნდა იცნობდეს დამნაშავის შინაგან დამოკიდებულებას თავისი ქმედებისადმი, დამნაშავის თვითშეფასების ჩათვლით."375 ამსახად, დამნაშავე ჯერ თვითონ აფასებს მის მიერ ჩასადენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ხოლო შემდგომ ამ შეფასებას ეძლევა მორიგი (გარეგანი ანუ ნორმატიული) შეფასება. და ამ ორმაგ შეფასებაში, ი. ბაუმანის მიხედვით, მდგომარეობს ბრალი.

„ამასთან, — განაგრძობს ის, — ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დამნაშავეს ვკიცხავთ არა მცდარი შეფასების, არამედ მცდარი ქცევის გამო მართებული შეფასების მიუხედავად! მძარცველი, ყაჩაღი, მკვლელი და ა.შ. აფასებს სავსებით სწორად, მან უწყის, რომ იმის ჩადენის

უფლება, რასაც ის სჩადის, მას არ გააჩნია; მაგრამ ის არაფრად მიიჩნევს თავის ამ მართებულ შეფასებას.“376 ძნელია უარვყოთ ი. ბაუმანის მიერ შემოთავაზებული კრიტიკის სამართლიანობა იმ თვალსაზრისით, რომ ბრალის ცნების ყოველივე ფსიქოლოგიურისაგან „განწმენდა“ უთუოდ მოასწავებს აქსიომური ჭეშმარიტების უგულებელყოფას — ჭეშმარიტებისა, რომლის თანახმადაც „ბრალის ფსიქოლოგიური მომენტის გარეშე დატოვება ბრალის იდეის უარყოფას ნიშნავს”.

უფრო მეტიც, როგორც შეუმცდარად მიუთითებს ი. ბაუმანი, ბრალის პირველწყაროს წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკა და არა ნორმატიული შეფასება.

ამავე დროს, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ჩვენ დადებითად ვახასიათებდეთ მოცემული კრიტიკის შედეგად ი. ბაუმანის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებასაც.

ბრალი, როგორც ორმაგი შეფასება, საერთოდ ვერ მოიცავს გაუფრთხილებლობის ცნებას და ნაწილობრივ — განზრახვას, რადგან იქ, სადაც სუბიექტი ნეგატიურად აფასებს თავის მართლსაწინააღმდეგო ქცევას, მისი ნორმატიული გაკიცხვის საფუძველი არ მოიპოვება, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ.

მაგრამ ი. ბაუმანის უკანასკნელად ციტირებული შეხედულება იმის შესახებ, რომ დამნაშავე ნორმატიულად იკიცხება არა მცდარი შეფასების, არამედ მცდარი ქცევის გამო მართებული შეფასების მიუხედავად, მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თავდაპირველი პოზიციისაგან, თუმცა არც ის შეიძლება იყოს მისაღები, რამდენადაც ამჯერად შეუძლებელი ხდება ბრალის დასაბუთება აცილებადი (ე. ი. არასაპატიო) შეცდომის დროს.

არანაკლებ პრინციპულია იმავე საკითხთან დაკავშირებით ვ. ჰარდვიგის მიერ გამოთქმული შენიშვნები. მოაქვს რა ჰ. ველცელის შემდეგი სიტყვები: „რადგან ბრალი განზრახვის შეფასებას წარმოადგენს, განზრახვა უნდა განვიხილოთ არა როგორც ამ შეფასების შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც მისი ობიექტი, საგანი“, ის აღნიშნავს: „ველცელის მოცემული მტკიცება მცდარია, ვინაიდან ბრალი განზრახვის შეფასებას სულაც არ წარმოადგენს. სხვა მხრივ, მცდარად უნდა ჩაითვალოს ბრალეულობის შესახებ მსჯელობის (das Schuldurteil) იმ შეფასებით მსჯელობასთან იდენტიფიცირება, რომლითაც გამოიხატება გაკიცხვა. დამნაშავე იკიცხება იმის გამო, რომ მას მიუძღვის ბრალი და, ამდენად, ბრალი იქნება არა შეფასებითი გაკიცხვა (bewertende Mißbilligung), არამედ ამ გაკიცხვის (შეფასების) წინამძღვარი, რის თანახმადაც გასაკიცხობისა და ბრალეულობის შესახებ მსჯელობა მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. ამის საჭიროება მაშინაც გარკვევით იჩენს თავს, როდესაც ვამბობთ: დამნაშავეს მიუძღვის ბრალი (!); და არა: დამნაშავეს მიუძღვის გაკიცხვა. მაგრამ სხვა საკითხია, თუ ვიტყვით, რომ დამნაშავე *იმსახურებს* გაკიცხვას, რამდენადაც *მას მიუძღვის* ბრალი. ამრიგად, შეფასების აქტი მოიცემა არა ბრალში, არამედ გაკიცხვაში. ბრალი თუნდაც იმიტომ არ შეიძლება იყოს

შეფასება, რომ ის მთელი თავისი სიდიდით თვითონვე წარმოადგენს შეფასების ობიექტს. მაგრამ ბრალი შესაძლოა შეფასდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის „მოცემულია“. ხოლო არის თუ არა ბრალი „მოცემული“, ეს დადგენის საკითხია და არა შეფასებისა.“377 ამის მიხედვით, ვ. ჰარდვიგი გადაჭრით უარყოფს ბრალს როგორც ნორმატიულ შეფასებას და განიხილავს მას ჯერ როგორც დადგენის, ხოლო შემდგომ როგორც შეფასების ობიექტს.

აქედან გამომდინარე, ბრალი ვ. ჰარდვიგთან არის არა გაკიცხვა ან გასაკიცხობა, არამედ ის, რაც ამ გაკიცხვისა თუ გასაკიცხობის საფუძველს შეადგენს.

ჩვენი აზრით, ვ. ჰარდვიგის მოსაზრებაში მართებულია მხოლოდ ის ეპიზოდი, რომლითაც უარიყოფა ჰ. ველცელის დებულება ბრალზე როგორც ნორმატიულ შეფასებაზე; მისი შემდგომი დასკვნები კი აშკარად არის აცდენილი ნორმატივისტული ხედვის გეზს.

თუ ბრალი გაკიცხვის (გასაკიცხობის) საფუძველია, ეს ნიშნავს, რომ ბრალი არსებობს გაკიცხვის პრობლემისაგან დამოუკიდებლად. და თუ ბრალი მოგვეპოვება უკვე გასაკიცხობის საკითხის გარკვევამდე ანუ გასაკიცხობის საკითხის გაუთვალისწინებლად, მაშინ რა ადგილი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გასაკიცხობას (გაკიცხვას) დანაშაულის სისტემაში? ასეთ შემთხვევაში გასაკიცხობა წარმოადგენს ბრალის ცნების უშინაარსო დანამატს, რომელიც განთავსებულია ბრალსა და სასჯელს შორის, ე.ი. უმთავრესი, რასაც აქ გასაკიცხობის ნიშანი ემსახურება, არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ ბრალის რეალური მნიშვნელობის დაჩრდილვა.

ამიტომაც ბრალის გამოცხადება გასაკიცხობის საფუძვლად, უწინარეს ყოვლისა, მოასწავებს ბრალის ცნებისათვის გასაკიცხობის მნიშვნელობის უნებურ ნეგირებას.

საკვირველია, რომ ვ. ჰარდვიგი არც კი ცდილობს ამ გარემოებაზე ყურადღების შეჩერებას, — ის არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა იწვევს ბრალის მოცემულობის თვალსაზრისით მისი შეფასების აუცილებლობას მას შემდეგ, რაც ბრალის მოცემულობა უკვე სახეზეა.

ვ. ჰარდვიგის ეს „უგულისყურობა“ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ისედაც განწირული მტკიცების აქცენტირება ნამდვილად ვერაფერს შემატებდა მისი პოზიციის დამაჯერებლობას.

ბრალი შესაძლოა იყოს ან დადგენის ანაც შეფასების ობიექტი, მაგრამ არა დადგენისა და შეფასების ობიექტი ერთდროულად. ამისდა კვალად, ვ. ჰარდვიგის დებულება ბრალზე, როგორც დადგენისა და შეფასების ობიექტზე, ისევე უნიადაგოა, როგორც ჰ. ველცელის მიერ ბრალის ნორმატიულ შეფასებასთან გაიგივება.

გარდა ამისა, ვ. ჰარდვიგი ამით კლასიკურ ნორმატივიზმსაც მკვეთრად განუდგა, სადაც ბრალი შეფასებასთან ერთად მოიცავს განზრახვასაც, როგორც დადგენისა და შეფასების ობიექტს; განზრახვის დადგენა თავისდათავად არაფრის მეტყველია, ის სათანადო სისხლისსამართლებრივ

მნიშვნელობას იძენს მხოლოდ როგორც დადგენის შედეგად მიღებული შეფასების ობიექტი. და აქ კლასიკური ნორმატივიზმის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმას, რასაც ბრალი დადგენისა და შეფასების ობიექტთა ურთიერთობის სახით ვერ იგუებს, უთუოდ მოითხოვს თავის ინტეგრალურ ნიშნად განზრახვის ცნება.

ამასთანავე, ვ.ჰარდვიგი გამოწვლილვით ეხება ფინალური მოძღვრების სხვა, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვან მხარეს. მას პროგრესულად მიაჩნია ქმედების ცნების სუბიექტივირება, რომელსაც მანამ, მისივე მტკიცებით, კაუზალური დოგმა ტოტალურად ამახინჯებდა.

ვ. ჰარდვიგი ამის საბუთად ჰეგელის ცნობილ პოსტულატსაც მოიშველიებს, რომლის მიხედვითაც მიზანი წარმოგვიდგება ქმედების არსად. მაგრამ კვლევის შედეგად ვ. ჰარდვიგი ასკვნის, რომ, მოცემული სწავლების შინაარსიდან გამომდინარე, მას უნდა ვუწოდოთ არა ქმედების, არამედ ნების შესახებ ფინალური მოძღვრება.

„ფინალურ თეორიაში, — აღნიშნავს ჰარდვიგი, — ძირითადი აქცენტი გადატანილია ნებისა და ქმედების ურთიერთობაზე. ქმედება აქ გაიგება როგორც ნების მიზანი. ის, რაც ქმედების სახით უნდა განხორციელდეს (= განხორციელდება) გარე სამყაროში, მოცემულია ნებაში როგორც წარმოდგენა ქმედების განხორციელებამდეც. ამისდა მიხედვით, უმჯობესი იქნებოდა გვესაუბრა *ნების და არა ქმედების შესახებ ფინალურ მოძღვრებაზე.* ნება აღიქმება უკვე არა როგორც ბრმა კაუზალური ბუნებითი ძალა, როგორც ცარიელი მიზეზობრივი ***agens***-ი, არამედ როგორც მიზანმიმართული ფსიქიკური ფენომენი, რომელსაც თან ახლავს (წარმოსახვითი) აზრი (Vorstellungs-) Sinn). მკვლელობა, ამაზე დაყრდნობით, არის არა სიკვდილის გამოწვევის ფაქტი, არამედ წარმოდგენის განხორციელება, სახელდობრ კაუზალური პროცესის წარმართვა დაზარალებულის სიკვდილის დადგომისაკენ. ზოგადად ქმედება კი წარმოადგენს ნების მიზანმიმართულ, შეცნობილ (bewußt) განხორციელებას. სწორედ ამაში მდგომარეობს ფინალური მოძღვრებისა და ქმედების ფინალური ცნების არსი“.378

ვ. ჰარდვიგი ამ შემთხვევაშიც უშვებს ძნელად მისატევებელ უზუსტობას, რაც გარკვევით აისახება ჰ. ველცელის შემდეგ გამონათქვამში: „სუბიექტი იმყოფება კაუზალური მიმდინარეობის ფარგლებში, რომელიც მას ძალუძს მართოს თავისი წარმოდგენების შესაბამისად და რომლის მართვა ევალება კიდეც სამართლებრივად. კაუზალურ მიმდინარეობაზე დომინირებს ეს უნარი, ე.ი. შესაძლებლობა განსაზღვრო წინასწარ, რაც უნდა მოხდეს და ზეიმოქმედო მასზე საკუთარი წარმოდგენების შესატყვისად, არის უნარი კაუზალური მოვლენების „ფინალური ზედეტერმინირებისა“ (ნ. ჰარტმანის მოძღვრებიდან გამომდინარე). ამის გათვალისწინებით ფინალურობა უნდა გავიგოთ არა მხოლოდ ისე, რომ ქმედება ხერხია გარკვეული მიზნის მიღწევისა, არამედ აგრეთვე ისე, რომ ქმედება თვითონვე განასახიერებს წინასწარ განსაზღვრული წარმოდგენის განხორციელებას.“379 აქედან ვღებულობთ მხოლოდ იმას, რომ ქმედება ფინალურ მოძ-

ღვრებაში არასოდეს შეიძლება იყოს სუბიექტური ნების მიზანი. ის ასრულებს მხოლოდ წარმოდგენით განსაზღვრული ხერხისა და შემდგომში ამავე წარმოდგენის განხორციელების ფუნქციას.

რა შეადგენს დამნაშავის მიზანს პირდაპირი განზრახვით მკვლელობის დროს: გასროლა (მოქმედება) თუ დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა (შედეგი)? გასაგებია, რომ თუ სუბიექტი მიზნად ისახავდა გასროლას და არა დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას, მკვლელობა პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ვერ ჩაითვლება.

ამასთან, ვ. ჰარდვიგი საბოლოოდ აუკუღმართებს ფინალური თეორიის ჭეშმარიტ სპეციფიკას, როდესაც წარმოგვიდგენს მას როგორც ნების შესახებ ფინალურ მოძღვრებას.

ფინალური სწავლების თავისებურება გამოიხატება არა იმაში, რომ ნება თავის მიზნად მოიცავს შედეგს ან თუნდაც ქმედებას, როგორც ამას ვ. ჰარდვიგი ამტკიცებს, არამედ იმაში, რომ თვით ქმედების ცნებაში შეიტანება სუბიექტური ფინალურობის მომენტი. ფინალური მოძღვრება არც ნებისა და მიზნის განუყოფლობას უარყოფს, მაგრამ მის განმასხვავებელ ნიშნად ნების ფინალურობის აღიარებას აბრკოლებს ის, რომ დღესდღეობით არ მოიძიება არც ერთი ფილოსოფიური თუ სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდეს ნების ფინალურ ხასიათს.

ეს ბუნებრივიც არის: ნება ისევე ვერ მოისაზრება ფინალურობის გარეშე, როგორც ფინალურობა — ნების გარეშე.

ამიტომ ვუწოდოთ ჰ. ველცელის სწავლებას ნების შესახებ ფინალური მოძღვრება, ნიშნავს, გამოვყოთ მასში უზოგადესი, ყველა დანარჩენი თეორიისათვის დამახასიათებელი ნიშანი და არაფერი ვთქვათ მის არსებით, რეალურად სპეციფიკურ მხარეზე.

ვ. ჰარდვიგი მაშინაც ცდება, როდესაც ფინალურ მოძღვრებაში პრიორიტეტული აქცენტირების საგნად ნებისა და ქმედების ურთიერთობას ასახელებს; ფინალისტები ბევრად უფრო ინტენსიურად ამახვილებენ თავიანთ ყურადღებას ქმედებისა და ბრალის ცნებიდან ექსკლუდირებული განზრახვის კორელაციაზე, რის ცხადსაყოფადაც, ვფიქრობთ, ყოველგვარი მტკიცება ზედმეტია.

ამდენად, იმის საგანგებო კონსტატირება, რომ ფინალური სწავლების არსს წარმოადგენს ქმედება როგორც ნების მიზანმიმართული შეცნობილი განხორციელება, მცირედაც არ აფერხებს ვ. ჰარდვიგს, მრავალგზის უკუაგდოს მოცემული პრინციპი.

ჰ. ვებერი

ჰ. ველცელთან ერთად ფინალური მოძღვრების ფუძემდებლად ითვლება ჰ. ფონ ვებერიც, რომელიც, მსგავსად ამ პირველისა, შენიშნავს: „ქმედების ორიენტირებულობა მიზანზე მოასწავებს იმას, რომ ქმედება არის ამ მიზნის მიღწევის ხერხი, — მიზნისა, რომელიც მდებარეობს (ფაქტობრივი) ქმედების როგორც ხერხის ფარგლებს მიღმა. ხოლო ის, რომ მიზანი

სცილდება ქმედების ფარგლებს, ნიშნავს, რომ ქმედება მიზანს არ წარმოადგენს.“380

ისევე, როგორც ჰ. ველცელი, ფონ ვებერიც გარდუვალად მიიჩნევს ბრალის ცნებიდან განზრახვის გამორიცხვას. მაგრამ ჰ. ველცელთან შედარებით ის უფრო კონკრეტულია ბრალის პრობლემასთან მიმართებაში, კერძოდ კი ბრალის სტრუქტურულ აგებულებასთან დაკავშირებით.

ფონ ვებერი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმის დეკლარირებით, რომ ფსიქოლოგიურ მომენტს მოკლებული ბრალი უნდა განისაზღვროს როგორც ნორმატიული შეფასება, არამედ დამატებით წარმოგვიდგენს მას როგორც შერაცხადობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობის ერთობლიობას (ბრალის გამომრიცხველ გარემოებებად ვებერს, გარდა სისხლისსამართლებრივი შეცდომის ორივე სახისა, მოაქვს უკიდურესი აუცილებლობაც და აუცილებელი მოგერიებაც).

მაგრამ შერაცხადობა ხომ უდრის შეურაცხადობის არარსებობას, ხოლო შეურაცხადობის არარსებობა — ბრალის გამომრიცხველი გარემოების არარსებობას. ამიტომ შერაცხადობას მიმატებული ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა იგივეა, რაც შეურაცხადობის არარსებობას ანუ ბრალის გამომრიცხველი გარემოების არარსებობას მიმატებული ბრალის სხვა დანარჩენ გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა. *საბოლოო ჯამში ბრალი, ფონ ვებერის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა.*

ეს, რასაკვირველია, სისტემატიკურად ასეც არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვებერი მოცემულ შემთხვევაში საუბრობს ბრალის სტრუქტურაზე და არა ბრალზე როგორც დანაშაულის ცნების ნიშანზე. სტრუქტურულად კი ბრალის მსგავსი სახით წარმოდგენა სრულიად არადამაკმაყოფილებელია, რადგან ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა არარსებობა მიგვითითებს მხოლოდ ბრალის არსებობაზე და არა ბრალის სტრუქტურული შემადგენლობის აღწერილობაზე.

<u>რ. მაურახი</u>

ანალოგიურობით გამოირჩევა სხვა ფინალისტის, რ. მაურახის, სათანადო პოზიცია, რომელიც ბრალს შინაარსობრივად განაკუთვნებს პოტენციურ უმართლობის შეგნებასა და შერაცხადობას[0]* (ე.ი. გენერალურად შესაძლო უმართლობის შეგნებას).

აქ, როგორც მართებულად შეინიშნება ლიტერატურაში, მაურახი ბრალის ცნებას უკავშირებს მხოლოდ ცოდნას, ხოლო უფრო კონკრეტულად — მხოლოდ ცოდნის შესაძლებლობასაც კი. მაგრამ აშკარაა, რომ ბრალი

* აღსანიშნავია, რომ რ. მაურახი ერთადერთი ფინალისტი არ არის, რომელიც, გამოდის რა „განზრახვის თეორიის“ წინააღმდეგ, უმართლობის შეგნებას განიხილავს როგორც ბრალის და არა განზრახვის შემადგენელ ელემენტს. ფინალური მოძღვრება ზოგადად „ბრალის თეორიის” ფარგლებს არ სცილდება.

ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მთავარ საფუძვლად ვერ განიხილება.

არამცთუ არ დაიშვება ბრალის ინტელექტუალური მხარის აბსოლუტირება, არამედ ის ყოველმხრივ უნდა ექვემდებარებოდეს ბრალის ცნებაში აუცილებლობით მოცემულ ნებელობით ასპექტს.

როდესაც სუბიექტი შერაცხადია (ანუ გააჩნია გენერალურად შესაძლო უმართლობის შეგნება) და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეგნებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან მოეპოვება ასეთი შეგნების ობიექტური შესაძლებლობა, მაშინ, მართალია, ნებელობითი მომენტის პირდაპირი გათვალისწინების გარეშეც ადვილად შესაძლოა დასაბუთდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად; რეალურად კი სუბიექტს ბრალად უნდა შეერაცხოს არა უმართლობის ცოდნა ან ცოდნის შესაძლებლობა, არამედ ის, რომ მას, რადგანაც გააჩნდა უმართლობის აქტუალური ან პოტენციური შეგნება, შეეძლო ემოქმედა სხვაგვარად. ხოლო სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, სისხლისსამართლებრივი გაგებით, უკვე წარმოადგენს არა მხოლოდ ინტელექტუალურ კატეგორიას, არამედ ინტელექტუალურისა და ნებელობითის ორგანულ მთლიანობას.

<u>რ. ბუში</u>

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ფინალისტ რ. ბუშის შეხედულებები ბრალის არსსა და მის კატეგორიალურ თავისებურებებზე.

რ. ბუშის აზრით, დონაც და ველცელიც არასწორად უდგება ბრალის პრობლემის განხილვას, რამეთუ ისინი ბრალის არსს, მსგავსად გაბატონებული არაფინალური დოქტრინისა, ხედავენ ქცევის შინაარსში.

დონა, როგორც ჩვენ უკვე ვიხილეთ, ბრალს განმარტავს როგორც ნების მოვალეობის საწინააღმდეგო განსაზღვრას; ველცელი კი ბრალის არსად ასახელებს სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნათა (სისხლისსამართლებრივ მოვალეობათა) შეუსრულებლობას, რაც გამოწვეულია ანტისამართლებრივი იმპულსების (rechtsfeindliche Antriebe) მიმართ ნების არაადეკვატური წარმართვით, ე.ი. ბრალი ეფუძნება არა ანტისამართლებრივ განწყობას, არამედ ასეთი განწყობისაგან თავის შეუკავებლობას.

ამრიგად, რ. ბუშის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ორთავე კრიმინალისტისათვის ბრალის არსი გამომდინარეობს ქცევის შინაარსიდან, უცილოდ გამართლებულია. და ეს უნდა აღვიქვათ როგორც დონასა და ველცელის მკაცრი კრიტიკა ფრიად სერიოზული წინააღმდეგობრიობისათვის, ვინაიდან, მათი ამოსავალი დებულების თანახმად, ბრალი წარმოადგენს მხოლოდ ნორმატიულ შეფასებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის არსი მდგომარეობს არა ქცევის შინაარსში, არამედ ქცევის შინაარსის შესახებ შეფასებით მსჯელობაში ანუ ქცევის შინაარსის ფარგლებს გარეთ.

ამის შემდგომ რ. ბუში ავითარებს ფონ ვებერის მიერ ჩამოყალიბებულ იდეას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის როგორც ჯერარსობისა (Sollen) და შესაძლებლობის (Können) ურთიერთობის შესახებ. „დანაშაული აცილებადია დამნაშავისათვის, — ამტკიცებს რ. ბუში, — თუ ის ფლობს მართლსაწინააღმდეგოსა და მართლზომიერს შორის არჩევანის თავისუფლებას. ეს თავისუფლება მოეპოვება ფსიქიკურად ნორმალურ სუბიექტს ნორმალური ურთიერთობების პირობებში. ცალკეულ შემთხვევებში ის შესაძლებელია გამოირიცხოს სრულიად ან ნაწილობრივ შესაბამის გარეგან ან შინაგან მონაცემთა საფუძველზე (მცირეწლოვანება, სულით ავადმყოფობა, დროებითი გონებრივი მოშლილობა (Bewußtseinsstörung), აფექტი, თვითგადარჩენის ინსტინქტი, იურიდიული შეცდომა (*error juris*), უკიდურესი აუცილებლობა ან იძულება). ამ თვალთახედვიდან გამომდინარე, ფონ ვებერს სავსებით სამართლიანად შემოაქვს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის განსხვავების ახალი პრინციპი: ჯერარსობა და შესაძლებლობა.“381

ქართული სისხლის სამართლის ლიტერატურაში ფინალისტების ეს მოსაზრება შემდეგ დახასიათებას პოვებს: „უარყოფის მსჯელობას პიროვნების გასაკიცხაობის, ე. ი. ბრალის შესახებ, ფინალისტების აზრით, ერთერთ წინამძღვრად გააჩნია სწორად მოქმედების შესაძლებლობა. „გასაკიცხაობა“ გულისხმობს, რომ არამართლზომიერად მოქმედების გადაწყვეტილების მაგივრად სუბიექტს შეიძლებოდა ჰქონოდა სწორი, ჯეროვანი გადაწყვეტილება (ნებისყოფის თავისუფლება)... ჯეროვანი გადაწყვეტილების შესაძლებლობა, ველცელის მტკიცებით, გაგებულ უნდა იქნას როგორც შესაძლებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს არა საერთოდ ყოველ ადამიანს ანალოგიურ პირობებში, რაც ფაქტიურად ჯერარსობას ნიშნავს, არამედ როგორც შესაძლებლობა, რომელიც აქვს ამ კონკრეტულ ადამიანს ამ კონკრეტულ სიტუაციაში. სწორედ ამიტომ ველცელის მიმდევარი ბუში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის განსხვავებას საფუძვლად უდებს ჯერარსობისა და შესაძლებლობის განსხვავებას. მისი თქმით, ჯერარსობის (მართლწინააღმდეგობის) და შესაძლებლობის (ბრალის) გამიჯვნით ჩვენ ვიღებთ უმარტივეს და საყოველთაოდ გამოსადეგ კრიტერიუმს. “382 სინამდვილეში კი რ.ბუშისა და მასთან ერთად ფონ ვებერისა თუ ჰ. ველცელის მცდელობას თამამად შეიძლება ეწოდოს წმინდა წყლის სამეცნიერო ფარისევლობა.

ისინი მოცემულ პრინციპს აღიარებენ არა „ბუნებრივი“, მიუკერძოებელი მეცნიერული კვლევის შედეგად, არამედ წინასწარ მტკიცედ განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად, რომელიც მდგომარეობს ქმედების ფინალური ცნების გაუფრთხილებლობისადმი მისადაგების აუცილებლობაში.

რაც შეეხება თვით დებულებას, როგორც ასეთს, მისი ლოგიკური გამართულობაც ძლიერ საცილოა. ჯერარსობა მიგვითითებს იმაზე, რაც „უნდა იყოს“, შესაძლებლობა — რაც „შეიძლება იყოს.“

ფინალისტების თანახმად, ყოველი სუბიექტი მოვალეა დაიცვას ნორმატიული მოთხოვნები (ჯერარსობა — მართლწინააღმდეგობა), მაგრამ კონკრეტულ სუბიექტს კონკრეტულ ვითარებაში შესაძლებელია არ მოეთხოვოს ნორმატიულ ვალდებულებათა შესრულება (შესაძლებლობა — ბრალი); აქ გაპარული უზუსტობა გამოიხატება იმაში, რომ *ვალდებულება წინ არ უნდა უსწრებდეს შესაძლებლობას.*

მაგალითად, სულით ავადმყოფი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არა იმიტომ, რომ მას არ შესწევს უნარი შეასრულოს ნორმატიულად სავალდებულო მოთხოვნები, არამედ იმიტომ, რომ მას ნორმატიული მოვალეობები მათი შესრულების შეუძლებლობის გამო არც კი ეკისრება. იგივე ითქმის სუბიექტზე, რომელიც იმყოფება იურიდიული ან ფაქტობრივი შეცდომის მდგომარეობაში, ე. ი. აქაც საუბარი უნდა იყოს არა საპატიო მიზეზის გამო მოვალეობის შეუსრულებლობაზე, არამედ ამ მიზეზით გამოწვეულ მოვალეობის არარსებობაზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, *არ შეიძლება მოიცემოდეს ჯეროვანი გადაწყვეტილების ვალდებულება, თუ არ მოიცემა ჯეროვანი გადაწყვეტილების შესაძლებლობა.*

რ. ნიზე

ფინალისტთა უმეტესობა ერთხმად აღიარებს ქმედების ფინალური ცნების ზოგადსამართლებრივ მნიშვნელობას, მათ შორის მის სამოქალაქოსამართლებრივ აქცეპტაბელურობასაც. ორიგინალურად ამ მხრივ შეიძლება მივიჩნიოთ ნიზეს პოზიცია, რომელიც ქმედების ფინალურ ცნებას განიხილავს როგორც სამოქალაქოსამართლებრივად გამოუსადეგარს.

ფინალისტი ნიზე თავის შეხედულებას იმით ასაბუთებს, თითქოს სამოქალაქო სამართალი სისხლის სამართლის საპირისპიროდ სუბიექტურ ქცევას წარმოგვიდგენს სხვა პირისა და მისი უფლებებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, რა დროსაც ფინალური მოძღვრების ინტერესი კონცენტრირებულია მხოლოდ ე. წ. ქცევის უკუღირებულებაზე (Verhaltensunwert).

მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ნიზეს ოპონენტები, სხვა პირისა და მისი უფლებებისადმი დამოკიდებულება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართლისათვის ერთიანად და არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივად. ამიტომ ნიზეს მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი უმართლობის ურთიერთგანსხვავება მიუღებელია.

ამასთან, თუ ფინალური მოძღვრების ინტერესი შემოიფარგლება მხოლოდ ქცევის უკუღირებულებით, მაშინ ფინალისტები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ცნობდნენ შედეგის უკუღირებულების სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რაც შედეგიანი (მატერიალური) დელიქტის სრულ უარყოფას ნიშნავს.

ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება: ფინალისტები, მსგავსად ნორმატივიზმის სხვა ზემოგანხილულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებისა, უპირობოდ უშვებენ როგორც ფორმალური, ისე მატერიალური დელიქტების არსებობას.

ნიზე არ ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან გარემოებასაც. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაუკავშირდეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევას, სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვევამ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად ან გარეშე შესაძლოა გამოიწვიოს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობაც (მართლსაწინააღმდეგო ზიანის არაბრალეული მიყენება, რასაც თან ახლდა მომეტებული საშიშროების წყაროს გამოყენება (ცეცხლსასროლი იარაღი) ან სარგებლობა (ავტომანქანა); სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში (ე.ი. როდესაც ნორმა დარღვეულია მხოლოდ ობიექტურად) საქმე გვაქვს მარტოოდენ შედეგის და არა ქცევის უკუღირებულებასთან, მაგრამ, ამავე დროს, ვერ ვიტყვით, რომ მოცემული ქმედება სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელოა, რამეთუ სახეზეა სწორედ სისხლისსამართლებრივი და არა სამოქალაქოსამართლებრივი უმართლობა.

განსხვავებით ნიზესაგან, ფინალური მოძღვრების დანარჩენ მიმდევართ ამის საწინააღმდეგო არაფერი გააჩნიათ.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ მის შეხედულებათა წინააღმდეგობრიობა ამით არ ამოიწურება. როდესაც ნიზე სისხლის სამართალში ქმედების ცნებას განიხილავს როგორც ფინალურს, ხოლო სამოქალაქო სამართალში — როგორც ფინალურობას მოკლებულს, ის ერთნაირად ეწინააღმდეგება ქმედების შესახებ ნ. ჰარტმანისა და ჰ. ველცელის კონცეფციასაც და ლოგიკის ანბანურ პრინციპებსაც.

ფინალურ სწავლებას, როგორც ცნობილია, მთავარი აქცენტი გადაატანილი აქვს „ქმედით სუბიექტზე“ (das tätige Subjekt), რის შესაბამისადაც მიზანმიმართულობა შეადგენს სუბიექტური ქცევის აუცილებელ ელემენტს, — ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდი წინასწარ ითვალისწინებს ბუნებრივ კაუზალობას და მიზნობრივად (მიზანდასახულად) წარმართავს მას გარკვეული შედეგის მისაღწევად. აქედან ჰ. ველცელი დაასკვნის, რომ ქმედება, როგორც ნორმატიული რეგულირების საგანი, სამართლებრივ დოგმატიკაშიც ასევე უნდა ესადაგებოდეს ფინალური განსაზღვრულობის პრინციპს. და მხოლოდ ამის შემდგომ გადავდივართ ქმედების ფინალურ ცნებაზე სისხლის სამართალში.

მაშასადამე, კვლევა წარმოებს ზოგადიდან კერძომდე: სუბიექტური ქმედებიდან საერთოდ სისხლისსამართლებრივ ქმედებამდე სპეციალურად. კვლევის პროცესი რომ წარიმართებოდეს საპირისპირო მიმართულებით (კერძოდან ზოგადამდე), ნიზეს მტკიცების მოქცევა ლოგიკური მსჯელობის ფარგლებში მარტივად მოხერხდებოდა, რადგან ის, რაც შეეხება ქმედების სისხლისსამართლებრივ ცნებას, შესაძლოა ოდნავაც არ შეეხე-

ბოდეს ქმედების ზოგად ცნებას ან მის სხვა კერძო კატეგორიებს (სამართლებრივს, სამოქალაქოსამართლებრივს...); მაგრამ ყოველივე, რაც დამახასიათებელია ქმედების ზოგადი ცნებისათვის, იდენტურად უნდა ახასიათებდეს მის თითოეულ ქვესახესაც.

მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედებისათვის იმანენტური დასჯადობის ნიშანი უცხოა ქმედების როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ან საერთოსამართლებრივი, ისე ზოგადსუბიექტური ცნებისათვის, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელიდან მომდინარე სუბიექტურობის ნიშნის გარეშე ქმედების ცნება მოუსაზრებელია სამართლის ნებისმიერ დარგში.

ამიტომ ნიზეს მტკიცება მცდარია არა მხოლოდ კონცეპტუალურად, არამედ ლოგიკურადაც.

ვ. გალასი

გარკვეული შეზღუდვებით ფინალურ მოძღვრებას წარმოგვიდგენს ვ. გალასიც. ის ცდილობს დანაშაულის კლასიკური ცნება დაუპირისპიროს სისხლის სამართალში არსებულ სხვა, მისი აზრით, უფრო პროგრესულ კონცეფციებს, რათა ამის საშუალებით გამოიკვეთოს ამ პირველის სრული თეორიული უპერსპექტივობა. „დანაშაულის კლასიკური ცნება, — ამბობს გალასი, — შედგება „ქმედების“ როგორც გვარეობითი ნიშნისა და ქმედების ატრიბუტების „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი“, „მართლსაწინააღმდეგო“ და „ბრალეული“ როგორც სახეობითი ნიშნებისაგან; „ქმედება“, სახეობითი ნიშნები „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი“ და „მართლსაწინააღმდეგო“ არაფერს მიგვითითებენ დამნაშავის ნების შინაარსზე, ისინი შეეხებიან მხოლოდ ქმედების გარეგან, „ობიექტურ“ მხარეს, აღწერენ და აფასებენ დანაშაულს მარტოოდენ როგორც „გარე სამყაროს შეცვლას“... მაგრამ მოიპოვება დანაშაულის სხვაგვარი ცნებაც, რომელშიც ძირითადი მახვილი მოქცეულია დანაშაულის „პერსონალურ-ეთიკურ“ მხარეზე. ფილოსოფიურად ეს მიმდინარეობა ასოცირდება ჰეგელთან, ფენომენოლოგებთან და თანამედროვე ონტოლოგიურ თუ ანთროპოლოგიურ შეხედულებებთან. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: დანაშაული წარმოადგენს უმართლობას არა მხოლოდ როგორც სამართლებრივ სიკეთეთა ან ინტერესთა დარღვევას, არამედ აგრეთვე და უწინარეს ყოვლისადაც კი როგორც „მოვალეობის დარღვევასა“ და „განწყობის გამოხატულებას“ („Gesinnungsausdruck“).“383 დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად (დანაშაულის კლასიკური ცნების დახასიათების ფარგლებში) ვ. გალასი გადმოგვცემს ქმედებას იმდენად, რამდენადაც ის ესატყვისება დანაშაულის შემადგენლობას ანუ „დელიქტური ქცევის გარეგანი გამოვლინების ნორმატიულ აღწერილობას“; ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოდგენილია როგორც წინააღმდეგობა, მოცემული სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნებსა და ყოველივე იმას შორის, რაც სუბიექტმა მოიმოქმედა ობიექტურად; დაბოლოს, ბრალეულია ქმედება,

რომლის შერაცხვა შესაძლებელია სუბიექტურადაც მართლწინააღმდეგობისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გათვალისწინებით.

დანაშაულის კლასიკური ცნების ამგვარი ინტერპრეტირებისა და მისი რადიკალურად ნეგატიური ანალიზის შედეგად ვ. გალასი პირდაპირ აღიარებს უმართლობის სუბიექტურ ხასიათს.

როგორც მისივე ზემოციტირებული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, უმართლობა ვ.გალასს მიაჩნია არა მხოლოდ ინტერესთა,[0]* არამედ მოვალეობათა დარღვევადაც და, შესაბამისად, განიხილავს მას „არა მხოლოდ როგორც სოციალურად საზიანო, არამედ აგრეთვე როგორც სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ ქცევას.“

მაგრამ თუ უმართლობა ესოდენ სუბიექტივირებულია, თუ ის ყოველივე სხვასთან ერთად გასაკიცხობის მომენტსაც მოიცავს, მაშინ რაში გამოიხატება უმართლობისა და ბრალის ურთიერთობა?

ვ. გალასის პასუხი ამაზე შემდეგი სახისაა: „ფინალურ სისტემაში უმართლობისა და ბრალის ურთიერთდამოკიდებულება უნდა აღვიქვათ როგორც ქმედების უკუღირებულებისა და განწყობის უკუღირებულების (Gesinnungsunwert) ურთიერთდამოკიდებულება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ განზრახი დანაშაულის დროს ქმედების უკუღირებულებას რეგულარულად თან სდევს განწყობის უკუღირებულებაც, გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც სუბიექტს, მიუხედავად განზრახი მოქმედებისა (ან უმოქმედობისა), არ გააჩნია არჩევანის თავისუფლება.“384 აქ, როგორც ვხედავთ, წინააღმდეგობა სახეზეა: გალასის თავდაპირველი მტკიცების თანახმად, უმართლობის ცნება, როგორც ინტერესთა დარღვევისა (ობიექტური მხარე) და ვალდებულების დარღვევის (სუბიექტური მხარე) ერთობლიობა, გაიგივებულია დანაშაულის ცნებასთან; და ეს მაშინ, როდესაც უკანასკნელ დებულებაში საუბარია უმართლობაზე, როგორც ბრალისაგან დამოუკიდებელ ცნებაზე. ვგონებთ, არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, რომ როდესაც უმართლობაში ერთდროულად იგულისხმება ქცევის სოციალური საზიანოობაც და ქცევის სოციალურ-ეთი-კური გასაკიცხობაც, უმართლობის, როგორც ქმედების უკუღირებუ-ლებისა და ბრალის, როგორც განწყობის უკუღირებულების, ურთიერთგანსხვავება ლოგიკურად ვერ მიიღწევა, რამეთუ უმართლობის ცნებაში ქცევის სოციალური საზიანოობისა და ქცევის სოციალურ-ეთიკური გასაკიცხობის სახით უკვე მოგვეპოვება როგორც ქმედების, ისე განწყობის უკუღირებულება.

განავრცობს რა თავის მოსაზრებას, გალასი ამტკიცებს, რომ „განწყობის ნიშნები“ („ბოროტად“, „ქვენა გრძნობით“, „ანგარებით“[0]* და ა.შ.) შეე-

---

* ინტერესებში ვ. გალასი გულისხმობს სხვათა სამართლებრივად დაცულ უფლებებს.

* ის, რომ ორივე დანარჩენი მომენტიც ქვენა გრძნობაა, ამას ვ. გალასი რატომღაც არ ითვალისწინებს.

ხება — განსხვავებით ე.წ. უმართლობის სუბიექტური ნიშნებისაგან (მითვისების მიზანი ქურდობისას ან გასაღების მიზანი ყალბი ფულისა თუ ფასიანი ქაღალდის დამზადებისას) — არა აკრძალვას და ამით ქმედების უკუღირებულებას, არამედ მის (ქმედების) გასაკიცხობას „განხორციელებული სამართლებრივად მიუღებელი განწყობის“ გათვალისწინებით.

ვ. გალასის აზრით, „განწყობის ნიშანთა“ უმართლობის ნიშნებთან აგნოსცირების შემთხვევაში შესაძლოა წარიხოცოს ის ერთადერთი პრინციპი, რომელსაც „ფინალურად ორიენტირებულ სისტემაში“ უმართლობისა და ბრალის დიფერენცირება ეყრდნობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად (მუხ. 189-ე), ქრთამის აღებად განიხილება „თანამდებობის პირის მიერ ქრთამის ანუ ამა თუ იმ სახით ქონების ან ქონებრივი სარგებლობის მიღება ისეთი მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს შეეძლო შეესრულებინა ან უნდა შეესრულებინა მხოლოდ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით”.

როგორც მოცემული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, ანგარების მიზნის არარსებობის შემთხვევაში ზემოაღნიშნული სუბიექტური ქცევა უნდა განგვეხილა როგორც ნებადართული („შეეძლო შეესრულებინა”) ან სულაც სავალდებულო („უნდა შეესრულებინა”).

ამრიგად, უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების მიხედვით ანგარების მიზანს მოცემულ მაგალითში ენიჭება იგივე ფუნქცია, რაც მითვისების მიზანს ქურდობის დროს, ე.ი. ისიც უნდა შეეხებოდეს აკრძალვას (მართლწინააღმდეგობას) და არა გასაკიცხობას (ბრალს).

აქედან გამომდინარე, „განწყობის ნიშანი“ განსახილველ შემთხვევაში ემთხვევა უმართლობის სუბიექტურ ნიშანს, რითაც ვ. გალასის მიერ ნახსენები უმართლობისა და ბრალის დიფერენცირების პრინციპი კარგავს თავის ქმედითობას.

მაგრამ სხვაგვარად ეს არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან უმართლობაში გასაკიცხობის მომენტის შეტანა და შემდგომ უმართლობისაგან ბრალის ტრადიციული გაგებით განსხვავება ყოვლად შეუთავსებელია ნორმატივისტული ლოგიკის ყოველგვარ მოთხოვნასთან.

ამავე დროს, ჩვენი შენიშვნა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრება არაფრით განსხვავდება ფინალური სწავლებისაგან ვ. გალასის მიერ გაშუქებულ ასპექტში. განსხვავება დიდია.

თუ პირველი თეორიის ფარგლებში უმართლობა სუბიექტურ ელემენტებს (ნიშნებს) დაირთავს არა მუდამ, არამედ მხოლოდ „გულზრახვითი დელიქტების“ დროს, ფინალისტებთან უმართლობა სუბიექტური ნიშნის გარეშე არ არსებობს საერთოდ.

ჰ. ველცელი წერს: „თუ ერთმა ადამიანმა მეორეს ესროლა, იმის დადგენა, ეს მოქმედება მკვლელობის მცდელობაა თუ სხეულის დაზიანების მცდელობა ანაც მხოლოდ ნებადაურთავ ადგილას გასროლა, — შეიძლება მარტოოდენ მოქმედის განზრახვის მიხედვით. განზრახვა უეჭველად შე-

მადგენლობის ნიშანია, ურომლისოდაც შეუძლებელია დადგინდეს, შეესაბამება თუ არა გარეგანი ქმედება დანაშაულის შემადგენლობას. ამგვარად, ...განზრახვა მცდელობის დროს უმართლობის სუბიექტური ელემენტია; ხოლო რადგან განზრახვა მცდელობისას ეკუთვნის არა ბრალს, არამედ მართლწინააღმდეგობას, მან ეს ფუნქცია იმ შემთხვევაშიც უნდა შეინარჩუნოს, როდესაც მოქმედება მცდელობის სტადიიდან დამთავრებული დანაშაულის სტადიაში გადავა.“385 შესაბამისად, *სუბიექტურობა უმართლობის „რელატიური“ ნიშნიდან იქცა მის „აბსოლუტურ“ ნიშნად.*

ვფიქრობთ, ამ საკითხისადმი ჩვენი პოზიცია შესაძლოა უკვე ისედაც ჩავთვალოთ დაფიქსირებულად: ჩვენ მიერ ზემოთ უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების უარყოფითი შეფასება ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ მასში გამოხატული ტენდენციის რადიკალირება ჩვენთვის ორმაგად მიუღებელია.

ძნელია ვცნოთ ვ. გალასის პოზიციის კორექტულობა, როდესაც ის აანალიზებს დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის ურთიერთობისადმი ჰ.ველცელის მიდგომას.

ვ.გალასის მტკიცებით, ჰ. ველცელი დანაშაულის ცნებას ზოგჯერ განიხილავს როგორც ორნიშნას — დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალის ცნებას განაკუთვნებს პირველ მათგანს, ზოგჯერ კი ბრალი მასთან დანაშაულის მესამე დამოუკიდებელი ნიშანია. ხოლო სინამდვილეში ჰ. ველცელი, მსგავსად ფინალიზმის სხვა ნებისმიერი მიმდევრისა, *არასოდეს ხელყოფს დანაშაულის სამნიშნა ცნებას როგორც ასეთს;* ის საცილოს ქმნის მხოლოდ მის ცალკეულ ნიშანთა შინაარსს, სტრუქტურულ მოცულობას და იმას, თუ კონკრეტულად რომელ მომენტებზე უნდა გაივლებოდეს მათ შორის ზღვარი.

დანაშაულის შემადგენლობას ჰ. ველცელი განსაზღვრავს როგორც სისხლისსამართლებრივ ნორმათა „აკრძალვის მასალას“ (Verbots-materie), ე.ი. როგორც აკრძალული ქცევის ნორმატიულ აღწერილობას, მართლწინააღმდეგობას — როგორც თვით აკრძალულობას (Verbotensein) და მხოლოდ ამის ნიადაგზე გადადის ბრალის როგორც გასაკიცხობის მიმოხილვაზე.

ჯერ ერთი, ბრალი როგორც გასაკიცხობა ვერასოდეს იქნება დანაშაულის შემადგენლობის როგორც „აკრძალვის მასალის“ შემადგენელი ნაწილი.

მეორეც, თუ ბრალი დანაშაულის შემადგენლობით არის მოცული, ის შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი სახით, მაგრამ არა როგორც გასაკიცხობა, რადგან ასეთ შემთხვევაში ის შესაძლებელია მხოლოდ მოსდევდეს და არა წინ უძღოდეს მართლწინააღმდეგობას როგორც აკრძალულობას.

წინააღმდეგობა, რომელსაც მართლაც აწყდება ჰ.ველცელი ანალოგიური მიმართულებით, ვ. გალასისთვის უხილავი რჩება.

ჰ. ველცელის ერთ-ერთი მტკიცების მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობა არის არა მხოლოდ „შინაარსი“, არამედ „ფორმაც“.

სხვაგან კი ის თავდაჯერებით შენიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება წარმოქმნის მხოლოდ „ნორმის საწინააღმდეგო-

ბას“ (Normwidrigkeit), რაც ჯერ კიდევ არ უდრის სუბიექტური ქცევის მართლწინააღმდეგობას; მართლსაწინააღმდეგოა „ნორმის საწინააღმდეგო“ ქცევა მაშინ, თუ ვერ იქნა დადგენილი საპირისპირო აღმჭურველი ნორმის (გამამართლებელი გარემოების) არსებობა.

ამით ჰ. ველცელი არა უბრალოდ უარყოფს დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის დიპოლარულ, უშუალო ურთიერთობას, არამედ სავსებით უგულებელყოფს თავის პირველ დებულებას, რომელშიც დანაშაულის შემადგენლობა ერთდროულად განასახიერებს „ფორმასაც“ და „შინაარსსაც“.

თუ დანაშაულის შემადგენლობას წარმოვიდგენთ „შინაარსისა“ და „ფორმის“ ერთობლიობად, ის უნდა გამოხატავდეს არა მხოლოდ იმას, თუ „ რა“ უდევს საფუძვლად ტიპირებას, არამედ იმასაც, თუ „როგორ“ მიიღება კონკრეტული ტიპირებული ქმედება მართლწინააღმდეგობის დირექტულ საფუძვლად; დანაშაულის შემადგენლობა ასეთ პირობებში უნდა მიგვანიშნებდეს „დელიქტის ტიპის“ როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ გამოვლინებაზე. ხოლო ამის შესაბამისად დანაშაულის შემადგენლობა თვითვე უნდა მოიცავდეს ველცელის მიერ საგანგებოდ გამოყოფილ შუალედურ რგოლს, რის საფუძველზეც მართლწინააღმდეგობა შეიქმნებოდა დანაშაულის შემადგენლობის მექანიკურ ატრიბუტად.

ამიტომ ჰ.ველცელის საწყისი თეზისი მოწმობს მხოლოდ მის მიერვე ჩამოყალიბებული სისტემატიკური სამკუთხედის (Tatbestand — Erlaubnissatz — Rechtswidrigkeit) დაუშვებელ ჰეტეროგენულობას.

ამასთანავე, ჩვენს ყურადღებას იპყრობს უკანასკნელ დებულებაში დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და ნორმის საწინააღმდეგობის გაიგივებაც.

თუ ვამტკიცებთ, რომ პირი, რომელიც მოქმედებს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისად, იმავე დროს მოქმედებს ნორმის საწინააღმდეგოდაც, სისხლისსამართლებრივი ნორმა უკვე ამ საფეხურზე უნდა მივიჩნიოთ დარღვეულად, რადგან შეუძლებელია სუბიექტი მოქმედებდეს ნორმის საწინააღმდეგოდ და იცავდეს ანუ არ არღვევდეს მას.[0]*

მაგრამ თუ ნორმის (ობიექტური) დარღვეულობა დგინდება ჯერ კიდევ დანაშაულის შემადგენლობის სფეროში, მაშინ რისი დადგენა გვმართებს მართლწინააღმდეგობის ეტაპზე და რას ნიშნავს საერთოდ მართლწინააღმდეგობა ასეთ შემთხვევაში?! დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარად მართლწინააღმდეგობა გარდაიქმნება დანაშაულის სრულიად უფუნქციო, ორნამენტულ ელემენტად.

მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მიიჩნევა ვ. გალასი ორთოდოქს ფინალისტად, მრავალია, რომელთაგან ერთ-ერთი მდგომარეობს მის შემდეგ გამონათქვამში: „არსებითი განსხვავება ფინალურ მოძღვრებასა და მოძველებული სისტემატიკის მომხრეებს შორის შეეხება არა განზრახვის ფინალურ როლს ზოგადად, არამედ საკითხს, თუ რომელია განზრახვის ამ ფი-

* აქ საუბარია ნორმის მხოლოდ ობიექტურ დარღვევაზე.

ნალური დანიშნულების გამოვლინების სფერო: უმართლობა თუ ბრალი; უკეთ რომ ვთქვათ, ცილობის საგანს შეადგენს ის, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქცევა ფინალური შინაარსის შემცველ ქმედებად: უკვე როგორც მართლსაწინააღმდეგო თუ მხოლოდ როგორც ბრალეული-მართლსაწინააღმდეგო. განზრახვისათვის ადგილის განსაზღვრა სისტემაში დამოკიდებულია არა იმდენად ონტოლოგიურ მოსაზრებებზე, როგორც ამას ფინალისტები მიიჩნევენ, რამდენადაც შეფასებით ასპექტზე.“386 განზრახვის ცნების შეფასებით ასპექტთან დაკავშირება შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც „ბუნებრივი განზრახვის“ უარყოფა, რაზედაც ვ. გალასი პირდაპირ, რასაკვირველია, არ მიგვითითებს. მაგრამ სწორედ მისი ამ ორაზროვნობის გამო საჭირო ხდება მოცემული დასკვნის გარკვეული დაზუსტება.

რას ნიშნავს განზრახვის ცნების მხოლოდ ონტოლოგიური თვალსაზრისით აღქმა? ეს მოასწავებს იმას, რომ განზრახვა უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ როგორც დამნაშავის ფსიქიკური საქმიანობის ნიშანი და არა როგორც ფსიქოლოგიურ-ნორმატიული ცნება, რომელიც განუყრელია შეფასებითი მომენტისაგან, რადგან ონტოლოგიურობა მკაცრად მოითხოვს ყოველგვარი ფენომენის მხოლოდ როგორც ასეთის მიმოხილვას.

ამიტომ როდესაც ვ. გალასი უარყოფს განზრახვისადმი მხოლოდ ონტოლოგიური მიდგომის მართებულობას, ის იმავდროულად უარყოფს განზრახვის, როგორც ასეთის, ანუ ბუნებრივი განზრახვის სისხლისსამართლებრივ თვითკმარობასაც.

გარდა ამისა, ყურადსაღებია თვით საკითხის დაყენება. ჩვენი აზრით, ვ. გალასი აქაც ერთობ ზედაპირულია, ვინაიდან დანაშაულის სისტემაში განზრახვის ადგილის განსასაზღვრავად ის ეყრდნობა არა განზრახვის შინაარსს, არამედ განზრახვის შინაარსის ელემენტს (ფინალურობას).

ის, რომ განზრახვის „ფინალურ როლს ზოგადად“ არც ფინალისტები უარყოფენ და არც „მოძველებული სისტემატიკის“ მომხრეები, უდავოა, მაგრამ იმის გასარკვევად, თუ რომელ ეტაპზე იჩენს თავს განზრახვის ეს „ფინალური როლი“, უცილობელია, გარდა თვით ფინალურობის ნიშნისა, მხედველობაში მივიღოთ განზრახვის სხვა მატერიალური მახასიათებლებიც.

ამ მიზეზით აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს „ბუნებრივი განზრახვისა“ და „ბოროტი განზრახვის“ შინაარსობრივი ურთიერთდაპირისპირებულობა. ვნახოთ, თუ როგორ აისახება ყოველივე ეს პრაქტიკულად.

დავუშვათ, რომ სუბიექტი სჩადის ჯეროვნად გაცნობიერებულ, აშკარად მიზანმიმართულ მკვლელობას, როდესაც მას არ გააჩნია გამამართლებელი (მართლზომიერების უზრუნველმყოფი) გარემოებები, მაგრამ მოცემული გვაქვს ბრალის გამომრიცხველი ესა თუ ის გარემოება. ამის საილუსტრაციოდ შესაძლოა მოვიტანოთ ლიტერატურაში არაერთგზის ციტირებული მაგალითი საომარ მოქმედებაში მყოფ ჯარისკაცზე, რომელიც იურიდიული შეცდომის შედეგად კლავს ტყვედ დანებებულ მოწინააღმდეგეს. გამამართლებელი გარემოების არარსებობა მიგვანიშნებს

ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, ბრალის გამომრიცხველი გარემოება კი (იურიდიული შეცდომა) მოწმობს მოცემული ქმედების არაბრალეულობას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქმედება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგოა და არ არის ბრალეული, მას უთუოდ ახასიათებს ფინალურობა, რადგან, როგორც გარკვევით შეინიშნა, სუბიექტი მოქმედებდა მიზანმიმართულად.

და ამის შედეგად წარმოიქმნება არჩევანის აუცილებლობა: თუ განზრახვის შინაარსში ვიგულისხმებთ მხოლოდ ფინალურობას, განზრახვის „ფინალური როლის“ მნიშვნელობა უნდა ვაღიაროთ უკვე მართლწინააღმდეგობის საფეხურზე, ხოლო თუ განზრახვას გავიგებთ ტრადიციულად, მაშინ ფინალურობის არსებობა საკმარისი ვერ იქნება, რათა განზრახვა ჩავთვალოთ მოცემულად და, შესაბამისად, ვისაუბროთ მის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ფინალურ ფუნქციაზე.

უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც განზრახვა გაგებულია ტრადიციულად, ქმედება შეიცავს ფინალურობას განზრახვის მოუცემლადაც.

აქედან დასკვნა: *ტრადიციული გაგებით, განზრახვის განუყოფლობა ფინალურობისაგან სულაც არ მეტყველებს ფინალურობის განუყოფლობაზე განზრახვისაგან;* ეს კი, ფინალური მოძღვრების თანახმად, მიუღებელია, რამდენადაც მასში ფინალურობა ისევეა განზრახვის ამსახველი ცნება, როგორც განზრახვა — ფინალურობისა.

რაც უმთავრესია, ამის გაუთვალისწინებლად, ჩვენ მიერ ზემომოტანილი შედარებიდან გამომდინარე, განზრახვისა და განზრახვით მოცული ფინალურობის სისტემატიკური მნიშვნელობა არ შეიძლება დადგინდეს.

ასე რომ, დავა იმის შესახებ, თუ დანაშაულის სისტემის რომელ ეტაპზე იძენს თავის მნიშვნელობას განზრახვის „ფინალური როლი“, სრულიად არის დამოკიდებული დავაზე განზრახვის შინაარსის შესახებ, რის გამოყოფასაც ვ. გალასი (ჩვენთვის გაუგებარ მიზეზთა გამო) დაჟინებით არიდებს თავს.

გვერდი ვერ აექცევა ვ. გალასის მომდევნო შეხედულებასაც, რომელიც დაკავშირებულია მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულში ფინალურობის საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობასთან. „თუ მცდელობის სტადიაზე, — აღნიშნავს ვ. გალასი, — დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მართლწინააღმდეგობა (tatbestandsmäßige Rechtswidrigkeit)* შესაძლოა დასაბუთდეს მხოლოდ დელიქტური განზრახვის ფინალურობაზე დაყრდნობით, გაურკვეველია, თუ რა უნდა შეიცვალოს დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში განზრახვისა და უმართლობის შემადგენლობის (Unrechtstatbestand) ურთიერთობის თვალსაზრისით. მაგრამ მსგავსი თანხვდომა კატეგორიულად ვერ მიიღება, რამეთუ

* ტერმინი „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მართლწინააღმდეგობა“, განსხვავებით ტერმინისაგან „მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა,“ არასწორია, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის ცნება თავის თავშივე მოიცავს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობას, რაც ვერ ითქმის შებრუნებით ანუ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობაში მართლწინააღმდეგობა არ იგულისხმება და, ამსახად, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა შეიძლება იყოს როგორც მართლსაწინააღმდეგო, ისე მართლზომიერი.

დელიქტური ნების განხორციელება სხვა რამ არის, ვიდრე დელიქტური შედეგის გამოწვევა.“387 ფინალისტების მიერ დაშვებულ ხარვეზს ვ. გალასი ზუსტად შენიშნავს, მაგრამ ამის შედეგად მას უკვე არ რჩება თავისუფალი მანევრის შესაძლებლობა, როგორც ეს თავად აქვს წარმოდგენილი: ყოველგვარი მეცადინეობა მოცემული პრობლემის ფინალური მოძღვრების ფარგლებში (ე.ი. ფინალური ხერხებითა და მეთოდებით) გადაჭრისა ამაოა.

ადვილად მისახვედრია, რომ მცდელობის შემთხვევაში ფინალურობის „სასურველი“ კუთხით მოდიფიცირება ფაქტობრივად იწვევს ყველაზე არასასურველ შედეგებს, რადგან, თუ მცდელობის დროს სუბიექტის მიზანს დელიქტური ნების განხორციელებით შემოვფარგლავთ, მისი ქმედება მთლიანად მოსწყდება შესაბამისი მატერიალური დანაშაულის შინაარსს და თვითონვე შეიძენს (თუმც უკვე ახალი სახის) მატერიალური დანაშაულის მნიშვნელობას.

ამის მიზეზი საკმაოდ მარტივია: შედეგი ეწოდება ყოველივე იმას, რისკენაც მიიმართება მიზანი, და, ამრიგად, შედეგს შესაძლებელია წარმოადგენდეს უშუალოდ ნების განხორციელების პროცესიც, თუ სუბიექტი მიზნად ისახავდა ამ უკანასკნელს; ამასთანავე, მცდელობის ძირითად წინაპირობას შეადგენს დასახული მიზნის განუხორციელებლობა, რის შესაბამისადაც ინდივიდი კი არ უნდა აღწევდეს წარმოდგენით წინასწარ განსაზღვრულ მიზანს, არამედ მხოლოდ ცდილობდეს მის მიღწევას, წარუმატებლად ესწრაფვოდეს მას.

ეს დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ მცდელობისას ფინალურობის რეორიენტირება „დელიქტური შედეგის გამოწვევიდან“ „დელიქტური ნების განხორციელებაზე“ თეორიულად დაუშვებელია. ამიტომაც დანაშაულის ფინალურ სისტემაში მცდელობის დამთავრებულ დანაშაულად გარდაქცევით კვლავაც არაფერი იცვლება განზრახვისა და უმართლობის შემადგენლობის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, უარსაყოფია თავდაპირველი წინამძღვარი, სახელდობრ ის, რომ „მართლწინააღმდეგობა მცდელობის სტადიაზე შესაძლოა დასაბუთდეს მხოლოდ დელიქტური განზრახვის ფინალურობაზე დაყრდნობით.“

მიუხედავად იმისა, რომ ფინალისტები ამ მომენტს განიხილავენ როგორც ცენტრალურ არგუმენტს ობიექტური ნიშნებისაგან შემდგარი უმართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი ირეალურობა თვალსაჩინოა.

ჩვენ ზემოაღნიშნული მაგალითიდან უკვე ვიხილეთ, რომ ქმედება, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ არ არის ბრალეული, შესაძლოა - დაწვრილებით წარმოდგენას გვიქმნიდეს სუბიექტური ქცევის ფინალურ ასპექტზე. მაგრამ ფინალურობის გარკვეულობა უმართლობის ფარგლებში ჯერ კიდევ როდი მოწმობს იმას, თითქოს ფინალურობა უმართლობის დამაფუძნებელი ელემენტია. როდესაც არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები, დელიქტური მიზნის მოცემულობა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა, გარკვეულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ფინალურობა

გამომდინარეობს მართლწინააღმდეგობიდან, *და არა იმას, რომ ფინალურობა აფუძნებს მართლწინააღმდეგობას.*

მარტივად რომ ვთქვათ, *უმართლობა წარმოქმნის ფინალურობას და არა ფინალურობა — უმართლობას.*

ფინალური მოძღვრების საწინააღმდეგოდ კიდევ უფრო თვალნათლივ მეტყველებენ ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც უმართლობა საერთოდ არ მიგვითითებს ფინალურობის არსებობაზე. განსაზღვრული სახის სულიერი დაავადების შედეგად სუბიექტს შესაძლოა არ გააჩნდეს მიზნების დასახვისა და დასახული მიზნების შესაბამისად ანუ ფინალურად მოქმედების ფსიქოლოგიური უნარი. მაგრამ განა ამის გამო მას არც მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედების უნარი შესწევს? შერაცხადობა ხომ ყველა შემთხვევაში ბრალის კონსტიტუციური ნიშანია და არა მართლწინააღმდეგობისა.

პრაქტიკულად ყოველივე ეს ამგვარად გამოიყურება: შეურაცხადს ძალუძს იმოქმედოს მართლსაწინააღმდეგოდ იმდენად, რამდენადაც მას ძალუძს დაარღვიოს სხვისი სისხლისსამართლებრივად დაცული უფლება; მკვლელობა, ჩადენილი გამამართლებელ გარემოებათა არარსებობის პირობებში, ვერ იქნება მართლზომიერი ვერც ერთ შემთხვევაში და, მით უმეტეს, ვერც მხოლოდ იმიტომ, რომ სუბიექტს არ გააჩნდა მიზანდასახულად მოქმედების უნარი.

იგივე ითქმის მკვლელობისა თუ სხვა ნებისმიერი დანაშაულის მცდელობაზეც, ვინაიდან ობიექტური ნიშნები აქაც ასევე სრულყოფილად ავსებენ დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის შინაარსს. მაგალითად, როდესაც სუბიექტი მოიმარჯვებს ცეცხლსასროლ იარაღს და მიუშვერს მას მის მოპირდაპირედ მდგარ ინდივიდს, ჩვენ მხოლოდ ობიექტურ გარემოებათა საფუძველზე ვერ დავასკვნით, თუ რომელი დანაშაულის მცდელობაა წარმოდგენილი მის ქმედებაში (მკვლელობის ან სხეულის დაზიანების).

მაგრამ იგივე ობიექტური გარემოებები არც იმის დასკვნის უფლებას იძლევიან, რომ მოცემული ქცევა არ არის მართლსაწინააღმდეგო. მაშინაც კი, როცა სუბიექტი მხოლოდ დანაშაულის მცდელობის იმიტაციას ესწრაფვის და რეალურად მას არ ამოძრავებს არც მკვლელობის, არც სხეულის დაზიანებისა და არც ძალის სხვაგვარი გამოყენების მიზანი (ე. ი. როცა ის ცდილობს, მხოლოდ გართობის მიზნით ზეიმოქმედოს მოპირდაპირე პირის ფსიქიკაზე), მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რადგან სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ამ შემთხვევაშიც ობიექტურად დარღვეული რჩება.

თუ მივიჩნევთ, რომ ნორმა მოცემულ შემთხვევაში ობიექტურად დარღვეული არ არის, მაშინ იძულებული ვხდებით დელიქტური მიზნის არსებობისას დანაშაულად ვაღიაროთ მისი (ნორმის) მხოლოდ სუბიექტური დარღვევა, რაც უკიდურესი სუბიექტივიზმისაკენ გადახრას ნიშნავს და რასაც ამის გამო ვერც ერთი ფინალისტი ვერ განიხილავს როგორც მისასალმებელს.

როგორც ირკვევა, ვითარება ზედმიწევნით ანალოგიურია იმისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი გულზრახვითი დელიქტების მიმოხილვისას. ამიტომ ობიექტური ნიშნებიდან გამომდინარე მცდელობა შესაძლოა იყოს მართლსაწინააღმდეგო არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოიპოვება ორი ან ორზე მეტი ალტერნატიული დელიქტური მიზანი, არამედ მაშინაც, როდესაც ნათლად არის გარკვეული მიზნის ლეგალურობა.

და აქედან არავითარი თეორიული გამოსავალი არ არსებობს: ჩვენ ობიექტური მხარე ორივე შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ ნებადართულად ან ორივე შემთხვევაში — აკრძალულად; დაუშვებელია, რომ აბსოლუტურად იდენტური შინაარსის მომცველი ობიექტური ქცევა აკრძალულიც იყოს და ნებადართულიც იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა ამ ქცევის თანამდევი მიზანი. *მიზნის დელიქტურობას ან ლეგალურობას არავითარი ცვლილება არ შეაქვს ქმედების ობიექტურ მხარეში და, ამგვარად, ობიექტური მხარის ნორმატიული შეფასება მასზე ვერანაირად იქნება დამოკიდებული.*

თუ რას ნიშნავს ორთავე შემთხვევაში ქმედების ობიექტურ ნებადართულობაზე საუბარი, ჩვენ უკვე გარკვევით ვიხილეთ: ეს მოასწავებს დანაშაულის აღიარებას ნორმის მხოლოდ სუბიექტურ დარღვევად და აქედან გამომდინარე არც თუ ზომიერ სუბიექტივიზმს.

მაგრამ რის მომასწავებელია ამის საპირისპირო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მოცემული ობიექტური ქცევა დელიქტურ მიზანთანაც და ლეგალურ მიზანთანაც კავშირში განისაზღვრება როგორც აკრძალული? ეს მიგვითითებს იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ამ შემთხვევაში შეეხება ქმედების მხოლოდ ობიექტურ მხარეს და არა ქმედებას ერთიანად, რის შედეგადაც დელიქტური მიზნის არარსებობა მართლწინააღმდეგობას ვერ გამორიცხავს. ამაში მიუღებელი არაფერია, ვინაიდან მართლწინააღმდეგობა გულისხმობს სხვათა სამართლებრივი უფლებებისა თუ თავისუფლებების დარღვევას და ამ დარღვევის გამოწვევის თვალსაზრისით გადამწყვეტია არა ის, თუ რა აზრს აქსოვს ინდივიდი თავის ობიექტურ ქცევაში, არამედ ის, თუ რაში გამოიხატება თვით ეს ობიექტური ქცევა.

ამრიგად, არაფერი მეტყველებს უკანასკნელი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ისევე, როგორც არაფერი მოწმობს პირველი დასკვნის რაციონალურობას.

გაუფრთხილებლობის პრობლემა

თუ კაუზალური მოძღვრებისათვის ძირითად სირთულეს უმოქმედობის დასაბუთება წარმოადგენდა, ფინალური სწავლება, შედარებით მარტივად წყვეტს რა უმოქმედობის პრობლემას, ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებლობას — უმოქმედობა კაუზალიზმისათვის და გაუფრთხილებლობა ფინალიზმისათვის თანაბრად პრობლემური საკითხებია.

როგორც ფინალური თეორიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, თუ ქმედების ცნება აიგება განზრახვაზე, ამაოა არგუმენტების ძიება, რათა შევძლოთ ამ ცნებისადმი არაგანზრახი ქცევის მისადაგებაც.

თავად ჰ. ველცელი გაუფრთხილებლობაზე შემდეგი აზრისაა: „უკანასკნელ დრომდე გაუფრთხილებლობა არასწორად განიხილებოდა როგორც ბრალის ელემენტი. ამჟამად კი სულ უფრო და უფრო გზას იკვლევს ის შეხედულება, რომ ისეთი მზრუნველობის მოთხოვნა, რომელიც სუბიექტს ობიექტურად მოეთხოვება, არის უმართლობის და არა ბრალის პრობლემა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგენილ იქნება ობიექტურად სავალდებულო მზრუნველობა (ე. ი. მართლწინააღმდეგობა), უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა გაუფრთხილებლობით მოქმედი გაიკიცხოს სავალდებულო მზრუნველობის დარღვევისათვის.“388

ასე განმარტავს ჰ. ველცელის ამ სიტყვებს ი. ბაუმანი: „განსაკუთრებით საინტერესოა გაუფრთხილებელი დანაშაულის კონსტრუქცია ქმედების შესახებ ფინალურ მოძღვრებაში. ფინალისტების მიხედვით გაუფრთხილებელი ქმედების მართლწინააღმდეგობას განეკუთვნება მოვალეობის ობიექტური საწინააღმდეგობა (die objektive Pflichtwidrigkeit), ფინალური წარმართვის (finale Steuerung)0* სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობა. ბრალზე გადასვლით კი წარმოიშობა იმის გარკვევის საჭიროება, იმოქმედა თუ არა პირმა სუბიექტურადაც მოვალეობის საწინააღმდეგოდ და შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტულად მისთვის მისი ქცევის მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინება. მაშასადამე, ფინალურ მოძღვრებაში გაუფრთხილებლობა იქცევა არაგანზრახი დანაშაულის მართლწინააღმდეგობად, ამ უკანასკნელის შესახებ უკუღირებულებით მსჯელობად.“389

განსხვავებას თავის პოზიციასა და ფინალურ კონცეფციას შორის ი. ბაუმანი უმთავრესად ხედავს იმაში, რომ ფინალურ მოძღვრებაში გაუფრთხილებლობისას უბრალოდ დანაშაულის შემადგენლობის შესრულება არ განიხილება როგორც უმართლობის ინდიცირების საფუძველი.

ჰ. ველცელთანაც და ნებისმიერ სხვა ფინალისტთანაც მართლწინააღმდეგობის დასაფუძნებლად უკუღირებული შედეგის (unwerter Erfolg) გამოწვევის ფაქტი საკმარისი არ არის, საამისოდ აუცილებელია იმის დადგენაც, რომ სუბიექტმა იმოქმედა მოვალეობის საწინააღმდეგოდ.

ი. ბაუმანის თანახმად კი (სწორედ ისევე, როგორც განზრახი დელიქტების დროს), მართლწინააღმდეგობა პრინციპულად მიიღება უკვე შედეგის გამოწვევითაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოცემულია განსაკუთრებული გამამართლებელი გარემოებები ანუ კონტრნორმები ან როდესაც შედეგის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა სუბიექტის მართლზომიერი ქცევის შემთხვევაშიც (ეს უკანასკნელი გარემოება გამომდი-

* იგულისხმება ნებისყოფის ფინალური წარმართვა.

ნარეა იქიდან, რომ ი. ბაუმანი უარყოფს ე. წ. ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტთა დასჯადობას).

ამ მომენტების გათვალისწინებით სავსებით გასაგებად ჟღერს ი. ბაუმანის დასკვნითი მტკიცება ფინალური თვალთახედვის განსახილველ ასპექტზე; მისი თქმით, ფინალისტები აქაც ინერციულად იმეორებენ განზრახ დელიქტებთან დამოკიდებულებაში დაშვებულ უზუსტობას, კერძოდ, სრულიად უსაფუძვლოდ გადააქვთ აქცენტი შედეგის უკუღირებულებიდან ქცევის უკუღირებულებაზე.

აღსანიშნავია, რომ გარეგნულად ი. ბაუმანთან გაუფრთხილებელ დანაშაულში ბრალის დასაბუთების პროცესი თითქმის არაფრით ეწინააღმდეგება სათანადო ფინალურ პრინციპებს. მსგავსად ფინალისტებისა, ი. ბაუმანიც მიიჩნევს, რომ გაუფრთხილებლობის დროს დამნაშავე უნდა გაიკიცხოს მართლსაწინააღმდეგო შედეგის აუცდენლობისათვის, თუ მას ჰქონდა მისი აცდენის შესაძლებლობა. ამდენად, შედეგის აცილების შესაძლებლობა აქაც გასაკიცხობის თავიდათავი წინაპირობაა, რომლის გარეშეც ი. ბაუმანი შეუძლებლად რაცხს ქცევის უკუღირებულების დასაბუთებას.

მისივე მტკიცებით, ცოდნის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მოცემულად, თუ სწორედ ამ სუბიექტს სწორედ ამ ვითარებაში შეეძლო სცოდნოდა შედეგის შესახებ და აეცდინა კიდეც მისი დადგომა. მოკლედ, ნორმატიული გაკიცხვის საფუძველს შეადგენს ის, რომ „დამნაშავე თავის ქცევაში ჩამორჩა თავისავე ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებს.“

როგორც ვხედავთ, ი. ბაუმანის კრიტიკა მიმართულია გაუფრთხილებლობის ფინალური ცნების მხოლოდ სისტემატიკური მხარისადმი, ხოლო დოგმატურად მისი შეხედულებები ძირითადად ესატყვისება გაუფრთხილებლობისადმი ფინალისტების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, ი. ბაუმანის პოზიცია ზოგადად მისაღებია, მაგრამ აშკარაა მისი ზოგიერთი მომენტის დახვეწის აუცილებლობაც. მაგალითად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მას იმაში, რომ ქცევის უკუღირებულებაზე აქცენტის გადატანა ფინალური მოძღვრების ნეგატიური მხარეა.

ი. ბაუმანის მიხედვით, სწორედ გაუფრთხილებელი შედეგიანი დელიქტები უტყუარქმნიან იმას, რომ კანონმდებელი მცირედაც არ დაინტერესდებოდა სუბიექტის ქცევით, თუ ეს ქცევა მოკლებული იქნებოდა უკუღირებულებით (მართლსაწინააღმდეგო) შედეგს.

შედეგის უკუღირებულების მნიშვნელობის გამოსაყოფად ი. ბაუმანს შემდეგი მაგალითი მოაქვს: მედდა აწვდის ოკულისტს პაციენტისათვის განკუთვნილ შპრიცს, რომელშიც წამლის ნაცვლად გოგირდმჟავაა. ი. ბაუმანის აზრით, ექიმს მსგავს პირობებში, მართალია, არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს არავითარი წინდახედულობის (მზრუნველობის) ვალდებულება, მაგრამ მისი ქმედება რომ არადასჯადად გამოგვეცხადებინა, პაციენტის მდგომარეობაში აღმოჩენილი სუბიექტი ყოვლად დაუცველი დარჩებოდა (??). ი. ბაუმანი მოითხოვს პირის დასჯას მხოლოდ შედეგისათვის, რომლის მიმართაც სუბიექტს „არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს წინდა-

ხედულობის ვალდებულება“!! ეს ობიექტური შერაცხვის ტიპური მაგალითია, რომელსაც თანამედროვე სისხლის სამართალში არ შეიძლება მოეძებნოს თუნდაც ნაწილობრივი, თუნდაც არაპირდაპირი გამართლება.

ყოველთვის, როდესაც სახეზეა შედეგიანი დელიქტი (და მათ შორის გაუფრთხილებლობითი შედეგიანი დელიქტიც), სუბიექტს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა შედეგის, არამედ სწორედ ქცევის გამო, რომლითაც ეს შედეგი გამოწვეულია, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს არა შედეგის მნიშვნელობის უარყოფას, არამედ მხოლოდ შედეგის მნიშვნელობის ქცევის მნიშვნელობისადმი დაქვემდებარებას.[0]*

თუ სისხლის სამართალში შედეგის უკუღირებულებას დავაყენებთ ქცევის უკუღირებულებაზე მაღლა, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ შეურაცხადი პირი მართლსაწინააღმდეგო შედეგისათვის სისხლისსამართლებრივად პასუხს არ აგებს? ან იქნებ შეურაცხადთა დასჯადობაც გვეღიარებინა!

ამგვარი უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად კი აქცენტი უსათუოდ უნდა გადაიტანებოდეს ქცევის უკუღირებულებაზე, რის გამოც ი. ბაუმანის კრიტიკული შენიშვნა თვითონვე იქცევა სერიოზული კრიტიკის ობიექტად.

ამასთანავე, ვერ უარიყოფა ი. ბაუმანის პოზიციის მართებულობა, როდესაც ის დაუშვებლად მიიჩნევს გაუფრთხილებლობის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად გამოცხადებას და, ამრიგად, უარყოფს მას (გაუფრთხილებლობას) როგორც მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საგანს.

ფინალისტები, გაეგებათ რა გაუფრთხილებლობა ვალდებულების ობიექტურ საწინააღმდეგობად ანუ ნებისყოფის ფინალური წარმართვის სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობად, წარმოიდგენენ მას როგორც სუბიექტურ ელემენტს, პოლარულად გამიჯნულს ყოველივე ნებელობითისაგან. მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე როდი მიგვითითებს, რომ ფინალურ მოძღვრებაში გაუფრთხილებლობაც, მსგავსად განზრახვისა, „ბუნებრივია“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ფინალისტები, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ ერიდებიან გაუფრთხილებლობის ცნებაში განზრახვის ნიშნების შეტანას.

ხოლო საბოლოო ჯამში სულაც გაურკვეველი ხდება, თუ რა უფლებით შეიძლება ვუწოდოთ გაუფრთხილებლობა იმას, რაც მეტწილად განზრახვის ელემენტებისაგან არის შემდგარი.

---

* ამას აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ჰ. ველცელის მიერ გაკეთებული დასკვნაც: „სამართლებრივი სიკეთის დარღვევას (შედეგის უკუღირებულებას) სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ პერსონალურ-მართლსაწინააღმდეგო ქმედების (ქცევის უკუღირებულების) მნიშვნელობის ფარგლებში. ქმედების პერსონალური უკუღირებულება არის ყოველი სისხლისსამართლებრივი დელიქტის გენერალური უკუღირებულება... შედეგიანი და საფრთხის დელიქტების დროს შედეგის უკუღირებულება (დარღვეული სამართლებრივი სიკეთე) ქცევის უკუღირებულებით განსაზღვრული მომენტია.“

ოდნავაც არ ამარტივებს ამ გაურკვევლობას ჰ. ველცელის შემდეგი მტკიცება: „ნორმები კრძალავენ ნებისყოფის მცდარ ფინალურ წარმართვას, რომელსაც მივყავართ მოქმედებით ჩადენილ დელიქტამდე, და სავალდებულოს ქმნიან ნებისყოფის მართებულ ფინალურ წარმართვას გაუფრთხილებელი დელიქტების შემთხვევაში. ამგვარად, სამართლებრივი რეგულირების საგნად შესაძლოა წარმოვიდგინოთ მხოლოდ ისეთი ქმედებანი, რომლებიც მოიცავენ მომავლის მიზნობრივად განსაზღვრის შესაძლებლობას.“391 ჰ. ველცელის ამ მოსაზრებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ის ქმედების ფინალურობას განიხილავს როგორც აუცილებელს მხოლოდ სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ამ სფეროს მიღმა კი შესაძლებლად თვლის არაფინალური შინაარსის ქმედებათა არსებობასაც, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან ჰ. ველცელთან სწორედ ფინალურობა გამოხატავს ადამიანური ქცევის (ე.ი. ზოგადად სუბიექტური ქმედების) არსს.

ამიტომ გაცილებით უფრო კანონზომიერი იქნებოდა, ჰ. ველცელს ფინალიზმის სხვა მიმდევრებთან ერთად რომ უარეყო გაუფრთხილებლობის ცნება და ის, რაც შეადგენს ფინალური „გაუფრთხილებლობის“ შინაარსს, უკვე პირდაპირ განეხილა როგორც განზრახი ქმედების ნაირსახეობა.

ამავე დროს, ეს პრობლემა აქტუალურია არა მხოლოდ ფინალურ სწავლებასთან მიმართებაში, არამედ ზოგადად სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობის დასაბუთების მხრივაც.

ფინალისტებთან სოლიდარულად სხვა ნორმატივისტულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ გაუფრთხილებლობის გასაკიცხობა განისაზღვრება წინდახედულობის (მზრუნველობის) მოვალეობის დარღვევით. მიმოვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ეს დაუდევრობის მაგალითზე.

დაუდევრობისას სუბიექტს არც სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგი და არც აქვს წარმოდგენილი მისი დადგომის შესაძლებლობა, რა დროსაც მას შეუძლია და, ამდენად, ევალება კიდევაც მოცემული შედეგის გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, დაუდევრად მოქმედმა პირმა კი არ იცის, რომ მას ამ კონკრეტულ ვითარებაში ევალება წინდახედულობა, არამედ ის ფლობს მხოლოდ ასეთი ცოდნის შესაძლებლობას.

მაგრამ შეიძლება კი წინდახედულობის ვალდებულება დაირღვეს წინდაუხედავად? თუ ვიხელმძღვანელებთ თანამედროვე კრიმინალისტთა უმეტესობასთან წარმოდგენილი თვალთახედვით, არა, რადგან ამით, უკანასკნელი თვალთახედვის მიხედვით, წარმოიქმნება არა უბრალოდ ორმაგი წინდაუხედაობა, არამედ წინდაუხედაობის უსასრულო მწკრივი, რაც გვაიძულებს უარვყოთ სისხლისსამართლებრივი დაუდევრობის დასჯადობა.

ხოლო თუ ძალაში დავტოვებთ ზემოხსენებულ პრინციპს (დაუდევრობა — როგორც წინდახედულობის ვალდებულების დარღვევა), უთუოდ უნდა შევცვალოთ თვით დაუდევრობის შინაარსი და ვცნოთ, რომ დაუდევრად მოქმედ სუბიექტს მოეპოვება არა წინდახედულობის ვალდებულების ცო-

დნის შესაძლებლობა, არამედ წინდახედულობის ვალდებულების აქტუალური შეგნება. ეს კი დაუდევრობის ცნების განზრახვის სახეობად პროკლამირებას უდრის.

ამისდა კვალად, განვსაზღვროთ გაუფრთხილებლობა წინდახედულობის (მზრუნველობის) ან „ნებისყოფის ფინალური წარმართვის სავალდებულო მინიმუმის“ დარღვევად იგივეა, რაც უარვყოთ პრინციპული განსხვავება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებს შორის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გაუფრთხილებლობისათვის, განზრახვის საპირისპიროდ, ფინალურობა უცხოა. უფრო ზუსტად, თუ გვაქვს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დიფერენცირების პრეტენზია, არ უნდა ხელვყოფდეთ ფინალურობას როგორც ამ დიფერენცირების კრიტერიუმს.

ფრიად საგულისხმოა გაუფრთხილებლობის ფინალურ ცნებასთან დაკავშირებით ჰ. შვაიკერტის მიერ წარმოებული ანალიზიც, სახელდობრ ის, თუ როგორ აღიქვამს ეს შვეიცარიელი კრიმინალისტი გაუფრთხილებლობის საკითხისადმი ჰ. ველცელის დამოკიდებულებას.

ჰ. შვაიკერტი წერს: „ველცელის თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს შეადგენს მის შემდეგ მოსაზრებათა რიგი: სამართლებრივ სიკეთეთა დაცვა, როგორც ეს ველცელის ამოსავალ დებულებაშია გამოსახული, იურიდიულად მოისაზრება მხოლოდ ამ სიკეთეთა *სპეციალურად განსაზღვრულ* დარღვევასთან ურთიერთკავშირში. სამოქალაქო სამართალი, რომელიც უპირატესად დაინტერესებულია მართლსაწინააღმდეგო ზიანის ანაზღაურებით, კმარობს ამ ზიანის გამოწვევასაც როგორც ასეთს, მაგრამ სისხლის სამართალში ეს მომენტი იმთავითვე შემოისაზღვრება სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობით. შედეგის გამოწვევა, როგორც ასეთი, სისხლისსამართლებრივად არასოდეს არის მნიშვნელოვანი[0]*; შედეგი მხოლოდ მაშინ იძენს სისხლისსამართლებრივ რელევანტურობას, თუ, სულ მცირე, შესაძლებელი იყო მისი თავიდან აცილება (ეს გაუფრთხილებელი დელიქტებია), ე.ი. შედეგის უკუღირებულებას, რათა მან წარმოშვას სპეციფიკურად სისხლისსამართლებრივი უმართლობა, უნდა დავძინოთ ფინალური ქმედება ან გამონაკლისის სახით აცილებადი შედეგის გამოწვევა (შედეგის აუცდენლობა ნებისყოფის სავალდებულო ფინალური წარმართვით). მაგრამ თუ უმართლობის შემადგენლობისათვის შედეგის გამოწვევის სახეს ვანიჭებთ განმსაზღვრელ მნიშვნელობას, უნდა დავასკვნათ: არ მოიპოვება უმართლობის ისეთი შემადგენლობა, რომელიც საერთო იქნებოდა ფინალური ქმედებისა და აცილებადი შედეგის გამოწვევისათვის, რადგან შედეგის გამოწვევის სახე ამ ორ შემთხვევაში დიამეტრულად არაერთგვაროვანია. ამრიგად, ჰ. ველცელთან განზრახი და გაუფრთხილებელი დელიქტები ერთმანეთისაგან უკვე უმართლობის შემადგენლობაში განსხვავდებიან.“392 როგორც

* შვაიკერტს, მცდარად მოაქვს რა ველცელის მოსაზრება, უსამართლოდ დაჰყავს მისი პოზიცია ნიზეს ჩვენ მიერ ზემოგანხილულ შეხედულებამდე, რადგან სინამდვილეში ველცელი აქ საუბრობს შედეგის გამოწვევის, როგორც ასეთის, არა სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზე ზოგადად, არამედ მის მნიშვნელობაზე მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასპექტში.

ჰ. შვაიკერტის მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, თეზისი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართალი იცავს სამართლებრივ სიკეთეს მარტოოდენ „სპეციალურად განსაზღვრული“ ზემოქმედებისაგან, გადამწყვეტია ჰ. ველცელისთვის არა მხოლოდ განზრახვის ადგილის განსასაზღვრავად, არამედ უმართლობის შემადგენლობისადმი გაუფრთხილებლობის მიკუთვნების საკითხთან დაკავშირებითაც.

ამასთან, სწორია დასკვნა, რომელსაც გვთავაზობს ჰ. შვაიკერტი ჰ. ველცელის ამ იდეის პარალელურად, და რომელიც შეეხება უმართლობის სფეროში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განსხვავებას. მაგრამ მოცემული დასკვნა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან განვრცობასაც საჭიროებს, რის მიმართაც ჰ. შვაიკერტი სრულიად ინერტული რჩება.

როდესაც განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ელემენტებიდან ვაქცევთ უმართლობის ელემენტებად, ამას ფინალურ მოძღვრებაში აუცილებლობით თან სდევს *ბრალის ცნების ვარიაბელურიდან სტაბილურად გარდაქმნა და, პირიქით, უმართლობის სტაბილური ხასიათის ვარიაბელურით შეცვლა.*

უმართლობის შინაარსის ცვალებადობა უკანასკნელ შემთხვევაში პირობადებულია იმითვე, რაც განაპირობებდა ბრალის წინარეფინალური ცნების ვარიანტულობას, კერძოდ კი იმით, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აქაც წარმოგვიდგება როგორც ურთიერთშეუთავსებელი ანუ ალტერნატიული ელემენტები.

ფინალური უმართლობის ამ ელემენტთა ალტერნატიულობა ირიბად ჰ. შვაიკერტთანაც მოიხსენიება, როდესაც ის შენიშნავს, რომ „არ მოიპოვება უმართლობის ისეთი შემადგენლობა, რომელიც საერთო იქნებოდა ფინალური ქმედებისა (განზრახვა) და აცილებადი შედეგის გამოწვევისათვის (გაუფრთხილებლობა).“

ხოლო აქედან გამომდინარე, არსებობს უმართლობის ფინალური ცნების ორი სახე: პირველი, რომელიც თავის აუცილებელ სუბიექტურ ელემენტად მოიცავს განზრახვას, და მეორე, რომელშიც ნაცვლად განზრახვისა წარმოდგენილია გაუფრთხილებლობა.

მაგრამ რამდენად შეიძლება იყოს გამართლებული ამის საფუძველზე ტერმინების — „განზრახი უმართლობა“ და „გაუფრთხილებელი უმართლობა“ გამოყენება? ვფიქრობთ, ეს ბოლომდე გამართლებული ვერ იქნება, ვინაიდან განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით მოცემულია არა უმართლობის ცალკეული სახე, არამედ მხოლოდ უმართლობის კონსტიტუციური ელემენტი, რომელიც მის ამ ცალკეულ სახეს განსაზღვრავს (ერთ-ერთ წინა ქვეთავში ჩვენ უკვე შევეხეთ ამავე პრობლემას ბრალის მაგალითზე, როდესაც განიხილებოდა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ მიმართული ნორმატივისტული კრიტიკა, რომლის ფარგლებშიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ბრალის სახეებიდან (ფორმებიდან) ბრალის ელემენტებად გარდასახვით უარყოფილ იქნა ცნებების — „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“ საფუძვლიანობა).

ამიტომ უმართლობის ფინალური მოდელის ცალკეულ სახეთა წარმოდგენა, როგორც განზრახისა და გაუფრთხილებლის, შეიძლება დავუშვათ მხოლოდ პირობითობის მაღალი ხარისხით.

ამავე დროს, ამ გარემოებათა გათვალისწინებით ნათელიყოფა ისიც, თუ ვარიაბელურობის რომელი სახე უნდა ვიგულისხმოთ უმართლობის ფინალურ ცნებაში: მოდერირებული (გაზომიერებული) ვარიაბელურობა, რომელიც დამახასიათებელია ბრალის პირველადი ნორმატივისტული ცნებისათვის, თუ რადიკალური, რომელიც ახასიათებს ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებას.

ეს კი გვაძლევს ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილი დასკვნის კონკრეტიზების შესაძლებლობას, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ფინალისტები (უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ჰ. ველცელი), გადმოიტანენ რა ბრალის ცნებაზე ბელინგისეულ უმართლობაში ასახულ შინაარსობრივ მდგრადობას, ამ უკანასკნელს მიანიჭებენ ბრალის ადრეულნორმატივისტული ცნებისათვის იმანენტურ სტრუქტურულ სპეციფიკას.

ამრიგად, რადგანაც განზრახვა და გაუფრთხილებლობა ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან უმართლობის ფინალურ ცნებაში, როგორც ამას ბრალის წინარეფინალურ ნორმატივისტულ ცნებაში ჰქონდა ადგილი, უთუოდ უნდა დავასკვნათ, რომ *ფინალურ მოძღვრებას ბრალის მოცემული ცნებიდან უმართლობაში გადააქვს არა მხოლოდ ამ პირველის სტრუქტურული ელემენტები, არამედ აგრეთვე მისი სტრუქტურული თავისებურებანიც.*

ჰ. შვაიკერტი, განაგრძობს რა გაუფრთხილებლობის პრობლემისადმი ფინალისტთა მიდგომის ანალიზს, აღნიშნავს: „ველცელის მიხედვით, გაუფრთხილებელი დელიქტების დროს უმართლობის შემადგენლობის სრულყოფილად მაკონსტიტუირებელი ქმედების მომენტი მდგომარეობს არა ნამდვილ, არამედ მხოლოდ შესაძლო, შედეგის აცდენასთან დაკავშირებულ ფინალურ ურთიერთობაში. მაგრამ, როგორც თავად ველცელი მიუთითებს, შედეგის აცდენისაკენ მიმართული ფინალურობის შესაძლებლობა უნდა იყოს აქტუალური შესაძლებლობა, გამოხატული ფინალური ქცევის კონკრეტულ უნარში. ამ დებულებიდან გამომდინარე ისმის კითხვა: იყო თუ არა გადამწყვეტ მომენტში დამნაშავისათვის შედეგის შეგნების არარსებობა (Mangel des Erfolgsbewußtseins) აცილებადი? ამასთან, ეს კითხვა, ე.ი. მიზანშეცნობილი ქცევის (zweckbewußtes Verhalten) შესაძლებლობა დამოკიდებული უნდა იყოს დამნაშავის ბრალუნარიანობაზე, — შეუცნობელი გაუფრთხილებლობის[0]* ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რომლის დროსაც სუბიექტს წარმოდგენილი არა აქვს შედეგის დადგომის შესაძლებლობა, შედეგის გამოწვევა შეიძლება იყოს ფინალურად აცილებადი მხოლოდ ბრალუნარიანი პირისათვის. ამგვარად, შეუცნობელი გაუფრთხილებლობისას ბრალი და უმართლობა განუყოფლად ემთხვევა ერთიმე-

* შეუცნობელი გაუფრთხილებლობა (unbewußte Fahrlässigkeit) — დაუდევრობა.

ორეს. მაგრამ შეცნობილ გაუფრთხილებლობასთან[0]** მიმართებაშიც, როგორც წესი, ასევე ვღებულობთ ბრალის ასპექტზე ქმედების მომენტისა და ამით უმართლობის შემადგენლობის დამოკიდებულებას, რადგან დამნაშავე აქ უმეტეს შემთხვევაში არასწორად წარმოისახავს საფრთხის ხარისხს და, როგორც ველცელი ამტკიცებს, შეცნობილ გაუფრთხილებლობაშიც მუდამ მოიპოვება შეუცნობელი გაუფრთხილებლობის ნაწილი.“393 ჰ. შვაიკერტის მტკიცება ფინალურ სწავლებაში გაუფრთხილებელი დელიქტებისას უმართლობისა და ბრალის შინაარსობრივ განუყოფლობაზე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

როდესაც ის თვლის, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის ფინალურ ცნებაში ბრალუნარიანობა ვერ განიყოფა უმართლობის შინაარსისაგან, მას ძლიერ დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი უმართლობის ფინალური ცნების არსი და მის შემადგენელ ელემენტთა მნიშვნელობა.

მართალია, ჰ. შვაიკერტი, ვ.გალასისაგან განსხვავებით, ჰ. ველცელს უმართლობაში ბრალის შეტანას არ საყვედურობს, ვინაიდან ბრალუნარიანობა მასთან (ჰ. ველცელთან) ბრალს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, მაგრამ ჰ. შვაიკერტის პოზიციის სასარგებლოდ ეს მნიშვნელოვნად არაფერს მეტყველებს.

ფინალური ქცევის ანუ შედეგის აცდენისაკენ მიმართული ფინალურობის *აქტუალურ შესაძლებლობას* ჰ. ველცელი არ განიხილავს როგორც უმართლობის წინამძღვარს, მიუხედავად ჰ. შვაიკერტის ესოდენ შესაშური თავდაჯერებულობისა. ფინალური ქცევის *კონკრეტულ უნარს,* ე.ი. იმას, შეეძლო თუ არა სუბიექტს გადამწყვეტ მომენტში შედეგის გაუთვალისწინებლობის დაძლევა, ჰ. ველცელის მიხედვით, არაფერი აკავშირებს უმართლობის შემადგენლობის კონსტიტუირებასთან.

უმართლობას ფინალურ მოძღვრებაში, — როგორც ამას მართებულად აღნიშნავდა ი. ბაუმანი, — აფუძნებს „მოვალეობის ობიექტური საწინააღმდეგობა“ ანუ ნებისყოფის ფინალური წარმართვის *სავალდებულო მინიმუმის* შეუსრულებლობა, რაც ჯერ არამცთუ განუყოფელ, არამედ არავითარ კავშირზე არ მიგვითითებს იმასთან, იმოქმედა თუ არა პირმა „სუბიექტურადაც მოვალეობის საწინააღმდეგოდ“ ანუ შეეძლო თუ არა საკუთრივ ამ პირს საკუთრივ ამ პირობებში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინება.

მაგალითად, შეუცნობელი გაუფრთხილებლობისას ბრალუუნარო სუბიექტისთვის შედეგის უცოდინარობა მართლაც არ შეიძლება იყოს ფინალურად აცილებადი (წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ეს ნორმატიულად სავალდებულო იქნებოდა), მაგრამ ბრალუუნაროობა პირს ოდნავადაც არ აფერხებს „არ შეასრულოს ნებისყოფის ფინალური წარმართვის სავალდებულო მინიმუმი“, რითაც ჰ. ველცელი უმართლობას დაფუძნებულად მიიჩნევს.

** შეცნობილი გაუფრთხილებლობა (bewußte Fahrlässigkeit) — თვითიმედოვნება.

ამიტომ ნათელია, რომ ეს უკანასკნელი სულაც არ ცდილობს უარყოს დანაშაულის კლასიკურ ცნებაში წარმოდგენილი პრინციპი, რომლის თანახმადაც *უმართლობა არასოდეს არ არის დამოკიდებული ბრალზე, თუმც ბრალი უმართლობაზე — ყოველთვის.*

ამის კვალობაზე კი ჰ. შვაიკერტის მიერ წამოყენებული იდეა ფინალურ თეორიაში უმართლობისა და ბრალის ურთიერთსუბორდინირებულობის შესახებ უეჭველად მცდარია.

ევენტუალური განზრახვა

ფინალური მოძღვრების ანალიზი ვერ იქნება სრულყოფილი (მით უფრო, როდესაც ეს კრიტიკული ანალიზია), თუ მხედველობაში არ მივიღეთ ევენტუალური (ირიბი) განზრახვისადმი ფინალისტების დამოკიდებულება. ამ მომენტის ხაზგასმის საჭიროებას განაპირობებს ის, რომ ფინალური კონცეფციის ფარგლებში ევენტუალური განზრახვა გაუფრთხილებლობაზე არანაკლებ სირთულეებს წარმოშობს.

თუ მივიღებთ, რომ ქმედებასთან მიზანმიმართულობა დაკავშირებულია როგორც წარმოდგენის განხორციელების შედეგი, მიზანმიმართულობის მოცემულობა პირდაპირ განზრახვაში არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რა სახისაა ასეთ შემთხვევაში მიზანმიმართულობისა და ევენტუალური განზრახვის ურთიერთობა?

მოცემული პრობლემის გაშუქებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვ. ჰარდვიგი, რომლის მიერ წარმოებულ ანალიზსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი ჩვენ მიერ ზემომოტანილ მაგალითთაგანი: სუბიექტი განზრახ უკიდებს ცეცხლს თავის წინასწარ დაზღვეულ საცხოვრებელ სახლს, რათა ამგვარად შეძლოს სადაზღვევო თანხის დაუფლება; ამასთან, ნაგებობაში იმყოფება პარალიზებული მოხუცი ქალი, რაც დამნაშავისათვის უცნობი არ არის. როგორც ვ. ჰარდვიგი აღნიშნავს, სუბიექტს განსახილველ ვითარებაში შეგნებული აქვს, რომ ავადმყოფი ხანძრის შედეგად შესაძლოა დაიღუპოს.[0]*

ამასთან ერთად, მისივე მტკიცების შესაბამისად, პირდაპირი და ირიბი განზრახვის თანამოცემულობით სახეზეა „ხერხისა-და-მიზნის-ურთიერთობა“(die Um-zu-Beziehung). დანაშაულებრივი ქმედება, საცხოვრებელი სახლისათვის ცეცხლის წაკიდება, განისაზღვრება სადაზღვევო თანხის დაუფლების მიზნით; ნების განხორციელების მიზანს კი შეადგენს ხანძარი.

ამდენად, დამნაშავე თავისი ქმედებით განახორციელებს იმას, რისი განხორციელებაც სრულიად იყო მოცული მისივე წარმოდგენებით.

---

* რადგან დაზარალებული პარალიზებულია, ძნელად მისახვდომი არ უნდა იყოს, რომ დამნაშავეს მოეპოვება მისი დაღუპვის აუცილებლობის და არა შესაძლებლობის შეგნება. მაგრამ, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ აქ ვ. ჰარდვიგის პოზიციაში ამ მხრივ არავითარი კორექტივები არ შეგვაქვს.

მაგრამ, ვ. ჰარდვიგის თანახმად, დამნაშავის ნება არამცთუ არ არის მიმართული დაზარალებულის დაღუპვისაკენ, არამედ აშკარაა, რომ მას ეს გარემოება განსაზღვრული ზომით აბრკოლებს კიდეც „თავის ნებელობით მისწრაფებებში“ (in seinen Willensstrebungen).

აქედან ვ. ჰარდვიგი ასკვნის, რომ დაზარალებულის დაღუპვა არ შეესაბამება არც სუბიექტის ნებას და არც მის სურვილს (რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რამეთუ ქმედების ბრალეულობა, მართალია, არ მოითხოვს „სურვილის შესაბამისობას,“ მაგრამ თუ არ მოიცემა „ნების შესაბამისობა“, ბრალის დასაბუთება თანამედროვე სისხლის სამართალში შეუძლებელია).

ნების მიზანმიმართულება აქ მდგომარეობს მხოლოდ სახლისათვის ცეცხლის წაკიდებაში, მაგრამ ევენტუალურ განზრახვასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია არა ეს დანაშაულის შემადგენლობა, არამედ დანაშაულის შემადგენლობა, რომელშიც განზრახი მკვლელობაა გამოხატული (ასე კვლავ ვ. ჰარდვიგი).

ამასთან, ვ. ჰარდვიგი შენიშნავს, რომ, რადგან უკვე მიზანმიმართული ქმედების დროს ტერმინი „ფინალური ქმედება“ გარკვეულ სკეპტიკურობას ბადებს, ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობასთან მიმართებაში ის სრულიად გაუმართლებელია. თუმც, მისივე თქმით, ევენტუალური განზრახვის დროსაც შესაძლებელია მოიცემოდეს „სხვა მიზანმიმართულება“, ე.ი. არ არის გარდაუვალი, რომ ნების წარმართვის ობიექტს შეადგენდეს დასჯადი მიზანი.

ის, რომ მოცემულ მაგალითში ნება სწორედ დასჯადი მიზნისაკენ მიიმართება (საცხოვრებელი სახლისათვის ცეცხლის წაკიდება), სულაც არ წარმოადგენს ევენტუალური განზრახვის აუცილებელ წინაპირობას.

„ამრიგად, — განაგრძობს ვ. ჰარდვიგი, — თუ ნება არ არის მიმართული დასჯადი მიზნისაკენ, სისხლის სამართალს მიზნის ეს ტენდენცია შესაძლოა აინტერესებდეს სასჯელის შეფარდების ასპექტში, მაგრამ არა თვით ქმედებასთან დამოკიდებულებაში. სისხლისსამართლებრივი ინტერესის საგანს უფრო მეტად შეადგენს მხოლოდ ქმედების შედეგი, რომელი ქმედებითაც მოცული იყო დელიქტური საზიანოობის შესაძლებლობა. და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აქ პრინციპული მნიშვნელობისაა არა ქმედების მიზანი, არამედ ის გარემოება, რომ დანაშაულებრივად მოქმედ პირს შეგნებული ჰქონდა დასჯადი შედეგის შესაძლებლობა. ამიტომ საჭიროა შესწავლილ იქნას არა ქმედების მიზანი როგორც ასეთი, არამედ მხოლოდ შედეგის შესაძლებლობის შეგნება. ამის ნიადაგზე კი დელიქტურ შედეგთან კავშირში ფინალური ქმედების მოხსენიება უკვე ერთიანად კარგავს ყოველგვარ საფუძვლიანობას. ქმედება რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფართო გაგებით ფინალურია, ამას კვალიფიცირების პროცესში ევენტუალური განზრახვის მიმართ არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.“394

მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება შესაძლებელია უკავშირდებოდეს სუბიექტის არამიზნობრივ საქმიანობასაც, რის უკეთ გასააზრებლად ვ. ჰარდვიგს კიდევ ერთი მაგალითი მოაქვს: ორსუ-

ლი მუშა ქალი, შესვენების მიზნით ხტება რა მარცვალსაცავიდან კალოზე, ითვალისწინებს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ორსულობის შეწყვეტა; და რამდენადაც ითვალისწინებს, ურიგდება, ეთანხმება კიდეც ასეთი შედეგის დადგომას. მაგრამ, როგორც მაგალითიდან ჩანს, მისი მიზანი ამ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომაში არ არის გამოხატული.

აქედან ვ. ჰარდვიგს გამოაქვს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი ინტერესი ვრცელდება არა იმაზე, რაც ქმედებაში სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის სახით გვაქვს წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ იმ თანამდევ შედეგზე, რომელსაც დამნაშავის მიზანი არ მოიცავდა.

შესაბამისად, ევენტუალური განზრახვის ამ მაგალითშიც ნორმატიული გაკიცხვა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეყრდნობა იმას, რომ დასჯადი შედეგის განხორციელება წარმოადგენდა ინდივიდის მიზნობრივ საქმიანობას.

„პასუხისმგებლობის საფუძველი ქმედებისათვის, — განავითარებს თავის მოსაზრებას ვ. ჰარდვიგი, — რომელიც გულისხმობს სამართლებრივად აკრძალული შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სამართალი კრძალავს ისეთ ქმედებებსაც, რომლებიც მსგავს შესაძლებლობას შეიცავენ. კანონმდებელი ამით ცნობს სუბიექტის უნარს, წარმართოს თავისი ქცევა იმგვარადაც, რომ შეძლოს არ დაუშვას, აღკვეთოს სამართლებრივად აკრძალული შედეგები. მაგრამ რამდენად გამართლებულია მტკიცება: პირი, რომელიც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ და რომელსაც შეგნებული აქვს დელიქტურ შედეგთა დადგომის შესაძლებლობა, უშუალოდ წარმართავს მთელ ამ მიმდინარეობას? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს შეხედულება მცდარია, რადგან არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩვენს თავდაპირველ მაგალითში დამნაშავე წარმართავდა მოვლენებს დაზარალებულის დაღუპვისაკენ და არა ხანძრის გაჩაღებისაკენ; თვით ხანძრის გაჩაღებით კი მან ყოველივე მიანდო „ბრმა კაუზალურ პროცესებს“ ანუ შემთხვევითობას. მხოლოდ ფაქტი დაზღვეული ქონებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და ამის შედეგად კაუზალობის მოძრაობაში მოყვანისა საკმარისი არ არის, რათა ირიბი განზრახვით გამოწვეული მკვლელობის მიმართაც მოვლენების ფინალურ წარმართვაზე ვისაუბროთ.“395

მაგრამ სხვაგან ვ. ჰარდვიგი აღნიშნავს, რომ „წარმართულად“ შესაძლოა ჩავთვალოთ ისეთი პროცესიც, რომლის შესაძლებლობა, როგორც ქცევის შედეგი („სამართლებრივი კაუზალობის გაგებით“), სუბიექტს გათვალისწინებული ჰქონდა და შეგნებულად უშვებდა.

წინააღმდეგობა აქ თვალსაჩინოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვ. ჰარდვიგი თავისი ზემოწარმოდგენილი მოსაზრებებით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმის ჯეროვან აღქმას, თუ როგორია ფინალისტების პოზიციიდან დანახული ევენტუალური განზრახვის სპეციფიკურობა.

მაგალითი, რომელშიც ერთდროულად მოიცემა პირდაპირი და ირიბი განზრახვა, განსაკუთრებული სიცხადით მეტყველებს ფინალურ დოგმატიკასთან განზრახვის ამ უკანასკნელი სახის შეუთავსებლობაზე.

ამასთან, მეთოდოლოგიურად ვ. ჰარდვიგის თვალთახედვა აქ გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს. ქმედების ფინალურობის დადგენა მოითხოვს არა იმის ან არა მხოლოდ იმის გარკვევას, თუ რას ითვალისწინებდა სუბიექტი: შედეგის დადგომის აუცილებლობას თუ შესაძლებლობას, არამედ იმისა, სურდა თუ არა მას ეს შედეგი. ფინალურობა მიზანმიმართულობას ნიშნავს, *მიზანმიმართულობა კი „უფრო" ნებელობითი კატეგორიაა, ვიდრე ინტელექტუალური.* დაუშვებელია, რომ სუბიექტური ქცევა მიიმართებოდეს განსაზღვრული მიზნისაკენ, თუ ეს მიზანი ჯერ არ არის დასახული მოქმედის ფსიქიკაში, ე.ი. *მიზანდასახულობა მიზანმიმართულობის აუცილებელი წინამძღვარია.*

მაგრამ დაიშვება თუ არა მიზნის დასახვა ნებელობითი საქმიანობის ფარგლებს მიღმა? ცხადია, არა, რადგან მიზანი არც ინსტინქტია და არც რეფლექსი, მისი წარმოქმნის ავტონომიურობაზე რომ ვისაუბროთ.

ამავე დროს, რით არის განპირობებული ის, რომ მიზანდასახულობა და მასთან ერთად მიზანმიმართულობაც წარმოადგენენ არა ყოველგვარ ნებელობით საქმიანობას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც უკავშირდება სუბიექტის სურვილს?

თუ დავუშვებთ, რომ მიზანი უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ნებას და შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სურვილს, მაშინ ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან მიზნისა და ხერხის ცნებებს, ვინაიდან მათი ურთიერთგამიჯვნის სხვაგვარი კრიტერიუმი საერთოდ წარმოუდგენელია.

ვთქვათ, მიზანი, მსგავსად ხერხისა, მიიღება სურვილის შესაბამისობის გარეშეც, რაც შესაძლებელს ქმნის ევენტუალურ განზრახვაში დელიქტური მიზანმიმართულობის დასაბუთებას. მაგრამ მაშინ რაგვარად შეიძლება განვსაზღვროთ ვ. ჰარდვიგის პირველ მაგალითში ევენტუალური განზრახვით მოცული დელიქტური მიზნისა და პირდაპირი განზრახვით მოცული დელიქტური მიზნის ურთიერთობა? გამოდის, რომ დამნაშავე ევენტუალურ განზრახვაში გამოხატულ დასჯად მიზანს (დაზარალებულის დაღუპვა) *იყენებს* პირდაპირ განზრახვაში გამოხატული დასჯადი მიზნის (სადაზღვევო თანხის დანაშაულებრივი დაუფლება) მისაღწევად, რასაც ძნელად თუ ვინმე გაიზიარებს, ვინაიდან ფორმულა „მიზნის გამოყენება მიზნის მისაღწევად" უკვე თვითონვე არის თავისივე უშინაარსობის საუკეთესო არგუმენტი.

ამდენად, რასაც სუბიექტი მხოლოდ შეგნებულად უშვებს (და არ სურს), ვერასოდეს მოიყვანება მიზნის ცნებასთან შესაბამისობაში. ამიტომაც ვ. ჰარდვიგის დასკვნა ფორმალურად მისაღებია.

უაღრესად მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს ვ. ჰარდვიგის მეორე, „გამარტივებული" მაგალითიც და ამ მაგალითის გარშემო წარმოებული კვლევაც. აქაც ასევე ნათლად ჩანს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ევენტუალური განზრახვის დროს „მიზნობრივ საქმიანობას"

არ წარმოადგენს. სუბიექტურ ქცევას „ფართო გაგებით“ არც უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ არაფინალური, მაგრამ სისხლისსამართლებრივად საგულისხმოა არა ამ ქცევაში მოცემული მართლზომიერი მიზანი და მისი ასევე მართლზომიერი ძირითადი შედეგი, რომლისკენაც ეს მიზანი მიმართულია, არამედ ქმედების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეადგენს მართლსაწინააღმდეგო თანამდევი შედეგის საფუძველს, და თვით ეს მართლსაწინააღმდეგო თანამდევი შედეგი.

თუ ფინალურობა ევენტუალური განზრახვის განმსაზღვრელი ნიშანიც არის, ერთმნიშვნელოვნად უნდა ვაღიაროთ, რომ თანამდევი შედეგის მიმართ სუბიექტი კი არ რჩება ინდიფერენტული, არამედ ესწრაფვის მას ისევე, როგორც ესწრაფვის არადასჯად ძირითად შედეგს. და ამაში ფინალურ მოძღვრებას ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, რადგან *ფინალისტები უნდა ამოდიოდნენ სინამდვილიდან და არა სინამდვილე — ფინალიზმიდან.*

ნების თავისუფლება

ფინალურ სწავლებასთან დამოკიდებულებაში ვ. ჰარდვიგის მეცნიერულ მიუკერძოებლობაზე თვალნათლივ მეტყველებს მისი შემდგომი დასკვნა, რომელშიც ის უარყოფს ამ სწავლების ყოველმხრივ მიუღებლობას და ცდილობს ყურადღება შეაჩეროს მის პოზიტიურ მხარეზეც. „ქმედების კაუზალური ცნების თანახმად, — მიგვითითებს ვ. ჰარდვიგი, — სუბიექტური ნება განიხილება როგორც დამოუკიდებელი მიზეზი (originäre Ursache), არსებული კაუზალური მიმდინარეობის ფარგლებში. სხვაგვარად არის დაყენებული ეს საკითხი ქმედების შესახებ ფინალურ მოძღვრებაში. ფინალისტები სუბიექტურ ნებას წარმოიდგენენ უკვე არა როგორც კაუზალური პროცესის შემადგენელ მიზეზთაგანს, არამედ როგორც ძალას, ორიენტირებულს მომავალზე და წარმმართველს, შინაარსობრივად განსაზღვრულსა და განსაზღვრადს [(inhaltlich bestimmt und bestimmbar), თუმცაღა ნების თავისუფლების აქსიომის შენარჩუნებით]. მაგრამ ქმედების ცნება არის ის ძირითადი მომენტი, რომლითაც ფერხდება ფინალიზმის მართებული თეორიული ბაზისის განვითარება და, ამასთან, მნიშვნელოვნად იჩრდილება კაუზალიზმის წინაშე ფინალური თეორიის უპირატესობაც. საბოლოოდ შეიძლება დადგენილად ჩავთვალოთ შემდეგი: ქმედების შესახებ ფინალური სწავლების ბირთვს წარმოადგენს ნების შესახებ ახლებური ფინალური დოქტრინა, რაც გულისხმობს იმას, რომ ნება ჯერ უნდა განიხილებოდეს ფინალურობის კატეგორიის თვალსაზრისით და მხოლოდ ამ ასპექტში გამოიყოფოდეს კაუზალობის კატეგორიასთან მისი მიმართება“.396 ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რით არის არაკორექტული ვ. ჰარდვიგის პოზიცია, როდესაც ის ფინალური მოძღვრების ქვაკუთხედად ასახელებს არა ქმედებას, არამედ ნებას. მაგრამ ამჯერად სრულ გაუგებრობას იწვევს მისი მარგინალური (ფრჩხილებში მოქცეული) შენიშვნა ნების თავისუფლების შესახებ.

თუ ვამბობთ, რომ ფინალური მოძღვრება კაუზალურისაგან (ნატურალისტურისაგან) განსხვავებით ნებას განიხილავს არა როგორც „კაუზალური პროცესის შემადგენელ მიზეზთაგანს“, არამედ როგორც „მომავალზე ორიენტირებულ და წარმმართველ ძალას“, რაგვარად შეიძლება დასაბუთდეს ფინალისტთა ეს თვალთახედვა ნების თავისუფლების აღიარების გარეშე? *თუ ნება არ არის თავისუფალი, ის მუდამ იქნება „კაუზალურად წარმართული“ და არა „ფინალურად წარმმართველი“.*

ამიტომ „ნების თავისუფლების აქსიომას“ ფინალური დოგმატიკისათვის დიდად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამას ვ. ჰარდვიგი წარმოიდგენს.

უმოქმედობა

მართალია, ფინალური თეორია უმოქმედობის მართებული გაგებისათვის არავითარ განსაკუთრებულ ბარიერს არ ქმნის[0]*, მაგრამ უმოქმედობის ცნება გამოირჩევა თავისებურებათა მთელი რიგით, რომელთაგან ზოგიერთი განსახილველ კონტექსტში უსათუოდ ყურადსაღებია. ფინალისტი არმ. კაუფმანი, რომელიც უმოქმედობის პრობლემას უძღვნის ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას, აღნიშნავს, რომ უმოქმედობის მაგალითზეც — ე. ი. „ნიშნის შებრუნებითაც“ — ცხადად დასტურდება ფინალური მოძღვრების პროდუქტიული ხასიათი.

„სოციალური წესრიგი, — წერს არმ. კაუფმანი, — შეიძლება დაირღვეს სხვადასხვაგვარი მოვლენების შედეგად. მაშინ როდესაც თვით ეს დარღვევები ნეგატიურ შეფასებას ექვემდებარებიან, ყველა ის მოვლენა, რომელიც ამ დარღვევებს აღკვეთს, პოზიტიური შეფასების ობიექტია. მაგალითად, ყოველივე, რაც წინ ეღობება სიკვდილის დადგომას ან ქონების დაზიანებას, სამართლის მასშტაბის შესაბამისად უნდა ითვლებოდეს პოზიტიურად. დადებითი შეფასების აუცილებლობაზე მიგვითითებენ აგრეთვე ის პროცესები, რომლებიც მხოლოდ ქმნიან და სრულყოფენ სოციალურ წესრიგს ისე, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ იყოს რეალიზებული, რადგან სულაც არ არის აუცილებელი, რომ სამართლებრივად სასურველი მდგომარეობა მოიცემოდეს ყველა თავისი შემადგენელი ნაწილის სახით, ის განეკუთვნება იმ მდგომარეობათა კატეგორიას, რომლებიც „უნდა იყოს“. აქტის შესახებ შეფასებითი მსჯელობისაგან წარმოდგება ჯერარსობის შესაბამისი მსჯელობა (das Sollurteil); მოქმედების არსებობის საჭიროება იქცევა ამავე მოქმედების შესრულების ვალდებულებად ანუ *მოქმედება გარდაიქმნება დავალდებულების საგნად.* დავალდებულება (das Gebot) როგორც ნორმა, რომლითაც სუბიექტს მოეთხოვება გარკვეული მოქმედების განხორციელება, წარმოადგენს აბსტრაქტულ აზროვნების

* თუ არ გავითვალისწინებთ იმ ზოგიერთ სირთულეს, რომელზედაც გამოწვლილვით ვისაუბრეთ ამავე თავის მეოთხე ქვეთავში.

ფორმას აქტიური ქცევის სამართლებრივ მოვალეობად გარდასახვისა“.397

იმავეს შენიშნავს არმ. კაუფმანი თავის სხვა ნაშრომშიც,398 რის შემდგომაც ასკვნის, რომ დავალდებულების სუბსტრატი (მოთხოვნის, ჯერარსობის შინაარსი) ყოველთვის ფინალური მოქმედებაა.

მაგრამ, მიუხედავად მავალებელი ნორმის შინაარსზე ზუსტი წარმოდგენისა, ის მიიჩნევს, რომ მის დასარღვევადაც დამნაშავე მოქმედებს და არა უმოქმედობს. ამ მტკიცებით არმ. კაუფმანს სისხლისსამართლებრივი უმოქმედობა დაჰყავს პირობითი მნიშვნელობის მქონე ცნებამდე და პრაქტიკულად აიგივებს მას სისხლისსამართლებრივი მოქმედების აღმნიშვნელ ცნებასთან. ჩვენ ზემოთ არაერთგზის ნათელვყავით მსგავსი მიდგომის მიუღებლობა, მაგრამ საამისოდ შესაძლებელია მოიძებნოს კიდევ არაერთი არგუმენტი, არაერთი მეთოდი.

უშუალოდ არმ. კაუფმანის დებულებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: *იმისათვის, რომ სუბიექტმა ფიზიკურად გამოხატოს უმოქმედობა, ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს, ე. ი. ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა; მაშასადამე, უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად (ობიექტურად) არის უმოქმედობა[0]*, ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად) კი მოქმედებაა.* მაგრამ სისხლის სამართალს უმოქმედობის ცნება არ აინტერესებს არც მხოლოდ ფიზიკურ და არც მხოლოდ ფსიქიკურ ასპექტში. სისხლისსამართლებრივ დაინტერესებას ის იწვევს *მარტოოდენ როგორც ფსიქო-ფიზიკური კატეგორია.*

ამავე დროს, უმთავრესი მნიშვნელობის არის არა ის, რომ უმოქმედობა ერთ-ერთ ასპექტში ემთხვევა მოქმედების ცნებას, არამედ ის, რომ მოქმედება და უმოქმედობა არ ემთხვევა ერთმანეთს ორთავე ასპექტში: უმოქმედობის ცნებაში მოქმედების ნაწილობრივი და არა აბსოლუტური გამოხატულება მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ უმოქმედობის ცნება განსხვავდება მოქმედების ცნებისაგან, რომ უმოქმედობა მოქმედება არ არის! და რამდენადაც უმოქმედობა გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მოქმედების ცნებისათვის უცხო სპეციფიკით, ამ უკანასკნელისაგან მისი როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების დამოუკიდებლობა არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

არმ. კაუფმანი, მიმოიხილავს რა უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებს დანაშაულის სისტემის ცალკეულ საფეხურებზე, ამბობს, რომ ცნება „დანაშაულის შემადგენლობა“ უმოქმედობის სფეროშიც შეიძლება გამოვიყე-

---

***** ამის აპრიორულობას ვერ გააქარწყლებს არმ. კაუფმანის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს უმოქმედობა ფიზიკურადაც მოქმედებაა, რადგან მის ამ მტკიცებაში აშკარად არაფერია არსებული რეალობის შესატყვისი. რათა სუბიექტი მოქმედების მდგომარეობიდან გადავიდეს უმოქმედობის მდგომარეობაში, მან უნდა შეწყვიტოს მოქმედება. თვითონ მოქმედების შეწყვეტა მორიგი მოქმედებაა, მაგრამ მდგომარეობა, რომელიც მოქმედების შეწყვეტის შედეგად მიიღება, უთუოდ უნდა ვცნოთ უმოქმედობად, თუ არსებული სინამდვილის უგულებელყოფას არ შევეცდებით. ხოლო სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია არა მოქმედების შეწყვეტა, არამედ შეწყვეტილი მოქმედება ანუ ის, რაშიც ზემოაღნიშნული მოსაზრების თანახმად ვლინდება უმოქმედობა.

ნოთ ყოველგვარი ფლუქტუირების გარეშე, თუ გავიგებთ მას როგორც განყენებულ კონსტრუქციას (ein begriffliches Gebilde), რომელშიც აღიწერება ნებადაურთველი სუბიექტური ქცევა. უმოქმედობით ჩადენილი დელიქტის დანაშაულის შემადგენლობაში არმ. კაუფმანს შეაქვს: ა) ნორმატიული მოთხოვნით გათვალისწინებული მოქმედების შეუსრულებლობა და ბ) უმოქმედო პირის უნარი, განახორციელოს ეს მოქმედება. მართლწინააღმდეგობისათვის კი ის მოითხოვს მართლწინააღმდეგობის განსაკუთრებულ ნიშანთა არსებობასა და გამამართლებელი გარემოებების დაუდგენლობას.

ხოლო ამავე ჭრილში, ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით, არმ. კაუფმანი წერს: „გასაკიცხობის წინამძღვრებში, ე. ი. ელემენტებში, რომლებიც უნდა დაერთოს უმართლობას ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ჩამოსაყალიბებლად, არანაირი განსხვავება მოქმედებით ჩადენილ დელიქტებსა და უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებს შორის არ მოიძიება. ორივე შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ სუბიექტს გააჩნდეს საკუთარი პიროვნების ნორმის შესაბამისად მოტივირების უნარი. გასაკიცხობის ეს სტრუქტურული საფუძველი პირდაპირ უკავშირდება სისხლისსამართლებრივ ნორმას; მოვალეობის შესაბამისი მოტივაციის უნარს სუბიექტი მოჰყავს ამ უკანასკნელთან ეგზისტენციალურ ურთიერთობაში. სხვაობა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ნორმა ერთ შემთხვევაში განასახიერებს აკრძალვას, მეორეში კი — დავალდებულებას.“399

ეხება რა უმოქმედობაში ბრალის ინტელექტუალურ მხარეს, არმ. კაუფმანი აღნიშნავს, რომ ფინალური მოქმედების უნარი მოქმედების შესაძლო მიმართულების შეცნობას მოითხოვს როგორც ნებისყოფის ფინალური წარმართვის ინტელექტუალურ საფუძველს (აქ იგულისხმება აგრეთვე ქმედების მიზნის, ზემოქმედების ობიექტისა და „დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ვითარების“ შეცნობა). ამის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნის მიხედვით, „მოქმედების უნარისა“ და უმოქმედობის კონსტატირებისათვის საკმარისია ნების განხორციელების „შესაძლებლად მიჩნევის შესაძლებლობაც“ („die Möglichkeit des Fürmöglichhaltens“).

„სუბიექტი, — შენიშნავს არმ. კაუფმანი, — რომელიც სჩადის დანაშაულს მოქმედებით, არ საჭიროებს არავითარი ძალის, მოძრაობის გამოყენებას, რათა ხელი აიღოს (დაუმთავრებელ) მცდელობაზე; ხოლო ამის საპირისპიროდ პირი, რომლის დელიქტური ქცევა გამოხატულია უმოქმედობაში, აქტიურად უნდა მოქმედებდეს, რათა დაამტკიცოს, რომ ის უკვე არ ფლობს იმას[0]*, რასაც მის შესახებ უამისოდაც არავინ უწყოდა. ამიტომ „უმოქმედობის მცდელობა“ წარმოუდგენელი რამ არის. მიუხედავად ამისა, არსებობს ფენომენი, რომელიც იწოდება „უმოქმედობის უვარგის (მცდარ) მცდელობად“; სინამდვილეში კი საქმე ეხება მოქმედების მცდელობის განუხორციელებლობას — მოქმედებისა, რომელიც აღწერილია სათანადო მავალებელ ნორმაში.“400 მოცემულ მოსაზრებაში გარკვევით

* საუბარია დელიქტურ განზრახვაზე.

შეიგრძნობა სპეციფიკურად ფინალური ხელწერა, ამ მხრივ არმ. კაუფმანს ვერაფერს ვუსაყვედურებთ. მაგრამ უმოქმედობის და მცდელობის ურთიერთდამოკიდებულება მეტად პოლემიკური საკითხია და ამ პოლემიკაში ავტორთა დიდი უმრავლესობა არმ. კაუფმანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას როდი იზიარებს.

არ არის საყოველთაოდ გაზიარებული მისი პოზიცია ე. წ. არანამდვილი უმოქმედობის (unechte Unterlassung) პრობლემასთან დაკავშირებითაც, როდესაც ის ცდილობს განავითაროს ი. ნაგლერის ანალოგიური დებულება. მაგალითად, „არანამდვილ უმოქმედობად“ ჩაითვლება შემთხვევა, თუ დამნაშავე უშუალოდ კი არ სპობს დაზარალებულის სიცოცხლეს, არამედ მხოლოდ წყვეტს კაუზალურ პროცესს, რომლითაც შესაძლებელი იყო განსაცდელში მყოფი პირის გადარჩენა. ამ მოქმედებაში უმოქმედობის ელემენტი მართლაც მოიცემა; ეს უდავოა, მაგრამ ამის საფუძველზე რომ მსგავსი მოქმედებანი უმოქმედობის ნაირსახეობად ვაღიაროთ, უნდა გვამოძრავებდეს განსაკუთრებული მნიშვნელობის თეორიული მიზანი, განურინებელი მეცნიერული საჭიროება, რაც რეალურად ასე არ არის. და აქ უკვე არმ. კაუფმანი აშკარად არ აზროვნებს ფინალურად, რამეთუ აზროვნების ფინალური სტილი უპირობოდ მოითხოვს ყოველივე სუბიექტურში მიზნის პირველადობას და, აქედან გამომდინარე, არც მეცნიერული დასკვნა შეიძლება იყოს „უმიზნო“.

უმოქმედობის საკითხს სხვა ფინალისტებიც უთმობენ განსაზღვრულ ყურადღებას. მათ შორის არის რ. მაურახიც, რომელიც, მსგავსად ჰ. ველცელისა, უმოქმედობას განსაზღვრავს როგორც „ფინალური აქტიურობის განუხორციელებლობას“. მაგრამ მათი პოზიციები ერთმანეთთან მაინც ვერ გაიგივდება, რადგან რ. მაურახი ამ მხრივ მოითხოვს არა „ფინალური მოქმედების *უნარს*“ (die Fähigkeit), როგორც ამას ჰ. ველცელთან აქვს ადგილი, არამედ „სავალდებულო ქცევის *შესაძლებლობას*“ (die Möglichkeit). ასე მაგალითად, რ. მაურახის მიხედვით, ხელფეხშებოჭილ სუბიექტს არ გააჩნია შესაძლებლობა განახორციელოს „მოქმედების ნება“. „უმოქმედობაზე მხოლოდ მაშინ არ დაიშვება საუბარი, — აზუსტებს რ. მაურახი, — თუ პირი მოკლებულია მოქმედების შესრულების *ობიექტურ შესაძლებლობას*“.401

შესაძლებლობის მომენტზე ამახვილებს ყურადღებას ვ. გალასიც, მაგრამ მასთან შესაძლებლობა გაგებულია უკვე არა მხოლოდ ობიექტურად (ფიზიკურად), არამედ ფსიქო-ფიზიკურად.

ვ. გალასის მტკიცებით, მდგომარეობა, როდესაც სუბიექტს ფიზიკურად ძალუძს ნორმატიულად სავალდებულო მოქმედების შესრულება, სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის დასასაბუთებლად საკმარისი არ არის. მას, გარდა ამისა, უნდა შეეძლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაც, ე. ი. დამნაშავეს სავალდებულო მოქმედება უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი როგორც „შესაძლო ნებელობითი მიზანი“ (mögliches Willensziel) ან ჰქონდეს მისი წარმოდგენის შესაძლებლობა ფსიქიკურ ძალთა (ყურადღება, მახსოვრობა და ა. შ.) სათანადო დაძაბვის შედეგად.

ამასთან, მსგავსება რ. მაურახისა და ვ. გალასის შეხედულებებს შორის მნიშვნელოვანია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი, გადააქვთ რა ძირითადი აქცენტი ფინალური მოქმედების უნარიდან ფინალური მოქმედების შესაძლებლობაზე, ერთგვაროვნად მოიცავენ ველცელისეული თვალთახედვის კრიტიკას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. ველცელის დასკვნას წინ იდეური სიცარიელე არ უძღოდა; ჰ. ველცელი ამ მიმართებით კ. ბინდინგის კონცეფციიდან ამოდის. ამ უკანასკნელთან უმოქმედობა დაქვემდებარებულია მოქმედების ცნებას, რომელსაც ის უწოდებს „მოქმედებას სამართლებრივი გაგებით“. ხოლო რადგან ყოველი „მოქმედება სამართლებრივი გაგებით“ თავის წინაპირობად გულისხმობს იმას, რომ მოცემული იყოს „ქმედუნარიანობა“, ე. ი. „უნარი“ საკუთარი ქცევის ნორმასთან მიმართებაში შეცნობისა და მასთან შესაბამისობაში მოყვანისა, ისეთი წარმოდგენა გვექმნება, თითქოს კ. ბინდინგთან პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება სავალდებულო მოქმედების შესრულების *ინდივიდუალურ შესაძლებლობას* როგორც უმოქმედობის მთავარ დამაფუძნებელ ნიშანს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ კ. ბინდინგის „მოქმედების სამართლებრივი ცნება“ მოიცავს დელიქტს მთლიანობაში — განსხვავებით სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში მიღებული მოქმედების სხვა ცნებებისაგან, იქნება ეს „კაუზალური“, „სიმპტომატური“, „სოციალური“ თუ „ფინალური“ ცნება.

ამ მიზეზით განსახილველ კონტექსტში შედარებისათვის მოაქვთ კ. ბინდინგის მიერ ნახმარი სხვა ცნება, სახელდობრ „აქტიური ქცევა“ („Tat“). „აქტიური ქცევისა“ და უმოქმედობის ურთიერთშეუთავსებლობა კ. ბინდინგთან განისაზღვრება იმით, რომ უმოქმედობა „აქტიური ქცევის“ საწინააღმდეგოდ „მიზეზობრიობის ფაქტორს მოკლებული ცნებაა“. მის სანაცვლოდ უმოქმედობის შემთხვევაში ვღებულობთ „სავალდებულო მოქმედების მოუცემლობას“, რომლითაც ყალიბდება ამ სახის დელიქტთა უმართლობის შემადგენლობა. ამისათვის კ. ბინდინგი ნების განხორციელების შესაძლებლობას აუცილებლად არ მიიჩნევს, წმინდად ფიზიკური გაგებითაც კი.402

მაშასადამე, ფინალური მოქმედების შესაძლებლობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქიკური შესაძლებლობა, კ. ბინდინგის თანახმად, ირკვევა მხოლოდ ბრალის საფეხურზე, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა კი მოქმედების ფინალური უნარითღა შემოიფარგლება. და რადგან სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის, როგორც ასეთის, დასადგენად სწორედ დანაშაულის შემადგენლობის სფეროა განმსაზღვრელი მნიშვნელობის ასპექტი, უმოქმედობა კ. ბინდინგთან მოცემულად ითვლება უკვე ფინალური მოქმედების უნარის დადგენითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინალურმა მოძღვრებამ ძირეულად უცვალა სახე არაერთ სისხლისსამართლებრივ ცნებას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის *ქმედების ცნება,* რომლის აუცილებელ ნიშნადაც იქცა ფინალურობა.

მნიშვნელოვნად გარდასახავენ ფინალისტები *დანაშაულის სისტემასაც,* თუმც დანაშაული კვლავაც წარმოდგენილია როგორც სამნიშნა ცნება. უმართლობის შემადგენლობას ჰ. ველცელი ყოფს უმართლობის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებად.

პირველ მათგანს, როგორც ვიხილეთ, განეკუთვნება ქმედების ობიექტური ელემენტები (თვით სუბიექტური ქცევა, შედეგი, დანაშაულის ჩადენის ხერხები...) და „დამნაშავის შესახებ ობიექტური ნიშნები“ (თანამდებობის პირი, ახლო ნათესავი...), ხოლო უმართლობის სუბიექტურ შემადგენლობას აყალიბებს, ერთი მხრივ, განზრახვა, როგორც „ქმედების ფინალური დაუფლებადობის ამსახველი მომენტი“ და, მეორე მხრივ, „დამნაშავის შესახებ სუბიექტური ნიშნები“ (= ე. წ. უმართლობის სუბიექტური ელემენტები). ამრიგად, უმართლობის ის სუბიექტივირება, რომელიც წამოიწყეს სოციალური თეორიის წარმომადგენლებმა, ფინალურ სწავლებაში პოვებს თავის კულმინაციურ განვითარებას.

უმართლობისა და ბრალის როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთდაპირისპირება აქ უკვე სრულიად შეუძლებელი ხდება. ეს კი *ბრალის ცნების* ფუძისეულად ახლებურ სტრუქტურირებას ნიშნავს.

ნორმატიულ შეფასებასთან გაიგივებული სისხლისსამართლებრივი ბრალი არ მოიცავს თავის შემადგენელ კომპონენტად არც განზრახვას და არც გაუფრთხილებლობას, არ გულისხმობს სუბიექტური ფსიქიკის მადეფინირებელ როლს და, ამგვარად, სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, იქცევა დოგმატურად ამორფულ (უფორმო) სისხლისსამართლებრივ ცნებად.

§6. პერსონალური მოძღვრება

<u>პერსონალიზმის კომპოზიტურობა</u>

მიმოვიხილავთ რა ნორმატივიზმის ცალკეულ მიმართულებებს, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ არტ. კაუფმანის მეტად ორიგინალური თეორიაც, რომელსაც ის აყალიბებს ჩვენ მიერ ზემოგანხილული ოთხივე ძირითადი ნორმატივისტული მიმდინარეობის დეტალური კვლევის შედეგად.

„ქმედების შესახებ თითოეულ ამ მოძღვრებაში, — ამტკიცებს არტ. კაუფმანი, — ინკორპორირებულია სუბიექტური ქმედების მართებული ასპექტი, მაგრამ მხოლოდ ერთი, მხოლოდ ცალკეული ასპექტი და არა მთლიანობა. რამდენადაც ადამიანური ყოფიერება შედგება ოთხი ფუნდამენტური ფენისაგან: მატერია, მყოფობა, სული და გონება, სუბიექტური ქცევაც ამის შესაბამისად უნდა შეიცავდეს შემდეგ ოთხ ელემენტს: კაუზალობას, ფინალურობას, ფსიქიკურ გარკვეულობასა და გონებრივ განსაზღვრულობას. ქმედების შესახებ მოძღვრება, რომელიც მიზნად ისახავს სუბიექტური ქმედების ონტოლოგიურ სტრუქტურაში სრულყოფილად ჩაწვ-

დომას, უცილობლად უნდა ითვალისწინებდეს ამ ოთხივე ელემენტს აქვე წარმოდგენილი თანამიმდევრობით.403

ამასთან, არტ. კაუფმანი აკონკრეტებს, „რეალური სამყაროს“ თუ რომელ სახეს შეესატყვისება მის მიერ მოტანილი „ყოფიერების ყოველი ცალკეული ფენა“: მატერია — ანორგანულის სამყაროს; მყოფობა — ორგანულის, ვეგეტატიურის სამყაროს; სული — სენსიტიურის, ანიმალური (გრძნობითი) ცნობიერების სამყაროს; დაბოლოს, გონება — აზროვნული (sinnhaft), ანალიტიკური ცნობიერების სამყაროს. თითოეულ ამ ონტოლოგიურ საფეხურს არტ. კაუფმანი უსადაგებს შესაბამისად საგანს, მცენარეს, ცხოველსა და ინდივიდს; ამა თუ იმ ობიექტის იერარქიულ მდგომარეობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენი ონტოლოგიური ფენისაგან შედგება მოცემული ფორმაცია — მაგალითად, საგანი მოიცავს მხოლოდ პირველ მათგანს, ინდივიდი კი — ოთხივეს ერთდროულად. ამიტომ არტ. კაუფმანი მიიჩნევს, რომ სუბიექტის „გონიერ ქმნილებად“ მოხსენიება საკითხის მარტოოდენ ცალმხრივი გაშუქებაა: ის წარმოადგენს არა მხოლოდ გონებას, გონება ყოფიერების კაუფმანისეულ სქემაში განასახიერებს მარტოოდენ იმ სპეციფიკურს, რომელიც წინა სამი ნიშნის მიღმა ახასიათებს სუბიექტს როგორც ინდივიდს.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე არტ. კაუფმანი გვთავაზობს ქმედების ახალ სისხლისსამართლებრივ ცნებას, რომელშიც სუბიექტური ქმედება განიხილება როგორც სინამდვილის საპასუხისმგებლო (verantwortlich), იდეური ფორმირება, დაკავშირებული ნებით დაუფლებად (და ამის გამო მოქმედისათვის სისხლისსამართლებრივად შესარაცხ) კაუზალურ შედეგებთან.[0]*

ქმედების ეს „პერსონალური“ ცნება, როგორც მას უწოდებს თავად არტ. კაუფმანი, მისივე მტკიცებით, თანაბრად მოიცავს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ ქმედებას, როგორც აქტიურ სუბიექტურ ქცევას, ისე უმოქმედობასაც. ამის გარანტად არტ. კაუფმანს ესახება ის, რომ, ერთი მხრივ, კაუზალურ შედეგთა დაუფლებადობის ნიშანი გულისხმობს გაუფრთხილებლობას, მაგრამ არ გამორიცხავს განზრახვას და, მეორე მხრივ, რეალური კაუზალური მიმდინარეობის დაუფლებადობას საქმე შეეხება არა მხოლოდ აქტიური ქცევის, არამედ უმოქმედობის დროსაც: აქტიური ქცევის შემთხვევაში მოქმედისათვის დაუფლებადი უნდა იყოს „საკუთარი კაუზალურად გახდომა“ (das eigene Kausalwerden), უმოქმედობისას კი — უცხო კაუზალური პროცესი (სხვა პირის „კაუზალურად გახდომა“ ან ბუნებრივი კაუზალობა).

დასასრულ, არტ. კაუფმანი მიუთითებს იმაზე, რომ ქმედების პერსონალური ცნება სავსებით ესადაგება მცდელობასაც, მხოლოდ იმ პირობით, თუ მცდელობას გავიგებთ როგორც დამნაშავის მიერ მისთვის სასურველი

---

* არტ. კაუფმანს აქ მხედველობაში აქვს „ზოგადი კაუზალობა“, რომელიც იყოფა „პოზიტიურ“ (მოქმედების დროს) და „ნეგატიურ“ (უმოქმედობის დროს) მიზეზობრიობად.

მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების დაწყებას, *რისი დადგენაც შესაძლებელია დანაშაულის მხოლოდ ობიექტურ ნიშნებზე დაყრდნობით.*

„ქმედების პერსონალური ცნება, — დაასკვნის არტ. კაუფმანი, — წარმოადგენს სტაბილურ საფუძველს სამართლებრივი სიკეთის შესახებ პერსონალური მოძღვრების, უმართლობის შესახებ პერსონალური მოძღვრებისა და ბრალის შესახებ პერსონალური მოძღვრებისათვის. ის ასევე ორგანულად ერწყმის სასჯელის შესახებ პერსონალურ თეორიასაც. ამ თვალსაზრისით სასჯელი გაიგება როგორც სისხლისსამართლებრივი რეაგირება ბრალზე და ის უნდა აღიქმებოდეს თავის ორმაგ ინდივიდუალურ-სოციალურ ერთიანობაში: *როგორც ბრალის გამოსყიდვა* და *როგორც ბრალისაგან განთავისუფლება* — რესოციალიზება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელახალი აქცეპტირება. სასჯელის გათავისება და მისი შეგნებული მოხდაც (ნაცვლად სასჯელისადმი მხოლოდ იძულებითი მორჩილებისა) ქმედებაა, — პასუხისმგებელი ინდივიდის პერსონალური აქტი“.404

მოცემული თეორიის ფილოსოფიური მხარე, ჩვენი აზრით, მართებულად ასახავს ქმედების ცნებისათვის დამახასიათებელ ონტოლოგიურ თავისებურებებს, მაგრამ სისხლისსამართლებრივად არტ. კაუფმანი ცდილობს შეუთავსოს ერთმანეთს ის, რისი ურთიერთშეთავსებაც თვალნათლივ ეწინააღმდეგება ლოგიკის ყოველგვარ კანონებს. მაგალითად, როგორ წარმოუდგენია მას ქმედების კაუზალური (ნატურალისტური) ცნებისა და ქმედების ფინალური ცნების კომბინირება, თუ ისინი მკვეთრად ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებზეა აგებული?

ის, რომ ფინალურობა მოიცავს კაუზალობას, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ კაუზალობა ფინალურობას არ მოიცავს — კაუზალისტები სისხლისსამართლებრივ ქმედებად აღიარებენ სუბიექტის უკვე ისეთ ქცევასაც, რომელიც კაუზალურია, მაგრამ არ არის ფინალური (სხეულის რეფლექსური მოძრაობები), მაშინ როდესაც ფინალურ მოძღვრებაში ასეთი ქცევა საერთოდ არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი განხილვის საგანს.

ამასთანავე, ამ მაგალითში სუბიექტი სულაც არ მოქმედებს როგორც „გონიერი ქმნილება“ და ეს ქმედების კაუზალური ცნების ქმედების სოციალურ ცნებასთან შეუთავსებლობასაც მოასწავებს, რადგან სოციალურ სწავლებაში ქმედებად არ ჩაითვლება სუბიექტური ქცევა, თუ ის არ არის დაკავშირებული სუბიექტის გონებრივ საქმიანობასთან.

ამრიგად, თუმც კაუზალური მოძღვრება შეიძლება შევუთავსოთ ფინალურ და სოციალურ მოძღვრებას, ფინალური და სოციალური მოძღვრება კაუზალიზმს ვერ უთავსდება. შესაბამისად, კვლევა შესაძლოა წარიმართოს ერთი ნორმატივისტული მიმდინარეობის მეორისადმი ხარისხობრივი დაქვემდებარების, მაგრამ არა კვალიტატურად მათი ურთიერთშეთავსების მიმართულებით.

ფაქტობრივად არტ. კაუფმანის პერსონალურ მოძღვრებასაც ამავე დასკვნამდე მივყავართ, მიუხედავად იმისა, რომ თვით არტ. კაუფმანი თავისი თეორიის შინაარსს სხვაგვარად წარმოისახავს. მის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს არის წინა მოძღვრებათა *მხოლოდ ხარისხობრივი* ანალიზის შედეგი და ამ მიზეზით მასში *თვისებრივად* არაფერი შეიძლება იყოს ახალი.

ბრალი და სასჯელი

რას ვღებულობთ „ბრალის პერსონალური ცნებისა“ და „სასჯელის პერსონალური ცნების“ ურთიერთდაპირისპირებით? არტ. კაუფმანი აქ ავითარებს იდეას იმის შესახებ, რომ სასჯელი ნიშნავს სუბიექტის როგორც „პასუხისმგებელი არსების“ ბრალისაგან განთავისუფლებას არა მხოლოდ სოციალურად (გარეგანად), არამედ ინდივიდუალურადაც (შინაგანადაც). ეს, ცხადია, ასეც უნდა იყოს, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის, რაც მოცემულ შემთხვევაში მთავარია. საკმარისია მხოლოდ მცირე დროით დავტოვოთ ღიად ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი საპყრობილის კარები, რათა დავრწმუნდეთ, რომ არტ. კაუფმანი უხეშად ცდება.

ქმედების ბრალეულობას განსაზღვრავს არა ის, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის მომენტში ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა, ე. ი. მოქმედებდა „პასუხისმგებლად“, არამედ ის, რომ დამნაშავემ იმოქმედა „უპასუხისმგებლოდ“ მიუხედავად „პასუხისმგებლად“ მოქმედების შესაძლებლობისა; ამიტომაც სუბიექტი სისხლისსამართლებრივად ისჯება როგორც „უპასუხისმგებლო“ და არა „პასუხისმგებელი“ არსება.

არტ. კაუფმანის თეზისი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო მართებული, დანაშაულის სუბიექტს რომ *თავადვე სურდეს* თავისი „უპასუხისმგებლობის“ სასჯელით გამოსყიდვა. ასეთი სურვილი კი შესაძლოა ახასიათებდეს მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდს და ისიც მხოლოდ კონკრეტულ ფაქტორთა ზეგავლენით, მაგრამ არა ინდივიდს ზოგადად; სხვაგვარად რომ იყოს, სასჯელი იძულებით ღონისძიებად ვერც კი იწოდებოდა. ხოლო დასჯადობის პრობლემის გაუკუღმართება ბრალისა და სასჯელის ურთიერთობის ობიექტურ კვლევას ხელს ვერ შეუწყობს.

ამრიგად, არტ. კაუფმანის“პერსონალური მოძღვრება“ ვერც ამ მხრივ გამოდგება ლოგიკური თანამიმდევრობის ნიმუშად.

ამასთანავე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებდით აგრეთვე კაუფმანის მიერ პერსონალური მოძღვრების ფარგლებში განვითარებულ არაერთ სხვა შეხედულებაზეც, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ბრალის ნორმატივისტული ცნების მართებული გაგებისათვის.

ბრალი როგორც გაკიცხვის საფუძველი

კაუფმანის აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა ბრალის ცნებასთან მიმართებაში უნდა ენიჭებოდეს არა გაკიცხვას ან გასაკიცხობას, არამედ იმას, რაც გაკიცხვის საფუძვლად გვევლინება (das Vorzuwerfende). ამის თაობაზე, არტ. კაუფმანი პირდაპირ მიუთითებს თავის შემდეგ მოსაზრებაში: „ბრალი არის ის, რაც გაკიცხვის საფუძველს შეადგენს და არა თვით გაკიცხვა ან გასაკიცხობა. მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ბრალის ცნებაში ნორმატიული ელემენტის სრული უარყოფა და კვლავ ბრალის შეფასებას მოკლებული ფსიქოლოგიური მოდელისაკენ მიბრუნება. უკიდურესი ნორმატივიზმი კი, რომელიც ბრალში მხოლოდ ნორმატიულობას ხედავს და ამიტომ მოცემული ცნებიდან ყველა გონებრივ-სულიერ (geistig-seelisch) ელემენტებს გამორიცხავს, სამხრეთ-დასავლური გერმანული ნეოკანტიანიზმის მიერ წარმოდგენილი არსსა და ჯერ-არსს, სინამდვილესა და ღირებულებას შორის მკაცრი განსხვავების ნაყოფია”.405 შეიძლება კი ბრალი წარმოადგენდეს „იმას, რაც გაკიცხვის საფუძველს ქმნის”? ჩვენი აზრით, კაუფმანის მოსაზრება მოცემულ შემთხვევაში უდავოდ რაციონალურად უნდა ვაღიაროთ. გასაკიცხობა, ისევე, როგორც გაკიცხვა, ლოგიკურად ბრალის ცნების ჭეშმარიტი ბუნების ამსახველ მომენტად ვერ მიიჩნევა.

ბრალის არსებობით, მართალია, მოიცემა გაკიცხვის შესაძლებლობაც ანუ გასაკიცხობაც, ე. ი. ბრალი მართლაც ნიშნავს გასაკიცხობას, მაგრამ ამით გადმოიცემა მხოლოდ ბრალის ფუნქციონალური სპეციფიკა, რა დროსაც აბსოლუტურად ვერაფერს ვიტყობთ მის მატერიალურ მხარეზე.

გაკიცხვის შემთხვევაში კი ყოველივე გაცილებით უფრო რთულად გამოიყურება, რამეთუ გაკიცხვა შეიძლება იყოს მხოლოდ ბრალის შედეგი და, ამდენად, ბრალის ცნების ფარგლებში ის ვერანაირად პოვებს გამოვლინებას, რაზედაც (ისევე, როგორც გასაკიცხობაზეც) ჩვენ უკვე ზემოთ დაწვრილებით ვისაუბრეთ.

რაც შეეხება თვით მესამე, არტ. კაუფმანის მიერ წარმოდგენილ მომენტს, უნდა აღინიშნოს, რომ აქ ძირითადი აქცენტი სწორედ ბრალის მატერიალურ მხარეზე გადაიტანება. უდავოა, რომ ის, რაც ქმნის გაკიცხვის საფუძველს, შეადგენს ბრალის შინაარსს. მაგრამ არ რჩება კი აქ სინამდვილეში ბრალის ცნება შეფასებითი მომენტის გარეშე? მართალია, როგორც ზემოთ ვიხილეთ, თავად კაუფმანი გადაჭრით უარყოფს მსგავს შესაძლებლობას, მაგრამ დავის საფუძველი მოცემულ შემთხვევაში უთუოდ არსებობს. ჩვენი აზრით, როდესაც ბრალს წარმოვიდგენთ როგორც გაკიცხვის საფუძველს, ეს თუმც არ მოასწავებს ბრალის ცნებასთან შეფასებითობის კავშირის უარყოფას, მაგრამ ამჯერად შეფასებითი მომენტი უკვე ბრალის ცნების მიღმა მდებარე ელემენტად წარმოგვიდგება.

ბრალის შინაარსი

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ რაში ხედავს კაუფმანი თვით ბრალის შინაარსს. ამის თაობაზე ის მიუთითებს: „თვალსაჩინოა, რომ, მაგალითად, მკვლელობის ჩამდენი პირის ბრალი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ის იცნობს მკვლელობის უმართლობას და არც ასევე იმაში, რომ მას სურს მსგავსი უმართლობა, არამედ საამისოდ აუცილებელია აგრეთვე მკვლელობის ან, სულ მცირე, მკვლელობის მცდელობის ფაქტობრივი განხორციელება".406 მაშასადამე, ბრალის შინაარსს ქმნის არა მხოლოდ უმართლობის ცოდნა (ცოდნის შესაძლებლობა) და სურვილი (შეგნებული დაშვება და ა. შ.), არამედ აგრეთვე თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაც!

ცხადია, ბრალზე საუბარი დაიშვება მხოლოდ ფაქტობრივად განხორციელებული უმართლობის პირობებში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უმართლობის განხორციელება ბრალის შინაარსს უნდა განვაკუთვნოთ. უმართლობის განხორციელება შესაძლოა იყოს ბრალის მხოლოდ წინამძღვარი, მაგრამ არა ელემენტი. ბრალი წმინდად სუბიექტური კატეგორიაა და ის შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ სუბიექტის სათანადო ფსიქოლოგიურ ქცევას, რომელიც თან ახლავს მის მიერ ობიექტურად განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქცევას, მაგრამ არა ამ ორთავე მომენტს ერთდროულად. არტ. კაუფმანის მტკიცებას, რომლის თანახმადაც ბრალის შემადგენლობას (Schuldtatbestand) უმართლობის შემადგენლობაც (Unrechstatbestand) უნდა განვაკუთვნოთ, სხვა რომ არაფერი, დანაშაულის ცნების უარყოფამდე მივყავართ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბრალის ცნება მოიცავს ტრადიციულად დანაშაულის ცნებით მოცულ ყველა სუბიექტურ თუ ობიექტურ კომპონენტს და გაურკვეველია, თუ რით შეიძლება დასაბუთდეს ორი შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტური ცნების თანამოცემულობა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცნებათა შინაარსობრივი იდენტურობის პირობებში ფუნქციონალური სხვადასხვაობა სრულიად გამოირიცხება.

გაუფრთხილებლობა

ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კაუფმანის მიდგომა გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემისადმი. „ის, რომ გაუფრთხილებლობის დროს, — წერს კაუფმანი, — დამნაშავეს შეეძლო საზიანო შედეგის გათვალისწინება და თავიდან აცილება, სათანადო მზრუნველობა, ყურადღება და წინდახედულობა რომ გამოეჩინა, არის... როგორც მხოლოდ ჰიპოთეზური გარემოება მარტოოდენ ბრალის შესაძლებლობა, მაგრამ არა თვით ბრალი."407 როდესაც სისხლის სამართლის თეორიაში სხვადასხვა ავტორის მიერ ადგილი აქვს გაუფრთხილებლობის დასჯადობის უარყოფას, როგორც წესი, არგუმენ-

ტის სახით მოაქვთ ის, რომ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის მომენტში სუბიექტი მოკლებულია მართლზომიერად მოქმედების ფაქტობრივ შესაძლებლობას (თანაც აქ ზოგადად მხოლოდ შეუცნობელი გაუფრთხილებლობა ანუ დაუდევრობა იგულისხმება). ეს შეხედულება ძირითადად დეტერმინისტულად განწყობილ კრიმინალისტთა მიერ არის წარმოდგენილი. და აქ ჩვეულებრივ საუბარია იმაზე, რომ სუბიექტი ვერ გაიკიცხება ვერც ეთიკურად და ვერც წმინდად სამართლებრივად, ვინაიდან მართლზომიერად მოქმედების არარსებობის პირობებში სისხლისსამართლებრივი ვალდებულების (სუბიექტური) დარღვევა თეორიულად წარმოუდგენელია, ხოლო სისხლისსამართლებრივი ბრალი, თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი ვალდებულების დარღვევის გარეშე დოგმატურად ვერ მოისაზრება. მაგრამ, როგორც არტ. კაუფმანის ზემოციტირებული მოსაზრებიდან ვიხილეთ, ის, უარყოფს რა გაუფრთხილებლობის დასჯადობას, სავსებით უშვებს გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობის არსებობას.

ერთი შეხედვით, მოცემული შეხედულება უბრალოდ თეორიული უზუსტობის შედეგია და მას საერთოდ არ შეიძლება გააჩნდეს რამეგვარი დასაბუთება. მაგრამ კაუფმანს თავისი თვალთახედვის სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტაცია მოაქვს: „მოცემულ შემთხვევაში გასაკიცხი შეიძლება იყოს არა ის, რომ დამნაშავე ფლობდა საზიანო შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ის, რომ მან საზიანო შედეგი თავიდან არ აიცილა. მაგრამ როგორ შეიძლება მას ხსენებული შედეგის განხორციელება ბრალად შეერაცხოს, თუ ამგვარი შედეგის შესაძლებლობაზე საერთოდ არ უფიქრია — არც ქმედების განხორციელების მომენტში და არც უფრო ადრე; სწორედ ეს შეადგენს უმთავრეს სირთულეს. მოცემული პრობლემა გასაკიცხობის ფორმალური ცნებით ვერ გადაწყდება".408 მაშასადამე, კაუფმანის მიხედვით, გაუფრთხილებლობის დროს მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობა, მართალია, არსებობს, მაგრამ სირთულეს წარმოქმნის ის გარემოება, რომ სუბიექტი მოცემულ შესაძლებლობაზე საერთოდ არ ფიქრობს!

ჯერ ერთი, თვითიმედოვნების დროს სუბიექტი „ფიქრობს" (შეგნებული აქვს) საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობაზე, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს მის თავიდან აცდენას, ხოლო ის, რომ აქ საუბარია შედეგის თავიდან აცილების ქარაფშუტულ და არა საფუძვლიან ვარაუდზე, მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ სუბიექტი არ არის და არც შეიძლება იყოს დარწმუნებული იმაში, რომ საზიანო შედეგი არ დადგება. და პირიქით, სუბიექტი რომ იყოს დარწმუნებული საზიანო შედეგის თავიდან აცილებაში, მაშინ საუბარი უნდა იყოს არა ქარაფშუტულ, არამედ საფუძვლიან, მკაცრად გათვლილ ვარაუდზე და ასეთ შემთხვევაში თვითიმედოვნების როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის ქვესახის დასაბუთება მართლაც შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ რადგანაც

თვითიმედოვნების შემთხვევაში სწორედ პირველ ვითარებასთან გვაქვს საქმე, გაუფრთხილებლობითი ბრალის ეს სახე კაუფმანის თვალთახედვასთან მიმართებაში იმთავითვე უნდა გამოირიცხოს და ამ უკანასკნელის ფარგლებში უნდა განიხილებოდეს მხოლოდ დაუდევრობა.

მეორეც, კაუფმანის მტკიცება იმის შესახებ, რომ განსახილველ შემთხვევაში სუბიექტი, მართალია, ფლობს საზიანო შედეგის თავიდან აცილების ანუ მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობას, მაგრამ „არ ფიქრობს" მოცემულ შესაძლებლობაზე და რომ ძირითად სირთულესაც სწორედ ეს წარმოქმნის, იმთავითვე მცდარია, ვინაიდან მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობა აქ მეტად აბსტრაქტულად გაიგება. უკანასკნელ ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ (საზიანო შედეგის თავიდან აცილების) არა მხოლოდ ობიექტური, არამედ აგრეთვე სუბიექტური შესაძლებლობაც, ხოლო განსახილველ სუბიექტურ შესაძლებლობაში იგულისხმება აგრეთვე ისიც, რომ სუბიექტი ფლობს საზიანო შედეგის აცილებადობაზე ფიქრის შესაძლებლობას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სახეზეა სისხლისსამართლებრივი ვალდებულებისა და მასთან ერთად დაუდევრობის დასაბუთების შესაძლებლობაც.

განაგრძობს რა გაუფრთხილებლობის ანალიზს, უკვე კონკრეტულად დაუდევრობის დასაბუთებასთან მიმართებაში, კაუფმანი შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ ბრალის ზნეობრივი კონცეფციის პოზიციიდან, რომლის მიხედვითაც ბრალი უმართლობის განხორციელების შეგნებული და თავისუფალი (freigewollt) გადაწყვეტილებაა, დაუდევრობა ბრალის ფორმას არ წარმოადგენს".409 რასაკვირველია, თუ ანალიზი მიმდინარეობს იმ კონცეფციის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც ბრალი „უმართლობის განხორციელების შეგნებული გადაწყვეტილებაა", დაუდევრობა ბრალის ფორმა ვერანაირად იქნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ კაუფმანთან ხსენებული კონცეფცია კვლევის მასშტაბს სულაც არ შეადგენდა.

ამასთანავე, კაუფმანი ზემოხსენებული დასკვნით როდი ასრულებს დაუდევრობის პრობლემის ანალიზს. მოცემული ანალიზის ფარგლებში ის წარმოგვიდგენს დაუდევრობის შესახებ სისხლის სამართლის თეორიაში არსებულ ორ ძირითად თეორიასაც — ე. წ. ობიექტურ და სუბიექტურ მოძღვრებებს.

პირველი მოძღვრების თანახმად, „პრობლემა, თუ როგორ შეეძლო დამნაშავეს მის მიერ გაუთვალისწინებელი შედეგის შეცნობა და თავიდან აცილება, უნდა გადაწყდეს შეცნობითობის ობიექტური განსჯის შედეგად. ის კი არ უნდა იყოს ამოსავალი მომენტი, შეეძლო თუ არა ინდივიდუალურ დამნაშავეს საზიანო შედეგის შეცნობა, არამედ ის, იყო თუ არა შესაძლებელი მოცემული შედეგის შეცნობა საშუალო სუბიექტისათვის, კეთისლსინდისიერი მოქალაქისათვის ან — ზომიერი ობიექტური თეორიის მიხედვით — დამნაშავის პროფესიის, მდგომარეობის ან კლასის საშუალო წარმომადგენლისათვის".410 განსახილველი თეორიის

წარმომადგენლებად კაუფმანი კოლრაუშს, მანჰაიმსა და მეცგერს ასახელებს. უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტური თეორია ნაკლებად პასუხობს თანამედროვე სისხლის სამართლის ფუნდამენტურ მოთხოვნებს. ამავე დროს, ის თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისითაც სრულიად მიუღებელია. მართლაც, სუბიექტი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ბრალეულად, თუ სრულიად გამოირიცხება მისი არაბრალეულობის შესაძლებლობა. მაგრამ როდესაც საუბარია ამა თუ იმ ვითარებაში ზოგადად საშუალო სუბიექტის ან თუნდაც დამნაშავის პროფესიის, მდგომარეობისა თუ კლასის საშუალო წარმომადგენლის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებზე და არა უშუალოდ დამნაშავის კონკრეტულ სუბიექტურ შესაძლებლობაზე, შეიძლება კი ვისაუბროთ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ბრალეულობის აბსოლუტური გამორიცხულობის პირობებში? ცხადია, არა, რადგან იმის ზუსტი დადგენა, შეეძლო თუ არა კონკრეტულად ამ სუბიექტს კონკრეტულად ამ ვითარებაში საზიანო შედეგის თავიდან აცილება, შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად ამ სუბიექტის მიერ კონკრეტულად ამ ვითარებაში განხორციელებული ფსიქოლოგიური ქცევის კვლევის შედეგად.

იმის განსაზღვრა, თუ რას ეფუძნება ობიექტური თეორია, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელი. აქ აშკარად იგრძნობა ანგლოამერიკული სისხლისსამართლებრივი აზრის ზეგავლენა. მას შემდეგ, რაც დადგინდება საშუალო სუბიექტის და ა. შ. ფსიქოლოგიური შესაძლებლობების შესაბამისობა ბრალეული ქცევის მოთხოვნებთან, ბრალდებულს შეუძლია ამტკიცოს თავისი არაბრალეულობა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არაბრალეულობის პრეზუმფციის მხოლოდ შეზღუდულ მოქმედებას. იმაში, რომ მსგავს შემთხვევებში სუბიექტმა თავად უნდა ამტკიცოს თავისი არაბრალეულობა, ანგლოამერიკული სისხლისსამართლებრივი დოქტრინისათვის არამცთუ არაფერია მიუღებელი, არამედ პირიქით, მოცემული თვალსაზრისი ტრადიციულ ანგლოამერიკულ დოგმატიკაში გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ რომანულ-გერმანული სისხლისსამართლებრივი სისტემა, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული არაბრალეულობის პრეზუმფციის აბსოლუტური ხასიათი, არ შეიძლება განიცდიდეს მსგავსი ანუ მკვეთრად განსხვავებული მიდგომის ზეგავლენას. შესაბამისად, ზემოხსენებულ კრიმინალისტთა თეორიაც უნდა განიხილებოდეს როგორც ტრადიციულ დოგმატიკასთან სრულიად შეუთავსებელი მიმდინარეობა.

აღსანიშნავია, რომ თავად არტ. კაუფმანიც გადაჭრით უარყოფს ობიექტური თეორიის მართებულობას, რის საპირისპიროდაც სუბიექტურ მოძღვრებაში წარმოდგენილ თვალთახედვას ის აბსოლუტურად იზიარებს. უკანასკნელი თეორიის შინაარსი მასთან ამგვარად არის წარმოდგენილი: „სუბიექტის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მაშინ, თუ ის არ იჩენს ურთიერთობისას აუცილებელ მზრუნველობას; ამ

თვალსაზრისით, მოქმედებს მსჯელობის ობიექტური საწყისი (objektive Urteilsbasis), ე. ი. აქ მხედველობაში მიიღება ის, თუ რის გაკეთება შეეძლო და რას გააკეთებდა გონიერი და კეთილსინდისიერი სუბიექტი დამნაშავის მდგომარეობაში. ხოლო ბრალეულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება მაშინ, თუ სუბიექტს თავისი პიროვნული ცოდნისა და უნარის შესაბამისად შეეძლო დარღვეული მზრუნველობის გამოჩენა და, ამგვარად შედეგის თავიდან აცილება; აქ მოქმედებს მსჯელობის სუბიექტური საწყისი (subjektive Urteilsbasis), ე. ი. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სუბიექტის ინდივიდუალური შესაძლებლობა."411 განსახილველი თეორიის წარმომადგენლებად რადბრუხი, ექსნერი, ენგიში, ჰიპელი და ფრანკი წარმოგვიდგება. განსხვავებით ობიექტური თეორიისაგან, მოცემული მოძღვრება სავსებით ესადაგება თანამედროვე სისხლის სამართალში აღიარებულ პრინციპთა სისტემას, რამეთუ განსახილველ შემთხვევაში ბრალეულობის დადგენის ძირითად კრიტერიუმს უკვე სუბიექტის „პიროვნული ცოდნა და უნარი" შეადგენს. გაუგებარი კი განსახილველ კონტექსტში მხოლოდ თვით არტ. კაუფმანის პოზიციაა, ვინაიდან ის სრულიად ემხრობა სუბიექტურ თეორიაში წარმოდგენილ თვალთახედვას, მაშინ როდესაც, ერთი მხრივ, სუბიექტური თეორიის ძირითადი ამოცანა მიმართულია დაუდევრობის სათანადო დასაბუთებისკენ, მეორე მხრივ კი, არტ. კაუფმანი ზემოთ სავსებით გარკვევით უარყოფდა დაუდევრობას როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის ქვესახეს.

განაგრძობს რა ზოგადად გაუფრთხილებლობის ცნების ანალიზს ბრალის ნორმატიულ მოძღვრებაში, არტ. კაუფმანი კვლავ უბრუნდება ბრალის ჭეშმარიტი ბუნების განსაზღვრის პრობლემას. განსახილველი თვალსაზრისით, ის აღნიშნავს: „ბრალის პრინციპის მკაცრი დაცვა მოითხოვს, რომ ბრალის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ გასაკიცხობა, არამედ მას უთუოდ უნდა უკავშირდებოდეს მატერიალური შინაარსიც. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ბრალს განვიხილავთ როგორც სინამდვილეს. თუმც უდავოა, რომ ბრალი მეტაფიზიკური კატეგორიაა (სინამდვილის პოზიტივისტურ-მატერიალისტური ცნების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც სინამდვილის ხასიათი ენიჭება მხოლოდ გრძნობითად აღქმად (das sinnlich Wahrnehmbare), ე. ი. მატერიალურ (das Stoffliche) ფენომენებს). მაგრამ მეტაფიზიკური ნიშნავს არა ზე-სინამდვილებრივს, არამედ მხოლოდ ზე-მატერიალურს, ეს უფრო მაღალი სახის სინამდვილეა. ბრალი გონებრივი... სინამდვილეა."412 ცხადია, არტ. კაუფმანი თავის დასკვნებში ბრალის ცნებასთან მიმართებაში ამჯერად ბევრად უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე ზემოთ. მაგრამ ჩვენს ყურადღებას უმთავრესად იპყრობს ის გარემოება, რომ კაუფმანი მოცემულ შემთხვევაში საუბრობს არა ბრალის როგორც გასაკიცხობის, არამედ ბრალის როგორც მხოლოდ გასაკიცხობის მიუღებლობაზე, რაც მის ზემოგანხილულ შეხედულებას, სადაც ბრალი, უარიყოფოდა რა როგორც გაკიცხვა და

გასაკიცხობა, განიხილებოდა როგორც გაკიცხვის საფუძველი, აშკარად ეწინააღმდეგება.

როგორც ყოველივე ზამოაღნიშნულიდან ჩანს, არტ. კაუფმანი, მართალია, მრავლად წარმოგვიდგენს ბრალის ცნებასთან მიმართებაში მნიშვნელოვან თეორიულ სიახლეებს, მაგრამ იმავდროულად თვალნათლივ განიცდის აგრეთვე ტრადიციული დოგმატიკის ზეგავლენასაც (აღნიშნული პრობლემების განხილვისას), რასაც საბოლოო ჯამში არაერთ უზუსტობასა თუ დაუძლეველ წინააღმდეგობრიობამდე მივყავართ. ამასთანავე, განსახილველ შემთხვევაში ერთობ რელევანტურია უკვე თვით ის ფაქტიც, რომ ბრალის ნორმატივისტული ცნება პერსონალური მოძღვრების ფარგლებშიც პოვებს მეტად ორიგინალურ განვითარებას მრავალ მნიშვნელოვან ასპექტში, რის ნათელ მაგალითადაც წარმოგვიდგება თუნდაც ბრალისა და სასჯელის კაუფმანისეული ფორმალურ-დოგმატური ურთიერთობა.

თავი მეექვსე

ნორმატივიზმის კრიტიკა

§1. ნ. ვ. ლიასი

<u>გერმანული დოგმატიკა</u>

ბრალის ნორმატიული მოძღვრების რუს კრიმინალისტ ნ. ვ. ლიასთან წარმოდგენილი კრიტიკა საბჭოთა სისხლის სამართლის ფარგლებში შესაძლოა ყველაზე უფრო ვრცლად მივიჩნიოთ. ბრალის ნორმატივისტული მოდელის კრიტიკისას ლიასი ძირითადად ყურადღებას ბელინგის, ფრანკის, იეშეკის, ნოვაკოვსკისა და რიტლერის შეხედულებათა ანალიზს უთმობს.

ბელინგის შეხედულებათა ანალიზს ნ. ვ. ლიასი ამ პირველთან წარმოდგენილი ბრალისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნებათა ურთიერთობის კვლევით იწყებს. „დანაშაულის შემადგენლობისა და ბრალის ცნებათა ურთიერთმიმართების დადგენისას, — მიუთითებს ლიასი, — ბელინგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქმედების ტიპურობა (ანუ დანაშაულის შესაბამისობა) და მისი ბრალეულობა — არსი სრულიად სხვადასხვა სახის ნიშნებია. შემადგენლობის მოცემულობა ჯერ არ გულისხმობს ბრალის დადგენას. დანაშაულის ტიპი (შემადგენლობა) ერთსა და იმავე შინაარსს მოიცავს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი ქმედებებისათვის. ასე მაგალითად, ბელინგის მიხედვით, განზრახი და გაუფრთხილებლობითი მკვლელობის შემადგენლობები არაფრით

განსხვავება ერთმანეთისაგან."413 როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ბელინგის ეს თვალთახედვა ნ. ვ. ლიასისთვის პრინციპულად მიუღებელია. ამ უკანასკნელისთვის ძნელად წარმოსადგენია, თუ როგორ არ შეიძლება განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაული არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან დანაშაულის შემადგენლობის საფეხურზე.

ნ. ვ. ლიასი, მართალია, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას სულაც არ აღიარებს იმ თვალსაზრისით, რომ ბრალი შეფასებითობას მოკლებულ წმინდად დესკრიფციულ ცნებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, სისტემატიკური თვალსაზრისით, ის ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებს არ სცილდება და ამიტომ გასაგებიც არის, რომ დანაშაულის შემადგენლობის ცნებისაგან ბრალის ცნების სისტემატიკური დამოუკიდებლობა მისთვის სრულიად მიუღებელია.

მაგრამ რატომ არის აუცილებელი, რომ, ვთქვათ, იმავე განზრახი და გაუფრთხილებლობითი მკვლელობის შემადგენლობა მოიცავდეს სხვადასხვა შინაარსს? ჩვენი აზრით, სწორედ რომ შებრუნებული ვითარება იქნებოდა მიუღებელი, ე. ი. ვითარება, რომლის დროსაც დანაშაულის სისტემაში არ იქნებოდა წარმოდგენილი დამოუკიდებელი საფეხური, სადაც შევძლებდით განზრახი და გაუფრთხილებლობითი მკვლელობის რეალურად არსებული ნაწილობრივი იდენტურობის ასახვას.

განა, ობიექტური მხრივ, განზრახი და გაუფრთხილებლობითი მკვლელობა აბსოლუტურად არ ემთხვევა ერთმანეთს? და თუ ემთხვევა, მაშინ ეს უთუოდ უნდა პოვებდეს სათანადო ასახვას სისტემატიკური თვალსაზრისითაც. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ თეორიაში წარმოდგენილი დანაშაულის სისტემის ფარგლებშიც მიიღწევა ხსენებული სახის დანაშაულთა ობიექტური იდენტურობის დაფიქსირება, რასაც თვალნათლივ მოწმობს აქ წარმოდგენილი შემადგენლობის სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც საუბარია დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებსა და ამ მხარეთა ურთიერთგამიჯნულობაზე. მაგრამ სისტემატიკურად დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა მსგავსი დიფერენცირება დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, დოგმატურად ხსენებულ ნიშნებს შორის არსებული განსხვავება ზედაპირული, არაარსებითი რომ იყოს. სინამდვილეში კი დოგმატურად დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარე ხასიათდება მკაცრად ურთიერთდამოუკიდებელი თეორიული მნიშვნელობით. და ეს მიგვითითებს დანაშაულის ცნების იმგვარად სტრუქტურირების აუცილებლობაზე, რის შედეგადაც მივიღებდით ისეთ სისტემატიკურ საფეხურებს, სადაც ერთმანეთისაგან პრინციპულად დამოუკიდებლად ანუ სხვადასხვა საფეხურზე გაირკვეოდა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა მნიშვნელობა.

ამასთანავე, მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც. დანაშაულის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს შორის დოგმატიკაში არსებული ურთიერთობის სპეციფიკა მოითხოვს, რომ ბრალისა და ზოგადად დანაშაულის სუბიექტურ

ელემენტთა მნიშვნელობა ირკვეოდეს სისტემატიკურად უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე დანაშაულის ობიექტური მხარისა.

სისხლის სამართალში სუბიექტურ ელემენტებზე საუბარი დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადგილი აქვს ობიექტურ ნიშანთა აბსოლუტურ გარკვეულობას. თეორიულად დაუშვებელია ვისაუბროთ შეცდომაზე, ბრალზე, მართლსაწინააღმდეგო მიზანზე და ქმედების სხვა სუბიექტურ მახასიათებლებზე, თუ ადგილი არ ჰქონია საზიანო შედეგის დადგომას ან, სულ მცირე, ასეთი შედეგის გამოწვევის მცდელობასა თუ ამ მცდელობისათვის მზადებას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტური ქმედების სისხლისსამართლებრივი დახასიათება ყოველთვის უნდა იწყებოდეს ობიექტური ნიშნების კვლევიდან. სუბიექტური ელემენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეადგენდეს სისხლისსამართლებრივი დაინტერესების საგანს, თუ მოცემულია მათი გარეგანი გამოვლინების ფაქტი. გარეგანად გმოუვლენელი სუბიექტური ელემენტები, რაოდენ მაღალი ხარისხის აგრესიულობას არ შეიცავდნენ სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის მიმართ, სისხლისსამართლებრივად სრულიად უმნიშვნელოა. სუბიექტური ელემენტები სისხლისსამართლებრივი ინტერესის სფეროში ექცევა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტის განსაზღვრული გარეგანი ქცევით საფრთხე ექმნება სისხლისსამართლებრივად დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს ან როდესაც ეს ქცევა რეალურად არის მიმართული ასეთი საფრთხის შექმნისაკენ (დანაშაულის მომზადება).

ყოველივე ეს სათანადოდ უნდა აისახებოდეს დანაშაულის სისტემაში დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტთა იერარქიული მნიშვნელობის განსაზღვრისას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სუბიექტური ნიშნების გამოხატულება არ შეიძლება სისტემატიკურად წინ უსწრებდეს ობიექტური ნიშნების აღწერას, მაშინ როდესაც დანაშაულის ორნიშნა (ფსიქოლოგიურ) ცნებაში მართლწინააღმდეგობა, როგორც სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ობიექტური განხორციელების აღწერილობა, ბრალზე უფრო მაღლა მდებარე სისტემატიკური საფეხურია. ხოლო რაც შეეხება ბელინგის მიერ შემოთავაზებულ დანაშაულის სამნიშნა ცნებას, აქ წარმოდგენილ დანაშაულის სუბიექტურ და ობიექტურ ნიშანთა სისტემატიკური მნიშვნელობის გარკვევის თანამიმდევრობას სულაც არ მივყავართ ამ უკანასკნელ მომენტთა დოგმატიკაში არსებული ურთიერთობის მსგავს გაუკუღმართებამდე.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო განსახილველ შემთხვევაში არის უშუალოდ ის არგუმენტი, რომელსაც ნ. ვ. ლიასი ბელინგის მიერ წარმოდგენილი დანაშაულის სისტემის საწინააღმდეგოდ მოიშველიებს. მოცემული თვალსაზრისით, ის შენიშნავს: „შემადგენლობის შემოფარგვლა მხოლოდ კანონში დადგენილი ობიექტური ნიშნებით, რომლებიც დამახასიათებელია დანაშაულის ტიპისათვის, შემადგენლობიდან ქმედების სუბიექტური ნიშნების გამორიცხვა — ამაში მდგომარეობს ბელინგის ნორმატიული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი

დებულება. ქმედების ობიექტურ (კონკრეტულ სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებულ) და სუბიექტურ (შეფასებას დაფუძნებულ) მხარეთა სწორედ ეს ურთიერთგაწყვეტა შესაძლებელს ქმნის... ნორმატიული თეორიის გამოყენებას დანაშაულის შემადგენლობის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის უარსაყოფად, სასამართლო თვითნებობის გასამართლებლად".414 მაშასადამე, ნ. ვ. ლიასის მიხედვით, ბელინგმა დანაშაულის შემადგენლობის ცნებიდან ბრალი გაიტანა იმ მიზნით, რომ გაემართლებინა სასამართლო თვითნებობა! მაგრამ თუ რაში შეიძლებოდა კონკრეტულად გამოხატულიყო დანაშაულის შემადგენლობიდან ბრალის გატანით და, შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობის როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის უარყოფით სასამართლო თვითნებობის გამართლება, ამაზე ნ. ვ. ლიასი არაფერს მიუთითებს. პასუხისმგებლობის საფუძვლად ბელინგთან, ნაცვლად დანაშაულის შემადგენლობისა, ხომ ზოგადად დანაშაული იქცევა, ხოლო დანაშაულის შემადგენლობის ცნება ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში არაფერს მოიცავს ისეთს, რაც არ არის მოცული ბელინგთან წარმოდგენილი დანაშაულის ცნებით. ამიტომაც პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, დანაშაულის შემადგენლობის როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის უარყოფის შედეგად ვღებულობთ მხოლოდ ფორმალურ, არაარსებითი ხასიათის ცვლილებას.

სრულიად გაუგებარია ასევე მტკიცება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის შემადგენლობიდან ბრალის გატანით მიიღება დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა ურთიერთგაწყვეტა.

ჯერ ერთი, თვით ფაქტი დანაშაულის შემადგენლობიდან ბრალის გატანისა არამც და არამც არ მოასწავებს დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის გაწყვეტას, არამედ მიგვითითებს მხოლოდ ამ ურთიერთობის სფეროს შეცვლაზე, მისი მასშტაბის ზრდაზე.

მეორეც, თუ აუცილებელია რომ დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის არსებული სისტემატიკური ურთიერთობა ერთსა და იმავე საფეხურზე ანუ დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში ირკვეოდეს, მაშინ საერთოდ რა საჭიროებას წარმოადგენს თვით დანაშაულის ცნების არსებობა? ასეთ შემთხვევაში ხომ დანაშაულის ცნების სრულ თეორიულ უფუნქციობასთან გვექნებოდა საქმე.

ნ. ვ. ლიასი ამგვარად განაგრძობს ბრალისა და დანაშაულის შემადგენლობის ურთიერთობის შესახებ ბელინგის შეხედულებათა ინტერპრეტირებას: „ის, რომ ბრალი ქმედების ნიშანია და არა შემადგენლობისა, ბელინგის აზრით, თვით კანონიდან გამომდინარეობს. ის მიუთითებს, რომ 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის §59 შესაბამისად, ბრალი მდგომარეობს სუბიექტის ფსიქიკის მიმართებაში დანაშაულის შემადგენლობისადმი. ამის საფუძველზე ბელინგი ასკვნის, რომ ბრალი დამნაშავის გონებაში შემადგენლობის ფსიქიკური,

სუბიექტური ანარეკლია. აქედან კი, მისივე მიხედვით, გამომდინარეობს, რომ ბრალი შემადგენლობის ნაშანი კი არ არის, არამედ დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშანია დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობასა და მართლწინააღმდეგობასთან ერთად. ბელინგი მიუთითებს ბრალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე: ის განიხილება როგორც პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძველი".415 სწორედ ამაში, სწორედ ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის საგანგებო აქცენტირებაში გამოიხატება ბელინგის მოძღვრების არსი. მაგრამ შეიძლება კი ბრალის მნიშვნელობის გამოყოფა საფუძვლად დაედოს „სასამართლო თვითნებობის დასაბუთებას"? აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისია.

ამასთანავე, ნ. ვ. ლიასის უკანასკნელად ციტირებული თვალთახედვიდან ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ბელინგმა დანაშაულის სამნიშნა ცნება ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების ფარგლებში ჩამოაყალიბა. სინამდვილეში კი ბელინგი, როდესაც მას დანაშაულის შემადგენლობიდან ბრალის ცნება გაჰქონდა, ბრალს მხოლოდ „დამნაშავის გონებაში შემადგენლობის ფსიქიკურ, სუბიექტურ ანარეკლად" როდი განიხილავდა, არამედ, როგორც ეს თავად ნ. ვ. ლიასის შეხედულებათა შემდგომი ანალიზიდანაც გარკვევით ჩანს, ბრალი მასთან უკვე მიიჩნეოდა როგორც „სუბიექტის ნების გასაკიცხი შინაარსი", როგორც „ქმედების ფსიქიკური გასაკიცხობა", ე. ი. დანაშაულის სამნიშნა ცნება ყალიბდება ბელინგთან წარმოდგენილი ე. წ. შეზღუდული ნორმატივიზმის, მაგრამ არამც და არამც არა ფსიქოლოგიური მოძღვრების ფარგლებში. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, დანაშაულის სამნიშნა ანუ კლასიკურ ცნებას ვერც ვუწოდებდით დანაშაულის ნორმატივისტულ ცნებას.

მართალია, დანაშაულის სამნიშნა ცნებაზე გარკვეულ მითითებას ბელინგამდე ლისტთანაც ვხვდებით და ეს უკანასკნელი იმ დროისათვის ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ ერთ-ერთ ქვეთავში უკვე აღინიშნა, დანაშაულის სამნიშნა ცნების მეცნიერულად დასაბუთებული სახე მხოლოდ ბელინგთან მოიცემა.

ნ. ვ. ლიასი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ბელინგთან ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში საუბარია პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე არა შედეგთან, არამედ მხოლოდ ქმედებასთან. რა თქმა უნდა, ბელინგის შეხედულება აქ შეუმცდარად გადმოიცემა, მაგრამ ნ. ვ. ლიასი არასწორ წარმოდგენას გვიქმნის ბელინგის ბრალის მოძღვრებაზე ზოგადად, როდესაც იქვე შენიშნავს, რომ, ბელინგის მიხედვით, ბრალის ძირითადი შინაარსი სწორედ ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში მდგომარეობს. მაგრამ ის, რომ თავად ნ. ვ. ლიასი ოდნავ მაღლა შენიშნავდა იმის შესახებ, რომ ბელინგთან ბრალი „ქმედების ფსიქიკური გასაკიცხობა და სუბიექტის ნების გასაკიცხი შინაარსია", როგორც ჩანს, ამჯერად ამ პირველს აბსოლუტურად გამორჩა. ამის შედეგად კი, თავის მხრივ, უკვე აშკარად იკვეთება ნ. ვ.

ლიასის მიერ ბელინგის შეხედულებათა ანალიზის მნიშვნელოვანი არათანამიმდევრულობა.

მაგრამ რას ნიშნავს საკუთრივ ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედების და არა შედეგის მიმართ? როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური მოძღვრების ტრადიციულ სახეში საუბარი იყო პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე როგორც საზიანო ქმედების, ისე საზიანო შედეგისადმი. მაგრამ თუ ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა საზიანო ქმედებისა და შედეგისადმი ერთობლივად ან თუ ბრალი შეიძლება აგრეთვე იყოს ფსიქიკური დამოკიდებულება მხოლოდ საზიანო შედეგისადმი, როგორ შეიძლება დავასაბუთოთ სუბიექტის ბრალეულობა დანაშაულის მცდელობის ან მომზადების დროს? უკანასკნელ შემთხვევაში ხომ საზიანო შედეგი სახეზე არ არის და ფსიქიკური დამოკიდებულება იმისადმი, რაც რეალურად არ განხორციელებულა, არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი.

ამიტომაც ბრალი, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისადმი, ბევრად უფრო ახლოს არის რეალობასთან, ვიდრე ბრალი, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი ან შედეგისა და ქმედებისადმი ერთდროულად.

თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ანუ ბელინგისეული თვალთახედვის ფარგლებშიც მოცემული გვაქვს მნიშვნელოვანი სირთულეები. თუ ბრალი ფსიქიკური დამოკიდებულებაა მხოლოდ ქმედებისადმი, მაშინ საუბარი უნდა იყოს ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა მიმართებაზე არა შედეგის, არამედ სწორედ ქმედებისადმი. ასე მაგალითად, რით შევცვალოთ პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური მომენტი, რომლის შესაბამისადაც პირი ითვალისწინებს საზიანო შედეგის დადგომის აუცილებლობას, ან დაუდევრობის ნებელობითი მომენტი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ პირს შეეძლო საზიანო შედეგის თავიდან აცილება?

რასაკვირველია, უკანასკნელი სირთულეების დაძლევა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ საამისოდ უთუოდ მოგვიწევდა ბრალის სახეებისა და ქვესახეების ტრადიციულ ცნებათა უარყოფა და მათ ადგილას არსებითად ახლებური შინაარსის მომცველ ცნებათა ფორმირება.

განაგრძობს რა აღნიშნულ კონტექსტში ბელინგის შეხედულებათა ანალიზს, ნ. ვ. ლიასი აღნიშნავს: „სუბიექტის გონების მიმართება მართლწინააღმდეგობის ფაქტთან მდგომარეობს განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაში (განზრახვა) ან შეგნების შესაძლებლობასა და ვალდებულებაში (გაუფრთხილებლობა). ბელინგის მიხედვით, ეს ბრალის მორიგი ნიშანია, რომელიც განაპირობებს დამნაშავის ნების შეუწყნარებლობას, რაც ქმნის მისი გაკიცხვის საფუძველს. მისივე მტკიცებით, ბრალის მოცემულობის მტკიცება მსგავსი შეგნების არარსებობისას უშინაარსოს ქმნის ბრალის ცნებას, მის გასაკიცხ მომენტს".416 ამასთანავე, ნ. ვ. ლიასი იქვე მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ბრალის ცნებაში ამგვარი ნიშნის შეტანა დამახასიათე-

ბელია ნორმატიული თეორიის ყველა მიმდევარისათვის და განსაკუთრებით გამოყოფს ბინდინგის პოზიციას, რომლის თანახმად „განზრახვის ცნებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების ნიშანი და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა საუბარი არა განზრახვაზე, არამედ მართლსაწინააღმდეგო განზრახვაზე".

ცხადია, საკუთრივ ბინდინგის შეხედულება იმის შესახებ, უნდა მოიცავდეს თუ არა განზრახვის ცნება მართლწინააღმდეგობის შეგნების მომენტს, მეტად სადავო ხასიათისაა და ეს ჩვენ ნორმატივიზმის ზოგადი დახასიათების ფარგლებში ე. წ. ბრალისა და განზრახვის თეორიებს შორის არსებული დავის ანალიზის დროს გარკვევით ვიხილეთ, სადაც დავის ძირითად საგანს სწორედ მართლწინააღმდეგობის შეგნების დოგმატური ადგილის განსაზღვრა შეადგენდა, უფრო კონკრეტულად კი, იმის გარკვევა, მართლწინააღმდეგობის შეგნება უნდა განეკუთვნებოდეს განზრახვის ცნებას თუ იყოს ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც განეკუთვნებოდა ზოგადად ბრალის ცნებას. და რადგან ეს თვალთახედვა სადავოა, არც არაფერი შეიძლება იყოს მიუღებელი იმაში, რომ ნ. ვ. ლიასი არ იზიარებდეს ბინდინგის მიერ შემოთავაზებულ თვალსაზრისს და წარმოგვიდგენდეს მას კრიტიკის საგნად. მაგრამ ვითარება პრინციპულად სხვაგვარად არის. ნ. ვ. ლიასი, არ კმაყოფილდება რა მხოლოდ ბილინგის ზემოწარმოდგენილი პოზიციის კრიტიკით, ასევე მიუღებლად აცხადებს ზოგადად ბელინგის დებულებასაც, რომლის ძირითადი მოთხოვნაც როგორც თავად ნ. ვ. ლიასი განმარტავდა, მდგომარეობს ბრალის დასაფუძნებლად მართლწინააღმდეგობის შეგნების ან შეგნების შესაძლებლობის არსებობის აუცილებლობაში.

პირდაპირ უნდა შეინიშნოს, რომ ჩვენ აქ ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავთ. თუ პირს არ შეუძლია და, შესაბამისად, არც ევალება კონკრეტულ ვითარებაში გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, გასაგებია, რომ მისი ბრალეულობის შესახებ მსჯელობა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს. პირი ამ შემთხვევაში ვერანაირად ვერ გაიკიცხება, ვერც ეთიკურად ან ზნეობრივ-პოლიტიკურად და ვერც წმინდად სამართლებრივად, ვინაიდან არც ერთი ამ გაგებით სუბიექტი არანაირ ვალდებულებას არ არღვევს: ის მოკლებულია სხვაგვარად მოქმედების კონკრეტულ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობას. ხოლო არავითარი სხვა აზრი, გარდა ამ უკანასკნელისა, ბელინგის თვალთახედვაში განვითარებული არ არის. ამიტომ როდესაც ნ. ვ. ლიასი ამ პოზიციის მიუღებლობაზე საუბრობს, გამოდის, რომ ის ბრალის შინაარსის ობიექტური შერაცხვის შინაარსისაგან განსხვავების წინააღმდეგია!

ამავე დროს, ნ. ვ. ლიასი სხვა კუთხითაც ცდილობს ბელინგის ზემოწარმოდგენილი თვალთახედვის კრიტიკის განვითარებას. ამ მიმართებით, ის შენიშნავს: „ბრალის როგორც გასაკიცხი ნების ფორმირების (порочное волеобразвание) არსი ბელინგთან გაიგება როგორც სუბიექტის გონების

მიმართება ქმედების მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის მომენტისადმი, ე. ი. დანაშაულის ორი გარეგანი ნიშნისადმი, რომელიც... ცალსახად ფორმალურ, ნორმატიულ ხასიათს ატარებს. ამის შედეგად კი თვით ბრალის ცნება წარმოგვიდგება წმინდად იურიდიულ კატეგორიად, ის მოკლებულია ყოველგვარ სოციალურ შინაარსს".417 და იქვე: „ბრალის შინაარსს ბელინგი მართლწინააღმდეგობის ნიშანზე დაყრდნობით განმარტავს, ამიტომ არის, რომ ბრალის ბელინგისეული კონცეფცია არათანამიმდევრულობითა და ანტიმეცნიერულობით გამოირჩევა".418

ჯერ ერთი, რას ნიშნავს მტკიცება იმის შესახებ, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა ბელინგთან დანაშაულის ცნების „გარეგანი ნიშნებია"? ის, რომ ბელინგისეულ დანაშაულის სამნიშნა ცნებაში ორივე ზემოხსენებული ნიშანი მოიცავს დანაშაულებრივი ქმედების მხოლოდ ობიექტურ ანუ გარეგან მხარეში შემავალ ელემენტებს, როდი იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ამის შედეგად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა და მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ცნების გარეგან ნიშნებად წარმოგვიდგება. ამ ორ მომენტს შორის ლოგიკურად არავითარი კავშირი არ არსებობს. და თუ ასეა, რას შეიძლება ეფუძნებოდეს ნ. ვ. ლიასის უკანასკნელი მოსაზრება? აშკარაა, რომ ამჯერადაც ადგილი აქვს ბელინგის შეხედულებათა უხეშად მცდარ ინტერპრეტირებას.

მეორეც, იურიდიული სოციალურის ნაირსახეობაა და, ამდენად, ყოველივე იურიდიულში იმთავითვე მოიპოვება სოციალურობის მომენტიც. მაგრამ რატომ უნდა შეიცავდეს იურიდიული ცნებები სოციალურობის იმაზე უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე ამას თვით ამ ცნებათა „იურიდიულობა" მოითხოვს ანუ რა განაპირობებს იურიდიულ ცნებათა ექსტრაიურიდიული სოციალურობის საჭიროებას? ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა მხოლოდ იდეოლოგირებული სისხლის სამართლის პირობებშია შესაძლებელი. სხვა საკითხია, ბელინგი ბრალის ცნების ჩამოყალიბებისას სისხლის სამართლის იზოლირებას რომ ცდილობდეს სხვა რომელიმე მეცნიერებისაგან, რომელთა ცნებებთანაც ბრალის ცნება გარდუვალად უნდა ექცეოდეს არსებით კავშირში (მაგალითად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კელზენთან სისხლის სამართლისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის თვალსაზრისით).

მესამეც, თუ ბრალის შინაარსის გარკვევა მართლწინააღმდეგობაზე დაყრდნობით ანუ მართლწინააღმდეგობის გარკვეულობის შედეგად მოცემულ მომენტთა გათვალისწინებით არათანამიმდევრულობისა და ანტიმეცნიერულობის მომასწავებელია, მაშინ რა შეიძლება მივიჩნიოთ თანამიმდევრულობისა და მეცნიერულობის გამოხატულებად — ის, რომ ბრალი სისტემატიკურად წინ უსწრებდეს მართლწინააღმდეგობას და მისი შინაარსი ირკვევოდეს მართლწინააღმდეგობის ცნებასთან სათანადო თეორიული კავშირის გარეშე, როგორც ამას დანაშაულის ფსიქოლოგიურ სისტემაში ვხვდებით?

შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ნ. ვ. ლიასი ფრანკის შეხედულებათა ანალიზს. ამ მიმართებით, ის ძირითადად, შემდეგს შენიშნავს: „რ. ფრანკი... ბელინგის ბრალის თეორიას მცდარად მიიჩნევდა, რადგან ბრალი ბელინგთან დაიყვანებოდა მხოლოდ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებამდე განსაზღვრული გარეგანი, ობიექტური ფაქტისადმი, განიხილებოდა როგორც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარეობითი ცნება. ბელინგისაგან განსხვავებით, რომელმაც წარმოადგინა „გაბატონებული" მოძღვრება, როგორც მას ფრანკი უწოდებს, ამ უკანასკნელს ბრალის ცნება უფრო ვრცლად გაეგება. ის მიუთითებს, რომ ბრალი მხოლოდ განზრახვად და გაუფრთხილებლობად არ გვევლინება... ამიტომ ყოველივე ის, რაც შეეხება ბრალს, იმავდროულად განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიმართაც როდი შეიძლება გამოიყენებოდეს".419 როგორც ვხედავთ, ნ. ვ. ლიასი შეუმცდარად გადმოგვცემს განსახილველ ასპექტში ფრანკის თვალთახედვას. აქ გარკვევით ჩანს, რომ ფრანკი პირველია, ვინც უარყოფს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას როგორც ბრალის ფორმებს და წარმოგვიდგენს მათ ბრალის ელემენტებად.

ჩვენ ნ. ვ. ლიასთან წარმოდგენილ ამ უკანასკნელ ანალიზს დავძენთ მარტოოდენ იმას, რომ ფრანკს, მართალია, ბრალის ცნებაში არაერთი ახლებური მომენტი შეაქვს, მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ წმინდად ფორმალურად, ფრანკთან წარმოდგენილი ბრალის მოდელი შინაარსობრივად საბოლოო ჯამში მაინც ვერ მიიჩნევა უფრო ვრცლად, ვიდრე ბელინგის მოძღვრებაში წარმოდგენილი ბრალის ცნება, ვინაიდან თუ პირველ შემთხვევაში ბრალი მხოლოდ დანაშაულის სუბიექტური მხარის ელემენტია, უკანასკნელ შემთხვევაში ის დანაშაულის სუბიექტურ მხარეს თვითონვე მთლიანად მოიცავს, უფრო ზუსტად, ბელინგი ბრალის ცნებას აიგივებს ზოგადად დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნებასთან და ეს ამავე ნაშრომის წინა თავში უკვე შეადგენდა განხილვის საგანს.

მაგრამ ვნახოთ, თუ როგორ შეფასებას აძლევს თავად ნ. ვ. ლიასი ფრანკის მიერ წარმოდგენილ ბრალის „ვრცელ" ცნებას. „ბრალის ვრცელი ცნება", — წერს ნ. ვ. ლიასი, — რომელსაც გვთავაზობდა ფრანკი, მოასწავებდა ბრალისა და პასუხისმგებლობის ცნებათა გაიგივებას და ამით ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის მნიშვნელობის დაკნინებას..."420 აქ ნ. ვ. ლიასის მიერ გამოყოფილი ორივე ძირითადი მომენტი თანაბრად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ის თავის დასკვნებში კვლავაც ნაკლებად კონკრეტულია და ამჯერადაც იმის შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ნორმატივიზმის კრიტიკა მასთან თვითმიზანია.

შევეხოთ ნ. ვ. ლიასთან გამოყოფილ პირველ ძირითად მომენტს, რომლის მიხედვითაც ფრანკი ერთმანეთთან აიგივებს ბრალისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

რა შეიძლება ჩაითვალოს ფრანკის მიერ წარმოდგენილ ბრალის შინაარსში პასუხისმგებლობის ცნების ამა თუ იმ ნიშნის გამოხა-

ტულებად? სრულიად აშკარაა, რომ ვერც სუბიექტის შერაცხადობა, ვერც განზრახვა და გაუფრთხილებლობა და ვერც ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა პირობებშიც განხორციელებულია შესაბამისი ქმედება (ეს, როგორც ჩვენ მიერ ფრანკის შეხედულებათა ზემოწარმოდგენილი ანალიზის დროს ვიხილეთ, ამ უკანასკნელთან ბრალის შინაარსით მოცული სამი ძირითადი ელემენტია), ვერ მოისაზრება პასუხისმგებლობის შინაარსის განმსაზღვრელ მომენტებად. პასუხისმგებლობის ცნება არსებითად სხვა კატეგორიალურ სიბრტყეზე მდებარეობს და ამიტომაც მის შინაარსსაც თვისებრივად სხვა სახის კომპონენტები განეკუთვნება. ყოველივე ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამ მიმართებით მსჯელობის გაგრძელება სქოლასტიციზმი იქნებოდა.

მაგრამ თუ ეს მხოლოდ უზუსტობაა და ნ. ვ. ლიასი რეალურად გულისხმობს ბრალის ცნების არა საკუთრივ პასუხისმგებლობის ცნებასთან გაიგივებას, არამედ მხედველობაში აქვს ბრალი როგორც პასუხისმგებლობის გენერალური საფუძველი, მას ვერც ამაში დავეთანხმებით. ასე რომ იყოს, ბრალის ფრანკის მიერ წარმოდგენილ შინაარსში უნდა მოიცემოდეს ყველა ის არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ აგრეთვე ობიექტური ელემენტიც, რომლის გარეშეც ფრანკთან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება ვერ მიიღწევა, რაც, ცხადია, ასე სულაც არ არის.

კიდევ უფრო ღრმა გაურკვევლობამდე მივყავართ ნ. ვ. ლიასის მტკიცების მეორე ზემოხსენებულ ნაწილსაც, რომელშიც ის ფრანკს ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის მნიშვნელობის დაკნინებას საყვედურობს.

ჯერ ერთი, ფრანკი მართლაც რომ აკნინებდეს ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის მნიშვნელობას, შეიძლება ეს ნ. ვ. ლიასთან კრიტიკის საგანს შეადგენდეს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი, იცავდა რა დანაშაულის ორნიშნა ფსიქოლოგიურ ცნებას, მკაცრად აკრიტიკებდა ზემოთ ბელინგს ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის გამოყოფის გამო?!

მეორეც, ნ. ვ. ლიასი არაფერს მიუთითებს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა მიზეზით განაპირობებდა ფრანკის მიერ წარმოდგენილი „ბრალის ვრცელი ცნება" ბრალის როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი ნიშნის მნიშვნელობის დაკნინებას. მართალია, ჩვენ ზემოთ ბრალის ფრანკისეული ნორმატივისტული მოდელის ანალიზის დროს თავადვე შევნიშნავდით, რომ ბრალის შინაარსის სრულყოფილება სულაც არ არის დამოკიდებული მასში შემავალ ელემენტთა სიმრავლეზე და სრულიად არაორაზროვნადაც გამოვყოფდით ფრანკის მიერ წარმოდგენილი ბრალის ცნების შინაარსის ნეგატიურ მხარეებს, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ ბრალის შინაარსით მოცულ ელემენტთა რაოდენობის ზრდით კნინდება ბრალის სისტემატიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, სრულიად გაუმართლებელია. ბრალის სისტემატიკურ დამოუკიდებლობას მაშინ შეიძლება ექმნებოდეს გარკვეული საფრთხე, როდესაც ბრალის

ცნების კომპონენტთა რაოდენობა მცირდება და ეს უკანასკნელნი სხვა სისტემატიკურ სფეროებს განეკუთვნება, ხოლო როდესაც ბრალისაგან სისტემატიკურად დამოუკიდებელი ელემენტები ბრალის შინაარსში შეიტანება, ამით ბრალის სისტემატიკური დამოუკიდებლობა კი არ მცირდება, არამედ პირიქით, ერთმნიშვნელოვნად იზრდება.

ხოლო თუ რეალურად გვსურს იმის გარკვევა, აკნინებს თუ არა ფრანკი ბრალის როგორც დამოუკიდებელი ცნების თეორიულ მნიშვნელობას, ბრალის მასთან წარმოდგენილ სისტემატიკურ ასპექტს კი არ უნდა ვიკვლევდეთ და ვსაუბრობდეთ ბრალის სისტემატიკური მნიშვნელობის დაკნინებაზე, რაც თავისთავად სრული შეუსაბამობაა, არამედ უნდა ვამახვილებდეთ ყურადღებას ბრალის ფრანკისეულ დოგმატურ ასპექტზე, კერძოდ კი ბრალისა და ქმედების ცნებათა ურთიერთობის თვალსაზრისით და, შესაბამისად, უარყოფითად გამოვყოფდეთ ფრანკის მიერ ბრალის დოგმატური დამოუკიდებლობის უარყოფას, რაც ჩვენს ამავე ნაშრომში უკვე შეადგენდა საფუძვლიანი კრიტიკის საგანს.

ბრალის შესახებ იეშეკის შეხედულებათა ანალიზს ნ. ვ. ლიასი იმ გარემოების პოზიტიური აქცენტირებით იწყებს, რომ ამ პირველთან სათანადოდ არის წარმოდგენილი ბრალის პრინციპის თეორიული მნიშვნელობა, რის შედეგადაც ვღებულობთ ბრალს არა მხოლოდ როგორც სასჯელის დამაფუძნებელ, არამედ აგრეთვე როგორც სასჯელის ხარისხის განმსაზღვრელ ცნებას. ამის თაობაზე ნ. ვ. ლიასი მიუთითებს: „როგორც ამას გ. იეშეკი შენიშნავს, სასჯელი საერთოდ შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ბრალის მოცემულობისას და, გარდა ამისა, სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ბრალის ხარისხს. შემდგომ კი იეშეკი გამოყოფს იმას, რომ ეს პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს პიროვნების აუცილებელ დაცვას სახელმწიფოს მხრიდან პირადი თავისუფლების სფეროში ზედმეტი ჩარევისა და გაუმართლებელ რეპრესიულ ღონისძიებათა გამოყენებისაგან".421 აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი მომენტის ანუ სახელმწიფოს მხრიდან პირადი თავისუფლების სფეროში ზედმეტი ჩარევისა და გაუმართლებელ რეპრესიულ ღონისძიებათა გამოყენების თავიდან აცილების თვალსაზრისით, ამჟამად უკვე, გარდა საკუთრივ ბრალის პრინციპის მნიშვნელობის განმტკიცებისა, სხვა, პრინციპულად ახალი სახის ტენდენციაც იკვეთება, კერძოდ კი გამოიყოფა პრევენციის აუცილებლობის არარსებობაზე როგორც პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების საჭიროება. ამ მიმდინარეობის ძირითად მხარეებს ჩვენ მომდევნო პარაგრაფში, კ. როქსინის შეხედულებათა ანალიზის დროს შევეხებით.

ეხება რა ბრალზე იეშიკის თვალთახედვის ორიგინალურობას კლასიკური ნორმატივიზმის წარმომადგენელთა შეხედულებებთან მიმართებაში, ნ. ვ. ლიასი აღნიშნავს: „ბრალის ნორმატიული ცნების ფუძემდებლები (ბელინგი, ფრანკი, მაიერი) ბრალს განსაზღვრავდნენ როგორც ნების გასაკიცხ ჩამოყალიბებას, მიიჩნევდნენ, რომ ბრალი თვით

სუბიექტის ნების ჩამოყალიბების შეფასებაა სამართლის ნორმების საფუძველზე. იეშეკს ცვლილება შეაქვს ბრალის ამ შეფასებით ცნებაში, რა დროსაც მასში განსაზღვრულ მატერიალურ შინაარსს წარმოგვიდგენს. ის მიუთითებს, რომ ბრალი ნების ჩამოყალიბების გასაკიცხობა კი არ არის, არამედ თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განსახორციელებლად მიმართული ნების შეცდომითობაა (ошибочность). მსგავს თვალთახედვას ლიტერატურაში იზიარებენ მეცგერი და ენგიში".422 უნდა აღინიშნოს, რომ აქ სრულიად მართებულად გადმოიცემა იეშეკის შეხედულებათა ორიგინალურობა კლასიკურ ნორმატივიზმში წარმოდგენილი ბრალის ცნების დოგმატურ ასპექტთან მიმართებაში და განსახილველ კონტექსტში მისი თვალთახედვის უკეთ ინტერპრეტირების მიზნით ძნელია რაიმე დავძინოთ ზემოციტირებულ ანალიზს.

მაგრამ როდი გვეთქმის იგივე ნ. ვ. ლიასის შემდეგ ნააზრევზე: „ბრალის განსაზღვრება, რომელსაც გვთავაზობს იეშეკი, წარმოადგენს ერთგვარ კომპრომისს ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ თეორიებს შორის. ამ განსაზღვრების პრაქტიკაში გამოყენება ნიშნავს, რომ პირის ბრალეულად აღიარებისათვის აუცილებელია სასამართლომ მის მოქმედებებში დაადგინოს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა და ამის საფუძველზე გაკიცხოს ის მართლწესრიგის ნორმებთან მისი ნების ჩამოყალიბების შეუსაბამობის გამო."423 სრულიად აშკარაა, რომ ნ. ვ. ლიასი აქაც ძნელად მისატევებელ შეცდომას უშვებს. მისი ზემოციტირებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ნორმატიული მოძღვრების ფარგლებში ყოველთვის როდი ყოფილა აუცილებელი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დადგენა იმისათვის, რომ სასამართლომ ქმედება აღიაროს ბრალეულად! გასაგებია, რომ ნ. ვ. ლიასს ფინალიზმი აქვს მხედველობაში. მაგრამ ფინალიზმის შემთხვევაშიც განზრახვა და გაუფრთხილებლობა უკვე, მართალია, არა ბრალის, არამედ უმართლობის ელემენტებია, მაგრამ ვინაიდან ბრალს ვერც აქ მივიღებთ უმართლობის გაურკვევლობის პირობებში, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებების, დაუდგენლობისას ბრალზე საუბარი მოცემულ შემთხვევაშიც დაუშვებელია.

ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ნ. ვ. ლიასი გულისხმობდეს ფინალური თეორიის ფარგლებში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ტრადიციულ ცნებათა უარყოფის მომენტს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ნორმატივიზმი თავისი ერთ-ერთი მიმდინარეობის ფარგლებში უარყოფს, ქმედების ბრალეულად აღიარების თვალსაზრისით, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ტრადიციულ ცნებებს, მაგრამ არა ზოგადად განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც ამას ნ. ვ. ლიასის ზემოციტირებულ მოსაზრებაში ვხვდებით.

ნ. ვ. ლიასი ცდილობს სათანადო ყურადღება დაუთმოს იეშეკის შეხედულებათა განსხვავებას არა მხოლოდ კლასიკურ ნორმატივიზმში მიღებული თვალთახედვისაგან, არამედ აგრეთვე თვით ფინალიზმისაგანაც.

განსახილველ კონტექსტში ნ. ვ. ლიასი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს განასხვაოს ერთმანეთისაგან ფინალიზმი და ზოგადად ტრადიციული ნორმატივიზმი (უკანასკნელში, ცხადია, თავად იეშეკის შეხედულებებიც იგულისხმება), რა დროსაც გვთავაზობს ფინალიზმის შემდეგ აბსოლუტურად მცდარ ინტერპრეტაციას: „ბრალის ასეთი გაგების დროს (იგულისხმება ბრალის ნორმატივისტული ცნების ტრადიციული სახე — ავტორი) ფსიქოლოგიური მომენტი — ქმედებისადმი ბრალეული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სახით — შეადგენს რა მის ძირითად ნიშანს, მოცულია განსახილველი ცნების განსაზღვრებით. ამაში მდგომარეობს ბრალის მოცემული კონცეფციის განსხვავება ფინალური თეორიისაგან, რომლის მიხედვითაც ბრალის ფსიქოლოგიური ნიშანი — განზრახვა გამოირიცხება ბრალის ცნებიდან და განეკუთვნება მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის დახასიათებას (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი)."424 ვფიქრობთ, აქ ყველაფერი ნათელია: ერთი მხრივ, ნ. ვ. ლიასმა კარგად უწყის, რომ უმართლობა ნორმატივისტებთან დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლწინააღმდეგობის ერთობლიობას ნიშნავს, მეორე მხრივ კი, როგორც ჩანს, მისთვის არც ის არის უცნობი, რომ ფინალისტები განზრახვას უმართლობის ცნებას განაკუთვნებენ; ხოლო აქედან ნ. ვ. ლიასის სავარაუდო ლოგიკით პირდაპირ ვასკვნით, რომ განზრახვა, როგორც უმართლობის ელემენტი, იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის ელემენტადაც გვევლინება, რადგან უმართლობა სხვა არაფერია, თუ არა მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა. სინამდვილეში კი ფინალისტებს განზრახვა შეაქვთ არა მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობაში, არამედ საკუთრივ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობაში. და თუ ვამბობთ, რომ განზრახვა ფინალურ მოძღვრებაში უმართლობის ელემენტია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვით დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა წარმოგვიდგება როგორც უმართლობის შემადგენელი ნაწილი. ამასთანავე, ყოველივე ეს იმდენად გარკვევით გადმოიცემა ფინალურ თეორიაში, რომ მისი მართებული ინტერპრეტირება საერთოდ არავითარ სირთულეებს არ უნდა უკავშირდებოდეს. ამიტომაც დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ვ. ლიასი იმგვარად ცდილობს ფინალიზმის არსში ჩაწვდომასა და ნორმატივიზმის ფარგლებში მისი ორიგინალურობის განსაზღვრას, რომ მასზე მხოლოდ უაღრესად ზედაპირულ, ზერელე წარმოდგენას ფლობს.

ის, რომ ფინალურ თეორიას ბრალის ცნებიდან გამორიცხული განზრახვა შეაქვს საკუთრივ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის და არა მართლსაწინააღმდეგო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის

ცნებაში, თვალსაჩინოდ იკვეთება თუნდაც განზრახვის ცნებისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა ურთიერთობის მაგალითზე. ასე მაგალითად, თავად ჰ. ველცელი მრავალგზის მიუთითებდა იმაზე, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირიც მოქმედებს განზრახვით, რა დროსაც აუცილებელი მოგერიება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. შესაბამისად, თუ მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება, ხოლო განზრახვა კვლავაც მოცემული რჩება, ადვილად ვასკვნით, რომ განზრახვის ცნებას ფინალურ თეორიაში არაფერი აქვს საერთო დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის მართლწინააღმდეგობასთან.

ამავე დროს, ვერ დავეთანხმებით ნ. ვ. ლიასს მაშინაც, როდესაც ის ფინალიზმისაგან იეშეკის შეხედულებათა მორიგი განსხვავების გამოყოფას ცდილობს. „...შეიძლება გამოვყოთ იეშეკის პოზიციის კიდევ ერთი თავისებურება, — აღნიშნავს ნ. ვ. ლიასი, — რომელიც განასხვავებს მას ველცელთან და სხვა ფინალისტებთან წარმოდგენილი ბრალის ნორმატიული ცნებისაგან. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ განზრახვა (намерение) კი არა, არამედ მისი განხორციელება — ქმედება ქმნის ბრალის როგორც გასაკიცხობისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ბრალის შინაარსის გადაწყვეტის საკითხში პროფ. იეშეკი მომხრეა პოზიციის, რომელიც დამახასიათებელია ნორმატიული თეორიის ობიექტური მიმდინარეობის წარმომადგენელთათვის".425 მაშასადამე, ნ. ვ. ლიასის მიხედვით, ფინალისტებთან ბრალი ეფუძნება განზრახვას, იეშეკთან კი განზრახვის განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში გამოსაყოფია სულ მცირე შემდეგი სამი მომენტი:

პირველთან მიმართებაში უნდა შეინიშნოს, რომ განზრახვის განხორციელება არსებითად ობიექტური პროცესია და ბრალის, როგორც დანაშაულის სუბიექტური ელემენტის, მთავარი განმსაზღვრელი მომენტი ობიექტური კატეგორიის ფარგლებით ვერ შემოისაზღვრება. ამასთანავე ეს, როგორც ადვილად მისახვედრია, სულაც არ ნიშნავს, რომ ბრალის ცნებაში არ უნდა აისახებოდეს განზრახვის განხორციელების ელემენტი ანუ ბრალი ეფუძნებოდეს მხოლოდ საკუთრივ განზრახვას, რომელიც განიხილება მისი (განზრახვის) განხორციელების პროცესისაგან მოწყვეტით.

მეორეც, მცდარია თვით ის მტკიცება, რომლის მიხედვითაც ფინალისტებთან ბრალის დადგენა ზოგადად დამოკიდებულია მხოლოდ განზრახვის დადგენაზე და არაფერი აქვს საერთო განზრახვის განხორციელების პროცესთან. ასე რომ იყოს, მაშინ ფინალურ მოძღვრებში უნდა მოიცემოდეს დანაშაულის ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ბრალის დადგენა შესაძლებელი იქნებოდა იმ სისტემატიკური საფეხურების გაუვლელადაც, სადაც დანაშაულის ობიექტური ნიშნების მნიშვნელობის გარკვევას აქვს ადგილი, რაც, ცხადია, აბსოლუტურად არ შეესაბამება არსებულ სინამდვილეს.

მესამეც, სინამდვილეში იეშეკი ბრალს განიხილავს არა როგორც განზრახვის განხორციელებას, არამედ როგორც განზრახვას, რომელიც გამოვლენილია გარეგან სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქცევაში და ამის თაობაზე ოდნავ მაღლა თავად ნ. ვ. ლიასიც მიუთითებდა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ამ ორ მომენტს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს.

ხოლო თუ განვაზოგადებთ ნ. ვ. ლიასის უკანასკნელ მოსაზრებასთან დაკავშირებით ყოველივე ზემოაღნიშნულს, უნდა დავასკვნათ, რომ ის ბრალის ფინალური მოდელისაგან იეშეკის ბრალის თეორიის ძირითად განსხვავებას იმაში ხედავს, რომ იეშეკთან ბრალს გარეგან ქცევაში გამოვლენილი განზრახვა აფუძნებს, რის საპირისპიროდაც ფინალისტები ბრალის დასადგენად გარეგანად გამოუვლენელი განზრახვის მოცემულობას საკმარისად მიიჩნევენ!

მაგრამ თუ ვიქნებით ბოლომდე გულწრფელნი, პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ვ. ლიასის უკანასკნელად ციტირებული თვალთახედვა, მსგავსად მისი ზოგიერთი სხვა ზემოაღნიშნული შეხედულებისა, საერთოდ არ გვიტოვებს რაიმე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რასაც მის მიერ პოსტულირებულ დებულებათა მეტისმეტი წინააღმდეგობრიობა და ხშირად თითოეული მათგანის სრული შინაარსობრივი ირეალურობა განაპირობებს.

ამასთანავე, უშუალოდ უკანასკნელი შეხედულების ანალიზის ფარგლებში უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ფინალისტი რ. ბუში ბრალეულობის შესახებ მსჯელობისას გასაკიცხობის სფეროს განაკუთვნებდა მხოლოდ განზრახვის ჩამოყალიბებას, განზრახვის განხორციელება კი ამის კვალობაზე გასაკიცხობის სფეროს ფარგლებს მიღმა იყო მოქცეული, რაც ამავე ნაშრომის წინა თავში უკვე შეადგენდა სათანადო კრიტიკის საგანს. მაგრამ, სხვა მხრივ, ამის შედეგად რ. ბუში როდი ავითარებდა მოსაზრებას, თითქოს ბრალის დადგენა შესაძლებელი ყოფილიყო ზოგადად განზრახვის განხორციელების გაურკვევლობის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ გაუფრთხილებლობით ბრალთან მიმართებაში იეშეკის პოზიციის განხილვისას ნ. ვ. ლიასი უკვე მნიშვნელოვნად აღწევს თავს ამ პირველის შეხედულებათა ზემოწარმოდგენილ წინააღმდეგობრივ გადმოცემას. უფრო მეტიც, ის განსახილველ შემთხვევაში იეშეკის ხსენებულ პოზიციას საკმაოდ ორიგინალურ ჭრილში იკვლევს და, რაც მთავარია, თეორიულად უაღრესად საგულისხმო დასკვნებსაც გვთავაზობს.

როგორც ნ. ვ. ლიასი მიუთითებს, იეშეკი თვლის, რომ დასჯად ქმედებათა რიცხვის შემცირების მიზნით მიზანშეწონილია გაუფრთხილებლობით დანაშაულთა დასჯადობის გაუქმება. ამასთანავე, ნ. ვ. ლიასი წარმოგვიდგენს იეშეკის პოზიციას ბრალის თეორიასა და განზრახვის თეორიას შორის მიმდინარე დავასთან მიმართებაში და გამოყოფს იმ ფაქტს, რომ ის არსებითად ბრალის თეორიას ემხრობა.

ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, უკანასკნელი თეორიის ფარგლებში მართლწინააღმდეგობის შეგნება განიხილება არა როგორც განზრახვის, არამედ როგორც ბრალის ელემენტი და ამიტომ აქ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობისას განზრახვა სულაც არ გამოირიცხება. უკეთ რომ ვთქვათ, როდესაც სუბიექტს მოეპოვება მართლწინააღმდეგობის შეგნების მხოლოდ შესაძლებლობა, ბრალის თეორიის მიხედვით, სუბიექტი შესაძლოა ახორციელებდეს განზრახ დანაშაულს. და თუ ასეა, მაშინ ყველა ადრე არსებული გაუფრთხილებლობითი დანაშაული იმთავითვე მოექცევა თვით განზრახი დანაშაულის ამგვარად გაგებულ ცნებაში, რის აქცენტირებასაც ცდილობს ნ. ვ. ლიასი.

„თუ დავუპირისპირებთ ამ დასკვნას (საუბარია ზემოაღნიშნულ დასკვნაზე — ავტორი) იეშეკის წინადადებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხოლოდ განზრახი დანაშაულებით შემოსაზღვრის შესახებ, — წერს ნ. ვ. ლიასი — სრულიად ნათელი ხდება, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა წრის არავითარ შემცირებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. თუმც მოცემული გვაქვს გაუფრთხილებლობის დაუსჯელობის გამოცხადება, მაგრამ ფაქტობრივად განზრახვის ცნების შინაარსობრივი განვრცობის ხარჯზე ის კვლავაც ექცევა დასჯად ქმედებათა სფეროში. უფრო მეტიც, ბრალის თეორიას პრაქტიკაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებამდე მივყავართ, რადგან განზრახ ჩადენილი დანაშაულებისათვის კანონი ყველა შემთხვევაში უფრო მკაცრ სანქციებს იყენებს."426 როგორც ვხედავთ, იეშეკის მიერ გაუფრთხილებლობით დანაშაულთა დასჯადობის გაუქმების მოთხოვნას რეალურად არაფერი აქვს საერთო სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ფარგლების შეზღუდვასთან, არამედ სწორედ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამკაცრების მიზნებს ემსახურება.

გაურკვეველი მხოლოდ ის არის, თუ რატომ არ გამოყოფს ნ. ვ. ლიასი იმ გარემოებას, თუ რაოდენ შეიძლება იყოს გამართლებული ნორმატიული თეორიის წარმომადგენელთა მხრიდან გაუფრთხილებლობის უარყოფა მაშინ, როდესაც ნორმატივიზმის ფუძემდებლები ფსიქოლოგიური მოძღვრების უარყოფისა და, შესაბამისად, ნორმატიული თეორიის ჩამოყალიბების აუცილებლობას სწორედ იმით ასაბუთებდნენ, რომ ამ პირველის ფარგლებში ვერ მიიღწეოდა გაუფრთხილებლობითი ბრალის სათანადო თეორიული დასაბუთება.

უშუალოდ ბრალისა და მართლწინააღმდეგობის შეგნების ურთიერთობის თვალსაზრისით, ნ. ვ. ლიასი მნიშვნელოვნად განავრცობს იეშეკის შეხედულებათა ანალიზს. ამ მიმართებით, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მის შემდეგ მოსაზრებას გამოვყოფდით: „იეშეკი ამტკიცებს, რომ უმეტეს შემთხვევებში დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობა ზოგადად მართლწესრიგთან ამ ქცევის შეუსაბამობის გაგებით. იეშეკი შენიშნავს, რომ ბრალის მოცემულობისათვის არ

არის აუცილებელი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშანთა შეგნება. მაშასადამე, მართლწინააღმდეგობის შეგნება არ გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის ნიშანთა შეგნებას ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნებას. იეშეკი არაერთგზის უსვამს ხაზს იმას, რომ ბრალის ინტელექტუალური ნიშნის ამგვარი გაგება შესაძლებელს ქმნის ბრალის როგორც გასაკიცხობის სოციალური არსის მართებულ გაგებას."427 აქედან გამომდინარე, ნ. ვ. ლიასი ასკვნის, რომ „მატერიალური მართლწინააღმდეგობა", რომელიც, იეშეკის თანახმად, ბრალის კონსტიტუციური ნიშანია, მდგომარეობს ქმედების წინააღმდეგობაში სამართლის მთელი სისტემისადმი, მართლწესრიგისადმი მთლიანად. ნ. ვ. ლიასი მიიჩნევს, რომ ამგვარად ვერ მიიღწევა ბრალის „ჭეშმარიტად მატერიალური" ცნების ჩამოყალიბება და ქმედებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსის დადგენა.

რასაკვირველია, მართლწინააღმდეგობის ზემოწარმოდგენილი სახით გაგება არამც და არამც არ შეიძლება უწყობდეს ხელს ბრალის შინაარსის ჯეროვან განსაზღვრას, რამეთუ მართლწინააღმდეგობის შეგნება (შეგნების შესაძლებლობა) განიხილება როგორც ბრალის შინაარსის განუყოფელი კომპონენტი და თუ მართლწინააღმდეგობა გაიგება როგორც სუბიექტური ქმედების წინააღმდეგობა ზოგადად სამართლის სისტემის მიმართ, მართლწინააღმდეგობის შეგნების ფარგლებში უნდა ირკვევოდეს სუბიექტის ფსიქოლოგიური მიმართება ზოგადად სამართლის სისტემისადმი და არა სისხლის სამართლის კანონის კონკრეტული ნორმის მოთხოვნისადმი, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი შეიძლება მოიცემოდეს სისხლისსამართლებრივი აკრძალვის დაურღვევლობის პირობებშიც!

ამასთანავე, იეშეკი თვლის, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება იმ გაგებით, რა გაგებითაც ამას თავადვე განგვისაზღვრავს, როგორც წესი, ბრალეულს უნდა მოეპოვებოდეს, რაზედაც ნ. ვ. ლიასი აღნიშნავს: „პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების ეს პრეზუმფცია არაფერს არ ეფუძნება. არც იეშეკს და არც ნორმატიული თეორიის სხვა წარმომადგენლებს არ შეუმუშავებიათ კრიტერიუმი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა პრაქტიკაში მართლწინააღმდეგობის შეგნების მოცემულობის განსაზღვრა."428 რა თქმა უნდა, ნ. ვ. ლიასის მოცემული შენიშვნა აბსოლუტურად სამართლიანია, მაგრამ ეს იმავდროულად არ უნდა გავიგოთ იმგვარად, თითქოს ნორმატივიზმის ყველა წარმომადგენელი მართლ-წინააღმდეგობას განსაზღვრავდეს როგორც სუბიექტური ქმედების წინააღმდეგობას ზოგადად სამართლის სისტემის მიმართ და მართლ-წინაღმდეგობის შეგნების პრეზუმფციის პრინციპიდან ამოდიოდეს. თუმც აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თანამედროვე ნორმატივიზმში სულ უფრო და უფრო იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობის შეგნების დასაფუძნებლად საუბარია საკუთარი

ქმედების უკვე არა მხოლოდ ზოგადად სამართლის სისტემასთან, მართლწესრიგთან მთლიანად, არამედ კულტურის ნორმებთან შეუსაბამობის შეგნებაზე!

ბრალისა და მართლწინააღმედგობის შეგნების ურთიერთობაზე იეშეკის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში ნ. ვ. ლიასი შემდეგ დასკვნით მოსაზრებას გვთავაზობს: „ამრიგად, გფრ-ის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობაც და თანამედროვე თეორიებიც ბრალის როგორც გასაკიცხობის ძირითადი ნიშნის — ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების — შესახებ საკითხის გადაწყვეტისას იყენებენ კრიტერიუმებს, რომლებიც სასამართლო მიხედულობისათვის მეტად ვრცელ საზღვრებს აწესებს".429 ცხადია, როდესაც მართლწინააღმდეგობა გაიგება როგორც სუბიექტური ქმედების წინააღმდეგობა ზოგადად სამართლის სისტემისა და მართლწესრიგის მიმართ და, ამასთანავე, პირდაპირ აღიარებას პოვებს მართლწინააღმდეგობის შეგნების პრეზუმცფიის პრინციპი, სასამართლო მიხედულობის ფარგლები მართლაც მნიშვნელოვნად ფართოვდება, რაც ძნელად თუ მიიჩნევა მისაღებად, ვინაიდან საზოგადოდ რაც უფრო ვრცელია სასამართლო მიხედულობის ფარგლები, მით უფრო მაღალია იმის ალბათობის ხარისხი, რომ ორი სხვადასხვა სუბიექტი იდენტურ ობიექტურ და სუბიექტურ მონაცემთა მოცემულობისას არაიდენტურად აგებს პასუხს, რასაც მოსამართლეთა თეორიული გემოვნების სხვადასხვაობა განაპირობებს.

ავსტრიული დოგმატიკა

გერმანულ სისხლის სამართალში წარმოდგენილი ნორმატივიზმის კრიტიკის შემდგომ ნ. ვ. ლიასი იმავე თვალსაზრისით ავსტრიელ კრიმინალისტთა შეხედულებების კრიტიკულ ანალიზსაც წარმოგვიდგენს. ის ყურადღებას ნოვაკოვსკისა და რიტლერის მოსაზრებებზე ამახვილებს და ძირითადად მათ როგორც ე. წ. ობიექტურ (რიტლერი) და სუბიექტურ (ნოვაკოვსკი) თეორიათა წარმომადგენლებს შორის მიმდინარე დავას ეხება.

მიმოიხილავს რა ობიექტური თეორიის ნოვაკოვსკის მიერ წარმოდგენილ კრიტიკას, ნ. ვ. ლიასი წერს: „ნოვაკოვსკი მიუთითებს, რომ ობიექტური თეორია დანაშაულის არსს სამართლებრივად დაცულ მნიშვნელოვან ობიექტთა ხელყოფაში ხედავს და ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად სამართლებრივად დაცულ სიკეთეთა განადგურებას, დაზიანებას ან მათი დაზიანების საფრთხის შექმნას მიიჩნევს. ბრალი, ამის მიხედვით, წარმოადგენს მარტოოდენ პირობას განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობის, საზიანოობის გამო დასჯადობისა."430

ამასთანავე, ნ. ვ. ლიასს იქვე მოაქვს ნოვაკოვსკის შეხედულება თვით სუბიექტური თეორიის შესახებ, რომლის მიხედვითაც აქ ძირითადი

აქცენტი გადატანილია „მომენტებზე, რომლებიც ახასიათებს დამნაშავის პიროვნებას დანაშაულის ჩადენის მომენტში", რის გამოც მასში „დანაშაულის ძირითად შინაარსად მოისაზრება სუბიექტის მცდარი ქცევა, რომელიც მიმართულია სამართლებრივად დაცულ ობიექტთა წინააღმდეგ". ხოლო ყოველივე ამის შედეგად სუბიექტური თეორიის ფარგლებში მიიჩნევა, რომ დანაშაულის არსი მდგომარეობს ბრალში.

როგორც განსახილველ თეორიათა ნოვაკოვსკისთან წარმოდგენილი ზოგადი ანალიზიდან ჩანს, ობიექტური თეორია დანაშაულის სისტემაში ცენტრალურ ადგილს მართლწინააღმდეგობის ცნებას განაკუთვნებს, რის საპირისპიროდაც სუბიექტურ თეორიაში ამოსავალ სისტემატიკურ მომენტად წარმოგვიდგება ბრალი.

ნ. ვ. ლიასთან ასევე გარკვევით გადმოიცემა რიტლერის მოსაზრებებიც. მოცემული თვალსაზრისით, ეს პირველი ძირითადად შენიშნავს შემდეგს: „რიტლერი მიუთითებს, რომ დანაშაულის უმნიშვნელოვანეს ნიშანს ადამიანის ნებელობითი ქცევა შეადგენს, დანაშაულისათვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებად ითვლება ის, რომ სუბიექტის შინაგანი ნება ხორციელდება ქმედებაში. მხოლოდ სუბიექტური ნება, როგორც ასეთი, სისხლისსამართლებრივ დაინტერესებას არ იწვევს... რიტლერის აზრით, დანაშაულებრივ ქმედებათა დასჯადობის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედებები ფაქტობრივად აყენებენ (ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლიათ მიაყენონ) ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი არა მხოლოდ განსაზღვრულ პიროვნებას, არამედ საზოგადოებას მთლიანად. ზიანს, რომელიც გამოწვეულია დანაშაულებრივი ქმედებით, ის უწოდებს „დანაშაულის ანტისოციალურ ხასიათს".431 აქედან ნ. ვ. ლიასი ასკვნის, რომ რიტლერისა და ზოგადად ობიექტური თეორიის წარმომადგენელთა მიხედვით, დანაშაულის არსი იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულებრივი ქმედება არღვევს ან საფრთხეში აყენებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ, ობიექტური თეორიის მიხედვით, დანაშაულის სისტემაში ცენტრალურ ელემენტად მართლწინააღმდეგობა კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, რადგან სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის დარღვევის ან საფრთხეში ჩაყენების მნიშვნელობა სწორედ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის საფეხურზე ირკვევა.

ამავე დროს, თავად ნ. ვ. ლიასი რიტლერის ზემოწარმოდგენილ თვალთახედვასთან მიმართებაში მსგავს დასკვნას არ გვთავაზობს. ის ანალიზს პრინციპულად სხვა მიმართულებით წარმართავს. „ობიექტური თეორიის წარმომადგენელთა პოზიციის თავისებურებას, — წერს ნ. ვ. ლიასი, — შეადგენს ის, რომ ისინი დანაშაულის არსსა და, შესაბამისად, დასჯადობის საფუძველს ხედავენ არა პიროვნების საშიშროებაში, არამედ პირის მიერ განხორციელებული ქმედების საშიშროებაში, რომელიც

საზიანოა განსაზღვრული სამართლებრივად დაცული ინტერესებისათვის. ქმედების საშიშროება განისაზღვრება მიყენებული ზიანის ხარისხით, ე. ი. შედეგებით. ამდენად, ქმედება, რომელშიც ასახვა პოვა ბრალეული პირის დანაშაულებრივმა ნებამ, მისი საზიანოობა — ეს არის დანაშაულის საშიშროებისა და დასჯადობის მასშტაბი".432 როგორც თავად ნ. ვ. ლიასი მიუთითებს, ობიექტური თეორიის წარმომადგენლები მოცემულ თვალსაზრისს გამოყოფენ როგორც ხელსაყრელს მცდელობისა და თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების მხრივ, ვინაიდან, მათი აზრით, ქმედების ობიექტური საშიშროებით, სისხლისსამართლებრივად დაცული ობიექტის წინააღმდეგ მისი მიმართულობით ოპერირება შესაძლებელს ხდის ხსენებულ ცნებათა ჭეშმარიტი ბუნების წარმოჩენას.

ამის საპირისპიროდ ნოვაკოვსკი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სუბიექტური თეორიის ფარგლებში მიიღწევა აღნიშნულ ცნებათა სათანადო დასაბუთება. მცდელობასთან მიმართებაში ნ. ვ. ლიასს მისი შემდეგი მოსაზრება მოაქვს: „ნოვაკოვსკი თვლის, რომ მხოლოდ მცდელობის სუბიექტური თეორია უზრუნველყოფს სამართლიანობისა და დანაშაულისადმი სასჯელის შესაბამისობის პრინციპის განხორციელებას. მცდელობის დასჯადობის საფუძველი, მისი აზრით, სულაც არ ეფუძნება ქმედების საშიშროებას — დანაშაულებრივი შედეგი კი არა, არამედ დანაშაულებრივი განზრახვა ქმნის მცდელობის დასჯადობის საფუძველს."433 იქვეა წარმოდგენილი განსახილველ კონტექსტში ნოვაკოვსკის თვალთახედვა თანამონაწილეობის პრობლემასთან მიმართებაში: „ნოვაკოვსკი უარყოფს ამსრულებლისა და თანამონაწილის ურთიერთგამიჯვნის ობიექტურ კრიტერიუმს, რომელიც წარმოდგენილია რიტლერისა და ობიექტური მიმართულების სხვა წარმომადგენლების მიერ. ამსრულებელი ახორციელებს მოქმედებებს, რომლებიც ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას, თანამონაწილე კი ახორციელებს სხვაგვარ მოქმედებებს, რომლებიც ექცევა კანონის ნორმაში აღწერილი შემადგენლობის ფარგლებს მიღმა."434

ჩვენი აზრით, ზემოწარმოდგენილი დავა იმის თაობაზე, თუ რა უნდა აფუძნებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, „დანაშაულებრივი შედეგი" თუ „დანაშაულებრივი განზრახვა", თეორიულად გამართლებული ვერ იქნება. საზიანო შედეგის გამოწვევა ან სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთისათის საფრთხის შექმნა არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად დასჯადი, თუ ეს არ უკავშირდება სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ფსიქოლოგიურ ქცევას, ისევე, როგორც ვერც მართლსაწინააღმდეგო განზრახვა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ ეს უკანასკნელი ობიექტურად ვერავითარ კავშირში ვერ მოიყვანება სისხლისსამართლებრივად დაცული ობიექტის დაზიანებასთან ან ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნასთან. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, დანაშაულის ობიექტურ

და სუბიექტურ მხარეთა მხოლოდ თანაბარმნიშვნელოვნებაზე შეიძლება ვისაუბროთ.

ხსენებულ თეორიათა პრინციპულ მიუღებლობაზე მიუთითებს ნ. ვ. ლიასიც, მხოლოდ ის თავის კონკრეტულ თვალთახედვას არსებითად სხვაგვარად ასაბუთებს, რა დროსაც, სუბიექტური მიმდინარეობის განსაკუთრებულ მიუღებლობას გამოყოფს. „...ნორმატიული თეორიის წინააღმდეგობრიობა ქმნის თეორიულ საფუძველს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიმდინარეობისათვის თანამედროვე ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში. უკანასკნელი თეორიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ განსაკუთრებით რეაქციული დებულებებით და იყენებენ მათ დანაშაულის შემადგენლობის როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის უარყოფის დასასაბუთებლად... ამ თეორიათა ძირითადი მიზანი სასამართლო თვითნებობის დასაბუთებაა..."435 ამასთანავე, ნ. ვ. ლიასი თვლის, რომ ნორმატივიზმის ფარგლებში წარმოდგენილი ყველაზე უფრო რეაქციული თეორია ფინალიზმია. მისივე მტკიცებით, ფინალური მოძღვრება სუბიექტური მიმდინარეობის რადიკალურ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ამაზე ნ. ვ. ლიასი მიუთითებს, „ფინალისტებთან ბრალი სრულიად კარგავს თავის ობიექტურ ხასიათს"! ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ნოვაკოვსკის თვალთახედვას, ნ. ვ. ლიასი მიიჩნევს, რომ უკანასკნელი პოზიცია მოკლებულია აღნიშნულ უკიდურესობებს და საუბრობს მის შუალედურ მდგომარეობაზე ობიექტურ და ფინალურ თეორიებს შორის.

როგორც ადვილად მისახვედრია, ნორმატივიზმის მსგავსი კრიტიკა მეტად შორს არის საფუძვლიანობისაგან. უფრო მეტიც, აქ საერთოდ მცდარად გადმოიცემა ნორმატიული თეორიის ზოგადი სახე: ნ. ვ. ლიასის მიერ წარმოდგენილი თვალთახედვის ფარგლებში ვასკვნით, რომ ნორმატივიზმის ყველა წარმომადგენელი კი არ უარყოფს დანაშაულის შემადგენლობას როგორც პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძველს, არამედ მხოლოდ სუბიექტური თეორიის მიმდევრები, რაც, ცხადია, ასე არ არის.

გარდა ამისა, თეორიულად გაუმართლებელია იმის მტკიცება, თითქოს „ფინალისტებთან ბრალი სრულიად კარგავს თავის ობიექტურ ხასიათს." ბრალი ერთმნიშვნელოვნად სუბიექტურ კატეგორიას განეკუთვნება და დაუშვებელია მის „ობიექტურ ხასიათზე" საუბარი. ცხადია, ჩვენ კარგად გვესმის, თუ რას გულისხმობს ნ. ვ. ლიასი ბრალის „ობიექტურ ხასიათში". მას აქ მხედველობაში აქვს ბრალის მატერიალური გარკვეულობა, რასაც რეალურად არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო ბრალის „ობიექტურობასთან". უკეთ რომ ვთქვათ, ნ. ვ. ლიასი საუბრობს შეფასებითზე როგორც სუბიექტურზე, ხოლო აღწერილობითზე როგორც ობიექტურზე, მაგრამ ამის შედეგად ვღებულობთ, რომ ბრალის „ობიექტურ ხასიათს" უნდა განსაზღვრავდეს ისეთი წმინდად სუბიექტური ელემენტი, როგორიც არის ფსიქიკური დამოკიდებულება!

ამრიგად, თუ გავიზიარებთ ნ. ვ. ლიასის შეხედულებას და აღწერილობითზე ვისაუბრებთ როგორც ობიექტურზე, შეფასებითზე კი როგორც სუბიექტურზე, უნდა უარვყოთ ობიექტურისა და სუბიექტურის ტრადიციული გაგება, რომლის შესაბამისადაც ობიექტური წარმოდგენილია როგორც ფიზიკური (გარეგანი), ხოლო სუბიექტური როგორც ფსიქიკური (შინაგანი), ვინაიდან ვითარება, როდესაც ობიექტურისა და სუბიექტურის პოლარულობის პირობებში ერთი და იგივე ელემენტი ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც ობიექტური, ზოგჯერ კი როგორც სუბიექტური, ხელს ვერ შეუწყობს სისხლისსამართლებრივ ცნებათა ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთობების სიცხადეს.

ამავე დროს, ნ. ვ. ლიასი თავის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ნოვაკოვსკის თვალთახედვა მოკლებულია ფინალიზმისათვის დამახასიათებელ უკიდურესობებს და უნდა განიხილებოდეს როგორც ობიექტურ და ფინალურ თეორიებს შორის მდებარე შუალედური მიმდინარეობა, ბოლომდე თანამიმდევრულად როდი იცავს. ამის ნათელი მაგალითია მისი შემდეგი თვალსაზრისი: „თუმც ნოვაკოვსკი თავის ნაშრომში არაერთგზის უსვამს ხაზს იმას, რომ მის მიერ შემუშავებული ბრალის მოძღვრება ეფუძნება კანონიერებისა და მართლწესრიგის პრინციპებს და რომ „მოსამართლის თავისუფალ შეფასებაზე საუბარიც კი ზედმეტია", სინამდვილეში მისი ბრალის კონცეფცია, ისევე, როგორც ფინალური გასაკიცხობა, წარმოადგენს ბრალის არსის სუბიექტურ განსაზღვრებას. მიუხედავად ყოველგვარი არგუმენტებისა, ბრალი, ნოვაკოვსკის მიხედვით, შეფასებითი კატეგორიაა, რომელიც დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულობაზე... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნოვაკოვსკის კონცეფციას (ისევე, როგორც ამას ფინალისტებთან აქვს ადგილი) საფუძვლად უდევს ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ურთიერთგაწყვეტა. ქმედების სუბიექტურ ნიშანთა შეფასება, კერძოდ კი ქმედებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებისა, მოწყვეტილია პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლისაგან - ჩადენილი ქმედებისაგან".436 როგორც ვხედავთ, ნოვაკოვსკის სუბიექტური თეორიის ნ. ვ. ლიასის მიერ ნახსენები ზომიერებისაგან აქ უკვე არაფერი რჩება ხელშესახები და ნოვაკოვსკის თვალთახედვა ფინალურ თეორიასთან ერთ სიბრტყეზე განიხილება.

ხოლო იმის დასასაბუთებლად, რომ ნოვაკოვსკისთან ადგილი აქვს დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის თეორიული კავშირის გაწყვეტას, ნ. ვ. ლიასი ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ნოვაკოვსკისეულ ურთიერთობაზე მიუთითებს, რა დროსაც განმარტავს, რომ ნოვაკოვსკისთან პირის ბრალეულობა და „ფაქტობრივად განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება" პარალელურ სიბრტყეებზე მდებარე ფენომენებია. ამ მხრივ, ნ. ვ. ლიასი უშუალოდ წარმოგვიდგენს ნოვაკოვსკის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც „ბრალეული შეიძლება იყოს აგრეთვე მართლზომიერი ქცევაც, რომელიც ჩადენილია შეცდომის ძალით, ვინაიდან ბრალი მთლიანად ექცევა

სუბიექტის ფსიქიკური საქმიანობის სფეროში და არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მოიცემა სინამდვილეში და რას აქვს ადგილი ობიექტურ სამყაროში".

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით ნ. ვ. ლიასი ნოვაკოვსკის თეორიასთან მიმართებაში შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „...ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა ურთიერთგაწყვეტა, ბრალის დასაბუთება მართლსაწინააღმდეგო ქცევის გარეგანი აქტისაგან მოწყვეტით, რის საფუძველზეც შეიძლება მხოლოდ მეცნიერულად და კანონიერების პრინციპთა დაცვით დადგინდეს ბრალეულის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი - ასეთია ნოვაკოვსკის ბრალის კონცეფციის ძირითადი დებულებები."437 მოცემულ დასკვნასთან დაკავშირებით ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ იმ გარემოებას, რომ თუ ნ. ვ. ლიასს ასე საფუძვლიანად აქვს გათავისებული სისხლისსამართლებრივი ბრალის მოცემულობისათვის მართლწინააღმდეგობის მოცემულობის მნიშვნელობა, მაშინ რატომ ემხრობა ის დანაშაულის ფსიქოლოგიურ სისტემას, რომლის ფარგლებში საერთოდ გაურკვეველია, თუ როგორ შეიძლება ბრალის მოცემულობა დამოკიდებული იყოს მართლწინააღმდეგობის მოცემულობაზე და არა პირიქით, ვინაიდან დანაშაულის ფსიქოლოგიური მოდელი იმგვარად არის აგებული, რომ ბრალის ცნება სისტემატიკურად წინ უსწრებს მართლწინააღმდეგობის ცნებას, რაზედაც ჩვენ ზემოთაც გარკვევით მივუთითეთ?

რაც შეეხება უშუალოდ ნოვაკოვსკის თვალთახედვას, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მოცემული გვაქვს მეტად საგულისხმო წინააღმდეგობრიობა, მხოლოდ ამჯერად უკვე არა იმდენად ნ. ვ. ლიასის მხრიდან მოცემული თვალთახედვის გაშუქების თვალსაზრისით, რამდენადაც თვით ნოვაკოვსკის მხრიდან ხსენებული თვალთახედვის ფარგლებში, რაც თავის გამოვლინებას მასთან წარმოდგენილ ბრალის დოგმატურ და სისტემატიკურ ასპექტთა ურთიერთობაში პოვებს. დანაშაულის ნორმატიული ცნება, რომლის აქტიურ დამცველადაც ნოვაკოვსკი გვევლინება, დაუშვებელს ხდის ქმედების ბრალეულობაზე საუბარს მოცემული ქმედების მართლწინააღმდეგობის გაურკვევლობის პირობებში. ბრალი აქ დანაშაულის უკანასკნელი სისტემატიკური საფეხურია და მის მოცემულობას წინ უნდა უძღოდეს დანაშაულის დანარჩენ ელემენტთა აბსოლუტური გარკვეულობა. მოცემული სისტემის ფარგლებში ბრალის დამაფუძნებელ თუ გამომრიცხველ გარემოებებზე მხოლოდ მას შემდეგ დაიშვება საუბარი, რაც სრულყოფილად იქნება დადგენილი ქმედების უმართლობა. დანაშაულის ნორმატიული ცნება შედგება სამი აღმავალი საფეხურისაგან და არა ერთსა და იმავე სიბრტყეზე პარალელურად განლაგებული სამი ურთიერთდამოუკიდებელი ელემენტისაგან.

უკანასკნელი დასკვნის გათვალისწინებით, ნოვაკოვსკის ბრალის თეორიის კრიტიკას იმის მტკიცება კი არ უნდა ედოს საფუძვლად, რომ ის

საერთოდ წყვეტს ბრალის ცნების თეორიულ კავშირს დანაშაულის ობიექტურ ელემენტებთან, როგორც ამას ნ. ვ. ლიასის მიერ წარმართულ კრიტიკულ ანალიზში აქვს ადგილი, არამედ საუბარი უნდა იყოს იმაზე, რომ ნოვაკოვსკის მიერ ბრალის დოგმატური ასპექტის ზემომოტანილი სახით განსაზღვრა ვერ მოიყვანება შესაბამისობაში მასთანვე წარმოდგენილ ბრალის სისტემატიკურ ცნებასთან.

ამავე დროს, ვფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ იმაზე, თუ რატომ არ შეიძლება თეორიულად ბრალის დადგენა მართლწინააღმდეგობის დადგენის გარეშე.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ ქმედების ბრალეულობის დადგენა შესაძლებელია მისი მართლწინააღმდეგობის დადგენის გარეშე, ეს ნიშნავს იმას, რომ დასაშვებად მივიჩნევთ მართლზომიერი ქმედების ბრალეულობაზე საუბარს, რაც პირდაპირ აისახა აგრეთვე თვით ნოვაკოვსკის ზემომოტანილ შეხედულებაშიც. მართლზომიერი ქმედების ბრალეულობა, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სუბიექტს შესაძლებელია სისხლისსამართლებრივად ბრალი მიუძღოდეს სისხლისსამართლებრივად ნებადართული ქმედების განხორციელებაში! როგორც ვხედავთ, წინააღმდეგობა სახეზეა. და ეს შეუსაბამობა განსახილველი თვალსაზრისის სრულიად კანონზომიერი შედეგია.

ხოლო თუ შევეცდებით იმის მტკიცებას, რომ სისხლის სამართალი შეიძლება ბრალეულად აცხადებდეს აგრეთვე სუბიექტის ისეთ ანტისამართლებრივ განწყობასაც, რომელიც გამოხატულია მართლ-ზომიერ ანუ სისხლისსამართლებრივად ნებადართულ ქცევაში, მივიღებთ, რომ სისხლის სამართალი თანაბრად ინტერესდება სუბიექტის შინაგანი ქცევით იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის რაიმე კავშირში სუბიექტის გარეგან საზიანო ქცევასთან. ეს უშუალოდ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ჭეშმარიტ ბუნებას, მის დანიშნულებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართალი მოწოდებულია აწესრიგოს ინდივიდთაშორის არსებული განსაზღვრული სოციალური ურთიერთობები და არა სუბიექტის ფსიქიკაშივე ლოკალიზებული ყოვლად აბსტრაქტული ფსიქიკური პროცესები. შეიძლება სისხლის სამართალი იცავდეს დანარჩენ სუბიექტებს ცალკეულ სუბიექტთა ისეთი ანტისამართლებრივი შინაგანი ქცევისაგან, რომელიც გარეგანად არავითარ საზიანო ქცევაში არ ვლინდება? ცხადია, არა. და თუ ასეა, მაშინ არც გარეგანად საზიანოდ გამოუვლენელი ფსიქოლოგიური ქცევა შეიძლება ქმნიდეს სისხლისსამართლებრივი ბრალის ანუ სისხლისსამართლებრივი გასაკიცხობის საფუძველს. მართლაც, როგორ დაიშვება, რომ პირი სისხლისსამართლებრივად იკიცხებოდეს გარეგანად საზიანოდ გამოუვლენელი ფსიქოლოგიური ქცევისათვის, თუ მსგავსი ქცევა სისხლის სამართლის ინტერესის ფარგლებს მიღმაა მოქცეული ანუ სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელოა.

ნოვაკოვსკის შეხედულებებთან მიმართებაში ზემოაღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ მასთან პასუხის-

მგებლობის საფუძვლად განიხილება არა დანაშაული, არამედ ბრალი. როგორც ნ. ვ. ლიასი შენიშნავს, ბრალის პასუხისმგებლობის (გენერალურ) საფუძვლად გამოყოფა დამახასიათებელია ზოგადად დანაშაულის სუბიექტური თეორიისათვის და ნოვაკოვსკის თვალთახედვა, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. მაგრამ არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, თუ რის მომასწავებელია მსგავსი პოზიცია ნოვაკოვსკის ზემოგანხილულ თვალთახედვასთან კავშირში: თუ, ერთი მხრივ, ვამტკიცებთ, რომ ბრალის დასადგენად სულაც არ არის აუცილებელი მართლწინააღმდეგობის დადგენა, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალს პასუხისმგებლობის არა უბრალოდ აუცილებელ, არამედ საკმარის საფუძვლად მივიჩნევთ, გამოდის, რომ სუბიექტი სისხლის-სამართლებრივად შესაძლებელია დაისაჯოს მართლზომიერი ქცევის-თვისაც!

რიტლერის, როგორც დანაშაულის ობიექტური თეორიის წარმომად-გენლის, შეხედულებებს უშუალოდ ბრალზე ნ. ვ. ლიასი იმ გარემოების აქცენტირებით იწყებს, რომ ობიექტური თეორიის ფარგლებში ბრალი განიხილება როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანი, ხოლო იქვე შენიშნავს, რომ საკუთრივ რიტლერი ბრალს განსაზღვრავს როგორც კონკრეტული ქმედების სუბიექტურ მხარეს ანუ ფაქტობრივად აიგივებს ერთმანეთთან ბრალისა და დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნებებს. ჩვენთვის აქტუალური განსახილველ შემთხვევაში არის ის, რომ ნ. ვ. ლიასი აღნიშნულ პოზიციათა ურთიერთგანსხვავებულობას სულაც არ გამოკვეთს, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ. როგორც ჩანს, მისთვის ბრალს როგორც დანაშაულის სუბიექტურ მხარესა და ბრალს როგორც სუბიექტური მხარის ნიშანს შორის არ არსებობს არსებითი დიფერენცირების საფუძველი.

ნ. ვ. ლიასი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რიტლერის მიერ გამოყოფილ ბრალის სამ ძირითად ნიშანზე. რიტლერი მიუთითებს ბრალის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ ნიშნებზე.

ბრალის პირველი ნიშნის ფარგლებში გარკვევას ექვემდებარება საკით-ხი იმის თაობაზე, განეკუთვნება თუ არა მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმხორციელებელი სუბიექტი იმ ინდივიდთა წრეს, რომელთა მიმართაც საზოგადოდ დაიშვება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება. როგორც ნ. ვ. ლიასი აზუსტებს, აქ იგულისხმება სუბიექტის მიერ სათანადო ასაკის მიღწეულობა და ფსიქიკური დაავადების მოუცემლობა. ამასთანავე, ნ. ვ. ლიასი ყურადღებას ამახვილებს რიტლერის შენიშვნაზე, რომლის შესაბამისადაც „დავა იმის შესახებ, შერაცხადობა ბრალის წინაპირობად უნდა განიხილებოდეს თუ ბრალის ნიშნად, არის დავა მხოლოდ ტერმინების შესახებ." ნ. ვ. ლიასის მიერ წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, რიტლერთან შერაცხადობა, რად-განაც ის ბრალის წინაპირობაა, იმავდროულად ბრალის ნიშანიც არის.

რა თქმა უნდა, რიტლერი სრულიად მართებულად გამოყოფს ბრალის ცნებასთან მიმართებაში შერაცხადობის მომენტის აბსოლუტურობას და თანამედროვე სისხლის სამართლის პირობებში გამორიცხულიც არის მოცემული პრობლემისადმი სხვაგვარი მიდგომა. მაგრამ საკითხის იმგვარად დასმა, რომ თუ კონკრეტულად რა ადგილს განვაკუთვნებთ შერაცხადობას სისტემატიკაში, თეორიულად უმნიშვნელოა, ჩვენი აზრით, მისაღები ვერ იქნება. პირიქით, პრობლემა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა სისტემატიკური ადგილი უნდა განეკუთვნოს შერაცხადობის ელემენტს და კონკრეტულად რა სახის უნდა იყოს შერაცხადობისა და ბრალის ცნებათა სისტემატიკური ურთიერთობა, თეორიულად მეტად რელევანტურია.

თუ ვამბობთ, რომ უმნიშვნელოა, თუ სად გაირკვევა შერაცხადობის სისტემატიკური მნიშვნელობა — ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა მისი წინაპირობის სახით თუ ბრალის ცნებაშივე მისი ელემენტის სახით — მაშინ გამოდის, რომ უმნიშვნელოა ასევე ისიც, წინ უსწრებს თუ არა შერაცხადობის სისტემატიკური მნიშვნელობის გარკვევა განზრახვის (გაუფრთხილებლობის), მიზნის და სხვა უშუალოდ ბრალის ცნებაში თუ ზოგადად ბრალის სფეროში მდებარე სუბიექტურ ელემენტთა სისტემატიკური მნიშვნელობის გარკვევას. იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ეს თეორიულად დაუშვებელია. ასე მაგალითად, შეიძლება თუ არა ბრალეულობის თვალსაზრისით, აქტუალურად მიიჩნეოდეს სისხლისსამართლებრივი განზრახვის გარკვევა ისეთ პირობებში, როდესაც ცნობილია, რომ სუბიექტი შეურაცხადია? ცხადია, არა. და პირიქით, მოასწავებს თუ არა იმავე თვალსაზრისით შეურაცხადობის ელემენტის გარკვეულობა სისხლისსამართლებრივი განზრახვის გარკვევის საჭიროების არარსებობას? რასაკვირველია, ეს კითხვაც ცალსახად უარყოფით პასუხს იმსახურებს. მაგრამ თუ შერაცხადობის სისტემატიკურ მდებარეობაზე დამოკიდებულია ის, საჭიროებს თუ არა გარკვევას მესამე სისტემატიკური საფეხურით მოცულ დანარჩენ ელემენტთა მნიშვნელობა, როგორც ამას ადგილი აქვს, შესაბამისად, თითოეული ამ უკანასკნელი ელემენტის შემთხვევაში, მაშინ რა შეიძლება დაედოს საფუძვლად მტკიცებას, რომ შერაცხადობა, განსხვავებით დანარჩენი ხსენებული ელემენტებისაგან, არ მოითხოვს სისტემატიკური მდებარეობის ზუსტ განსაზღვრას? სრულიად აშკარაა, რომ ერთადერთი საფუძველი რიტლერის მსგავსი მტკიცებისა შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიული უზუსტობა.

უფრო მეტიც, როგორც ჩვენ მიერ ზემოწარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარეობს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადად ის, თუ სად მოვათავსებთ სისტემატიკურად შერაცხადობის ელემენტს, ბრალის ცნებაში თუ ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა, არამედ ასევე აუცილებელია მისი სისტემატიკური მდებარეობის შემდგომი სპეციფი-ცირებაც ანუ, შესაბამისად, ბრალის ცნებაში თუ ბრალის ცნების ფარგლებს მიღმა მისი ზუსტი სისტემატიკური ადგილის განსაზღვრა.

ბრალის ფსიქოლოგიური ნიშნის განხილვის დროს ნ. ვ. ლიასი დადებითად გამოყოფს რიტლერისა და ზოგადად ობიექტური მიმდინარეობის წარმომადგენელთა თვალთახედვას, რომლებიც უარყოფითად აფასებენ სუბიექტური თეორიის მიმდევართა მიერ ბრალის ცნებიდან ფსიქოლოგიური ნიშნის გამორიცხვის მცდელობას. ამავე დროს, ნ. ვ. ლიასი მიიჩნევს, რომ რიტლერი (ისევე, როგორც ობიექტური თეორიის სხვა წარმომადგენლები) ბრალის ფსიქოლოგიურ ნიშანში მხოლოდ წმინდად ფორმალურ შინაარსს გულისხმობს. „მათი აზრით, — წერს ნ. ვ. ლიასი, — ეს ნიშანი გვიხასიათებს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მხოლოდ ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისადმი, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული დანაშაულის შემადგენლობაში. განსახილველი დამოკიდებულება უნდა მოიცავდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს, ხოლო რადგან შემადგენლობაში იგულისხმება მხოლოდ ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია დანაშაულის გარეგანი მხარისათვის, სუბიექტის შეგნება უნდა მოიცავდეს ობიექტს და მის გვერდიგვერდ მდებარე ნიშნებს — ქმედების ხასიათს, კანონით გათვალისწინებულ შედეგს, კანონში მითითებულ დანაშაულის ჩადენის ხერხებს, ადგილისა და დროის თავისებურებებს, რომელსაც უკავშირდება დანაშაულის ჩადენა და სხვა კონკრეტულ ნიშნებს."438 ამასთანავე, ნ. ვ. ლიასი საგანგებოდ გამოყოფს იმასაც, რომ რიტლერთან ადგილი აქვს დანაშაულის შემადგენლობის შეგნებულად განმხორციელებელი სუბიექტის მიმართ მართლწინააღმდეგობის შეგნების პრეზუმირებას. აღსანიშნავია, რომ პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ რიტლერისა და ობიექტური თეორიის სხვა წარმომადგენლებისათვის, არამედ აგრეთვე ზოგადად ნორმატიული თეორიის მიმდევრებისთვის. როგორც ჩვენ ზემოთ არაერთგზის მივუთითეთ, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა ნორმატივიზმის ფარგლებში წარმოდგენილია მართლწინააღმდეგობის ინდიცირების საფუძვლად და ამავე დებულების ძალით მიიჩნევა, რომ პირი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობისადმი, როგორც წესი, იმავდროულად მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც ფლობს.

ზემოწარმოდგენილ პრობლემასთან მიმართებაში ნ. ვ. ლიასის მიერ შემოთავაზებული დასკვნის თანახმად, რიტლერთან ბრალის ფსიქოლოგიური ნიშანი ფორმალური მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან არის გაიგივებული. აღსანიშნავია, რომ ნ. ვ. ლიასი ამჯერად რიტლერის თვალთახედვის მხოლოდ ინტერპრეტირებით იფარგლება და გარკვევით არაფერს შენიშნავს იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება მისთვის მოცემული თვალთახედვის მიუღებლობა.

გვიხასიათებს რა ბრალის მესმე ძირითად ნიშანს, ნ. ვ. ლიასი აღნიშნავს: „...განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენა მის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი

თავისთავად არ არის საკმარისი, რათა ვაღიაროთ ის ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში. ბრალის მოცემულობისათვის აუცილებელია იმ ფსიქიკური დამოკიდებულების შეფასება, რომელიც გამოხატავს მისი ნების ჩამოყალიბების გასაკიცხობას. ამდენად, ბრალის ნორმატიული ცნება მდგომარეობს საკუთარი ქმედებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების შეფასებაში, მართლზომიერი ქცევის შესაძლებლობის თვალსაზრისით, რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მისი ნების ჩამოყალიბების გასაკიცხობის შესახებ."439 ამასთან ერთად, ნ. ვ. ლიასი ცდილობს გაერკვეს აგრეთვე იმაში, თუ ვინ და რის საფუძველზე აწარმოებს ამ შეფასებას, რა დროსაც კვლავ რიტლერის პოზიციაზე მიუთითებს, რომლის შესაბამისადაც ხსენებული შეფასება ხორციელდება მოსამართლის მიერ კანონის ან ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ნ. ვ. ლიასი საკმაოდ ვრცლად გვიხასიათებს ბრალის ნორმატიულ ცნებას როგორც გერმანულ, ისე ავსტრიულ დოგმატიკაში და ცდილობს მის კრიტიკულ გააზრებას. მართალია, სულაც არ უნდა ყოფილიყო ძნელი იმის დანახვა, რომ ის თავის დასკვნებში ხშირად ნაკლებად ობიექტური იყო და ასევე ხშირად უხეშ წინააღმდეგობრიობასაც ავლენდა, მაგრამ არც ის შეიძლება გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის იდეოლოგირებულობა არ ქმნიდა ნორმატივიზმის მიუკერძოებელი მეცნიერული კვლევისა და მასზე სრულყოფილი თეორიული წარმოდგენის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

§2. გ. იაკობსი

<u>ფსიქოლოგიზმის უარყოფა</u>

როგორც ცნობილია, გ. იაკობსი თანამედროვე გერმანული სისხლისსამართლებრივი აზრის ერთ-ერთ წამყვან წარმომადგენლად არის მიჩნეული, ისევე, როგორც კ. როქსინი, რომლის შეხედულებებსაც ჩვენ მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ. ვფიქრობთ, განსახილველ კონტექსტში ხსენებულ კრიმინალისტთა შეხედულებების წარმოჩენა განსაკუთრებით აქტუალურია, რამეთუ ნორმატივიზმი, როგორც ჩვენ მიერ ზემოწარმოებული ანალიზიდან ჩანს, სწორედ გერმანულ სისხლის სამართალში იღებს დასაბამს და აქვე პოვებს არსებითად თავის განვითარებას.

გ. იაკობსი თვლის, რომ თვით ფაქტი ფსიქოლოგიზმის კრიტიკის შედეგად ნორმატიული თეორიის ჩამოყალიბებისა უდავოდ უნდა განიხილებოდეს როგორც სისხლისსამართლებრივი აზრის პროგრესული განვითარების ნაყოფი. ამასთანავე, ის ფსიქოლოგიური მოძღვრების მოკლე კრიტიკულ ანალიზსაც გვთავაზობს, რა დროსაც ცდილობს ყურადღების გამახ-

ვილებას მოცემული მოძღვრების არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ აგრეთვე პოზიტიურ ასპექტებზეც.

ფსიქოლოგიური თეორიის პოზიტიურობის თვალსაზრისით, გ. იაკობსი ძირითადად შენიშნავს შემდეგს: „ლისტის, ბელინგისა და რადბრუხის დანაშაულის სისტემაში გარეგანი მხარის (უმართლობა) შინაგანისაგან (ბრალი) განცალკევება წარმოქმნის ბრალის (ე. წ.) ფსიქოლოგიურ ცნებას: შინაგანი მხარის ფსიქიკური ფაქტები, იმჟამინდელი გაგებით, მხოლოდ განზრახვა და გაუფრთხილებლობა, არის ბრალი... თუმც პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა ნატურალისტური თვალსაზრისის შედეგია, მაგრამ ის გამომდინარეობს აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს იდეაზე ორიენტირებული მისწრაფებიდან, ბრალის ცნება გაემიჯნოს არაპრეციზულ შეფასებებს და ბრალი დაუკავშირდეს უთუოდ დადგენად მონაცემებს (sicher feststellbare Daten)".440 როგორც აქედან გარკვევით ჩანს, გ. იაკობსი მეტად ორიგინალურად განიხილავს ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების თეორიულ საფუძვლებს, — ჩვენთვის ცნობილ ნორმატივისტ ავტორთა შორის ის ერთადერთია, ვინც ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის მსგავსი კუთხით გაშუქებას ცდილობს. ხოლო რაც შეეხება არანორმატივისტ ავტორებს, კერძოდ კი საბჭოთა კრიმინალისტებს, მათთან ზემოწარმოდგენილი მომენტი ყოველთვის შეადგენდა ნორმატივიზმთან მიმართებაში ფსიქოლოგიური თეორიის უპირატესობის გამოყოფის მთავარ არგუმენტს.

მაგრამ გ. იაკობსი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით იქვე მიუთითებს: „მიუხედავად ამისა, ბრალის ფსიქოლოგიური ცნება მაინც მრავალი მიზეზის გამო ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას. უპირველეს ყოვლისა, ის არავითარ მითითებას არ შეიცავს იმის თაობაზე, თუ რომელი ფსიქიკური (და რატომ, საერთოდ, ფსიქიკური?) ფაქტები... უნდა იყოს ბრალის თვალსაზრისით რელევანტური; ასე ვერც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის (რატომ, მაგალითად, მხოლოდ ზრახვა (Absicht) არა?) რელევანტურობა საბუთდება... რადბრუხი... ცდილობს ამ ხარვეზებისაგან თავის დაღწევას, როდესაც ის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თუმც ფსიქიკურ ფაქტორებზე (ცოდნა ან წინდაუხედაობა) რედუცირებას ახდენს, მაგრამ განიხილავს მათ როგორც ანტისოციალური განწყობის ინდიცირების საფუძველს; აქაც ასევე გაუგებარია როგორც ის, თუ რატომ უნდა ვხელმძღვანელობდეთ, განსაზღვრული ფენომენის ნაცვლად, ამ ფენომენის ინდიცირების საფუძვლით, ისევე ისიც, თუ რატომ არ შეიძლება ფსიქიკური მონაცემის მოუცემლობაც განიხილებოდეს როგორც ინდიცირების საფუძველი და აგრეთვე ისიც, თუ რატომ უნდა იყოს საუბარი მხოლოდ ფსიქიკურ ფაქტებზე".441 ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ გ. იაკობსის პოზიცია ფსიქოლოგიზმის ანალიზის ფარგლებში ორიგინალურობით გამოირჩევა ამ თეორიის არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ აგრეთვე ნეგატიურ ასპექტთა გაშუქების თვალსაზრისითაც.

გ. იაკობსის უკანასკნელად ციტირებულ თვალთახედვაში ნათლად არის წარმოჩენილი ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის ფორმალურ-ლოგიკური

დასაბუთების სირთულეები, რომელთაც თამამად შეიძლება ეწოდოს დაუძლეველი. იგივე შეეხება გ. იაკობსის მიერ უშუალოდ გ. რადბრუხის პოზიციასთან მიმართებაში წარმოდგენილ კრიტიკასაც. მართლაც, თუ, ერთი მხრივ, ბრალის ცნება არსებითად გაიგივებულია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე საუბარია როგორც ანტისოციალური განწყობის ინდიცირების საფუძველზე, გამოდის, რომ თვით ბრალიც უნდა განიხილებოდეს როგორც ანტისოციალური განწყობის ინდიცირების საფუძველი. მაგრამ ლოგიკურად სისხლისსამართლებრივი ბრალი არასოდეს შეიძლება იყოს ხსენებული მომენტის ინდიცირების საფუძველი, არამედ პირიქით, სწორედ ანტისოციალური განწყობა (წმინდად ლოგიკურად) შეიძლება ედოს საფუძვლად ბრალის ცნებას და ასეთ შემთხვევაში ეს პირველი უკვე თვითონვე უნდა განიხილებოდეს როგორც ამ უკანასკნელის ინდიცირების საფუძველი. როგორც ვხედავთ, გ. რადბრუხის მცდელობა, დასძლიოს ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობრიობა, რეალურად მით უფრო აღრმავებს მოცემულ წინააღმდეგობრიობას.

ეხება რა ბრალის ცნების ნორმატივირების პროცესს, გ. იაკობსი მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგიზმის უარყოფის შედეგად ბრალის ნორმატიული თეორიის აღმოცენება სისხლისსამართლებრივი აზრის სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო.

როგორც გ. იაკობსი მიუთითებს, ბრალის ფსიქოლოგიური ცნების უმთავრეს თეორიულ ხარვეზს შეადგენდა ის, რომ მოცემული ცნება სრულიად გამოუსადეგარი იყო ისეთ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის კანონი, მიუხედავად განზრახვის ან გაუფრთხილებლობის მოცემულობისა, ბრალს გამორიცხავდა. აქედან გ. იაკობსი ასკვნის, რომ ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში წარმოდგენილი ლოგიკით „მართლსაწინააღმდეგო არაბრალეული ქმედება" (თანამედროვე გაგებით) საერთოდ ირეალურ ტერმინად უნდა მიჩნეულიყო.

ფრანკისეული ნორმატივიზმი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით გასაგებია, რომ გ. იაკობსი სამართლიანად მიიჩნევს ფსიქოლოგიზმის ფრანკისეულ კრიტიკასაც, მაგრამ იმავდროულად ის მეტად თავდაჭერილია თავის შეფასებებში ფრანკის მიერ ამ კრიტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ბრალის ნორმატიული ცნების შესახებ.

გ. იაკობსი ამგვარად გადმოგვცემს ბრალის ადრეულნორმატივისტული ცნების ზოგად სახეს: „ფრანკის მიხედვით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა მხოლოდ ნაწილობრივ უნდა ავსებდეს ბრალის შინაარსს; ბრალი უნდა განიხილებოდეს როგორც სუბიექტური ქცევის გასაკიცხობა..., რა დროსაც მოცემული გასაკიცხობა თავდაპირველად კვლავაც — ნაწილობრივ სტანდარტირებულ — ფაქტებად იყოფა: „ნორმალურ გონებრივ

მდგომარეობას” მიმატებული ქმედებისადმი „ფსიქიკური დამოკიდებულება” და მიმატებული აგრეთვე „გარემოებათა ნორმალური მდგომარეობა, რომელთა პირობებშიც მოქმედებს სუბიექტი”.442 ფრანკის მიერ სისხლისსამართლებრივი ბრალის მსგავსი სახით წარმოდგენა საზოგადოდ მიიჩნევა როგორც სისხლის სამართალში ბრალის ცნების რადიკალური ტრანსფორმირება. თუმც იმავდროულად არც თუ იშვიათად აქვს ადგილი აგრეთვე იმის გამოყოფასაც, რომ ამგვარად ფრანკმა ბოლომდე როდი შეძლო ფსიქოლოგიური თეორიის დაძლევა. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ გ. იაკობსის შეფასებებს, აღსანიშნავია, რომ ის აქაც საკმაოდ ორიგინალურ პოზიციას გვთავაზობს, რომელიც ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: „ეს (ე. წ.) *ბრალის ნორმატიული ცნება* თავისი ადრეული სახით სხვა არაფერია, თუ არა უკვე რადბრუხის მიერ ფაქტსა და უარყოფით სამართლებრივ შეფასებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმალური განვრცობა (რადბრუხი: ანტისოციალური განწყობა; ფრანკი: გასაკიცხობა), მხოლოდ ფრანკი არ იფარგლება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებით. ხოლო თვით გასაკიცხობა რჩება კრებით ცნებად საკუთარი ფუნქციის გარეშე.”443 როგორც გ. იაკობსის ამ მოსაზრებიდან ჩანს, ის სულაც არ მიიჩნევს ფრანკის დამსახურებად ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტის შეტანას, არამედ ფრანკის ერთადერთ დამსახურებად მიაჩნია ის, რომ ეს უკანასკნელი შეფასების ობიექტის შინაარსს არ შემოფარგლავს მხოლოდ განზრახვითა და გაუფრთხილებლობით.

ამავე დროს, როგორც იქვე გარკვევით ჩანს, გ. იაკობსი ფრანკის თეორიას ბოლომდე არც ამ მიმართებით წარმოგვიდგენს როგორც პოზიტიური აქცენტირების ობიექტს. მისი აზრით, გასაკიცხობა, როგორც ზემოწარმოდგენილი სამი ძირითადი ელემენტის ერთობლიობა, მხოლოდ უფუნქციო კრებითი ცნებაა. ადვილად შესამჩნევია, რომ აქაც გ. იაკობსის მიერ წარმოდგენილ მორიგ ორიგინალურობასთან გვაქვს საქმე. ფრანკის თეორიის კრიტიკის უმთავრეს საფუძველს საზოგადოდ სწორედ მის მიერ ჩამოყალიბებული ბრალის ცნების ფუნქციონალურობა ქმნიდა ანუ ის, რომ ბრალის ფრანკისეული ცნება მოიცავდა მხოლოდ ბრალის ფუნქციის გარკვეულობას, რა დროსაც საუბარი იყო მოცემული ცნების ფარგლებში ბრალის მატერიალური ასპექტის სრულ გაურკვევლობაზე. გ. იაკობსთან კი ყოველივე ეს პირიქით არის. ამ უკანასკნელის მიხედვით, კრიტიკის უმთავრეს საფუძველს ქმნის ბრალის ფრანკისეული ცნების უკვე არა მატერიალური, არამედ სწორედ ფუნქციონალური ასპექტი.

თელეოლოგიური სისტემა

„ეს (ბრალის ფუნქციის გაურკვევლობა — ავტორი), — განავრცობს თავის შეხედულებას გ. იაკობსი, — იცვლება მხოლოდ ბრალის ცნების როგორც სასჯელის საფუძვლის განსაზღვრის ცდებიდან. ასე მაგალითად, ჰეგლერი, ცდილობს რა მოცემული ცნების გამოსადეგად გარდაქმნას, ბრალთან მიმართებაში იმის გარკვევას მოითხოვს, „ფლობდა” თუ არა სუ-

ბიექტი თავის ქმედებას, კერძოდ კი... ქმედებას თავის სამართლებრივად მნიშვნელოვან თვისებათა მიხედვით. საკუთარი ქმედების მოცემული „ფლობა"... განიხილება როგორც სასჯელის აუცილებელი წინაპირობა, ვინაიდან სოციალურ-ეთიკურად სასჯელის გამოყენება მხოლოდ იმის მიმართ თუ იქნება გამართლებული, ვინც, თავისი ქმედებიდან გამომდინარე, შეიძლება გაიკიცხოს და გაკიცხვა კი შეიძლება მიიმართოს მხოლოდ იმისადმი, ვინც აბსოლუტურად „ფლობდა" თავის საზოგადოებრივად საზიანო ქცევას."444 გასაგებია, რომ აქ საუბარია ე. წ. სასჯელის დამაფუძნებელი ბრალის კონცეფციაზე, რომელიც ჩვენ ზემოთ სათანადოდ განვიხილეთ. ამჯერად აქტუალურ კონტექსტში კი შეიძლება აღინიშნოს ის, რომ ხსენებული კონცეფციის შედეგად ადგილი აქვს ბრალის ფუნქციის თეორიული მნიშვნელობის არა უბრალოდ გამოკვეთას, არამედ ამ მნიშვნელობის ჰიპერტროფირებას ბრალის სხვა ასპექტთა (მაგალითად, იმავე ზემოხსენებული მატერიალური ასპექტის) თეორიული მნიშვნელობის სათანადო აღქმის თვალსაზრისით, რაც ნათლად აისახება მოცემული თეორიის ფარგლებში ბრალის არსის, ფაქტობრივად როგორც ბრალის ფუნქციის ფორმალური დანამატის, წარმოდგენაში. ამდენად, გ. იაკობსის მიერ წარმოდგენილი ლოგიკის კონტექსტში შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალურად მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ერთი უკიდურესობის საპირისპირო უკიდურესობით შეცვლა.

განაგრძობს რა ჰეგლერის ხსენებული კონცეფციის ანალიზს, გ. იაკობსი შენიშნავს: „ნორმატიული არის გაკიცხვა, ფაქტობრივი კი — გაკიცხვის წინამძღვრები, მაგრამ პირველადი მნიშვნელობის არის არა ეს, არამედ წინამძღვართა მისადაგება გაკიცხვის მოთხოვნებისადმი: ამაში მდგომარეობს — განსხვავება „ფსიქოლოგიურ-ნორმატიულის" სახით მხოლოდ მცდარად წარმოდგენილი — გადასვლა კლასიფიკატორული სისტემიდან... თელეოლოგიურზე."445

ჩვენ გ. იაკობსის ამ თვალთახედვის ანალიზს სწორედ მასში წარმოდგენილი თავდაპირველი მტკიცების განხილვით შევუდგებით, რომელიც გ. იაკობსთან მოცემულ შემთხვევაში აქცენტირების საგანს არ წარმოადგენს. რადგან, ერთი მხრივ, გაკიცხვა განიხილება როგორც ნორმატიული (უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე შეფასებითი), ხოლო გაკიცხვის წინამძღვრები — როგორც ფაქტობრივი (უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე აღწერილობითი), მეორე მხრივ, კი ბრალი წარმოდგენილია როგორც ორთავე მომენტის ერთობლიობა, გამოდის, რომ ბრალი აქ საბოლოო ჯამში არც მხოლოდ ნორმატიული (შეფასებითი) და არც მხოლოდ ფაქტობრივი (აღწერილობითი) ხასიათის ცნებაა, არამედ წარმოგვიდგება როგორც ნორმატიულ-ფაქტობრივი (შესაბამისად, როგორც შეფასებით-აღწერილობითი) ცნება. როდესაც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საკუთარი საზიანო ქმედებისა და ამ ქმედებიდან გამომდინარე საზიანო შედეგისადმი ეწოდება ბრალის ფსიქოლოგიური ანუ აღწერილობითი (ფაქტობრივი) ცნება, არაფერი შეიძლება იყოს გაუგებარი. ასევე არაფერია გაუგებარი იმაში, რომ ფინალისტების მიერ ბრალის კომპლექსური ცნების უარყოფის შედე-

გად მიღებულ ბრალის მხოლოდ შეფასებით მომენტზე დაფუძნებულ ცნებას ნორმატიული ცნება ვუწოდოთ. მაგრამ როდესაც ბრალის ცნებაში ერთდროულად მოიცემა შეფასებითი და აღწერილობითი მომენტები, მას ლოგიკურად უნდა ეწოდოს ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური და არა მხოლოდ ნორმატიული ცნება. აქედან გამომდინარე, ბრალის შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთობლივად მომცველი ცნება მხოლოდ *პირობითად* შეიძლება იწოდებოდეს ბრალის ნორმატიულ ცნებად.

რაც შეეხება გ. იაკობსის მომდევნო ზემოწარმოდგენილ მტკიცებას ანუ „კლასიფიკატორული" სისტემიდან „თელეოლოგიურზე" გადასვლას, უნდა აღინიშნოს, რომ თვით ფაქტი ბრალის ცნების თელეოლოგიურობისა ანუ მიზნით დაფუძნებულობისა არ შეიძლება იყოს მიუღებელი. მაგრამ შეიძლება კი ასევე მიუღებელი არ იყოს ამ თელეოლოგიურობის ის კონკრეტული შინაარსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბრალის მიზანს (დანიშნულებას, ფუნქციას) სასჯელის დაფუძნება უნდა შეადგენდეს? ვფიქრობთ, რომ არა. ამ ლოგიკის მიხედვით, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის მიზანი უნდა მდგომარეობდეს მართლწინააღმდეგობის დაფუძნებაში, მართლწინააღმდეგობისა კი, შესაბამისად, ბრალის დაფუძნებაში. განზოგადებით რომ ვთქვათ, ყოველი საფეხურის მიზანს უნდა შეადგენდეს მომდევნო საფეხურის დაფუძნება. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რაში შეიძლება მდგომარეობდეს სასჯელის მიზანი, — მას ხომ არავითარი საფეხური არ მოსდევს, რომლის დაფუძნებასთანაც, აღნიშნული ლოგიკით, შევძლებდით მისი მიზნის ასოცირებას. თუ შევეცდებით იმის მტკიცებას, რომ მსგავს საფეხურად შეიძლება წარმოვიდგინოთ პრევენცია, გამოსწორება და სხვა სასჯელის ტრადიციული მიზნები, ეს განსახილველი თვალსაზრისის აქცეპტაბელურობას მაინც როდი შეიძლება მოწმობდეს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად იქნება მოცემული უკანასკნელი თეორიული საფეხური, რომლის მიზნის (დანიშნულების, ფუნქციის) დასაბუთება მისი სისტემატიკური მდებარეობის გამო (იგულისხმება ზოგადად სისხლის სამართლის სისტემატიკა) ლოგიკურად ვერ მოხერხდება.

მაშასადამე, ბრალის მიზანი (დანიშნულება, ფუნქცია) ბრალის სფეროშივე უნდა ვეძიოთ, როგორც დანარჩენ ელემენტთა მიზნები უნდა ირკვეოდეს მოცემულ ელემენტთა და არა სხვა, კონკრეტულად კი მომდევნო ელემენტის სფეროში.

გ. იაკობსი ნორმატივისტთა შეხედულებების ანალიზს გოლდშმიდტის თვალთახედვის მაგალითზე განაგრძობს.

გ. იაკობსის მიხედვით, გოლდშმიდტი პირველად მნიშვნელობას იმის გარკვევას ანიჭებს, თუ როგორ უნდა გაიგებოდეს დოგმატურად ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, რა დროსაც ის ამტკიცებს, რომ ბრალის ნორმატიული განსაზღვრულობისათვის არ არის საკმარისი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შედეგიდან მართლწინააღმდეგობაზე რეორიენტირება, ვინაიდან ეს სუბიექტური ურთიერთობაც იქნებოდა ასევე „ფსიქოლოგიური" და ბრალის გამორიცხვის ვითარებაში უცვლელად გვექნე-

ბოდა წარმოდგენილი. როგორც ამაზე კვლავ გ. იაკობსი მიგვითითებს, გოლდშმიდტი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, როგორც ფსიქიკური ფაქტების, გვერდიგვერდ მოვალეობის საწინააღმდეგობის, როგორც ნორმატიული ელემენტის, წარმოდგენას ცდილობს, რომელიც „მავალებელი ნორმის" დარღვევად განისაზღვრება და ბრალის გამორიცხვის შემთხვევაში, მსგავსად მართლწინააღმდეგობის გამორიცხვის ვითარებისა, ქარწყლდება. ბრალის გამორიცხვის მდგომარეობა გოლდშმიდტთან წარმოდგენილია როგორც მდგომარეობა, რომლის დროსაც სუბიექტს, არსებული გარემოებების მიხედვით, ვერ მოეთხოვება ანუ ვერ იქნება მისგან მოსალოდნელი (zumuten) საკუთარი ქცევის „მავალებელი მოტივის" (Pflichtmotiv) შესაბამისად წარმართვა.

გოლდშმიდტის პოზიციასთან მიმართებაში ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გ. იაკობსი ასკვნის: „ამით გოლდშმიდტი ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა თელეოლოგიურ პრინციპს აყალიბებს, რომელიც პოზიტიურ სამართალთან მკაცრი კავშირის გარეშე მეტად საგულისხმო გარდამსახველობით გამოირჩევა: მართლზომიერი ქცევის მოუთხოვნელობა (Unzumutbarkeit) მრავალფეროვან *ცალკეულ* ვითარებებში დამაჯერებლად საბუთდება, ისე, რომ *ზოგადად* არ იყოს შესაწყნარებელი."446 ჩვენი აზრით, მსგავსი ტენდენცია ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად უნდა იქნეს მიჩნეული. უთუოდ უნდა შეინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ მოცემული ტენდენციის დასახვა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ცნების მართებული გაგებისა და მისი სისტემატიკური ადგილის ადეკვატური განსაზღვრის შედეგად შეიძლებოდა მიღწეულიყო.

როგორც ცნობილია, დღესაც მრავლად მოიპოვება ისეთი სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობები, რომელთა ფარგლებშიც საუბარია იმაზე, რომ (დაუძლეველი) შეცდომის, შეურაცხადობის და სისხლის სამართლის თეორიაში წარმოდგენილი ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოებების მოცემულობისას სისხლისსამართლებრივი მოვალეობა დარღვეულად მიიჩნევა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის მსგავსი დარღვევა ითვლება მისატევებლად და ამის გამოც ადგილი აქვს ბრალის გამორიცხვას. ამისდა კვალად კი, გამოდის, რომ სუბიექტს „ევალება", მიუხედავად იმისა, რომ „არ ძალუძს". ცხადია, თანამედროვე სისხლის სამართლის ფარგლებში მოვალეობისა და შესაძლებლობის ცნებათა ამგვარი კორელაცია კატეგორიულად მიუღებელია, რაც ჩვენ ზემოთ უკვე გარკვევით განვიხილეთ. მაგრამ თუ მიიჩნევა, რომ სუბიექტს მხოლოდ მაშინ შეიძლება ევალებოდეს განსაზღვრული რამ, როდესაც მას ამის განხორციელება (განუხორციელებლობა) ძალუძს, ვღებულობთ, რომ ზემოაღნიშნულ ვითარებაში ბრალი იმიტომ კი არ გამოირიცხება, რომ სუბიექტის მიერ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევა მისატევებელი მიზეზით განხორციელდა, არამედ იმიტომ, რომ მოცემულ ვითარებაში სუბიექტს სისხლისსამართლებრივად არც კი დაურღვევია არავითარი მოვალეობა. და სწორედ მსგავსი მოსაზრება შეიძლება განვითარდეს გ. იაკობსის მიერ

გოლდშმიდტის კონცეფციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უკანასკნელი დასკვნის ფარგლებშიც.

მოთხოვნის (მოსალოდნელობის) თეორია

გოლდშმიდტის უკანასკნელ თვალთახედვასთან მნიშვნელოვან კავშირშია ფროიდენტალის ე. წ. ინდივიდუალური მოთხოვნის (მოსალოდნელობის) მოძღვრება (individuelle Zumutbarkeitslehre), რომელიც გ. იაკობსთან მწვავე კრიტიკის საგნად გვევლინება. როგორც გ. იაკობსი შენიშნავს, ფროიდენტალი უარყოფს ბრალის მოცემულობას, როდესაც ქმედების თანამდევი გარემოებები იმ სახისაა, რომ დანაშაულის ჩაუდენლობისათვის აუცილებელია წინააღმდეგობის უნარის ისეთი ხარისხი, რომელიც ჩვეულებრივ არავის შეიძლება მოეთხოვოს. ამაზე გ. იაკობსი აღნიშნავს: „ბრალის ეს კონცეფცია — რომელიც პრაქტიკულად უმნიშვნელო დარჩა — განუხორციელებადია; საქმე ის არის, რომ თუ ბრალი თანამდევი გარემოებების გამო უნდა გამოირიცხოს, მაშინ კონფლიქტის გენეზისმა სუბიექტიდან თანამდევ გარემოებებზე უნდა გადაინაცვლოს და მიიღწევა თუ არა იქ მისი გადამუშავება, დამოკიდებულია არა მხოლოდ სუბიექტის წინააღმდეგობის უნარზე, არამედ აგრეთვე თანამდევი გარემოებების ცვალებადობაზე.”447 თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ გ. იაკობსს მოაქვს მაგალითი, რომლის მიხედვითაც სუბიექტი მოსალოდნელი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად შემდგომი გარდატეხის საფუძვლიანი მოლოდინით მოტყუებით საკრედიტო ოპერაციას აწარმოებს. გ. იაკობსის მტკიცებით, აქ ბრალის გამორიცხვა დაუშვებელია, რამეთუ როგორც თავადვე მიუთითებს, გადახდისუუნარობის ელემენტარულ აუცილებლობად სამართლებრივი აღიარება მართლწესრიგის მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ კი, სულ მცირე, საკუთრებისა და ქონებრივ დელიქტებს (Eigentums- und Vermögensdelikte), არსებითად აცლის სისხლისსამართლებრივ გარანტიას.

ვფიქრობთ, ძნელია არ დავეთანხმოთ გ. იაკობსს, როდესაც ის მის მიერვე მოტანილ მაგალითში გადაჭრით უარყოფს ბრალის გამორიცხვის შესაძლებლობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, საგულისხმოა თვითონ პრინციპი, რომელსაც ფროიდენტალი თავისი თეორიის ფარგლებში წარმოგვიდგენს. თუ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ კონკრეტული სუბიექტი ამა თუ იმ ვითარებაში აუცილებლად განახორციელებს დანაშაულს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის და ზომის შეიძლება იყოს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი, მაშინ შეიძლება მოცემულ პირს მოცემულ ვითარებაში სისხილსსამართლებრივად ეკისრებოდეს მართლზომიერი ქცევის მოვალეობა? ასე მაგალითად, ვითარებაში, რომლის დროსაც ორი სუბიექტიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა დაიღუპოს (გაურკვეველია, თუ რომელი), დედა საკუთარი შვილის გადასარჩენად საზიანო მიზეზობრივ პროცესს მიმართავს განსაცდელში მყოფი მეორე პირისაკენ, შეიძლება მას მოცემული ქცევის ჩადენისაგან თავი შეაკავები-

ნოს ამ ქცევის სასჯელით დამუქრებულობამ, რაოდენ მაღალიც არ უნდა იყოს ამასთან სასჯელის ზომა? სრულიად აშკარაა, რომ არა. და თუ თვალსაჩინოა, რომ სუბიექტი, *მიუხედავად სასჯელის უკიდურესი სიმკაცრისა, მაინც განახორციელებს სისხლისსამართლებრივად შეუწყნარებელ ქცევას*, მართლზომიერი ქცევის მოთხოვნა ანუ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის არსებობა განა არ იქნება სრული შეუსაბამობა, სისხლისსამართლებრივი სინამდვილის არსებული რეალობისაგან მოწყვეტა? ცხადია, პასუხი აქ ერთმნიშვნელოვნად დადებითი უნდა იყოს.

თუ ამის საპირისპიროდ მოვიტანთ გ. იაკობსთან ზემოწარმოდგენილი არგუმენტის ანალოგიურ არგუმენტს და, შესაბამისად, შევეცდებით ვამტკიცოთ, რომ ფროიდენტალის კონცეფციით ხელმძღვანელობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივად სრულიად დაუცველი დარჩება უშუალოდ დაზარალებული პირი, მოცემულ შემთხვევაში მსგავსი მტკიცება უთუოდ მოკლებული იქნება უწინდებურ დამაჯერებლობას, ვინაიდან ამჯერად სისხლის სამართალი ყოვლად უძლურია უზრუნველყოს დაზარალებულის დაცვა ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი მოვალეობის არსებობა აქ ვერაფერს შეცვლიდა დაზარალებულის რეალური დაცვის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ ვიტყვით, რომ ფროიდენტალის თეორია მოკლებულია ყოველგვარ რაციონალურობას, როგორც ამას გ. იაკობსი მიიჩნევს.

ფროიდენტალის ინდივიდუალური მოთხოვნის (მოსალოდნელობის) მოძღვრებასთან ერთად გ. იაკობსის მიერ წარმოებული კრიტიკული ანალიზის ფარგლებში წარმოდგენილია აგრეთვე ე. შმიდტის შესაბამისი თეორიაც, რომელსაც გ. იაკობსი გენერალიზებულ მოთხოვნის (მოსალოდნელობის) თეორიად მოიხსენიებს.

უკანასკნელი თეორიის მიხედვით, ბრალი განისაზღვრება როგორც სუბიექტის „ასოციალური განწყობა". როგორც ეს გ. იაკობსთან გადმოიცემა, მოცემული განწყობის დადგენის წინაპირობას შეადგენს ის, რომ დამნაშავეს უნდა ჰქონოდა თავისი ქცევის სოციალური საზიანოობის შეგნების შესაძლებლობა და რომ მას, ნორმატიული თვალსაზრისით, ნაცვლად ფაქტობრივად განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქცევისა, შეიძლება მოეთხოვოს მართლზომიერი ქცევა. როგორც კვლავ გ. იაკობსი აღნიშნავს, მოცემული მოთხოვნა უნდა განისაზღვროს „საშუალო მოქალაქის ტიპის" შესაძლებლობების შესაბამისად, რა დროსაც კონკრეტული სუბიექტის ფსიქოფიზიკური თვისებების გათვალისწინებასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. კანონით ტიპირებული ბრალის გამომრიცხველი გარემოებები მოცემულ თეორიაში განიხილება როგორც პრეზუმირებული მოუთხოვნელობის შემთხვევები, რასაც, თუმც გამონაკლის შემთხვევებში, ემატება აგრეთვე ზოგადი მოუთხოვნელობა (ასე კვლავ გ. იაკობსი).

ე. შმიდტის ამ თვალთახედვის განხილვისას გ. იაკობსი თავის შეფასებებში ისევე მკაცრია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფროიდენტალის თე-

ორიის კრიტიკული ანალიზის შემთხვევაში. აქაც გ. იაკობსი ფროიდენტალის ინდივიდუალური მოთხოვნის (მოსალოდნელობის) მოძღვრების წინააღმდეგ მოტანილ არგუმენტებს ეყრდნობა. მოცემული თვალსაზრისით, ის შემდეგ თვალთახედვას გვთავაზობს: „...აქაც ფროიდენტალის პოზიციის საწინააღმდეგოდ წარმოდგენილი მომენტების აქცენტირება ხდება აუცილებელი: ინდივიდის როგორც „საშუალო მოქალაქის ტიპის" სამართლებრივად რელევანტური შესაძლებლობები უნდა დგინდებოდეს არა მხოლოდ ფსიქოლოგირებულად, არამედ უნდა განისაზღვრებოდეს აგრეთვე იმითაც, სოციალური კონფლიქტი (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) შეიძლება თუ არა მოწესრიგდეს შერაცხვის გარეშე. გარდა ამისა, ბრალის ზემოწარმოდგენილი მატერიალური შემადგენლობა, ასოციალური განწყობა, არაბრალეულობის სფეროებშიც პოვებს თავის გამოვლინებას: მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმხორციელებელი სულით ავადმყოფი სუბიექტიც ასოციალურად არის განწყობილი."448

ჩვენ ყურადღებას გ. იაკობსის უკანასკნელ შენიშვნაზე შევაჩერებთ, კერძოდ იმაზე, რომ თეორიულად დაუშვებელია ბრალის როგორც ასოციალური განწყობის განსაზღვრა. ჩვენი აზრით, ბრალის ცნებისადმი მსგავსი მიდგომის კრიტიკა პრინციპულად სხვა მიმართულებით უნდა წარიმართებოდეს, ვიდრე ამას გ. იაკობსთან აქვს ადგილი.

რას ნიშნავს „ასოციალური განწყობა" — იმას, რომ სუბიექტი სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არის განწყობილი? ასეთ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს სუბიექტის საკუთრივ ანტისისხლისსამართლებრივ განწყობაზე ან სრულიად დასაშვებია აგრეთვე ზოგადად ანტისამართლებრივ განწყობაზე საუბარი, ვინაიდან ანტისისხლისსამართლებრივი იმავდროულად ყოველთვის ნიშნავს ანტისამართლებრივსაც, რასაც ვერ ვიტყვით ანტისისხლისსამართლებრივისა და სოციალურის ურთიერთობაზე.

ამასთანავე, ცნების „ასოციალური განწყობა" თეორიული დასაბუთება საერთოდ შეუძლებელია. საზოგადოებაში, ცხადია, არსებობს ქცევის წესთა არაერთი სისტემა — ისევე, როგორც სამართალში, სოციალური ქცევის წესები წარმოდგენილია რელიგიასა თუ ზნეობაშიც. ხშირად სავსებით შესაძლებელია, რომ სოციალურ ნორმათა ერთი სისტემის ნორმის მოთხოვნათა დარღვევით სუბიექტი იმავდროულად არღვევდეს აგრეთვე სხვა რომელიმე ან ყველა სხვა შესაბამისი სოციალურ ნორმათა სისტემის სათანადო ნორმის მოთხოვნებსაც (ასე მაგალითად, მკვლელობა ან ქურდობა მხოლოდ სამართლებრივად როდია შეუწყნარებელი). მაგრამ არც თუ იშვიათად შეიძლება აგრეთვე მივიღოთ ისეთი ვითარება, რომლის დროსაც სოციალურ ნორმათა ერთი სისტემის ნორმის დარღვევა სულაც არ გულისხმობს სოციალურ ნორმათა სხვა სისტემის ნორმის დარღვევას, არამედ პირიქით, სავსებითაც შეესაბამება ამ უკანასკნელის მოთხოვნებს. ასე მაგალითად, მრავლად შეიძლება მოვიტანოთ იმის დამადასტურებელი მაგალითები, როდესაც სამართალი და ზნეობა ან სამართალი და რელიგია სუბიექტისაგან ერთსა და იმავე ვითარებაში პრინციპულად ურთიერთგა-

მომრიცხავ ქცევას მოითხოვს. და „ასოციალური განწყობის" ცნების მიუღებლობის მთავარი მიზეზიც სწორედ ამაში მდგომარეობს. მართლაც, როგორ დაიშვება სისხლისსამართლებრივი ნორმის დამრღვევი სუბიექტის განწყობის ასოციალურობაზე საუბარი, თუ ის მოქმედებდა, ვთქვათ, ზნეობის ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად?!

ხოლო თუ, მიუხედავად უკანასკნელი მომენტისა, მაინც შევეცდებით „ასოციალური განწყობის" ცნების შენარჩუნებას და დავაფუძნებთ მასზე ბრალის სისხლისსამართლებრივ ცნებას, როგორც ამას ე. შმიდტთან ჰქონდა ადგილი, მივიღებთ, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი ვერ დასაბუთდება ვერც ერთ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი, არღვევს რა სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნებს, იმავდროულად მოქმედებს სოციალურ ნორმათა სხვა რომელიმე სისტემის ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად, რამეთუ განსახილველ შემთხვევებში „ასოციალური განწყობა", როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მოცემულად ვერ ჩაითვლება.

არანაკლებ კრიტიკულია გ. იაკობსი ე. მეცგერის შეხედულებათა განხილვისას.

გ. იაკობსის მტკიცებით, ე. მეცგერს, ასევე აღიარებს რა მოუთხოვნელობას ბრალის გამომრიცხველ ზოგად გარემოებად, ძირითადი აქცენტი მატერიალური მახასიათებლებისა (Sachverhalt) და შეფასების ურთიერთობაზე გადააქვს — მასთან ბრალი წარმოდგენილია როგორც სასჯელის წინაპირობათა ერთობლიობა, რომლებიც მოქმედი სუბიექტის პიროვნებას შეეხება, ანუ როგორც მატერიალური მახასიათებლები, რომლებიც, როგორც წესი, ფსიქოლოგიური ხასიათისაა (ასე გ. იაკობსი). ამასთანავე, ბრალი უნდა მოიცავდეს აგრეთვე ამ მატერიალურ მახასიათებელთა შესახებ შეფასებით მსჯელობასაც. მაგრამ, როგორც გ. იაკობსი შენიშნავს, ე. მეცგერთან ბრალის ცნებაში მატერიალური მახასიათებლებისა და შეფასებითი მსჯელობის თანაფარდობის საკითხი ამ პირველთა სასარგებლოდ წყდება, რის დასაბუთებასაც გ. იაკობსი კვლავ უშუალოდ ე. მეცგერის შეხედულების მოშველიებით ცდილობს, რომლის ფარგლებშიც საუბარია იმაზე, რომ „ბრალი არის... არა მხოლოდ ბრალი — მატერიალური მახასიათებლები, არამედ ბრალი — მატერიალური მახასიათებლები როგორც ბრალი — გაკიცხვის საგანი".

ე. მეცგერის ზემოაღნიშნულ შეხედულებასთან დაკავშირებით გ. იაკობსი შემდეგი სახის კრიტიკულ ანალიზს გვთავაზობს: „ამ შეფასებას დაქვემდებარებულ მატერიალურ მახასიათებლებთან როგორც ბრალთან, თუ ბრალს იმავდროულად გავიგებთ როგორც „გასაკიცხობას", ძნელად თუ მოიყვანება შესაბამისობაში მეცგერის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ბრალი უმთავრესად შეფასებით მსჯელობას ეფუძნება. წინააღმდეგობა შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ ბრალის ცნების სხვადასხვაგვარ გამოყენებათა დიფერენცირებით. ბრალი შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ნეგატიურად შესაფასებელია (როგორც მართლწინააღმდეგობა ნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება გამამართლებელ გარემოებათა გარეშე უარყოფითად უნდა შეფასდეს); ეს შეეხება ბრალს როგორც

გასაკიცხობას. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე ნეგატიურად შეფასებულს შეფასების გამო ეწოდოს ბრალი (როგორც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება გამამართლებელ გარემოებათა გარეშე არის უმართლობა)".449

როგორც ვხედავთ, ე. მეცგერის შეხედულებათა გ. იაკობსთან წარმოდგენილი ანალიზი დიამეტრულად განსხვავდება ჩვენ მიერ წინა თავში შემოთავაზებული ანალიზისაგან, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ე. მეცგერთან ბრალის ცნებაში უპირატესი აქცენტირების ობიექტია სწორედ ნორმატიული და არა ფსიქოლოგიური მომენტი. ჩვენთვის ამოსავალ მომენტს შეადგენდა ის, თუ როგორ განსაზღვრავდა თავად ე. მეცგერი თავის დამოკიდებულებას ბრალის ცნებაში ნორმატიულ და ფსიქოლოგიურ მომენტთა თანაფარდობის პრობლემისადმი (როგორც გ. იაკობსთანაც გარკვევით ჩანს, ე. მეცგერი სწორედ ნორმატიულ ასპექტს ანიჭებს უპირატესობას). ამავე დროს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გ. იაკობსს იმაში, რომ ე. მეცგერი თავის ამ თვალთახედვას მეტად არათანამიმდევრულად განავითარებს.

ფინალიზმი

ბრალზე ფინალისტების შეხედულებათა ანალიზს გ. იაკობსი შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთობის კვლევით იწყებს. აღსანიშნავია, რომ გ. იაკობსის ანალიზი აქაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენ მიერ წინა თავში წარმოდგენილი შესაბამისი ანალიზისაგან.

განსახილველ კონტექტსში გ. იაკობსი უმთავრესად შემდეგს შენიშნავს: „ბრალისა და აცილებადობის (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) პრობლემატური ურთიერთობა ფინალურ თეორიაში დასახული თვალთახედვის მიხედვით იმგვარად უნდა გადაწყდეს, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეფასების ობიექტებია, რა დროსაც ბრალის შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს მხოლოდ ობიექტთა შეფასებაზე."450 რა თქმა უნდა, არავითარ დავას არ იწვევს ის, რომ ფინალურ თეორიაში ბრალი მოიცავს მხოლოდ ობიექტთა შეფასებას, ხოლო თვით შეფასების ობიექტები ბრალის ცნების მიღმაა მოქცეული, მაგრამ სადავოა ის, იღებს თუ არა მოცემული თვალთახედვა თავის დასაბამს სწორედ ფინალურ თეორიაში. ჩვენ ფინალიზმის ანალიზის დროს შევეცადეთ იმის დასაბუთებას, რომ შეფასების ობიექტები ბრალის ცნებიდან ველცელის მიერ ფინალური მოძღვრების ჩამოყალიბებამდეც იქნა გატანილი, კერძოდ კი დონას მიერ, მხოლოდ გაურკვევლი იყო ის, თუ კონკრეტულად სად, რომელ სისტემატიკურ საფეხურზე უნდა მოთავსებულიყო მოცემული ელემენტები და ფინალიზმის განმასხვავებელ ნიშანს სწორედ ამ ელემენტთა დანაშაულის შემადგენლობის სფეროში მოქცევით მათი ზუსტი სისტემატიკური ადგილის განსაზღვრა შეადგენს.

რათა შევძლოთ იმის დასაბუთება, რომ ბრალის კომპლექსური ცნების მსხვრევა მხოლოდ ფინალურ თეორიაში იღებს თავის დასაბამს, უნდა და-

ვასაბუთოთ აგრეთვე ისიც, რომ ფინალიზმს დასაბამი დაუდო არა ველცელმა, არამედ დონამ. ეს, ცხადია, ასე არ შეიძლება იყოს, ვინაიდან, თავის მხრივ, თვით ფაქტი ბრალის ცნებიდან შეფასების ობიექტთა გატანისა ჯერ როდი ნიშნავს ფინალიზმს. ფინალიზმის ჩამოყალიბება უკავშირდება სისხლის სამართალში სუბიექტური ქმედების ფინალური მნიშვნელობით გაგებით მომენტს, რასაც ადგილი ჰქონდა ველცელთან დონას მიერ ბრალის ცნებიდან შეფასების ობიექტთა გატანის შემდგომ. ვფიქრობთ, აქ ყოველივე ნათელია.

გ. იაკობსი მიიჩნევს, რომ ფინალურ მოძღვრებაში წარმოდგენილი დანაშაულის მოდელი არ იძლევა მთელი რიგი პრობლემების სრულყოფილი გადაჭრის შესაძლებლობას. ამასთანავე, ამის მიზეზად მას ფინალიზმის წინააღმდეგ მიმართული ტრადიციული საყვედური როდი ესახება, რომელიც, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ ფინალისტებთან ბრალი, მოიცავს რა მხოლოდ შეფასებით ასპექტს, წარმოდგენილია როგორც მოსამართლის ფსიქიკაში ჩამოყალიბებული შეფასებითი მსჯელობა. „მოცემულ შემთხვევაში, — აღნიშნავს გ. იაკობსი ზემოხსენებულ ტრადიციულ კრიტიკასთან მიმართებაში, — სახეზეა იდეალური მსჯელობისა, რომელიც არავითარ ფსიქიკაში არ მოიცემა, და მსჯელობის განხორციელების ფაქტის ურთიერთგანუსხვავებლობა. ისევე, როგორც უმართლობა არ ითვლება უმართლობად, როდესაც მისი ასეთად შეფასება ხდება, არამედ მისი წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქცევის განხორციელებით, ბრალიც დამოუკიდებელია მსჯელობის განხორციელების ფსიქიკური ფაქტისაგან.”451 ვფიქრობთ, გ. იაკობსის მიერ ტრადიციული კრიტიკის უარყოფა უსაფუძვლოდ ვერ მიიჩნევა. ის აქ იმის აქცენტირებას ცდილობს, რომ ფინალისტებთან ბრალი, მართალია, მხოლოდ შეფასებითი მსჯელობაა, მაგრამ მოცემული მსჯელობა არ არის მოწყვეტილი შეფასების ობიექტებისაგან.

როგორც ზემოთ ვიხილეთ, ამას ძირეულად ეწინააღმდეგება ფინალიზმის ნ. ვ. ლიასის მიერ წარმოებული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ბრალის ფინალური მოდელი წარმოდგენილი იყო როგორც შეფასების ობიექტს სრულიად მოწყვეტილი შეფასებითი მსჯელობა, რის პირდაპირ გამოხატულებასაც წარმოადგენდა ნ. ვ. ლიასის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბრალი, როგორც წმინდად შეფასებითი მსჯელობა, ქმნიდა მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ვრცელ შესაძლებლობებს.

ვიზიარებთ რა გ. იაკობსის პოზიციას, უნდა შევნიშნოთ, რომ ფინალიზმის ეს და სხვა მსგავსი კრიტიკა ნაკლებად ესატყვისება არსებულ სინამდვილეს, რადგან თვით ფაქტს შეფასების ობიექტის დანაშაულის შემადგენლობაში მოთავსებისა არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო შეფასებასა და შეფასების ობიექტს შორის არსებული ურთიერთობის არა მხოლოდ გაწყვეტასთან, არამედ ამ ურთიერთობის რამეგვარ შესუსტებასთან. უკეთ რომ ვთქვათ, მოცემულ ელემენტთა ურთიერთობის ინტენსიურობაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ამ ურთიერთობის გამოვლინების სფეროს შეცვლა. ანალოგიურ ჭრილში განავითარებს თავის ზემოწარ-

მოდგენილ მოსაზრებას გ. იაკობსიც, როდესაც შენიშნავს: „იმთავითვე მცდარია ფინალიზმის წინააღმდეგ მიმართული ესოდენ გავრცელებული მტკიცება, თითქოს ბრალის ცნების მხოლოდ შეფასებით მსჯელობამდე დაყვანა აცლიდეს მოცემულ ცნებას არსს, „აცარიელებდეს" მას... თუ უმართლობა სრულყოფილად არის ბრალის შესახებ შეფასებითი მსჯელობის საგანი, ბრალიდან უმართლობაში დელიქტური ნიშნის გადატანა ვერ გამოიწვევს ბრალის „სიცარიელეს". ამიტომაც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიკუთვნება უმართლობისადმი ვერაფერს დააკლებს ბრალის ცნებას. ყოველ შემთხვევაში სრულიად დასაშვებია ვუწოდოთ ბრალი არა მხოლოდ შეფასებითობას, არამედ აგრეთვე შეფასებითობასთან ერთად თვით შეფასების საგანსაც, ისე, რომ სულაც არ ჰქონდეს ადგილი ამ ორი სხვადასხვა ასპექტის გაერთიანებას".452

ფინალიზმის უარყოფით მხარეს გ. იაკობსი არსებითად სხვა გარემოებაში ხედავს. მისი აზრით, ფინალურ თეორიაში წარმოდგენილი დანაშაულის სისტემის უსუსურობას განაპირობებს ის, რომ ფინალისტებს არ ძალუძთ უმართლობის (ვირტუალური) შეგნების ზუსტი ადგილის განსაზღვრა. ამასთანავე, გ. იაკობსი ყურადღებას ამახვილებს ფინალისტთა იმ არგუმენტზე, რომ გაკიცხვის შინაარსს ქმნის მხოლოდ განზრახვა (ან გაუფრთხილებლობა), რის საპირისპიროდაც უმართლობის (ვირტუალური) ცოდნა წარმოდგენილია მხოლოდ როგორც მიზეზი, რომლის საფუძველზეც სუბიექტი შეიძლება გაიკიცხოს მართლსაწინააღმდეგო განზრახვისათვის.

ფინალისტების თანახმად, რადგანაც სუბიექტს შეეძლო თავისი ქცევის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შეცნობა და ამის შედეგად მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება, მისი გაკიცხვაც სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი, საიდანაც იგივე ფინალისტები ასკვნიან, რომ უმართლობის ცოდნა უნდა შეადგენდეს გასაკიცხობის და არა განზრახვის ელემენტს.

ამაზე გ. იაკობსი შენიშნავს: „გაკიცხვის საგანსა და მიზეზს შორის მსგავსი დიფერენცირება მაინც ვერ წყვეტს უმართლობისადმი სუბიექტური დამოკიდებულების ადგილის განსაზღვრის პრობლემას: განზრახვას ის არ განეკუთვნება და არც თვით გასაკიცხობას ანუ ბრალს ის არ წარმოადგენს... ყველა შემთხვევაში გარდაუვალია ბრალის შემადგენლობის ჩამოყალიბება, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ბრალის შესახებ შეფასებითი მსჯელობის წინამძღვრები: მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან ერთად (მასში მოცემული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მომენტებით) აგრეთვე მხოლოდ-სუბიექტური შეფასების ობიექტები (nur-subjektive Wertungsobjekte), გარდა ამისა, ბრალის სუბიექტური ნიშნები, უპირველეს ყოვლისა, უმართლობის (ვირტუალური) შეგნება. უმართლობის მოძღვრების გამო განზრახვა და გაუფრთხილებლობა უმართლობას რომ არ განეკუთვნებოდეს (და, ამდენად, უმართლობის მეშვეობით ბრალს), ადვილად მოხერხდებოდა მათი მოთავსება უშუალოდ ბრალის შემადგენლობაში."453 მაშასადამე, გ. იაკობსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ უმართლობის შეგნების (უმართლობის ვირტუალური შეგნების) სისტემა-

ტიკური ადგილის განსაზღვრის საკითხი არასწორად წყდება არა მხოლოდ ფინალურ თეორიაში, არამედ ზოგადად თანამედროვე სისხლის სამართალში, და პრობლემის მართებული გადაჭრისათვის აუცილებლად მიიჩნევს ბრალის შემადგენლობის ცნების ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავდა ყველა ზემოხსენებულ ელემენტს. მაგრამ, როგორც გ. იაკობსის ზემოციტირებული შეხედულებიდანვე ჩანს, თვით შეფასება მოქცეულია ბრალის შემადგენლობის ფარგლებს მიღმა. აღსანიშნავია, რომ გ. იაკობსი არაფერს მიუთითებს ბრალის შემადგენლობის ზუსტ სისტემატიკურ მდებარეობაზე და, მაშასადამე, გაურკვეველი რჩება ბრალის შემადგენლობისა და ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ურთიერთობის სფერო. თუ ვიტყვით, რომ ბრალი წმინდად შეფასებითი მსჯელობაა, მაშინ ბრალის შემადგენლობა, როგორც შეფასების წინამძღვართა მომცველი ცნება, არ შეიძლება მდებარეობდეს ბრალის ცნების ფარგლებში, არამედ წინ უნდა უსწრებდეს მას სისტემატიკურად. ხოლო თუ დავუშვებთ ბრალის ცნებაში როგორც შეფასების, ისე შეფასების წინამძღვართა მოცემულობას, მაშინ მივიღებთ ბრალის ორსაფეხურიან სისტემას, სადაც შეფასებასთან ერთად მოცემული გვექნება აგრეთვე ბრალის შემადგენლობაც. მაგრამ საბოლოო ჯამში საერთოდ გაუგებარი ხდება ბრალის შემადგენლობის ცნების ჭეშმარიტი ბუნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გ. იაკობსი მასში, როგორც თვითონ ამტკიცებს, მხოლოდ ბრალის ნიშნებს როდი აერთიანებს!

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გ. იაკობსთან ნორმატივიზმის კრიტიკა, განსხვავებით ნ. ვ. ლიასთან წარმოდგენილი კრიტიკისაგან, მიმართულია მოცემული მოძღვრების არა უარყოფის, არამედ მისი სრულყოფისა და ახლებური განვითარებისაკენ. რაც მთავარია, ზემოთ ნათლად იქნა წარმოჩენილი აგრეთვე ისიც, რომ გ. იაკობსი ნორმატივიზმის კრიტიკული ანალიზის ფარგლებში მეტად ორიგინალურად წყვეტს მოცემულ ასპექტში აქტუალურ პრობლემათა მთელ რიგს, რაც თანაბრად შეეხება ნორმატივიზმის როგორც ფორმირების, ისე განვითარების პროცესსაც.

§ 3. კ. როქსინი

„პასუხისმგებლობის ნორმატიული ცნება”

სანამ განვიხილავთ კ. როქსინის მიერ წარმოდგენილი ბრალის ნორმატიული თეორიის ცალკეული მიმდინარეობების კრიტიკულ ანალიზს, ვფიქრობთ, უთუოდ უნდა შევეხოთ ნორმატივიზმის იმ ზოგად კრიტიკას, რომლის საფუძველზეც ის აყალიბებს თავის ე. წ. პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნებას.

„ბრალის ნორმატიული ცნება, — აღნიშნავს კ. როქსინი, — იმდენად არის გამართლებული და ნიშნავს დიდ წინსვლას ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებასთან მიმართებაში, რამდენადაც მასში თვალნათლივ შეიცნობა, რომ უმართლობასთან მომიჯნავე დელიქტის კატეგორიის დროს საქმე ეხება მართლწინააღმდეგობასთან შედარებით ქმედების განხორციელების სხვაგვარ შეფასებას და არა მხოლოდ ქმედების შიშველ ფსიქიკურ მახასიათებლებს. მაგრამ გასაკიცხობის ცნება, რადგანაც ის მარტოოდენ ბრალზეა ორიენტირებული, მხოლოდ არასრულყოფილად მოიცავს აქ აქტუალური შეფასების სახეს. შეფასება უნდა შეეხოს არა მხოლოდ იმ საკითხს, შეიძლება თუ არა სუბიექტის წინააღმდეგ მიიმართოს (ბრალეულობის) გაკიცხვა, არამედ შეფასება მოცემულ შემთხვევაში არის მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სუბიექტმა სისხლისსამართლებრივად აგოს პასუხი თავისი ქცევისათვის.”454 აქედან კ. როქსინი ასკვნის, რომ გასაკიცხობა არის პასუხისმგებლობის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა, რასაც უნდა დაემატოს *სანქციის პრევენციული აუცილებლობა* (präventive Sanktionsnotwendigkeit). ამასთანავე, მას მოაქვს აუცილებელი მოგერიების ექსცესის მაგალითი, რომლის დროსაც პირი შეიძლება მოქმედებდეს ბრალეულად ანუ გასაკიცხად, მაგრამ არ ისჯებოდეს სისხლისსამართლებრივად, რადგან ასთენიური აფექტებისას კანონმდებელს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისათვის დასჯა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. როქსინი ასკვნის, რომ ბრალის ნორმატიულმა ცნებამ უნდა პოვოს შემდგომი განვითარება და, კერძოდ კი, გარდაისახოს ე. წ. *პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნებად*.

რა თეორიული შედეგები უკავშირდება კ. როქსინის ზემოწარმოდგენილ თვალთახედვას? უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კ. როქსინის მიერ მოტანილი „სანქციის პრევენციული აუცილებლობა”, განსხვავებით ბრალისაგან, დანაშაულის ცნების მიღმა მდებარე ელემენტია და თუ ვიტყვით, რომ მოცემულ ელემენტსაც, პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, იგივე მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს, რაც ბრალს, მივიღებთ დანაშაულის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლის უარყოფას.

რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, „სანქციის პრევენციული აუცილებლობის” მნიშვნელობის უგულებელყოფა არ დაიშვება. მაგრამ მაშინაც კი, თუ მივიჩნევთ, რომ „სანქციის პრევენციული აუცილებლობის” გარეშე არ შეიძლება დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდი მიგვითითებს იმაზე, რომ ამის საფუძველზე მოცემული გარემოება შეიძლება პასუხიმგებლობის საფუძვლად გამოვაცხადოთ. ამასთან დაკავშირებით უმთავრესად უნდა შეინიშნოს ის, რომ მცდარია კ. როქსინის უშუალოდ ის მტკიცება, რომლის მიხედვითაც მასთან

„სანქციის პრევენციული აუცილებლობა” განიხილება პასუხისმგებლობის ისეთივე პირობად, როგორც ბრალი. მოცემული დებულების სიმცდარე, ჯერ ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც განიხილება როგორც პასუხისმგებლობის პირობა, იმავდროულად ვერ მიიჩნევა პასუხისმგებლობის საფუძვლად, არამედ პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმას, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც პასუხისმგებლობის მიზეზი. მეორეც, კ. როქსინთან წარმოდგენილი თვალთახედვის საწინააღმდეგოდ, ბრალი არის პასუხისმგებლობის არა პირობა, არამედ მიზეზი. რაც შეეხება „სანქციის პრევენციულ აუცილებლობას”, ის (წმინდად ლოგიკურად) შეიძლება მივიჩნიოთ პასუხისმგებლობის მხოლოდ პირობად (თუმც ესეც თეორიულად ყოვლად უდავო როდია). მაგრამ სწორედ ამავე მომენტის გამო ის უკვე ვერ იქნება ბრალთან და დანაშაულთან ერთად პასუხისმგებლობის საფუძველი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტი პასუხისმგებლობის მიზეზს ქმნის თავისი ბრალეული ანუ დანაშაულებრივი ქმედებით, ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ ის არ შეიძლება დაისაჯოს „სანქციის პრევენციული აუცილებლობის” გარეშე, ეს მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ „სანქციის პრევენციული აუცილებლობა” წარმოადგენს პასუხისმგებლობის მიზეზის შეუფერხებელი მოქმედების შესაძლებლობას ანუ პასუხისმგებლობის პირობას.

აღსანიშნავია, რომ ამ და სხვა ანალოგიური სახის თეორიების ამოსავალ მომენტს შეადგენს ის, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში სახელმწიფოებრივი რეპრესიის გამოყენება მხოლოდ ბრალის პრინციპით არ უნდა იზღუდებოდეს, არამედ უნდა არსებობდეს აგრეთვე მოცემული რეპრესიისაგან სუბიექტთა დაცვის დამატებითი გარანტიები, ახალი თეორიული მექანიზმები. რა თქმა უნდა, მსგავსი ლოგიკა მეტად მომსყიდველია და ქმნის იმის აშკარა იმიტაციას, თითქოს აქ საქმე გვქონდეს სისხლისსამართლებრივი აზრის პროგრესულ განვითარებასთან. სინამდვილეში კი ეს ასე სულაც არ არის, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს თვით ბრალის პრინციპის ჭეშმარიტი თეორიული მნიშვნელობის დაკნინებას. პრევენციის მნიშვნელობის აქცენტირება მიიღწევა მხოლოდ ბრალის პრინციპის მნიშვნელობის არასათანადო აქცენტირების ხარჯზე. მსგავს ტენდენციას საბოლოო ჯამში კრიმინალურ-პოლიტიკურ უტილიტარიზმამდე მივყავართ. მართლაც, სხვა რა შეიძლება ეწოდოს პასუხისმგებლობის საფუძვლის დანაშაულის ფარგლებს მიღმა ძიებას?

კ. როქსინი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე მის მიერ ჩამოყალიბებული „პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნებასთან” მიმართებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთობის პრობლემას, რა დროსაც ის შენიშნავს, რომ მოსაზრება, თითქოს ბრალის ცნებიდან განზრახვის გამორიცხვა და დანაშაულის შემადგენლობაში მისი მოთავსება პასუხისმგებლობას წმინდად შეფასებით მსჯელობად აქცევდეს, იმთავითვე მცდარია. ამასთანავე, ბრალს კ. როქსინი

ბრჭყალებში მოიხსენიებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ის ერთმნიშვნელოვნად „განავითარებს" ბრალის ცნებას პასუხისმგებლობის ცნებად.

ხოლო ზემოწარმოდგენილი პოზიციის სიმცდარესთან მიმართებაში თავისი მტკიცების ამოსავალ მომენტს ის შემდეგში ხედავს: „ისევე, როგორც უმართლობის მატერიალური მახასიათებლები და უმართლობის შესახებ მსჯელობა უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან და „უმართლობა" შეფასების საგნად გვევლინება თავის შეფასების პრედიკატთან ერთად, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან პასუხისმგებლობის მატერიალური მახასიათებლებიცა და პასუხისგებლობის შესახებ მსჯელობაც და „საპასუხისმგებლო ქმედება" („verantwortliche Handlung") გავიგოთ როგორც შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთობლიობა."455 კ. როქსინი „პასუხისმგებლობის მატერიალური მახასიათებლების" ორ სახეს განასხვავებს: „პასუხისმგებლობის მატერიალურ მახასიათებლებს ვიწრო გაგებით" და „პასუხისმგებლობის მატერიალურ მახასიათებლებს ვრცელი გაგებით".

პირველ შემთხვევაში საუბარია უმართლობის ფარგლებს მიღმა მდებარე ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც აუცილებელია პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად. კონკრეტულად კი მათ შორის კ. როქსინი მოიხსენიებს ისეთ „ნაწილობრივ სუბიექტურ, ნაწილობრივ კი ობიექტურ" ელემენტებს, როგორებიცაა სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, უმართლობის აქტუალური ან პოტენციური შეგნება და ბრალის გამომრიცხველ ვითარებათა (exkulpierende Situationen) მოუცემლობა.

„პასუხისმგებლობის მატერიალურ მახასიათებლებში" ვრცელი გაგებით კი კ. როქსინი, გარდა ზემომითითებული გარემოებებისა, გულისხმობს აგრეთვე თვით უმართლობასაც (das tatbestandliche Unrecht), საიდანაც ის ასკვნის, რომ უმართლობის ყველა ელემენტი იმავდროულად „ბრალისა და პასუხისმგებლობის" ირიბი, არაუშუალო კრიტერიუმებია.

ამრიგად, როგორც თავად კ. როქსინი განაგრძობს, საკითხი იმის შესახებ, განზრახვა უნდა განვაკუთვნოთ დანაშაულის შემადგენლობას თუ ბრალს, გულისხმობს მხოლოდ იმას, ის უნდა განეკუთვნებოდეს „პასუხისმგებლობის მატერიალურ მახასიათებლებს" ვრცელი თუ ვიწრო გაგებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად კ. როქსინი ცდილობს დააზუსტოს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ, როგორც წესი, „პასუხისმგებლობის" ცნებაში და რა მნიშვნელობით დაიშვება გამონაკლის შემთხვევებში მოცემული ცნების გამოყენება. „„პასუხისმგებლობის" ტერმინი, — აღნიშნავს ის, — მკაცრი მნიშვნელობით, მსგავსად გასაკიცხობის (ან უმართლობასთან მიმართებაში მართლწინააღმდეგობის) მკაცრი მნიშვნელობისა, გულისხმობს მხოლოდ შეფასების პრედიკატს, არა თვით შეფასებას დაქვემდებარებულ მატერიალურ მახასიათებლებს. თუმც... სადაც ამას სათანადო კონტექსტი მოითხოვს, დასაშვებია

აგრეთვე მოცემულ ცნებაში პასუხისმგებლობის მატერიალური მახასიათებლების შეტანაც, ისე, რომ „პასუხისმგებლობა" მაშინ გავიგოთ როგორც საპასუხისმგებლო ქმედება."456

ამდენად, ბრალის ცნებასთან მიმართებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთობის პრობლემის თვალსაზრისით, კ. როქსინის ზემოწარმოდგენილი შეხედულებებიდან შესაძლოა დავასკვნათ შემდეგი: ერთი მხრივ, კ. როქსინი სულაც არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად სად უნდა მოვიაზროთ განზრახვა (და მასთან ერთად გაუფრთხილებლობა) — „პასუხისმგებლობის მატერიალურ მახასიათებლებში" ვრცელი თუ ვიწრო გაგებით, მაგრამ, მეორე მხრივ, რადგანაც „პასუხისმგებლობის მატერიალური მახასიათებლები", როგორც წესი, საერთოდ არ შეიტანება „პასუხისმგებლობის" ცნებაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც მასთან „პასუხისმგებლობის" (ანუ ბრალის) ცნებაში მოცემული არ არის. ეს პირდაპირ აისახება მისი დასკვნითი მტკიცების პირველ ნაწილშიც, სადაც „პასუხისმგებლობა" წარმოდგენილია როგორც წმინდად შეფასებითი კატეგორია.

განაგრძობს რა ბრალის ნორმატიული ცნების კრიტიკულ ანალიზს, კ. როქსინს ძირითადი აქცენტი ბრალის როგორც გასაკიცხობის ფუნქციონალურ ხასიათზე გადააქვს, რა დროსაც ის შენიშნავს: „ბრალის ნორმატიული ცნება მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ ბრალეული ქცევა უნდა იყოს გასაკიცხი. მაგრამ მოცემული ცნება სრულიად ფორმალური ბუნებისაა და არავითარ პასუხს არ შეიცავს კითხვაზე, თუ რომელ შინაარსობრივ წინამძღვრებზეა გასაკიცხობა დამოკიდებული."457 ვფიქრობთ, კ. როქსინის კრიტიკა, მოცემული თვალსაზრისით, უდავოდ სამართლიანად უნდა ვცნოთ, რამეთუ დაუშვებელია, რომ ბრალის ზოგადსისხლისსამართლებრივი ცნება მოიცავდეს ბრალის მხოლოდ ერთ-ერთი ანუ ფუნქციონალური ასპექტის გარკვეულობას და არაფერს მიგვითითებდეს ბრალის დანარჩენ ასევე მნიშვნელოვან მხარეებზე, კერძოდ კი მის მატერიალურ ასპექტზე.

ამავე დროს, უთუოდ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ კ. როქ-სინი ერთადერთი ნორმატივისტი როდია, ვინც ბრალის ნორმატიული თეორიის ამ ნეგატიურ მომენტს „ამჩნევს". ანალოგიურ კონტექსტში თავის მოსაზრებებს არაერთი სხვა ნორმატივისტიც განავითარებს, მაგრამ ამჯერად ჩვენ ყურადღებას მხოლოდ ჰ. შვაიკერტის პოზიციაზე შევაჩერებთ.

იკვლევს რა ბრალისა და უმართლობის ურთიერთობას, ჰ. შვაიკერტი აღნიშნავს: „სისხლისსამართლებრივი ფორმულა „ბრალი არის გასაკიცხობა", რომლის სისწორე ჩვენთვის ეჭვშეუვალია, არ გვაძლევს ბრალისა და უმართლობის ურთიერთგამიჯვნის უშუალო საფუძველს. გასაკიცხობის ცნება წარმოადგენს ფუნქციონალურ ცნებას, რომელიც არაფერს მეტყველებს იმაზე, თუ რა არის საკუთრივ ბრალი. ბრალის ნორმატივისტული მოძღვრების ფუძემდებლებმა მეტად თუ ნაკლებად უგულებელყვეს ბრალის მატერიალური მხარე და უპირატესი ყურადღება

დაუთმეს ბრალის როლს დანაშაულის სტრუქტურაში. ბრალი მატერიალურად განასახიერებს დამნაშავის გასაკიცხ განწყობას (die verwerfliche Haltung) თავის მართლსაწინააღმდეგო ქცევასთან მიმართებაში. ამ გასაკიცხ განწყობას მივყავართ თვით დანაშაულის სუბიექტის გაკიცხვამდე, რის შედეგადაც შემოკლებით შეიძლება ითქვას, რომ ბრალი გასაკიცხობაა."458 მიუხედავად იმისა, რომ ჰ. შვაიკერტისთვის გარკვეულია ბრალის ნორმატივისტული ცნების ფუნქციონალურობა, მისთვის ამ უკანასკნელში არაფერია მიუღებელი! ნაცვლად იმისა, რომ გამოყოს ბრალის ცნებაში ფუნქციონალური და მატერიალური ასპექტების თანამოცემულობის საჭიროება, ჰ. შვაიკერტი ცდილობს სეპარატულად განსაზღვროს ბრალი ჯერ ფუნქციონალური და შემდეგ მატერიალური თვალსაზრისით.

ამასთანავე, იბადება კითხვა, თუ რა სხვაობაა გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებასა და ჰ. შვაიკერტის მიერ წარმოდგენილ „გასაკიცხ განწყობას" შორის. ეს ადვილად შეიცნობა ჰ. შვაიკერტის შემდეგი მოსაზრებიდან: „სამართლებრივ სიკეთეთა განზრახ დარღვევით სოციალურ-ეთიკური და სისხლისსამართლებრივი იმპერატივების წინააღმდეგ მოქმედის გასაკიცხ განწყობასა და ნამდვილი რისკის დელიქტის (das echte Risikodelikt) უმართლობის შემადგენლობის განმხორციელებლის გასაკიცხ განწყობას შორის, რომელსაც არა აქვს შეგნებული თავისი ქცევის საშიშროება, მოქცეულია ბრალის ხარისხთა მთელი რიგი. და აქ გასაკიცხი განწყობა უნდა გავმიჯნოთ, შესაბამისად, განზრახი, გაუფრთხილებლობითი და სარისკო ქცევისაგან, ე. ი. ქცევის ფორმებისაგან როგორც ასეთებისაგან, რომლებიც უმართლობის ელემენტებად წარმოგვიდგება. ქცევის ფორმები თავის წინაპირობად დანაშაულის მიმართ დამნაშავის გასაკიცხ განწყობას არ გულისხმობენ; ისინი ჯერ კიდევ არაფერს მიგვითითებენ ბრალზე..."459 მაშასადამე, ჰ. შვაიკერტთან განზრახვა, გაუფრთხილებლობა და რისკი, „გასაკიცხი განწყობისაგან" განსხვავებით, ფსიქიკური ქცევის ფორმებია, რომლებიც მიეკუთვნება უმართლობის და არა ბრალის სფეროს. აქედან გამომდინარე, ჰ. შვაიკერტის მიხედვით, ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედების ბრალეულობას კი არ განსაზღვრავს, არამედ აფუძნებს მხოლოდ უმართლობას (უფრო ზუსტად კი, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობას) და ამიტომ გასაკიცხობასთან მას უშუალოდ არაფერი აქვს საერთო, რაც იმის მეტყველია, რომ გასაკიცხი შეიძლება იყოს „სუბიექტური განწყობა", მაგრამ არა ფსიქიკური დამოკიდებულება.

უკანასკნელი დასკვნის კვალობაზე სუბიექტი უნდა გაიკიცხოს არა იმისათვის, რომ ის ითვალისწინებდა დელიქტური შედეგის დადგომის აუცილებლობას და სურდა მოცემული შედეგი ან შეგნებულად უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას და ა. შ., არამედ იმიტომ, რომ ის თავისი ქცევით გამოხატავდა უარყოფით განწყობას სოციალური ეთიკისა და სისხლის სამართლის მის მიერ დარღვეული იმპერატივის მიმართ. მაგრამ მოიცავს კი სინამდვილეში ასეთ განწყობას ყოველი დანაშაულებრივი

ქმედება? უცილოა, რომ არა. მაგალითად, სხვისი ღირსების ხელმყოფ სუბიექტს სულაც არ სურს, რომ თავისი საკუთარი ღირსება სისხლისსამართლებრივად არ იყოს დაცული, ე. ი. დარღვეული იმპერატივის, როგორც ასეთის, მიმართ ინდივიდი უარყოფითად განწყობილი ვერ იქნება. ვფიქრობთ, ეს ჰ. შვაიკერტის შეხედულების კანონზომიერი შედეგიცაა, რადგან ის ესწრაფვოდა ბრალში როგორც გასაკიცხობაში გამოვლენილი ცალმხრივობის არა ობიექტურ ანალიზს, არამედ მხოლოდ ფორმალურ ნეიტრალიზებას.

ბრალის ნორმატიული ცნების მატერიალურ გაურკვევლობასთან მიმართებაში ბევრად უფრო შორს მიდის თავის დასკვნებში თ. წერეთელი. „ვინაიდან გასაკიცხაობის მომენტს არავითარი მატერიალური შინაარსი არა აქვს და იგი სრულიად ფორმალური ბუნებისაა, — წერს თ. წერეთელი, — ბრალის ასეთი ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის სავსებით გათელვისათვის. და მართლაც, თეორიიდან უკვე პრაქტიკაშიც თანდათანობით შეიპარა ის აზრი, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა საჭირო არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ასეთი დასკვნა უკვე გააკეთა დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის მიმართ (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 330). „ამავე დროს, უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის ბრალი არ გამოიხატება არც განზრახვის და არც გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიურ ელემენტში, არამედ ემატება როგორც გასაკიცხაობა ამ შინაგან პროცესებს. ბრალის ასეთი გაგება არ გამორიცხავს შესაძლებლობას გავკიცხოთ პირი ისეთი შედეგისათვის, რომელიც არ არის მოცული არც განზრახვით, არც გაუფრთხილებლობით“. ფაქტობრივად ობიექტური შერაცხვა არის პროკლამირებული.“460 ამრიგად, თ. წერეთლის თანახმად, ბრალის მატერიალურ გაურკვევლობას ბრალის პრინციპის უარყოფამდე და ობიექტური შერაცხვის დაშვებამდე მივყავართ.

რაც შეეხება კვლავ კ. როქსინის თვალთახედვას ბრალის ნორმატიულ ცნებაში მატერიალური ასპექტის გაურკვევლობის შესახებ, ის შენიშნავს, რომ ბრალის ნორმატიული მოძღვრების წარმომადგენლები განსახილველ პრობლემას სხვადასხვაგვარად წყვეტენ. განსახილველი თვალსაზრისით, მასთან განხილვის საგანს რამდენიმე ნორმატივისტული მიმდინარეობა შეადგენს. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, კ. როქსინთან მოცემული მიმდინარეობები საკმაოდ მკაცრ კრიტიკას არის დაქვემდებარებული.

ბრალი როგორც „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა”

როგორც ცნობილია, მოცემული კონცეფციის შესაბამისად, ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში სუბიექტი იკიცხება იმის გამო, რომ მან მიუხედავად მართლზომიერად ანუ „სხვაგვარად” მოქმედების შესაძლებლობისა, იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ. კ. როქსინი აღნიშნავს, რომ მოცემულმა თვალსაზრისმა სასამართლო

პრაქტიკაშიც დაიმკვიდრა ადგილი და ამის დასტურად ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება მოაქვს, რომლის მიხედვითაც ბრალის დამაფუძნებელი გაკიცხვის ძირითადი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ „ინდივიდისთვის იმანენტურია თავისუფალი თვით-განსაზღვრის უნარი და ამიტომ მას სავსებით ძალუძს უმართლობის საწინააღმდეგო და სამართლის მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.”

ამაზე კ. როქსინი შენიშნავს: „...მოცემული თვალთახედვა, მიუხედავად მისი ყოველდღიურთეორიული დამაჯერებლობისა, სათანადოდ ვერ დასაბუთდება. კიდევ შეიძლება იმის დაშვება, რომ ის ნების თავისუფლების დაუმტკიცარ წინამძღვარს ეფუძნება, ვინაიდან ის (ნების თავისუფლება — ავტორი) თავის შედარებით ვიწრო საზღვრებში, რომლებშიც მისი მომხრენი დღეს მას წარმოგვიდგენენ, არის ჰიპოთეზა, რომლითაც ხელმძღვანელობა შეიძლებოდა დაგვეშვა, რადგან მკაცრი დეტერმინიზმიც ემპირიულად დაუმტკიცარია და, ამასთანავე, პრაქტიკულად განუხორციელებადი. მაგრამ მოცემული მოძღვრების მიუღებლობა ძირითადად უკავშირდება იმ გარემოებას, რომ არჩევანის თავისუფლების დაშვების შემთხვევაშიც ქმედების განხორციელების მომენტში სუბიექტის სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა მეცნიერულად ვერ დადგინდება.”461 ამასთანავე, კ. როქსინი გადაჭარბებულს უწოდებს ბოკელმანის კრიტიკას, როდესაც ეს უკანასკნელი სრულ შეუსაბამობად განიხილავს დებულებას, რომლის შესაბამისადაც ფსიქიკურად ჯანსაღ და ფსიქიკურად ავადმყოფ ინდივიდთა ურთიერთგანსხვავების კრიტერიუმს ნების თავისუფლება შეადგენს. თუმც კ. როქსინი იქვე შენიშნავს, რომ თუ ბრალის წინამძღვრებად ემპირიულ მონაცემებს მოვიაზრებთ, რომლებიც პრინციპულად არ ექვემდებარება დადგენას, მაშინ პრინციპი „*in dubio pro reo*” ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამამართლებელ განაჩენამდე მიგვიყვანდა ანუ შეუძლებელი გახდებოდა ბრალით განსაზღვრული სისხლის სამართალი.

როგორც კ. როქსინი მიუთითებს, განსახილველი თეორიის წარმომადგენლები უკანასკნელი შენიშვნისაგან თავის დასაღწევად ცდილობენ ამოსავალ მომენტად არა ინდივიდუალური სუბიექტის, არამედ „სუბიექტის საშუალო ტიპის” სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის გამოყოფას ანუ ძირთადი აქცენტირების საგანს აქ შეადგენს არა ის, თუ კონკრეტულად რა ფსიქოფიზიკურ შესაძლებ-ლობებს ფლობდა მოცემული სუბიექტი მოცემულ ვითარებაში, არამედ ის, როგორ უნდა მოქცეულიყო აღნიშნულ ვითარებაში „სუბიექტის საშუალო ტიპი”, რაზედაც კ. როქსინი სამართლიანად შენიშნავს: „მაგრამ ინდეტერმინისტული თვალსაზრისით, შეუძლებელია ინდივიდუალური სუბიექტის მიმართ ზნეობრივი გაკიცხვის იმ შესაძლებლობებზე დაფუძნება, რომლებსაც სხვა სუბიექტები შესაძლოა ფლობენ, მაგრამ თვით მოცემული სუბიექტი მოკლებულია! ეს არა მხოლოდ

ალოგიკურობაა, არამედ აგრეთვე ამოსავალი მომენტის უარყოფასაც ნიშნავს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი უნდა ფლობდეს თავისუფალი გადაწყვეტილების შესაძლებლობას.”462

ჩვენთვის სრულიად უდავოა, რომ კ. როქსინის ეს კრიტიკა რაციონალურობას მოკლებული არ არის. მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კ. როქსინს მოცემული კრიტიკის ფარგლებში წარმოდგენილი ცენტრალური პრობლემის არსი ბოლომდე მართებულად არა აქვს გააზრებული. მის თანახმად, მეცნიერულ დასაბუთებას არ ექვემდებარება ის, შეეძლო თუ არა კონკრეტულად ამ სუბიექტს კონკრეტულად ამ ვითარებაში ემოქმედა სხვაგვარად. ფილოსოფიური თვალსაზრისით, დავა მოცემული პრობლემის შესახებ მართლაც შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს და გრძელდება კიდეც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როგორც დეტერმინისტული, ისე ინდეტერმინისტული თვალსაზრისი კვლავაც შორს არის აბსოლუტური დომინირებისაგან. მაგრამ თუ ვიხელმძღვანელებთ პრობლემისადმი მსგავსი მიდგომით ანუ მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმად მივიჩნევთ ნების თავისუფლების ფილოსოფიურ ცნებას, სისხლისსამართლებრივი ბრალის დასაბუთებას ვერ შევძლებთ საერთოდ და არა მხოლოდ ბრალის როგორც სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის თეორიის ფარგლებში.

სინამდვილეში კი საკითხი იმის შესახებ, დაუმტკიცარია თუ არა ფილოსოფიურად ნების თავისუფლება, არავითარ ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს იმის განსაზღვრაზე, შეეძლო თუ არა, სისხლისსამართლებრივი გაგებით, კონკრეტულად ამ პირს კონკრეტულად ამ ვითარებაში „სხვაგვარად” ანუ სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად მოქმედება. თუ დადგინდა, რომ სათანადო ქმედების განხორციელების მომენტში სუბიექტი არ იყო შეურაცხადი და, ამასთანავე, სისხლისსამართლებრივი ბრალის გამომრიცხველი არც სხვა რომელიმე გარემოება მოიპოვებოდა, სისხლისსამართლებრივად ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სუბიექტს მოეთხოვოს მოცემულ ვითარებაში სათანადო ნების ჩამოყალიბება და მოცემული ნების შესაბამისად მოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სუბიექტი შესაბამისი ქმედების განხორციელების მომენტში არ იყო ფსიქიკურად ავად და არც ფაქტობრივი თუ იურიდიული შეცდომის პირობებში იმყოფებოდა, ისევე, როგორც არ იყო წარმოდგენილი სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილი სხვა რომელიმე ბრალის გამომრიცხველი გარემოება, განა შეიძლება, სისხლისსამართლებრივად რელევანტური თვალსაზრისით, იმაში ეჭვის შეტანა, რომ ის ამ კონკრეტულ ვითარებაში ფლობდა საკუთარი ნების ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობას? როგორც ადვილად მისახვედრია, პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა ბევრად უფრო შორს მიმავალ შედეგებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ეს კ. როქსინს თავისი ზემოწარმოდგენილი თვალთახედვის ფარგლებში წარმოუდგენია.

ბრალი როგორც „სამართლებრივად შეუწყნარებელი განწყობა”

თეორია ბრალის როგორც „სამართლებრივად შეუწყნარებელი განწყობის” შესახებ თავის დასაბამს გალასთან იღებს. ჰ. შვაიკერტის ზემოგანხილული შესაბამისი კონცეფცია გალასის მოცემული თეორიის განვითარების უშუალო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე, კ. როქსინი მოცემული თეორიის სხვა მიმდევრებსაც ასახელებს, კერძოდ კი, იეშეკს („სამართლებრივად მცდარი განწყობა”) და ვესელსს („სამართლებრივად დაგმობადი განწყობა”).

„მოცემული თვალთახედვის საწინააღმდეგოდ, — აღნიშნავს კ. როქ-სინი, — ძირითადად უნდა შეინიშნოს ის, რომ აქ არსებითად არ შეიმჩნევა გასაკიცხობის ფორმალური ხასიათის დაძლევა, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი იმის არავითარი კრიტერიუმი, თუ რა განაპირობებს სუბიექტური განწყობის შეუწყნარებლობას... როდესაც გალასი ერთგან შენიშნავს..., რომ განწყობის უკუღირებულება, როგორც წესი, თან სდევს ქმედების უკუღირებულებას და არ არის მოცემული „მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტი, მიუხედავად განზრახი ქცევისა, მოკლებული იყო შესაძლებლობას”, ამით ის თუმც იძლევა მატერიალურ ნიშანს, მაგრამ იდენტურია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობასთან და მას, შესაბამისად, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მიმართული შენიშვნებიც შეეხება.”463 გარდა ამისა, კ. როქსინი შენიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბრალეულობის დაშვება ან უარყოფა ძნელად თუ აიხსნება განწყობის სიმცდარითა თუ უმწიკვლობით, რის მაგალითადაც მას დაუდევრობა მოაქვს. კ. როქსინის მტკიცებით, დაუდევრობის შემთხვევაში სუბიექტური განწყობა სულაც არ არის მიმართული არც სამართლებრივი და არც ზოგადად სოციალური ღირებულებების წინააღმდეგ. ხოლო ამის საპირისპირო მაგალითის სახით (ანუ როდესაც „სამართლებრივად შეუწყნარებელი განწყობა” ვერ აფუძნებს ბრალს) კ. როქსინს სექსუალური მკვლელის შემთხვევა მოაქვს, რომლის დროსაც, მიუხედავად უაღრესად ქვენა განწყობის მოცემულობისა, სუბიექტის მიმართ თავშეკავების არასათანადო უნარის გამო გამამართლებელი განაჩენი გამოიტანება.

ჩვენი აზრით, აქ გალასის თეორიის კრიტიკა სავსებით მისაღები მიმართულებით წარიმართება. ჩვენ კი კ. როქსინის კრიტიკულ შენიშვნებს უმთავრესად დავძენთ იმას, რომ სისხლისსამართლებრივ ბრალს, სისხლის სამართლის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ განსაზღვრული ფსიქიკური საქმიანობა, განსაზღვრული ფსიქოლოგიური ქცევა, რასაც სუბიექტური განწყობა არ განეკუთვნება.

სისხლისსამართლებრივი ბრალის დაფუძნების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის, რომ სუბიექტმა თავისი ფსიქოლოგიური ქცევით

დაარღვია სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, ხოლო ის, თუ რა განწყობით არღვევს ის ამ მოვალეობას, სამართლებრივად შეუწყნარებელი თუ სამართლებრივად ნეიტრალური განწყობით, განსახილველ ასპექტში სრულიად უმნიშვნელოა უკვე იმიტომ, რომ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევა სუბიექტური განწყობით არ ხორციელდება.

ბრალი როგორც „პასუხისმგებლობა საკუთარი ხასიათისათვის"

კ. როქსინის მიხედვით, მოცემული მოძღვრება ეფუძნება იმ დეტერმინისტულ თვალსაზრისს, რომ თითოეული პირი თავისი თვისებების გამო, რომელთაც განაწყვეს ის დანაშაულის ჩასადენად, მისი ამგვარად-ყოფნის (So-Sein) გამო ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე უნდა იყოს პასუხისმგებელი თავისი ქმედებისათვის. ამასთანავე, როგორც ამას კვლავ კ. როქსინი აღნიშნავს, განსახილველი მოძღვრება სათავეს შოპენჰაუერის შემოქმედებაში იღებს, სისხლის სამართლის თეორიაში მის ძირითად წარმომადგენლებად კი ის ჰაინიცს, დონას, ენგიშსა და დიასს ასახელებს.

მოცემულ თეორიასთან მიმართებაში კ. როქსინთან კრიტიკის უმთავრეს საგანს ის გარემოება შეადგენს, რომ აქ სუბიექტს ბრალად ერაცხება ის, რაც ჩამოყალიბდა და მოიცემა მისი ნებისაგან სრულიად დმოუკიდებლად. მსგავსი სირთულის დაძლევას, როგორც ის თავადვე მიუთითებს, განსახილველი თეორიის მომხრენი „მეტაფიზიკური კონსტრუქციების" მოშველიებით ცდილობენ. „ასე მაგალითად, — აღნიშნავს კ. როქსინი, — შოპენჰაუერი სრულიად დეტერმინირებული ემპირიული ხასიათის მიღმა ხედავს აგრეთვე ხასიათის სხვა დამოუკიდებელ სახეს, რომელიც თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში თვითგანსაზღვრადია... მსგავსი ეგზისტენციალურად მოდიფიცირებული ფორმით მოიშველიებს დიასიც „ძირითად არჩევანს", „რომლითაც ინდივიდი თავად ახდენს საკუთარი მყოფობის სახისა და საკუთარი არსის განსაზღვრას." მაგრამ ამგვარ შეხედულებათა დასაბუთება ისევე ვერ მიიღწევა, როგორც ქმედების განხორციელების მომენტში სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობისა და ამიტომაც ისინი შეიძლება იყოს მხოლოდ ფილოსოფიური დავის საგანი, მაგრამ ემპირიულ-რაციონალურ სისხლისსამართლებრივ კონცეფციებს საფუძვლად ვერ დაედება."464

კ. როქსინის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს სუბიექტის ხასიათი „ყალიბდებოდეს და მოიცემოდეს მისი ნებისაგან დამოუკიდებლად", სულაც არ ატარებს ისეთ აქსიომურ ხასიათს, როგორც ეს კ. როქსინთან წარმოდგენილი კონტექსტიდან გამომდინარეობს. პრობლემა იმის შესახებ, ხასიათის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მხოლოდ ინდივიდის გენეტიკურ მონაცემებსა და შესაბამის სოციალურ გარემოზე თუ ის (ინდივიდი) თავადაც აქტიურად ზემოქმედებს საკუთარი ხასიათის

ფორმირების პროცესზე, მეტად სადავოა. თუმც აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ კ. როქსინის შეხედულებას, როგორც ასეთს, სულაც არ უარვყოფთ, მაგრამ იმავდროულად ვერც არსებითად გავიზიარებთ, რამეთუ მოცემული პრობლემა საფუძვლიან დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. ამავე დროს, მთავარი მოცემულ შემთხვევაში სხვა რამ არის, კერძოდ ის, რომ სუბიექტს სისხლისსამართლებრივად ბრალად შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევა (როგორც ამის თაობაზე ზემოთ უკვე აღინიშნა), რადაც ზოგადად ხასიათი, მსგავსად სუბიექტური განწყობისა, ვერ მოიაზრება. სხვა მხრივ, რადგანაც სისხლისსამართლებრივი ბრალის დასაფუძნებლად სრულიად საკმარისია უკვე კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევაც, ხასიათი, სუბიექტური განწყობა და ხსენებულ ფსიქოლოგიურ ქცევასთან ერთად მოცემული სხვა მსგავსი ფენომენები ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნებისათვის ცალსახად უცხო, „არაბუნებრივ" ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ.

კ. როქსინი, ვიდრე საბოლოოდ უარყოფდეს განსახილველ თეორიას, ცდილობს სათანადოდ წარმოაჩინოს მისი დასაბუთების ყველა შესაძლო თვალსაზრისი, რა დროსაც შენიშნავს: „უკეთესი გზა ბრალის კონცეფციის დასაბუთებისა, რომლის ამოსავალ მომენტადაც ხასიათია პროკლამირებული, არის დამნაშავის მიმართ სამაგიეროს მიზღვისა და ზნეობრივი გაკიცხვის სრული უარყოფით სისხლის სამართლის მხოლოდ პრევენციულ მიზნებზე ორიენტირება და ბრალის უფრო სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით გაგება. ხოლო შეიძლებოდა თუ არა ამ შემთხვევაში მისი წინამძღვრებისათვის კვლავაც გვეწოდებინა „ბრალი" და თვით მსგავსი სამართლებრივი შედეგისათვის „სასჯელი", ეს უფრო ტერმინოლოგიური საკითხი იქნებოდა."465 მაგრამ კ. როქსინი თვლის, რომ ასეთი თვალთახედვაც ასევე მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან აქ სრულიად უარიყოფა ბრალის პრინციპი თავის სამართლებრივ-პოლიტიკურ ასპექტშიც, რა დროსაც შეუძლებელი ხდება იმის დასაბუთება, თუ რატომ არ მოქმედებს სულით ავადმყოფი ან სხვაგვარად შეურაცხადი პირი ბრალეულად: ისიც ხომ მხოლოდ თავისი მოცემული არსის განსაზღვრულობის (gegebene Wesensbeschaffenheit) შესაბამისად ახორციელებს სათანადო ქცევას.

ენგიშის შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ მცირეწლოვანთა, სულით ავადმყოფთა ან სიმთვრალის მდგმარეობაში მყოფ პირთა ქმედებები არ გამოხატავს მათ პიროვნებას ან გამოხატავს იმგვარად, რომ ის არ ექვემდებარება სასჯელით ზემოქმედებას (უკანასკნელ შემთხვევაში ენგიშს, როგორც ამაზე კ. როქსინი მიუთითებს, განსაკუთრებით მხედველობაში აქვს ასაკის გამო შეურაცხად პირთა შემთხვევები, რომელთა დროსაც „კავშირი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და ამ სუბიექტის პიროვნებას შორის თვალსაჩინოა"), კ. როქსინი აღნიშნავს: „...პირველ შემთხვევაში ყველა ემპირიული მოვლენის მკაცრი განპირობებულობის პირობებში ძნელად თუ მიიღება „პიროვნება", რომელიც სუბიექტის რეალურ ქცევაში არ პოვებდა თავის

გამოხატულებას. მეორე შემთხვევაში კი, რომელშიც შეურაცხადი პირის ქმედება განიხილება როგორც მისი პიროვნების გამოხატულება, სასჯელი, მოცემული მოძღვრების მიხედვით, უკვე საერთოდ არ არის დამოკიდებული ბრალზე (რომელიც მოცემულად მიჩნეულ იქნებოდა), არამედ ორიენტირებულია წმინდა მიზანშეწონილობაზე."466

ამასთანავე, კ. როქსინი, განაგრძობს რა ენგიშის შეხედულებათა კრიტიკას მოცემული თვალსაზრისით, მიუთითებს მის მიდგომაზე იმ სულით ავადმყოფთა დასჯადობის პრობლემისადმი, რომელთათვის „კრიმინალური ქცევა" ხასიათის თვისებაა. ენგიშის მტკიცებით, მოცემულ პირთა დასჯა, როგორც წესი, არ არის მიზანშეწონილი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, იმავე მიზანშეწონილობის პრინციპზე დაყრდნობით, ის უშვებს ამ კატეგორიის სუბიექტთა დასჯადობას, რასაც კ. როქსინი განიხილავს როგორც ბრალის პრინციპის მნიშ-ვნელობის დაქვემდებარებას სპეციალური პრევენციის მნიშვნელობისადმი. გარდა ამისა, კ. როქსინი გამოყოფს აგრეთვე იმასაც, რომ ხასიათით განსაზღვრული ბრალის პრინციპი ვერც ზოგადი პრევენციისათვის სათანადო საზღვრების განსაზღვრის შესაძლებლობას ტოვებს.

ვიზიარებთ რა კ. როქსინთან წარმოდგენილ კრიტიკას, უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში თანაბრად დაუშვებელია ბრალის ხასიათით განსაზღვრულობა და სასჯელის წმინდა მიზანშეწონილობაზე დაფუძნება. უფრო მეტიც, ძნელად თუ აიხსნება თვით ის ფაქტი, რომ განსახილველი თეორია თავის განვითარებას სულ რამდენიმე ათეული წლის წინ პოვებდა, კერძოდ კი, სამოციან წლებში, რამეთუ იმჟამად სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების დონე მსგავსი მიმდინარეობების აღმოცენების თეორიულ საფუძველს სულაც არ ქმნიდა. სპეციალური პრევენციის მიზნებისადმი ბრალის პრინციპის დაქვემდებარება, როგორც ამას ენგიშის ზემოწარმოდგენილ თვალთახედვაში ვხვდებით, ნიშნავს არ დავუტოვოთ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატს იმის არანაირი გარანტია, რომ ის არ გახდება საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებლად სისხლისსამართლებრივი რეპრესიის ობიექტი. მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება სუბიექტის დასჯა სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმის ბოროტად გამოყენება, თუ მას ბრალად ერაცხება ფსიქო-ფიზიკურად აბსოლუტურად მართვადი ქცევის განხორციელება (ცხადია, ამით სულაც არ უარიყოფა სიმთვრალეში ჩადენილ ან სხვა მსგავსი სახის დანაშაულთა დასჯადობა, რამეთუ საბოლოო ჯამში აქაც სუბიექტს ბრალად მხოლოდ ფსიქო-ფიზიკურად აბსოლუტურად მართვადი ქცევა ერაცხება).

დაბოლოს, განსახილველ თეორიასთან მიმართებაში უთუოდ უნდა გამოიყოს დიასის შესაბამისი კონცეფციის კ. როქსინთან წარმოდგენილი კრიტიკაც. ამ პირველის თანახმად, ფსიქიკური ანომალიის დროს პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ეთიკურად დასაბუთებული ბრალი მოითხოვს „პერსონალური კომუნიკაციის" აქტს მოსამართლესა და ბრალდებულს

შორის, რაც ვერ იქნება მოცემული, როდესაც სუბიექტის პიროვნება მიუწვდომელი რჩება „მოსამართლის შეცნობითი განხილვისათვის (die verstehende Betrachtung)". ამაზე კ. როქსინი სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ ბრალი და სასჯელი მოსამართლეთა „შეცნობით უნარზე" კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, რომელიც აუცილებლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ უნდა ექვემდებარებოდეს ობიექტურ დადგენას. კ. როქსინის მოცემულ შენიშვნას შეიძლება დავძინოთ მხოლოდ ის, რომ ბრალის ობიექტური დადგენადობა სისხლის სამართლის კანონის წინაშე სუბიექტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, ვინაიდან თუ ბრალი უარვყავით როგორც ობიექტურად დადგენადი ფენომენი, ბრალის დაფუძნების საკითხი სხვადასხვა სუბიექტის ერთი და იმავე ქცევის (ანუ ამ ქცევის ობიექტურ და სუბიექტურ მახასიათებელთა აბსოლუტური იდენტურობის პირობებში) მიმართ შესაძლოა გადაწყდეს სხვადასხვაგვარად, რაც უშუალოდ განაპირობებს აგრეთვე ამ სუბიექტთა მიმართ პასუხისმგებლობის დაფუძნების საკითხის არაერთგვაროვან გადაწყვეტას.

ბრალი როგორც „შერაცხვა ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით"

კ. როქსინის კრიტიკის საგანს მოცემულ შემთხვევაში გ. იაკობსის შეხედულებები შეადგენს. როგორც ეს პირველი აღნიშნავს, ლუმანის სისტემურ-თეორიულ კონცეფციებზე დაყრდნობით გ. იაკობსი აყალიბებს „ბრალის ფუნქციონალურ ცნებას", რომლის ფარგლებშიც ბრალი გაიგება როგორც შერაცხვა ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით. კ. როქსინი აღნიშნავს, რომ გ. იაკობსთან ბრალი „მიზნით განსაზღვრული ცნებაა" და რომ „მხოლოდ მიზანი სძენს ბრალის ცნებას შინაარსს".

ამასთანავე, ზოგად პრევენციაში, როგორც ბრალის მიზანში, გ. იაკობსი გულისხმობს არა დაშინებას, როგორც ეს სისხლისსამართლებრივი პრენვენციის ტრადიციული შინაარსიდან გამომდინარეობს, არამედ ზოგადად სუბიექტთა სამართლისადმი მორჩილებაში მოყვანას. გ. იაკობსთან „ბრალის წარმმართველად განმსაზღვრელი მიზანი" მდგომარეობს „დელიქტური ქცევით დარღვეული მართლწესრიგის ნდობის სტაბილირებაში", რა დროსაც ბრალის შერაცხვითა და ბრალით დაფუძნებული სასჯელით „ნდობის მართებულობა ნორმის მართებულობაში" უნდა დადასტურდეს (ასე კვლავ კ. როქსინი).

გარდა ამისა, კ. როქსინი, იხილავს რა გ. იაკობსის პოზიციას „პათოლოგიურ დამნაშავეთა" ბრალუნარიანობის საკითხთან მიმართებაში, ასკვნის, რომ გ. იაკობსთან ბრალუნარიანობა ემპირიულად დადგენადი ფენომენი კი არ არის, არამედ მასთან დასაშვებად მიიჩნევა დავა აღნიშნული სახის სუბიექტთა ბრალუნარიანობის შესახებ, მას შემდეგ რაც თანამედროვე მედიცინის პირობებში შესაძლებელი გახდა

მათი განკურნება. უკეთ რომ ვთქვათ, კ. როქსინს მხედველობაში აქვს ის, რომ რადგანაც გ. იაკობსთან შესაძლებელია ბრალუნარიანობის გარკვევა განსაზღვრული დავის შედეგად, ამ უკანასკნელთან უარიყოფა განსახილველი ცნების ფაქტობირვი ხასიათის აბსოლუტურობა. ვფიქრობთ, კ. როქსინის დასკვნა მოცემულ შემთხვევაში ნაკლებად საფუძვლიანია, ვინაიდან თვით ფაქტი განსაზღვრული ფენომენის დავის შედეგად მიღებისა ჯერ სულაც არ ნიშნავს მოცემული ფეონმენის ფაქტობრივი ხასიათის აბსოლუტურობის უარყოფას. დავას ამა თუ იმ ფაქტის მოცემულობის შესახებ, რასაც გ. იაკობსთან ვხვდებით, არაფერი აქვს საერთო შეფასებით მსჯელობასთან და, მაშასადამე, მოცემული ფაქტის „ფაქტობრივობის" უარყოფასთან. კ. როქსინის აქ წარმოდგენილი ლოგიკით, ყოველგვარი მსჯელობა შეფასებითი მსჯელობაა, რაც თავისთავად სრული შეუსაბამობაა.

მაგრამ, ამავე დროს, გ. იაკობსის თეორიასთან მიმართებაში კ. როქსინის მიერ წარმართული კრიტიკის ძირითადი მხარე არსებითად სხვა მომენტებს უკავშირდება. კ. როქსინის მტკიცებით, გ. იაკობსის თეორიის საწინააღმდეგოდ უმთავრესად მეტყველებს ის, რომ აქ ბრალის პრინციპის „დასჯადობის შემზღუდველი ფუნქცია" ერთმნიშვნელოვნად ზოგად პრევენციას ეწირება. „სუბიექტის დასჯადობა, — შენიშნავს კ. როქსინი, — მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება არა იმ გარემოებებით, რომლებიც მის პიროვნებაშია მოქცეული, არამედ იმისდა მიხედვით, რაც თითქოსდა მოქალაქეთა სამართლისადმი მორჩილებაში მოსაყვანად, მათი მართლწესრიგის ნდობის სტაბილირებისათვის არის აუცილებელი. ეს თვალნათლივ იკვეთება, როდესაც იაკობსი თვითგანკარგვისათვის სრულიად უუნარო პათოლოგიური დამნაშავის ბრალეულად აღიარებასა და დასჯას მოითხოვს, თუ მისი ავადმყოფობის განსაკურნავად არავითარი პერსპექტიული მეთოდები ცნობილი არ არის. მსგავს არგუმენტაციას გვთავაზობს გ. იაკობსი რეციდივის შემთხვევაში, რა დროსაც ის რეციდივისტის სამართლისადმი მორჩილების შემცირებულ უნარს უპირობოდ აღიარებს, მაგრამ, სოციალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იგნორირებს."467 ყოველივე ამასთან ერთად, კ. როქსინი მიუთითებს აგრეთვე იმაზეც, რომ სუბიექტის ამგვარ „ინსტრუმენტალირებას" ანუ მის, როგორც საზოგადოებრივი სტაბილირების ინტერესთა ინსტრუმენტის, გამოყენებას ჯერ კიდევ კანტი განიხილავდა როგორც ინდივიდთა ღირსების ხელყოფას.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ კ. როქსინის მოცემული კრიტიკის საფუძვლიანობას, აუცილებელია აგრეთვე მისი მორიგი მოსაზრების წარმოდგენაც, რომლის ფარგლებშიც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ გ. იაკობსი ზოგადი პრევენციის მნიშვნელობის გამოყოფით ფაქტობრივად აქარწყლებს ზოგადი პრევენციის ქმედითობას, რადგან თუ სასჯელი დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა განახორციელა სუბიექტმა როგორი განწყობით, არამედ იმაზე, თუ რა ესახება მოსამართლეს დარღვეული მართლწესრიგის ნდობის აღდგენისათვის აუცილებლად და თუ ბრალი

სუბიექტის განკურნადობის შემთხვევაში უარიყოფა, განუკურნებლობის დროს კი მოცემულად მიიჩნევა, ... ეს ძნელად თუ შეუწყობს ხელს სისტემის სტაბილირებას."468 ამის მიზეზად კ. როქსინი იმ გარემოებას ასახელებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალის დაფუძნება ან უარყოფა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა განახორციელა ან არ განახორციელა სუბიექტმა საკუთარი ნების შესაბამისად, არამედ ფაქტორებზე, რომლებსაც არაფერი აქვთ მასთან საერთო და რომ ეს ძნელად თუ შეუწყობს ხელს მოქალაქის „მართლწესრიგის ნდობის" განმტკიცებას.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ გ. იაკობსის იმ კონკრეტულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ბრალის მოცემულობა შეიძლება იყოს დამოკიდებული მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმხორციელებელი „პათოლოგიური დამნაშავის" განკურნადობაზე, მაგრამ ზოგადად გ. იაკობსის თეორიის კრიტიკა იმ სახით, რა სახითაც ეს კ. როქსინთან არის წარმოდგენილი, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა. ამ მხრივ, ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფდით კ. როქსინის უკანასკნელ შენიშვნას, სადაც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ გ. იაკობსის კონცეფცია ბრალის ცნების ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით განსაზღვრის შესახებ მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თვით ზოგადი პრევენციის ინსტიტუტის ქმედითობას. კ. როქსინი გ. იაკობსის შეხედულებებს მოცემულ შემთხვევაში წარმოგვიდგენს იმგვარად, თითქოს საკუთრივ კონკრეტულ ფსიქოლოგიურ ქცევას ან, უფრო ზუსტად, მოცემული ქცევის მართვადობას ბრალის დასაფუძნებლად აქ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს და ყოველივე მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზნებით განისაზღვრებოდეს. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ კ. როქსინი ამით მნიშვნელოვნად აუკუღმართებს არსებულ ვითარებას, რაც ძნელად თუ ჩაითვლება მისაღებად მეცნიერული ეთიკის თვალსაზრისით.

როდესაც კ. როქსინი ამტკიცებს, რომ გ. იაკობსის თეორიას მივყავართ სუბიექტთა ბრალეულად აღიარებამდე მათი ნებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ფაქტორებზე დაყრდნობით, მის ამოსავალ მომენტს და იმავდროულად ერთადერთ არგუმენტსაც ზემომოტანილი „პათოლოგიური დამნაშავის" შემთხვევა შეადგენს. რა თქმა უნდა, აქ მართლაც სახეზეა სუბიექტის ბრალეულად აღიარება მისი ნებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ფაქტორებზე დაყრდნობით, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში სუბიექტი საერთოდ მოკლებულია მართლზომიერი ნების ჩამოყალიბებისა და მოცემული ნების შესაბამისად მოქმედების ფსიქოლოგიურ უნარს. მაგრამ ეს ჯერ სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს გ. იაკობსი ზოგადად დასაშვებად მიიჩნევდეს ამა თუ იმ ქმედების ბრალეულად აღიარებას მხოლოდ ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით და სუბიექტის კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევის მართვადობის გაუთვალისწინებლად. ამ ლოგიკით გამოდის, რომ გ. იაკობსი საერთოდ უნდა უარყოფდეს ბრალის გამომრიცხველი გარემოების ტრადიციულ ცნებას, რაც, ბუნებრივია, ასე არ არის.

ზოგადად გ. იაკობსის თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის სუბიექტის კონკრეტულ (ფსიქოლოგიურად სრულყოფილად მართვად) ქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ბრალეულად, თუ ამასთანავე სახეზეა სათანადო ზოგადპრევენციული საჭიროება. ჩვენ მოცემულ შეხედულებას, ცხადია, ვერ მივემხრობით, მაგრამ განა ის არ იძლევა თვით კ. როქსინის შესაბამის კონცეფციასთან გარკვეული პარალელების გავლების შესაძლებლობას (თუმც არა უშუალოდ ბრალის ცნებასთან მიმართებაში, მაგრამ ზოგადად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრით)? როგორც ზემოთ უკვე ვიხილეთ, კ. როქსინი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის დაფუძნებისას, გარდა ბრალის პრინციპისა, უნდა გამოიყოფოდეს აგრეთვე „სანქციის პრევენციული აუცილებლობაც". მართალია, კ. როქსინს უპირატესად სპეციალური პრევენცია აქვს მხედველობაში, მაგრამ ეს მაინც არ გამორიცხავს ჩვენთვის სასურველი პარალელის გავლების შესაძლებლობას, რამეთუ ორივე შემთხვევაში საუბარია სისხლისსამართლებრივ პრევენციაზე. ხსენებული ანალოგიურობა კი იმაში გამოიხატება, რომ კ. როქსინიც და გ. იაკობსიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნებას პრევენციის საჭიროების გარეშე გამორიცხავენ. კ. როქსინთან ამით საბოლოო ჯამში დანაშაული უარიყოფა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გენერალური საფუძველი, ხოლო გ. იაკობსთან, რადგანაც ის პრევენციის მნიშვნელობას უკვე ბრალის სფეროში არკვევს, დანაშაული ფორმალურად კვლავაც რჩება პასუხისმგებლობის გენერალურ საფუძვლად.

დასასრულ, გ. იაკობსის თეორიის როქსინისეულ კრიტიკასთან მიმართებაში, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გვსურს ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ კ. როქსინის პოზიცია, რომლის მიხედვითაც მის მიერ წარმოდგენილი ზემოგანხილული თეორია, ბრალის პრინციპისა და „სანქციის პრევენციული აუცილებლობის" თანამოცემულობის სახით, სისხლისსამართლებრივი რეპრესიისაგან სუბიექტთა ორმაგ დაცვას უზრუნველყოფს, გ. იაკობსის მოძღვრებით კი მოცემული დაცვის ამჟამად არსებული მექანიზმიც უარიყოფა, სინამდვილეს არ შეესაბამება. კ. როქსინი, მართალია, პირდაპირ არ მიუთითებს, რომ გ. იაკობსი უარყოფს ბრალის ცნებისათვის გასაკიცხობის დოგმატურ მნიშვნელობას, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი კრიტიკული ანალიზიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოცემული დასკვნა გამომდინარეობს. ხოლო თუ შევეცდებით ორთავე კრიმინალისტის შეხედულებათა განზოგადებულ ურთიერთშედარებას, უნდა დავასკვნათ, რომ მათთან ადგილი აქვს, პასუხისმგებლობის დაფუძნების თვალსაზრისით, გასაკიცხობის ტრადიციული მნიშვნელობის უარყოფას, რასაც სისხლისსამართლებრივი პრევენციის თეორიული მნიშვნელობის სრულიად ახლებური აქცენტირება განაპირობებს.

ბრალი როგორც „უმართლო ქმედება, მიუხედავად ნორმატიული მოთხოვნადობისა”

„უმართლო ქმედებას, მიუხედავად ნორმატიული მოთხოვნადობისა” კ. როქსინი განმარტავს როგორც მდგომარეობას, რომლის დროსაც სუბიექტი, თავისი გონებრივი მონაცემებიდან გამომდინარე, ფლობდა კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად მოქმედების გადაწყვეტილების შესაძლებლობას. ამასთანავე, კ. როქსინი მოცემული თეორიის დადებით მხარედ მიიჩნევს იმას, რომ ის მართლზომიერი ქცევის გადაწყვეტილების შესაძლებლობის გარკვევისას სრულიად იგნორირებს ნების თავისუფლების პრობლემას (ფილოსოფიური გაგებით). გარდა ამისა, კ. როქსინი იქვე შენიშნავს, რომ შეხედულება, რომლის შესაბამისადაც სისხლის სამართალი გვერდს უნდა უვლიდეს ნების თავისუფლების შესახებ ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო დავას, თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულად უნდა ჩავთვალოთ, რა დროსაც ის ლაქნერის შენიშვნაზე მიუთითებს, „რომ არც ცოდნის თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით მოიპოვება და ალბათ ვერც ვერასოდეს მოიძიება მეთოდი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა განსაზღვრულ ვითარებაში განსაზღვრული ქმედების თავიდან აცილების უნარის მეცნიერულ დასაბუთებას.” მაშასადამე, აქ წარმოდგენილი ლოგიკით, ნების თავისუფლების პრობლემას სისხლის სამართალი იმიტომ კი არ უნდა უვლიდეს გვერდს, რომ ის სისხლისსამართლებრივად არსებითად უმნიშვნელოა, არამედ იმიტომ, რომ არ ჩანს ფილოსოფიაში მისი საბოლოო გადაწყვეტის პერსპექტივა. და რაც მთავარია, კ. როქსინს ეს ლოგიკა სრულიად გამართლებულად მიაჩნია.

რაც შეეხება უშუალოდ მტკიცებას, რომ თანამედროვე სისხლის სამართალში ნების თავისუფლების დოგმატური მნიშვნელობის იგნორირება გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს, კ. როქსინს აქ უთუოდ უნდა დავეთანხმოთ, რამეთუ თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიაში სულ უფრო და უფრო იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ნების თავისუფლების პრობლემა (ფილოსოფიური გაგებით) ბრალეულობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უკვე მხედველობაში არ მიიღება. ამის თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს ავსტრიის სისხლის სამართალი, სადაც გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ საკუთრივ ნების თავისუფლების პრობლემის უგულებელყოფა (ხსენებული გაგებით), არამედ აგრეთვე თვით განსახილველი თეორიაც ანუ ბრალი როგორც „უმართლო ქმედება მიუხედავად ნორმატიული მოთხოვნადობისა”, რასაც გარკვევით მოწმობს წამყვანი თანამედროვე ავსტრიელი კრიმინალისტების დ. კინაპფელისა და ფ. ჰიოპფელის შემდეგი მტკიცება: „რათა ეს ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ფორმულა (საუბარია ბრალზე როგორც გასაკიცხობაზე — ავტორი) ცარიელ ფრაზად არ დარჩეს, ის მოითხოვს გარკვეულ განვრცობას ბრალის სისხლისსამართლებრივ მასშტაბზე დაყრდნობით. მრავალი

უკავშირებს ამ საკითხს ნების თავისუფლების პრობლემას და ამის შედეგად თავს ვერ აღწევს დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის ისევე უნაყოფო, როგორც გადაუჭრელ დავას... ამის საპირისპიროდ ავსტრიაში გაბატონებულ მოძღვრებას შუალედური პოზიცია უდევს საფუძვლად, რომელიც თავს არიდებს მოცემულ დავას და ძირითადი აქცენტი ინდივიდის ნორმატიული მოთხოვნადობის ემპირიულ ფაქტზე გადააქვს."469

ჩვენი აზრით, ეს პოზიცია, ისევე, როგორც ზოგადად განსახილველ თეორიაში წარმოდგენილი თვალსაზრისი, პრობლემის მართებულ გადაჭრად ვერ მიიჩნევა, მაგრამ ის უთუოდ მოიცავს პრობლემის მართებული გადაჭრის ტენდენციას. უკანასკნელი მომენტი არსებითად მდგომარეობს იმაში, რომ აქ საბოლოოდ იქნა უარყოფილი ნების თავისუფლების ფსიქოლოგიური ცნების მნიშვნელობა ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების განსაზღვრის თვალსაზრისით და ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა სუბიექტის ნორმატიულ სინამდვილეში წარმოდგენილ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებზე, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის მოუცემლობა აისახება იმაში, რომ ყოველივე ამის შედეგად ჯერაც ვერ იქნა მიღებული ნების თავისუფლების უარყოფილი ცნების ადგილას ნების თავისუფლების სისხლისსამართლებრივი ცნების ჩამოყალიბება.

მაგრამ ვნახოთ თუ როგორ განავითარებს კ. როქსინი ნების თავისუფლების შესახებ თავის ზემოწარმოდგენილ ანალიზს. „...სახეზეა ერთსულოვნება იმის თაობაზე — აღნიშნავს ის, რომ სისხლის სამართალი ნების თავისუფლების მოცემულობიდან უნდა ამოდიოდეს, თუმც ის ზუსტად ვერ დამტკიცდება. ერთადერთი საცილო მომენტი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ჩვენი თვალთახედვის მოწინააღმდეგეთა თანახმად, დეტერმინისტს არც შეუძლია და არც აქვს უფლება მსგავსი პოზიცია გაიზიაროს. თითქოს უფრო მეტად ნების თავსუფლებაზე უნდა გვეფიქრა..., რათა შეგვძლებოდა სამართლებრივი ცნებებისათვის მისი საფუძვლად დადება. მაგრამ მსგავი მოთხოვნა მეცნიერულად არც შესაძლო და არც საჭირო არ არის." 470 მაშასადამე, რეალურად კ. როქსინი კი არ უარყოფს სისხლის სამართალში ნების თავისუფლების ფილოსოფიური ცნების მნიშვნელობას, არამედ ამოსავალ მომენტადაც მიიჩნევს. ის, რომ ნების თავისუფლება ფილოსოფიური გაგებით დაუმტკიცარია, კ. როქსინისთვის სრული უმნიშვნელობაა! შესაბამისად, სისხლის სამართალი ნების თავისუფლების ფილოსოფიურ ცნებას კი არ უნდა უვლიდეს გვერდს, არამედ იმას, რომ ნების თავისუფლება ფილოსოფიური გაგებით დაუმტკიცარია. ჩვენი აზრით, საკითხის ამაზე უფრო არამეცნიერული გადაწყვეტა ძნელად წარმოსადგენია.

ამასთანავე, კ. როქსინი არც იმის მტკიცებას ერიდება, რომ მისი თეზისი ნების თავისუფლების აღიარების შესახებ, არ არის რა დამოკიდებული ემპირიულ გარემოებებზე, თანაბრად უნდა იყოს მისაღები როგორც ინდეტერმინისტებისათვის, ასევე დეტერმინისტებისთვისაც.

მაგრამ კ. როქსინი ხომ ნების თავისუფლების უპირობო აღიარებაზე საუბრობს. მაშასადამე, დეტერმინისტებისათვის არაფერი უნდა იყოს მიუღებელი ნების თავისუფლების უპირობო აღიარებაში!!

ცდილობს რა გამოკვეთოს განსახილველად წარმოდგენილი მოძღვრების ძირითადი პოზიტიური მხარე, კ. როქსინი აღნიშნავს: „...ბრალის ეს ცნება იმ უპირატესობით გამოირჩევა, რომ ის სათანადოდ პასუხობს იმ თვალსაზრისის მოთხოვნებს, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის საზღვრებს საზოგადოებრივად უკიდურესად დაუშვებლის ფარგლებში... სისხლის სამართლის გამოყენება იქ სრულიად მიზანშეუწონელია, სადაც ვერ საბუთდება თვალსაზრისი, რომ სუბიექტი კანონით მოტივირებადი იყო...”471 აქ კ. როქსინი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ განსახილველი თეორია არანაირ სირთულეებს არ ქმნის სულით ავადმყოფთა, მცირეწლოვანთა და დაუძლეველი შეცდომის მდგომარეობაში მყოფ პირთა ბრალუუნარობის დასაბუთების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, მოცემულ შემთხვევაში კ. როქსინის თვალთახედვა სრულიად მართებულია. ამასთანავე, აქვე უნდა შეინიშნოს ისიც, რომ მოცემულ თეორიაში განვითარებული ლოგიკის მიხედვით, შეურაცხადობისა თუ დაუძლეველი შეცდომის პირობებში სუბიექტს კი არ მიეტევება სისხლისსამართლებრივად შესაბამისი მოვალეობის დარღვევა, არამედ საერთოდ არ ეკისრება მართლზომიერი ქცევის მოვალეობა, რის მეტად საგულისხმო თეორიულ მნიშვნელობაზე ჩვენ ზემოთ არაერთგზის მივუთითეთ.

რაც შეეხება განსახილველი თეორიის როქსინისეულ კრიტიკას, აქ ყურადღება უმთავრესად მის შემდეგ მოსაზრებაზე უნდა გამახვილდეს: „ბრალის აქ წარმოდგენილი ცნება... ეფუძნება სასჯელის სოციალურ გამართლებას და, ამდენად, ერთგვარ მსგავსებას ავლენს ხასიათით განსაზღვრული ბრალის მოძღვრების ცალკეულ მიმდინარეობებთან..., ისევე, როგორც იაკობსის ბრალის ფუნქციონალურ ცნებასთან... მაგრამ მასში უკეთ არის გამოხატული, ვიდრე ამ უკანასკნელ თეორიებში, ბრალის პრინციპის სამართლებრივსახელმწიფოებრივ-ლიბერალური დაცვითი ფუნქცია (rechtsstaatlich-liberale Schutzfunktion), ვინაიდან, ამ პირველის მიხედვით, ბრალი არ არის დამოკიდებული მერყევ და ცვალებად, ზოგადი თუ სპეციალური პრევენციის ნამდვილ თუ მოჩვენებით საჭიროებაზე, არამედ განისაზღვრება სუბიექტის თვითმართვადობის უნარისა და, ამდენად, პრინციპულად ემპირიული დადგენისათვის ხელმისაწვდომი კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც მკაცრ საზღვრებში აქცევს სისხლისსამართლებრივ რეპრესიას.”472 როგორც ვხედავთ, კ. როქსინის კრიტიკა მოცემულ შემთხვევაში მეტად ფორმალური ხასიათისაა და მის ძირითად მიზანს ზემოგანხილულ თეორიათა მიმართ განსახილველი თეორიის უპირატესობის გამოყოფა შეადგენს.

ზემოწარმოდგენილ თეორიებთან ერთად კ. როქსინი ზოგადად ეხება აგრეთვე ე. წ. სასჯელის დამაფუძნებელი ბრალისა და სასჯელის ხარის-

ხის განმსაზღვრელი ბრალის თეორიას (Strafbegründungs- und Strafzumessungsschuld), რომელიც თავის დასაბამს ახენბახთან იღებს. კ. როქსინთან მოცემული მოძღვრება მხოლოდ პოზიტიური აქცენტირების საგნად გვევლინება. მასთან სისხლის სამართლის სისტემატიკაში ბრალის ამ ორი ცნების თანამოცემულობა აბსოლუტური თავისთავადობაა. გაურკვეველი მხოლოდ ის არის, თუ რატომ არაფერს შენიშნავს კ. როქსინი მოცემულ შემთხვევაში ბრალის ცნების მიზნით განსაზღვრულობის, მასში ფუნქციონალური ასპექტის აბსოლუტირების მიუღებლობაზე, როგორც ამას გ. იაკობსის თეორიის მის მიერ წარმოდგენილი კრიტიკის ფარგლებში ჰქონდა ადგილი.

თავი მეშვიდე

ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის რეფორმა

§1. *DOLUS COMPOSITUS*

განზრახვის ტრადიციული მოდელი

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლში აღინიშნება: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“. ცხადია, კონსტიტუციის პრინციპებიდან თავისთავად გამომდინარეობს ის, რომ არავინ შეიძლება სისხლის სამართლის წესით აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული არ არის (*nullum crimen sine lege)*, ისევე, როგორც ქმედებისათვის, რომლის განხორციელებაშიც მას ბრალი არ მიუძღვის (*nulla poena sine culpa*). მიუხედავად ამისა, სსკ-ს მე-9 მუხლი (დანაშაულის განზრახ ჩადენა) სისტემატურად გამოიყენება მოცემული პოსტულატების საწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, კონსტიტუციის 39-ე მუხლის საზიანოდაც. ამასთან, კრიტიკის საგანს უნდა შეადგენდეს არა იმდენად სასამართლო ხელისუფლების თვითნებობა, რამდენადაც თვით მე-9 მუხლის დოგმატური ასპექტი, ე.ი. პასუხისმგებლობა განსახილველი არაადეკვატურობისათვის უპირატესად უნდა დაეკისროს კანონმდებელს და არა მოსამართლეს.

ერთი შეხედვით, ლოგიკურად ყოვლად გაუმართლებელია, რომ კანონის არასწორად გამოყენების შემთხვევაში კანონშემოქმედებითი ორგანოს პასუხისმგებლობაზე ვისაუბროთ. მაგრამ ლოგიკური აზროვნება ზოგჯერ

უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ ორ ობიექტს შორის ლინეარული კავშირის კონსტატირებაა.

რაში მდგომარეობს ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილი საკითხის პრობლემურობა? პრობლემურობის პირველწყარო მოცემულ შემთხვევაში განზრახი ბრალის ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა თანაფარდობაა.

ბრალის ამ სახეს, როგორც ცნობილია, ორი შემდეგი ქვესახე განეკუთვნება: პირდაპირი და ირიბი, ანუ ევენტუალური განზრახვა. პირდაპირი განზრახვის დროს სუბიექტი, სურს რა დელიქტური შედეგი, ითვალისწინებს მისი დადგომის აუცილებლობას; ირიბი განზრახვისას კი სუბიექტს მართლსაწინააღმდეგო შედეგი არც სურს და არც მისი განხორციელების აუცილებლობა აქვს გათვალისწინებული, ის მხოლოდ შეგნებულად უშვებს საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

განვიხილოთ განზრახვის ამგვარი ინტელექტუალურ-ნებელობითი აგებულება კონკრეტულ მაგალითზე. ვთქვათ, სადაზღვევო თანხის უკანონოდ დაუფლების მიზნით, სუბიექტი ცეცხლს უკიდებს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რა დროსაც დაბეჯითებით უწყის, რომ ნაგებობის განადგურება აუცილებლად გამოიწვევს პარალიზებული მოხუცის დაღუპვას.

თუ სუბიექტს სულაც არ სურს თავისი ქმედების თანამდევი შედეგი (ე.ი. დაზარალებულის დაღუპვა), ადვილად დავასკვნით, რომ სახეზეა შემთხვევა, რომლის დროსაც პირი თუმც შეგნებულად უშვებს დანაშაულებრივ შედეგს, მაგრამ ითვალისწინებს მისი განხორციელების არა შესაძლებლობას, არამედ სწორედ აუცილებლობას.

ის, რომ სუბიექტური ქმედების ეს ტიპი ზოგადად მოიცავს სისხლისსამართლებრივი განზრახვის ნიშნებს, უცილოა: დელიქტური შედეგის შეგნებული დაშვებაც, როგორც ქმედების ნებელობითი ასპექტი და მისი დადგომის აუცილებლობის გათვალისწინებაც, როგორც ამავე ქმედების ინტელექტუალური მხარე, განზრახი ბრალისათვის იმანენტური მომენტია.

ამდენად, სისხლისსამართლებრივი განზრახვის მოცემულობა აქ აბსოლუტურ თავისთავადობად უნდა ჩავთვალოთ.

მაგრამ დანაშაულის კვალიფიკაციის დროს ინტერესის ობიექტს წარმოადგენს არა სისხლისსამართლებრივი განზრახვა ზოგადად, არამედ მისი კონკრეტული სახე. უკეთ რომ ვთქვათ, ქმედების განზრახ დანაშაულად აღიარება დაიშვება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მასში სრულყოფილად არის გამოვლენილი პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვის ნიშნები და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის შეესაბამება სისხლისსამართლებრივი განზრახვის გენერალურ ცნებას.

საქმე კი სწორედ რომ ეს არის. ზემოხსენებული ქმედების ნიშნები, მართალია, ზოგადად ემთხვევა სისხლისსამართლებრივი განზრახვის ცნებაში აღწერილ ნიშნებს, მაგრამ კონკრეტულად განზრახვის არც ერთ სახეს, არც პირდაპირ და არც ევენტუალურ განზრახვას არ ესატყვისება.

თუ მივიჩნევთ, რომ სუბიექტი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, მაშინ მას, გარდა იმისა, რომ ითვალისწინებდა დაზარალებულების დაღუპვის აუცილებლობას, აგრეთვე უნდა ჰქონოდა მოცემული შედეგის განხორციელების სურვილიც, რის გარეშეც პირდაპირი განზრახვის ნებელობითი მომენტი მოცემულად ვერ ჩაითვლება. ამრიგად, პირდაპირი განზრახვა, მისი ნებელობითი მხრიდან გამომდინარე, უსათუოდ უნდა გამოირიცხოს.

დიამეტრულად საპირისპიროა ის წინააღმდეგობა, რომელსაც ირიბ განზრახვასთან მიმართებაში ვაწყდებით. ირიბ განზრახვას მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, სუბიექტს რომ შეგნებულად დაეშვა დაზარალებულის დაღუპვის არა აუცილებლობა, არამედ მარტოოდენ შესაძლებლობა, რადგან ამგვარად არის აგებული ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური მხარე. მაშასადამე, განზრახი ბრალის მეორე სახეც, მისი ინტელექტუალური ნიშნის შესაბამისად, ასევე უნდა გამოვრიცხოთ.

ამავე დროს, უკანასკნელი დასკვნიდან თავისთავად გამომდინარეობს იმ მიზეზთა კონტრასტულობა, რომელთა გამოც ზემოაღწერილ ქმედებაში უარყოფილ იქნა განზრახვის ცალკეული სახეთა მოცემულობა: თუ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში სირთულეს ნებელობითი მხარის აგებულება განაპირობებდა, ევენტუალური განზრახვის დროს აქცენტირების ობიექტად უკვე ინტელექტუალური მხარის კონსტრუქცია წარმოგვიდგა.

როგორც ამ მოკლე ანალიზიდან ჩანს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ქმედება, ნებელობითი თვალსაზრისით, ესადაგება ევენტუალურ განზრახვას, ინტელექტუალური თვალსაზრისით კი, პირდაპირი განზრახვის შესაბამისია, რაც საბოლოო ჯამში იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ქმედება არც პირდაპირი განზრახვის გამომხატველია და არც ევენტუალურისა (ცხადია, ზემომოტანილი ქმედება აქ იგულისხმება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის დაღუპვასთან ანუ თანამდევ და არა ძირითად შედეგთან — სადაზღვევო თანხის უკანონოდ დაუფლებასთან).

ამასთანავე, როდესაც, ერთი მხრივ, განზრახვის არც ერთი სახეა მოცემული და არც მეორე, მაგრამ მეორე მხრივ, ქმედება ზოგადად მაინც არ სცილდება სისხლისსამართლებრივი განზრახვის ფარგლებს, გასაგები უნდა იყოს, რომ გამოსავალს ვერც გაუფრთხილებელ ბრალში ვეძიებთ.

ამდენად, იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ სუბიექტს მკვლელობა არ ჩაუდენია არც პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვის და არც, მით უმეტეს, თვითიმედოვნების ან დაუდევრობის შედეგად, ე.ი. მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას ვერ ვცნობთ ბრალეულად მკვლელობის ვერც განზრახ და ვერც გაუფრთხილებლობით ჩადენაში. ხოლო, სადაც არ არსებობს ბრალი, იქ ვერ იარსებებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

ამ კონკრეტული მაგალითიდან თამამად შეიძლება იმის ინდუცირება, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ სურს, მაგრამ შეგნებულად

უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობას და არა შესაძლებლობას, დასჯადობისა და ბრალეულობის საფუძველი არ მოიცემა. დავსაჯოთ სუბიექტი ამ სახის ქმედებისათვის, ნიშნავს დავსაჯოთ ის მოქმედი სისხლის სამართლის კანონის იგნორირებით.

მიუხედავად ამ უდავო ჭეშმარიტების დიდმნიშვნელოვნებისა, სასამართლო მას სრულიად უგულისყუროდ ტოვებს და ამით რეალურად არსებულ დილემასაც „ვერ ამჩნევს“. დილემის შინაარსი კი მდგომარეობს იმაში, ხელვყოთ კანონის მიღმა დანაშაულის არარსებობის პრინციპი თუ არა.

ამის გადასაწყვეტად, თავის მხრივ, უმთავრესია გაირკვეს, თუ რას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა — თვით ამ პრინციპს თუ ზემოგანხილული ქმედების დასჯადობის საჭიროებას.

მართალია, მსგავსი ქმედება უთუოდ უნდა იქნეს კრიმინალიზებული, მაგრამ ეს ფაქტორი თავისი შედარებით ლოკალური, კერძო ხასიათის გამო ვერ დაჩრდილავს ისეთ უზოგადეს პრინციპს, როგორსაც ის ამ კონკრეტულ ვითარებაში უპირისპირდება. ამიტომ მოცემული შემთხვევა სისხლის სამართლის ანალოგიის ინსტიტუტის შემოღებას საფუძვლად ვერ დაედება.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკაში საკითხის მცდარ დაყენებას, უნდა აღინიშნოს, რომ მასში დემონსტრირებული პოზიცია ძნელად თუ გაუძლებს სერიოზულ კრიტიკას. აქ ყოვლად დაუსაბუთებლად ეყრდნობიან იმ მოსაზრებას, თითქოს შედეგის გარდუვალობის გათვალისწინება აპრიორულად მოწმობდეს სუბიექტისათვის მის სასურველობას. მაგრამ თუ ინტელექტუალური მომენტი უშუალოდ განსაზღვრავს ნებელობით მომენტს, მაშინ როგორ უნდა აიხსნას ის, რომ ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ნებელობითი ასპექტები, მიუხედავად ინტელექტუალურ ასპექტთა აბსოლუტური იდენტურობისა, პრინციპულად განსხვავდება ერთიმეორისაგან?!

ამგვარად, ადვილად მისახვედრია, რომ მართლმსაჯულების სფეროში დამკვიდრებული შეხედულება სხვა არაფერია, თუ არა უაღრესად სპეკულაციური სქოლასტიციზმი. ამავე დროს, ასევე თვალსაჩინოა ის მიზეზიც, რომელიც ამ შეხედულებას განაპირობებს, — უდავოა, რომ საკითხის მართებული დაყენება აუცილებლად მოითხოვდა მის მართებულ გადაჭრასაც, ე.ი. კანონის გარეშე დანაშაულის არარსებობის პრინციპის დაურღვევლობასა და ზემოაღნიშნული საზოგადოებრივად საშიში ქმედების დასჯადად კვალიფიცირებისაგან თავის შეკავებას.

მაგრამ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყოველი თეორიულად გაუმართლებელი თვალსაზრისი იმავდროულად პრაქტიკულადაც გაუმართლებელია; ხსენებული დილემის შეგნებული გაუთვალისწინებლობა და ქმედების განსახილველი ტიპის დასჯადობაში ეჭვის შეუტანლობა უფრო ემსახურება კრიმინალური პოლიტიკის მიზნებს, ვიდრე ეწინააღმდეგება მათ.

ამასთანავე, უცილობლად უნდა გაესვას ხაზი იმ მომენტსაც, რომ სასამართლო, თავს არიდებს რა პრობლემის მართებული კუთხით გაშუქებას,

ცდილობს პრაგმატულობის იდეას მხოლოდ ირიბად დაუქვემდებაროს ფუნდამენტური სისხლისსამართლებრივი დოგმის ხელყოფა. ხოლო, რამდენადაც აქ წარმოდგენილი შემთხვევა აშკარად სცილდება ორდინარულობის ფარგლებს (რამეთუ საქმე გვაქვს ქმედების ისეთ სახესთან, რომელიც წარმოადგენს მომეტებულ საზოგადოებრივ საფრთხეს), მით უფრო მცირდება პასუხისმგებლობის ხარისხი სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებაში და საბოლოოდ იკვეთება კანონმდებლობის გადამწყვეტი ნეგატიური როლიც. კონკრეტულად რომ ვთქვათ, თვით მუხლი, თავისივე შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განაპირობებს მის არასათანადო გამოყენებას.

ახლებური გადაჭრის ტენდენცია

რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი აზრისათვის არამც და არამც არ არის უცხო პროგრესული განვითარება. და ამის თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენს ქართველი კრიმინალისტების მიერ ამჟამად შემუშავებული სსკ-ის პროექტი, სადაც ცენტრალურ საკოდიფიკაციო საკითხთა შორის მთელი თავისი სიმწვავით თავი იჩინა განზრახი ბრალის პრობლემამაც.

ამჯერად აღიარებულია, რომ პირს ყოველთვის როდი სურს შედეგი, რომლის დადგომის აუცილებლობასაც ის ითვალისწინებს. ამის კვალობაზე კი პირდაპირ გამოიკვეთა მოცემული შემთხვევის საკანონმდებლო რეგლამენტირების საჭიროებაც, — კანონპროექტის ავტორთა დასკვნის შედეგად, სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვის მაშინაც, როდესაც აუცილებლობით ითვალისწინებს რა დელიქტურ შედეგს, კი არ სურს ეს უკანასკნელი, არამედ მხოლოდ შეგნებულად უშვებს მას. მაშასადამე, პირდაპირმა განზრახვამ მოიცვა ნებელობითი მომენტის ორი სხვადასხვა სახე.[0]* უდავოა, რომ ამით სსკ-ის მე-9 მუხლის ტრადიციული სახით გამოყენება სრულ შესაბამისობაში ექცევა კონსტიტუციის 39-ე მუხლთან, მაგრამ, ჯერ კიდევ გასარკვევია, არის თუ არა ეს საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა და თუ არა, ხომ არ წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობა თვითმიზანს?

თუ კონსტიტუციის უზენაესობას ერთადერთ ამოსავალ დებულებად მივიჩნევთ, მაშინ მნიშვნელოვანია მხოლოდ ყოველივეს კონსტიტუციასთან შესაბამების თვით ფაქტი, და სრულიად უმნიშვნელოა ის, თუ რაოდენ არის თეორიულად მისაღები ამ შესაბამების ფორმა და შინაარსი. აქედან

---

* სისხლის სამართლის თეორიაში საკითხი ამგვარად ადრეც იყო გადაწყვეტილი. ბ.ხორნაბუჯელის მიხედვით, „პირდაპირი განზრახვა არის... საზოგადოებრივად შეუწყნარებელ, დასჯად შედეგთა კატეგორიული გათვალისწინება..., მიუხედავად იმისა, სურს თუ არა სუბიექტს მათი განხორციელება“ (Б. Хорнабуджели, ‚Психологическая сторона вины, Тбилиси, 1981, стр.107). ამავე პოზიციას განამტკიცებს ერთ-ერთ თავის ნაშრომში გ.ნაჭყებიაც (იხ. მისი „პირდაპირი განზრახვისა და სასჯელის ლოგიკური კავშირის ფსიქოლოგიური დასაბუთების პრობლემა“, სახელმწიფო და სამართალი, თბილისი, 1990, გვ. 20-29).

გამომდინარე, კონსტიტუციის უზენაესობის პარალელურად ამოსავალი უნდა იყოს თეორიული მიზანშეწონილობის პრინციპიც, რაც გულისხმობს არა იმას, რომ ქმედების აღნიშნული სახე მექანიკურად განვაკუთვნოთ პირდაპირ განზრახვას, არამედ იმას, რომ ღრმად გავიაზროთ როგორც მისი (ქმედების) მატერიალური მხარე, ისე ბრალის ცნების სტრუქტურული სპეციფიკაც.

როგორც უკვე აღინიშნა, ქმედება, რომლის ჩადენისას შეგნებულად დაიშვება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობა, მოიცავს პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური და ევენტუალური განზრახვის ნებელობით ნიშანს. ამის თანახმად, როდესაც გარკვევას საჭიროებს, თუ განზრახვის რომელ სახეში უფრო შესაძლებელია ამგვარი ქმედების ინტეგრირება, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ რას აქვს უპირატესი მნიშვნელობა — ინტელექტუალურ თუ ნებელობით ელემენტს.

მივაკუთვნოთ ქმედების მოცემული სახე პირდაპირ განზრახვას, ნიშნავს ვაღიაროთ ინტელექტუალური მომენტის პირველადობა ნებელობითი მომენტის წინაშე. ეს კი ლოგიკურად დაუშვებელია, რადგან მიმართულებას განზრახვაში ანუ მის პირდაპირობასა თუ ირიბობას სწორედ ნებელობითი და არა ინტელექტუალური ნიშანი ასახავს. პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში ქმედება იმდენად არის დელიქტური შედეგისაკენ პირდაპირ მიმართული, რამდენადაც სუბიექტს ეს შედეგი სურს, ესწრაფვის მას; ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს რომ ქმედება მხოლოდ ირიბად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, განპირობებულია იმით, რომ სუბიექტი ესწრაფვის სხვა, განსაზღვრულ და არა ამ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელიც მხოლოდ თან სდევს სუბიექტის სწრაფვას „სხვა განსაზღვრული შედეგისაკენ“.[0]*

ამდენად, თუ პირი შეგნებულად უშვებს საზიანო შედეგის განხორციელების აუცილებლობას, ეს იმის მომასწავებელია, რომ მისი ქმედება თვისებრივად უფრო ახლოს დგას ირიბ, ვიდრე პირდაპირ განზრახვასთან.

ბრალის ახალი ქვესახე

მაგრამ სსკ-ის პროექტში ამ მხრივ დაშვებულ სიმცდარეზე ეს ჯერაც არ გვიქმნის ამომწურავ წარმოდგენას. მცდარია არა მხოლოდ ის, რომ ქმედების ჩვენთვის საინტერესო სახე პირდაპირ განზრახვას დაერთვის, არამედ უკვე საკითხის იმგვარად დაყენებაც, რის შესაბამისადაც აუცილებელი ხდება მისი პირდაპირ ან ირიბ განზრახვასთან უნიფიცირება.

---

* ამის გათვალისწინებით ერთგვარად გაუმართლებელი ჩანს თვით ევენტუალური განზრახვა როგორც ირიბი განზრახვის ალტერნატიული სახელწოდება, რადგანაც ევენტუალური შესაძლოს ნიშნავს და, ამრიგად, აქცენტი აქ გადაიტანება საზიანო შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობაზე, ე.ი. ინტელექტუალურ მომენტზე.

ბრალის ერთი კონკრეტული ქვესახე უნდა მოიცავდეს სუბიექტური ქცევის არა უმეტეს ერთი კონკრეტული სახისა!

როდესაც ბრალის ამა თუ იმ ქვესახეში ვაერთიანებთ ქმედების ორ ან რამდენიმე სხვადასხვა ტიპს, ბრალის ცალკეული სახეების ქვესახეებად დიფერენცირება სრულ უშინაარსობად იქცევა: თუ არა ქცევის კონკრეტული ფორმა, სხვა რა შეიძლება იყოს ბრალის სახეების ქვესახეებად დიფერენცირების კრიტერიუმი?

ამ პრინციპს ეყრდნობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი დოქტრინა, სადაც განზრახვის (*dolus*) ექვსი ნაირსახეობა გამოიყოფა[0]* და ამავე პრინციპის უფრო ვრცელი და თანამიმდევრული გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებს ზოგიერთი თანამედროვე კრიმინალისტიც (მაგალითად, ვ.ზაუერი, რომელიც გაუფრთხილებელი ბრალის ათზე მეტ სახეს განასხვავებს473). ამგვარად, აქ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ ტრადიციასა და თანამედროვე დოგმატიკაში ამ ტრადიციის განმტკიცების ტენდენციასთან, რისი პირდაპირი უგულებელყოფაც იქნებოდა ბრალის ნებისმიერ ქვესახეში ქცევის ალტერნატიული ფორმის შეტანა.

ამიტომაც, ერთნაირად გაუმართლებელია ზემოწარმოდგენილი შემთხვევის როგორც პირდაპირ, ისე ირიბ განზრახვაში ინკორპორირება.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელად მისახვედრი, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ ერთადერთი დასკვნის შესაძლებლობას გვიტოვებს, კერძოდ კი იმისა, რომ პირდაპირი და ირიბი განზრახვის დიფუზიის შედეგად წარმოიშობა განზრახვის ახალი, დამოუკიდებელი სახე.

ეს უკანასკნელი მისი (როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების) ფორმირებისა და სტრუქტურის თავისებურებათა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს როგორც კომპოზიტური ანუ შენადგენი განზრახვა (*dolus compositus*), რამდენადაც ის ყალიბდება არა სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული ელემენტებისაგან, არამედ შედგება პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური და ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ნიშნისაგან.

მართალია, კომპოზიტური განზრახვის აღმოცენება ეწინააღმდეგება გაბატონებულ მოძღვრებაში მიღებულ დებულებას, რომლის თანახმადაც ბრალის თითოეული ქვესახე უნდა განსხვავდებოდეს ბრალის ყოველი სხვა ქვესახისაგან ორივე ძირითად ასპექტში (ე.ი. ინტელექტუალურადაც და ვოლუნტატურადაც), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს დებულება არც კანონპროექტის ავტორთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახულა და, მეორეც, რაც უმთავრესია, მოცემული პრინციპი პრაქტიკულად არასოდეს განხორციელებულა, ვინაიდან ირიბი განზრახვა და თვითიმედოვნება მუდამ განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან მხოლოდ ნებელობითი ნიშნის მიხედვით.

---

* იხ. ამავე ნაშრომის პირველი თავის მეორე პარაგრაფი.

სხვა საკითხია ის, რომ ჩვენ, ზოგადად, არ უარვყოფთ ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა თანაფარდობას როგორც ბრალის ცალკეულ ქვესახეთა ურთიერთგანსხვავების ძირითად ორიენტირს.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა ყოველი ახალი კორელაცია ბრალის ახალ ქვესახეს როდი იძლევა: ასე მაგალითად, თუ ერთ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური ნიშნისა და ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ნიშნის შეჯამებით ვიღებთ განზრახი ბრალის მესამე, დამოუკიდებელ სახეს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ნიშნისა და ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური ნიშნის შეჯამებითაც განზრახვის მორიგ ორიგინალურ სახეს მივიღებთ, რის უშუალო მიზეზსაც ჩვენ ქვემოთ გარკვევით ვიხილავთ.

შედარებითი ანალიზი

ვფიქრობთ, ერთობ საგულისხმოა ისიც, თუ როგორ აისახება, ან აისახება თუ არა საერთოდ ზემოგანხილული პრობლემა უცხოეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.

რუსეთის, შვეიცარიის, გერმანიისა და ზოგიერთი სხვა სამართლებრივად მაღალგანვითარებული ქვეყნის გამოცდილება, ამ მხრივ, ზედმიწევნით ისეთივეა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში სსკ-ის პროექტის შემუშავებამდე (აქ კვლავაც განასხვავებენ განზრახი ბრალის ორ ტრადიციულ სახეს ტრადიციული შინაარსით), თუ არ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის ახალ სისხლის სამართლის კოდექსში დაშვებულ ეკლატანტურ შეუსაბამობას, რომლის მიხედვითაც პირდაპირი განზრახვის დროს სუბიექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს მისთვის სასურველ, საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის როგორც აუცილებლობას, ისე შესაძლებლობასაც.

სისხლისსამართლებრივად უკანასკნელი სახის ინტელექტუალურ-ნებელობითი კონსტელაცია წარმოუდგენელია. მართლაც, როდესაც დამნაშავე დარწმუნებული არ არის საზიანო შედეგის განხორციელების გარდუვალობაში, მას ეს შედეგი შესაძლოა სურდეს მხოლოდ ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივად კი აქ დელიქტური შედეგის მარტოოდენ შეგნებულ დაშვებაზე შეიძლება საუბარი, რადგან, სხვაგვარად გამოდის, რომ სუბიექტს, სურს რა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობა (ნებელობითი მომენტი), ითვალისწინებს მისი დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას (ინტელექტუალური მომენტი), რაც სისხლისსამართლებრივად შეუძლებელს ქმნის განსახილველ შემთხვევაში ინტელექტუალურ და ნებელობით ნიშანთა ფორმალურ-ლოგიკურ ურთიერთგადაბმას. საქმე ის არის, რომ აღნიშნული სახის სურვილი სცილდება სისხლისსამართლებრივი ინტერესის სფეროს, არ არის სისხლისსამართლებრივად აქტუალური. თუ დავუშვებთ, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობის სურვილი შეიძლება იყოს

სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი ითვალისწინებს ამ შედეგის დადგომის აუცილებლობას, არამედ მაშინაც, როდესაც მოცემულია ამ შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობის გათვალისწინება, მივიღებთ ისეთ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს სხვა პირს, რომლისთვისაც სიცოცხლის მოსპობა მას სურდა, უნდა დაგვესაჯა არა საკუთრივ გაუფრთხილებლობისათვის, არამედ განზრახვისათვის. ასე მაგალითად, ამ ლოგიკით, გამოდის, რომ თუ სუბიექტმა ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად დაუდევრობით მოუსპო სიცოცხლე სხვა პირს, რომლისთვის სიცოცხლის მოსპობა მას სინამდვილეში სურდა, უნდა დაისაჯოს დანაშაულის განზრახ და არა გაუფრთხილებლობით განხორციელებისათვის! უდავოა, რომ მსგავსი ლოგიკა სრულიად გამოუსადეგარია თანამედროვე სისხლის სამართლის პირობებში. და რადგანაც არსებითად იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც სუბიექტს, ითვალისწინებს რა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, სურს ამ შედეგის დადგომის აუცილებლობა, არც აქ დაიშვება სუბიექტის სურვილის სისხლისსამართლებრივ აქტუალურობაზე საუბარი. მოკლედ რომ ვთქვათ, სურვილი მხოლოდ იმის ფარგლებში შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი, რასაც პირი კონკრეტულად ითვალისწინებდა.

ვერ ვიტყვით იმავეს ბრიტანული და ფრანგული სისხლის სამართლის შესახებ, ფრანგი და ბრიტანელი კრიმინალისტები პრინციპულად სხვაგვარად უდგებიან სისხლისსამართლებრივი განზრახვის პრობლემას.

განზრახი ბრალი იმ სახით, რა სახითაც ის მოგვეწოდება ამჟამინდელ ბრიტანულ სისხლის სამართალში, დიდ ბრიტანეთში 80-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა. განზრახვა, თუმც აქაც ორ სახედ ანუ ხარისხად არის დაყოფილი (purpose, intention), მაგრამ მათ მცირე რამ აქვთ საერთო ჩვენთვის ცნობილ პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვასთან.

განზრახვის პირველ სახეში აღიწერება მხოლოდ ნებელობითი მომენტი, კერძოდ ის, რომ სუბიექტს სურს და მიზნად ისახავს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მაშინ როდესაც განზრახვის მომდევნო „ხარისხი“ ნებელობით ელემენტთან ერთად ორ სხვადასხვა ინტელექტუალურ ელემენტსაც მოიცავს.

ამასთანავე, განზრახი ბრალის სფეროში ჩვენ საერთოდ არ გვხვდება ისეთი ნებელობითი ნიშანი, როგორიც არის საზიანო შედეგის შეგნებულად დაშვება, რადგან ორივე შემთხვევაში საუბარია სუბიექტის სურვილზე.

თავისებურად გაიგება დელიქტური შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობაც: დანაშაული მხოლოდ მაშინ მიიჩნევა განზრახ ჩადენილად, თუ სუბიექტი ითვალისწინებდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ალბათობის მაღალი ხარისხით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემული ინტელექტუალური მომენტი განეკუთვნება გაუფრთხილებლობას, რაც იმას

მოასწავებს, რომ დელიქტური შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა წარმოდგენილია ორი სხვადასხვა სახით.

როგორც ვხედავთ, განზრახი ბრალის ბრიტანული სისტემა სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს ეფუძნება და, ამგვარად, განსახილველ კონტექსტში მასთან მკაცრი პარალელების გავლება ძნელად წარმოსადგენია. ამავე დროს, თვალსაჩინოა, რომ ეს უკანასკნელი, უსათუოდ საჭიროებს მნიშვნელოვან სრულყოფას, რაზედაც თავად არაერთი ბრიტანელი კრიმინალისტი მიგვითითებს (მაგალითად, რ.ა.დუფი, რომელიც დამაჯერებლად ასაბუთებს განზრახვის პირველი სახის (purpose) ნებელობითი კატეგორიით შემოსაზღვრის ალოგიკურობას.474

განზრახვის ფრნაგულ მოდელთან დაკავშირებით კი ჩვენს ყურადღებას უმთავრესად ორი შემდეგი გარემოება იპყრობს: განზრახვის ცალკეულ სახეთა სიმრავლე და ფრანგ მეცნიერთა უთანხმოება იმის შესახებ, უნდა განისაზღვროს თუ არა სისხლის სამართლის კანონში განზრახი ბრალის პრინციპი.

Intention méchante, intention frauduleuse, intention de nuire, *animus injuriandi* — ეს მხოლოდ ნაწილია განზრახვის იმ სახეებისა, რომელთაც ფრანგი კანონმდებელი სპონტანურად, ყოველგვარი სისტემურობისა და იერარქიული განსაზღვრულობის გარეშე მოიხსენიებს.

რ.ლეგროსი და მასთან ერთად კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი მთელი ამ მოუწესრიგებლობის პირველ მიზეზს იმაში ხედავენ, რომ სსკ პირდაპირ არ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი განზრახვის პრინციპს.475 კოდექსი, მართლაც, არაფერს ამბობს განზრახვის პრინციპზე,476 მაგრამ რ.ლეგროსის შეხედულების საპირისპიროდ, თანამედროვე კრიმინალისტთა უმეტესობა რ.გრიფონის პოზიციიდან ამოდის, რომელიც თვლიდა, რომ განზრახვის პრინციპი უნდა განესაზღვრა სისხლის სამართალს და არა სისხლის სამართლის კანონს.477 ჩვენი აზრით, განზრახვის კონკრეტულ სახეებად დაყოფის თვალსაზრისით, გადამწყვეტია ხსენებული პრინციპის პრაქტიკული გამოყენება და არა ის, თუ სად განისაზღვრება ეს უკანასკნელი — სისხლის სამართლის კოდექსში თუ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში.

ხოლო ჩვენთვის აქტუალურ ასპექტში მხოლოდ იმის დეკლარირება შეიძლება, რომ ფრანგული სისხლის სამართლისათვის, მსგავსად ბრიტანულისა, უცხოა განზრახვის ისეთი სახე, რომლის დროსაც სუბიექტი შეგნებულად უშვებს დელიქტური შედეგის დადგომის აუცილებლობას.478

იგივე ეხება ესპანურ სისხლის სამართალსაც. მართალია, თანამედროვე ესპანური სისხლის სამართალი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს განზრახვის ცნებაში ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა ურთიერთობის პრობლემას, კონკრეტულად საზიანო შედეგის სურვილის საკითხს,478 მაგრამ არც ამ შემთხვევაში გამოიყოფა არა სასურველი საზიანო შედეგის აუცილებლობის შეგნებული დაშვება განზრახვის დამოუკიდებელ სახედ.

მეტად ორიგინალური ვითარებაა წარმოდგენილი გერმანულ სისხლის სამართალში. აქ განასხვავებენ პირდაპირი განზრახვის ორ სახეს: ე.წ. პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას (*dolus directus I* Grades) და ე.წ. მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას (*dolus directus II* Grades). მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის ფარგლებში „დამნაშავემ იცის ან ითვალისწინებს როგორც აუცილებელს, რომ ის ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. განსაკუთრებულ ნაწილში გამოიყენება ცნება „შეცნობით“ („wissentlich“) ან „მიუხედავად შეცნობილობისა“ („wider besseres Wissen“), თუ სახეზეა მე-2 ხარისხის *dolus directus* როგორც განზრახვის ფორმა. ამასთანავე, „შეცნობილობა“ მოცემულია მაშინაც, თუ დამნაშავე განსაზღვრულ შედეგს ითვალისწინებდა როგორც თავისი ქცევის აუცილებელ და უეჭველ შედეგს, თუმცა ეს შედეგი მისთვის სულაც არ ყოფილიყო *სასურველი* (ხაზგასმა ჩვენია — ავტორი)478.

როგორც ადვილად მისახვედრია, გერმანულმა სისხლის სამართალმა განსახილველ პრობლემას არსებითად უმჯობესი გადაჭრა ვერ მოუძებნა, ვიდრე ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტშია წარმოდგენილი.

§2. ბრალის ლეგისლატიური ასპექტი

<u>მოქმედი კანონმდებლობა</u>

როგორც ამავე ნაშრომის მეხუთე თავში შევნიშნეთ, ჯერ კიდევ ცნობილი გერმანელი კრიმინალისტი ა.გ.ცუ დონა მთელი პრინციპულობით საყვედურობს მისთვის თანამედროვე კანონმდებელს იმას, რომ სისხლის სამართლის კანონი იხსენიებს მხოლოდ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას (თანაც განმარტების, დეფინიციის გარეშე), ბრალზე კი არაფერს ამბობს.

გრაფ ცუ დონას შენიშვნა სავსებით სამართლიანია, ვინაიდან თუ სისხლის სამართლის კოდექსში მოქალაქეს არ განემარტა ბრალისა და არა მხოლოდ ბრალის — დანაშაულის სხვა ძირითადი ნიშნების მნიშვნელობაც, მივიღებთ ამ ცნებათა იმდენ განმარტებას, სისხლისსამართლებრივ ნორმათა რამდენი ადრესატიც მოგვეპოვება.

მხოლოდ დანაშაულის ცნება, მოცემული თვალსაზრისით, არაფრის მეტყველია, მით უმეტეს თუ ის მოიცემა ისეთი სახით, როგორსაც ადგილი აქვს ჩვენს მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში; საქართველოს სისხლის სამართლის (მოქმედი) კოდექსის მე-8 მუხლში, რომელიც ეძღვნება დანაშაულის ცნებას, ნათქვამია: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართვე-

ლოს საზოგადოებრივ წესწყობილებას, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით“.480 აქ, როგორც ვხედავთ, ბრალი გაკვრითაც კი არ მოიხსენიება. მე-9 და მე-10 მუხლებში კანონმდებელი, განიხილავს რა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, წარმოგვიდგენს მათ არა როგორც ბრალის ცნების ქვემდებარე ცნებებს (ბრალის ცნებას ის ამ შემთხვევაშიც სრულიად იგნორირებს), არამედ უბრალოდ როგორც დანაშაულის ჩადენის ფორმებს.

ამის ლოგიკური გაგრძელებაა მე-11 მუხლი, რომელშიც საუბარია შედეგთა განსაზღვრულ კატეგორიაზე როგორც დანაშაულის და არა ბრალის დამამძიმებელ გარემოებაზე.

ერთი შეხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, სადაც მითითებულია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ერთგვარად ზღუდავს აღნიშნული ტენდენციის მასშტაბურობას. რეალურად კი ბრალი აქ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არ არის წარმოდგენილი, რადგან სისხლისსამართლებრივად სუბიექტს არ შეიძლება მიუძღოდეს ბრალი დანაშაულის ჩადენაში. სუბიექტური ქმედება დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთდროულად დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია, ე.ი. ყოველი დანაშაულებრივი ქმედება იმავდროულად ბრალეული ქმედებაა; შესაბამისად, თუ სუბიექტს ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ეს ნიშნავს იმას, რომ მას ბრალი მიუძღვის ბრალეული ქმედების ჩადენაში, რაც თავისთავად სრული შეუსაბამობაა. ხოლო ის, რაშიც პირს სისხლისსამართლებრივად შეიძლება მიუძღოდეს ბრალი, არის მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ბრალის პრობლემისადმი მსგავსი მიდგომა უმნიშვნელო მოვლენა არ არის. ამით, უწინარეს ყოვლისა, უარიყოფა ბრალის ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა და ის ერთიანად დაიყვანება მხოლოდ თეორიულად ღირებულ სისხლისსამართლებრივ ცნებამდე. სხვაგვარი შეფასება სისხლის სამართლის კოდექსში ბრალის (სისხლისსამართლებრივი) ცნების აბსოლუტური უგულებელყოფისათვის ძნელად მოსაფიქრებელია. და ეს მაშინ, როდესაც ბრალი სისხლის სამართალში უმთავრესი პრაქტიკული დატვირთვის მომცველი ცნებაა. აქ შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ აღსანიშნავი არაფერია!

<u>სსკ-ის პროექტი</u>

ვერ ვიტყვით, რომ სსკ-ის ახლად შემუშავებულ პროექტში ვითარება არსებითად შეიცვალა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უთუოდ შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრები. მიუხედავად იმისა, რომ ბრალის ცნება

კვლავაც განუმარტავი რჩება, ბრალი, როგორც ასეთი, აქ უკვე მრავალგზის მოიხსენიება და კანონპროექტის მე-7 თავში საგანგებო აქცენტირების ობიექტსაც განასახიერებს. ამისდა კვალად, ამჯერად უარიყოფა არა ზოგადად ბრალის ცნების, არამედ მხოლოდ ბრალის ცნების განმარტების პრაქტიკული ღირებულება, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ამასთანავე, სწორედ ზემოაღნიშნულ მე-7 თავში, რომელიც ერთდროულად ეძღვნება ბრალსაც და მიზეზობრივ კავშირსაც, თვალნათლივ არის გამოკვეთილი, სულ მცირე, სამი ფრიად საგულისხმო ალოგიკური მომენტი:

ჯერ ერთი, კაუზალობის დოგმა უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც დასავლეთის მოწინავე კრიმინალისტების მიერ საბოლოოდ იქნა უარყოფილი და სისხლის სამართლის ლიტერატურაში მრავლად მოიძიება ერთობ დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც ამ უარყოფის საფუძვლიანობას ადასტურებენ.481 უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის პროექტი, ამ მხრივ, რაციონალურობის ყოველგვარ ზღვარს გასცილდა: ის, არ კმაყოფილდება რა უმოქმედობის დროს ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის გამოყოფით (ეს ხომ ფონ ლისტისა და ბელინგის კაუზალური ანუ ნატურალისტური მოძღვრებისაკენ მიბრუნებაა!), მიუთითებს კაუზალობის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე კონკრეტული საფრთხის დელიქტთან მიმართებაშიც, რა დროსაც საუბარია ქმედებასა და „კონკრეტულ საფრთხეს“ შორის მიზეზობრივ კავშირზე (?!).482 ერთი სიტყვით, კანონპროექტში ყველა ღონეა ნახმარი იმისათვის, რომ არაფერი დარჩენილიყო საერთო კაუზალობის ფილოსოფიურ და სისხლისსამართლებრივ ცნებებს შორის.

მეორეც, სისხლის სამართლის კოდექსში მიზეზობრივი კავშირის შემოღება რომც ყოფილიყო მიზანშეწონილი, გამართლებულად მაინც ვერ მივიჩნევდით მის იმავე თავში მოთავსებას, რომელსაც განეკუთვნება ბრალი. კაუზალობა დანაშაულის ობიექტურ მხარეში მდებარე (ფაკულტატიური) ნიშანია, რის საპირისპიროდაც ბრალი დანაშაულის (კონსტიტუციურ) სუბიექტურ ელემენტს წარმოადგენს; ამრიგად, როდესაც ეს ორი ცნება ერთი და იმავე თავის ფარგლებში მიმოიხილება, იძულებული ვხდებით დავასკვნათ, რომ დანაშაულის ობიექტურ მხარესა და დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია, რაც, ბუნებრივია, სინამდვილეში ასე არ არის.

მესამეც, თუ დავუშვებთ, რომ მიზეზობრივი კავშირი, გარდა იმისა, რომ ის შემოიღება სისხლის სამართლის კოდექსში, ამავე დროს, ბრალის გვერდიგვერდაც უნდა მდებარეობდეს, მაშინ ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი განსახილველ კონტექსტში უმთავრესი წინააღმდეგობა: დაუშვებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ბრალის ცნება, განსხვავებით მიზეზობრივი კავშირის ცნებისაგან, არ განიმარტოს, როგორც ამას სსკ-ის პროექტში ვხვდებით. აქ უეჭველად საქმე გვაქვს სრულ სპონტანურობასთან, რადგან გარკვეული კრიტერიუმის მოცემულობის შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონოდა ორთავე ცნების ერთდროულ განსაზღვრას, ანაც ერთდროულ განუსაზღვრელობას. მაგალითად, თუ კრიტერიუმის სახით წარმოვიდგენთ იმას, რომ სისხლის სამართლის კანონში ზოგად სისხლისსამართლებრივ

ცნებათა დეფინირება საჭირო არ არის, განუსაზღვრელი უნდა დარჩეს არა მხოლოდ ბრალის, არამედ აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის ცნებაც. ეს რაც შეეხება საკითხის ნორმატიულ-ლოგიკურ ასპექტს. დოგმატურად კი ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რაში მდგომარეობს პრობლემის მოცემული სახით გადაჭრის ჭეშმარიტი მიზეზი. საქმე ის არის, რომ კაუზალობის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ჰიპერტროფირებით უნებურად იჩრდილება ბრალის რეალური რელევანტურობა. უფრო ზუსტად კი, მიზეზობრივი კავშირი თავისი მნიშვნელობით აქ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ბრალი და ამას ძნელად თუ მოეძებნება რაიმე თეორიული დასაბუთება. მიზეზობრივ კავშირს — აბსოლუტირებული სახითაც კი — მხოლოდ სუბსტრატული მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, მაშინ როდესაც ბრალი უშუალოდ განსაზღვრავს ამ უკანასკნელის ფორმასაც და შინაარსსაც. გარდა ამისა, კაუზალობა სულაც არ არის სპეციფიკურად „სისხლისსამართლებრივი“ ცნება, რასაც ვერ ვიტყვით სისხლისსამართლებრივ ბრალზე, ე.ი. ბრალის მიმართ მიზეზობრივი კავშირის პრიორიტიზება არ შეიძლება იყოს გამართლებული არც დოგმატურად და არც სისტემატიკურად. თუმც აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო სამართალში, სისტემატიკური თვალსაზრისით, კაუზალობა ზოგჯერ მართლაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრალი, ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეფუძნოს ამ პირველ ნიშანს იმისდა მიუხედავად, მოცემულია თუ არა ქმედების ბრალეულობა. ეს, როგორც მართებულად შენიშნავს გ.კორნილი, პირდაპირ ასოცირდება იმ ფაქტთან, რომ თანამედროვე სამოქალაქო სამართალი რომაული კერძო სამართლის ტოტალურ გავლენას განიცდის.483

თვალსაჩინოა კანონპროექტის იმავე თავში დაშვებული სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი უზუსტობაც: მე-20 და 21-ე მუხლებში, მსგავსად მოქმედი კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებისა, განზარხვა და გაუფრთხილებლობა კვლავაც წარმოდგენილია როგორც დანაშაულის ჩადენის ფორმები და არა როგორც ბრალის სახეები. იმთავითვე უნდა შეინიშნოს, რომ კანონპროექტში მოცემული არაკორექტულობა ბევრად უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი, ვიდრე მოქმედი კოდექსის ფარგლებში. და ეს უკანასკნელი გარემოება პირობადებულია სწორედ იმით, რომ სსკ-ის პროექტის მე-7 თავი, რომელსაც მე-20 და 21-ე მუხლები განეკუთვნება, ეძღვნება ბრალს. უკეთ რომ ვთქვათ, რამდენადაც განსახილველი თავი ეთმობა კონკრეტულად ბრალს როგორც დანაშაულის ცნების ნიშანს და არა ზოგადად დანაშაულის ცნებას, ინტერესის ობიექტს მით უფრო უნდა შეადგენდეს სისხლისსამართლებრივი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიმართება არა დანაშაულის, არამედ ბრალის ცნებასთან. მაშასადამე, აღნიშნული პოზიციის სტერეოტიპული გადმოღება მხოლოდ აორკეცებს ამ პოზიციის სიმცდარეს.

ამასთანავე, კრიტიკის უმთავრეს საგნად ჩვენ გვესახება არა ის, რომ კანონპროექტში პირდაპირ არ არის ნაჩვენები განზრახვისა და გაუფრთ-

ხილებლობის დამოკიდებულება ბრალთან, არამედ ის, რომ კანონპროექტის მიხედვით საერთოდ გაურკვეველია, თუ რა დამოკიდებულებაშია ეს პირველი ორი ცნება ამ უკანასკნელთან. მხოლოდ იმის მითითება, რომ დანაშაული შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი, ჯერ კიდევ როდი მოწმობს იმას, რომ განზრახი ან გაუფრთხილებელი შეიძლება იყოს ბრალიც.

მაგრამ თუ დაუდგენელია პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის, თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ურთიერთობა ბრალის ცნებასთან, შეიძლება კი დადგენილად ჩაითვალოს ბრალის როლი და მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში? ვფიქრობთ, ეს ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ბრალისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართება მხოლოდ ბრალის ცალკეულ ქვესახეებზე დაყრდნობით შეიცნობა. ამიტომაც, საბოლოო ჯამში, გაუგებარია არა მხოლოდ ის, თუ რა აკავშირებს განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალთან, არამედ აგრეთვე ისიც, თუ რაში მდგომარეობს და რას აღწერს მატერიალურად ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. ამის მიუღებლობა კი, ჩვენი აზრით, მტკიცებას არ საჭიროებს, რამეთუ თანამედროვე სისხლის სამართალში ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ყოველგვარი ხელყოფა უკვე თავადვეა თავისავე მიუღებლობის საუკეთესო არგუმენტი.

გარკვევას საკითხის მომდევნო ასპექტი მოითხოვს, კერძოდ ის, თუ რით შეიძლება შევცვალოთ უკანასკნელი დასკვნის შედეგად უარყოფილი ცნებები „განზრახი დანაშაული“ და „გაუფრთხილებელი დანაშაული“. როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, შესაძლო ვარიანტთა სპექტრი აქ საკმაოდ ვიწროა: ეს შეიძლება იყოს „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“, ანაც მხოლოდ „განზრახვა“ და „გაუფრთხილებლობა“.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში მოცემული პრობლემა არაერთგვაროვნად არის გადაჭრილი. მაგალითად, ინგლისელი კრიმინალისტების თანახმად, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მოხსენიება დანაშაულისა თუ ბრალის ცნებისაგან დამოუკიდებლად (ე.ი. ერთ-ერთ მათგანთან უშუალო კავშირის გარეშე) არ დაიშვება, რადგან სისხლისსამართლებრივი განზრახვა და გაუფრთხილებლობა, მათივე მტკიცებით, დანაშაულისა და ბრალის ცნებებს მიღმა ლოგიკურად მოუსაზრებელია.484

ამიტომ არის, რომ ბრიტანულ სისხლის სამართლის კოდექსში განზრახვა და გაუფრთხილებლობა თითქმის არც კი ფიგურირებს თვითკმარი სისხლისსამართლებრივი ცნებების სახით.

ამის საწინააღმდეგოდ ფრანგულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის როგორც სისხლისსამართლებრივ ცნებათა დამოუკიდებლობა სრული აპრიორულობაა; მოცემულ ცნებებს საფრანგეთის (როგორც ძველ, ისე ახალ) სისხლის სამართლის კოდექსში უფრო ხშირადაც კი ვხვდებით, ვიდრე საკუთრივ ბრალსა და დანაშაულს.

მაგრამ ეს ურთიერთგამომრიცხავი მაგალითები ჩვენთვის სასურველი დასკვნის პირდაპირი ინდუცირების საფუძველს არ ქმნის. ჩვენ, მართალია, ვერ მივემხრობით ინგლისელ კრიმინალისტებს, რომლებიც აშკარად აკნინებენ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის აქსიომურ ორიგინალურობას, მაგრამ, სხვა მხრივ, აქ წარმოდგენილ კონტექსტში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებათა ბრალის ცნებასთან უნიფიცირება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ამასთანავე, ეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ტექნიკის საკითხი როდია. ცნებებისათვის „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“ უპირატესობის მინიჭებას, უწინარეს ყოვლისა, დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ისინი ნიშანდობლივ გადმოგვცემენ ბრალის შესახებ ჩვენში გაბატონებული მოძღვრების სპეციფიკურობას. ეს უკანასკნელი კი მდგომარეობს იმაში, რომ, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ბრალის ფსიქოლოგიური ასპექტი ჯერაც — თუმც უკვე არა აბსოლუტურად — პრევალირებს ბრალის ნორმატიულ ასპექტზე. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიურ სწავლებაში განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოგვიდგება როგორც ბრალის სახეები ანუ ფორმები, რა დროსაც ნორმატივიზმი მათ განიხილავს როგორც ბრალის ელემენტებს ანუ შემადგენელ ნაწილებს; ხოლო, რადგანაც ნორმატიულ თეორიაში განზრახვითა და გაუფრთხილებლობით განისაზღვრება ბრალის არა ფორმა, არამედ შინაარსი, გასაგები უნდა იყოს, რომ ცნებები „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“ ამ შემთხვევაში სრულიად ინაქცეპტაბელურია.[0]* ამიტომაც თანამედროვე გერმანული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა, რომელსაც საფუძვლად ნორმატივისტული კონცეფცია უდევს, კატეგორიულად არ ცნობს მოცემულ ცნებებს.

შესაბამისად, როდესაც საუბარია „განზრახ ბრალსა და „გაუფრთხილებელ ბრალზე“, განზრახვა და გაუფრთხილებლობა შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც ბრალის ცალკეული სახეები (ფორმები) და არავითარ შემთხვევაში როგორც ბრალის ალტერნატიული ელემენტები (შემადგენელი ნაწილები), რაც, თავის მხრივ, ფსიქოლოგიზმის გამოვლინებას ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, სსკ-ის პროექტში ცნებათა „განზრახი დანაშაული“ და „გაუფრთხილებელი დანაშაული“ ცნებებად „განზრახი ბრალი“ და „გაუფრთხილებელი ბრალი“ ტრანსფორმირება მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის როგორც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ბრალთან მიმართების გასარკვევად, ისე სისხლის სამართლის კანონში ბრალის ცნების დოქტრინალური სპეციფიკის ჯეროვანი ასახვის თვალსაზრისითაც.

---

* ამ აზრს თანაბარი პრინციპულობით ავითარებს ნორმატივიზმის თითქმის ყველა წარმომადგენელი. იხ. მაგ., R. Busch, Moderne Wandlungen der Verbrechenslehre, Tübingen, 1949, S. 4, აგრეთვე W. Gallas, Zum gegenwärtigen Stand der Lehre vom Verbrechen, Berlin, 1961, S. 32

უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ კანონპროექტი არ ამახვილებს სათანადო ყურადღებას ზოგიერთ ექსტრემალურად აქტუალურ პრობლემაზე, რომელიც ერთობ საგულისხმოა ბრალის საკანონმდებლო ასპექტთან მიმართებით. ასეთია, მაგალითად, კოლექტიური ბრალის პრობლემა. ადრე კანონმდებელს სავსებით შეეძლო არ დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან კოლექტიური ბრალი სისხლის სამართალში საყოველთაოდ უარიყოფოდა. მაგრამ ამჟამად ვითარება რადიკალურად საპირისპიროა: თანამედროვე სისხლის სამართალში სულ უფრო და უფრო იკვეთება იურიდიულ პირთა ბრალუნარიანობის აღიარების ტენდენცია. უფრო მეტიც, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში უკვე პირდაპირ არის მითითებული იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.485 ეს კი დაუშვებელს ქმნის სსკ-ის პროექტში გამოხატულ ინდიფერენტულობას, რომლის შესაბამისადაც კოლექტიური ბრალი არც უარყოფილია და არც აღიარებული.

სხვა საკითხია, თუ რაოდენ არის მისაღები კოლექტიური ბრალის აღიარება ან უარყოფა. ის, რომ, სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირის დელიქტი სავსებით ორდინარული ცნებაა და საერთაშორისო სამართალიც მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას დელიქტური ქცევისათვის, ჯერ სულაც არაფერს მეტყველებს სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის დამკვიდრების სასარგებლოდ.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ცნებას მართლაც დავუშვებთ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში, საქმე მხოლოდ ეპიზოდურ ცვლილებასთან როდი გვექნება. ეს უცილობლად გამოიწვევს სისხლის სამართლის ძირითად პრინციპთა მთელი სისტემის გადასინჯვას, ვინაიდან ამ სისტემის ქვაკუთხედს სწორედ ინდივიდუალური ბრალი შეადგენს.

გარდა ამისა, ჩვენ ვერაფერს ვხედავთ მომსყიდველს იმ კრიმინალისტთა ლოგიკაში, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება ზოგჯერ აუცილებლობით მოითხოვს კოლექტიური ბრალის მოშველიებას. ამის ტიპიურ მაგალითად წარმოდგენილია განსაცდელში მიტოვება, რომელსაც ერთდროულად სჩადის ორი ან მეტი პირი. თითქოსდა აქ ერთი სუბიექტი ცალკე აღებული არც კი შეიძლება ბრალეულად უმოქმედობდეს, რადგან არც ერთი მათგანი ერთადერთი არ არის, ვისაც განსაცდელში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია, ე.ი. ყოველი ცალკეული სუბიექტის მიმართ სახეზეა მხოლოდ დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა დახმარების აღმოჩენის ვალდებულების გარეშე. სინამდვილეში კი მოქმედების შესაძლებლობა თითოეულ მათგანთან დამოკიდებულებაში უპირობოდ წარმოშობს მოქმედების ვალდებულებასაც, ვინაიდან მიუღებელია, რომ სუბიექტი იყოს სისხლისსა-

მართლებრივად „თავისუფალი“, როდესაც დელიქტური შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელია.[0]*

მაშასადამე, ზემოხსენებული პოზიციის სიმცდარე თვით ამოსავალ დებულებაშივე პოვებს თავის გამოხატულებას. ხოლო ყოველივე ეს უთუმცაოდ მიგვანიშნებს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში კოლექტიური ბრალის უარყოფითად წარმოჩენის საჭიროებაზე.

ასევე არ შეიძლება იყოს გამართლებული ის აბსოლუტური ნეიტრალურობა, რომლითაც კანონპროექტის ავტორები ეპყრობიან ბრალს ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტებში. აქაც არაჯეროვნად არის გათვალისწინებული ბრალის იდეისა და ზოგადად სისხლისსამართლებრივი აზრის განვითარების მნიშვნელობა.

ბრალის პრობლემა ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტებში თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემაა და სისხლის სამართლის კანონში მისი იგნორირება უთუოდ წარმოქმნის გადაულახავ წინააღმდეგობებს მართლმსაჯულების სფეროში (გადაულახავს იმდენად, რამდენადაც გაბატონებული დოქტრინა ცალსახად გამორიცხავს სასამართლო პრეცენდენტსაც და ანალოგიის პრინციპსაც).

ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის ძირითად თავისებურებას შეადგენს ის, რომ სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქცევით გამოწვეული საზიანო შედეგი აუცილებლობით დადგებოდა ამავე სუბიექტის მართლზომიერი ქცევის შემთხვევაშიც, რაც საცილობელს ქმნის ქმედების მოცემული ტიპის ბრალეულობას. როგორც ერთხმად აღიარებს კრიმინალისტთა უმეტესი ნაწილი, ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტში, მოცემულია რა მხოლოდ ქცევის უკუღირებულება (Aktunwert), არ არის წარმოდგენილი შედეგის უკუღირებულება (Erfolgsunwert), რადგან საზიანო შედეგის დადგომას აქ საბოლოო ჯამში სუბიექტის მიერ თავისი ნების მართლსაწინააღმდეგოდ განსაზღვრა არ განაპირობებს.

ამისდა კვალად, გარკვევით იკვეთება ქმედების განსახილველი სახის ერთგვარი ჰეტეროგენულობა: ერთი მხრივ, როდესაც მოცემული გვაქვს ქცევის უკუღირებულება შედეგის უკუღირებულების მოცემულობის გარეშე, საქმე, როგორც წესი, უნდა შეეხებოდეს მცდელობას, მეორე მხრივ კი, ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის მცდელობასთან აგნოსცირება სრულიად დაუშვებელია, რამეთუ პრინციპულად არ დაიშვება განხორციელებული შედეგის მცდელობის ცნებაში ინტეგრირება. ამრიგად, ეს ორი ცნება, ფორმალურად ემთხვევა რა ერთიმეორეს, მატერიალურად ურთიერთშეუთავსებელია.

მაგრამ სწორედ ამ ფორმალურ მსგავსებაზე დაყრდნობით, ავტორთა უმეტესობას მიაჩნია, რომ „ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის დროს ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ისევე,

---

* აქ, ცხადია, იგულისხმება კონკრეტული შესაძლებლობა და ამ კონკრეტული შესაძლებლობით მოცული ფსიქოფიზიკური უნარი, ისევე, როგორც ყველა სხვა სათანადო მომენტი

როგორც ამას ადგილი აქვს მცდელობასთან მიმართებაში“.486 ხოლო რადგან მცდელობა გაუფრთხილებლობით წარმოუდგენელია, გამოდის, რომ ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტში ბრალი შესაძლოა გამოვლინდეს მხოლოდ განზრახვის სახით.

რაც შეეხება სამოქალაქო სამართალს, აქ მსგავსი პოზიციის შედეგად ვერც განზრახვის დასაბუთება ხერხდება, ვინაიდან სამოქალაქოსამართლებრივად განზრახვის ცნებაში (ისევე, როგორც გაუფრთხილებლობის ცნებაში) გადამწყვეტი მნიშვნელობა მუდამ შედეგის უკუღირებულებას ენიჭება, რასაც მცდელობა და მასთან ერთად ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტიც ერთიანად მოკლებულია.

ჩვენი აზრით, მოცემული პრობლემისადმი ახლებური კონცეპტუალური მიდგომის საჭიროება აშკარაა: თუ არა უკიდურესი ზედაპირულობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ზემოხსენებული ფორმალური მსგავსების გენერალურ ორიენტირად გამოცხადებას? ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მცდელობის ცნებისაგან ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის სათანადო დისტანცირება. ეს, მართალია, სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით არაფერს არ ცვლის, მაგრამ სისხლისსამართლებრივად ძალზე მნიშვნელოვანია, რამეთუ ამგვარად უკანასკნელ შემთხვევაში გაუფრთხილებლობის დასაბუთებაც ადვილად შესაძლებელი ხდება. ამის შედეგად კი დავის საგანი ბრალეულობის სფეროდან დასჯადობის სფეროში გადანაცვლებულად შეიძლება მივიჩნიოთ, ე.ი. დავა უკვე უნდა წარმოებდეს მხოლოდ იმის თაობაზე, ქმნის თუ არა განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალი ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტში დასჯადობის საფუძველს.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ, ბრალეულობისა და დასჯადობის ურთიერთობის თვალსაზრისით, ამ უკანასკნელ დასკვნაში არაფერია ალოგიკური, რამდენადაც სასჯელი, განსხვავებით ბრალისაგან, დანაშაულის კონსტიტუციურ ნიშანს არ წარმოადგენს. ამასთანავე, როგორც ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს, ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტი თეორიულთან ერთად პრაქტიკული აქტუალურობითაც ხასიათდება და, ამდენად, სისხლის სამართლის კანონში მის გაუთვალისწინებლობას არ შეიძლება გააჩნდეს არსებითი გამართლება.

ბრალის საკანონმდებლო ცნება

დაბოლოს, ხაზგასმას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ განსახილველ ასპექტში ბრალის გარშემო წარმომდგარ ამ და ზოგიერთ სხვა პრობლემატურ მომენტთა შორის უმთავრესი თვით ბრალის ცნების საკანონმდებლო დეფინირებაა. ბრალის ცნება, როგორც უკვე აღინიშნა, უსათუოდ უნდა განემარტოს მოქალაქეს სისხლის სამართლის კანონში. მაგრამ არა მხოლოდ მოქალაქეს, — ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების თვალსაზრისითაც. ყოველი მოსამართლე, ცხადია, საფუძვლიანად იცნობს სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა თუ მონოგრაფიებში მოცემულ ბრალის ცნების განმარტებებს, რომ-

ლებიც, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა ან ზოგჯერ ერთმანეთსაც გამორიცხავს. მაგრამ სისხლის სამართლის არც ერთ სახელმძღვანელოს (მონოგრაფიას) და მასში წარმოდგენილ განსაზღვრებებს იურიდიულად სავალდებულო ძალა არ ენიჭება, რის გამოც უარვყოთ ბრალის ცნების საკანონმდებლო დეფინირების აუცილებლობა ნიშნავს დავიყვანოთ ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტურ შეხედულებებამდე იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბრალი.

როდესაც სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში ბრალის ცნების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობა მოიპოვება, თავი ვერ დაეღწევა ისეთ შემთხვევებს, როგორიც არის ერთი და იმავე ქმედების ორი სხვადასხვა სუბიექტის მიმართ შესაბამისად როგორც ბრალეულისა და არაბრალეულის კვალიფიცირება. ეს კი უხეშად ხელყოფს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის პირველ ნაწილს, სადაც საუბარია კანონის წინაშე მოქალაქეთა აბსოლუტურ თანასწორობაზე, და, მაშასადამე, თვით კანონპროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტსაც, რომელიც შეეხება საქართველოს სსკ-ს შესაბამისობას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან.

ამიტომაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ბრალის ცნების განუსაზღვრელობა ერთნაირად აფერხებს როგორც მოქალაქის მიერ სისხლის სამართლის კანონის მართებულ გაგებას, ისე სასამართლოს მიერ ამ კანონის მართებულ გამოყენებასაც.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რუს კრიმინალისტთა გამოცდილების გაზიარება, რომლებიც ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებენ სისხლის სამართლის კანონში ბრალის ცნების განსაზღვრის საჭიროებას. თუმც ის, თუ შინაარსობრივად რაოდენ არის მისაღები რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი ბრალის ცნების განმარტება,487 პრინციპულად სხვა საკითხია.

დასკვნა

სისხლისსამართლებრივი ბრალის ზემოწარმოებული კვლევა გარკვევით მოწმობს, რომ ბრალი სისხლის სამართალში ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული კვლევის საგანს. ამასთანავე, ჩვენ შევეცადეთ იმის დემონსტრირებასაც, რომ სისხლის სამართლის თეორიაში მიღებული ბრალის ცნების დეფინიციები ნაკლებად პასუხობს სისხლისსამართლებრივი სინამდვილის მოთხოვნებს, ხშირად კი საერთოდ არავითარ კავშირში არ არის მოცემულ სინამდვილესთან.

მართლაც, თანამედროვე სისხლის სამართლის ფარგლებში აღიარებული ბრალის სამივე ძირითადი თეორია არსებითად ინაქცეპტაბელურია, ვინაიდან, როგორც ნაშრომში დასაბუთდა, სისხლისსამართლებრივი ბრალი ვერც ფსიქიკურ დამოკიდებულებად (მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი), ვერც გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებად და ვერც გასაკიცხობად ან გაკიცხვად ვერ წარმოგვიდგება.

რას შეიძლება ეწოდოს ბრალი სისხლის სამართალში?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალი არის ის, რაც სუბიექტს სისხლის სამართალში ასეთად (ბრალად) შეერაცხება. ხოლო, თუ ვიტყვით ზოგადად, ბრალად სისხლის სამართალში სუბიექტს ერაცხება სისხლისსამართლებრივი მოვალეობის დარღვევა.

მაგრამ სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ყოველგვარი დარღვევა ბრალს ვერ დააფუძნებს, ვინაიდან გაბატონებულ მოძღვრებაში მიღებული მოვალეობის ცნების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი მოვალეობა მოცემულია იმისდა მიუხედავად, შეუძლია თუ არა სუბიექტს მოცემული მოვალეობის შესაბამისად მოქმედება ანუ მაშინაც, როდესაც სუბიექტური ნება შეზღუდულია იძულებით ან სახეზეა დაუძლეველი შეცდომა. ამიტომაც განსახილველ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს მოვალეობის არა ზოგადად , არამედ ნების შესაბამისად დარღვევაზე. ხოლო, თავის მხრივ, გაბატონებული მოძღვრება ნების შესაბამისი ქცევის ორ ძირითად სახეს განასხვავებს: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას.

ამავე დროს, ვერც სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნების შესაბამისად დარღვევა თავისთავად, ანუ, როგორც ასეთი, სისხლისსამართლებრივი ბრალი ვერ იქნება. ბრალთან გვექნება საქმე მხოლოდ მაშინ, თუ მოვალეობის დარღვევა არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის მიზეზი. მაგრამ, ცხადია, მიზეზის ტრადიციული გაგება არ იძლევა განსახილველ კონტექსტში ამ ცნების გამოყენების შესაძლებლობას, რის გამოც ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სუბიექტური მიზეზის ცნების ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ შემდეგი:

სისხლისსამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნების შესაბამისად , ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალი *მატერიალურად* მოვალეობის დარღვევაა, ხოლო *ფორმალურად* — საზიანო შედეგის ან საფრთხის (სუბიექტური) მიზეზი.

<u>რეზიუმე</u>

თავი პირველი

§1. ბრალისა და აქედან რეზულტირებული ბრალეული პასუხისმგებლობის იდეა წარმოადგენს ჩვენი ცივილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას. ის განსაკუთრებული ეკლატანტურობით წარმოგვიდგენს ადამიანს როგორც მენტალურ და ზნეობრივ ქმნილებას, რომელიც თავის შეფასებებში ხელმძღვანელობს არა ინსტინქტებით (იმპულსებით), არამედ რაციონალურად აგებული პრინციპებითა და იდეალებით. ამავე დროს, ბრალეულობის შინაარსის განვითარება ჰომოგენურ პროცესს როდი განასახიერებს და ეს თანაბრად შეეხება მის როგორც რეტროსპექტივას, ისე პერსპექტივასაც.

ანთროპოლოგიური ევოლუციის საწყის ეტაპებზე პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად საკმარისი იყო ინდივიდსა და გარე სამყაროში დამდგარ მავნე ცვლილებას შორის *აბსტრაქტული კავშირის* დადგენაც, რასაც თანამედროვე სამართლის ენაზე ეწოდება პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე.

არაბრალეული პასუხისმგებლობის ანუ ობიექტური შერაცხვის მორიგ მაგალითად წარმოგვიდგება მოგვიანებით აღმოცენებული ტალიონის პრინციპიც, რომელიც, ნაცვლად ზემოხსენებული აბსტრაქტული კავშირისა, მოითხოვს უკვე *რეალურ კაუზალურ კავშირს.* ამასთანავე, თუ პირველ შემთხვევაში ხაზი გაესმოდა ზოგადად ინდივიდისა და შედეგის ურთიერთმიმართებას, უკანასკნელ შემთხვევაში აქცენტი ერთმნიშვნელოვნად გადაიტანება კონკრეტული ქმედებისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამ თვალსაზრისით, კაუზალობის აბსოლუტირება და ტალიონის პრინციპი, როგორც მოცემული აბსოლუტირების საფუძველი, უსათუოდ მოასწავებდა გარკვეულ პროგრესს (აღსანიშნავია, რომ კანტი ისეთივე თავგამოდებით იცავს ტალიონის შესახებ მოძღვრებას, როგორი თავგამოდებითაც უარყოფს მას ჰეგელი).

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, ბრალის იდეის პირველწყაროს შეადგენს არა რელიგიის ან ზნეობის წარმოქმნა, არამედ ის ზოგადი, რასაც რელიგიისა და ზნეობის წარმოქმნა ეფუძნება, ანუ თეორიული აზროვნება.

ნაშრომში განვითარებული მოსაზრების თანახმად ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი, ინდივიდთა შორის ურთიერთობათა შეგნებული რეგულირების აუცილებელი წინაპირობაა.

რაც შეეხება ბრალის იდეას ადრეულსამართლებრივ ეტაპზე და, კერძოდ კი, ინდივიდუალური ბრალის იდეას, ძველ საბერძნეთში ის შესაძლო ორი ფორმიდან ვერც ერთში პოვებს თავის გამოვლინებას. ამ მიმართებით ხაზი უნდა გაესვას ძველი ეგვიპტის სამართლებრივი აზრის დაწინაურებას. მაგრამ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა არა ეგზისტენციალური ინდივიდუალური ბრალი, არამედ მხოლოდ რელიგიური. ეგზისტენციალურ და რელიგიურ მხარეთა უნიფიცირებას ადგილი აქვს მხოლოდ შუმერებთან.

ამასთანავე, არ უნდა იყოს საკვირველი, რომ მოგვიანებით ბაბილონელთა ჰამურაბის კოდექსი ვერ ავითარებს ბრალს თვითკმარ სოციალურ ფენომენად. საერთო-საზოგადოებრივ ცნობიერებაში მითოლოგიური აზროვნების ბატონობა არ ქმნიდა ამის განხორციელების სათანადო პირობებს.

§2. არისტოტელეს შერაცხვის შესახებ მოძღვრების ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ის შესარაცხად განიხილავს მხოლოდ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად უკავშირდება სუბიექტის „ზნეობრივ განწყობას“ (der sittliche Habitus).

„ზნეობრივი განწყობის“ პრინციპზე დაყრდნობით არისტოტელე ასკვნის, რომ არანებაყოფლობითი მოქმედება საერთოდ არ შეიძლება შეფასდეს, არც უარყოფითად და არც დადებითად, რადგან ამ შემთხვევაში არ არის მოცემული არავითარი კავშირი სუბიექტის გარეგან ქცევასა და მის „ზნეობრივ განწყობას“ შორის.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპის მიმართებას უმოქმედობისა და გაუფრთხილებლობის პრობლემებთან. როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, არისტოტელეს შერაცხვის შესახებ მოძღვრების მიხედვით, სუბიექტს ბრალად ვერც უმოქმედობა და ვერც გაუფრთხილებლობა შეერაცხება. ამგვარად, „ზნეობრივი განწყობის“ პრინციპს იქამდე მივყავართ, რომ შერაცხვა არსებითად მხოლოდ განზრახვისა და მოქმედების ცნებებით შემოისაზღვრება.

არისტოტელეს მიხედვით, ინდივიდი დაუძლეველი იძულების დროსაც ფლობს გადაწყვეტილების თავისუფლებას, ე.ი. მას ამ შემთხვევაშიც შესწევს იმის უნარი, რომ გააკეთოს არჩევანი მართლსაწინააღმდეგოსა და მართლზომიერს შორის.

ნაშრომში განვითარებული მოსაზრების თანახმად, დაუძლეველი გარეგანი იძულება მართლაც არ გამორიცხავს გადაწყვეტილების თავისუფლებას, თუმც ის, რასაკვირველია, მაქსიმალურად ამცირებს რეალურად მოცემულ შესაძლებლობათა სპექტრს. ამასთანავე, განსახილველი ცნება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უთუოდ უნდა გამორიცხავდეს. როდესაც ადგილი აქვს დაუძლეველ გარეგან იძულებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება სწორედ დაუძლეველი გარეგანი იძულების მოცემულობის და არა გადაწყვეტილების თავისუფლების მოუცემლობის გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტს თავისი ქცევა არ ერაცხება ბრალად იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა გარეგანი იძულების არასაზიანო ხერხებით დაძლევის შესაძლებლობა და არა იმ მოტივით, რომ ის ზოგადად არ ფლობდა გადაწყვეტილების თავისუფლებას.

§3. ბრალეული პასუხისმგებლობის არსებითი დამკვიდრება, როგორც მართებულად შენიშნავს ფონ იერინგი, უკავშირდება მხოლოდ რომაულ სამართალს, კერძოდ კი იუსტინიანეს ეპოქის სამართლებრივ სისტემას. სწორედ აქედან მოკიდებული იძენს თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას ინდივიდის ნებელობითი და ინტელექტუალური თვისებები, სწორედ აქ დაერთვის არსებითად გარეგან მიზეზობრიობას სუბიექტური ელემენტები.

მაგრამ ბრალთან მიმართებაში „დამნაშავის სუბიექტურობის“ აქცენტირებას იმ სახით, რა სახითაც ეს ხორციელდება თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში, ადგილი აქვს არა რომაული, არამედ მხოლოდ შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის ფარგლებში. თუმც ისიც უნდა შეინიშნოს, რომ კანონიკური სამართალი ხშირ შემთხვევაში თავს ვერ აღწევს რადიკალურ სუბიექტივიზმს და პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად აცხადებს დამნაშავის შინაგან განცდებს.

რომაელი კანონმდებელი განასხვავებდა განზრახი ბრალის მხოლოდ ზოგად სახეს *(dolus)*, მაშინ როდესაც გაუფრთხილებლობას *(culpa)* წარმოიდგენდა სამგვარად: *culpa lata, culpa in concreto, culpa levis*. ამასთანავე, პოსტგლოსატორების აზრით, გაუფრთხილებლობის პირველი სახე, თავის მხრივ, უნდა დაყოფილიყო ორ შემდეგ ქვესახედ: *culpa lata ignaviae* æï *culpa lata versutiae*.

რაც შეეხება ნორმის უცოდინარობას, ის რომაულ სისხლის სამართალში ბრალის ცნებასთან მიმართებაში ნეიტრალურ გარემოებად არის აღიარებული ანუ ნორმის უცოდინარობა მოცემულ შემთხვევაში არც ამსუბუქებს და არც, მით უმეტეს, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ ბრალს.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღების საგანია რომაულ სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის პრობლემა. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ კოლექტიური ბრალი პრინციპულად უარიყოფოდა რომაული სისხლის სამართლის როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიც.

დამოუკიდებელი კვლევის საგნად წარმოგვიდგება აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის ცნებები. ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, განსახილველ ცნებათა შინაარსი რომაულ სისხლის სამართალში არსებითად ემთხვევა ამ ცნებათა შინაარსს თანამედროვე სისხლის სამართალში.

§4. შუა საუკუნეების სისხლისსამართლებრივი აზრი მნიშვნელოვან განვითარებას განიცდის, მაგრამ აქ ჯერ კვლავაც ვერ მიიღწევა არაერთი ფუძემდებლური ცნების სათანადო დასაბუთება.

ასე მაგალითად, შუა საუკუნეების სისხლის სამართალი უმოქმედობას ასაბუთებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ განზრახვასთან, გაუფრთხილებლობითი უმოქმედობა კი აქ ისევ და ისევ დაუსაბუთებელი რჩება.

ანალოგიურ ვითარებას ვღებულობთ ნასვამ მდგომარეობაში, აცილებადი შეცდომისა და სხვა მსგავს შემთხვევებში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქცევასთან დამოკიდებულებაშიც. შუა საუკუნეების კანონმდებელი არც აქ გვთავაზობს „არსებით თეორიულ დასაბუთებას“, მაგრამ მას ამჯერადაც მოეპოვება სუბიექტური ქცევისა და აქტუალური ნების ურთიერთგადაბმის ინსტრუმენტი — *culpa praecedens.*

შუა საუკუნეების სამართლის კვლევისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კანონიკურ და გერმანულ სამართალზე.

შუა საუკუნეების კანონიკურ სამართალში განზრახი ბრალის შემდეგი ხუთი სახეა წარმოდგენილი: *dolus praemedifatus* (მოფიქრებით მიღებული

გადაწყვეტილება), *dolus impetus* (მოფიქრების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება), *dolus directus* (დამნაშავის მიერ თავისი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგების შეგნებული დაშვება ანუ თანამედროვე ევენტუალური განზრახვა), *dolus indirectus* (დამნაშავის მიერ გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგზე უფრო მძიმე შედეგის დადოგმა), *dolus generolis* (საზიანო შედეგის მისაღწევად რამდენიმე ქმედების განხორციელება, როდესაც საზიანო შედეგი გამოწვეულია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანით.

ხოლო გაუფრთხილებლობით ბრალს განეკუთვნება ისეთი ფსიქიკური მდგომარეობები, როგორიც არის უზრუნველობა (*incuria*), მოუფიქრებლობა (*inconsiderantia*), წინდაუხედაობა (*precipitantia*), არაკეთილგონიერება (*impridintia*), დაუდევრობა (*negligtia*).

კანონიკური სამართალი ბრალს განიხილავს როგორც სუბიექტურ ნებას, მიუხედავად იმისა, განხორციელდა ის დასჯად ქმედებაში თუ მხოლოდ მიმართული იყო ასეთი განხორციელებისაკენ, რაც სისხლისსამართლებრივი და ზნეობრივი ბრალის ურთიერთშერწყმის საშიშროებას წარმოქმნის. აქ რელიგიურ-ეთიკური პრინციპები განუწყვეტლივ დევნიან სისხლის სამართლის მეცნიერებიდან, მის ცალკეულ ცნებათა შინაარსიდან რაციონალურ-სამართლებრივ პრინციპებს.

შუა საუკუნეების სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თ. აქვინელის ონტოლოგიას, რომელიც საფუძვლად უდევს მისსავე თეორიას შერაცხვის შესახებ.

ნაშრომში ჩამოყალიბებული თვალთახედვის თანახმად, აქვინელის ონტოლოგია და მასთან ერთად მისი შერაცხვის შესახებ მოძღვრებაც მიუღებელია, ვინაიდან აქ ვერ მიიღწევა ზოგადად ინდივიდის ჭეშმარიტი ონტოლოგიური სპეციფიკის გამოკვეთა და, შესაბამისად, სუბინდივიდუალური არსებისაგან მისი განსხვავება.

ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული აქვინელის შეხედულებები იძულებისა და შეცდომის პრობლემებთან მიმართებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, აქვინელი გვისაბუთებს ბრალს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი შეგნებულად აყენებს თავს შეურაცხადობის მდგომარეობაში, ე.ი. შეგნებულად იქვეითებს მართლზომიერი ქცევის უნარს, არამედ მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს მართლზომიერი ქცევის კონკრეტული შესაძლებლობის არაგანზრახ ანუ გაუფრთხილებლობით შეზღუდვას, რაც აქვინელის მიერ ნებელობის ცნების მეტაედ სპეციფიკური სტრუქტურირების უშუალო შედეგია.

რაც შეეხება შუა საუკუნეების გერმანულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინას, ის არა მხოლოდ პრინციპულად განსხვავდება კანონიკური სამართლისაგან, არამედ თავისი არსით მკვეთრადაც უპირისპირდება მის ძირითად დებულებებს.

ბრალის მნიშვნელობა გერმანულ სისხლის სამართალში, მართალია, დანაშაულის ობიექტურ მხარესთან მიმართებაში მცდარად არის გაგებული, მაგრამ თვით სუბიექტური მხარის ფარგლებში ანუ სუბიექტური მხა-

რის დანარჩენ ელემენტებთან დამოკიდებულებაში ის უსათუოდ მისაღები სახით განისაზღვრება: ბრალი აქ არც სუბიექტური მხარის ცნებასთან არის გათანაბრებული და არც სუბიექტური მხარის რიგით ელემენტამდე დაიყვანება.

თუ ბრალი აქ ფუნქციონალურად წარმოდგენილია როგორც მიზეზობრივი კავშირის სისტემატიკური დანამატი, მის არსს გერმანული სამართალი ხედავდა კონკრეტულ შერაცხუნარიანობაში ანუ იმაში, რომ სუბიექტს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეეძლო მართლზომიერად ემოქმედა.

თავი მეორე

§1. ბრალის როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ცნების განვითარების თვალსაზრისით, ბეკარიას მოძღვრების უმთავრეს მიღწევას შეადგენს ის, რომ მასთან ერთდროულ აღიარებას პოვებს როგორც საკუთრივ ბრალეული პასუხისმგებლობის, ისე პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის აბსოლუტური ხასიათი. ეს კი გულისხმობს, შესაბამისად, ობიექტური შერაცხვისა და კოლექტიური ბრალის უარყოფას, რის შედეგადაც მიიღება ინდივიდუალური ბრალი როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძველი.

გარდა ამისა, ბეკარიას შემოქმედებაში პოზიტიურად უნდა გამოიყოს ისეთი მომენტებიც, როგორიც არის სისხლის სამართალში რელიგიურ-ეთიკური საწყისის დომინირების უარყოფა, არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპის აღიარება, სასჯელისა და დანაშაულის ცნებათა პროპორციულობის თეორიული მნიშვნელობის გამოკვეთა და სხვა, რის გათვალისწინებითაც ვასკვნით, რომ ბეკარიას მოძღვრებაში ინტენსიურ განვითარებას პოვებს არა მხოლოდ საკუთრივ ბრალის ცნება, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის სხვა ფუნდამენტური ცნებები და ზოგადად სისხლისსამართლებრივი აზრი. აღსანიშნავია, რომ ბეკარიას მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპთა უმეტესობა იმთავითვე იქცა სისხლის სამართლის ანბანურ პოსტულატებად.

§2. შტიუბელი ესწრაფვის იმ ქაოტური თეორიული მიღწევების სისტემატირებას, რომლებიც დაკავშირებულია ბრალის მატერიალურ-სტრუქტურულ განვითარებასთან, მაგრამ ჯეროვანი გადაწყვეტილების რეზიუმირებას ვერ ახერხებს და ეს არც არის საკვირველი, რადგან მასთანაც გაუთავისებელი რჩება ის, რომ ბრალის ცალკეულ სახეთა დიფერენცირება უნდა წარმოებდეს არა სპონტანურად, არამედ მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმის შესაბამისად.

ასეთი კრიტერიუმის აღმოჩენა წარმოადგენს ფოიერბახის დამსახურებას, რომელიც თვლის, რომ ბრალის ცალკეულ სახეებად და ქვესახეებად დაყოფა უნდა ეფუძნებოდეს იმას, თუ რა სახისაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტთა კორელაცია. მართალია, ფოიერბახმა ვერ შეძლო მოცემული თეზისის ბოლომდე თანამიმ-

დევრული რეალიზება (მაგალითად, ის განასხვავებდა გაუფრთხილებლობის ოთხ ნაირსახეობას, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მისსავე ზემომოტანილ დებულებას), მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ფოიერბახის მიერ შემოთავაზებული ბრალის სტრუქტურირების ორიენტირი დღესაც, ე. ი. ორი ასწლეულის შემდეგაც, უცვლელად რჩება ძალაში: ყოველგვარ მცდელობას განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სტრუქტურული მოდიფიცირებისა, თუ ამით ხელიყოფა მათ ნებელობით და ინტელექტუალურ მომენტთა პროპორციულობა, გაბატონებული მოძღვრება განიხილავს როგორც არამეცნიერულს.

მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შტიუბელისა და ფოიერბახის შეხედულებათა ერთობლივი ანალიზი, არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ მათთან სპეციფიკურ გადაჭრას პოვებს ბრალის ცნებასთან ნორმის უცოდინარობის მიმართების პრობლემა. აქ ნორმის უცოდინაროობა გაუფრთხილებლობითი ბრალის ნაირსახეობაა.

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, შტიუბელისა და ფოიერბახის მოცემული შეხედულება, ისევე, როგორც სისხლის სამართლის თეორიაში წარმოდგენილი სხვა შესაბამისი კონცეფციები, ნაკლებად საფუძვლიანია. ნაშრომში მითითებულია სისხლის სამართალში *ნორმის ცოდნის ვალდებულების* ჩამოყალიბების თეორიულ აუცილებლობაზე და ნორმის უცოდინაროობა წარმოდგენილია როგორც ბრალის დამამძიმებელი გარემოება.

§3. ნ. ს. ტაგანცევი, უარყოფს რა სისხლის სამართალში კოლექტიური ბრალის აქცეპტაბელურობას, მრავლად წარმოგვიდგენს იმის დამასაბუთებელ არგუმენტებს, თუ რატომ უნდა განისაზღვროს სისხლის-სამართლებრივი ბრალი მხოლოდ ინდივიდუალური ბრალის სახით.

ნ. ს. ტაგანცევის მიერ კოლექტიური ბრალის უარსაყოფად წარმოდგენილ არგუმენტთა დიდი ნაწილი საკმაოდ დამაჯერებელია. ამავე დროს, ის აშკარად მცდარად უდგება განსახილველ კონტექსტში ზოგიერთი პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხის გადაწყვეტას. ასე მაგალითად, მისი მტკიცებით, იურიდიული პირის, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტის, ხასიათის რეალურობა არ არის დამოკიდებული მის ბრალუნარიანობასა და დასჯადუნარიანობაზე.

მაგრამ, რაც მთავარია, საბოლოო ჯამში კოლექტიურ ბრალზე ნ. ს. ტაგანცევის შეხედულებები ქმნის იმის გათავისების მნიშვნელოვან საფუძველს, რომ მოცემული ცნება სისხლის სამართალში მიუღებელია არა მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებთან მისი აშკარა შეუთავსებლობის გამო, არამედ მრავალ რელევანტურ ასპექტში მისი სრული განუხორციელებადობის გამოც.

§4. ბრალის ცნება კენის მოძღვრებაში და ზოგადად ანგლოსაქსურ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში პრინციპულად სხვაგვარი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე ამას ბეკარიასა თუ ფოიერბახის

შემოქმედებაში და ზოგადად იმჟამინდელ რომანულ-გერმანულ სისხლის-სამართლებრივ დოგმატიკაში ჰქონდა ადგილი.

ბრიტანულ სისხლის სამართალში ბრალის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი მოიცემა — ***mens rea***, რომლის მიხედვითაც სუბიექტური ქცევით დაფუძნებული ბრალი შეეხება არა მხოლოდ იმ შედეგს, რომელსაც სუბიექტი ითვალისწინებდა ან შეეძლო გაეთვალისწინებინა, არამედ აგერთვე იმ შედეგსაც, რომლის გათვალისწინებაც სუბიექტს არ შეეძლო. განსახილველი თვალსაზრისით, ნაშრომში დასაბუთებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ***actus reus***-ზე დაფუძნების დაუშვებლობა. ამავე ჭრილში უარყოფითად გამოიყოფა ე. წ. აბსოლუტური ანუ მკაცრი (strict) და ირიბი (vicarious) პასუხისმგებლობის ცნებები.

ანგლოსაქსურ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით, კენის თეორიის უმთავრეს ღირსებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის, რომ კენი ცდილობს უარყოს ხსენებულ დოგმატიკაში იმჟამად გაბატონებული კონცეფცია, რომლის შესაბამისადაც საკითხი ***mens rea***-ს შესახებ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ზოგადად დანაშაულებრიობის, მართლწინააღმდეგობისა თუ არაზნეობრიობის მომენტზე დაყრდნობით. კენის თანახმად, მოცემული საკითხი „ყოველთვის უნდა წყდებოდეს კონკრეტულ დანაშაულთან კავშირში, რომლის ჩადენაც შეერაცხება ბრალდებულს".

§5. ბრალისა და თავისუფალი ნების ურთიერთობის წარმატებულ კვლევას პირველად კანტის ფილოსოფიაში ვხვდებით. ის, ცხადია, არ ცდილობს ბრალის ცნებასთან დამოკიდებულებაში ნების თავისუფლების მნიშვნელობის დაკნინებას, მაგრამ შეუმცდარად განსაზღვრავს ნების თავისუფლების პრობლემისადმი ბრალის პრობლემის დაქვემდებარების მიზანშეუწონლობას.

თანამედროვე კრიმინალისტთა უმეტესობა, ეყრდნობა რა ამის საპირისპირო თვალთახედვას, ნაკლებად უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ნების თავისუფლების საკითხზე ბრალის დამოკიდებულების აღიარება ნიშნავს, დავუკავშიროთ ბრალის პრობლემა დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის მიმდინარე დაუსრულებელ ცილობას.

გარდა ამისა, დღესდღეობით არასათანადოდ არის გათვალისწინებული კანტის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხედულებაც, რომელიც შეეხება თვით სუბიექტური ნების შინაარსს. ამ მხრივ, კანტი სავსებით საფუძვლიანად მოითხოვს ნებისა და სურვილის ცნებათა ურთიერთგამიჯვნას, რა დროსაც უკანასკნელს ის განიხილავს მხოლოდ როგორც „გრძნობით კატეგორიას" (sensible Kategorie), პირველს კი, როგორც გრძნობითსა და გონებრივს ერთდროულად (sensible und intelligible Kategorie). მაშასადამე, კანტთან, ისევე, როგორც თანამედროვე ფილოსოფიაში, ნება განიხილება როგორც ინტელექტუალური მომენტის მომცველი ცნება, სისხლის სამართალი კი ნებელობასა და ინტელექტუალურობას წარმოგვიდგენს რო-

გორც ორ ურთიერთდამოუკიდებელ კატეგორიას, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბრალის მაგალითზე.

ამრიგად, კანტთან ბრალის ცნების ვოლუნტატური ასპექტი თვისებრივად ახლებურ, მეტად საგულისხმო იერს იძენს.

კანტისაგან განსხვავებით, ჰეგელი წინააღმდეგობრივად უდგება ბრალისა და ნების ურთიერთობის საკითხს. მისი მტკიცებით, სუბიექტური ნება არ შეიძლება გავიგოთ ისე ვრცლად, რომ მან მოიცვას გაუფრთხილებლობისათვის იმანენტური ფსიქოლოგიური სპეციფიკაც. ამიტომ ჰეგელი საერთოდ უარყოფს გაუფრთხილებელ ბრალს.

მაგრამ მისი მორიგი შენიშვნა მოასწავებს ნებისა და ნებასთან ერთად ბრალის შინაარსის ექსტრემალურ ექსტენდირებას: ჰეგელი აქ ნებელობითი საქმიანობის გამოვლინებად და, შესაბამისად, ბრალეული პასუხისმგებლობის საფუძვლად წარმოიდგენს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოწვეულია საგანთა ბრმა კაუზალობით, რომლის გათვალისწინებაც სუბიექტს როგორც ამ საგანთა მესაკუთრეს გადამწყვეტი მომენტისათვის არ ძალუძდა. ჰეგელის არგუმენტს ამ შემთხვევაში შეადგენს ის, რომ ყოველი ნივთი უნდა ექვემდებარებოდეს მესაკუთრის *აბსოლუტურ მფარველობას.*

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: თუ პირი, რომელიც გაუფრთხილებლობისას არ ითვალისწინებს, მაგრამ შეუძლია გაითვალისწინოს დელიქტური შედეგი, მოქმედებს არაბრალეულად, მაშინ რამდენად გამართლებულია ბრალეულობაზე საუბარი ისეთ საზიანო შედეგთან მიმართებაში, რომელსაც სუბიექტი არც ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა?

ვგონებთ, ჰეგელის ზემომოტანილ დებულებათა დაუძლეველი კონტრადიქტორულობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სისხლისსამართლებრივი ბრალის განვითარების მომდევნო ეტაპად შესაძლოა მივიჩნიოთ რიკერტის ღირებულებათა (ფასეულობათა) მოძღვრება, სადაც უარიყოფა ნორმატიული ეთიკის აბსოლუტურობა. ბრალი რიკერტთან მიმოიხილება ინდივიდუალურ ღირებულებათა რაკურსში.

რიკერტის ღირებულებათა ფილოსოფიისა და კანტის შემეცნების თეორიაზე დაყრდნობით კი ე. ვოლფი ავითარებს თავის მეტად ორიგინალურ კონცეფციას. ვოლფის მიხედვით, ბრალის ცნება სისხლის სამართალში უნდა აღიქმებოდეს დუალისტურად — ბრალი როგორც მოსამართლის შეფასებითი მსჯელობა (richterliches Werturteil) და ბრალი როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების ცნება.

ამ მიმდინარეობათა საწინააღმდეგო შეიძლება ეწოდოს ჰოლდ ფონ ფერნეკის მიერ წარმოდგენილ სოციოლოგიურ სწავლებას, რომლის ყურადღებაც კონცენტრირებულია დამნაშავის საზოგადოებრივ საშიშროებაზე და რომელიც, ამასთანავე, უგულებელყოფს ქმედების სოციალურ საშიშროებას. ამგვარი ტენდენციის შედეგად სოციოლოგიზმი ბრალს დანაშაულის ნიშნიდან დანაშაულის სუბიექტის ნიშნად გარდასახავს, რითაც უხეშად არღვევს პრედიკატული ლოგიკის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ამავე დროს, უკანასკნელი მიმდინარეობა ყველაზე ნაკლებად ბეკარიას კლასიკურ სკოლასთან არის შეთავსებადი, რომლის ფარგლებშიც აუცილებლად მიიჩნევა სისხლის სამართალში ყოველივე სოციალურისაგან აბსტრაჰირება და ბრალიც ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ცნება, შეისწავლება მხოლოდ როგორც სპეციფიკურად იურიდიული პრობლემა.

სწორედ მსგავსი თეორიები თუ ცალკეული მოსაზრებები უძღოდა წინ სისხლისსამართლებრივი ბრალის შესახებ თანამედროვეობის სამ ძირითად მოძღვრებას: ფსიქოლოგიზმს, ნორმატივიზმსა და ფსიქოლოგიურ-ნორმატიულ სწავლებას. პირველ მათგანზე დღეს უკვე აშკარად დომინირებს როგორც ნორმატივიზმი, ისე ფსიქოლოგიურ-ნორმატიული მიმდინარეობაც. ამასთანავე, აქვე უნდა გამოვყოთ ისიც, რომ ნორმატივიზმი წარმოადგენს გერმანელ კრიმინალისტთა მიერ ფსიქოლოგიზმის კრიტიკაზე აგებულ მოძღვრებას, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიურ-ნორმატიული მოძღვრება ჩამოყალიბდა ქართულ სისხლის სამართალში ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის როგორც ცალკე აღებულ თეორიათა კრიტიკული გააზრების შედეგად.

თავი მესამე

§1. ბრალი ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში დანაშაულის ცნების დამოუკიდებელი ელემენტი კი არ არის, არამედ განეკუთვნება დანაშაულის შემადგენლობას, სადაც ის ზოგიერთი ავტორის მიერ განიხილება როგორც ზოგადად დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე, ზოგიერთი კრიმინალისტი კი მას განიხილავს როგორც დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის კომპონენტს.

სისტემატიკაში ბრალის ადგილის ამგვარი განსაზღვრის შედეგად მიიღება ის, რომ მართლწინააღმდეგობა სისტემატიკურად ბრალზე უფრო მაღალი საფეხურია, რაც იმთავითვე სრული შეუსაბამობაა.

აქ ადგილი აქვს ასევე ბრალისა და დანაშაულის ცნებათა დისპროპორციულ ურთიერთმიმართებას. ბრალს ფსიქოლოგისტები განმარტავენ როგორც პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი დანაშაულებრივი ქმედებისადმი, ე. ი. დანაშაულისადმი მთლიანად. მაგრამ თუ ქმედება დანაშაულებრივია, ის იმავდროულად ბრალეულიც უნდა იყოს, ხოლო ბრალი, როგორც ბრალეული ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება, ლოგიკურად მოუსაზრებელია. ამდენად, ბრალი უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა იყოს ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილისადმი, კერძოდ კი მისი გარეგანი ანუ ობიექტური მხარისადმი. და რადგანაც ობიექტური მხარე, როგორც ასეთი, წარმოადგენს სათანადო კონკრეტულობას მოკლებულ სისხლისსამართლებრივ აბსტრაქციას, ის მოცემულ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ მისი ცა-

ლკეული შემადგენელი ელემენტების სახით, ე. ი. ბრალი ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ ქმედებისა და შედეგის საზოგადოებრივი საშიშროების, ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის, დანაშაულის განხორციელების ფორმისა და დანაშაულის სხვა ობიექტური ნიშნებისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებაში.

§2. ნაშრომში განვითარებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება წყდება საზიანო შედეგის დადგომით, ხოლო შედეგი, მისთვის იმანენტურ თვისებათა გამო, არასოდეს შეიძლება იყოს საშიში, ის მხოლოდ საზიანოა.

საზოგადოებრივი საშიშროება უნდა განვასხვავოთ როგორც კონკრეტული, ინდივიდუალურად გარკვეული საშიშროებისაგან, ისე კონკრეტული, ინდივიდუალურად გარკვეული ზიანისაგან. ამასთანავე, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი და კონკრეტული (ინდივიდუალურად გარკვეული) ზიანის ცნებები.

ყოველივე ამის შედეგად ირკვევა, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება ვრცელდება არა ქმედებისა და შედეგის ზოგადად საზოგადოებრივ საშიშროებაზე, არამედ ქმედების კონკრეტულ (ინდივიდუალურად გარკვეულ) საფრთხესა და შედეგის კონკრეტულ (ინდივიდუალურად გარკვეულ) მავნეობაზე.

§3. ნაშრომში წარმოდგენილი თვალთახედვის შესაბამისად, ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური კავშირი დანაშაულის ობიექტური მხარის კონსტიტუციური ელემენტი ვერ იქნება, სულ მცირე, შემდეგი ორი მიზეზის გამო: უმოქმედობის დროს თუმც მოიცემა ქმედებაც და შედეგიც, მაგრამ მიზეზობრივი ურთიერთობის გარეშე და, მეორეც, ფორმალური დელიქტი არც ერთ შემთხვევაში შედეგით დაფუძნებული დელიქტი არ არის. ეს გარემოება კი შეუძლებელს ქმნის კაუზალობის ხსენებული სახისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების ზოგადობას.

§4. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის განხორციელების ფორმისადმი ერთიანად უმნიშვნელოა ბრალეულობის თვალსაზრისით, რადგანაც განსახილველი სუბიექტური ელემენტის აუცილებლობა კვლევის არც ერთ ეტაპზე არ წარმომდგარა.

ნაშრომში უარიყოფა არა ის, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის განხორციელების ფორმისადმი რეალობაა, არამედ მხოლოდ ის, რომ მოცემული რეალობა სისხლისსამართლებრივი ბრალის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეალობაა.

ყოველივე ამის შედეგად კი ზედმეტი ხდება დანაშაულის ობიექტური მხარის მომდევნო კომპონენტთა მიმოხილვა, ვინაიდან უკვე სრულიად აშკარაა, რომ ბრალი ვერ განიხილება ფსიქიკურ დამოკიდებულებად დანაშაულის ობიექტური მხარისადმი.

ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, რადგანაც ბრალი ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება აგნოსცირებულია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის

ცნებებთან, ვასკვნით, რომ *ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებას ბრალის დამოუკიდებელი ცნება არ მოეპოვება.*

თავი მეოთხე

§1. ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ წარმართული კრიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მაქსიმალისტურად განწყობილ წარმომადგენლად პოზიტივისტი ჰ. კელზენი გვევლინება. მსგავსად ბეკარიასი, რომელიც ცდილობდა სამართლის ყოველივე სოციალურისაგან განწმენდას, კელზენი „იცავს“ სამართალს ყოველივე ფსიქოლოგიურისაგან. მისთვის ერთნაირად არის მიუღებელი სამართლის ნებისმიერი დარგის ფსიქოლოგირება, იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართალი. მაგალითად, არა სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას მიიჩნევს კელზენი ნამდვილად (კანონიერად) იმდენად, რამდენადაც მასში გამოვლენილია (კონტრაგენტთა) ნება, არამედ პირიქით, გარიგებაში ნებას განიხილავს გამოვლენილად იმდენად, რამდენადაც ეს გარიგება კანონიერია; შესაბამისად, კანონიერების ხარისხი შემეცნების საფუძველია ნებელობის ხარისხისათვის და ნება ამ ურთიერთობაში წარმოგვიდგება უკვე არა როგორც ე. წ. ფსიქიკური ფაქტი.

ამავე ლოგიკით ხელმძღვანელობს კელზენი, როდესაც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ გაუფრთხილებლობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის სახე, შეადგენს „იურიდიული და არა ფსიქოლოგიური შინაარსისა და ფორმის ცნებას“. ამ მიმართებით კელზენი, „ფსიქოლოგიურ შესაძლებლობაზე“ წინ აყენებს რა „ნორმატიულ ვალდებულებას“, აღნიშნავს, რომ სუბიექტს მხოლოდ მაშინ შეუძლია წინდახედულობის (მზრუნველობის) გამოსაჩენად ყურადღების დაძაბვა, თუ მას ეს ნორმატიულად ევალება.

ჩვენი აზრით, მოცემული მტკიცების სქოლასტიკურობა აშკარაა. თუ გავიზიარებთ კელზენის მოსაზრებას, უცილობლად უნდა ვცნოთ, რომ „ნორმატიული ვალდებულების“ ჩამოყალიბების დროს „ფსიქოლოგიური შესაძლებლობა“ გაუთვალისწინებელი რჩება, რაც ერთიანად ხელყოფს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს ***ultra posse nemo obligatur***.

ამგვარად, შესაძლებლობის მასშტაბად ვალდებულების დეკლარირება აშკარა პარალოგიზმია.

განსახილველი ტენდენციის საბოლოო შედეგს ბრალის მიმართ სასჯელის პრიორიტირება წარმოადგენს. ბრალეულობის მომენტის მიმართ დასჯადობის მომენტის პრევალირებას კელზენი საფუძვლად უდებს იმას, რომ სწორედ სასჯელი განიხილება მასთან როგორც „ნორმატიულობის უკიდურესი გამოვლინება“. „რატომ და რამდენად სასჯელი, იმიტომ და იმდენად ბრალი“, — გვაუწყებს კელზენის დასკვნითი თეზისი.

ამრიგად, სასჯელი განაპირობებს ბრალს და არა ბრალი სასჯელს (!); უკეთ რომ ვთქვათ, კელზენის მიხედვით, ქმედება იმიტომ კი არ არის დასჯადი, რომ ის ბრალეულია, არამედ ბრალეულია იმიტომ, რომ დასჯადია.

მაგრამ თუ მსგავს თვალთახედვას ჩავთვლით მართებულად, მაშინ, სულ მცირე, ყოველი ბრალეული ქმედება აუცილებლობით დასჯადიც უნდა იყოს, სინამდვილეში კი ბრალეულად მოქმედი ყოველთვის როდი ისჯება (მაგალითად, დამნაშავე შესაძლებელია განთავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის დადგინდა, რომ მისი პიროვნება უკვე არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას). *ბრალი, როგორც დანაშაულის კონსტიტუციური ელემენტი, არასოდეს შეიძლება იყოს დამოკიდებული სასჯელზე, როგორც დანაშაულის არაკონსტიტუციურ ნიშანზე.*

ამისდა კვალად, ნათელია, რომ კელზენი ზუსტად ისევე აუკუღმართებს ბრალეულობისა და დასჯადობის ურთიერთობას, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დროს ნებელობისა და ნამდვილობის (ლეგალურობის) ან გაუფრთხილებლობის დროს შესაძლებლობისა და ვალდებულების ურთიერთობას.

ფსიქოლოგიზმის კელზენისეული კრიტიკა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სამართალში ფსიქოლოგიის უკიდურესად ბაგა-თელირებული სახით წარმოჩენასა და ნორმატივისტული ასპექტის მეტისმეტ აქცენტირებას. ფსიქოლოგიისაგან სამართლის მოწყვეტით კელზენმა სამართალი არსებულ სინამდვილესაც მოსწყვიტა. მაგრამ თვით მცდელობა ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის უარყოფისა, მასში ნორმატიულობის აბსოლუტური გაუთვალისწინებლობის გამო, უცილოდ წარმოადგენს კელზენის მიერ წარმოებული ანალიზის კონსტრუქციულ მომენტს.

§2. ფსიქოლოგიური მოძღვრების ნეგატიურ მხარეთა გაშუქებას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნორმატივიზმის ფუძემდებელი რ. ფრანკიც.

კელზენისაგან განსხვავებით, ფრანკი მეცადინეობს სისხლის სამართლიდან არა ფსიქოლოგიის, არამედ მხოლოდ ფსიქოლოგიზმის განდევნას. ის არამც და არამც არ უარყოფს ბრალის ცნებისათვის ფსიქოლოგიურ ფაქტორთა მნიშვნელობას. თანაც თუ კელზენი იფარგლებოდა ზოგადი დებულებების ფორმულირებით, ფრანკი თავის მტკიცებებში უაღრესად კონკრეტულია. მას მოაქვს გარეგანი (ფიზიკური თუ ფსიქიკური) იძულების მაგალითი და მიუთითებს იმაზე, რომ იძულებით მოქმედ პირსაც გააჩნია ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედებისადმი, გამოხატული პირდაპირ განზრახვაში: სუბიექტი ითვალისწინებს მავნე შედეგის დადგომის აუცილებლობას და სურს კიდევაც ამ შედეგის გამომწვევი დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ჩადენა (რათა ამით იძულებისაგან თავი დაიხსნას); მაგრამ, მიუხედავად ამისა, ე. ი. მიუხედავად პირდაპირ განზრახვაში გამოხატული ფსიქიკური დამოკიდებულების მოცემულობისა, იძულების ორთავე სახე ერთნაირად გამორიცხავს ქმედების ბრალეულობას (რადგან სუბიექტი მოკლებულია არჩევანის თავისუფლებას). ამ შედარებაზე დაყრდნობით ფრანკი სავსებით სამართლიანად დაასკვნის, რომ ბრალის შინაარსი მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტით არ

უნდა ამოიწურებოდეს. გამოსავალს ის ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხობის როგორც შეფასებითობის, ნორმატიულობის კომბინირებაში ხედავს.

ამავე დროს, ფრანკი ბოლომდე როდი იცავს თავის ამ ლოგიკურ კონსეკვენტურობას, როდესაც ის ბრალს განსაზღვრავს არა როგორც გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, არამედ როგორც ფსიქიკური დამოკიდებულების მომცველ გასაკიცხობას. მის მიერ მოტანილი მაგალითიდან, უფრო ზუსტად კი ამ მაგალითის მის მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, გასაკიცხობის მომენტი თან უნდა დართვოდა ფსიქოლოგიურ მომენტს და არა „შთაენთქა“ ეს უკანასკნელი. გასაკიცხობით „აბსორბირებული“ ფსიქიკური დამოკიდებულების წინააღმდეგ, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ილაშქრებს თ. წერეთლის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული მოძღვრება.

ფრანკის მტკიცებით, ბრალის ფსიქოლოგიური სწავლება საერთოდ ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებლობას, ვინაიდან ფრანკი და მასთან ერთად უკლებლივ ყველა ნორმატივისტი თვლიან, რომ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ განზრახვა, გაუფრთხილებლობა კი, მათივე თქმით, ნიშნავს არა ფსიქიკურ დამოკიდებულებას, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულების მხოლოდ შესაძლებლობას.

ჩვენი აზრით, ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს შენიშვნა სრულიად უნიადაგოა. გაუფრთხილებლობაში რ. ფრანკთან (ისევე, როგორც ნორმატივისტულ მოძღვრებაში ზოგადად) იგულისხმება წინდახედულობის ან მზრუნველობის ვალდებულების დარღვევა. მაგრამ განა წინდახედულობისა თუ მზრუნველობის ვალდებულება შესაძლებელია დაირღვეს „არაფსიქიკურად“ ანუ ფსიქიკური საქმიანობის გარეშე? ცხადია, არა. და თუ ფსიქიკური საქმიანობის გარეშე სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობის განხორციელება შეუძლებელია, ვერც გაუფრთხილებლობით მოქმედსა და მისი ქმედების ობიექტურ მხარეს შორის ფსიქოლოგიური კავშირის არსებობა მიიჩნევა საცილოდ. ამიტომ ფსიქიკური დამოკიდებულება უთუოდ შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვაში, ისე გაუფრთხილებლობაში.

მიუხედავად ფსიქიკური დამოკიდებულების ცნების არაადეკვატური გაგებისა, ფრანკი წარმატებით განაგრძობს ფსიქოლოგიზმის კრიტიკულ განხილვას და დამაჯერებლად ასაბუთებს ფსიქოლოგიური მოძღვრების ფარგლებში აღმოცენებული „წარმოსახვისა“ და „ნებელობის“ თეორიების მიუღებლობას.

მოცემულ სწავლებათა კოლიდირების საგანს სისხლისსამართლებრივი განზრახვის შინაარსი შეადგენს. წარმოსახვის თეორია (Vorstellungstheorie) განზრახვის განმსაზღვრელ ნიშნად დელიქტური შედეგის გათვალისწინებას აცხადებს, ნებელობის თეორია კი (Willenstheorie) — დელიქტური შედეგის სურვილს.

ფრანკის მართებული შენიშვნისამებრ, განზრახვის შინაარსს უნდა განსაზღვრავდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის არც მხოლოდ გათვა-

ლისწინება და არც მხოლოდ სურვილი, არამედ ამ ორთავე ელემენტის ერთობლიობა.

იმის დასაბუთება, რომ ეს თეორიები ერთნაირად მოიცავენ მნიშვნელოვან წინააღმდეგობრიობას, საკმაოდ მარტივი ამოცანაა. თუ დავუშვებთ წარმოსახვის სწავლების მართებულობას და მივიჩნევთ, რომ განზრახვა შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ინტელექტუალურ ნიშანზე მითითებით, იძულებული ვხდებით ვაღიაროთ ირიბი განზრახვისა და თვითმიმედოვნების იგივეობაც, ვინაიდან ბრალის ეს ორი ქვესახე ერთსა და იმავე ინტელექტუალურ ელემენტზეა აგებული: ირიბი განზრახვის დროსაც და თვითმიმედოვნების დროსაც სუბიექტი ითვალისწინებს საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას; ის, რომ ერთ შემთხვევაში პირი შეგნებულად უშვებს არამართლზომიერი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მეორე შემთხვევაში კი ქარაფშუტულად ვარაუდობს მის თავიდან აცილებას, წარმოადგენს ბრალის ამ ქვესახეთა უკვე ნებელობით და არა ინტელექტუალურ ნიშანს.

ხოლო ნებელობის თეორიას განზრახვისა და შეცდომის, როგორც სისხლისსამართლებრივ ცნებათა, ურთიერთგანუსხვავებლობამდე მივყავართ, რადგან განზრახვისა და შეცდომის ნებელობითი მხარე ისევე ემთხვევა ერთმანეთს, როგორც ირიბი განზრახვისა და თვითმიმედოვნების ინტელექტუალური მხარე წარმოსახვის თეორიის შემთხვევაში. კონკრეტულად რომ ვთქვათ, როდესაც საუბარია მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხოლოდ სურვილზე, დაუდგენელი რჩება, თუ რა გვაქვს მოცემული: განზრახვა თუ შეცდომა; ამის დადგენა დამოკიდებულია იმ „ინტელექტუალურ“ გარემოებაზე, წარმოისახავს თუ არა სუბიექტი შედეგს როგორც მართლსაწინააღმდეგოს.

ამდენად, თუ ირიბი განზრახვისა და თვითმიმედოვნების ერთმანეთისაგან განსხვავება მათი „ინტელექტუალური იგივეობის“ გამო შესაძლებელია მხოლოდ ნებელობითი ნიშნის მოშველიებით, განზრახვა და შეცდომა ამ უკანასკნელთა „ნებელობითი იდენტურობის“ გამო ვერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ არ მოვიშველიეთ ინტელექტუალური ნიშანი.

§3. ბრალის ცნების პროგრესულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სისხლის სამართლის ქართულ სკოლას. თ. წერეთელი მიიჩნევს, რომ უმკაცრესი კრიტიკის ღირსია ცალკე აღებული როგორც ფსიქოლოგიზმი, ისე ნორმატივიზმი. თ. წერეთელი სავსებით ეთანხმება ნორმატივისტების მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბრალი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება, მაგრამ, მისივე მტკიცებით, ბრალი ვერც გასაკიცხობად განისაზღვრება.

ფსიქოლოგიური და ნორმატივისტული მოძღვრებებისადმი მსგავსი მიდგომის შედეგად თ. წერეთელი აუცილებლად მიიჩნევს ბრალის ახლებური თეორიის ფორმირებას. მის მიერ ჩამოყალიბებულ სწავლებაში ბრალი განიხილება უკვე არა როგორც მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულე-

ბა ან მხოლოდ გასაკიცხობა, არამედ როგორც გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება.[0]*

რადგან ბრალი თ. წერეთელთან ფსიქიკური დამოკიდებულებაა, რომელსაც თან სდევს გასაკიცხობის მომენტი, და არა თვით გასაკიცხობა, რომელიც თავის ელემენტად მოიცავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას, გასაგებია, რომ მისი თეორია მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მხოლოდ ფსიქოლოგიზმისაგან, არამედ ნორმატივისტული დოგმატიკისაგანაც.

ამავე დროს, აქედანვე გამომდინარეობს ისიც, რომ ბრალის მოცემული ცნება მიღებულია სწორედ ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის გენერალურ პრინციპთა დიფუზიის შედეგად. ამიტომაც თ. წერეთლის თვალთახედვას შესაძლოა ეწოდოს ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული მოძღვრება.

მაგრამ ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: თუმც, დოგმატური თვალსაზრისით, გასაკიცხობა და ფსიქიკური დამოკიდებულება თ. წერეთელთან წარმოადგენს ბრალის ცნების დამოუკიდებელ და ეკვივალენტურ ნიშნებს, მაგრამ, სისტემატიკური თვალსაზრისით, ის არსებითად კვლავაც ბრალის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში წარმოდგენილ დანაშაულის სისტემას იცავს. ეს კი, თავის მხრივ, იმის მტკიცების საფუძველს ქმნის, რომ თ. წერეთელი თავის შეხედულებებში საბოლოო ჯამში უფრო მაინც სწორედ ბრალის ფსიქოლოგიური თეორიისაკენ იხრება.

§4. ბრალის ფსიქოლოგიური მოდელის კრიტიკის შედეგად აქაც ვღებულობთ ბრალის ახლებური თეორიის აღმოცენებას.

ბრალეულობის შესახებ მსჯელობის ფარგლებში ნორმატიული შეფასების ობიექტად ბ. ს. უტევსკი წარმოგვიდგენს ყოველივეს, რაც ახასიათებს დანაშაულს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მხრიდან. ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მოცემული პოზიციის გაზიარება უთუოდ მიგვიყვანდა აბსოლუტურ ქაოსამდე როგორც დოგმატური, ისე სისტემატიკური თვალსაზრისით.

ამასთანავე, უშუალოდ ფსიქოლოგიზმის კრიტიკის დროს ბ.ს. უტევსკის ძირითადი აქცენტი იმაზე გადააქვს, რომ ბრალის მოცემული თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა და განიხილავს მას როგორც ბრალის სპეციფიკურად ბურჟუაზიულ მოძღვრებას.

ამავე დროს, ბ. ს. უტევსკი სრულიად მისაღებად მიიჩნევს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას სისტემატიკურ ასპექტში და თვლის, რომ ნორმატივისტების მიერ დანაშაულის შემადგენლობიდან ბრალის გატანა შესაძლებელს ხდიდა პროცესუალური თვითნებობის გამართლებას, რის დამაჯერებელ დასაბუთებასაც ის, ცხადია, ვერ ახერხებს.

---

* უფრო კონკრეტულად კი, თ. წერეთელი ბრალს მოიხსენიებს როგორც (სოციალურ-) ეთიკურად, ზნეობრივად ან ზნეობრივ-პოლიტიკურად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებას

თავი მეხუთე

§1. ფსიქოლოგიური მოძღვრების ნორმატივისტულით შეცვლის შედეგად განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეებიდან ბრალის ელემენტებად გარდაისახა. შესაბამისად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ნორმატიულ მოძღვრებაში განსაზღვრავენ ბრალის არა ფორმას, არამედ შინაარსს. ფრანკის, ბაუმანის და სხვა ნორმატივისტთა აზრით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა იმის გამო ვერ იწოდება ბრალის სახეებად, რომ ბრალის ცნება, მათივე მტკიცებით, არც განზრახვაში ვლინდება სრულყოფილად და არც გაუფრთხილებლობაში. თუ რა ესახებათ მათ ბრალის სრულყოფილ გამოვლინებად, ნათლად ჩანს, როდესაც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის სტრუქტურული ელემენტების, გვერდით მოიხსენიება ბრალუნარიანობა ანუ შერაცხადობა (დამნაშავის მიერ ქმედების შეფასების შესაძლებლობა) და ბრალის გამომრიცხველ განსაკუთრებულ გარემოებათა არარსებობა (დამნაშავის შესაძლებლობა, იმოქმედოს თავისი შეფასებისამებრ).

მოეპოვება თუ არა სუბიექტს, ერთი მხრივ, შეფასების შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, შეფასებისამებრ მოქმედების შესაძლებლობა, ეს ბრალეულობის თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ბრალს როგორც გასაკიცხობას მოცემული მომენტები შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ როგორც წინამძღვრები და არა როგორც შემადგენელი ელემენტები. რაც უფრო მეტი ელემენტებისაგან შედგება ბრალის შინაარსი, ის მით უფრო სრულყოფილი როდია. ამასთანავე, ბრალის ელემენტებად არც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამოცხადებაა სწორი, რამეთუ ამის შედეგადაც ისევე ხელიყოფა ბრალის ცნების ინვარიანტულობა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბრალის ფსიქოლოგიურ სწავლებაში.

განსაკუთრებული ნაირფეროვნებით გამოირჩევა ნორმატივისტთა დამოკიდებულება უშუალოდ ბრალის ცნების დეფინირების პრობლემისადმი. მართალია, ყოველ მათგანთან ბრალის ცნება უპირობოდ ასოცირდება გასაკიცხობასთან, მაგრამ გასაკიცხობის შინაარსი და მასთან ბრალის ცნების ასოცირების ფორმა ნორმატივიზმის წარმომადგენლებს არაერთგვაროვნად აქვთ გაგებული. ამჟამადაც არ ცხრება აზრთა გაცხოველებული ჭიდილი იმის შესახებ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ბრალის ცნებაში: საკუთრივ გასაკიცხობა თუ გაკიცხვა. ბელინგის მიხედვით კი გასაკიცხობა (Vorwerfbarkeit) და მოვალეობის შეუსაბამობა (Pflichtwidrigkeit) ერთი და იმავე მნიშვნელობის ცნებებია და, ამგვარად, ბელინგთან ორივე მათგანი დაიშვება ბრალის აღმნიშვნელ ტერმინად.

ამასთანავე, გასაკიცხობა ნიშნავს შეფასებითობას, ხოლო შეფასებითობა შეფასების ობიექტთან კავშირის გარეშე ძნელად წარმოსადგენია, რაც აზრთა მორიგ შეურიგებელ სხვადასხვაობას განაპირობებს.

ნორმატივისტთა ერთი ნაწილის თანახმად, ნორმატიული შეფასების ობიექტს უნდა შეადგენდეს ფსიქიკური დამოკიდებულება (განზრახვა) და ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობა (გაუფრთხილებლობა). სხ-

ვათა აზრით, ბრალეულობის შესახებ მსჯელობა ქმედების ნორმატიულ შეფასებას გულისხმობს. ამის საპირისპიროდ ფროიდენტალი — ნორმატივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი — აღნიშნავს, რომ აქ, ნაცვლად ქმედებისა და ფსიქიკური დამოკიდებულების ან ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობისა, მოსატანია „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა“.

ქმედება შესაძლებელია გავიგოთ სხვადასხვაგვარად: ზოგიერთი კრიმინალისტი მასში გულისხმობს უკვე მარტოოდენ ფიზიკურ ქცევასაც (მაგალითად, ბელინგი), ზოგიერთი კი ქმედებას წარმოიდგენს მხოლოდ როგორც ფსიქოფიზიკურ ქცევას მთლიანად (მაგალითად, ბინდინგი). მაგრამ როგორადაც არ უნდა გავიგოთ ქმედების ცნება, ბრალეულობის შესახებ შეფასებითი მსჯელობის ფარგლებში ის შეფასების ობიექტად ვერ მიიღება, ვინაიდან პირველ შემთხვევაში (ქმედება როგორც ფიზიკური ქცევა = ქმედება როგორც ობიექტური კატეგორია) ქმედების ნორმატიული შეფასების შედეგად ყალიბდება მხოლოდ მართლწინააღმდეგობის ცნება, მეორე შემთხვევაში კი (ქმედება როგორც ფსიქოფიზიკური ქცევა = ქმედება როგორც ობიექტურ-სუბიექტური კატეგორია) ქმედების ნორმატიული შეფასება ვრცელდება დანაშაულის ცნებაზე ზოგადად და ამიტომ მას ბრალის ცნებით ვერ შემოვფარგლავთ.

რას მოასწავებს „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის“ შეფასების ობიექტად გამოცხადება? როდესაც პირს შეუძლია იმოქმედოს სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი შერაცხადია და სუბიექტური ნება არ არის შეზღუდული ამა თუ იმ გარეგანი ფაქტორით, ე. ი. სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის ნორმატიული შეფასება ნიშნავს შერაცხადობისა და ბრალის გამომრიცხველ განსაკუთრებულ გარემოებათა არარსებობის ნორმატიულ შეფასებას, რაც, ბუნებრივია, ბრალის შესახებ შეფასებით მსჯელობად ვერ განიხილება, ვინაიდან აქ სრულიად გაუთვალისწინებელი რჩება სუბიექტის ფსიქიკური საქმიანობა. ინდივიდი შეიძლება გაიკიცხოს არა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობისათვის, არამედ სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის განუხორციელებლობისათვის.

ბევრად უფრო ლოგიკურია გასაკიცხობასთან შეფასების ობიექტად განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დაკავშირება. თუმც განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გასაკიცხი, თუ სახეზეა შერაცხადობა და ბრალის გამომრიცხველ განსაკუთრებულ გარემოებათა არარსებობა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უკანასკნელნი პირველთაგან განსხვავებით შესაძლოა განვიხილოთ ნორმატიული შეფასების მხოლოდ სპეციალურ წინამძღვრებად და არა ობიექტებად: პირი ვერასოდეს გაიკიცხება იმის გამო, რომ ის შერაცხადია ან არ განიცდის გარეგანი იძულებით გამოწვეულ ნების შეზღუდულობას.

უდავოა ჭეშმარიტება, რომ ფსიქოლოგიზმთან შედარებით, ნორმატივისტული თეორია დიდად უფრო რაციონალური, გაცილებით უფრო პროგრესული სისხლისსამართლებრივი მიმდინარეობაა.

ფსიქოლოგიური მოძღვრების თანახმად, ბრალეულად მოქმედების უნარი შეურაცხადსაც მოეპოვება. ფსიქოლოგისტები ამას, ცხადია, პირდაპირ არ აღიარებენ, მაგრამ ბრალის მათ მიერ ჩამოყალიბებული დეფინიცია ამის აპოდიქტური საბუთია. შეურაცხადსაც ძალუძს ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგს და სურდეს კიდეც ის ან შეგნებულად უშვებდეს მისი დადგომის შესაძლებლობას, ზოგჯერ კი იმის უნარიც შესწევს, რომ გამოიჩინოს სათანადო წინდახედულობა თუ მზრუნველობა, რათა დასძლიოს საზიანო შედეგის გაუთვალისწინებლობა, ე. ი. შეურაცხად პირსაც შეიძლება ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით მოქმედების ფსიქოლოგიური უნარი და, ამდენად, თუ ბრალს განვიხილავთ მხოლოდ როგორც ფსიქიკურ დამოკიდებულებას, გამოხატულს განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში, შეურაცხადობა როგორც ბრალუუნაროობა თეორიულად წარმოუდგენელი ხდება.

ნორმატივისტული სწავლება, შემოაქვს რა გასაკიცხობის მომენტი, მსგავს სირთულეებს არ აწყდება, მაგრამ არც ის არის უკიდურესობებს მოკლებული. ბრალის ნორმატივისტული ცნება აშკარად ფუნქციონალური ხასიათისაა და ეს ერთიანად მოკლებულია მატერიალურ გარკვეულობას. რაც მთავარია, ნორმატივისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამას უკვე თავადაც აღიარებს.

მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს ნორმატივისტულ მოძღვრებაში ჩამოყალიბებული „განზრახვის თეორია“ და „ბრალის თეორია“, რომელთა დავის საგანს მართლწინააღმდეგობის (უმართლობის) შეგნების პრობლემა შეადგენს, კერძოდ ის, თუ რა უნდა მოიცავდეს მართლწინააღმდეგობის შეგნებას: ზოგადად ბრალი თუ მხოლოდ განზრახვა.

„განზრახვის თეორია“ უმართლობის შეგნებას განზრახვის ცნებით შემოფარგლავს, ხოლო „ბრალის თეორიაში“ ის ბრალის ცნების დამოუკიდებელ ნიშნად არის წარმოდგენილი.

ის, რაც კონკრეტულად განასხვავებს „ბრალის თეორიას“ „განზრახვის თეორიისაგან“, გამოიხატება განზრახვის გამორიცხვის გარეშე უმართლობის შეგნების გამორიცხვის დაშვებაში. გარდა ამისა, მოცემული თეორიები შებრუნებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან: „ბრალის თეორია“ მისაღებად თვლის არა მხოლოდ განზრახვას მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშე, არამედ მართლწინააღმდეგობის შეგნებასაც განზრახვის გარეშე, რაც „განზრახვის თეორიის“ ფარგლებში სრულიად დაუშვებელია. მართლწინააღმდეგობის შეგნება განზრახვის გარეშე ნიშნავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას გაუფრთხილებლობასთან კავშირში.

როგორც აქედან ჩანს, ბრალის ნორმატივისტული ცნების შინაარსი ამ მხრივაც მეტად ორიგინალური და არაერთფეროვანია.

ბრალის ნორმატიულ სწავლებაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ყოვლად შეუძლებელია, თუ არ შევეხეთ მის ფარგლებში აღმოცენებულ ხუთ ძირითად თეორიასაც, რომლებიც ქმედების შესახებ მოძღვრებებად არის წოდებული. კაუზალურ ანუ ნატურალისტურ, სიმპტომატურ, სო-

ციალურ, ფინალურ და პერსონალურ მოძღვრებებში ბრალის ნორმატივისტული ცნება არაერთ საგულისხმო გარდატეხას განიცდის.

§2. კაუზალიზმის წარმომადგენლები პირობითად შესაძლოა დავყოთ სამ შემდეგ ჯგუფად: ფუძემდებლები (ფონ ლისტი და ბელინგი), აქტიური მიმდევრები (რადბრუხი, შიონკე და მეცგერი) და „პასიური“ მიმდევრები (შრიოდერი, ბლაი და ბაუმანი).

მიუხედავად იმისა, რომ კაუზალური მოძღვრება ამჟამად საერთოდ არ პოვებს აქტიურ მხარდაჭერას და არ განაგრძობს განვითარებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სწავლება ზოგიერთ თავის გამოვლინებაში დღესაც დიდად მნიშვნელოვანია (მაგალითად, სწორედ ნატურალისტური თეორიის აღმოჩენაა დანაშაულის სამნიშნა ცნება — დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი).

ამასთანავე, უსათუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ კაუზალისტების მიერ მცდარად დაისმის მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი პრობლემა, იქნება ეს განზრახვის, გაუფრთხილებლობისა თუ მცდელობის პრობლემა; განსაკუთრებულ სირთულეებს კი უმოქმედობისა და ნებელობის საკითხები წარმოქმნის.

როდესაც ფონ ლისტი დანაშაულს განმარტავს როგორც „ნებისმიერ, ე. ი. შეცნობილ და წარმოდგენებით განსაზღვრულ სხეულებრივ მოძრაობას“, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს არაფერია ალოგიკური ნებელობის საკითხისადმი კაუზალისტთა მიდგომაში. მაგრამ სინამდვილეში ფონ ლისტი სუბიექტურ ნებას განსაზღვრავს როგორც „ფიზიკურ აქტს, რომლითაც უშუალოდ აღიგზნება მოტორული ნერვები“. ამის შედეგად ნებელობა იქცევა მიზეზობრივი პროცესით მოცულ კომპონენტად და სუბიექტური ქმედებაც მთლიანად გადაიტანება კაუზალობის სიბრტყეზე.

უეჭველია, რომ აქ ნება როგორც ასეთი და ნება დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებაში კარგავს თავის მნიშვნელობას როგორც სპეციფიკურად ადამიანური თვისება, როგორც უმაღლესი ფსიქიკური (გონებრივი) საქმიანობის გამოვლინება, რაც საბოლოო ჯამში ბრალის იდეის უარყოფასაც ნიშნავს.

რამდენადაც ნებელობას ნატურალისტური თეორია განიხილავს კაუზალობის ქვემდებარე პრობლემად, ცოტა რამ არის გასაოცარი იმაში, რომ კაუზალობას ის უმოქმედობის პრობლემის განმსაზღვრელ კრიტერიუმადაც წარმოგვიდგენს. უმოქმედობა კაუზალურ თეორიაში სხვადასხვაგვარად განიმარტება, მაგრამ ყოველთვის —მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიზეზობრივ კავშირში. უპირატესად ის წარმოდგენილია როგორც „სხვაგვარად მოქმედება“ და, ამასთან, მიიჩნევა, რომ „სხვაგვარად მოქმედების“ დროს სუბიექტი ისჯება არა საზიანო შედეგის გამომწვევ კაუზალობაში ჩაურევლობისათვის, არა საშიშროების მომცველი კაუზალური ჯაჭვის არგაწყვეტისათვის, არამედ კაუზალურ პროცესთან შეუხებლად მართლსაწინააღმდეგო შედეგის „მიზეზად გახდომისათვის“!

როგორც შეუმცდარად შენიშნავს ვ. ჰარდვიგი, კაუზალური სწავლება მეტისმეტად სპეკულაციურად იყენებს ტერმინს „სხვაგვარად მოქმედე-

ბა“. კაუზალისტების მიერ შემოთავაზებული ლოგიკის თანახმად, თუ უმოქმედობის დროს სუბიექტი, არ ასრულებს რა სავალდებულო მოქმედებას, მოქმედებს სხვაგვარად ანუ აკრძალულად, უნდა ვაღიაროთ, რომ მოქმედების შემთხვევაში ის, ასრულებს რა აკრძალულ მოქმედებას, არ მოქმედებს მოვალეობის შესაბამისად. ამდენად, გამოდის, რომ მოქმედებაც საბოლოო ჯამში ყოფილა არა საკუთრივ მოქმედება, არამედ მოვალეობის საწინააღმდეგო უმოქმედობა! სწორედ ასეთია მოცემულ ასპექტში კაუზალისტური „ლოგიკის“ ყველაზე ლოგიკური შედეგი.

თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას წარმოადგენს დანაშაულის სამნიშნა ცნება, რომელიც დღეს უკვე დანაშაულის კლასიკურ სქემად არის წოდებული. თვით იდეა დანაშაულის სამ ნიშნად დაყოფისა ეკუთვნის ფონ ლისტს, მაგრამ მისი მეცნიერული რეალიზება, როგორც ცნობილია, ე. ბელინგის დამსახურებას შეადგენს.

დანაშაულის ცნების სამ აღმავალ საფეხურად წარმოდგენა გამოხატავს არა უბრალოდ სისტემატიკურ მოხდენილობას, არამედ უმნიშვნელოვანეს თეორიულ თუ პრაქტიკულ ღირებულებასაც. ეს, უწინარეს ყოვლისა, აისახება დანაშაულის სისტემის მკაცრ სტრუქტურულ მოწესრიგებულობაში — მაგალითად, ქმედების ბრალეულობა დგინდება მხოლოდ დანარჩენ ორ ნიშანზე დაყრდნობით და არა მათგან დამოუკიდებლად.

ამავე დროს, ლისტისა და ბელინგის კონცეფცია უცილობლად საჭიროებს გარკვეულ სრულყოფას. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქმედებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნებათა ურთიერთმიმართება.

ფონ ლისტისა და ბელინგის მიხედვით აუცილებელია დანაშაულის შემადგენლობისა და ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა შესაძლოა მოიცემოდეს სუბიექტური ქმედების მოუცემლადაც. ასე მაგალითად, მკვლელობის შესახებ განსაზღვრული მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობა მოცემულად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, დაზარალებული პირის სიკვდილი გამოწვეულია სხვა პირისა თუ ბუნებრივი მოვლენის მიერ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა იგულისხმება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობაში ანუ რას ვუსაბამებთ დანაშაულის შემადგენლობას? შეიძლება კი შევუსაბამოთ მას თვით საზიანო შედეგი ან ბუნებრივი მოვლენის მიერ ამ შედეგის გამოწვევა?

თუ დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ამას თავად ბელინგი აღნიშნავს, არის დანაშაულის ტიპის მონახაზი, ხოლო ყოველი დანაშაული — სუბიექტური ქმედება, მაშინ დანაშაულის შემადგენლობასთან შესაბამების ერთადერთი საგანი უნდა იყოს სუბიექტური ქმედება და არაფერი, გარდა სუბიექტური ქმედებისა. ამიტომ ამ უკანასკნელის არარსებობა უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობის გამომრიცხველი გარემოება (ისევე, როგორც უკიდურეს აუცილებლობას ან აუცილებელ მოგერიებას განვიხილავთ მართლწინააღმდეგობის

გამომრიცხველ გარემოებად) და, შესაბამისად, დანაშაულის ცნების ანალიზსაც ამ გარემოებიდან უნდა შევუდგეთ.[0]*

საკუთრივ ბრალის პრობლემა კაუზალურ სწავლებაში მრავალ მნიშვნელოვან სიახლეს უკავშირდება, რისი თვალსაჩინო დასტურიც ე. ბელინგის შემოქმედებაა.

ბელინგი წარმოგვიდგენს ე. წ. ბრალის შეზღუდულ ნორმატიულ ცნებას,[0]** რომელშიც ბრალი განსაზღვრულია როგორც „გასაკიცხობა ან დაგმობითობა ქმედების ფსიქიკური მხარის მიხედვით“. დანაშაულის ყველა ფსიქოლოგიურ ნიშანს როგორც „ნების განსაკუთრებულ თვისებას“ ბელინგი ბრალის ცნებას განაკუთვნებს. ამ ნიშნებში ის, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს „ფსიქიკურ ურთიერთობებს დანაშაულის შემადგენლობასთან (განზრახვა) და მართლწინააღმდეგობასთან (უმართლობის შეგნება)“, ხოლო აქედან დაასკვნის, რომ ბრალი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის „ფსიქიკურ ანარეკლს“ (თუ მოცემულია გულზრახვითი დელიქტები, ბელინგი ბრალში, გარდა განზრახვისა და უმართლობის შეგნებისა, გულისხმობს აგრეთვე „დამნაშავის ტენდენციებს“, მიზნებსა და მოტივებს, რომლებიც კაუზალისტ ე. მეცგერთან მართლწინააღმდეგობის კუთვნილებად არის მიჩნეული).

განზრახვა როგორც დანაშაულის შემადგენლობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება და უმართლობის შეგნება, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი, სავსებით ლოგიკური პოსტულატებია, მაგრამ დანაშაულის ცნებით მოცული ყოველივე ფსიქიკურის ბრალის ცნებაში ინტეგრირება ასევე გამართლებული ვერ იქნება. მაგალითად, დანაშაულის მოტივმა შესაძლებელია მხოლოდ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ბრალი, ე. ი. ზეიმოქმედოს მასზე ხარისხობრივად და არა თვისებრივად, რის გამოც ის უნდა განიხილებოდეს ბრალის არა შინაარსის, არამედ ხარისხის განმსაზღვრელ ფსიქიკურ ნიშნად ანუ მდებარეობდეს ბრალის ცნების მიღმა და არა ბრალის ცნებაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალი ბელინგთან განასახიერებს არა დანაშაულის სუბიექტური მხარის ელემენტს, არამედ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და, ამგვარად, ბრალი და დანაშაული აქ სუბიექტური თვალსაზრისით აბსოლუტურად იდენტური ცნებებია, მაშინ როდესაც ბრალი სუბიექტურადაც უნდა მოიცავდეს მხოლოდ ნაწილს იმისა, რისი მომცველიც დანაშაულის ცნებაა.

§3. მორიგ ნორმატივისტულ მიმდინარეობაში, სიმპტომატიზმში, აღინიშნება, რომ ბრალის ფსიქოლოგიურ კომპონენტთა აბსტრაქტულობა შეუძლებელს ხდის მათ უშუალო შესწავლას. და რადგან ბრალი უშუალო დად-

---

* სუბიექტური ქმედება აქ გაიგება ზოგადად როგორც სუბიექტური ქცევა, ე.ი. როგორც ეს კაუზალურ სწავლებაშია მიღებული.

** ბელინგი ნორმატივისტულ მოძღვრებას მიემხრო მხოლოდ თავის ნაშრომში „არაბრალეულობა, ბრალი და ბრალის საფეხურები“, ე. ი. 1910 წლიდან, მანამ კი ფონ ლისტთან ერთად ის ბრალის ფსიქოლოგიური მოძღვრების ფარგლებს არ გასცილებია.

გენის ობიექტი არ შეიძლება იყოს, ის უნდა დადგინდეს სიმპტომატურად, დანაშაულის ობიექტურ ნიშანთა ანალიზის შედეგად.

სიმპტომატური სწავლება ჩამოყალიბებულ იქნა გერმანელი კრიმინალისტების კოლმანისა და თეზარის მიერ, შემდგომი განვითარება კი მან ბრიტანულ სისხლის სამართალში პოვა. სიმპტომატიზმის კრიტიკოსთა აზრით, ეს თეორია ბრალს მეტაფსიქიკურ პრობლემად გარდაქმნის, რადგან, როგორც ისინი ამტკიცებენ, სიმპტომატური მოძღვრება ეძიებს ბრალს დანაშაულის არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ ნიშნებში. მაგრამ სინამდვილეში სიმპტომატისტები ბრალს ადგენენ არა ობიექტური მხარის მიხედვით, არამედ ობიექტური მხარით ინდიცირებული სუბიექტური ნიშნების შესაბამისად. ამიტომ არასწორია მტკიცება, თითქოს ბრალის „მხოლოდ სიმპტომატური აღქმა“ მოასწავებს „ბრალის როგორც არასუბიექტური კატეგორიის ფსიქოლოგიისაგან იზოლირებასა“ და მის ობიექტურ მხარესთან შერწყმას. როგორც მართებულად შენიშნავს ჰ. კიტინგი, „დანაშაულებრივი განზრახვისა თუ მიზნის დადგენა უფრო ფაქტის საკითხია, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა და მოსამართლეთა სუბიექტური შეხედულებისა, რის გამოც სუბიექტურ მხარეზე ჩამოყალიბებული შეფასებითი მსჯელობა მუდამ ნაკარნახევია დანაშაულის ობიექტური სპეციფიკით“. კიტინგის ამ გამონათქვამში ნათლად აისახება სიმპტომატური მოძღვრების პრაგმატულობაც, რამეთუ ის მაქსიმალურად ზღუდავს პროცესუალური თვითნებობის ყოველგვარ გამოვლინებას.

სიმპტომატურ სწავლებას სხვაგვარად ეპისტემოლოგიური დუალიზმი (epistemological dualism) ეწოდება. სიმპტომატიზმის დუალისტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ერთმანეთისაგან განაცალკევებს გონებასა და სხეულს, რა დროსაც სხეულსა და სხეულებრივ მოძრაობებს განიხილავს როგორც საჯარო, გარეგან (external) ანუ სხვათა მიერ ხილვად ფენომენებს, ხოლო გონებასა და გონებრივ პროცესებს — როგორც კერძო, შინაგან (internal) ანუ სხვათა მიერ უშუალოდ უხილავ მოვლენებს. სიმპტომატური თეორიის ეპისტემოლოგიურ ხასიათს განსაზღვრავს ის, რომ სიმპტომატიზმი შეიცავს არა მეტაფიზიკურ მტკიცებას იმის შესახებ, თუ რა არსებობს, არამედ ეპისტემოლოგიურ მტკიცებას იმაზე, თუ რისი ცოდნა გვძალუძს და რაგვარად გვძალუძს ამ ცოდნის შეძენა. ამასთანავე, როგორც რ. ა. დუფი მიუთითებს, სიმპტომატიზმი შორს არის კარტეზიანული მეტაფიზიკურობისაგან, ვინაიდან ის გონებას კი არ აცხადებს განსხვავებულ, არაფიზიკურ სუბსტანციად, არამედ იმასღა ამტკიცებს, რომ ჩვენ არ შეიძლება გაგვაჩნდეს პირდაპირი ცოდნა გონებასა და ყოველივე გონებრივზე, როგორც ეს გაგვაჩნია სხეულსა და სხეულით განხორციელებულ მოძრაობებზე.

სიმპტომატისტები ბრალს წარმოიდგენენ როგორც გარეგანად განსაზღვრად ფსიქიკურ მდგომარეობას (და არა პროცესს). სიმპტომატისტ ს. ბრაუნის მიხედვით, „ბრალეულად ცნობა ნიშნავს სუბიექტისათვის იმ *ფსიქიკური მდგომარეობის* (state of mind) შერაცხვას, რომლის გარეგანი გამოხატულებაც არის მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო

ქმედება“. ასევე გარკვევით შენიშნავს სხვა სიმპტომატისტი ჯ. სმიტიც, რომ „ბრალი როგორც *განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა* შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ არაპირდაპირი სამხილის შემცველ მტკიცებულებათა (circumstantial evidence) საფუძველზე“.

ბრალი, როგორც წესი, მართლაც უკავშირდება სუბიექტის „განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობას“, მაგრამ ის შესაძლოა აგრეთვე გამომდინარეობდეს ფსიქიკური პროცესიდანაც, რაც ცხადად ჩანს განგრძობადი დანაშაულის მაგალითზე.

თუ მდგომარეობა ეწოდება სისტემის განსაზღვრული დროისათვის მოცემულ შინაგან პარამეტრთა ერთობლიობას, პროცესი წარმოადგენს სისტემის სხვადასხვა მდგომარეობათა დინამიკურ თანამიმდევრობას, ე. ი. პროცესის აუცილებელ წინაპირობას შეადგენს ერთზე მეტი მდგომარეობის მოცემულობა; თანაც, როგორც ზემოთქმულიდანვე გამომდინარეობს, პროცესი შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მდგომარეობათა თანამიმდევრობაში და არა მდგომარეობათა ერთობლიობაში ან მდგომარეობათა ურთიერთობაში, რასაც პრინციპულად სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭება.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ განგრძობადი დანაშაულის შემთხვევაში მოიცემა არაერთი ფსიქიკური მდგომარეობა და, რაც მთავარია, დანაშაულებრივი განზრახვა მოიძიება არა რომელიმე მათგანში ან ყოველ მათგანში ცალ-ცალკე, არამედ მათ შორის არსებულ მიმდევრობაში (განზრახვა რომ მოიპოვებოდეს ყოველ მათგანში განცალკევებით, მაშინ სახეზე იქნებოდა განმეორებით დანაშაულთა მთელი რიგი და არა განგრძობადი დანაშაული). ამისდა კვალად, განგრძობად დანაშაულში ბრალი წარმოდგენილია არა როგორც ცალკეული ფსიქიკური მდგომარეობა ან ცალკეული ფსიქიკური მდგომარეობანი, არამედ როგორც ამ უკანასკნელთა თანამიმდევრობაში გამოხატული ფსიქიკური პროცესი.

შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი ბრალი ზოგადად შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც ფსიქიკურ მდგომარეობაში, ისე ფსიქიკურ პროცესშიც.

სიმპტომატური სწავლების ყველაზე უფრო ულმობელ კრიტიკოსად ლ. ვიტგენშტაინი გვევლინება. ის სიმპტომატიზმის საწინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ გარეგანი დაკვირვების საგანს შეადგენს არა ფიზიკურ სხეულთა „უფერული მოძრაობანი“, არამედ „ადამიანურ არსებათა ქმედებანი“ (the actions of human beings). ამასთანავე, ვიტგენშტაინს ანალოგიის სახით ჯ. ბ. ვატსონის ქცევის თეორია (Behaviorism) მოაქვს.

ჩვენი აზრით, სიმპტომატიზმსა და ვატსონის თეორიას შორის მკაცრი პარალელის გავლება გაუმართლებელია, რამეთუ ქცევის თეორია, უარყოფს რა სუბიექტური ქმედებისათვის ფსიქიკისა და „ფსიქიკური“ ცნებების მნიშვნელობას, განსაზღვრავს მას მხოლოდ როგორც სხეულებრივ მოძრაობებს, რა დროსაც სიმპტომატურ მოძღვრებაში სხეულებრივ მოძრაობათა თავიდათავი დანიშნულებაა ფსიქიკის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან მონაცემთა ასახვა.

მაგრამ ვიტგენშტაინის შენიშვნა მაინც თანაბრად შეეხება ორივე მათგანს იმ თვალსაზრისით, რომ ამ პირველის მიხედვით ჩვენ ვაკვირდებით ინდივიდუალურ აქტს და არა სხეულებრივ მოძრაობას როგორც ასეთს ან სხეულებრივ მოძრაობას, რომელიც შეიცავს მითითებებს ქმედების სუბიექტურ ელემენტებზე. სხვა საკითხია ის, არის თუ არა ვიტგენშტაინის მიერ წარმოდგენილი კრიტიკა ორივე შემთხვევაში თანაბრად საფუძვლიანი, — თუ ვატსონის თეორიასთან მიმართებაში მისი საფუძვლიანობა უეჭველია, სიმპტომატიზმთან დაკავშირებით უეჭველად მისი უსაფუძვლობა უნდა მივიჩნიოთ.

საკმარისია დავიმოწმოთ ობიექტური სინამდვილე, რათა დავასკვნათ, რომ დანაშაულებრივი ქმედება ვერასოდეს იქნება დაკვირვების ობიექტი, ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ მისი ობიექტური მხარე. ჩვენ ვაკვირდებით არა მკვლელობას, ყაჩაღობას და ა. შ., არამედ იმას, რაშიც მკვლელობა, ყაჩაღობა და ა. შ. ობიექტურად ვლინდება. მაგალითად, მკვლელობა ნიშნავს სხვა პირისათვის სიცოცხლის არა ყოველგვარ მოსპობას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. ამიტომ როდესაც მოწმე აკვირდება განსაზღვრული სუბიექტის მიერ სხვა სუბიექტისათვის სიცოცხლის მოსპობას, ეს როდი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოწმე აკვირდება მკვლელობას: პირი, რომელიც თავისი მოქმედებითა თუ უმოქმედობით იწვევს სხვა პირის სიკვდილს, შესაძლოა იყოს შეურაცხადი, ე. ი. არ გააჩნდეს ბრალეულად მოქმედების უნარი ან არ მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ ამა თუ იმ განსაკუთრებული გამამართლებელი გარემოების გამო. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც მოწმემ დაბეჯითებით უწყის, რომ ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არავითარი გარემოება არ მოიცემა, ის აკვირდება მხოლოდ სხეულებრივ მოძრაობებს და არა ამ სხეულებრივი მოძრაობებით გამოწვეულ მკვლელობას, რადგან ამ უკანასკნელის აღსაქმელად პირი საქმიანობს არა მხოლოდ ვიზუალურად (გრძნობითად), არამედ ანალიტიკურადაც (გონებრივადაც). დაკვირვება, როგორც გრძნობითი საქმიანობა და ანალიზი, როგორც გონებრივი საქმიანობა, ფუნდამენტურად სხვადასხვა რამ არის: დაკვირვება შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ ანალიზის წინამძღვარს, მაგრამ არა თვით ანალიზს. და კიდევ, როგორ დაიშვება, რომ სუბიექტი გარკვეული სხეულებრივი მოძრაობის სახით აკვირდებოდეს დანაშაულს, თუ მოცემული სხეულებრივი მოძრაობა დანაშაულად არ ითვლება მანამ, სანამ ამის შესახებ გამოტანილი სასამართლო განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში? როგორც ვხედავთ, მრავალი არგუმენტი მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ დანაშაული როგორც დაკვირვების ობიექტი სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით წარმოუდგენელია.

ამრიგად, სიმპტომატისტები მხოლოდ არსებული რეალობის კონსტატირებას ახდენენ, როცა ამტკიცებენ, რომ უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება დანაშაულებრივი ქმედება ზოგადად და მის სუბიექტურ მხარეში შემავალი ფსიქოლოგიური ელემენტები.

სიმპტომატიზმთან მიმართებაში ვიტგენშტაინის მიერ შემოთავაზებული კრიტიკის დაუსაბუთებლობა სხვაგვარადაც მარტივად დგინდება. რამდენადაც, ვიტგენშტაინის თანახმად, ჩვენ ვაკვირდებით არა საკუთრივ სხეულებრივ მოძრაობებს, არამედ სუბიექტურ ქმედებას, უნდა დავასკვნათ, რომ სხეულებრივი მოძრაობები აუცილებლობით მიგვითითებენ სუბიექტური ქმედების მოცემულობაზე. იმთავითვე ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს სრულ უპერსპექტივობასთან, ვინაიდან ყოველი სუბიექტური ქმედება უნდა წარმოადგენდეს ნებელობითი ქცევის აქტს, მაშინ როდესაც სხეულებრივი მოძრაობები შესაძლებელია საერთოდ არ უკავშირდებოდეს სუბიექტის ნებელობით საქმიანობას (ამას გარკვევით მოწმობს რეფლექსური და ინსტინქტური მოძრაობები; მოძრაობები, ჩადენილი დაუძლეველი ძალის ან ფიზიკური ძალადობის დროს; ზოგჯერ კი იმპულსური მოძრაობებიც და მოძრაობებიც, რომლებიც განხორციელებულია ფსიქიკური ძალადობის პირობებში).

§4. სიმპტომატური სწავლებისაგან განსხვავებით, მომდევნო ნორმატივისტულ მიმდინარეობას, სოციალურ სწავლებას, გერმანელ კრიმინალისტთა დიდი ნაწილი, უფრო ზუსტად კი, მათი უმეტესობა ემხრობა. სოციალური სწავლების განვითარების შინაარსს ძირითადად კაუზალიზმის ზეგავლენისაგან მისი თანდათანობით განთავისუფლების პროცესი შეადგენს; ე. შმიდტის, ჰ. მაიერის, კ. ენგიშის, ვ. ზაუერის, ე. ა. ვოლფისა (ნაწილობრივ) და სხვათა მიერ წარმოდგენილი სოციალური თეორია მეტად თუ ნაკლებად ყოველთვის განიცდიდა კაუზალური მოძღვრების ზემოქმედებას, სანამ რ. მაიჰოფერმა ის საბოლოოდ არ გამიჯნა ნატურალისტური დოგმებისაგან. ამ მიმდინარეობის უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს ქმედების კონსტიტუციურ ელემენტად სოციალური აზრობრივობის (soziale Sinnhaftigkeit) გამოყოფა შეადგენს.

ამის შესაბამისად ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ სუბიექტური ქმედების სპეციფიკურობა მდგომარეობს გონებრივ და არა „ბუნებრივ“ სფეროში, ზუსტად ისევე, როგორც ამ ნიშნის მიხედვით ინდივიდი დანარჩენი ქმნილებებისაგან გამოირჩევა.

ე. შმიდტი, რომელიც მეტად ახლოს არის ფონ ლისტის მიერ ჩამოყალიბებულ ქმედების ნატურალისტურ ცნებასთან, ბრალთან დამოკიდებულებაშიც აშკარად „პრონატურალისტურ“ პოზიციაზე დგას. ის ამ მხრივ არსებითად იზიარებს კაუზალისტ ე. მეცგერის შეხედულებას, რომლის თანახმადაც „ბრალი არ არის არც თვისება, არც შეფასებითი მსჯელობა ან შეფასებითი მსჯელობისა და ფსიქოლოგიური ფაქტების კონგლომერატი და არც „საგანი“, რომელიც შედგება „შემადგენელი ნაწილების“ ან „ელემენტებისაგან““. ბრალად ის მიიჩნევს ფსიქოლოგიურ (შინაგან) და შეფასებით (გარეგან) მომენტებს შორის არსებულ ფაქტობრივ ურთიერთობას (tatsächliche Relation). ამასთანავე, მეცგერის ეს თეზისი განიმარტება ორგვარად: 1) ბრალი როგორც ფაქტობრივი ურთიერთობა სუბიექტურ ქცევასა და სისხლისსამართლებრივ ნორმას შორის (თავად ე. შმიდტი) და 2)

ბრალი როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის ფაქტობრივი ურთიერთობა თავისუფალ სუბიექტურ ნებასთან (ვ. ჰარდვიგი).

აღსანიშნავია, რომ ჰარდვიგი თავისი ამ თვალთახედვის განვრცობისას გაცილებით უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება, ვიდრე შმიდტი. მაგრამ არც ამ უკანასკნელის მიერ დაშვებული წინააღმდეგობებია ძნელად შესამჩნევი. მაგალითად, შმიდტი ზოგჯერ მოიხსენიებს ბრალის „ფსიქოლოგიურ შემადგენელ ნაწილსა“ და ბრალის „ნორმატიულ შემადგენელ ნაწილს“, ნაცვლად იმისა, რომ ისაუბროს ბრალის „ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მომენტებზე“, როგორც ეს მისი თავდაპირველი მტკიცებიდან გამომდინარეობს.

სოციალური თეორიის სხვა წარმომადგენელი კ. ენგიში, შმიდტთან შედარებით, ნაკლებად განიცდის კაუზალური მოძღვრების ზეგავლენას. მას ქმედების ცნებაში შემოაქვს მიზნობრიობის ანუ გათვლადობის ნიშანი (Bezweckbarkeit bzw. Berechenbarkeit) და ამკვიდრებს სოციალურ თეორიას როგორც ობიექტურ-ფინალურ მოძღვრებას. ენგიშის მიხედვით, „ქმედება არის სუბიექტის მიერ ობიექტურად გამიზნად (bezweckbar) შედეგთა ნებისმიერი გამოწვევა“ ანაც „ქმედება ეწოდება გათვლად სოციალურად მნიშვნელოვან შედეგთა ნებისმიერ გამოწვევას“.

ამავე დროს, თუ შმიდტი თვითდარწმუნებით ავითარებდა კაუზალისტ მეცგერის პოზიციას ბრალზე როგორც ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მომენტებს შორის არსებულ ფაქტობრივ ურთიერთობაზე, ენგიში დამაჯერებლად ასაბუთებს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრების უსაფუძვლობას, რომლის ყველაზე პრინციპულ მომხრედ სწორედ ე. მეცგერი წარმოგვიდგება. ენგიში უთუოდ მართალია, რამეთუ ობიექტურად ნებადართული ქმედების სუბიექტური აკრძალულობა — როგორც ამას ადგილი აქვს უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრებაში — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად დანაშაულის სუბიექტური მხარის გამოყოფას ნიშნავს, რაც, თავის მხრივ, სუბიექტივიზმისაკენ გადახრის მომასწავებელია.

სოციალური თეორიის კაუზალიზმისაგან გამიჯვნის მორიგი ეტაპი ჰ. მაიერის „ნებელობის თეორიასთან“ არის დაკავშირებული. ქმედება აქ უკვე წარმოდგენილია არა როგორც „გარე სამყაროში ცვლილების გამოწვევა“, არამედ როგორც სუბიექტურ ნებასთან განუყოფლად ასოცირებული ცნება. მართალია, მაიერის მტკიცებებიდან გაურკვეველია, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს ის ქმედების ცნებაში: ნების ობიექტივირებას თუ ობიექტივირებულ ნებას, მაგრამ თვით ფაქტი ქმედების განმსაზღვრელ ნიშნად სუბიექტური ნების გამოცხადებისა უეჭველად დადებითი ტენდენციის გამოხატულებაა. ხოლო ის, რაც უმთავრესია განსახილველ კონტექსტში, არის მაიერის მოძღვრების ასეთივე დიდმნიშვნელოვნობა ბრალის ცნების როგორც დანაშაულებრივი ქმედების შემადგენელი ელემენტისათვის — იმაზე, თუ როგორ გავიგებთ ნების ჩამოყალიბებას, ნების განხორციელებასა და განხორციელებულ ნებას, დიდად არის დამოკიდებული ბრალის ცნების ჯეროვანი განსაზღვრა.

დაბოლოს, სოციალური სწავლება თავის სრულყოფილ სახეს იღებს ამ სწავლების ყველაზე რადიკალური წარმომადგენლის რ. მაიჰოფერის შემოქმედებაში. მაიჰოფერის მტკიცებით, ქმედების ცნება სრულიად უნდა განვაცალკევოთ ნატურალიზმის ყოველგვარი რუდიმენტისაგან: როგორც „კაუზალური დოგმის“, ისე „სხეულებრივობის“, „ნებისმიერობისა“ და „ნებელობის“ ნიშნებისაგანაც. მხოლოდ ამგვარად, — დაასკვნის მაიჰოფერი, — შევძლებთ აღვიქვათ ქმედება არა უბრალოდ როგორც მართლსაწინააღმდეგო ეფექტის გარეგანი ან შინაგანი გამოწვევა, არამედ როგორც გონებრივი საქმიანობის აქტი და ნაყოფი.

ქმედების ცნებისათვის „ნებისმიერობისა“ და „ნებელობის“ ნიშანთა უარყოფის გამო, მაიჰოფერის თვალთახედვა იმთავითვე იქცა მკაცრი კრიტიკის საგნად სისხლის სამართლის ლიტერატურაში. მაგრამ რას მოასწავებს ქმედების ცნებისათვის „სხეულებრივობის“ ნიშნის უარყოფა? უარვყოთ „სხეულებრივობის“ ნიშანი და ქმედება ვაღიაროთ მხოლოდ „გონებრივი საქმიანობის აქტად და ნაყოფად“ ნიშნავს, საერთოდ უარვყოთ დანაშაულის ობიექტური მხარე, რისი უშუალო შედეგია ბრალისა და დანაშაულის ცნებათა კატეგორიალური ურთიერთგანუსხვავებლობა. ეს კი პრინციპულად აკნინებს ბრალის დოგმატურ მნიშვნელობასაც და გარდაუვალს ქმნის მოცემული ცნების დანაშაულის ცნებასთან შერწყმას. ამგვარად გამოიყურება მაიჰოფერის მიერ რადიკალირებული სოციალური სწავლება ბრალის თვალსაზრისით.

მას შემდგომ, რაც მაიჰოფერმა სოციალური სწავლება საბოლოოდ გამიჯნა კაუზალიზმის „გადმონაშთებისაგან“, ის ერთგვარად ზომიერი სახით თავის განვითარებას პოვებს ვ. ზაუერთან. ზაუერის თანახმად, ბრალი არის სოციალურ-ეთიკური დეფექტი (ein sozialethischer Mangel) და შეიცავს გაკიცხვას სოციალურად მნიშვნელოვან მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის. ბრალის მასშტაბად ზაუერი განიხილავს იმასვე, რაც მოიცემა მასთან დანაშაულის ობიექტურ მხარეში: ფორმალურად — უარყოფითი სამართლებრივი შეფასება; მატერიალურად — სოციალური საშიშროება და სოციალური მავნეობა; სპეციალურად ნებელობისათვის — სოციალურ-ეთიკური დაგმობითობა („შეუწყნარებლობა“), რაშიც გამოსახულია სამართლებრივი და მორალური გაკიცხვა. განავრცობს რა თავის ამ შეხედულებას, ზაუერი დაასკვნის, რომ ბრალი ფორმალურად წარმოადგენს „სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ თავისუფალ ნებას (და არა ფსიქიკურ დამოკიდებულებას)“, მატერიალურად კი — „კრიმინალურ არაზნეობრიობას“. ამასთანავე, ზაუერი გამოყოფს ბრალის სამ ძირითად სისხლისსამართლებრივ ნიშანს: შერაცხადობას (ნების თავისუფლება), განზრახვას (უმართლობის ცოდნა) და გაუფრთხილებლობას (უმართლობის უცოდინარობა ცოდნის ვალდებულების განხორციელებადობისას). ზაუერი ერთნაირად ეწინააღმდეგება ბრალის ცნების როგორც უკიდურეს ფსიქოლოგირებას, ისე უკიდურეს ნორმატივირებასაც, რა დროსაც თვლის, რომ ბრალი თანაბრად უნდა პასუხობდეს „ფსიქოლოგიურ-ბუნებრივ“ და „ნორმატიულ-ლოგიკურ“ მოთხოვნებს. ამ მხრივ, ის გამოყოფს მ. ე. მაიე-

რის „მოტივაციის თეორიის“ პოზიტიურობას, რომლის მიხედვითაც ბრალი წარმოადგენს „შემცდარ მოტივაციას“ („fehlerhafte Motivation“).

სოციალურ სწავლებას ნაწილობრივ ე. ა. ვოლფიც იზიარებს, რომლის მიხედვითაც „ქმედება არის *პიროვნების* გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული სინამდვილე“. როგორც აქედან გამომდინარეობს, ვოლფს ძირითადი აქცენტი სუბიექტის პიროვნულობაზე (Personhaftigkeit) გადააქვს, ხოლო პიროვნულობა მასთან გაიგება როგორც „გონებრივი თვითშეგნებისა“ და ამის შედეგად მიღებული „გონებრივი თვითგანკარგვის უნარი“. მაგრამ ძნელად თუ დარჩება შეუმჩნეველი ის წინააღმდეგობრიობა, რომელსაც ვოლფი მოცემული თეზისის დეტალიზების პროცესში უშვებს. ერთი მხრივ, ის თვლის, რომ სუბიექტს სწორედ პიროვნულობის ნიშანი განსაზღვრავს როგორც „პასუხისმგებელ არსებას“, სხვა მხრივ კი, პიროვნულობას განიხილავს როგორც ყოველი ინდივიდისათვის იმანენტურ თვისებას. „ყოველ ინდივიდში“, ცხადია, იგულისხმება მცირეწლოვანიც და სულით ავადმყოფიც. ხოლო თუ პიროვნულობა როგორც ინდივიდის „პასუხისმგებელ არსებად“ განმსაზღვრელი ნიშანი მცირეწლოვანსაც და სულით ავადმყოფსაც ახასიათებს, მაშინ ამ უკანასკნელთა შეურაცხადობის დასაბუთება ყოვლად შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, ვოლფის დასკვნები განსახილველი კატეგორიის სუბიექტთა ბრალუუნარობის უარყოფისაკენაა მიმართული.

§5. განსაკუთრებული განხილვის საგანს ნორმატივისტულ მოძღვრებაში შეადგენს ფინალიზმი. ფინალური თეორიის ფუძემდებლად ითვლება გერმანელი კრიმინალისტი ჰ. ველცელი, რომლის შეხედულებებსაც, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, ნიადაგი შეუმზადა გრაფ ცუ დონას ნაშრომმა „დანაშაულის მოძღვრების აგებულება“, ფილოსოფიური თვალსაზრისით კი — ნ. ჰარტმანის ონტოლოგიამ.

სოციალური სწავლებისაგან განსხვავებით, რომელიც ობიექტური ფინალურობის პრინციპზე აიგებოდა, ველცელის მოძღვრება სუბიექტურ-ფინალური მიმდინარეობაა, ის თავის უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად მოიცავს ე. წ. „ცნობიერ ნებას“ (der bewußte Wille), რომელშიც იგულისხმება სუბიექტის შესაძლებლობა, მიაღწიოს დასახულ მიზანს სათანადო კაუზალურ საშუალებათა (ხერხთა) გამოყენებით. ნ. ჰარტმანი სუბიექტურ ქმედებას წარმოიდგენს სამი შემდეგი აქტის ერთობლიობად: 1) გონებაში მიზნის დასახვა დროის დინების დაძლევით, როგორც მომავლის ანტიციპაცია (განჭვრეტა); 2) გონებაში ხერხთა შერჩევა დასახული მიზნის მისაღწევად (შებრუნებული დეტერმინაცია) და 3) დასახული მიზნის რეალიზება შერჩეულ ხერხთა გამოყენებით — გონების მიღმა მიმდინარე პროცესი.

უშუალოდ ფინალურობას კი ჰარტმანი განსაზღვრავს როგორც დეტერმინაციის ისეთ ფორმას, რომელიც მოიცავს მარტოოდენ ცნობიერი საქმიანობის სამყაროს და რომელიც წარმოადგენს ადამიანური ფსიქიკის პრივილეგიას.

ჰარტმანის ამ მოსაზრებათა სისხლის სამართალში შეჭრა შესაძლებელი გახადა ცუ დონას მიერ სისტემატიკაში განხორციელებულმა ფრიად მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა. დონას მოძღვრებაში განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც (როგორც შეფასების ობიექტი) წარმოადგენს ბრალის (როგორც ობიექტის შეფასების) წინაპირობას, საფუძველს და არა ელემენტს ან, მით უმეტეს, ფორმასა თუ სახეობას, ე. ი. განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც ერთმნიშვნელოვნად გაიტანება ბრალის ცნებიდან. მაგრამ დონა არაფერს მიგვითითებს მათ კონკრეტულ ადგილზე დანაშაულის სტრუქტურაში. ადვილად მისახვედრია, რომ ბრალის ცნებასთან განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ამგვარი თანაფარდობა არა მხოლოდ ქმნიდა ფინალიზმის ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობებს, არამედ მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა ფინალური მოძღვრების ან სხვა მსგავსი თეორიის აღმოცენებას, რამდენადაც, როგორც თავად ჰ. ველცელი მიგვითითებს, დონას მიერ „უთავშესაფროდ დატოვებული“ განზრახვა და გაუფრთხილებლობა საშურად საჭიროებდა დამატებით ანალიზს. უკეთ რომ ვთქვათ, დონას შეხედულებებმა შეუქცევადი გახადა ბრალის „კომპლექსური ცნების“ ანუ ფრანკისეული ნორმატივიზმის მსხვრევა.

ჰარტმანისა და დონას ზემომოტანილ მოსაზრებათა შედეგად ვღებულობთ შემდეგ თეორიულ კომპოზიციას: ჰარტმანის თანახმად, ქმედება წარმოადგენს „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას“ და, ამდენად, ქმედების ცნებამ აუცილებლობით უნდა მოიცვას განზრახვის ელემენტი; დონას მტკიცებით კი, ბრალის ცნების „კომპლექსურობა“ ლოგიკურად დაუშვებელია, ე. ი. ბრალი ერთდროულად არ შეიძლება მოიცავდეს შეფასებასაც (გასაკიცხობა) და შეფასების ობიექტსაც (განზრახვა ანუ ფსიქიკური დამოკიდებულება და გაუფრთხილებლობა ანუ ფსიქიკური დამოკიდებულების შესაძლებლობა). ფინალისტები თავიანთ პოზიციას ორივე მიმართულებით აქტიურად განავითარებენ, მაგრამ გარკვევას საჭიროებს ის, თუ ამ ორ მომენტთაგანი რომელი უნდა განიხილებოდეს როგორც პირველადი.

ნათელია, რომ ბრალიდან განზრახვის ელიმინირებას მოითხოვს ქმედების ცნებისათვის მისი დართვის აუცილებლობა და არა პირიქით — ქმედების ცნებისათვის განზრახვის დართვა არ არის განპირობებული ბრალის ცნებიდან მისი გამორიცხვის აუცილებლობით. ამიტომაც უეჭველად უნდა ვცნოთ ქმედების სუბიექტურ-ფინალური მნიშვნელობით გაგების პირველადობა ანუ განზრახვა ბრალის ცნებიდან უმთავრესად გაიტანება იმის გამო, რომ ველცელი ქმედებას განსაზღვრავს როგორც „სუბიექტის მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებას“ და არა იმიტომ, რომ ის დაუშვებლად მიიჩნევს ბრალის ცნებაში შეფასებისა და შეფასების ობიექტის თანამოცემულობას. ამ უკანასკნელი ფაქტორის სეკუნდარულობა ნიშნავს იმას, რომ ფინალური მოძღვრება თავის რეალურ დასაბამს იღებს ფილოსოფიაში, კერძოდ კი ნ. ჰარტმანის ონტოლოგიაში და არა სისხლის სამართალში, კერძოდ კი გრაფ ცუ დონას მოძღვრებაში.

ხოლო რაც შეეხება ბრალის „უთავშესაფროდ დარჩენილ ელემენტებს“, იოლი მისახვედრია, რომ ფინალური თეორია მათ უმართლობის სფეროში ათავსებს. ამის შედეგად, თუ უმართლობის სუბიექტურ ელემენტთა შესახებ მოძღვრებაში ადგილი ჰქონდა უმართლობის მხოლოდ ნაწილობრივ სუბიექტივირებას, ფინალურ სწავლებაში ის აბსოლუტურად სუბიექტივირებულია (ე. ი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოიცავს სუბიექტურ ელემენტს). ამასთანავე, ფინალური სწავლება არ უარყოფს დანაშაულის სამნიშნა ცნებას როგორც ასეთს, ის მხოლოდ გარდაქმნის მისი ცალკეული ნიშნებით მოცულ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტთა თანაფარდობას. მაგრამ ამით დანაშაულის კლასიკური სქემა სრულიად კარგავს თავის ჭეშმარიტ ღირებულებას, ვინაიდან ამგვარად უხეშად ხელიყოფა მისი კარდინალური პრინციპი, რომლის თანახმადაც დანაშაულის ცნებაში ყოველივე სუბიექტური უნდა გამომდინარეობდეს ყოველივე ობიექტურისაგან.

ფინალისტები თავისებურად განსაზღვრავენ არა მხოლოდ განზრახვის ადგილს დანაშაულის სისტემაში, არამედ განზრახვის მატერიალურ მხარესაც. მათ განზრახვა გაეგებათ არა ტრადიციულად, არა როგორც *dolus malus*, არამედ როგორც „ბუნებრივი“ განზრახვა. სხვაობა განზრახვის ამ ორ ცნებას შორის ერთობ მნიშვნელოვანია. რამდენადაც „ბუნებრივი“ განზრახვის უნარი მოეპოვება შეურაცხადსაც (ასე მიიჩნევა საყოველთაოდ და ასევე თვლიან ფინალისტებიც), ის სრულიად უნდა გავმიჯნოთ სუბიექტური ნებისაგან, რამეთუ სულით ავადმყოფთა დიდ ნაწილს არა მხოლოდ არ შესწევს უნარი, იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, არამედ არც ნების ჩამოყალიბების ფსიქიკური შესაძლებლობა მოეპოვება. ამსახად, „ბუნებრივი“ განზრახვა განისაზღვრება მხოლოდ ინტელექტუალური მომენტით, რის საპირისპიროდაც „ბოროტი“ განზრახვა მოიცავს როგორც ინტელექტუალურ, ისე ნებელობით ასპექტსაც. ამის გათვალისწინებით კრიტიკული განხილვის საგანს თანაბრად უნდა შეადგენდეს განზრახვის ფინალური მოდელის სისტემატიკური მხარეც და მისი შინაარსობრივი აგებულებაც.

მას შემდგომ, რაც ფინალისტები ბრალს წარმოიდგენენ როგორც ნორმატიულ შეფასებას, ისინი ესწრაფვიან დაასაბუთონ, რომ ამგვარად განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი ბრალი წარმოადგენს არა „მოსამართლის ფსიქიკაში არსებულ ფენომენს“, არამედ დანაშაულებრივი ქმედების „უკუღირებულებით თვისებას“ (Unwerteigenschaft). მაგრამ, როგორც ამაზე მართებულად მიუთითებენ ფინალიზმის კრიტიკოსები, დანაშაულებრივ ქმედებას მოცემული „თვისება“ დაერთვის მხოლოდ ნორმატიული შეფასების შედეგად და ამიტომ ბრალი მაინც „სხვის“ ფსიქიკაში მოცემულ ფენომენად რჩება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რომ ფინალისტებთან შეფასებისა და შეფასების ობიექტის ურთიერთობა მოიცავს ზოგადად დანაშაულის ცნებას და არ ვლინდება საკუთრივ ბრალის სფეროში, აიძულებს მათ აშკარად გაილაშქრონ არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. ამავე დროს, მისაღებად ვერ მიიჩნევა შეხედულება,

თითქოს ფინალისტებთან ადგილი ჰქონდეს შეფასებისა და შეფასების ობიექტს შორის არსებული ურთიერთობის გაწყვეტას. თვით ფაქტს შეფასების ობიექტის დანაშაულის შემადგენლობაში მოთავსებისა არაფერი შეიძლება ჰქონდეს საერთო ხსენებული ურთიერთობის არა მხოლოდ გაწყვეტასთან, არამედ ამ ურთიერთობის რამეგვარ შესუსტებასთან. უკეთ რომ ვთქვათ, მოცემულ ელემენტთა ურთიერთობის ინტენსიურობაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ამ ურთიერთობის გამოვლინების სფეროს შეცვლა.

თუ კაუზალური მოძღვრებისათვის უმთავრეს სირთულეს უმოქმედობის დასაბუთება წარმოადგენდა, ფინალური სწავლება, შედარებით მარტივად წყვეტს რა უმოქმედობის პრობლემას, ვერ ასაბუთებს გაუფრთხილებლობას. როგორც ეს სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღინიშნება, თუ ქმედების ცნება აიგება განზრახვაზე, ამაოა არგუმენტების ძიება, რათა შევძლოთ ამ ცნებისადმი არაგანზრახი ქცევის მისადაგებაც. ფინალისტთა ყოველგვარი მცდელობა, დაასაბუთონ სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობა, იმთავითვე მიმართულია ჰარტმანის ონტოლოგიის წინააღმდეგ, ვინაიდან მასში ქმედების ცნებისაგან ვერასოდეს განიყოფა მიზნის ელემენტი. უფრო მეტიც, ამავე მიზეზის გამო ფინალური თეორია ჯეროვნად ვერც ევენტუალურ განზრახვას ასაბუთებს. ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავის მიზანს, როგორც წესი, განსაზღვრული მართლზომიერი შედეგის გამოწვევა შეადგენს, ხოლო დელიქტური შედეგი ევენტუალური განზრახვით მოქმედს კი არ სურს, ე. ი. მიზნად კი არ ისახავს მას, არამედ მხოლოდ შეგნებულად უშვებს მისი დადგომის შესაძლებლობას (ანალოგიურ აზრს საკმაოდ საინტერესო არგუმენტაციით ავითარებს ვ. ჰარდვიგიც). ამრიგად, ირიბი განზრახვის შემთხვევაშიც დასჯადობის საფუძველს ქმნის არამიზნობრივი, არაფინალური სუბიექტური ქცევა.

ფინალური მოძღვრების წარმომადგენელთა რიცხვს, გარდა ჰ. ველცელისა, განეკუთვნებიან ჰ. ფონ ვებერი (ველცელთან ერთად ის ფინალური თეორიის ფუძემდებლად არის მიჩნეული), რ. მაურახი, რ. ნიზე, არმ. კაუფმანი, რ. ბუში და ვ. გალასი (გარკვეული გადახრებით). ზემოჩამოთვლილი კრიმინალისტები, უზრუნველყოფენ რა ფინალური მოძღვრების დინამიკურ და არაერთფეროვან განვითარებას, მოცემული სწავლების ფარგლებში აყალიბებენ მრავალ საგულისხმო კონცეფციას. მაგალითად, ფონ ვებერი და რ. ბუში გვთავაზობენ თეორიას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის როგორც ჯერარსობისა (Sollen) და შესაძლებლობის (Können) ურთიერთობის შესახებ. ვ. გალასს კი შემოაქვს ახალი სისხლისსამართლებრივი ცნება — „ბრალის შემადგენლობა“. ამასთანავე, ფინალისტი არმ. კაუფმანი აყალიბებს უმოქმედობის ახლებურ დოქტრინას, რომელშიც ნათლად გადმოიცემა მოცემულ ასპექტში ფინალური მოძღვრებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

§6. არტ. კაუფმანი, მიმოიხილავს რა ნორმატივიზმის ზემოგანხილულ ოთხივე მიმდინარეობას, ამტკიცებს, რომ თითოეულ მათგანში გამოხატუ-

ლია სუბიექტური ქმედების მართებული ასპექტი, მაგრამ მხოლოდ ერთი, მხოლოდ ცალკეული ასპექტი და არა მთლიანობა. ამის საფუძველზე, ე. ი. კაუზალური, სიმპტომატური, სოციალური და ფინალური მოძღვრებების ძირითად პრინციპთა კომბინირებით, არტ. კაუფმანი წარმოგვიდგენს თავის „ქმედების შესახებ პერსონალურ სწავლებას“. პერსონალურ სწავლებაში ქმედების ცნება ერთდროულად მოიცავს კაუზალობასაც, ფინალურობასაც, ფსიქიკურ გარკვეულობასაც და გონებრივ განსაზღვრულობასაც და არა მხოლოდ რომელიმე მათგანს. მოცემულ თეორიაში წარმოდგენილია აგრეთვე ბრალის „პერსონალური“ ცნებაც — ბრალის ნორმატივისტული ცნების კიდევ ერთი ნაირსახეობა.

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, არტ. კაუფმანის მოძღვრება, მიუხედავად იმისა, რომ ონტოლოგიურად სავსებით მისაღებია, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით პრინციპულად ურთიერთგამომრიცხავ საწყისებს ეფუძნება. უშუალოდ ბრალის პრობლემასთან მიმართებაში კი ძირითადად აღსანიშნავია ის, რომ აქ მცდარად არის გადმოცემული ბრალისა და სასჯელის ფორმალურ-ლოგიკური ურთიერთობა.

კაუფმანის აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა ბრალის ცნებასთან მიმართებაში უნდა ენიჭებოდეს არა გაკიცხვას ან გასაკიცხობას, არამედ იმას, რაც გაკიცხვის საფუძვლად გვევლინება. ეს თუმც არ მოასწავებს ბრალის ცნებასთან შეფასებითობის კავშირის უარყოფას, მაგრამ ამჯერად შეფასებითი მომენტი უკვე ბრალის ცნების მიღმა მდებარე ელემენტად წარმოგვიდგება.

არტ. კაუფმანის მიხედვით, ბრალის შინაარსს ქმნის არა მხოლოდ უმართლობის ცოდნა (ცოდნის შესაძლებლობა) და სურვილი (შეგნებული დაშვება და ა. შ.), არამედ აგრეთვე თვით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაც, რის შესაბამისადაც ის ბრალის შემადგენლობას უმართლობის შემადგენლობასაც განაკუთვნებს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბრალის ცნება მოიცავს ტრადიციულად დანაშაულის ცნებით მოცულ ყველა სუბიექტურ თუ ობიექტურ კომპონენტს და ამიტომაც ფაქტობრივად გაიგივებულია ამ უკანასკნელთან.

მეტად საგულისხმოა არტ. კაუფმანის მიდგომა შეუცნობელი გაუფრთხილებლობის (დაუდევრობის) პრობლემისადმი. ის, უარყოფს რა შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დასჯადობას, სავსებით უშვებს მოცემულ შემთხვევაში მართლზომიერად მოქმედების შესაძლებლობის არსებობას, რაც შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დასჯადობის უარყოფის სრულიად არატრადიციულ სახედ წარმოგვიდგება, ვინაიდან თანამედროვე კრიმინალისტთა გარკვეული ნაწილის მიერ შეუცნობელი გაუფრთხილებლობის როგორც სისხლისსამართლებრივი ბრალის ქვესახის უარყოფას საფუძვლად სწორედ ის მტკიცება უდევს, რომ აქ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მომენტში სუბიექტი მოკლებულია მართლზომიერად მოქმედების ფაქტობრივ შესაძლებლობას. ხოლო უშუალოდ მიზეზი, რის გამოც არტ. კაუფმანი უარყოფს შეუცნობელი გაუფრთხილებლობის დასჯადობას, არის ის, რომ გაუფრ-

თხილებლობის მოცემული სახე მასთან განიხილება როგორც „ჰიპო-თეზურ გარემოებებზე" დაფუძნებული ცნება, რომლის საფუძველზეც მიიღება არა თვით ბრალი, არამედ მხოლოდ ბრალის შესაძლებლობა.[0]*

თავი მეექვსე

§1. ნ. ვ. ლიასი საკმაოდ ვრცლად გვიხასიათებს ბრალის ნორმატიულ ცნებას როგორც გერმანულ, ისე ავსტრიულ დოგმატიკაში და ცდილობს მის კრიტიკულ გააზრებას. მართალია, ის თავის დასკვნებში ხშირად ნაკლებად ობიექტურია და ასევე ხშირად უხეშ წინააღმდეგობრიობასაც ავლენს, მაგრამ არც ის შეიძლება გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის იდეოლოგირებულობა არ ქმნიდა ნორმატივიზმის მიუკერძოებელი მეცნიერული კვლევისა და მასზე სრულყოფილი თეორიული წარმოდგენის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ნ. ვ. ლიასი, მართალია, ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას სულაც არ აღიარებს იმ თვალსაზრისით, რომ ბრალი შეფასებითობას მოკლებულ წმინდად დესკრიფციულ ცნებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, სისტემატიკური თვალსაზრისით, ის ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებს არ სცილდება და ამიტომაც მასთან ნორმატიულ მოძღვრებაში დანაშაულის შემადგენლობის ცნებისაგან ბრალის ცნების სისტემატიკური დამოუკიდებლობა მკაცრი კრიტიკის საგანია.

ასევე მიუღებლად მიიჩნევს ის ბრალის ცნების მხოლოდ შეფასებით მომენტზე დაფუძნებას, რა დროსაც მიუთითებს იმაზე, რომ ბრალის მსგავსი მოდელი შესაძლებელს ხდის პროცესუალური თვითნებობის გამართლებას. ნ. ვ. ლიასის მოცემული შეფასება გამომდინარეობს შეხედულებიდან, თითქოს ბრალის ცნებაში შეფასების ობიექტის მოუცემლობა ნიშნავდეს შეფასებასა და შეფასების ობიექტს შორის რეალური თეორიული კავშირის გაწყვეტას, რის უსაფუძვლობაზეც ჩვენ ზემოთ უკვე გარკვევით მივუთითეთ.

გარდა ამისა, ნ. ვ. ლიასთან თვით ბრალის კომპლექსური ცნებაც არანაკლებ მკაცრ კრიტიკას ექვემდებარება, რამეთუ ის თვლის, რომ ნორმატივისტები, რომლებიც ბრალის კომპლექსურ ცნებას იცავენ, ფსიქოლოგიურ ნიშანში წმინდად ფორმალურ შინაარსს გულისხმობენ.

§2. გ. იაკობსის მიხედვით, ბრალის ადრეულნორმატიული ცნება სხვა არაფერია, თუ არა უკვე რადბრუხის მიერ ფაქტსა და უარყოფით სამართლებრივ შეფასებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ფორმალური განვრცობა. ამავე დროს, მოცემული ცნება ანუ გასაკიც-

---

* აღსანიშნავია, რომ არტ. კაუფმანთან, კვლევის დროს ადგილი აქვს რა ზოგადად გაუფრთხილებლობისა და შეუცნობელი გაუფრთხილებლობის პრობლემათა არასათანადო დიფერენცირებას მოცემული დასკვნები არსებითად ამ პირველზეც ვრცელდება.

ხობა, როგორც ფრანკთან წარმოდგენილ ელემენტთა ერთობლიობა, მასთან განიხილება როგორც უფუნქციო კრებითი ცნება.

ზემომითითებულ კონტექსტში გ. იაკობსი დადებითად გამოყოფს ე. წ. თელეოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის ფარგლებშიც ბრალის მიზნად განისაზღვრება სასჯელის დაფუძნება და მოცემულ გარემოებას უკავშირდება არა მხოლოდ საკუთრივ ბრალის ფუნქციის, არამედ აგრეთვე ბრალის არის განსაზღვრაც. ნაშრომში უკანასკნელი კონცეფცია წარმოდგენილია როგორც ბრალის ფუნქციის თეორიული მნიშვნელობის ჰიპერტროფირება და ბრალის არსისა და ფუნქციის ურთიერთგანუსხვავებლობა, რაც ზემოთაც შეადგენდა კრიტიკული განხილვის საგანს.

ნაშრომში ჩამოყალიბებული შეხედულების მიხედვით, ბრალის მიზანი ბრალის სფეროშივე უნდა ირკვეოდეს, ისევე, როგორც დანაშაულის სხვა ელემენტთა მიზანიც მოცემულ ელემენტთა და არა სისტემატიკურად მომდევნო ელემენტის სფეროში უნდა გაირკვეს.

გ. იაკობსის შეხედულებათა ანალიზის ფარგლებში ვასკვნით, რომ ბრალის ადრეულნორმატიული მოდელი, როგორც შეფასებისა და შეფასების ობიექტის ერთობლივად მომცველი ცნება, მხოლოდ პირობითად შეიძლება იწოდებოდეს ბრალის ნორმატიულ ცნებად, რადგანაც ის მხოლოდ ნორმატიულ მომენტს როდი ეფუძნება, არამედ ერთდროულად მოიცავს როგორც ნორმატიულ, ისე ფსიქოლოგიურ ასპექტს.

გ. იაკობსთან კრიტიკული განხილვის საგანია აგრეთვე ფროიდენტალის ინდივიდუალური და შმიდტის გენერალიზებული მოთხოვნის (მოსალოდნელობის) მოძღვრება (Zumutbarkeitslehre). მოცემულ მოძღვრებათა საწინააღმდეგოდ გ. იაკობსის მიერ მოტანილი ძირითადი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდის სამართლებრივად რელევანტური შესაძლებლობები უნდა დგინდებოდეს „არა მხოლოდ ფსიქოლოგირებულად, არამედ უნდა განისაზღვრებოდეს აგრეთვე იმითაც, სოციალური კონფლიქტი (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) შეიძლება თუ არა მოწესრიგდეს შერაცხვის გარეშე."

ნორმატივიზმის კრიტიკის ფარგლებში გ. იაკობსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე ფინალურ მოძღვრებასაც. გ. იაკობსი თვლის, რომ ფინალურ მოძღვრებაში წარმოდგენილი დანაშაულის მოდელი არ იძლევა მთელი რიგი პრობლემების სრულყოფილი გადაჭრის შესაძლებლობას, რის მიზეზად მას ფინალიზმის წინააღმდეგ მიმართული ტრადიციული საყვედური როდი ესახება, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოიხატება იმაში, რომ ფინალისტებთან ბრალი, მოიცავს რა მხოლოდ შეფასებით ასპექტს, წარმოდგენილია როგორც მოსამართლის ფსიქიკაში ჩამოყალიბებული შეფასებითი მსჯელობა. გ. იაკობსის აზრით, ფინალიზმის კრიტიკა უმთავრესად უნდა უკავშირდებოდეს იმ გარემოებას, რომ ფინალისტებს არ ძალუძთ უმართლობის (ვირტუალური) შეგნების ზუსტი სისტემატიკური ადგილის განსაზღვრა.

§3. კ. როქსინის თანახმად, გასაკიცხობა არის პასუხისმგებლობის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა, რასაც უნდა დაემატოს სანქციის პრევენციული აუცილებლობა (präventive Sanktionsnotwendigkeit). აქედან კ. როქსინი ასკვნის, რომ ბრალის ნორმატიულმა ცნებამ უნდა პოვოს შემდგომი განვითარება და, კერძოდ კი, გარდაისახოს ე. წ. პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნებად.

კ. როქსინთან წარმოდგენილია აგრეთვე ბრალის ნორმატიული თეორიის ცალკეულ მიმდინარეობათა ზოგადი კრიტიკაც.

ბრალის როგორც „სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობის" კრიტიკული ანალიზის დროს კ. როქსინს ძირითადი აქცენტი გადააქვს იმაზე, რომ „არჩევანის თავისუფლების დაშვების შემთხვევაშიც ქმედების განხორციელების მომენტში სუბიექტის სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა მეცნიერულად ვერ დადგინდება". მაგრამ კ. როქსინის ამ ლოგიკით ძნელად თუ შევძლებთ სისხლისსამართლებრივი ბრალის დასაბუთებას საერთოდ.

ბრალის როგორც „სამართლებრივად შეუწყნარებელი განწყობის" კრიტიკისას კ. როქსინი ძირითადად შენიშნავს იმას, რომ აქ არსებითად არ შეიმჩნევა გასაკიცხობის ფორმალური ხასიათის დაძლევა, ვინაიდან, მისივე მტკიცებით, არ არის წარმოდგენილი იმის არავითარი კრიტერიუმი, თუ რა განაპირობებს სუბიექტური განწყობის შეუწყნარებლობას.

ერთობ მკაცრი კრიტიკული განხილვის ობიექტია კ. როქსინთან ბრალი როგორც „პასუხისმგებლობა საკუთარი ხასიათისათვის". კრიტიკის უმთავრეს საგანს აქ ის გარემოება შეადგენს, რომ მოცემული თეორიის ფარგლებში სუბიექტს ბრალად ერაცხება ის, რაც ჩამოყალიბდა და მოიცემა მისი ნებისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

ნაშრომში განვითარებული მოსაზრების შესაბამისად, ბრალის როგორც „შერაცხვის ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით" კ. როქსინთან წარმოდგენილი კრიტიკა აშკარად მცდარად წარიმართება. მისი თვალთახედვიდან გამომდინარე, გ. იაკობსის მოცემულ თეორიაში ზოგადად დასაშვებად მიიჩნევა ამა თუ იმ ქმედების ბრალეულად აღიარება მხოლოდ ზოგადპრევენციული საჭიროების მიხედვით და სუბიექტის კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევის მართვადობის გაუთვალისწინებლად. მაგრამ ამ ლოგიკით გამოდის, რომ გ. იაკობსი საერთოდ უნდა უარყოფდეს ბრალის გამომრიცხველი გარემოების ტრადიციულ ცნებას, რაც, ბუნებრივა, ასე არ არის.

დაბოლოს, კ. როქსინი, იკვლევს რა ბრალს როგორც „უმართლო ქმედებას მიუხედავად ნორმატიული მოთხოვნადობისა", ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება შეაჩეროს მოცემული თეორიის პოზიტიურ მხარეებზე, რა დროსაც მიუთითებს, რომ მოცემული თეორია არ ქმნის არანაირ სირთულეებს სულით ავადმყოფთა, მცირეწლოვანთა და დაუძლეველი შეცდომის მდგომარეობაში მყოფ პირთა ბრალუუნარობის დასაბუთების თვალსაზრისით. ხოლო რაც შეეხება

განსახილველი თეორიის როქსინისეულ კრიტიკას, ძირითადად უნდა გამოიყოს ის, რომ, კ. როქსინის მტკიცებით, ბრალის აქ წარმოდგენილი ცნება, მსგავსად ზოგიერთი მის მიერ განხილული ზემოწარმოდგენილი თეორიისა, ეფუძნება „სასჯელის სოციალურ გამართლებას".

თავი მეშვიდე

§1. შემთხვევა, რომლის დროსაც სუბიექტს არ სურს თავისი ქმედებიდან გამომდინარე გარკვეული საზიანო შედეგი, მაგრამ ითვალისწინებს მისი განხორციელების აუცილებლობას, ნებელობითი თვალსაზრისით, ესადაგება ევენტუალურ განზრახვას, ინტელექტუალური თვალსაზრისით კი, პირდაპირი განზრახვის შესაბამისია, რაც საბოლოო ჯამში იმაზე მიგვითითებს, რომ ის არც პირდაპირი განზრახვის გამომხატველია და არც ევენტუალურისა. და როდესაც მოქმედი სუბიექტი მაინც ისჯება სისხლისსამართლებრივად მოცემული ქმედებისათვის, ეს უხეშად ხელყოფს სისხლის სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიც არის *nulla poena sine culpa* ïí *nullum crimen sine lege*.

ქართველი კრიმინალისტების მიერ სსკ-ის პროექტის შემუშავების პროცესში მოცემულმა პრობლემამ მთელი თავისი სიმწვავით იჩინა თავი. აქ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, სუბიექტური ქცევის ზემომითითებული სახე პირდაპირი განზრახვის ცნებაში იქნა შეტანილი.

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, ბევრად უფრო მიზანშეწონილია ხსენებული ტიპის სუბიექტური ქცევის, როგორც განზრახი ბრალის, ახალი დამოუკიდებელი სახის გამოყოფა, რასაც უმთავრესად განაპირობებს ბრალის ცნების სტრუქტურული სპეციფიკა ანუ ის, რომ ბრალის ერთი კონკრეტული ქვესახე უნდა მოიცავდეს სუბიექტური ქცევის არა უმეტეს ერთი კონკრეტული სახისა.

ხოლო რადგანაც ბრალის მოცემული ახალი ქვესახე მიიღება პირდაპირი და ირიბი განზრახვის, შესაბამისად, ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტებისაგან, ნაშრომში მიზანშეწონილად მიიჩნევა განზრახვის მოცემული სახის როგორც შენადგენი ანუ კომპოზიტური განზრახვის (*dolus compositus*) განსაზღვრა.

ამასთანავე, ნაშრომში უარიყოფა იმის მიზანშეწონილობა, რომ, შესაბამისად, პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ნიშნისა და ევენტუალური განზრახვის ინტელექტუალური ნიშნის კომბინირებითაც ასევე მივიღოთ სისხლისსამართლებრივად ბრალეული ქცევის სახე.

§2. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მოქმედ ქართულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ადგილი აქვს ბრალის ცნების არასათანადო ასახვას ან, უფრო ზუსტად, მის სისხლისსამართლებრივად რელევანტური სახით აბსოლუტურ უგულებელყოფას.

სსკ-ის ახლად შემუშავებულ პროექტში ვითარება არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უთუოდ შეინიშნება

გარკვეული დადებითი ძვრები. მიუხედავად იმისა, რომ ბრალის ცნება კვლავაც განუმარტავი რჩება, ბრალი, როგორც ასეთი, აქ უკვე მრავალგზის მოიხსენიება და კანონპროექტის მე-7 თავში საგანგებო აქცენტირების ობიექტსაც განასახიერებს. ამისდა კვალად, ამჯერად უარიყოფა არა ზოგადად ბრალის ცნების, არამედ მხოლოდ ბრალის ცნების განმარტების პრაქტიკული ღირებულება.

ნაშრომში განვითარებული თვალთახედვის შესაბამისად, უარვყოთ ბრალის ცნების საკანონმდებლო დეფინირების აუცილებლობა, ნიშნავს დავიყვანოთ ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტურ შეხედულებებამდე იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბრალი.

ამასთანავე, ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში ბრალის ცნების განუსაზღვრელობა აფერხებს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კანონის მართებულ გამოყენებას, არამედ აგრეთვე თვით მოქალაქის მიერ ამ კანონის მართებულ გაგებასაც. მოცემულ გარემოებათა საფუძველზე კი ნაშრომში აუცილებლად მიიჩნევა ბრალის საკანონმდებლო ცნების ჩამოყალიბება.

ზემოწარმოებული კვლევის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია ბრალის სისხლისსამართლებრივი ცნების ახლებური დეფინიცია, რომლის მიხედვითაც:

სისხლისსამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი.